


ბორის დარჩია

იაკობ უნუქუაძე



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

ნაშრომში მონოგრაფიულად შესწავლილია XVII საუკუნის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწისა და პოეტის, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯის, იაკობ შემოქმედელ-სამებელის, გვარად დუმბაძის, ცხოვრება და შემოქმედება; გამოვლენილი, თავმოყრილი და გაანალიზებულია მასზე არსებული ბიოგრაფიული მასალები. განხილულია ყველა მისი, დიდი თუ პატარა, ნაწარმოები; წარმოჩენილია მათი წყაროები, მწერლის ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებანი, მხატვრულ-პოლემიკური ოსტატობა და ქართულ პოეზიაში მის მიერ შემოტანილი პოეტიკური სიახლენი. დადგენილია, რომ მის კალამს ეკუთვნის ის სახობტო თხზულება, რომელიც ადრე, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, XII-XIII საუკუნეთა მიჯნის პოეტისა და სასულიერო პირის, იოანე შათელის, ქმნილებად, „აბდულმესიანად“, იყო მიჩნეული. ნაჩვენებია, რომ ეს ნაწარმოები არის არა თამარ მეფისა და დავით სოსლანის (თუ დავით აღმაშენებლის), არამედ იაკობის თანამედროვე მეფე-პოეტის, არჩილ მეორის, და ქრისტიანობისა და მისთვის თავდადებულ მეფეთა ქება-დიდება.

წიგნი წმინდა მეცნიერულია და უპირველესად გათვალისწინებულია საქართველოს წარსულის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ქრისტიან-მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მკვლევართა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

წიგნი გამოდის ჩემთვის მარად დაუვიწყარი ბიძაშვილის, ოპარ ილიას ძე დარჩიას (1935-1999) ვაჟის, ჩემი დიდი მოამაგის ილო (ილია) დარჩიას დახმარებით. ამ საქმეზე ხელი წაგვიკრა ასევე ჩემთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის ლამარა კონსტანტინეს (პოსტეს) ასული დარჩიას (1930-1993) შვილმა ნუკრი (პაატა) გვიის ძე ჩაჩავამ.

რედაქტორი მურმან თავდიშვილი

© ბ. დარჩია, 2009

გამომცემლობა „UNIVERSAL“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@interneL.ge

ISBN 978-9941-12-489-1

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი, მცირე გამონაკლისის გარდა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წლიური თემატიკური გეგმებით არის შესრულებული. მან სიხარულის ნაცვლად დიდი ნერვიულობა და უსიამოვნება მომანიჭა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, იგი ჩემს ცხოვრებაში საბედისწეროც კი გახდა. მისი ნაწილების გამოქვეყნებისასაც კი საკმაო წინააღმდეგობანი შემხვდა (თუ რატომ და როგორ, ამაზე წიგნის ბოლოს, „პირველ დამატებაში“, მოგახსენებთ). ამ მხრივ მყავდა ხელშემწვობნი და წამხალისებლებიც: გაზეთ „კალმასობის“ რედაქტორი შარლოტა კვანტალიანი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი თამაზ წიფვივაძე, ჟურნალ „რელიგიის“ მთავარი რედაქტორი ვიქტორ რცხილაძე, ამავე ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი გიგლა აბდლაძე და განყოფილების ხელმძღვანელი, პოეტი გიორგი გიგაური და სხვები.

ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე ტექსტი ძირითადად მე თვითონ ავაწყვე. ცოტ-ცოტა დახმარება გამიწიეს ჩემმა მეზობელმა და მგობარმა ვია იოსელიანმა, ჩემი ბიძაშვილის შეილიშვილმა თინა თემურის ასულმა დარჩიამ და ჩემი დეიდაშვილის შეილმა ანრი როლანდის ძე ჩხაიძემ. ვიყენებდი იმ აკრეფილ ტექსტებსაც, რომლებიც კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა (ამიტომაც წიგნი სხვადასხვა შრიფტით აწყობილი).

წიგნის ნაწილ-ნაწილ და მთლიან ამობეჭვდაში მეხმარებოდნენ და ჩემთვის მიუწვდომელ ხარჯებს გადამარჩინეს ცისანა თოდრიამ, შოთა ბასილიამ და მერაბ ცინცაძემ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

უღრმეს მადლობას ვუხდი აგრეთვე წიგნის ამაგდარ რედაქტორს, ჩემს ძვირფას მეგობარ მურმან თავდიშვილს.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ჩემი შემწენი ილო დარჩია და ნუკრი ჩაჩავა, კარგა ხანია, უმუშევარნი არიან. მაგრამ მათ თავიანთი მწირი დანაზოგი ოჯახს მოაკლეს და ამ წიგნის გამოცემას დაუნანებლად მოახმარეს. მანამდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდსა და ხვებსაც მივმართე, მაგრამ დახმარება ვერავინ გამიწია.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო: ციტატებში, სადაც მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩვენია. ავტორები დასახელებული გვყავს სამეცნიერო ხარისხისა და წოდების გარეშე. ლიტერატურას, რომელიც საკითხის ისტორიას არ ეხება, ვუთითებთ წერის ღროს არსებული ბოლო გამოცემების მიხედვით.

ყდასა და თავფურცელზე მოთავსებული წნული წარწერა ეკუთვნის იაკობს (სურ. 3) და იკითხება „შემოქმედელი იაკობ“.

შ ე ს ა ე ა ლ ი

XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, შემოქმედის (ოზურგეთის რაიონი) მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე, რომელიც ზოგჯერ *სამებელადაც* იხსენიება, მაგრამ უფრო *შემოქმედელად* არის ცნობილი, ძველად სახელგანთქმული მწიგნობარი და მწერალი იყო. მის შესახებ გამოთქმული საქებარი სიტყვები სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა თავმოყრილი და გამოქვეყნებული. მეფე-პოეტი არჩილი თავის ვრცელ თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ „ძველთ და ახალთ მელექსეთა“ დახასიათებისას მის ნიჭსა და ცოდნას დიდ შეფასებას აძლევს და თანამედროვე მოკალმეთა შორის პირველ ადგილზე აყენებს:

„აწ ს ა მ ე ბ ე ლ ი ი ა კ ო ბ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამუამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს უბარი.
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი“¹.

იაკობის, როგორც ბრძენი პოეტის, მიმართ უდიდეს მოწიწებასა და პატივისცემას ამჟღავნებს მისი თანამედროვე, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი იოსებ სააკაძე-თბილელი. მასთან ლექსით გამართულ გაბაასებაში ერთგან მიმართავს: „*ვიცი, კაცი ხარ მცნებული*“, მეორეგან - „*ვიცი, კი გაქვს სიბრძნე მრთელად*“.

იაკობს დიდი პატივით იხსენიებდნენ მომდევნო საუკუნეებშიც. მამუკა ბარათაშვილი თავის ვრცელ ლექსში „ქება მეფისა ბაქარისა“ წერს: მე წაებაძე

„ბრძენსა მას ორსა, თვით სცნობდეთ სწორსა, თუ
ერთმანეთთან განაშორებით“².

ამ ორი ბრძენიდან, რომლებსაც ავტორი თანაბარი ძალის მწერლებად ასახელებს, ერთი ჩახრუხაძეა, მეორე - იაკობ შემოქმედელი.

¹ ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა ლ ა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი ს რედაქციით, არჩილიანი, II, თბ., 1937, სტრ. 33.

² მამუკა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 40.

ჩვენი სასიკადალო მწერალი და მამულიშვილი დავით გურამიშვილი, როდესაც ერთ სტროფში ჩამოთვლის მისთვის საყურადღებო და საინტერესო პოეტებს, იაკობს შოთა რუსთველისა და მეფე-პოეტების (თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის) შემდეგ, მათ გვერდით მოიხსენიებს:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურადა,
მეფე ვახტანგ და ი ა კ ო ბ [დაბლა] ზილს მიეტკებურება;
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დვინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება“³.

ანტონ კათალიკოს პირველი იაკობს ყოველმხრივ ღირსეულ პიროვნებად და მოღვაწედ, უწინარესად კი უადრესად განათლებულ მწერლად წარმოგიდგენს:

„თვს მამისა ი ა კ ო ბ პირველისა
შემოქმედელისა გურიულისა,
არ-განლათინებულისა
ი ა კ ო ბ - კაცი სიბრძნე-მოყვარე ფრიად,
კეთილ-გამომთქმელ, მეშაირე შუენიერ,
მაღალ-გონება, საუნჯე მრავალთ ცნობით.
ღმრთივ-მომგე მადლთა, კეთილ-მჭმეველ მათი,
ყოელად საქებელ მაშინდელ-აწინდელთად.
იაკობ ღირს არს კსენებისა, ვითარმედ:
შურებოდა ესე სიბრძნის-მოყუარებისად;
ღრმად გამოთქმიდა, ძნელთა აღქსნიდა ადვილ;
კეთილ-სრულებდა მწყემსი მოციქულებრი,
იერუსალიმს დაჰცდა, დაშრიტნა სხივინ“⁴.

იონანე ბატონიშვილი შოთა რუსთველის, სარგის თმოგველის, დილარგეთის, ჩახრუხაძის, იასე ხიმშიაძის, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორისა და სულხან-საბა ორბელიანის დახასიათების შემდეგ ცალკე თავში „ძველთა ქართველთა მოშაირეთათვის“ ჩამოთვლის მწერლებს: მოსე ხონელს, ხოსრო თურმანიძეს, ნანუჩას, ქაიხოსრო ფავლე-ნიშვილს, ნოდარ ფარსადანიძეს, გარსევან ჩოლოყაშვილს,

³ დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 29, სტრ. 18.

⁴ ანტონ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1980, სტრ. 675 - 676.

სულხან თანიაშვილს, ბარძიმ ვაჩნაძეს, ფეშანგის შვილ ფაშვი-ბერტყაძეს, ბაკაია დვალაძეს, მათ ნაწარმოებებს და თავში იაკობს ასახელებს. მისი სიტყვებია: „*იაკობ შემოქმედელი, კაცი მეტნიერი და მესტიზე პირველი*“⁵.

XVIII საუკუნეში იაკობის შემოქმედებისადმი ინტერესზე მეტყველებს ისიც, რომ ამ დროს ინტენსიურად მიმდინარეობს მისი თხზულებების გადაწერა-გამრავლება.

იაკობისადმი ამგვარი დამოკიდებულება შეინიშნება XIX საუკუნეშიც. გარდა იმისა, რომ კვლავ გრძელდება (უფრო პირველ მესამედში) მისი თხზულებების გადანუსხვა-გამრავლება, მეორე ნახევარში ქვეყნდება მისი ლექსითი გაბაასება იოსებ თბილელთან, ამავე დროს, იბეჭდება პლატონ იოსელიანის, ზაქარია ჭიჭინაძის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოდიმე კონდაკოვის, თედო ჟორდანიას, ალექსანდრე ცაგარლის, ნიკო მარის, პოლივქტოვ კარბელაშვილისა და სხვათა გამოკვლევები და შენიშვნები იაკობ შემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებზე.

იგივე ვითარება გვაქვს XX საუკუნეშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველ მეოთხედში მოსე ჯანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის წერილები და მათ მიერ გამოვლენილ საბუთთა პუბლიკაციები.

ბოლო ხანის გამოკვლევებში იაკობ შემოქმედელის სახელი კიდევ უფრო ხშირად ისმის. მის მოღვაწეობას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე ლოლაშვილი, ლევან მენაბდე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშივილი, ქველი ჩხატარაიშვილი, ფრიდონ სიხარულიძე, აკაკი ხინთიბიძე და სხვები⁶.

⁵ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კ ე კ ე ლ ი - ძ ი ს ა და ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1948, გვ. 189. აქვე უნდა შეენიშნოს, რომ, ჩანს, იოანე ბატონიშვილი იაკობის შემოქმედებას ჯეროვნად არ იცნობს: არც ერთ მის ნაწარმოებს არ ასახელებს, მაშინ როდესაც შეცდომით წერს: „*იაკობ შემოქმედელმან გალექსა «ლეილ-მაჯნუნიანი»*“.

არ არის მართალი ა. ხინთიბიძის ცნობა, რომელიც მან 1986 წელს და უფრო ადრეც გამოთქვა: „*აღეს იაკობ შემოქმედელის სახელი მ ი ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ა*“ (ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, იაკობ შემოქმედელი, XVII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე, თბ., 1986, გვ. 4). იგივეა აღნიშნული ანოტაციაში: „*ნარკვევში განხილულია XVII საუკუნის მივიწყებული მწერლისა და სასულიერო მოღვაწის იაკობ ღუმბაძე-შემოქმედელის ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა*“. სიზუსტე აკლია ამ გამონათქვამ-

წინამდებარე ნაშრომი კარგა ხნის დაკვირვებისა და კვლევის შედეგია, რომელიც წერილების სახით წლების განმავლობაში სხვადასხვა ბეჭდურ ორგანოში ქვეყნდებოდა⁷.

საც: „უკანასკნელი წერილი, რომელშიც ღირსებისამებრ იყო შეფასებული «სახელოვანი მამათაერის» ღვაწლი, 1912 წელს დაიბეჭდა. ამის შემდეგ თანდათან მიწყდა მისი სახელის ხსენება“ (გვ. 33). იაკობის ღვაწლი ჯეროვნად უმეტეს შემთხვევაში, მართლაც, არაის შეუფასებია, მაგრამ მისი სახელის ხსენება ნამდვილად არ მიმწყდარა! არც ის არის სიმართლე, თითქოს ა. ხინთიბიძის დასახელებულმა წიგნაკმა იაკობისადმი რაღაც „ინტერესი გააცხოველა“ (ასეა აღნიშნული ამ წიგნაკის მეორე გამოცემაში, თბ. 1998, გვ. 45. ამ გამოცემის გვერდები ქვემოთ კუთხოვანი ფრჩხილებით იქნება წარმოდგენილი). საამისოდ ს. ცაიშვილის მაგალითი არ გამოდგება. ბატონი სარგისი იაკობ შემოქმედელის პოეტურ მემკვიდრეობას თავს მანამდე დასტრიალებდა, ვიდრე ა. ხინთიბიძე მის შესწავლას შეუდგებოდა.

⁷ ესენია: ეურნალი „მაცნე“ (ელს), 1993, №1; 1994, №1-4; 1999, №1-4; ეურნალი „რელიგია“, 1995, №1-2-3; №2-5-6; 1998, №1-2; 1999, №5-6, №7-8-9; კრებული „ფილოლოგიური ძიებანი“, 1995; გაზეთი „კალმასობა“, 1997, №10, 11, 12; 1998, № 1, 2, 4, 8, 11, 13; „ნაკადულის სალიტერატურო გაზეთი“, 1997, №2; კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, 1999, № XX; 2000, № XXI; 2003, № XXIV; 2004, № XXV; 2005 № XXVI; წიგნაკი „ერთი პლაგიატობის კვლდაკვალ“, 2000; აღმანახი „მწიგნობარი - 2000“, „მწიგნობარი - 02“, „მწიგნობარი - 08“. გაზ. „კრიმანტული“, 2001, № 3, 4, 5, 6. კრებ. „ალექსანდრე ბარამიძე -100“, თბ., 2002. გაზ. „ქართული წიგნი“, 2002, №2. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 25 თებერვალი, 2005, № 7, გვ. 12.

ბიოგრაფიული მასალები

იაკობ შემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძველი, ერთიანი და პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. აღრინდელი ბიოგრაფიული მონაცემები სხვადასხვა წყაროშია გაბნეული და სიუხვით არ გამოირჩევა¹. თვითონ მწერალს ჩვეულებად ჰქონია და ხელნაწერებზე, ხატებსა და სხვა ნივთებზე წარწერები გაუკეთებია. ეს მინაწერები მნიშვნელოვნად გვაკვლიანებს, მაგრამ, რადგან მათ თარიღები არ ახლავთ, მის მიერ განვილილ გზაზე თვალმიდევნება ჭირს.

არაფერი ვიცით, ვინ იყვნენ იაკობის წინაპრები, მშობლები. ზ. ჭინაძეს მიაჩნია, რომ ის „თავადის შვილი“ იყო². თედო სახოკია, რომელიც 1897 წლის ზაფხულში იმყოფებოდა შემოქმედში, წერს: „აქვე სახლობენ დუმბაძენი, რომელთა გვარშიაც თავი შეინახა ჩვენს დრომდე გურულმა, ეგრეთ წოდებულმა დუმბაძეების კილომ საეკლესიო გალობისამ, ამ რამდენიმე წლის წინათ ფილ. ქორიძის მიერვე ნოტებზე გადაღებულმა. ამ გვაროვნობას ამ მხრივ იგივე მნიშვნელობა აქვს გურიისათვის, რაც ძმათა კარბელაშვილებს და კარგარეთელებს ქართლში, ჭალაგანიძეთა - სამეგრელოში. თვითონ ანტონ დუმბაძე, 80 წლის მოხუცი, რომლისაგანაც გადაიღო ნოტებზე ფილიმონ ქორიძემ კილო გალობისა, დღესაც ცოცხალია“³.

ა. ხინთიბიძის ვარაუდით, „დუმბაძეები სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ“⁴.

1850 წელს შედგენილ საბუთში გურულ დუმბაძეთა ცხრა ოჯახს აზნაურთა წოდება აქვს⁵. მაგრამ მათ იაკობთან აქვთ თუ არა რაიმე კავშირი, არსაიდან ჩანს.

¹ იაკობის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული მასალები აღრიცხულია და ზოგიც გამოქვეყნებულია. მ ე ნ ა ბ დ ი ს წიგნში „ძველი ქართული მწერლობის კერები“ (ტომი I, ნაკვეთი მეორე, თბ., 1962, გვ. 568-571).

² ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა, თბ., 1888, გვ. 33.

³ თედო ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, ბათუმი, 1985, გვ. 49.

⁴ ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, იაკობ შემოქმედელი, გვ. 5[7].

⁵ გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპირი გამოცემა ზურაბ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ი ს ა და ქველი ჩ ხ ა ტ ა რ ა ი - შ ე ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1993, გვ. 48 - 49, 126-127.

იაკობის შესახებ ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი ცნობები შემოქმედის მონასტერმა შემოგვინახა.

შემოქმედი გურიის ერთ-ერთი უღამაზესი სოფელია, ეკუთვნის ოზურგეთის რაიონს და მდებარეობს რაიონული ცენტრიდან აღმოსავლეთით, 7 კმ დაშორებით. მონასტერი გაშენებულია სოფლის ცენტრში, მომადლო ადგილას, მდინარე ბუუის მარცხენა ნაპირას და ერთმანეთთან შეერთებული ორი ეკლესიისაგან შედგება. ერთია უფრო ძველი, უგუმბათო, მ ა ც ხ ო ვ რ ი ს სახელობისა, შემოქმედელის საყოფელი, მეორე - გუმბათიანი, უფლის ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ი ს სახელობისა, XVI საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული⁶.

შემოქმედის საეპისკოპოსო, რომელიც XV საუკუნის მიწურულს უნდა იყოს დაარსებული, განაგებდა შუა გურიას, მდინარე სუფსიდან მდინარე ჩოლოქამდე. დასავლეთით ესაზღვრებოდა ჯუმათის და სამხრეთით - ხინოს ეპარქიები⁷.

შემოქმედში სხვადასხვა დროს იმოგზაურეს და იქაურ ისტორიულ სიძველეთა აღწერა-შესწავლასა და გამოქვეყნებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს დიუბუა დე მონპერემ, ნ. კონდაკოვმა, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა⁸, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება დ. ბაქრაძეს მიუძღვის. შემოქმედის ღირსშესანიშნაობისა და იაკობის შესახებ ბევრი რამ მეცნიერებს სწორედ მისი წიგნის⁹ წყალობით შემორჩა. ვინ იცის, 1873 წლის აგვისტო-სექტემბრამდე, ვიდრე მათ ეს სახელოვანი მეცნიერი აღრიცხავდა, ისტორიისათვის რამდენი ფასეული ნივთი დაიკარგა! ერთ შემთხვევაზე თავად გვიამბობს: „ზემოთ ვახსენეთ უამრავი დამახინ-

⁶ გოგიტიძეებისადმი მიცემულ სიგელზე მინაწერში ვახტანგ I გურიელი ამ ტაძრის აშენებას 1572 წლით ათარიღებს (იხ. ქვემოთ დასახელებული დ. ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა...“, გვ. 132 [119]).

⁷ გურიის სამთაეროს ეპარქიებისა და, კერძოდ, შემოქმედის საეპისკოპოსოს შესახებ იხ.: ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან, კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1990, გვ. 139-159.

⁸ სხვის მიერ მიწოდებული რამდენიმე მასალა გამოაქვეყნა მ. ბროსემ

⁹ Д. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878. ქართული გამოცემა: დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, [ბათუმი], თარგმნა არჩილ ტ ო - ტ ო ჩ ა ვ ა მ, 1987. ქვემოთ მეცნიერის ტექსტი უმეტესად ამ თარგმანის მიხედვით არის დამოწმებული, რომლის გვერდები კუთხოვანი ფრჩხილებით გეაქვს აღნიშნული.

ჯებული საეკლესიო ნივთები. ესენია: დამტკრეული ჯვრები, გაპობილი ხატები; მათგან აგლეჯილი ძვირფასი თვლები და წარწერიანი გარსამოსი; მრავალზე მრავალი ნატეხები ძველებური მოზაიკური ნამუშევრისა. ამ ნივთებით საესეა უზარმაზარი ხის ზანდუკი, რომელსაც მაცხოვრის ეკლესიის საკურთხეველზე თვალისჩინივით უფრთხილდება მონასტრის მონაღარე. ყველაფერი ესო, აბობენ, 1861 წელს გაიტაცეს, როცა შემოქმედი გამარცხეს. გამტაცებლებს დაეწივნენ და შეიპყრეს აჭარის უღელტეხილზე, როცა მათ წმინდა ხატები და ჯვრები გაეძარცვათ და შინ აპირებდნენ წასვლას. ამ დროს, ცხადია, ბევრი რამ საშუალოდ დაიკარგა“ (გვ. 142 [128-129]).

ჩვენდა სავალალოდ, დ. ბაქრაძის აღწერილობის შემდეგაც არაერთი ისტორიული მნიშვნელობის სიძველე გაფუჭდა და დაიკარგა. მ. ზემოქართლელი (მიხეილ ყიფანი) ფელეტონში „ჩვენი ცხოვრების ძეგლები“, რომელიც ავტორს 1875 წლის 20 ივლისს ოზურგეთში დაუწერია, გელათისა და შემოქმედის მონასტრებში არსებულ ისტორიულ სიძველეთა სავალალო მდგომარეობაზე წერს: „...მაგრამ რამდენი ნივთი შეიძლება იყოს გაფუჭებული, რომ ეს შესაძლინია, მე ჩემის თვლით დავერწმუნდი; იმდენი ნივთები, თვალ-მარგალიტი და სხვა ძვირფასი ქვებით შემოსილი ხატები, შესამოსლები, გასაოცარი ძველი ნაწერი წიგნები, როგორც გულვანი (გულანი - ბ. დ.) შემოქმედში, რომლის აწევა კაცს გაუჭირდება, თუმცა დაგლეჯილია, ლოთი „ატუნკატის“ (ადუკატის - ბ. დ.) კანონებივით, ისე მოუვლელად, უმეზავსოდ ჰყრიან, დაფლეთილ ჩვრებში გამოხვეულები, გლახა ყუთებში და დანგრეულ თაროსნაირ შკაფებში, რომ ჩემი თავი ქრისტიანების საყდარში კი არა, ციგნების ქოხში მეგონა, სადაც ბინძურად ეკიდებიან მოპარულ ძვირფას ნივთებს, რომლის ფასი არ იციან.

მოზაიკით მორთული ჯვრები ბოხჩის აწევაზე გამოფლეთილ ალაგბიბამ სციოდენ. «გულვანი» ძვირფასი, უზარმაზარი კრება ყოველი ღოცვისა, ქორნიკონების საანგარიშოთი, ისტორიული წაწერილობით ველო-მაგრამ, ეპ, მეყოფა ამდენი ნანგრევებზე ლაპარაკი⁴⁰.

14 წლის შემდეგ ნ. კონდაკოვი წერს: „Должно заметить, что со времени описания ризницы Шемокмедской Церкви 1873 году (издано в Археологическом путешествии по Гурии и Адчаре...), следующие предметы, в монастыре указанные, при описи 1889 года не оказались“ და ჩამოთვლის ცხრა ერთეულს¹¹.

¹⁰ გაზეთი „დროება“, 17 აგვისტო, 1875, №93, გვ. 2.

¹¹ Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная... Профессором... Н. К о н д а к о в ы м, грузинския надписи прочтены и истолкованы Димитрием Бахрадзе, СПб., 1890, გვ. 133.

აკაკი შანიძე და შალვა ამირანაშვილი, რომლებმაც სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის დავალებით 1924 წლის აპრილში აღრიცხეს და სათანადოდ დააბინავეს გურიის ისტორიული და კულტურული ფასეულობანი, კომიტეტისადმი დაწერილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავენ: „პირველ აპრილს 1924 წ. ვიყავით (ორნივე): ოზურგეთში, შემოქმედში, ლიხაურში, ჯუმათში, ბაილეთში, ვანის ქედში (მარტო ამირანაშვილი), ასკანაში, მეწიეთში, ხიდისთავში, ჩოხატაურსა და ერკეთში და ადგილობრივი ხელისუფლების თანხლებითა და დახმარებით გადავარჩინეთ და შევაგროვეთ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, რომლებიც გურიაში ჩასვლისას თითქმის ყველაფერი უკვე გატანილი იყო ეკლესია-მონასტრებიდან და იმყოფებოდა ოზურგეთში გლეხთა კომიტეტის განკარგულებაში (ქ. ოზურგეთში), ანდა ადგილობრივი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტის ბინაზე. გამოირკვა, რომ ბევრი უაღრესად ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი დაღუპულა ანტირელიგიური ბრძოლის პროცესში, ანდა გადაუდნიათ ოზურგეთში ჩატანის შემდეგ, მათი ნივთიერი ღირებულების გამოყენების მიზნით, განსაკუთრებული მწუხარებით უნდა აღნიშნულ იქნეს შემოქმედის ზოგიერთი განთქმული ხელოვნების ძეგლის დაღუპვა და აგრეთვე თითქმის სრული განადგურება ლიხაურის სიძველეებისა, რომელთაგანაც აღარაფერი დარჩენილა, გარდა ერთი ეტრატის ხელნაწერის ნაწილისა“¹².

შ. ამირანაშვილი კომიტეტს აუწყებდა: „ტფილისში დაბრუნებისას შევედექით ჩამოტანილი ნივთების აღწერას და შემოწმებას ყველა იმ ცოდნის მიხედვით, რაც მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში გურიის სიძველეთა შესახებ. დაღუპული ნივთების სიების შედგენა შედარებით უფრო ძნელი იყო და მეტ დროს მოითხოვდა, რადგანაც საჭირო იყო ყოველი დაღუპული ძეგლის შესახებ დამამტკიცებელი საბუთის აღნიშვნა. ამ მხრით დიდი დახმარება გაგვიწია ვერცხლით შეჭვლილი ხატების ფიცრებმა, ხელნაწერების ფურცლებმა და ყდებმა, რომელთა წყალობით ლიტერატურაში არსებული ცნობების შემოწმების შემდეგ შესაძლებელი გახდა თითქმის ყოველი დაღუპული ნივთის დადგენა“ (იქვე, გვ. 57).

იქვეა წარმოდგენილი შემოქმედიდან და გურიის სხვა სოფლებიდან თბილისში წამოდებული და ოზურგეთის მუზეუმში დატოვებული ნივთების სია და ნაწვენებია, რა ნაკლული

¹² რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ისტორიის ძეგლთა გადარჩენისათვის, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 39-40, თბ., 1981, გვ. 55.

სახე ჰქონიათ მათ მაშინ (გვ. 53-63). აი, ზოგიერთი მათგანი (ეუჩვენებთ თავისი ნუმერაციით):

„31. ძელი ცხოველის ხატი შემოქმედიდან... თვით ძელი ცხოველისაგან აღარაფერია შენახული...“

32. მაცხოვრის ხატი შემოქმედიდან, ვერცხლით შეჭედულია წინა მხარეს მხოლოდ წარწერიანი... მთავარი ნაწილი ხატისა, რომელიც შუაზე იყო მოთავსებული და წარმოადგენდა მაცხოვარს, აღარ არის, არის მხოლოდ მისი სახე, მთლად გადატყაული...“

34. ჯვარი პატიოსანი (შემოქმედის თემიდან)... მოჭედილობა (ვერცხლისა) შემორჩენილია ზემო მხარეზე, ცოტა ქვემოზედაც, სხვაგან აცლილია.

35. ვერცხლით მოჭედილი დიდი ხატი (შემოქმედიდან), რომელსაც შიგნით ჩასმული მთავარი ხატი (ღვთისმშობლისა) აღარ აქვს, ვერცხლის მოჭედილობა მხოლოდ წინა პირზე აქვს...“ (გვ. 62).

ა. შანიძეს პირადად ჩვენთვის უამბია, შემოქმედის მონასტერში როგორ იხილა სანაგვეზე მიყრილი საეკლესიო ნივთები და ამაზე უკმაყოფილების გამოხატვის გამო კინალამ ხიფათი შეემთხვა¹³.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ, ქვემოთ ვნახავთ, ამგვარი მასალებია ჩვენი წყარო, თანაც ზოგჯერ საკითხისათვის საჭიროა და ვერ ხერხდება ამ წყაროთა არქეოგრაფიული და კოდიკოლოგიური მონაცემების გათვალისწინება, რომელთაც, ვიმეორებთ, ჩვენამდე მხოლოდ დ. ბაქრაძის ჩანაწერებით მოაღწიეს.

შემოქმედის მონასტრის მასალების მიხედვით უპირველესად ვეცნობით იაკობის პიროვნებას, გვარს, ძმების სახელებს და ზოგიერთ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

*

იაკობი თავისი გვარით მოხსენიებულია შემოქმედის მონასტერში არსებული მაცხოვრის ხატზე გაკეთებულ წარწერაში:

„უცვალებლო ხატო ღვთაებისაო, იხსენ წარწყმელისაგან ყოვლად სამღვდლო შემოქმედელ-მიტროპოლიტი იაკობ ღუშაძე, რომელმან შემოგწირე მრავალფასი საოხად სულისა ჩემისა. ამინ და კ(ირილე)სონ!“¹⁴.

¹³ დიდი მეცნიერის ღიმილი (აკაკი შანიძის დაბადების 110 წლისთავის გამო), „ნაკადულის სალიტერატურო გაზეთი“, ივლისი, 1997, № 13, გვ. 6.

¹⁴ B r o s e t, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l' Armenie, livr, II, 1850, გვ. 184.

ხეზე ჩამოკიდებული ვერცხლის ფირფიტის ნაგლეჯზე წერებულა:

„... ყოვლის დაბადებულის ღ(მ)ერთო, წმინდათა შენთა მადლითა და მხოხებითა შეუნდვენ ყოველნი ცოდენი მისნი მიტროპოლიტს ღუმბაძეს იაკობს, დამსარებელთა მისთა“¹⁵.

ღვთისმშობლის ძველი ხატის ვერცხლის სამოსზე ნიკოლოზ შემოქმედელს დაუწერია:

„ქ. ეს პატოსანი მიძინების ხატი პ(ირველა)დ პაპას¹⁶, მამაჩენის გურიელის, ქიხოსროს საათაბაგ(ო)დან ჩამოეყენებინა და შეიდას მარჩილათ... და აქ დაეყენებინა. მერზე შემ(ო)ქმედელს ღუმბაძეს იაკობს წმინდათ ნაწილთ კოლფებისაგან წამხთარი გამოუცვლია. ახლა ჩვენ, ყოველთა ადამის ტომთა უცოდველეს-უღირსმან ეპისკოპოზმა, ხელმწიფე გურ(იელი)ს მამიას ძემან, შემოქმედელ-მიტროპო(ლიტ)მან ნიკოლოზ, ხელმეორედ სურ[...] და განეაკეთებინე სა(ოხ)ად ცოდვილისა სულ(ისა) ჩემისა და ხელმწიფე ამა მშობელთა ჩემ [...] საღვინებლად ღღესა მას ღიღესა განკითხვისა. ვინცა შენდობა მოგვიხსენოთ, თქვე(ნ)ცსა შეგინდოს ღმერთმან. ამინ!“ (იქვე, გვ. 139 [126]).

იაკობი გვარით იხსენიება აგრეთვე სხვა წყაროებშიც. რა თქმა უნდა, იხსენიება მარტო სახელითაც, უფრო სახელითა და ზედწოდებით. მაგალითად, შემოქმედში დაცულ მაცხოვრის ხატს, რომელიც აღწერისას დ. ბაქრაძეს გამორჩენია და ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა, ჰქონია წარწერა:

„ღ(მერთ)ო, ღაიცვე შამოქმედელი იაკობ“¹⁷.

ღიღი სჯულის-კანონის ნუსხაზე (A- 1116, გვ. 32) ხეუული მრგვლოვანით მინაწერი:

„ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ფ(რია)დ ც(ოდვილი)ი შემოქმედელი იაკობ. ა(მი)ნ!“¹⁸.

¹⁵ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 144 [131].

¹⁶ დ. ბაქრაძე შენიშნავს: „წარწერის გამოთქმა «აა... მამა ჩენის გურიელის ქიხოსროს» მთლად ნათელი არ არის, მაგრამ მე არცთუ უსაფუძვლოდ ვკითხულობ მას «პაპას მამა ჩენის გურიელის ქიხოსროს», ვინაიდან ეს უკანასკნელი (ქიხოსრო I - ბ. დ.) მართლაც იყო შემოქმედელი ნიკოლოზის პაპა, ანუ მამამისის მამა“ (გვ. 141 [127]).

¹⁷ არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 39.

¹⁸ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქრისტინე შ ა რ ა შ ი ძ ე მ, თბ., 1954, გვ. 120.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით ვეცნობით იაკობის ძმებს - გაბრიელსა და იესუს, რომლებსაც შემოქმედის მონასტერში კანდელად, ანუ მნათედ, კანდელთ (სანათის, ზეთის ლამპრის) მნედ, უმუშავიათ.

სპონიეთიდან (ამჟამინდელი ვაშნარიდან¹⁹) შემოქმედში გადმოსვენებული ღვთისმშობლის ხატის სპილენძის გარე სა- მოსზე იკითხება:

„სპონიეთის ღვთის მშობელო, შეიწყალე შემოქმედის კანდელაკი გაბრიელ და მეუღლე მისი კვერდელიძის ქალი ზვარამზე, რომელმან აღვაშენე საფარი ესე და დავასვენე ზატი ესე საოხად სულის ჩემისა, ამინ!“ (არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 125 [114]).

დ. ბაქრაძე ამ გაბრიელს, რომლის მეუღლე ყოფილა ხვარამზე კვერდელიძე, იაკობის ნათესავს უწოდებს. „უეჭველია, - წერს იგი, - ამ წარწერის გაბრიელი იგივე გაბრიელია, მიტროპოლიტ იაკობის ნათესავი, რომელზეც მოგვითხრობს ზემოთ მოყვანილი წარწერა“. ზემოთ კი მოყვანილი აქვს შემოქმედის მახლობელი პატარა სოფლიდან, გოგიეთიდან, გადმოსვენებული წმინდა დიმიტრის ხატის წარწერა:

„ქ მ(ო)წ(ა)მ(ე)თა ს(ი)ქ(ა)დ(უ)ლო, ღ(მერთ)ო ყ(ოველ)ის შ(ე)მ(ო)ქმ(ე)დო... იხს(ენ) წაწყმედისგ(ან) ც(ოდე)ლი შ(ე)მ(ო)ქმ(ედ)ელ მ(ი)ტრ(ო)პ(ო)ლ(ი)ტ(ი) იაკ(ო)ბ, მამა- მშ(ო)ბელნი მისნი აკურთხენ და შ(ე)უნდ(ე)ნ ყ(ოველ)ნი ც(ო)დ(ე)ანი მათნი კანდ(ე)ლ(ა)კსა იესუს და თეოდოსიას, ამინ. გ(ა)ბრ(ი)ელ, იაკ(ო)ბ, მ(ა)რი(ა)მ და [...] თამ(ა)რ და ღაიცი(ა)კ ორსავე ცხ(ო)რებ(ა)სა“ (გვ. 125[113]).

დ. ბაქრაძის მოსაზრებას იმეორებს ე. გოგუაძე: „სავარაუდებელია, - აღნიშნავს ის, - რომ წმინდა დიმიტრის ხატის წარ-

¹⁹ ვეყრდნობით დ. ბაქრაძის განმარტებას: „სპონიეთის სახელით ცნობილია ადგილი, რომელსაც ახლა ვაშნარი ჰქვია, სახელგანთქმული ანტიკური ნაშთებით, რომლებიც მეცნიერმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ აღწერა“ (გვ. 125 [114]). „სპონიეთი, ჩვენი აზრით, - წერს ენერ გოგუაძე - ქართველთა უძველესი საცხოვარის ჭოროხის ზეობაში მდებარე სპერის (საერეთი, სპერიეთი, სპონიეთი) სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს“ (ქურნალი „გუბაზოული“, 1999, №2, გვ. 4). როგორც ჩანს, ეს ტოპონიმი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. „სპოტიეთი“ ადგილი ყოფილა მერიაში, „სპოტიელი“ - ნარუჯაში (აღლ. ღ ღ ო ნ ტ ი, სუფუ-სა-ნატანების ხეობები, ტოპონიკური ძიებანი, VIII, თბ., 1993, გვ. 163)

წერის ბოლოს მოხსენიებული გაბრიელი, მარიამი და თამარი იაკობ ღუმბაძის ახლო სასლულენი იყვნენ. აქ სხვა მხრივ ნათესაობით ხაზის უფრო სიზუსტით წარმოთქმის საფუძველს საბუთის შინაარსი არ გვაძლევს“²⁰

მართლაც, არ ჩანს, დასახელებულ წარწერებში წარმოდგენილი პირები, მათ შორის გაბრიელ და იესე, იაკობთან რა კავშირში არიან. სხვა მასალები კი გარკვევით გვიჩვენებს, რომ ეს კანდელაკები იაკობის ძმები არიან. ასეთად გაბრიელ კანდელაკს წარმოგვიდგენს ქაიხოსრო გურიელის მიერ იერუსალიმის ჯვრის ეკლესიის მამის ნიკიფორე ჩოლოყაშვილისადმი მიცემული სიგელი:

„არის ამის მოწამე... შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი იაკობ და მისი ძმა, კანდელაკი გაბრიელ“²¹

იესე კანდელაკს იაკობის ძმად ასახელებს შემოქმედის მაცხოვრის ხატის წარწერა:

„ღვთაებისა უცვალო ხატო, იხსენ წახდენისაგან და წარწყმედისაგან შემოქმედელ მიტროპოლიტი იაკობ ღუმბაძე და ძმა მისი კანდელაკი ი ე ს ე მუუღლითურთ. ამინ!“ (არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 121[110]).

ეს იესე მოჩანს აგრეთვე ფერიცვალების ხატის წარწერაში:

„წ(მინდა) სამებაო, სრულო ძლი(ე)რო, ღ(მერთ)ო და ხატო ფერიცვალებისაო, შეიწყალე ც(ოდეილი) ი კ ა (ნ) ღ (ე) ლ ა კ ი ი ე ს ე და დაიც(ე)ვ ორთ(ა)ვე შ(ინ)ა ცხ(ო)რ(ებ)ათა კთილად ძით და ასულით და მუუღლ(ი)თ(უ)რთ, რ(ომელმა) გ(ა)ნ(ა)ხლა ხატი ესე და მოაჭედინა მჟორედ. მამა, მშობელთა მისთა შეუნდნეს ღ(მერთმა)ნ. ა(მი)ნ და კ(ირილე)ს(ო)ნ!“ (იქვე, გვ. 136[123]).

როგორც ვხედავთ, იაკობის ძმებიც, გ ა ბ რ ი ე ლ ი და ი ე ს ე, სასულიერო მოღვაწეები არიან.

²⁰ „გუბაზოული“, 1999, №2, გვ. 4.

²¹ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), I, შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1958, გვ. 140. ტექსტი სრულად ქვემოთ გვაქვს მოყვანილი.

დ. ბაქრაძეს მოჰყავს მაცხოვრის ეკლესიის აღმოსაველეთ ფასადზე არსებული წარწერა - „მე, ფ(რია)დ და ც(ოდვ)ილი ი ა კ (ო) ბ“ და ამის მიხედვით ვარაუდობს, რომ იაკობს შემოქმედის მონასტრისათვის რესტავრაცია გაუკეთებია. „ამგვარად, - აჯამებს მკვლევარი, - ყველა ზემოთ მოყვანილი წარწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გვიანდელი მინაშენი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მოხატულია თვით მისი მშენებლის მაქსიმეს დროს, ხოლო ეკლესიის დანარჩენი ნაწილი რესტავრირებულია იაკობის მიერ“ (გვ. 116-117[105-107]).

ვინაიდან იაკობი გვარად დუმბაძეა, მის ძმებსაც მის გვერდით უმოდვანათ, ხოლო შემოქმედში ამ გვარის მატარებლები XVIII-XIX საუკუნეებშიც ჩანს²² და ახლაც საკმაოდ არიან, ვფიქრობთ, უფრო მოსალოდნელია, მწერალი ადგილობრივი მაცხოვრებელი იყოს, ამ სოფელში დაბადებულიყოს და ბავშვობაც აქვე გაეტარებინოს.

*

როდის დაიბადა იაკობ შემოქმედელი?

ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება და ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. სულ ბოლოდროინდელ ნაშრომში, რომელიც მწერლის ბიოგრაფიას ეხება და ა. ხინთიბიძეს ეკუთვნის, იაკობის დაბადების სავარაუდო თარიღად 1647 წელია დასახელებული. „ამ ტუნწი ცნობების მიხედვით, - ვკითხულობთ მასში, - რომლებიც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს, იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე) დაბადებულია გურიაში, შესაძლოა, შემოქმედში - დუმბაძეების საგვარეულო სოფელში. დაბადების სავარაუდო თარიღი 1647 წელია“ (დასახელებული წიგნაკები, გვ. 5[6]).

1998 წელს ამ წიგნაკის მეორე გამოცემაში ეს აზრი უფრო ბეჯითად არის გამოთქმული. დამატებით მითითებულია: „წიგნი ეძღვნება იაკობ შემოქმედელის დაბადების 350-ე წლისთავს“ (გვ. 2) და ყდაზეც ეს ციფრია აღნიშნული.

ა. ხინთიბიძის ამ თარიღზე დაყრდნობით საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა

²² დ. ბაქრაძეს მოჰყავს 1775 წლის 13 ნოემბერს დაწერილი გიორგი V გურიელის სიგელი, რომლითაც ის ბახუჯა ნაკაშიძეს შემოქმედის მოურაობას საშვილიშვილოდ აძლევს და სადაც მოწმედ დასახელებულია მამუკა დუმბაძე (გვ. 308 [257]). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. სახოკია თავის „მოგზაურობაში“ საგანგებოდ მიუთითებს, რომ „აქვე (შემოქმედში - ბ. დ.) სახლობენ დუმბაძენი“.

გიზო ჭელიძემ საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე დააყენა საკითხი, ფართოდ აღნიშნულიყო იაკობ შემოქმედელის დაბადების ეს თარიღი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წიგწივაძემ ყურად იღო ეს წინადადება და თავის მხრივ ამგვარივე თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. მიმართვაში ვკითხულობთ: „წელს (1998) აღნიშნავენ ი. შემოქმედელის დაბადების 350 წლისთავს. აუცილებლად ვთვლით, ამ დიდი მამულიშვილისა და პოეტის იუბილე აღინიშნოს საგანგებო სამთავრობო დადგენილებით, შესაბამისი საიუბილეო კომისიის (საორიენტაციო) შექმნით“²³.

ა. ხინთიბიძის დასახელებულ წიგნაკზე მსჯელობისას ოზურგეთის რაიონულ გაზეთ „აღიონის“ მეშვეობით მამია კილაძე საზოგადოებას აუწყებდა: „ნარკვევში განხილულია XVII საუკუნის მივიწყებული მწერლისა და სასულიერო მოღვაწის იაკობ ღუბაძე შემოქმედელის ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა. წიგნი ეძღვნება იაკობ შემოქმედელის დაბადების 350-ე წლისთავს, რომლის აღნიშვნა გათვალისწინებულია მიმდინარე წელს ფართო მასშტაბით. მას მიეძღვნება საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის მხარის განყოფილების ჟურნალის «გუბაზოლის» სპეციალური ნომერი. გაიმართება საიუბილეო ღონისძიებანი“ (4 თებერვალი, 1999 წ. №5, გვ. 3).

მართლაც, გამოვიდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი ჟურნალი „გუბაზოლი“ (აგვისტო, 1999 წ., №2, მთავარი რედაქტორი გიზო ჭელიძე), რომლის პირველ გვერდზე აღნიშნულია: „იაკობ შემოქმედელი-ღუბაძე - 350!“ იქვე წერია: „ჩვენი ჟურნალი საგანგებოდ ეხმაურება დიდებული შემოქმედის საიუბილეო თარიღს“.

ა. ხინთიბიძე არ მიუთითებს, რის საფუძველზე იძლევა ამ დათარიღებას. ირკვევა, ის სარგებლობს კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულით. პირველ ტომში (თბ. 1980) სხვა საკითხებზე მსჯელობისას იაკობის ცხოვრების თარიღად დასახელებულია 1647-1713 წლები. ავტორი არა მარტო ამ დათარიღებას, არამედ, საერთოდ, იაკობ შემოქმედელს რომ გაკერით ეხება, თავად აღნიშნავს. „სხვათა შორის, - წერს იგი, - ეს თხზულება (ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომი - ბ. დ.) გაულექსავს მეფე გიორგი XI ბრძანებით შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ ღუბაძეს (1647-1713 წწ.) შემდეგი სათაურით...“ (გვ. 338). წინ კი გარდაცვალების თარიღად 1712 წელი წერია

²³ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-16 ოქტომბერი, 1998, №41, გვ. 2.

და აქაც ეს დათარიღება სხვათა შორის არის გამოთქმული. დავით ტბელსა და სტეფანე სანანოისძეზე მსჯელობისას აღნიშნულია: „როგორც ვხედავთ, არც ბაგრატი და არც იაკობ შემოქმედელი (გარდაიცვ. 1712), რომელმაც ლექსად გამოთქვა ბაგრატის შრომა, არ გვაძლევენ გარკვეულ ცნობას დავით და სტეფანეს ქრონოლოგიის შესახებ“ (გვ. 179).

კ. კეკელიძის ამავე წიგნის მეორე ტომში იაკობ შემოქმედელის ცხოვრების თარიღებად დასახელებულია 1647-1712 წლები და ისიც მესამე გამოცემის (თბ. 1952 წ.) პირთა საძიებელში (გვ. 598). შემდგომ გამოცემებში (1958 და 1981 წწ.) იგი ამოღებულია. ტექსტში კი გარდაცვალების თარიღად 1713 წელი წერია. „იაკობი - ვკითხულობთ აქ, - არის მჭვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების (გარდაიცვალა 1713 წ.) მოღვაწე...“ (გვ. 526).

კ. კეკელიძისათვის იაკობ შემოქმედელის ცხოვრება და მოღვაწეობა საგანგებო კვლევის საგანი არასოდეს ყოფილა. მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ 1713 წელს შემოქმედელად ჩანს ნიკოლოზი (მამია III-ის ძე), რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა. 1647-1713 მეფე-პოეტის არჩილის ცხოვრების წლებია. როდესაც ბატონი კორნელი იაკობის ცხოვრებასაც ამ წლებით განსაზღვრავს, ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, ამით დიდი მეცნიერი ნებსით თუ უნებლიეთ იმ ჭეშმარიტებას აღნიშნავდა, რომ იაკობ შემოქმედელი არჩილის თანამედროვეა.

ამგვარ ვარაუდს ისიც გვიმტკიცებს, რომ კ. კეკელიძემ არ გაიმეორა ზ. ჭიჭინაძის თარიღი, რომელიც ასეა განსაზღვრული: „იაკობ შემოქმედელი სცხოვრებდა 1646-1694 წლებში“²⁴.

იაკობის დაბადების დროის მიახლოებით განსაზღვრაში გვეხმარება მისი მიტროპოლიტად კურთხევის თარიღის დადგენა.

პ. იოსელიანის ცნობით, იაკობი შემოქმედელად ეკურთხა 1682 წელს. მისი სიტყვებია: „ესე იყო გუარით ღუმბამე, განჰსწავლული პირველ ტრაპეზუნტსა და შემდგომად მღუდელ-მთავრად შემოქმედისა ეპარხიაზედ 1682 წელსა, დადგინებული კურთხევითა იმერთა კათალიკოზის დავითისა“²⁵.

²⁴ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 33.

²⁵ წყობილსიტყუაობა, ქმნილი ა ნ ტ ო ნ ი ს ა გ ა ნ პირუელისა კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართველოისა, ტფ., 1853, გვ. 224.

პ. იოსელიანის ნაშრომზე მითითებით, ამავე თარიღს ასახელებს დ. ბაქრაძე: „Яков Думбадзе... — წერს იგი, - посвящение в Шемокмедели 1682 г. и смерть в Иерусалим (поданным Иоселиани)“ (გვ. 368). თუმცა წინ შენიშნავს: „ჩვენ არ ვიცით, საიდან ისესხა ბ-მა იოსელიანმა თავისი ცნობები იაკობ ღუმბაძის შესახებ, რომლებიც მას მოჰყავს მის მიერ გამოცემული «წყობილ-სიტყვაობის» შენიშვნაში, სადაც გვარწმუნებს, რომ იაკობ ღუმბაძე აღიზარდა ტრაპიზონში და შემოქმედელად აკურთხა იმერეთის კათალიკოსმა (ნემსაძემ) 1682 წელს“ (გვ. 156[140]).

პ. იოსელიანის აზრს იმეორებენ სხვებიც. ზ. ჭიჭინაძე: „მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ევდემონ კათალიკოზი და კათალიკოზათ იქმნა დავითი. იმავე დავით კათალიკოზმა აკურთხა იაკობ ღუმბაძე ეპისკოპოსათ და აღიყვანა შემოქმედის ეპარხიაზე, მცირე ხნის შემდეგ იაკობ[ს] შემოქმედის მიტროპოლიტობაც მისცეს, ზოგთ პაზრით მიტროპოლიტობა 1682 წ. უნდა მიეღო“²⁶.

პ. კარბელაშვილი: „დავით 1666-1676 წ. 1682-1707 წ. ნემსაძე, რაღაც შემთხვევისათვის მალე დაამხეს კათალიკოზობიდან. შემდეგ ისევ აღიყვანეს. ამან აკურთხა მიტროპოლიტად შემოქმედელი იაკობ ღუმბაძე 1682 წ.“²⁷.

კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში წერს: იაკობი „1682 წელს დადგენილი იქნა შემოქმედელად“. წყაროდ მითითებულია დ. ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა...“ (გვ. 526, სქოლიო).

კ. კეკელიძის ამ წიგნზე დაყრდნობით ამასვე იმეორებს ა. ხინთიბიძე: იაკობი „1682 წელს ეკურთხა შემოქმედის მიტროპოლიტად“, „დადგენილ იქნა შემოქმედელად“ (გვ. 6 [7]).

ამავე თარიღს ეხედავთ ჟურნალ „გუბაზოულში“ დაბეჭდილ ე. გოგუაძის წერილშიც, რომელიც ასე იწყება: „სამი ასეული წლის წინათ, საქართველოს შეჭირვებისა და ძნელბედობის უამს, მშფოთვარე 1682 წელს «ქრისტიანთა მიერ მაჰმადიანთა მიმართ სიტყვისგების» იდეოლოგიურად გამძაფრებული ჭიდილის ხანაში, იმერთა კათალიკოზის დავითის ნებით «დიდშენი და გუმბათიანი» შემოქმედის ტახტზე აღვიდა თვისივე სამწყსოს «მღვიძარე მოძღვარი», «მაღალი

²⁶ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 33-34.

²⁷ იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევქტოს კ ა რ ბ ე ლ ა შ ე ი ლ ი ს მიერ, ტფ., 1900, გვ. 209.

გონება» კაცი, «მეცნიერი და მესტიზე პირველი», ქართული ლექსის უპირველესი რეფორმატორი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ დუმბაძე-შემოქმედელი“.

იაკობ დუმბაძის შემოქმედებად ხელდასხმის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მეორე თვალსაზრისი, რომელიც თ. ჟორდანიასაგან მოდის. მან 1892 და 1897 წელს გამოაქვეყნა გელათის წმინდა გიორგის მონასტრის კუთვნილი გულანის ჩანაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ იაკობი შემოქმედებად დაუდგენიათ 1647 წელს, ზუსტად იმ დროს, რომელსაც პირველი დათარიღების ავტორები მწერლის დაბადების თარიღად ასახელებენ. თ. ჟორდანიას ეკამათება პ. იოსელიანსა და დ. ბაქრაძეს და წერს: „ჩვენის ქრონიკით კი იაკობ შემოქმედებად დაჯდა 1647 წელს“ და მოჰყავს სათანადო ტექსტი: „ქ-კს: ტლე: აქა ქრისტიანე და ღვთისმოყვარე შემოქმედებად ეკურთხა ბატონი იაკობ. ღ-ნ ღირს ყოს მარჯვენით ნაწილსა წმიდათასა. ა-ნ“²⁸.

მართლაც, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ № 38 ხელნაწერში, გადამწერის ხელით შესრულებულ ქორონიკონების ცხრილში, სადაც მთავრდება ქორონიკონი ტლე (335), წერილი ნუსხურით შემდგომ ჩაწერილია:

„აქა ქ(რისტ)იანი და ღ(ვ)თის მ(ო)ყ(უ)არე შემ(ო)ქმედ(ე)ლ(ა)დ ეკ(ურთ)ხა ბ(ა)ტ(ო)ნი ი(ა)კ(ო)ბ, ღ(მერთმ)ან ღირს ყოს მ(ა)რჯვე(ნ)ით ნ(ა)წ(ი)ლსა წ(მიდა)თასა. ა(მი)ნ!“ (გვ. 487. აქვე ვებეჭდავთ მის სურათს: №1, ფერადი – პირველ და ბოლო გარეყდაზე).


ქორონიკონი ტლე იძლევა (1312+335) სწორედ 1647 წელს. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ჩანაწერი აღნიშნულ ქორონიკონს ეკუთვნის. ამ წესით იქ სხვა ჩანაწერებიც არსებობს.

თ. ჟორდანიას დათარიღება ბევრმა გაიზიარა. ა. ხახანაშვილი წერდა: „Митрополит Яков Шемокмедели-Думбадзе вступил на кафедру в 1647 г. при католикосе обхазском Максиме“²⁹.

²⁸ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1892, გვ. 304, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897, გვ. 460.

²⁹ А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словестности, III, М., 1901, გვ. 323.

მ. ჯანაშვილი: „არა ჩანს, რომელსა წელს სახელდობრ დაიბადა იაკობი. ეს კი ვიცით, რომ მას შემოქმედლობა მიუღია 1647 წელს, მაშინ, როდესაც აფხაზეთს კათალიკოზად იჯდა მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) და გურიაში გურიელობდა ქაიხოსრო, ხვარამზე გოშაძის ქმარი“³⁰.



სურათი 1. გელათური გულანი, №38, გვ. 487.

³⁰ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, იაკობ შემოქმედელი დუმბაძე, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, №572, გვ. 2.

ქ. ჩხატარაიშვილი: „იაკობ დუმბაძე, მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი (1647-1658). შემდეგ ქართლში გადავიდა“³¹ და სხვა.

თუ რატომ უარყოფს ქ. კეკელიძე თ. ჟორდანიასეულ დათარიღებას, არ ვიცით. ა. ხინთიბიძის მოტივი კი ასეთია: „საცილობელია თედო ჟორდანიას ცნობა, თითქოს, იაკობს მიტროპოლიტობა მიეღოს 1647 წელს (ქრონიკები, I, 304, II, 460). თუ ამ თარიღს ვერწმუნებით, სადავო ზდება იაკობის ბიოგრაფიის სხვა თარიღები, რადგან მამინ იგი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს 1612 წლისა (35 წლის ასაკამდე მიტროპოლიტად არ აკურთხებდნენ), ხოლო 84 წლის მოზუცს გაუჭირდებოდა მოსკოვს გამგზავრება, მით უფრო - ამის შემდეგ ათონსა და იერუსალიმში წასვლა“ (გვ. 7[9]).

ა. ხინთიბიძეს იერუსალიმში იაკობის გამგზავრების თარიღი, 1696 წელი, ფ. სიხარულიძის წერილიდან აქვს აღებული (ამ წერილზე ქვემოთ ვიმსჯელებთ).

თ. ჟორდანიასეული საბუთი რომ სწორ ცნობას იძლევა, ამას უეჭველს ხდის ქაიხოსრო გურიელის მიერ იერუსალიმის ჯვარის მამის ნიკიფორესადმი მიცემული სიგელი. ზემოთ ამ სიგელის მცირე ნაწილი დავიმოწმეთ. ახლა სრულად მოვიყვანოთ. შესავალში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ამ სიგელის გამცემია გურიის მფლობელი, ხელმწიფე ქაიხოსრო გურიელი, ხოლო მიმღები - იერუსალიმის ჯვარის ეკლესიის მამა ნიკიფორე:

„ქ. სახელთა ღთისათა, ესე წყალობის წიგნი, სამკვიდრო და საბოლ(ო)ოდ გასათავებელი, მტკიცე უცვალებელი წიგნი, დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ, ზელმწიფემან გურიელმან ბატონმან ქაიხოსრომ, თქუენ, ჯუარის მამას ბატონს ნიკიფორეს ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ბაილეთი და ჩაიხედენა ძუელათგან ქრისტეს საფლავისა ცხოველს-მყოფელის ჯუარის შეწირული ყოფილიყო. ძუელი სიგელიც მოგუიტანეთ და წიგნითა ამით გაგიახლეთ და დაგიმტკიცეთ, რომ არა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა, და არა თქუენთაგან უნებური კაცი არ შევიდოდეს, რომელიც თქუენ ბერი და(ა)ყენოთ, იმან იმსახუროს ჩუენს წინაშეცა და წმიდის მონასტრისათვისცა, როგორც ძველს იადგარში გიწერიათ, და არა თქუენგან უნებური კაცი არ დადგინდებოდეს.

და არის ამისი მოწამე თავად ღ(მერთ)ი - დაუსაბამო, ყოვლისა მპყრობელი; და კაცთაგან: სახლთ-უხუცესი მაჭუტაძე ალექსანდრე, შემოქმედელი მთავარეფისკოპოზი იაკობ და მისი ძმა კანდელაკი

³¹ ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 150.

გაბრიელ. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღ(მერთმა)ნ, და მომშლელნი და მქცეველნი ამისნი სწყევლნეს უფალმან და ყოველთა უარი[ს]მყოფელთა თანა და ყოველთა ქრისტეს მგობობთა თანაცა აღირაცხუის სული მისი მას მეორეთ მოსულასსა ქრისტესა აწ და უკუნისამდე. ამინ! ამინ! ქაიხოსრო გურიელი“.

ეს დოკუმენტი, რომელიც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1958 წელს შ. ბურჯანაძემ გამოაქვეყნა, შემდეგ წყაროს მიუთითებლად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ფ. სიხარულიძემ დაბეჭდა (26-27 ივლისი, 1998, № 188-189, გვ. 22), დედნის პირია (Hd-10274), მაგრამ მისი ავთენტიკურობა რაიმე ეჭვს არ იწვევს.

შ. ბურჯანაძეს იქვე მოჰყავს ამ სიგელის ე. თაყაიშვილისეული მოკლე დახასიათება და განმარტება, თუ იქ რომელი ქაიხოსრო იგულისხმება. ე. თაყაიშვილის სიტყვებია: „აქ მოხსენებული ქაიხოსრო უნდა იყოს ქაიხოსრო I († 1658), მეორე ქაიხოსრო † 1689“. გელათური გულანის ჩანაწერისა და აქ ნახსენები ქაიხოსროს მიხედვით შ. ბურჯანაძე ამ სიგელს 1647-1658 წლებით ათარიღებს. „იაკობი, - წერს იგი, - შემოქმედელად აკურთხეს 1647 წ. (ქრონიკები, II, 460), ხოლო ქაიხოსრო გადაადგეს 1658 წ. ამიტომ საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1647-1658 წწ.“.

ეს საბუთი ამავე წლებით არის აგრეთვე დათარიღებული „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ პირველ ტომში³².

ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება. მასში ნახსენები ჯვრის მამა ნიკიფორე ცნობილი სასულიერო პირი ნიკიფორე (ნიკოლოზ) ომანის ძე ჩოლოყაშვილია. სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად არის გარკვეული, რომ ნიკიფორე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარია 1643-1649 წლებში, საქართველოში წამოსულა 1649 წელს და სიცოცხლის ბოლომდე (1658 წ.) სამშობლოში დარჩენილა³³. ნიკიფორეს იერუსალიმიდან წამოსვლის თარიღი მტკიცე საბუთს ეფუძნება. ჯვრის

³² XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს: დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ მ ა, მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ, ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა, გ. ჯ ა ნ დ ი ე რ მ ა, თბ. 1991, გვ. 582.

³³ კ. კ. კ. ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 298-306. იხ. აგრეთვე: გულჩინა ა კ ო - ფ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - ნიკიფორე ირბახი (XVII ს.), სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი, თბ., 1977., გვ. 61-76.

მონასტერში დაცულ იენისის თვის სვინაქსარზე მინაწერში გრიგოლ დიაკვანი გვაუწყებს: „ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი, ბრძანებითა და ჯერჩინებითა უფლისა და მეუფისა ჩემისაი[თა], ჯვარისა და წმ(ილისა) გოლგოთისა მამისა და წმ(ილისა) ქალაქისა იერუსალიმისა არხიმანდრიტისაჲ, ნიკიფორე ომანის ძისაჲ ჩოლოყას შვილისაჲ კახისათა, - შეგვახმე წმ(ინდა) ესე «თთვე»... მე არა ღირსმან სახელისა გრიგოლ დიაკონმან მისმან გაეაკეთე წმ(იდა) ესე «თთვე»; დაშლილი იყო ჟამთა ვითარებისაგან და უხმარ იყო... მას ჟამს მეუფე, ჩემი ბატონი ჯვარის მამად ნიკიფორე იერუსალიმით საქართველოში წაჲვდა... ამან, მამამან ჩუენმან, საქართველოს რომ წაბრძანდა, მის წილ წარმოგ ზავნა წინამძღურად ბატონი ღუდელ-მონაზონი მარკოზ, სწავლული და წმიდა და ღირსი ყოვლისა პატივისა... ოდეს ესე დაიწერა, ქ(ორონი)კ(ო)ნი იყო ტკიზ, ზენადები კგ, ბერძულად ჩქმთ“³⁴.

აქედან გამომდინარე, გადაჭრით შეიძლება ითქვას: ქაიხოსროს სიგელი შედგენილია 1650 წლამდე, 1647-1649 წლებში, ვიდრე ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ჯერის ეკლესიის წინამძღურად ბრძანდებოდა³⁵, რაც იმის დამადასტურებელია, რომ იაკობი 1649 წელს შემოქმედელად უკვე ზის და გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის გულანის ცნობა საეჭვო არ არის.

შესაძლებელია, ამავე საკითხს ეხმიანებოდეს ქართლისა (1633-1658) და ქართლ-კახეთის (1648-1656 წწ.) მეფის როსტომის მიერ გაბრიელ ელიოზის ძისადმი მიცემული სიგელები, სადაც შემოქმედელი სახელის გარეშეა მოხსენიებული. ამ სიგელებს ყურადღება მიაქცია თ. ჟორდანიამ, გამოაქვეყნა თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში, ვარაუდით 1648 წლით დაათარიღა და დასვა საკითხი - ეს შემოქმედელი ხომ არ არის იაკობ დუმბაძე?

აი, ამ სიგელთა ტექსტები: „ესე წიგნი გიბოძეთ... თქუენ, ელიოზის ძეს ბატონს გაბრიელს..., ასრე რომე თქ(უე)ნ ამას წინათ სულხანის ცოლ-ყოფილის ქეთევანისაგან გრაკალს ამათი კერძი მამული

³⁴ კ. კეკელიძე ამ დოკუმენტს იმოწმებს ა. ცაგარლის გამოცემის მიხედვით (გვ. 304-305): Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае Александра Цагарели (Православный палестинский Сборник, т. IV, вып. I, СПб., 1888, გვ. 184).

³⁵ ო. სოსელიას ნაშრომის მიხედვით, ქაიხოსრო I გურიის მთავარი იყო 1626-1660 წლებში (ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 136-137). ქ. ჩხატარაიშვილის ცნობით, - 1640-1659 წლებში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 10, თბ. 1986, გვ. 444).

გეყიდა, და თურმან ამაზე ისარჩლა, რომე დედაკაცს მამულის გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არისო, ამის გულისათუს თავისი კერძი მამული მივეციო და მას უკან ბატონი შემოქმედელი შუა შემოიყვანეთ და ჩ(უ)ენ ამას კარგა დავისინჯავთ... და ლ(მერ)ოს ქვეშე შევაგდებთ, თუ სამართალმან თქ(უ)ენ დაგანარჩუნა, ისრევ თქ(უ)ენ გიბოძებთ..." (გვ. 464-465).

მეორე სიგელი: მეფე როსტომმა „ესე სიგელი გიბოძებთ... თქუენ, ელიოზის ძეს ბატონს გაბრიელს... ასრე რომე, თქუენ ამას წინათ სულთნის (სულხანის? - ბ. დ.) ცოლყოფილს ქეთევანისაგან გრაკალს ამათი კერძი მამული გეყიდა, და თურმან ამაზე ისარჩლა, რომე დედაკაცს მამულის გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არისო. ამის გულისათუს თავისი კერძო მამული მივეციო; და თუ მას უკან ბატონი შემოქმედელი შუა შემოიყვანეთ და ჩუენ ამას კარგა გავსინჯავთ... და ლ(ვ)თის ქვეშე შევაგდებთ, თუ სამართალმან თქ(უ)ენ დაგანარჩუნა, ისრევ თქუენ გიბოძებთ..." (გვ. 465).

„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ პირველ ტომში აღნიშნულია, რომ ეს გაბრიელ ელიოზის ძე გვარად გედევანიშვილია. მითითებულია სხვა საბუთებიც, სადაც გაბრიელი იხსენიება, ხოლო ზემორე დამოწმებული შინაარსის პირველი საბუთი აქაც „1648 წლის ახლო“ დროით არის დათარიღებული (გვ. 616).

თუ ეს დათარიღება სწორია და დასახელებული შემოქმედელი, მართლაც, იაკობ დუმბაძეა, ირკვევა საყურადღებო გარემოება: იაკობს შემოქმედელობის დროს ქართლის სამეფო კართან კავშირი არჩილისა და გიორგი XI-ის გამეფებამდე, როსტომის დროსაც, ჰქონია.

მაშასადამე, იაკობ დუმბაძე შემოქმედის მიტროპოლიტად დადგინდა არა 1682, არამედ 1647 წელს.

საეკლესიო კანონმდებლობა ეპისკოპოსად კურთხევისათვის 35 წლის ასაკს, მართლაც, მოითხოვდა. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „ამას თანა სულმოკლგამცა ხელთდასხმათად ვითარცა უწესომ და უკანონომ დაქმსენით და განაწესეთ, რადთა ამიერთგან არღარავინ ქნად თეინიერ, ვითარ იგი განაწესებს კანონი, რადთა ეპისკოპოსი ოცდაათხუთშეტისა წლისად, მღვდელი ოცდაათისა წლისად, დიაკონი ოცდახუთისა წლისად და წიგნის მკითხველი რვისა წლისად ხელთდასხმულ იქნებოდინ“³⁶.

³⁶ დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გ ა ბ ი ძ ა - შ ე ი ლ მ ა, ე. გ ი უ ნ ა შ ე ი ლ მ ა, მ. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ, გ. ნ ი ნ უ ა მ, თბ., 1975, გვ. 550.

ენრიკო გაბიძაშვილი აღნიშნავს: „ამ კანონში განსაზღვრული ასაკი საეკლესიო იერარქიის ყოველი საფეხურისათვის ქრისტიანული ეკლესიის უბეღესი კანონმდებლობის ნიშნითა და საუკუნეების მანძილზე ის სავალდებულო ნორმა იყო მთელი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისათვის და მათ შორის საქართველოსათვისაც“³⁷.

ე. გაბიძაშვილი იქვე მიუთითებს, რომ ამ კანონს „ყველაზე ზუსტად... შეესატყვისება „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატური ნაწილის ის ადგილი, რომელიც არსენ იყალთოელის ნათარგმნ ნაწილშია მოთავსებული: „ხოლო იგივე განწესება იტყვს, ვითარმედ არა ჯერ-არს, რამთა იყოს უკნინეს ოცდაათისა წლისა, რომელსა-იგი ჴელნი დაესხმიდინ ხუცად, და დიაკონი - ოცდახუთისა წლისამ და წიგნის-მკითხველი - რვისამ, ხოლო ეპისკოპოსი - ოცდაათხუთმეტისამ“. ხელნაწერის არშიაზე მიწერილი ყოფილა: „ჴელთდასხმადნი: ეპისკოპოსი ლე (=35) წლისამ, ხუცესი ლ (=30) წლისამ, დიაკონი კე (=25) წლისამ, წიგნისმკითხველი მ (=8) წლისაი“³⁸.

„ძეგლისწერის“ მომდევნო კანონითა და სხვა საეკლესიო კანონმდებლობით, ჩვეულებრივი ვითარებისას მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის მიზანშეწონილი და საჭიროა წინა იერარქიული საფეხურების გავლა: „ხოლო რომელთა არცა ერთი რამ აქუნდეს სათანადომ მიზეზი მასწრაფობელად, მათ წელიწადი და წელიწადნი დაყენ თითოეულსა ხარისხსა შინა და უფრომსლა დიაკონობისასა, ვინამთგან თუნიერ დიაკონთა სიმრავლისა ვერამ მიიღებს შუენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთვის ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რამთა უფრომსლა დიაკონთა განმრავლებისათვის მოღუაწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა. ხოლო მონაზონთა, რომელნი მღვდლობად და ეპისკოპოსობად მომავალ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქებითა უბრძანებთ განსრულებასა და ეგრეთღა მღვდლობად მოსვლასა“.

ამავე დროს, კანონი უშვებს გამონაკლისსაც: განსაკუთრებულ, გადაუდებელ შემთხვევებში ეს საფეხურები სწრაფად, ორიოდ კვირაში იქნეს განვლილი: ერთ დღეში შეიძლება ეკურთხოს წიგნისმკითხველად და კერძოდიაკენად. შემდეგი საფეხურებისათვის ზუსტად განსაზღვრული არ არის, რამდენი

³⁷ ენრიკო გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1978, გვ. 96-97.

³⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 133.

დღეა საჭირო, ხოლო ხუცობიდან ეპისკოპოსობამდე შვიდი დღეა დასახელებული: „ამას თანა სხუადა უწესოდ წესი კელთდასხმათად დაქსნად განეარჩიეთ, ვითარცა მასვე და ერთსა დღესა კელნი დაესხნეს ვისმე წიგნისმკითხველად, კერძოლიაკონად, დიაკონად და მღვდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა, რომელი-ესე უკუეთუ იქმნასლა სადა ამიერთგან კელთდამსხმელი და კელთდასხმული ერთბადა განიკუთვნენ მღვლელობისაგან, რამეთუ პირველად წიგნისმკითხველად და კერძოლიაკონად ოდენ ჯერარს კელთდასხმად და ორისავე ამის ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქნაი და მერმე დიაკონად. და ვითარცა დაყვენს დღენი დიაკონობასა შინა და კმსახუროს მღვლელთა არა მცირედთა დღეთა, მერმელა მოიყვანონ მღვლელობად. ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომავალი იყოს, შემდგომად შუდთა დღეთა ჟამისწირვისა მოიყვანონ კელთდასხმად ეპისკოპოსობისა. და ამას ვიტყუთ მათთვის, რომელთა საჭიროდ რამე მიზეზი ასწრაფობდეს“³⁹ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 550).

ეს გამონაკლისი კი არსებობს, მაგრამ, როგორც ე. გაბიძაშვილი შენიშნავს, ამით აღნიშნული თანამდებობისათვის დაწესებული ასაკის შეცვლა არ ხდება. „ნათელია, - წერს ე. გაბიძაშვილი, - რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებშიც, როდესაც ეპისკოპოსად შერჩეულმა პირმა ყველა ინსტანცია რამდენიმე დღეში უნდა გაიაროს, არ შეიძლება დარღვეული იყოს ასაკობრივი ცენზი. თუკი საერო პირი შერჩეულია ეპისკოპოსის ხარისხში ასაყვანად, ბუნებრივია, ის 35 წელზე ნაკლების არ შეიძლება იყოს. ამ ასაკის პირმა კი უნდა მიიღოს (შემოკლებულ ვადებში) თანმიმდევრობით წიგნისმკითხველის, კერძო-დიაკონის, დიაკონის, ხუცესის (მღვდელის) და ეპისკოპოსის ხარისხები“ (რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 105).

ამ წესის მიხედვით, მართალია ა. ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი დაბადებული უნდა იყოს არა უგვიანეს 1612 წლისა. მაგრამ განა ყოველთვის განუხრელად სრულდებოდა ეს წესი?

³⁹ მცირე სჯულისკანონში განსაზღვრულია კერძო-დიაკონის და მღვდლის ასაკი, ეპისკოპოსზე კი არაფერია ნათქვამი: „წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუნთა მიერ განჩინებული წესი ამასაცა ზედა მტკიცე იყავნ, რამთა ხუცესი უწინარეს ოცდაათისა წლისა არა იკურთხოს, დადაცათუ ფრიად ღირსი იყოს, რამეთუ უფალმან ჩუნმან იესუ ქრისტე მეოცდაათესა წელსა ნათელ-ილო და იწყო მოძღურებად და ამისთვის მღვდელნიცა ოცდაათისა წლისანი იკურთხებოდინ, ხოლო დიაკონი - ოცდახუთისა წლისად, კერძო-დიაკონი - ოცისა წლისად. დედათ-დიაკონი ორმოცისა წლისა უწინარეს ნუმცა შევალს მოწესიებასა მას“ (მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1972, გვ. 31).

ე. გაბიძაშვილი წერს: „მითითება იმაზე, რომ რუის-ურბნისის კრებადღე ადგილი ჰქონდა სასულიერო თანამდებობებზე ასაკის ცენზის დარღვევას, ჩანს პირველი კანონიდანაც: «ნაცვლად მათდა სხუანი დაუდგინეთ, რომელთა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაი»“... [დიდი სჯულისკანონი, გვ. 550].

„კანონის ტექსტიდან ჩანს და სამეცნიერო ლიტერატურაშიც ბევრია ნათქვამი იმის შესახებ, რომ რუის-ურბნისის კრების წინა პერიოდში ადგილი ჰქონდა საეკლესიო თანამდებობებზე შეუფერებელი ასაკის პირთა დანიშნვას. მნიშვნელოვანი თანამდებობის ხელში ჩაგდების მიზნით სწორად ასეთი დანიტერესებული პირნი ქრთამის გაღებასაც არ ერიდებოდნენ, რათა მათ ან მათ შვილებს საეკლესიო კანონის დარღვევით მიეღოთ ესა თუ ის თანამდებობა“ (რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გვ. 96).

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის შემდგეგაც რომ ირღვევოდა ეს კანონი, ამის შემთხვევებიც გვაქვს. ცხოვრებაში ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვინ იყო პიროვნება ან ვინ მფარველობდა მას. მაგალითად, იმის გამო, რომ მეფის შთამომავალი იყო, ანტონ I, დაბადებული 1720 წელს, 1738 წელს (18 წლისა) გელათის მონასტერში ბერად აღიკვეცა, 1739 წელს გელათის წინამძღვრობა მიიღო, 20 წლის ასაკში, 1740 წელს ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა, ხოლო 24 წლის ასაკში (1744 წ.) საქართველოს კათალიკოსად აირჩიეს.

ქვემოთ ვნახავთ, ჩანს იმის გამო, რომ გურიის მთავრის მამია III-ის ძე იყო, ნიკოლოზი შემოქმედის მიტროპოლიტად ბევრად უფრო ახალგაზრდა დაუნიშნავთ, ვიდრე ამას კანონი მოითხოვდა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იაკობი იმდენად ნიჭიერი, ენერგიული და საქმიანი კაცი იყო, რომ მეფეების გიორგი XI-ისა და არჩილის დიდი ყურადღება და პატივისცემა დაუმსახურებია, ადვილი მოსალოდნელია, ამ პირადი თვისებების გამო ის შემოქმედის მღვდელმთავრად ნაადრევად დაეწინაურებინოთ.

ამრიგად, იაკობ შემოქმედელი დაბადებული უნდა იყოს XVII საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, ადვილი შესაძლებელია, 10-იანი წლების ბოლოს ან 20-იანი წლების დამდეგსაც კი⁴⁰.

⁴⁰ სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს იაკობ შემოქმედელზე შემდეგ ნათქვამს: „შემოქმედის ტაძარში ინახებოდა დიდი „გულანი“, რომელშიც მატიანეთა ჩაწერა 1512 წელს დაუწყიათ. უკანასკნელი ჩანაწერი გაუკეთებია იაკობ შემოქმედელს მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე საუკუნის მ ე ო რ ე ნახევარში“ (გივი თ ა ვ ა ძ ე, მეტი ყურადღება მატერიალური კულტურის ძეგლებს, კრებ.: „ძეგლის მგობარი“, №10-11, [1967], გვ. 64).

ამას არ ეწინააღმდეგება არჩილისადმი მიძღვნილ ერთსტროფიან ლექსში თვით იაკობის ნათქვამი, რომ ის არჩილის გაზრდილია:

„თქმული მომწონს - მისგან ზრდილსა - არჩილ ცნობა-უფსკრულისა“.

ეს ნათქვამი არ უნდა მივიღოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ის უნდა განვიხილოთ მეფეთადმი იმ გადაჭარბებულ ქებადიდებად, რომელიც შუა საუკუნეებში მიღებული იყო, როცა ყოველი მეფე ყველას აღმზრდელად და პატრონად მიიჩნეოდა.

*

სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ არის დამკვიდრებული შეხედულება, თითქოს იაკობმა პირველდაწყებითი განათლება ტრაპიზონში მიიღო. ეს აზრი პირველად გამოთქვა პ. იოსელიანმა. როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, ანტონის „წყობილსიყვაობის“ მისეულ გამოცემაში ვკითხულობთ: იაკობი „ესე იყო გუარით დუმბაძე, გა ნ ა ნ ჯ ს წ ა ე ლ უ ლ ი პ ი რ უ ე ლ ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ს ა“.

მომდევნო ნაშრომებში ამ შეხედულებას ერთგვარად ხორცი აქვს შესხმული. ზ. ჭიჭინაძე გვამცნობს: „იაკობი ა ღ ი - ზ ა რ დ ა ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს მართლმადიდებელთ სემენარიაში. ამ სასწავლებლის გამგენი ბერძენი იყვნენ. იაკობ დუმბაძემ აქ შეისწავლა სამღვთო საგნები, ბერძნული ენა, სწავლის გათაყების შემდეგ იაკობ დუმბაძე თავის სამშობლო გურიაში დაბრუნდა. დაბრუნების შემდეგ ის ბერათ შემდგარა“⁴¹.

ზემოთ უკვე ითქვა, პ. იოსელიანის უენიშვნაზე მითითებით, დ. ბაქრაძეც იაკობს ტრაპიზონში აღზრდილად და განსწავლულად მიიჩნევს (გვ. 156, 368 [140]).

მ. ჯანაშვილი: „პირველ დ ა წ ყ ე ბ ი თ ი სწავლა იაკობმა მიიღო ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ს. არც ისა სჩანს, თუ ვინ ასწავლა მას ლაზისტანის ქალაქში ქართული ანბანი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ მაშინ იყო სკოლა კათოლიკე ბერებისა, რომელნიც პაპის ლოცვა-კურთხევითა და შთაგონებით ძალიან სციდილობდნენ საქართველო რომის ტახტისათვის დაემორჩილებინათ...“ (დასახელებული გაზეთი).

⁴¹ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთორამეტე საუკუნეებში, გვ. 33.

კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში დ. ბაქრაძის ნაშრომზე მითითებით მოკლედ შენიშნავს: „იაკობს განათლება მიუღია ტრაპიზონში“ (გვ. 526. სქოლიო).

ა. ხინთიბიძე: იაკობმა „პირველდაწყებითი განათლება ბიზანტიაში მიიღო, ტრაპიზონის სემინარიაში, სადაც, ბუნებრივია, ბერძნულ ენას შეისწავლიდა და ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს დაეუფლებოდა“ (გვ. 5 [6-7]).

მხოლოდ ერთადერთი⁴² ლ. მენაბდეა, ამ შეხედულებას დაეჭვებით რომ იმეორებს: „განათლება მან (იაკობმა - ბ. დ.) თითქოს ტრაპიზონში მიიღო“⁴³.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული შეხედულება პ. იოსელიანიდან მოდის. პირველმთქმელი თავად არ მიუთითებს, ჩვენთვის კი უცნობია, ამის შესახებ რაიმე ძველი წყარო არსებობდეს.

*

იგივე უნდა ითქვას სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მეორე შეხედულებაზე, თითქოს 1686 თუ 1687 წელს იაკობ დუმბაძე რომის პაპს ეახლა და იმერეთსა და გურიაში კათოლიკე მისიონერები ჩამოიყვანა.

ეს ამბავიც სათავეს პ. იოსელიანიდან იღებს. „1687 წ. - წერს იგი იაკობის შესახებ, - წავიდა რომსა და მოიხილა დასავლეთისა ეკლესიის დიდისა პატივითა და მრავლად ჩუქებითა მიღებულყო პაპისა ინოკენტი მეთორმეტისაგან და კარდინალთა, რომელთაცა უნებლათ, რათა შემოეტანა მას გურიასა სარწმუნოება ლათინთა. მღვიძარებმან მოძღუარმან ეკლესიისა არა ინება ესე, გარნა თხოვითა მათითა წარმოიყუანა იმერეთსა და გურიასა შვიდნი მოძღუარნი მჭადაგებულნი, წერილნი და საჩუქარნი მეფისადმი და კათალიკოსისადმი იმერეთისა. დროთა მისთავე განძლიერდენ ლათინთა მოძღუარნი იმერეთსა და ესე იაკობ ეგოდენ მრავლად ებრძოლა მათ და ჰსძლია ლიქნი მათნი, რომელ განჰსდევნეს იმერთა და გურიისა საზღუართაგან ლათინთა მოძღუარნი“ („წყობილსიტყვაობის“ დასახელებული გამოცემა).

ბ. ჭიჭინაძე ამ ამბავს კიდევ უფრო მეტი დრამატიზმით გადმოგვცემს: „1686 წ. იმერეთის კათალიკოსის ნებართვით და კურთ-

⁴² თ. ჟორდანიას ერთგან შენიშნავს, რომ იაკობ შემოქმედელმა მნიშვნელოვანი სასულიერო განათლება ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი მიიღო (Прибавление Духовному Вестнику грузинскаго экзархата, 1 მასი, 1903, № 9, გვ. 23). ამის დამადასტურებელი არაფერი არსებობს.

⁴³ ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, გვ. 569.

ხევით იაკობ მიტროპოლიტი გაემგზავრა რომს და ნახა დასავლეთის ეკლესიები. რომში დიდის პატივით მიიღო ინოკენტი რომის პაპმა. დიდი პატივი მიაპყრეს აგრეთვე პაპის კარდინალებმა, დიდი ძალი საჩუქრები მისცეს. პაპმა და კარდინალებმა დიდი დაეალება დასდეს იაკობს და იგინი სთხოვდნენ, რომ იაკობ ღუმბაძეს კათოლიკის სარწმუნოება მიეღო და გურიამიც წამოეყვანა რამდენიმე ლათინთ პატრები, რომელნიც აქ მოჰყენდნენ მათ სარწმუნოებას. იაკობმა პაპის თხოვნა მიიღო და როცა საქართველოში წამოვიდა, მან თან წამოიღო ყველა საჩუქრები პაპისა და კარდინალებისაგან, როგორც იმერეთის მეფესთან, ისე იმერთ დავით კათალიკოზთან, თან წამოიყვანა აგრეთვე რამდენიმე ლათინთ მოძღვარნი. საქართველოში მოსვლის შემდეგ პაპის და კარდინალებისაგან გამოტანებული საჩუქრები მეფესა და კათალიკოზს გარდასცა. ლათინთ სარწმუნოებას კი გაუღვა იაკობი და ლათინთ მოძღვარნიც მოიშორა თავიდან, ლათინთ მოძღვრებმა დაიწყეს ქადაგება და სწავლა ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ მყოფ ქართველ მამაჰლიანებში და მცირე ხნის განმავლობაში დიდი გავლენაც იქონიეს იქაურ ხალხზე და დიდი რიცხვიც შესძინეს რომის ეკლესიას, მაგრამ იაკობ ღუმბაძე აუტყდათ მრისხანებით და ეს თავ-გადაღებული მამანიც დაახოცინა სხვა და სხვა საიდუმლო კაცი მკვლელებთა. ამ უბედურებამ დიდი განხეთქილება ასტეხა მაშინდელს სამღვდლოებაში და მრავალნი პატრნი დიდის შიშით და წვალებით იქმნენ გარდაჩენილნი. იმერეთისა და გურიის საზღვრიდან ესენი სტამბოლს წავიდნენ“ (გვ. 34).

დ. ბაქრაძე, აქაც პ. იოსელიანის ნაშრომზე მითითებით, აღნიშნავს: იაკობმა „1687 წელს იმოგზაურა რომში, სადაც დიდი პატივით მიიღო პაპმა ინოკენტიმ, და საიდანაც დაბრუნდა შეიდი კათოლიკე მისიონერის თანხლებით, რომლებიც შემდეგ განდევნეს“ (გვ. 156[140]).

მ. ჯანაშვილი, რომელიც ვარაუდობს, რომ იაკობ შემოქმედელი კათოლიკებს ჯერ კიდევ ტრაპიზონში, კათოლიკურ სკოლაში სწავლისას დაუკავშირდა, წერს: „რომ იაკობს დიდი კავშირი ჰქონდა ამ (კათოლიკე - ბ. დ.) ბერებთან, ეს სჩანს თუნდა მით, რომ იგი შემოქმედის ეპისკოპოზათ კურთხევის რამდენიმე წლის შემდეგ გაემგზავრა (1687 წ.) რომს. იქ მას დიდის პატივით მიეგებენ პაპი ინოკენტი XI და მისი კარდინალები. მათ სურდათ გული მოეგოთ იაკობისათვის და თავისი ეკლესია მოეწონებინათ. მაგრამ ამაოდ. იაკობი კლდესავით მტკიცედ იდგა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე. მხოლოდ, ბოლოს და ბოლოს ერთი დაუთმო. მათის თხოვნით წამოიყვლია შეიდი კათოლიკე ბერი და თან მოიტანა იმერეთის მეფისა და აფხაზეთის კათალიკოზისათვის გადასაცემად პაპის წერილები. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც, დაბინავდა რა ისევ შემოქმედს, არ მოუსვენა კათოლიკე

ბერებს: «ეგოდენ მძლავრად ებრძოდა მათ, რომ სძლია ლიქნი მათი», რის გამო ლათინთა მოძღუარნი განდევნეს იმერეთ-გურიის სახლერე-ბიდან“.

კ. კეკელიძე, კვლავ ბაქრაძის ნაშრომზე დაყრდნობით, წერს: *იაკობი* „1687 წ. გამგზავრებულია რომს, სადაც ის დიდი პატივით მიუღია ინოკენტი პაპს, იქიდან კათოლიკეთა შვიდი მისიონერი წამოუყვანია“ (დასახელებული სქოლიო).

ამ ამბავს სრულად გადმოგვცემს ა. ხინთიბიძე. ავტორი ჯერ წყაროზე მიუთითებლად აღნიშნავს: „1687 წელს იმერეთის კათალიკოსის დავალებით იაკობი იტალიაში გაემგზავრა, სადაც დიდის პატივით მიიღო რომის პაპმა ინოკენტი XI“ (გვ. 6 [7]). შემდეგ ცალკე თავში, რომლის სათაურია „არა-განლათინებულისა“, მ. ჯანაშვილის ერთი გამონათქვამის დამოწმებით, მოგვითხრობს: „სარწმუნოებისათვის, ეროვნული ინტერესებისათვის თავგამოდებული ბრძოლის მაგალითს იაკობი პირადი ცხოვრებითაც იძლეოდა. ლათინთა ქვეყანაში ჩასვლისას პაპმა ინოკენტი XI და კარდინალებმა წინადადება მისცეს, კათოლიკობა მიეღო და ხელი შეეწყო ამ სარწმუნოების საქართველოში გავრცელებისათვის. მიტროპოლიტი, თითქოს და, დათანხმდა, წამოიყვანა რომიდან შვიდი კათოლიკე ბერი და წამოიღო დიდძალი საჩუქრები იმერეთის მეფისა და კათალიკოსისათვის. მაგრამ იაკობის გადაბირება შეუძლებელი იყო; იგი „კლდესავით იდგა თავის მამა-პაპათა სარწმუნოებაზე“ (მოსე ჯანაშვილი). სამშობლოში დაბრუნებულმა თავიდან მოიშორა კათოლიკე ბერები, ხოლო, როცა მათ შემდეგ ქართველ მაჰმადიანებში დაიწყეს კათოლიკობის ქადაგება, განდევნა ისინი იმერეთ-გურიიდან და სტამბოლის გზას გაუყენა.

ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გაუთქვა სახელი იაკობს. ანტონ ბგრატიონი თავის იამბიკოს ასეთ სათაურს აძლევს: «თვის მამისა იაკობ პირველისა, შემოქმედელისა, გურიულისა, არა-განლათინებულისა»“ (გვ. 12-13 [16-17]).

აქაც აშკარაა, ეს ცნობაც პ. იოსელიანიდან მოდის. ადრე დ. ბაქრაძემ შენიშნა და ჩვენც იგივე უნდა გავიმეოროთ: არსაიდან ჩანს, საიდან აიღო პ. იოსელიანმა იაკობის ტრაპიზონში ან რომში ყოფნის ამბავი. „წყობილსიტყვაობის“ თავის გამოცემაში პ. იოსელიანი წერს: „გურიისა შემოქმედისა საუფლოსა ეკლესიასა შინა ჰგიეს ხატი ღუთაებისა შემკული, რომელსა ზედაცა ჰსწერია ესრეთ“ (გვ. 225) და მოჰყავს ის ტექსტი, რომელიც 1850 წელს მ. ბროსემ გამოაქვეყნა და ზემორეა დამოწმებული: „უცუალეულო ხატო ღუთაებისაო...“ (მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის,

პ. იოსელიანი ვ-ს უ-დ ცვლის და ქარაგმას გახსნილად წარმოადგენს).

შეიძლებაოდა გვეფიქრა, პ. იოსელიანი ბრძანდებოდა შემოქმედში⁴⁴ და აღნიშნული ამბები ადგილზე მოესმინა, მაგრამ ეს ნაკლებ სარწმუნოა, რადგან შემდგომ სხვა მკვლევარებს ამის მსგავსი არაფერი აღუნიშნავთ. ვფიქრობთ, უფრო სავარაუდოა, როგორც ეს, ისე წინა ეპიზოდი, პ. იოსელიანის ფანტაზიის ნაყოფია. მით უმეტეს, მეორე ამბის შეთხზვის საბაბს ანტონ კათალიკოსის გამოთქმა - „არ-განლათინებულისა“ - იძლეოდა.

*

ახლა დაეუბრუნდეთ მწერლის მიტროპოლიტად ყოფნის ქრონოლოგიას.

თუ სანამდე იყო იაკობი შემოქმედელად, ამაზე ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ადრინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში საძიებელი გვიანდელი თარიღი განსაზღვრულია 1713 წლით, როდესაც შემოქმედელად ნიკოლოზი (მამია III გურიელის ძე) მოიხსენიება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ქ. ჩხატარაიშვილი იაკობის შემოქმედლობას 1647-1658 წლებით განსაზღვრავს. შემოქმედის მიტროპოლიტთა ჩამოთვლისას ის მოკლედ წერს: „იაკობ დუმბაძე, მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი (1647-1658). შეჰდეგ ქართლში გადავიდა“ (გვ. 150).

მკვლევარი ბოლო თარიღის განსაზღვრისას ეყარება შემოქმედის კუთვნილ მაცხოვრის ხატის ზურგზე მოთავსებულ ვერცხლის გარესამოსის წარწერას, რომელიც თარიღიანია და 1658 წელს შემოქმედელად იხსენიებს მალაქიას:

„ქ. ყ(ოვლა)დ ძლიერო ღ(მერთ)ო და სიტყ(უ)აო ღ(ვთის)აო ჩ(ე)მ(ისა)ო, ხ(ა)ტო ღ(ვ)თ(ა)ბ(ის)აო, თაბ(ო)რს გ(ა)ნბრწყვინებულო, ხ(ა)ტო ღ(ვ)თ(ა)ბ(ი)ნ(ა)ო, მ(ა)ცხ(ო)ვ(ა)რო, პ(ი)რო ღ(ვ)თისაო, და(ი)ცევე ორთავე შ(ინ)ა ცხ(ო)რ(ე)ბათა ს(უ)ლით და ხ(ო)რცით შემ(ო)ქმ(ე)დ(ე)ლი ბ(ა)ტ(ო)ნის შვ(ი)ლი ბ(ა)ტ(ო)ნი შ(ა)ლ(ა)ქა, რ(ომ)ლისა ბრძ(ა)ნ(ე)ბითა მოიჭედა ზურგი ესე პ(ა)ტიოსნისა ხ(ა)ტისა შ(ე)ნისა. ამინ და კ(ირილე)ს(ო)ნ. ქ(ო)რ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა ტშვ, დ(ი)დსა პ(ა)რ(ა)სკევესა“ (დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 120-121 [110]).

⁴⁴ ა. ხინთიბიძე წერს: „პლატონ იოსელიანს შემოქმედის მონასტერში უნახავს ღვთაების ხატი ზედწარწერით: «უცვალებულო ხატი ღვთაებისაო»...“ (გვ. 32[41]). სინამდვილეში, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მოსალოდნელია, პ. იოსელიანი ამ წარწერას მ. ბროსეს გამოცემით გასცნობოდა.

თანახმად თ. ჟორდანიასი, ეს მალაქია, რომელიც ჯუმათელადაც მჯდარა, არის ქაიხოსრო I გურიელის ძე. მეცნიერი თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში იმოწმებს ღეთაების ხატის წარწერას: „... დაიცევ შემოქმედელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი მალაქია... ტმე“ (1658 წ.) და აღნიშნავს: „დ. ბაქრაძეს შეცლომით ჰკონია, ვითომ ეს მალაქია იყოს გიორგი გურიელის ძე, კათალიკოსი აბხაზთა. შემოქმედელი მალაქია სხვა პირია, ქაიხოსროს ძე, როგორც ამას ამტკიცებს ბიჭვინთის სიგელ-გუჯარნი და ბროსეც“ (გვ. 471).

ამ საბუთებიდან მხოლოდ იმას ხედავთ, რომ მალაქია 1658 წელს შემოქმედის მიტროპოლიტად უკვე ზის, მაგრამ, როდის მიიღო მან ეს თანამდებობა, არც აქედან და არც სხვა წყაროდან ჯერჯერობით არ ჩანს.

ქ. ჩხატარაიშვილის მიერ მითითებული ლიტერატურა იაკობის ქართლში გადასვლის თაობაზე არაფერს გვეუბნება. ამის შესახებ არც რაიმე უშუალო წყარო არსებობს, მაგრამ მაინც არის ისეთი მონაცემები, რაც მწერლის აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლას სარწმუნოდ გვისახავს.

დავიწყოთ იმით, რომ იაკობი ქართლის სამეფო კართან, გიორგი XI-სა და, განსაკუთრებით, არჩილთან დაახლოებული პირია. შემოქმედებითი და, უნდა ვიგულისხმოთ, პირადი სიახლოვე აქვს მას იოსებ თბილელთანაც.


არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ იაკობი თავის გალექსილ „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ექვთიმე ათონელს მროველს ადარებს:

„მოგახსენებ ღირს ეფთვიმეს, ნათესაით ტაოელსა,
ლოცვით, მადლით, სასწაულით ვინ განხდია სამოელსა,
მყის განკურნის, ვინც შეეხის აჩრდილს მისსა, სამო(ს)ელსა,
ღვთისმეტყველთა სიტყვას ჰქუხდა, სიბრძნით სჯობდა ჩვენს მროველსა“
(184).

ეს უთუოდ იმას ნიშნავს, რომ მწერალი იცნობს და დიდად აფასებს მროველს - რუისის ეპისკოპოსს, მას შინაურად წარმოგვიდგენს - „ჩვენს მროველს“ უწოდებს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იაკობის მეორე წოდება - სამებელი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასე იხსენიებს მას არჩილი („აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი“). ამგვარადვეა ის მოხსენიებული სანკტ-პეტერბურგის ეროვნული (ყოფილი სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო) ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის 58 ხელნაწერზე გაკეთებულ წნულ

მინაწერში: „აქა წერილნი და გამოსახულნი, შემწე ეკმენით სამებელს იაკობს!“⁴⁵



სურათი 2.

მცირე სჯულისკანონის შემცველ ნუსხაზე (144, გვ. 4) მხედრულით მინაწერი: „მეუფეო, მრავალმოწყალეო და ქალწულო, ღ(მრ)თისა დამტენელო, შენ მიერ დავასდებ (თუ „დავაცადებ“ – ბ. დ.) ბოროტთა და ვიწყებ კეთილთა მე, ცოდვილი სამებელი იაკობ და შენ მიჰყარ მარჯვენა მოწყალეებისა შენისა, ოდეს სჯიდეს ძე შენი მართლ შსაჯულობით ყოველთა კაცთა და მიაგებდეს საქმეთა მათთაებრ“⁴⁶.

ა. ხინთიბიძის ფიქრით, იაკობი მანამდე იყო სამებელი, ვიდრე ის შემოქმედელი გახდებოდა. ტრაპიზონში განათლების მიღების შემდეგო, წერს ავტორი, იაკობი „შეღვა ბერად, ერთხანს სამების ეკლესიის წინამძღვარი იყო (საქართველოში 12-ზე მეტი სამების

⁴⁵ ლ. შ ე რ ე ა შ ი ძ ე, მინიატურები ქუთაისის ხელნაწერისა №115 და ლენინგრადის ხელნაწერისა I №58, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, №1, 1953 წ., გვ. 61-62.

⁴⁶ გამოქვეყნებულა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შედგენილია და დასაბუჯდად დამზადებული: თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს, თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს, ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ ე. მ ე ტ რ ე ვ ე - ლ ი ს რედაქციით, თბ., 1959, გვ. 155.

ეკლესიაა. დასადგენია, სად მოღვაწეობდა იაკობი), საიდანაც მიიღო ზედწოდება «სამებელი», ხოლო 1682 წელს ეკურთხა შემოქმედის მიტროპოლიტად“ (გვ. 5-6 [7]).

საბუთებიდან აშკარად ჩანს, იაკობი სამებელად მოგვიანებით იწოდება. კერძოდ, არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“, სადაც ის სამებელად იხსენიება, დაიწერა 1681 წელს. ადრინდელ, მით უმეტეს, შემოქმედის მონასტრის მასალებში იაკობი ამ სახელით არსად არ ჭაჭანებს. ეს უეჭველად იმის მაჩვენებელია, რომ მწერალი სამებელი შემოქმედებლობის შემდეგ გახდა, ხოლო, რადგან ძველ საბუთებში იაკობი ორივე ტიტულს - *შემოქმედელ-სამებელს* - ერთად არ ატარებს, იმას ადასტურებს, რომ სამებლობის დროს ის შემოქმედის ეპარქიას ჩამოშორებულია.

გვიანდელ ვითარებას უნდა ასახავდეს ძველი რედაქციის ხელნაწერებში წარმოდგენილი „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბასების“ სათაური, სადაც იაკობი უკვე სამებელ-შემოქმედელად იხსენიება. ყველაზე ძველ A - H 2064 ნუსხაში, რომელსაც XVII საუკუნის მიწურულითა და XVIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ, სათაურად გვითხულობთ: „თავი დასაწყისი პირველი. სამებელ-შემოქმედელ-მიტროპოლიტისა იაკობისაგან თქული ქება მეფისა არჩილისა“. ეს სათაური ამგვარადვე მეორდება ოსე გაბააშვილის გადაწერილ D - S 395 ნუსხაში. ასეთივე ვითარებაა ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ნუსხებშიც.

ქვემოთ ვნახავთ, იაკობი მამია III-ის დროს ისევე შემოქმედელია. ეს სათაურები იმას კი არ უნდა გამოხატვდეს, რომ იაკობი თავიდან იყო სამებელი, არამედ იმას, რომ შემოქმედის მიტროპოლიტობიდან ის გადადის სამების მღვდელმთავრად და ამის შემდეგ უბრუნდება შემოქმედის კათედრას.

ახლა, როგორც ა. ხინთიბიძე აყენებს საკითხს, გასარკვევია, რომელ სამების ეკლესიაში უნდა ემოღვაწევა მწერალს. ამის თაობაზე ფ. სიხარულიძე წერს: „იაკობ შემოქმედელი სამებელად იწოდება. ვფიქრობთ, სამება ქვემო გურიაში არსებულ მონასტერს გულისხმობს. საამისო პირდაპირი ცნობა მოსკოვს მისული იაკობის განცხადებაა. თავის ვინაობაზე იგი რუს დიპლომატებს მიუთითებდა, რომ გურიიდანაა და მისი სამწყსო ახლოსაა ქობულეთთან“⁴⁷.

ეს საბუთი აღნიშნულის დასამტკიცებლად არ გამოდგება. განა შემოქმედის სამწყსო ქობულეთთან ახლოს არ მდებარეობდა?!

⁴⁷ „გუბაშოული“, 1999, N2, გვ. 3.

ენიანიდან იაკობს აქვს ზედწოდება „სამებელი“, უფრო მოსალოდნელი კი არა, მგონი, აუცილებელია, ის სამება საკათედრო ტაძარი უნდა ყოფილიყო. ამგვარი გახლდათ საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმთან მდებარე V-VI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული სამების ეკლესია. ვახუშტი ბატონიშვილი გვიამბობს: „ხოლო კუალად ნინოწმიდას ზევით ერთვის იორს სამების ხევი, ეგრეთვე გამოძინარე და მოძინარე, ვითარცა წინათნი ხეენი. და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა. ამას ზეით, ამ ხეზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუბათიანი, სამებისა, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქუეყნისა ერწოდზე (და იტყვის გარეჯოს უღაბნოს თვისად). ესევე ხევი არს საზღვარი პერეთისა და კახეთისა“⁴⁸.

აღრე ლეონ მედიქსეთბეგს მიაჩნდა, რომ იაკობი ამ სამების ეკლესიაში მოღვაწეობდა. ის წერს: „კაწარელი სხვადასხვა ეპისკოპოსებისა და წინამძღვრების სახელები ხშირად იხსენიება უკანასკნელ საუკუნეების სიგელ-გუჯრებში. მათ შორის ბევრი განთქმულია თავისი თვალსაჩინო მოღვაწეობით, უმეტესად კი იაკობი, რომელიც როგორც ლიტერატორი იხსენიება აგრეთვე «არჩილიანში» და «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვისა»-ში...“⁴⁹.

მაშასადამე, დასმულ საკითხს ყველანაირად ესადაგება, იაკობს სამების ამ მონასტერში ემოღვაწევა და აქედან მიეღო ზედწოდება ს ა მ ე ბ ე ლ ი.

*

მომდევნო საკითხია: დაუბრუნდა თუ არა იაკობი შემოქმედის მონასტერს?

როგორც აღენიშნეთ, ქ. ჩხატარაიშვილი მწერლის შემოქმედელობას მხოლოდ 1647-1658 წლებით განსაზღვრავს და მომდევნო წლებში ამ თანამდებობაზე სხვა პირებს ასახელებს.

თ. ყორდანიას გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ იაკობი იერუსალიმში გაჰყვა სვიმონ გურიელს. ამის გამო ერგო მაღაქიას შემოქმედელობა. მაგრამ, როცა სვიმონი 1659-1660 წლებში სამშობლოში დაბრუნდა, იაკობიც ჩამოჰყვა მას და თავისი თანამდებობა დაიბრუნა. მკვლევარი ასე მსჯელობს: „მიზეზი იმისა,

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 530.

⁴⁹ ლეონ მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი, კაწარეთი, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 166.

რომ 1664 წლის გუჯარში მალაქია არ იწოდება შემოქმედელად, ის უნდა იყოს, რომ, ალბათ, ამ დროებაში შემოქმედელი იაკობ ისევ დაბრუნებულა იერუსალიმიდან და შემოქმედელად დამჯდარა. მართლაც, ორი ბიჭვინტის გუჯარი, ჩვენს ქრონიკებში ჩართული (იხ. 1658 წ. ქვეშე) ამოწმებს, რომ 1658 წელს, როგორც საგულისხმოა, იერუსალიმიდან გამოწვეული სვიმონ, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, იაკობ გაჰყვა იერუსალიმში, «გაპარსეს» (ე. ი. ბერობიდან ერისკაცად გახადეს) და ხელახლა დასვეს გურიელად მისმა სიძემ დადიანმა ვამეყ (1658-1663) და იმერეთის მეფემ ალექსანდრემ (1637-1660) ზაქარია ქვარიანის კათალიკოზობაში (1656-1659), რომელსაც «გაპარსვისათვის» (ე. ი. ბერობიდან გადადგომისათვის) საკანონოდ ჩამოურთმევია სვიმონისათვის რამდენიმე სოფლები «საკათალიკოზოდ». აქილამ საგულისხმოა, რომ იაკობ შემოქმედელი სვიმონს თან ჩამოჰყვებოდა იერუსალიმიდან და 1659-1660 წლებში ისევ შემოქმედელად დაჯდებოდა»⁵⁰.

ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ უფრო ბუნებრივად გამოვიდოდა, რომ იაკობი არჩილს აღმოსავლეთ საქართველოში მას შემდეგ გადაჰყვა, როცა ის იმერეთის მეფობიდან გადააყენეს და 1664 წელს კახეთის მეფედ დასვეს. მაგრამ არსაიდან ჩანს, იაკობი სვიმონს იერუსალიმში გაჰყოლოდა ან, საერთოდ, იმ ხანად იერუსალიმში ყოფილიყო.

დ. ბაქრაძეს მიაჩნია, რომ იაკობი შემოქმედელად მამია III-ის გურიელობის დროს იყო. „არქეოლოგიური მოვზაურობის“ საძიებელში ის წერს: „Шемокмедели... Яков Думбадзе, при Гურიели Мамии III (†1717)“ (გვ. 368).

ამის დამამტკიცებლად მას მოჰყავს მამიასა და მისი მეუღლის, ელენე აბაშიძის, მიერ შემოქმედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სახელზე გაცემული სიგელის რუსული თარგმანი, რომელიც ა. ტოტოჩავას ქართული თარგმანით ასე იკითხება: „ვწირავთ ერთ კანდელაკს «სასაყდრეთ», რადგან ძველიდან ჩვენი სახლის გურიელებსა და დედოფლებს გარდაცვალების შემდეგ ერთ ღამეს ამ ეკლესიაში დაასვენებდნენ. მერე ჩვენ ეს ჩვეულება მოვშალეთ და მის სანაცვლოდ თქვენს დეკანოზს იოანე ჩხატარაიშვილს ვალად დავდეთ წიროს ჩვენი დღეგრძელობისათვის, ჩვენი პირმშოს გურიელი გიორგის გაზრდისა და წარმატებისათვის და ჩვენთა ძეთა და ასულთა სახსენებლად; შენს დეკანოზს, მის ძესა და შთამომავლობას პირობას ვაძლეეთ, რომ არც მთავრები და არც ჩვენი სახლის კაცები არ გაყვიდნან

⁵⁰ ქრონიკები, I, გვ. 307.

მათ, არც უსამართლოდ დაესხმიან თავს, და არ გაყდიან მათ გლეხებს და უკანონო გადასახადებს არ მოსთხოვენ“.

იქვეა ჩამოთვლილი სიგელის მოწმეები: „შემოქმედელი იაკობ ღუმბაძე, ერისთავი გიორგი შარვაშიძე, ბოქაულთუხუცესი მირზაბეგ თავღირიძე, სახლთუხუცესი იოანე მაჭუტაძე, მელენთუხუცესი ბეჟან ნაკაშიძე და ქალაქთუხუცესი მამუკა ნაკაშიძე. მამიას ხელრთვა და ბეჭედი არ გაირჩევა“ (გვ. 393-394 [245]).

დ. ბაქრაძე აქვე იმასაც ამბობს, რომ „შემონახულია იაკობ ღუმბაძის ნასყიდობის წიგნი, რომლის მიხედვითაც მოწმეებისა და შუაკაცის თანდასწრებით ყიდის ნაკვეთს - „შუბალური ზარდას გაღმა“ (გვ. 294[246]).

სამწუხაროდ, ჩვენ ამ საბუთების დედნებზე ხელი არ მიგვიწვდება. ო. სოსელიას მიხედვით⁵¹, მამია III გურიის მთავარი იყო 1689-1711 და 1713-1714 წლებში, ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით, - 1689-1711 წლებში⁵². მაგრამ, თუ როდის დაიწერა დამოწმებული სიგელი, ამის დაზუსტება ვერ ხერხდება. აქ დასახელებული მოწმეები სხვა საბუთებშიაც ჩანან, ოღონდ მათი დათარიღება უმეტეს შემთხვევაში ისევე მამია III-ის ზეობის მიხედვით ხდება. მოქმედების დრო იმდენად დიდია, რომ აქ ვერაფერში გვშეველიან. მაგალითად, ო. სოსელიას საგანგებოდ აქვს შესწავლილი გურიის სათავადოები და გიორგი ერისთავის შესახებ წერს: „შარვაშიძეთა საგვარეულოდან პირველი ჩვენთვის ცნობილი გურიის ერისთავი გიორგი შარვაშიძეა. იგი გიორგი III გურიელის, მისი მეძველრის მამია III-ისა (1689-1711 წწ.) და გიორგი IV-ის დროს (1713-1726 წწ.) მოღვაწეა“⁵³.

ამავე წიგნში მკვლევარი მაჭუტაძის სახლთუხუცესობის შესახებ გვაუწყებს: „გიორგი III-ის ერთ უთარღო სიგელში, რომელიც მის გურიელობისთანავე (1664 წ. - ბ. დ.) უნდა იყოს შედგენილი, სახლთუხუცესად ოთარ ბერიძე იხსენიება. ე. ი. ეს სახელო მაჭუტაძეებს ჩამორთმეული აქვთ. ჩანს, გიორგი III გურიელს მამის მკვლელი მაჭუტაძეთა სახლი დაუმდაბლებია. მაგრამ მაჭუტაძეები მალე ახერხებენ ისევ წამოწევას. იმავე გიორგი III-ის დროს ამ საგვარეულომ წართმეული

⁵¹ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, გვ. 138.

⁵² ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VI, თბ., 1983, გვ. 396.

⁵³ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973, გვ. 255.

სახლთუხუცესობა კვლავ დაიბრუნა. ახლა ამ თანამდებობაზე ჯერ რამაზ II-ს და შემდეგ იოვანე მაჭუტაძეს ვხვდავთ. სათავადოს უფროსობაც ჯერ პირველს და შემდეგ მეორეს აქვს. მამია III-ის გურიელობაშიც (XVII ს. მიწურული - XVIII ს. დამდეგი) სახლთუხუცესად ჯერ ისევ ივანე მაჭუტაძე ჩანს. ხოლო შემდეგ, გიორგი IV-ის ზეობაში (XVIII ს. პირველი ნახევარი) ეს სახელო ალექსანდრე II მაჭუტაძეს უკავია“ (გვ. 248-249).

ო. სოსელია მირზაბეგ თავდგირიძის ბოქაულთუხუცესობის დროს 1664-1713 წლებით ფარგლავს. მას შემდეგ, რაც აღნიშნავს, რომ გურიაში XVIII საუკუნის მიწურულამდე „თავდგირიძეების ხელთ იყო ბოქაულთუხუცესობა“, მირზაბეგის შესახებ წერს: „1664-1712 წ. ეს სახელო მირზაბეგ I თავდგირიძეს ჰქონდა (მისი ბოქაულთუხუცესობის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ აღებულია მამია III-ს ზეობის დასაწყისი - 1664 წ., რომლის დროს... მიიღო მირზაბეგმა ეს თანამდებობა, და როსტომ თავდგირიძის ბოქაულთუხუცესობის წინა წელი, რომელიც 1712 წელზე მოდის. 1713 წ. ბოქაულთუხუცესად უკვე როსტომი იხსენიება)“⁵⁴.

ბოლო დროს გამოსულ „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ მეორე ტომში⁵⁵, რომელიც XI-XVII საუკუნეთა ქართული ისტორიული საბუთების მიხედვითაა შედგენილი, მირზაბეგ თავდგირიძეს არსებითად იგივე მიახლოებითი თარიღი უზის - 1664-1701 წლები (გვ. 267).

ო. სოსელია ნაკაშიძეთა შესახებ უმთავრესად დ. ბაქრაძის მასალების მიხედვით მსჯელობს. ბეჟან ნაკაშიძე, როგორც მეღვინეთუხუცესი, ნახსენებიც არა აქვს. აი, რა ცნობებს გვაწვდის ის ამ თანამდებობის თაობაზე: „მეღვინეთუხუცესის სახელო გურიის სამთავროში ნაკაშიძეებზე ადრე ართმელიძეთა სახლს ჰქონდა. ნაკაშიძეთა საგვარეულომ ეს თანამდებობა ართმელიძეთა დამცრობის შემდეგ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. პირველად ამ თანამდებობით იხსენიება მამუკა ნაკაშიძე გიორგი III გურიელის დროს - 1664-1684 წწ. ამიერიდან გურიის სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე მეღვინეთუხუცესობა ნაკაშიძეთა ხელშია. 1770 წ. მეღვინეთუხუცესად გიორგი ნაკაშიძეს ვხვდავთ. 1827 წ. ეს სახელო ივანე ნაკაშიძეს უჭირავს“⁵⁶. მკვლევარი

⁵⁴ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), II, თბ., 1981, გვ. 184.

⁵⁵ გამოსაცემად მოამზადეს დ. კ. ლ. დ. ი. ა. მ. ვ. ი. ლ. მ. ა. და მ. ს. უ. რ. გ. უ. - ლ. ა. ძ. ე. მ., თბ., 1993.

⁵⁶ დასახელებული „ნარკვევები“, II, გვ. 168.

ბევან ნაკაშიძეს, როგორც მესტუმრეთუხუცესს, ახსენებს XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში (იქვე, გვ. 168).

ო. სოსელიას გამოკვლევით, მამუკა ნაკაშიძე ქალაქთუხუცესად „XVIII საუკუნის მიწურულსა და მომდევნო საუკუნის დაძვევს გვხვდება“ (იქვე, გვ. 169).

რადგან დ. ბაქრაძის მიერ მოწოდებული საბუთით, იქ ნახსენები პირებით არ ხერხდება იაკობ დუმბაძის შემოქმედლობის თარიღი მამია III-ის ხანაში გარკვეული წლებით შემოიფარგლოს, ენახოთ, მაღაქიას შემდეგ ვის და როდის უჭირავს ეს თანამდებობა.

ქ. ჩხატარაიშვილი მაღაქიას შემოქმედის მიტროპოლიტად 1684 წლამდე მიიჩნევს (გვ. 150), ალბათ, იმის გამო, რომ ამ წელს ის გურიის მთავარი გახდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ქრონოლოგიურ ცხრილში იუწყება: „1684, ტოზ: როკითს ალექსანდრე მეფეს (იმერეთის მეფე ალექსანდრე IV - ბ. დ.) გაემარჯვა. მოკლეს გიორგი (გიორგი III ქაიხოსროს ძე - ბ. დ.) გურიელი. და გაგურიელა (// იქნა გურიელად) მაღაქია, ძმა გიორგისა“.

ვახუშტი იქვე გვამცნობს, რომ მომდევნო წელს მაღაქია ახალციხეს წავიდა: „1685, ტოზ: დაჯდა გურიელად ქაიხოსრო გიორგის ძე. მაღაქია ახალციხეს წარვიდა“⁵⁷. იმავე ვახუშტის ცნობით, 1689 წელს მაღაქია ისევ დასვეს შემოქმედელად, მანამდე კი მას დიდი თავგადასავალი გარდახდა: თვალები დასთხარეს და გურიის მთავარიც იყო. ვახუშტი მოგვითხრობს: როცა 1685 წელს ახალციხის ფაშის მიერ გურიის მთავარი ქაიხოსრო II გახდა, „მაღაქია, ბიძა მისი, წარვიდა ახალციხეს. ესე მაღაქია ფაშამ შემოაწყწარა და აღუთქვა ქაიხოსრომ უვნებლობა მაღაქიასი. არამედ მოსრული გურიას შეიპყრა ზაკვით ქაიხოსრომ მაღაქია და აღხადა თუაღნი ბიძასა თვისსა. ესმა რა ფაშას, აღუძნდა ფრიად და მცდელობდა შურისგებასა ქაიხოსროსასა“.

1689 წელს ფაშამ შავშეთის ბეგს ქაიხოსრო მოაკვლევინა და გურიელად მაღაქია დასვა. ახალციხის ფაშამ „შემდგომად - განაგრძობს ვახუშტი, - წარმოავლინა შავშეთის ბეგი მცირითა სპითა მოკითხვად გურიელისად და ამცნო ბეგსა, რათა მოკლას იგი. მოსრული ქაიხოსრომ ისტუმრა ბეგი. შემდგომად ისტუმრა ბეგმან და თავის წინაობასა შინა მოკლეს ქაიხოსრო გურიელი ქ-სა ჩ-კბთ, ქარ. ტოზ, წარიღეს თავი მისი და წარვიდენ, და გურიელად დაუტყვეს მაღაქია უთუალო“.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 907.

მცირე ხნის შემდეგ, იმავე წელს, ახალციხის ფაშამ გურიელობა გიორგი III-ის ძეს, მამია III-ს, უბოძა, ხოლო ამ უკანასკნელმა მალაქია შემოქმედელად გადაიყვანა. ვახუშტი გვიამბობს: „შემდგომად მცირე ჟამისა მოითხოვეს გურიელთა ძე გიორგისა და ძმა ქაიხოსროსი მამია უსუფ ფაშისაგან, რომელი მუნვე იყო ახალციხეს, და აღუთქვა ქრთამი დიდი. ფაშამ წარმოუვლინა და ჰყვეს გურიელად. ამასვე წელსა ამან მამიამ მისცა შემოქმედელობა მალაქიას და ჰყო მონაზონად“ (გვ. 849).

ქ. ჩხატარაიშვილი მალაქიას პირველ და მეორე შემოქმედელობას შორის შემოქმედელად ასახელებს დავით ნემსაძეს (გვ. 151). „დავით ნემსაძე - განმარტავეს იგი, - იმავდროულად აფხაზეთის კათალიკოსი (1684-1689)“. საბუთად ასახელებს დ. ბაქრაძის „არქეოლოგიურ მოგზაურობას“, სადაც დავითი შემოქმედელადაც არის ნახსენები: „ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზი შემოქმედელი ნემსაძე დავით“ (გვ. 290 [242-243]).

ჩვენ არ ვიცით, მალაქია შემდგომ სანამდე ითვლებოდა შემოქმედელად. ვახტანგ მეექვსის მიერ 1703 წლის 9 დეკემბერს ივანა ყანდუაშვილისადმი მიცემულ სააღაპო წიგნში მალაქია ქართლის სამეფო კარზე ჩანს და შემოქმედელად იხსენიება. ეს მალაქია რომ ქაიხოსრო პირველის ძეა, ამ სიგელიდანვე ჩანს: მალაქია ვახტანგს (ისე როგორც მამის მხრივ მის ნახევარძმებს იესეს, სვიმონსა და თეიმურაზს) თავის დისშვილებს უწოდებს (ცნობილია, რომ ქაიხოსრო I-ის ასული თუთა იყო ლევანის პირველი მეუღლე, ვახტანგ მეექვსის დედა).

ამ დოკუმენტის შესავალში ვკითხულობთ: „... ესე ამიერით უკუნის ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონის შვილმა პატრონმა ვახტანგ, ძმამა ჩვენმა პატრონმა იესუმ, სვიმონ და თეიმურაზ, თქვენ, ჩვენს ყმას გომიჯურელს ყანდუაშვილს ივანასა...“

ბოლოს კი წერია: „დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჳა კარის ჩვენისა მღინის ზურაბასითა ქრისტიანობისთვის თ. ვახტანგ. ქ. ჩვენ, ბატონმა შემოქმედელმ[ა] მალაქიამ ასე გ(ა)ვათ(ა)უ(ი)სუფლეთ, როგორათაც ბ(ა)ტონს ჩემს დისწულებს უბოძებია ეს სიგელი, ისრე ჩვენ გაგ(ვი)თ(ა)ვისუფლებია“. უზის შემოქმედელის ბეჭედი⁵⁸.

⁵⁸ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1940, გვ. 121.

ქ. ჩხატარაიშვილი მალაქიას მომდევნო შემოქმედელად ასახელებს იოანეს. მისი სიტყვებია: „იოანე, მამია III გურიელის დროს, 1713 წლამდე, არქიეპისკოპოსი“ (გვ. 151).

აი, საამისო საბუთები, რომელსაც მკვლევარი მიუთითებს:

დ. ბაქრაძე იმოწმებს ერისთავ გიორგი შერვაშიძისადმი მიცემულ გიორგი IV გურიელის, მისი მეუღლის ხვარამზე დადიანისა და მათი ძის მამია IV-ის სიგელს, სადაც მოწმებდად დასახელებული არიან: ბოქაულთუხუცესი გიორგი თავდგირიძე, შემოქმედელი იოანე, ბეჟან ნაკაშიძე და გაბრიელ თაყაიშვილი (გვ. 297 [248]).

ლევან გურიელის მიერ ბეჟან ნაკაშიძისადმი მიცემული წყალობის წიგნი: [ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ], „... გურიელმან ბატონმან ლეონ, შენ, ნაკაშიძეს ბეჟანს, შვილებთა შენტა და მომავალთა შენტა ყოველთავე: - გიბაი ხელაძე მის ცოლშვილითა და მისის ყოვლისფერითა გვიბოძებია და გიბედ[ნიეროს] ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურშიდან. ამის მოწამე არის თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი. კაცთაგან მოწამე არის: თავდგირიძე გიორგი, მაჭუტაძე იოვანე, შემოქმედელი იოვანე, ხოსია ჭყონია და მღვიანი გაბრიელ. გურიელი ლევან“⁵⁹.

ამგვარივეა ბეჟან ნაკაშიძისადმი მიცემული ლევან გურიელის მეორე წყალობის წიგნი (პირი): „... გურიელმა ბატონმა ლეონ შენ, ნაკაშიძეს ბეჟანს, შვილთა შენტა და მომავალთა შენტა ყოველთავე ამა პირსა ზედა, რომე მოჯალაბეთ გიბოძეთ ფრანგულაისშვილის კაცი გიორგობაი სულაძე მის ცოლშვილ[ი]თა და მისის ყოვლის ფერითა გვიბოძებია და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენსა ერთგულად სამსახურში. ამის მოწამე არის თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი. კაცთაგან მოწამე არის: თავდგირიძე გიორგი, მაჭუტაძე იოვანე, შემოქმედელი იოვანე, ხოსია ჭყონია და მღვიანი გაბრიელ. გურიელი ლეონ“ (Hd 11475).

ქ. ჩხატარაიშვილს მიაჩნია, რომ ბაილეთის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში ნახსენები არქიეპისკოპოსი ეს იოანე შემოქმედელია (იხ. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 270 [226]).

სამწუხაროდ, ყველა ეს საბუთი უთარილოა. ნ. ბერძენიშვილი თავის გამოცემულ, ზემორე დამოწმებულ ლევან გურიელის წყალობის წიგნს 1701-1740 წლებით ათარილებს. სინამდვი-

⁵⁹ იქვე, გვ. 476.

ლემი, ნიკოლოზ შემოქმედელის შესახებ არსებული მასალები ამ თარიღს მნიშვნელოვნად ავიწროებს.

ზემოთ გაკერით აღვნიშნეთ, რომ შემოქმედის მიტროპოლიტი იყო აგრეთვე ნიკოლოზ მამია III-ის ძე. მასზე შემოქმედის მონასტერმა რამდენიმე ცნობა შემოგვინახა. ერთი მათგანი ზემოთ უკვე დავიმოწმეთ. აი, სხვებიც: მაცხოვრის ხატიდან ამძვრალი ხის არშიაზე დარჩენილი წარწერა: „მაცხოვარო მეუფეო და ხატო ღ(ვ)თაებისაო, მოწყალე ექმენ და იხსენ ყოვლისა სატანჯველისაგან ძე გურიელისა და პატ[...]-ისა მამიასი ფრიად ცოდვილი შემოქმედელ-მიტროპოლიტი ნიკ(ო)ლ(ო)ზ, რომელმან განაახლა ხატი ესე შენი და დასდვა თაესა ზ(ედ)ა მრავალი ფასი თვალი“ (დ. ბ ა ქ - რ ა ძ ე, არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 120 [110]).

მასიური ჯვრის ზურგის წარწერა: „ახლად შემამკობელი და განმახლებელი ჯვარისა ამის პატიოსნისა ძე გურიელისა მამიასი, შემოქმედელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ შ(ეიწყალ)ე ჯვარო და მასზედ ჯვარცმულო ქ(რის)ტე ღ(მერთო“ (იქვე, გვ. 127 [115]).

ოქროს ფეშხუმის ძირზე გაკეთებული წარწერა: „ქ. ხატო ღ(ვ)თაებისაო, შ(ეიწყალ)ე შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ“ (იქვე).

ამ მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სასაყდრე ბარძიშის ფეხზე მოთავსებული წარწერა, რომელიც თარიღინია და უჩვენებს 1713 წელს: „ქ. ხატო ღ(ვ)თაებისაო, შ(ეიწყალ)ე წმინდისა ამის ბარძიშისა განმახლებელი ფრიად ცოდვილი ძე გურიელისა მამიასი შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ და მოხსენებელნიცა მისნი ქ-სა ქრს აქეთ ჩლიგ“ (იქვე, გვ. 126 [115]).

ჩანს, ამ საბუთს ეყრდნობოდა ქ. ჩხატარაიშვილი, როდესაც იოანეს შემოქმედელობის დასასრულს და ნიკოლოზის დასაწყისს 1713 წლით განსაზღვრავდა (გვ. 151).

ნამდვილად კი, ერთადერთი, რაც ამ საბუთის მიხედვით გადაჭრით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ 1713 წელს ნიკოლოზი შემოქმედის მიტროპოლიტია. თუ როდის მიიღო მან ეს თანამდებობა, ამ წელს თუ წინა წლებში, აქედან არ ჩანს და საამისოდ სხვა წყაროებს უნდა მივმართოთ.

დასმულ საკითხს რამდენადმე უკავშირდება იმის განსაზღვრა, თუ ნიკოლოზი სანამდე იყო შემოქმედელად. დ. ბაქრაძის მოსაზრებით, ის 1755 წელს გარდაიცვალა. „სამ წინა წარწერაში, - აღნიშნავს მკვლევარი, - მოხსენიებული ძე მამიასი შემოქმედელი ნიკოლოზ გურიის ბერ წარწერასა და სიგელში გვხვდება; სიგელთაგან იგი დასახელებულია: მამია III (+1719) მეუღლის, აბაშიძის ასულ

ელენეს სიგელში როგორც მისი შვილი; გიორგი IV გურიელის († 1726) სიგელში როგორც მისი ძმა; გურიელების სიგელები: მამია IV, რომელიც გურიაში გამთავრდა 1720, და გიორგი V, რომელმაც მამია შეცვალა 1744 წელს, როგორც ორივეს ბიძა. ნიკოლოზის გარდაცვალება აღნიშნულია გიორგი V დროს მის სიგელში, რომელიც გაცემულია 1755 წელს“ (იქვე, გვ. 127 [115]).

დ. ბაქრაძეს ამ სიგელის ტექსტი არ მოჰყავს. არც იმას მიუთითებს, სად არის ის დაცული. სხვა მასალები გვიჩვენებს, რომ ეს შეხედულება სწორი არაა, ისე როგორც მის მიერ დასახელებული თარიღი - თითქოს, გიორგი V-მ მამია IV 1744 წელს შეცვალა (სინამდვილეში ეს 1784 წელს მოხდა).

ქ. ჩხატარაიშვილს მიაჩნია, რომ ნიკოლოზის მიტროპოლიტობა 1776 წლამდე გრძელდებოდა. ის მოკლედ აღნიშნავს: „ნიკოლოზი, მამია III გურიელის ძე, მიტროპოლიტი (1713-1776)“. მკვლევარს ეს თარიღი (1776 წ.) 1777 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ მამუკა თავდგირიძის პირობის წიგნის მიხედვით გამოჰყავს, სადაც შემოქმედელად უკვე იოსებია (გვარად თაყაიშვილი) დასახელებული: „ქ. ნებითა ღ(ე)თისათა ესე მტკიცე და უცვლადო წიგნი მოგართვი მე, თავდგირიძემ მამუკამ თქვენ, ბატონს კ(ათალიკო)ზს მაქსიმეს, გენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის, შემოქმედელს იოსებს, ჯუმათელს სიმონს, ხინოწმინდელს იოანეს, ამისთვის, რომ გურიის ქვეყანას ეპისკოპოსი არეინ იჯდა და ამის პირისათვის ბატონს გურიელის გიორგისთან მობრძანდით თქვენის კრებულით და ეკლესიების საქმეზედ დაელაპარაკეთ...“ ბოლოს: „დაიწერა ქ-ეს აქეთ ჩლოზ, თვესა დეკემბერს ლ“⁶⁰.

იოსები შემოქმედელად დასახელებულია აგრეთვე თითქმის ერთი წლით ადრე - 1777 წლის 10 იანვრით დათარიღებულ გიორგი გურიელისა და მამუკა თავდგირიძის პირობის წიგნში: „არის ამ აღთქმისა მოწამე გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმე, შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსებ, ხინოწმინდელი ეპისკოპოსი იოანე, არხიმანდრიტი სიმეონ. დაიწერა წელთა ქ-ეს აქეთ ჩლოზ, თვესა იანვარსა ი“ (იქვე, გვ. 60).

ო. სოსელია ნიკოლოზ შემოქმედელის გარდაცვალებას 1775 წლის „წინარე ხანაში“ ვარაუდობს⁶¹.

⁶⁰ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 62.

⁶¹ ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, გვ. 16.

მასალები საშუალებას იძლევა, ნიკოლოზს შემოქმედის კათედრაზე თვალს ვადევნებდეთ 60 წლის მანძილზე, დაწყებული 1713 წლიდან, იმავე საუკუნის 70-იან წლებამდე.

ნიკოლოზი ამ თანამდებობაზე ჩანს ვახტანგ მეექვსისადმი გაგზავნილ გიორგი IV გურიელის ბარათში, სადაც გიორგი ვახტანგს მეფესა და ბიძას უწოდებს: „ვახტანგს. ქ. შარავანდელთა სათნობისათა მომფენელსა..., ძესა მეფისასა და თვით მეფესა, ბიძა ჩემსა, ბატონსა, ჩვენ, არვეობისა მაგათისა შორით გონებით მჭვირობელი, და ეგრეთ ზილვისა მოწადე, მა[...]ლი გურიელი გიორგი, მეფობისა წესსა ზედან გიხაროდენსა მოუძღვანებ და მოვიკითხავთ... სხვა ჩემის ძმის, შემოქმედელის ნიკოლოზის, ეს მოვახსენოთ, რომელიც მოგვიხსენებია ჩვენ...“ (Hd-1431).

ეს ნიკოლოზ შემოქმედელი დასახელებულია აგრეთვე გიორგი IV გურიელის მიერ ფარსადან დუმბაძისა და მისი შვილების - ივანესა და ესესადმი მიცემულ წყალობის წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „... არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორციონი და ზორციელნი, კაცთაგან: ბიძა ჩემი ბატონიშვილი შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, ნაკაშიძე საყვარელი, მაქსიმესშვილი გიორგი, შალიკაშვილი ვახუშტი, როსტომ შალიკაშვილი, მაჭუტაძე როსტომ, ნაკაშიძე ბერი, თიკანაძე გიორგი...“⁶². ეს საბუთიც უთარიღოა.

ნიკოლოზია ის შემოქმედელი ეპისკოპოსი, რომელიც 1756 წლის თებერვალში ერეკლე II-ის ძის, ლევანის, დაბადების მომდევნო დღეებში მამია IV გურიელისათვის დახმარების სათხოვნელად თეიმურაზ II-სა და მის ვაჟს ეწვია. პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: „ჭორნიკონს უმღ (=1756), თვესა თებერვალსა ქალაქსა თბილისისასა დაწვა დედოფალი დარეჯან კახეთისა, შვა ძე კეთილსახითა შემკობილი ლევან. იყო სიხარული ფრიადი ორმოცსა დღესა, მოვიდა გურიელის ბიძა, შემოქმედელ ეპისკოპოსი, შემოეხვეწა მეფეთა ჩვენთა შველად გურიელისად. ჩამოსდგომოდნენ ურუშნი და მეფე იმერეთისა სოლომან, გარდმოეგდოთ გურიელი მამია, დაესვათ უმცროსი ძმა გურიელისა...“⁶³.

⁶² ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 774 საბუთი.

⁶³ პაპუნა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, გექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ყ ა გ ა რ ე ი - შ ვ ე ლ მ ა, თბ., 1981, გვ. 237-238.

თავადთა და თავადაზნაურთა მიერ სოლომონ I-ისადმი მიცემულ, 1759 წლის 30 დეკემბერს შედგენილ ხელწერილში ვკითხულობთ: „... და ჩვენ(ი)ს მწყემსმთავარის ყოვლად სანატრელის უფლის კათალიკოზის ბესარიონის დამტკიცებით; ჭყონდიდელ მიტროპოლიტის გაბრიელის, გენათელის იოსების, შემოქმედელის ნიკოლოზის, ცაგარელის გრიგოლის..., ხინოწმინდელის მაქსიმეს..., ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიულთა სამღვდელო-სამონაზვნო მწყობრთა, ღმრთისა და ყოველთა საღმრთო დასთა შუუობითა, მოგართვით თქვენ, მეფეს სოლომონს: მე, დადიანმა კაციაჲ; მე, გურიელმან მამიაჲ..., გურიელის ძემ გიორგიჲ...“

ბოლოს არსებული ხელმოწერიდან ვგებულობთ, რომ ეს ნიკოლოზი გურიელის ძეა: „ქრისტეს ვარ მქებელი... შემოქმედელად ძე გურიელის... მიტროპოლიტი ნიკოლოზ“. ხელწერილი კი ასეა დათარიღებული: „მე, არქიმანდრიტს სილიბისტროს, დამიწერია ყოველთა მოწმობით და ერთხმობით ბძანებული ესე; ქრისტეს აქეთ ჩნთ, ქრისტეშობის თვეს ლ, დღესა ე“⁶⁴.

მამია IV გურიელის მიერ აფხაზეთის კათალიკოს ბესარიონისადმი 1760 წლის 10 თებერვალს მიცემული შეუვალობის წიგნი ასეა დამტკიცებული: „დაგვიმტკიცებია წიგნი ესე ბრძანებითა და ჯერჩინებითა შემოქმედელ მიტროპოლიტსა ბიძის ჩემის, ბატონის ნიკოლოზისათა და ხინოწმინდელ მაქსიმესითა და სრულიად ერთობით გურიულთა სამღრთოთა და საერთა დასთა ერთობითა. ქრისტეს აქეთ ჩღმ, ფებერელის ი“ (იქვე, გვ. 717).

1761 წლის 23 აპრილს შედგენილი სილომონ I-ისა და საეკლესიო კრების განწესება: „ამაზედ შემოკვრიბეთ: თავად უფალი ჩვენი, ყოვლად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონ, უფლისწული ძმა ჩვენი ყოვლად [სამღვდელ]ო გენათის მიტროპოლიტი გრიგოლ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, შემოქმედელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, მიტროპოლიტი დანიელ, ბედიელ მიტროპოლიტი მაქსიმე..., და სხვანი ერთობით ლიხთ-იმერთა კრებულნი“. თარიღი: „აღიწერა სიგელი ესე ქრისტეს[ა] აქეთ ჩღმა, დასაბამითგან სათ, თვესა აპრილსა, კგ დღესა, თვით გიორგობის დღეს ბ“⁶⁵.

მამია IV გურიელის მიერ გურიის უდაბნოს მონასტრისადმი 1770 წლის 2 ნოემბერს შედგენილი „შეწირულობის წიგნი“. „... კაცთაგან არის ამის მოწამე და ნებადამრთველი ბატონიშვილი

⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დ. ო. ლ. ი. ძ. ე. შ., თბ., 1977, გვ. 713-715.

⁶⁵ ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1970, გვ. 845-846.

ბატონი კათალიკოზი იოსებ, შემოქმედელი ნიკოლოზ, ბოქაულთუხუცესი თავდგირიძე მამუკა, მელვინეთუხუცესი ნაკაშიძე გიორგი“ და სხვა. თარიღი: „ღამიწერია მღვიანს იესეს ქორანიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოცდაათსა, თვესა ნოემბერსა ორსა“⁶⁶.

ეს ნიკოლოზი უნდა იყოს მოხსენიებული ქ. ჩხატარაიშვილის მითითებულ ლიტერატურაში. ერთია ალ. ცაგარელის მიერ გამოცემული მამია IV გურიელისა და სხვათა მიერ 1771 წლის თებერვალში იმერეთის მეფე სოლომონ I-თან დადებული ხელშეკრულება⁶⁷ და მეორე, უფრო საყურადღებო, გიულდენშტედტის მონათხრობი. ეს უცხოელი მეცნიერი საქართველოში მოგზაურობისას, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე ყოფნისას, 1772 წლის ზაფხულში შეხვედრია შემოქმედის მიტროპოლიტს. „გურიელთა თავადური გვარიდან, - გვიყვება იგი, - კარზე იყო ეპისკოპოსი გურიისა, რომელსაც აქვს საჯდომი შამოქმედში და მას ჰქვია შამოქმედელი. მეფეს გურიელთან ურთიერთობა ჰქონდა და მძევლები ჰყავდა მისგან აყვანილი. ამ ურთიერთობას აწარმოებდა ეპისკოპოსი, 70 წლის მოხუცი. მან მინახულა მე და გურიაზე მითხრა შემდეგი: შამოქმედელის მონასტრის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილები გურიაში არის ჯუმალი (=ჯუმათი) და ზინო...“⁶⁸.

უცხოელი მოგზაური ამ შემოქმედელის სახელს არ ასახელებს, მაგრამ, ის რომ ნიკოლოზია, ამას ადასტურებს მისივე ცნობა - „გურიელთა თავადური გვარიდან“ არისო.

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზს სიბერემდე მიუღწევია და შემოქმედელობაც შეუნარჩუნებია. იცოცხლა და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა თუ არა ის 1777 წლამდე, ჩვენი საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და ამის ძიებას აღარ გამოვედევნებთ. ჩვენთვის საკმარისია იმის ცოდნა, რომ 1772 წელს ის აღნიშნულ თანამდებობაზე ბრძანდებოდა.

თუ დაეშუშებთ, რომ ნიკოლოზი მიტროპოლიტად 1713 წელს დადგენილი ასაკის დაცვით ეკურთხა, გამოვა გიულდენშტედტს ის 96 წლის ასაკში უნახავს, რაც დიდად საეჭვოა. ისიც ცხადია, არც ამ უცხოელის შეფასებაა სწორი. თუ ნიკოლოზი 1772 წელს 70 წლისა იყო, ვღებულობთ, 1713 წელს, რო-

⁶⁶ ქართული სამართლის ძეგლები, VI, გვ. 718-719.

⁶⁷ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся по Грузии. Под ред. А. А. Цагарели, Т. I, СПб., 1891, გვ. 291.

⁶⁸ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. მ. ა., თბ., 1962, გვ. 129.

ცა ის უკვე მიტროპოლიტია, 11 წლისა არის. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ დაეუშვებთ: ნიკოლოზმა, როგორც გურიის მთავრის შვილმა, შემოქმედებლობა მიიღო ახალგაზრდობისას, 18-20 წლის (ან 25 წლამდე) ასაკში და სიბერეში, როცა ის 80 წელს მიტანებული ან გადაცილებული იყო, იმდენად მხნედ და კარგად გამოიყურებოდა, რომ უცხოელმა მოგზაურმა მას 70-ზე მეტი წლოვანება არ მისცა.

ეს ერთი მონაცემი. მეორე: ყურადღება უნდა მიექცეს იმ ბრძოლას, რომელიც გურიის სამთავროს კარზე XVIII საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, მამია III-ის ძემ ლევანმა იმერეთის მეფისა და ახალციხის ფაშის მეშვეობით 1712 წელს გურიელობა წაართვა თავის ძმას გიორგი IV-ს, რომელმაც ტახტი მომდევნო წელს დაიბრუნა. ზემოთ ვნახეთ, ლევანის გაცემულ საბუთებში შემოქმედებლობა უჭირავს იოანეს. ადვილი შესაძლებელია, როცა გიორგი IV-მ ძალაუფლება დაიბრუნა, შემოქმედელი შეცვალა და ეს სწორედ 1713 წელს მოხდა.

ასეა თუ ისე, ერთი უეჭველია: თუ ნიკოლოზი მიტროპოლიტად 1713 წელს არ დაუდგენიათ, ეს თარიღი ბევრად უკან მაინც ვერ გადაიწევა.

რაც შეეხება იოანეს შემოქმედებლობას, უნდა ითქვას შემდეგი: თუ 1703 წლის 9 დეკემბერს, როგორც ეს ივანა ყანდუაშვილისადმი მიცემულ სიგელშია, მალაქია მოქმედი შემოქმედელია, მაშინ იოანეს ამ თანამდებობაზე ყოფნა მიახლოებით 1704 წლის შემდეგ 1713 წლამდეა საგულეებელი. ამის მიხედვით შეიძლება დავიწროვდეს აგრეთვე იმ სიგელების საგარაუდო თარიღიც, რომლებშიაც იოანე შემოქმედელად არის ნახსენები. კერძოდ, ლევან გურიელის მიერ ბეჟან ნაკაშიძისადმი მიცემული წყალობის წიგნი დათარიღდეს არა 1701-1740 წლებით, როგორც ნ. ბერძენიშვილი იძლევა, არამედ, თუ კიდევ უფრო ადრე არა, - 1704-1712 წლებით მაინც.

თუ კიდევ უფრო ადრე არაო, იმიტომ ვამბობთ, რომ იოანეს ზეობის წლები ზუსტად არ ვიცით.

ეს მასალები გეიჩვენებს, რომ როგორც აქამდე იყო მიღებული, იაკობის მიტროპოლიტად ყოფნა 1713 წლიდან გამორიცხულია.

ვინაიდან არ ვიცით, როგორ ასრულებდა თავის მოვალეობას თვალვადათხრილი მალაქია, რომელიც 1703 წელს ქართლის სამეფო კარზე ჩანს, და არც იოანეს ზეობის წლები ვიცით, თუ დავეყრდნობით დ. ბაქრაძის დამოწმებულ სიგელს,

უნდა მივიღოთ: XVII საუკუნის 90-იან ან 1700-იან რომელიღაც წლებში იაკობი ისევ მოქმედი მიტროპოლიტი იყო. ამ აზრს გეიმტიციებს ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ცნობა. მაგრამ, სანამ მას დაეიმოწმებდეთ, მანამ გავეცნოთ იმ მონაცემებს, რაც მწერლის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ გვაქვს.

ანტონ კათალიკოსის მიხედვით, იაკობ ღუმბაძე გარდაიცვალა იერუსალიმში („იერუსალიმს დაჰხდა, დაშრიტნა სხივნი“). კლ. იოსელიანის სიტყვით, „მოხუცებისა ჟამსა წარვიდა ათონისა მთად; მერეთ მოვიდა იერუსალიმსა და მუნ აღსრულდა“⁶⁹.

ამასვე იმეორებდნენ დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე და მ. ჯანაშვილი. დ. ბაქრაძე ასახელებს პ. იოსელიანის ნაშრომს და წერს: „სიბერეში იმოგზაურა ათონის მთაზე და შემდეგ იერუსალიმში, სადაც კიდევ დაასრულა თავისი დღენი“ (არქეოლოგიური მოგზაურობა... გვ. 156 [140]).

ზ. ჭიჭინაძე: „სიბერის დროს იაკობ ღუმბაძე გაემგზავრა ათონის მთის ივერიის მონასტერში, იქ დარჩა რამდენიმე ხანს, ბოლოს გაემგზავრა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში და დასახლდა საშუამოთ, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ამის გარდაცვალების რიცხვი მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო წლებს მიეწერება, ასე 1698 წლებში“⁷⁰.

მ. ჯანაშვილი: „მოხუცებისას იაკობი წავიდა ათონის მთად, მოიხილა იქაური ლავრა, დაარსებული იოანე და თორნიკესაგან 980 წელს, და მერმე გაემგზავრა იერუსალიმს და იქ გარდაიცვალა. ზოგი ფიქრობს, სამშობლოში დაბრუნდა და აქ აღესრულა მამიას გურიელობაშიო († 1714 წ.)“⁷¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. ჟორდანიას ვარაუდით, იაკობი იერუსალიმში სეიმონს ახლდა XVII საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე, ხოლო გარდაცვალების თარიღია XVIII საუკუნის დასაწყისი. მისი დასაბუთება ასეთია: „რადგან იაკობი მელექეებში ახსენებს არჩილ მეფეს... და აგრეთვე იხსენიებს თანამედროვედ ბრძენს პროველსა, რომელიც უნდა იყოს ნიკოლოზ (ორბელიანი) პროველი (†1728 წ. ივლისს 19-ს), განათლებული პირი XVII-XVIII საუკუნეების მწერალი და მელექე (წ-ა ეფთვიმი «სიბრძნით სჯობდა ჩვენს პროველსა») და, ამას გარდა, იგი იხსენიება მამია III-ს (1689-1714 წწ.) და გიორგი XI-ს (1675-1709) [დროს], ამის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაკობი XVIII საუკუნის დასაწყისში

⁶⁹ „წყობილსიგყვაობის“ შენიშვნა, გვ. 224.

⁷⁰ დასახელებული წიგნი, გვ. 34.

⁷¹ „სახალხო გაზეთი“, 1912, N572.

მომკვდარა, მაგრამ 1713 წლის წინეთ, რადგან ამ წელს შემოქმედელად წარწერებში მოხსენიებულია ნიკოლოზ⁷².

დაახლოებით ამასვე იმეორებს ა. ხახანაშვილი: „Он был в Иерусалиме около третьей четверти XVII в“. „Из числа деятелей им упомянутых, важно отметить для установления даты его кончины имена стихотворца Мудреца Мровели - Николая Орбелиани (†1728 г.) и Мамии Гურიели (†1714)“⁷³.

კ. კეკელიძის თვალსაზრისი უკვე აღენიშნეთ: ის იაკობის გარდაცვალების თარიღად 1712 და 1713 წლებს ასახელებდა. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით გაზიარებულია ანტონ კათალიკოსის ცნობა მწერლის იერუსალიმში გარდაცვალებისა და დაკრძალვის თაობაზე, მანამდე კი, მინიშნულია, რომ მან მოსკოვი და კიევი მოიარა.

მოსკოვის დონის მონასტერსა და იქ დაცულ სულთა მატრიანეზე მსჯელობისას ფ. სიხარულიძე წერს: „მატიანეში სულის მოხსენიება დაწესებული აქვს ოთხმოცზე მეტ ქართველს. ისინი არიან შემწირველნი, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები.

ქართველთა სულის მოსახსენებლის მცირე ნაწილი XVII საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება, დიდი უმეტესობა კი - XVIII ს. პირველ მესამედს. რამდენიმე მოსახსენებელი XVIII ს. მეორე ნახევარში არის დაწესებული.

საარქივო დოკუმენტებით, დონის მონასტერთან ქართველთა კონტაქტი XVII ს. (დაბეჭდილია XVIII ს. - ბ. დ.) 90-იანი წლებიდან დასტურდება. იმ დროს მოსკოვს ჩასულმა ქართველმა მოღვაწეებმა, რუსეთის კულტურის სხვა განთქმულ კერებთან ერთად (ვოლოკოლამსკის მონასტერი, სერგი-სამების ლავრა და სხვა) დონის მონასტერიც მოიხილეს.

1696 წელს დონის მონასტერს ეწვია ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი იაკობ ღუმბაძის მეთაურობით.

ამ მონაცემებს «სულთა მატრიანეც» ავსებს, რომლის ცნობით, შემოქმედელ მიტროპოლიტს დონის მონასტრის საქონებისათვის შავი ცხენი შეუწირავს და იქ სულის მოსახსენებელი გაუჩენია.

ი. ღუმბაძის თანამებრძოლები, მწერლები და ნათესავები იმერელი არქიეპისკოპოსის შემდეგ არიან მოხსენებულნი: არქიეპისკოპოსი მაქსიმე (ნინოწმინდელი?), იოანე, ელისაბედი, გერასიმე, თეკლე, იესე, გაბრიელი და სხვა⁷⁴.

⁷² ქრონიკები I, გვ. 308-309.

⁷³ Очерки, III, გვ. 323.

⁷⁴ ფ. სიხარულიძე, მოსკოვში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის, ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 12, 1981, გვ. 98.

ფ. სიხარულიძე სხვაგან აღნიშნავს იაკობის კიევში მოგზაურობას: „ქართველი სასულიერო პირები არ კმაყოფილდებოდნენ რუსეთის კულტურის კერებით და თავიანთი მზერა მიაპყრეს სლავური კულტურის ცენტრებს. მაგ: კიევი-პეოროის გასაცნობად დიდი ამალით გაემართა მიტროპოლიტი იაკობი (დუმბაძე), ქრისტეფორე. მოსკოვიდან ქართველები გაემგზავრნენ იერუსალიმს და კულტურის სხვა განთქმულ კერებში“⁷⁵.

ფ. სიხარულიძე თავის ბოლოდროინდელ წერილში „იაკობ დუმბაძე - დიპლომატი“ ამ საკითხზე უფრო ფართოდ მსჯელობს და სხვა თარიღსაც ასახელებს: „1692 წელს მოსკოვს მყოფი მამუკა ბატონიშვილის გარდაცვალებამ აუცილებელი გახდა მოსკოვს ელჩობის გაგზავნა. მეფის ამალიდან ეს მისია იკისრა იაკობ შემოქმედელმა. 1693 წლის გაზაფხულზე, ქართველი მიტროპოლიტი იაკობი, ეპისკოპოს იოანეს, იაკობის ძმის გაბრიელის და სხვათა თანხლებით მოსკოვში რუს მოხელეთა წინაშე წარსდგა.

ქეთევან დედოფლისა და ალექსანდრე ბატონიშვილისათვის დაგვიანებული სამიძმრის გამოცხადების შემდეგ იაკობ შემოქმედელმა მოლაპარაკება გამართა რუსეთის სახელმწიფო კართან. იგი მიიღეს რუსეთის უმაღლესმა საერო და საეკლესიო პირებმა. გამჭრიახმა დიპლომატმა მათ მოახსენა მეფე არჩილის თავგანწირულ ბრძოლაზე ქრისტიანობისათვის და სამხედრო დახმარების საჭიროებაზე მიუთითა.

გამორჩეულმა საეკლესიო მოღვაწემ კარგად იცოდა «მესამე რომის» პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს მესვეურთა დაინტერესება ქრისტიანული სიწმიდეებით და აუდენციისას ჭეღურ ბუდეებით შექმული რამდენიმე წმიდანის ნაწილები უსახსოვრა კიდევ.

ხელმწიფემ და პატრიარქმა ქართველ სტუმრებს აღუთქვეს მოსკოვს გარშემო რუსული კულტურისა და სარწმუნოების კერათა მოლოცვასა და უცხოეთში გამგზავრებაზე ხელშეწყობა.

ქართველებმა გულდასმით დაათვალიერეს მოსკოვის მონასტრები, დონის მონასტერს მიტროპოლიტმა იაკობმა ცხენი «ყორანა» შესწირა.

ვოლოკოლამსკში, სერგი-სამებასა და სხვაგან ყოფნისას შემოქმედი მოღვაწენი დაეძებდნენ ისეთ ძეგლებს, რომლებიც მათ მშობლიური კულტურის ფუძის გასამაგრებლად გამოადგებოდათ.

მიტროპოლიტი იაკობი და მისი ამაღა არ დაკმაყოფილდნენ ჩრდილო რუსეთის კულტურის ცენტრთა დაზვერვით. განიზრახეს ათონს, ზოლო იქიდან იერუსალიმს გამგზავრება და გზად კიევში, პენორის ლავრის «მოლოცვის» გეგმაც დასახეს. იაკობ შემოქმედელსა და მის

⁷⁵ ფ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 230.

თანამემამულეებს საამისო სამგზავრო სიგელი უბოძეს და ახლობლები გააყოლეს.

ათონსა და იერუსალიმს მიმავალი ქართველი მოღვაწეები 1693 წლის შემოდგომაზე მოსკოვიდან პატივით გამოისტუმრეს“⁷⁶.

ამ საკითხზე ქ. ჩხატარაიშვილი მოკლედ აღნიშნავს: „1621 წელს მეფე მიხეილ თევდორეს ძემ გურიელს დახმარება აღუთქვა. ამ დროიდან ირანს ან ოსმალეთში გაგზავნილ რუს ელჩებს მთავრობა, სხვათა შორის, გურიის ამბების გაგებასაც ავალებდა (მაგ. 1650 წელს, ალექსი მიხეილის ძის დროს), მაგრამ გასაგები მიზეზების გამო (რუსეთი საქართველოდან მამინ ძალიან შორს იყო) საქმე ამაზე წინ არ წასულა. 1694 წელს მოსკოვს ჩავიდა იმერეთის მეფის ელჩი, შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ ღუმბაძე, რომელმაც რუსეთის საგარეო საქმეთა მესვეურებს გააცნო იმდროინდელი გურიის ვითარება“⁷⁷.

ქ. ჩხატარაიშვილი „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხების“ VI კრებულში დაბეჭდილ გამოკვლევაში კიდევ უფრო მოკლედ წერს: იაკობი „1694 წ. ჩავიდა მოსკოვში, 1697 წ. - კიევში. გარდაიცვალა იერუსალიმში“ (გვ. 150).

ა. ხინთიბიძე იმეორებს ანტონ კათალიკოსის, ზ. ჭიჭინაძის, მ. ჯანაშვილის, ლ. მენაბდისა და ფ. სიხარულიძის მოსაზრებებს: „1696 წელს, - წერს იგი, - ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი იაკობის მეთაურობით დონის მონასტერს ეწვია. იაკობს მონასტრისათვის ცხენი შეუწირავს და იქ სულის მოსახსენებელი გაუწენია. მონასტრის „სულთა მატთანეში“ შემოქმედელ-მიტროპოლიტის გვარიცაა ჩაწერილი (მითითებულია ფ. სიხარულიძის წერილი - ბ. დ.).

სიცოცხლის ბოლო ხანებში იაკობმა წმინდა ადგილები მონახულა. წავიდა ათონის მთაზე, ივერიის მონასტერში, შემდეგ იერუსალიმს, ჯერის მონასტერში, სადაც 1713 წელს აღესრულა კიდევ...

იერუსალიმის ჯერის მონასტრის ხელნაწერებში დაცულია იაკობისეული მინაწერები (მითითებულია ლ. მენაბდის „ძველი ქართული მწერლობის კერები“ - ბ. დ.). ზოგი ფიქრობს, - წერს მოსე ჯანაშვილი, - რომ იერუსალიმის შემდეგ იაკობი სამშობლოში დაბრუნდა და იქ აღესრულა მამიას გურიელობაში (1714), ზოგსაც იაკობის გარდაცვალების თარიღი საუკუნის მიწურულს გადააქვს (ზაქარია ჭიჭინაძე)“ (გვ. 6-7 [7-8]).

⁷⁶ „გუმბაზოული“, 1999, 2.

⁷⁷ ქველი ჩ ხ ა ტ ა ი მ ვ ი ლ ი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 4.

რაა აქედან სარწმუნო და რა - საძიებელი?

იაკობის რუსეთში მოგზაურობის თაობაზე ქ. ჩხატარაიშვილის ზემორე დამოწმებული ნაშრომებიდან პირველში წყარო მითითებული არ არის, მეორეში დასახელებული ლიტერატურა მნიშვნელოვანს არაფერს იძლევა.

დიდად გულდასაწყვეტია, რომ ჩანს, ფ. სიხარულიძეს იაკობის რუსეთში ყოფნის ამსახველი საყურადღებო მასალები უნახავს, მაგრამ მათ ჯეროვნად არ წარმოგვიდგენს და ამიტომაც საკითხი სათანადოდ გაშუქებული არ არის. ასე, მაგალითად, ხელჩასაკიდი არაფერი გვაქვს, იაკობის რუსეთში ჩასვლაზე ვისი თარიღი მივიღოთ? - ქ. ჩხატარაიშვილი ასახელებს 1694 წელს, ფ. სიხარულიძე - 1696 და 1693 წლებს⁷⁸.

იაკობს რომ რუსეთში ნამდვილად უმოგზაურია, ამას აქაური მასალაც ადასტურებს. შემოქმედის კუთვნილი სახარების ბოლოს გენათელი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე გვაუწყებს: „სახარების ამის კუბო და ერთი შეკრული ქალაღი ესე რუსეთიდან ღუბაძეს შემოქმედელს იაკობს შემოქმედს დასადებად გამოუგზავნია. ჩ(ვენ) გენათელმან ლორთქიფანიძემან ნიკოლოზ დაეწერინეთ“⁷⁹.

ეს ცნობა იმ საკითხის გადასაწყვეტადაც დიდად საყურადღებოა, თუ იაკობი შემოქმედელად სანამდე იმყოფებოდა. როგორც ვხედავთ, რუსეთში მყოფი იაკობი, რომელიც კვლავ შემოქმედელად იხსენიება, შემოქმედის მონასტრისათვის თავდადებით ზრუნავს. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ის ისევე შემოქმედში მოღვაწეობს და ამ დიდი დამსახურების კაცს იქ ისევე უმაღლესი თანამდებობა უჭირავს.

ნიკოლოზ ლორთქიფანიძის გენათელობის დრო ისე ხანგრძლივია, რომ საშუალებას არ იძლევა, ამით იაკობის რუსეთში ყოფნის წლები განისაზღვროს.

ნიკოლოზი გენათელად აკურთხეს 1683 წელს, მისი ბიძის, გედეონის, გარდაცვალების შემდეგ. თანაც, ამ მოვალეობას ის 1669-1675 წლებშიაც ასრულებდა, როცა გედეონი რუსეთში იმყოფებოდა⁸⁰.

⁷⁸ ამ ოციოდე წლის წინათ რუსეთში სამეცნიერო მივლინება ძნელი საქმე არ იყო. ახლად, მეცნიერებისათვის ამ ყოველად გაუსაძლის პირობებში, რუსეთში მივლინება კი არა, იაკობ შემოქმედლისათვის ქუთაისში ჩასვლა და იქაურ მუზეუმში მუშაობა ძლივს მოვახერხეთ.

⁷⁹ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და მენიშვნები, I, თბ., 1907, გვ. 39.

⁸⁰ ო. ს. ო. ს. ე. ლ. ი. ა., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, გვ. 139-140.

„პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ მეორე ტომში ნიკოლოზ ლორთქიფანიძის გენათელობის დროდ 1683-1695 წლებია მითითებული, სადაც ბოლო წელი ვარაუდის სახით არის მოცემული (გვ. 578-579).

იაკობი რომ იერუსალიმშიაც ყოფილა⁸¹, ამის მაჩვენებელია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტპეტერბურგის განყოფილებაში დაცული იოანეს სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტების ნუსხაზე (M13) გაშლილი მხედრული ხელით შესრულებული მინაწერი: „ქ. იოვანე თეოლოლო, მეოხ ექქენ წიგნისა ამის წამკითხავსა შემოქმედის მიტრაპოლიტსა ღუმბაძესა იაკობს“ (გვ. 489 რ).

როგორც ამ მინაწერის პირველი გამომქვეყნებელი ალ. ცაგარელი⁸² შენიშნავს, ეს ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმთან ახლო მდებარე საბას ლავრაში, იაკობს კი უნახავს ჯერის მონასტერში. ხელნაწერი იერუსალიმიდან 1806 წელს წამოუღია გიორგი ავალიშვილს. ამას გვამცნობს მისი მინაწერი: „წელსა ჩუგ, აპრილის დ მივიღე წიგნი ესე იოანე ოქროპირის მიერ თარგმანება იოანეს სახარებისა, იეროსალიმს ჯვარის ამაღლების მონასტრიდამ, ბრძანებითა წ(მიდ)ისა პეტროს მიტროპოლიტის მიხაელისა და ს(რულია)დ კრებულისა მისისა ნებართვითა, თავადმან გიორგი ავალოვმან“ (1 v).

თ. ჟორდანიას ეს მინაწერი მოჰყავს ტარასი არქიმანდრიტის (ტარასი ალექსი-მესხიშვილის) მიერ 1830 წელს აქედან გადმოწერილი პირის მიხედვით (ქრონიკები, I, გვ. 179) და იქვე კიდევ იმოწმებს იმავე ტარასის გადმოწერილ იაკობ შემოქმედელის სხვა მინაწერებს: „წ-ო გ-გოლნო, მეოხ ყუენით იაკობს (ხელჩართულად: „შემოქმედელს“). - მკითხველნო... ცოღვილი მიტროპოლიტი იაკობ (შემოქმედელი) შ(ეიწყალ)ეთ“ (გვ.181).

ალ. ცაგარელს მოჰყავს ნ. ჩუბინიშვილის მიერ აღწერილი იერუსალიმის მონასტერში დაცული სამოციქულოს თარგმანზე გაკეთებული შემდეგი მინაწერი: „წიგნისა ამის ღამთავებელი მიტროპოლიტი შემოქმედელი იაკობ მოიხსენე“⁸³.

⁸¹ ლ. მ ე ნ ა ბ დ ე ფრთხილად შენიშნავს: „იერუსალიმურ ხელნაწერთა ზოგიერთი მინაწერი საფიქრებელს ხდის, რომ ჯერის სავანეში ყოფილა მწიგნობარი იაკობ ღუმბაძე“ (ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 123).

⁸² Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае Ал е к с а н д р а Ц а г а р е л и, ст.187-188.

⁸³ Сведения о памятниках Грузинской письменности А. А. Ц а г а р е л и, т.1, вып. III, СПб., 1894, ст. 51.

ამგვარ მინაწერზე მიუთითებს ნ. მარიც⁸⁴.

თუ როდის იმყოფებოდა იაკობი იერუსალიმში, არ ვიცით. თ. უორდანი ვარაუდობდა, ის იქ დიდხანს იყო⁸⁵.

რაც შეეხება ათონის მთაზე მოგზაურობას, რასაც პირველად პ. იოსელიანი წერს და შემდგომ სხვები დაბეჯითებით იმეორებენ, ამის ამსახველი რაიმე წყარო ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

*

იაკობის გარდაცვალების დროის განსაზღვრა არჩილის, გიორგი XI-ის, მამია III-სა და ნიკოლოზ ორბელიანის გარდაცვალების თარიღთა მიხედვით, როგორც თ. უორდანი და ა. ხანანაშვილი გეთავაზობენ, გამართლებული არ არის. ვნახეთ, არჩილი იაკობის თანატოლი კი არა, მასზე მნიშვნელოვნად უმცროსია; კიდევ უფრო უმცროსია გიორგი XI, რომელიც მოკლეული იქნა და ასაკის გამო არ გასცლია ამ ქვეყანას. ასევე ბევრად უმცროსი ჩანს მამია III-ც. ხოლო „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ნახსენები მროველი არ შეიძლება იყოს ნიკოლოზ ორბელიანი, სულხან-საბას ძმა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი გვიან, 1672 წელს, არის დაბადებული⁸⁶, იაკობის აღნიშნული თხზულება კი 1681 წლამდეა დაწერილი (ამაზე ქვემოთ). ისე კი, კ. კეკელიძემ გაარკვია: ის ნიკოლოზი, რომელიც თ. უორდანის ორბელიანად მიაჩნია, მეფე ვახტანგს გადაჰყვა რუსეთს და იქ მოკვდა თითქოს 1728 წლის ივლისის 19-ს, სინამდვილეში არის ნიკოლოზ რუსთველი, გვარად ჩერქეზიშვილი, რომელიც 1728 წელს გარდაიცვალა კი არა, 1733 წელსაც ცოცხალია⁸⁷. ამჯერად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ, ვინც უნდა იყოს იაკობის მიერ ნახსენები მროველი, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა იაკობის გარდაცვალების თარიღის დასადგენად მაინც ვერ გამოდგება.

⁸⁴ ნ. მ. ა. რ. ი., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბუჟდად მოამზადა ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. მ. ა., თბ., 1955, გვ. 63.

⁸⁵ ქრონიკები, I, გვ. 127.

⁸⁶ კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 345; ლ. მ. ე. ნ. ა. ბ. ლ. ე., ნიკოლოზ ორბელიანი, თბილისის. სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული: სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 147.

⁸⁷ კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 340.

თუ მკაცრად განვსჯით, ასევე უნდა შეფასდეს 1713 წელიც. ვინაიდან წინა ხანის შემოქმედელთა ზეობის თარიღები ზუსტად არ ვიცით, ხოლო ამ წლიდან ნიკოლოზს ეს თანამდებობა უწყვეტად და ხანგრძლივად უჭირავს, 1713 წელი იაკობის მიტროპოლიტობის უგვიანესი თარიღის განმსაზღვრელი უთუოდ არის, მაგრამ საკითხის განყენებულად განხილვისას მისი სიცოცხლის დასასრულის უტყუარი მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს.

ისე, თუ ყველა მონაცემს ერთიანად გაეითვალისწინებთ და მეტ მნიშვნელობას დაბადების სავარაუდო დროს მივანიჭებთ, უფრო საფიქრებელია, იაკობი გარდაცვლილი იყოს XVII საუკუნის ბოლოს ან მომდევნო საუკუნის დასაწყისში.

გარდაცვალების ადგილის თაობაზე ანტონ კათალიკოსის ცნობა საკმარისად ადრინდელია და სარწმუნო ჩანს. ის, მართლაც, იერუსალიმში უნდა იყოს გარდაცვლილი და ჯერის მონასტერში დაკრძალული. ამას მხარს უჭერს იქ დაწესებული აღაპი: „სულის წ(მილ)ის წინ შაბათსა ტრაპეზი შემოქმედელისა იაკობისათვის გაგვიჩნია“⁸⁸.

ამ მხრივ საინტერესოა ბ. ლომინაძის შეხედულება. „საერთოდ, ჩვენი დაკვირვებით, - წერს იგი, - ეპიტაფიების ავტორები, როგორც წესი, თვითონ პატრონები არიან. პატრონი საუკუნო აღაპისა და სულის მოსახსენებლის საბუთს უფრო ხშირად თვითონ ადგენდა წინასწარ, ასევე ეპიტაფიის ტექსტსაც თვითონ წერდა (ალბათ ზოგჯერ ქვასაც იმზადებდა წინასწარ, როგორც საფლავს). ყოველ შემთხვევაში, პატრონის სანქცია აუცილებელი იყო“⁸⁹.

ამრიგად, იაკობ შემოქმედელის განვლილი ცხოვრების გზა ასე წარმოგვიდგება: დაბადებული უნდა იყოს XVII საუკუნის 10-იან წლებში ან 20-იანი წლების დამდეგს. სავარაუდოა, იყო სოფელ შემოქმედის მკვიდრი და იქვე გაეტარებინა ბავშვობა. არ ჩანს, სად მიიღო განათლება. 1747 წელს აკურთხეს შემოქმედის მიტროპოლიტად. 1658 წელს ამ თანამდებობაზე სხვა პირია, მაგრამ შემოქმედელად ისევ იხსენიება მამია III-ის

⁸⁸ ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერის გამო, საიუბილეო კრებული, ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 189.

⁸⁹ ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბ., 1966, გვ. 184 - 185.

გურიელობის ჟამს (1689 წლის მომდევნო წლები). ერთ ხანს, 60-იან თუ მომდევნო წლებში, ყოფილა სამებელი. უფრო საფიქრებელია, უმოღვაწია სოფელ ხაშმთან მდებარე სამების ეკლესიის მღვდელმთავრად. არ მტკიცდება თვალსაზრისი, რომ ჩასულიყოს რომში, შეხვედროდეს რომის პაპს და იქიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერები ჩამოეყვანოს. უმოგზაურია რუსეთსა და იერუსალიმში. გარდაცვლილი და დაკრძალული უნდა იყოს XVII საუკუნის ბოლოს ან მომდევნო საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის ჯერის მონასტერში. ცნობილია იაკობის ძმები გაბრიელი და იესე, რომლებიც სასულიერო პირები იყვნენ.

ასეთია ის შედეგები, რასაც ჩვენს ხელთ არსებული მასალები იძლევა. ვიმედოვნებთ, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსისა და სხვა წყაროების გამოქვეყნების შემდეგ იაკობ შემოქმედელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ჩვენი ცოდნა კიდევ უფრო გაიზრდება.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

იაკობ შემოქმედელის ცნობილი თხზულებანი

რამდენიმე, შედარებით ძველ. ხელნაწერში იაკობსვე მიეწერება შავთელის ქმნილებად და „აბდულ-მესიანის“ სახელწოდებით ცნობილი სახოტბო პოემა, სადაც, ნაცვლად თამარისა და დავითისა, ქების ობიექტია არჩილ მეორე.

სამეცნიერო ლიტერატურაში იაკობისად არის მიჩნეული ზოგიერთი სხვა თხზულებაც. იოანე ბატონიშვილი მიაწერს „ლეილ-მაჯუნეიანის“ გალექსვას. „იაკობ შემოქმედელმან - ვკითხულობთ მის „ხუმარ-სწავლაში“, - გალექსა „ლეილ-მაჯუნეიანი“¹. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „არავითარი ცნობა არ არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ იაკობ შემოქმედელს ასეთი რამ ეთარგმნოს“².

თ. უორდანიას ასახელებს ე. წ. „ფსალმუნით სიტყვს-გებას“. ააქიდაძვე ეტუობა, - წერს იგი. - რომ იაკობ შემოქმედელს სხვა შაირებიც უწერია, მაგრამ თითო-ოროლა ნაწევების მეტი ჩვენ არ შეგვხვედრია. შესაძლებელია, იაკობსავე ეკუთვნოდეს „სიტყვს-გება მაჰმადიანთა... ანუ ფსალმუნით სიტყვს-გება“ (წერა-კითხ. ხელნაწ. № 81)³. ნამდვილად კი ამგვარ ვარაუდს არავითარი საფუძველი არ აქვს.

ვიდრე იაკობ შემოქმედელის პოეტური მემკვიდრეობის განხილვას შეუდგებოდეთ, მანამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მწიგნობრული მოღვაწეობა და, საერთოდ, მისი შეხედულება წიგნიერებასა და სწავლა-განათლებაზე.

¹ კალმასობა, II, გვ. 189.

² ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 387.

³ ქრონიკები, I, გვ. 308.

I. იაკობ შემოქმედელი - მწიგნობარი

იაკობ შემოქმედელი სწავლა-განათლების, წიგნისა და მწიგნობრობის დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო. მან ქართლის მეფის გიორგი XI-ის დაეალებით გალექსა XVI საუკუნის მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულება „*მოთხრობა შჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვს-გება ქრისტიანეთა მიერ*“¹, რომელსაც „*უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთა გაბაასება*“ უწოდა². აქ პოეტი მტკიცედ აცხადებს: „*უგბილს უყვარს უსწავლელი*“, ისე როგორც „*ცრუს – მტყუვანი, მრუდად მოქმელი*“ (14.1). უცოდინარსა და უსწავლელთან ურთიერთობაც კი ძნელია – მას ვერაფერს შესაძენ და გააგებინებ:

„არ მოისმენ, რას გეუბნა შენ – სწავლისა უმეცარსა!“ (244. 1).

ნაწარმოების მიხედვით, ისმაიტელების, ანუ ისმაელის შთამომავლების (არაბების, შემდგომ – მაჰმადიანების), ერთ-ერთი უდიდესი და უპირველესი ნაკლი ის იყო, რომ მათ „არ ჰქონდათ წიგნი სჯულისა“ (75.1), ხოლო მუჰამედი, ანუ, როგორც აქ დედნის შესაბამისად ჰქვია, მ ო ა მ ე დ, „თვით კითხვის უმეცარ იყო“, ყურანი კი მან „ორთ გრძნეულთ სხვათ აწერინა“ (48. 2,4).

პოეტი, ბაგრატის დარად, უსაზღვროდ დამფასებელია ბიბლიური თხზულებებისა და იმ მთარგმნელებისა, რომლებმაც ეს წიგნები ებრაულიდან ბერძნულად გადმოიღეს. ხოლო, დედანთან შედარებით, ის კიდევ მეტი მოწინებითა და პატივისცემით წარმოგვიდგენს ძველ ქართველ მწიგნობრებს – დავით ტბელს, სტეფანე სანანოის ძეს, ეფთვიმე და გიორგი ათონელებს, ეფრემ მცირეს, არსენ ნინოწმინდელსა და საბა თუხარელს, რომლებიც „*ეკლუსალებს ძველადაე*

¹ ბაგრატისა და ამ ნაწარმოების შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს: მასალები ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ბიოგრაფიის შესახებ (ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1993, გვ. 118-159), ბაგრატ მუხრანბატონის ანტიმაჰმადიანური თხზულება (ჟურნალი „რელიგია“, 1996, № 10-11-12, გვ. 68-90), ბაგრატ მუხრანბატონის ბიბლიოგრაფიული ცნობები („მწიგნობარი-99“, თბ., 1999, გვ. 91-99).

² გამოქვეყნებული გვაქვს ჟურნალ „რელიგიაში“ (1995, № 4-5-6, გვ. 70-97). ამ ნაწარმოების ნუსხათა შესახებ იხ. ჩენი გამოკვლევა: იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთა გაბაასების“ ხელნაწერები („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1994, № 1-4, გვ. 39-72).

„აღზრდილი იყენეს“ და „ბერძენთ, არაბულს ენასა მარჯვედ“ გაწერთნილებმა „სთარგმნეს ყოველი წიგნები“ (182). კერძოდ, ეფთვიმე, რომელმაც „ისწავლა ყოველი სიბრძნე“, „ღვთისმეტყველთა სიტყვას ჰქუხდა“ (184. 4; 185. 1); გიორგი იყო „რიტორი, სიბრძნის სახელსართულ დამრთველი“, დავითი და სტეფანე – „უგბილთა სწავლით მომწერთელი“, ხოლო „საბა და ეფრემ – უცნობთა ცნობისა წყაროთ მომრწყველი“ (186).

იაკობმა მეფე-პოეტს არჩილს საგანგებო საქებარი თხზულებანი მიუძღვნა, სადაც მისი შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზომი სწავლა, განათლება, ცოდნა, სიბრძნე, წიგნიერება არის.

მწერლის ყველა ნაწარმოებში, მათ შორის გალექსილშიც, ნათლად და გამოკვეთილად ჩანს ავტორის დიდი ნაკითხობა და, იმ დროის კვალობაზე, ფართო და ღრმა განსწავლულობა. იმის მეოხებით, რომ მას წესად ჰქონდა ხელნაწერებზე მინაწერების გაკეთება, ვიცით ზოგიერთი თხზულება (დიდი და მცირე სჯულის კანონები, იოანე ოქროპირის განმარტებანი და სხვები), რომელიც მას წაუკითხავს და დაუმუშავებია.

ნიშანდობლივია, რომ იაკობის მოღვაწეობის შეფასებისას მისი თანამედროვე და მომდევნო ხანის ჩვენი შესანიშნავი სწავლულები ერთხმად წინ წევენ და აღტაცებით აქებენ მის ნიჭსა და ერუდიციას. „ბრძნად მოუბარი“, „მეცნიერი უბარი“, „ბრძენი“, „მცნებული“, „სიბრძნე მრთელი“, „სიბრძნემოყვარე ფრიად“, „მაღალ-გონება“, „საუნჯე მრავალთ ცნობით“, „სიბრძნის მოყვარე“, „კაცი მეცნიერი“ და სხვა – აი, მათ მიერ ნახმარი ეპითეტები. ჩანს, იაკობი დღენიადა ზრუნავდა თავისი კათედრის ბიბლიოთეკის გაზრდასა და სრულყოფაზე, მაშინაც კი, როცა იგი სამშობლოდან შორს, სახელდობრ, რუსეთში იმყოფებოდა. შემოქმედის კუთვნილი სახარების ბოლოს გენათელი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე გვაუწყებს: „სახარებისა ამის კუბო და ერთი შეკრული ქაღალდი ესე რუსეთიდგან დუმბაძეს, შემოქმედელს იაკობს შემოქმედს დასადებად გამოუგზავნია. ჩვენ გენათელმან ლორთქიფანიძემან ნიკოლოზ დაეაწერიხეთ“³. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი⁴, რომ

³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, 1907, გვ. 39.

⁴ პირველი და ზოგადი ცნობები მის შესახებ გამოაქვეყნა დ. ბ ა ქ რ ა - ძ ე მ (არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანკტ-პეტერბურგი, 1878, რუსულ ენაზე, გვ. 156-158, ა. ტ ო ტ ო ჩ ა ე ა ს თარგმანი, გვ. [140-141]; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ, ისტორია საქართველოში, ტფ., 1889, გვ. 226-227). თანამედვერული აღწერილობა დაბეჭდა თ. ეორდანიამ (Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталино-Кახетинского духовенства,

მანამდე მწერალს შემოქმედის მონასტრისათვის შეუწირავს ნუსხურით შესრულებული მოზრდილი სასულიერო კრებული „ფუტკარი“ (A-691).

თანდართულ ანდერძში ვკითხულობთ: „ეჰამ, შ(ე)ნ დიდსა და ზ(ე)შთა აღმატებ(უ)ლსა, ცათა მობაძ(ა)ესა ს(ა)ყდარსა ღმრთაქები[სა]სა შემოქმედის(ა)სა, ერთარს(ე)ბით ქებ(უ)ლ[სა], ს(ა)მებით დ(იდე)ბ(უ)ლსა ზ(ა)ტსა დ(მრ)თ(ა)ების(ა)სა, ჩ(უ)ენ, მს(ა)სო(ე)ბ(ე)ლმ(ა)ნ თქ(უ)ენმ(ა)ნ შ(ე)ნმავე მიტროპოლიტმა დუ-მბაძემ(ა)ნ ი(ა)კ(ო)ბ შემოგწირეთ წ(მიდა)ი ესე ფუტ-კარი. აწ ვინც და რამ(ა)ნცა ძემ(ა)ნ კ(ა)ც(ი)სამ(ა)ნ ეს შ(ე)ნს სა-ყდარს გ(ა)მოაზხვას ან ინათხოვოს და ბევრს ხანს დაუკავოს და წა-ართვას, წყვეა ყ(ოველ)ი ძველისა და ახლისა შ[...]ისა მ(ა)ს ზ(ედ)ამც აღესრ(უ)ლების და მოსლვასა მ(ა)ს შ(ე)ნსა დ(იდე)ბით შ(ე)ნგ(ა)ნ დაწყულთა მ(ა)თ თ(ან)ა აღირაცხების. ა(მი)ნ!“⁵ (გვ. 127 v).


ბოლოს ხელმოწერილია ხვეული მხედრულით: „შემოქმედელი იაკობ“ (იხ. სურათი 3).

კრებული შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს⁶. იგი იწყება თხზულებებით: „უწყება და თხრობა“ იუდეველთა მეფეთათვის, იერუსალიმისა და სოფიის ტაძართათვის, ეფრემის – „ელია წინასწარმეტყველისათვის“, ეპიფანე კვიპრელის – „საქმენი წმიდათა წინასწარმეტყველისათვის“. შემდეგ სხვადასხვა ადგილას მოთავსებულია ამავე აუტორის სხვა ნაშრომები: „აღსვებისა ზიარებისათვის“, „ყოველთა მათ წიგნთა, რომელნი შეკრიბნა მეფემან პტოლემეოს თარგმანებამან“.

составленное Ф. Ж о р д а н и я, II, т., 1902, гв. 168-172).

⁵ „ა“ -ს მაგივრად „მ“ -ით არის წარმოდგენილი: „მობიძავსა“, „დუშმი-ძემან“, „რმმანცა“, „წყვეი“. როგორც ზ. ალექსიძე და ო. ბერიძე შენიშნავენ, ამგვარი მართლწერა კრებულისათვის სხვაგანაც ყოფილა დამახასიათებელი (იხ. ქვემოთ მითითებული ზ. ალექსიძისა, გვ. 70 და ო. ბერიძის, გვ. 10, ნაშრომები).

⁶ ხელნაწერის დაშლილი და გადაადგილებული ფურცლები დაალაგა და დაგვერდა ნ. ნატრაძემ, აღწერა ც. კახაბრიშვილმა (დიდი მადლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერზე მუშაობისას ეს გამოუქვეყნებელი აღწერილობა აუტორმა თავაზიანად მათხოვა და მასარგებლა).



სურათი 3. „ფუტკარი“, A-691, გვ. 127 V.

კრებულში შესულია აგრეთვე: არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, ათანასი ალექსანდრიელის „აღდგომისათვის უფლისა“, ღორითეოს ტვირელ ეპისკოპოსის „აღწერილი საეკლესიო სამოცდაათა მათთვის მოწაფეთა უფლისათა, რომელი იწამა ჟამთა მათ იელიანე განდგომილისათა“, სოფრომ იერუსალიმელის „სამოთხე“, ანუ „საქმენი და განგებანი წმიდათა მამათანი და ღმრთის მოყუარეთა დედათანი“, კითხვა-მიგებანი ანასტასი სინელისა

და ბასილ და გრიგოლ ღმრთისმეტყველისანი; აბუკურას სახელით ცნობილი ნაწარმოებები; მარკოზ განშორებულის, ჯერასიმეს (ანუ გერასიმეს), მაკარი რომაელის, ონოფრესა და მაკარი მეგვიპტელის ცხოვრებანი, აპოკრიფი ღვთისმშობის წარმოშობაზე; ნაშრომები ებრაელ, ეგვიპტელ და სპარსელ მეფეებზე, ცალკეულ ქრისტიანულ დებულებებზე, წელთაღრიცხვის საკითხებზე, ზომისა და წონის ერთეულებზე, სურნელოვან ხეებსა და მათ სახელებზე და ა.შ.

„ფუტკარი“ საგანგებო შესწავლას საჭიროებს. გამოსარკვევია, ვის მიერაა იგი გადაწერილი. თ. ჟორდანიას თავისი აღწერილობის შესავალში წერს: „...Переписана алфавитом «хуцури» почерка XVII в., вероятно, рукою Шемокмедского митрополита Иакова Думбадзе“ (გვ. 168). „ქრონიკების“ პირველ ტომში აღნიშნავს: „ხელნაწერი იაკობ შემოქმედელის ყოფილა, მისთვის (და შეიძლება მისგანვე) დაწერილი“ (გვ. 303).

ხელნაწერის ზოგიერთი ფურცლის ჭვირნიშნის მიხედვით, რომელიც რამაზ პატარიძეს შეუსწავლია, ზაზა ალექსიძე მთელ „ფუტკარს“ XVI საუკუნით ათარიღებს. იაკობ შემოქმედელის „მინაწერის ხელი, – წერს მკვლევარი, – მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება გაიგივდეს ხელნაწერის ხელთან. სულ მცირე დაკვირვებაც კი საკმარისია, რომ ცხადი გახდეს: მინაწერი და კრებული სხვადასხვა ხელით არის შესრულებული. ამიტომ იაკობ დუმბაძეს მხოლოდ «ფუტკარის» შეწირვის პატივი შეიძლება მიეწეროს.

ჭვირნიშნის მიხედვით, ხელნაწერი თარიღდება XVI საუკუნის პირველი ნახევრით, ვინაიდან ამავე ქალაქშია დაწერილი თარიღიანი ხელნაწერები: ცსსა № 400 – 1534 წ., ხელნაწერთა ინსტიტუტი 5-312 – 1541 წ. (სქოლიოშია შენიშვნა: „ცნობისათვის მადლობას მოვახსენებთ რ. პატარიძეს“. – ბ. დ.). ამრიგად, A-691 იაკობ დუმბაძის გადაწერილი არ არის და XVI საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს⁷.

ც. კახაბრიშვილი ხელნაწერს XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებს და კითხვის ნიშნით წერს: „გადაწერილი თუ მიძეები იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე)“.

„ფუტკარის“ შექმნის ისტორია მეტი ხილრმით არის დასამუშავებელი. დასადგენია, რა კავშირი აქვს მას სხვა ამგვარ კრებულებთან, ანუ მასში შემავალი თხზულებანი რედაქციულად რას წა-

⁷ არსენი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. – თბ., 1980, გვ. 70.

რმოადგენენ ან ზომ არ არის მასში ისეთი რამ, რაც ქართულ მწერლობაში სხვაგან არ გვხვდება.

დ. ბაქრაძე, როდესაც „ფუტკარის“ მნიშვნელობაზე საუბრობს, შენიშნავს: „მასში განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა ტექნიკური სიტყვები, რომლებიც ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას ეხება და რომლებიც ახლა თითქმის აღარ იხმარება“⁸. როგორც ჩანს, დ. ბაქრაძეს მხედველობაში აქვს სოფიის ტაძრის შესახებ აქ წარმოდგენილი ტრაქტატი. ამ ძეგლის გამომცემელი ო. ბერიძე, რომელიც „ფუტკარის“ ტექსტსაც ითვალისწინებს, ბრძანებს: „ეს მცირე თხზულება... საინტერესოა არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ მეტად მდიდარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ტერმინოლოგიით. სწორედ ამიტომ იყო, რომ არაერთხელ მიმართავდა თარგმანის ტექსტს აკად. ივ.ჯავახიშვილი ძველ საქართველოში მშენებლობის საქმისადმი მიძღვნილ თავის შრომებში“⁹.

ზ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ არსენ საფარელის თხზულების „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ ყველაზე ძველი ნუსხა „ფუტკარია“ (გვ. 70). ვინ იცის, რას გვიჩვენებენ კრებული დანარჩენი თხზულებანი, რა უნიკალური მასალების შემცველი არიან ისინი?!

იაკობ შემოქმედელის უმთავრესი მოწოდება მწერლობაა. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ეპილოგში ის ბეჯითად აცხადებს:

„კანონად მიჩანს ლექსთა თქმა, მსოფლიო მოშირობა“ (289. 1).

ამავე ნაწარმოების პროლოგში პოეტი გვაუწყებს, რომ მას სასულიერო მწერლის სახელი აქვს¹⁰, მაგრამ „გარეშედ“¹¹, ანუ საეროშიაც, იღვწის; ბრძენთა სიტყვის მოსმენა, დაფასება და ასეთი

⁸ არქეოლოგიური მოგზაურობა..., ქართული გამოცემა, გვ. 140.

⁹ ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის აშენების შესახებ და მისი შუასაუკუნოებრივი ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. ბერიძემ, თბ., 1982, გვ. 4-5.

¹⁰ კერძოდ, ამგვარად აფასებდა არჩილი: „ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი“ – წერდა ის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“, სტროფი 33.

¹¹ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა ხ ს ნ ა: „გარეშე მსოფლიო, გინა გარემოს“, „არასჯულიერი“. დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი: „გარეშე მსოფლიო, არ საეკლესიო..., мирской..., გარეშე წერილი светская литература“. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე: გარეშე... გარეჯანი, საერო“ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი [მასალები], თბ., 1973).

ავტორისათვის შემწეობა ყოველთვის შეუძლია, მაგრამ ქრისტიანობისათვის თავდადებას არასოდეს ოდნავადაც არ გამოორიცხავს:

„ერიტორებ სიბრძნის ებგური შემოქმედელი იაკობ, მიცნობენ საღმრთოდ, გარეშედ ვნარნარებ, ტკბილად ვმუსიკობ, ბრძენთ სიტყვას კარგად მოვისმენ, არ დავემობ, თვით მე შეუმკობ, ქრისტესთვის ვერძად, საკლავად მზად ვართ, მთაზედა ვისაკობ“ (9).

იაკობი შესაფერისად აფასებს შოთა რუსთველს, რომელსაც უმაღლეს ადგილას აყენებს – ზენიტში მყოფ მზეს ადარებს და პოეზიის მეთაურად და გვირგვინად წარმოგვიდგენს. მის მეწყვილე, ანუ თანატოლ, პოეტებად შეფეები – თეიმურაზ პირველი და არჩილი ესახება. ამ სამეულის ღირსეულ თანამოკალმედ თავის თავს ასახელებს. დანარჩენ პოეტთა მიმართ მკაცრ ნიპილიზმს იჩენს – ყველას უსარგებლოდ მიიჩნევს:

„რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ, თეიმურაზ, არჩილ მეფე – ორიე მისად მეჯუფთარედ, თვით ცისკრისა მთიებად ვსწან, სანთლად მათთვის წინ მდებარედ, სხვა შეყრილნი მელექსენი – ცულ ვარსკვლავად, მოუხმარედ“ (8).

იაკობი აქაც მწერლისგან დიდ განსწავლულობას მოითხოვს: „ვინც სხვას მოძღვრის სიბრძნის სიტყვას, სჯობს თვით პირველ განიმარტოს“. ჩასწედეს და დაეუფლოს ღვთისმეტყველების სახისმეტყველებას, მის ნართაულ ენას: „ნოეს ტრედმან რად მიართვა, გამოსცნობდეს გან იმა რტოს“. ამავე დროს, ჩამოცილებული და მოშორებული უნდა იქნეს ყოველნაირი უკეთურებანი: „განიწმინდოს ზამთრის ჟანგი...“ (7).

იაკობ შემოქმედელისათვის სიტყვა და საქმე განუყოფელია. ამის დაძადასტურებელია მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება.

II. მცირე ზომის თხზულებანი

1. არჩილის ერთსტროფიანი ქება

იაკობ შემოქმედელის მოღვაწეობა, კერძოდ მწერლური, როგორც თემატიკის, ისე პოეტიკის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ის დაახლოებული იყო მუხრანელ ბაგრატიონებთან, ქართლის სამეფო კართან, განსაკუთრებით, არჩილთან და იქ არსებულ სალიტერატურო სკოლასთან. ამ ურთიერთობის შედეგია არჩილისადმი მიძღვნილი მისი ერთსტროფიანი ლექსი, სადაც ის მეფე-პოეტს თავის აღმზრდელად წარმოგიდგენს და გატაცებით აქებს მის ფიზიკურ და სულიერ სილამაზე-სიძლიერესა და სიბრძნე-განსწავლულობას:

„მხნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარ-ლესულ, ძლიერისა,
ხმელ, სამყაროს, ეთერთ ბურჯის, ბრძენ სუაღის შარვანდისა,
იროიკოს, ღრამატიკოს, რიტორ, ვარსკვლავთ მრიცხველისა,
თქმული მომწონს - მისგან ზრდილსა - არჩილ ცნობა-უფსკრულისა“¹.

ამ ლექსის პირველ სტრიქონში არჩილის მიმართ გამოყენებულ საქებაარ სიტყვებს წინარე და მომდევნო ხანის მწერლები ამავე თანამიმდევრობით ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) სადიდებლად იყენებენ. გივი თუმანიშვილს უწერია: „...ესრეთ არს აღმოცენება ამათი და ამათ მიერ გამოვიდა მენე და ახოვანი, ქველი და ძლიერი, უოველთა კმირთა უგმირესი, მქერობელი სამთავე სამეფოთა ღიხთ ამიერ და იმიერ კახეთითურთ მეფე დაულათ სვიანი, დ(ვ)ითეუ აღმატებით დამყარებული და დ(ვ)თისა მიერ ზეცით გვირგვინოსანი და თვით ეელმწიფე, პატრონი ვახტანგ...“².

ვახტანგ მეექვსე თავისი ქალიშვილის, ანუკა ბატონიშვილის, მზითვეის წიგნში გარდაცვილილ პაპას ასე ახასიათებს: „ამისთვის მსასოებელმან მისმან დაცუად და ფარვად მინდობილმან ხსენება ვჭუო... აწ სასუფეველსა ცათა შინა სულ ბრწყინვლად მანათობელის იესიან, დაეთიან, სოლომონიან, პანკრ(ა)ტიანიანს, მხნე, ახოვან, ქველ-დიდებულის მეფის პატრონის შაჰნავაზისა, რომელი მეფობდა ქართველთა და კახთა ზედან“³. ვახტანგი აქვე აქებს ბიძამისს, არჩილსაც, ოღონდ სხვაგვარად და სხვა სიტყვებით.

¹ შემონახულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგ ნუსხებში: A 1735 (122 v), A 1575-გ (2 r), H 153 (გვ. 210), S 424 (გვ. 299), S 1508 (გვ. 308), Q 548 (131 v). გამოქვეყნებულია „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ მეორე წიგნში (თბ., 1928, გვ. 118) და ცალკეულ გამოკვლევებში.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, გვ. 543.

³ მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვეის წიგნები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ ზ ი ა ი ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1974, გვ. 44.

საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს და შესაძლებელია, ეს იყოს მეფეთა ჩვეულებრივი, ჩვენში გავრცელებული საქებარი გამოთქმა.

2. იოსებ თბილელთან გაბაასება

იაკობ შემოქმედელს პირადი ნაცნობობა და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე არჩილ მეფის მასწავლებელ იოსებ თბილელ-სააკაძესთან.

ქრისტიანული რელიგიური რწმენის გამოსახატავად, კერძოდ, ამ სარწმუნოებრივ მოძღვრებაში მიღებულ სიმბოლურ-ალეგორიულ შეხედულებათა ღრმად გასაცნობად, შესაცნობად და გასავრცელებლად, ძველად მწერლობაში მიღებული იყო მათი გამოცანებად თქმა და ახსნა. ეს საკითხი ჩვენთან დამუშავებული არ არის. ამგვარად გაბაასებიან ერთმანეთს იოსებ თბილელი და იაკობ შემოქმედელი. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ერთი ასეთი გაბაასება¹:

ა) სიბრძნის სახლი

იოსებს იაკობისათვის მოწიწებითა და პატივისცემით შეუთვლია:

„სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული,
მას შვიდნი სვეტნი შეუდგნა, შვიდნივე წმიდად გებული,
სიკვდილით მოკლა სიკვდილი, დაიხსნა ცოდვილთ კრებული.
ამისი ახსნა შენგან მწადს, ვიცი, კაცი ხარ მცნებული“.

იაკობ შემოქმედელსაც ასეთივე თავაზიანობით უპასუხებია:

¹ დიდი მოურავიანი, თქმული ს ა ა კ ა ძ ი ს ძ ი ს ი ო ს ე ბ თ ბ ი ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ, დამატებით სხვათაცა თხზულებათა, [პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოცემა], თფ., 1851, გვ. 80; ჟურ. „ივერია“, 1879, №7 - 8, ივლისი და აგვისტო, გვ. 95; მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, იაკობ შემოქმედელი-დუმბაძე, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912, №573, გვ. 2; კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981, გვ. 527; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, იაკობ შემოქმედელი, 1986, გვ. 14 - 15; ბ. ა რ ვ ე ლ ა ძ ე, მხოლოდ რეპლიკა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1986, 4 ივლისი, გვ. 13, და სხვა.

„სიბრძნე ქრისტეა და სახლი - უბიწო მისი მშობელი,
მუნ შვიდნი საიდუმლონი ყო მტერთა დასაყოფელი,
სიკედელი - ჯვარცმა ქრისტესი, დახვართა დასასობელი,
თვით მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გაადრებ მე უცნობელი“².

ამ გააბასება-გამოცანის ძირითადი მსჯელობის საგანია ბიბლიური გამონათქვამი: „სიბრძნემ იშენა თავისა თვისსა სახლი, და ქუეშე შეუდგნა შჯდნი სუეტნი“ (იგავთა 9. 1).

„იგავთას“ ეს გამონათქვამი ძველად ფრიად პოპულარული იყო და მას მეტ-ნაკლები გაშიფრული სახით მრავალი ავტორის ნაშრომში ეხვდებით, ოღონდ მათი განმარტებანი ყოველთვის მთლად ერთნაირი არ არის.

„იგავთას“ მთლიანი და საგანგებო „თარგმანება“ ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება³ და არ ვიცით, სარგებლობდნენ თუ არა იოსებ თბილელი და იაკობ შემოქმედელი რომელიმე ერთი, პირდაპირი და უშუალო წყაროთი. ამგვარი წყაროს არსებობაზე არც ა. ლოპუხინის რედაქციით გამოსული „განმარტებითი ბიბლია“⁴ მიგვანიშნებს. ამჯერად მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ საძიებელ ლექსებში მოცემული ყველა დებულება სხვა წერილობითს ძეგლებშიაც დასტურდება.

მიყვებთ ტექსტში წარმოდგენილი რიგის მიხედვით.

ცნობილია, ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში სიბრძნე ღვთის ერთ-ერთი ეპითეტური სახელია. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომში „საღმრთოთა სახელისათვის“ სიბრძნე ბრძენის გვერდით ასეთად პირდაპირაა დასახელებული, შემდეგ კი ქვეთავი ეძღვნება - „სიბრძნისათჳს, გონებისათჳს, სიტყვისათჳს“⁵.

² მცირედენი განსხვავებული წაკითხვებით დასტურდება მრავალ ხელნაწერში. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი: A ფონდი - №№ 1076 (გვ. 55 r), 1221 (4 r), 1272² (1 r), 1278 (5 r), 1541 (1 r), 1575-გ (2 r), 1735 (123 r - V); H ფონდი - №№ 660 (80 V), 771 (გვ. 85), 1132-ა (1 V), 1193 (168 r - V), 2781 (8 r); S ფონდი - №№ 1508 (გვ. 319 - 320), 1512 (74 r), 1535 (73 V), 3704 (გვ. 191 - 192).

³ ბასილ კესარიელის ნაშრომის „დაწყებისათჳს სოლომონის იგავთასას“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ტექსტი განხილული არ არის.

⁴ Толковая Библия, или комментарий на все книги св. писания Ветхого и Нового Завета, с иллюстрациями, издание преемников А. П. Лопухина, IV, Петербург, 1907, გვ. 452 - 453.

⁵ კ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ე ფ რ ე მ მ ც ი რ ი ს თარგმანი, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ე ნ უ ქ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1961, გვ. 12, 68.

თუმცა, რაღა შორს მივიდეთ, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, სადაც „იგავთას“ აღნიშნული გამოთქმებია მოყვანილი, „სიბრძნე“ ყველგან ღმერთად, ქრისტედ არის გაგებული: ზოგან ის პირდაპირაა დასახელებული, ზოგან - იგულისხმება. პირველის მაგალითები ქვემოთ, სხვა სიმბოლურ სახეთა განხილვისას, იქნება ნაჩვენები. აქ დავიმოწმებთ მეორენაირ შემთხვევებს.

„ვახტანგინი“:

„ქ. სიბრძნემან სოლომონისმან შვიდ სვეტზედა ჰქმნა ნაშენი, შვიდ სვეტზედ სამკვიდრებელად არ სწრაფად გარდანაშენი, სრული ნებითა დამდაბლდა, კელმყოფთგან იქნა ნაშენი, რომელს აქებენ მას ნათლად ცანი-ქვეყანა ნათენი“⁶.

„დავითიანი“:

„ვინც იშენა სიბრძნით ვანი,
ქვეშ შეუდგა შვიდი სვეტი, -
ის არს ჩემი სათაყვანი,
არეინ მიკსნის მე მის მეტი“⁷.

ქრისტეს, როგორც ჯვარცმულის, სახე კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მომდევნო სტროფში:

„ვინც რომ ჩემთვის ჯვარზედ წმინდა,
გარდადინა სისხლის ღვარი,
მე მის მეტი არეინ მინდა
მას ძნელს გზაზედ წინამძღვარი!“ (13).

ზემოთ აღნიშნული ის მცირეოდენი სხვაობა, რომელიც სიმბოლურ სახეთა გაგებაში გვხვდება, ეხება სახლს. როგორც იოსებ თბილელთან გაბაასებაშია, იაკობ შემოქმედელი ღვთისმშობელს სახლად წარმოგვიდგენს აგრეთვე თავის მეორე, ვრცელ პოლემიკურ ნაშრომში „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“. პროლოგში ვკითხულობთ:

⁶ ს. ყ უ ბ ა ნ ე შ ვ ი ლ ი, ვახტანგინი, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, გვ. 184, სტრ. 1.

⁷ დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 262, სტრ. 12.

„ხარ საჩინოდ ქვეყნის მნათი, სახელ დიდი ღვთისმშობელი, მზის შარვანდი სხივქოთოლვარე, ნარდი, ვარდი უჭუნობელი, ტრედ-გერიტ-მერცხალ-იაღონი, საფირონი ტკბილმხმობელი, ცათ გვირგვინი სახლი ღვთისა, ცოდვის ზღვათა გამემობელი“
(სტრ. 4).

თუ იაკობი ორივეგან სახლს გადაჭრით ღვთისმშობლად განმარტავს, სულხან-საბა ორბელიანი ეკლესიად მიიჩნევს; ეს უებრო მეიგავე და ლექსიკოლოგი თავის საქრისტიანო მოძღვრებაში „სამოთხის კარი“, „იგაეთას“ საძიებელ ტექსტთან „შვიდი საიდუმლოს“ მიმართების გამო წერს: „... და იგაუთა მეცხრეს თავსა თქმულნი: «სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქვეშე შეუღვნა შვიდნი სვეტნი», რამეთუ სიბრძნე მე ღმრთისა არს და სახლად იშენა ეკლესია და სვეტნი ეკლესიისანი - შვიდნი საიდუმლონი“⁸. მისივე განმარტებით, რომელიც „სიტყვის კონაშია“ მოცემული, „ეკლესია“ არის „შესაკრებელი“.

ა. ლოპუხუნისეულ „განმარტებით ბიბლიაში“ სიბრძნის სახლია ღვთის სასუფეველი ან ეკლესია: „Дом премудрости Божией есть, очевидно, Царство Божие или Церковь, основание которой Божественным Домостроительством было положено еще в рай“ (გვ. 452).

ჩანს, „სიბრძნის სახლი“ ამგვარადვე ესმის გიორგი მერჩულესაც. გრიგოლ ხანძთელმა ხანძთის ეკლესიის მშენებლობის დაწყება ასე აკურთხა: „ქრისტე ღმერთო, კორცმესხმისა შენისა განგებულებად ღმრთებრ აჩუენე შენთა დაბადებულთა... და ესე ოთხ კერძო კრებული საღმრთოდ წმიდათა ყოველთა გარე მოდგომილი ზღუდის სახედ უძრავისა სიმტკიცე ექმნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა, რამეთუ შენ თვთ სიბრძნემან იშენე თავისა თვისისა სახლი სიწმიდისად შესავედრებლად ერთა მორწმუნეთა და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელსდგე გუამად შენდა. და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა შეუპვრელად აღაშენენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი...“⁹

⁸ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ე ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 273.

⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V - X სს.), დასაბუჯდად მოამზადეს ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ნ . ა თ ა ნ ე - ლ ი შ ვ ი ლ მ ა, ნ . გ ო გ უ ა ძ ე მ, ლ . ქ ა ჯ ა ი ა მ, ც . ქ უ რ - ც ი კ ი ძ ე მ, ც . ტ ა ნ კ ი ე ვ მ ა და ც . ჯ ლ ა მ ა ი ა მ ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 260 - 261.

აშკარაა, ეს შეხედულება, რომელიც ეკლესიას, ტაძარს ღვთის სახლად, სხეულად, გუამად მიიჩნევს, მომდინარეობს სახარებაში გაშიფრული იგავიდან: „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაჰჰსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე, ჰრქუა მას ჰურიათა: ორმოც და ექუსსა წელსა აღშენა ტაძარისათვის გუამისა თვისისა“ (იოვანე 2. 19 - 21; შდრ.: მათე 26. 61; 27. 40; მარკოზი 14. 58; 15. 29).

ამავე აზრს ეხმიანება ტიმოთესადმი გაგზავნილი პავლეს პირველი ეპისტოლე: „უკუეთუ ვუოვნო, რადთა უწოდი, ვითარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვად, რომელ არს ეკლესიად ღმრთისა ცხოველისად, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისად“ (3. 15).

„ღვთაებრივი სიბრძნის“ სახელზეა აშენებული კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიის ტაძარი, რაც მის სახელწოდებაშია გაცხადებული. ამ ტაძრის აშენებისადმი მიძღვნილი ბიზანტიური ტრაქტატის ძველქართული თარგმანი ასეა დასათაურებული: „უწეებად და თხრობად აღშენებისათვის დიდებულისა ტაძრისა ღმრთისა ეკლესიისა, რომელსა სახელედების წმიდად სოფია, რომელ არს სიბრძნე“¹⁰.

იაკობის ახსნას სხვა საფუძველი აქვს. „ძლისპირნი“ ვკითხულობთ:

„კორცთა შენთაგან, სძალო,
იშენა სიბრძნემან სახლი თვისი,
ამისთვის ყოველნი მორწმუნენი
ღმრთისმშობლად აღვიარებთ, ქალწულნი“¹¹.

იგივე აზრია გამოთქმული მიქაელ მოდრეკილის თხზულებაში:

„სიბრძნემან ღმრთისამან იშენა
თავისა თვისისა სახლი
ოთხთა მათგან
აგებულთა ნიეთიერთა,

¹⁰ ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის აშენების შესახებ და მისი შუასაუკუნოებრივი ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ო. ბ. ე. რ. ი. ძ. ე. მ. თბ., 1982, გვ. 121.

¹¹ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია, X - XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ე. მ. ა. თბ., 1971, გვ. 93; ნეემირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A- 603), გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. კ. ი. კ. ნ. ა. ძ. ე. მ. თბ., 1982, გვ. 285.

გცევადთაგან ბუნებათა,
კორცნი უბიწოგსა სძლისანი;
და დაემკვიდრა მას შინა
უნიეთოდ არსებად...¹².

თუ სიბრძნემ, ქრისტემ, ღვთისმშობლის ხორცთაგან აიშენა თავისი სახლი, ბუნებრივია, ღვთისმშობელი ამ სახლად წარმოგვიდგება.

ღვთის სახლად ეკლესიისა და ღვთისმშობლის მიჩნევა ქრისტიანულ სახისმეტყველებაში რაიმე წინააღმდეგობას ან შეუმაბამობას არ ქმნის. სიმბოლოთა ეს წყება სხვა აქტორებთან კიდევ უფრო შორს მიდის და, საბოლოო ანგარიშით, ყველა მათგანი ერთ იდეას გამოხატავს. საისტორიო თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარაეანდედთანის“ ტექსტში ჩართული თამარის „იამბიკო ხუთეულში“ ნახმარი გამოთქმის „ცასა ცათასა“-ს განმარტებისას რევაზ სირაძეს ნაჩვენები აქვს, რომ „«ცათა ცა» უმაღლესი ცაა, ისაა სასუფეველი და სამუარო, ღვთიური ზეცა, «ცათა ცა» არის ადგილი ღვთისა, სადაც «ღმერთ-მთაურობა» და «მღვდელთ-მთაურობა», «ცათა ცა», ვითარცა ადგილი ღვთისა, სიმბოლურად არის ღვთისმშობელიც, როგორც ეოველივეს მომცველი და საღვთო უსაზღვროების დამტკიცე»¹³.

„ცათა ცა“, რა თქმა უნდა, იგივე „ცათ გვირგვინი“ არის, რომელსაც იაკობ შემოქმედელი ზემოთ დამოწმებულ „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ პროლოგში „სახლი ღვთისა“-სთან ერთად ღვთისმშობელს უწოდებს:

„ცათ გვირგვინი, სახლი ღვთისა, ცოდვის ზღვათა გამომობელი“.

რ. სირაძე ღვთისმშობლის ამგვარსავე სიმბოლურ გაგებას ხედავს აგრეთვე სვეტიცხოველშიაც. სხვა მასალებთან ერთად აანალიზებს რა ნიკოლოზ გულაბერიძის ნაშრომს „საკითხავი სვეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდისი და კათოლიკე ეკლესიისად“, იგი გამოყოფს სიმბოლურ გაგებებს, რომელიც სვეტი-ცხოველსა და სვეტიცხოველის ტაძარს უკავშირდება, ღვთისმშობლისა და საღვთო სიბრძნის (სოფიას) ერთიანობის თაობაზე კი წერს: „სვეტი-ცხოველის ზესთასიბრძნეს ანუ

¹² პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, III, თბ., გვ. 402; მიქაელ მოდრეკილის პივნები, X ს., წიგნი II, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვ. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ, თბ., 1978, გვ. 47.

¹³ რ. ს ი რ ა ძ ე, „ცასა ცათასა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 მაისი, 1993, გვ. 13.

სოფიას გულისხმობს. ზესთასიბრძნეს ანუ სოფიას იმიტომაც გულისხმობს სვეტი-ცხოველი, რომ მასთან დაკავშირებულია ღვთისმშობელი. რადგანაც სვეტიცხოველის ტაძარს ეწოდება «სიონი». როგორც ვთქვით, «სიონი» ერქმოდა ღვთისმშობლის ტაძრებს. ღვთისმშობელში განხორციელდა «სოფია», ანუ ზესთა სიბრძნე. ღვთისმშობელში სილამაზეა ეოფიერებისა, საზრისია სილამაზისა. ღვთისმშობელში ველაფერია: ღვთაებრივი, ანგლოზური და ადამიანური და ეს ველაფერი ერთად არის ს ო ფ ი უ რ ო ბ ა. ღვთისმშობელში არის ლამაზი აზრი სილამაზეზე, ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტებაზე. ამნაირი ზესთასიბრძნე შემოქმედებითი ძალაა. ამ ძალითაა ღვთისმშობელი დედოფალი მიწისა და ზეცისა. ღვთისმშობელი თვითონაა ეკლესიის განმასახიერებელი. ღვთისმშობლის ეკლესიები წმინდა სოფიას (აია სოფიას) გულისხმობს. ასეა საერთოდაც და, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც არაა ტაძრები წმინდა სოფიის სახელობისა, მაგრამ ძალზე ბევრია ეკლესიები ღვთისმშობლის სახელზე¹⁴.

რამდენადმე ამავე სიმბოლოებს უკავშირდება შვიდი სვეტიც.

როგორც ვნახეთ, შვიდი სვეტი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც შვიდი საიდუმლოა. ანალოგიური აზრი დადასტურებულია ა. ლოპუხუნისეულ „განმარტებით ბიბლიაში“: „Толкование числа семи столбов в точном значении дало большею частью неудачные опыты; таково древнеиудейское толкование... Заслуживает лишь внимания христианско-церковное толкование семи столбов в смысле 7 даров Св. Духа (Ис. XI, 2-3, сн. Апок I, 4 - 12. III. I. IV. 5), затем – 7 таинств и под.“ (გვ. 452).

რ. სირაძემ ისიც აჩვენა, რომ შვიდ სვეტზე საუბარია როგორც წმინდა სოფიის ტაძრის აშენებისადმი მიძღვნილ ტრაქტატში, ისე „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ რედაქციაში. ვინაიდან, „საერთოდ, ლეონტი მროველთან არაერთი ისეთი ძველთა-ძველი ცნობებია, რომელიც «მოქცევაჲ ქართლისაჲში» არაა, - ავტორი ვარაუდობს. - არც 7 სვეტზე არსებული ცნობების სიძველეა გამოსარჩიხი. უოველ შემთხვევაში, 7 სვეტის მოაზრება სვეტიცხოველის ტაძართან უოველნაირად საჩწმუნა“: ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებს ის საერთო სიმბოლური ნიშნები, რომლებიც, ერთი მხრივ, სვეტიცხოველისა და, მეორე მხრივ,

¹⁴ რ. ს ი რ ა ძ ე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 121.

სოლომონის ქრისტეს საფლავისა და წმინდა სოფიის ტაძრების შესახებ არსებულ ლიტერატურაში შეიმჩნევა¹⁵.

საღეთისმეტყველო ლიტერატურაში „შიდი სვეტის“ სხვაგვარი განმარტებაც გვხვდება. აპოკრიფულ კრებულში „მარგალიტი“ იგი აღსასრულამდე შიდი ათას წელიწადად არის ახსნილი: „ი გ ა ვ ი: სიბრძნემან იშენა თვისა თვისისა სახლი და შეუდგნა მას შიდნი სვეტნი. დაკლა იგი ხაკლავნი და განაზავა ტაკუკთა ისი იგი ღვინო. თ ა რ გ მ ა ნ ი: სიბრძნე თვით ქრისტე არს და შიდნი იგი სვეტნი შიდი ათასი წელიწადი არის აღსასრულამდე. დასაკლველი თვით ქრისტე არს (ჯვარცმასა მოასწავებს) და ტაკუკთა განმზავებელი ღვინო სისხლი მისი არის“¹⁶.

სხვათა შორის, არსებობს ამავე თემაზე სხვა შინაარსის ლექსიც:

„სიბრძნემან თვისა თვისისა სახლი იშენა ქებული,
მას ქვეშე სვეტი შეუდგა შიდი რიცხვად სპეტაკებული,
დაკლა თვისივე საკლავი, წინათვე დაქადებული,
მასთან აამო სასმენი, ახალი შემოდებული“¹⁷.

რაც შეეხება იმ ახსნას, რომ ქრისტეს ჯვარცმა მის მიერ სიკვდილის სიკვდილით მოკვლაა, რითაც მორწმუნეთა ნამდვილი სიკვდილასაგან დახსნა ხდება, - იგი „იგავთას“ დამოწმებულ ადგილს არ ეხება, მაგრამ ქრისტიანულ თეოლოგიაში მტკიცედ შემუშავებული და ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისია. დავიმოწმებთ მაგალითებს მიქაელ მორდრეკილის საგალობლებიდან:

„უსხეულოთად, საღმრთოთად ბუნებითა
ეგე უხრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,
რაჟამს დაიდევ საფლავსა შეუცავო,
მოჰკალ სიკუდილი სიკუდილითა, უკუდავო,
აღადგინენ მკუდარნი საფლავისაგან!“¹⁸
„მოაკუდინე შენ სიკუდილი სიკუდილითა,
ღმრთისა სიტყუაო...“ (იქვე, გვ. ტოვ. 411).

¹⁵ იქვე, გვ. 116 - 122.

¹⁶ A 1369 (გვ. 102 V - 103 r), A 1738 (99 r), H 1296 (გვ. 158 - 159).

¹⁷ A 1076, გვ. 55 V.

¹⁸ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, ტექსტები VIII - X სს., ტფ., 1913, გვ. ტოვ. მიქაელ მორდრეკილის ჰიმნები, II, გვ. 410.

„მიხედენ, ღირსო, ძესა შენსა ჯუარს-ცუმუღსა,
უენებელსა მას კორციელად დაშვილსა,
ღმრთისა დედაო, და ესეველი აწ ძალსა
მისსა ძლიერსა, რამეთუ მან თავადმან
მოკლას სიკუდილი და მკუდარნი აღადგინეს“ (ტოე, 412).

„ქ(რისტ)ე, შეუწერელითა კორცითა დაძსენ, უხრწნელო,
ხრწნილება და ხ(ი)კ(უ)დილი მოაკუდინე უკუდავო“ (რმშ. 492).

„შენ, დ(მრ)თისა სიტყუაო, მხოლოდ შობილო, ჩ(უე)ნთვის
განაცუებულო, ხ(ი)კ(უ)დილი მ(თა)კ(უ)დინე ნეფსით სიკ(უ)დ(ი)ლითა და
მოკუდავთა სულსა მიანიჭე განსუენებად“ (რმთ- 492).

„იხილეთ, უღმრთონო, ცხოვრებად თქ(უე)ნი ძელსა დამოკიდებული
დ(მერთ)ი კორცითა, მსგავსად ძურის მოქმედთა, რ(ომელი) მოჭკალთ
უმშავროდთა ბჭობითა და გრცხუენდენ აწ, მ, ურწმუნონო - უკვდავი
დ(მერთ)ი ცხოველ არს!.. ამან სიკუდილი მოკლა და მ(ა)ცხ(ო)ნნა ჩუენ“
(როდ, 494).

„იოსეფ რჩეულო, მითხარ ჩ(უე)ნ: ვინ არს ესე ჯუარსცმული
კორცითა, რომელი გარდამოჭკსენ ძელით? მაუწეე ჩ(უე)ნ, ნიკოდემოს
ქებულო: ვინ შეჭმურე წესითა მკურდათადთა, შესვე ტილოდთა და დასდევ
საფლავსა შინა? ესე არს ქ(რისტ)ე დ(მერთ)ი დაუსაბამოდ, რ(ომელმან)
ივნო და მოკუდა კორცითა სოფლისა ცხოვრებისათვის, ამან სიკუდილი
მოკლას და აღდგეს მკუდრეთით!“ (როდ, 494).

„ვერ მიცნა სიკუდილმან, ქ(რისტ)ე, უკუდავო დ(მერთ)ო, მ(ა)ს
სიკუდიდ მოსრულო ნებსით თვისით კორცითა, განადო ჰირი ჯოჯოხეთმან
შთანთქმად შენდა, ხ(ოლო) შენ, ვ(ითარცა) დ(მერთ) ხარ, სიკუდილი
მოჭკალ და მკუდარნი აღადგინეს“ (როდ, 495) და სხვა.

ამრიგად, იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის
განხილული გაბაასება თავიდან ბოლომდე ეყრდნობა და ასა-
ხავს დვთაების შესახებ მიღებულ ქრისტიანულ ეგზეგეტიკურ
შეხედულებებს, რომლებიც, როგორც ერთიანი ტეშმარიტება,
მშვენიერი პოეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული და
გამოხატული.

ბ) ხანგრძლივი ძილის მოტივი

თედო ჟორდანიას არქივში დაცულია მისივე ხელით შესრულებული გალექსილი ამავე პოეტთა მეორე კითხვა-პასუხი, რომელიც პირველ გაბაასებას მიჰყვება:

„იოსებ ტფილელისაგან იაკობ შემოქმედელისადმი

ასახსნელსა მოგახსენებ. ვიცი, კი გაქვს სიბრძნე მრთელად: სამოცდაათს წელიწადსა ვინ ყოფილა მკედარი ძველად, გზასა ზედა განჭიმული, საფლავშიდა დაუფლველად, წელსა მესამოცდაათს აღღგომილა ისრე მრთელად?

ახსნა იაკობ შემოქმედელისაგან

იერემიამ გაგზავნა შვილი მოტანად ხილისა, მამისთვის ლეღვი მოქონდა, ჟამი მოუხდა ძილისა, იწვა სამოცდაათს(!) წლამდის, განუფრთხობელად ძილისა“¹⁹.

ეს გაბაასება განეკუთვნება ადამიანთა ხანგრძლივი ძილის მოტივს, რომელიც ქრისტიანულ აპოკრიფულ და სხვა რელიგიურ ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული. კერძოდ, იგი გამოხატავს ძველი აღთქმის აპოკრიფს აბიმელექის შესახებ, რომელიც, ერთი ვერსიის მიხედვით, იერემია წინასწარმეტყველის მოწაფედაა დასახელებული და, როცა თავის მასწავლებელთან ფინიკი მიქონდა, გზაში 70 წელი უძინია. ა. კრიმსკი წერს: „... Близким Вариантом талмудической легенды о Хони является христианско-ветхозаветный апокриф об Абимелех, ученик пророка Иеремии. И этот Абимелех, проснувшись, через 70 лет, не мог узнать ни изменившейся местности, ни города, хотя фиги, сорванные им перед сном, оказались вполне свежими...“²⁰

¹⁹ А 1271-ვ-VI (გვ. 3რ).

²⁰ А. К р ы м с к и й, Сем Спящих Отроков Эфесских, Оттиск из IV тома "Древностей Восточных", М., 1914, с. I- II; შდრ. მარიამ ნ ა ნ ო ბ ა - შ ვ ი ლ ი. ცნობები ეფესელ მძინარე ყრმათა და მათთან დაკავშირებული პაგიოგრაფიული თხზულების შესახებ. „მაცნე“, ელს, 1998, № 1-4, გვ. 166. მ ი - ს ი ვ ე, პაგიოგრაფიული თხზულება შვიდი ეფესელი მძინარე წმინდანის შესახებ. ჟურ. „რელიგია“, 1999, № 5-6, გვ. 14-15.

გამოსავლინებელი და შესასწავლია ამ აპოკრიფის ქართული თარგმანი. არ ვიცით და გამოსარკვევია აგრეთვე. თ. ჟორდანიამ საიდან გადმოიღო აღნიშნული გაბაასება და რამდენად სარწმუნოა იოსებისა და იაკობისადმი მისი მიკუთვნება. ეჭვს იწვევს ისიც, იაკობს ოთხსტრიქონიან შეკითხვაზე სამსტრიქონიანი სტროფით ეპასუხა.

3. პროზაული კითხვა-პასუხები

თ. ჟორდანიას ხელით ნაწერ დასახელებულ საარქივო მასალებში მოთავსებულია აგრეთვე პროზაული ჩანაწერები (3 I-V), რომლებიც იაკობ შემოქმედელს მიეწერება. იოსებ თბილელთან გაბაასებას მიჰყვება ორი პროზაული კითხვა, რომლებსაც პასუხები არ ახლავს: „ერთხელ დაიბადა და ორხელ მოკვდა, - ვინ იყო? ან დაუბადებელი რომ მოკვდა, ის ვინ იყო?“

მესამეა ასკეტური შინაარსის კითხვა და დიდებული სახოვანი პასუხი: „ბერი ვინმე მივიდა იაკობ შემოქმედელთან და კითხა: მინდა გცხონდე და მასწავლე, მამაუო?“

იაკობმა უთხრა: მოკვდ, შეილო, და მიიღე ძირი მორჩილებისა, ფურცელი მოთმინებისა, უვავილი სიწმინდისა, ნაუოფი კეთილთა შენთა საქმეთა და დანაუე ფიალასა შინა მდულარებისასა და გასცერ საცრითა გულისხმის ეოფისათა და შთაერენ ჭურჭელსა სიმდაბლისასა, დაასხ წყალი ცრემლთაგან მლოცველობისათა, განაგრძე მარხვითა და დამარხილე მშათოჲვარებითა და იხმარე კოვზითა სინანულისათა და ესე ეოვლისა ამის აღმასრულებელი განკურნებულ იქმნები უკუნისამდე“.

არ ვიცით, ესენი საიდან გადმოიღო თ. ჟორდანიამ და კიდევ უფრო საეჭვოა, მათი ავტორი იაკობ შემოქმედელი იყოს.

პირველი ორის მსგავსი კითხვა სათანადო პასუხების დართვით, ავტორის დაუსახელებლად გვხვდება აპოკრიფულ კრებულებში „მარგალიტი“: „კითხვა: ვინ მოკვდა ორგზის და ერთხელ აღდგა? მიგება: ღაზარე, რომელი აღადგინა უფალმან“. „კითხვა: ვინ იყო, რომელი არა შობილიყო დედაკაცისაგან და მოკვდა? მიგება: ადამ, პირველი იგი კაცი“¹.

მესამე კითხვა-პასუხი ჩვენთვის ცნობილია ისევ გვიანდელი, თუმცა თ. ჟორდანიამ ცოტაოდენ აღრინდელი (XIX საუკუნის 30-იანი

¹ A 1064 (გვ. 79r), A 1369 (გვ. 159-160), H 1296 (გვ. 215), S 1536 (გვ. 76), S 3529 (გვ. 22-23), Q 707 (გვ. 69r) და სხვა.

წლების) ჩანაწერით, სადაც პასუხის ავტორი დასახელებული არ არის. დასაწყისში იკითხება: „ბერი ვინმე მივიდა მკურნალისა მიმართ და ჰკითხა: გაქვს შენ მცენარე რაიმე მკურნალი ცოდვსა? ხოლო მკურნალმან ჰრქუა მას: მოვედ და მიიღე...“ და გრძელდება თ. უორდანიას ტექსტისებურად, ოლონდ რამდენიმე ადგილი მასში უფრო სწორადაა წარმოდგენილი: „მდულარებისას“-ს ნაცვლად წერია „მდუმარებისას“; სიტყვების „დაასხ წყალი ცრელთაგან მლოცველთაბისათ“-ს შემდეგ დამატებულია: „დაატყენ ცეცხლთა საღმრთოდსა სიყვარულისათ“. „იხმარე“-ს მაგივრად გვაქვს უფრო არქაული სიტყვა „იხმიე“, „ესე“-ს ნაცვლად - „ესრეთ“.

ამ სხვაობის მიხედვით, ეს მეორე ტექსტი უფრო ღირსეულად გამოიყურება.

აქაც ზემოთ ნათქვამი უნდა გავიმეოროთ: ამ კითხვა-პასუხის წყარო და ავტორი საძიებელი და დასადგენია.

დასასრულს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის ერთმანეთთან გაბაასების დროსაც გვერდით დგას მეფე-პოეტი არჩილი. ისიც საგანგებო ყურადღებას აქცევს ქრისტიანულ-რელიგიური შეხედულებების ლექსად და გამოცანებად გამოთქმას. ასეთია მისი „ამიკანად სათარგმანებელნი“ 78-სტროფიანი ანბანთქება², სადაც ავტორი გალექსილ გამოცანას იძლევა და პასუხს მკითხველს ავალებს. იგი ამას ხან დაუჩინებოთ მოითხოვს, ხან ამისთვის მკითხველს ამხნევეს და ახალისებს, ხან ეშუქება კიდევ:

- „არს ერთი რამე ასეთი, ვინ ახსნით, არის სახელი“ (2.1).
- „ზეპირ მიბრძანე, მთარგმნელო, რას ხველი, რასა ქშინაო?“ (15.4).
- „სე, მე ვიცი, ის ვერ თარგმნის, ვინ მყედროს ზის, იხილებს“ (16.4).
- „სერთ-წამ ყოველი განქარდეს. მსწრაფლ მიხვედ, თუ გულს გაავლებ“ (17.4).
- „თქმულსა ამას ის გამოსცნობს, სამოელსა ვინ ახარებს“ (18.4).
- „კარგ კაცურად ვინ ვერ სთარგმნის, შეკვდება გიკმთ, ქულის მოხდა“ (22.4).
- „კარგად სცანით, ვის სიბრძნე გაქვსთ, თუ არ იტყვით, არ იქნება“ (23.4).
- „ლაყაფს ესე სჯობს, ეს ბრძანოთ, ძე თქვენი გაიზარდოს“ (24.4).
- „მე მითქვამს, აწ თქვენ ახსენით, დაღუმება სჯობს არასა“ (29.4).
- „პირმეტყველად არ ჩაგაგდებ, ვინცა ახსნი ამას ძნელად“ (36.4).
- „ხელს ვერ ჰყრიდე, ვერ ახსნიდე, მანდ ნუ მიზი, წა, ამეცა!“ (72.4) და სხვა.

² ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. არჩილიანი. I, თბ., 1936, გვ. 277-285; მეორე გამოცემა: ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ, თბ., 1999, გვ. 198-207.

ტექსტში ასახსნელი სიტყვა თუ ამბავი ძირითადად შინაარსობრივად იკვეთება. ხშირად პირდაპირ დასახელებულიცაა, არცთუ იშვიათად რამდენიმეჯერ, უფრო რითმებში. მაგალითად, ელია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილ გამოცანაში, რომლის თითოეული სტრიქონი ბ ასოთი იწყება, ორივე ხერხია გამოყენებული:

„ბრძანეთ, ცხენით ცად ვინ ახლა, ქვეყანასა სულ ელია,
ბევრი მღვდლობდა ღვთივ-შენიერ, არა მღრღლობდა სულ ელია,
ბრძენთა ადვილ მისახლომი, ეს უნდ იყოს სულელი-ა?
ბრიყვი, ვეჭობ, ვერ მიხვდება, ან ვინ არის სულელია“ (4).

ხელნაწერებში, რაც მთავარია, ავტორიზებულიებში, ამ გამოცანებს ახსნა არ ახლავს. მათი განმარტებანი მოცემულია ალ. ბარამიძის შესავალ გამოკვლევაში, რომელიც „არჩილიანის“ პირველ ტომს წინ უძღვის (გვ. XVIII), ოღონდ არა ყველა სტროფისა. მკვლევარი იუწყება: „მკითხველისათვის რომ ტექსტი უფრო გასაგები გახდეს, აქვე ვიმღვით ამოცანათა მნიშვნელობის ნუსხას. ოღონდ ეს კია, რომ ეველა ამოცანის ახსნა არ მოგვიჩვენდა. ზოგიერთი ამოცანა, სახელდობრ 12, 20, 21, 30, 39, 48 და 74, ამოცნობილია ჰროფ. კ. კეკელიძის მიერ“.

სამწუხაროდ, „არჩილიანის“ მეორე გამოცემაში ამ გამოცანა-ლექსების განმარტებას ყურადღება არ ექცევა.

აღნიშნული თვალსაზრისით დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანია ოსე გაბაშვილის მიერ გადაწერილი, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის კუთვნილი S 395 ნუსხა, რომელიც არჩილის თხზულებების არც ერთი გამოცემისას გათვალისწინებული არ ყოფილა. აქ ცალკეული სტროფის ქვეშ მოცემულია პასუხი, თუმცა უპასუხოდ დატოვებული სტროფები აქა-იქ მასაც მოეპოვება³. ბოლოს ხელნაწერის დამწერი თუ დამკვეთი მკითხველს მოუწოდებს, გამოცანებს პასუხი

³ ხელნაწერის აღწერილობაში, რომელიც თ. ენუქიძეს ეკუთვნის, დამოწმებულია 25 სტროფი, - ყველა აუხსნელად. იქვე აღნიშნულია, რომ „ამოცანის ბოლოს ამოხსნა მიწერილია კრიპტოგრამით“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1959, გვ. 495-496). ლილი ათანელიშვილიც თავის შესანიშნავ წიგნში „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ (თბ., 1982) მიუთითებს, რომ IV-სა და ზედა საცავ ფურცელზე გამოყენებულია კრიპტოგრამა და გვაუწყებს მის სახეობას (გვ. 411). მაგრამ, თუ რა იკითხება, არ შიფრავს ჩვენ მათე ქვემოთ მოყვანილი პასუხები, ვფიქრობთ კრიპტოგრამა არაა, ჩვეულებრივ დაქარავემებული სიტყვებია. საერთოდ, არჩილის ეს ლექსი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ, ამ ხელნაწერის მონაცემებსა.

ლექსად გასცეს: „ეს ამიყანა მე შეუსმინე და, ვინც იცნოთ, შაირით ასსენით“.

ამ ხელნაწერის პასუხები დაბეჭდილისაგან ხშირად განსხვავდება. ხანდახან ერთმანეთს ავსებენ, ზოგჯერ კი უფრო ზუსტია. მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუშს:

გამოცემაში გამოცანა, რომელიც ჩ ასოს ქებაა, განმარტებული არ არის:

„ჩვილს ყმაწვილებს ერთს ქვეყანას ასე წყალში ჩააგდებენ,
ჩასმენ რასმე მდინარესა, ცუდათ არსად გააგდებენ;
ჩახედვენ თუ, ძირს წავიდა, ან თუ ზეით მოიგდებენ,
ჩქარად ბრძანებთ, ვერ მიჰხვდებით, რომელს რაზე აიგდებენ“ (59).

ხელნაწერში კი ახსნილია: „მოსე“, რაც სწორი უნდა იყოს. ჩანს, არჩილს მხედველობაში აქვს დედის მიერ ჩვილი მოსეს მდინარის პირას შამბნარში კიდობნით დასმის ამბავი. ბიბლიაში ვკითხულობთ: „და იყო ვინმე ტომისაგან ლევისა, რომელმან მოიყვანა ასულთაგან ლევისთა და ესუა იგი. და მუცელქმნულ იქმნა და შვა წული. სოლო იხილეს იგი მკვრცხლად და დამალეს იგი სამ თუე. სოლო ვინათგან არა შესამღებელ იყო მერმეცა დამალუად მისი, მოილო დედამან მისმან კიდობანიკი და მოგოსა იგი კირითა და ფისითა და შთადვა ერმა მას შინა. დაჯა იგი შამბხა შინა წულის კიდესა. და უმზირდა და მისი შორით ხილუად, რა-ძი იუოს შემთხვევა მისი. სოლო შთავიდა ასული ფარაოისი ბანად მდინარესა და შიმუნვარნი მისნი თანა-უვიდოდეს მას კიდესა მდინარისასა. და იხილა კიდობანიკი შამბხისა შორის, წარავლინა შიმუნვარი და მოილო იგი. და განაღო რა, იხილა მტირალი ერმა კიდობანიკსა შინა. და კმა-ყო მისთვის ასულმან ფარაოსმან და თქუა: ერმათაგან ებრაელთას არს ესე“. ძიძად მოყვანილმა დედამ „აღზარდა ერმა და შეკუარა ასულსა ფარაოდსსა და იყო იგი მისა შვილად. და დახდვა ხახელი მოხე და თქუა: წულისაგან გამოვიდე ვეგე“⁴ (გამოსლვათა, 2,1-6,10).

ი ასოსადმი მიძღვნილი სტროფის რითმებში გამოიყოფა სიტყვა „დაკით“:

⁴ კომოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, I, შესაქმისად, გამოსლვათად, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გაროსაცემად მოამზადეს ბაქარ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ცოტნე კ ი კ ვ ი ძ ე მ, თბ., 1989. შდრ.: გაიოზ ი მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვუფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1989, გვ. 367-390.

„იყო კაცი ქვაბსა შინა დამალული, არ თუ დავით, იგი ვინმე მას სდევნიდა სასიკვდინედ ავსა და ვით, ისიც მასვე ქვაბს შევიდა მოსვენებად ვითა და ვით, იცნა, მაგრამ არას ავენებს ცხებულობით მშვიდი დავით“ (21).

გამოცემაში მოცემული განმარტებით, გამოცანა ეხება საულს. ხელნაწერის მიხედვით - დავითს (წარმოდგენილია ქარაგმით: „ლ“თ). სინამდვილეში იგი ასახავს ერთმანეთისადმი ორივეს დაპირისპირებასა და დანდობას: „...და წარიევანა საულ მის თანა სამი ათასი კაცი რჩეული უოველთაგან ისრაჰლთასა და მივიდა მიებად დავითისა და ესეკ სადამისისა ადგილთა კაპანთა ფრიალოთა. და მოვიდა იგი ადგილსა მას მწეუმსთასა. და იყო მუნ ქვაბი ერთი. და შევიდა მუნ საულ განსვენებად მას შინა. და დავით ერთურთ მისით დამალულ იყო შინაგან ქვაბთა. და ჰრქუეს კაცთა მათ დავითს, რომელნი მის თანა იუვნეს: ესე დღე მათ დღეთაგანი არს, რომელსა დღესა ადგითქვა ღმერთმან მოცემად მტერთა შენთა კელთა შინა შენთა. აწ ეავ, რომელი კეთილ არს წინაჲმ! და მოვიდა დავით მსწრაფლ საულისა და მოჰკუეთა ფრთე ერთი ქლაძინდისა მისისა. და შეინანა ფრიად დავით გულსა შინა თვსსა, რამეთუ მოჰკუეთა ქლაძინდსა მისსა. და ჰრქუა დავით ერსა მას: ნუ იყოფინ ჩემდა გვე უფლისა მიერ, რათამცა ვნებაჲ რამე შევამთხვე უფალსა ჩემსა, რამეთუ ცხებული უფლისა არს იგი! და შეაჯერა დავით სიტკუთა ამით ერსა მას მისსა და არა ვის უტკუვა მოკლვად საულისა. და გამოვიდა საულ ქვაბისა მისგან და წარვიდა გზასა თვსსა. შემდგომად მისა გამოვიდა დავითცა და უკმობდა მიმართ და თქუა: უფალო ჩემო მეფე! და გარეუკმოიხედნა საულ და დადრკა დავით და დამხედ თაუჲანი-სცა მას...“⁵ (1 მეფეთა, 24.3-9).

ამდენად, ცალ-ცალკე აღებული ახსნა „საული“ და „დავითი“ სრულყოფილი არ არის, თუმცა „დავით“ სარიტორი სიტყვებში გამოიყოფა, იგი მაინც გამოსაცნობი და გასააშიფრავია. მაშასადამე, გამოცანის სრული პასუხი იქნება: საულისა და დავითის ქვაბში შეხვედრა და ერთმანეთის დანდობა.

სხვა შემთხვევაში გამოცანაში რამდენიმეჯერ დასახელებულია ის სიტყვა, რომელიც გამოსაცნობია. ასეთია პირველი სტროფი (ა-ს ქება):

⁵ დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნუმტოა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. ღო რ ა ნ ა შ ვ ი ლ შ ა, თბ., 1982.

„არსი ყოვლთა დამაარსი, სხვა უარსო არსად არი,
არასი ხამს შედარება, არს ყოვლს ნიეთთა არ-სადარი,
არ არიან უიძისოდ არ ღრუბელი, არ სა დარი,
ა, ნებაა მის-მიერი, განგვეშოროს არსად არი“.

გამოცემაში წარმოდგენილი ახსნით, პასუხია „ღმერთი“. ხელნაწერის მიხედვით - „სული“ („ს -ი“). ეს უკანასკნელი სწორია. „არსის“ ამგვარი განმარტება სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად, ვილაც კლერი-კალის მიერ შეთხზულ და ხელნაწერებში „ვეფხისტყაოსნისათვის“ წამძღვარებულ განმაქიქებელ სტროფში პოემა დაწუნებულია იმის გამო, რომ იგი არსად მიიჩნევს ხორცს და არა სულს:

„პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად.
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცს, არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად“⁶.

სხვა ნიმუშების შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ მაგალითებითაც ნათელია, რომ არჩილის ეს გალექსილი გამოცანები არსებითად ისეთივეა, როგორც იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის გაბაასებანი. რა თქმა უნდა, ამგვარი ლექს-გამოცანები ქართულ ლიტერატურაში ადრეც და შემდეგაც გვხვდება, მაგრამ ამჯერად მთავარი ჩვენთვის ისაა, თუ რა საერთო აქვთ არჩილის და ქართლელ, მუხრანელ ბაგრატიონთა სამეფო კართან დაახლოებულ მწერალ მოღვაწეებს.

არჩილის აღნიშნული ნაწარმოები გვიან, 1693 თუ 1698 წელს, არის შეთხზული. გივი თუმანიშვილის მიერ გადაწერილი S 424 ნუსხის „ზანდუკის“ ცნობაზე დაყრდნობით, ალ. ბარამიძე წერს: „ამიცანად სათარგმანებელი“... არჩილს უთქვამს «მეორედ ოსეთსა და დვალეთს დგომამია». მეორედ იდგა არჩილი ოსეთს 1693 წელს, როდესაც რუსეთში გადასვლას აპირებდა და შეპურობილი იქნა ეილჩიოს მიერ (ქართლის ცხოვრება, II, 214). თუმცა შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს 1698 წელიც, როდესაც არჩილმა უარჰყო აბაშიძის წინადადება მისი

⁶ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1960, გვ. 2. ამ სტროფის შესახებ იხ.: შ. ო ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, წიგნში: შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 318-338; მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, სასულიერო საზოგადოების დამოკიდებულება ვეფხისტყაოსნისადმი, კრებულში: შოთა რუსთველი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2000, გვ. 242-248.

ქალის - თამარის შერთვაზე და იმერეთში ამ კვით გაშეფუძახე. უკანას-
კნელ ამბებთან დაკავშირებით «ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს:
«წარვიდა დვალეთს და იყოფებოდა ზრამავას ზამთარსა მას მოპლოდნე
სპათა რუსთასა» (II, 216). ეს მეორე თარიღი იმითაც მისაღებია, რომ
ზამთარში უსაქმოდ მეოფე არჩილს შეტი დრო ექნებოდა მელექსეობი-
სათვის⁷.

იოსებ თბილელისა და იაკობ შემოქმედელის გაბაასება უფრო
ადრეა დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, - 1688 წლამდე, იოსების
გარდაცვალებამდე. მიუხედავად ამისა, სამართლიანი არ იქნება, ამ
თემის დამუშავებაში რომელიმე მათგანისათვის უპირატესობა მიგვე-
ნიჭებინა. ჯერ ერთი, ეს თემა საერთოდ იდგა ქრისტიანულ მწერლო-
ბაში. მეორეც, ჩანს, არჩილის ირგვლივ შემოკრებილ მწიგნობართა
წრეში არსებობს საერთო ლიტერატურული მისწრაფებანი, სადაც არ-
ჩილის, ვითარცა მეფისა და ორგანიზატორ-ხელმძღვანელის, წარ-
მმართველი სახე ხშირად გამოკრთის ხოლმე. მასზე ტყუილად არ
შეიძლება ამბობდეს თავად იაკობი: „თქმული მომწონს - მისგან
ზრდილსა - არჩილ ცნობა-უფსკრულისა“.

4. წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი

იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის ოთხსტრიქონიანი ფორმა-
ლისტური ნაწარმოები, „წაღმა-უკუღმა საკითხავი ლექსი“, ანუ
პალინდრომი:

„სამი ილოცე ოსანნა, ანნასო ეცოლი იმას,
სამასი რა მათ ედემი იმედე თამარ ის ამას,
სუა ნამი აკულა არის, სირა ალუკა იმან აეს,
სრა დავით აჭარა მეფეს, სეფემ არაჭა თიფჯდ არს“⁸.

პალინდრომის თავისებურება ის არის, რომ იგი
ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე
პირუკუ. აქაც ყველა სტრიქონი ასეა.

⁷ არჩილიანი, I, გვ. XVII, XVIII.

⁸ A 1735 (122v), H 153 (გვ. 210), S 404 (გვ. 300), S 1508 (გვ. 308).
ლექსის ამ სახეობას სავანებოდ განიხილავს გ. მიქაძე, რომელიც
იმოწმებს ამ ლექსის პირველ და მეორე სტრიქონს (გივი მ ი ქ ა ძ ე,
ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 85-88).

III. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთა გაბაასება“

იაკობ შემოქმედელი ერთი იმ თვალსაჩინო მოღვაწეთაგანია, ვინც თავისი პოეზიითა და პრაქტიკული საქმიანობით ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ეკლესიას ჩვენში ერთგულ დარაჯად ედგა და ამით საქართველოს ეროვნული თვითმყოფობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა.

სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გამუდმებით მომხედურ დამპყრობ ურდოებთან უთანასწორო, გამანადგურებელ ომში, როდესაც რწმენა უდიდეს და ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებდა, კლამს ცეცხლისა და მახვილის ტოლფარდი ძალა ქმნდა. ისლამური რელიგიისადმი შეურიგებლობა საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცის სამკედრო-სასიცოცხლო საქმედ იქცა ...

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ XVI საუკუნის სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი და მწერალი ბაგრატ ბატონიშვილი (მუხრანბატონი)¹ წერს ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ნაშრომს „*მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ*“, ხოლო მისი შორეული მემკვიდრე (შვილიშვილის შვილიშვილი), ქართლის მეფე (1676-1688, 1703-1709) გიორგი XI იაკობ შემოქმედელს მის ლექსად გარდაქმნას ავალებს.

იაკობმა პირნათლად შეასრულა დავალება და მოგვცა მხატვრული თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო პოეტური ქმნილება „*უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთა გაბაასება*“:

ამ თხზულებათა დანიშნულება არის, მკითხველთ აუხსნას და დაასწავლოს ჭეშმარიტება ქრისტიანობისა, ხოლო სიყალბე და მაცდურობა ისლამისა, ამით კი მოამზადოს ისინი მაჰმადიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამწუხაროდ, ბაგრატის ნაშრომი გამოქვეყნებული არ არის (მზად გვაქვს გამოსაცემად).

¹ ბაგრატის ბიოგრაფიული მასალები გამოქვეყნებული გვაქვს წიგნში: ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1993, გვ. 228-250.

1. დედანთან მიმართება

იაკობ შემოქმედელი თავიდან ბოლომდე ბაგრატის ნაშრომს ემყარება და მას ლექსავს², უმატებს მხოლოდ პროლოგსა და ეპილოგს და შიგადაშიგ რამდენიმე სტროფს. ნაწარმოები სულ 289 16-მარცველოვანი რუსთველური სტროფისაგან შედგება.

*

პროლოგი შეიცავს 17 სტროფს და შინაარსითა და აგებულებით დაახლოებით იმავე ტიპისაა, როგორც „ვეფხისტყაოსნისა“ და, საერთოდ, ძველ ეპიკურ თხზულებათა პროლოგები. ავტორი ჯერ ღმერთს, ღვთისშობელსა და წმინდანებს ეხება, შემდეგ თავის თავზე, მწერლობაზე და ადამიანის ბუნებასა და მოვალეობაზე საუბრობს.

პირველი სტროფები ღმერთის დახასიათებასა და ქებას ეძღვნება. პოეტი „იგავთა“-ს კვალობაზე (1.7; 9.10) წინ სწევს და ხაზს უსვამს ქრისტიანულ თეოლოგიურ თეალსაზრისს, რომ სიბრძნის აუცილებელი განმსაზღვრელი წინაპირობა ღვთის შიშია:

„სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღვთისა, სამგვამოვნის ღვთაებისა, შემოქმედის, მის ერთისა, ვისგან ძრწიან სერაბინნი, პირთა აქვან ფარვა ფრთისა...“ (1. 1-3).

² ადრე თ. ჟორდანიამ არ იცოდა, რომ იაკობის ეს ნაწარმოები ბაგრატის თხზულების გალექსილი ვერსიაა. მკვლევარი წერს: „აქ იაკობი იძლევა მრავალს ცნობებს მაჰმადის ცხოვრებიდამ, რომელიც მას ამოუღია არაბული წყაროებიდამ“ (ქრონიკები, I, გვ. 308). სინამდვილეზე მიუთითა ნ. მარმა („Из книги царевича Баграта...“, გვ. 236-237).

ერთ დროს, თურმე, ზ. ჭიჭინაძეც ფიქრობდა, რომ იაკობ შემოქმედელმა ეს თხზულება ჯერ პროზაულად დაწერა და შემდეგ გალექსა. არქივში დაცულ მოგონებაში უწერია: „ეს იაკობ ღუბაძე «ეურანის» წიგნებს აგროვებს, მათ უცნობა კარგათ და მას შემდეგ 1630 წლებში მუჰამედის «ეურანის» მოძღვრების დასამსოხათ სწერს საპასუხო წიგნს და, ბოლოს, როგორც ნიჭიერი მელექსე – ამ თავისგან დაწერილ პასუხს მუჰამედის «ეურანის» საპასუხოთ ქართულს ენაზედ ლექსავს კიდევ თექვსმეტმარცველოვანის კარგი ლექსით“ ([ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე], ქართულს ენაზედ «ეურანისა» თარგმნის ისტორია, გაზ. „ქართული წიგნი“, №12, დეკემბერი, 2001, გვ. 8).

ამგვარი დასაწყისი ზუსტად შეესაბამება ნაწარმოების თემასა და იდეას. ღვთისადმი შიშის ეს მოტივი, პირდაპირ თუ ქვეტექსტებიდან გამომდინარე, თხზულებაში შემდეგაც ბევრჯერ ხშიანობს.

სიბრძნესთან დაკავშირებით მეორე დებულებად პოეტი იმოწმებს ქრისტიანულ შეხედულებას ღმერთის შეუცნობლობაზე:

„ცხრა დას-გუნდნი ანგელოზნი, მზე, მთვარეცა, ვარსკვლავები, ქვეყნად კაცნი, ზღვა, უფსკრული, მთა, ბორცვი, უძრავ-მოძრავები, მკეც-ნიანგნი, თევზ-ფრინველნი, რაც არს ხილულ-უხილვები, ვერვინა სცნობს ღვთის არსებას, მისთვის ვინც ბრძნობ, ცუდათ შერები (2).

ყველაფრის შემოქმედი, შემძლე და გამკეთებელი ღმერთია, რომელმაც კაცობრიობისათვის უამრავი ტანჯვა-წამება გადაიტანა და ბოლოს ჯვარს ეცვა:

„ხარ შემოქმედი ყოველთა, ვის ანგელოზნი ღვთად გესვენ, შობითგან ბრმასა თიხა სცხე, ყურნი ყრუსანი განახვენ, ჯვარი, ლახვარი, ლერწამი, სამსჭვალნი ჩვენთვის თავს იხსენ...“ (3. 1-3).

თავმოდრეკილი პოეტი შემერთალი ჰკიდებს კალამს ხელს. მისცემს თუ არა მას ღმერთი შესაბამის სიბრძნეს, ღირსეული სიტყვა თქვას მასზე? - აი, უპირველესი საფიქრალი მისი:

„თიხის-წუთხნი ბაგე დაეხშენ, ვერ მკადრეობს ქებად, თრთისა“ (1. 4).

შემდეგ კი ღმერთს პირდაპირ შესთხოვს შემწვობას:

„ქება მწადას შენი, უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ!“ (3. 4).

მომდევნო სტროფი ღვთისმშობლის ხოტბაა: „ხარ საჩინოდ ქვეყნის მნათი, სახელდიდი ღვთისმშობელი...“ მას მოსდევს ვედრება „წინასწარმეტყველთ, მოციქულთ, მამათა, მამათაერთა“, ანგელოზთა და, საერთოდ, „ყოველთ წმინდათა ღვთისათა“ მიმართ, რომ ქრისტიანები იხსნან განსაცდელისაგან:

„ნუ მიგვცემ მკეცთა განმკრწნელთა ქრისტეს სყიდულთა ცხოვართა!“ (5.4).

მწერალი შემდეგ თავის თავსა და ნაწარმოების მიზანდასახულობაზე მსჯელობს. მისი მიზანია, „საუნჯედ“ და „ცნობად სულისად“ წარმოთქვას სიბრძნე, რომელიც „ღვთისმეტყველთ“ შეუქმნია, და აჩვენოს, ვინც, რაც და როგორც არის დასაგმობი.

აეტორი მკითხველს მოუწოდებს განსწავლულობისაკენ, რაც, იგულისხმება, ამ ნაწარმოების დანიშნულებაცაა.

იაკობი გადადის ქართული პოეზიის დახასიათებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლეს შეფასებას აძლევს შოთა რუსთველს, მის გვერდით აყენებს თეიმურაზ პირველსა და არჩილს და მათ ღირსეულ თანამოკალმედ თავის თავს წარმოგვიდგენს.

შემდეგ მსჯელობა ამქვეყნიურ, ადამიანურ ცოდვებსა და ღვთისმოსაობის აუცილებლობას ეხება. როცა სააქაო ცხოვრება ხანმოკლე და წარმავალია - „*აჩრდილ-სიზმარ-კვამლის მსგზავს ვართ*“, ჩვენ, „*სიკედელისა მანგლის პირით მსწრაფლ სამარედ წარსატაცნი*“, უგუნურებას ვიჩენთ: „*ეზეაობთ, ვბრდღვინავთ, ქედვმადლობთ*“. პოეტი გაცხებით კითხულობს: „*რასა შფოთებთ, მითხართ, კაცო?!*“ (სტრ. 11).

ყოველივე, რაც ღვთის ნებით არ არის გაპირობებული და ცდუნებებს იწვევს, დროებითი და განწირულია დასაღუპავად:

„უღეთოდ კაცი თუ ამაღლდეს, ნუ გშურს, ადრე წაიქცევა, ცოდვის საბრკით აგებული სახლი ძირით დაიქცევა...“ (12. 1 - 2).
„მწარის ხის ძირი ნაყოფსა უბოროტესსა მოისხამს, უღვთოს კაცისა თესლ-ტომი ფესვსა ვერას გზით გაიდგამს...“ (13. 1-2).

მწერალი გმობს ყალბ ღვთისმოსაობას, „ცრუ მოფიცართ“ და ფიცის გამტეხთ, მექრთამესა და უღმობელს... მტკიცედ სწამს, მათ, ყველას, საკადრისი მიეზღვება:

„ფიცის ტეხით მოქადული გმირი ჯინჯვლით გაიქცევა...“ (12. 3).
„ცრუდ მოფიცარი, მოქრთამე ანასდათ სისხლს გარდაისხამს, უწყალოს კაცსა მოწყალე ფარაოს მსგზავსად დანთქამს“ (13. 3 - 4).

ყოველნაირი ბოროტება ბოროტებას უმეგობრდება. ისინი მუდამ ერთად არიან და სიკეთეს ებრძვიან:

„უგბილს უყვარს უსწავლელი, ცრუს - მტყუვანი, მრუდად მთქმელი, უღვთოს კაცსა - ღვთის მოძულე, მაბიზღარი, სისხლის მსმელი, ქვეყნის ცოდვით დაეკარგვის ობოლ-ქერიეთა გამკითხველი, მსგზავსნი მსგზავსთა ტრფიალობენ, ნათელს ფარავს ქვეყნის მთხრელი“ (14).

პოეტი მკითხველთ მოუწოდებს აქტიური მოქმედებისაკენ - ყველგან და ყოველთვის მტკიცედ იყენენ აღჭურვილი ქრისტიანული სულისკეთებით. რწმენით, სამართლიანობითა და მოწყალებით შეძლებენ ისინი ყველა ცრუსა და მოღალატის დამარცხებას:

„მტკიცე სჯული, სამართალი იპყართ, იყოთ სადა გინდა, რაცა შენთვის არ ევარგოს, იგ ნუცა შენ სხვისთვის გინდა! იგ შენდობა შეცოდების სამოცდაათობის უნდა, ამით სძლიო, მოერიო, ვინც გეცრუა, გაგიმტყუნდა“ (15).

ცალკეულ უბედურებათა ჩამოთვლით ავტორი გვიჩვენებს, თუ რა გამანადგურებელი შედეგები მოაქვს ქრისტიანული რწმენის რყევას, მისი ზეგავლენის შესუსტებას, მეტადრე მაშინ, როცა ქვეყანას „ღვთის უცნობო“ განაგებს:

„სიყმილ-სიკედლი, სრვა, ძრვა, შფოთი, ჟამი ცოდვით გამოჩნდების, არას მისცემს მიწა, წყალი, ქვეყნად მკეცი განმრავლდების, ღვთის უცნობოს მთავრის ჟამში მღვდელთ პატივი დააკლდების, რა ცხოვარი უმწყს იქმნების, მგელი მეფედ დაუჯდების“ (16).

პროლოგის ბოლო სტროფი სატანის გმობას ეძღვნება: „სატანად ნუ ხარ, მეშურნედ...“ საერთოდ, პროლოგი, ისე როგორც მთელი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე, გამსჭვალულია უღვთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქრისტიანული სჯულის განმტკიცების აუცილებლობის იდეით.

*

ეპილოგი ორი სტროფისაგან შედგება და ორივეში ავტორი თავის მწერლურ მრწამსზე მსჯელობს. მას შემდეგ, რაც გვაუწყა, რომ იგი მეფისა და ხალხის მსახურია, ეს ნაწარმოები „ღვთით იქმნა“ და „ცხებულთ ნაბრძანებია“, კვლავ მიუთითებს თავის პოეტურ მოწოდებაზე და იმ უმძიმეს გარემოებაზე, რამაც განსაზღვრა ამ პოლემიკური ნაშრომის შეთხზვა:

„მაგრამ არა ვქმენ უმსგზავსოდ უღვთოთა სიტყვით მტერობა, იგი გაკლავს, გეყვედრის, შვილთ გვიჭამს, მე ვით დაუწყო ფერება? ყვაუთ მივხვდით ვარდნი საყნოსლად, ბუღბულათ მით არ გეეპყრობა!“ (289).

ამრიგად: იაკობ შემოქმედელი თავის თხზულებას დაახლოებით იმავე სქემით იწყებს და ამთავრებს, რაც ძველად

ჩვენს მწერლობაში (და არა მარტო ჩვენს მწერლობაში!) მიღებული იყო.

*

ახლა ტექსტის ძირითადი ნაწილის შესახებ.

თუ როგორია იაკობ შემოქმედელის დამოკიდებულება დედანთან, არავის უჩვენებია. კორნელი კეკელიძე ზოგადად აღნიშნავს: „ბაგრატან შედარებით, იაკობი მეტ ორიგინალობას იჩენს აპოლოგეტიკურ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების, ხატთა თაუჯანისცემის, ექპარისტისა და იესო ქრისტესა და მაჰმადის ურთიერთობის შესახებ“³.

პოეტი, საერთოდ, ერთგულად მიჰყვება დედანს. ზოგან ზედმიწევნით, თითქმის სიტყვა-სიტყვით ლექსავს მას. მაგალითად, დავით წინასწარმეტყველზე ბაგრატი მოგვითხრობს: „ანგელოზთა მთავარი იყო, რომელი მოივლინა უფლისა მიერ დავით წინასწარმეტყულებისა და მეფობისა, და იგივე შეეწია ბრძოლასა გოლიათისასა, რომელი-იგი ერთითა ტეორცნითა ქვისათა მოაკუდინა და მხვილითვე თვისითა წარკუშთა თავი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი ფონდი (Q), № 91, გვ. 2 r).

იაკობი ლექსავს:

„საცხებელითა იხილა ერისმთავარი დავითმან,
წინასწარმეტყველად, მეფედ სცხო, არ ურჩად ექმნა, დავით მან,
ბრძოლასა გოლიათისსა თვით შეეწია და ვით მან
ერთის შურდულის სროლითა ასრე აღმოფხვრა დავითმან“ (40).

როგორც ვხედავთ, არც ერთი დეტალი არაა დამატებული და არც დაკლებული, თხრობის თანამიმდევრობაც ერთნაირია, ამავე დროს, პოეტი წარმატებით ახერხებს სტროფის ომონიმური რითმებით აგებას.

ზუსტად ასევეა მომდევნო ეპიზოდშიაც, რომელიც ილია წინასწარმეტყველს ეხება. ბაგრატის ნაშრომში ეკითხულობთ: „და დიდსაცა წინასწარმეტყველსა ილიას ჰრქუა რად ანგელოზმან, ვითარმედ: ნიავ წურილსა მას შინა უფალი, არავე უჯერო შეემთხვავა, არამედ ლოცვით არ ეწვიბა სამ წელ და ექუს თუც, ბე ქურივისა მკუდარ

³ კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 338.

აეღვინა და რაჟამს თხოვნა, მიეცა წვიმა“ (გვ. 2 r - v). იაკობის ტექსტი:

„მუნ ანგელოზი იხილა კაცმან ღვთისამან, ილია;
უთხრა: «ნიაე ველილს უფალი დგას!» შიშით ძლივლა ილია.
მით ლოცვით სამ წელ და ექვს თვე წვიმანი ზეცით ილია,
ძე ქვრივის მან აღადგინა, ვინ რომ თქვა «ილი, ილია»“ (41).

ამგვარი სიზუსტე, რა თქმა უნდა, ბევრგან არ არის. სხვა შემთხვევებში, როგორც ეს ჩვეულებრივ პროზაული ტექსტის გალექსვისას ხდება ხოლმე, დედანი რამდენადმე შეცვლილია, მეტ-ნაკლებად დაკლებული ან დამატებულია ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, არეულია თხრობის თანმიმდევრობა. მაგალითად, მსჯელობისას, რომ ღმერთი სამპიროვანია, ბაგრატი ასეთ თვალსაჩინოებას მიმართაევს: „და ვითარცა ენა ჰირსა შინა და სიტყუად, ვითარცა ენასა შინა, ესრეთ იფუნენ გულისკმის უოჟა შენი და ცნობა მამისათვის და ძისა და წმიდისა სულისა, რამეთუ ვიტყვთ ენასა ხატად მამისა, რომელი-იგი, მშობელი სიტყვსა, და ჰირსა, სახედ სულისა წმიდისა“ (9 r).

ეს ადგილი ლექსად ასეა წარმოდგენილი:

„როგორც არის ენა პირით, კელა შემდგომად სიტყვა-ენით,
მამის, ძის და სულის წმინდის ესრეთ იყავთ ცნობა-რწმენით,
ეიტყვით ენას მამის ხატად, ვინ მშობელ არს სიტყვის ზენით,
სულის წმინდის სახედ პირსა ჩვენ ვიცნობთ და თქვენცა თქვენით!“
(143).

როგორც ვხედავთ, პოეტი ზუსტად გადმოსცემს დედანს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა შეცვლილი და დამატებული.

მეორე ნიმუში: ბაგრატი ჰყვება, თუ „ყურანი“ რა დამახინჯებულად გადმოსცემს ადამის და ევას სამოთხიდან გამოძევებას: „... ესრეთ, ვითარმედ ექსორიაობად ადამისი და ევასი ჭამისათვის ხუარბლისა იქმნაო, რამეთუ ხედცნობადად ხუარბალსა ქადაგებს, და ამკედრებულნი ფარშამანგსა სამოთხით განიხანდნესო“ (2 v - 3 r).

გალექსილ ვერსიაში ვკითხულობთ:

„სამოთხით ექსორიობა ესრეთ თქვა ადამ-ევასო,
ხუარბლის ჭამისთვის წყევითა თქმად იწყო ადამ-ევასო,
ხედ ცნობადისად პურს უწოდს, სცა კარსა ადამ-ევასო,
ფარშამანგთ შესხდენ, განეარდენ, ცრემლთ წყარო ადამ-ევასო“
(50).

აქ დიდ ცეზურამდე სტროფის პირველი (მარცხენა) ნახევარი ზუსტად, თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს დედანს, განსხვავებულია, სხვა სიტყვებითა და ტაქტოლოგიური რითმით შევსებულია სტროფის მეორე (მარჯვენა) ნახევარი, რაც ლექსად გარდათქმის საჭიროებითაა გამოწვეული.

თხრობის თანმიმდევრობის შეცვლის შემთხვევები:

ღმერთის სამპირიანობის საჩვენებლად, რომლის ერთი ნიმუში ზემორეა დამოწმებული, ბაგრატი რამდენიმე მაგალითს ასახელებს, მათ შორის, მცენარის ძირის, რტოსა და ფურცლის ერთიანობას. მის ტექსტში ეს მაგალითები ასეთი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ღმერთი... „მარადის ცოცხალი ერთ არს წმიდად სამებად განუყოფელი, ვითარცა მზე და ნათელი მისი და მცხინვარება, რომელი იმუცხის მისგან. ზოლო და-და-თუ სამითა სახითა იცნობების, განა არა ეთქუმის მას სამი მზე, არამედ ერთი. და ვითარცა თუალი კაცისა და ნათელი თუალისა, რომლისა მიერ იხილვების ეოველი, და გუგა თუალისა, რომლისა შორის არს ნათელი, არა ითქუმის სამად თუალად, არამედ ერთად. და ვითარცა გონებად და სიტყვად და სული არა ითქუმიან სამად ცხოველად, არამედ ერთად. და ვითარცა ძირი და რტო და ფურცელი არა ითქუმიან სამად ზედ, არამედ ერთად. და ვითარცა წუარო და მისგან მდინარე და მერმე მისგან ტბად არა ითქუმიან სამად ბუნებად, არამედ ერთად...“ (9 r).

იაკობის ნაშრომში ყველაფერი ეს ომონიმური რითმებით ზუსტად არის გადმოცემული, ოღონდ რიგი ოდნავ დარღვეულია - ძირი-რტო-ფურცლის მაგალითი წინ არის გადატანილი:

„მზე, ნათელი, მცხინვარება, სცანთ თქვენ, ერთად სახედ არი, აგრეც, ძირი, რტო, ფურცელი, სამ მარტივად სახედარი, სამივე ერთად იხილვების, განუყოფლად სა-ხედ არი. შეისმინეთ, ნუ ხართ უმწყსნი, კაცნი ბრანგვად სახედარი!

სამივე ერთად გულისხმა ჰყავ: გუგა, თვალი და ნათელად, არვინ უკმობს სამად თვალად, სწავლით ვინც ბრძნობს და ნათელად, კელავ გონება, სიტყვა, სული იგ არა ქმნა დანათელად, ერთის წყაროთ, მდინარე, ტბა არს სამ, ნუ გრწამს დანათელად!“

(139-140).

იაკობს ასევე გადაუადგილებია მომდევნო ამბები. ბაგრატის ტექსტი გრძელდება: „ვითარცა ცისკარი და განთიადი და ნათელი არა ითქუმიან სამად მართლიად, არამედ ერთად, რამეთუ მისგან იმუნინ და ერთ ბუნებად არიან. და ვითარცა მჟულოანი, რომელი იხილა მოსე სამ სახედ. და ვითარცა საკმილი სამთა ერმათა, რომელსა შინა

იხილვებოდა ცეცხლი და ნათელი და ცუარი ერთითა გონებითა გა-
ნუოფულად...“ (9 r).

იაკობთან კი გვაქვს:

„ყრმათა ბაბილონს ეკურა ცეცხლი, ნათელი, უე. ცვარად,
შესთხიენეს კრულნი სახმილსა, სხვა საჭურველი ეცვა რად,
სამიე სამებით იდიდნეს, ნუ გიკეირს, თუ ღმერთს ეცვა რად!
განაძლო სული ხეებული, მანანა ვით ენაცვარად.

ცისკარ, ნათელ, განთიადი, არ ითქმიან სამად ნათლად,
ერთისაგან იშვებიან, ერთ ბუნებად არის მართლად.
სინას მოსე მაყვლოვანი სამ სახედ სთქვა, არ სხვად ნათლად
ვარ ცეცხლ-შემწველ, მახვილ-ორპირ, ღვთის მგომბართა ენა მკვეთრად“
(141 - 142).

გვაქვს სტრიქონის კიდევ უფრო შორს გადასმის მაგა-
ლითიცი: 135-ე სტროფის მეოთხე სტრიქონად იკითხება:

„თუ მათ გძლიონ, პირით მწყევდით, გულით მლოცეთ,
მაკურთხევდით!“

ბაგრატის მიხედვით, ეს არის მოჰამედის ერთ-ერთი
ანდერძი, რომელიც მას ბევრად წინ აქვს გამოთქმული (8 v).
დედანში ეს მოთავსებულია იმ ამბის წინ, რომელიც („და
ეტოღა ეოველთა მორწმუნეთა თვსთა: უკეთუ მოიწიოს თქვენ ზედა ღვე-
ნულებად სჯულისათვს ჩემისა, ჰირითა მწყევდით, სოლო გულით გი-
ეუარღო“) იაკობს 120-ე სტროფში აქვს გალექსილი.

*

ახლა ის შემთხვევები, როცა იაკობი მეტ შემოქმედებითს
თავისუფლებას იჩენს და დედანს შორდება. აქ გასარჩევია ორი
მხარე: ერთი, ლექსის ყალიბით გამოწვეული შეზღუდულობა
და, მეორე, წმინდა აზრობრივი და მხატვრული მიზანდასახუ-
ლობა - ამა თუ იმ შეხედულებებისათვის ნაკლები ყურადღების
მიქცევა ანდა, პირიქით, მისი წინ წამოწევა და განვითარება.

ჯერ გამოტოვებული ადგილების შესახებ:

1. ბაგრატის ნაშრომში ჩამოთვლილია ის „სამოც-
დაათორმეტნი ჭაბუკნი ათთორმეტთავე ტომთაგან ისრაელი-
სათა“, რომლებიც „ჰყურითა მიერ“ ებრაული ენიდან ბიბლიის
სათარგმნელად პტოლემეს გაეგზავნა (10 v). ტექსტში ისინი

ასეა წარმოდგენილი: „ხოლო სახელები მათი ესე არს: ა) რუბენის ნათესავისგან: იოსაოს, ეშეკია, ზაქარია, იოჰნე, ეშეკიოს და მელესიოს. ბ) სვიმონის ნათესავისგან: იუდა, სვმეონ, სამოილ, თადეოზ, მატათეოზ, და სელმეოზ. გ) ზევის ნათესავისგან: ნიემია, იოსეფოს, თევდოსი, ბისკად, ონა და დაკის“ და ა. შ. ბუნებრივია, იაკობს ამ სახელების გალექსვა სიმნელის გამო საჭიროდ არ ჩაუთვლია და ყველა ერთიანად გამოუტოვებია (შდრ. სტროფები 170 - 171). თუმცა, როცა მოუნდომებია, ლექსად საკმაოდ წარმატებით ჩამოუყალიბებია ძველ ისრაელის ძეთა ათზე მეტი სახელი და ძველი აღთქმის წიგნების სახელები.

პირველ შემთხვევაში ბაგრატი წერს: „სახელები მათი ესე არს: რუბენ, სვმეონ, ლეკ, იუდა, იზაქარ, ზაბულონ, ბენიამენ, დან, ნეფთალიმ, გაად, ასერ და იოსებ, რომელი მიეუიდა ეგვიპტედ და დაემტკიცა ჭეშმარიტად კურთხევა იგი მისი და არა მოაკლდა წინასწარმეტყუელი და წინამძღუარი ნათესავისა მისისაგან, ვიდრე ქრისტესამდე - ჭეშმარიტისა მის მეუფისა ღმრთისა მაცხოვრისა ჩუენისა“ (4 r).

იაკობი გალექსვისას ყველა სახელს ჩამოთვლის, ოღონდ რამდენიმეს ადგილს უნაცვლებს და ერთს, ბიბლიის მიხედვით, კიდევ უმატებს:

„მამათთაჲარსა ძე ყვანდეს: რუბენ, სვიმიონ, ლევითა, იუდა, ზაბულონი და იზახარ, დან, გად, რევითა, ასერ, ნეფთალიმ, იოსებ, ბენიამენ დარქმევითა, ქრისტეს მოსვლამდი მამას ყვეს შეილების ამ კურთხევითა“ (67).

მეორე შემთხვევაში დედნისეული ტექსტია: „ხოლო მათ, ვითარცა მიიღეს ებისტოლე იგი, განიხარეს ფრიად და წარსცნეს წიგნი იგი, რომელთა დაბეჭდულ ეწოდა: კულად «მესაქმე», «გამოსვლათა», «ლევიტელთა», «რიცხუთა», «მეორე სჯული», რომელთა-ა მოსე, «ისო ნავესი», «მსაჯულთა», «რუთი» და «საქმენი მეფეთანი» ორ წიგნად, და «ნეშტნი», «ეზრა», «იობ», «დავით» და სამნი სოლომონისნი - «ეკლეზიასტე», «ქებანი» და «ივაენი», «ოსია», «ამოს», «მიქია», «იოველ» და «აბდია», «ნაომ», «ამბაკომ», «სოფონია», «მალაქია», «ანგია», «ზაქარია», «ესაია», «იერემია», «ეშეკიელი» და «დანიელ», ესე ოცდაოთხი წიგნი წარსცეს ისრაელთა ჰტოლმეოზის მიმართ“ (10 r).

აი, როგორაა ეს ტექსტი გალექსილი:

„ელჩი ნახეს, გაეხარნეს, ბრძანებულნი აღუსრულეს, რაც რამ წიგნი გაუგზავნეს, არს სახელი მათი სრულ ეს:

თავს «შესაქმე», «გამოსვლათა», «ლევიტელთა», «აღრიცხულ» ეს, «სჯული», - რომელთ, მოსეს თქმული, სწავლით კარი არ უგულებს.

«ისო ნავეს», «მსაჯულთ», «რუთის», ზედ «საქმენი მეფეთანი», -
ორად წიგნად, «ნეშტნი», «ეზრა», «იობ», «დავით» - მტერთ მძლეთან, სოლომონ სამნი თქმულნი, «ოსუ», «ამოს», მშვიდ-წრფელთანი, თვით «მიქია», «იოეელის», «იონასგან» წერილთანი.

«აბდია», «ნაომ», «ამბაკომ», «სოფონიასი», «მალაქით»,
«ანგია», «ზაქარიასი», «ესაიათურთ» მალ აქით,
«იერემიას ნასიბრპნი», «ეზეკიათ» სძლენეს მალაქით, -
სრულ ოცდაოთხი წიგნი მიაართვეს წმინდას ქალაქით“ (163 - 165).

ბოლო ორი ეპიზოდის შედარება პირველთან, რასაკვირ-
ველია, ძლიერ პირობითია. სულ სხვა სიძნელეა 12-13 და თუნ-
დაც 24 სახელის გალექსვისას და სულ სხვა 84-ისას. მეორე
მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ მთარგმნელთა ამოდენა სა-
ხელების ლექსად გაწყობა მკითხველს ვერაფერს მისცემდა და
თხზულებას კი დაამძიმებდა. ძველი აღთქმის წიგნთა ჩამოთ-
ვლა კი გაცილებით საჭირო და მიზანშეწონილი იყო. და, თუ
მანც ამ უკანასკნელთა მასალები დაეიმოწმეთ, იმიტომ, რომ
ამა თუ იმ ეპიზოდის გალექსვის სიძნელეზე და ამ მიზეზით
მის გამოტოვებაზე ვლადარაკობთ, იაკობის მწერლური შესა-
ძლებლობანი, რაც შეიძლება, სრულად იყოს წარმოდგენილი.

2. გამოტოვებულია დედნის მოზრდილი ნაწილი, სადაც
მაჰმადისა და მაჰმადიანთა შემდეგი გამონათქვამები და წეს-
ჩვეულებანი დაგმობილი: რომ თითქოს ღმერთმა მაჰმადს
უბრძანა, „პატივისა შენისათვის არა მოვისხენო ცოდვა მათი, რომელი
თაუკანის-ცემდენ“ მექას, „ადგილსა სასურველსა შენსაო“, რომ „აბრა-
ჰამს დღესა მერვესა ებრძანა“ წინდაცვეთა, რომ მაჰმადმა თავის
ხალხს „ასწავლა სხუად დღითი-დღითი ნათლისღება წულითა, რომელსა
უწოდა უსლ“, მეორე - „წლითი-წლადი ნათლისღებად, რომელ-ამაჰ-
ბანსა შინა“ და ინით ხელის ბანა - „დღი ნათლისღებად მათი“, რომ
„ღვნოსა არვინ მოწმუნეთა მისთავან სუმიდეს“, რომ „ასწავა მათ
წელიწადსა შინა სამისა დღისა მარზეად ესრეთ: დღისით იმარხვედით,
ხოლო ღამე კორცსა და ეოველსა ჭამასა ჭამდითო“, რომ „სახელსდვა
მოწმუნეთა თვსთა „მუსულმან“, რომელი ესე გამოითარგმანების
„მშვიდობის მეოფელად“, არამედ არარად მშვიდობისაგან იპოვების
მათთვის“ (7 r - v, შდრ. სტროფები 119-120).

გალექსილი ვერსიისათვის დედნისეული ჩვეულებრივი ტექსტის მოზრდილი მონაკვეთის უყურადღებოდ დატოვება დამახასიათებელი არ არის. გამონაკლისია ზემორე ეპიზოდი.

სხვა გამოტოვებული ნაწილები მცირე მოცულობისაა.

3. მაჰმადის ობლობა: „ხოლო ესე მოხამედ ჰირველად ობოლ იქმნა, ვიდრე ერმაღა იუო“ (1 v).

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ იაკობი მაჰმადისა და მისი მიმდევრების დამამცირებელ პასაჟებს საგანგებოდ ამძაფრებს და ახალ-ახალი საღანძღავი სიტყვებითა და გამოთქმებით ავსებს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი ამ ნაწილებს შეგნებულად უვლის გვერდს, რათა მკითხველს მაჰმადის შესაბრალებლად საფუძელის ნატამალიც არ დაუტოვოს.

4. დანიელისა და ამბაკუმის ამბავი: „და დანიელს მღვმესა ლომთასა და ამბაკომისა მიერ წინასწარმეტყუელისა საზრდელი მიაართუ მას“ (2 v; შდრ. სტრ. 45 - 46).

5. ბიბლიის 72 მთარგმნელიდან 10-ის შერჩევა: „მსგავსად მის, ვითარ-იგი აღვიდა მოსე მათსა მას სინასა სადთოთა ბრძანებითა სამოცდაათორმეტთა კაცითა, და მსგავსადვე მათსა ევეს და გამოარჩიეს მათ შორისაცა ათნი“ (10 v-11 r. სტრ. 170-171).

6. ბიბლიის თარგმანთა სიზუსტე: „ხოლო მადლითა ღმრთისაჲთა, რომელი სიტუად გამოახვიონ ჰირველთა თარგმანთა, იგივე დააკლიან მეოთხეცა, და რომელი დასძინიან, მათცა იგივე დასძინიან, რამეთუ სული წმიდაჲ იუო მათ თანა, რამეთუ რომელი სიტყუჲ გამოახვიან, არად საკმარ იუო და არცა მას ენას ზედა მოვიდოდა, და რომელი დასძინიან, ფრიად სარგებელ იუო, რამეთუ წინასწარმეტყუელნი ივენეს, «უფალო, დაღად ვუავ შენდამი, ისმინე ჩემი!» - ეს ებრაულად იუო, ხოლო თარგმანთა მათ შესძინეს: «მოხედენ კმასა ლოცვისა ჩემისასა, დაღადებასა ჩემსა შენდამი!» და ისერებდეს ტაბლასა ზედა მეფისასა სამოცდაათნი იგი წინასწარმეტყუელნი“ (11 r; შდრ. სტრ 173 - 174).

7. ასევე, ქართველ მთარგმნელთა სიზუსტე: მათ ბევრი იღვაწეს, „ვიდრე ანგელოზისა ხილვაცა ღირს-იქმნეს. და მათ გვი-თარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ეოველი ბერძულისაგან ქართულად ორ-ორგზის და სამ-სამგზის, ვითარცა იგი ჰირველ-ებრაელისაგან, რომელთა ეწამების ეოველი საბერძნეთი და არაბეთი. და უკეთუ არა გწამს, აჰა, ესერა ებრაელი წიგნები ჰურიათა შორის და შევაწამოთ, შესწავება საკმარ არს, ვითარმედ დავით და სტუჲანი ძველადვე ივენეს იერუსალემს

და გვთარგმნეს უოველი წიგნები ბერძულისგან ქართულად და არაბულისგანცა“ (11 v; შდრ. სტრ. 182 - 183).

ამ უკანასკნელ აბზაცზე პოეტის ყურადღების მიუქცევლობა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ბაგრატის ნაშრომში დავითსა და სტეფანეზე წინ არის ნათქვამი: „აწ უკუ იყვნეს უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმიდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი დავით, სტეფანე, არსენი, ეფთვიმე, გიორგი და ეფრემ, რომელნი წარვიდეს იერუსალემს და მთაწმინდას და მრავალი ღუაწლი აღასრულეს“ (11 v).

როცა იაკობს ეს ადგილი გაუღეკსავეს, იქვე დაუმატებია, რომ ისინი ბერძნულიდან და არაბულიდან თარგმნიდნენ, რაც აქ არ იკითხება და გამოტოვებულ აბზაცშია აღნიშნული:

„დავით, სტეფანე, ეფთვიმე, გიორგი, ეფრემ, არსენი იერუსალემს ძველადვე აღზრდილნი იყვნენ ესენი, ბერძენთ, არაბულს ენასა თქმად მარჯვედ იყვნენ ეს ენი, სთარგმნეს ყოველი წიგნები, თქვენ შემოგყარეს ეს სენი“ (182).

8. ბაგრატი მიუთითებს, თითოეული სახარება სად და რომელ ენაზე დაიწერა: „თუ სახარებისთვის კეითხოს, - მათე ებრაელებრ აღიწერა იერუსალემს და მისცა ჰურიათა, რომელთა ნათელ ელო; მარკოზ - აღექსანდრიას ასურთა ენითა, რომელს არს არაბული და მისცა არაბთა, რომელთა ნათელ ელო; ლუკა - ჰრომს, ჰრომთა ენითა და მისცა წარმართთა, რომელთა ნათელ ელო; იოანე - დიმიტვს ბერძენთა ენითა და მისცა, რომელთა ნათელ ელო ბერძენთა“ (11 v).

იაკობი მხოლოდ ორ სახარებას - მათესა და ლუკას - ასახელებს და იქვე აღნიშნავს, რომ თხრობას ამოკლებს:

„სახარების თუ იკითხოს, მისიცი იყავ ესრეთ მთქმელად: ერუსალემს ებრაელად მათე იქმნა აღმწერელად (178. 3 - 4).

ნათელღებულთ ჰურიათა მისცა მათე სახარება, ლუკა რომ სწერს რომთა ენით, სული წმინდაც ეხმარება, მისცა წარმართთ მონათლულთა, ტკბილად რამ ქნეს ნარნარება, მოკლედ გეტყვი გრძელ სიტყვასა, არამც ქონდეს გამწარება“

(179).

9. უსულო ნივთებზე მსჯელობა: „ხოლო თქვენ იტყვთ: «აღაჰ სამედი». ხოლო ესე უოვლადვე საცნაურ არს, რამეთუ, რაცა ნივთი სავეს და მეარი არს და არცა სული აქვს და არცა სიტყუა, არამედ ერთსა ადგილსა უსიტყუელად და უცნობოდ მყოფობისა მქონებულს არს, ვითარცა

ჭურჭელი რამე ხავეს, გინა რკინა, ანუ ქვა და სხუა, - ესევეთარი ნივთი შემოქმედიცა და შემცვლელიცა და მმართველი ვაჟს“ (14 r; სტრ. 208-209).

ამის გამოტოვება შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ მსგავს საკითხზე წინაც არის საუბარი: „... და იტვის: „ალად უსამედ“, რომელი გამოითარებანების - „ღმერთი მუარი არსო“, ვითარცა ჭურჭელი რამე ხავეს წელითა ანუ ქვა მუარი, რომლისა შორის არა რად იეოს არცა სული, არცა სიტყუად, რამეთუ რადცა ნივთი მუარი არს და მრგული, არცა სული აქუს, არცა სიტყუად, არცა სამრავი, ვითარცა ქვასა და რკინასა და ჭურჭელსა რამე ხავესა და სხუასა ესევეთარსა ნივთსა, რომელი ესე სმენადცა შესამრწუნებელი არს შორწმუნეთა და არც რად ოდესმე ღვთისაგან გამოვიდაო“ (6 r).

10. ქრისტეს ბუნების განხილვისას სომეხთა კრიტიკა: „ვითარცა იტევან სომეხნი და არიან ღმერთ-ვნებულნი სიტყვსაებრ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა, რამეთუ კვრილუ“ (14v; სტრ. 215-216).

აი, მეტ-ნაკლებად ყველა მნიშვნელოვანი ადგილი, რომლებიც იაკობს გალექსვისას გამოუტოვებია.

სხვა საკითხია, როცა პოეტი ტექსტს მოკლედ ან სხვა სიტყვებით გადმოსცემს. მაგალითად, ერთ ბრძოლაში მამამდისა და მისი ლაშქრის დამარცხება და განადგურება დედანში ასეა გადმოცემული: „და რაჟამს ეწუენეს, იძლია მოჰამედ და მისთანანი; და მოისრნეს სჰანი მოჰამედისანი“ (1 v). ეს წინადადება გალექსილში სხვაგვარად, ორი სიტყვითაა გადმოცემული: „მამად გაიქცა, წაიქცა..“ (30.1).

ბაგრატი ერთგან 82-ე ფსალმუნს იმორწმებს: „უკეთუ ფსალმუნი ზეცით მოსრულ არს, უსმინოს, რადსა ივი იტევს მეოთხ-მეოცდარესა ფსალმუნსა შინა ამათ ისმაიტელთათჳს: «ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დასდუმნები, ნუცა დამშვდნები, ღმერთო, რამეთუ ესერა მტერთა შენთა იზრახეს, და მოპულეთა შენთა აიღეს თავი, ერსა შენსა ზედა მძაცვიდეს ზაკთ და განიზრახეს წმიდათა შენთათჳს... რამეთუ ზრახეს შეთქემით ურთიერთარს შენთჳს აღთქმა ევეს ბანაკჳნ იღუ-მიელთაჳმან და ისმაიტელთაჳმან და მოაბ და აგარიანთა... ევენ ივინი ვითარცა მადიამი და სისარა და ვითარცა იაბი კევსა მას კიშონინასა, რამეთუ მოისრნეს ივინი აჰენდორს შინა და იქმნეს ივინი ვითარცა სკორე ქუვენისა, დასხეს მთავარნი მათნი ვითარცა ორებ და ზიბ და ზებე და ხალამანა, უოველნი მთავარნი მათნი, რომელთა თქუეს: დავიმკვიდროთ თჳსად სიწმიდე ღმრთისად.

დმერთო ჩემო, ვეენ ივინი ვითარცა ურმის თუალი და ვითარცა ლერწამი წინაშე ჰირსა ქარისასა, და ვითარცა ცეცხლმან რად მოწუნის მაღნარნი და ვითარცა აღმან, რომელმან შეწუნის მთანი... ჰრცხუნოდეთ და შეპრწუნდედ უკუნითი უკუნისადმდე და სირცხვილეულ იქმედ და წარწემდენ» (6 v-7 r).

აი, როგორ არის ფსალმუნის ეს ტექსტი შეცვლილი და შემოკლებული ორ სტროფად:

„თუ ცით „ზაბური“ მოვიდა, ნახონ, ისმინონ დავითის, -
ოთხმოცდორმან ფსალმუნმან როგორ აძაგა და ვით ის,
ისმაიტელთა, მოაბ და აგარიანთ სწყევს დავით ის,
ავს სიტყვას თვითვე იწიხელის ვირულებ ავსა და ვით ის.

იაბისებრ კიშონის ხეეს მოსარ, მათ ეც დას ისარა!
სამოელის გუნდის არის, მიქაელის დასის არა,
მავეალს ძითურთ გაგდებულსა აღარ ეტყვის დას ის, არა“

(112-113).

ზემოთ დავითისა და სტეფანეს ხსენებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ ვისაუბრეთ. ახლა ამ მოზრდილი ტექსტების დაუმოწმებლად მთელ ეპიზოდზე ვიტყვი, რომ გალექსილ ვერსიაში მოკლედ და კომპაქტურად გადმოცემულია მთლიანი დედნისეული ამბავი, რაც ბიბლიური წიგნების ქართულად თარგმნას ეხება და გამეორებებით არის მოთხრობილი (12 r; სტრ. 182-188).

დედნისეული ტექსტის კლებასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს სათაური, რომელიც იაკობის ნაშრომის ძირითად, ანუ ბაგრატიისეულ, ნაწილს აქვს. იგი ასე იკითხება: „*მოთხრობა და სიტყვის-გება მცირედ რამ შემოკლებულ უღეთოსა მოამადისა*“. ხომ არ ნიშნავს ეს თვით იაკობ შემოკმედელისაგან უწყებას, რომ მან დედანი მცირე შემოკლებით გალექსა?

არა გვეგონია! ჯერ ერთი, როგორც ვნახეთ, ეს შემოკლება იმდენად მცირეა, ძნელი დასაჯერებელია მისი აღნიშვნა ავტორს საჭიროდ ჩაეთვალა. მეორეც, პოეტი თავისი წყაროს არსებობაზე არსად არ მიგვანიშნებს. ჩვენი აზრით, „*მცირედ რამ შემოკლებულ*“ შეესატყვისება ბაგრატიის თხზულების სათაურში ნახმარ სიტყვას „*გამოკრებილი*“ - „*მოთხრობა სჯულთა უღთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ*...“

ახლა იმის შესახებ, გალექსილ ვერსიაში როგორაა განვითარებული დედნისეული ტექსტი.

იაკობი, გარდა იმისა, რაც ლექსად გასამართავდაც საჭირო, ბეჯჯერ შინაარსობრივი გამდიდრებისათვის უმატებს და აერცობს დედანს, რამდენიმე შემთხვევაში მოკლე წინადადებებიდან მთელ სტროფს ქმნის.

დედანში არის: „ანგელოზმანვე უფლისამან ახარა მანოეს შობა სამჟსონ პლიერისა“ (2 r). იაკობი არ დაუქმიაყოფილებია ამ მშრალ ცნობას, ბიბლიაში მოთხრობილი ამბით (მსაჯულთა 13) იგი შეუესია და ომონიმური რითმებით შეკრულ სტროფად ჩამოუყალიბებია:

„ძალთა მთავარმან ახარა სამჟსონის შობა მანოეს,
სირმის თმა ესხა ძლიერსა, სიმხნით აჯობა მა ნოეს,
დალილასაგან ღალატით ოხრა მით იწყო მანო ეს,
წერილთ სიმრავლით მოსწყინდი, გლახ, ვერ გამსგზავსე მანოეს“
(39).

პოეტი ასევე იქცევა ანგელოზის მოქმედების სხვა შემთხვევის აღწერისასაც. ბაგრატის ნაშრომში ვკითხულობთ: „ღა სამთა ყრმათა სამხილსა შინა ეჩუენა ანგელოზი უფლისა“ (2v). იაკობთან კი გვაქვს:

„სამთა მათ ყრმათა ბაბილონს აკურებს ცვარს ანგელოზი,
აღსა ლიმონად შეუცვლის დაუნთქმელობის ბოლაზი,
აჩრდილს, კვამლს სჯულად წინ გვიდებს ბარბაროზათ სარკინოზი,
მწირულად არ უნდა, მლოცველად პატრიაქკათალიკოზი!“ (45).

ბაგრატი ერთ ადგილას ქრისტეს მიერ წყლის ღვინოდ „შეცვალებასთან“ ერთად „მკუდართა აღდგინების“ სასწაულს ახსენებს: „არამედ ოდეს მიიწია სისრულედ ჰასაკისა, მარადღე ურიცხუთა მკუდართა აღდგინებდაო“ (2 r).

იაკობი მას შემდეგ, რაც „კანას ქორწილს, გალილეთს, წყლისა ღვინოდ შეცვალება“-ს აღნიშნავს (სტრ. 92), მკუდართა გაცოცხლებასთან ერთად ქრისტეს სხვა სასწაულებსაც ჩამოთვლის:

„ბრმათა, ყრუთა, დაღრეკილთა, წყლით მანკიერთ, განრღვეულთა,
ცისად-ცისად გვემულებთა, მკელობელთა, სხვათ ვნებულთა,
კეთროვანთა, წიღოვანთა, შებნედიგან კვეთებულთა
წამს კურნებდა, აღადგენდა მრავლის ჟამით მკედრად დებულთა“ (93).

აქ ერთი დეტალიც საგულისხმოა: დედანში ნათქვამია, „ურიცხუთა მკუდართა აღადგინებდაო“. პოეტი უფრო შორს მიდის და სასწაულს ზრდის, დიდი ხნის მკუდართა გაცოც-

ხლებზე მსჯელობს - „აღადგენდა მრავლის ქაბით მკედრად დებულთა“, იაკობი ავსებს და აფართოებს აგრეთვე მოკლე გამონათქვამს ქრისტეს ჯვარცმაზე. დედნიეული ტექსტია: „...რომელი მოუვლინა მათ ღმერთმან, ქრისტე არს, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა, არამედ ჯუარს აცუცს...“ (15 r).

გალექსილი ვერსია:

„მამისაგან ძედ მოსული მესნელი ჩვენი ქრისტე არსა,
არ უსმინეს, არც უმადლეს წყალობანი მისნი არსა,
უგბილთ, უსრულთ, უგუნურთა ბარაბას წილ მისცეს ჯვარსა,
გამცემელთან, ვეჭვობ, დასჯის მახმადს - თქვენსა წინამძღვარსა“
(226).

თუ ამ მაგალითებში საქმე ანგელოზებსა და ქრისტეს ეხება და პოეტი მათ თავისი საყვარელი და კარგად ნაცნობი წყაროთი, ბიბლიით, ავსებს, მსგავსი შეესება არც სხვა ამბებისთვისაა უცხო. აი, როგორაა გაშლილი და გაცოცხლებული მცირე ეპიზოდი, სადაც კტოლემეს მიერ ბიბლიის მთარგმნელთა გამოგზავნაზე თხოვნაა მოთხოვნილი. ბაგრატი წერს: „ხოლო მეფემან დიდითა სიხარულითა მიითვალნა წიგნნი ესე, არამედ ვინაითგან ვერ უძლო წარკითხვად, რამეთუ ებრაელებერ წერილ იუვენეს, შესძინა სხვა ებისტოლე მიწერად იერუსალემისა ისრაელთა მიმართ: ესრეთ წუაროსგან დახშულისა და საფასისაგან დაფარულისა, ვის სარგებელ ეუვის არამედ თარგმანთაცა ღირს გუევნით ჩუენ, ჰოი, ისრაელნო!“ (10 r -v).

ლექსად გვაქვს:

„სარწმუნოებით ეღირსა მეფე საწადელ ხილვასა,
სიყვარულისა ზვარაკით ისერა მათსა მისლვასა,
მაგრამ თვით უმეცარი იყო ებრაელ წიგნთა კითხვასა,
ხელახლად ელჩი გაგზავნა, მალ ედრებს მისლვა-მოსლვასა.

მიუწერა: «კტოლემეოზ მეფე გიწერ სიყვარულსა,
მადლსა გკადრებ თვისტომურსა, სალამს გიძღვნი მეგობრულსა,
მაგრამ წუაროს დაბეჭდულსა, საუნჯესა დაფარულსა,
თუ ვერ შევლით, რას კელსა ვყრით სამოთხის კარს დაკრძალულსა?!

გვედრები ისრაელთა, მოგვცეთ კაცნი სწავლით სრულნი,
კითხვისა და თარგმნობისა ყოველ არ იუვენენ უმეცარნი».
მათ იხილეს მოციქულნი, ერუსალიმს მსწრაფელ შესულნი,
მოისმინეს ბრძანებული, აღასრულეს მეფის თქმულნი“ (166 - 168).

უფრო საინტერესო და საყურადღებოა იაკობის თხზულების ის ადგილები, სადაც დედნისეული აზრი გამძაფრებულია. ბაგრატი თავიდანვე მოჰამედით იწყებს მსჯელობას და მას ასე გვაცნობს: „ხოლო ესე მოჰამედ ჰირველად ობოლ იქმნა, ვიდრე ურმაღა იყო, და უპოვარ და გლახაკ ფრიად, არამედ საქმით ღონიერ და მანქან. და შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა, ვისმე თვისსა ნათესავსა – მდიდარსა მონაგებთავან“ (1 r).

იაკობი ლექსავს:

„თვით უღონო, გლახაკ იყო, კერკით ეშმაკს დაემგზავსა,
აქლემების სამსახურად იგ მიენდო ქალს მეძავსა,
დედაკაცსა თვისტომობით, ერთობ ახლო ნათესავსა,
მდიდარ-მორჭმულ-მოვლენილსა, განმძრაველსა, უამრავსა“ (20).

პოეტის მისწრაფება თვალნათლივია. ჯერ იყო და, ამოიღო მოჰამედისადმი სიბრალულის გამომწვევი სიტყვები ბავშვობიდანვე მისი ობლობის შესახებ, შემდეგ ყოველნაირად ამცირებს მის მეუღლესა და მეუღლეობას. ბაგრატის ცნობით, იგი ქერივი იყო, იაკობი კი მეძავს ეძახის. ბაგრატი „ვისმე“, ანუ ვიღაც ნათესავად ასახელებს. „ნათესავი“ ძველ ქართულში უპირველესად ტომობას, მოდგმას აღნიშნავს. იაკობი „თვისტომობასაც“ ამბობს და „ერთობ ახლო ნათესავადაც“ იხსენიებს. ნათესავთან ქორწინება კი ქართველი კაცისათვის მუდამ მიუღებელი და საძრახისი იყო. იაკობი ქალის სიმდიდრეზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე ბაგრატი, რითაც ამ მეუღლეობრივი კავშირის ანგარიანობაზე მიგვანიშნებს.

პოეტი ბაგრატის მონათხრობს ხშირად საკუთარ კომენტარს ურთავს და მაჰმადიანთა მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას პირდაპირ, ზოგჯერ პირველი პირით, მძაფრი ემოციით გამოხატავს. ჩვეულებრივ ეს ხდება სტროფის ბოლოს, მეოთხე სტრიქონში.

ბაგრატი წერს: „რამეთუ ესრეთ ალი განირიდებოდა უოველთავან მბრძოლთა მისთა, და იგი იტუოდა, ვითარმედ ანგელოზი იგი არს ჩემთანა, რომელი მიივლინებოდა წინასწარმეტყუელთა მიმართო“ (1v-2r).

იაკობი ლექსავს:

„მამად თქვა, თუ: «ანგელოზი მოვლინებით არის ჩემთან,
ვითარ იყვნენ მასწავლებლად სხვათა წმინდათ ფელამბრებთან,
ახალს სჯულსა დამიმტკიცებს, პირქვე დამცემს, მწურნის ყურთან».
დავხლოზოდი ცრუს მოციქულს, ფინთს წვესცხებდი ფიცხლავ
წვერთან!“ (32).

აქ დედანი ზუსტად არის გადმოცემული. მესამე სტრიქონში გამოთქმული აზრიც - „ახალს სჯულსა დამიმტკიცებს, პირქვე დამცემს“ - დედნიესულია, რაც წინაა აღნიშნული: „ხოლო იყო მოხამედ სენითა შეენადელიანობისათა ვნებული. და დასცემენ მას ჰაემანსა თვსსა. და ცნა რად ესე ცოლმან მისმან, შეწუნა ფრიად და იურვოდა, არამედ მოჰამედ მსაყურებისა და მანქანებითა დააჯერა, ვითარმედ ზუენებით იხილავს შჯაბრაილს მთაყარანგელოზსა, რომელ არს გაბრიელ, და ვერ უძღვებს ზილვასა მისსა და ქუენად დაეკუთვბის“ (1 v). პოეტი უმატებს მხოლოდ მოჰამედის ნათქვამს ნაკლებ დამაჯერებელ სიტყვებს „მწურწინის ყურთან“ და მთელ მეოთხე სტრიქონს.

დედანში მოჰამედის ერთი შეხედულება ასეა დაგმობილი: „და იტყვს ვითარმედ: ვითარცა იცვალა სჯული მოსესი სჯულითა ქრისტეისითა, ვგრეთვე მოძღვრებითა ჩემითა დაესრულა სჯული ქრისტეისით, რამეთუ იესუ წინასწარმეტყველი იყო და მოსელასა ჩემსა ჰქადაგებდაო“ (6v).

გალექსილია ასე:

„იტყვის: «როგორც დაესრულა ქრისტეს მოსელით მოსეს სჯული, აგრევე ჩემის მოძღვრობითა დაესრულა ქრისტეს თქმული, თვით იესოც ჰქადაგებდა ჩემს მოსელასა, იგ ჯვარცმულიო». ეს ჰქადაგი ჯოჯოხეთშიდ არის თავთფეხგარდაცმული!“ (108).

დედანში დასმულია მაჰმადიანთაგან მოსალოდნელი კითხვები: „რომლითა წიგნითა მიუთხრობ შენ შესაქმესა სოფლისასა და შემდგომითი-შემდგომად ცხორებისა აბრაჰამისსა და სჯულსა მოსესსა და მათეს და წინასწარმეტყველთა და სიტყუასა სახარებისასა?“ (9 v).

შესაბამისი ლექსი:

„რომლის წიგნით, მკითხავ, ბილწო, შენ შესაქმეს სოფლისასა, აბრაჰამის ცხოვრებასა, სჯულსა მართლის მოსისასა, ან ფსალმუნსა და სიტყუასა წმინდის სახარებისასა? დასცხერ, თვარემ შეგაწვევის ცეცხლის ცხელით მოსი სასა!“ (155).

აი, კიდევ ამგვარ დამატებულ სტრიქონთა ნიმუშები უკონტექსტოდ:

„ძუძუ გაუსქდა, გაუკმა მუცელი მათთა მშობელთა!“ (38.4).

„სიცრუვის ზღვა სიმუხთლის სჯულს დელავს, ასრე მოტუტუცებს!“ (51.4).

„ამ სიცრუვის ბეზირგანსა ხომალდი აქეს ტყუეილისა!“ (87.4).

„ჩემმა სულმა, იმედი მაქვს, ვინც რომ მან გმო, ისივ გარჯის!“
(97.4).

„სრულად მისით ზღაპრებულსა სჯულს, ნეტარ, ვინ დაებმოდა?!“
(100.4).

„დამჯეროს პირი წაუხდა, პირველ მთქმელს - ყია მყრალია!“ (105.4).

„თუ დავსწრებოდი, მეწადა თავს ცემა მისთვის სარისო!“ (115.4).

„ნურვინ უსმენთ ცრუს მოციქულს, განკიცხულ ყავთ, გაბასრულად!“
(118.4).

„ფუ იმისსა განმსწაფელელსა, ვაგლახ გამდელ-გამძიძეულსა!“ (119.4).

„ქვესკნელს არის ცეცხლში მჯდომი, ზე რა გზა აქვს იპორომის?!“
(120.4).

„თქვენც გასინჯეთ საკიცხელი, სასწაული იმ ქაჩლისა!“ (124.4).

„ვინც ეს იწამოს, იქნება ვირ-კამბეზ-ძროხა, ბრიყო და!“ (126.4).

„მორწმუნეთა ჯეჯელი ხარობს, ურწმუნონი განიბიცეს!“ (149.4).

„არა მწამს - მოსე ტყუოდეს, მაჰმად ბრძანებდეს მართალსა!“ (196.4).

„თუ ყურანიც მათ არ გვანდეს, ღმერთმან სრულად ამოგწყვიტათ!“
(199.4).

„აწ ყურანიცა გასინჯეთ, თუ არ მობებლოს ქელამან!“ (200.4).

„სწორ გზას დამცდარხართ, კლდეს მისდევთ, მართებულთა ბრიყვისა!“
(202.4).

„უამ-უამად წყლითა მბანელი, ხარ მწვირეშიდა მწოლები!“ (274.4).

„გზას გიწმენდ, ეკალს აღგიფხვრი, ახალ ყოფ, ნერგავ შენ ნარად!“
(284.4)

და სხვა.

საკმაოდ ხშირად ამგეარ დამატებებს ორი სტრიქონი უჭირავს. ბაგრატი წერს: „ზოლო ისმაეტელნი გამოვიდოდეს და იუენეს ეოველნი ერთბამად მესისხლენი, მტაცებელნი, მემფოთენი, მპარაენი და ეოვლადვე უპოვარნი“ (4r).

იაკობი ამ სალანძღავ სიტყვებს ორ სტრიქონად აყალიბებს და ორს კიდევ სხვას უმატებს:

„ისმაელით გამოვიდეს ყოველნი კაცინი ღვთის მგომბელნი, მესისხლე და მემფოთენი ცრუფიც, მპარაე-მტაცებელნი, „ჩუკენა-სიძეა-მრუშებისა ცოდვის ხელად მიმღებელნი, ნათლის ბნელად გარდამქცევენი, მწარის ტკბილად მომთხრობელნი“ (69).

დედანში გრძელდება კითხვა იმის შესახებ, თუ ქართველები საიდან იცნობენ ბიბლიურ წიგნებს: „რამეთუ წიგნნი მათ ეოველთანი სიტყვითა ებრაელებრითა აღიწერნეს და თქვენ არა უწყით ებრაული და, აჰა, არცა ერთი წიგნთა მათგანი იპოების თქვენ შორის?“ (9 v).

პოეტი აქაც დაუდგრომელი და შემტეგია:

„მათ წმინდათ წერილნი იყვნეს ენითა ებრაელითა,
თქვენ, მათის წიგნის უცნობნო, ცნობილთ ხართ უსწავლელებითა,
დააცხერეთ ენა გესლთაგან, გველებერ ნუ სძერებთ კვრელითა,
ღვარძლი გითესაეთ, გეყოფათ, სიცრუეც რად მკით ხელითა!“
(156).

აი, კიდევ ცალკე აღებული რამდენიმე ამგვარი დამატება
და კომენტარი, რომლებიც მაჰმადიანთა გმობას შეიცავენ:

„მელებერ ცურცლავს და თავს ფარავს, პირს ვერ იხილავს მტერთასა,
ქადაგი სისხლშიდ გასვრილი იწუმჷა მსგზავსად ღორთასა“ (30.3-4).

„ეს ქადაგება ეით სწამდეს, თუ არ აბდალსა ანელსა?!
მოწაფე უსხენ, უსმენენ კეინოპის მსგზავსად გამედლსა!“ (89.3-4).

„სიმართლის ტალანტი დაფლა, ტყუელი აღაორძინა,
კელის უყრელი საუნჯე არს ბელიერის ხაზინა!“ (98.3-4).

„მიკეირს, რასთვის გამოვიდა ასე ცუდი მოუბარი? -
სატანა ყავს მასწავლებლად, მოპლერად - მისი ბელიარი“ (104.3-4).

„მწადს, რომ ეგვემო, კევრთხი დაესცხო ცრუ ქადაგსა განაჭერად,
აჰა, მაჰმად, სული შენი თევის მსგზავსად განაჭე რად?“ (125.3-4).

„უფსკრულთა შინა შთასციევდნენ, ნახეს იქ ალი ასულად,
ველარ იტყვიან გმობასა, კორციც იქ არის ა სულად“ (130.3-4).

„კარგს ავად იცნობთ, ავს - კარგად, ნათლითგან ღმერთმა მით გაქვსო,
ეშმაკი ბაზიერად გყავს, გული უმართი მით გაქვსო“ (157.3-4).

„მწადს მყვანდეს, თქვენზე შესაჭლმლად, ძაღლები წამომესია,
მარგალიტს რად ფენ ღორთათვის, ტალახი უამესია!“ (229.3-4).

„მწვე უჯობდა გულის სმენას, ქვა თავს ევა ზედ მისის ხლით,
შეილი ვკადრებ წშიდას მამას, ჭკვას ვერ ვსწამობ ერთის მისხლით!
(255.3-4).

„ღმერთს გმობენ და მოლას ყმობენ, ფუ მათ გიჟად ტუტუცობას, -
მგელსა ცხოვრად ვერეინ შესცვლის, რომ იმრიგი დუმაც ებას!“
(262.3-4).

„ცრუ კაცის ცუდი მოძღრობა მრწამს მრუდად, მშვილდად, ელაზად,
რაგინდ რომ ყვითლო სპილენძი, მაშინც შეიქნეს ყალბობად!“ (270.3-4).
და სხვა.

იაკობი შიგადაშიგ ცალკეულ სტროფებსაც უმატებს. ში-
ნაარსობრივად ისინიც რომელიმე ბიბლიურ ამბავს ან მაჰმა-
დიანთა გმობას შეიცავენ.

იმ ადგილას, სადაც დედანში განხილულია საკითხი: ბიბ-
ლიაში ვის მეტი პატივი აქვს - ისმაელს თუ იაკობს (3v),
იაკობ შემოქმედელი ურთავს ბიბლიურ ეპიზოდს - რებეკას
ეშმაკობის მეოხებით ისაკმა ესავეის მაგივრად პირმშოდ როგორ
აკურთხა უმცროსი ძე, იაკობი (დაბადება 27. 1-25, 29-34):

„დაუბრყვილდეს ისაკს თვალნი, ველად გახენის ეს ავი სა?
რებეკასგან ნასწავლები იაკობს რწამს, ესავისა,
პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით ესა ვისა“ (63).

პურ-ღვინის შეწირვის ქრისტიანული საიდუმლოს თაობა-ზე მსჯელობისას (16v) პოეტი უმატებს სოლომონის გამონათქვამს და ამ პოზიციიდან აბიაბრუებს მაჰმადიანთა კრიტიკას:

„აქამდისი ვით ვერა სცანთ, რათ შევსწირაეთ პურ-ღვინოსა?
სოლომონ თქვა: «ნუ ამხილებთ კაცს უგუნურს, ურცხვიონსა,
ამცენ ბრძენსა, შეგიძინოს, შეგიყვაროს, გისმინოს!»
თქმულა: ცოფს ძაღლს პურს ნუ აძლევ, არამც მოგწოდეს, გიკბინოს!»
(248).

ქვემოთ სტროფი კი თავიდან ბოლომდე მაჰმადიანთა ლანძღვა-გინებაა, რომელიც ისლამურ შეხედულებათა განხილვისას არის ჩართული:

„არ მისმენ, რას გეუბნა შენ - სწავლისა უმეცარსა,
მზაკვარს, გრძნეულს, მეშფოთესა, უგბილს, ანჩხლსა, უმეცარსა,
ზეაობთ, მისთვის არ გვითავსებთ, ცოდვით გხედაეთ უმეცარსა,
ბოლოს თქვენსა დამხობასა, ვა, თუ ვესწრა უმეც არსა!“ (244).

მაჰმადიანთა მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას გამოხატავს აგრეთვე პოეტის მიერ დამატებული 47-ე, 265, 271 და 275-ე სტროფები. სულ დედნის გარეშე ჩართულია 12-მდე სტროფი (43, 47, 63, 72, 101, 111, 123, 244, 248, 265, 271, 275).

ზემოთ წარმოდგენილი იყო ისეთი შემთხვევები, როცა პოეტი დედანს აკლებს ან ამატებს ცალკეულ სიტყვებს, სტრიქონებსა და სტროფებს. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა დედანი კლებისა და დამატების გარეშეა მნიშვნელოვნად შეცვლილი.

ბაგრატის ნაშრომში არის ემოციური შეძახილი: „განიხილეთ, ჰოი, მოწმუნენო, წინა აღდგომაა წმიდათა წინასწარმეტყუელთა და გაცნაადებული შურაცხება მეუფისა! ჰოი, კადნიერებასა უღვთოსა მოჰამედისას!“ (3 r).

იაკობი ამ ტექსტის ნაცვლად სულ სხვა შინაარსის სტროფს ქმნის, რომელიც დედანს მხოლოდ განწყობილებით ეხმაურება:

„როგორც არ თქმულა პაერში ნაეარდი ქათმის უფრთოსა, ესრეთ სიყრმიტგან მართალი არ უთქვამს მამადს უღვთოსა. მიენდო, მიყვა საწყალი კვამლ-აწრდილ-ნისლ საწუთოსა, კაენს ესტუმრა ჯოჯოხეთს, სამოელ ცეცხლი უნთოსა“ (54).

დედანში ნათქვამია: „და მიერთგან ეპერა წინადაცვეთილება იგი ისმაელს, და ნათესავს მის, ვითარცა ჭეშმარიტთა ისრაელთა და არცა ჭამდეს კორცსა ღორისასა და არცა თაუანის-ცემდეს კელით ქმნულსა რადსმე“ (4v).

ლექსი ოდნავი ანარეკლია დედნისა:

„მას აქათ სჯულად დაიდევს სუნათი აგარიანთა, ვით ისრაელთა მართალთა, მოსიან-დავითანთა, კელით ქმნილს არ თაყვანი-სცეს, არც სჭამენ დომყუზიანთა, ბაგემრუდ, ენამზაკეართა, გულჯერკეალ, სულბრაზიანთა“ (77).

დედანი შეცვლილია ან თავისებურად არის გადმოცემული აგრეთვე 160-ე, 260, 266-268 სტროფებში.

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: იაკობ შემოქმედელი თავიდან ბოლომდე მიჰყვება დედანს, ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომს, არსებითად მთლიანად და ზედმიწევნით ლექსავს მას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში უხვევს მისგან: აქა-იქ ტოვებს ზოგიერთ ადგილს და ცვლის თხრობის თანმიმდევრობას, გარდა პროლოგ-ეპილოგისა, საკმაოდ ხშირად უმატებს ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს, სტრიქონებსა და ზოგჯერ სტროფებსაც. ამ ცვლილებათა მცირე ნაწილი ლექსის შებოჭილობით არის გამოწვეული, უმეტესი ნაწილი კი პოეტის შემოქმედებითი მიზანდასახულობის ნაყოფია.

2. მხატვრულ-პოლემიკური მხარე

თუმცა იაკობის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ გალექსილი ვერსიია, შესრულების მხრივ იგი ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებად, ხოლო მისი ავტორი საკუთარი პოეტური ხმის მქონე მწერლად წარმოგვიდგება.

სხვა შეხედულებისაა ივანე ლოლაშვილი. იგი არ ეთანხმება იაკობის მიმართ გამოთქმულ არჩილისა და ანტონ პირველის საქებაარ სიტყვებს და წერს: „მაგრამ ეს ქება რამდენადმე

გადაჭარბებული ჩანს, რადგანაც «გაბაასება» მდარე მხატვრული პეგლია, რომელსაც არავითარი პოეტური ღირსება არა აქვს¹.

ჩვენი აზრით, ეს შეფასება მეტისმეტად მკაცრია და უსამართლო.

უპირველესად უნდა გვახსოვდეს, „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ პოლემიკური ნაწარმოებია და არა მხატვრული ქმნილება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. პოლემიკური ნაშრომისათვის კი მთავარია მწყობრი, ლოგიკური მსჯელობა, საკითხი როგორ და რამდენად დამაჯერებლად იქნება ასახული და მოწოდებული. იაკობის თხზულებაში, გარდა იმისა, რომ დედნისეული დასაბუთება მთლიანად და, თამამად შეიძლება ითქვას, უნაკლოდ არის გადატანილი, ეს მხარე მასში კიდევ უფრო გაძლიერებულია.

პურ-ღვინის შეწირვის თაობაზე მსჯელობისას იაკობი დედანს უმატებს ერთ სტროფს, სადაც მამადიანთა გასაბიარებლად სოლომონისა და სხვათა ბრძნული გამონათქვამის დამოწმებით გამოყენებულია პოლემიკური ხერხი: მოწინააღმდეგეს ეუბნება, რომ უგუნურსა და ურცხვთან კამათი და შეგონება ფუჭია, რადგან იგი არც მოგისმენს და არც შეისმენს, ბრძენი კი, პირიქით, - დარიგებას სიამოვნებით მიიღებს და ამისათვის კიდევ შეგიყვარებსო:

„აქამდისი რით ვერა სცანთ, რათ შეესწირავთ პურ-ღვინოსა?
სოლომონ თქვა: «ნუ ამკილებთ კაცს უგუნურს, ურცხვინოსა,
ამცენ ბრძენსა, შეგიძინოს, შეგიყვაროს, გისმინოსა!»
თქმულა: ცოფს ძაღლს პურს ნუ აძლევ, არამც მოგწედეს, გიკბინოსა!»
(248).

ხორცის შეწირვის წმინდა საიდუმლოს გამართლებებისათვის, დედნისაგან განსხვავებით, იაკობი მარჯვედ უხმობს ქართული ყოფისათვის უცხო და ისლამურ ქვეყნებში მიღებულ აქლემის ხორცის საკვებად გამოყენების წესს. დედანში ტექსტი ვრცელია: „...და ესე არს მსხუტრპლი ჩუენი და შესაწირავი. არა ერთსა ტაძარსა შინა ერთგზის წელიწადსა აღვასრულებთ მას, ვითარცა ჰურიანი, არამედ ეოვლისა სოფლისა ეკლესიანი დაუცადებლად დიდების მეტუეულებასა შესწირვენ. და მარადის სიკუდილი იგი უფლისაჲ იესუსი კორცთა შინა ჩუენთა გკტვირთავს, რადთა ცხორებაჲცა იგი იესუსი მოკუდავთა

¹ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ე. ლ. მ. ა., თბ., 1982, გვ. 12.

ამათ შინა კორცთა ჩუენთა გამოცხადნეს. და უკეთუ კულად საქლავსა დაუკლვიდეთ და მას შეესწირავდეთ საკუთხვეულსა ზედა ჩუენსა, რადთამცა სისხლი დავსთხიეთ განსაწმედლად ჩუენდა უპირატეს და უპატიოსნეს სისხლსა ქრისტესსა?!“ (17 r).

გალექსილი ვერსია უფრო ნათელი და სხარტია, აღნიშნული ცხოვრებისეული წესის ათვალწუნებით ხსენება კი ქართველი კაცის თვალში მთლიან მსჯელობას დიდ დამაჯერებლობას ქმატებს და უტყუარობის ბეჭდით კრავს:

„გეთხარ: რას მსხვერპლს შეესწირვიდეთ ქრისტეს დაკელის სამუქუოსა?

ესჯამოთ კორცი ტრაპეზზედა ზროხის, ვაცის ანუ კოსა, რძეს, ხაჭოს, ყველს, ნაღებს, მაწონს, დოს დაეხერტდეთ თუ ერობსა? პური კორცად, ღვინო - სისხლად სჯობს აქლემის გვერდ-წიბოსა!“ (260).

თანაც, რა ირონიულად უღერს - „აქლემის გვერდ-წიბოსა“!

ლექსით ვერსიაში, გარდა იმისა, რომ მაჰმადიანები, დედნის შესაბამისად, სახელდებულნი არიან აგარიანნად, ისმაიტელებად და სარკინოზებად, მათ აქ ემატება ჩვენში გაერცელებული ტერმინი - თათარი², რომლითაც აღინიშნებოდა ჯერ მონღოლები, შემდეგ როგორც სპარსელები, ოსმალოები და მათი მახლობელი ხალხები, ისე, საზოგადოდ, ყველა მაჰმადიანი -

„მუცლით მეზლაპრეთ ახსენა სამლთომ წიგნებმან თათარნი, სიბრძნის მდომელნი. ვერ მპოენი, ღვთის გზასა მრუდად დამცდარნი, თავიდან უსახლკარონი, ნადირნი, მხეცნი, აფთარნი...“ (73. 1 - 3).

„(თათართ იქ ცოლად გევეყოლვის) - მათიც თქვა ესრეთ გინება“ (107. 4).

„თუ ისმენ, გეტყვი, თათარო, ამ დაფარულსაც იგაესა“ (224. 4).

„ბაყაყს რაღა დააბრკოლებს, თუ თათრები წყლით ცხოენდების?!“ (275. 4).

ისტორიული მასალებიდან ჩანს, პირველი სამი სიტყვა (აგარიანი, ისმაიტელი, სარკინოზი) ძველად, მეტადრე გვიან შუა საუკუნეებში, უფრო წიგნიერთა წრეს განეკუთვნებოდა და ხალხი ნაკლებად იცნობდა, „თათარი“ კი იაკობ შემოქმედელის დროს და შემდეგაც ყველა ქარველისათვის ზარდამცემი ცნება

² ბაგრატის ნაშრომში ეს სიტყვა მხოლოდ სათაურში გვხვდება.

იყო, რომელსაც გამუდმებით ათასგვარი უბედურება - აწიო-
კება, ხოცვა-ჟლეტა - უკავშირდებოდა. ასე რომ, ამ სიტყვის
შემოტანა თხზულებას რეალობასთან აახლოებდა და ქმედი-
თობას ჰმატებდა.

მაჰმადიანური რწმენის უარსაყოფად ბაგრატიც ერთ-ერთი
საბუთი ასეთია: ქრისტიანობა ეფუძნება სხვადასხვა დროს
სხვადასხვა წინასწარმეტყველისა და წმინდანის შექმნილ
წიგნებს, რომლებიც ერთიანნი, ერთი მოძღვრების გამოხატ-
ველნი არიან. და მაშინ, როდესაც ქრისტიანთა უმრავლესობა
არც ამათ სჯერდება (იგულისხმება, დამატებით სხვა წყაროებ-
საც მიმართავენ), მოჰამედის მიმდევარი ერთ ცუდ, ნატყუარ
წიგნს - „ყურანს“ - ემყარებიან, აეტორი წერს: „აჰა, ესერა ჩვენ,
ქრისტიანეთა, შორის ესოდენთა ჭეშმარიტთა წინასწარმეტყუელთა წიგნები
და წმინდა «სახარებად» და «სამოციქულო», მდღელთ მოძღუართა
მოწამეთა და მამათა წიგნებისა ზიმრაულე ეწამების ურთიერთარს და არცა
ეგრეთ ირწმუნებენ უმრავლესნი ქრისტიანეთაგანი“ (5 v).

იაკობი ამ ნაწილს ზედმიწევნით და ამომწურავად ლექსავს:

„ქრისტეს მონათა გვიპყრიეს სრულ ჭეშმარიტი წიგნები,
წინასწარმეტყუელთ, წმინდათა მამათა დანამტკიცები,
«ოთხთაეით», «სამოციქულო», კრებითა განაფიცები,
ზოგნი ამათსაც ძლივ ჯერა, სხეათ კითხვენ მცოდნე ხუცები“ (102).

ბაგრატი თხრობას აგრძელებს და მაჰმადიანებსა და
„ყურანზე“ მოკლედ ამბობს: „ხოლო ივინი ერთითა მით ცუდითა
წიგნითა და მოპოვნებულითა ტყუილითა «დაამტკიცებენ» სჯულსა მათსა
და სარწმუნოებასა“ (5 v - 6 r).

იაკობი ამჯერად დედნით არ იზღუდება და მოწმისა და
თვითმხილველის მნიშვნელობაზე საუბრით, მკაცრი ტონით
ავრცელებს მას. მისი მტკიცებით, მოჰამედს ამგვარი მხარდამ-
ჭერი და დამადასტურებელი არ გააჩნია, ამ „ერთის განჩინება“
კი სიზმრის მსგავსი მოჩვენება არის:

„შჯული ბრძანებს ორის-სამის მოწმის სიტყვის დამტკიცებას,
უსჯულონი უჯერიან ერთის ქაჩლის განჩინებას,
უმოწმოდ და უთავდებოდ, სიზმრის მსგავსად მოჩვენებას,
ამისგან გმეს შემოქმედი, აღარ მოგვეყენნ მო- ჩვენებას“ (103).

ბაგრატი ბევრგან თხრობას ერთნაირი ქარგით წარმარ-
თავს: თუ მოწინააღმდეგემ ასე გითხრას, შენ ასე უპასუხეო. ეს
ქარგა უმეტეს შემთხვევაში ერთი და იმავე სიტყვებით არის

გამოხატული. „უკეთუ გრქვას... შენ მიუგე“. ამგვარია 157-ე, 178, 188, 191, 192, 217, 228, 261, 269 და 270-ე სტროფების შესაბამისი ტექსტები. „თუ თქვას... შენ მიუგე“ არის 180-ე და 228-ე სტროფების შესაბამის ტექსტებში. სხვაგან გვაქვს: „უკეთუ გკითხოს...- შენ მიუგე“ (206-ე სტროფის დედანი), „იგი მოგიგებს...- შენ მიუგე“ (სტრ. 190), „მოგიგოს რა... შენ მიუგე“ (სტრ. 210), „უკეთუ გეტოდა... შენ მიუგე“ (სტრ. 209, 247, 278), „უკეთუ გეტოდა... არქუ“ (155), „უკეთუ გეტოდე... შენ სიტყვა-უგე“ (233).

ლექსით ვერსიაში ზოგან ეს სქემა პირდაპირ ან მცირეოდენი სიტყვიერი განსხვავებით არის გადატანილი. მაგალითად, ამგვარად:

დედანი: „და თქვას, ვითარმედ: შენ ვინ გაქუს წიგნები იგი, რამეთუ არა ხარ ისრაელი... მიუგე მას...“ (11 v).

ლექსი:

„თუ გრქვას: სად გაქეს შენ წიგნები, რომ არა ხარ ისრაელი... უთხარ: ყური მომიპყარი, მაჰმად გწამს თუ ისმაელი?“ (180. 1, 4).

დედანი: „უკეთუ გკითხოს მოჰამედიანმან: «რადენსა ღმერთსა თუანისცემ?» შენ მიუგე მას“ (13 v).

ლექსი:

„«რამდენსა ღმერთსა მონებთო?» - მათგანმან გკითხოს ან ერთმან, მიუგე, რასაცა გეტყვი: «მაჰმად დაბეჭდა იგ ღმერთმან...»“ (206. 1 - 2).

დედანი: „შენ მიუგე მას: «ვისგან უწუ, რამეთუ ვგე ვგრუთ არს?». იგი მოგიგებს: «მოჰამედის მიერ, ანგელოზის მიერ ეუწუა». შენ მიუგე მას: «მოჰამედ იხილა ქრისტე?»“ (17 v).

ლექსი:

„«გვაუწყე, თუ სარკინოზო, ესე სიტყვა ვისგან იცი?» იგი გეტყვის: «მაჰმად ბრძანა, მისგან ჩვენ გვაქეს დანამტკიცო! » შენ მიუგე: «მაჰმადს ქრისტე არ უნახავს, ეს თქვენც იცი...»“ (263. 1 - 3) და სხვა.

იაკობს ამ კითხვა-პასუხის აღნიშნული ქარგის ძირითადი ნაწილი, როგორც ზოგან დედანშია, ნაკლები ცვლილებებით ქვესათაურებად გააქვს, ლექსში კი იგი სქემითაც და სიტყვიერადაც მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნებულია, ტექსტში შერწყმულია და მეტად მწვავე, შემტევი ხასიათი აქვს.

დედანი: „ესრეთ ორთა ბუნებითა აღვიარებთ ჩუენ ერთსა ქრისტესა ღუთაებითა და კაცებითა, რამეთუ სრულ კაც იქმნა თვინიერ ხოლო ცოდვისა. ხოლო უკეთუ გრჭკას, ვითარმედ: რადსათვის განკორციელდა ქრისტე ანუ ვისსა მომართ მოივლინა, შენ მიუგე მას“ (14 v).

ესაა პოლემიკის ერთი ნაწილი, გაგრძელება. მთავარი კითხვა, რომელშიც იგი შედის, წინ არის: „და უკეთუ გეტოღის, ვითარმედ: «იესუ ღმერთად გრწამს თუ კაცად?» - შენ მიუგე მას“ (14r).

იაკობი ამ წინადადებას, თითქმის უცვლელად, 209-ე სტროფის წინ ქვესათაურად წერს: „*თუ გკითხოს მომედიანმან: იესო ღუთად გრწამს თუ კაცადო? - შენ მიუგე ესრეთ*“. ხოლო ზემორე დამოწმებული ტექსტი ასეა გამძაფრებული:

„აღვიარებთ ერთ ქრისტესა ორ ბუნებად უცთომელად, ღუთად სრულად და კაცად სრულად, ჭეშმარიტად, უცოდველად. თუ ამასაც სიტყვას მიგებ, რისთვის იქმნა კორციელად? გეტყვი, მაგრამ არ მომისმენ, გხედავ მელად გამძრომელად“ (217).

დედანი: „უკეთუ თქუას: «ვითარმცა ესვა ღმერთსა მე?» - შენ მიუგე მას: იტყვის მეფსალმუნე: «მე ვთქუ: ღმერთმანი სამი ხართ და პენი მაღალნი - თქუენ უოველნი»“ (15 r).

ლექსით ვერსიაში ჯერ სათაურია: „*თუ გკითხოს ურწმუნომან: ღმერთს ძე როგორ ეყოღვისო? - ესრეთ უთხარ შენ*“, შემდეგ - პილპილნაზავი ლექსი:

„თუ თქუას: «ღმერთსა ძე არა ყავს», - სიტყვა მწარედ საგმობელნი, შეაგონე ფსალმუნთ წიგნი, უთხარ, უპყრას საცნობელნი: «მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართო და ძე მაღლის - თქვენ ყოველნი», - ამცნო სახისმეტყველებით სიტყვა მარჯვე, საგებელნი“ (228).

აქ, გარდა იმისა, რომ შესაბამისი - უარყოფითი და დადებითი - შეფასებანი აქვთ დამატებული მაჰმადიანთა კითხვას და ფსალმუნის პასუხს, იაკობი ნეიტრალური „მიუგე“-ს მაგივრად იყენებს საბრძოლო განწყობილების შემცველ გამოთქმებს „შეაგონე“ და „უთხრას, უპყრას საცნობელნი“.

დედანი: „ხოლო უკეთუ გრჭკას: არა ჯვარცმულ არს ქრისტე, არამედ ერთი ვინმე მათგანიო, რამეთუ იესუს რადთა ეძიებდეს სიკუდილად, ჰოვეს ვინმე, რომელთა დასდებოდა სახე მისიო და იგი ჯუარს აცუქსო, არამედ არა იუო ქრისტეო, შენ მიუგე მას“ (17 r-v).

დედნისაგან განსხვავებით, ლექსით ვერსიაში ჯერ სათაურია: „*აქა გეტყვის მომედინი: იესო ქრისტე არ ჯვარცმულაო*“, მომდევნო სტროფში კი სათქმელს პირდაპირ აქვს ხელი ჩაელებული:

„დაგიფიცავს, «დაგიმტკიცებს» - ჯვარცმულ იყოს ქრისტე აროს, შეპყრობის ჟამ ურიებთან თვით რომ თავი მიეფაროს, სხვა კაცისთვის რომ დაედვას სახე თავის მისაფაროს, მისდა ნაცვლად ჯვარცმა-დაფლვით იგ უბრალო გაემწაროს“ (261).

თუ ბაგრატი კითხვას სათუოდ, მოსალოდნელად წარმოგვიდგენს, იაკობისათვის იგი უცილობელია.

დედანი: „და თუ ღორის კორცისა ჭამასა გაბრალებს, სიტუა-უგე მას...“ (18 r).

იაკობი საკითხს სათუოდ არც აქ ხდის:

„ადრითგან გვესმა, გვიძრახეს საჭმელად კორცი ღორისა, ისმინე გულისკმეურად, პასუხი მოგცე ორისა...“ (276, 1 - 2).

სათაურად კი წერს: „*სიტყვის-გება ღორის კორცის ჭამის დაბრალებისათვის*“.

დედანი: „ხოლო უკეთუ ჰირად-ჰირადთა ხანათავს და დღითი-დღეთა ნათლისღებათავს გეტეოდის, მიუგე მას“ (18 r).

იაკობი აქაც სათაურად წერს - „*დღითი-დღე ნათლისღებისათვის თუ გკითხოს, ესრეთ მიუგე პასუხად*“, ლექსში კი სათქმელზე პირდაპირ გადადის:

„რად ნიადგ ნათელს იღებთ, ვიცი, რისთვის ებანებით, მოამედმან განგიწესათ ცუდის რასმე მანქანებით...“ (278. 1 - 2).
და სხვა.

ამ სახით ლექსითი ვერსია უფრო თვალსაჩინო და გასაგები, მდიდრული, მომხიბვლელი და ბრძოლისუნარიანია, ვიდრე დედანი.

ლექსით ვერსიას მეტ ძალას ჰმატებს ისიც, რომ ხშირად პოეტი თხრობაში³ პირველი პირით ერთეება და იგი, თავის სიმათლესი ღრმად დარწმუნებული, ლად და ძლევამოსილ პიროვნებად წარმოგვიდგება.

³ აღარაფერს ვამბობთ პროლოგსა და ეპილოგზე, სადაც პოეტი უმთავრესად პირველი პირით მსჯელობს.

ბაგრატი ჩვეულებრივ მესამე პირით მოხრობელია და, თუ შიგადაშიგ პირველი პირით ლაპარაკობს, იგი ყოველთვის „ჩვენობით“, მრავლობითი რიცხვით, არის გამოხატული⁴.

იაკობიც, ბუნებრივია, დედნის შესაბამისად და დამოუკიდებლადაც თავისიანებთან და მოწინააღმდეგეებთანაც ხშირად „ჩვენობით“-აც საუბრობს, მაგრამ, როგორც ვთქვით, შიგადაშიგ მარტოდმარტოდაც გამოდის ასპარეზზე და პირდაპირ, უშუალოდ ებმება პაექრობაში.

თუ პოეტი პროლოგში მოითხოვდა - „*ვინც სხვას მოძღერის სიბრძნის სიტყვას, სჯობს თვით პირველ განიმარტოს*“, თხზულების მთელ მანძილზე კამათისას იგი ამ მხრივ თავს მყარად გრძნობს:

„სიბრძნის არდაგი მოვირტყი თქვენზედა ქადაგებისა“ (249.4).

პროლოგში კი თავის თავს „სიბრძნის ებგურს“ (=დამცველს, დარაჯს) უწოდებს (9. 1).

დედანში წინდაცვეთის წესზე აღნიშნულია: „ხოლო აწ ვინათგან ეოველთა ნათესაეთა მომართ მოაგლინა ჭეშმარიტება, ვინაჲ იწმუნებხ. რადღა საკმარ არს წინდაცუთილება? ანუ არა სარწმუნო არსა ადამი, რომლისათჳს იგი მენი მისი, აბელ და სეთი ანუ ნოე და მენი მისნი, რამეთუ არა აქუსთ მათ წინდაცუთილებად? და რად არ ებრძანა მათ წინადაცუთა? ანუ არა აბრაჰამცა წინადაცუთილობასა შინა განმართლდა? ჰუ, ჭეშმარიტად! და შემდგომადღა უბრძანა წინადაცუთა“ (5 r).

ბაგრატი აქ რიტორიკული კითხვებით, ბოზოქრულად, მაგრამ მაინც გვერდზე მდგომი მსჯელობს, ლექსით ვერსიაში კი პოეტი უშუალოდ არის ბრძოლაში ჩაბმული და მოწინააღმდეგეს პირადად უტევს:

„აწ, ვინათგან კერამთმასხურთა შჯული დახსნად გარდავიდა, ჭეშმარიტად ვისაცა გერწამს, ქრისტე მხსნელად მოგვივიდა, სცანთ, ამისთვის წინდაცვეთა უკმარ იქმნა, მით წარვიდა, ღეთის კელით ქმნილს ადამს ემოწმობ, ვის პირისპირ რომ ზრახვიდა.

⁴ არის ასეთი გამონაკლისი: „ესრეთ უწოდე, - წერს ბაგრატი, - რამეთუ არა ვისსა კერსა ძაჲუნისხეცემ. ხოლო უკეთუ კელით ქმნილსა თაჲუნისცემასა შაბრალებ, ანუ კარაფი-იგი მოსეს მიერი... კელოვნებითა კაცთათა შემზადებული იუვნეს!“ (16 r).

კვლავ ვახსენებ ძეთა მისთა: აბელს, სეითს, მართალს ნოეს, ღირსთ მოწამეთ შემოყენანით მართალ არსო, თქვენც ბრძანო ეს: ვის უბრძანა წინდაცვეთა, რომ სამოთხე მოიპოეს?! კიდევ გეტყვი, მომისმინე, ნუ ხარ ძაღლთა უგლისპოეს!

ისმინე ჩემი. დადუმდით, ყურს ნუ დაიყოფთ ასპიტად, აბრძაპის წინდაცვეთამდი განმართლდა? - ვთქვა ჭეშმარიტად, მერმე უბრძანა დაცვეთად, ძეგლად ქმნა სიმტკიცის სვეტად. შენ სიტყვას გესლობ, ღვარძლს სთესავ, მე გიპი სულ მარგალიტად“ (83 - 85).

ბაგრატის სასუფეველის ასახსნელად სახარებიდან იმოწმებს ენახის მუშაკებზე ქრისტეს წარმოთქმულ იგავს (მათე, 21. 33 - 43) და მოწინააღმდეგეს ემოციურად, მაგრამ მაინც მოკლედ და განყენებულად ეუბნება: „უწოდე, მ, საკინოზო!“ (15 r). იაკობი კი თავისი სახელით გამოდის:

„თუ ისმენ, გეტყვი, თათარო, ამ დაფარულსა იგავსა“ (224. 4).

ასეა სხვაგანაც:

„რა უჯერო შეემოხვია, მითხარო, ვინ ხარო მართლის მთქმელი!“ (36. 4).

„ისმინე გულისემიერად, პასუხი მოგცე ორისა“ (276. 4).
და სხვა.

იაკობი ზოგან შედარებით დინჯ, თავშეკავებულ, დარბაისელ მოპაექრედ წარმოგვიდგება, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ ერთგვარი შემწყნარებლური დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებს:

„მოგახსენებ ღირს ეფთვიმეს, ნათესავით ტაოელსა“ (184. 1).

„რაც მოგვითხრა დიდმა მოსემ, მეც მას გეტყვი დაუკლისად“ (195. 4).

„მომისმინეთ, როგორ ბრძანებს ქრისტე წმიდად სახარებად“ (203. 1).

„ყური მიგდე, მოგახსენებ აწ კაცობრივ ბუნებასა“ (215. 1).

„სალოცავი სახლი თქვენი, მაქა, გკითხო მაქათულად, თუ არ არის კელით ქმნილი, მითხარ, რით არს აღმართულად?“ (246. 1-2).

„ბოლოსა გკადრე წინანი, საქმე გიამბე პირველნი“ (252. 3).

„გზას გიწმენდ, ეკალს აღგიფხვრი, ახალ ყოფ, ნერგავ შენ ნარად“ (284. 4).

ზოგან თავმდაბლურად, ნაკლები კატეგორიულობით, თითქოს ერთგვარი დაეჭვებითაც მსჯელობს:

„ჩემმა სულმა, იმედი მაქვს, ვინც რომ მან გმო, ისიე გარჯის“ (97. 4).
 „ვეჭობ, ეს გმობა არ ეთქვას ეშმაკს, არც იუდასა და!“ (121. 4).
 „არა მწამს - მოსე ტყუოდეს, მაჰმად ბრძანებდეს მართალსა!“ (196. 4).
 „გამცემელთან, ვეჭობ, დასჯის მაჰმადს - თქვენსა წინამძღვარსა“.
 (226. 4).
 „არ უკეთით ჯოჯოხეთსა, ვეჭობ, მაშინც კმა გეყოფათ“ (273. 2).

ზოგან კი ფიცხი და ძლიერად მდგომი პოეტი მოწინააღმდეგეს დაუნდობლად ებრძვის:

„თუ დაესწრებოდი, მეწადა თავს ცემა მისთვის სარისო“ (115. 4).
 „ვარ ცეცხლ-შემწველ, მახვილ-ორპირ, ღვთის მგმობართა ენა
 მკვეთრად“ (142. 4).
 „სხვა მამა ვინ ყავს, მაცნობეთ, მომიგეთ სიტყვა ესია?!
 მწადს, მყვანდეს თქვენზე შესაჭლმად, ძაღლები წამომესია!“ (229. 2 - 3).
 „არ მოისმენ, რას გეუბნა შენ - სწავლისა უმეცარსა...
 ბოლოდ თქვენსა დამხობასა, ვა, თუ ვესწრა უმეც არსა!“ (244. 1, 4).
 „მთად ვიჭ, მაქას დაგისეტყვავ, სთქვათ ვახშამათ აბარისა“ (265. 3 - 4)
 და სხვა.

აღსანიშნავია ისიც: პოლემიკურ ნაწარმოებებში, მეტადრე პოეტურში, პირველი პირით თხრობას იმ მხრივდაც აქვს უპირატესობა, რომ, როცა მას მკითხველი ეცნობა და სწავლობს, იგი ავტორის ადგილას დგება, თავს თხზულების გმირად წარმოიდგენს და, რადგან მოწინააღმდეგესთან ჩვეულებრივ მარტომმარტოს უნდა მოუხდეს შებმა, საპაექროდ მზამზარეული სიტყვა ეძლევა. ეს ფსიქოლოგიური გარემოება უთუოდ ნაწარმოების ზეპირად დასწავლისათვის ერთგვარად ხელის შემწყობი და წამახალისებელიც იქნება.

ხშირად, რაც ბაგრატიის ნაშრომში მარტივად და უბრალო ენით არის მოთხრობილი, ლექსით ვერსიაში ხატოვნად და შთამბეჭდავად არის გადმოცემული.

ბაგრატი დინჯად და მშრალად ჰყვება, მოჰამედი თავის შთამომავლებს რა მზაკერულად, ჩუმჩუმად ჰპირდება მემკვიდრედ დატოვებას და მისი სიკვდილის შემდეგ ეს უკანასკნელნი რა ველურად დაერივნენ ერთმანეთს, ისე რომ, თავიანთი წინაპრის ნაქადაგარი არც ერთს აღარ გახსენებია. ავტორი წერს: მოჰამედი „უქადაგებდა ასულით სიმესა თუსსა აღის და ეტუოდა: შემდგომ ჩემსა შენ დაგიტეგებ მსაჯულებასა ჩემსა და წინასწარმეტუეულობასაო. და რად იგი მცირედ განიშოროს, უქადის უმარს და კვლავად უქადის ოსმანს. ამისთვისა აღიჭურნეს ურთიერთარს და იწუეს ბრძოლად, და გამოაძეს ალი, რამეთუ იგინი უმრავლეს იყვნეს, და მოვიდა

ნაჯაფს, სადა-იგი მოიკლა მოევასისა მიერ თვისისა დალატითა, რამეთუ ფრიად მკნე იყო და პლიერ. და მიერთებან აღარა ეწამებოდეს სჯულსა ურთიერთას ავარიანი...“ (8 v).

ლექსით ვერსიაში ეს ამბავი უფრო ვრცლად და ემოციურად არის გადმოცემული, რომელიც შიგადაშიგ მწარემწარე გამოთქმებით არის შეზავებული:

„მოამედი აღს წყალობას საიდუმლოდ უქადებდა:

«რა გარდავხვდე, ჩემს უფლებას შენ მარტოსა დაგიგდებ და».

ფარვით ომარს, ცალკე ოსმანს თვის-თვის იმედს დაუდებდა, -

«თქვენ მოგცემო, სხვას არვისა», - ფიცით გულს კელს დაიდებდა.

ფიცხლავ ბრძოლად აღიჭურვნეს ერთმანერთხედ, მოკვდა რომ ის, გამოაგდეს ალი მათგან, შფოთი აღძრეს გულის წყრომის, წყეულს ჰქონდა ჩვეულება გველებ გაძრომ-გამოძრომის. მით ველარეინ შეაერთებს, თვით შუა ყვეს ააპა რომის.

ჯარით სძლიეს ომარ, ოსმან, უმცნე იყო თუცა ალი,

ბაღდადს, «ნაჯაფს» წოდებულსა, შეიხვეწა ძლიე ცოცხალი.

მუხთლად მოკლა იქ მოყვასმან, მას მოედო მისგან ძალი,

აღარა სწამთ ერთმანეთის სჯული, არცა სამართალი!“

(131-133).

ბაგრატი მაჰმადიანებს წინადადებას აძლევს: რაკი მოსეს და დავითის წინასწარმეტყველებას არ უარყოფთ და ქრისტეს „სახარების“ ზეციურობას აღიარებთ, შევადაროთ „ყურანი“ ძველი აღთქმის წიგნებსო: „უკეთუ გენებოს. უოველთა შთამოყვე შემდგომითი-შემდგომად «შესაქმესა» მოსესა და მათ ოცდაოთხთა წიგნთა ძველისა სჯულისათა და «სახარებისა» და «სამოციქულოსა» იტეოდე და უკეთუ ეწამებოდის წიგნი ეგე თქუენი და არა იპოოს წიგნსა მაგას შინა თქუენსა სიტუეად ნაკლები ანუ ტუეილი ანუ შეცვალებული სხუათა წინასწარმეტყუელთა დამართებით და მოციქულთა, - კეთილ. ხოლო უკეთუ არა იპოვნენ სრულებით, არამედ თვთუელისა წიგნები მცირედი რაჟმე ნაწილი იპოვებოდის და იგიცა უმრავლესი წინააღმდეგომი მოსესი და სხუათა წინასწარმეტყუელთა და მოციქულთა, ვითარ გურწმენეს? ანუ ვითარცა დაუტევნით ვრცელნი და კეთილნი და ეოვლითა ჭკმმართებითა საუსენი მოთხრობანი და შეუდგეთ ახლად მოპოვნებულსა უცხოსა რასმე მოძღურებასა?“ (13 r).

თუ აქ გამოწვევა ასე დუნედ არის გამოხატული, ლექსით ვერსიაში პოლემიკური მუხტი ბევრად უფრო მკვეთრი და ძლიერია:

„ბაასი ვქნათ ძველ-ახალის ოცდაოთხის წიგნებითა,
თქვენც კრება ქნეთ შეიხ-მუფთაჯ-ყაზი-ესქერ-მღიენებითა,
შვედაროთ მათ ყურანი სწორად საქმით, სიტყვებითა, -
ან მეტობდეს ტყუვილითა, ან არ იყოს ნაკლებითა.

თუ შემოწმდეს მათ სრულობით, აღარ გექნას თქვენ ცილობად,
თვარემ ზაკვით რომ ჩაერთოს, აქა-იქ რამ ნაწილებად,
ზოგი აკლდეს, ზოგი მატდეს, ეთქვას რითმე მათ წვალებად,
შაქრად როგორ დავიტბუვენოთ, რაც მწარედ სჩანს სამსალებად?!”
(197 - 198).

ბაგრატი ისევ მდორვედ აგრძელებს თხრობას: „რამეთუ თვთ მოჰამედ იტევს, ვითარმედ წიგნი მოსესი და დავითისა და ქრისტესი («სახარება») ზეცით გარდამოსრული არსო და აწ კულად «ეურანი» ესე მე მომივიდაო, უწოდე, რამეთუ ივინი ურთიერთას ეწამებთან“ (13 r-v).

იაკობი მოწინააღმდეგეს კვლავ ზევიდან ადგას და უტყვის:

„გახსოვთ, ოდეს მოამედმან ესრეთ გამცნოთ და გსწავლიდათ:
«მოსეს, დავითს, ქრისტეს და მე წიგნი ზეცით მოგვივიდათ,
სამთავე წიგნი ერთმანერთსა ემოწმების ერთობ წმინდათ».
თუ ყურანიც მათ არ გვანდეს, ღმერთმან სრულად ამოგწყვიტათ!“ (199).

ბაგრატი „დარეჯანიანზე“ წერს, რომ ისმაიტელთა ცხოვრების „მცირედი რაღმე ნაწილი“ „გარეშეთა კაცთა მიერ“ ქართულად არის ნათარგმნი, მაგრამ ისინი ისე მხნე და ახოვანი არ არიან, როგორც ზღაპრული გადაჭარბებით ეს წიგნი მოგვითხრობსო. ავტორის სიტყვებია: „და არა თუ ვგრე ვითართა სიმკნითა აკოვან იუვნეს, ვითარცა გვთხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მათ მიერთა ზღაპრობითა განვრცელებით აღუწერეს მოთხრობად იგი“ (4 r).

იაკობი კარგად შერჩეული, მორგებული, სურათოვანი სიტყვებით უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენს აღნიშნული თხზულების სიცრუესა და სიყალბეს:

„მენედ, ძლიერად, ახოვანად მათს ცხოვრებას ის მოგვითხრობს.
ზღაპრის მტკიცედ საჯეროსა გეტყვის, ასრე ენამტყვევრობს,
მაგრამ ყველას კელერთობით სჩმახავს, ცუდად სიტყვაპრტყელობს,
ტყუვილისა დიდვაჭარი სიცრუვისა ქულბაქს ტრელობს“ (71).

იაკობ შემოქმედელის ტექსტი მნიშვნელოვნად კონტრასტულია, ვიდრე ბაგრატ ბატონიშვილისა. ის, რაც დედანში დაგმობილია, გალექსილ ვერსიაში ბევრად უფრო მრუმე ფერებით, ხოლო მოსაწონი - მეტი ხელშესახები ხატოვანი ქები-თაა მოცემული.

ბაგრატი დინჯად, უემოციოდ სვამს საკითხს - რა უნდა უპასუხო, თუ მაჰმადიანი გკითხავს: თქვენ, ქართველები, რომელი ქრისტიანული წიგნებით სარგებლობთ, „რამეთუ წიგნი მათ უოველთანი სიტყვათა ებრაელებრითა აღიწერეს და თქვენ არა უწიით ებრაული და, აჰა, არცა ერთი წიგნთა მათგანი იპოების თქვენ შორის?“ (9 v).

იაკობი დედნისეულ აზრს პირველ ორ სტრიქონში გადმოსცემს. დანარჩენ ორ სტრიქონში უაღრესად ხატოვანი სიტყვებით ამ კითხვისათვის მაჰმადიანთა მძაფრ ლანძღვა-გინებას მიაყოლებს:

„მათ წმინდათ წერილნი იყვნეს ენითა ებრაელითა,
თქვენ მათის წიგნის უცნობნო, ცნობით ხართ უსწაელებითა.
დააცხვრეთ ენა გესლთაგან, გველებრ ნუ სძვრებით კვრელითა,
ღვარძლი გითესათ, გეყოფათ, სიცრუევეს რად მკით ხელითა!“
(156).

ბაგრატი განაგრძობს: „უკეთუ გრქვას, ვითარმედ: შენ რომელითა წიგნითა მოუთხრობ, რამეთუ წარმართი ხარ და არცა შენ გაქვს წიგნები ებრაული? - მიუგე მას ესე უოველი და უამბე, რამეთუ იგი უმეცარ არს“.

აქ მხოლოდ ერთი სალანძღავი სიტყვაა - „უმეცარ არს“. იაკობი კი დედნისეულ აზრს კელავ მოწინააღმდეგის ხატოვან გმობას ურთავს:

„თუ გითხრას: თქვენ წარმართნი ხართ, ებრაელთ წიგნი სად გაქვსო, შენ უთხარ: ყური მომიგდე, გრძნებისა ბადე არ გაქვსო, კარგს ავად იცნობთ, ავს - კარგად, ნათლითგან ღმერთმა მით გაქვსო, ეშმაკი ბაზიერად გყავს, გული უმართი მით გაქვსო“ (157).

ბაგრატი თავის დასმულ კითხვას მშვიდი ტონით სცემს პასუხს და პტოლემე მეფეს ორიოდ სიტყვით ახასიათებს: „შემდგომად აღექსანდრესსა, რომელსა ერქვა მაკედონელი, მეფობდა ეგვიპტეს პტოლემეოჲ მ წელ და იუო იგი ბრძენ ფრიად და სატნიერ და ნათესავით ბერძენ და სჯულითა წარმართ“ (9 v - 10 r).

ლექსით ვერსიაში პტოლემეს ქება გაძლიერებულია და, რაც მთავარია, მისი მრავალფეროვანი სურათია მოცემული:

„რა გარდახდა ალექსანდრე, მაკედონელ წოდებული,
მეფედ დაჯდა მეგვიპტესა პტოლემეოზ დიდებული,
მშვიდი, ბრძენი, ბერძენთ ტომი, ქრისტეს მხედრად წოდებული,
ერთგულთ-ცვარად წყალობისად, ურჩთ - საკმილად მოდებული“
(158).

ბაგრატის ნაშრომში ედესის მთავრის, აეგაროზის, კერპთმსახურობიდან ქრისტიანად მოქცევა გაკერით, სხვათა შორის არის აღნიშნული: „ხოლო ვინადგან არა ჰრწმენა ჰურიათა ქრისტეს მიმართ, ესა ავგაროზ მთავარსა ედესიასა, რომელი-იგი იყო სჯულითა კერპისათა, სასწაულთა მათოვს, რომელთა აღასრულებდა იესუ, ჰრწმენა“ (15 v).

ლექსით ვერსიაში ეს მეტამორფოზა იშვიათი მხატვრულობით, ამადლებულად და მიმზიდველად არის გადმოცემული:

„რადგან რომე არ იწამეს ურიათა ქრისტე აროს,
ედესიის მთავარს ესმა, სახელს სდებენ ვის აეგაროს,
სჯულით მღვრიე კერპთმსახური დაემსგზავესა წმინდას წყაროს,
ეკალ-ქაცვნარ-ასკილის ხე გარდაემყნა ალექს-საროს“ (235).

ლექსით ვერსიაში, ცხადია, ბევრია ქრისტიანულ რელიგიურ ლიტერატურაში მიღებული სახეები, გამოთქმები, რომელთაგან ზოგი დედნის შესაბამისია, ზოგიც დამატებულია: „ღვარძლად დათესული“ (6.3), „ქრისტეს ვერძი“ (9. 4), „სიკედელის მანგლის პირი“ (11. 3), „ცოდვის საბრკე“ (12. 2), „ეშმაკთ საბრკე“ (81. 2), „სატანას გუნდი“ (17. 3), „ღრუბლების სვეტი“ (34. 4), „ქრისტეს მხედარი“ (158. 3), „საღმართო დასთა ხორო“ (171. 1), „საღვთოს ვენახის მუშაკი“ (185. 2), „ქერაბინი მოტყინარე“ (195. 2), „წმინდა საუფლო კარაეი“ (249. 2), „კელის უქმნელი კარაეი“ (254. 2)... ეს ქვეყანა არის „კვამლ-ანრდილ-საწუთო“ (54. 3), ადამიანები - „ანრდილ-სიზმარ-კვამლის მსგავს ვართ“ (11. 1), ქრისტიანი მორწმუნეები - „ქრისტეს სყიდული ცხოვარო“ (5. 4), „ქრისტეს მონა“ (53. 4; 102, 1). „ქრისტეს სისხლითა ხსნეულნი“ (145. 2), „ნათელდებულნი“ (179. 1), ურწმუნონი - „ცხოვარნი წყმედულნი“ (145. 3), „ცხოვართა მათ წაწყმედულთა“ (218. 2)...

ქრისტიანული ღმერთი:

„...ცა-ქვეყნისა, ზღვის მოქმედი,
მათში ყოფის უარსოსა, არსთა მბადი, ყოვლთა მხედი“ (76. 1 - 2).

...შემოქმედი, ხილულთ მპყრობი, უხილავის,
ცანი საყდრად, ზღვა და ხმელი ქვე კვარცხლბეკად უპყრია ვის,
ყოვლგან მყოფი და უკლები, უსაზღვრო არს, შეუცავ ის“ (208. 1 - 3).

„ძალუც ღმერთსა შეცვალება ბნელის ნათლად, ნათლის - ბნელად,
მცირეს დიდ ყოფს, დიდსა - მცირედ, სწადს, ადვილ იქს გასაძნელად“
(242. 1 - 2).

„უარსო, მბადი, მოქმედი დასაბამ-დასასრულისა,
წინ მყოფი საუკუნეთა, წელთა ყოველთა, ჟამისა,
მარტივი, სამ მხედ მელთოლევარე, სხივ ელევებ მოკამათისა“ (268. 2-4).

ღვთისმშობელია: „საჩინოდ ქვეყნის მნათი..., მზის შარ-
ანდი, სხივმეთოლევარე..., ვარდი უჭვნობელი..., ცათ გვირგვინი,
სახლი ღვთისა, ცოდვის ზღვათა გამემობელი“ (4).

ქრისტიანული ლიტერატურის სიტყვიერი მასალით არის
დახასიათებული მაჰმადიანებიც: მოჰამედის მშობლები იყვნენ
„ბელ ზებულთ ეშმაკთ მთაყარ“ (19. 3), მასწავლებელი -
„სახით ბერი, საქმით მგელი ..., მონაზონი სჯულთ ღაზონი“
(22), „საუნჯე ეშმაკისა..., ბნელყურანი“ (49. 2), „სატანა ყავს
მასწავლელად, მოძღვრად მისი ბელიარ“ (104. 4), მოსწავ-
ლეები - „სატანას გუნდი“ (26. 2), თვით მოჰამედი - „ულეთო,
ურწმუნო, უსჯულო, წეალების მეტად მოამედ-, ეშმაკის
წინამორბედი“ (18), „ჭურჭელ-ჭური ეშმაკისა“ (24. 1),
„ულეთო სიცრუვის ქადაგი“ (26. 4), „ნათლის ხილვის
მოძულქ“ (33. 4), „წეალების ძირი..., ეშმაკის ხერელით
ნაშობი“ (91. 1, 4), „ჯოჯოხეთშიდ... თავეფხგარდაცმული“
(108. 4), „ბილწი“, „ცრუ მოციქული“ (118. 1, 4), მოჰამედის
ქადაგება, კერძოდ, „ყურანი“ - „ზაკეის სიტყვა“ (23. 4),
„ზაკეით თქმული“ (210. 2), „ზლაპრად ნასწავლები“ (24. 4),
„ზლაპრის წიგნი“ (192. 2; 204. 2), „აზრდილი, კვამლი“ (45.
3), „სეაჭრო ეშმაკისა“ (68. 4), „უქმთ სიტყვა, ურცხვინობა“
(213. 2), ალი - „სიცრუის ქადაგი“ (126. 1).

მაჰმადიანები, როგორც აგარისა და ისმაელის შთამომავ-
ალნი, თავიდანვე, მემკვიდრეობითვე ცოდვიანნი, ყველა სიმა-
ხინჯის მქონენი არიან:

„უფლისაგან საძაგელი აგარ იელტეის გარ განძებით...
მათთა ტომთა ცოდვა დელავს. ქვესკნელს ჩაულენ გარ განძებით“
(60. 2, 4).

„ისმაელით გამოვიდეს ყოვლნი კაცნი ღვთის მგმობელნი,
მესისხლე და მემფოთენი, ცრუ-ფიც, მპარაუ-მტაცებელნი,

ჩუკუნა-სიძვა-მრუშებისა ცოდვის ხელად მიმღებლნი,
ნათლის ბნელად გარდამქცევენი, მწარის ტკბილად მომთხრობელნი“
(69).

„სჩანთ ხედ ხენეშ ნაყოფთაგან. ეშმაკთ გუნდთა განაყოფად“ (73. 3).

„ბილწ არიან აგარიან-ისმაიტელ-სარკინოზი,
მამადიან, ომარიან, ღეთისა მბრძოლნი ბარბაროზნი,
აშთობს ბნელი გარესკნელი, ძრწოლით განლევს ტარტაროზნი...“
(285. 1 - 3).

აი, სხვა ხატოვანი ადგილები, რომლებიც მეტი ორიგინალობით გამოირჩევა და რითაც იაკობ შემოქმედელი სიტყვის ოსტატად და ჭეშმარიტ მხატვრად გვევლინება:

ქრისტიანულ კათარზისს იგი ასე გამოხატავს: „*განიწმინდოს ზამთრის ჟანგი*“ (7. 2).

სწავლა-განათლების მიღებაზე, ცოდნით აღჭურვაზე ამბობს:

„სიბრძნის არდაგი⁵ მოვირტყი თქვენ ზედა ქადაგებისა“ (249. 4).

ქრისტიანთა ძლევამოსილება სხვადასხვაგვარად არის წარმოჩენილი. იოანე მახარებელია „*ქუხილის ძედ ხმობილი*“ (152. 1), ხოლო ქრისტესადმი მამა ღმერთის დამოკიდებულებაზე ნათქვამია:

„*ქუხდა მამა ზეგარდამო, საშინელად უწამებდა,*
ძე ჩემი არს ეგ, მაგისი ისმინეთო! - ამხილებდა“ (153. 2 - 3).

ექვთიმე ათონელის ცოდნა და განათლებაც ამ სახითვეა მოცემული: „*ღეთისმეტყველთა სიტყვა ქუხდა*“ (184. 4).

ქრისტე ღმერთი გზაა ცდენილთა აღმზრდელი და სამართლიანობის დამცველია:

„იგი არს ეგმანოველი, მწერთელი უგბილის ქედისა“ (212. 4).

მაგრამ ურჩთა და გამოუსწორებელთა მიმართ მკაცრი და უღმობელია:

„*არს ღმერთი ჩენი ცეცხლ-შემწველ, ურწმუნოთ ზედა გზებული*“
(136. 4).

⁵ არდაგი - წმინდა ტილო, ნარმა; წელს ქვევით მოსაფარი; სამოსელი (კ. დ ა ნ ე ლ ი ა, ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1993, გვ. 128).

„ვისაც სწამდეს გულის წმინდით, წრფელ-უმანკოს გონებითა, ნათელ იღოს მამის და ძის, სულის წმინდის რწმუნებითა, ვისაც - არა, დაისაჯოს ტარტაროზად ჭკნებითა; მონანულნი მოგვაქცივნა, ურჩნი უქმ ყო ბიცებითა“ (154).

„დასცხერ, თვარემ შეგეწეების ცეცხლის ცხელით მოსი სასა!“ (155. 4).
„გემს, გემს რისხვით, კბილთა ღრჭენით ცეცხლისფერნი
ანგელოზნი“ (285. 4).

ღმერთი რომ ურწმუნოთა მიმართ „ცეცხლ-შემწუელია“, ეს ბიბლიური ცნება ბაგრატის ნაშრომშიაც არის აღნიშნული (9 r), მაგრამ მას იმგვარი მუქარისა და შეტევის სახე არა აქვს, როგორც აქ, ლექსით ვერსიაშია.

მორწმუნეთათვის ქრისტიანული მოძღვრება უდიდესი საუნჯე და ამადორძინებელი ძალაა:

„მორწმუნეთა ჯეჯლი ხარობს, ურწმუნონი განიბცეს“ (149. 4).
„რადგან ქრისტე შევიმოსეთ, იგ არს ჩვენთვის კრმალ და ფარა“ (151. 4).
„ჯვარის ბეჭდით შეჭურვილ ვართ ქრისტეს მტერთა საძლეველად“
(259. 4).

„მოახსენეს: ხელმწიფეო, თქვენ ხართ შჯულის ძეგლ-მარილი, ელუსალემს არს წიგნები, სჯულის წმინდით დაწერილნი, ღეთისმეტყველთა კაცთა პირით მარგალიტად წამოყრილნი...“ (160. 1-3).

„ძეგლის“ სხვა მხატვრული ვარიაციებია:

„უთხრა: შემოკრბით, ისმინეთ სიტყვანი ძეგლთთა სახმარნი“ (65. 2).
„მერმე უბრძანა და(კვეთად, ძეგლად ქმნა, სიმტკიცის სუტად“ (85. 3).
„განუყოფლად, შეურწყმელად, ძეგლად მტკიცედ აელად გვიდეუს“
(149. 3).

ბიბლიური წიგნების მთარგმნელთა ცოდნა და განათლება ასეა დასურათებული:

„სიბრძნის ზღვასა შეცურვილნი ცხადად მიელენ, არ ფარულად“
(170. 1).
„ვრცელის ცნობით წარმოსცლიდნენ სიბრძნით ტენილ ტაკუკებსა“
(171. 4).

ქართველ მთარგმნელთა სწავლა და სიბრძნე კი ასე:

„გიორგი ერქვა, რიტორი, სიბრძნის სახლ-სართულდამრთველი, კელა მესხნი ორნი, სულით ამა, უგბილთა სწავლით მომრწურთელი, - საბა და ეფრემ, უცნობთა ცნობისა წყაროთ მომრწყველი“ (186. 2 - 4).

სურათოვნებითა და ესთეტიკურობით გამოირჩევა მოკამედზე, მის ნააზრევსა და, საერთოდ, მაჰმადიანებზე ნათქვამი შემდეგი სტრიქონები:

- „საღმობისა მუცლადღება უსჯულობის იყო მშობლათ“ (27. 4).
- „სიცრუვის ზღვა სიმუხთლის სჯულს ღებაეს, ასრე მოტუტუცებს“ (51. 4).
- „ტყუელისა დიდვაჭარი სიცრუვისა ქულბაქს ტრელობს“ (71. 4).
- „კმელ-ეკალ, კელის უხლებნი, იგ უნაყოფო ზამთარნი“ (73. 4).
- „ბაგემრუდ, ენამზაკეართა, გულჯერკვალ. სულბრაზიანთა“ (77. 4).
- „ამ სიცრუვის ბეზირგანსა ხომალდი აქეს ტყუელისა“ (87. 4).
- „სიმართლის ტალანტი დაფლა, ტყუელი აღაორძინა, კელის უყრელი საუნჯე არს ბელიარის ხაზინა“ (98. 3 - 4).
- „ზაკეის თრთვილს უშვებს, გესლს ატანს, კრებულიმც დაესეტყოდა“ (122. 4).

ამ მხატვრულ სახეთაგან, გარდა აღნიშნულისა, არც ერთი ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომში არ დასტურდება, ყველა იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის.

სხვა საკითხია და ცალკე კვლევას მოითხოვს, ეს სახეებიც თუ რამდენად ორიგინალურია ან მათ შექმნაში პირდაპირ თუ ქვეცნობიერად რა წყაროები მონაწილეობდა. ერთი შეხედვითაც ჩანს: აქედანაც ზოგიერთი ბიბლიური წიგნებიდან მომდინარეობს. თვით იაკობი მიუთითებს, რომ „*ქუხილის ძედ*“ იოანე სხვის მიერ არის წოდებული („*ქუხილის ძედ ხმობილი*“). მართლაც, მარკოზის სახარებაში ნათქვამია, რომ იესომ ამოარჩია 12 მოციქული, რომლებსაც ზედმეტი სახელები მისცა: „...და იაკობ ზებედესი და იოჲანე, მჰა იაკობისი; დასდვა მათ სახელები: ბანერგეს, რომელ არს მენი ქუხილისანი“ (3.17).

ეს სახე ძველ ქართულ წერილობით სხვა ძეგლებშიაც არის გადასული. თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „...მეოხებითა წმიდისა ქალწულ-მასხარებლისა მეუფისა, მეგრისა მიურდნობილისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა, სიკვილისა თანა წარმელებისა, მოციქულისა და მასხარებლისა იოჲანესითა...“⁶ ბიბლიიდან მოდის აგრეთვე გამოთქმა „ძეგლ-მარილი“. „დაბადებაში“ სოდომისა და გომორის დაქცევასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „და მოიხილა ცოლმან ლოთისამან მართლუკუნ და იქმნა იგი ძეგლ მარილისა“ (19. 26).

⁶ საქართველოს სიძველენი, II, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 97.

რა თქმა უნდა, სხვაა „ძველ მარილისა“ პირდაპირი მნიშვნელობით (მარილის სვეტი), „დაბადებაში“ რომ გვაქვს, და სხვა - გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ამას იაკობი იყენებს - „*თქვენ ხართ სჯულის ძველ-მარილი*“. ეს უკანასკნელი გაგებაც, ოღონდ მარტო „მარილზე“ ნათქვამი, ბიბლიაში დასტურდება. ქრისტე ხალხს ეუბნება: „*თქვენ ხართ მარილი ქუეყანისანი*“ (მათე 5. 13). „სჯულის ძველ-მარილი“ აღნიშნულ სახეთა ტრანსფორმაცია არის და მას თხზულებაში თავისი საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა აქვს.

ბიბლიური წიგნების ებრაულიდან ბერძნულად თარგმნის გამო პტოლემე მეფის სიხარული ასეა გამოხატული:

„სიხარულით განჭაბუკდა, მეფე ორბებრ განახლდება“ (172. 4).

„ორბებრ განახლება“ და „განჭაბუკება“ ბიბლიური სახეებია. ფსალმუნში ვკითხულობთ: „რომელმან აღავსო კეთილთა ნებაჲ შენი და განახლა, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“. მეორე რედაქცია: „...განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“⁷.

ბასილ კესარიელი განმარტავს: „სახისმეტყუელმან თქუა ორბისათჳს: რაჲმს დამდენის და დაუმძიდიან ფრთენი მისნი და განუქშუნიან თუალნი, და ეძიებნ წყაროსა წყალთასა და აღფრინდის მიქცეულად მაღალსა ქარსა მჰაფრსა მზისთუალსა წყაროდმი და განახურენის ფრთენი და თუალნი შეპიშუებულნი და შთახდის წყაროსა და იბანის სამჯერ და განჭაბუკენს“⁸.

ეს სახე ძველ ქართულ მწერლობაში არაერთხელ გვხვდება⁹.

ილამის დაბადებაზე ნათქვამი მხატვრული სახე „სალ-მობისა მუცლადდება უსჯულობის იყო მშობლად“ პოეტისათვის შეიძლებოდა შთაეგონებინა „იოანეს გამოცხადების“ შემდეგ სიტყვებს: „და მუცლად-ეღო და დაღაღება, რამეთუ ეღოდა და იკუეშებოდა შობად“ (12. 2; შდრ.: IV მეფეთა, 19. 3).

ბიბლიიდან იღებს სათავეს აგრეთვე ღმერთის ქუხილი, ცეცხლ-შემწველობა, კბილთა ღრჭენა, წყარო მომრწყველი და

⁷ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შ ა ნ ი ძ ე მ, I. ტექსტი, თბ., 1960, 102, 5.

⁸ შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ელ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979, გვ. 179.

⁹ ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 192-193.

მისთანები. ზემოთ უკვე ვთქვით, შოთა რუსთველის აფორიზმით უნდა იყოს შთაგონებული გამოთქმები: „კაცთა პირით მარგალიტად წამოყრილნი“ და „წარმოსცლიდნენ სიბრძნით ტენილ ტაკუებსა“.

ყოველმხრივ ორიგინალური¹⁰, ალბათ, არც ქვემოთ მოყვანილი მხატვრული შედარებანია, სადაც მოჰამედის, როგორც წინასწარმეტყველის, არარაობა არის დახატული:

„როგორც არ თქმულა ჰაერში ნაეარდი ქათმის უფროსოა,
ესრეთ სიყრმიოთგან მართალი არ უთქვამს მაჰმადს უღეთოსა“ (54. 1-2).
„არ უხდების თხას ლომობა, თაგვს - კატობა, ბუს - ქორობა.

¹⁰ ტიპოლოგოურად ამგვარია „ნარგიზოვანში“ შემავალი ლექსის „ჩემი საყვარლის თვალების“ სტროფი:

„რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა სიბრძნე იჩინოსა,
ვირი მღერდეს, მგელი მღვდლობდეს, დათვი მოძღვრად იდგინოსა,
მელი ლომსა, ჩიტი გნოლსა, მწყერი სდევდეს მიმინოსა,
მაშინ მიხედე შენსა მზესა, შესაყრელად სალხინოსა“.

(ნარგიზოვანი. XVIII საუკუნის ლირიკული პოემა, აღ. ბ ა რ ა - მ ი ძ ი ს რედაქციით, ტექსტი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, ტფ., 1936).

კ. კეკელიძე და ზოგი სხვაც „ნარგიზოვანს“ XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის გარსევან ჩოლოყაშვილის ნაწარმოებად მიიჩნევენ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 617 - 627; ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ეახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1975, გვ. 134 - 135).

აღ. ბარამიძისა და სხვათა აზრით, რაც ჩვენც სარწმუნოდ გვესახება, ეს თხზულება XVIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება (აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II, გვ. 474 - 483; გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარგიზოვანი, კრებულში: XVII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1965, გვ. 5 - 22; წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 673 - 682).

არსებობს „ნარგიზოვანის“ აღნიშნული სტროფის ხალხური ვარიანტიც (ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, „ნარგიზოვანის“ სტრიქონები ხალხურ სიმღერაში, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1981, №4, გვ. 44).

ამგვარივე ოქსიმორონის სახისაა სვანური ხალხური ლექსი „ბიბა“ (სვანური ხალხური ლექსები, დავით წ ე რ ე დ ი ა ნ ი ს თარგმანი, თბ., 1977, გვ. 79). არსებობს ამგვარივე შინაარსის სხვა ხალხური ლექსებიც (მაგალითად, „საბრალო დედაბრისასა“), მაგრამ მათ შეუთავსებელი, უარყოფითი გაგება არა აქვთ (ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ჩვენი წიგნი: „უეიცობის, კლაგიატობისა და განუეითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ თბ., 2008, გვ. 145-150).

ლორს - გვირგვინი, დათეს - ბისონი, ვირსა - სკიპტრის კელსა პერობა, ბუ ქორსა სდევს, კუ - ირემსა, მელას - ეფესვის წინამძღვრობა! როგორც ამათ ეს შეშენის, აგრე - მაჰმადს ფელამბრობა!" (271).

ბაგრატის ნაშრომში არც ამ შედარებათა მსგავსი რამ მოიპოვება, იაკობის თხზულებაში კი ისინი ტექსტს ორგანულად ერწყმიან და სათქმელს დიდი წარმატებით გამოხატავენ.

იაკობი მოჰამედს ხშირად იხსენიებს ქაჩლის სახელით:

„თქვა: ისმაილ შეწირაო, სე, უყურეთ ქაჩლის ბორგას!“ (59. 4).

„ქაჩლის შობამდის ვინც იყენეს, ქრისტიან თუ ისრაელნი“ (99. 2).

„უსჯულონი უჯერიან ერთის ქაჩლის განჩინებას“ (103. 2).

„თქვენც გასინჯეთ საკიცხელი, სასწაული იმ ქაჩლისა!“ (124. 4).

რამეს უარყოფითად დასახასიათებლად უყვარს ბრანგეთან (= დათვი) შედარება:

„ბრანგვად გარყენას საძოვარი, ბელი არსად მოაბას რა“ (123. 2).

„ვითამ თუ: ალი ღმერთ არსო, ბრანგეთ უფრო იპირუტყვიან!“ (127. 3).

„შეისმინეთ, ნუ ხართ უმწყსნი, კაცნი ბრანგვად სახედარი!“ (139. 4).

იაკობ შემოქმედელი, ქრისტიანულ შემწყნარებლობაზე აღზრდილი ეს ღვთისმოსავი კაცი, რომელიც მთელი თხზულების მანძილზე ფიცხ, დაუდგრომელ, შემტევ პოეტად წარმოგვიდგება, მტრის, მაჰმადიანთა, მიმართ, ბაგრატისაგან განსხვავებით, ხშირად იყენებს უხეშ სალანძღავ სიტყვებსა და გამოთქმებს:

„ავს სიტყვას თვითვე იწიხელის ვირულებ ავსა და ვით ის!“ (112. 4).

„ვინც ეს იწამოს იქნება ვირ-კამბეჟ-ძროხა, ბრიყო და!“ (126. 4).

„პირველ მთქმელს, მერმე დამჯეროს სულში ჩააქალ კატები!“ (240. 3).

„ღმერთს გმობენ და მოლას ყმობენ, ფუ მათ გიჟად ტუტუცობას!“

(262. 3).

„ჩმახავ, ბორგავ რას, უმგზავსო, ვით მუტრუკობს ვირის კვიცივი!“

(263. 4).

უფრო მეტიც, უწმაწურ გამოთქმებსაც არ ერიდება:

„ნესტორიან, სულსკორიან ბერი პოვა მასწავლელად“ (21. 4).

„დავხვდომოდი ცრუს მოციქულს, ფინთს შვესცხებდი ფიცხლავ

წვერთან“ (32. 4).

შეიძლება, ამგვარი გამოთქმებისათვის თავის გასამართლებლად ამბობდეს პოეტი ეპილოგში:

„იგი გველავს, გვეყვდრის, შეილთ გვიჭამს, მე ვით დაუწყო
ფერობა?!“ (289. 3).

აკაკი ხინთიბიძის თქმით, „იაკობი თავისი მრეკლის გულსა და
კონებაზე მოქმედებდა ამ მრეკლისათვის განსაკები, ცოცხალი სიტყუ-
ბით“¹¹.

ზემოთ, ლექსითი ვერსიის დედანთან მიმართების გან-
ხილვისას, ნაწილობრივ ნაჩვენებია, იაკობ შემოქმედელი თითო,
ორ-ორი სტრიქონისა და ზოგან მთელი სტროფების სახით
როგორ აერცობს ბაგრატიის ტექსტს უაღრესად ემოციურად
გამოთქმული მაჰმადიანთა საგმობარი და სალანძღავი სიტყუე-
ბით. ამგვარად დამატებული ტექსტის დიდი ნაწილი აფორიზ-
მებია.

იაკობს ძველად, თანამედროვეებსა და შემდეგდროინდელ
მოდელურებში, ბრძენი პოეტის სახელი ჰქონდა. მისი საქმიანო-
ბის ყველა მხარე გვიჩვენებს, იგი სწავლა-განათლების, ცოდ-
ნისა და სიბრძნის ღირსეული დამფასებელი იყო.

პოეტის ეს თვისება „უსჯულოს მოამადისა და ქრის-
ტიანეთ გაბაასებებიდანაც“ კარგად ჩანს. აი, რა მოწიწებით არის
ხსენებული ღირსებანი მასში წარმოდგენილი:

- „სიბრძნით იცნა შემოქმედი, ვინ მას მისცა მტერთა ძლევა“ (81. 4).
„გვედრები ისრაელთა, მოგვეცეთ კაცნი სწავლით სრულნი“ (168. 1).
„სამოცდაათი ჭაბუკი, სიბრძნის სადგურნი, სამყოფნი“,
გამოარჩიევს, გაგზავნეს სამოძღვროდ მათთვის სამყოფნი (169. 1, 4).
„სიბრძნის ზღვასა შეცურვილნი ცხადად მივლენ, არ ფარულად“
(170. 1).
„შენ მიუგე ბრძენის სიტყვით აღწერილად იქმნა მრთელად“ (178. 2).
„ისწავლა ყოველი სიბრძნე, სთარგმნიდა რომთა, ბერძულსა“ (185. 1).
„არ მოისმენ, რას გეუბნა შენ - სწავლისა უმეცარსა!“ (224. 1).
„ვინ სწავლით ბრძნობდეთ, ეკლთ გეპყრასთ სიღრმის ცნობისა
რიცხვები“ (286. 2)

და სხვა.

ლექსით ვერსიაში დედნისეული არაერთი დასაბუთება
კარგად შესატყვისი ბრძნული აზრით არის დასრულებული და
განმტკიცებული.

დედანში მოკლედია აღნიშნული ქრისტიანული თეოლო-
გიური დებულება ღმერთის შეუცნობლობისა და მიუწვდომ-

¹¹ იაკობ შემოქმედელი, გვ. 18.

ლობის თაობაზე, რომ იგი გამოძიებას არ ექვემდებარება და მხოლოდ რწმენის სფეროს განეკუთვნება: „და ვერცა შექმლებელ არს ბუნება კაცისა მიწთამად და გამოთქმად ღთაებისა არსებადსა სიტყვთ, გინა თუ სახით, ან განზრახვთ. და კოველთა, რომელთა კელევეს ღთაების ძიებად გამოწულიღვით, მათ თავნი თვისნი შთასთხინეს წარსაწმედელსა, გარნა გერწმენინ მამა, ძე, რომელი იშვა მისგან უწინარეს კოველთა საუკუნეთა, და წმიდად სული, რომელი მამისგან გამოვალს. რამეთუ ესე იტყოდა ჰირითა წმიდითა წინასწარმეტყუელთათა და ესევე მოიღეს წმიდათა მოციქულთა ერთი ღმერთი წმიდად, სამებად განუყოფელი და შეურწყმელი, მარტივი და მიუწდომელი, უსახელო და არა გამოყოფილილოთ იგი, არამედ გურწმენინ“ (9 r-v).

იაკობი ყოველივე ამას ჯეროვნად ლექსავს (სტრ. 147-150) და ბოლოს მას მარტივი და თვალნათლივი სინამდვილიდან აღებული, განზოგადებულად და სხარტად გამოთქმული შეგონებით აგვირგვინებს - თიხას მეთუნის საქმე არ ეკითხება:

„მიუწდომელად, უსახელოდ, მარტივად, განუყოფელად, გვწამდეს, რაც გეამცნეს, ვინც იყვნენ ღვთის მკილველ ნებისყოფელად, ნუ გამოუსწვლილათ მათს უთქმელს, დაფარულს - შესატყობელად, თვისგან შეკეცის საქმე არა ხამს საძიებელად!“ (150).

ბაგრატი ქრისტეს ძე-ღმერთობის თაობაზე წერს: „უკეთუ თქუას: «ვითარმცა ესეა ღმერთსა ძე?» - შენ მიუკე მას: იტუკს მეუ-სალმუნე: «ძე ვთქუ: ღმერთმანი სამი ხართ და ძენი მალანი - თქუენ ეოველნი». უკეთუ ივინი ითქუნეს ღმრთად და ძედ ღმრთისა, რომელთა მიმართ სიტყუად იუო, ხოლო ღმრთისად უჯერო არსა, რადთამცა ძე ღმრთისა იუო ქრისტე ანუ თვნიერ ღმერთი, ვინ არს მამა მისსა?“ (15r).

იაკობისთვის ქრისტეს მამა ღმერთის ძეობა იმდენად უტყუარი და სარწმუნო ჭეშმარიტებაა, რომ მასზე მსჯელობა შეუწყნარებელ მკრეხელობად მიაჩნია. თავის ამ დამოკიდებულებას პოეტი დედნის გალექსვის (სტრ. 228 - 229) ბოლოს, ერთი შეხედვით განყენებულ, მაგრამ სინამდვილეში აზრობრივად და ემოციურად ზუსტად შესატყვისი აფორიზმით გამოხატავს:

„რა უჯერო არს, უცნობნო, ძედ ღვთისად რომ სთქვა მესია?
სხვა მამა ვინ ყავს, მაცნობეთ, მომიგეთ სიტყვა ესია?!
მწადს, მყვანდეს თქვენზე შესატყმლად, ძაღლები წამომესია,
მარგალიტს რად ფენ ღორთათვის, ტალახი უამესია!“ (229).

მარგალიტი ფსალმუნი, ბიბლიური წიგნები და, საერთოდ, ქრისტიანობაა, ტალახი - „ყურანი“, ისლამი. აი, კიდევ ლექსით ვერსიაში გამოთქმული რამდენიმე აფორიზმი:

- „რა ცხოვარი უმწყს იქმების, მგელი მეფედ დაუჯდების!“ (16. 4).
„ძალდი ქადაგად არ ვარგა, რას ყვე შენ, ტურა მღალაო!“ (94. 4).
„კელის უყრელი საუნჯე არს ბელიერის ხაზინა!“ (98. 4).
„თხა, მარცხნივ მყოფი ცხოვარის, ეჭვე, ფანდებს გიზამს ვერძულსა!“ (185. 4).
„შაქრად როგორ დაეიტკბუნოთ, რაც მწარედ სჩანს, სამსალეზად?!“ (198. 4).
„ცრუს მართალი ათქმეიენებს თავთა თვისთა განკითხვათა!“ (223. 4).
„მთქმელს თუ მსმენელი არა ყავს, ვის უთხრას სიტყვა საქნელად!“ (243. 4).
„მაგრამ ვერ იქს სომღულობას, ბუ თუ რას ჯდეს გამართულად!“ (246. 4).
„ძაღლის კუდს ვერვინ გამართავს, არ ცუდ ზღაპრობენ მეტყველნი!“ (252. 4).
„მგელსა ცხოვრად ვერვინ შესცვლის, რომ იმრიგი დუმაც ებას!“ (262. 4).
„უსწავლელის მტრის სწავლასა უღლითა სჯობს დათვის მოწერთა!“ (287. 4).

და სხვა.

ეს აფორიზმები ტექსტში ყველგან ორგანულად არის ჩართული. ესეც საგანგებო კვლევის საგანია, რომელია აქედან იაკობისეული და რომელი სხვისგან აღებული ან მის მიერ გადაკეთებული. საყურადღებოა, რომ ერთ მათგანზე („ძაღლის კუდს ვერვინ გამართავს“) პოეტი კიდევ მიუთითებს, რომ იგი სხვისი გამოთქმულია: „არ ცუდ ზღაპრობენ მეტყველნი“. ვინ ჰყავს მას მხედველობაში, არ ვიცით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაშრომში კი ვკითხულობთ: ლიპარიტ ამირას განდგომა „იხილა რა მშვდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვაღს, მეორესა დღესა კუალად შეიპრა, ორ წელ ჰერობილ უო, და საბერძნეთს გაგზავნა“¹²

¹² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი ს მიერ, I, გვ. 325. 17.

ამ თხზულების ბოლო გამოცემაში „განემართების“ ნაცვლად დაბეჭდილია მცდარი ფორმა - „განემართების“ (ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექს

მარგალიტის ღორისათვის დაყრის ამოცხებაზე („მარგალიტს რად ფენ ღორთათვის...“) საუბარია მათეს სახარებაში: „ნუ მისცემთ სიწმიდეს ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუფნოთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუგუკუ დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქცენ და განხეთქნენ თქვენ“ (7. 6).

იგივე დასტურდება „ეისრამიანში“: „რა ვიროძან ვისისაგან ესე შეუწონელი სიტყუა მოისმინა, მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა, კიდევ წავიდა და იგი ქუე დააგდო“¹³.

როგორც მიუთითებენ, ამ გამოთქმას ფესვები შორეულ წარსულში კქონია¹⁴.

პეტრეს ეპისტოლედან იღებს სათავეს ზემოთ დამოწმებული იაკობის აფორიზმი: „თივისგან მეკეცის საქმე არა ხამს საძიებლად!“ (150. 4). რომაელთადმი გაგზავნილ წერილში ეკითხულობთ: „ანუ არა კელეწიფების შეკეცესა მისვე თივისაგან შეხელილისა შესაქმედ რომელნიმე ჰატივოსნად ჭურჭლად და რომელიმე უპატიოდ?“ (9. 21).

აღნიშნული აფორიზმები და სხვა ბრძნული გამოთქმები, რომლებიც ბაგრატიის ნაშრომში არ მოიპოვება და იაკობის მიერ არის დამატებული, რასაკვირველია, ლექსით ვერსიას დიდ შემეცნებით, ესთეტიკურ და, რაც ამჯერად ჩვენთვის მთავარია, დამაჯერებლურ, პოლემიკურ ძალას აძლევს.

აქვე შევჩერდებით ერთ მხატვრულ ხერხზე, რომელიც ლექსით ვერსიაში შეიმჩნევა.

პოეტი ზოგჯერ სათქმელს პირდაპირ კი არ ამბობს, არამედ მისადმი საკუთარ ან პერსონაჟის ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და თავის შეხედულებას ამით ნათელყოფს. ეს ხერხი ახლა ხშირად და ფართოდ კინოხელოვნებაშია გამოყენებული. მაგალითად, ამა თუ იმ მოვლენას (საშინელს, გასაოცარს და ა. შ.) ეკრანზე უშუალოდ არ ასახავენ და მას მაყურებელს პერსონაჟის (შეძრწუნებული, გაოცებული და ა. შ.) სახის ჩვენებით აგებინებენ და განაცდევინებენ. ამ სახით გად-

სიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1992, გვ. 168, 7).

¹³ ეისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო დ უ ა მ, თბ., 1962, გვ. 106, 22.

¹⁴ ქ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „ღორის“ აღმნიშვნელი სიტყვები და მათი სიმბოლიკა „ეის-ო-რამინსა“ და „ეისრამიანში“, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, 1993, გვ. 110-111.

მოცემული აზრი მეტი ესთეტიკური ზემოქმედების მქონეა და, ამდენად, უფრო დამაჯერებელიც გამოდის.

ლიტერატურიდან, კერძოდ, იაკობამდელი ძველი ქართული ლიტერატურიდან ნიმუშად მოვიხმობთ „ვეფხისტყაოსანს“. ტარიელი ხატაელებთან ბრძოლას ასე აღწერს:

„ახლო მივე, შემომხედნეს, „შმაგიაო“ ესე თქვესა.

მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი ღვესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხედეს მზესა,
შუბი გატყდა ხელი ჩაყვავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლვესა!“ (449).
„შიგან ასრე გავერივე, გლონის ჯოგსა ვითა ქორი...“ (450. 1).

რუსთველი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მეითხველი-სათვის ცხადია, ტარიელმა ქარქაშიდან ხმალი ამოიღო და ხმლით დიდი წარმატებით აგრძელებს ბრძოლას.

იაკობ შემოქმედელის თხზულებაში ამბის ამგვარად გადმოცემის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს.

ბაგრატი გვიამბობს, რომ ბიბლიური წიგნები ებრაულიდან ცალ-ცალკე მყოფმა მთარგმნელებმა დამოუკიდებელი თარგმნეს, მაგრამ, როცა მათი ნამუშევარი პტოლემე მეფემ ერთმანეთს შეადარა, ისინი ზუსტად ერთნაირი აღმოჩნდაო: „იწო პირველად და მისცა წიგნი «დაბადებისა» სათარგმანებლად ორთა მათგანთა. და ვითარ თარგმანნეს, კვალად მისცა იგივე წიგნი ორთა სხუათა, რომელთა არა ესმოდა კმაი, გინა სიტუად პირველთა, რამეთუ სენაკები მათი შორს იყვნეს ურთიერთას. და თარგმანეს რად მათცა, მოიღო და შეაწამა ურთიერთას წიგნები იგი მეფემან პტოლემეოზ და ვითარ ერთსა სიტყუასა ზედა იჰოგნეს თარგმანებული იგი, აღივსო სიხარულითა დიდითა“ (11 r).

იაკობს ლექსად ასე გადააქვს:

„თავისთვის მყოფთ სათარგმანოდ მისცეს პირველ «დაბადება»,
არ ესმოდათ ერთმანეთის კითხვა, არც ლაღადება.
რა აღწერეს, ნახეს - ყველა ერთ სიტყვაზედ შემოწმდება,
სიხარულით განჭაბუკდა, მეფე, ორბებ განახლდება“ (172).

თუ ბაგრატი პირდაპირ და ნათლად გვამცნობს, რომ პტოლემე მეფემ თარგმანები ერთმანეთს შეადარა („შეაწამა“) და, რაკი („კითარ“) ისინი ერთნაირი აღმოჩნდა („ერთსა სიტყუასა ზედა იპოვნეს თარგმანებული“), დიდი სიხარულით აღივსო, იაკობი შედარების შედეგებზე გარკვევით არაფერს ამბობს. არა გვგონია, პოეტს იმის თქმა სურდეს, რაც ორი-

გინაღშია, და ამის მეტად ვერ მოახერხა. ჩემი აზრით, „ყველა ერთ სიტყვაზედ შემოწმდება“ ნიშნავს: თარგმანები „ერთ სიტყვაზედ“, ერთნაირი სიტყვების (და არა ერთი სიტყვის) ხმარების, ერთნაირი აზრის, მიხედვით¹⁵ შეიძლება შემოწმდეს ან შემოწმდეთ. მაგრამ, რადგან მეფის აღფრთოვანებაა მოცემული, მკითხველისათვის ცხადია, თარგმანები ზუსტი და ბრწყინვალეა. თანაც, პტოლემე მეფის სიხარული მეტაფორულად არის გადმოცემული - სიხარულმა იგი ჭაბუკად აქცია, ორბისებურად ძალა შემატა და ნეტარების ცაში აიყვანა.

თხრობის იგივე ხერხია გამოყენებული მომდევნო ეპიზოდშიაც. ბაგრატის წერს: „და ესრეთ უოველი იგი წიგნები ორგზის ათარგმნა. ხოლო მადლითა ღმრთისადათა, რომელი სიტყუად გამოახვიან ჰირველთა თარგმანთა, იგივე დააკლიან მეოთხეცა, და რომელი დასძინიან, მათცა იგივე დასძინიან, რამეთუ სული წმიდად იუო მათ თანა. რამეთუ რომელი სიტყუად გამოახვიან, არად საკმარ იუო და არცა მას ენასა ზედა მოვიდოდა. და რომელი დასძინიან ფრიად სარკველ იუო, რამეთუ წინასწარმეტყუელნი იევენეს, «უფალო, დაღად ვეავ შენდამი, ისმინე ჩემი!» - ეს ებრაულად იუო, ხოლო თარგმანთა მათ შესძინეს: «მოხედენ კმასა ლოცვისა ჩემისასა, დაღადებას ჩემსა შენდამი!» და ისერებდეს ტაბლასა ზედა მეფისასა სამეოცდაათნი იგი წინასწარმეტყუელნი და სცა მათ საგზალი და ნიჭი და წარვიდეს ოქრუსალემად. არამედ ერთი ამათ თარგმნელთაგანი იუო სვემონ, რომელმან მიიქეა უფალი, ვიდრე ურმადა იუო“.

იაკობი აქ თარგმანთა სიზუსტეზე ერთ სიტყვასაც არ ძრავს, მაგრამ მთარგმნელთა უხვი საბოძვრით გასტუმრებას აღნიშნავს და ამით მათ ნამუშევართა ღირსებას ნათელყოფს:

„სხვა, რაც წიგნები ვიამბე, ორგზის ქნეს თარგმანებული, ლარით აღაღესო, გაგზავნა მათს ადგილს გამდიდრებული. ერთსა მათგანსა ეწოდა სვიმიონ, - მოხუცებული. ვინ რომე მკლავთა მიიქეა უფალი სამ დიდებული“ (173).

დიახ, დასაბუთებას, რომ ბიბლიური წიგნები ებრაულიდან ზუსტად არის თარგმნილი, პროზაულ ვერსიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ლექსით ვერსიაში იგი არა უშუალო, შემოვლითი გზითაა ნაჩვენები, მაგრამ დამაჯერებლობით

¹⁵ ბიბლიურ წიგნებთან ყურანის მიმართებაზე ნათქვამია: „შევადართ მათ ყურანი სწორად საქმით, ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ ა, - ან მეტობდეს ტყუელითა, ან არ იყოს ნაკლებთა“ (197. 3 - 4).

ეფექტი მას დედანთან შედარებით მეტი თუ არა, ნაკლები არა აქვს. არადა, თხზულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ბიბლიური წიგნების თარგმანთა ღირსების დამტკიცება არის!

ამავე მეთოდითაა დასკვნა გაკეთებული ზემოთ დამოწმებულ ეპიზოდში, რომელიც ბიბლიურ წიგნებთან ყურანის შედარებას ეხება. ბაგრატი რიტორიკულ კითხვას სვამს: როცა ვრწმუნდებით, რომ ყურანი არათუ შეესაბამება ამ წმინდა წიგნებს, პირიქით, ამახინჯებს მათ, როგორ უნდა მოვიქცეთ, მაინც უნდა გაეყვეთ მის ქადაგებას? - „მეუდგეთ ახლად მოპოუნებულსა უცხოსა რასმე მოძღურებასა“-ო?

იაკობი სხვაგვარად, გადატანითი შინაარსით გადმოსცემს ამ დასკვნას, რომელიც, წინა მსჯელობიდან გამომდინარე, ავტორის ემოციას ასახავს და ცალკე, დამოუკიდებლად აღებულიც, ჭეშმარიტების გამომხატველია:

„შაქრად როგორ დავიტკბუნოთ, რაც მწარედ სჩანს სამსალებად?!“

ჩვენი დასკვნით, ლექსითი ვერსიის ტექსტის მობილურობაში თავისი მცირეოდენი წვლილი ამბის გადმოცემის ამ ხერხსაც შეაქვს.

საკითხის ბოლოს, სატირისა და იუმორის შესახებ.

ცნობილია, რომ ქრისტიანული მოძღვრება, ეკლესიის მამები კომიკურს, სიცილს ათვალწუნებით უყურებენ და გმობენ კიდევც. ამიტომაც თეოლოგიურ ლიტერატურაში სატირისა და იუმორის ნიმუშები იშვიათია. მათი ავტორები უფრო მოწინააღმდეგის სასაცილო მდგომარეობაზე მიუთითებენ, ხოლო ამას აკეთებენ სერიოზული სახით და ოდნავადაც არ ცდილობენ კომიკურის მიმართულებით მის გაერცობას. იგივე ვითარებაა ბაგრატ ბატონიშვილისა და იაკობ შემოქმედელის თხზულებებშიაც.

ბაგრატი ბავშვისთვისაც სასაცილო ამბად აფასებს მოჰამედის მონათხრობს, თითქოს გაბრიელ ანგელოზმა იოსების მიერ დანიშნულ ქალწულ მარიამს „შთაუსხა“ ის სული, რომელიც ღმერთმა ადამს შთაბერა, ამ სულის ნარჩენი კი, ვითომ, გაბრიელ ანგელოზს ბროლის კანდელში ჰქონოდაც შენახული.

მწერალი ამას სასაცილოს უწოდებს, მაგრამ ამის გამო არც თვითონ იცინის და არც მკითხველის გაცინებას ცდილობს: „და შთამოყვების წიგნი იგი... და მოიწვევის «სახარებისა» ესრეთ: «მოივლინა გაბრიელ ანგელოზი მარიამ ქალწულისა - იოსებ ძელით ხუროსა მიერ თხოილისა, ჰრქუა მას: გიხაროდენ, რამეთუ წი-

ნასწარმეტუელი დიდი შობად არს შენგანო. და შთაუსხა მას ნამეტ-
ნავისგან მის სულისა, რომელი შთაბერა ღმერთმან ჰირველსა ადამს, რა-
მეთუ მიერთგან კანდელსა შინა ბროლისასა დამარხული აქუნდა იგი
კაბრიელსო. და მიუდგა მარიამ და შვა ქრისტეო», რამეთუ ესე ყრმათა
მიერ მცირეთა საცინელ არს, რამეთუ ანგელოზი არა რას ქვათა მიერ
კელოვნებისა მოქენე არიან დასაბამითგან. სოლო კაცი, ვინმცა იყო
ჰირველ ადამისსა, რომელმანცა გამოაქანდაკა კანდელი იგი ბროლისა,
ცუდმცა იყო ქადაგება წინასწარმეტუელთა, ცუდ სჯული და მტუარ
სახარება“ (5 r).

ამგვარივე სერიოზული ტონით არის გადატანილი ეს ეპი-
ზოდი ლექსით ვერსიაში:

„ესრეთ განრყენა სიტყვა წმინდის «სახარების» ცხოველისა:
«მოივლინა იოსების, ძელითხუროს, თხოვილისა,
- თვით გაბრიელ ანგელოზი - მარიამის ქალწულისა».
ამ სიცრუეის ბეზირგანსა ხომალდი აქეს ტყუვილისა!
„ჰრქვა: «გიხაროდენ, რამეთუ მე ვარ ამისი მზრახველი,
ამად, რომ შენგან შობად არს დიდი წინასწარმეტუელი!
შთაუსხა ნამეტნავისგან ნარჩომი სული ცხოველი,
რომელი ღმერთმან შთაბერა, ადამ რომ შექმნა პირველი.
მას ჟამით გაბრიელს ქონდა იგ სული ბროლის კანდელსა,
მარიამ მით შვა ქრისტეო». - ესრეთ გმობს მამის ნათელსა.
ეს ქადაგება ვით სწამდეს, თუ არ აბდალსა ანელსა?!
მოწაფე უსხენ, უსმენენ კეინოპის მსგზავესსა გამდელსა!
აქვან სჯული განკიცხული, მცირეთ ყრმათა საცინელი,
ვის ასმია ანგელოზი - ქვა-მიწისა, ბროლის მქნელი,
ანუ კაცნი, ადამს პირველ, - კანდლის სახის გამომქნელი?!
თუ ეს ყველას არ ტყუოდეს, სცრუობს ყოველი მართლის მოქმელი!“
(87 - 90).

ამგვარივე სერიოზულობითაა გადმოცემული აგრეთვე
მეორე ეპიზოდი, რომელიც ორივე ავტორის მიერ ასევე
სასაცილოდ არის შეფასებული და თავისთავად კიდევ მეტი
კომიზმის შემცველია. მხედველობაში გვაქვს მოჰამედის მონათ-
ხრობი, რომ იგი ღვთის მიერ გამოგზავნილი უცნაური ცხენით,
გაბრიელ ანგელოზის წინამძღოლობით ზეცაში ღმერთთან ავი-
და, რომლისაგან მას ფარდა ყოფდა. ჯერ ღმერთმა და ანგე-
ლოზებმა მოსულს თაყვანი სცეს და მისთვის ილოცეს, შემდეგ
ფარდიდან გამოყოფილი ხელით ვაშლის ნახევარი ნაჭერი
გადასცეს. მერმე ირკვევა, რომ გამოყოფილი ხელი მოჰამედის
სიძის, ალის, ყოფილა, რომელსაც აღმოაჩნდა ვაშლის მეორე

ნახევარი. ბაგრატი წერს: „ხოლო საბასრობელთა და საციცხელთა მთ
სასწაულთა მისთათჳს რადღამე ვსთქვათ, რადოდენსა საციცხელსა ხს-
წაულსა მიუთხრობენ მოჰამედიაანი წიგნითა მით. რამეთუ იტევან, ვი-
თარმედ: მოუვლინა ღმერთმან მოჰამედს ცხენი რადმე, რომელსა ება თაჳი
კაცისა, მკარი და კისერი და კუდი ლომისა და ოთხნივე ფერენი ჳრო-
ნისანი. და ამკედრდა მას ჳედა წინამღმითა გაბრიელ მთავარანგელო-
ზისათა, აღვიდა ჳეცადო და მიიწია ვიდრე ფარდისა მის, რომელ არს
წინაშე ღმრთისად. და ღმერთმან და ანგელოზთა სიმრავლემან თაჳა-
ნისცეს და მოჰამედის მიმართ ილოცესო. აჰა, კომობად უჳეშთაჳსი უო-
ლისა კომობისა! და ფარდითგამო ჳრახვდა ღმერთსო. რამეთუ კამად ხოლო
ესმოდა, არამედ ვერ იხილაო. და უკეთუ ღმერთი უსიტყუელ არს, ვი-
თარმედ ეტრდა?! და იხილა კელი ერთი ფარდით გამო, რომელმან მოსცა
მას ნახევარი ვაშლისა და მუნ ეუწუა მას, რადოდენი ჳერი იუო და
წარმო-რა-ვიდა, წარმოიღო ნახევარი იგი ვაშლისა და მო-რა-ვიდა იგი
მასვე ადგილსა, რომლისაგან ამდღღდაო, იხილა ასულით სიძე თჳსი და
მოაქუნდა მასცა ეგვეითარივე ნახევარი ვაშლისა და მოიღეს რად მრჩო-
ლი იგი და შეაწუეს, შეეპერწნეს ურთიერთარს და ერთ ვაშლ იქმნა.
მაშინ ჰრქუა ალი მოჰამედს: კელი იგი, რომელი იხილე ფარდით გამო,
რომელ არს კრეტსამელი, ჩემი იუო, რომელმან მოგეც შენ ნახევარი ესე
ვაშლისა. ამის გამო რომელნიმე სარკინოზნი იტევან, ვითარმედ «ალი
აღჰაუთიერჳუბაღღ», რომელი გამოითარგმანების: ალი ღმერთი არსო,
და სხუად, უოველი სარწმუნოებად - ცუღ“ (7 v - 8 r).

იაკობი ლექსავს:

„თქვეს, თუ: «მაჰამადს მოუვლინა ღმერთმან ცხენი მისის ნდომის,
თაჳი - კაცის, ფეხი - ძროხის, მკარ-კისერ-კუდ ესხა ლომის.
თვით ამკედრდა, მისთა ხლებად გაბრიელ თქვა ცად ამძღომისა.
ქვესკნელს არის ცეცხლში მჯდომი, ჳე რა გზა აქეს იპოღრომის?!
«ადვიდა მაჰამად ღვთის წინა, ფარდა გაბმული დგა სადა,
თაგს ღმერთმან, მუნ ანგელოზთა მას თაყვანის-სცეს დასადა.
თვით ვერ იხილა ფარდიდამ, ჳრახვიდა იმ წმინდას სადა».
ეეჭობ, ეს გმობა არ ეთქვას ეშმაკს, არც იუდასა და!
დასწერა: «კელი ვიხილე, მის ფარდით გამოეყო და,
მით ნახევარი ვაშლისა მომცაო», - ერთი ეტყოდა.
თუ ღმერთი უსიტყველ არის, რათა თქვა, რით შეიტყოდა?
ზაკვის თრთვილს უშეგებს, გესლს ატანს, კრებულნიმც დაესეტყოდა!
ნუ უცხოდ გიჩნს სატანასგან ბელიარ სით მოაბას რა!...
ჩამოვიდა ამ ადგილსა, სად სთქვა ძალი ჳე აღსვლისა,
აღს უამბო დაუკლისად საქმე მისის გარდასვლისა,
მოიტანა ჳეციდადმე ნახევარი იგ ვაშლისა,

თქვენც გასინჯეთ საკიცხელი სასწაული იმ ქაჩლისა!
რაც მას აკლდა, სიძეს ქონდა, აღის კელთა განაჭურად,
შეეძერწნეს, ერთ ვაშლ იქმნეს, არ არს შორად განაჭურად,
მწადას, რომ ვგვემო, კევროხი დავსცხო ცრუ ქადაგსა განაჭურად,
აჰა, მაჰმად, სული შენი თვეზის მსგზავესად განაჭურად?
აღი, სიცრუის ქადაგი, მაჰმადს წინ ამას იტყოდა:
«შენ რომ ფარდიდან იხილე, იგ კელი ჩემი იყო და,
ჩემის კრეტსაბმლით მოგეცო, ვაშლის ამ ნაჭრით იყო და».
ვინც ეს იწამოს, იქნება ვირ-კამბეჩ-ძროხა, ბრიყუო და!»

(120-122; 123. 1; 124 - 126).

თუ ბაგრატი ამ ამბავს საბასრობელს, საკიცხელს და
საციხელს უწოდებს, იაკობი აქედან მხოლოდ ერთ სიტყვას -
საკიცხელს - იმეორებს და მთელ ამბავს კიდევ მეტი სერიო-
ზული ტონით გმობს და ღანძღავს.

იაკობ შემოქმედელი აგდებულად იხსენიებს მოჰამედის
მემკვიდრეთა შორის გაჩაღებულ შუღლსა და მტრობას, რომ-
ლებმაც დაივიწყეს თავიანთი წინაპრის რჯული, საკუთარი
სექტები ჩამოაყალიბეს და ერთმანეთს დასცილიან და ებრძვიან:

„აღის ძენი - ასან, უსენ - ომარიანთ სჯულსა გმობდეს,
აგრე იმათს ესენიცა ნერწყვა-კიცხეთ აბასრობდეს.
სახელად სდეა ზოგთ «მაეალი», ზოგნი - «მალიქი», «ჯაფარობდეს»,
სხვათ «ამბალი» და «თამბალი» ან «ავშაიცი» ერქმეოდეს“ (134).

პროზაულ და ლექსით ვერსიებში სხვაგანაც არის კომი-
კურის შემცველი ელემენტები, ოღონდ ავტორები მათ ამგვარ
ბუნებაზე არ მიუთითებენ. ერთი ამდაგვარია იმის გარჩევა, თუ
რისთვის გამოაგდეს ადამ და ევა სამოთხიდან. მოსეს მიხედ-
ვით, წერს ბაგრატი, ჭამისათვის „ხისა მისგან ცნობადისა კე-
თილისა და ბოროტისა“, ყურანის მიხედვით კი, - ხორბლის
ჭამისათვის. „უკეთუ ზუარბალი იყო, - შენიშნავს ბაგრატი, -
ზუარბალი ესოდენ მრავალ არს ჰირსა ზედა ეოვლისა ქუეყანისასა,
რომელ ძაღლნიცა მით იზარდებიან“ (13 რ).

ჩვენი აღქმით, ეს შედარება ირონიული ნიუანსის შემცვე-
ლია, თუმცა ამის შესახებ, ვიმეორებთ, ავტორი არაფერს ამ-
ბობს. ეს ნიუანსი კიდევ უფრო გაძლიერებულია ლექსით ვერ-
სიაში:

„სხვანი გეითხრობენ, ჩვენც ვხედავთ სოფლად დიადსა ხვარბალსა,
ძაღლებიც მაგით იზრდების, კმელს პოებს ანუ დამბალსა,
დაცვა რომლითა შეიქმნა, ღორებიც სჭამენ დამბალსა,
არა მრწამს - მოსე ტყუოდეს, მაჰმად ბრძანებდეს მართალსა!“ (196).

ირონიული დაცინვით ნათქვამად გვესახება ჩვენ ისლამურ ქვეყნებში არსებულ სამსახურებრივ თანამდებობათა ჩამოთვლა, რომელიც იაკობის მიერაა დამატებული:

„ბაასი ექნათ ძველ-ახალის ოცდაოთხის წიგნებითა, თქვენც კრება ქნთ შეიხ-მუფთაჯ-ყაზი-ესქერ-მღივნებითა“ (197. 1 - 2).

ასევე, ამგვარივე უნდა იყოს მაჰმადიანთა სალოცაეების მოხსენიება:

„ქართველთ ძენი გამოვიდნენ უწინარეს თქვენამდისა, ბუერგან მყოფნი, არ მიმსვლელნი ნაჯელ-ქებელ-მაქამდისა“ (181. 3-4).

ჩვენ ზემოთ ირონიულ ნათქვამად ჩავთვალეთ აგრეთვე აქლემის ხორცის „გვერდ-წიბოს“ სახით მოხსენიება.

თუ ამ ტექსტში კომიკური თუ მისი ელემენტები თავშეკაპებით ან უნებურად არის მოცემული, იაკობის თხზულებაში გვაქვს ერთი ადგილი, სადაც ირონია აშკარად და შეუფარავად არის გამოხატული. საქმე ეხება ყოველდღიურ პირის ბანით განწმენდის წესის შესრულებასა და მის შედარებას ქრისტიანულ ნათლისღებასთან. ბაგრატი წერს: „ხოლო უკეთუ ჰირად-ჰირადთა ბანათათს და დღითი-დღეთა ნათლის-ღებათათვის გეტყოდის, მიუგე მას: თქვენ დღითი-დღედ ეგე ნათლის ღებად აღმკოცლად ცოდვათა თქვენთა გიპირიეს, რამეთუ მოჰამედის მიერ გვსწავლა, ვითარმედ, რასაცა სცოდვიდეთ, ამის მიერ აღიკოცებისო. ხოლო ჩუენ ერთგვის ნათელს ვიდებთ და სად ვიჯმნით ეშმაკისა და საქმეთა მისთავან! არამედ, უკეთუ საბრკითა ეშმაკისათა კულად ვსცოდვიდეთ, არამედ გვსწავეს ჩუენ მოძღურისაგან ჩუენისა ერთგვის ბანითა აღკოცა ცოდვათა ჩუენთა, არამედ აღსარებითა და სინანულითა ცრემლთა დინებითა და ლოცვითა კულსმოღვინედ და მარხვითა მოუკლებლად. ხოლო განსაწმენდელად მწიკულთა სულიერთა და კორციელთა და მოკუცვა ჩუენცა წმიდათა მამათა მიერ აიხმა და არა ეგრეთ, ვითარცა თქვენ, რაფთამცა თვს თვსად ვიკურთხევდით წულისა, არამედ ეკლესიასა შინა წმიდათა მღვდელთა მიერ და უბიწოთა მოვიღებთ ნაკურთხევსა წუალსა და მას ვისხურებთ, და ბაელთა კორციელთა და სამოსლისაგა აბანოთა შინა ანუ მდინარეთა ჯერ არს განრეცხა ჭეშმარიტად. ხოლო, უკეთუ ვისმე მორწმუნეთაგანსა ვერ ეძლოს ზედან-ზედა ბანა ანუ განრეცხა სამოსელთა უპოვარებისათვის ანუ მარტოობისათვის ანუ მოღვაწებისათვის ანუ უცალოებისათვის და გულითა წმიდა იუოს და ცოდვათაგანაც არა შეურაცხყოფთ მას, ვითარცა ეგე თქვენ“ (18 r-v).

იაკობი ამ ტექსტს შესაბამისად ლექსავს (სტრ. 278-281), წინ კი ამ საკითხით ნაკარნახევ ერთ სტროფს უმატებს, სადაც ისლამური „წყლით ცხონების“ წესი ნათელი და მოხდენილი ირონიით არის დაგმობილი:

„იტყვიტ ხოლმე: «აბესტითა ცოდეა არც ყოლ არ გვექნების»,
ღვთის უცნობოდ, უნანელად, გერწამს, რომ კაცი არ გაწმდების.
რკუ და მყვარი შიგ იბუდებს, ყვაფი ყოველდღე ებანების,
ბაყაყს რაღა დააბრკოლებს, თუ თათრები წყლით ცხონდების?!“
(275).

აღნიშნული აშკარა თუ თავშეკაცებული სატირულ-იუმორისტული ადგილებიც თავიანთ საქმეს აკეთებენ და თხზულების ესთეტიკურ ხიბლსა და ბრძოლისუნარიანობას აძლიერებენ.

3. გალექსვის თარიღი

ამ საკითხს ადრევე მიექცა ყურადღება. მის გადასაწყვეტად იყენებენ ერთადერთ მონაცემს - გიორგი XI-ის მეფობას. სათაურსა და ეპილოგში ნათლად არის მითითებული, რომ იაკობისთვის დავალების მიცემისას გიორგი მეფეა. თხზულებას აქვს ვრცელი სათაური, სადაც იკითხება: „*ქ თავი, დასაწყისი უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა, ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფის გიორგისათა, ძისა მეფის შანაოზისათა*“.

პოეტს დაკვეთას რომ მეფე თუ მეფენი აძლევენ, ამას ის ეპილოგშიაც აღნიშნავს:

„აწ ღვთით იქმნა ეს ამბავი, ლექსად ჩემით განათავად,
მაქენდა ცხებულთ ნაბძანები, ვიმუშავე განა თავად...
ვიყავ მეფეთ საკაბაყმოდ, თქვენ გმონებდი განა თავად“
(288. 1-2,4).

ვინაიდან „ცხებულთ“ მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, საეჭვოა, ეს იმით იყოს განპირობებული, რომ იგი ერთ მეფეს ეხება. შესაძლებელია, ქართლის სამეფო კარზე, სადაც ის კარგად იყო მიღებული, ამ საქმის შესრულებას სხვა წარჩინებულებიც ავალებდნენ, მათ შორის მეფე არჩილიც. მაგრამ უპირველესად რომ გიორგი XI იგულისხმება, ეს სატოტმანო არაა.

გამეფების შემდეგ როდის შეიძლებოდა გიორგის იაკობთან კავშირი ჰქონოდა და მისთვის ამ ნაწარმოების შექმნა დაევალებინა?

გიორგი ქართლის მეფეა 1676-1688 და 1703-1709 წლებში. 1688 წლიდან, როდესაც სპარსეთის ყაენმა შაჰ სულეიმანმა იგი მეფობიდან გადააყენა და ქართლის სამეფო ტახტი ერეკლე პირველს გადასცა, გიორგი კარგა ხანს საქართველოშია, ხშირად - დასავლეთ საქართველოში, და თავისი ძალაუფლების აღსადგენად იბრძვის, 1696 წლიდან კი სპარსეთში მიემგზავრება და სიცოცხლის ბოლომდე იქ რჩება.

აქედან გამომდინარე, ნ. მარის აზრით, იაკობს გიორგი XI-ისაგან აღნიშნული დ ა ვ ა ლ ე ბ ა შეიძლება 1676 - 1696 წლებში მიეღო. მისი სიტყვებია: „Ясно, что Яков Шемокмедский мог получить от Георгия, сына Шаһнаоза, приказание, составить занимающее нас прение христиан с мусульманами в битность в Грузии (1676 - 1696) - царем на карталинском престоле или изгнанником“¹.

მ. ჯანაშვილიც შე ე კ ე ე თ ი ს დ რ ო ს გიორგის პირველი მეფობითა და მომდევნო წლებით განსაზღვრავს. „გიორგი მეფე, - აღნიშნავს იგი, - რომლის ბრძანებით შემოქმედელს გაულქსია «ბაასი», ქართლის ტახტზე იჯდა 1676 - 1688 წ. მერე უაენისაგან გადაეწეული, ზემო ქართლის საათაბაგოს დატრიალებდა და ამ დროს, ალბათ, წინადადება მისცა მიტროპოლიტ იაკობს თათართ ჰირდასაოფი წიგნი დაეწერა (მამინ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობა ხულს ძლივსა ითქვამდა)“².

ამავე მონაცემზე დაყრდნობით, კ. კეკელიძე იაკობის თხზულების დაწერის თარიღად XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისს ასახელებს. მეცნიერი წერს: „შემდეგს საფეხურს ქართული ანტიმამაძიანური მწერლობის ისტორიაში შეადგენს მეთექვსმეტე საუკუნეში ბაგრატ ბატონიშვილის მიერ დაწერილი «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთთა ისმაილიტთაჲ», რომელიც XVII საუკუნის გახულს, თუ მეოთხრამეტს დამდეგს, გაულქსავს შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ დუმბაძეს“³.

ი. ლოლაშვილს ეს თარიღი რამდენიმე წლით წინ გადააქვს. ბაგრატ მუხრანბატონის ნაშრომზე მსჯელობისას იგი აღნიშნავს: მისმა „მოთხრობამ“ მწერლობაში მანაც გაიკვლია გზა: ქართლის მეფის გიორგი XI-ის დავალებით იგი გაულქსა იაკობ შემოქმედელმა ეპისკოპოსმა. ეს უნდა მომხდარიყო 1688-1696 წლებში, რო-

¹ Н. Я. Марр, Из книги царевича Баграта... გვ.236.

² „სახალხო გაზეთი“, 1912, №573, გვ. 2.

³ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 479.

დესაც გიორგი მეფე იმერეთში იყო გაქცეული. ასე რომ, XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაჩენილა მოთხრობის ლექსითი რეაქცია, რომელსაც უძღვის ზედწარწერილი: «უსჯულოს მუჰამედის და ქრისტიანეთ გაბაასება»...⁴

აღ. ბარამიძის მოსაზრებით: „მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, ეპოქის აქტუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ბაგრატ მუსრანბატონს შეუთხზავს ანტიმაჰმადიანური ჰოლემიკური ნაწარმოები «მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთა», ეს თხზულება მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ლექსად შეაწყო იაკობ შემოქმედელმა (დუმბაძემ)“⁵.

საძიებელი თარიღის ქვედა ზღვრის განმსაზღვრელად სათაურში გიორგის მეფედ მოხსენიება იმ შემთხვევაში იქნებოდა უცილობელი საბუთი, რომ იაკობის ნაშრომს აღნიშნული სათაურით ჩვენამდე ძველი ხელნაწერით მოეღწია, ან გიორგი მეფედ ტექსტში, ლექსით ნაწილში, იყოს სახელდებული.

არსებობს იაკობის თხზულების 11 ხელნაწერი. ყველაზე ადრინდელთაგან ერთი XVIII საუკუნის 60-იანი წლებისა შეიძლება იყოს, რამდენიმე ამავე საუკუნის 70 - 80-იან წლებს განეკუთვნება, ყველა დანარჩენი XIX საუკუნისაა. გამორიცხული არ არის, გიორგის იაკობისათვის დაუალება გამეფებამდის მიეცა, ხოლო მეფედ ის თხზულების სათაურში მოგვიანებით მოეხსენებინათ.

ამ ეჭვის გასაფანტავად საკმარისად არ მიგვაჩნია ეპილოგის ცნობა - „მაქენდა ცხებულთ ნაბანები“. მართალია, ცხებული (კურთხეული) გადატანითი მნიშვნელობით ძველად მეფესაც ეწოდებოდა⁶, მგრამ, ამავე დროს, ქრისტეს, წინასწარმეტყველთ და მღვდელმთავრებსაც აღნიშნავდა. აი, როგორ განმარტავენ ამ სიტყვას ჩვენი ლექსიკოგრაფები: სულხან-საბა ორბელიანი: „ცხებული (2, 26 ლექს) მ ე უ ე, ვინა ქრისტე, ვინა კურთხეული“. ნიკო ჩუბინაშვილი: „ცხებული უფლისა ებრაულად მესია, ბერძნულად

⁴ მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გვ. 11 - 12.

⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 279; კ კ ე კ ქ ლ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1987, გვ. 301.

⁶ ე. წ. „აბდულ-მესიანში“, რომელიც ძველ ხელნაწერებში იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებად და მისი ქების ობიექტად არჩილი არის გამოცხადებული (ამის შესახებ ქვემოთ), ეკითხულობთ:

„შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო,

არჩილს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა“ (სტრ. 2. 1).

ქრისტე. სახელი ეს მიეწერების მაცხოვარს ჩვენსა... (ლუკ. 2, 26 და 4, 18. ფსალმუნი 2, 2)... ცხებულად იწოდებთან ქრისტიანნიცა ხ ე ლ მ წ ი ფ ე ნ ი, ვითა ზეგარდმოდა განგებულებითა დაღვინებულნი და ცხებულნი სამეფოდათა მირონითა ეამსა კურთხევისა მათისასა. ეგრეთვე წინასწარმეტყველნი და ძველნი მღუდელმთავარნი (ფსალ, 17, 50 და 104, 15)⁷. ამასვე იმეორებს დავით ჩუბინაშვილიც.

ვინაიდან იმავე ეპილოგში ავტორი ამ თხზულების შექმნას ზე ძალასაც მიაწერს („აწ ღვთით იქმნა ეს ამბავი...“, „ვიმუშავე განა თავად“), შეიძლება, ვინმემ დაბეჯითებით თქვას, ცხებულთ სიტყვაში უკვე მეფედ კურთხეული გიორგი იგულისხმებაო. ოღონდ, თუ არჩილისადმი მიძღვნილი იაკობის სახოტრო ლექსის აღმატებულ ტონს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ უნდა იყოს, ქართლის სამეფო ტახტისათვის შეუპოვრად მებრძოლი, ყოველმხრივ ძლიერი, პერსპექტიული და, რაც მთავარია, მეფის შთამომავალი, უფლისწული პოეტს ცხებულად გამეფებამდე მოეხსენებინა, მეტადრე, როცა გალექსვის საქმეში ღვთის შემწეობაც იგულისხმება.

ამ ჩვენს ვარაუდს მტკიცე საფუძველს უქმნის ვახტანგ მეხუთის დროინდელი იურიდიული საბუთები, სადაც 1676 წლამდე, ვიდრე მამის ადგილს ოფიციალურად დაიტკერდა, გიორგი XI ხელმწიფედ და მეფედ არის მოხსენიებული⁷. იოსებ თბილელის მიერ დაწერილ თუმანიშვილთა ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „მე, სამეფოსა ქალაქისა ეფისკოპოსსა ტფილელს სააკაძეს იოსებს დამიწერია, და მოწამეცა ვარ. ეს ნასყიდობა და მამულები კელმწიფოს, მეფის გიორგის, დასტურით მოგვიედიდა და მეფემან ამ მამულის სუიღვის დასტურის წიგნი კიდევ სხვა გიბოძათ, რომ ვერა ადამის მონათესავე კაცი ვერ შემოგეცილება და არცა ვის კელი აქვს, ქსა ტნია“⁸.

ეს საბუთი პუბლიკაციაში დათარიღებულია 1683 წლით (გვ. 97). ქორონიკული დათარიღება ტნია (361) უდრის (361 + 1312) 1673 წელს.

გიორგი XI ამგვარადვეა მოხსენიებული აგრეთვე 1672 წელსაც. როსტომ მეფის მიერ 1651 წელს პაპია გოგიბაშვილისადმი მიცემულ წყალობისა და სითარხნის წიგნის ბოლოს

⁷ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 254.

⁸ საქართველოს სიძეელები, II, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 99.

აღნიშნულია: „ჩვენ, თვით კელმწიფე, მეფე ჰატრონი გიორგი სიგელსა ამას ასრე ვამტკიცებთ ქკს ტ-ნი“ (=360)⁹.

თუ ამ საბუთებში რაიმე გაუგებრობა არ არის და გიორგი XI საქართველოში, შინაურობაში მეფედ იწოდებოდა მანამ, ვიდრე სპარსეთის მბრძანებელი მას ქართლის სამეფო ტახტს ოფიციალურად უბოძებდა, რა გასაკვირია, იაკობ შემოქმედელს, როგორც პოეტსა და ამ სამეფო სახლთან დაახლოებულ პირს, 1676 წლამდე დაწერილ თხზულებაში ამავე ტიტულით მოეხსენებიან იგი, მისთვის ძვირფასი ადამიანი.

დასმული საკითხის გადასაჭრელად, ვფიქრობთ, საყურადღებოა იოსებ თბილელისა და არჩილ მეფის შეფასება, რომელსაც ისინი იაკობ შემოქმედელის მწერლურ მოღვაწეობას აძლევენ. იოსები გამოცანის გაგზავნისას იაკობს მიმართავენ: „ამისი ახსნა თქვენგან მწადს, ვიცო, კაცი ხარ მცნებული“. აქედან გარკვევით ჩანს, იოსები, გამოჩენილი პოეტი და საეკლესიო მოღვაწე, იაკობის თეოლოგიურ განსწავლულობასა და მწერლურ შესაძლებლობაში ღრმად არის დარწმუნებული. უფრო სავარაუდოა, იოსების ამგვარი შეხედულების საფუძველი იყოს არა იმდენად იაკობთან პირადი ნაცნობობა, შეხვედრები და საუბრები, რამდენადაც მისი მხატვრული შემოქმედება - არჩილის ქება („აბდულ-მესიანად“ წოდებული) და უპირველესად კიდევ უფრო სასულიერო შინაარსის თხზულება - „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“.

ამის მიხედვით გამოდის: იაკობ შემოქმედელის აღნიშნული ნაწარმოები იოსებ თბილელის სიცოცხლეში უკვე არსებულა. იოსებ თბილელი კი, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დაიღუპა 1688 წელს, როდესაც იგი განდგომილი გიორგი არაგვის ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი XI-ს თან ახლდა¹⁰.

თარიღის ზედა ზღვრის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას იძლევა ზემოთ, წიგნის შესავალში, დამოწმებული იაკობისადმი მიძღვნილი არჩილის საქებარი სტროფი, რომელიც მის ვრცელ პოეტურ საისტორიო თხზულებაში, „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“, არის. სწავლული მეფე იაკობს ახასიათებს „ბრძენსა“ და „მეცნიერ“ პოეტს, რომელიც „ხუცურის ენით მეღეჟსობს“. „ხუცური ენა“ აქ უსათუოდ

⁹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი № 1450, დავთარი 5, საქმე 37.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 462.

ნიშნავს სასულიერო თემატიკას. იაკობის ამგვარი უპირველესი და მევეთრად გამოკვეთილი ნაწარმოები არის იოსებ თბილელთან გაბაასების ერთი თუ ორი სტროფი და ვრცელი „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“. თანაც, სულერთია, სტრიქონში „ამისთვის სრულად არ ვაქე, რომ იყო ჩემი მეობარი“ როგორ გაეიგებთ სიტყვას „სრულად“ - სრულყოფილად თუ სრულიად ამისთვის არ ვაქეო. ორივე შემთხვევაში სწავლული მეფე გამორიცხავს იაკობის მიერ მისადმი მიძღვნილ შესამეობ ნაწარმოებს თუ ნაწარმოებებს.

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა“ და არჩილისადმი მიძღვნილი სახოტბო თხზულებათა გარდა, იაკობს რჩება 2 - 3 თითოსტროფიანი ლექსი, რომლებსაც, გამორიცხულია, ის შეფასება დაემსახურებინა, არჩილი, მეფე-პოეტი, მათ ავტორს რომ აძლევს. ვფიქრობთ, აქ კიდევ უფრო აშკარად ჩანს: როდესაც არჩილი იაკობის საქებას სტროფს წერდა, მას უპირველესად მხედველობაში „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ ჰქონდა.

არჩილის ეს სტროფი მოთავსებულია „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ დასაწყისში (სტრ. 33). როგორც თვითონ გვამცნობს, მას ამ პოემის წერა დაუწყია 1681 წელს ოსეთში, სოფელ ფაიქომში, და მთელი პირველი ნაწილი, 724 სტროფი, აქ ოთხ თვეში შეუთხზავს. დანარჩენი ნაწილი, 408 სტროფი, ხუთი თვის განმავლობაში ასტრახანს დაუმთავრებია, სადაც იგი 1682 წლის 1 სექტემბერს ჩავიდა¹¹.

ამის მიხედვით, იაკობის თხზულების შექმნის თარიღი 1681 წელს ვერ გადმოშორდება.

ამრიგად, თუ ვირწმუნებთ, რომ თხზულების სათაურში გიორგი XI-ის მეფედ ხსენება თავდაპირველ ვითარებას ასახავს, ან ეპილოგისეულ „ცხებულთ“ სიტყვაში მისი მეფობა იგულისხმება, ხოლო არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ იაკობის დახასიათებისას ავტორს მისი „უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაც“ აქვს მხედველობაში, გამოდის, რომ იაკობ შემოქმედელის ეს ნაწარმოები 1676-1680 წლებშია შეთხზული. მაგრამ, რადგან, ჩვენი აზრით, გიორგის მეფობაზე დაფუძნებული მოსაზრება ნაკლებ მყარია (მეფედ ის უფრო ადრეც იწოდებოდა), შეიძლება ეს თარიღი უფრო წინ გადაიწიოს.

¹¹ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981, გვ. 520 - 521.

იაკობ შემოქმედელი და „აბდულ-მესიანის“
პრობლემა

I. საკითხის დასმა

ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერების ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც იაკობ შემოქმედელის სახელი უკავშირდება, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობის გარკვევაა. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში „ამირან-დარეჯანის“, „დიღარგეთისა“ და თვით „ვეფხისტყაოსნის“ გეგრდით დასახელებულია შავთელის „აბდულ-მესია“:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დიღარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შუეშრომელსა“.

„აბდულ-მესიანზე“ დაწერილ ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიის აკადემიურ კურსშია შესული, ელენე მეტრეველი წერს: „ამ ცნობის მიხედვით, რომელიც ძველ ტრადიციას ეყრდნობა, შავთელს დაუწერია თხზულება, სადაც აბდულ-მესია უნდა ყოფილიყო შექმბული, მაგრამ «აბდულ-მესიანის» სახელწოდებით ჩვენამდე არც ერთ თხზულებას არ მოუღწევია. ვინ არის აბდულმესია? გმირის სახელწოდებაა ეს თუ ზღწოდება, რა ხასიათის თხზულებაა «აბდულმესიანი» – ეპიკური თუ ლირიკური? და, ბოლოს, ვინ არის მისი ავტორი? – ეს არის საკითხები, რომლებზედაც ქართველი მწიგნობრები და მკვლევარები საუკუნეზე მეტია ცდილობენ გასცენ პასუხი“¹.

ნამდვილად კი სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხებზე დასკვნები გადაჭრითაა გამოთქმული და, კარგა ხანია, დამკვიდრებულიც. გაბატონებულია შეხედულება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელი არის თამარის ეპოქაში მცხოვრები ისტორიულად ცნობილი პირი და მწერალი იოანე შავთელი, ხოლო „აბდულ-მესია“ – ჩახრუხაძის „თამა-

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, (XII-XVIII სს), ტომის სარედაქციო კოლეჯია: ალექსანდრე ბ ა რ ა მ ი ძ ე (რედაქტორი), გაიოზ ი მ ე დ ა შ ე ი ლ ი, გივი მ ი ქ ა ძ ე, თბ., 1966, გვ. 90.

რიანის“ მსგავსი, ჩახრუხაული საზომით შესრულებული სა-
ხოტბო თხზულება, რომელშიც შექმნილი არიან თამარი და
დავითი. ეს თვალსაზრისი ეფუძნება ხელნაწერთა ერთ ჯგუფს,
სადაც სათაურიც შესაბამისია: იწოდება „აბდულმესიანად“ და
აეტიორად სახელდებულია იოანე შავთელი. ამავე დროს, რად-
გან სხვა ხელნაწერებში აეტიორად დასახელებულია იაკობ შე-
მოქმედელი, ხოლო თამარისა და დავითის მაგიერად ხოტბა ეძ-
ღვნება მეფე-პოეტს არჩილს, იაკობ შემოქმედელი კლაგიატო-
რად არის გამოცხადებული: მინნეულია, რომ მან მიითვისა იო-
ანე შავთელის ქმნილება – სათაურიდან ამოშალა მისი სახელი
და თავისი შეიტანა, შეცვალა ქების საგანი – თამარისა და
დავითის ნაცვლად ჩაწერა არჩილი და ასე გადააკეთებული სა-
ხით არჩილს მიაართვა...

გამოთქმულია ზოგიერთი განსხვავებული მოსაზრებაც,
მაგრამ იგი ეხება არა იაკობ შემოქმედელს, არამედ იმის და-
ზუსტებას, თუ ხოტბის აეტიორად რომელი შავთელი ვცნოთ ან
მისი გმირი რომელი დავითია. მაგალითად, პირველ სტროფზე
დაყრდნობით („მწადს აქ ებანი დავითის, დავით ვჯდე მუსიკო-
ბად“) ერთ დროს სარგის კაკაბაძე ფიქრობდა, რომ აეტიორია
XIII საუკუნის 70-იანი წლების მოღვაწე დავით მწირი².

ამავე ტექსტიდან გამომდინარე, პავლე ინგოროყვას ვარა-
უდით, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგსა და „ქართლის ცხოვრება-
ში“ მოხსენებული შავთელი სხვადასხვა პიროვნება არის.

„პირველი შავთელი – წერს იგი, – აეტიორი აბდულ-მესიანისა დავით
აღმაშენებლის თანამედროვეა და მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში
მოღვაწეობდა, ხოლო იოანე შავთელი თითქმის ერთი საუკუნით დაშო-
რებულია პირველს. იგი თამარის თანამედროვეა და მე-12 საუკუნის
დასასრულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობს. პირველ შავ-
თელს, აბდულ-მესიანის აეტიორს, ტექსტის ჩვენების მიხედვით, საფიქ-
რალია, რქმევია დავით, მეორე შავთელის სახელია იოანე“³.

თამარის მეორე ისტორიის ტექსტის მიხედვით, რომელიც
გვაუწყებს, რომ „პირი მისი (თამარის) პირველივე იქო დავითის მიერ
თქმითა, რათა ლიტანიობით თაყუანს სცემდენ მეფენი და მთავარნი და

² ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ,
თბ., 1913, გვ. I-IV; შდრ.: მ ი ს ი ვ ე, საკითხი აბდულ-მესიანის
შესახებ, წიგნში: შავთელი, აბდულ-მესიანი, ტფ., 1937, გვ. 6-11.

³ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველის ეპოქის სალიტერატურო
მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 74; მ ი ს ი ვ ე,
თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978, გვ. 45-46).

მეძღუნებოდნენ ნათესავნი“, შ. მაჭავარიანიც „აბდულ-მესიანის“ ავტორად დაეთოს აცხადებს⁴.

კორნელი კეკელიძის თვალსაზრისით, ჩვენს ხელთ არსებული სახოტბო თხზულება თამარის ეპოქის ძეგლია და მისი ავტორია იოანე შავთელი, მაგრამ იგი არ არის „აბდულ-მესია“. „ჩვენ ვფიქრობთ, — წერს იგი ნიკო მარის საპირისპიროდ, — რომ აბდულ-მესია არ გულისხმობს დავით აღმაშენებელს და აბდულ-მესიანი არაა ის ზოტბა, რომელსაც წინათ თამარისა და სოსლანის ქებას ეძახდნენ. ის არც ძველადაც მიაჩნდათ აბდულმესიად: საქმე ისაა, რომ ცნობილ ფსევდორუსთველურ სტროფში ოთხ, აქ დასახელებულ, თხზულებიდან სამი თხრობითი, ეპიკური ჟანრისაა — «ამირანდარეჯანიანი», «დილარიანი», «ვეფხისტყაოსანი», იგულისხმება, მეოთხეც («აბდულ-მესია») ასეთივე და არა ლირიკული ჟანრისა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა ეს ზოტბა დაასახელა ამ სტროფის ავტორმა, რა დააშავა «თამარიანმა»“⁵.

კ. კეკელიძის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები „აბდულ-მესია“ და ჩვენს ხელთ არსებული სახოტბო ძეგლი სხვადასხვა ნაწარმოებია, მაგრამ ორივე იოანე შავთელს ეკუთვნის, რომელთაგან პირველი დაკარგულია, „ყოველ შემთხვევაში, — დაასკენის ავტორი პირველის შესახებ, — «აბდულმესიანი» არაა დავით აღმაშენებლის ზოტბა, ის რაღაც სხვა თხზულება ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ამ დაკარგული თხზულების ავტორი ყოფილა იოანე შავთელი“ (გვ. 435). მეორე, ანუ ჩვენი, ნაწარმოების შესახებ კი აღნიშნავს: „ის მკვლევარი, რომელნიც ამ თხზულებაში «აბდულმესიას» ხედავენ, მის ავტორად იოანე შავთელს აღიარებენ. მართალია, ეს თხზულება, როგორც ვთქვით, არაა «აბდულმესია», მაგრამ ავტორი მისი მაინც იოანე შავთელია“ (გვ. 241-242).

კ. კეკელიძე ადრე და შემდეგაც საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ჩვენს „შესხმას“ ნიშანდობლივი მსგავსება აქვს როგორც „იდეის მხრივ, ისე ფორმითაც“, ჩახრუხაძის „თამარიანთან“ (გვ. 246). ამის გამო იგი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში (1924 წ.) აყენებდა საკითხს, ხომ არ ეკუთვნისო იგი ჩახრუხაძეს. „ამიტომ ჩვენ

⁴ შ. მაჭავარიანი, ერთი საყურადღებო ცნობის გამო, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 30 ივლისი, 1950, №31 შდრ.: კ. კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 241.

⁵ კ. კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 234.

ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, — წერდა კ. კეკელიძე, — მომავალ მკვლევართა საყურადღებოდ დავსვათ ერთი, სრულიად უპრეტენზიო საკითხი: ავტორი ჩვენი ზოტბისა იგივე ჩაზრუხაძე ზომ არაა, რომელსაც «თამარიანი» დაწერია“.

ამ ნაშრომის შემდეგ გამოცემებში ეს კითხვა მოხსნილია.

ამგვარივე ხასიათის აზრთა სხვადასხვაობა სუფევს პერსონაჟთა ვინაობის თაობაზეც. ტრადიციისამებრ ქების ობიექტად მიჩნეული თამარისა და დავით სოსლანის გვერდით ვინ არაა დასახელებული — მარტო დავით აღმაშენებელი (ნ. მარი), თამარი და დავით აღმაშენებელი (კ. კეკელიძე), დიმიტრი თავდადებულის შვილი დავით მერვე, ლაშა გიორგის ძე ულუ დავითი, დემეტრე პირველის შვილი დავით მესამე (ს. კაკაბაძე), თამარი, დავით სოსლანი და მათი ძე ლაშა გიორგი (ი. ლოლაშვილი), მაგრამ არც ერთხელ — არჩილი.

აი, როგორ არის შეფასებული იმ ხელნაწერთა მონაცემი, რომლებიც „ზოტბის“ ავტორად იაკობ შემოქმედელს, ხოლო საქებ გმირად არჩილს წარმოგვიდგენს. ე. თაყაიშვილი კურიოზად ნათლავდა ამას. ერთი ამგვარი ხელნაწერის აღწერისას ის წერდა: „Ода Иоанна Шавтели, которую до сих пор отнесли к царице Тамаре, но после исследования Н. Марра нужно отнести к Давиду Возобновителю. В нашей рукописи названная ода отнесена к царю Арчилу: შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, არჩილს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა. **Курьезнее всего то, что в заголовке, писанном, правда, не рукою текста, автором оды назван Якоб Шемокмедели: თავი დასაწყისი პირუელი. სამებელ-შემოქმედელ მიტროპოლიტის იაკობისაგან თქმული ქება მეფის არჩილისა... В конце книги имеется портрет самого царя Арчила, довольно искусно исполненный чернилами**“⁷.

სხვა ნუსხის გამო მ. ჯანაშვილი წერდა: „საეკლესიო მუზეუმის კატალოგში (წიგნი 2, № 656) სწერია: «ქართულ მწერლობაში უცნობი პოემა ცნობილი მწერლის მიტროპოლიტ იაკობ ღუმბაძესი «შესხმა მეფის არჩილისა». სამწუხაროდ ეს თხზულება აეკსონს არ წაუკითხავს, რომ წაეკითხა, დაინახავდა, რომ № 656-ში თავიდან

⁶ ეს საკითხი განხილული აქვთ: აღ. ბარამიძეს (ნარკვევები ..., I, 1945, გვ. 233-241), კ. კეკელიძეს (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 233-241), ე. მეტრეველს (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 91-96), ი. ლოლაშვილს (ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 52-93).

⁷ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, თბ., 1968, გვ. 58.

ბოლომდე მოყვანილია თხზულება იოანე შავთელისა და არა იაკობ შემოქმედელისა. აქ ყველა შავთელისაა, გარდა დამახინჯებული სათაურისა; მასვე ეკუთვნის ისიც, რომ, საცა თამარია ანუ დავითი, მას ამ სახელების მაგიერ (გარდა 53 ტაეპისა), ჩაუწერია არჩილი. თვით ამ შესხმის ბოლოს კი დავიწყებია თავის აზრის სათანადოდ შეესწორებინა სიტყვები: «დასრულდა ესე მეფის თამარის ქება-შესხმანი და გარდმოვსწერე მე დავით ივანეს ძემ ამირიძემ»⁸.

აღექსანდრე ბარამიძე, რომელიც მიმოიხილავს ამ ნუსხებს, ასკენის: „ამრიგად, «აბდულ-მესიანის» ხელნაწერთა ერთი ნახევარი თხზულებას მიაწერს იოანე შავთელს და ქების საგნად თელის თამარს, მეორე ნახევარი კი ავტორად მიიჩნევს არჩილის თანამედროვე ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და მწერალს იაკობ სამებელ-შემოქმედელს, გვარად ღუმბაძეს, აქ ქების საგანი არჩილია. საცილობელი არ ყოფილა და არც ახლა იწვევს რაიმე ეჭვს, რომ იაკობ შემოქმედელს ერთგვარად მოუთვისებია შესანიშნავი სახოტბო ძეგლის შუაშარული ტექსტი, მას მხოლოდ თამარის სახელი ამოუკვეთია პოემიდან და სანაცვლოდ ჩაუსვამს არჩილი, სხვა მხრით ტექსტისთვის სრულიად არ უხვია ხელი»⁹.

კ. კეკელიძესაც ყოვლად წარმოდგენლად ესახება, რომ ეს ნაწარმოები იაკობ შემოქმედელს ეკუთვნოდეს და ქება არჩილს მიემართებოდეს. უარყოფს რა ს. კაკაბაძის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, თითქოს თხზულების ავტორი იყოს დავით შავთელი, ხოლო სახოტბო პირი — ულუ დავითი, იგი წერს: „მართალია, ქებაში ნახმარი ეპითეტების უმეტესი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ზოგიერთი მათგანის მკვეთრ უცილობელ ინდივიდუალობას და ხოტბის საერთო სულსა და დედააზრს, მისი მიკუთვნება ლაშა გიორგის შვილის დავითისათვის იმდენად საბუთიანი იქნება, რამდენადაც მეჩვიდმეტე საუკუნის მეფის არჩილისათვის, როგორც ამას სჩადის იაკობ ღუმბაძე შემოქმედელი»¹⁰.

აღ. ბარამიძის ზემორე დამოწმებულ ნაშრომზე დაყრდნობით ელენე მეტრეველი აღნიშნავს: „სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იაკობ ღუმბაძეს კლასიკური ხანის შესხმა გამოუყენებია არჩილ მეფის ქებისათვის. მას თამარისა და დავითის სახელები შეუცვლია არჩილით და ამგვარად გადაკეთებული ქების ავტორად თავისი თავი გამოუცხადებია»¹¹.

⁸ „სახალხო გაზეთი“, 1912, №73.

⁹ ნარკვევები..., I, 1945, გვ. 107.

¹⁰ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 237.

¹¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 91.

მეორეგან წერს: „იაკობ ღუმბაძეს მეთოდურად ამოუშლია ქებიდან დავითისა და თამარის სახელები“ (გვ. 92).

ი. ლოლაშვილი: „იაკობს თხზულებისათვის სარედაქციო ჩაღბი გაუკრავს, პომიდან თამარისა და დავითის სახელები ამოუშლია და მათ ნაცვლად ჩაუსვამს «არჩილი». შეუცვლია სათაურიც (ჩაუწერია «ქება მეფისი არჩილისი») და თხზულება თავისი სახელით გამოუქვეყნებია, რაკი არჩილი წერს, რომ იაკობი «ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგობარი, სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი», — უნდა ვივარაუდოთ, რომ იაკობმა, ალბათ, აბდულმესიანი (სათაურით «ქება მეფისა არჩილისი»), კალიგრაფიულად გადაწერილი, მიართვა თავის მეცენატს მაშინ, როდესაც არჩილი იმერთა მეფედ იყო. ამის შემდეგ თხზულება გავრცელებულა როგორც სამებელ-შემოქმედელ მიტროპოლიტისა იაკობისაგან თქმული ქება მეფის არჩილისა“¹².

ლ. მენაბდე: „ზოგიერთი ქართველი მწიგნობარი ცდილობდა სხვისი ნამუშევრის მითვისებას და ამ მიზნით ძველ ტექსტს სახეს უცვლიდა. ასე, მაგალითად, ი. ღუმბაძემ ცადა ი. შავთელის «აბდულმესიანის» მითვისება... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ «აბდულმესიანის» ბერი ხელნაწერი ქების ობიექტად არჩილ მეფეს მიიჩნევს“¹³. ამავე წიგნის მეორე ნაკვეთში ალ. ბარამიძის ნაშრომსა და ე. წ. „აბდულმესიანის“ ნუსხებზე მითითებით ლ. მენაბდე წერს: „ი. ღუმბაძემ საგანგებოდ შეაქო არჩილ მეფე, მიუძღვნა მას ზოტა. მეტიც, მან გადააკეთა «აბდულმესიანის» შემცველი ხელნაწერები და იქ, სადაც თამარი და დავითი იყო ნახსენები, ყველგან არჩილი ჩაწერა, ქების ობიექტად არჩილი წარმოგვიდგინა“. იქვე სქოლიოში შენიშნავს: „ი. ღუმბაძის მიერ კლასიკური ხანის ძეგლის მითვისება და თავის საკუთრებად გამოცხადება, რასაკვირველია, მის სასარგებლოდ არას ლაპარაკობს, ასეთი მოქმედება მას რამდენამდე ჩრდილს აყენებს“ (გვ. 569).

შ. ღლონტი ე. წ. „აბდულმესიანის“ ი. ლოლაშვილისეული გამოცემისადმი მიძღვნილ რეცენზიაში აღნიშნავს: „შრომაში ცხადყოფილია ყალბისმქნელობა იაკობ შემოქმედელისა, რომელმაც «აბდულმესიანი» «არჩილ მეფის ქებად» გადააკეთა და თავისი სახელით გაავრცელა. ი. შავთელის ნაწარმოები კი კარგა ხანს დაკარგულად მიჩნდებოდა. პირველად დავით რექტორმა ამხილა იაკობ შემოქმედელის ყალბისმქნელობა და გაარკვია, რომ ეს თხზულება ი. შავთელს ეკუთვნის. ი. ლოლაშვილი დავით რექტორის ამ მიხედვრას XIX საუკუნის I ნახევრის

¹² ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 27.

¹³ ძველი ქართული მწერლობის კვრები, I, გვ. 71.

ლიტერატურათმცოდნეობაში, სავსებით სამართლიანად, ერთგვარ აღმოჩენად მიიჩნევა¹⁴.

ლექსიკონ-ცნობარში „ქართული მწერლობა“ (წიგნი I, თბ., 1984, გვ. 147) იგივეა გამეორებული, ოღონდ იაკობ შემოქმედელის სახელი შეცდომით „დავით“-ად არის შეცვლილი და ის XVIII საუკუნის მოღვაწედაა მიჩნეული: „თხზულებასთან დაკავშირებული ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხთა გარკვევა ერთობ რთული საქმეა, რადგან ძველი ძალზე დამახინჯებული სახით არის მოღწეული – სულ მცირე, ორგზის განუცდია გადაშუშვება. XVIII ს. დავით ღუმბაძემ ეს ხოტბა გადააკეთა და არჩილ მეფეს მიუბღვნა“.

ერთადერთი მკვლევარი, ვინც იაკობ შემოქმედელის უპატიოსნობაში, პლაგიატორობაში დაეჭვდა და მისი დაცვა სცადა, აკაკი ხინთიბიძეა. მასაც დადგენილად ესახება ის შეხედულება, რომ იაკობმა გადააკეთა ძველი ნაწარმოები, მაგრამ დაუჯერებლად თელის, რომ მან ეს მითვისების მიზნით, ეთიკის დარღვევით გააკეთა. „ფაქტი თამარისა და დავითის ქების არჩილ მეფის ქებად გადაკეთებისა, – წერს იგი, – ცხადია, უცილობელია – არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ «აბდულმესიანის» «არჩილ მეფის ქებად» გადაკეთებული იაკობ შემოქმედელია. მცირეფორმიანი ლექსის «არჩილის ქების» ავტორმა მეფე-პოეტი შავთელის ზვიადი სტრიქონბითაც შეამკო და, ალბათ, კალიგრაფიულად გადაწერილი «ქება მეფის არჩილისა» მიართვა თავის მეცენატს მამინ, როდესაც არჩილი იმერთა მეფედ იყო (ი. ლოლაშვილი). ყველაფერი ეს უცილობელი, ან სავსებით დასაშვები და შესაძლებელია. მაგრამ საცილობელია ვარაუდი, თითქოს იაკობმა «არჩილის მეფის ქებად» გადაკეთებული «აბდულმესიანი» არჩილს მიართვა, როგორც საკუთარი თხზულება, თავისი გვიან ზღწარწერით“¹⁵. მკვლევარის ახსნით, აღნიშნული ქმედება ძველად მეფეთა კარზე მიღებული იყო და იგი საძრახისად არ ითვლებოდა. „საქმის ვითარება ალბათ ასეთი იქნებოდა: – განაგრძობს ავტორი, – არჩილ მეფესთან დაახლოებულმა მოძღვარმა მეფის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით (რასაც არჩილი თავისი მეფობის ყოველ პერიოდში საჭიროებდა) განიზრახა მისი შემოკობა-განდიდება რომელიმე აღრინდელი ხოტბის მიხედვით. მეფეთა კარზე ამგვარი ტრადიცია არსებობდა; ამის დასადასტურებლად შორს წასვლა არ მოგვიხდება. მე-18

¹⁴ გახ. „ლიტერატურული საქართველო“, 12. 03. 65, № 11, გვ. 2.

¹⁵ აკაკი ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი, გვ. 33-34. ბოლო ოთხი სიტყვის ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის.

საუკუნის საქართველოში მსგავს თხზულებებს წერენ მამუკა ბარათაშვილი და აშბროსი ნეკრესელი“ (გვ. 38).

ავტორი განიხილავს ამ მწერალთა ნაწარმოებებს „ბაქარ მეფის ქებასა“ და „ეახტანგ ბატონიშვილის ქებას“, რომლებიც, მისი სიტყვით, „შეთხზულია «არჩილ მეფის ქების» («აბდულმესიანის») მიხედვით“ (გვ. 38) და დაასკვნის: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ძველთაძველი ტრადიციით ნაკარნახები მოქმედება იყო“.

ამავე დებულების დამადასტურებლად მოყვანილია აგრეთვე არჩილის გამონათქვამი: „შოთას რად ვერ წაბაძესა“ და „ვინ ვერ მიჰყვეს რუსთელის თქმულსა, მელექსობა არ შეშენის“ და აქაც იგივე დასკვნა მიღებული: „როგორც ჩანს, სიტყვა მიბაძვა (ბაძვა) ძველ საქართველოში იხმარებოდა დადებითი აზრით. ტრადიცია არ კრძალავდა ერთი ნაწარმოების მიხედვით, მის კვალობაზე მეორის შექმნას. ამ ტრადიციას გაჰყვა იაკობიც“ (გვ. 40).

თავისი თვალსაზრისის გასამაგრებლად ა. ხინთიბიძეს სხვა საბუთებიც მოჰყავს, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: იაკობ შემოქმედელს ზნეობრივი ბრალდება მოეხსნას, ხოლო შეხედულება, რომ იაკობმა ძველი თხზულება გადააკეთა და ამ სახით არჩილს მიართვა, – ხელუხლებადაა დატოვებული.

მაშასადამე, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ცალკეული განსხვავებული მოსაზრებანი, მაგრამ ძირითადი დებულება, რომ ეს ნაწარმოები არის ადრინდელი, კლასიკური ხანის ძეგლი და იგი XVII საუკუნეში შეცვალა და გადააკეთა იაკობ შემოქმედელმა, ერთხმადაა აღიარებული და მიღებული.

პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ნაცარმიყრილ მძინარე ნაღვერდალსა ჰგავს: როგორც კი მოჩხრეკ, მაშინვე ღვივის და სიმხურვალეს გამოსცემს.

აღრე, სანამ ამ ნაწარმოების ხელნაწერული მემკვიდრეობა შესწავლილი არ იყო, აღნიშნულ თვალსაზრისს რაღაც გამართლება ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ივანე ლოლაშვილმა ეს საქმე შესანიშნავად მოაგვარა და კიდევ სხვა მასალებს ვეცნობით, გარკვევით ჩანს, პრობლემა ჯეროვნად გადაწყვეტილი არ არის.

ეს ეჭვი იმთავითვე აღგვეძრა, როდესაც 1960 წლის შემოდგომაზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობა დავიწყეთ, იაკობ შემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას შევუდევით და

ი. ლოლაშვილმა „აბდულ-მესიანზე“ თავისი კვლევის შედეგები გაგვაცნო.

იმხანად მეცნიერი კრებულ „ჩვენი საუნჯის“ მეორე ტომის კორექტურაზე მუშაობდა, სადაც „აბდულ-მესიანის“ მის მიერ შემუშავებული ტექსტი იბეჭდებოდა და, ამავე დროს, გამალეობით ამზადებდა „ძველი ქართველი მეხოტბეების“ მეორე წიგნს, რომელიც ამ ნაწარმოების ტექსტსა და მისადმი მიძღვნილ ერთელ გამოკვლევას შეიცავს. ბატონ ივანეს ჩვევად ქჷონდა და უყვარდა, ახალმოპოვებული მასალებისა და მისგან გამომდინარე სიახლეების გამოქვეყნებამდე სხვებისთვის ჩვენება-გაზიარება.

და, აი, ამ დროს, როდესაც მან გაგვაცნო XVII-XVIII საუკუნეების გამოჩენილ მწერალთა (არჩილის, მამუკა ბარათაშვილისა და სხვათა) შეხედულებანი და საძიებელი თხზულების ხელნაწერთა მონაცემები, კერძოდ, თუ საიდან იღებს სათავეს აღნიშნული თვალსაზრისი, ჩვენ საპირისპირო შეხედულება შეგვექმნა და ეს გულახდილად გავანდეთ მას.

ამ საკითხებზე ფიქრი მას შემდეგაც არ მოგვშორებია, რაც იაკობ შემოქმედელზე კვლევა-ძიება შეეწყვიტეთ და კარგახნით სხვა სამუშაოზე გადავერთეთ. ჩვენს ეჭვზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით გვისაუბრია ალექსანდრე ბარამიძესთან, სარგის ცაიშვილსა და სხვებთან.

და, თუ ი. ლოლაშვილი და ალ. ბარამიძე ჩვენს ეჭვს გადაჭრით უარყოფდნენ, 1989 წლის 27 აპრილს კორნელი კეკელიძის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, „კორნელი კეკელიძის დღეზე“, სარგის ცაიშვილმა გამოიტანა მოხსენება „აბდულმესიანის გარშემო“, სადაც წამოაყენა მოსაზრება, რომ „აბდულ-მესიანის“ ავტორია არა იოანე შავთელი, არამედ – იაკობ შემოქმედელი, ხოლო ქების ობიექტია არა თამარი და დავითი, არამედ – არჩილ მეფე.

ადრე ს. ცაიშვილი ტრადიციულ შეხედულებას იმეორებდა¹⁶. იგივე ვითარება გვაქვს ალ. ბარამიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწერილ მის წერილში, რომელიც ალ. ბარამიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „ქართული მწერლობის საკითხები“ (თბ., 1993, გვ. 3-16) გამოქვეყნდა. ამ წიგნის ერთ-ერთი რედაქტორი თავად ბატონი სარგისი გახლდათ, გამოვიდა ის მისი გარდაცვალების მომდევნო წელს,

¹⁶ სარგის ცაიშვილი ი. ძველი ქართული მწერლობა, წერილები და გამოკვლევები, II, თბ., 1985, გვ. 46-48, 315 და სხვა.

მაგრამ იქაც უცვლელად არის დაბეჭდილი მის მიერ ადრე გამოთქმული შეფასება, მოწონება „აბდულ-მესიანზე“ გაწეული აღ. ბარამიძის დეაწლისა. აი, ეს სიტყვები: „მახვილი დაკვირვებით გამოირჩევა მკვლევრის (აღ. ბარამიძის – ბ. დ.) ნაშრომები ამ უკანასკნელი ძეგლის (ე. წ. «აბდულ-მესიანის» – ბ. დ.) შესახებ. იგი აქ საკუთარ დაკვირვებებს ეყრდნობა და განამტკიცებს ტრადიციულ შეხედულებას «აბდულმესიანის» ქების ობიექტზე, რომ ძეგლი ეძღვნება თამარ მეფესა და დავით სოსლანს, რაც დღესდღეობით აღიარებულ დებულებად ითვლება“ (გვ. 8).

ჩვენმა ვარაუდმა და ს. ცაიშვილის გამოსვლამ ასახვა პოვეს აკაკი ხინთიბიძის ნაშრომში „ქართული ლექსმცოდნეობა, ლექციების შემოკლებული კურსი“, რომელიც 1992 წელს გამოსცა ი. ჯგავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. აქ „შავთელური“ ლექსის განხილვისას აღნიშნულია: „გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ნაწარმოები, რომელიც დღეს «აბდულმესიანის» სახელითაა ცნობილი, არ არის XII საუკუნის ძეგლი. «ვეფხისტყაოსნის» ცნობილი სტროფი, სადაც ამის შესახებ არის ცნობა დაცული, ფსევდორუსთველურია. გაიოზ (უნდა იყოს «დავით» – ბ. დ.) რექტორმა მიიჩნია, რომ XVII საუკუნის მოღვაწემ იაკობ შემოქმედელმა შავთელის «აბდულმესიანი» არჩილ მეფის ქებად გადააკეთა, მაგრამ ეს სარწმუნოდ არ იქნა მიღებული. ლექსიკის თვალსაზრისით «აბდულმესიანი» არ შეიძლება ყოფილიყო XII საუკუნის თხზულება. იგი ე. წ. აღორძინების პერიოდშია შექმნილი სპარსული ეპოსის «შაჰ-ნამეს» ვერსიების გავრცელების შემდეგ. ცალკეული პოეტიკური შტრიხებითაც დასტურდება მსგავსება იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებებსა და «აბდულმესიას» შორის. «არჩილ მეფის ქება» (იგივე «აბდულმესიანი») ჩანრუხაძის «თამარიანის» მიხედვით უნდა იყოს დაწერილი.

ეს მოსაზრება ჯერჯერობით ჰიპოთეზად რჩება. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენ ზელთა გვაქვს ოცმარცვლიანი საზომის განსხვავებული სახეობა“ (გვ. 106).

ვენახოთ, როგორია ფაქტობრივი მონაცემები.

II. ხელნაწერთა მონაცემები

ძველად ამ ნაწარმოების ხელნაწერთა რედაქციული რაობა, ურთიერთმიმართება და წარმომავლობა დადგენილი არ იყო. ამიტომ ყოველ ნუსხას თითქმის თანაბარი მნიშვნელობა ეძლეოდა, არ განირჩეოდა, რომელი მათგანის ტექსტი იმსახურებდა მეტ ნდობას და რომელი – ნაკლებს.

ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ ამ თხზულების ადრინდელი გამოცემები თითო-ოროლა ხელნაწერის მიხედვით არის მომზადებული. მაგალითად, რომ არაფერი ვთქვათ სულ პირვანდელ – პლატონ იოსელიანისა და დავით ჩუბინაშვილის პუბლიკაციებზე, ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორც მოსე ჯანაშვილია, რომელმაც ორჯერ გამოაქვეყნა ეს ძეგლი, იყენებდა წინათ დაბეჭდილ ტექსტებს და ერთ, მე-19 საუკუნის (A 656 – მეორე, უდიდესი ნაწილი), ნუსხას. თვით ნიკო მარი რამდენიმე გვიანდელი ხელნაწერით შემოიფარგლა.

აღ. ბარამიძე, რომელიც მონოგრაფიული სისრულით განიხილავდა „აბდულმესიანს“, ხელნაწერების აუქარგიანობას იმის მიხედვით განსაზღვრავდა, თუ ვინაა მასში დასახელებული ავტორად და ვინ – ქების საგნად. მის ნაშრომში არაერთარი ანგარიში არ ეწევა ხელნაწერთა თარიღს და, რაც მთავარია, რედაქციულ რაობას. ის ნუსხები, რომლებიც ნაწარმოების ავტორად იოანე შაეთელს, ხოლო პერსონაჟებად თამარსა და დავითს წარმოგვიდგენენ, „პირველი კატეგორიის“ ხელნაწერებადაა მიჩნეული, დანარჩენები – „მეორე კატეგორიისად“. აგრეთვე ისინი სახელდებულია ხელნაწერთა „ერთ ნახევრად“ და „მეორე ნახევრად“¹.

როგორც ზემოთ ითქვა, საძიებელი თხზულების ხელნაწერული მემკვიდრეობა მონოგრაფიულად შეისწავლა ი. ლოლაშვილმა და უაღრესად მეტყველი დასკვნები მიიღო². გამოარკვია, რომ ქრონოლოგიური და რედაქციული სიძველისა და წარმომავლობის მიხედვით ეს ნუსხები იყოფა სამ ჯგუფად³.

პ ი რ ვ ე ლ ჯ გ უ ფ შ ი შედის ოთხი ხელნაწერი: A – H 2069, B – H 1193, C – A 656 (პირველი ნაწილი) და D – S 395 (გვ. 23–27). ქრონოლოგიურად აქედან და მთელი ხელნაწერუ-

¹ ნარკვევები I, გვ. 106–107.

² ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 23–36, 293.

³ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობას იძლევა ი. ლოლაშვილი, სათანადო ლიტერატურაც იქვეა მითითებული.

ლი მემკვიდრეობიდანაც ყველაზე ძველია A ნუსხა. იგი უთარი-
ლოა და კალიგრაფიც უცნობია, მაგრამ ხელის მიხედვით ჩანს,
უნდა განეკუთვნებოდეს XVII საუკუნის ბოლოსა თუ XVIII სა-
უკუნის დასაწყისს. სიძველის მხრივ მომდევნოა B. როგორც ან-
დერძი გვაუწყებს, მისი გადამწერია თბილისის სიონის დეკანო-
ზი ნიკოლოზ გაბრიელის ძე მიქაძე (1720–1780). ეს ანდერძი მო-
თავსებულია ხელნაწერის შუაში (118v) და თარიღად ასახე-
ლებს 1766 წელს. მომდევნო ნაწილიც, მათ შორის, ჩვენთვის
საინტერესო თხზულებაც, რომელიც მოთავსებულია 190-197
გვერდებზე, ამავე წელს, ან უახლოეს ხანში უნდა იყოს გადა-
წერილი.

C და D ნუსხები XIX საუკუნისაა. მათ შორის D ადრინდე-
ლია, გადაწერილია ბესიკის ძმის, ოსე გაბაშვილის, მიერ. ხელ-
ნაწერის მფლობელს, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს, მასში
ჩაუწერია ერთსტროფიანი ლექსი – „არჩილ მეფის ქება იამბი-
კოდ“, რომელსაც უზის ჩაწერის თარიღი – 1807 წელი. ეს
იმის მაჩვენებელია, რომ ეს ნუსხაც 1807 წელს ან ცოტა ადრეა
გადაწერილი.

ი. ლოლაშვილმა გაარკვია, რომ C ნუსხაში ჩვენი თხზუ-
ლება ორი, ძველი და ახალი, ნაწილისაგან შედგება. ქალა-
ღის ჭვირნიშანი და ერთი თარიღიანი მინაწერი გეიჩვენებს,
რომ ძველი ნაწილი, რომელიც 1-33 სტროფებს შეიცავს და
პირველ რედაქციას განეკუთვნება, გადაწერილია 1836-1841
წლებში. მეორე ნაწილს აქვს თავისი ანდერძი, საიდანაც ვგუ-
ბულობთ, რომ იგი 1877 წელს შეუვსია დავით ივანეს ძე ამირი-
ძეს, რომელსაც გამოუყენებია რომელიღაც მესამე ჯგუფის
ხელნაწერი.

ვინაიდან C ნუსხაში მოთავსებული ვახტანგ მეექვსის „ან-
ბანთქების“ ქვეშ (ფ. 280) გადამწერის ხელით წერია: „დასრულდა
თბათვის ჩღმა“, ე. ი. 1761 წელს, რაც სინამდვილეს არ შეეფე-
რება. ი. ლოლაშვილი ფიქრობს, რომ ეს ცნობა მექანიკურად
გადმოსულია C-ს დედნიდან და აღნიშნული თარიღი მას ეკუთ-
ვნის⁴. C-ს პროტოგრაფი ნამდვილად იყო თუ არა 1761 წელს
გადაწერილი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რად-
განაც ისედაც ვხედავთ, 1-33 სტროფები ძველ ვითარებას ასა-
ხავს.

⁴ ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, ქაბა მეფისა
თამარისი, ტექსტი გამოსცა გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო
ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1957, გვ. 35-36.

უადრესად მნიშვნელოვანია ის დასკვნაც, რომელიც ი. ლოლაშვილს ხელნაწერთა ამ ჯგუფის მიმართ გამოაქვს: რომ ეს ნუსხები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის და მათ თავ-თავიანთი პროტოგრაფები ჰქონდათ. მისი სიტყვებია: „ოთხეუ ხელნაწერი მომდინარეობს XVII–XVIII საუკუნეებში არსებული ოთხი სხვადასხვა ნუსხიდან. ამ ნუსხების დედნებს ჩვენამდე არ მოუღწევია“ (გვ. 27).

ხელნაწერთა ამ ჯგუფის მიხედვით, თხზულების ავტორია იაკობ შემოქმედელი და ქების ობიექტი – არჩილი. A (56 v) და D-ში (გვ. 12) სათაურად ვკითხულობთ: „თავი, დასაწყისი პირველი (პირუშლი D) სამებულ-შემოქმედელ მიტროპოლიტისა (მიტროპოლიტის D) იაკობისაგან თქმული ქება მეფისა არჩილისა“. A-ში ეს წერია წითელი ფერის მელნით, D-ში – ბაცი ყავისფერი მელნით. უფრო ვრცლად ამასვე გადმოგვცემს C ხელნაწერის სათაურიც: „ქება კახეთისა და იმერეთისა ბატონისა, დ(ვ)თიევიკვირგვინოსნისა და მართმადიდებლისა მეფის არჩილისა, რომელი იყო ნათესაობით დავითიანი და სოლომონიანი, ძე საქართველოს მეფის ვახტანგისა, თქმული გურიულის დუმბაძის იაკობ შემოქმედელისაგან“ (144v).

B-ში სათაური არ არის და, ჩანს, არც მის პროტოგრაფში ყოფილა. გადამწერმა ნიკოლოზ მიქაძემ არ იცის, ვის ეკუთვნის ეს თხზულება, ტექსტის მიხედვით კი ხედავს, არჩილს ეძღვნება. სარჩევში, ანუ, როგორც იქ ეწოდება, ზანდუქში, ვკითხულობთ: „მე(=45). თქმული კეთილად, ქებას ვგონებ არჩილისა უნდა იყოს: საამებით ღმერთმან“ (2v).

ვიმეორებთ, ამ ხელნაწერთა ყველა ტექსტში, თუ იგი დაზიანებული არ არის, ქება მიემართება არჩილს.

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ა დ გამოყოფილია 7 ხელნაწერი: E – A 1164, F – S 1511, G – S 1547, H – S 1516, P – H 779, Q – საქართველოს ცენტრალური არქივის №101, S – იმავე არქივის №201. აქედან მხოლოდ ერთი, S ნუსხა, განეკუთვნება XVIII საუკუნის ბოლოს. იგი გადაწერილია ნიკოლოზ მიქაძის უმცროსი ძმის ამბროსი ნეკრესელის (1728-1812) მიერ, დანარჩენი XIX საუკუნისაა.

E და F გადაწერილია დავით რექტორის მიერ, E – XIX საუკუნის დასაწყისში, 1818 წლამდე. F თარიღიანია. იგი ცნობილი ქართული მწერლობის ანთოლოგიის პირველი წიგნია, გადაწერილია 1821 წელს. G, H და Q-ს ქაღალდი თარიღიანებია.

G-ს ჭვირნიშანი უჩვენებს 1825 წელს, H-სა და Q-ს ჭვირნიშანი – 1819 წელს. P განეკუთვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარს.

თანახმად ი. ლოლაშვილის გამოკვლევისა, ყველა ეს ხელნაწერი სათავეს იღებს B ნუსხიდან. E, Q და S გადაწერილია უშუალოდ მისგან, G და H ნუსხები – B-დან მომდინარე ხელნაწერებიდან, E-დან მოდის F და F-დან – P.

ვინაიდან ხელნაწერთა ამ ჯგუფს საფუძველად უდევს B ნუსხა, ნაწარმოების ავტორი და სახოტბო პერსონაჟი მათში არსებითად იმგვარადვეა წარმოდგენილი, როგორც მათ არქეტიპში, B-შია. ყველა მათგანში, თუ მას შესაბამისი სტროფი დაზიანების გამო არ აკლია, ქება ეძღვნება არჩილს. ქების ობიექტად არჩილივეა დასახელებული სათაურშიც, მაგრამ, თუ ვინ არის ავტორი, ამის ყველგან გვერდი აქვს ავლილი ან პასუხი შეცდომითაა გაცემული.

B-ს მსგავსად, H და S ნუსხებში ჩვენს ნაწარმოებს სათაური არა აქვს. B-ს „ზანდუკის“ ცნობა გამეორებულია Q-ში (4 v), თხზულების დასაწყისი კი მას დაზიანების გამო აკლია.

E-ს სათაურში, B-ს „ზანდუკის“ კვალობაზე, აღნიშნულია, რომ თხზულება არჩილის ქებაა: „*მეფის არჩილის ქება დავითიან-ბაგრატიონისა, თქმული ჩახრუხაულად, რომლისა ჰკსენება საუკუნო იყავნ*“ (34 r). ზუსტად იგივეა გამეორებული F-ში, ოღონდ ბოლოს დამატებულია ერთი სიტყვა – „*ოცმარცვლელი*“ (გვ. 94). ასევეა P-შიც, რომელიც, როგორც ვთქვით, F-დან არის გადაწერილი.

G ნუსხის მიხედვითაც, „ხოტბა“ არჩილს ეხება, ოღონდ, ვინაიდან მისი არქეტიპი B არის, ხოლო, როგორც ვადაწერი ნიკოლოზი გვამცნობს, „*აღიწერა წიგნი ესე ლექსთა მეფის თეიმურაზის ნაბრძანები*“ და იგი, მართლაც, თეიმურაზ პირველის პოეტურ ნაწარმოებებს შეიცავს, G-ს ვადაწერს თუ მის წინამორბედ რედაქტორს საძიებელი თხზულებაც ამ თეიმურაზის ჰგონებია. აქ სათაურია: „*არჩილ მეფის ეპიტაფია დიდის მეფე თეიმურაზისაგან თქმული*“ (გვ. 227).

მაშასადამე, მსგავსად პირველი ჯგუფისა, მეორე ჯგუფის ხელნაწერების მიხედვითაც „ხოტბის“ პერსონაჟია არჩილი, ხოლო, თუ ვინ არის ავტორი, პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, ამაზე ისინი დუმან (გარდა G-სა, რომლის შესახებ უკვე ითქვა).

ამ საკითხებზე სულ სხვა ვითარებაა მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი ს ნუსხებში. ესენია: K – H 391, L – H 811, M – S 3701, N – H

2324, O – A 1411, R – სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის M 15, U – საქართველოს ცენტრალური არქივის №186, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის №9 (S 54) და №15 (S 167) ხელნაწერები და, ბოლოს, ზემოთ აღნიშნული C-ს მეორე ნაწილი.

ყველა ესენი XIX საუკუნის – 1822 წელსა და მომდევნო დროს განეკუთვნება. 1822 წელს არის შექმნილი K და ეროვნული ბიბლიოთეკის №9 ნუსხები. ორივეს გადაწერია დაეითრექტორი. უშუალოდ K-დან არის გადაწერული M, რომლის კალიგრაფი არის გიორგი ავალიშვილი, დამკვეთი ნიკო ჩუბინაშვილი, დრო – 20 თუ 30-იანი წლები, 1837 წლამდე (ქალაქის ჭვირნიშანი უჩვენებს 1818 წ.). M-დან გადაწერილია N (ჭვირნიშანი – 1818 წ.), R და ეროვნული ბიბლიოთეკის №15 ნუსხები. N-ის გადაწერია ისევ გიორგი ავალიშვილი, დამკვეთი – თეიმურაზ ბაგრატიონი. R 1837 გადაწერია სვიმონ ტაბიძეს, ტექსტი პროტოგრაფთან შეუდარებია თეიმურაზ ბაგრატიონს. ეროვნული ბიბლიოთეკის №15 ხელნაწერი 1843 წელს გადაწერია თეიმურაზ აბდუშელიშვილს. O არის 1835 წელს თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ N-დან გადაწერილი ნუსხა. U მომდინარეობს ეროვნული ბიბლიოთეკის №9 ნუსხიდან. იგი გადაწერილია ნიკოლოზ მოსეს ძე ბაღინოვის მიერ 1835 წელს. K-დან იღებს სათავეს L ნუსხაც, რომელიც 30-40-იან წლებს განეკუთვნება.

მაშასადამე, თანახმად ი. ლოლაშვილის დასკვნისა, ე. წ. „აბდულმესიანის“ მესამე ჯგუფის ხელნაწერებს საფუძვლად დაედო K ნუსხა“ (გვ. 32).

აი, ეს მესამე ჯგუფის ხელნაწერებია, „ხოტბის“ ავტორად იოანე შავთელს და ქების საგნად თამარსა და დაეითს რომ წარმოგვიდგენენ. ე. ი. სადაც პირველი და მეორე ჯგუფის ნუსხათა ტქსტში არჩილია ნახსენები, ამ ხელნაწერებში მის ნაცვლად ზოგან თამარი და ზოგან კიდევ დაეითი იკითხება. როცა ამას აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს ტექსტი და ტექსტს დართული მინაწერი. სათაურში კი მხოლოდ თამარია დასახელებული.

ამ ჯგუფის უპირველეს ნუსხაში, K-ში, ხოტბას ორი სათაური მოეპოვება: ერთი თავფურცელზე, მეორე უშუალოდ ტექსტის წინ და ორივეგან აღნიშნულია, რომ იგი თამარის ქებაა. თავფურცელზე არის: „...სტიხნი სამქებაროდ... ელმწიფასა მუფასა თამარ პირველისა... მორთმეული აბდულმესია შავთელისაგან, ...შემგომად

მონაზონებისა მიღებისა... იოანედ წოდებულისა...“. ტექსტის წინ წერია: „...დიდის თამარ მეფას... შესხმა, აბღულმესია შავთელისაგან თქმული“, რომელიც „შემდგომად იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელად იოანე“ (გამეორების თავიდან აცილების მიზნით სათაურები აქ შემოკლებით დავიმოწმეთ, სრულად ქვემოთა მოყვანილი).

ნაწარმოების ბოლო მინაწერში თამართან ერთად, როგორც ტექსტშია, დავითიც არის მოხსენიებული: „დასასრული. ხოლო ჯამი ლექსთა ამათ უკვე თამარ მეფას და მეუღლისა მისისა დავით მეფის ქებისათა იქმნა ას რვა. დავით რექტორი, ალექსოვი ალექსის ძე“ (16 r). ი. ლოლაშვილმა ნათლად და მტკიცედ დაადგინა: „BEF და K ნუსხების შეპირისპირებიდან დოკუმენტურად მტკიცდება, რომ დავით რექტორს K ხელნაწერის გადაწერისას ხელთ ჰქონდა მხოლოდ BE და F ნუსხები“ (გვ. 32).

მტკიცე და ურყევეია აგრეთვე მისი დასკვნა, რომ „მეორე და მესამე ჯგუფის ნუსხების საერთო წყაროა პირველი ჯგუფის B ნუსხა. მაშასადამე, ტექსტის დადგენისას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს EFHKL MNOPRSQU (და ეროვნული ბიბლიოთეკის – ბ. დ.) ხელნაწერებს. ესენი საეჭვო საკითხების საკონტროლოდ თუ გამოადგებიან და ისიც მეორე ჯგუფის EFHG და მესამე ჯგუფის K ნუსხები. ძირითადი ტექსტოლოგიური მუშაობა უნდა წარიმართოს ABCD ნუსხების მონაცემთა საფუძველზე“ (გვ. 35).

სამწუხაროდ, ეს უტყუარი ტექსტოლოგიური დასკვნები ავტორის ვინაობისა და ქების ობიექტის დადგენისას ჯეროვნად გამოყენებული არ არის. პირველი და მეორე ჯგუფის ხელნაწერთა ფაქტობრივ მონაცემებს ი. ლოლაშვილი „უცნაურს“ უწოდებს და იზიარებს მესამე ჯგუფის ხელნაწერთა ცნობებს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხედავს, როგორ და საიდან მოდიან ისინი. „ირაკვეა – წერს მკვლევარი, – მეტად უცნაური ფაქტი: მთელი XVII საუკუნის მანძილზე, ასევე, XIX საუკუნის 20-იან წლებამდე «აბღულმესიანის» არც ერთმა გადამწერმა არ იცის, რომ «არჩილ მეფის ქების» სათაურით ცნობილი თხზულება, რომელსაც ისინი ხელნაწერებად ავრცელებენ, წარმოადგენს კლასიკური ხანის ძეგლს – თამარ მეფისა და დავითის შესხმას. მათ არც პოემის ნამდვილი ავტორის ვინაობა იციან. პირველი ჯგუფის ნუსხათა გადამწერლებს ჰგონიათ, რომ შესხმის ავტორია იაკობ შემოქმედელი, მეორე ჯგუფის გადამწერლებმა კი არ იციან არა თუ ავტორის, არამედ ინტერპოლატორის ვინაობაც“ (გვ. 30). ინტერპოლატორად, ცხადია, იაკობ შემოქმედელი იგულისხმება.

მაშ, ასე: საკვლევი თხზულების ადრინდელი ხელნაწერები ავტორად ასახელებენ იაკობ შემოქმედელს, ქების ობიექტად – არჩილს. ეს მონაცემები პირველად შეცვალა დავით რექტორმა და ამით მან გზა გაუხსნა ახალ შეხედულებას, თითქოს ეს ნაწარმოები „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები „აბდულმესია“ იყოს. ი. ლოლაშვილი გადაჭრით წერს: „დავით რექტორის მიხედვით XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურათმცოდნეობაში ერთგვარ აღმოჩენას წარმოადგენდა. აბდულმესიანის რექტორისეულმა რედაქციამ საშუალოდ განდევნა შემოქმედელის რედაქცია და მეცნიერთა შორის განამტკიცა მოსაზრება, რომ მანამდე «არჩილ მეფის ქება» მიჩნეული თხზულება «თამარისა და დავით სოსლანის შესხმა»“ (გვ. 45).

რა წყარო ჰქონდა დავით რექტორს?

ი. ლოლაშვილის აზრით, დავით რექტორი ამას „პოემის შინაარსობრივი ანალიზით“ მიხვდა. ამავ დროს, მის ხელთ სხვა „ბიბლიოგრაფიული ცნობებიც“ „უნდა ყოფილიყო“. მეცნიერი ასე მსჯელობს: „1822 წელს მან ნაწილობრივ ამოიწო აბდულმესიანის საიდუმლოება: პოემის შინაარსობრივი ანალიზისას ის მიხვდა, რომ «არჩილ მეფის ქების» სახელით ცნობილი თხზულება არ წარმოადგენს XVII საუკუნის პოეტური აზროვნების ნაყოფს, არამედ ის არის თამარის ეპოქის ძეგლი, რომელშიც შექმნილი არიან გვირგვინოსანი ცოლ-ქმარი – თამარი და დავითი. ამიტომ მან პოემას სათაური შეუცვალა, ტექსტიდან არჩილის სახელი ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა ზოგან «თამარი», ზოგანაც – «დავითი», იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტს რომელი სახელი შეეფარებოდა. დავით რექტორმა იცოდა, რომ შავთელი იყო თამარის დრინდელი პოეტი. მან იცოდა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ცნობა «აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა», და ბოლოს მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოდწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ, რომელთაც აფიქრებინეს დავითს, რომ მას ძეგლის ავტორად იოანე შავთელი მიეჩნია“ (გვ. 33).

ადრე ამგვარივე ძველი ბიბლიოგრაფიული ცნობის არსებობას ვარაუდობდა აგრეთვე ალ. ბარამიძე. თუმცა ის აღიარებდა, რომ მესამე ჯგუფის „ხელნაწერების წარწერილობა... სახოტბო პოემის თამარ მეფისადმი განკუთვნის შესახებ“, „თვითონ წარწერილობის ტექსტის არსებული რედაქცია გვიანდელი წარმოშობისა“, მაგრამ მაინც ფიქრობდა: „ხელნაწერების ამ მოწობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა ადრინდელი ლიტერატურული ტრადიცია, რომლის კვალი დღესდღეობით წარზოცილია“ (გვ. 108).

ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ამ მოსაზრების სასარგებლოდ „აღორძინების ხანის“ ლიტერატურაში არავითარი საბუთი ან ცნობა, ან კიდევ რაიმე კვალი მათი არსებობის შესახებ არ მოიპოვება. პირიქით, ყველაფერი საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. ნათელსა და უცილობელს ვერც ტექსტი იძლევა.

თუ დავით რექტორის მიერ გადაწერილ „ხოტბის“ ნუსხებს დაუუკვირდებით, აშკარად ვიგრძნობთ იმ ფსიქოლოგიურ წანამძღვრებს, რამაც განსაზღვრა მისი თვალსაზრისის ჩამოყალიბება.

ჩანს, ამ ნაწარმოების რაობის განსაზღვრაში საბედისწერო როლი შეასრულა რამდენიმე გარემოებამ. უპირველესად იმან, რომ დავით რექტორის ხელში მოხვდა B ხელნაწერი, ისეთი ნუსხა, სადაც თხზულება უსათაუროა და სარჩევში ვერაუდის სახით არის ნათქვამი, თუ რა არის იგი: „...ქებას ვგონებ არჩილისა იყოს“. მეორე ის, რომ ფორმითა და შინაარსით ჩვენი თხზულება ჩახრუხაძის „თამარიანს“ ჰგავს და ეს ძალაუნებურად ქართული კლასიკური მწერლობისაკენ გვახედებს. მესამე: ნაწარმოებში გამოკვეთილად, ხელშესახებად არ ჩანს, ვინ არის შექმნილი. მასში ასახული ხოტბა კი იმდენად ზოგადი და გაზვიადებულია, რომ არაფრით არ შეეფერება რეალურ არჩილს, ხოლო ტრადიციის შესაბამისად, რომელიც მნიშვნელოვანწილად დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსებმა დანერგეს, რამდენადმე მაინც, ყოველ შემთხვევაში არჩილთან შედარებით, უფრო კლასიკური დროის მეფეებსა და მათ ხანას მიესადაგება. ამათ ემატებათ „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ეპილოგში ნახსენები ორი თხზულება არ ჩანს.

დავით რექტორმა, სანამ თავის შეხედულებას შემოეშავებდა, მანამდე, როგორც ვთქვით, „ხოტბა“ ორჯერ, 1818 წლის ახლოს E და 1821 წელს F, გადაწერა და ორივეჯერ ის არჩილის ქებად აღიარა: „მეფის არჩილის ქება დავითთან-ბაგრატიონისა...“ ამავე დროს, დამატებით მიუთითა, რომ იგი ჩახრუხაულის ფორმის სახოტბო ნაწარმოებია. ორივეგან წერს: „...ქება ჩახრუხაულად...“ მეორე ნუსხაში კი უმატებს – „ოცმარცვლადი“. იმავე F-ში მთელი „ოდის“ მანძილზე ფურცლების თავში, ზედა არშიაზე წერია: „მეფე არჩილის ქება ჩახრუხაულად“. „მეფე არჩილის ქება“ მარცხნივ, ფურცლის V-ზეა მოთავსებული, „ჩახრუხაულად“ – მარჯვნივ, I-ზე.

როგორც ვხედავთ, როცა დავით რექტორი საძიებელი თხზულების რაობაზე ფიქრობს, მის ცნობიერებაში ჩახრუხაძე და მისი ნაწარმოები ტრიალებს. ამის შედეგია, რომ მომდევნო,

1822 წლის, იანვარში მას ერთ კრებულში, K-ში, შეაქვს ჩვენი თხზულება და „თამარიანი“ და იქ ასე უცებ ჩვენს ნაწარმოებს ჩახრუხადის დროინდელ ძეგლად და, „თამარიანის“ კვალობაზე, თამარის და დავითის ქებად აცხადებს.

თუ E-სა და F-ში „ხოტბას“ მოკლე სათაური აქვს, K-ში მას დავით რექტორი „თამარიანის“ სათაურის მსგავსად, ავრცობს. F-ში „თამარიანის“ სათაურია: „სრულიად საქართველოს სამეფოთა, ქართლ-კახეთ-იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხუთა მპყრობელის, ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფის ქება ჩახრუხას ძისაგან, რომელი იყო ადგილთაგან არაგვსათა, თემით მოხვეე, მისივე მეფის თამარის მდივანი. ესე მან დალექსა ოცმარცულოვნად, თითოსა ტაეპსა შინა წყობილად და მის გამო უწოდებენ ქართუელნი ჩახრუხაულსა“ (გვ. 146 v).

როდესაც დავით რექტორმა K გადაწერა, „თამარიანის“ ეს სათაური მცირეოდენი შეოკლებით გაიმეორა: „სრულიად საქართველოს, ქართლ-კახეთ-იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხუთა მპყრობელის, ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფას ქება ჩახრუხას ძისაგან, რომელი იყო ადგილთაგან არაგვსათა, თემით მოხვეე. ესე მან დალექსა ოცმარცულოვნად თითოსა ტაეპსა შინა წყობილად და მის გამო უწოდენ ქართუელნი ჩახრუხაულსა“ (გვ. 20 r).

ამავე K-ში, როგორც ვთქვით, ჩვენთვის საინტერესო „ხოტბას“ ორი სათაური აქვს და ორივე იმგვარივე ცნობებითაა გაერცობილი, რაც ზემორე დამოწმებულ „თამარიანის“ სათაურს ახასიათებს. თუ E-სა და F-ში ჩვენი „ხოტბის“ სათაურია: „მეფე არჩილის ქება დავითიან-ბაგრატიონისა, თქმული ჩახრუხაულად, რომლისა ჰხსენება საუკუნო იყავნ (+ოცმარცულები F)“, K-ს თავფურცელზე ვკითხულობთ: „პოემა, ანუ მშუშნიერ სიტყუობითთა ველოვნებითა შეწყობილინი სტიხნი, სამქებარო სახელოვნისა და ძლევით განთქმულისა ველმწიფასა მეფასა თამარ პირველისა, ნ მეფის, 3 გიორგის ასულისა ბაგრატიონისა, სრულიად ქუენა-ზუნათა ივერიისა და სხუთა თვთმპყრობელისა და მრავალგზის მრავალთა მტერთა მძლეველისა, ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული აბღულმესია შავთელისაგან პირველ ყოფილისა მდივნად ღირსახსოვარისა მის მეფადს და შ(ემღვდომ)ად მონაზონებისა მიღებისა მას მონასტერსა შინა იოანენდ წოდებულისა“ (3 r).

უშუალოდ ტექსტის წინ წერია: „ღიდის თამარ მეფას, გიორგის მეფის ასულის, დავითიან-პანკრატიონისა შესხმა, აბღულმესია შავთელისაგან თქმული (ესე იგი მონა ქრისტესი). ამან მართვა გელათილამ მეფასა თამარს, რ(ომელ)ი იყო მდივანი მეფის თამარისა და

შემდგომად იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელად იოანე, რ(ომე)ლ(მა)ნ მრიგო ცხოვრება თვისი გელათსა შინა, რომლისათვის იტყვს რუსთაველი შოთა – «აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქვს რომელსა»“ (4f).

იმოწმებს, რა ამ ბოლო სათაურს, ე. მეტრეველი სამართლიანად წერს: „სათაურის აღწერითი ხასიათი მოწმობს, რომ ის ძველი ხელნაწერიდან კი არ მომდინარეობს, არამედ შედგენილია ცნობილი წყაროების გამოყენებისა და შეთანხმების შედეგად“ (გვ. 92).

„თამარიანის“, მისი სათაურის F-ისეული რედაქციის გავლენა ჩვენს ნაწარმოებსა და მის სათაურზე იქიდანაც ჩანს, რომ ამ ნუსხასა და K-შიაც „თამარიანის“ სათაური ამ ნაწარმოების თემად მხოლოდ თამარის ხოტბას აღიარებს, მაშინ როდესაც მის ტექსტში თამართან ერთად დავითიც არის შექტებული. როგორც ვხედავთ, ზუსტად ამგვარივე ვითარებაა K-სა და მის მიმდევარ ნუსხებში შესულ ჩვენთვის საინტერესო ძეგლშიაც.

ასე რომ, ყოველი მხრიდან ჩანს, მესამე ჯგუფის ხელნაწერებში წარმოდგენილი თვალსაზრისი საძიებელი თხზულების რაობის შესახებ დავით რექტორის ვარაუდია და მას წინარე ხელნაწერებში რაიმე ხელჩასაჭიდი საფუძველი არ გააჩნია.

ე. მეტრეველს გამოთქმული აქვს მოსაზრება, თითქოს იაკობ დუმბაძისეული რედაქციის ხელნაწერებში თამარისა და დავითის ხსენების კვალი ჩანდეს. „ქება რომ ნამდვილად კლასიკური ხანისაა, – წერს იგი, – ამას... კარგად ხედავდნენ XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამლევის მწიგნობრები, რომელთაც პირველად შეხედეს ეჭვის თვალთ იაკობ დუმბაძის «პლაგიატს». ეჭვის საფუძველს ხელნაწერებიც იძლეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იაკობ დუმბაძეს მეთოდურად ამოუშლია ქებიდან დავითისა და თამარის სახელები, ერთ-ორ ადგილას ქების დუმბაძისეულ ვარიანტში ისინი მაინც გააარულა. მაგ., ხელნაწერი A-656. ხელნაწერის 53-ე სტროფში არჩილის ნაცვლად თამარია დატოვებული, სხვაგან დავითიც ჩანს“⁵.

აღნიშნული შეუსაბამობა არსებობს მხოლოდ ერთადერთ, ზემოთ დასახელებულ C (A 656) ხელნაწერში, რომელსაც გაუგებრობა ადრე სხვებთანაც გამოუწვევია და რომლის წარმოშობის მიზეზი ი. ლოლაშვილმა ე. მეტრეველის ნაშრომის გამოქვეყნებამდე ორი წლით ადრე გაარკვია. ი. ლოლაშვილი წერს: ამ ხელნაწერის „სათაურის მიხედვით, პოემას ეწოდება არჩილ მეფის ქება, ბინაწერით კი «მეფის თამარის ქება-შესხმანი»“. ეს წინა-

⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 91-92.

აღმდეგობა შენიშნა ალ. ბარამიძემ, მაგრამ მას ამისი ახსნა არ მოუცია (მითითებულია: ნარკვევები, I, 1945, გვ. 106. – ბ. დ.). ხელნაწერის პალეოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ C-ტექსტი გადაწერილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნუსხიდან. მისი პირველი ნაწილი 33-ე სტროფის ჩათვლით (146 r) გადაწერილია 1836-1841 წლებში 1761 წელს გადაწერილი, ჩვენამდე არმოღწეული ნუსხიდან, რომელშიც ჰომის ტექსტი ნაკლულად ყოფილა დაცული. გადარჩენილი 33 სტროფი მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით A ნუსხას მისდევს... რაც შეეხება C-ს მეორე ნაწილს (34-ე სტროფიდან ბოლომდე), ის შევსებულია დავით ამირიძის მიერ 1877 წელს მესამე ჯგუფის რომელიღაც ხელნაწერიდან, რომელშიც არჩილის ნაცვლად მოხსენიებული ყოფილან თამარი და დავითი. ამით აიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელიც შეინიშნება ზედწარწერილსა და ბოლო მინაწერს შორის“ (ძველი მესობტენი, II, გვ. 25), ანუ, ჩვენ დავეუმატებდით, ძველ და ახალ ნაწილებს, ტექსტებს შორის.

ამრიგად: ხელნაწერული მემკვიდრეობა ნათლად და მტკიცედ გვიჩვენებს, რომ ამჟამად „აბღულ-მესიანად“ შერაცხილი ნაწარმოები იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის და არჩილის ქებას გამოხატავს.

III. „აღორძინებისა“ და მომდევნო ხანის მწერლობის მონაცემები

რაც აღნიშნულ საკითხზე ხელნაწერთა მემკვიდრეობამ მოგვცა, იმავე შედეგებს იძლევა 1822 წლის წინანდელი მწერლობის მონაცემებიც. არც აქედან ჩანს, რომ ვინმე ე. წ. „აბდულ-მესიანს“ ძველ ქმნილებად მიიჩნევდეს. პირიქით, ვინც კი ეხება მას, იაკობ შემოქმედელის ავტორობას უჭერს მხარს. ეს მონაცემებიც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, მაგრამ ჯეროვანი დასკვნები არც აქედანაა გაკეთებული.

1. არჩილიდან თეიმურაზ ბაგრატიონამდე

უპირველესად აღსანიშნავია არჩილის პოზიცია, რომელიც ფაქტობრივად დასტურია იმისა, რომ საძიებელი ხოტბა მისდამია მიძღვნილი და იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის. არჩილი „აბდულ-მესიანს“ არსად არ ახსენებს. ამის გამო ალ. ბარამიძე წერს: „განცვიფრებას იწვევს... არჩილის დუმილი, ის არაფერს ამბობს შავთელისა და «აბდულ-მესიანის» შესახებ თავის ცნობილ ტრაქტატში «ძველთ და ახალთ საქართველოს მელექსეთა(თვის)». მეორე მხრით კი იაკობ ღუმბაძის თაობაზე იძლევა გაურკვეველ და ბუნდოვან ცნობას“¹.

მეცნიერი იმოწმებს იაკობ შემოქმედელისადმი მიძღვნილ სტროფს, სადაც მეფე-პოეტი ბოლოს აღნიშნავს, რომ იგი „სრულად იმისთვის არ ეაქე, რომ იყო ჩემი მოძარი“.

არჩილის ეს ცნობა „გაურკვეველი და ბუნდოვანია“ იმდენად, რამდენადაც აქედან არ ჩანს, თუ მას იაკობის რომელი ქება აქვს მხედველობაში – ერთსტროფიანი ლექსი („მხნე-ახოვან-ქველ-დიდებულ...“) თუ ე. წ. „აბდულ-მესიანი“. ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ არჩილი ამ ბოლო თხზულებაზე უნდა მსჯელობდეს. „მოტანილი სტროფის უკანასკნელი ტაეპი – წერს იგი, - თითქოს «აბდულ-მესიანს» უნდა ჰგულისხმობდეს, სწორედ ამ ტექსტის ღუმბაძისეულ რედაქციაშია არჩილი შექმნილი განსაკუთრებული ზვიადობით, თუმცა ცნობილია იმავე იაკობ ღუმბაძის კუთვნილი ერთი სხვა ერთსტროფიანი ქება არჩილისა“ (იქვე).

ალ. ბარამიძეს კიდევ უფრო გასაოცარ ამბად ესახება ის,

¹ ნარკვევები, I, გვ. 107.

რომ მეფე-პოეტი თავის საქებარ ნაწარმოებად „აბდულ-მესიანის“ ტექსტს გულისხმობს: „მაგრამ, თუ ტრაქტატის ტექსტი მართლაც «აბდულ-მესიანის» შეეხება, მაშინ უცნაურია არჩილის პოზიცია. გამოდის, რომ პოეზიის ჩინებულ დაბფასებელსა და ლიტერატურული მემკვიდრეობის პირველ სერიოზულ კლასიფიკატორს შვედულად აუხვევია გვერდი კლასიკური პერიოდის შესანიშნავი პოეტური თხზულებისათვის. არჩილს ამით, ერთგვარად თითქოს დაუდასტურება იაკობ ღუმბაძის მხრით «აბდულ-მესიანის» ავტორობის მისაკუთრების ფაქტი. არ შეიძლება, არჩილს არ სცოდნოდა «აბდულ-მესიანის» ადრინდელი წარმოშობის გარემოება, სხვა არა იყოს რა, არჩილს, ალბათ, მოეხსენებოდა რუსთველური სტროფის მოწმობა: «აბდულ-მესია შავთელსა...»“ (გვ. 107-108).

მიუხედავად ყოველივე ამისა, ალ. ბარამიძე დაასკენის: „მე შეუძლებლად მიმაჩნია, დაისვას საკითხი «აბდულ-მესიანის» გვიანდელი წარმოშობისა და იაკობ ღუმბაძის ნამდვილი ავტორობის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერთან ერთად, აუხსნელი დარჩებოდა არჩილის თამარით მოულოდნელი შენაცვლება (? - ბ. დ.). ერთი სიტყვით, «აბდულ-მესიანის» მიმართ ადგილი მისცემია რაღაც უცნაურ და კუროზულ ისტორიულ-ლიტერატურულ გაუგებრობას“ (გვ. 108).

ალ. ბარამიძე პირდაპირ არ ამბობს, იცოდა თუ არა არჩილმა ან მაშინდელმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ, რომ აღნიშნული „მკობა“ იოანე შავთელის ნაწარმოების შეცვლილი ვარიანტია. ის მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, რომ ამას არც ერთი და არც მეორე მხრიდან რაიმე უარყოფითი გამოხმაურება არ გამოუწვევია. ალ. ბარამიძის სიტყვებია: „XVII საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შეუფერავი ლიტერატურული «პლაგიატობა» ჩაუდენია, მიუთვისებია კლასიკური პერიოდის პოეტური ძეგლი, ადრინდელი სახელმწიფოებრივი მეფე-პატრონის ქება შეუცვლია თანადროულ მეფე-პატრონის ქებით და ამას არც ლიტერატურული საზოგადოების (რამდენადაც ეს ჩვენ ვიცით) და არც თვით ახლად შექმბული ზნე-ფაქიზი მუჟის გულისწყრომა არ გამოუწვევია. მართალია, საცთური ყოფილა, «აბდულ-მესიანის» ზოტბის საგანი შექმბულია ზოგადი, განყენებული და იშვიათად ინდივიდუალიზირებული სახეებით, მაგრამ მაინც უცილობელი რჩება ფაქტი ძველის პირწავარდნილი მითვისებისა“ (გვ. 108).

ი. ლოლაშვილი კარგად ამჩნევს, რომ არჩილი შესანიშნავად იცნობს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ტექსტს. ხედავს იმ საერთოს, რომელიც მასა და მეფე-პოეტის ვრცელ ლექსში, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელში“, არის, მაგრამ, მისი ფიქრით,

არჩილმა არ იცის, რომ მისადმი მიძღვნილი ეს თხზულება ძველი ძეგლი, იოანე შავთელის ნაწარმოებია. მეკლევარი წერს: პოემის „ერთ-ერთი ძველი ხელნაწერი ცნობილი ყოფილა არჩილისათვის. ეს პოეტიც თავის ლექსებში აქა-იქ სიტყვა-სიტყვით იმეორებს აბდულმესიანის ომონიმურ თქმებს (შღრ.: «მეფეთა», სტრ. 4,1; 12,4; 23,3; 26,3; 27,3; 77,1 და სხვა). მაგრამ საყურადღებოა, რომ [...] პოეტი არაფერს ამბობს შავთელისა და მისი თხზულების შესახებაც [...] არჩილს ხელთ უნდა ჰქონოდა ნასწორები, ე. ი. იაკობისეული რედაქცია, რომლის გავრცელება ხელნაწერებად XVII საუკუნის მიწურულს უნდა დაწყებულიყო“².

თუ არჩილთან ყველაფერი პირდაპირ ნათქვამი არ არის და ზოგი რამ საეარაუდოა, მამუკა ბარათაშვილი ყოველგვარი ორტოფობის გარეშე გვეუბნება, რომ იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის არჩილის ქება, რომელიც იმგვარივე ნაწარმოებია, რაც ჩახრუხაძის „თამარიანი“. მის ვრცელ ლექსში „ქება მეფის ბაქარისა“ ვკითხულობთ:

„იაკობ მზაძეს და ჩახრუხაძეს ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწყებად - არჩილ და თამარ, არა მათ ამარ, დაერჩი ბაქარის მე მონა მქებად“³.

ი. ლოლაშვილი აქაც ფიქრობს, რომ, მსგავსად არჩილისა, არც მამუკა ბარათაშვილმა იცის, თუ რას წარმოადგენს არჩილის სახოტბო ნაწარმოები. „აქედან ირკვევა, - წერს იგი, - რომ იაკობს «აბდულმესიანის» მითვისებით მალე კარგი მეხოტბის სახელი მოუხვეჭავს და იგი ჩახრუხაძის გვერდითაც დაუყენებიათ. არჩილს ან მამუკას რომ სცოდნოდათ, თუ მათ რა ძეგლთან ჰქონდათ საქმე, ან ვინ იყო მისი ნამდვილი ავტორი, ისინი ამის შესახებ რაიმეს იტყოდნენ; შავთელის მიმართ დუმილი იმით უნდა ავხსნათ, რომ მათ «აბდულმესიანი» იაკობის შეთხზული ჰგონიათ“ (გვ. 44).

ი. ლოლაშვილს საქმის ვითარება ასე წარმოუდგენია: „XVII საუკუნის მეორე ნახევარში პოემის თითო-ოროლა ხელნაწერსა და მოუღწევია, ისიც ავტორის ვინაობის აღუნიშვნელად. ალბათ, ამ გარემოებით ისარგებლა იაკობ შემოქმედელმა, როდესაც მან ეს ძეგლი «არჩილ მეფის ქებად» გადააკეთა და თავისი სახელით გაავრცელა. საპირისპირო შემთხვევაში, იაკობი ამგვარი ცდუნების გზას არ დაადგებოდა (მისი ყალბისმქმნელობა გამოჩნდებოდა). ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მკითხველ საზოგადოებაში

² მეხოტბენი, II, გვ. 44.

³ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გივი მიქაძემ, თბ., 1969, გვ. 41, სტროფი 15.

ვრცელდება აბდულმესიანის იაკობისეული რედაქცია, ჰოების ძველი რედაქცია კი ან თვით იაკობმა მოსპო, ან კიდევ უაბთა სიავემ იმსხვერპლა“ (გვ. 44).

ობილად რომ ვთქვათ, თუ ტენდენციური არ ვიქნებით და წინასწარ შემოქმედებული მიზანდასახულობით არ ვიმოქმედებთ, ამგვარი მსჯელობა და ამ გზით მიღწეული შედეგები ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელია.

დავიწყოთ იმით, რომ ვიკითხოთ: რა რჯიდა, რა გასაჭირი ადგა იაკობ შემოქმედელს ისეთი, რომ ამგვარი ყალბისმქმნელობა ჩაედინა? თუ მას ვინმეს სახოტბო თხზულების შექმნა სურდა, ვრცელი ლექსის – „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ავტორს განა იმის ძალა არ შესწევდა, რომ ეს განზრახვა თავად შეესრულებინა და სხვისი ნამუშევარი არ მიუთვისებინა? ვერ გავიზიარებთ აკაკი ხინთიბიძის შეხედულებას, თითქოს „*მეფეთა კარზე ამგვარი ტრადიცია არსებობდა*“, რომ „მეფის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით [...] მისი შემოკობა-განდიდება რომელიმე ადრინდელი ხოტბის მიხედვით“ ხდებოდა⁴. ამის მაგალითებად, როგორც მკვლევარი ასახელებს, მამუკა ბარათაშვილის ბაქარ მეფისადმი და ამბროსი ნეკრესელის ვახტანგ ბატონიშვილისადმი მიძღვნილი საქებარი ლექსები არ გამოდგება. არ გამოდგება არც არჩილის სიტყვები – „*შოთას რად ვერ წაბაძესო*“ ან „*ვინ ვერ მიჰყვეს რუსთელის თქმულსა, ... მეღექსობა არ შეშენისო*“. ერთია ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით, წაბაძვით შეთხზული მხატვრული ქმნილებანი და მეორე – ორიოდ ცვლილების შეტანის შემდეგ მთლიანი ნაწარმოების მითვისება და სხვისთვის მიძღვნა.

ბოლოს და ბოლოს, რა შეცვალა ან რა შეიძლებოდა შეეცვალა იაკობ შემოქმედელს იმ ტიპის ქმნილებაში, როგორიც საძიებელი ნაწარმოებია?

ალ. ბარამიძე გადაჭრით აღნიშნავდა: „*იაკობ შემოქმედელს ერთგვარად მიუთვისებია შესანიშნავი სახოტბო ძეგლის შუამზარეული ტექსტი, მას მხოლოდ თამარის სახელი ამოუკვეთია ჰოშიდან და სანაცლოდ ჩაუსვამს არჩილი, სხვა მხრით ტექსტისათვის სრულიად არ უხვია ხელი*“ (დასახელებული „ნარკვევები“, გვ. 107)

ი. ლოლაშვილი კი წერს: „*ჩვენ არ ვიცით, იაკობმა, სათაურისა და სახელების შეცვლის გარდა, ძეგლში სხვა რა შესწორება შეიტანა*“ (გვ. 37).

⁴ იაკობ შემოქმედელი, გვ. 38.

საკამათო თხზულების სტროფები ისე მონოლითურადაა ჩამოსხმული, რომ მასში ფართო რედაქციული ცვლილებების შეტანა ნაკლებ საფიქრებელია, თითქმის გამორიცხულია. შინა-არსობრივად კი იგი იმგვარია, აღნიშნული თვალსაზრისით იაკობს შესაცვლელი არაფერი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, არჩილისაკენ რაიმე გადახრა არსად შეიმჩნევა! ასე, რომ, ხელთა გვაქვს სხვაობა მხოლოდ სათაურსა და სახელებში. და მერე რამდენია სახელთა ეს ცვლილება, სადაც „არჩილს“ „თამარი“ და „დავითი“ ენაცვლება? – ოთხად-ოთხი შემთხვევა! აი, ისინიც:

ა. მეორე სტროფის პირველი სტრიქონი:

„შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, არჩილს
ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა“.

ასეა პირველი-მეორე ჯგუფის ხელნაწერებში, მესამეშია – „თამარს“, ნ. მარისა და ს. კაკაბაძის (ორივე) გამოცემებში – „დავითს“.

ბ. მე-6 სტროფის მე-3 სტრიქონი:

„არჩილ ძლიერი, მხნედ საშინელი, უფლებს და
მთავრობს ურჩთ-შემწველობა“.

აქ მესამე ჯგუფის ხელნაწერებში, გარდა K ნუსხისა, იკითხება „დავით“, K-შია „თამარ“.

გ. მე-11 სტროფის პირველი სტრიქონი:

„არჩილ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკედავთ
წყაროსა, ცის სამყაროსა...“

აქ მესამე ჯგუფის ყველა ხელნაწერშია „თამარ“, პ. იოსელიანის, ნ. მარის, ს. კაკაბაძის (ორივე) და მ. ჯანაშვილის (ორივე) გამოცემებში არის – „დავით“.

53-ე სტროფის მესამე სტრიქონი:

არვეთა ვსებით არ ვეთავსებით სიბრძნისა ზღვასა
არჩილ-პირმშოსა“.

აქაც მესამე ჯგუფის ხელნაწერებშია „თამარ“, ნ. მარისა და ს. კაკაბაძის (ორივე) გამოცემებში – „დავით“.
ეს არის და ეს!

ნუთუ იაკობ შემოქმედელი ისე ზერელე (რომ არ ვთქვათ, უგუნური!) და თავხედი კაცი იყო, რომ ამ ცვლილებებით დაკმაყოფილდა და გაბედა, მეფისა და პოეტისათვის სხვისი ნაწარმოები მიერთმია! თუკი ასეთ კრიმინალს სჩადიოდა, განა მოსალოდნელი არ იყო, ორიოდვე ისეთი სტროფი მაინც შეეთხზა და ჩაერთო, რომლებშიც არჩილის ცხოვრებიდან რაიმე ცნობილი და დამახასიათებელი ამბავი იქნებოდა გადმოცემული?

დავუშვათ, იყო ასეთი ზერელე და თავხედი, ისეთი ძალა საიდანღა ჰქონდა, რომ მოესპო ყველა ძველი ხელნაწერი, სადაც თავდაპირველი ვითარება იქნებოდა ასახული? ალ. ბარამიძე წერს: „სახოტბო პოემის თამარ მეფისადმი განკუთვნილ შესახებ ხელნაწერების ამ მოწმობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა ადრინდელი ლიტერატურული ტრადიცია, რომლის კვალი დღესდღეობით წარსოცილია იქნებ იმავე დუბაძის ლიტერატურული მოღვაწეობის წყალობითაც“ (გვ. 108). ი. ლოლაშვილის ახსნით, „პოემის ძველი რედაქცია კი ან თვით იაკობმა მოსპო, ან კიდევ ჟამთა სიყვამის იმსხვერპლა“ (გვ. 44).

ყოვლად დაუჯერებელია, იაკობ შემოქმედელი ასე ძლიერ მოსილი პიროვნება ყოფილიყო! სწორად სჯის აკაკი ხინთიბიძე: „განსაკუთრებით დაუჯერებელია იაკობ შემოქმედელისაგან, «აბლუმესიანის» მისაკუთრების მიზნით, პოემის ძველი რედაქციების მოსპობა. აბა, როგორ იფიქრებდა «შორსმჭკრეტელი ბრძენი მამამთავარი», რომ მაშინდელ საქართველოში – სამი მეფის, ხუთი მთავრისა და სამი ერისთავის კარზე, რომ არაფერი ვთქვათ ეკლესია-მონასტრების ბრავლერიცხოვან წიგნთსაცავებზე, «აბლუმესიანის» მხოლოდ ის ორიოდვე ხელნაწერი არსებობდა, რომლებიც მის ხელთ იყო და, თუ მათ მოსპობდა, პოემის არსებობის კვალსაც გააქრობდა.

არც ის არის სარწმუნო, რომ იაკობი მეფე-პოეტის მოტყუილებას იკადრებდა ან გაბედავდა. ხომ შეიძლებოდა, ღიდად განსწავლულ ხელმწიფეს სცოდნოდა კიდევ ან შეიძლებოდა გაეგო «აბლუმესიანის» არსებობა?» (გვ. 42).

კარგი, ადვილად შეველიეთ და გავწირეთ იაკობ შემოქმედელი, რა გამოდის – ვინ ყოფილა არჩილი?

ალ. ბარამიძისა და ი. ლოლაშვილის მსჯელობიდან გამომდინარე, არჩილი, იმავე ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს „ზნეფაქიზი“, „პოეზიის ჩინებული დამფასებელი და ლიტერატურული მემკვიდრეობის პირველი სერიოზული კლასიფიკატორი“, გვინდა თუ არ გვინდა, თვალსა და ხელსშუა მაგრად გველანძღება: მეფე-პოეტი ან იმდენად უეციკია, რომ ადვი-

ლად გააცურა მღვდელმთავარმა იაკობ შემოქმედელმა და ვერ ატყობს, რას წარმოადგენს მისადმი მიძღვნილი მხატვრული კმნილება, ან იმდენად ხარბი და სულმოკლეა, რომ იცის, მაგრამ შეიფერა და მიითვისა იგი და არ აწუხებს, რომ ქართულ კულტურას დაეკარგა ძველი ძეგლი.

ერთიც და მეორეც აბსურდია!

თუ რა „ზნეფაქიზად“ ეპყრობა არჩილი სხვის ნაშრომს, ამისი საუკეთესო დასტურია მისი დამოკიდებულება გარსევან ჩოლოყაშვილის ერთი ჩვეულებრივი პოეტური სტრიქონისადმი. „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ მეფე-პოეტი გარსევან ჩოლოყაშვილის შესახებ გვაუწყებს:

„ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაებია:

კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა, რა ე ბია?

ესევე სჯობს, რაც მასშია, მისგან მონახსენებია:

„ფული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია“ (30).

„არჩილიანის“ გამოცემებში აღნიშნულია⁵, რომ სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების M-19 (ძველი ნომერი M-22) ნუსხაში, რომელიც 1705 წელს არჩილის ხელმძღვანელობით დავით თურქისტანიშვილის მიერ არის გადაწერილი, ბოლო სტრიქონს წითურით ახლავს შენიშვნა: „ეს ბოლო ერთი სტრიქონი გარსევანის ნათქვამია. არ მაბიძარავს, მაგრამ სიტყვამ მოახლინა“.

მწერალი ერთი, ვიმეორებთ, უმნიშვნელო სტრიქონის მიმართ ასეთ სიფრთხილესა და სიფაქიზეს იჩენს და ჩვენ კი რას ვწამებთ მას!

2. რას გვიჩვენებენ დანარჩენი მოღვაწენი?

სხვა რაიმე ძველი და უცნობი მასალა მათ არ გააჩნიათ. ზუსტია ი. ლოლაშვილის სიტყვები: „XVIII საუკუნის მწერლობა «აბდულმესიანს» იცნობდა იმ ტრადიციული ტექსტით, რომელიც ცნობილია დღეს. მაშინ ძეგლს ეწოდებოდა «არჩილ მეფის ქება»“ (გვ. 43).

ამიტომაც, არჩილთან ერთად იაკობ შემოქმედელს, რო-

⁵ „არჩილიანი“, II, გვ. 133; ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1999, გვ. 214; კ. კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ვ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 625.

გორც პოეტსა და მოაზროვნეს, უმაღლეს შეფასებას აძლევენ იოსებ თბილელი, დავით გურამიშვილი, ანტონ კათალიკოსი და სხვები.

ამიტომ, მაშინდელი ჩვენი მოღვაწეები, მათ შორის ერეკლე მეორე, გაფაციცებით ეძებენ „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებ შავთელის „აბდულ-მესიას“. მაგრამ არც ერთს იაკობისა და არჩილის მიმართ ეჭვი არ გამოუთქვამს. თეიმურაზ ბაგრატიონი გვაუწყებს: „ჩვენ, უბადრუტ ქართველებს, ის საკრველი სტიხები შავთელისა, აბდულ-მესიას წიგნი, დაქარგვიანთ. ჰაჰას ჩემს, მუვე ერეკლეს, მრავალი უძებნივითა, დიდი სურვილი ჰქონია იმისს ლექსებისა, მაგრამ ის წიგნი ვეღარ უპოვნით“⁶.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები „აბდულ-მესია“ დაკარგულად მიაჩნია დავით რექტორის ყოფილ შევირდს, იოანე ბაგრატიონს. თავის „ხუმარსწავლაში“ იოანე შავთელზე საუბრისას იგი ასახელებს მის თხზულებებს „შაირნი წერილნი, «დილარიანად» წოდებული ისტორია და თამარ მეფისა შესხმანიცა იამბიკოდ“. ჩანს, იგი ზეპირად, მესხიერებაზე დაყრდნობით მჯელობს და ამის გამო „აბდულ-მესია“ და „დილარგეთი“ ერთმანეთში ერევა, მაგრამ ნაწერებს რომ არმოდწეულად თელის, ამას გარკვევით ამბობს: „მამა იოანე – წერს იგი, – იყო ადგილით შავთელი საქართველომსა, კაცი კეთილშობილი და მწერალი თამარ მეფისა. ესე იყო ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი. ამან შეთხზა შაირნი წერილნი «დილარიანად» წოდებული ისტორია და თამარ მეფისა შესხმანიცა იამბიკოდ, რომელსა შოთა, მესტიხე დიდი ქართველთა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა და ამა შავთელის მიერ ნათქვამთა შაირთა, და აქებს თვისსა ქმნილსა ისტორიასა შინა «ვეფხისტყაოსანად» წოდებულსა. გარნა ქართველთა დაუკარგავთ ამ შავთელის მიერ თქმული წერილნი და არღასადა სჩანან. ხოლო უკანასკნელ ეს იოანე შავთელი იქმნა მონაზონ და კეთილისა დეაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი“⁷.

დავით რექტორის მეორე ნამოწაფარი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ყოფილი მასწავლებლის ახალ შეხედულებას დაუბნევიდა. ის შავთელის შესახებ თავიდან ბოლომდე იმეორებს იმ ცნობებს, რომლებიც დავით რექტორმა ე. წ. „აბდულ-მესიანის“ საუთაურში შეიტანა და ამ თხზულებასაც, მესამე ჯგუფის

⁶ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანელი შვილიშვილმა, თბ., 1964, გვ. 34.

⁷ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ი. ს. ა. და ალ. ბ. ა. მ. ი. ძ. ი. ს. რ. ე. ლ. ი. ძ. ი. ს. ა. და ალ. ბ. ა. მ. ი. ძ. ი. ს. რ. ე. ლ. ი. ძ. ი. ს. ა.

ნუსხებისებურად, შავთელის ნაწარმოებად აცახდებს. ზემოთ დამოწმებულ, მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში წინ ვკითხულობთ: „შავთელს ერისკაცობაში თოთონაც აბდულ-მესია პრქმევია სახელად, ისიც მდივანი ყოფილა თამარ მეფისა და დიდი წარჩინებულთაგანი მისი. აბდულმესია შავთელმან ბოლოს ეაშს დაუტყვა სოფელი, ბერად შედგა, მონაზონება შეიმოსა, იოანე უწოდეს სახელად. ქვემო საქართველოში, იმერეთს, გელათის მონასტერში შევიდა და მუნვე აღესრულა“.

ამის შემდეგ მოდის ის მსჯელობა, სადაც სწავლული ბატონიშვილი „აბდულ-მესიას“ არმოდწეულად აცხადებს: „შავთელს დაუწერია ლექსად საკურველის შეთხზვით მოთხრობა აბდულ-მესიასი ვისიმე და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ იმისთანა საქები ლექსები (ესე იგი სტიხები), არაოდეს ქართულ ენაზედ არ დაწერილიყოს. და დღესაც, ვინც ქართველთაგანმა საქართველოს ისტორია კარგად იციან და ქართულს ენაზედ მოლექსენი არიან, ასე ამბობენ: რუსთველის ლექსებს შავთელის ლექსები სჯობიაო და თამარ მეფის დროსაც შავთელის სტიხები უმეტესად მოუწონებიათო. ამისთვის თვთ რუსთაველიც როგორათაც ამ სტიხში ემოწმება («აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა... »)“.

ამას კი მოჰყვება ზემოთ დამოწმებული სიტყვები: „ჩვენ უბადრუკთ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შავთელისა, აბდულ-მესიას წიგნი, დაჰკარგვიათ...“

თეიმურაზ ბაგრატიონს ეს ამბები დაახლოებით ამგვარადვე გადმოცემული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებაში: „აბდულ-მესია იყო ადგილით შავითი. ესე არს მამული სამცხისა, ახალციხის გარემოები. ესე იყო მდივან-მწიგნობარი დიდისა მეფისა თამარისი. ესე ქართველთა ჰიიტიკოსთა შორის მაღალი გმირი არს, აქვსთ შეთხზულთა მის მიერ სტიხთა მაღალი ფრასი, რიფმანი სხვა და სხვა გვარად სათარგმანებნი, ტკბილი ღარმონიკი, აზრთა შესაბამიერთა, სავსე მშვენიერებითა ლექსებისათა, უხვად აღსავეს ურჩეულესითა თხზულებითა, შემკობილ და საქებელ. აბდულ მესია, რომელიცა ითარგმანების მონად ქრისტესსა, სახელად ეწოდება მას, რომლისათვისცა იტყვიან, რომელ ფრიადისა მაღლისა კვლოვნებითა ყოფილან სტიხნი მისნი შეთხზული და იმ ეამისა ყოველთა მელექსეთა ზედა უმეტესად უქიესთ ყოველთა სიბრძნის მოყვარეთა ქართველთა. ლექსი შავთელისანი და თვით რუსთაველიცა არა ჰფარავს ქებას. შემდგომად მდივან-მწიგნობარი ესე აბდულ მესია შემონაზნებულა და იოანე უწოდებით სახელად, გელათის მონასტერში შესულა, იქ უცხოვრია და მუნ აღსრულებულა და ამა იოანე აბდულმესია შავთელსა მრავალნი წიგნნი აღუწერია ქარ-

თულნი“⁸.

თეიმურაზ ბაგრატიონი არა მარტო დავით რექტორის შემუშავებულ სათაურს იმეორებს, არამედ თვით თხზულებასაც იოანე შავთელისად მიიჩნევს. მარი ბროსესადმი გაგზავნილ ადრინდელ წერილში იგი პირდაპირ წერს: „მე ვპოვე ჩვენს ენაზედ, დიდი ხანი არ არის, დიახ საკვირველი ლექსები ორთა წარჩინებულთა გმირთა მესტიხეთასა — დიდბულისა დიდისა ბებიისა ჩვენისა და საუკუნოდ ღირს სახსოვარის მეფისა და სრულიად ივერიისა თვთმპყრობელისა თამარისა მღვიან-მწიგნობართა, ერთი აბდულ-მესია შავთელისა (ლექსი მას უქეს რომელსა), რომელიცა შემდგომად შემონაზონებისა იწოლა იოანედ, და მეორე — ჩახრუხაძისა. სახელოანთა ამათ მელექსეთა სტიხნი ფრიად მოსწრაფებით მაიძულებენ, რათამცა გიჩვენე თქვენ“ (გვ. 12).

როგორც ვხედავთ (ამაზე კი პირველად სოლომონ ყუბანეიშვილმა მიუთითა), თეიმურაზ ბაგრატიონი „აბდულ-მესიანის“ შესახებ დაახლოებით იმგვარივე შეხედულებას გამოთქვამს, როგორსაც შემდგომ კ. კეკელიძე იცავდა: „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები შავთელის „აბდულ-მესია“ დაკარგულია, ხოლო მოღწეული, ჩვენს ხელთ არსებული ხოტბა შავთელს კი ეკუთვნის, მაგრამ იგი სხვა ნაწარმოებია. სწავლული ბატონიშვილის ორივე მოსაზრების წყარო ცნობილია. პირველია ტრადიციული, იმჟამინდელ მწიგნობართა წრეში არსებული, მეორე — დავით რექტორისაგან მომდინარე.

საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით არაეინ ახსენებს XVII-XVIII საუკუნეთა ისეთ დიდ მოღვაწეებს, როგორც ვახტანგ მეექვსე და სულხან-საბა ორბელიანი არიან. ეს, ალბათ,

⁸ თეიმურაზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გაიოზ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 289-290.

დაახლოებით თეიმურაზ ბაგრატიონისებურად მსჯელობს დავით კარიჭაშვილი. მის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „XII საუკუნის მწერლობა“, რომელიც გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმშია დაცული (26491-ბ), აღნიშნულია: „აბდულმესია შავთელს“ „...დაუწერია შესანიშნავი ოდა — «თამარ მეფისა და მისი მუდლის, დავით მეფის, შესხმა», რომელიც ჩვენს დრომდის დაცულია კიდევ. ეს ოდა დაწერილია უწინარეს «ვეფხისტყაოსნისა», რასაც ამტკიცებს შოთასგან მისი მოხსენება (1192 წ.). მასვე მიაწერენ აგრეთვე თხზულებას «აბდულმესიას» სახელწოდებით, რაც ნიშნავს «მონას ქრისტესის», მაგრამ ამ უკანასკნელს ჩვენამდის არ მოუღწევია, თუმცა დიდი შთაბეჭდილება კი მოუხდენია თანამედროვე საზოგადოებაზე, რაზედაც რუსთველიც გვემოწმება“ (მოგვაწოდა ლია კარიჭაშვილმა).

იმით არის გამოწვეული, რომ არც ერთი და არც მეორე იონანე შავთელსა და იაკობ შემოქმედელს არ ეხებიან. არადა თეიმურაზ პირველთან ერთად მათი დუმილი მთლად უტყვი არ უნდა იყოს.

ვახტანგ მეექვსე, თავისი დროის გამოჩენილი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, ქართული კულტურისა და ლიტერატურის დიდი მფარველი და მოამაგე, ძველი მწერლური ტრადიციების აღდგენისათვის მებრძოლი, თავის „სიბრძნე მაღალობელში“ რუსთველის გვერდით ახსენებს ჩახრუხაძეს, შემდეგ გადადის არჩილზე და არაფერს ამბობს შავთელზე:

„რუსთველის ლექსი მეფეა ტახტზე გვირგვინით მჯდომელი, კვლავ ჩახრუხაძე აგრეთვე სხვისა რიგისა მდგომელი, მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი, საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი“ (სტრ. 812).

არ ვიქნებით მართალი, ეს დუმილი თუ გვერდის აელა ვახტანგ მეექვსის საქმეში გაურკვეველობით ან შავთელისადმი გულგრილობით რომ აეხსნათ. უფრო უპრიანია ვიფიქროთ, სწავლული მეფე არ იცნობს შავთელის „აბდულ-მესიას“.

რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანს, მან თავის თავზე გამოსცადა პლაგიატორის უსამართლობა. აი, „სიტყვის კონაში“ რა სიტყვებით გმობს დიდი მეიგავე პლაგიატორობას: „იყო ტფილისის ქლაქთაგანი წინამძღვარი, სახელით იობ. ჩვენისა ჟამისა კეთილად სწავლული, შვენიერი მზრახველი, მეჟამნე, მეფსალმუნე, კაფიამომეტყველი, მგალობლად ქებული, მწერალი გამოჩენილი, ლოცვადაუცადებელი, შვიდეულით მმარხველი, შესაყრელად საყვარელი. ამა «სიტყვისა კონასა» რა ჴელი მიეყავ, მგობდა და მეიციებოდა. ოდეს გავასრულე, მანა, მოეწონა, და გადასაწერად ვათხოე და გარდაწერა, სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოხოცა თუც ნაწერთა შინა და თუცსი სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დიდად გამიკვირდა, ვით იკადრა მან, სახელოვანმა კაცმან, ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსაო. ვინადგან ჩემს ჴირნახულში მან ჩემი სახელი არ ჩაურთო და თავისი დაწერა, მე ჩემს ჴირნახულში მისი ქება ამისთვის დაწერე“⁹.

ხედავთ, რა ღირსებების მქონე კაცი ყოფილა იობი და სულხან-საბა ორბელიანმა არც მას შეარჩინა თავისი ავტორო-

⁹ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965, გვ. 34-35. -

ბის ხელყოფა თუ უგულებელყოფა! დიდი ლექსიკოგრაფი პირდაპირ იმას არ ამბობს, იობმა ჩემი ნაშრომი მიითვისაო, საქმეს უფრო რბილად წარმოგვიდგენს: „სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოხოცა თვით ნაწერთა შინა და თვისი სახელი და გარჯილობა დაწერა“¹⁰ და ამ საქციელითაც უზომოდ გაოცებულია: „ეს დღეად გამოკვირდა, ვით იკადრა მან!“ აი, ასეთი იყო მაშინდელი ზნეობა!

სხვისი ნაშრომის მითვისება კი არა, ქართლის სამეფო კარის ირგვლივ შემოკრებილი მოღვაწენი, სულ ერთია, მეფე იქნება იგი თუ უბრალოდ მუშაკი, იმასაც არ ტოვებდნენ აღუნიშნავად, რა წვლილი მიუძღოდა მას ამა თუ იმ ნაშრომის შესრულებაში (რამდენიმე ამგვარი შემთხვევა მითითებულია ჩვენს წიგნში: ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, გვ. 421-425). ნუ დაგვავიწყდება, რომ სულხან-საბა ორბელიანი ამ წრის წარმომადგენელია, არჩილის თანამედროვე, ქართლის მეფეების სისხლით ნათესავი (არჩილი, გიორგი XI, ლევანი... მისი მამიდაშვილები იყვნენ), მათ სამეფო კარზე დაწინაურებული და ყოველმხრივ აქტიური მოღვაწე.

ჩვენ კი მათ რას ვაბრალებთ!

ყურადსაღებია ანტონ პირველი კათალიკოსის პოზიციაც. ი. ლოლაშვილის დახასიათებით, იგი იყო „განათლებული მეცნიერი, ქართული მწერლობის უბადლო მცოდნე, მხატვრული სიტყვის ოსტატი და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის მეთაური“¹⁰.

აი, ეს პიროვნება, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება და თავის სახელგანთქმულ პოეტურ ნაშრომში „წყობილსიტყვაობა“ მასალათა კვალობაზე, მოკლედ და სხარტად თავისი მიაგო თითოეულ მათგანს, იაკობ შემოქმედელს წარმოგვიდგენს არა მარტო დიდად განათლებულ, ბრძენ და პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედად, არამედ, ამასთან ერთად, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნებად. თუ, ერთის მხრივ, არის „იაკობ – კაცი სიბრძნის მოყვარე, კეთილ-გამომთქმელ, მეშაირე შეუნიერ, მაღალ-გონება, საუნჯე მრავალთ ცნობათ,... შურებოდა ესე სიბრძნის-მოყვარებისად, ღრმად გამოსთქმიდა, ძნელთა აღვსნიდა“, მეორე მხრივ, იგი იყო „ღმრთივ მოგვე მადლთა, კეთილმკმეველი მათი, ყოვლად საქებულ მაშინდელაწინდელთად,... კეთილ-სულელება მწყემსი მოციქულებრი“ (იქვე, გვ. 257).

¹⁰ ანტონ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 7.

იოანე შავთელის დახასიათებისას ნათლად ჩანს, რომ ანტიონიც, არც მეტი და არც ნაკლები, იმავე წყაროებს ეყრდნობა, რაც ჩვენც ხელთა გვაქვს – „ეფუხისტიკაონის“ პროლოგსა და „ქართლის ცხოვრებას“:

„თვის მამისა იოანე შავთელისა
ნეტარი ესე – პიტიკოსი კაცი,
მაღალ-გამომთქმელ, მოძღურებითა ბრწყინვალე,
სიბრძნის-მოყვარე, მართალ-მესილოგიზმე,
ღმრთის-მმეტყუელები, შეზმნილ ყოველსა შინა –
იოანე ბრძენ, შავთელ ზედწოდებული.“

შოთა თქუა მისთვის: «უქესო ლექსი შავთელს»,
და თამარ დიდის «ისტორიათა» შინა
შაირთ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის,
განსწმინდა ამან სარკე უბიწოებით
და მისცა ღმერთსა, რომლისა წინაშე დგას“ (იქვე, გვ. 275).

ასე რომ, იოანე შავთელის შესახებ არც XVIII-XIX საუკუნეთა სწავლულებმა იციან იმაზე მეტი, რაც XVII საუკუნის მოღვაწეებმა და ჩვენ ვიცით. ვინც ბრძად არ იმეორებს დავით რექტორის წამოყენებულ ჰიპოთეზას, მათთვის საძიებელი ძეგლი იაკობ შემოქმედელის ორგინალური ქმნილებაა და არაფერია გასაკვირი და გასაოცარი (როგორც ამას ალ. ბარამიძე და ი. ლოლაშვილი გამოხატავენ), თუ, გადამწერთა მსგავსად, ისინი, ანუ არჩილი და მომდევნო მწერლები და მწიგნობრები, ამასვე აღნიშნავენ.

3. „შავთელური“ და პოეტიკური თხზულებანი

თანამედროვე პოეტიკაში სალექსო საზომის ჩახრუხაულის გვერდით ამავე ლექსის აღმნიშვნელად ხშირად იხმარება „შავთელურიც“¹. ამ საზომის შემომღებად ჩვენში, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, იოანე შავთელია მიჩნეული. შალვა ნუ-

¹ ა. ჭ ი ლ ა ი ა, რ. ჭ ი ლ ა ი ა, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984, გვ. 334; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11, თბ., 1987, გვ. 91, სიტყვაზე „ჩახრუხაული“; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ქართული ლექსმცოდნეობა, ლექციების შემოკლებული კურსი, 1992, გვ. 106. და სხვა.

ცუბიძე წერს: „...რუსთაველი გვაძეგნობს, რომ ლექსი, რომლითაც დაწერილია «აბდულმესიანი», შავთელის მიერაა შექმნილი, ეს საზომი, ე. ი. ზომა 10+10, რომელზეც ლაპარაკი იყო მოსე ხონელის შესახებ თავში, სხვას არავის ეკუთვნის თუ არა შავთელს, «აბდულ-მესიანის», ავტორს, ეს სრულიად უეჭველი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტია... შავთელი არის გართიმული (დაქტილური რითმებიანი) ლექსის 10+10 ავტორი...“².

„ის ზომა, — აგრძელებს მკვლევარი, — რომელსაც რუსთაველი პოეტ შავთელს მიაწერს და რომელიც მართლა მას ეკუთვნის, უფრო გვიან ჩახრუხაძეს მიაწერეს და მისი გვარის მიხედვით («ჩახრუხაული», ე. ი. ჩახრუხაძის კუთვნილი, მის მიერ აღმოჩენილი, უწოდეს. ამ სახელწოდებას არ იცნობს ჩახრუხაძის თანამედროვეობა და იგი არ გვხვდება თვითონ XVII საუკუნემდე, ე. ი. იმ ეპოქამდე, რომელსაც მეტად შეუსაბამოდ უწოდეს «აღორძინების» ეპოქა. ე. წ. «აღორძინების» ეპოქაში, ჩანს, ისე ცუდად ერკვეოდნენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომ შინაგანი და გარე რითმიანი დაქტილური ზომა 10-10, რომელიც შავთელმა აღმოაჩინა, ჩახრუხაძეს მიაწერეს. როგორც ვნახეთ, ჩახრუხაძე უმთავრესად შავთელის ზომით წერდა. მას, შეიძლება, ამ ზომის (ე. ი. 10+10) ერთი ვარიანტი ეკუთვნის, მაგრამ ესაა მხოლოდ ბოლორითმიანი ლექსი მეორე და მეოთხე ტაქების შერითვით. საქარისია ამა ლექსს დაეაკვირდეთ, რომ გავივით, რომ ესაა ნაბიჯი შავთელისაგან შაირისაკენ. ჩახრუხაძემ მიიღწია ხალხური შაირის აღიარებას პოეტური ექსპრესიის სრულყოფილებიან ზერხად, და ამაშია მისი ისტორიული დამსახურება ქართული პოეზიის განვითარებაში. მაგრამ მას არ შეუქმნია შავთელის სახელთან დაკავშირებული დაქტილური რითმები“ (გვ. 226-227).

სხვათა შორის „ჩახრუხაულის“ საზომს ჩახრუხაძის სახელს აშორებდა აკაკი წერეთელიც. „ჩახრუხაული“ — წერდა მწერალი, — იმასვე ნიშნავს, რასაც კრიმანჭული; ეს ორივე სასიმღერო და საგალობელი ტერმინი იყო ძველად. მაგალითად, სასულიერო გალობის დროს კრიმანჭული, ანუ კნიმანჭული, იმ წერილ ზმას ერქვა, რომელიც ბანს, მაღალბანს, თქმულს და სხვებს ერთმანეთს უკავშირებდა, გადაბამდა ზოლმე. ახლა კი კრიმანჭულს ერთისა და იმავე ხმის სულმოუბრუნებლად ამოსკვნას ეძახიან; იმასვე ნიშნავს, რასაც ტრელი, და ჩახრუხაული ამავე ტრელს უნდა ნიშნავდეს იმ განსხვავებით კი, რომ სიტყვები უნდა იყოს ჩართული. ამ საუკუნის გამოჩენილი მაგალობელ-

² შრომები, IV, 1976. გვ. 226.

მღერალი და ავთანდილის მაგვარი ტიპი, დათა გუგუნავა, კრიმანჭულით შეკაზმულს სიტყვებს ჩახრუსაულს ეძახდა. ჩახრუსაული ჩახრუსაძისაგან კი არ უნდა იყოს წარმომდგარი, ამისი სათავე სხვაგან უნდა ვეძიოთ... მაგალითად, ჩახრუსი სპარსულად ერთგვარ ბულბულის მსგავსს მოჭიკჭიკე ჩიტსა ჰქვია, და ახლაც რომ ვამბობთ ზოლმე, სიმღერა რომ მოგვეწონება, ჩაბულბულა, ჩაბულბულეულიო და სხვა. რატომ ამგვარადვე არ წარმოსდგა სიტყვა «ჩახრუსაული-ცა»³.

რაკი საძიებელი თხზულება შავთელის ქმნილებად მიანიათ, და „თამარიანზე“ ადრინდელად, შავთელს „ჩახრუსაულის“ გამოყენებაში პირველობას სხვებიც აკუთვნებენ. გ. მიქაძე წერს: „ტრადიციულად განმტკიცებული მოსაზრების მიხედვით ჩახრუსაული ლექსს ეწოდება იმიტომ, რომ ამნაირი ლექსით წერდა XII საუკუნის პოეტი ჩახრუსაძე, თუმცა უფრო ადრე იმავე სახის ლექსი თავისი თხზულებისათვის გამოყენებული აქვს იოანე შავთელს“⁴.

სინამდვილე ასეთია: ტერმინი „ჩახრუსაული“ პირველად მამუკა ბარათაშვილის პოეტიკურ ტრაქტატში „სწავლა ლექსის თქმისა“, ანუ „ჭანჭნიკში“, ჩნდება. ამ სახომს ჩახრუსაძის შემდეგ ყურადღება ექცევა XVII საუკუნეში თეიმურაზ პირველის, არჩილისა და სხვათა შემოქმედებაში. ჩანს, მის პოპულარობასა და დანერგვაში დიდი როლი შეასრულა არჩილმა⁵. ქვემოთ ენახვთ, ირკვევა, ე. წ. „აბდულ-მესიანიც“ არჩილის ლიტერატურული სკოლის ნაყოფია.

ახლა კი, რადგან საუბარი ე. წ. აღორძინების ხანის მწერლობას ეხება, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ცნობილია, რომ მამუკა ბარათაშვილის „ჭანჭნიკში“ საგანგებოდ არის განხილული სალექსო ფორმები: „შირი“, „ჩახრუსაული“, „შეწყობილი“, „მდინარი“, „წყობილი“, „უცხო“, „ფისტიკაური“, „მრჩობლელი“, „იამბიკო“, „რეული“ და მათი სახეცვლილებანი, მაგრამ სიტყვა არ არის დაძრული „შავთელურზე“. დიახ, გამოყოფილია საკუთრივ „ჩახრუსაული“, „ჩახრუსაულის ლექსი“, „ჩახრუსაულის ტაეპი“, „გრძელ-ჩახრუსაული“, „გრძელ-ჩახრუსაულის ლექსი“, „გრძელ-ჩახრუსაულის ტაეპი“, „ჩახრუსაული ძაგნაკორული“.

³ რჩეული ნაწარმოებები, V, 1990, გვ. 303-304.

⁴ გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, გვ. 45.

⁵ ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობა გვაქვს ნაშრომში: არჩილის ერთი ნაწარმოების გაგებისა და დათარიღებისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1995, №1-4, გვ. 75-81, 84.

„ჩახრუხაული შერეული“, „ჩახრუხაული მრჩობლელი“ და არა და არა — „შავთელური“!

ვახტანგ მეექვსე, რომელიც დაუცხრომლად იღვწოდა ქართული ლექსის მხატვრულ-გამომსახველობითი განახლებისა და გამრავლფეროვნებისთვის, ძველი სალექსო ფორმების აღდგენისა და ახლის შექმნისა და დამკვიდრებისათვის, ამ მიზნით საგანგებო ყურადღებას აქცევს მამუკას ამ პოეტიკურ ნაშრომს და მისთვის, მასში შესატანად საგანგებოდ წერს თავისებური სახეობის ლექსებს — „უწყვეტელი“, „ბოლოერთი“, „მუხრანელი“, „ვახტანგური“, „ლექსამბავი“, მაგრამ არც ის იღებს ხმას „შავთელურის“ შესახებ.⁶

ასევე იქცევა მამუკა ბარათაშვილი თავის მხატვრულ შემოქმედებაშიაც — წერს ლექსებს: „წყობილი“, „მრჩობლელი“, „შერეული“, „პისტიკაური“, „რეული“, „იამბიკო“, „მოკლე შეწყობილი“, „ლექსი მოკლე“, „უცხო“, „შირი“, „შირის ლექსი“, „რუსული ხმები“, „ჩერნიჩკოს ხმა“, „პრიდი დრუჟოკის ხმა“, „ნე სმუშჩაის ხმა“, „პოროდილა ჩეროტოჩკას ხმა“, „პოლოცკის ხმა“, მაგრამ არსად „შავთელური“ არ ახსენდება.

აქედანაც ჩანს, არც მამუკასა და არც ვახტანგს ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ჩახრუხადის „თამარიანის“ ტოლფარდ, მის დროინდელ ნაწარმოებად არ მიაჩნიათ.

იგივე უნდა გავიმეოროთ იმ მწერლების მიმართაც, რომლებიც ქართული ლექსწყობის განახლებით არიან დაინტერესებული: სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, პეტრე ლარაძე... არც ერთი „შავთელურს“ არ ახსენებს.

„შავთელურს“ არ ახსენებენ ასევე, XIX საუკუნის პოეტიკური ნაშრომების ავტორები: იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები, ლავრენტი არდაზიანი, დავით ჩუბინაშვილი, კოტე დოღაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, არქიმანდრიტი კირიონი და გრიგოლ ყიფშიძე, მელიტონ კელენჯერიძე და სხვები⁷.

„შავთელური“ — ეს ტერმინი ბოლოდროინდელია, როცა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოოდ მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომ საკვლევი თხზულება იოანე შავთელის „აბდულ-მესია“ არის. მაგალითად: 1920 წლის 10 ოქტომბერს სა-

⁶ ეს საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს წიგნებში: ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 178-220; ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, თბ., 1988, გვ. 360-426.

⁷ იხილეთ ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII-XIX სს), გივი მ ი ქ ა ძ ი ს რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954.

ხალხო განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა განიხილა სიტყვიერების ისტორიისა და თეორიის ტერმინების დამამუშავებელი კომისიის მოხსენებები და მიიღო: „...დ) ქართული ლექსთა გვარების აღსანიშნავად კომისიამ უპირატესობა მისცა ცნობილ ქართველ მწერალ-მგოსანთა სახელებისაგან ნაწარმოებ ტერმინებს (შავთელური, ჩახრუხაული, რუსთველური, გურამული, ბესიკური, აკაკური), თუმცა მათ გვერდით ზოგიერთ შემთხვევაში ძველად ნახმარი ტერმინები დატოვა (მუსტაზადი, ბაიათი, შაირი და სხვა)“⁸.

4. პეტრე ლარაძის „დილარიანი“ და „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებანი

იმ გარემოების გასათვალისწინებლად, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა იაკობ შემოქმედელის ქმნილების შავთელის ნაწარმოებად მიჩნევა, საყურადღებო მონაცემებს იძლევა პეტრე ლარაძის „დილარიანი“ და „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებანი.

თუ თეიმურაზ ბაგრატიონის მეშვეობით ვიცით, რა დიდ ყურადღებას აქცევდა ერეკლე მეორე „აბდულ-მესიანის“ შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში დაცულ ბიბლიოგრაფიულ ცნობას, რომ მას „დიდი სურვილი ჰქონია იმის ლექსებისა“ და იგი „მრავალი უძებნიებინა“, პეტრე ლარაძე გვაუწყებს, რომ მეფე ამგვარსავე ინტერესს იჩენდა სარგის თმოგველის „დილარგეთის“ მიმართაც:

„მეფეს ირაკლის გმირსა, მეგრძოლთ მაძრწუნ-მატირისა, სწადდა
თვისსა დროებსა,
რათა ესებრ ჰამბავნი ექმნათ წიგნთ შენართვანი, მისგან დაზრდილ
მოყმებსა,
მაშინ უცალოება, საქმის გარემოება, არ მაძლედა ჟამებსა,
აწ მასთანვე ზრდილმან, მწირობით ჭმუნვილმან, ხელ-გმყავ მის
ნაბრძანებსა“¹.

⁸ გიორგი ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921 წწ.), თბ., 1992, გვ. 71.

¹ დილარიანი, თხზულება პეტრე ლ ა რ ა ძ ი ს ა, გამოცემა მართა ივანე ლარაძის ასულისა კნ. შ ა ლ ი კ ა შ ე ი ლ ი ს ა, თბ., 1903, გვ. 11.

აქ ბოლო სიტყვად, ნაცვლად „ნაბრძანებისა“, დაბეჭდილია „წაბრძანებასა“, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა უნდა იყოს.

პ. ლარაძისავე ცნობით, „დილარგეთით“ დაინტერესებულ იყო არა მარტო ერეკლე მეფე, არამედ ჩვეულებრივი მკითხველი საზოგადოებაც, რაც ბუნებრივი და ადვილად გასაგებია:

„ღელვა-გვიმულსა, განწირულს დამირთვეს ესე თხოვანი, გამწარებულსა მწირობით მაქენდა ცრემლისა პოვანი, ველარ წაუველ, ვერა ვქმენ ვერ სადა გზისა პოვანი, მენუკეებოდეს დაწერად ბერი თუ ახალ წლოვანი.

არ იყო ქართველთა შორის წიგნი ყე დილარიანი, ამას იტყოდა ყოველი, მოხუცი, ბერი, ჭკვიანი, იყო თამარის დრო[ი]სა, ვინ მეფედ ჰგებდა სვიანი, მუნ დღიდგან არღა გვასმია, ვართო მით ჭმუნვაიანი“ (გვ. 10).

ამ საერთო ინტერესმა და, განსაკუთრებით, მეფის სურვილმა და დავალებამ განსაზღვრეს, რომ პ. ლარაძე დანაკარგის ასანახლაურებლად წერს ერცელ სათაგადასაველო თხზულებას „დილარიანს“:

„მსმენელნო, ნუ დამგმობთ, მრეკელთა, თქმულ არს, კარი განედების, რაზომ იყო ანგაარი, მთხოვარ ერთხელც ეღირსების, დაკარგული მოძიებით, თქვენც გასმიათ, იპოვების, მაშ, რა მეყო, მაიმულეს, ვიმუშაკე მათის ნების“ (გვ. 10).

„დაუშვერ არ დასამალად, ამა წიგნისა შესავალად ეაკმავე ესე თქმანი, აწ დილარის ქებანი, სიმხნე გულოვნებანი, ესთქენე მძლედ მოჭირებანი, სხვათა შესაწვენელად, მწუხარების დამხსნელად, ვით თავს იღვა
შრომანი.

იგ სასტიკნი ბრძოლანი, კიდის კიდე მოვლანი, საქებელად საკმანი“ (გვ. 13).

მწერალი იმდენად არის გატაცებული სარგის თმოგველის თხზულების „აღდგენით“, რომ, როგორც თვითონ გვაუწყებს, როცა მისი პირველი, შავად ნაწერი, არასრული ვარიანტი მისთვის იოანე ბატონიშვილს წაურთმევია, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და ეს ვეებერთელა ნაწარმოები ხელმეორედ შეუთხზავს:

„შევაწყვე, შევანაწერე, დაეპსწერე, ვიპყარ შავადა, მეწადა თეთრად შემემყო მხილველთ არ საზრახავადა, ეცნა მეფის ძეს იონეს, მობრძანდა სანახავადა, იგ მან მიმტაცა, უფრორე შემექმნა საზრუნავადა

აწ ესე «დილარიანი» შეემზადე ტურფა გეარადა:
სხვადასხვა გეარის ლექსების შერთვა არ დამეზარადა...

გიორგის მეფისა ძემან, იოანემან სახელით,
პირველ შრომილი, არ სრული, მტაცა, მყო გონებით ჳელით...

ესე სხვა ახლად შევამკევე, ვით მტილი ყვაევილიანი,
იგ ამას არ ჳგაეს, ვით ვარდსა გოგშო თავ სხულ ეკლიანი,
ესე არს დიდად ნაღვაწი, ჩემგან ქმნილ «დილარიანი»,
ჳელმწიფებითა მაღალი, ლომ გული, მკლავ მყარიანი“ (გვ. 794).

თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ მოთხოვნილებას, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ „დილარიანის“ შემთხვა ქრონოლოგიურად „არჩილის ქების“ „აბდულ-მესიანად“ გადაკეთებას ემთხვევა. „დილარიანის“ დაწერის ზუსტი თარიღი არ ვიცით. როგორც ბოლოსიტყვაობაშია აღნიშნული, მისი წერა ავტორს პეტერბურგში დაუწყია:

„ვიყავ რა მწირად პეტერბურღს სვისაგან გამწარებული,
სამწუხაროსა ჰაზრთაგან შემთობილ, დაკვეთებული:
ბოროტი ვინმე შეიქმნა ჩემზედ ბრჭალგამეხებული,
ჳირსა ვხადოდი უფალსა მარად ცრემლ მოხშირებული.“

უქმობის დახსნად ჳელს ვიჰყარ კალამი, სევდის მაღამი,
სადა ვჰსჯდი, იგი ადგილი თვალთა ცრემლითა ვაღამი,
დილარის ჰამბის გამოთქმად აღვაბი თეთრი ალაბი,
ჰაზრისა მოსაგონებლად გონებას მივე სალაბი“ (გვ. 793).

პეტერბურგში კი პ. ლარაძე 1811 წლის დასაწყისიდან ცხოვრობდა. შესავალში მწერალი გვამცნობს, რომ, როცა პროლოგის ამ სტროფებს წერს, იგი, ცხრა წელია, სამშობლოს მოშორებულია:

„ცხრა წელს მწირობით უცხო თემს ცხოვრება გამწარებულმან,
დაუჰყავ ვაებით, ვითმინენ, გლახ, დრონი ვალაღებულმან,
ყოველთა სანუგეშოთა მოსპობით მძლელ მოკლებულმან,
მრავალთა სამწუხაროთა ჟამებით ყე შესწრებულმან,
მუნ მაიძულეს, მაწვიეს თვით ცხებულთ შთამოსირებმან,

თქმად ლექსთა ამბავ რეულთა, თუ გწადსო გრიდონ ძვირებმან;
ვიყავ მარადად მჳმუნეარე, ესთქვი: ნუ თუ დამსთმონ ჳირებმან,
მრაველისა იძულებითა, ხელმწიფეს თხოვა ხშირებმან“ (გვ. 9).

ოლონდ არ ვიცით, პროლოგის ამ სტროფებს მწერალი როდის წერს, — თავიდანვე თუ ნაწარმოების დასრულების შემდეგ.

პ. ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელს. როგორც „დილარიანის“ ერთ ნუსხაში გიორგი ავალიშვილის მინაწერიდან ჩანს, იგი (თხზულება) 1833 წელს დასრულებული სახით არსებობს².

მაშასადამე, 1822 წელს დავით რექტორი იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებს არქმევს შავთელის სახელს, ხოლო ორიოდ წლით ადრე თუ გვიან პ. ლარაძე ქმნის „დილარგეთის“ შემცველ ახალ თხზულება „დილარიანს“.

იმდენად დიდი იყო სურვილი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები თხზულების მოპოვებისა, რომ პ. ლარაძის ეს სრულიად საკუთარი ნაწარმოები ზოგიერთს XIX საუკუნის ბოლომდეც კი სარგის თმოგველის „დილარგეთის“ ორგანულ ნაწილად მიაჩნდა. აი, ამის შესახებ როგორ მსჯელობს ზაქარია ჭიჭინაძე: „...«დილარიანიც» მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს აღუდგენია ცნობილს გვამს პეტრე ლარაძეს“³.

„პეტრე ლარაძე, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, მეფე ერეკლეს კარზე «წიგნთ-საცავის» გამგეთ ყოფილა... ამის დროს ქართველთ სამეფო «წიგნთ-საცავში» ინახებოდა ძლიერ ბევრი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები, ბევრი მათში დიდათ იშვიათი ხელნაწერი ყოფილა. სხვათა შორის, აქ ყოფილა შენახული XII საუკუნის ნაწარმოები «დილარიანი», რომლის ხელნაწერი მაშინვე ერთობ იშვიათი იყო. ამ იშვიათ «დილარიანის» კითხვა ძლიერ ჰყვარებია პეტრე ლარაძეს, იგი თურმე ამ ხელნაწერს ხშირად კითხულობდა, ისე, რომ უკანასკნელი წიგნი მან ზეპირათაც-კი დაიხსომა. მაშინ ამ წიგნის კითხვა ბატონიშვილებსაც დიდათ ჰყვარებიათ. მაშინ ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს ხელნაწერი «დილარიანი» სარგის თმოგველისა იყო“ (გვ. 21).

„ეჭვ გარეშე ვამბობთ, რომ XVIII საუკ. «დილარიანი» იყო ხელნაწერი ნამდვილის ძველის XII საუკ. «დილარიანისა““ (გვ. 22).

„რაღაც მანქანებით დაკარგა პეტრე ლარაძემ ძველი «დილარიანი““ (გვ. 23).

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალს «დილარიანის» ძველთაგან რამე კავშირი უნდა ჰქონდეს, უამისობა არ შეიძლება, მხოლოდ დიდის გადასხვაფერებით-კი, დიდის შეცვლით, დიდის საიდუმლოების მფარველობით;

² ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 60.

³ დილარიანი, ქმნილი XII საუკუნეში სარგის თმოგველის-ძიერ, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1897.

— ამ საიდუმლოების ოსტატობა აღმდგენელის ვითარებას და ჯილდოს უნდა შეადგენდეს. მე ვფიქრობ, რომ ამ ახალ «დილარიანში» ზოგიერთი ადგილები ძველის «დენდინგან» პირდაპირ უნდა იყოს მოყვანილი, ამას ეჭვი არ უნდა“ (გვ. 25).

1900 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ საგანგებო ნარკვევში „მართლა მოადწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?“ (II, გვ. 41-56). ე. თაყაიშვილი დაბეჭდვით ვერდა: „ახალი დილარიანი მხოლოდ პეტრე ლარაძის შრომა და ძველ დილარიანთან არაფერი საერთო არა აქვს, გარდა სახელისა“⁴.

მიუხედავად ამისა, ისეთი თვალსაჩინო და სერიოზული მკვლევარი, როგორც მოსე ჯანაშვილია, სამი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომში ასე მსჯელობდა: „უკვე დაიბეჭდება «დილარიანი», დიდი წიგნი (800 გვ. მეტი), რომლის ენა იგივე მოსე ხონელის ენაა. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ იგი კვალ-წმინდათ იყოს ის თხზულება, რომელიც რუსთველის წინა დასწერა სარგის თმოგველმა... და XVIII საუკ. მწერლებს ზოგი რამ თავისივე არ შეეცანათ შიგ. გარნა «დილარიანი» ისეთი თხზულება და ისეთის ენით დაწერილია, რომ XVIII საუკ. ყველა მწერლები ერთად მას ვერ დასწერდნენ“⁵.

სარგის თმოგველის „დილარგეთს“ ხედავდნენ აგრეთვე „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებებშიაც, სადაც მოთხრობილია „ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარისა შვილისა აბბაი“ და „ჯიმშერიშვილის ჯიმშერისა არმოკლა ჭაბუკისა აბბაი“⁶. ე. თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ ამ თხზულებათა ავტორს ამით სურდა რამდენადმე შეევესო „დილარგეთის“ დაკარგვით გამოწვეული ხარვეზი. „ლარაძის უწინაც — წერს იგი, — ყოფილან მსურველნი რაიმე ისეთი შეეთხზათ, რომ ძველ დილარიანთან თუ არა, ძველი დილარიანის გმირთან ცოტა ოდენი დამოკიდებულება ჰქონებოდა“ (იქვე, გვ. 61).

ეს მეცნიერს აფიქრებინა, ალბათ, იმ გარემოებამ, რომ აქ მოქმედ პირად გამოყვანილია დ ი ლ ა რ ი და შესავალში ნახსენებია ს ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ი: „ოდესმე მეფესა ხაზართასა დ ი ლ ა რ ს ა დაეპყრნეს ყოველნი გარემონი და სიმკნითა და სიქველთა მისითა მონებდეს და უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, — რომელნიცა თვითოულად აღწერილ არს ს ა რ გ ი ს

⁴ რჩეული ნაშრომები, I, გვ. 60.

⁵ ჟურ. „მოამბე“, 1903, ივნისი, გვ. 8-9.

⁶ მოსე ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ-მ ა, თბ., 1967, გვ. 715-793.

თ მ ო გ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ სიმკნენი და გოლიათობანი სიჭაბუკის მისისანი..." (გვ. 715).

ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ამ გაგრძელებათა ავტორს ნამდვილად ჰქონდა თუ არა ამგვარი, „დილარეთის“ აღდგენის, მიზანდასახულობა⁷, ის კი ნაღდა, რომ ჩვენი მკვლევარები XIX საუკუნის ბოლოს მათ „დილარგეთთან“ აკავშირებენ.

1897 წელს ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ჩვენ უეჭვოთ გეწამს, რომ ეს სამი კარი «დილარიანის» უნდა იყოს ნაშთი სარგის თმოგველის ნაწერის, მხოლოდ ამასაც დაჰკარგვია თავის პირველ-სახეობა, სხვადასხვა გადამწერთაგან სრულიად გადაგარბული, რადგანაც ეს სამი კარი ძველათვე რაღაც ბელზე ერთ გადამწერს «ამირან-დარეჯანიანის» ბოლოზე მიუწერია და შემდეგ ღრობში ეს ხელთნაწერი ზოგიერთ გადამწერთ «ამირან-დარეჯანიანი» ჰკონებიათ, და ამიტომ შიგადაშიგ აქა-იქ მოსე ხონელის მოთხრობის გმირთა სახელებიც შთაუწერიათ, ორი მოთხრობის გმირთა სახელები აურ-დაურევიათ ერთმანეთში: დღეს მკითხველს ეგონება, რომ ეს სამი კარი „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებათ არის დაწერილი ვინმე სარგის თმოგველისაგან და არა „დილარიანი“⁸.

ზ. ჭიჭინაძის ამ მოსაზრებას იმთავითვე ეტყით შეხედა აღ. ხახანაშვილი. იმავე 1897 წელს ის წერდა: „ჩვენ, როცა ეს შიგ ჩართული ამბავი წაეკითხეთ, გვეგონა «დილარიანის» ნაწყვეტს მივაგენით-თქო. მაგრა, სამწუხაროთ, არც ენით, არც წყობილებით ეს ჯიშმერის ამბავი მე-XII საუკ. მწერლის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენ ეჭვს ეთანხმება ძველი ხელით მინაწერი სიტყვები, მე-XIII და მე-XIV თავებთან, ზემო მოყვანილ ამირან-დარეჯანიანის ხელნაწერში: «ვინც სწორდეთ ამბავს, ნუ დასწერთ, წიგნის მთქმელისა არ არის, ვილასაც ცრუს ცრცხინვალელის კაცისგან არის ნალაყბი და მოგონილი»⁹.

„ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებათა საკითხი ადრე, 1838 წელს, სწორად ჰქონდა განსაზღვრული მარი ბროსეს, მაგ-

⁷ შდრ.: კ. კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 62-63.

⁸ დილარიანი, ქმნილი XII საუკუნეში სარგის თ მ ო გ ვ ე ლ ი ს მიერ, გვ. 19.

⁹ შურ. „კვადი“, 1997, №13, გვ. 258. იხ. აგრეთვე აღ. ხ ა ხ ა ნ ა - შ ვ ი ლ ი ს „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ტფ., 1904, გვ. 309-329.

რამ მისი ნაშრომი მომდევნო მკვლევართათვის შეუმჩნეველი დარჩა¹⁰.

ზ. ჭიჭინაძის შეხედულება 1897 წელსვე გადაჭრით უარყო აგრეთვე სხვათა. „ისტორიის მოყვარის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ საგანგებო წერილში „დილარიანის“ გამო“ ავტორი სვამს კითხვას: „ჭიჭინაძისაგან გამოცემული დილარიანი ნამდვილი დილარიანია – თუ არა?“ და უპასუხებს: „ზ. ჭიჭინაძისგან გამოცემული დილარიანი სრულიად არ არის სარგის თმოგველისაგან დაწერილი დილარიანი და არც თუ წააგავს მას. ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა და მრავალ საბუთების მოყვანა არ არის საჭირო. წიგნს სათაურშივე აწერია: «ჯიმშერ ხაზართა მეფისა, დილარის შვილის აბბაეი» და მოხსენებულია სარგის თმოგველი როგორც მწერალი, რომელმან აღწერა «სიმხენი და გოლიათებელნი სიჭაბუკისა მისისანი», ე. ი. დილარისა. ამ სათაურიდან აშკარად სჩანს, რომ ეს თავები ეკუთვნის ვიღაც უცნობს ავტორს XIII საუკუნისას, რომელმაც აღწერა სიჭაბუკენი არა დილარისა, არამედ მის ძის ჯიმშერისა, დილარიანის გოლიათებანი კი უკვე აღწერილი ჰქონია სარგის თმოგველს. ამას გარდა, თვით წიგნიც შინაარსით არაფერს საბუთს არ იძლევა, რომ იგი დილარიანად ვიცნოთ და სარგის თმოგველის ნაწარმოები ვუწოდოთ. საქმეს კი რომ დაუუკვირდეთ, აი ასე უნდა იყვეს: ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ თავებით უნდა იწოდებოდეს რომელიმე უცნობი XIII საუკუნის გმირული რომანი, რომელსაც იგივე დამოკიდებულება აქვს დილარიანთან, რაც «დამატებას» ვეფხის-ტყაოსნისას, რუსთველის უკვდავ პოემასთან და კიდევაც უფრო ნაკლები, რადგანაც დამატებაში ისევ ტარიელზედ მაინც არის ლაპარაკი, ხოლო აქ კი დილარის შვილსა და შვილის შვილზედ. ამავე დასკვნას დაადგებოდა ზ. ჭიჭინაძე, ცოტად მაინც არის რომ დაჰკვირვებოდა ლარიძის მიერ აღდგენილს დილარიანს, რომელსაც ეს თავები იოტის ტოლად აღ არა ჰგვანან...“¹¹.

მიუხედავად ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულებისა, დილარიანად აღიარებული თავები რუსულად თარგმნა და გამოსცა მ. ჯანაშვილმა, სადაც იგი წერს: „Из другого же его сочинения «Дилариани» дошла до нас только часть. т. е. то, что ныне печатается в переводе на русский язык“¹².

¹⁰ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 34-35.

¹¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 17 დეკემბერი, 1897, № 403, გვ. 4.

¹² Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXVI, 1899, გვ. 16.

მოგვიანებით თავისი შეცდომა მკვლევარმა ასე აღიარა: „ხშირად ჩვენში ერთის წიგნის სახელს მეორეს ანათლებდნენ. ამან ჩვენ უკვე შეცდომაშიაც შეგვიყვანა, პატარა «დილარიანი» ნამდვილ «დილარიანად» ჩაეთვალეთ და მერე-კი აღმოჩნდა, რომ ეს პატარა «დილარიანი», ჩვენ მიერ რუსულად თარგმნილი, სულაც არ ყოფილა ნაწილი თვით დიდ «დილარიანისა», რომელიც აწ უკვე დაიბეჭდა ჩვენი რედაქციით კნ. შალიკაშვილის საფასით“¹³.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელის „აბდულ-მესისა“ და სარგის თმოგველის „დილარგეთის“ ძიებისა და მოპოვების მძლავრი, დაუოკებელი სურვილი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ღვიოდა, XIX საუკუნის 20-იანი წლების მიჯნაზე ფრიად კურიოზული ხასიათის გაუგებრობას იწვევს. თუ აღნიშნული საუკუნის დასასრულს „დილარგეთის“ მიმართ ეს გაურკვეველობის ბურუსი იფანტება, „აბდულ-მესის“ საკითხი, რადგან იგი უფრო რთული იყო, აქამდე გაუკუღმართებული რჩება, რაზეც ნ. მარის ავტორიტეტმა დიდი გავლენა იქონია.

თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: ე. წ. აღორძინებისა და მომდევნო ხანების ქართული მწერლობა ერთხმად ამტკიცებს, რომ შავთელის „აბდულ-მესია“ დაკარგულია, ხოლო მისი სახელით ამჟამად ცნობილი ოდა არჩილ მეფისადმი მიძღვნილი, მისი საქებარი ნაწარმოებია, ავტორია იაკობ შემოქმედელი.

ახლა ამ თვალსაზრისით განვიხილოთ „მესხმის“ ტექსტი.

¹³ მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, II, ტფ., 1909, გვ. 128.

IV. პროლოგის ბიბლიოგრაფიული ცნობა

მამუკა ბარათაშვილის შეფასებით, იაკობ შემოქმედელი მიმბაძველი პოეტია: „ი ა კ ო ბ მ ბ ა ძ ე ს და ჩახრუხაძეს ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწყობად“¹.

ამ სტრიქონის შესახებ ა. ხინთიბიძე წერს: „სიტყვა მ ბ ა ძ ე ს მიმბაძველს არ ნიშნავს და ამის მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს, მამუკასათვის ცნობილი იყო იაკობის მიმბაძველობა. ამ კონტექსტში სიტყვა მ ბ ა ძ ე ს დ უ მ ბ ა ძ ი ს შემოკლებული ფორმა უნდა იყოს. მამუკა ამბობს: იაკობ დუმბაძეს და ჩახრუხაძეს ექოთ მეფენიო“².

ეს შეხედულება აშკარად მიუღებელია. „ბაქარის ქებაში“ ისეთი არაფერია, მისი ავტორის სიტყვებში რაიმე ეჭვშესატანი იყოს.

ვინ ჰყავს მხედველობაში მამუკა ბარათაშვილს, ვისი მიმბაძველი შეიძლება იყოს იაკობ შემოქმედელი?

კ. კეკელიძე ფიქრობს, მამუკას მხედველობაში აქვს „აბდულმესიანი“. „ავტორი (მამუკა ბარათაშვილი - ბ. დ.) შენიშნავს, - წერს მკვლევარი. - რომ ამ შემთხვევაში მე მივბაძე «ბრძენთა მათ ორთა, თვით სცნობდეთ სწორთა»-ო, ესე იგი: «იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს...». აქ იგულისხმება იაკობ სამეხელ-შემოქმედელი, რომელმაც აიღო დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება (ეგრეთწოდებული «აბდულმესიანი») იოანე შავთელისა) და ეველგან, სადაც დავითი ან თამარია ნახსენები, არჩილი ჩაწერა“³.

საკითხის ყოველმხრივი შესწავლიდან ირკვევა, რომ ეს მოსაზრება სწორი არ არის.

არჩილისა და მისი სკოლის მწერალთა შემოქმედება გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მათგანისათვის ყოველმხრივ მისაბაძია ჩახრუხაძე და მისი „თამარიანი“. თუ კარგად დავუკვირდებით ამ ნაწარმოებებს შორის მსგავსებას და გავითვალისწინებთ არჩილის ლიტერატურული სკოლის მიზანსწრაფვას - დაეუფლონ კლასიკური ხანის ქართული მწერლობის მიღწევებს და აღადგინონ ისინი, დავინახავთ, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ „თამარიანის“ მიბაძვით, მისი შთაგონებითაა შექმნილი და მამუკა ბარათაშვილიც ამ ფაქტს აღნიშნავს.

¹ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1969, გვ. 41.

² აკაკი ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი, XVII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე თბ., 1986, გვ. 39.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 632.

თვით კ. კეკელიძე მიუთითებს იმ საერთოზე, რაც ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებობს. მისი სიტყვებია: „როგორც იღვის მხრივ, ისე ფორმითაც, ეს სოტბა („აბდულ-მესიანი“ - ბ. დ.) ახლოს დგას ჩანრუსაძის «თამარიანთან». ჩანრუსაძისა და ამ სოტბის ავტორის მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა: ქართული სახელმწიფოებრიობის დუთაებრივი წარმომავლობა, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის მესიანიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა თამარისა და მისი ბრწყინვალე ეპოქის მომზადება, ეთეროვანი დედოფლის გაღმერთება და სხვა ამკვარი მოტივები, ერთნაირად გვეხმის ორივე სოტბაში. დაწერილია ჩვენი სოტბა იმავე ოცმარცვლიანი, ჩამოყალიბებული, სურათოვანი, მაჯამებით გამშვენებული ლექსით, როგორითაც ჩანრუსაძის თამარიანი...“ (გვ. 246).

ამასვე აღნიშნავს ი. ლოლაშვილიც. როდესაც ის ამ თხზულებათა კომპოზიციასზე მსჯელობს, მკვლევარი ე. ბერტელსის ნაშრომზე დაყრდნობით ჩამოთვლის იმ „მყარ კომპოზიციურ აღნაგობას“, რომელიც „აღმოსავლურმა პოეზიამ შექმნა“: „1. მოკლე შესავალი (პოეტი ასახელებს თავის სიუჟეტს და იმ ჰეროსს, რომლის საქებადაც იწერება უასიდა), 2. საკუთრივ ქება (გაზვიადებულად აღწერს საქები ჰეროსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის სამხედრო ძლიერებას, გარეგნობას, რომ ამ ჰეროსს ძალაუფლება მინიჭებული აქვს ღვთის წვალობით და სხვა). 3. დასასრული (ეველას მიმართ გამოთქვამს კეთილ სურვილებს)“. ბოლოს კი დაასკენის: „ამრიგად, აბდულმესიანი სტრუქტურულად „თამარიანის“ მსგავსი სასოტბო თხზულებაა. ორივე ძველი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან - შესავლის, საკუთრივ ქებისა და დასასრულისაგან. ორივეს აქვს ერთნაირი შინაგანი არქიტექტონიკა: სოტბათა ტექსტები შესავლის გარეშე შეიცავენ ჰატარა-ჰატარა სამქებარო «ლექსებს», ანუ თავებს, რომელთაც მოეპოვებათ თავ-თავისი სტრუქტურული კომპონენტები: შესავალი, შინაარსი და ბოლოთქმა. მათ შორის განსხვავება შეიმჩნევა გარეგანი რითმის ხმარებაში: ჩანრუსაძემთან ასეთი რითმები ჰქმნიან სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ოდის სტროფულ შედგენილობას, შავთელთან კი თითოეული სტროფი სხვადასხვა რითმისა და გაწეობილი და, მაშასადამე, ეს რითმა ამა თუ იმ თავის სტროფული შედგენილობის დასადგენად არ გამოდგება“⁴.

კ. კეკელიძე და ი. ლოლაშვილი აღნიშნულ მსგავსებას იმით ხსნიან, თითქოს ეს ნაწარმოებები ერთი ეპოქისა იყოს. „ნათესაობა ამ ორ ნაწარმოებს შორის, - განაგრძობს კ. კეკელიძე, - იდეური თუ

⁴ ძველი ქართული მეხოტბენი, II, გვ. 98. 101-102.

ფორმალური, აიხსნება იმით, რომ ჩანსრუსამე და შავთელი არიან მწერლები ერთი და იმავე დროისა და წარმომადგენელი ერთი და იმავე დირატიკურული სკოლისა“ (გვ. 247).

ი. ლოლაშვილი: „თამარიანისა“ და «აბდულმესიანის» სტრუქტურული მსგავსება შემთხვევითი როდია! ჩანსრუსამე და შავთელი ერთი ვაჟის მწერლები არიან, მათ კარკად იციან კლასიკურ ხანაში შემუშავებული წესები იმის შესახებ, თუ სახოტბო თხზულება როგორი არქიტექტონიკით უნდა დაიწეროს. ორივე მეხოტბე საუცხოოდ იცნობს ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ ჰოჯიას, რომელსაც დიდი წვლილი უდევს საერო-სახოტბო თხზულებებისათვის შესატყვისი მხატვრული ფორმის მიებასა და დამკვიდრებაში“ (გვ. 102).



ვიდრე აღნიშნულ სახოტბო თხზულებებში არსებულ მსგავსებათა მიზეზის ჩვენეულ ახსნას წარმოვადგენდეთ, მანამ ვნახოთ, კიდევ რა ნიშანდობლივი ერთობა ან განსხვავება არის მათ შორის.

ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ჩანსრუსამის „თამარიანს“ მიჰყვება მაჯამურ, ანუ ომონიმურ (ზოგან ტავტოლოგიურ), რითმათა სიუხვის მხრივ. პირველში, 107 სტროფში, ამგვარია 123 რითმა. მეორეში, 108 სტროფში⁵ - 110 რითმა. ორივე ნაწარმოებში საკმაოდ ბევრი გვაქვს ისეთი სტროფი, სადაც ცალკეულ სტრიქონთა პირველი ნახევრები ერთ ომონიმურ რითმას ქმნიან, ანუ სტრიქონთა პირველი და მეორე მეოთხედი ნაწილები გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა. „თამარიანში“ ამგვარი რითმებით გაწყობილი მთლიანი სტროფი ხუთია. ნიმუშად მოვიხმობთ ერთ მათგანს:

„შენ არე მთენი! შენ არე მთენი არ ჰგვანდეს შუქთა ჰაეროვნებად!
არა თუ ზევსი, არათ უზევსი, არ შენ ხარ მნათი დაუყოვნებლად!
მის მიერ მისად მისში ერმისად, სხვათა მნათობთა მართ ბინდ მკლოვნებად,
არს ასულ-ტანი - არა სულტანი არა თუ შინა სამაროვნებად“ (26).

ასეთივეა მომდევნო 27-ე, 30, 31 და 33-ე სტროფები. 25-ე და 35-ე სტროფებში ამგვარი სამ-სამი სტრიქონია. 34-ე, 72, 73 (ამ სტროფს ბოლო ორი სტრიქონი დაზიანების გამო აკლია) და 77-ე სტროფებში - ორ-ორი სტრიქონი. 28-ე, 32, 36, 47, 48, 70, 71, 76-ე სტროფებში - თითო სტრიქონი.

⁵ „თამარიანს“ ბოლო, ი. ლოლაშვილისეულ, გამოცემაში წარმოდგენილია III სტროფი, მაგრამ დაზიანების გამო აკლია 12 სტრიქონი, ანუ 3 სტროფი.

ე. წ. „აბღულ-მესიანში“ მთლიანად შედგენილი ამგვარი სტროფი არა გვაქვს. სამსტრიქონიანია მე-5 სტროფი:

„და ვით ისა და დავითისადა ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:
ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა,
ესე მისითა, ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა,
ა ქამით მორჩიი აქა მით მორჩიი სატუხელებრსა, ართუ არედ-ა“.

ორ-ორსტრიქონიანია 35-ე, 48, 54, 66, 73, 81 და 98-ე სტროფები. თითოსტრიქონიანი - მე-2, 6, 7, 9, 16, 21, 24, 27, 30, 33, 34, 37, 38, 53, 75, 80, 94 და 96-ე სტროფები.

ა. გვაზარიათ მიუთითა, რომ ე. წ. „აბღულ-მესიანსა“ და „თამარიანში“ არის სამმაგი შინაგანი რითმა. „შევეთელიც და ჩანრუსამეც, - წერს მკვლევარი, - თავისუფლად, თუმცა იშვიათად და არათანმიმდევრულად მიმართავენ სამმაგ შინაგან რითმას. მათი ზოტების რიგი ადგილები ამ ხერხით არის დაწერილი. ამასთან საინტერესოა, რომ სამმაგი რითმის სმარების შემთხვევები გაცილებით მეტია «აბღულმესიანში», ვიდრე «თამარიანში». პირველში გვაქვს ოცდახუთამდე ნიმუში, მეორეში - შვიდამდე, თანაც შედარებით სუსტად გამოხატული“⁶. დამოწმებულია შემდეგი ნიმუშები⁷:

„თამარიანი“:

„იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული, ხე ედემს რგული ნაშენებარე“ (35.3).
„სხვანი მრავალნი, დაუთვალავენი მდომელ-ტრფიალნი შვებისა წვეუად“ (46.2).

მესამე ნიმუში სამმაგრითმიანია ნ. მარის გამოცემაში:

„ჰყო-ლა მოზენით, მოხედნა ზენით, თამარ შუქ-ფენით ნათელიერსა“.

ი. ლოლაშვილის გამოცემაში „ფენით“ სიტყვის მაგივრად წერია „მფენსა“ (110.4).

ე. წ. „აბღულ-მესიანი“:

⁶ ალექსანდრე გვაზარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1995, გვ. 132-133.

⁷ ა. გვაზარია იმოწმებს ნ. მარის გამოცემის მიხედვით. ჩვენ მოგვყავს ი. ლოლაშვილის გამოცემის მიხედვით.

„ზესკნელთ-ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფსკრულთ
სადარი“ (3.4).

„ასაფიც არი ა საფიცარი, დამამტიცარი წინასწარისად! (7.4).

„იკითხვენ, სწერენ, თაყუმასა სჩხრევენ, რამღს ჰკრვენ, არჩევენ ბედთა
მათაგან“ (17.1).

„აქეს სასოება მას, სათნოება, სარწმუნოება სიყვარულითა“ (22.1).

ქმნის რა ნავარდი, მყის განავარდი, ფერობს, ვით ვარდი თვით დაცვარული“
(29.3).

„მიჰხედეს მისრულნი, მისთვის მისრულნი, თვისთვის მისრულნი საქმისა
ძნელსა“ (41.3).

„სიწმინდის ვაზად, არ-ბილწ ავაზად, ნათლის ემბაზად დაარსებულსა!“
(76.4).

ა. გვახარია იქვე აღნიშნავს: „აღორძინების ეპოქაში აქა-იქ
გვხვდება სამშავი შინაგანი რითმის გამოყენების ცალკეული შემთხვევები
(არჩილი, მამუკა ბართაშვილი). უველაზე მკაფიოდ გამოხატული და
შედარებით ვრცელი მაგალითი გვაქვს ბესიკთან“ (გვ. 133).

განსხვავება ე. წ. „აბდულმესიანსა“ და „თამარიანს“ შორის
ლექსწყობის თვალსაზრისით შემდეგია: „თამარიანი“⁸, რომელიც
ძირითადად შესრულებულია ჩახრუხაულით, რამდენიმე სტროფია (52-
ე, 53, 54, 55-ე) ფისტიკაური, რამდენიმე კიდევ (78-ე, 79-ე) - შაირი⁹,
ერთი სტროფი 20-მარცვლიანია, ოღონდ რითმების განლაგების
მიხედვით თავისებური:

„ახალო პირო, მძლეე ნოსრ ვითა, - ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო,
მგნეო და გმირო, ბობოქარ ოხრვითა ითხრის მგოდებმან ფლასურმა ისო,
ვად გაუკშირო მტერთა მოსრვითა, შენი თქვეს: «შამი, ა სურმა ისო»,
ესრე ატირო გულსა მოკრვითა კრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო“ (37).

ე. წ. „აბდულ-მესიანი“ „თამარიანს“ მიჰყვება არა მარტო გა-
რეგანი აგებულებით, ანუ ლექსწყობით, სტროფთა რაოდენობით, არა-
მედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი აგებულებითაც, ანუ ში-
ნაარსობრივი ქარგით. ორივე თხზულებაში საქმე გმირთა შესამკობად
ხშირად არიან მოხმობილი ბერძენ და სხვა ერთა ცნობილი სწავ-
ლულები, მითიური გმირები, ბიბლიური ამბები და სახელგანთქმულ
თხზულებათა პერსონაჟები. „თამარიანის“ დასაწყისში ვკითხულობთ:

⁸ ამ სტროფებშიაც (52-ე, 55, 79-ე) თითო (პირველი) სტრიქონი შიდარიტმონია. ისე როგორც ჩახრუხაულის რამდენიმე სტროფი (100, 105) კოჭლია - ზოგიერთ სტრიქონს შიდა რითმები არ მოუპოვება.

„მო, ფილოსოფონო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!
დიონისითგან, ვით ენოსითგან სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
უმბროს, პლატონ სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიხვდენ შესატყვიერსა“.

„არისტოტელო, ბრძენთა ტომელო, თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა: ვერაეინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა...“
(1; 2. 1-2).

მსგავსი მოწოდებისა და შინაარსისაა ე. წ. „აბდულ-მესიანის“
დასაწყისიც:

„შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, არჩილს ვაქებდეთ მეფედ
კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ-მაჩინეთს თარშის
კებულსა,
რომელნი ელნით, რომელნი ელნით თავს სოგრატისებრ სწავლით გებულსა,
ვარსკელათ-მრიცხველნი, სხვათ ბრძენთ მკიცხველნი, ვერ ძალ-გიცთ
ქებად, თავს ჰყოფთ ენებულსა“ (2).

აქ აღნიშნული ზოგიერთი პერსონაჟი ამ თხზულებაში შემდეგაც
არის ნახსენები და ძირითადად იმავე აზრით, რაც ამ სტროფებში მათ
აქვთ. ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ავტორი კვლავ ფილოსოფოსებთან
ტრიალებს:

„ფილოსოფთ რვისა გარდატევიფრვისა მხედველ ხარ მსგავსად ებელისათა“
(56.3).

„თამარიანში“ ფილოსოფოს ენოსის შესახებ შემდეგ ნათ-
ქვამია:

„ანუ ენოსა, მე უენოსა რად ვინ მაბრალებს ვთქვა დაკლებულად?“ (15.3).

კიდევ:

„მეტყვით მით ენოს...“ (27.2), „თუ ძნობდეს ენოს...“ (51.1), „ბნელსა
მთენოსა გკადროთ ენოსა...“ (64.1).

ამ სახელგანთქმულმა სწავლულმა რომ მოინდომოს, საქები
გმირის ღირსეულად შესხმას მაინც ვერ შეძლებს:

„ენოს მწერლობდეს, უმურველობდეს, ვერცა მან სრულ-ყენეს თქვენნი
ქებანი“ (94.3).

ე. წ. „აბდულ-მესიანში“ იგივეა გამეორებული:

„ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაებმის, ბრგვნილ-ჰყოფს
ენითა“ (15.1).

როგორც „თამარიანის“ პირველ სტროფშია, სოკრატეს, ვი-
თარცა დიდ ავტორიტეტს, ჩაზრუნხაძე შემდეგაც ახსენებს:

„ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძნობდეს, იგია მისთვის შემსგავსებულად“
(15.1).

„ვერა დამატონ სოგრატ და პლატონ, ძნობდეს ორნივე ეფრემის წყებად“
(100.1).

ასევეა ე. წ. „აბდულ-მესიანშიც“:

„იროიკ, ბოდრატ, პარმენიდ, სოგრატ უფლად გთქვეს ზღვისა და
გმელისათა“ (56.2).

„ალვა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი ქებისა პოუნად, ვითა სულელი“ (81.3).

ამავე თხზულებაში ვხვდებით აგრეთვე „თამარიანის“ დამო-
წმებულ სტროფში ნახსენებ გრძნეულ ქალს „სარამას“ და ორივეგან
მას ერთი და იგივე სახელწოდება აქვს - „გრძენი“ (გრძნეული,
ჯადოქარი):

„წიგნი - მეფეთა, ქება ქებათა, ეკლესიასტე, სარამა გრძენისა“ (103.1).

როგორც ეს ზემოთ დამოწმებულ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მეორე
სტროფშია, „თამარიანშიც“ გმირის ზოტბის მიზნით არის გამოყე-
ნებული ქვეყნები და ქალაქები: ეგვიპტე, ჩინეთი, ალაბი, თარში:

„მადრიბსა დაყენეს ჟამნი მრავალნი, აჰვაზს, მოსულსა ქვა, ოქრო ჰქონდის.
ანუ ხაზარეთს, ჩინთა და ხანთა გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის“ (53.2-3).
„თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით სძღვენეს ნიჭად თვალნი და
გონებანი“ (92.1).

გმირთა დასახასიათებლად ორივე ნაწარმოებში ვხვდებით ძველ
ბერძენ მითოლოგიურ ღმერთებს: ექიმებისა და სამედიცინო ხელო-

ენების მფარველს ასკლებიოსს, ანუ, როგორც აქ ეწოდება, ასკლიოსს, ასკილიოსს და ზევსის მამას კრონოსს. „თამარიანი“:

„ანუ გთქვამთ ისი: არს ბრძენთა თვისი, ასკილიპოსებრ გონება-ვრცელი!“
(64.3).

„ა რეა! კრონოს ენა გარდმკონოს, ვარდთა გიდარნე ნაშვენებანი“ (89.1).

ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„მასთან ასკლიპოს ველარ მუსიკობს, თვით ქებად თქვენდა განლიგებულ
არს“ (102.4).

„ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაეპმის, ბრგენილ-ჰყოფს
ენითა“ (15.1).

ორივე ნაწარმოებში ამავე დანიშნულებით არის მოხმობილი აგრეთვე ბიზანტიის კეისრის ჰერაკლესა და ბიბლიური მეფის ნებროთის სახეები.

„თამარიანი“:

„გამცრობს ერაკლე: სპარსთა ერ აკლე, მოსრენ, მოსწყვიდენ ანათებარე“
(34.2).

„ნებროთს სჯობს ძალად, - ვთქვა შიშით მკრძალად, - დებორს ჰმატიან
ახოენებანი“ (90.3).

ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„ვიტყვი ზეასროსა, იმა ზეასროსა, ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა“ (38.1).

„... სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვალთა“ (46.2).

„მაშინდა ნებროთ ჭკვით სამისებროთ გოლოლი კელ-ყო შენებად ველთა“
(91.3).

ეს სახელები ძველი ქართული მწერლობისათვის, რა თქმა უნდა, უცნობი არ არის, მაგრამ არც მაინცადამაინც დიდად გავრცელებულია.

ორივე ნაწარმოებში ასეთივე მიზნითაა გამოყენებული აგრეთვე ბიბლიის, „ვისრამიანისა“ და „შაჰ-ნამეს“ ცნობილი და ფართოდ გავრცელებული პერსონაჟების მოსეს⁹ (87.4 [12.4; 24.2; 82.4; 92.2]),

⁹ პირველი ციფრი „თამარიანის“, ხოლო მერე, კუთხოვან ფრჩხილებში მოთაესებული, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ სტროფთა და სტრიქონთა მაჩვენებელია.

დავითის (14.3; 19.3; 23.4; 80.3; 109.2 [5.1; 79.4...]), სამსონის (42.2; 51.2 [46.2]), სოლომონის (80.4 [103.2]), ვისის (43.2 [32.1]), როსტომის (11.1 [15.4; 31.4]), საამის (64.1 [15.3]) და სხვათა სახეები.

თითოეულ თხზულებაში ვხვდებით აგრეთვე მრავალ სხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახელს, მაგრამ მათი გამოყენების მიზანი ორივეგან ერთია - ამით ხაზი გაესვას და გამოიკვეთოს საქებ პერსონაჟთა ღირსებანი.

რაც შეეხება ბიბლიურ ამბებს, ორივე თხზულებაში (კიდევ უფრო მეტად ე. წ. „აბდულ-მესიანი“!) იმდენად დიდი ადგილი უჭირავს, რომ მათი გამოდევნება შორს წაგვიყვანს.

ნოსრევან ჯიშკარიანს მოჰყავს „მზის მხატვრული სახეები“, რომლებიც შესადარებელ სახოტბო თხზულებებში „ქების ობიექტის სიღამაზისა და ადამიანური სრულყოფილების გამოსახატავად“ არის გამოყენებული¹⁰.

მარიამ კარბელაშვილი გამოყოფს ერთნაირ გამოთქმებს.

ე. წ. „აბდულმესიანი“:

„დავლათ სვიანად, სუფევს მზიანად შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა“
(18. 1).

„მზე დაუვალი, მყის დაუვალი არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ“ (72. 3).

„თამარიანი“:

„ჩვენ ვთქვით: «ეს რად ჰგავ? - ზეციერად ჰგავ შვიდთა მნათობთა
დაშვენებულად»“ (4. 4).

ე. წ. „აბდულმესიანი“:

„აქს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით სიბრძნის დასაბამ - შიში
უფლისა“ (12. 1).

„თამარიანი“:

„უკლები ესე არს გულსა მთესე შიშისა ღმრთისა დაუვიწყებლად“ (96. 3).

¹⁰ ნ. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი, ძველი ქართული სასულიერო და საერო-სახოტბო პოეზიის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4, გვ. 33.

¹¹ შ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: XII საუკუნის საქართველოს „ოქროს ხანის“ იდეოლოგია და მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის), კრებ.: „ლიტერატურული ძიებანი“, XXI, თბ., 2000, გვ. 120, 127.

ეს და სხვა მონაცემები (ზოგი ერთიანობა ქვემოთ იქნება ნაჩვენები) დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ე. წ. „აბდელ-მესიანი“ ჩახრუხაძის „თამარიანის“ გავლენით, მისი ქარგითაა შეთხზული და მამუკა ბარათაშვილის უწყება უეჭველია.

□

ახლა უპირველესად საკითხავია: ამის თაობაზე რაიმე ცნობას ხომ არ იძლევა თვით საძიებელი თხზულება? ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პირველი სტროფი:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!
გიძღვნა ქებანი: მწადს აქ ებანი, ღავეთის ღავეთ ვჯდე მუსიკობად,
მესმა ზევსური: რა ენახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ძობად,
მუნ გულისხმობით თვით გულის კმობით კარი სიბრძნისა სულელთა
ცნობად“.

ზაზგასმული სიტყვები ამგვარადაა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში (აქვე გვაქვს განხილული, მცირე გამონაკლის იძლევა პ. იოსელიანის გამოცემა, სადაც „მეთხზნეს“ ნაცვლად არის „ეთხზნეს“). დამოწმებული ტექსტის მიხედვით, გამოდის, პოეტი მესამე სტრიქონშიაც თავის ნაწარმოებზე ლაპარაკობს: „მეთხზნეს“ – შემეთხზა, შეეთხზა. ი. ლოლაშვილის თარგმანით, „მომეცეს შესაძლებლობა, შეეთხზა სიტყვა მეფის საქებრად“ (გვ. 155). ამ წაკითხვას ყველაზე მეტად მხარს უჭერს „ვსური“ სიტყვა, თუ მას პირველი პირის ზმნად მივიჩნევთ – ვ ი ს უ რ ვ ე.

როგორც ი. ლოლაშვილის მიერ შედგენილი ვარიანტები გვიჩვენებს, პირველი ჯგუფის ხელნაწერებიდან ყველა, მეორე ჯგუფიდანაც ყველა, გარდა Q-სა (G-ს დაზიანების გამო სტროფი აკლია) და, როგორც ვთქვით, პ. იოსელიანის გამოცემა საძიებელ სიტყვას მესამე პირით წარმოგვიდგენს – „ეთხზნეს“.

თუ ხელნაწერთა ავკარგიანობის, კერძოდ, წარმომავლობის მიხედვით განვსჯით, „მეთხზნეს“ მესამე ჯგუფის ნუსხათა კონიექტურად, ხოლო მესამე პირის ფორმა „ეთხზნეს“ დედნიესულად უნდა ვცნოთ. ამ ვარიანტს მხარს უჭერს ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში კარგად ცნობილი, გადაწერის პროცესში მოქმედი ფსიქოლოგიური წესი. რომ ჩვეულებრივ ე. წ. რთული წაკითხვის მარტივად გადაკეთება ხდება და არა პირიქით. ჩვენს სტროფშიაც, როცა წინმდებარე ყველა ზმნა პირველ პირში დგას (მომცეს, გიძღვნა, მწადს, ვჯდე, მესმა, ენახე, ვსური), უფროა მოსალოდნელი, გადამწერებმა მომდევნო ზმნაც მე-

ქანიკულად პირველ პირში გადაიყვანონ, ვიდრე ეს შეთანხმება მოშალონ. ამგვარი ქმედებისათვის (ე. ი. პირში შეთანხმების შეცვლისათვის) აქ რაიმე მიზეზი არ ჩანს.

„ეთხზნეს“ პირველადობას ადასტურებს აგრეთვე მეოთხე სტრიქონი, სადაც „მუნ“ სიტყვა პ. იოსელიანის კონიექტურაა, რომელსაც შემდეგ ყველა გამოცემა იმეორებს. ხელნაწერებში კი უკლებლივ მის მაგივრად მესამე პირის ნაცვალსახელი „მან“ გვაქვს. „მუნ“-ის უსაფუძვლობას მიუთითებს აგრეთვე სტრიქონში გამოყენებული სიტყვა „თვით“. იგი „მან“-ს უფრო შეესატყვისება, ვიდრე „მუნ“-ს: *„მან გულისხმობით, თვით გულისხმობით...“*

ამ მონაცემების მიხედვით, რომელთაც, ვიმეორებთ, უკეთესი ხელნაწერები იძლევა, ვლებულობთ, რომ პოეტი მესამე და მეოთხე სტრიქონებში გვესაუბრება არა თავისი ნაწარმოების შექმნაზე, არამედ სხვაზე, სხვის თხზულებაზე.

ვინ არის ან ვინ შეიძლება იყოს ეს სხვა?

ფაქტობრივი მონაცემით, იგი არის ჩაბრუნხაძე და მეფის, თამარის, საქებარი მისი ქმნილება „თამარიანი“.

ახლა ვნახოთ. განსახილველ სტროფში ხომ არაა დასახელებული თვით ჩაბრუნხაძე?

პირველი ჯგუფის ორ ხელნაწერში, B-სა და D-ში და ყველა დანარჩენ ნუსხასა და გამოცემაში იკითხება ზემორე დამოწმებული „მესმა ზევსური“. პირველი ჯგუფის ორ ხელნაწერში, A-სა და C-ში, „ზევსურის“ ნაცვლად წერია „ზევსური“ (A-ში იგი „კ“ ასოთი არის წარმოდგენილი). რაც ი. ლოლაშვილის გამოცემაში „წერით შეცდომად“ არის შეფასებული. რა თქმა, უნდა. „ზ“-სა და „ხ“-ს გრაფიკული აღრევის ნიადაგზე „ზევსურისაგან“ „ზევსურის“ მიღება ადვილად შეიძლება. მაგრამ ისიც ცხადია, ასევე ადვილად შეიძლება პირიქითაც მოხდეს. უპირველესად გასარკვევია, კონტექსტს უფრო რომელი შეესატყვისება?

კარგად არც ერთი და არც მეორე!

სამეცნიერო ლიტერატურაში „ზევსური“ ჩვეულებრივ გაგებულა ბერძნული მითოლოგიის უდიდესი ღმერთის ზევსიდან ნაწარმოებ სიტყვად - ზ ე ვ ს ი ს ე ბ უ რ ი. განსხვავებული შინაარსით ესმოდა იგი მ. ჯანაშვილს. მის გამოცემაში „მესმა“ ორ სიტყვად არის დაბეჭდილი: *„მე, სმა ზევსური რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხზვნეს მეფისა ძნობად“*. ტექსტზე დართულ განმარტებაში „სმა ზევსური“ ახსნილია როგორც ზემოდან, ანუ ღვთის ნება-სურვილით, მეფედ დასმა. მისი სიტყვებით: *„მეფედ დასმა ზევსებრ, ზენაურად, უმაღლესი ნებით“*.

მკვლევარი ამგვარ გაგებას აფუძნებს წინა სტრიქონის გამოთქმაზე „დავითის დავით“, რომელიც, მისი აზრით, აღნიშნავს: „დავით ხოსლანის ღირსების გამო გამოწვეულ დავა-ჰაქრობით“. ორივე სტრიქონის შინა-არსს კი ასე გადმოგვცემს: „ამ დავითის (სოსლანის - ბ. დ.) მეფედ და თამარის ქმრად მოწვევის მოწინააღმდეგენი მას (დავით სოსლანს - ბ. დ.) უწუნებდნენ ჩამომავლობას და მკლავსაც, მაგრამ, რახან უ მ ა დ ლ ე - ს ი („ზევსური“) ნებით იგი იყო მოწვეული მეფედ, მის საქებრად ი. შავთელმაყ ებანი მოპართა“ (1920 წლის გამოცემა, გვ. 37).

ამგვარი ახსნა არავინ გაიზიარა, რადგან ამის მიხედვით გამოდის, თითქოს მწერალმა ეს ნაწარმოები შექმნა თამარისა და დავით სოსლანის შეუღლებასთან დაკავშირებით, რაც აღარ შეესაბამება იმ ისტორიულ რეალებს (ბასიანის ომი, ლიმონას დაპყრობა, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და სხვა), რომელთა ასახვასაც მკვლევარები ამ ნაწარმოებში ხედავენ და რის მიხედვითაც მას რამდენიმე წლით გვიანდელ თხზულებად ათარიღებენ. ი. ლოლაშვილი, რომელიც საგანგებოდ ჩერდება მ. ჯანაშვილის ამ მოსაზრებაზე, წერს: „თუ დავუშვებთ, რომ დავითი მეფედ დასვეს «ზენაურად, უმაღლესის ნებით», მაშინ ეს უნდა მომხდარიყო 1189 წელს, როდესაც თამარმა და დავითმა იქორწინეს; მაგრამ განა 15-20 წლის შემდეგ შეიძლებოდა ეთქვა პოეტს: «რა დავითის მეფედ დასმა ვნახე, მსურს ზოტბა დაწერო?» გარდა ამისა, «სმა» არ ნიშნავს დასმას და «ზევსური» - ზენაურს, ანუ უმაღლეს ნებას. «მე სმა» ერთი სიტყვაა - მესმა (მე ის); ე. ი. მომესმა, შევითქვე, გავიგე, ზოლო «ზევს-ურ-ი» - ზევსისებური, ЗЕВСОВСКИЙ (ნ. მარი), ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან ზევსი. შავთელისათვის ეს ზევსი - მრისხანე, ძლიერი და მკრგვინავი ღმერთი, შთაგონების მომნიჭებელია: მესმა ზევსური (ბრძოლა და), რა ვნახე, მოვისურვე, რომ მომეცეს შესამღებლობა სიტყვანი შევთხზა მეფის შესამკობად (მნობად)“ (გვ. 157).

ამ მსჯელობიდან უცილობელი ისაა, რომ „სმა ზევსური“ აღნიშნული გაგებით, და საერთოდაც, ძალიან ხელოვნურია და პირობითი. ასევე უნდა შეფასდეს „მესმა ზევსური“ გამოთქმაც, თუ რა იგულისმება ამ „ზევსურში“ - ბრძოლა, როგორც ი. ლოლაშვილს ესახება, ძლიერი ხმა ან კიდევ სხვა რამ, არსაიდან ჩანს.

აზლა მივხედოთ „ზევსური“ ვარიანტს.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ რითმის თვალსაზრისით, „ზევსური“-ზე უკეთესია „ზევსური“ - ომონიმურ რითმას იძლევა: „მესმა ზევსური, რა ვნახე ვსური“. კიდევ უფრო საყურადღებოა შინაარსობრივად.

როგორც ცნობილია, „თამარიანზე“ დართული ბიბლიოგრაფიული შინაარსის სტროფში, რომელსაც მკვლევართა ნაწილი ჩანართად მიიჩნევს, ამ ნაწარობის ავტორად დასახელებულია მოხვეე, ხევის მკვიდრი ჩახრუხაძე თუ ჩახრუხაძეები:

„მოკვეეს ძეთა ჩახრუხაძეთა ექო თამარი, მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე, თინათინ ვაქო ბალი წყლიანი:
ა, ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, – არაბეთს იყო სულადიანი, –
ჯერეთ ყმაწვილი. წმინდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი“.

„თამარიანის“ ერთ ნუსხაში, A 1605-ში, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება, შესრულებულია ლამაზი მდივანმწიგნობრული ხელით და, ი. ლოლაშვილის მოსაზრებით, არჩილ მეფის დაკვეთით გადაწერილი ნუსხიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ სტროფს წინ უძღვის ამგვარი ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტროფი (38 v), სადაც „თამარიანის“ ავტორი ასევე მოხვეედ არის მოხსენიებული:

„ჩახრუხაძისა მოკვეე-მოძმისა ნათქვამი ეს არს „თამარიანი“,
სოფელმან დანთქა, გათავდა აქა ისი მნათობი ვარდ-ამბრიანი,
კმელთა მპყრობელი, მბრძოლთა შემძლეები, მოწყალედ ეთქვა პირ-მთვარიანი,
ქრისტევე ნათელო, სამოთხეს მქენო, ღირსნი მოწამე სად არიანი?“¹²

ამავე ცნობებს იმეორებს და ზოგიერთს უმატებს არჩილ მეფე თავის ვრცელ საზოტბო თხზულებაში „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, ჩახრუხაძეული საზომითაა შესრულებული და პირველი ზუთი სტროფი ჩახრუხაძესა და მის პოემას ეძღვნება¹³. პირველ სტროფში აღნიშნულია, რომ პოეტის სახელი უცნობია და გვარის საკითხიც მოსაგვარებელია:

„ჩახრუხაძე ბრძენთ ვაბაძნეთ, მაგრამ სახელს გვიმაღავსა,
იარება, შებრკოლება არ ეტყობა დრკუდ რამ სღვასა;
მაგრამ გვარი მოსაგვარი სახელს ვის გვღებს დასავალსა!
ღია ამკობს, ვით იაკობს, თამარს მაშრიყ-დასავალსა“.

მეორე სტროფში ნათქვამია, რომ იგი ხევის მაცხოვრებელია:

¹² ძველი ქართული მეზოტბენი, I, გვ. 31.

¹³ ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, არჩილიანი, I, გვ. 225-226.

„ვისმე ხევითა, საროს ხე ვითა, უთქვამს ლექსები რტო-გარდაფენით, ყვაილთ მრავალფეროთ, ფერად შესაფეროთ, ვარდი უყრია ბაგეთ მოფენით, ვინ ვაფურქვეთ ლალთა, ცუდებრ მოლალთა, მითა თქმულთაგან გაკვირფენით, ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი, მჭვევრად უქია ერნიც მეფენით“.

მესამე სტროფში მისი სიტყვა, პოეტური ენა მთიულად იწოდება:

„ჩახრუხაული, ვით რეხეული, ძეგლად უწესა თავისა ლექსსა;
სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიცით, იგი მთიული უცხოლ რამ ლესსა,
ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა, ნარნარად აქებს მის დროს
მოსულსა,
შაირთ მოჯრობით, ლექსთ დარაჯობით, სწორად შეამკობს ფინიკს და
ლელსა“.

ჩახრუხაძე მთიულად და მოხევედ არის მოხსენიებული მეხუთე სტროფშიც:

„მოხვეელისამ, ჩახრუხელისამ, ლექსთა სიტკბომა ამიყოლია,
მისებრ მთიული, სიბრძნით ღვთიული თამარის კიდე ვისმტა ჰყოლია?
ან სხვა მდივანი, გულ-შემტკივანი, გინა შინაყმა კაამყოლია?
მაგრა რიტორთა, ვით რამ მარტოთა, დასჯის ლექსობა, ვინ მოჰყოლია“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ახლაც და ძველად ბარში ერთმანეთშია არეული *მთიულეთი* (მთიულისა) და *მთიანეთი* (მთიელის) ცნებები. ასე იყო XVII საუკუნეში და ასევეა არჩილთანაც¹⁴. ამდენად, არჩილი ჩახრუხაძეს მიიჩნევს არა მთიულად, არამედ მთიელად, მ ო ხ ე ე ე დ, ხ ე ვ ი ს მაცხოვრებლად.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს და XVII საუკუნეშიც, იაკობ შემოქმედელის დროს, „ხევსური“ აღნიშნავდა საქართველოს სხვა კუთხის, ხევსურეთის, მკვიდრს და არა მოხევეს, ხევის ბინადარს, ფაქტობრივი ვითარება გვიკარნახებს, დავსვათ საკითხი: საკლდევი ტექსტის „ხევსური“ ხომ არ ეხმიანება „თამარიანის“ ავტორის სადაურობის თაობაზე XVII საუკუნეში გავრცელებულ თვალსაზრისს და ამ სიტყვაში ხომ არ იგულისხმება ჩახრუხაძე?

კაცმა რომ თქვას, მაშინდელი ფეოდალური კარჩაკეტილობის პირობებში გურული კაცისაგან „მოხევისა“ და „ხევსურის“ ერთმა-

¹⁴ ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობა (მთის კუთხეების ლოკალიზაციის და ეთნონიმიკის საკითხები), თბ., 1986, გვ. 7-15 და სხვა.

ნეთში აღრევა არც გამორიცხული და არც გასაკვირი უნდა იყოს. მეორეც: შესაძლებელია, მოხვევსა და ხვესურს ერთმანეთისაგან არჩევა, მაგრამ ჩახრუხაულის, შიღართმებით დახუნძლული ამ რთული აგებულების სალექსო ზომის გამო, აქაც მეტისმეტად ხელოვნურად შექმნილი სიტყვა გამოიყენა და „ხვესური“ ხ ე ვ ი ს მ კ ვ ი დ რ ი ს ე - ბ უ რ ს ნიშნავდეს. საკითხის შემდგომი შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ხვესურში“ ჩახრუხადის დანახვა არათუ დასაშვები და სავარაუდოა, არამედ ერთადერთი ჭეშმარიტება არის. ამას გვიჩვენებს არჩილის „მეფეთა“-ს ლექსის მეოთხე სტროფი:

„მო, ნახე, ვსურის¹⁵, მონა ხ ე ვ ს უ რ ი ს სიყვარულითა მის კმით ვქთვა
მეცა,

ვითა აჩრდილად, არ თუ სადილად, გარნა იქნების დღესთან ღამეცა,
მე ქვე მეთრევესა, იგ ესრეთ მრევესა, დაბალს იატაკს, თუ სთქვა, ღამეცა,
მოშაირენი, ბრძენ გონიერნი, თურ გამოსულან ხევიდამ-ყე-ცა“.

როგორც ვხედავთ, ჩვენი საკვლევი ტექსტი „მ ე ს მ ა ხ ე ვ ს უ რ ი, რ ა ვ ნ ა ხ ე, ვ ს უ რ ი...“ არსებითად ემთხვევა არჩილის ნათქვამს: „მო, ნ ა ხ ე, ვ ს უ რ ი ს, მ ო ნ ა ხ ე ვ ს უ რ ი ს...“ ამ უკანასკნელში „ხვესური“ რომ ჩახრუხადეს აღნიშნავს, ამას უცილობლად და ნათლად ადასტურებს როგორც წინა და მომდევნო სტროფები, ისე ცალკე აღებული ეს სტროფი. ყველა თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთ პიროვნებას, ჩახრუხადეს, და მის ნაწარმოებს ეხება. სხვა ვინმე, პირდაპირი მსჯელობა რომ მიემართებოდეს, გამორიცხულია! „მონა ხვესურის“ ნიშნავს „ხვესურის მონის“. მონა არის ეპითეტი ხვესურისა; მონაა იგი თამარისა, რადგან, არჩილის ვარაუდით, ჩახრუხადე მისი მდივანია. მეხუთე სტროფში, სადაც ჩახრუხადის მღივნობაა აღნიშნული, მას უკვე „შინაყმა“ ეწოდება.

არჩილისა და ჩვენი საკვლევი ტექსტები სიტყვიერად და აზრობრივად იმდენად ემთხვევა ერთმანეთს. რომ აშკარაა, მათ შორის ორგანული კავშირია. ამ გამოთქმათაგან რომელია პირველადი და რომელი მისგან მომდინარე, გადაჭრით თქმა ძნელია. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, როდისაა დაწერილი საკამათო „ხოტბა“. თუ „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ იაკობისადმი მიძღვნილ სიტყვებში „სრულად

¹⁵ ტექსტში ეს სიტყვა დაბეჭდილია ერთად („ხვესურის“), შეცლომების გასწორებაში - ცალ-ცალკე. ბოლო გამოცემაში (ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, „მერანი“, 1999) სტრიქონის პირველი ნახევარი ასეა დაბეჭდილი: „მო, ნახე ვსური მონა ხვესური!“, რაც საკითხისადმი ჩვენს მიდგომას არ ცვლის

ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი“ იგი იგულისხმება და არა არჩილის საქებარი მეორე, ერთსტროფიანი, ლექსი, მაშინ გამოდის, ეს ვრცელი „ხოტბა“ 1681 წლამდეა შეთხზული, ვიდრე მეფე-პოეტი თავის ამ „გაბასებას“ შექმნიდა. რაც შეეხება არჩილის „მეფეთა საქებელი და სამხილებელი“ ლექსის თარიღს, იგი 1709 წლის მეორე ნახევარშია დაწერილი¹⁶. ამ მონაცემებით, გამოდის: ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე ს „ხ ე ვ ს უ რ ა დ“ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი, გ უ რ უ ლ ი კ ა ც ი, და ა მ გ ა გ ე ბ ა ს ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს ა რ ჩ ი ლ ი, ა ღ მ ო ს ა ე ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ე ლ ო შ ი და ბ ა დ ე ბ უ ლ ი და ა ღ ზ რ დ ი ლ ი მ ე ფ ე. რომლის სამეფოში, ქართლსა და კახეთში, ხვეცი და ხვესურეთიც შემოდიოდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ძნელი დასაჯერებელია, არჩილს იაკობის გავლენით გაემეორებინა ჩახრუხადის ხვესურობა. ალბათ, უფრო ახლო ვიქნებით სინამდვილესთან, თუ ვიფიქრებთ, ჩახრუხადეს ამგვარად უწოდებდა არჩილი და მის ირგვლივ შემოკრებილი მწიგნობართა წრე.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, არჩილის ნაწარმოები უეჭველს ხდის, რომ ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა „მ ე ს მ ა ხ ე ვ ს უ რ ი“ დ ე დ ნ ი ს ე უ ლ ი ა და ი გ ი ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე ს ა და მ ი ს „თ ა - მ ა რ ი ა ნ ს“ ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს.

მაშასადამე, საკვლევი თხზულების პირველ სტროფში ავტორი გვიმჟღავნებს, რომ მისი შექმნა შთაუგონებია ჩახრუხადეს, მის შემოქმედებას. ნიშანდობლივია, რომ ეს ხდება პირველ სტროფში. ნიშანდობლივია იმიტომ, რომ ბიბლიოგრაფიული ცნობები ჩვეულებრივ მოცემულია ნაწარმოების თავსა და ბოლოში. ესეც ბიბლიოგრაფიული ცნობაა და მოთავსებულია თავში.

□

არჩილის დამოწმებული ნაწარმოები გასაღებს იძლევა არა მარტო განხილული გამოთქმის შინაარსის დასადგენად, არამედ მისი შემცველი მთელი ამ საღაგო ოდის არსისა და დანიშნულების გასარკვევადაც. საერთოდ, ამ ორი მწერლის პოეტური მემკვიდრეობის გაცნობა მიგვანიშნებს, რომ მათ ერთმანეთთან მჭიდრო ლიტერატურულ-შემოქმედებითი თანამშრომლობა აქვთ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ერთიც და მეორეც ბიბლიურ თემებზე ლექსად გამოთქმულ

¹⁶ ამ საკითხზე იხ. ჩვენი ნაშრომი: არჩილის ერთი ნაწარმოების გავებისა და დათარიღებისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1995, № 1-4, გვ. 81-84.

გამოცანებს წერენ, ორივენი იღვწიან ქართული ლექსწყობის განახლებისათვის და ზოგჯერ ერთნაირ ან მსგავს სალექსო ფორმებს ქმნიან. ჩანს, სწორედ ქართული პოეზიის მრავალფეროვნების აღდგენასა და განახლებას ემსახურება არჩილისა და იაკობის მითითებული თხზულებანიც.

როგორც ვნახეთ, არჩილი პირდაპირ ამბობს, რომ თავისი ნაწარმოების შექმნა მას ჩაზრუნხაძემ, მისმა „თამარიანმა“ შთააგონა: „სიყვარულითა მ ი ს ხ მ ი თ ა ვთქვა მეცა“ და „მოხვედლისამ, ჩაზრუნელისამ ლ ე ქ ს თ ა ს ი ტ კ ბ მ ა ა მ ი ყ ო ლ ი ა“. აშკარაა, მეფე-პოეტს უპირველესად მხედველობაში აქვს სალექსო ფორმა „ჩაზრუნული“ და მასში გამოვლენილი სიტყვის დიდოსტატობა. ჩაზრუნული მისთვის ჩვეულებრივი, ტრადიციული, გავრცელებული ლექსის სახეობა არ არის. იგი უცხოა („უცხოდ რამ ლესსა“). „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ „სხვა ლექს“-ს უწოდებს (24.1). ამიტომაც მოწადინებული „მის ხმით“, მისებურად, ანუ ჩაზრუნულად, გამოთქვას თავისი სათქმელი. ამა თუ იმ „ხმით თქმა“, რომელიც ჯერ კიდევ აღრინდელ ჰიმნოგრაფიაში იყო ფეხმოკიდებული, XVII-XVIII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში უაღრესად მოღური და გავრცელებულია.

არჩილი რომ ამ სალექსო ფორმით ადრე ყოფილა დაინტერესებული, ამას მოწმობს მისი ლექსი „ანბანთქება ცხრა თაენი“¹⁷, რომელიც 1681 წელს არის დაწერილი, ცხრა ჩაზრუნული სტროფისგან შედგება და, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩაზრუნხაძესთან რამდენიმე სტროფის გარეგანი რითმის ერთიანობას, ჩვეულებრივი ჩაზრუნულისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ანბანთქებაა, თითოეული სტრიქონის დასაწყისი ასო ანბანის რიგს ქმნის.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არჩილი ამ შემთხვევაში თავისი ეპოქის შვილია და იმდროინდელ ლიტერატურულ სულისკვეთებას გამოხატავს. მასზე ადრე ჩაზრუნულით დაინტერესებულა თეიმურაზ პირველი, რომელსაც ამავე საზომით შეუქმნია 26-სტროფიანი ლექსი „შვიდთა კრებათათვის“ (აქედან ერთი, ბოლო სტროფი, შაირია). ამ ლექსს 1649-1656 წლებით ათარიღებენ. არჩილი კი მაინც ჩაზრუნაძეს ასახელებს და თავისი შთაგონების წყაროდ მის „თამარიანს“ მიიჩნევს.

ჩაზრუნაძისადმი ანალოგიური ვერსიფიკაციული დამოკიდებულება გამეღავენებულია საკვლევი თხზულების განხილულ პირველ სტროფში.

¹⁷ არჩილიანი, I, გვ. 251-253.

ეს ნაწარმოები და არჩილის „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ პოეტიკურად იმდენად დამოკიდებული არიან ჩახრუხაძის „თამარიანზე“, რომ ორივეს ავტორი ბაძავეს „თამარიანის“ იმ ერთადერთ თავისებურ სტროფს, რომელიც რითმათა სიუხვით ჩვეულებრივი ჩახრუხაულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. „თამარიანში“ კვითხულობთ:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, კმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? – ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარლ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ლაწვ-მწყეზარი, შუქ-მფინარი“ (24)

ე. წ. „აბღულ-მესიანი“ ზედმიწევნით იმეორებს გარითმვის ამ ფორმას:

„შენ, გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო, მეფეე ძლიერო,
მიუხლომელო, მიუწვდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო, მზეო ციერო,
გალადებულო, გალომებულო, კვლა გოლიათო, გულ-ლმობიერო!“ (97)

არჩილის ნაწარმოებში ერთი სტროფი ამგვარი წყობისაა, ოღონდ პირველი სამი სტრიქონი 16-მარცვლოვანია, მეოთხე – ოცმარცვლოვანი:

„გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი,
შენიერი, ნივთიერი, არ მცბიერი, სახიერი,
მქონიერი, ცნობიერი, მძნობიერი, მგრძნობიერი,
ამღონი ერი, ამ-ქვეყნიერი, მონებრი არი გამგონიერი“ (70).

აღბათ, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სამი ნაწარმოები სიდიდითაც დაახლოებით ერთნაირია. „თამარიანის“ ხელნაწერები 110-112 სტროფს შეიცავს, ჩვენი „ოდა“ – 109 სტროფამდე, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ – 114 სტროფს.

მაშასადამე, იაკობ შემოქმედელი და არჩილი მხარდამხარ დაუცხრომლად იღვწიან ქართული ლექსწყობის განახლებისა და გამრავალფეროვნებისათვის და ამ მიზანდასახულობის შედეგი უნდა იყოს „აბღულ-მესიანის“ სახელით ცნობილი „არჩილ მეფის ქება“ და თავად არჩილის ლექსები „ანბანთქება ცხრა თავნი“ და „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“.

„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იაკობ შემოქმედელის ამ ნაწარმოების თემატიკური რაობის განსაზღვრის თვალსაზრისითაც. ზემოთ დამოწმებულ სტროფებში არჩილი მიუთითებს, რომ ჩახრუხაძე „ამკობს... თამარს“ და მასთან ერთად მის თანამედროვე სხვა ხელისუფალთ:

„ქვეყნის მპყრობელთა, სვეთ შემსწრობელთა ნარნარად აქებს მის ღროს
მოსულსა“ (3.2).

მისივე შეხედულებით, გარდა მეფეებისა, ჩახრუხაძის ხოტბის ობიექტებია ერისა და ქვეყნის გამოჩენილი შვილები:

„ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი, მჭევრად უქია ერნიც მეფენით (2.4).

მსგავსად ჩახრუხაძისა, არჩილის მიზანიც, რომელიც ამ ნაწარმოებშია დასახული, მეფეთა ქებაა, ოღონდ ქება იმ მეფეებისა, რომლებიც ღირსებით გამოირჩეოდნენ. პოეტი თავის მისწრაფებას ასე აყალიბებს:

„ხელგჳყო, მცნობელო, დაუცთომელო, ქვეყნიერთ მეფეთ სახელდებულთა,
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა, ახლად მზრახველად დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა, საქებნიერთა, ახოვნად, ქველად გმირებ გეპულთა,
ღრმად აღმოვიწყო, გარ შემოვიწყო ქება ღვთის მიერ დაბადებულთა“ (7).

მწერალი არ იფარგლება საქართველოს ან სხვა რომელიმე ქვეყნის ამა თუ იმ ღრის მეფეებით. თხზულებაში უპირველესად დახასიათებულია ქრისტიანობის წინააღმდეგი „წარმართ მეფენი, საქმით კეთილნი“ (10.1). რომელთაც, თუმცა „კერპთა მსახურნი“ იყვნენ, „საქმნი ქმნიან მართლმორწმუნეთა“ (11.1). ასეთად აქ წარმოდგენილია ალექსანდრე მაკედონელი. ამას მოჰყვება „ღვთისმსახურთ მეფეთ ქებულნი“ (17.1). ჯერ შექებულია ბიბლიური, ებრაელთა მეფეები – დავითი, სოლომონი, იოსია, მანასე, მერმე ქრისტიანები – ბიზანტიის იმპერატორები, კონსტანტინე დიდი და ივბიმიანე. მათ გვერდით „მხილებულნი“ არიან ებრაელთა მეფე იერობოამი და რომის კეისარი ივლიანე განდგომილი.

ამათ შემდეგ ხოტბა მიემართება ქართველ მეფეებს. გამოყოფილია სამი გვირგვინოსანი – დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე და თამარი, „თუმცა ზეობდნენ სხვაც ბევრეულნი“.

მწერალი აქედან გადადის შაკ-აბას მეორისა და პეტრე პირველის დახასიათებაზე. დასასრულ ლაპარაკობს თავის თავზე და თავის ძმაზე, ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტეზე, რომელიც იმ დროს სპარსეთშია და ავლანელებს ებრძვის.

რამდენიმე სტროფში მოცემულია მეფეთა „სამხილებელი კარგ-ავებისა“ (72.1). ჩამოთვლილია ის ამბები, რაც „ვიეთთა ხელყვებს, ცუდს საქმეს, რჩეულთ მეფეთა არად საქარსა“ (74.1).

როგორც ვხედავთ, არჩილის ლექსის მსჯელობის საგანი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანია¹⁸, ვიდრე ჩახრუხადის „თამარიანისა“. კერძოდ, მისი პერსონაჟები გაცილებით მრავალრიცხოვანია. აქედან გამომდინარე, ს ა ვ ა რ ა უ დ ო ა, ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ს ა ც „თამარიანი“ ისევე ფართო თემატიკის თხზულებად ესახებოდა, როგორც არჩილს, და, როდესაც მისი შთაგონებით თავის ნაწარმოებს ქმნიდა, იგი არჩილის პიროვნებით არ შემოფარგლულიყო და სხვა მეფეთა სადიდებელიც ეთქვა. ამ თვალსაზრისით რომ უდგება იგი ბიბლიურ მეფეებს, ეს თვალნათლივია. ამიტომ, ვფიქრობთ, ისიც შესაძლებელია, მართლნი არიან მკვლევარები, რომლებიც ამ სადავო თხზულებაში XII-XIII და უფრო ადრინდელ საუკუნეთა საქართველოს რეალიებს ხედავენ.

ამრიგად: „აბდულ-მესიანად“ წოდებული შესხმის შესავალი სტროფი გვიჩვენებს, რომ ეს სახოტბო თხზულება კლასიკური ხანის ქმნილება არ არის და XVII საუკუნის ქართულ მწერლობას განეკუთვნება.

¹⁸ ამ ლექსის ვერსიფიკაციული და თემატიკური მიმართება „თამარიანისა“ და სხვა თხზულებებისადმი უფრო ვრცლად ნაჩვენებია „მაცნეში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მითითებულ ჩვენს ნარკვევში – „არჩილის ერთი ნაწარმოების გაგებისა და დათარღებისათვის“.

V. ე. წ. „აბდულ-მესიანის“ პერსონაჟები

ერთ-ერთი ძირითადი და სადავო საკითხი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იოანე შავთელის „აბდულ-მესიანის“ სახელით ცნობილ სახოტბო თხზულების რაობის გარკვევას, არის მისი პერსონაჟების ვინაობის დადგენა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაუთავებელი და ცხარე კამათია არა მარტო იმაზე, ვის ეძღვნება ქება, არამედ იმაზეც, რამდენს მიეძმარება იგი – ერთს, ორს თუ სამს.

იმის გამო, რომ „ხოტბაში“ ქება ზოგადია და პიროვნების კონკრეტული ნიშნები არ იკვეთება, მისი პერსონაჟების ვინაობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, ვის უფრო შეესაბამება მასში ასე უზომო გადაჭარბებით აღვლენილი ხოტბა – არჩილს თუ თამარსა და დავითს ან რომელ დავითს – დავით სოსლანს თუ დავით აღმაშენებელს¹. ამ საზომით შეფასებისას, ბუნებრივია, „იმარჯვებენ“ თამარი და დავითი, ხოლო ორი დავითიდან – ზოგჯერ დავით აღმაშენებელი.

თუ იმ სტროფებს კრიტიკულად მივუდგებით, სადაც ღღეს თამარსა და დავითს ხელავენ, ბევრგან დავინახავთ, რომ ამგვარი გაგება ნაძალადევი და საეჭვოა, ზოგან კი აშკარად მცდარი.

ჯერ ენახოთ ის ადგილები, სადაც თითქოს დავით მეფე და თამარია ნახსენები.

1. დავითი

ის სტროფები, სადაც „დავითის“ ნაცვლად პირველ-მეორე ჯგუფის ხელნაწერებში „არჩილი“ წერია, უკვე ვაჩვენეთ და მათ შესახებ სიტყვას აღარ გაეაგრძელებთ. ორ სტროფში აშკარად ჩანს და სადავო არ არის, დავით წინასწარმეტყველზეა საუბარი და არც ერთ ხელნაწერში მას განსხვავებული წაკითხვა არ მოეპოვება. ესენია: მე-5 სტროფის პირველი სტრიქონის ერთ-ერთი „დავითი“:

„დავითისა და დავითისა და ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა“.

მეორეა 79-ე სტროფის ბოლო სტრიქონი:

„ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად დავით გიწოდა თვისად
მკვიდრობად“.

¹ ამ საკითხის შედარებით სრულყოფილი ისტორია მოცემული აქვთ ალ. ბა - რ ა შ ი ძ ე ს ა (ნარკვევები, I, გვ. 106, 112-114) და ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ს (ძველი ქართული მეხოტბენი, II, გვ. 52-56).

რამდენიმე სტროფში, სადაც პირველ-მეორე ჯგუფის ხელნაწერებში „დავითს“ „არჩილი“ არ ენაცვლება, კონტექსტი ისე ნათელი არაა, უეჭველად რომ ქართველი მეფე ამოვიკითხოთ. ასეთია უპირველესად პირველი სტროფის შესამე სტრიქონი:

„გიძღვნა ქებანი: მწაღს აქ ებანი დავითის დავით ვჯღე მუსიკობად“.

ხაზგასმულ სიტყვებს ამგვარად ბეჭდავს ი. ლოლაშვილი. მისი აზრით, პირველი სიტყვა „დავით-ის“ „არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი იმ ჰირისა, რომლის სადიდებლადც დაიწერა ჰოქმა“, ე. ი. დავით სოსლანისა. მეორე სიტყვა „დავით“ კი მოქმედებით ბრუნვა სიტყვიდან დავა (ჩხუბი, ჰაქრობა, ცილობა, ბრძოლა)“. „ასე რომ, «დავითის დავით» ნიშნავს: დავითის ბრძოლის გამო (დავითის ბრძოლასთან დაკავშირებით). ამ თქმაში შეიძლება ივარაუდებოდეს ბასიანის ომი, რომელიც სოსლანმა, როგორც ქართველთა ჯარის მხედარმთავარმა, დიდად ისახელა თავი“ (გვ. 156).

ი. ლოლაშვილი, რომელიც იქვე იძლევა სხვაგვარ გაგებასაც, მიუთითებს, რომ „დავითის დავით“ შესიტყვება ამგვარივე სახით წრმოუდგებოდა მ. ჯანაშვილსაც, ოღონდ სიტყვა „დავა“-ში იგი ხედავდა არა დავით სოსლანის სხვების მიმართ დავას, ბრძოლას, არამედ, პირუკუ, სხვების დავას მის მიმართ, - იყო თუ არა ის მეფეთა შთამომავალი, ღირსი თამარის ქმრობისა.

ნ. მარი სტრიქონს ასე მართავს: „მწაღს აქ ებანი დავითის, დავით ვჯღე მუსიკობად“, სადაც მისი გაგებით, პირველი „დავითი“ არის დავით წინასწარმეტყველი, მეორე - დავით აღმაშენებელი. ამ განმარტებით, შინაარსი იქნება: მე მწაღს აქ დავით წინასწარმეტყველის ებანი, (რომ) მე, დავით აღმაშენებელი, დაეჯღე გალობის სათქმელად. მაგრამ ამის მიხედვით გამოდის, მეორე დავითია არა „ხოტბის“ პერსონაჟი, არამედ ავტორი, როგორც ეს შემდეგ გაიზიარეს ს. კაკაბაძემ, მ. ინგოროყვამ და სხვებმა.

ყველა ეს შეხედულება აშკარად ნაძალადევი და ხელოვნურია. თუ თავს დავანებებთ წამოყენებულ თეორიებს, ბუნებრივი, სწორი და მისაღები იქნება შესამე (ქრონოლოგიურად პირველი) თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „დავითის“ მოიაზრება სამ სიტყვად - „და ვით ის“: „მწაღს აქ ებანი და, ვით ის დავით, ვჯღე მუსიკობად“. ე. ი. მე მსურს აქ (ავილო) ებანი (ჩანგი) და, როგორც ის დავით (წინასწარმეტყველი), დაეჯღე ტკბილი ხმის სათქმელად. ამ შეხედულებისანი

იყვნენ ნ. ჩუბინაშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე და სხვები. მათ შორის პირველად მ. ჯანაშვილიც.

ისიც საყურადღებოა, რომ ბიბლიური დავეითის სახელთან „და ვით ის“ ფორმით გართმვა და, საერთოდ, „დავით“ სიტყვაში „და ვით“-ის გამოყოფა ძველად ფრიად გავრცელებული იყო. ვახტანგ მეექვსის ბეჭდის წარწერა გახლდათ: „რტოდ ვარ და ვითის, მკელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის მეობით“².

იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმისწულის, დავეითის, ბეჭდის წარწერა: „არჩილისა ვარ მეობით, და ვითარ მხნე გვარზნეობით, დავით“ (იქვე, გვ. 48. №160).

ქსნის ერისთავის დავეითის ბეჭდის წარწერა: „დ(მერ)თ(მან) შიმხედა ვით ისოს თვით სახიერის თვითა“³.

დავით ციციშვილის ბეჭდის წარწერა: „ფ(ი)ც(ავ) მე ს(ა)ხელს, და ვით გონ(ებ)ათ შედავითს(ეთა“ (იქვე, გვ. 27, № 214).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძველი ქართველი პოეტები, კერძოდ, დავით გურამიშვილი თავიანთ მხატვრულ შემოქმედებას ბიბლიურ დავითს როგორც მეფესალმუნეს, ანუ მწერალს, უკავშირებენ⁴.

თუ ე. წ. „აბდულ-მესიანში“ „და ვით ის დავით“ – ამ ბუნებრივ წაკითხვასა და გააზრებას – მივიღებთ, მაშინ იკარგება ქართველი დავითი (დავით სოსლანი, დავით აღმაშენებელი თუ დავით მწირი), რომლის მოხმობა დავით რექტორის კონიექტურის შემდეგ აგრე საჭირო და აუცილებელი გახდა.

ფიქრობთ, მსგავსი ვითარებაა ზემორე ნახსენებ მეხუთე სტროფში დასახელებულ მეორე „დავით“-თანაც:

„დავეითისადა დავით ისადა, ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა:
«ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა»,
ესე მისითა, ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა,
ა ქამით მორჩი! აქა მით მორჩი სატუხელებრსა, ართუ არედ-ა“.

² ანა ბ ა ქ ა ძ ე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, I, თბ., 1978. გვ. 40, № 61. შდრ.: № 66.

³ ანა ბ ა ქ ა ძ ე, მასალები სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, ნაწ. II, თბ., 1988, გვ. 26. № 192.

⁴ რ. ს ი რ ა ძ ე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992. გვ. 151-160; მ. თ ა ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. გურამიშვილის მხატვრული სისტემის შესახებ, გაზ. „წიგნის სამყარო“, 26. 11. 1980, № 22; მ ი ს ი ვ ე, დავითი - გურამიშვილი? გაზ. „სახალხო განათლება“, 25.01.1989.

ამ სახითაა ეს სტროფი დაბეჭდილი ბოლოდროინდელ, ი. ლოლაშვილისეულ, გამოცემებში. აქ ტექსტი ისე ნათელი არაა, როგორც პირველ შემთხვევაში. ერთი, რაც კონტექსტიდან კარგად ჩანს და სამეცნიერო ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, ის არის, რომ მასში საუბარია დავით წინასწარმეტყველზე და იმ ფიცზე, რომელიც მას ღმერთმა მისცა: „...ეგრე ვუო დ ა ვ ი თ ი ს ა თ ვ ი ს, ვითარცა ე ფ უ ც ა მ ა ს უ ფ ა ლ ი, რამეთუ დღეს მიეღო მეფობა ხახლსა მას საულისასა და აღემართა საუდარი დავითისი ისრაელსა ჴედან...“ (მეორე მეფეთა, 3.9-10).

კიდევ უფრო უკეთ: „ე ფ უ ც ა უ ფ ა ლ ი დ ა ვ ი თ ს ჭეშმარიტებითა თვისითა და არა ეცრუვოს მას: ნ ა ე ო ფ ი ს ა გ ა ნ მ უ ც ლ ი ს ა შ ე ნ ი ს ა დ ა ვ ს უ ა ი გ ი ს ა უ დ ა რ - თ ა შ ე ნ თ ა. და-თუ-იმარხონ შვილთა შენთა მჯული ჩემი და წამებანი ჩემნი, რომელ ვასწავნე მათ, ნ ა შ ო ბ ნ ი მ ა თ ნ ი დ ა ს ს დ ე ნ უკუნიითი უკუნისამდე ს ა ე დ ა რ თ ა შენთა“ (ფსალმუნი. 131.11-12).

საკითხავი და საცილობელია მხოლოდ: იმავე სტროფში ნახსენებია თუ არა მეორე, ქართველი დავითი?

ბ. მარი სტრიქონს ასე მართავს: „და ვით ისა-და? დავითისადა ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცება“, სადაც „დავითისადა“-ში (მეორე სიტყვაში) დავით წინასწარმეტყველს ხედავს.

ბ. ჯანაშვილი ორივე სიტყვას დაუყოფლად წარმოგვიდგენს: „დავითისადა დავითისადა ეფუცა...“, სადაც, მისი აზრით, პირველი დავითი არის დავით წინასწარმეტყველი, მეორე - დავით სოსლანი.

ტექსტს თავისებურად განმარტავს ი. ლოლაშვილი. იგი მეორე „დავითისადა“-დან გამოყოფს სიტყვას „ისადა“ და სტრიქონს ასე ხსნის: „დავითისათვის (დავით სოსლანისათვის - ბ. დ.) დავით (წინასწარმეტყველმა) იგულწრფელა და შეჰფიცა უფალს მტკიცე სიტყვა“ (გვ. 161). მისი აზრით, „ისადა“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს: „სადა, უბრალო, სწორი, ალაღმართალი, გულწრფელი“. „მისი საწიხისა - აგრძელებს მკვლევარი, - «სადაობა». აქედან სწორი ფორმა იქნებოდა «ისადავა», მაგრამ მესოტბე ომონიმური წყვილის შესაქმნელად სმარობს ოდნავ შეცვლილ ფორმას «ისადა» (=იგულწრფელა, იალაღმართლა)... «დავითისადა დავით ისადა» (=დავითისათვის დავითმა იგულწრფელა). აქ ღაპარაკია იმ გულწრფელობასა და ალაღმართლობაზე, რომელიც დავით წინასწარმეტყველმა გამოავლინა სოლომონის გამეფებასთან დაკავშირებით (მესამე მეფეთა, თ. 1)“ (გვ. 162).

სათანადო ტექსტი ავტორს წინ მოჰყავს. დავით წინასწარმეტყველი ბერსაბეს ეუბნება: „ცხოველ არს უფალი, რომელმან იხსნა სული ჩემი უოვლისაგან მწუნარებისა! ვითარცა ვ უ უ ც ე წ ი - ნ ა შ ე უ ზ ლ ი ს ა ღმრთისა ისრაელისა და ვიტყოდი, ვითარმედ: სოლომონ, მე შენი, მეფობდეს შემდგომად ჩემსა და ი გ ი დ ა ჯ - დ ე ს საუდარსა ზედა ჩემ წილ, რამეთუ ეგრეცა უუო მას დღეინდელსა შინა დღესა“ (მესამე მეფეთა, 1, 29-30).

ი. ლოლაშვილი ფიქრობს: როგორც დავითის მიერ მიცემული ფიცის საპასუხოდ დავით წინასწარმეტყველმა თავის მხრივ შეჰფიცა ღმერთს, „მეფობა მიეცა ღირსეული მემკვიდრისათვის“ და გაამეფა სოლომონი, „აბდულ-მესიანშიც“ „ჰოეტი ავითარებს პროვიდენციალურ თვალსაზრისს, რომ დავით სოსლანს მეფობა მიეცა ღვთის განკუთხითა და დ ა ვ ი თ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ე ვ ე ლ ი ს წ ე ა ლ ო - ბ ი თ, როგორც დავითიანთა სახლის წევრს“. „შავთელმა ამ ბიბლიური ანალოგიით, - დაასკენის მკვლევარი, - დაასახუთა დავითიან-ბაგრატიონთა მეფობის კანონიერება“ (გვ. 161).

ი. ლოლაშვილი იმ წინააღმდეგობის მოსახსენელად, რომ დავით სოსლანი იყო ე ფ რ ე მ ი ა ნ ი და არა დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, წერს: „საისტორიო და მხატვრულ წყაროებში («აზმანი», «თამარიანი»⁵) სოსლანი ეურემიანად იწოდება (შდრ.: კ. კ ე კ ე ლ ი მ ე, ეტიუდები, I, კვ. 312-318), მაგრამ, რაკი მისი ჩამომავლობა გიორგი I-ის დროიდან ქართველ ბაგრატიონთა განშტოებად იქცა (იქვე, IV, კვ. 1-7), ჰოეტი მას დავითიანად სთვლის“ (გვ. 161).

ჩვენი შეფასებით, ი. ლოლაშვილის ახსნა დამაჯერებელი არაა. ძალიან ხელოვნურია ტექსტში სპარსული სიტყვის „ისადა“-ს დანახვა და გამოყოფა, მით უფრო, მსგავსი ნიმუშებით იგი გამაგრებელი არ არის. მეორე: საეჭვო კი არაა, შეუძლებელია, ჩაზრუნხადის თანამედროვე პოეტს ეურემიანთა გვარის წარმომადგენლის გამეფება დავითიანთა გვარის აღზევებად წარმოედგინა. ის საერთო და მსგავსება, რაც „ხოტბას“ „თამარიანთან“ აქვს, გვეკარნახობს: რომ არაფერი ვთქვათ იმ ეპოქაში შემუშავებულ თვალსაზრისზე, მარტო ჩაზრუნხადის ამ ნაწარმოების გამო, ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მეორე დავით რომ იკითხებოდეს, ის უთუოდ ეურემიანად იქნებოდა მიჩნეული, ვიდრე დავითიანად. ი. ლოლაშვილი მიუთითებს კ. კეკელიძის ნაშრომზე. მასში კი გადაჭრით წერია: „არ ანსებობს არც ერთი დოკუმენტი, რომელიც

⁵ და სხვა ძეგლებშიაც.

ოსთა ბაგრატიონებს, კერძოდ დავით სოსლანს, «დავითიანად» სთვლიდეს, ანდა ქართველ ბაგრატიონებს «ეფრემიანად»⁶.

და ბოლოს: ჩვენს ტექსტში სოლომონის გამეფებაში დავით წინასწარმეტყველის ღვაწლის გამოხმაურება რომ იყოს, არსაიდან ჩანს.

ბევრად მარტივი და დამაჯერებელი იქნება, თუ პირველ „დავითისადა“ სიტყვას ნ. მარისებურად დავყოფთ: „და ვით ისა—და“ და მას პირველი სტროფის მეორე სტრიქონის მსგავსად გავივებთ: „და როგორც ის“. მთელი ტექსტის შინაარსი კი იქნება: და როგორც ის, რომ დავით (წინასწარმეტყველისათვის) უფალს სიტყვა-მტკიცე ფიცი მიუცია, — შენი შთამომავლები დავსვა მსაჯულად შენს საყდარზეო (სამეფო ტახტზე), ესეც (არჩილ მეორე) მისი (უფლის და არა დავით წინასწარმეტყველის!) შექცობით მეფობს. არჩილი კი, ვითარცა ბაგრატიონი, დავითიანი გახლდათ.

ამ გაგებით, რითმისათვის ხელოვნურად მოხმობილი იქნება მხოლოდ „და“ კავშირი, რომლის ზედმეტობას, პოეტურ ლიცენციას, ბევრ ძველ ქართულ პოეტურ ნაწარმოებში ვხვდებით.

თუ სადმე ამ ნაწარმოებში ქართველი მეფე დავითია ნახსენები, ეს უნდა იყოს 30-ე სტროფის ბოლო სტრიქონში. თუმცა ტექსტი იქ კიდევ უფრო ბუნდოვანია:

„მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი; მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს, ექმნა წარმართსა და ერსა მართსა განსახრწნელ, რომელ სრულ ჰყრობილ იყვნეს,

რა მარზაპანთა და სპათა მათთა შეჰრისხდა ლომი, თვით ნანუად იწყეს, მაშინ დავით, მათ მაშინ დავით მათ მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს“.

სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი „დავით“ ხოტბის პერსონაჟად, დავით მეფედ, არის მიჩნეული. მეორე „დავით“—ს ნ. მარი თარგმნის „с МОЛИТВОЮ“ (გვ. 97), რაც აღნიშნულ სიტყვას არ შეესაბამება. უფრო აზრიანია მ. ჯანაშვილისა და ი. ლოლაშვილის განმარტება: დავით, ჩხუბით, ბრძოლით. ი. ლოლაშვილი, ნ. მარის კვალობაზე, ხსნის, რომ პირველი „მაშინ“ „მესაძლებელია იყოს შეკვეცილი ფორმა მიმღეობისა: მაშინებელი→მაშინ-ი (შდრ.: მრგებელი - მარგი, მაქებარი - მაქი, მამკობელი - მამკი, მაჭირებელი - მაჭირი, მაწყენარი - მაწყენი, მდენელი - მდენი და სხვა), ხოლო მეორე (მაშინ)

⁶ კ ა ე კ ე ლ ი მ ე, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 314.

ნიშნავს დღევანდელ «მაშინ»-ს (ТОГДА-ს)“. მისივე სიტყვით, „რაც შეეხება ნაცვალსახელებს «მათ...მათ», ჰირველი არის სუბიექტი («მათ...მიუვს»), მეორე კი უნდა იყოს განსაზღვრებითი ნაწილაკი სიტყვისა «სხეულთა» («მათ სხეულთა»)“.

გამოცემებში ჰირველი „მათ“ სიტყვის შემდეგ მძიმე წერია. ი. ლოლაშვილს „მაშინ დავით“ წოდებითში დასმულ შესიტყვებად ესმის და მძიმეს ამ „დავით“-ის შემდეგ წერს. მთლიან ტექსტს კი ასე განმარტავს: „ზარცემული დავით, მაშინ მათ ბრძოლით სხეულთა სული ორად გაიუვს (=თავები დაიხოცეს)“.

ცხადია, ეს გააზრება უაღრესად ხელოვნური და პირობითია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, სხვაგვარი გაგებაც ამ ნაკლს ვერ სცდება.

მიუხედავად ამისა, შეიძლება დაეუშვათ, აქ ნახსენები „ლომი“ და ერთ-ერთი „დავით“ ქართველი მეფე დავითი იყოს. ამას გვაფიქრებინებს მომდევნო სტროფი, სადაც „გორგასლიანი, დავითიანი დროშა“ ნახსენები:

„იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა გულის-მდებელად თვისთა სპათათვის, გორგასლიანი, დავითიანი დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“ (31.1-2).

თუ ზემორე დამოწმებულ სტროფში, მართლაც, ქართველი მეფე დავითია გამოყვანილი, საკითხავია: რომელი დავითი უნდა იყოს ის - აღმაშენებელი თუ სოსლანი?

ქვემოთ შევეხებით, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, წინა და მომდევნო სტროფები ასახავს 1206 წლის ბასიანის ომს რუქნადინის წინააღმდეგ. მატიანეთა ცნობით, ამ ბრძოლებში განსაკუთრებით უსახელებია თავი დავით სოსლანს. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხსენებული დავითი დავით სოსლანია.

ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერდა ჩვენი შეხედულებაც, რომ ეს ნაწარმოები „თამარიანის“ შთაგონებით, მისი მიბაძვით არის დაწერილი. „თამარიანში“ კი მეორე მთავარი საქები პირი დავით სოსლანია.

მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო სავარაუდოა, იგი დავით აღმაშენებელი იყოს. ჯერ-ერთი: რომც ვერწმუნოთ მესამე ჯგუფის ხელნაწერებს და, სადაც თამარია ნახსენები, ყველა დედნისეულად ვცნოთ, მაშინაც კი თხზულებაში ჰირველ პლანზე დავით სოსლანი გამოდის და არა თამარი. ამ წინააღმდეგობას ე. მეტრეველი ასე ხსნის, თითქოს ეს ნაწარმოები, ისე როგორც „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, იონანე შავთელს ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებასთან დაკავ-

შირებით შეექმნას და ამის გამო ავტორს ამ ომის გმირისათვის „გაძლიერებული ყურადღება“ გამოეჩინოს (გვ. 95-101).

ყველაფერზე რომ თვალი დაეხუჭოთ, სახელდობრ იმაზე, რომ თამარი მხოლოდ მესამე ჯგუფის ხელნაწერებშია ნახსენები და სხვაგან არსად, ან კიდევ, გარკვევით რომ ჩანდეს, ჩვენი ოდა ბასიანის ომს უკავშირდება, - ყოვლად წარმოდგენელია, შუასაუკუნეებში სამეფო კარზე მოღვაწე მებრძობეს საგანგებო შესხმაში კანონიერი გვირგვინოსნისათვის ამგვარი გულგრილობა გამოეჩინოს და მისთვის გვერდი ასე აეელოს.

მეორე: უთუოდ მეტყველი და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ არჩილი „თამარიანის“ ზეგაუღენით ქმნის სახოტო ნაწარმოებს „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ და ქართველ გვირგვინოსანთაგან აქებს მხოლოდ სამს - დავით აღმაშენებელს, გიორგი მესამესა და თამარს (სტრ. 46-54). „თუცა, - შენიშნავს მეფე-პოეტი, - ზეობდენ სხვაც ბევრეულნი“-ო.

ამ მონაცემებს იქითკენ მივყავართ, რომ, თუ 30-ე სტროფში ქართველ მეფე დავითზეა საუბარი, იგი უფრო დავით აღმაშენებელი უნდა იყოს.

ახლა, ჩვენს საკითხს რომ დაუბრუნდეთ, გადაჭრით უნდა ვთქვათ: დავით აღმაშენებლის, ისე როგორც დავით სოსლანის ან სხვა დავითის, ქება არ ნიშნავს, მისი ავტორი აუცილებლად მათი ეპოქის წარმომადგენელი იყოს. არჩილის „მეფეთა საქებელნი და სამხილებელი“ მტკიცედ გვიდასტურებს, რომ „თამარიანის“ მიხედვით შექმნილ ნაწარმოებში ძველ ქართველ გამოჩენილ პირთა, მეტადრე მეფეთა, ქების არსებობა არა თუ დასაშვებია, მოსალოდნელიცაა.

ამრიგად: ი მ ს ტ რ ო ფ ე ბ შ ი, ს ა დ ა ც „დ ა ვ ი თ“ ს ი ტ ყ ვ ა ი კ ი თ ხ ე ბ ა დ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი მ ა ს „ა რ ჩ ი ლ ი“ ა რ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა, ზ ო გ ა ნ დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი თ ა რ ჩ ა ნ ს, რ ო მ მ ა ს შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე ფ ე ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ო დ ე ს. ხ ო ლ ო, ს ა დ ა ც ა მ გ ვ ა რ ი რ ა მ დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა, ი გ ი ხ ე ლ ს ა რ უ შ ლ ი ს, პ ი რ ი ქ ი თ, ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს, თ ხ ზ უ ლ ე ბ ი ს ა ვ ტ ო რ ი ი ა კ ო ბ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი ი ყ ო ს.

2. თამარი და ქრისტიანული „სძალი“

საძიებელ ხოტბაში დავას იწვევს ისიც, მის საქებ პერსონაჟებს შორის არის თუ არა ქალი. თხზულების პირველ-მეორე ჯგუფის

ხელნაწერებში თამარი არსად არ არის დასახელებული. მას ეხედებით მხოლოდ დავით რექტორის ნარედაქციევ მესამე ჯგუფის ნუსხების ზემოთ დამოწმებულ სამ სტროფში (2.1; 11.1; 53.3), სადაც მას, ვიმეორებთ, ძველ, ანუ პირველი ჯგუფის, ხელნაწერებში ყველგან „არჩილი“ ენაცვლება.

თუ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხმოკიდებული და განმტკიცებულია თვალსაზრისი, რომ საანალიზო თხზულებაში მამაკაცთან ერთად შექმნილია ქალი და ეს ქალი არის თამარ მეფე, ამის უტყუარ დამადასტურებელ საბუთად დასახელებულია 95-ე სტროფი:

„ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა განწმენდილ ქმნილსა,
განბრწყინებულსა?
თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა, პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა – საფუფუნებლად თქვენთვის
დასხმულსა,
ვხედავ ჯეროვნად, მარად სამოვნად შენდა განკუთვნით განმზადებულსა“.

პირველი სტრიქონი ამგვარად დაადგინა კორნელი კეკელიძემ. მანამდე მეცნიერულ გამოცემებში, რომლებიც ეკუთვნით ნიკო მარს (1902 წ.), სარგის კაკაბაძესა (1913. 1937 წწ.) და მოსე ჯანაშვილს (1915. 1920 წწ.). „ვინმცა ასძლოსა“-ს მაგიერად დაბეჭდილი იყო „ვინმცაა სძლოსა“. ნ. მარი თავისი მოსაზრების შესაბამისად, რომლის მიხედვით ნაწარმოებში შექმნილია მხოლოდ ერთი პირი, დავით აღმაშენებელი, სტრიქონს ასე განმარტავდა: „Кто может превзойти Христова жениха, созданного в чистоте и лучезарного?“

კ. კეკელიძემ სამართლიანად მიუთითა, რომ „(სასძლო) жених არ არის; жених ეოველგან და ეოველთვის, კერძოდ სასულიერო მწერლობაშიც, ნიშნავს «სიძე»-ს... თუ კონტექსტს გავითვალისწინებთ, აქ არაერთარ «ჯობნასა» და «ძღვევაზე» (превзойти) დაპარაკი მოსალოდნელი არაა“. „(ასძლოსა) (ჩემი წაკითხვით) – განაგრძობს მკვლევარი, – არის ზმნა სიტყვისაგან «სძალი»; უკანასკნელი ნიშნავს «საცოლეს» და «სახლში მოეხანილ ცოლად ქალს»... «ასძლოსა» (ახლა იტყვიან «არძლოს») ისეა ნაწარმოები, როგორც, მაგალითად, აშვილოს მას, აცოლოს და სხვ.“²

¹ Н. М а р р, Древне-грузинские олописцы, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, СПб, 1902, გვ. 13 (ქვემოთ: TP).

² კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, გვ. 64-65.

მეცნიერს მხედველობაში აქვს ქრისტიანულ რელიგიაში მიღებული და ფართოდ გავრცელებული ესქატოლოგიური მოძღვრება, რომელიც სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიული სახით არის გამოხატული, სადაც თვით სიყვარული ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირს აღნიშნავს, ქორწილი - ღვთაებასთან შეერთებას ან ამ შეერთების ადგილს - სასუფეველს, სიძე, ქმარი ღმერთი, ქრისტეა, სძალი - რომელიც შეუერთდა ან უნდა შეუერთდეს ღვთაებას, სასძლო - სძლის, ანუ რძლის, ადგილი ზეცაში, სასუფეველი და ა. შ.

კ. კეკელიძე მოკლედ აღნიშნავს: „ეკლესიის ალგორიული შესჯელებით, ქრისტეს «სასძლო» არის სამოთხე, სასუფეველი“. ამ თეოლოგიური შეხედულებიდან გამომდინარე, იგი განმარტავს: „ზრი ტაეპისა, ჩემი წაკითხვით, ასეთია: ვინ შეიყვანს მას ქრისტეს სასძლოში სძლად, ვინ დაამკვიდრებს მას იქ, როგორც სძალს?“

საანალიზო სტროფში რომ ნამდვილად სიძის სასძლოში შესვლაზეა მსჯელობა და მას ქრისტიანულ-ესქატოლოგიური გაგება აქვს, ამას, როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, ნათლად ადასტურებს წინა, 94-ე, სტროფი, სადაც „მეორე მოსვლის“ სურათია დახატული:

„როს მესა მესით, თვით მესამე სით, დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა,
ოხრვიდენ ზღვანი, გრგვინივიდენ ცანი, ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა
შემწველთა,
მსწრაფლად-და სტვირი ძნელ-დასაყვირი წარმოადგენდეს სულთა
ყოველთა,
მაშინ გალზინოს, თვით მიგავლინოს თქვენ უოხჳნოთა მათ საშეებულთა“.

აქ აღძრული თემა ბუნებრივად გრძელდება მომდევნო, ჩვენთვის საინტერესო, სტროფში. პოეტი განკითხვის უამს თავის სახოტბო გმირს, სძალს, ხედავს „განწმენდით ქმნილსა, განბრწყინებულსა“ და „ჯეროვნად... განმზადებულსა“, ანუ გარანტირებულს, ქრისტეს „სასძლოში“ (სასუფეველში) დასამკვიდრებლად.

ვინაიდან განსახილველ ტექსტში საუბარია სძალზე, ანუ რძალზე, კ. კეკელიძე დაასკვნის: „მამასადაძე, აქ მოცემულია ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ ხოტბაში ქალიცაა შექებული... პოეტი ლაპარაკობს, ჰ ი რ დ ა ჰ ი რ, თამარის სამოთხეში დამკვიდრების შესახებ“ (გვ. 65).

ამ სტროფის შინაარსი ამგვარადვე ესმოდა მ. ჯანაშვილსაც. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თხზულების თავის პუბლიკაციებში, ნ. მარის დარად, ისიც „ვინმცა ასძლოსა“-ს ნაცვლად „ვინმცაა სძლოსა“-ს ბეჭდავს. სიტყვებს „ქრისტეს სასძლოსა“ იგი ასე განმარტავს: „იგულისხმება. თამარი“. ხოლო ბოლო სტრიქონის შესახებ წერს:

„მენტვის სასმლო ოთახი წინდაწინვე შემზადებულიაო მარად ნათელ დეკში“³.

კ. კეკელიძის თვალსაზრისი თხზულების ყველა მკვლევარმა გაიზიარა. ალ. ბარამიძე, რომელიც კ. კეკელიძის ნაშრომის გამოქვეყნებას არ დალოდებია და მას ხელნაწერის მიხედვით იმოწმებს, გადაჭრით წერს: „აბდულ-მესიანის» ქების საგნის უეჭველ დეაკაცობაზე მიუთითებს შემდეგი ნაწივეტი“. იმოწმებს 95-ე სტროფის პირველ სტრიქონს და განაგრძობს: „ციტირებული მრჩობლივით ქების საგანი წოდებულია ქრისტეს სასმლოდ და, მამასადაჲ, ზრული კატეგორიულით არის დადგურებული მისი დეაკაცობა“⁴. მეორე ადგილას: „ასე და ამრიგად, ...საანალიზო ტექსტი უდაოდ ცხადყოფს, რომ «აბდულ-მესიანის» ქების საგნად ნაკულისსმეჲია დეაკაცია, ქრისტეს სასმლო, თუ ქრისტეს სძალი“ (იქვე-გვ. 129).

ამავე მოსაზრებას იმეორებს ი. ლოლაშვილი, რომელიც თავის მხრივ ცდილობს ახალი საბუთებით გაამაგროს იგი. მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებს ე. წ. „აბდულ-მესიანში“ დადასტურებულ და ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებულ სახეებს - „ქრისტეს მხედარი“ და „ქრისტეს სძალი“. „ქართულ აგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ბეგლებში - წერს იგი, - ზმირად ვხვდებით გამოთქმებს «ქრისტეს მკედარი» და «მკედარი მეუფისაჲ», «ქრისტეს სძალი» და «მკევალი ქრისტესი». პირველი წყვილი მეორისაგან განსხვავებულია მნიშვნელობით. «ქრისტეს მკედარი» და «მკედარი მეუფისაჲ» ეწოდება დეაწლმოსილ მამაკაცს, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული წვლილი უდევს ქრისტიანობის გავრცელების, განმტკიცებისა თუ დაცვის საქმეში, «ქრისტეს სძალი» ან «მკევალი ქრისტესი» კი - მოლაზონს, საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ ქალს. ამიტომ შეუძლებელია მკევალი რომელიმე ქართველ მწერალს მამაკაცისათვის ეწოდებინა «სძალი ან მკევალი ქრისტესი», ხოლო დეაკაცისათვის - «ქრისტეს მკედარი»⁵.

ძველი ქართული მწერლობიდან სათანადო ნიმუშების მოყვანის შემდეგ მეცნიერი დაასკვნის: „ერთი სიტყვით, ქრისტეს «მკედარი» და «ქრისტეს სძალი» სარწმუნოებისათვის თავდადებულ მოღვაწეთა ეპითეტებად იხმარება, მაგრამ «ქრისტეს მკედრად» იგულისხმება მამაკაცი, «ქრისტეს სძლად» კი - დეაკაცი“ (გვ. 61).

³ ი ო ვ ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულ-მესიანი, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობით და განმარტებით, ტფ., 1920, გვ. 56.

⁴ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 129.

⁵ ძველი ქართული მეზობტენი, II, გვ. 59.

ივ. ლოლაშვილის დამოწმებულ ნიმუშებში «სძალი», მართლაც, ყველგან მანდილოსანია. სავსებით სწორია მისი შემდეგი მსჯელობაც: „პრიგად, ხმალი, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა საცოლე (НЕВЕСТА) ალეგორიულად ნიშნავს ქრისტეს მხევალს, ქალს, რომელმაც ქალწულების აღთქმა დადო და შეიყვარა მე-ღმერთი. სხვათაგანად «სძალი ქრისტესი» ამავე ალეგორიული მნიშვნელობით ნიშნავს ქალწულს, რომელიც დაწინდებულია ქრისტეზე... ასევე, სავსებით მოძღვრებით, ქრისტეზე დაწინდულ ქალთა სულები ცად მადლდებიან და ბინადრებიან «სასძლოსა ზეცისასა», იქ, სადაც ქრისტე იმყოფება. ახალ ქართულში ხასძლო ეწოდება რძლად მისაჯვან ქალიშვილს, ძველად კი რძლისათვის განკუთვნილ ოთახს (ან დარბაზს) ეწოდებოდა... ქრისტიანულ მწერლობაში ამის ანალოგიით შეიქმნა სპეციალური გამოთქმები «ქრისტეს სასძლო» და «ზეცის სასძლო», რომელიც როგორც ეს სრულიად დამაჯერებლად გაარკვია კ. კეკელიძემ, ალეგორიულად ნიშნავს სასუფეველს“ (გვ. 60-61).

ვიმეორებთ, ყველაფერი ეს სწორია, ქრისტიანული მოძღვრების უმარტივესი ჭეშმარიტებაა. მაგრამ „სძალი“ იმავე თეოლოგიური შინაარსით განა მართო ქალს აღნიშნავს და მასთან ერთად მამაკაცს არა?

მეორეც: განა ჩვენთვის საინტერესო თხზულებაში „ქრისტეს მხედარი“ და „ქრისტეს სასძლო/სძალი“ ისეა ერთმანეთთან დაპირისპირებული, რომ მეორეში უცილობლად მანდილოსანი უნდა ვიგულისხმობთ?

დავიწყეთ ამ უკანასკნელით.

„ქრისტეს მხედარი“ საძიებელ ხოტბაში ერთხელაა ნახმარი:

„ვაქებდეთ, ერნო, ყრმანო და ბერნო, საუნჯედ ჩვენთვის მონიჭებულსა ქრისტეს მკედარსა, მნკე-ახოვანსა, პირად-პირადად განმშვენებულსა; ნათლად ბნელისა გარყენილისა, ეთერთა ელვად დასახებულსა; სიწმინდის ვაზად, არ-ბილწად ავზად, ნათლის ემბაზად დაარსებულსა!“ (76).

წინ ნახსენებია „მკედარი ღმერთისა“:

„მადლისა პური, სიბრძნის სადგური, მკედარი ღმერთისა სამ-ხატონისა...“ (14. 1).

ამ სტროფებს უშუალო კავშირი, მით უფრო, შინაარსობრივად დაპირისპირებული, საკვლევ 95-ე სტროფთან არა აქვს. „ქრისტეს

მკედარი“ და „მკედარი ღმრთისა“ ორივე საქები ობიექტებია, მაგრამ, ვინ იგულისხმებიან მათში, ტექსტიდან არ ჩანს.

ასევე, ტექსტში მინიშნებული არ არის, კონკრეტულად ვინ არის „სძალი“.

რაც შეეხება „სძალს“, საზოგადოდ, მასზე და მასთან დაკავშირებულ სხვა სიმბოლურ სახეებზე ვრცლად გვაქვს მსჯელობა ვახტანგ მეექვსის პოეზიისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, სადაც ნაჩვენებია, რომ „სძალი“ ქრისტიანული სიმბოლიკით შეიძლება იფოს ქალიც და კაციც⁶. აქ აღძრული საკითხის გამო ზოგ მასალას გავიმეორებთ, ზოგს ახალსაც დავუმატებთ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „სძალის“ განმარტებისას ჯერ მისი პირველადი მნიშვნელობებია ჩამოთვლილი („ძის ცოლი“, „მაზლისგან ძმის ცოლი“, „ქორწილოსანი ქალი“), შემდეგ – გადატანითი, სიმბოლურ-ალეგორიული გაგებანი: „...სძლად ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი (მითითებულია: მათე, 25. 1). სძლად იწოდების ეკლესია ქება-ქებათა შინა“.

იმევე ლექსიკონში ახსნილია. რომ „ქალწული“⁷, გარდა უბიწო ქალისა, ეწოდება აგრეთვე უბიწო ვაჟს, კაცს. ისე როგორც „ჭაბუკი“ ერქვა ახალგაზრდა ვაჟს და ახალგაზრდა ქალსაც. ეს სიტყვები ამგვარადევა განმარტებული ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც.

„ქალწული“ რომ ძველად ქართულ ენაში ვაჟსაც აღნიშნავდა, დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს: „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში „ქალწულად“ მოხსენიებულია როგორც ნინოს დედა, ისე მისი ძმა, ნინოს ბიძა: „ხოლო იუ ვინმე კაცი მისვე ქალაქისად კაბადუკიელი, მეცნიერი და მოუხარე ზაბილონისი. ხოლო აღესრულა რად კაცი იგი და მეუღლე მისი და დაშთეს მათგან ორნი ქალწულნი, და განეიდეს მონაკები შობელთა მათთად და წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და თაუენი-სცეს განმაცხოველებლსა საფლავსა და შეუკრდეს უფალსა მზრდელსა მას და მწუალობელსა ობოლთა და ქურივთასა“⁸.

⁶ ბ. დ ა რ ჩ ი ა, ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, თბ., 1988, გვ. 262-290.

⁷ „წულის“ მნიშვნელობათა შესახებ ძველ ქართულ ენაში იხ.: თ. ყ ა უ ხ ჩ ი - შ ვ ი ლ ი. ... ძე-წული, ენიმკის მოამბე, 1944, XIV; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, სეფე-წული/სამეუფოდა კაცი/სეფე კაცი/ბარაკიელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №1, 1963, გვ. 158-161.

⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები, XI-XIII სს.), თბ., 1971, გვ. 52.

იქვე ირკვევა. რომ ამ ორ „ქალწულთაგან“ ერთი ქალია - წმინდა ნინოს დედა, მეორე ვაჟი - დედის ძმა: „და მიიწინეს იგინი ოქრუსალიად და დაადგრეს მუნ და ჰმსახურებდეს ქრისტესა, ხოლო ვჰაი იგი მიიწია ჰასასა, კეთილად ქცევისა ამისათჳს ჰატივიითი-ჰატივად აღკვანებულ იქმნა და მიემთხვა ჰატრიარქობასა. ხოლო დამ მისი ჰმსახურებდა წმიდასა აღდგომასა და ჰმორჩილებდა სარრა ბეთლემელსა“.

რამდენიმე გვერდის შემდეგ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი ბიძა, კაცია: „და ჰრქუა წმიდამან ნინო ჰატრიარქსა: «წარავლინე, მამაო, ვითარცა ბრძანებულ არს ჩემდა საღმრთოდსა მიერ ბრძანებისა»... მაშინ წმიდამან ჰატრიარქმან, დედის ძმამან მიხმან, წარიყვანა წინაჲ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა და დაასხნა კელნი ესრეთ მეტუელმან: «უფალო ღმერთო, ... შენ შეგვედრებ ობოლსა ამას დისა ჩემისა; და წარავლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა»...“ (გვ. 56).

XVII საუკუნის საბუთში, თუმანიშვილებისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში, რომელიც დაწერილია ისე დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის მიერ, როგორცაა იოსებ თბილელი, ქალწულად იწოდება იოვანე ნათლისმცემელი: „მეოხებითა წმიდისა ქალწულ-მანარებლისა მეუფისა, მკერდსა მიერდნობილისა, ჰედ ქუხილისა წოდებულისა, სიკვდილისა თანაწარმეღელისა, მოციქულისა და მასარებლისა იოვანესითა; წმიდათა თავთა მოციქულთა ჰეტრე რიტორისა და სასუფეველისა კლიტეთ მჰპრობელისა ჰაჲლე სამ ცამდე აღწყნულისა...“⁹

ეს მიღებული და გავრცელებული გამოთქმა დასტურდება აგრეთვე 1679 წელს მღვდელ თევდორეს ხელით ნაწერ ოთარ ბარათაშვილის მიერ თავისი ცოლის მარიამისადმი მიცემულ პირობის წიგნში. იქ იოანე ნათლისმცემელი ქალწულად არის მოხსენიებული მოწამე ქალების გვერდით: „სახელითა ... წმიდისა, დიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა, ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწულ-მანარებელისა, დ(ვ)თისმეტყველისათა, წმინდათა მენუთა მკედართა, მოწამეთა, მთავართა: ვიორგი, დიმიტრი, თევდორე, ვესტატისათა; წმიდათა ქალწულთა მოწამეთა: ირინე, ეკატერინე, მარინე, ბარბარესითა...“ (იქვე. გვ. 427).

ამ ტექსტის მიხედვით ბ. საბაშვილი და მ. ჭაბაშვილი განმარტავენ: „ქ ა ლ - წ უ ლ ე ბ ა უმანკოება (ითქმის მამაკაცის შესახებაც)“ (ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა, I, ტომი გამოსაცემად მოამზადა ს. ყ უ ბ ა ნ ე შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1960, გვ. 606).

⁹ საქართველოს სიძველენი, III, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 97.

ასე რომ, როცა სულხან-საბა წერს, „სძლად ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი“, უნდა ვიფიქროთ, მას მხედველობაში ჰყავს უბიწო სული როგორც დედაკაცისა, ისე მამაკაცისაც. ქრისტიანული დოგმატიკით, განსჯისას და განსჯის შემდეგაც სულების ქვეყანაში, სასუფეველში, სქესი გარჩეული არ არის. „შუშანიკის წამებაში“ შუშანიკი ამბობს: „განვისაჯეთ მე და ვარსქენ ჰიტიაზში მუნ, სადა-იგი არა არს თუაღლებად წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთადას და მეუფისა მის მეუფეთადას, სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დეაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუად ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“¹⁰.

„სძალი“ რომ ქალი, მანდილოსანია, ეს სადავო არ არის და მისი დამადასტურებელი მაგალითები საკმაოდაა მოხმობილი კ. კეკელიძის (გვ. 65), ივ. ლოლაშვილისა (გვ. 60-61) და ჩვენს (გვ. 270-271) ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში. თვალსაჩინოებისათვის, ეს გაგება რომ არა მარტო XVII, არამედ XVIII საუკუნეშიაც გავრცელებულია და XIX-შიაც გადადის, დამატებით მხოლოდ ერთ ნიმუშს დავიმოწმებთ. დიმიტრი ბაგრატიონი ქეთევან დედოფლის შესახებ წერს:

„ციხეს ჯდა მთვარე პატიმრად... საკედავად გამზადებული... მარხვით მომემარი, მიხრწნილი და ლოცვით ღამეთეული, ზეცის სიძისა მომლოდნე, სძალი სასძლოსა წვეული“¹¹.

მეორე მხრივ, „სძალი“ რომ ქალწული კაცის სულის სახელიცაა, მოვიხმობთ გრიგოლ ნოსელის სიტყვებს პავლეს შესახებ: „და უკეთუ ვინმე თქვას სული პავლესი და სხვსა ვისმე მსგავსისა მისისაჲ დირს ესევითარსა სიტყუათა, არა სცთეს ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ იქმნა იგი ჭურ რჩეულ (საქმ. მც., 9. 15) და თავსაცა შორის თვსსა აქუნდა უვალი და ეტკრთაცა, რომელი-იგი ზე სამეუფო; ხოლო რამეთუ არღარა იგი ცხოველ იყო, არამედ ცხოველ იყო ქრისტე მის შორის მეტყუელისა ქრისტესსა (კორ., 13. 3), ტაძარ განსასუენებელ გარემეუწერელისა მის ბუნებისა იქმნებოდა. ამას უკუე მეგობარნი სიძისანი წმიდასა მას უბიწოსა სულსა ქალწულისასა მიანიჭებენ, ესე იგი არიან სულნი მსახურნი და წარვლინებულნი მსახურად მათთვის, რომელთა-იგი დაემკვიდრებიან“

¹⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V-X სს.), თბ., 1963, გვ. 26.

¹¹ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დიმიტრიანი (ლექსები და პოემები), გამოსაცემად მოამზადა რარა ნ ა კ ა შ ი ძ ე მ, თბ., 1978, გვ. 83. იხ. აგრეთვე გვ. 80, 81, 91.

ცხორებად (ებრ., 1. 14), ვინადაც უსრულეს და უბრწყინვალეს იქმნების
სძალი შეპინებითა მით მაღალთადათა. და უმეტეს მივახლებიხ სასურველსა
მას და ჰირველ სიკეთისა მისისა თუალთა მიერ განცდისა საუნოსელთა
საცნობელისა მიერ საძიებელსა მას შეეხების...¹²

და ბოლოს: „რამეთუ რომელიცა-რად ამათგანი ვეოთ ჰირველ
სიტკესა, ერთი გულისკმის-ყოფად მოგუეცემის ვოველთა მათ მიერ,
რომელ არს სათნობათამიერი გულისკმის-ყოფად, ვოველთა გონებათა
უვადრესისა მის კეთილისა მიერ ჩუენდა მონიჭებული, ვითარცა-იგი
იქმნების ჰირმშოდსა ხატისა მიერ შეუნიერებისა გულისკმის-ყოფად და
მიმსგავსებად, ვითარცა იგი იქმოდა სძალი იგი წმიდად სული ჰავლესი,
რომელი სათნობათა მიერ მიემსგავსებოდა სძიქსა...“ (გვ. 75-76).

მაშასადამე, „სძალი“, ქრისტიანულ სიმბოლურ-ალეგორიული
გაგებით, შეიძლება იყოს ქალწული, როგორც გაუთხოვარი ან გათხო-
ვილი უმწიკვლო, უცოდველი, ღვთის რჯულის განუხრელად მიმდევარი
ამქვეყნად მცხოვრები, ცოცხალი ქალი, ასევე ზეცაში ამაღლებული,
სასუფეველში დამკვიდრებული ქალის ან კაცის უბიწო სული.

მეორე და, რაც მთავარია, „სძალი“, აღნიშნული თეოლოგიური
გაგებით, აღნიშნავს აგრეთვე ეკლესიას. სულხან-საბა ორბელიანი კი
წერს. „სძლად იწოდების ეკლესია ქება-ქებათა შინა“-ო. მაგრამ ამგვარი
გაგება მარტო ამ თხზულებით არ შემოიფარგლება. ქრისტიანობაში იგი
ფართოდ არის გაერცელებული.

ეფრემ ასურის ნაშრომში ვკითხულობთ: „რავენთა ქრისტესა
გსურის, ქებით ვლადლებდეთ გალობასა ეკლესიასა შინა, რომელი-იგი
არს სძალი ქრისტესი“¹³.

იოანე ოქროპირი გვაუწყობს: „მიუგო სძალმან მან, რომელ არს
წმიდა ეკლესია...“, „ესმა რად სძალსა მას ეკლესიასა...“¹⁴.

„იოვანეს გამოცხადებაში“, სადაც „სძალი“ ღედაკაცად არის
წარმოდგენილი, ანდრია კესარია-კაბადუკიელი „ეკლესიის“ სახედ

¹² გულნაზ კ ი კ ნ ა ძ ე, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი გრიგოლ ნოსელის
თხზულებისა „თარგმანება ქებისა ქებათადას“ (ტექსტი. გამოკლევა და ლექ-
სიკონი), საღისერტაციო შრომა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967, ხელნაწერი ნაშრომი დაკულია
აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გვ. 73.

¹³ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II. გამოსცა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ძ ა, თბ.,
1966, გვ. 54.

¹⁴ სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს თსუ ძველი
ქართული ენის კათედრის წევრებმა ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობით და
გამოკლევით, თბ., 1959, გვ. 229.

განმარტავს მას. „იოვანეს გამოცხადება“: „და მოვიდა ერთი შუღთა მათ ანგელოზთაგანი... და მრქუა მე: მოვედ, და გიჩუენო შენ ღელაკაცი იგი, სძალი კრავისად“ (21. 9).

განმარტება: „... აწ ნეტარებასა მას სასუფეველისასა შინა უჩუენებს, რომლისა სახე არს ეკლესია, ზოლო კეთილად უწოდა მას სძლად ღელაკაცად, რამეთუ ვითარცა ემინა რად ადამს, გუერდისა მისისაგან დაებადა ღელაკაცი. ეგრთვე ჟურს-ეცუა რად ქრისტე და სიკუდილითა მიიძინა, გუერდისა მისისა სისხლითა აღეშნა და ჩუენთვს ვნებულსა მას შეეტო“¹⁵.

ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში „სძლად“ სახელდებულია აგრეთვე იერუსალიმი, უფრო ზუსტად, ზეციური იერუსალიმი. „იოვანეს გამოცხადებაში“ იკითხება: „და წარმიყვანა სულისა მთასა მადლსა და დიდსა მიჩუნა მე ქალაქი წმიდად იერუსალემი, გარდამომაჳალი ზეცით ღმრთისაგან და აქუნდა დიდებად ღმრთისად“ (21. 10).

ანდრია კაბადუკიელის თარგმანი: „წარუყვანებასა სულითა იტევს ამაღლებასა გონებითა სრულიად ქუეყანისაგან ზეცისა სილვასა. ზოლო მთად მადლად იტევს წმიდათა ცხორებასა, რომელსა ზედა განემზადების სძალი იგი კრავისად - ზეცისა იერუსალემი“ (გვ. 108).

თავის მხრივაც „ეკლესია“ და „იერუსალიმი“, როცა მათ „სძალის“ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ, სიმბოლური ცნებებია და მორწმუნეთა, უმანკოთა, წმინდანთა კრებულს გამოსახავენ. ამ სიტყვებს კიდევ უფრო ფართო შინაარსი აქვთ, ვიდრე „სძალს“ ქალწულის მნიშვნელობით, და მათში იგულისხმება ყველა მორწმუნე - ქალიცა და კაციც. - ვინც კი ღვთაებას უკავშირდება.

იოანე ოქროპირი, როცა განმარტავს იოვანეს სახარების ტექსტს - „რომელსა აქუს სძალი, იგი სიძე არს“, გვასწავლის: „... და ვინაფთვან სიძე და სძალი ანსენა, გამოაჩინებს, ვითარმედ ესრეთ მითა და სიტყვთა იქმნების შეერთებად მეუღლეთად. და ესრეთვე ეკლესია შეერთო ღმერთსა... და მიერთვან მიუთვალავს სძალი სიძისადა, რომელ არს კრებული კაცთა მორწმუნეთად...“¹⁶.

ასევე, პირდაპირ და ნათლად არის იგივე აღნიშნული „იოვანეს გამოცხადების“ ანდრია კაბადუკიელის თარგმანებაში. „იოვანეს გა-

¹⁵ იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ღ მ ა, წიგნში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961, გვ. 107.

¹⁶ წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, I, 1993, გვ. 189-190.

მოცხადება“: „და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა და გარე-მოადგეს ბანაკსა წმიდათასა და ქალაქსა მას შეეუარებულსა...“ (20. 9).

თარგმანი: „...მოადგენ კრებულსა წმიდათასა, რომელ არიან ეკლესიანი, და იერუსალემსაცა, ქალაქსა მას წმიდასა, რომელსა შინა ქრისტე ჟუარს-ეცუა...“ (გვ. 104).

„იოვანეს გამოცხადება“: „და ქალაქი წმიდაჲ, იერუსალემი ახალი ვიხილე. გარდამოძავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სმალი შემეკული ქმრისა მიმართ თვისსა“ (21. 2).

ანდრიას თარგმანი: „და აქაც ჩანს, ვითარმედ განახლებად უძობსისა მიმართ შეცვალებასა იტყვს, ვითარცა იხილა იერუსალემი იგი ზეცისად, გარდამოძავალი ანგელოზთაგან კაცთა მომართ ერთობისათვის მათისა. ხოლო ქალაქად ეწოდების, რამეთუ სამკვდრებელი არს წმიდისა სამებისად და ხმლად - რამეთუ შეერთებულ არს იგი ხმაკაულითა ხაღმროდთა“ (გვ. 106).

„ქება ქებათას“ ტექსტია: „აჰა ეგერა, კეთილ ხარ, მძისწულო ჩემო და შუენიერ, ცხედარსა ზედა საგრილი“ (1. 16).

გრიგოლ ნოსელი განმარტავს: „ხოლო ცხედრად უწოდს ხმალი და თარვმნის სახისმეტყველებით კაცობრივისა ბუნებისა ღმრთეებისა შესაყებასა, ვითარცა იგი დიდი მოციქული მოგუათხოვებს ზუენ ქრისტესა ქალწულად და წმიდად და ეზოსმოდუარ (ე. ი. ქორწილის მომწყობი - ბ. დ.) ექმნების სულსა და ორთავე ერთად შეერთებასა და ერთოვრც-ქმნასა (ეფესელთა, 5. 32) დიდად საიდუმლოდ სახელსდებს და ქრისტესა და კვლავისა შეერთებასა ზედა სრულჰოფს სიტყუასა თვისსა...“ (გვ. 90).

„სძალი“ „სიძესთან“ (ღმერთთან) კავშირში მყოფ ეკლესიად, წმინდანთა კრებულად არის წარმოდგენილი „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში, ხოლო იგი როგორც წმინდად და ნეტარად სახელდებული, მასთანავეა გაიგივებული, მის წევრადაა მიჩნეული: „ბრწყინვალე არიან და ეოლად შუენიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, რომელთა მიერ განსუენდების ვითარცა ხმალი, შემოსილი დიდებითა (...) და განასუენებს შვილთა თვისთა (...) და ნათელ ჰოფს სწავლის-მოუარეთა კრებულსა (...), რამეთუ ვინათგან შეეუო იგი ხიმესა მას სულთა განწმედითასა, მიერიოგან მიართუნა მას შემდგომად მისა კრებულნი მორწმუნეთანი...“¹⁷.

ამ მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ „სძალი“, რომლის თეოლოგიურ-სიმბოლური შინაარსის განმსაზღვრელი ს ი ძ ე ს თ ა ნ, ანუ

¹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II (XI-XV სს.). თბ., 1967, გვ. 9.

ღმერთთან, ქრისტესთან, მეწყვილეობა, მასთან ქოროწილი, ანუ კავშირი, არის, სულერთია, იგი უმწიკველო ქალს აღნიშნავს, ეკლე-სიასთუ იერუსალიმს, ყველა შემთხვევაში ეწოდება ქრისტიანობისათვის თავდადებულ ადამიანებს, წმინდანებს, ქალსაც და კაცსაც, ვინც კი მიადრწია ღვთაებასთან ზიარებას, შეერთებას ან ამისთვისაა გამზადებული.

აქვე უნდა დავძინოთ: „სძალი“ რომ მამაკაციც შეიძლება იყოს, მოეხსენება ი. ლოლაშვილსაც. საკითხის განხილვისას ის ერთგან შენიშნავს: „რაკი «ზეცისა სასძლო» ალგორითად ნიშნავს სასუფეველს, შეიძლებოდა მის მკვიდრად მიეჩნიათ მამაკაციც. მაგ., სულხან-საბა გარეჯელ ბერებს ასე მიმართავს: «შენ გიწვს ქრისტე სასძლოსა ზეცისასა, მიგიძღვის იოანე გზასა წრფელსა და კეთილსა, რათა აღვიკვნოს სასუფეველად» (თხზ., III, გვ. 182)¹⁸. მაგრამ, როგორც ვნახეთ, საკითხის გადაწყვეტისას ეს ჭეშმარიტება ჯეროვნად გამოყენებული არ არის.

განხილულ სტროფში არავითარი მინიშნება არ არის იმაზე, რომ საუბარი ქალს ეხებოდეს. ასევეა წინა სტროფში, რომელიც ზემორეა დამოწმებული, და მომდევნო სტროფებშიაც. პირიქით, მომდევნო სტროფებში ქების ობიექტი ძლიერების გამომხატველი ისეთი ეპითეტებითაა შემკობილი, უფრო მამაკაცს რომ შეეფერება:

„შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და, სრულ კმელთა ფლობა სამეუფოსა, მაღეგიონსა მალე გეონსა, დაანთქმედ უყსა საუფსკრულოსა“ (96. 3-4).
„გალაღებულო, გალომებულო, კვლა გოლიათო, გულ-ლმობიერო!“ (97. 4).

ვიკტორ ნოზაძე, რომელიც საგანგებოდ განიხილავს ლომის მხატვრულ ფუნქციას „ვეფხისტყაოსანში“ და ამ მიზნით იმოწმებს ბიბლიას, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“, ნიზამის შემოქმედებას, ქართული მწერლობიდან ჩახრუხადისა და თვით ჩვენს საკვლევე ხოტბას, მათ შორის ზემორე დამოწმებულ ბოლო ტექსტს (97. 4), გადაჭრით გამორიცხავს ქალის ლომთან შედარების შესაძლებლობას. „დედაკაცი არის ვეფხი - წერს იგი, - და არასოდეს ლომი. ლომთან დედაკაცი ვეფხისტყაოსანში არც ერთჯერ არაა შედარებული, და არა იმიტომ, რომ დედაკაცს ლომის ზოგი თვისება მაინც (მხნეობა, სიფიცხე) არ ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ ლომი არის სიბერწის ნიშანი. ძველად რწამდაც კიდევ, თუ ნორმალური დედაკაცი, რომელს შვილები ჰყავს, დედალ ლომს

¹⁸ ძველი ქართველი მესობტენი, II, გვ. 61 (სქოლიო).

მეხვედბოდა, იგი უმძველად გაბერწდებოდა და შეილოსნობის უნარს დაჰ-
კარგავდა, და უშვილობა ძველად დიდი უბედურება იყო, - აქედანაა წარ-
მოდგარი უშვილობის წამლის ძებნა. რადგან ლომი ბერწობის ნიშანია,
ამიტომ მას დედაკაცს არ შეადარებენ¹⁹.

ჩვენ ვერ ვიტყვი, იაკობ შემოქმედელს ეს შეხედულება ჰქონდა
თუ არა გააზრებული. თხზულებიდან კი ამკარად ჩანს, მოცემული
დახასიათება ქალს არაფრით ესადაგება.

მომდევნო სტროფი:

„ნეტარ ხარ ყოვლად წმინდად და ცხოვლად, ძალად და გულად, თვით არ
დაგულად.
ნესტორად მძღობ, არა თუ ლეობ დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად“
(98. 2-3).

კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ ნესტორის, ლეოსა და დიმიტრის
სახეები აღებულია აგიოგრაფიული ნაწარმოებიდან „წამება დიმიტრი
სოლუნელისა“ (ეტიუდები, IV, გვ. 65-68). ადრე ამაზე მიუთითებია
კალისტრატე ცინცაძეს სარგის კაკაბაძისადმი გაგზავნილ ერთ კერძო
ბარათში²⁰. ნაკლებ დამაჯერებლად გვესახება ი. ლოლაშვილის
მსჯელობა: „არ არის აუცილებელი, დიმიტრისა და ნესტორის სახით
ვეპიოთ ისტორიულად არსებული მეფე მამაკაცები. ნესტორივით მძლე
შეიძლება უოფილიეო მეფე ქალიც. საზოტბო ჰოეზიაში მიღებულია, რომ
მეფე ქალი შეადარონ მამაკაცს ან მას მისი თვისებები მიაწერონ“ (იქვე.
გვ. 251).

„აუცილებელი“, შესაძლებელია, მართლაც არ იყოს, მაგრამ
ამგვარი შედარება რომ უფრო მამაკაცს შეეფერება, ვიდრე ქალს, ეს კი
ნამდვილია. მით უმეტეს, როცა მათ გვერდით ასეთივე, მამაკაცის
შესაფერი არაერთი ეპითეტია.

ხოტბაში ქების საგანი წმინდანად არის გამოყვანილი, რომელსაც
სასუფეველი გარანტირებული აქვს:

„ემოწმებ სულებსა დას-დასულებსა, სამარადისოდ სწინდე განუხრწნელად“
(9. 2).

„მე თუ კვლად გაქო, ვიცი, კლვად გაქო სხვითა ნათელი გვამსა
უხრწნელსა“ (41. 4).

¹⁹ ვიქტორ ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, სანტაგო
დე ჩილე, 1957, გვ. 217.

²⁰ ძველი ქართული მეხოტბენი, II, გვ. 249.

„მთვარის მშვენიობით, ცისკრის მთენობით, სხივ-მკრთოლუვარებით
შკამკამბებელი.
ედემს დარგული სამოთხის გული, ციერთ უმაღლე, ქვეყნის მკყობელი...“
(45. 2-3).

„არს შვენიერად, არ-ქვეყნიერად - ანგელოზთ სახედ დასახებული...
მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა სახლად სამყოფად განჩინებული“
(68. 1. 4).

„მზე დაუვალი, მყის დაუვალი, არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ.
წმიდად აქვს სული დასთა-დასული სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ“
(72. 3-4).

ქალი ამ სტროფებში არსად ჩანს.

ამრიგად: არავითარი უფლება არა გვაქვს, განხილულ 95-ე სტროფის „სძალი“ მაინცადამაინც და უცილობლად ქალად ვცნოთ. გამორიცხული არ არის და თავისთავად სავსებით დასაშვებია, მასში მამაკაცი იგულისხმებოდეს. ნაწარმოების შემცველ ძველ ხელნაწერთა ცნობები და ტექსტის მონაცემები კი ამ უკანასკნელ თვალსაზრისს უჭერს მხარს. ასე რომ, აღნიშნული ტექსტი, როგორც ახლა მიღებულია, არ გამოდგება იმის უეჭველ საბუთად, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ქების ერთ-ერთ ობიექტად ქალი, თამარ მეფე, მივიჩნიოთ.

თამარ მეფის პერსონაჟად მიჩნევის თაობაზე კიდევ უნდა შევეხოთ ერთ მოსაზრებას.

1997 წელს გაზეთ „კალმასობაში“ დაბეჭდილ წერილში „მარ-გალიტი წყობილი“ (2-16 დეკემბერი, № 11, გვ. 3) ეთერ ბასილაშვილი აღნიშნავს, თითქოს ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ზმად „თამარი“ იკითხებოდეს. ავტორი წერს: „აკროსტიქი, მეზოსტიქი და ზმა მხატვრული ნაწარმოების სამკაულიცაა, მათი საშუალებით ერთხელ კიდევ თქმულ აზრში ჩუქურთმასავით ჩაქარგულია კიდევ სხვა აზრი, მაგ.: ფრაზაში «მეფეთა მარილი» ზმად იკითხება მეფე თამარი („აბდულმესიანი“)“. ნამდვილად კი „აბდულ-მესიანად“ წოდებულ თხზულებაში ეს ფრაზა არსად არ გვხვდება.

მკვლევარი შეცდომაში შეუყვანია დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“. აქ „ზმა“ სიტყვის განმარტებისას იკითხება: „ლექსთ-მაგობა, ესრეთ რომელ ორთა ან რაოდენთამე ლექსთა შეერთებითა სხვა ლექსი გამოდიოდეს, ვეფხ. 1512; იგრა სლოვ, კალამბურ, მით დაწერილ არიან შაირნი ჩაზრუხამისა და აბდულ-მესია მეფეთლისა: თამარიანი: მაგალ: დაწერა ქვითა, დაწერაქვითა ანდამატისა

ცვილ-მოფელისა; შავთ. 80, ამაში გამოდის წერა, ქვა, წერაქვი; ანუ მეფეთა მარილი, ე. ი. მეფე თამარი“²¹.

ამ ბუნდოვანი მითითებიდან სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მე-80 სტროფში მართლა იკითხება ფრაზა: „დაწერა ქვითა და წერაქვითა, ანდამატიისა ცვილ-მოფელითა“. მაგრამ რა შუაშია „მეფეთა მარილი“, გაუგებარია!

სამეცნიერო ლიტერატურაში ზშირად არის მსჯელობა, თითქოს საძიებელი თხზულების ამა თუ იმ სტროფში თამარ მეფე იგულისხმებოდეს. მაგრამ ეს აშკარად და თვალნათლივ არ ჩანს.

საზოგადოდ, ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას: იმ ქვეყანაში, სადაც თითქმის ყველა ძველ ციხე და კოშკს თამარს მიაწერენ, ძელი სარწმუნოა, სახოტბო ტექსტში თავიდან მისი სახელი წერებულყო და ვინმეს, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ამოეშალა და სხვა სახელით შეეცვალა.

დასასრულ, აქვე იგივე უნდა დავიძინოთ, რაც ზემოთ დავით მეფის შესახებ ვთქვი: არჩილის „მეფეთა საქებელნი და სამხილებელიდან“ გამომდინარე, არაფერი მოულოდნელი და გასაკვირი არ იქნება, თუ იაკობ შემოქმედელის „არჩილის ქებაში“ უშუალოდ თამარს ან მისდროინდელ რომელიმე ისტორიულ მოვლენას გარკვეული ადგილი დაეთმობა. ასეთად შეიძლება მიგვეჩინა 33-ე სტროფში ნახსენები „ლიმონა“, თუ იგი, მართლაც, ტრაპიზონის იმპერიის გამგებელთა ციხესიმაგრე ლიმონია არის.

3. არჩილი

რამდენად მოსალოდნელია ავტორს არჩილი ისეთი ზვიადი ფერებით შეემკო, როგორც ე. წ. „აბდულ-მესიანში“ გვაქვს?

ვიდრე ამ საკითხს პასუხს გავეცემდეთ, მანამდე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თხზულებაში არის ცალკეული საქებარი სიტყვები, რომლებიც არჩილისათვის ალალი და უსაყვედუროა. ამგვარია, უწინარესად, თხრობა მისი განათლების, სიბრძნისა და ამ სიკეთისადმი მისივე სწრაფვისა და თავდადების შესახებ: „რიტორი, ბრძენი“ (4.4), „სიბრძნის სადგური“ (14.1), „სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად გარე მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი“ (26.3), „სწავლის მოძღვარი“ (55.2), „სწავლის ებგური.... სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი, მსგავს ხარ

²¹ აკაკი შანიძის გამოცემა, 1984, გვ. 524.

მთისა მის ეტონეოსა“ (59.3.4), „გონება ვრცელი, ყოველ გამხედველი.... ნიჭთა მთხრობელი“ (71.2 - 3), „აღაგო სახლად, სწავლის თან-სახლად“ (77.3), „შენ გონიერო.... თვით მეცნიერო.... განათლებულო“ (97.1 - 3), „ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი“ (99.4) და სხვა.

ასე ახასიათებენ არჩილს სხვა ავტორებიც. ფეშანგი თავის „შაჰნავაზიანში“¹ წერს:

„ზნობით სრულსა სწავლა აქვს, უწუთელი შეაჩუენისა“ (628.3).

ჩვენს საკვლევ ზოტბაში ვკითხულობთ:

„თვალი ხარ ბრმათა, ვით მზრდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლთ
სართული...
მოგფვენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა თვით განგვიმარტებ მაღლთა
მთხრობელი“ (63.1.4).

იოსებ თბილელი თავის „დიდმოურავიანში“² არჩილს მიმართავს:

„მეფევე, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშო შვილო.
ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადვილო“ (2.1 - 2).

მეფეთადმი ტრაფარეტულია და არც არჩილის მიმართ იქნება შეუსაბამო, როცა მწერალი თავის გმირს დიდად სათნოდ, შემწყალედ და ქველმოქმედად წარმოგვიდგენს: „შემწყარბელი დავრდომილისა“ (12.2), „მაღლისა პური“ (14.1), „არა სთნავს რისხვა, გესმის? - არი სხვა: ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა“ (20.4), „აქვს სასოება მას, სათნობა... მაღლთა ტალანტი... ქველის საქმითა ვკვირობ აქ მითა, რაც ოდენ მესმის იღუმალითა“ (22), „სათნობისა ჭური რჩეული“ (29.1), „მშიერთა პური, უსახლთ სართული, მამა ობოლთა... შიშველთ სამოსად მონიჭებული, მოხუცებულთა, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი“ (63.1 - 3) და სხვა.

იგივე ითქმის უბიწობის, მსაჯულობისა და სამართლიანობის შესახებ: „ყოვლად ყოვლითურთ ბიწშეუხებლად, სიწმიდის ბრძმედსა თვით განსაწმედსა გამოდნობილხარ ბიწშეუხებლად“ (42.2 - 3), „უფალთ მთავარი, მჭერ სამთავ არი სამსაჯულოსა სრულად მათისა“ (13.3), „სამართლად ღირსი ნეტარებისა“ (20.3), „თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა“ (47.3) და სხვა.

¹ ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს ა და ს ო ლ. ი ო რ და ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1935.

² იოსებ ტ ფ ი ლ ე ლ ი, დიდმოურავიანი, გიორგი ლ ე ო ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1939.

გადაჭარბებული ქების თაობაზე წინასწარ უნდა ვთქვათ: ნუ დაგვაიწყდება, რომ ე. წ. „აბდულმესიანი“ არის არა დოკუმენტური ან რეალისტური, არამედ ფეოდალური ხანის სახოტბო ჟანრის ქმნილება, სადაც ქების საგანი მეფეა. იმ საზოგადოებაში კი ქვეშევრდომთათვის, მეტადრე სამეფო კართან ახლო მდგომი პოეტისათვის, ყველა მეფე მეფეა, მთელი ადამიანური და მეფური ღირსებებით შემკული, ღვთის სწორი პიროვნება, რომელთა მიმართ ნებისმიერი აღმატებული ეპითეტი, რაც უნდა გაზვიადებული იყოს იგი, უჩვეულო და საჭოჭმანო არასოდეს არის.

ამ ჭეშმარიტების დამტკიცებისათვის შორს რომ არ წავიდეთ და „თამარიანიდან“ არ დავიწყოთ, საემარისია, დავასახელოთ ერთი, იაკობ შემოქმედელისდროინდელი საისტორიო ეპოსი - ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ და, მეორე, მომდევნო საუკუნის ოდა, მამუკა ბარათაშვილის „ქება მეფის ბაქარისა“. პირველში ვახტანგ მეხუთე და ზოგჯერ არჩილი, ხოლო მეორეში ბაქარი არანაკლებ აღმატებულად არიან დახატული, ვიდრე ე. წ. „აბდულ-მესიანიში“ არჩილია შექმნილი. თუ გავეცნობით იმ ოფიციალურ ისტორიულ ცნობებს, რომლებიც ფეშანგის თხზულებაში არ ასახულა და რომელთაც კ. კეკელიძე საგანგებოდ აღწერს³, ვნახავთ, ისინი ისეთებია, ვახტანგ მეხუთის, ანუ შაჰნავაზის, დიდებას, ასე თუ ისე, ჩრდილს რომ აყენებენ და ჩანს, პოეტი მათ საგანგებოდ ცვლის ან გვერდს უვლის.

მსგავსი ვითარებაა „ბაქარის ქებაშიც“.

შუა საუკუნეების სახოტბო პოეზიის აღნიშნული თვისება რომ არჩილზეც ვრცელდება, ამაში უმაღლვე ვრწმუნდებით, როდესაც ვეცნობით იმ ნაწარმოებებს, რომელიც კი არჩილს ეხება.

სანამ უშუალოდ არჩილისადმი მიძღვნილ სახოტბო ნაწარმოებებს დავიმოწმებდეთ, იქამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეფე-პოეტს დიდებით წარმოგვიდგენენ ისტორიკოსებიც. ბერი ეგნატაშვილი გვაუწყებს: „არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას, შუენიერ მობურთალი. უოკლის კაცის ისარწუდა ერთის ხელის დადება ისარი უკრძე ჭიონდა და არა იყო მსგავსი მისი“⁴.

ვახუშტი: „ესე არჩილ იყო ახოვანებითა, შუენიერებითა, სიმხნითა და უოკლითა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი იბ (=12) მუჭი სიგრძითა, შემართებული, ძლიერი, ლადი და ამაჟი, მონადირე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმრთოთა აღმატებული“⁵.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 506-508.

⁴ ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, II, 1959, გვ. 435.

⁵ ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, IV, 1973, გვ. 602.

ამასვე აღნიშნავს ბაქარიც თავის გამოცემულ ბიბლიის ბოლოსიტყვაობაში: „სედმიწევნითა სწავლითა სულიერთა და სიბრძნისა ცნობითა, და სამხედროთა და სამამაცოთა სიმხნეთა და ახოვანებათა სრულ“.

ახლა მოვუსმინოთ ვახტანგ მეექვსეს, როგორ ახასიათებს ის ბიძას: „ვასსენოთ ამა მადლისა მეფისა (ვახტანგ მეხუთის - ბ. დ.) მიერ ა ღ ბ რ წ უ ი ნ ვ ე ბ უ ლ ი და გ ა მ ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი უ ო ვ ე ლ თ ა მ ი დ ა მ ო თ ა, უ ს წ ო რ ო დ ქ ე ე ნ ა დ ს ა ხ ე ლ გ ა ნ ფ ე ნ ი ლ ი ქ ე მისი ჰირშო მ ე ფ ე ჰ ა ტ - რ ო ნ ი ა რ ჩ ი ლ, რ ო მ ე ლ ი ა რ ს უ ხ ი ლ ა ვ თ ა და ხ ი ლ უ ლ თ ა მ ტ ე რ თ ა გ ო ლ ი ა თ ე ბ რ და - მ ც ე მ ე ლ ი არათუ შურდულთა, არამედ ძალითა ჯვარისათა და სიონისა მღვიმარად ე ბ გ უ რ ა დ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ქ რ ი ს - ტ ე ს ს ტ რ ა ტ ი ლ ა ტ ი კ ა ც ი, გ უ ლ ი ს ს ა თ - ქ მ ე ლ ი დ მ რ თ ი ს ა, რომელსა იტყუის: «ვპოვე კაცი გულითადი ჩემითა», რომელმან მიწვეწულიყო თავი თვისი პატროსანი ხაზართა მეფე მეფისად და გიეს ცხოვრებითა და პატრიოთ“⁶.

არჩილის ეს ფიზიკური და სულიერი სილამაზე საძიებელ ხოტბაში არაერთხელაა აღნიშნული და, ბუნებრივია, ყველგან გაზვიადებულია. ის არის: „ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი“ (3.2), „მხნე... პაეროვანი“ (4.2), „ხმა-ტკბილ-მხმობარედ იადონისად, ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი“ (7.2), „კისკასად მქცევი, ტანად სარო, მზე სახოვანი, თვით ახოვანი“ (11.2-3), „მადალი მხნე... გოლებრ მწთოლვარე“ (20.2-3), „ტურფა სახითა“ (26.2), „თვალად აღმასი“ (42.4), „სახედ ელვისა! სახედველისა მჭვრეტთა ვერ უძღეს განცდად სხივისა“ (48.1), „ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეება, მუშქს სურნელება შენგან მიეცა“ (58.1), „მთა შეუძვრელი, კლდე შემმუსვრელი, ლოდი ხარ მტერთა დაბრკოლებისა“ (62.4), „გქმნა ცისკრად დღისად, მთიებად მზისად, ვარსკვლავად ცისად, თვით უბედომან“ (64.4). „მორჩი ალვათა, აკრთობს ელვათა არეთა მთენი, ცისკრის კრებული“ (68.3), „ნათლად ბნელისა გარფენილისა, ეთერთა ელვად დასახებულსა“ (76.3), „ვარდზედ გაშლილი ყორნისა ბოლო, ქმნილო სურნელთა მოსაფრქვეველად, შუქთა მფენებო, თვით განმთენებო მზე-სამყაროსა, მერმე

⁶ ანუკა ბატონიშვილის მზითევის წიგნი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითევის წიგნები), მზია ი ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1974, გვ. 44.

ქვე-ველად!“ (100. 3-4), „ტურფად შევინება, გამოჩვენება თქვენი და-
აჭნობს ყოველთ ყვავილთა“ (105.1) და ა. შ.

„კისკასად“ (=მარდი, მკვირცხლი), როგორც ბერი ეგნატაშვილი
იხსენიებს, არჩილი „ხოტბაში“ მეორეჯერაც არის დასახელებული:
„ვინ კისკასია“ (51.2). ბარემ აქვე ვიტყვი, არჩილი ასევეა დახა-
სიათებული „შაჰნავაზიანში“:

„მოახსენეს ხელმწიფესა: „არჩილ მოვა გმირთა წესით,
ვინ კისკასობს მხედრობითა, რაშს შეუსვამს, მოვა კუნესით;
მას შემევენის ნავარდობა, ვით შემურობს არის მქნესით,
ვით სონღული ეგრეთ გალობს, მონაფრენი არი ზესით“ (541).

„უხმიხარ, ნახე ხელმწიფე, მოწყალე ცათა სწორია;
კისკასად მქცევო, მოერთევე საფრენლად ვითა ქორია“ (632. 1 - 2).

არჩილის გარეგნობა, ვიდრე ეს ე.წ. „აბდულ-მესიანშია“, არა-
ნაკლებ გაზვიადებულად არის მოცემული „შაჰნავაზიანში“. აი, როგორ
აღწერს ფეშანგი არჩილის ბავშვობისდროინდელ პორტრეტს:

„უფროსსა არჩილ უწოდეს, რომელი ლომსა დარევედა,
ცისკარს უგვანდა ყელ-ყური, გაესით მთუარესა დარევედა,
ედემის მგზავსად შუენოდა, სურნელებითა დარევედა,
რა მოიზარდა იგი ყმა, სულად თემზედა დარევედა“ (210).

იმერეთში გასამეფებლად ჩასულ ჭაბუკ არჩილზე ნათქვამია:

„გადგა, წავიდა ყმაწვილი, ვით ალვა მიერხეოდა,
სამოთხის ნერგი ყუავილი, შიმალსა იგ მორეოდა,
მისთა უებროდ შუენებას ბძანება ღმრთისა რეოდა;
ეხუეოდიან საჭურეტლად, ბევრს ჭკუა გარდარეოდა.

მოვიდა, შეხდა იმერეთს ვის ტანი უგავ საროსა,
ეზომ უებრო ყუავილი, ვეჭობ, სამოთხეს კმაროსა,
მზეებრ მიჰფინოს ციმციმი, რა ტახტზე დაეყაროსა,
შექმნას ქუეყანა მდიდარი, მას სხვა რა დაეღაროსა!“ (538-539).

„შაჰნავაზიანის“ მიხედვით, არჩილი არის: „ვინ ცისკარს მიე-
გუნება“ (606.1), „ვინ საროსა გავს შუენებით, შუქთა ჰფენს ამა სო-
ფელსა“ (623.2), „ვით ალვა“ (628.1), „უმენობით მზემან სხივი მისი
არსად არა დარა“ (641.2), „მისი სხივი და ციმციმი პირსა მოგუადგეს

სუეტობით“ (657.4), „ვარსკვლავთა შესადავი... მეზავსი მთუარისა“ (661. 3-4), „ან მზე და მთუარე მოსულა, ამას არ უნდა მისანი“ (665.3), „ეტლის მეზავსი.... სამოთხის შუენება, ალვა მაშიგ დანერგული“ (1003.1.3) და სხვა.

ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ბევრჯერ და ასევე გადაჭარბებით შექებულია არჩილის ფიზიკური სიძლიერე და გმირული შემართება: „ქველი, ძლიერი.... შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი“ (4.2-3), „მტერთ სისხლ-მჩქეფე... სხვათა მძლეველი, თვით უძლეველი“ (11.1 - 2), „ცუდ-ყნის მან მტერნი, ორგულთა ერნი, სახმილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა“ (12.3), „უთრუთ-საამით ზაალსა ამით განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა, სალიმ და თური, ძლით უკეთური, როსტომ, ვერა ვსცან, სწორავს თუ რითა“ (15.3 - 4), „მხედრად ქველობით, უძლეველობით, სახედ უსწორო ანაგებითა, უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა აქვს-და გოდოლნი ანაგებითა, მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა“ (19.1-3), „ვისცა შეპრისხდა, ნამდვილვე მიჰხვდა მას სალმობანი სიკვდილისანი“ (23.4), „იხმარნის მკლავნი, ხაფად მომკლავნი, აღმატებულნი, გრიგალ-ქარული“ (29.4), „თვით ლომი გმირი: ნუთუ ეგ მირი თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა“ (69.4) და ა. შ.

ბრძოლის დროს ბრწყინვალე სარდალი, უდრეკი და უშიშარია:

„შემუსრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას ჭურად ჩაფხუტი ორგულთ მიწდომით“ (10.4).

„ე საც ერია, მეხებრ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულ-დალეული...“ (29.2).

„მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი; მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს“ (30.1).

„იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა გულის-მდებელად თვისთა სპათათვის, გორგასლიანი, დავითიანი დროშა იახლის მსვრელად მტერთათვის; არ ვეჭვ, ეგ ზომი ბრძოლა და ომი სხვამცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის? მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნი, ხმა როსტომითა უმხნე ძალთათვის“ (31).

„ექმნა ქუხილად, თვალთა წუხილად რაზმთა ურიცხვთა, მეზ-გრიგალ-ქარად“ (50.3).

და სხვა.

არჩილის ფიზიკურ სიძლიერესა და მებრძოლ ბუნებაზე, როგორც ზემოთ დავიმოწმეთ, ისტორიკოსებიც წერენ. ლეკთა წინააღმდეგ მეფე-პოეტის ბრძოლის ერთ ეპიზოდს ვახუშტი ასე გადმოგვცემს:

„შემდგომად იწყეს ლეკთა ჭურმუტთა ავაზაკობით კირთება კაღმა მხართა და ელისენთა შინა, შეიკრიბნა არჩილ სპანი, მოიუყანნა ქართველნი, წარაუღინნა და მიუხდნენ ჭურმუტს, შემუსრნეს სიმაგრენი, მოსწყვიდნეს, მოსტყუენნეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი“ (გვ. 603).

სენსია ჩხეიძე გვიამბობს: „ამა ცოტა ხანში მოვიდა რუსეთიდან მეფე არჩილ. ბატონობდა იმერეთს მე ბაგრატ მეფისა აღექსანდრე და ჩავიდა იმერეთს მეფე არჩილ, მეფე გიორგი დახუდა იმერეთს და წაართვეს იმერეთი აღექსანდრეს და გარდმოაგდეს და შევიდა გორს ციხეში. ამას მოუდგა მეფე ერეკლე, დიდისა ჰატივითა ამოუფა, კარდავიდა გორიდან ძალვით მეფე აღექსანდრე და მიუდგნენ ზოგნი იმერელნი და შეიყარა მეფემ არჩილ ჯარი, შეიბნენ, თავმან თქვენმან, გ ე ნ ა ხ ა თ მ ე ფ ე ა რ ჩ ი ლ, ა მ ა ს ბ მ ა ნ ე ბ დ ი თ, თ უ ა რ ლ უ თ ი ს ა გ ა ნ, თ ვ ა რ ა კ ა ც თ ა გ ა ნ ა რ ა ე ვ ნ ე ბ ა რ ა ო: შეუტივა ჯართა, ასე ამოსწყვიტა, გაემარჯვა, თავმან მისმან, შუბი რამდენსაც კაცს მოსდვიან, ისე დარჩებოდიან...“⁷.

ახლა მოვუსმინოთ ფეშანგის:

„მეფე შაჰნაზარ ცხენს შეჯდა, მათუის სამტეროდ კმარისა, ტანსა ბაბრადი ჩაიცვა, წარბ-შესკუნით, წყრომით არისა, ომი სწადს დია ფიცხელი, კლდესა დაარლუეს მყარისა, შუბი უჭირავს წუერ ბასრი, ტარსა სიმსხო აქეს სარისა“ (1099).

„საქუეთითთა აბჯრითა მეფე მოერთო ძალია, აილო მშვილდი, კაპარჭი, ახსენა ღეთისა ძალია, თავს ჩაბალახი დაირქუა, ვითლა დაუდგამს სალია, ციხეს მიმართა საომრად, თქუა: გამოვეუაროთ ქალია“ (1108).

ე. წ. „აბღულ-მესიანში“ არჩილი დახასიათებულია ჩინებულ მხედრად და მოასპარეზედ: „ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“ (4.4), „მხედრობს ჰუნენსა“ (29.1), „ვეუქო... იპოდრომისა განხმულობანი“ (39.13), „ვით მზე ლალიად, ეგრეთ ძალიად მორბედად შავსა ტაიჭსა ზისა“ (49.4).

ისტორიკოსთა ზემოთ დამოწმებულ გამონათქვამებში იგივეა აღნიშნული, ოღონდ ისინი უმატებენ მობურთალობასა და ნადირობას. ასევეა „შაჰნავაზიანშიც“:

⁷ ქართლოს ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, სანკტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 310.

„მობურთალ-მოასპარეზელ ვეფხურებ გაეკანება“ (606.3).

„ბურთობა და რაინდობა მათ დაუკლვე წესიერად,
აგრე ბურთი ამოკრული შენგან ნახონ წესიერად“ (633.3-4).

„ამ წესითა იქცეოდა ვაჟი გმირთა დასადარი,
ბურთობდის და ნადირობდის, არ მიაჩნდის სხვა საქმარი“ (666.1-2).

შემთხვევითი არ უნდა იყოს (სასულიერო პირს ასე შეეფერება), რომ ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ბურთობისა და ნადირობის შესახებ, რაც, საზოგადოდ, მეფეთა ცხოვრების განუყრელი წესია, არაფერია ნათქვამი.

ახლახან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება, რომელიც არჩილის ფიზიკურ ღირსებებს საეჭვოს ხდის.

არჩილისეულად მიჩნეული ჩონჩხის შესწავლის შედეგად პ. ფირფილაშვილი ასკენის: „სავარაუდოა, რომ მეფე არჩილს ფიზიკურად ორი ნაკლი ჰქონდა: ერთი - სახის, შუბლ-თხემის არეში ძელოვანი წანაზარდი, ხოლო, მეორე მხრივ, - მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზია, რის გამო შეიძლება კოჭლობდა კიდევ“⁸.

მკვლევარი იმომწმებს ძველ და თანამედროვე ავტორთა გამო-ნათქვამებს არჩილის ფიზიკურ და სულიერ ღირსებათა თაობაზე და ამგვარ მაღალ შეფასებას ასე ხსნის: „როგორც მისი (არჩილის - ბ. დ.) პორტრეტის შესწავლა ცხადეოფს, პირველი ნაკლის დაფარვას შესაძლოა იგი შუბლზე ჩამოშვებული გრძელი სვეული თმით ახერხებდა, ხოლო მეორის შეფასებას ვარჯიშითა და ცხენზე მოხდენილი ჯირითით ცდილობდა. იქნებ ამიტომაც, რომ ზემოთ დასახელებული ავტორები: ფეშანგი, ბაქარი, ვახუშტი და სხვ. არჩილის ფიზიკური მონაცემების შეფასებისას ამ ნაკლს დუმილით უვლიან გვერდს, რადგან მომავალ მეფეში, როგორც ჩანს, უფრო ანგარიშგასაწევი დადებითი მონაცემები სჭარბობდა უარყოფითს“ (იქვე).

თუკი არქეოლოგებმა არჩილის ჩონჩხს ნამდვილად მიაგნეს და ამდენი ხნის შემდეგ ჩონჩხი ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა, მეფე-პოეტს ხსენებული ნაკლი ადრიდანვეც რომ ჰქონოდა და იგი ვერ ან არ დაეფარა, არაფერია მოულოდნელი, რადგან მეფე იყო, მასზე არა მარტო მეხოტბეებს, ისტორიკოსებსაც დაეხუჭათ თვალი.

საძიებელ ხოტბაში არჩილი უბედნიერეს, ძლევამოსილ მეფედ არის გამოყვანილი, რომელიც უზარმაზარი და უბრწყინვალესი ქონების პატრონია:

⁸ პ. ფ ი რ ფ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ცნობები არჩილ მეფის ზოგიერთ დაავადების შესახებ, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1995, № 540, გვ. 149.

„ლოკლათ-სეიანად, სუფევს მზიანად, შეიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა, განათლდა არე მისით, ვით მთვარე, როს განხმულ იყვნეს ცანი ჳომითა, ხილვა მეფისა მჭკერეტელთ ეფისა – თვალნი მალნიტ ჳე ფოლადობითა, ლხინი გვეყოფის, არ გაგვეყოფის! არს მიწყვი შევბით და განცხრომითა“ (18).

„ხარკე ისარი! ხარ კეისარი, სიმღიდრით ლალი ჯიმშედ-მფლობელი“ (35.1).

„კერთხი მეფეთა, დიდ ხელმწიფეთა, თვით გაქვს გეპალით: სხვამც რად ეკეთოს?“ (36.1).

„თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი! – გალაგანისა შემკულობანი.
მტილ-სამოთხენი, თვალ სამოთ ხენი, ჳედ ავა ჳანთა შექმნულობანი...“
(39.1 – 2).

„ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი, სარდიონითა ხურუზმს შემკულნი...
ოქრო-ვერცხლებრივ ბრწყინავს, ცეცხლებრივ, კელელ-ყურენი ფიქლით
ძერწილნი,
ბერილიონნი, ლიგვირიონნი ურთიერთობით შორის შთათხზილნი“ (40.1.3 – 4).

„გვიგვინოსანსა, პორფიროსანსა უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა“ (41.1).

„აქვს ჳარდახშანი, მას ბადახშანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა“ (43.4).
„მეფედ გებული, ლალად შეებული, თვით მხიარული, სამ-დიდებული...“

მართებს, რომ ცამცა ჳქონდა მასცამცა სახლად სამყოფად განჩინებული!“
(68.2.4).

„შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა!“
(96.3).

„შენ, გონიერო, გულის ხმეერო, თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო...“ (97.1).

„მეფევ მალალო, ქცევა-მდაბალო, ლომისა მსგავსო ძალად და გულად...“
(100.1).

„ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს, ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა...“
(104.3).

და სხვა.

დღეს ასე გადაჭარბებული ქება იმ მეფისა, რომელიც ექვსჯერ ავიდა სამეფო ტახტზე და ექვსივეჯერ ჩამოაგდეს და ბოლოს იძულებული გახდა, თავი რუსეთისათვის შეეფარებინა, რა თქმა უნდა, ყურს ჳრის და ყოვლად შეუფერებლად უღერს. მაგრამ ისტორიკოსთა

მონათხრობიდან ჩანს, არჩილს მეფობაში წარმატებული და ბედნიერი დღეებიც ჰქონია. კახეთში მეფობაზე სეხნია ჩხეიძე წერს: „მობრძანდა კახეთს, შეიქმნა სიხარული დიდი და განსვენება. ხან ქართლში მობრძანდებოდა, ხან ესენი კახეთსა: თქვენმა მზემა და თავმან ამათმან, რა ესენი ერთად შეიერებოდინან, მნახავთაგან გასახარელი იუვიან, განისვენებდინან, იბურთიან, ინადირიან, ნადირთა სურდიან, ღზინობდინან, უხუად გასცემდინან, სამართლობდინან, მტერი არსით აუჩნდინან, ერთგულთა წყალობა უუვიან, ორგულნი მოსურიან, ქართლი და კახეთი მსახურებდინან“ (გვ. 308).

ამასვე გადმოგვცემს ვახუშტიც: „არჩილ მეოფი კახეთს, ნადირობდა და ნადიმობდა და შენდებოდა კახეთი, ვინაითგან იუო სიმეფიდე და უმტრობა და ნიჭვიდა და სწეალობდა ეენი არჩილს, რამეთუ ვერცაღათუ ლეკნი იკადრებდნენ ზღომასა (...) და იუო შუებასა და ნადირობა-ნადიმობასა (...). ამისთვის მარადის ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და იუენენ შეერთებულნი ქართველთა თანა ეოვლითურთ“ (გვ. 603). „კახნი იუენენ ამ ჟამთა შუებასა, განცხრომასა, განსუენებასა შინა“ (გვ. 604).

ფეშანგი არჩილის მეფობას საძიებელი ხოტბის ავტორის მსგავსად და კიდევ უფრო გაზვიადებულად გვიხატავს:

„მეფის არჩილის ამბავი ზემორე დაგვიწერია,
თუით ხსენებასაც არ ღირს ვარ, მიწა და ფერხთა მტვერია,
მისი სიმხნე და სისრულე ეტლთაგან დასაჯერია,
აქუს სუიანობა უებრო, ტახტისა შესაფერია“ (976).

იმერეთში მეფობაზე ნათქვამია: „არჩილი გმირთა თავია, ქვეყანა შექმნა მდიდარი“ (590.2-3). ერანის ყენი ოსმალეთის ხონთქარს არჩილის შესახებ უთვლის:

„თქუენად საყმოდ იმერეთი დაუჭირავს იმა გმირსა,
იმერეთი გაუმართავს, იგ ყოფილან გასაკჳრისა...“ (596. 1.3).

მთელი კახეთი აღფრთოვანებით შეეგება ცნობას, რომ მათი მეფე არჩილი იქნება:

„კახთა შეიტყვეს, მომართეს, ვინც იყო ყმა და ბერია,
შაჰნაზარ მეფეს იახლნეს, შეექმნეს ფერხთა მტურერია,
მიულოცევედენ ყველანი, სიტყუა თქუეს დასაჯერია,
იპოვეს მათთვის პატრონი, ტახტისა შესაფერია“ (1015).

არჩილი კახეთშიაც უშიშრად და განცხრომით მეფობს. ვახტანგ მეხუთემ გადაწყვიტა მოენახულებინა შვილი, რომელიც „კახეთს ზის

ლალი, უკადრი, იგი სატახტო ქილისა“ (1057.3). არჩილი გზაში მიეგება მამას:

„მან გამოვლნო გზანი გძელნი, დაიყოვნა ხანი არსა, მისებრ ტურფა ხორციელი შეუქმნია ძუირად არსა, მას შეშუენის საქციელი ეტლსა შორით დასადარსა, ცოცხალს მეტად ღზინი გააქვს, წამოდგომა მოუც მკუდარსა“ (1062).

მამა-შვილის შეხვედრის თაობაზე ფეშანგი წერს: „აქა შაჰნაზარხან მის ტკბილს მშობელს ხელმწიფეს მამას შემოეყარა. მათს მამინდელს სიამოვნეს ვინ მოსთულის, თუ რის სიამოვნით გაიხანჩეს და ან რა რაოდენი ღზინი შეერაზე გარდაიხადეს“ (გვ. 176).

ლექსით ნაწილში მოგვითხრობს: „ლალობენ ტკბილად ენითა... ღზინი გამართეს, შეიქმნა საქმენი გასაჩუენითა“ (1065.1.4); „საყუარ-ლობდენ მათად ფერად, წართეს სუფრა აულებლად... იშუებდენ და თამაშობდენ“ (1066); „სმენ და ნიადაგ ღზინობენ... ლარი უყრია უზომო“ (1076) და სხვა.

რაც შეეხება მამა-შვილის სამხედრო ძლიერებას, ისინი აქაც სწორუპოვარნი არიან. ერეკლე პირველს თავისმა მოციქულებმა აცნობეს:

„ჰკადრეს: ვნახეთო ხელმწიფე, ნიადაგ ღზინად ჯდომითა, გუერც ახლავს ჯარი მრავალი, მათ ვერას აენებ ომითა, კეისარს უგავს სიდიდე, რა იგი ვნახეთ დგომითა, ვიცო, თქვენზედა შეძლება მეტი აქვს ათის ზომითა“ (1087).

ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში მამა-შვილმა უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინა:

„ორთა მეფეთა ნაქმარი მოვსთუალო, არ ეგებისა“ (1126.1).

თვით არჩილზე კი ფეშანგი ამბობს:

„შაჰნაზარხან დაბრუნედა, ვითა ეტლი გამოსჭურისა, ველთა შუბი შეემადლა მებრძოლთათუი ასატირისა...“ (1124.2-3).

და სხვა.

ე. წ. „აბდულ-მესიანში“ არჩილის ქება უზომოდ გადაჭარბებული და თვალში საცემია იმ მხრივაც, რომ აეტორი საქართველოს მასშტაბს არ სჯერდება და ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ქართველი

მეფის სახელი და დიდება შორს, მთელ მსოფლიოში, ყველა სივრცეში იყოს გავარდნილი:

„კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ-მაჩინეთს, თარშის ქებულსა“ (2.2).

„აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის ჰჰოონ, სად არი. ზესკენელს-ქვესკენელით და გარესკენელით, უკანასკნელით უფსკრულთ სადარი?“ (3.3 - 4).

„სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერა სწორავს არარატისა“ (13.4).

„ქვეყნისა ზღვარი, ჩრდილო და ბღვარი დაელონ, ვის ძალ-უც მისებრ ჰოენისა?“ (14.4).

„იროიკ, ბოლრატ, პარმენიდ, სოგრატ უფლად გთქვეს ზღვისა და ხმელისათა“ (56.2).

„თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი, არიელ-ფოტელ-გერგესეველი, შიშველ-მართალი, ციღამტკაველი, აბაშ-შაბაში, ღვედეკეც-ეველი, ბასრი, ბარანი, ვრახმან-ერანი - გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველი!“ (60.1-3).

„აღმოსავლეთით და დასავლეთით მთანი და ბორცვნი ხმობს უფლუულად“ (87.4).

ღიახ, გაზვიადება ღიდზე ღიღია. მაგრამ, რაც „შაჰნავაზიანში“ ვახტაგ მეზუთეზეა ნათქვამი, იმასთან შედარებით გაცილებით მცირეა. ფემანგის დახასიათებით, ვახტანგმა „ესრეთ მშვიდობა შექნა, ვითა თსა და მგელი სწორად მოვიდინ. ვერა იკადრის მგელმა თსისა კებნა. ამ მადლისა ხელმწიფისა სიმზნე, შუენიერება და მოსამართლეობა გაიხმა უოველსა ქუეენასა ზედა. უცსოთა და შორიელთა კაცთა იწეეს მოსულა. და მოვიდენ ინდოველნი, არაზნი, ჩინელნი და მაჩინელნი, ოსმანი და ჩითაზნი, ფრანგნი და ბერქენი, რუსნი და ხაზარნი, ოგსნი და ვიჯაენი. ესე უოველისა ქუეენის კაცი მოვიდის ამა ხელმწიფისა სანახავად და რა ნახიან, მოიძაგინ მათი ქუეეანა და იეუიან ქალაქსა თბილისისა ეამიერად. ცნიან: მეფე გამოვოაო, - იდგიან სრისა კარსა და ჰქონდათ მოლოდინი გამოსულისა. და როდეს იგი უკადრი მეფე გამოვიდის და ნახიან, ხელ აპურობით ღმერთსა მადლი მისციან და ამას იტყოდიან:

«რომელსა ამისებრი ნაყოფი გამოვიდია, რომელ ამისებრი არა ნახულა».
დიდად გაიხარიან და ამ წესითა იყოფებოდინა“ (გვ. 3 - 4).

ასევე, მამუკა ბარათაშვილიც უსაშველოდ ხელგაშლილია ბაქარის მიმართ:

„ინდნი და სპარსნი, ფრანგ სიბრძნე მარსნი, ჩინელ აბაშნი ახალთემელის,
აღმოს, ღაის ვთქვა შენთვის ხმლა ის, სამხრე მუზით, ჩრდილო ბნელ
გამცემელის,
ციმბირ, არხანგელ, წვა-ნეფხვა მდაგელ, ზღვის გულთა მალთის მტერთა
მცემელის,
შირაქ და რანის, კაკეას ღარანის ღურაყთა კრება ცივთა მე მელის.

კისიტ, ვარონ, ემან, კრატ, ვიას ბძენმან, ზინონ, აქსალონ გემონა შენ ეს,
მენელიმ, პითაქ, კინიკ ხმობს ვითა აქ, მათე, ანკსიმე, დემონაკ შენ ეს,
სიმონიდ, ეპკურ, ვით ცვარნი გეპკურ, ღავითის ნერგი, აპული შენ ეს,
სოლონ და სოვრატ, ანტიისტე, ბოლრატ, ფეოფრატ, ეპიკ პითალორ ქშენეს“
(30-31).

და სხვა.

არჩილისადმი სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა ის დამოკიდებულება, რაც საძიებელ ხოტბაშია, რა თქმა უნდა, სინამდვილისაგან დიდად დაშორებულია და უფრო ავტორის ფანტაზიაა. მაგრამ რაღაც სიმართლის ნიშანწყალი მასში მაინც მოიპოვება. სეხნია ჩხვიძე მოგვითხრობს: „გამოხდა ზანი მცირედი და დაიბარა შაბაზ უენმა ბატონიშვილი არჩილ, მემანდარი ებოძა, რუაში დიდის წუალობისა... მას ეამსა ოდეს ხელმწიფე მობრძანებულ იყო, მოვიდა, რა ხელმწიფემ მისულა შეიტყო, მოაგება ჯარი, ნახა მასვე დღესა, მოეწონა სიმხნე და სიკეთე არჩილისა, დასდვა პატივი, ვითარცა შვილი მამას მისლოდა, უბოძა საბოძარი მრავალი და კახეთის ბატონობა, რჯული მისი და დაარქვა სახელად შაჰ-ნაზარ-ხან“ (გვ. 308).

ერეკლეს დამარცხების შემდეგ: „რადგან კახეთი უპატრონო იყო, აღარ მოეშენენ მეფეს არჩილს, დამორჩილდა ბრძანებასა ხელმწიფოსასა, უბოძა საბოძარი მრავალი და გამოისტუმრა დიდის პატივითა“ (იქვე).

ვახუშტის ცნობით, „თორღის“ ციხის აღების შემდეგ „არჩილს, შთასრულსა მახანდარანს, პატივ-სცა ეეენმა და შეიუარა ფრიად. მერმე მაჰმადიანჰყო გივითურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და კახეთი სამეფოდ“ (გვ. 451). ხოლო იმერეთში გამეფების წინ „მოვიდა მე შანაოზ მეფისავე

არჩილ დაპურობად იმერთა და ჰატივით შეიტკბო ასლან-ფაშამან“ (გვ. 730-731).

„შაჰნავაზიანში“ ეს ფაქტები გაბუქულად არის მოცემული. არჩილზე ყენი ამბობს:

„სულ ერანი მას მისტირის, ვინ იკადრებს მისსა ძუირსა?“ (596.2).

თვით ირანელთა და სხვა ქვეყნების მცხოვრებთა არჩილისადმი დამოკიდებულება ასეა აღწერილი:

„მოიწონეს ყიზილბაშთა არჩილისა საქციელი, თქუეს: «არა გავს ქუეყნიერსა, არის ვინმე ზეციელი, თუალ ტანად და ან ზნეობით შეუმკია კაცად ქუელი», ვინ დაბადა, ხელ აპყრობით, მისი იყუნეს მადლის მთქმელი.

ყველგან მიესმათ ამბავი ამა უსწორო მეფისა, არაბი, ჰინდი, ჩინელი ყველა იქ მოისწრაფისა; თქუეს: «მოსულაო სამოთხით, ვისი გუწადს ნახუა ქეფისა!» უცხო თემთაგან მოსული ყუელა იქ მოიფეფისა“ (663-664).

სეხნია ჩხეიძის თქმით, არჩილს ასევე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა რუსეთის ხელმწიფე: „დახუდა ხელმწიფე რუსეთისა დიდითა ჰატივითა, მიიპურა წუალობა აურაცხელი, მიიჩნივა ძმად თავისა და ძენი პედ“ (გვ. 309).

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ პერსონაჟი დიდი ღვთისმოსავია და ქრისტიანობისათვის თავდადებული:

„აქეს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით «სიბრძნის დასაბამ - შიში უფლისა»“ (12.1).

„აქეს სასოება მას, სათნოება, სარწმუნოება სიყვარულითა“ (22.1).

„ერთა შემცველი, მტერთა შემწველი თანად შიშითა სასჯელისათა“ (47.4).

„სჯულისა ღარი, ქვეყნის საღარი, გამდიდრებული ფრიად ყოვლითა!“ (69.1).

ქების ობიექტი არის „მხედარი ღმრთისა სამ-ხატონისა“ (14.1). ის დახასიათებულია: „მოთმინებაო იობიანო“ (51.4); „ეექმენ ედილად ყრმათა, ე დილად, განმბანელ შეილთა ემბაზისათა“ (56.4) და სხვა.

არჩილის მიმართ ასეთი შეფასება გადაჭარბებული არ არის. თუმცა მან პოლიტიკური მიზნით რჯული შეიკვალა და მუსლიმანობა მიიღო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ იძულებითი, ფორმალური ნაბიჯი. ნამდვილად კი ის სულით და გულით, მთელი თავისი საქმიანობით, მწერლობით ბოლომდე მტკიცე ქრისტიანად დარჩა. ვახუშტი გვაუწყებს: „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა კელესიანი ეოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოზნი, მატა სჯულსა და შენობასა ქუეანისასა“ (გვ. 603).

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ გმირი მედგრად ებრძვის ქრისტიანობის საწინააღმდეგო ყოველგვარ გამოვლინებას: „ულმართთა შეიქმს თვით-ოტებულსა“ (38.3). დიდი პატივითაა მოხსენიებული წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლა:

„შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს, ასტრატის კერპსა საძაგელთასა“
(28.4).

„ექმნა წარმართსა და ერსა მართსა განსახრწნელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს,
რა მარზაპანთა და სპათა მათთა შეპრისხნა ლოში, თვით ნანვად იწყეს“
(30. 2-3).

„თქვის სიტყვა მჭევრი, ართუ დუხჭირი, მოსატყეველ ყენის წარმართთა ერნი, მათ სატუხელნი, ძნელ-საწუხელნი, სჯული შეუქმნის თავისა მტერნი“
(83.1 - 2).

იგივეა ნათქვამი მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაზე:

„სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად“
(16.3).

„მსურელ - ბარბაროზთა, მძლედ - სარკინოზთა ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურით,
ოროლითურთით!“ (27.3).

„ჯაჭვ-საჭურველნი ძნელ-სასურველნი, მით სარკინოზნი მყის დაეკეუთოს;
ზრმალი ლესული, მასზედ მხნე სრული ბარბაროზ მსურელად მყის
წარგემართოს“ (36.2-3).

ვახუშტი არჩილის შესახებ გადმოგვცემს: „ამან განახსნა თათარნი ურჩნი თვისნი და განგებდა კეთილად“ (გვ. 602). მეორე ადგილას მას ასე ახასიათებს: „ხოლო არჩილ, მოძულე მაჰმადიანთა და მოძულე მან მაჰმადიანობისამან, სათნო იყო განზრახუა ესე და მოვიდა თიანეთს...“ (გვ. 604).

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მიხედვით, მისი გმირი ბიბლიურ მეფეთა შთამომავალია:

„ძირით მისისა იესისისა შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა საქართველოსა მეფედ წოდებად“ (16.1-2).

როგორც (ბიბლიის მიხედვით) „ეფუცა უფალი დავითს“, რომ მისი შთამომავლები იმეფებდნენ, საძიებელი ზოტბის ავტორის მტკიცებით, ამგვარივე ღვთის ნებითაა განსაზღვრული აგრეთვე მისი საქები პერსონაჟის მეფობაც:

„და ვით ისადა დავითისადა ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა:
ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დაესვა მსაჯულად საყდართა ზედა.
ესე მისით-ა, ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა“ (5.1-3).

ქართველ მეფეთა ეს მემკვიდრეობის იდეა რომ XVII და XVIII საუკუნეებშიაც ცოცხალია და ქმედითია, გაკერით ზემოთ შევხვით. ახლა რამდენიმე ახალ ამონაწერს დავიმოწმებთ. სეხნია ჩხეიძეს ვახტანგ მეხუთის შესახებ უწერია: „იეო ე ს ე მ ი რ ი ს ა გ ა ნ ი ე ს ე ს ა დ ა თ ე ს ლ ი ს ა გ ა ნ დ ა ვ ი თ ი ს ა ა ღ - მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ ი, ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა ნ ა ე ო ზ ი, მ ი ს ა დ შ ე დ ა რ ე ბ უ ლ ი, ბაგრატიონად წოდებული, ვახტანგ, სწარსთა ენითა შანაოზ წოდებული“ (გვ. 307).

ვახტანგ მეექვსე კი მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ თავს ასე წარმოგვიდგენს: „მადიდებული წმიდისა სამებისა, მ ე გ ვ ა რ ტ ო მ ო ბ ი თ, მ ი რ მ დ გ ო მ ო ბ ი თ დ ა ვ ი - თ ი ა ნ მ ა ნ, მის პემან განთქმულის მეფის ვახტანგისამან, მისწულმან ქებულის მეფის ა რ ჩ ი ლ ი ს ა მ ა ნ და დიდმან სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან, ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით...“

მამუკა ბარათაშვილი „ბაქარის ქებაში“ ბაქარს ეუბნება:

„ხარ დავითისა, ხარ და ვით ისა, მებრძოლთა წყობად გარ გამაძისა“ (18.2).

„გეფუცა ღმერთი, არსება ერთი, სიმრავლე მოგცა აბრკამის ძირად,
დავითის საყდარს, ეღემის მნახ ღარს, მასმია, ზიხარ საშვებელ-ზშირად“
(36.1-2).

დავით გურამიშვილი დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრეებად ახსენებს ქრისტესაც და ვახტანგ მეექვსესაც:

„ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია,
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია;
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,
მეორე – ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია“ (გვ.47).

ბუნებრივია, ამგვარივე შეხედულებისა იყო თავად არჩილიც, „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ ის იმერეთის მეფეს. გიორგი მესამეს, ბაგრატიონთა შესახებ ათქმეუნიებს:

„გვარი გაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი“ (487.2).

თუ ვახტანგ მეხუთე, გიორგი მესამე, ვახტანგ მეექვსე, ბაქარი ბიბლიურ მეფეთა შთამომავლებად იხსენიებიან, რალა საკვირველია, „ქებული მეფე არჩილიც“ მეხოტბეს ამგვარადვე მიეჩნია და ედიღებინა (ქვემოთ ვნახავთ, დავით წინასწარმეტყველის მეფობის ღვთიური წარმომავლობა არჩილთან მიმართებით მის სხვა მეხოტბეებსაც ახსენდებათ).

ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ქების ობიექტი ხშირად დანახიათ-ბულია ბიბლიური სახეებით:

ა) „ნამეი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ენგადიმისად, ნერგად ვარდისა იერიქოსად – სხვამც რა ვახსენე მსგავსად ამისად? ასაფიც არი ა საფიცარი, დამამტკიცარი წინასწარისად!“ (7.2 - 4).

როგორც კომენტარებში მ.ჯანაშვილი (გვ. 39) მიუთითებს და ი.ლოლაშვილი იმეორებს (გვ. 164-165), მეორე და მეოთხე სტრიქონები შეთხზულია ზირაქის გამონათქვამის (24.13-14) მიხედვით. ხოლო მეოთხე სტრიქონში ნახსენები „ასაფი“ არის განთქმული მგალობელი დავით წინასწარმეტყველის კარზე, რომელსაც ფსალმუნებიდან რამდენიმე საგალობელი მიეწერება.

ბ) „გავსილო ამით, ჰვავ სილოამით შეცოდებისა ბიწთა წარმღვენელად“ (9.1).

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აქ საუბარია სახარებაში ნახსენებ სილოამის მთის საბანელზე, წყაროზე, რომლითაც ქრისტემ ერთ-ერთი სასწაული მოახდინა (იოანე, 9.1-7).

გ) „მოსე და არონ თხემსა დაარონ მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა“
(12.4).

ამ სტრიქონის ბიბლიასთან მიმართება ი. ლოლაშვილის კომენტარებშია გაშიფრული (გვ. 172). თუ სახარების მიხედვით, ვინმე ცოდვილმა დედაკაცმა „მოიღო ალაბასტრი ნელსაცხებლისა“, „დადგა თანა“ ქრისტესა და მას „ამბორს უყოფდა ფერხთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა“ (ლუკა, 7.37-38), ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მის გმირს, ვითარცა მართლმორწმუნე მეფეს, ამგვარივე ნელსაცხებლით მოსე და არონი აკურთხებენ, როგორც ღმერთის სახელით ეს სამოელმა გააკეთა საულის მეფედ კურთხევის დროს (I მეფეთა. 10.1).

დ) „აწ ესე ლომი, თვით ე სელომი მისთვის აღეგო
კეთილ-სახმარედ“ (21.3).

კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ „ლომი“ არის „ქართველთა მეფის სამყოფად და საცხოვრებლად აგებული „ლომის ზოდიაკო“, ხოლო „სელომი“ – სახელი ქალაქისა, სადაც ერთ სახლში მოთავსებული იყო „ტადარი ღმრთისა“ (მსაჯულთა, 18.31)⁹.

ე) „მენანდარ გიცნობს, ოქრო-ხმად გიძნობს, სამუსიკო
ზირაქისაო“ (25.1).

„ზირაქი“ ისო ზირაქია.

ვ) „ისაკებრ პირმშობ კურთხევით, ნიშობ მელქიზედეკის ლოცვით
ზედა-მთით,
ესავისითა ეს ავი სით-ა, - მაუწყონ მთქმელთა, - თუცა რათ ურთით?“
(27.3-4).

ისაკი (აბრაამის და სარას შვილი). მელქიზედეკი (სალემის მეფე, „მღდელი ღმრთისა მაღლისაი“). ესაკი (ისაკის პირმშო შვილი) ბიბლიური პერსონაჟებია.

ზ) „იოსებს თვალად, დიდს სამფსონს ძალად, სჯობს ნებროთს
გულად ნაყოფი მსთვლად“ (46.2).

⁹ ეტიუდები, IV, გვ. 57-58.

საქები გმირი ამ ბიბლიურ იოსებს შემდეგაც არის შედარებული:

თ) „მან იოსებსა – არი ოსებსა! – სიტურფე ართო. ვით მსგავსი მის-ა“ (48.4).

ი) „გიხმობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ, სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად“ (57.1).

მანასე იოსებ მშვენიერის პირმშოა.

კ) „იტყვის იგავსა, ართუ იგ ავსა, ზირაქის მსგავსსა, გულისხმირად“ (66.2).

ისო ზირაქი აქ უკვე მესამეჯერ არის ნახსენები. მეოთხეჯერ – 103-ე სტროფშია.

ლ) „ღმერთმან და ძემან, ღმრთისა სიბრძნემან, ყო ეს უაღრეს სულთა ყოველთა“ (77.1).

მ) „წიგნი მეფეთა, ქება ქებათა, ეკლესიასტე, სარამა გრძნისა, ღავით – იგაენი, – ვინ თქვა იგ აენი? – სიბრძნე დიდისა სოლომონისა, ლევიტელთ, რიცხვთა, მსაჯულთა, ნეშტთა, ეზრა-ეზდრასი და ზირაქისა,

მათთან ვრახმანი გრძნობდეს რვა ხმანი, ვერა დამატონ ქება ძალისა“ (103).

აქ კი მთელი ძველი აღთქმის წიგნებია ჩამოთვლილი, რომლებიც, თურმე, საქები გმირის ძალას ვერაფერს დაუმატებენ.

ეს და სხვა ბიბლიური გაზვიადებული ფერები რამდენად შეესაბამება არჩილს?

არჩილი ამგვარივე ბიბლიური თვალთახედვითაა დახასიათებული სხვა სახოტბო თხზულებებშიაც. გივი თუმანიშვილის სამსტროფიან ლექსში, რომელიც მის მიერ გადაწერილ არჩილის თხზულებათა ცნობილ კრებულშია (S 424, გვ. 55) შესული და არჩილს ეძღვნება, ვკითხულობთ:

„სწადს შენს მონას, შენს ძ(ა)ლითა ბრძენთანა სიტყვა ღარიოს, მაშინლა ხელ-ჰყოს ქართველთა, აღმოუბრწყინდეს ღარიოს, ოდეს ქრისტემან მარჯვენა შენი მბრძოლთ შენტა ღარიოს, შენ განიოტ იგ ბილწი, ვით ალექსანდრე ღარიოს. ვითარ გამსგავსო, მეფეო, ღავით ან დიდი მოსე – რით,

თუ შეგისწორო აბრაჰამ სტუმართ მოყურობით მო სერით, ვითარ აღავსენ წყალობით ურიცხვნი სულნი მოსერით, მეუნებლე და მებრძოლნი მსწრაფლ მახვილითა მოსერით.

მეფე გამსგავსო სიქველით გედონ დიდი და ისო, ქრისტე ვითარცა აღუთქვა, დავითის საყდარს დაისო, ვითარცა აღმშენებელმა დროშაზედ ჯვარი დაისო, უგუნურებით მებრძოლმან რად შენი ხრმალი დაისო?!“¹⁰

უნდა შევნიშნოთ: როგორც ე. წ. „აბდულ-მესიანშია“, აქაც ბოლო სტროფის მეორე სტრიქონში საუბარია უფლის მიერ დავით წინასწარმეტყველისათვის მეფობის პირობის მიცემაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ, მსგავსად ჩვენი სახოტბო თხზულებისა, გივი თუმანიშვილიც არჩილის დასახასიათებლად ბერძენ და სპარსელ მეფეთა სახელებს, ალექსანდრე მაკედონელსა და დარიოსს. იშველიებს.

არჩილი ზუსტად ამგვარივე შეხამებითაა დახასიათებული მისადმი მიძღვნილ პეტრე მგალობელის (ნექაძის) 9-სტროფიან ლექსში. რომელიც მეფე-პოეტის იმავე კრებულშია (S 424) დაცული (გვ. 335-336):

„ზე განგებითა ღ(ვ)თისათა თხემს დავითს ზეთი ესმისა,
დაპყრობა ზელების ქვეყნისა, ისრაელთ მეფედ ესმისა,
ჩვენთვისცა მეფე არჩილ ჩანს მსაჯულად ტომი ეს მისა,
ვინც არ უსწოროს, ესე მას გულსამც ლახვარი ესმისა“.
„სიბრძნე უმგ ზავეე სოლომონს, მეფედ ვერ სჯობდა მანასე,
ენა-რიტორობს უბრვენლად, პლატონ ოდეს თქვა ან ასე...“

„ღ(მერ)თ(მ)ან ესე საქართველოს ისო ნავედ დაუბადა,
შესაპყრობლად მათ უღთოთა ვით მფრინველსა დაუბა და,
წარსწყმიდნა და თავნი მათნი ცეცხლსა შინა დაუბადა,
ნეშტი ყოვლად ხელთა იპყრო, ძმა ვისმე სცა, და უბადა“.

როგორც ვხედავთ, პირველ სტროფში ლაპარაკია უფლის მიერ დავით წინასწარმეტყველის ისრაელთა მეფედ კურთხევაზე. ნიშანდობლივია, რომ არჩილის თანამედროვე სამივე პოეტს - ე. წ. „აბდულ-მასიანის“ ავტორს, გივი თუმანიშვილს და პეტრე მგალობელს - მეფე-პოეტის საქებრად ეს ბიბლიური გადმოცემა აგონდებათ და მას იყენებენ.

¹⁰ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание..., II, გვ. 136-137.

ე.წ. „აბდულ-მესიანის“ დარად, პეტრე მგალობელი არჩილს ხატავს მშვიდ, თავმდაბალ, ღვთისმოსავ, მოწყალე, უხვ და მჭევრმეტყველ მეფედ:

„ეს ღ(ვ)თის მოსავ არს, გლახაკთ მმოსავ არს, წარმართებულმც აქვს
განსაგებელი,
მშვიდი და უხვ არს, სიმდაბლე უყვარს, ნარნარად მეტყველ განსაგებელი“.

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მსგავსად, პეტრე მგალობელი არჩილს უძლიერეს მეფედ წარმოგვიდგენს, რომელიც იოლად და სასტიკად ამარცხებს „უსჯულოებს“, მაჰმადიანებს და, საერთოდ, ყველა ორგულსა და მტერს:

„ეს ღ(ვ)თის კაცი ძალსა იპყრობს მხნეთა მამათ დასაბურსა,
წარმოსტყვენავს უსჯულოთა, თავსა მოჰფხვრის დასაბურსა;
ჰყოფს სკორისა მოსახელედ სრულად შასა დასაბ ურსა,
ღელათ შეუქმს ტკიენეულად, თვალს მოუცემს დასაბურსა.“

ამ ხელმწიფემ ხრმალმოწვდილმან სისხლსა ხელი აღებინოს,
ზოგნი მოსრნეს, ზოგთა შიშით ხვეწნით პირი აღებინოს,
ხარკი დასდევას აგარისთა, ღიდად ზვერი აღებინოს,
თვით განსცხრეს და მის წინაშე მდიდრად სერი აღებინოს“.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორი თავის გმირს „ქრისტეს სასძლოს“ „სძლად“ მიიჩნევს. რომ „თვით მას ეღმესა.... სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა“ ხედავს „ჯეროვნად, მარად სამოვნად“ მისთვის „განკუთენით გამზადებულსა“ (95). პეტრე მგალობელიც არჩილს ამგვარადვე უყურებს და ამკობს:

„ნამდვილ ეღმეს თავი აგოს წრფელთა გზათა მართებულმან,
ხვაიშნობაც ჯერ იჩინოს, კიბემ ზეცად მართ ებულმან,
ჰე დაგვაგნეს ძესა მისსა სულთქმა ცრემლმან მართებულმან,
მეც მაცხოროს ამის მთქმელი მარხვა-ლოცვამ მართებულმან“.

საძიებელი ხოტბის ავტორს თავისი გმირის ღირსეულად შე-
მკობა უსაშველოდ ძნელ და მიუწვდომელ საქმედ ესახება:

„ვით ვუძლო ქებად, შესხმად ღიღებად თქვენდა, მსაჯულო
სიმართლისაო?!“ (25.1).

„ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმი სა ვერვინ აღრაცხოს თან თოვულად,
ვერეთვე ქება, მსგავსად ზსენება მისი ვერ უძლონ თითოეულად“ (87.1-2).

პოეტი მოუწოდებს ბერძენ ფილოსოფოსებს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის განთქმულ ბრძენკაცებს. მაგრამ, დარწმუნებულია, ისინიც უძღური არიან სათანადოდ შეაფასონ არჩილის ღირსებანი:

„შემოკრებით, ბრძენო, ათინელთ ძენო, არჩილს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა, კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ-მაჩინეთს, თარშის
ქებულსა!
რომელნი ელნით, რომელნი ელნით თავს სოგრატისებრ სწავლით გებულსა, ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო, ვერ ძალ-გიცთ
ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა“(2).

ბოლო სტროფში ავტორი თავმდაბლურად წერს:

„ხელ-ვყავ საქმესა, ძნელსა რასმესა, უგუნურობით, თვით სულელობით, ქებასა გრძელსა, საქმესა ძნელსა, ვერ ვუძღე, ვიქმენ ენა-ბრგვნილობით, შესხმა-მკობანი, მუსიკობანი, ვუწყო, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით, მაგრა, ვით წვლილნი ქრისტეს მითვლილნი, მექმენ მადლობის
შემწირველობით“(107).

ამ შემთხვევაში ხოტბის ავტორი ზედმიწევნით მიჰყვება და იმეორებს ჩახრუხადის „თამარიანის“ ჰიპერბოლას:

„მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა! დიონისითგან, ვინ ენოსითგან სრულნი ქებანი ამძღეთ ძლიერსა! სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა; უმბროს, პლატონ სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიხვდენ შესატყვიერსა. არისტოტელო, ბრძენთა ტომელო, თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა, ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა: ვერავინ სრულ-ჰყოს მას მეცნიერსა. გულისხმის-ყოფად, გონება ყოფად მისთანისათვის მაძებნიერსა; ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე, ანუ ვის ძალ-უძს შენგან მიერსა?

ხელ-ვჰყოფ კადრებად, ქებად დარებად მჭვრეტთა ვაუწყო გონებიერსა...“
(1-3.1).

რა თქმა უნდა, თამარი თამარია, მაგრამ არჩილზეც შეიძლებოდა ამგვარი ჰიპერბოლის გამოყენება? როგორცა ჩანს, შესაძლებელი ყოფილა! მოვუსმინოთ პეტრე მგალობელს, ამავე საკითხზე რას ამბობს არჩილის შესახებ:

„ამის ქება მე არ ძალმიც, ვინ რიტორი არს ენითა, მოვედინ და მან შეამკუენ, სნეული მყონ არ სენითა, შემოქმედსა თაყუანისცეს, თქუას: ვინ ესე არს ენითა; მეოხ ექმენ ბრძოლის ჟამსა, წმიდათ გამო არსენითა“.

გივი თუმანიშვილის შეფასებით, არჩილი თამარის, დაეით აღ-
 მაშენებლისა და ვახტანგ გორგასლის ღირსეული მემკვიდრე და თანა-
 სწორი გვირგვინოსანია. ზემოთ დამოწმებული მის მიერ შედგენილი
 არჩილის პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობაში ის წერს: „...ლამ-
 ქართ მაცადუნემ, მოციქულთა ჰასუსის მიმკეპელმან, შემცოდეთ მწერ-
 თნელმან და შემნდობელმან, მეძღვნეთა ჯეოროვნად მიმკეპელმან... უხემან
 მოწყალემან და ტკიბლმან მდინარემან, დ ი დ ი ს თ ა მ ა რ მ ე -
 ფ ი ს ა გ ა ნ ე უ ა ვ ი ლ ა დ ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ უ ლ მ ა ნ
 და თ ვ ი თ მ ე ტ ო მ ი ს ა და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ -
 ლ ი ს და ვ ა ხ ტ ა ნ გ გ უ რ გ ა ს ლ ა ნ ი ს მ ი მ ს -
 გ ა ვ ს ე ბ უ ლ მ ა ნ, ღ (ე) თ ი ს მ ი ე რ ც ხ ე ბ უ ლ -
 მ ა ნ, მ ე ფ ე მ ა ნ მ ე ფ ე თ ა მ ა რ და ს ე ლ მ წ ი -
 ფ ე მ ა ნ, ჰ ა ტ რ ო ნ მ ა ნ ა რ ჩ ი ლ, ოდეს ინება წიგნთა
 ამათ ლექსად შემკობა და შემზადა კეთილ-სიტყუად... მიბრძანა კარდა-
 წერა ჩვენ, ...წერთა უნდოს თუმანიშვილს, თვით მისჯანვე აღზრდილის
 მდივნის ზურაბიშვილს, მდივანს გივის, და აღვასრულეთ ბრძანება
 ჰატრონისა“¹¹.

არჩილის ამგვარი შეფასება მას გადაჭარბებულ კი არა, „შე-
 სატყვისად“, შესაფერისად მიაჩნია. წინ ის ვახტანგ მეხუთისა და
 არჩილისათვის ღმერთს შესთხოვს: „ნუცა წარმეკუთების ვოვლთა
 საჯოთა სასოება და ვიაჯი ქვეუნიერთა ამათ, შენ ძლით დამეარებულთა და
 დამტყიცებულთ, მეფეთა შესხმასა ქებისასა და მომეც შეწვესა, რათა შენ
 ძლით შე ე ვ ა მ კ ო შე ს ა ტ უ უ ი ს ა დ მ ა თ და“ (გვ. 542).

ვახტანგ მეხუთისადმი მირთმეულ 1675 წლის 8 თებერვლის
 ერთგულების წიგნში ჯვარის მამას, ნიკოლოზ წულუკიძეს, არჩილის
 საქებრად სიტყვები არ ჰყოფნის. აი, ისიც: „ესე ფიცი და ჰირი და
 საერთგულო სიტყუა გკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ (...), ხელმწიფესა
 ჰატრონს შაჰნაოზს და კელმწიფესა ეოვლად საქებლად, სადიდებლად ენა,
 კონება მიუწდომელსა მესა თქვენსა ჰატრონსა არჩილსა და...“¹².

დასასრულ, ნიმუშად მოვიხმოთ არჩილ მეფის კიდევ ერთი
 მკობარი.

XVII საუკუნის ვიღაც უცნობ კალმოსანს ჩახრუხადის „თამა-
 რიანისათვის“ რამდენიმე სტროფი დაურთავს¹³. ეს არის A 1605 ნუსხა,

¹¹ S ფონდის აღწერილობა, I, 1960, გვ. 543-544.

¹² ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და
 საძიებლები დაურთო პროფ. ი. ო. ლ. ი. ძე მ. თბ., 1970, გვ. 577.

¹³ ი. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ძე მ. თბ., 1970, გვ. 32-33.

რომელიც გადაწერილი უნდა იყოს XVIII საუკუნის დასაწყისში და შეიცავს თეიმურაზ პირველის პოეტურ თხზულებებსა და ჩაზრუხადის „თამარიანს“. პირველ სამ სტროფში მოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები ჩაზრუხადისა და მისი ნაწარმოების შესახებ, რომლის ბოლო სტროფია:

„აქა დასრულდა „თამარიანი“, ვინ აქეს პირველ, მსგავსად ეს არი,
მონა ჰყვა ასი, ბევრჯელ ათასი, თქვეს: «სურნელობსო», მისი ეს არი;
დაბდაბ-ნობითა, ტახტთა მკობითა იყო, თუ იცნობ, სიტყვა ეს არი;
სრულად მონებდენ, მოსაწონებდენ, ტყუილად მითქვამს, მემცა ეს არი“.

ამას მოსდევს არჩილ მეფის საქებარი ხუთი სტროფი. ი.ლო-ლაშვილი ამ სტროფების შესახებ წერს: იგი „წარმოადგენს ნაწვევტს უცნობი სახოტბო ლექსისას, რომელიც შეიძლება ასე დასათარღეს: «ქება არჩილ მეფისა». ეს მეორე ნაწილი ფრაგმენტია და ამჟერად მისი მოცულობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. შინაარსობრივი ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ უცნობი სახოტბო ლექსის ქების ობიექტია ჰოეტი არჩილ მეფე... შეიდი სტროფის (№1,3-8) ავტორია XVII საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი ჰოეტი-გადამწერი, რომელსაც არჩილ მეფის დაკვეთით გადაუწერია «თამარიანი» (A 1605 ხელნაწერის დედანი), მის დასასრულს დაურთავეს ცნობები ოდების („თამარიანის“ - ბ. დ.) ავტორის შესახებ და დამკვეთი პირის (არჩილის - ბ. დ.) ჰატივსაცემად - სახოტბო შინაარსის ლექსი. ჩვეულებრივ ამას მოჰყვებოდა გადამწერის ანდერძი, მაგრამ ხელნაწერის დეფექტურობის გამო დაკარგულია არა მარტო ანდერძი, არამედ «ქებანის» სტროფებიც (ე. ი. არჩილის საქებარი ხუთი სტროფის გაგრძელება - ბ. დ.). ეს ჰოეტი-გადამწერი არჩილ მეფის კარის მოლექსე უნდა უოფილიყო. იგი ლექსების წერაში მაინცდამაინც გაწაფული არ უოფილა...” (გვ. 33-34).

ახლა მოვუსმინოთ ამ უცნობ მელექსეს, როგორ გვიხატავს არჩილს, როგორც ხელმწიფესა და მხედარს, ბრწყინვალე გარეგნობისა და ფიზიკური ძალის და სხვა მრავალგვარი სიკეთის მქონე, ყოველმხრივ შეუდარებელ პიროვნებას:

„ვაქით ხელმწიფე მხნე და მხედარი, ვის შეუძკია ალმას-ისარი;
მისებრი სადა გენახოს სადა? ბრძენთაც იუბნეს: „ალმას ის არი!“
ტახტი უნათობს, ქვეყანა მნათობს, თავსა ადგია ალმასის არი,
სახელობს დიდად, მტრის დასამშვიდად ხელთა უჭირავს ალმას-ისარი.

ანათობს მზებრივ, სხუად ანებრივ, შუქნი ჰკრთებიან მანდა ლალურად; სჯობს სხვათ მეფეთა, ტახტთა მსწრეფეთა, ამაღ გახადა მან დალალურად, ყოველთა მეტობს, გულ-ტკბილად მჭკვერეტობს, სულს ავაჭრებს მანდა ლალურად, ეხვევის ჯარი, იგ მონაჯარი, მათ მღერა მოუც მანდა ლალურად.

ტანად გავ საროს, სიმშვენით კმაროს, რადგან შვენება აქვს მარგალიტს რა? ედემის მორჩსა, სამოთხის ნორჩსა, სიტკბოთა ეუქო მარგალიტის რა? ტახტოსნობს ხანი, მოურთავს ხანი, მითხარ: «უძრახო მარგალიტის რა?» ფილასოფოსთა, სიტყვითა მყოფთა, დიდად უსხენეს მარგალიტის რა?

ეხვევის ერი, მოყმე და ბერი, ყოვლი სულდგმული მიეფეროსა, არჩილ მეფესა, ლხინთა მკრეფესა, გული ელვარედ დაეფეროსა; მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი, მისებრ ყოფილა სხვა მეფე როსა? უნათობს არე, ზის, ვითა მთვარე, კედელ-ყურენი უღგა ფეროსა.

უღგანან ყრმანი, მრავალფერ-გვარნი, თვალსა ფასობენ, ღურნა ჯაბანობს; მრავლად ლალს იცმენ, თავს გარდაიცმენ, მათთან არა ჩანს ღურნა, ჯაბანობს, უკადრსა ლალსა, ედემის ბაღსა ბულბულნი ხმობენ, ღურნაჯა ბანობს; უჭირავს ვარდი, არ განავარდი, მისის ნამითა ღურნაჯა ბანობს“.

განა ჩვენს „აბდულ-მესიანზე“ ნაკლები საქებარი სიტყვიბია აქ გამოყენებული?!

ეს ლექსი სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. როგორც ი. ლოლაშვილი შენიშნავს, იგი ე. წ. „აბდულ-მესიანის“ „დიდ გავლენას განიცდის“. კერძოდ, გამოთქმები „ტანად გავს საროს“, „არჩილ მეფესა, ლხინთა მკრეფესა... მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი“ და სხვა პერიფრაზია საძიებელი ხოტბის სტრიქონებისა:

„არჩილ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკედავთ წყაროსა, ცის სამყაროსა, სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად საროსა“ (11).

ი. ლოლაშვილი განაგრძობს: „როგორც ჩანს, ჰოეტ-გადამწერს (ამ უცნობ მეხოტბეს - ბ. დ.) ხელთ ჰქონია იაკობ შემოქმედელის გადაკეთებული ე. წ. «აბდულ-მესიანი»... და ამ ჰლაგიატური თხზულების მიბაძვით შეუთხზავს თავისი სახოტბო ლექსი: «ქება არჩილ მეფისა»“ (გვ. 34).

აღნიშნული სახოტბო სტროფები კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ეს „აბდულ-მესიანი“ იაკობ შემოქმედელის კალამს ეკუთვნის. ის ფაქტი, რომ ეს სადავო თხზულება ამ უცნობ მწიგნობარს, მეტი რომ არ ვთქვათ, არჩილს აგონებს, ახსენებს და მისი მიბაძვით მის ქებას აწერინებს, ერთის

მაჩვენებელია: მან იცის, იგი (ე. წ. „აბდულ-მესიანი“) არჩილისადმი მიძღვნილი, მისი საქებარი ლექსია. გარდა ამისა, მას არათუ ეხამუშება თავისი თანამედროვე მეფის აქ ასახული შესხმა, პირიქით, მოსწონს და ცდილობს, მსგავსი თვითონაც გამოთქვას!

ამრიგად, ძველი ქართული სახატო პოეზია, საისტორიო თხზულებანი და თვით არჩილისადმი მიძღვნილი საქებარი ლექსები დასტურია იმისა, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ქების ობიექტი თავისუფლად შეიძლება იყოს და ნამდვილადაც გახლავთ მეფე-პოეტი არჩილ მეორე.

4. ქრისტიანობისათვის თავდადებულთა ქება და მოწინააღმდეგეთა გმობა

ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საძიებელ ხოტბაში გამოკვეთილი არ არის არჩილის ინდივიდუალური სახე, ესა თუ ის მხარე, - სამეფოს, ოჯახის, გარემოს, ყოფა-ცხოვრების რომელიმე კონკრეტული ისტორიული სინამდვილე. თვით არჩილი ნაწარმოებში მხოლოდ ოთხჯერ არის დასახელებული და ისიც ნაწარმოების პირველ ნახევარში. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ საძიებელი ხოტბა, გარდა ფორმისა, შინაარსითაც ჩახრუხადის „თამარიანის“ მიბაძვა. არჩილს „თამარიანი“ არა მარტო თამარ მეფის, არამედ, საზოგადოდ, მეფეთა საქებელ ნაწარმოებად მიაჩნია. ამიტომაც, ის ამ სახატო თხზულების გავლენით, მიბაძვით წერს ვრცელ ნაწარმოებს - „მეფეთა საქებელსა და სამხილებელს“, სადაც, დაწყებული უძველესი დროიდან, დამთავრებული თავისი ძმით, გიორგი მეთერთმეტით, შექმნილი არიან მეფენი. ჩანს, მამუკა ბარათაშვილი ამგვარივე თვალსაზრისით უდგება ჩახრუხადის „თამარიანსა“ და ჩვენს საკვლევ ხოტბას, ე. წ. „აბდულ-მესიანს“, რომელთა მიბაძვით ის ქმნის ამავე ტიპის შესხმას „ქება მეფის ბაქარისა“¹⁴, სადაც საგანგებო ადგილი ეთმობა პეტრე პირველის ქებას და ბიბლიურ ამბებს. დაუკვირდეთ მამუკას სიტყვებს:

¹⁴ ამ უკანასკნელის ე. წ. „აბდულ-მესიანთან“ მსგავსებაზე მიუთითებდა ალ. ბარამიძე (ნარკვევები..., I, გვ. 134; II, გვ. 459).

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში (1966 წ.) გ. მიქაძე მამუკა ბარათაშვილის შესახებ წერს: „ბაქარ მეფის ქებაში“ პოეტი ადგილ-ადგილ იმეორებს «აბდულმესიანის» პოეტურ ხერხებს და საშუალებებს. მიუხედავად ამისა, მამუკას დასახელებული ლექსი უცილობლად ორიგინალურია. «ბაქარ მეფის ქებით» მამუკა ბარათაშვილმა ალაღვინა ძველი საკარო პოეზიის ტრადიცია და

„ვებაძე ვის მე, რა ყურად ვისმე, ვისგანმე მკობად სწორად სწორებით, ბრძენსა მას ორსა, თვით სცნობდეთ სწორსა, თუ ერთმანერთთან

განაშორებით,
მეც მათებრ მივის სვე, არა მჩივის, სიხარულ სოფლად მოვლად, მორებით,
მადლობს და აქებს, თვით მყოფობს აქებს, სოფელსა ნათლად მიცან
მორებით.

იაკობ მბაძეს და ჩაზრუხაძეს ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწეხად –
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ დაერჩი ბაქარის მე მონა მქებად,
ხვედრი სიბრძნისა, მე მისის მგრძნისა მაკლებს ნაწილი ძალთანა მღებად,
ზრო ბაქარისა, ზრობა ქარისა ჩემთვის გულისა სახმილთა დებად.

ძველთა მეფეთა, ძლიერთა, მხნეთა, პირად-პირადთა სიყვარულებად
განსწეალეს მართლად, გვინათებს სანთლად, წინარე გვიძეეს არ

ნაკლულებად,
უხმეს მაჯამა, დიდ ჰყოს გარჯამა სახელი მისი, ვინცა ცვილებად,
სიბრძნითა ჰნათობს, არ შუქით სათობს, მართალსა ხმობად, არა ცილებად“
(14-16).

როგორცა ვხედავთ, მამუკა თავად გვაუწყებს, რომ თავისი თხზულების შექმნისას ის ხელმძღვანელობს, ბაძეს ჩაზრუხაძის „თამარიანსა“ და იაკობის „არჩილის ქებას“, ანუ ჩვენს „აბდულ-მესიანს“. გარდა იმისა, რომ ზოგადად ლაპარაკობს „ძველთა მეფეთა“-ს შესახებ, რომლებიც „ძლიერი, მხნე“, „სიბრძნით მანათობელი“ არიან და „გვინათებენ სანთლად“, იგი ხოტბაში ბაქარით არ იფარგლება, მას ფართო ფონით წარმოგვიდგენს, სადაც ძველ ბერძენ სწავლულებს და ბიბლიურ პერსონაჟებს დიდი ადგილი უჭირავთ. როგორც ვთქვით, საგანგებო სტროფები ეთმობა პეტრე პირველს.

ზუსტად ამგვარივე აგებულებისაა ჩვენი საკვლევი ხოტბაც. ავტორი პერსონაჟის დიდებით წარმოდგენისათვის, ნიმუშად, სამაგალითოდ იმოწმებს შესაბამის ეპიზოდებს წარსულიდან, მეფეთა ცხოვრებიდან, მეტადრე ბიბლიიდან, რომლებიც თავისთავად მეფეთა სადიდებელია, იშვიათად სამხილებელიც. ასეთია სტროფი ვამეყის შესახებ:

პირველმა გამოიყენა ახალი ქართული ოღა“ (გვ. 537. დაყოფა ავტორისა).

მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ და არჩილის „მეფეთა საქებლნი და სამხილებლნი“ (შეთხზულია 1709 წელს) „თამარიანის“ მიბაძვით შექმნილი თხზულებანია, აღნიშნული პირველობა მამუკა ბარათაშვილის ნაცვლად იაკობ შემოქმედელსა და არჩილზე ინაცვლებს, თუმცა აქ რამდენადმე თიმიურაზ პირველის პრიორიტეტზეც შეიძლება საუბარი.

„ეხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა, რომ იავარ-ყო იამან ქვეყნით, აღმოფხვრა სული - ძე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით? ვნახეთ ა სერი, მაზედა სერი - მხეცნი, მფრინველნი უწყყლად მისეენით! ექმნა უწყყლოდ, თვით ქმნა უძალოდ მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით“ (32).

თუ აქ ვამეყი ძლევამოსილი პიროვნებაა, მეფე მოაბადი, პირიქით, ვისის მიერ ძალადაკარგული და გაუბედურებულია.

ამგვარი ხასიათისაა სპარსეთის მეფის ხოსრო მეორისა და ბიზანტიის კეისრის ერეკლეს განხენება. ამ ხოსროს, რომელმაც დაიპყრო იერუსალიმი და გაიტაცა ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი იყო გაკრული. ეს დანაშაული ერეკლემ სასტიკად აზღვევინა:

„ვიტყვი ზვასროსა, იმა ზვასროსა, ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა, პირველ მყოფისა მის მეუფისა სპარსეთად ძელის წამყვანებელსა!“ (38.1-2).

ხოტბის ავტორს ამის განხენება იმისთვის სჭირდება, რომ გვითხრას: თავისი გმირი ღვთის ყველა მგომბელს ამგვარადვე უსწორდება:

„სთქუთ-და ესეცა: მსგავსად ესეცა უღმრთოთა შეიქმნ თვით-ოტებულსა“ (38.3).

მაგრამ თავისთავად აღნიშნული ამბავი მეფეთა საქებელი და სამხილებელია.

პოეტს თხზულების მეორე ნახევარში მოჰყავს სასულიერო შინაარსის ცალკეული ეპიზოდები, რომლებიც თავისი გმირის დასახატავად ფონს ქმნის და თითოეული მათგანი სულიერების, ქრისტიანობის მაღიღებელი და განმამტკიცებელია. ასეთია ანდიბან მოგვის ამბავი:

„ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბორგემან მისნობით ზელ-ყო ზაკით
ზღაპრობა;
ემმაკს ევედრა, სული შეპვედრა, მით ექმნა სრულად მათთან საგრობა.
თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა,
ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად დაევით გიწოდა თვისად
მკვიდრობად“ (79).

მომდევნო სტროფი განყენებულ ამბავს გადმოგვცემს, იმდენად განყენებულს, რომ არც ჩანს, რა კავშირშია ის საქებარ გმირთან¹⁵:

¹⁵ ისიც უნდა ეთქვას, რომ ეს სტროფი შინაარსობრივად საკმაოდ ბუნდოვანია. ზოგიერთი სიტყვა ძველ ხელნაწერებში სხვანაირად იკითხება. ამ წაკითხვათაგან ზოგი კონიექტურაა.

„დაწერა ქვითა და წერაქვითა, ანდამატისა ცვილ-მყოფელითა:
«მხნელ ასაკისა, პავასაკ ის-ა წმიდათა თანა მომრეწველითა».
ტყორცა ისრისა მიკვირს, სისრისა მერკვირისაებრ უსჯულთ ვლენითა,
სარკინოხთ ერთა სხეულთ აერთა ოროლი მორფსა შიგან წევნითა“.

ჩანს პოეტისათვის ამჯერად მთავარია, შეაქოს არა კონკრეტულად რომელიმე გმირი, არამედ, საზოგადოდ, ვინც ებრძვის და ამარცხებს უსჯულოებს, სარკინოზებს.

ოგივე ვითარებაა შემდეგ სტროფებშიაც:

მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა, ბილწად საქიქელ-საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა-წმიდებით, ჩუკნა-ლირწებით სჯულთა მპყრობელსა,
თვით მეზღაპრესა, ცულ ფელამბრესა, ღმრთისა არ მართლად მქადაგებელსა
ეც მოსეს ხითა, არ მოსესხითა, მას ღმრთისა მიერ საძაგებელსა.

თქვის სიტყვა მჭევრი, ართუ ღუხჭირი, მოსაქცეველ ყვნის წარმართთა
ერნი,
მათ სატუხელნი, ძნელ-საწუხელნი, სჯულნი შეუქმნის თავისა მტერნი,
მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა, აღიდებლიან ყრმანი და ბერნი,
მისთვის უგბილად, განსალიგებლად შეიქმნეს მდელრად სხვანი ძლიერნი“
(82-83).

ავტორი სახელდებით ერთხელაც არც აქ ამბობს, ვინაა ის, ვისაც მიემართება მოქმედება: „ეც“, „თქვის“, „ყვნის“, „მისცის“, „შეიქმს“ და სხვა.

განყენებული შინაარსისაა შემდეგი სტროფებიც, სადაც მწვა-ლებელთა ამბავია გადმოცემული:

„შიდ წვალებითა, შეცვალებითა იყვნეს ძველთაგან შობის დღის მზემელნი
სადუკველნი, ფარიხეველნი, მცნებასა სჯულსა არ-კმა-მყოფელნი,
წერილთ მოპოვნნი, თვისით მომგონნი, სხვანი ღლითი-ღლე ნათლის-
მლებელნი,
ნაზარეველნი, ხუთ-ოსინელნი მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

მაკედონოს, დრკუ საბელიოს შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმიდასა.
მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით გარდმოტანასა ხორცთა მისთასა,
სამუსატელსა და მომფსვეტელსა პირს დაუყოფდა წვალებათასა.
სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი, ღმერთთა არ ღირს-ყენა
უფლებათასა (84-85).

მწერალი ნათლად არ გვეუბნება, ვინ არის ეს „მისგან“. მომდევნო სტროფშიაც საქები გმირი კვლავ ნაცვალსახელებით არის მოხსენიებული: „მან“ (86.4), „მისი“ (87.2).

მთელი რიგი სტროფებისა (89-94), რომლებიც ი. ლოლაშვილის გამოცემაში ცალკე, XI თავად, არის გამოყოფილი, კვლავ განყენებულ ბიბლიურ ამბებს გადმოგვცემს, დაწყებულს „შესაქმიდან“, აპოკალიფსით დამთავრებულს:

„თქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან: «ექმნეთ კაცი ზატად და მსგავსად ჩვენდა».
ღმერთმან ღმერთთამან ძველმან ღღეთამან, ვით თანასწორად სულსა აკლენდა,
არვისგან არსმან, თვით დამაარსმან, სამებით სრულმან თვით იმოქმედა,
ნამდვილ ღმრთაებით საბოთებით ნიეთ-შექსულობით წარმოადგენდა“ (89).

ამას მოსდევს ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევების ამბავი:

„მისცა ყოველი; არ უყო ველი, თვით მის მიერვე დამონოდეს, უბრძანა ხისა კეთილ-სახისა დაცვად ნაყოფი, ჭამად არ ოდეს, უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან: თუ ჭამდეს, თვალნი აეხილვოდეს, ურჩ-ექმნეს ღმერთსა, უსმინეს მტერსა: მათ მზე წყვილიადად შეეცვალოდეს“ (90).

შემდეგ შვიდი ენის არსებობასა და ნებროთის მიერ გოდოლის აშენებაზეა საუბარი:

„როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი, საზრახველ იყო სულთა ყოველთა - ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა, მაშინ-ლა ნებროთ ჭკვით სამისებროთ გოდოლი ხელ-ყო შენებად ველთა, თვით გარდმოიჭრა, სული გაიჭრა, სატანჯველთ მიჰხვდა სასტიკთა, მწველთა“ (91).

მომდევნო ორი სტროფი ქრისტეს არ ცნობას, მის ტანჯვასა და ცად ამაღლებას ეხება:

„მცხინვარებითა ღმრთაებისითა ფერი იცვალა თაბორს ღიდებით: ელია მოსით ნათელ-შემოსით იახლნეს, სხვაც-ა სიმტკიცის კლდებით, ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს, ვითარცა შეჰგავს მონათ რიდებით, ხმა ზეგარდამო, მყის ყოვლად ამო, მამისგან ესმა ძელ საწოდებით.

ერთ აღიფრტვინეს, თვით დაიდრტვინეს. უმაღლოდ ექმნეს ქველის-
მოქმედსა,

აღბორგნეს ჯერკვლად, აღშფოთნეს ჯერ კვლად, კიცხვით ბასრობდეს მას
შემოქმედსა,
ვინ იბანს სელსა, მე ვგონებ ხელსა! ღმრთის სისხლსა წყლითა ვინ
განიწმენდსა?
სულისა საღსრად დასული სახსრად ღვაწლს ადასრულებს წინასწარედსა“
(92-93).

დასასრულ. მეორედ მოსვლისა და განკითხვის ამბავია გადმო-
ცემული:

„როს მესმა მესით, თვით მესამე სით, დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა,
ოხრვიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი, ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა
შემწველთა,
მსწრაფლად-და სტვირი ძნელ-დასაყვირი წარმოდგენდეს სულთა ყოველთა,
მაშინ გაღხინოს, თვით მიგაველინოს თქვენ უოხჭნოთა მათ საშეებლთა“ (94).

ყველაფერი ეს ავტორს იმისთვის სჭირდება, რომ ბოლოს
გვითხრას: თავის გმირს „ქრისტეს სასძლოს“ „სძლობა“ გარანტირებული
აქვსო (94.4-95). მწერალი ამ გმირის სახელს არც აქ ასახელებს და მას
ნაცვალსახელებით („შენთვის“, „თქვენთვის“, „შენდა“) წარმოგვიდგენს.

ავტორის მიზანი რომ მართო ამ უკანასკნელის თქმა ყოფილიყო,
მას თავისუფლად შეეძლო იგი ერთი (95-ე) სტროფით გამოეხატა და
წინა ამბებს არ შეხებოდა. მაგრამ ამჟამად, პოეტს დიდად აინტერესებს
და იქითკენ მიიღტვის, წარსულიდან, რაც შეიძლება, ფართოდ
ამოკრიფოს და მკითხველს მიაწოდოს ჭკუის სასწავლი, სულის
მარგებელი, საგმირო, ამამალღებელი ამბები. ჩანს, ასეთები მას მეფეთა
ცხოვრებაში, უმთავრესად, ბიბლიაში ეგულება და იქ პოულობს.

დანარჩენი სტროფები (96-107) უშუალოდ თავისი გმირის, მეფის,
ქებას შეიცავს, სადაც ბიბლიური სახეები ხშირადაა გამოყენებული.
აქაც ეს საქები პერსონაჟი ან საზოგადო სახელითაა ნახსენები („გმირო,
ქველო“ (96.3), მეფევ (97.1; 100.1), ანდა ნაცვალსახელით - „შენ“ (97.1;
98.1), „შენთვის“ (98.1), „თქვენგან“ (99.1), „თქვენებრ“ (98.2), „თქვენ-
თვის“ (101.1), „თქვენდა“ (102.4), „თქვენისა“ (104.3), „თქვენი“ (105.1),
„თქვენის“ (106.1), „თქვენ“ (107.3).

ყოველივე ზემოაღნიშნული, მათ შორის, „თამარიანის“ არჩილი-
სული გაგება, რასაც მამუკა ბარათაშვილიც ეხმიანება, ვფიქრობთ,
იმის მაჩვენებელია, რომ ე.წ. „აბდულ-მესიანი“ მეფე-პოეტის არჩილ
მეორისადმი მიძღვნილი, მისი საქებარი ნაწარმოებია. მაგრამ. ამასთან
ერთად, ის არის, საზოგადოდ, მეფის, მეფეთა და აგრეთვე ქრის-
ტიანობის სადიდებელი თხზულებაც.

VI. კლასიკური და მომდევნო ხანის მწერლობასთან მიმართება

(შავთელიდან თეიმურაზ პირველამდე)

საკვლევი თხზულება ძველი ქართული მწერლობის მრავალ ძეგლთან ამჟღავნებს სიახლოვეს. ზოგან აშკარად ჩანს, მეხოტბე პოეტს რომელი მათგანით უსარგებლია. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი ეს მხარე არ არის. ავტორობისა და დაწერის დროის განსაზღვრის მიზნით გვაინტერესებს პირუკუ მოვლენები - განუცდია თუ არა ადრინდელ თხზულებებს მისი ზემოქმედება?

სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია მთელი რიგი კლასიკური და მომდევნო ხანის ძეგლებისა, რომლებზედაც თითქოს საძიებელი თხზულების გავლენა ჩანდეს. ვნახოთ, რამდენად საფუძვლიანია ეს.

1. ი თ ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი ს „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. თუ ჩვენი განსახილველი ნაწარმოები იმ იოანე შავთელს ეკუთვნის, რომელიც არის ავტორი ჰიმნოგრაფიული თხზულებისა „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, მაშინ მოსალოდნელია ამ ორ პოეტურ ქმნილებას შორის ნიშანდობლივი მსგავსება არსებობდეს.

ე. მეტრეველის ვარაუდით, საკვლევი თხზულება, ისე როგორც „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, დაწერილია ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად. მეკვლევარი ამგვარ დასკვნამდე მიჰყავს იმ წინააღმდეგობებსა თუ შეუსაბამობებს, რომლებიც ახლავს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მიმართ გამოთქმულ შეხედულებებს - ხოტბის ობიექტად როგორც დავით აღმაშენებლის, ისე დავით სოსლანის მიჩნევას, აგრეთვე ძველ ცნობებს შავთელის შესახებ.

„ხოტბის გვირგი დავითი - წერს იგი, - ისეთი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეადა გამოუვანილი, დიდების ისეთი შარავანდითაა შემკობილი ავტორის მიერ, რომ თითქოს დავით აღმაშენებლის გარდა აქ სხვა ვინმეს ვარაუდი მნელა“¹.

ე. მეტრეველი მიუთითებს სხვებისა თუ მის მიერ წამოყენებულ იმ მიზეზებზე, რომელთა მიხედვით, დავით აღმაშენებელი არ შეიძლება ქების საგანი იყოს. არსებული თეორიის თანახმად, მაშინ რჩება მეორე დავითი, სოსლანი, მაგრამ

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 95.

ამგვარ გაგებასაც თავისი უხერხულობა ახლავს: „მეორე მხრივ, - თვითონვე შენიშნავს მეკლევარი, - თუ ეს თამარისა და დავით სოსლანის ქებაა, ამ შემთხვევაშიაც მოულოდნელია ის გაკლიერებული ეურადღება, რომელსაც ავტორი უთმობს დავითს, მოსალოდნელი იყო ჰირიქითა მოვლენა, როგორც ამას ვხედავთ «თამარიანში», სადაც ხოტბის მთავარი გმირი თამარია, მაგრამ დავით სოსლანსაც და გიორგი ლაშასაც ხოტბაში მიჩნეული აქვს საპატიო ადგილი“ (იქვე).

მეცნიერს საკითხი ასე ესახება: „ამ შეუსაბამობას შეიძლება დაეკებნოს ახსნა, «თამარიანი» და «აბდულმესიანი» ორივე თამარის დროის ბეგლია, ორივე თამარის შესხმას წარმოადგენს, მაგრამ ჰირველ შემთხვევაში... ქების მთავარი გმირია თამარი, ხოლო დავით სოსლანი და გიორგი ლაშა ოდამი შექებულნი არიან როგორც თამარის ღირსეული ძეგულე და მემკვიდრე... სულ სხვა ვითარებაა «აბდულმესიანში». აქ მგოსნის ეურადღების სიმძიმე გადატანილია დავით მეფის ჰიროვნებაზე. მის ძლევა მოსილ ბრძოლაზე მუსლიმანთა წინააღმდეგ, მის ჰირად საბრძოლო თვისებებზე, ფიზიკურ შესაძლებლობებზე...“ (გვ. 95-96).

მეკლევარი მიიჩნევს, რომ „ქების ხერხემალია მუსლიმანთა წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ომი, სადაც განსაკუთრებით უსახელებია თავი დავით სოსლანს. ასეთ ბრძოლას კი ადგილი ჰქონდა 1206 წელს², როდესაც ბასიანთან დავითისა და მხარგრძელთა მხედართმთავრობით ქართველთა ჯარმა აოტა რუქნადინის მრავალთასიანი ჯარი“ (გვ. 96).

აქედან გამომდინარე, ე. მეტრეველი წერს: „ჩვენის ფიქრით, ე. წ. «აბდულ-მესიანი» რუქნადინზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწერილი ხოტბაა“ (იქვე).

მეორე ადგილას: „იოანე შავთელმა, რომელიც ამ ბრძოლის დროს თამარს არ მოშორებია, ქართველთა ჯარის ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად დაწერა, ერთი მხრით, სამადლობელო -

² ბასიანის ომს ზოგი ათარილებს 1201 წლით, ზოგი კიდევ - 1202, 1203, 1204, 1205 და 1206 წლებით (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, ტომის რედაქტორები ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა, თბ., 1979, გვ. 331-332).

«გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი», ხოლო, მეორე მხრით, ამ ბრძოლის გმირი დავით სოსლანის ქება“ (გვ. 97).

ამ თვალსაზრისის შემუშავებისას ე. მეტრეველის ერთი ძირითადი საყრდენი არის მატეიანის ცნობა, რომ ბასიანის „ბრძოლის დაწყებამდე თამარი მივიდა ვარძიას და ვარძიის ღვთისმშობელს «შვედრა სოსლანი დავით და სპა მისი, და დროშა მისი სვიანი, და ბედნიერად მეოფი გავზაუნა ვარძიით», ხოლო თვითონ თამარი გაემგზავრა ოძრსეს. მას თან ახლდნენ იოანე შავთული, ფილოსოფოსი, რიტორი და ლექსთა გამომთქმელი და ევლოგი სალოსი“ (გვ. 96-97).

მკვლევარისათვის უმნიშვნელოვანესი საფუძველია აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრად არსებული შეხედულება, რომ იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“ დაწერილია ბასიანის ომში ხსენებული ხატის მიერ გაწეული დახმარების სამადლობლოდ.

ე. მეტრეველი აღნიშნული თვალთახედვით განიხილავს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ 26-34-ე სტროფებს და ცდილობს მათში ბასიანის ომის გამოძახილი ამოიკითხოს (გვ. 98-101).

ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია. ალ. ბარამიძე წერს: „ე. მეტრეველის მოსაზრება ჩვენ გვეჩვენება ფრიად მნიშვნელოვან და დიდად ანგარიშგასაწევ ჰიპოთეზად“³. რ. სირაძე ე. მეტრეველის ნაშრომის შესახებ აღნიშნავს: „უკვე წარმოჩენილია, თუ რაოდენ მრავალმხრივად ჩანს «აბდულმესიანში» ბასიანის ომი“⁴. უფრო ადრე ამ თვალსაზრისს იმეორებდა ი. ლოლაშვილი და ახალი მასალების მოხმობით ცდილობდა მის დასაბუთებას⁵. კერძოდ, ცდილობს ახსნას, თუ ღიმანი/ღიმონას აღება (სტროფი 33), ანუ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, თხზულებაში რატომ იხსენიება ბასიანის ომის ამსახველი სტროფების (29-32) შემდეგ (გვ. 110-113). პოეტი - წერს მკვლევარი, - „ჯერ მოგვითხრობს ბასიანის ომის ეპიზოდს, შემდეგ ღიმონას დაპურობის ამბავს. თუ შავთულს დაუუჯერებთ, ქართველებს ბასიანის ომი რომ მოუთავებიათ, მერე

³ ნარკვევები, VI, გვ. 129.

⁴ რ. ს ი რ ა ძ ე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 104.

რ. სირაძეს ეთანხმება ნესტან სულავე (იხ. მ ი ს ი, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003, გვ. 130-133).

⁵ ძველი ქართული მეხოტბენი, II, გვ. 79-86.

აღ. ბარამიძეს ესენი მოჰყავს იმის ნიმუშებად, რომ აღნიშნული თხზულებანი ერთი ავტორის ქმნილებებია. „საგულისხმო ისაა, — წერს მეცნიერი. — რომ იოანე შავთული თავისი, ასე ვთქვათ, ვიწრო ხეცადადობით უოფილა მეხოტბე ჰოეტი. ჩვენამდის მოღწეულია იოანე შავთულის მიერ შეთხზული «ქება ვარძიის ღვთისმშობლისა», უკანასკნელი სასულიერო ჰიმნოგრაფიის უადასე დაწერილი იამბიკია, მაგრამ მაინც შეამღება იმისი ერთგვარი ტექსტური სიასლოვის დაღსტურება «აბღელ-ქესიანთან»“ (იქვე, გვ. 150).

დამოწმებული ხაზგასმული სიტყვები და გამოთქმები იმდენად გავრცელებული და ჩვეულებრივია ძველ ქართულ მწერლობაში, რომ ყოველად გაუმართლებელია, ისინი ნიშანდობლივ მსგავსებად მივინიოთ. მაგალითად, სიტყვა „ენაბრგენილობა“ ძველად უოკელთვის მეტყველების აქტიურ ფონდს განეუთენებოდა და იგი ხშირად იმგვარ კონტექსტში გეხედება და ისედაცე თსოუნა-მედარას გადმოგეცემს, რაც ამ ორ თხზულებაში ვეკეს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ შესავალიში ვეოსხელობთ: „როქელმან წლისა მოაბდნი რიტორთა მსლე ჰეე ეუეღოა: ენა-უტეკ მეტეუელ ჰეე ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწღ ეანმარტე ენა-ბრგენილი ისტორიათა და აზმათა მეტეულებას შინა შარავანდედთასა“⁶.

თეიმურაზ პირველი თავის გაღექსილ „იოსებ-ზილიხანისში“ აბტობთ:

„არ დაადო მათი საქმე, რაც გულს მქონდეს მიღებული, ვარტორა, რაც ძალმედგას. ენა ბრგენილად კიდებული“ (144. 1-2).

ნინოწმინდის მთავარეპისკოპოზის იოსებ ვანანაძის შეწირულობის სიგელში, რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისს განეუთენება, წერია: „უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მომცეს მე გულის სიბრძნე ცნობიერი და ენა წესიერად მეტეულებისა, რათა არა მხელსაყალ ეოს გზა სღვისა ჩვენისა, რამეთუ ჯერეთ მაეენებს მე ჯგენსოება კონებასა ჩემისა და არა მიტეეებს ბრგენილ ენა-მძიეება მეტეულება, რასაც იგი წადიერ ვარ“⁷. და მრავალი სხეა⁸.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საბეჭდო დავუროთ ი. დოლიძე, თბ., 1970, გვ. 654.

⁸ ი. ლილაშვილი ამგვარ უხე მასალას იმოწმებს ჰიმნოგრაფიიდან. იხ. მისი ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 104-105

ტრაპიზონი) დაპყრობის ამბავი და ამ ორი ისტორიული გამარჯვებით საქართველოში შექმნილი სასაქონლო განწყობილება. ოდის შინაარსობრივი ანალიზი, მისი შეპირისპირება თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობასთან და ავრეთეე ის, რომ იოანე შავთელი სწორედ ამ ბრძოლის დროს თამარის მუდმივი მსლბეულია ვარძიასა და ოპრევი, გვაფიქრებინებს, რომ შავთელმა ბასიანის ომში (აქ მარტო ბასიანია ნახსენები - ბ. დ.) ქართველთა ისტორიულ გამარჯვებას მიუძღვნა, როგორც «აბდულმესიანი», ასევე «გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი» (გვ. 449).

მაშასადამე, თუ „კიდე-ლიმონა“-ში ლიმანის აღება იგულისხმება, რაც ბასიანის ომის შემდეგ მოხდა, ე. წ. „აბდულმესიანი“ ბასიანის ომისადმი მიძღვნილ, მის აღსანიშნავად დაწერილ ნაწარმოებად აღარ გამოდის.

ესეც რომ არ იყოს, ტექსტშიაც ბასიანის ომის აღმნიშვნელი ერთი რაიმე კონკრეტული ნიშანი არ ჩანს. არ არის მართალი, თითქოს „შესხმაში“ ბასიანის ომი „მრავალმხრივად“ ჩანდეს. ამის დამადასტურებლად ჩვენ ახლა არ შეეუდგებით იმ ნიმუშების განხილვას, რომლებიც ე. მეტრეველსა და ი. ლოლაშვილს თავიანთი ვარაუდის დასამტკიცებლად მოჰყავთ, საკმარისია, დავიმოწმოთ თვით ე. მეტრეველის აღიარება: „ფაქტობრივად აქ (ე. წ. «აბდულ-მესიანიში») - ბ. დ.) დიფერენცირებული არ არის თამარის დროის ბრძოლები, ეოველ შემთხვევაში, რაიმე ნიშანდობლივი მითითება ამა თუ იმ ბრძოლაზე ქებაში არ გვხვდება“ (გვ. 96).

ე. მეტრეველი განიხილავს იმ სტროფებს, სადაც თითქოს ბასიანის ბრძოლების გამოძახილი გამოსტყვივის და ასეთ შენიშვნას ურთავს: „შეიძლება მოეჯანოლ ბატალურ სცენებში ასეთივე წარმატებით ვივარაუდოთ დავით სოსლანის გალაშქრება აბუბქრის წინააღმდეგ, სადაც დავით სოსლანმა არა ნაკლებ ისახულა თავი, მით უმეტეს, რომ შაჰქორის ლაშქრობა დამთავრდა განმაში გამართული დიდი ზეიმითა და დარბაზობით, მაგრამ თუ ჩვენ მაინც ბასიანის ომზე ვჩერდებით, იმიტომ, რომ სწორედ ბასიანის ომის მანძილზე ჩანს იოანე შავთელი თამარის მსლბელად და მგონად. თამართან ერთად იგი სწორედ ამ ბრძოლის უშუალო მეთვალყურეა“ (გვ. 100).

დასკვნაში ნათქვამია: „ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ზოტბაში არც ბასიანია ნახსენები და არც რუქნადინი, ოდის შინაარსობრივი ანალიზი, მისი შეპირისპირება თამარის შემატყინის ცნო-

ნარჩენ შექმნეველებში, ისე როგორც ზემოთ აღ. ბარამიძისეულ ნიშნებში, ჩვეულებრივ სიტყვათა დამთხვევებია. მათ შორის არსებული სავართო აზარი, ვთქვათ, უღმრთოთა დევნა ან „აგარის ცომთან“ თუ „ერთან“ დამოკიდებულება, ზოგადი ქრისტიანული შეხედულებანაა, რაიმე სპეციფიკით არ გამოირჩევა და დასმული საკითხის გადასაწყვეტად არ გამოდგება.

იგივე უნდა ითქვას ამ ორი თხზულების მთლიან ტექსტებზე. მათი უნობრივი ქსოვილი, სტილი რაიმე ნიშანდობლივ მსგავსებას არ ამჟღავნებს. ყველაზე მეტი საერთო, რაც მათ შორის შეიმჩნევა, ეს არის ზენა ძალისადმი ავტორის თხოვნა - შემწყობა მისცეს მას დასმული მიზნის, ანუ სახოტბო თხზულების, ღირსეულად სრულყოფისათვის. „გალობაში“ იგი ზემოთ დასაწებული პირველი სიტყვებია:

„ზეციით მომხადლე ენასა ბრტულ მეტყველსა სიტყვად სიბრძნისა,
დედოფალო!“

ე. წ. „აბაღუნდ-მესიანიც“ ამგვარი თხოვნით იწყებს:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა
შემკობად!“

თუ პირველ შექმნეველაში მწერალი ღვთისმშობელს მიმართავს და ღვთის წინაშე მას სთხოვს შუამდგომლობას, მეორეში თხოვნა უშუალოდ ღმერთს მიემართება. მაგრამ ეს განსხვავება არ არის მთავარი. ჩვენი თვალსაზრისისათვის გადაწყვეტი ისაა, რომ ძველად ნაწარმოებთა შესავალში ღვთისადმი ასეთი თხოვნა ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომელიც ხშირად უშუალოდ ფსალმუნს ეხმიანებოდა. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

ფსალმუნთ:

„უფადო, ბაგენი ჩემნი აღახუნენ, და პირი ჩემი იტყოდის
ქებულებასა შენსა“ (50. 17).

იოანე ანჩელი, „გალობანი ანჩისხატისანი“:

„სიბრძნეო მამისაო, დაუსაბამო და მიზეზო კეთილისაო,
ღმერთო, ღმრთისაო სიტყუაო, ქრისტე, მომხადლე მე სიტყვად,
მადიდებელსა ხატსა განკაცებისა შენისასა!“

⁵ ამ საკითხზე იხ.: ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ე. ლ. ი., ძველი ქართველი მენოტები, II, გვ. 102-105.

თისმშობლისანი“ ბასიანის ომის გამოძახილია (ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობას სხვა დროს ვაპირებთ).

რა თქმა უნდა, ერთი და იმავე ავტორის სხვადასხვა პოეტურ ქმნილებას ნაკლები, მაგრამ გარკვეული, ხელშესახები ენობრივი მსგავსება იმ შემთხვევაშიაც ექნება, როცა ისინი სხვადასხვა დროს არიან შეთხზული.

საძიებელი ოდისა და „გალობანის“ ურთიერთმიმართება საგანგებო კვლევის საგნად არვის გაუხდია, მაგრამ დამთხვევაზე კი მიუთითებენ. ალ. ბარამიძეს ამგვარი სამი მაგალითი მოჰყავს (ნარკვევები, I, გვ. 150):

ა) ე. წ. „აბდულ-მესიანის“ თავმდაბალი ავტორი რამდენიმეჯერ თავის ენაბრგვნილობას (ენაჩლუნგობას, ბლუობას) აღნიშნავს:

„აღვიძრა ბაგენი, ბრგვნილად მაგენი გულისხმა-ყოფით შესხმად ქებისა“
(20. 1).

„თუცა ვიტყოდი, უწყი: ვიტყოდი, ენამცა ბრგვნილად დამეუბდოსა“
(96. 1).

„ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა, ვერ უძლევ, ვიქმენ
ენა-ბრგვნილობით“ (107. 2).

„გალობანის“ შესავალში ეს სიტყვა განსხვავებული სახით იკითხება:

„ზეცით მოჰმადლე ენასა ბრგვლ მეტყუელსა სიტყუად სიბრძნისად,
დედოფალო!“

ბ) ე. წ. „აბდულ-მესიანში“ წერია:

„ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი აღიდებდიან შეებით და ხლდომით“
(10. 2).

„გალობანში“ გვაქვს:

„აჰა გნატრის შენ ყოველი თესლები და ტომნი კაცთანი, რომელთათვის
გიკმობენ შენ“.

გ) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„ძირით მისისა იესისისა შვილი მართალი იშვა ცხოვრებად “ (16. 1).

„გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“:

„იესეს ძირი ნანდვილვე აღყუავილნა, დავითის ფიცმან მიიღო
აღსასრული“.

აღ. ბარამიძეს ესენი მოჰყავს იმის ნიმუშებად, რომ აღნიშნული თხზულებანი ერთი ავტორის ქმნილებებია. „საგულისხმო ისაა, — წერს მეცნიერი. — რომ იოანე შავთელი თავისი, ასე ვთქვათ, ვიწრო სპეციალობით უოფილა მესობტბე ჰოეტი. ჩვენამდის მოღწეულია იოანე შავთელის მიერ შეთხზული «ქება ვარძიის ღვთისმშობლისა», უკანასკნელი სასულიერო ჰიმნოგრაფიის უაღრეს დაწერილი იამბიკოა, მაგრამ მაინც შეიძლება იმისი ერთგვარი ტექსტური სიახლოვის დასტურება «აბღულ-მესიანთან»“ (იქვე, გვ. 150).

დამოწმებული ხაზგასმული სიტყვები და გამოთქმები იმდენად გავრცელებული და ჩვეულებრივია ძველ ქართულ მწერლობაში, რომ ყოველად გაუმართლებელია, ისინი ნიშანდობლივ მსგავსებად მივიჩნიოთ. მაგალითად, სიტყვა „ენაბრგენილობა“ ძველად ყოველთვის მეტყველების აქტიურ ფონდს განეკუთვნებოდა და იგი ხშირად იმგვარ კონტექსტში გვხვდება და ისეთსავე თხოვნა-მუდარას გადმოგვცემს, რაც ამ ორ თხზულებაში გვაქვს. „ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანის“ შესავალში ვკითხულობთ: „რომელმან წლისა მოაბადნი რიტორთა მძლე ჰეჲ ეოველთა, ენა-უტუკ მტრეულ ჰეჲ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგუნელი ისტორიათა და აზმათა მტრეულბესა შინა შარავენდეთანსა“⁶.

თეიმურაზ პირველი თავის გაღეჟსილ „იოსებ-ზილიხანიანში“ ამბობს:

„არ დაადო მათი საქმე, რაც გულს მქონდეს მიდებული, ვარითრო, რაც ძალმედვას, ენა ბრგენილად კიდებული“ (144. 1-2).

ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსის იოსებ ვაჩნაძის შეწირულობის სიგელში, რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება, წერია: „უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მომცეს მე გულის სიბრძნე ცნობიერი და ენა წესიერად მტრეულბებისა, რათა არა მხელსავალ იეოს გზა სღვისა ჩვენისა, რამეთუ ჟურთ მათენებს მე უგუნურება გონებისა ჩემისა და არა მიტევეს ბრგვილ ენა-მძიმება მტრეულბებად, რასაც იგი წადიერ ვარ“⁷. და მრავალი სხვა⁸.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 654.

⁸ ი. ლოლაშვილი ამგვარ უხვ მასალას იმოწმებს ჰიმნოგრაფიიდან. იხ. მისი ძველი ქართველი მესობტბენი, II, გვ. 104-105

ამგვარივე ხასიათისაა ის მაგალითებიც, რომლებიც რ. სირაძეს მოჰყავს. ეყრდნობა რა იმ თვალსაზრისს, თითქოს ორივე ხოტბა ბასიანის ომის გამომახილია, მკვლევარი წერს: „სწორედ ეს ისტორიული მოვლენაა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ამ ორი ნაწარმოების ურთიერთმსგავსებისა“ (გვ. 104). მსგავსების აღსანიშნავად კი დამოწმებულია:

ა) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„სთქუთ-ლა ესეცა: „მსგავსად ესეცა უღმრთოთა შვიქნს თვით-ოტებულსა“ (38. 1, 3).

„გალობანი“:

„გჭუნა უცხოდ ედემისა გზა-ყოფად ლალისა მის მდოერისა, ოტებულთა შენ მიერ, ქალწულო, ზესთა კურთხეულო!“

ბ) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„ძირით მისისა იესისისა შვილი მართალი იშვა ცხოვრებად... სეტად რჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად“ (16. 1, 3).

„გალობანი“:

„ქალდეველთა მათ სპარსთა და სომეხთასა, აგარის ტომთა ლეგეონი მოშთვის წყლითა ოხათა შენთაჲთა, დიდებულო“.

გ) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„დავითისადა, დავით ისიდა, ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა: ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“ (5. 1-2).

„გალობანი“:

„იესეს ძირი ნანდვილვე აღუჟაილნა, დავითის ფიცმან მიიღო აღსასრული, აღთქუმიდ მამათაჲ ძედ მისდა იცნეს ყოველთა «ოსანნა ძესა დავითისა»“ მემობელთა, ღამე მსთუად განმანათლებელ ექმენინ ბნელსა“.

ამ მაგალითებიდან გარკვეული ორგანული კავშირი ერთ-მანეთთან მხოლოდ ბოლო ტექსტებს აქვთ და ისიც იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ და რ. სირაძეც აღნიშნავს, მათ მოეპოვებათ საერთო წყარო - ბიბლია (იქვე, გვ. 104). და-

ნარჩენ შემთხვევებში, ისე როგორც ზემორე ალ. ბარამიძისეულ ნიმუშებში, ჩვეულებრივ სიტყვათა დამთხვევებია. მათ შორის არსებული საერთო აზრი, ვთქვათ, უღმრთოთა დევნა ან „აგარის ტომთან“ თუ „ერთან“ დამოკიდებულება, ზოგადი ქრისტიანული შეხედულებანია, რაიმე სპეციფიკით არ გამოირჩევა და დასმული საკითხის გადასაწყვეტად არ გამოდგება.

იგივე უნდა ითქვას ამ ორი თხზულების მთლიან ტექსტებზე. მათი ენობრივი ქსოვილი, სტილი რაიმე ნიშანდობლივ მსგავსებას არ ამჟღავნებს. ყველაზე მეტი საერთო, რაც მათ შორის შეიმჩნევა, ეს არის ზენა ძალისადმი ავტორის თხოვნა - შემწეობა მისცეს მას დასმული მიზნის, ანუ სახოტბო თხზულების, ღირსეულად სრულყოფისათვის. „გალობაში“ იგი ზემოთ დამოწმებული პირველი სიტყვებია:

„ზეცით მოჰმადლე ენასა ბრგუდ მეტყველსა სიტყვად სიბრძნისად,
დელოფალო!“

ე. წ. „აბდულ-მესიანიც“ ამგვარი თხოვნით იწყებს:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა
შემკობად!“

თუ პირველ შემთხვევაში მწერალი ღვთისმშობელს მიმართავს და ღვთის წინაშე მას სთხოვს შუამდგომლობას, მეორეში თხოვნა უშუალოდ ღმერთს მიემართება. მაგრამ ეს განსხვავება არ არის მთავარი. ჩვენი თვალსაზრისისათვის გადაწყვეტი ისაა, რომ ძველად ნაწარმოებთა შესავალში ღვთისადმი ასეთი თხოვნა ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომელიც ხშირად უშუალოდ ფსალმუნს ეხმიანებოდა. დაეიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს⁹:

ფსალმუნი:

„უფალო, ბაგენი ჩემნი ალახუნ, და პირი ჩემი იტყოდის
ქებულებასა შენსა“ (50. 17).

იოანე ანჩელი, „გალობანი ანჩისხატისანი“:

„სიბრძნეო მამისაო, დაუსაბამო და მიზეზო კეთილისაო,
ღმერთო, ღმრთისაო სიტყუაო, ქრისტე, მომმადლე მე სიტყვად,
მადიდებელსა ხატსა განაკაცებისა შენისასა!“

⁹ ამ საკითხზე იხ.: ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ე. ი. ლ. ი., ძველი ქართველი მესობები, II, გვ. 102-105.

ნიკოლოზ გულაბერისძე, „გალობანი სვეტიცისა ცხოველი-სანი“:

„აღაღე პირი ჩემი და აღივსენ იგი მადლითა, რათა აღმოვთქუა სიტყუად, სიტყუაო მამისაო, მხოლოდ შობი-ლო, ჯეროვანი და ღირსი, შესხმად საყდრისა შენისა და სუეტიცისა ცხოველისა!“

არსენ ბულმაისიმისძე, „გალობად წმიდისა მოციქულისა ნინოძის“:

„ქრისტე, აღახუნე ძნობად ბაგენი ჩემნი ქალწულისა დედისა მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოა შესხმად...“

მისივე, „გალობანი წმიდისა შიოძისნი“:

„აღაღე პირი ჩემი, ღმრთისად სიტყაო, რათა აღმოვსთქუად შესხმა შემსგავსებული საკრეველისა შიოძისი...“ და სხვა.

და განა თვით იაკობ შემოქმედელი თავის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ შესავალში არ სთხოვს ღმერთს? -

„ქება მწადს შენი, უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნ!“ (3. 4).

ამრიგად: 1. არ ჩანს, ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ბასიანის ომ-ში ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად იყოს შეთხზული. 2. ამ ნაწარმოებსა და შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრ-თისმშობლისანს“ შორის არ მოიპოვება რაიმე ისეთი ნიშანი, ისინი რომ ერთი ავტორის ქმნილებად იქნენ მიჩნეული.

2. „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“. სულ სხვაგვარია ის ტექსტობრივი მსგავსება, რომელიც საძიებელ თხზულებასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის არსებობს. იგი აშკარად ერთი მათ-განის მეორეზე გავლენის შედეგია. სამეცნიერო ლიტერატუ-რაში ეს დამთხვევები აღრიცხული აქვთ მ. ჯანაშვილს¹⁰, ნ. მარს¹¹, კ. კეკელიძეს¹² და ი. ლოლაშვილს (კომენტარებში). მათ ერთხმად მიაჩნიათ, რომ პირველადი „აბდულ-მესიანია“ და შოთა რუსთველი მის გავლენას განიცდის. ამ თვალსაზრისს

¹⁰ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯა-ნიანი, ტფ., 1895, გვ. 25-26; იხ. აგრეთვე „აბდულ-მესიანის“ მისეული გამოცემის განმარტებანი.

¹¹ TP, IV, გვ. 14-15.

¹² ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 148-149.

ეთანხმებიან სხვებიც. იუსტ. აბულაძე აღნიშნავს: რუსთაველი „სესხულობს და შეაქვს თავის ჰოემაში ესა თუ ის ადგილი თითქმის ეველა XII საუკუნის ცნობილ საერო ნაწარმოებიდან: ...შავთელის სოტიბიდან - მთელი სტროფები“¹³.

„სპეციალურ ლიტერატურაში გამოჩვეულია, - წერს პ. ინგოროყვა, - რომ შავთელს გავლენა მოუხდენია რუსთაველზე. შოთას ჰოემაში ჩვენ რამდენსაძე ადგილას გვხვდება რემინისცენციები შავთელის „აბდულ-მესიანის“ სტროფებისა“¹⁴.

პ. კეკელიძე წერს: ვეფხისტყაოსნის ავტორი „იგნობს... აგრეთვე ლირიკულ თხზულებებს, როგორცაა «თამარიანი» და «ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა»“ (გვ. 146). „თამარიანის“ მიმოხილვის შემდეგ აგრძელებს: „უეოპანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი პოეტი (ე. ი. შოთა რუსთაველი - ბ. დ.) ზედმიწევნით იგნობს აგრეთვე იმ მწერალსაც, რომელსაც ჩვენ ჩახრუსამის სახელით ვიცნობთ. ეგევე უნდა ვთქვათ აგრეთვე იმ თხზულებაზე, რომელსაც აბდულმესიას ეპასიან და რომელიც არის «ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა». ორსავე თხზულებაში ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე საზიარო ადგილები“ (გვ. 147).

ეს ადგილებია:

ა) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ.
აქეს მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარედ...“ (21. 1-2).

„ვეფხისტყაოსანი“¹⁵:

„მიბრძანა. თუ: «ხამს დიაცი დიაცურად, საქმე დედლად...

რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწვევებლად.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“

(545/542).

¹³ იუსტინე ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მ ე გ რ ე ლ ი ძ ე მ, თბ., 1967, გვ. 197.

¹⁴ პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი პავლე ი ნ გ თ რ ო ყ ვ ა ს რედაქციით, ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, I, თბ., 1970, გვ. 45.

¹⁵ ეიმოწმებთ, ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ე-რიანტებიანი გამოცემების მიხედვით (თბ., 1966).

ი. ლოლაშვილი წერს: „საფიქრებელია, ამის გავლენით შექმნა რუსთველმა ცნობილი თქმა: «ქმნა მართლისა...»“ (გვ. 180).

ბ) იშვიათი გამოთქმაა და ერთი მეორის გავლენა უთუოდ ჩანს ამ მაგალითშიაც: ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„აბჯარ-კრმალითა, ვეფხეებრ მკრჩხალითა მეს ექმნა მტერთა ცით
მოსალოდნი.
მიჰხედეს სიბრმესა, დაკედეს სიღრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა
ლოდნი“ (34, 1-2).

„ვეფხისტყაოსანი“:

„ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევეთა ვეფხებრ მკრჩხალითა.
მას ხელთა კეტი რკინისა ჰქონდა ხელითა ცალითა,
ნავისა თავსა გულითა წადგა შიშ-შეუვალითა,
ვითა მჭერეტელნი ჭერეტითა, მტერნი დახოცნა ხრმალითა“ (1041).

გ) ე. წ. „აბდულ-მესიანი“:

„ხარკე ისარი! ხარ კეისარი, სიმდიდრით ღალი ჯიმშედ-მფლობელი.
მოსიმახოსა მოს იმახოსა მახვილი, თქვენთა მტერთა მწყობელი;
ჯილაც ისეფქვე, მოსრევით ისე ფქვე, ბრჭალი ჰქმენ მათზედ
მეოტ-მპყრობელი.
პეირ მამენდ მეხი აყად რა ჰმეხი, ორგულთა ექმნენ დასამკობელი“ (35).

აღნიშნული რითმები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“:

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი:
ექესი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ღომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“ (313-311).

როგორც ი. ლოლაშვილი მიუთითებს, იგივე რითმები გამოვლილია „ხვარაზმელთა ამბავში“:

„გრძლად აყად გახდა ტარიელ სენთაგან, მორჭმით მპყრობელი,
დიდი პინდოთა ხელმწიფე, მეფეთა ზედა მფლობელი,
ოთხ წელ წვა ზედა ლოგინთა მრავალთა სენთა მშობელი,
ველარა ვნახეთ მხეცთა სრვით და ვერცა რაზმთა მწყობელი“ (1875).

რა თქმა უნდა, აქ კიდევ უფრო უკეთ ჩანს, ეს უკანასკნელი უშუალოდ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოდის.

დ) „აბდულ-მესიანი“:

„გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა უკდების პყრობა სკიპტრისა კელსა. ჯამი დილისა მოწმენდილისა განბრწყინებულ-პყოფს წყვიდადსა ბნელსა“ (41. 1-2).

„ეფუხისტყაოსანი“:

„შევიდეს, ნახეს თინათინ, მჭერეტთა მიმცემი ჭირისა; სკიპტროსან-გვირგვინოსანსა შშვენოდა ცმა პორფირისა“. (1539/1540)

ე) „აბდულ-მესიანი“:

„ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი მათგან დანათვალთა; რიყე თვალისა სწორ-ნათალისა, წყალნი მგზებარობს შიგან ალითა, ჩანს მარგალიტი, - ართუა ლიტი! - ოდენ ბურთისა საბურთალითა. აქეს ზარდაკშანი, მას ბადახშანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა“ (43).

მ. ჯანაშვილი შენიშნავდა: „ამასვე იმეორებს რუსთაველი“ (გვ. 46). ი. ლოლაშვილი წერს: „ამის მიხედვითაა შეთხზული «ეფუხისტაოსნის» 1366-ე სტროფი“ (გვ. 206). საუბარია ამ ტექსტზე:

„პოვეს საჭურჭლე უსახო, კელა უნახავი თვალისა,
მუნ იდგა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა!

იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი,
პოვეს ერთი ზარდახანა¹⁶, აბჯრისათვის სახლად ქმნილი“.
(1366-1367. 1-2)

ვ) „აბდულ-მესიანი“:

„იაგუნდისა სხვა რა უნდისა? ლაღები იყვის ლალ-ფირუზისა,
იყვის ჭურჭელთა სხვა უცხო ფერთა სიმრავლით დება, თვით
ურიცხვისა,
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი ოქროსა მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, კმანი ებნისა და წინწილისა“ (44).

¹⁶ XVII საუკუნის რამდენიმე ხელნაწერში იკითხება: ზარდახანა E, ზადახშანი R.

მ. ჯანაშვილი: „ამასვე იმეორებს შოთა“ (გვ. 47). ი. ლოლაშვილი: „ამ სტროფის მიხედვითაა შეთხზული ვეფხისტაოსნის 1551, 1-2 ტაეპები“ (გვ. 207). აი, ეს ტექსტიც:

„იაგუნდისა ჯამები, იყვის ლალისა ჭიქები,
კელა უცხოფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.
მის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთაგან იქები,
მჭერეტელო, გულსა ეტყოდი: «ნუ აეხსნები, იქ ები!»

მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის ხმა წინწილისა,
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა;
მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა უამი დილისა“ (1550-1551).

ზ) „აბდულ-მესიანი“:

„მამის ძედ არის სამგზის ნეტარი, მეტრფე საქმეთა სახელისათა,
თვით ბჭეთა ბჭელი, მტკიცე ნაბეჭდი, მეწდე სიტყვათა
სიმართლისათა...“ (47. 2, 3).

„ვეფხისტყაოსანი“:

„თინათინ ზედა აწვიენა ტახტსა მეფეთა ზეთასა,
ტარიელ უთხრა: «შენ დაჯე, სწადიან ბრჭესა ბრჭეთასა» ...“
(1541/1542. 1-2).

შესაძლებელია, ამ გამოთქმებს შორის ორგანული კავშირი არც იყოს.

თ) „აბდულ-მესიანი“:

„გეცა სრა სრულებით, საესედ სრულებით - თვალ გოვარებით, ოქროს
მილღებით“ (65. 2).

„ვეფხისტყაოსანი“:

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდა სრა მოკაზმული სრულითა,
სახელმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა“ (1010. 1-2).
„ადგა თვით დიდი ხელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა“ (1088. 3).

ი) „აბდულ-მესიანი“:

„სჭერეტდენ შეფრფინვით მნათობნი, ვინ ვით, ხვეჭით და
ნდომით, სულ-წასრულებით;

ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა: «რადგან დაებით, ბარე
სულ ებით!» (67. 1, 2).

„ვეფხისტყაოსანი“:

„შეფურფინედიან აეთანდილს გულითა სულ-წასრულითა“ (1010. 4).

„ზოგნი ნლომით შეფურფინედეც, ზოგნი იყენეს სულ-წასრულად“
(1075. 3).

„უხვი ახსნილთა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“ (50/49. 3).

კ) „აბღულ-მესიანი“:

„მართებს, რომ ცამცა ჰქონდეს მასცამცა სახლად სამყოფად
განჩინებული!“ (68. 4).

„ვეფხისტყაოსანი“:

„სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“ (687/685. 4).

იაკობ შემოქმედელის „უსჯულს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ვკითხულობთ:

„მოგცა სახლ-სამყოფ-სამკვიდროდ, ჩვენ შესულად გეაზატესა“
(227. 4).

ღ) ი. ლოლაშვილი მიუთითებს ასეთ მსგავსებაზეც: „აბღულ-მესიანი“:

„მისთვისეე ქმნილი, თვით განკუთვნილი, უფლადცა მხედი ნიეთთა
ყოელისა“ (71. 4).

„ვეფხისტყაოსანი“:

„იტყვის: «დმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა»“
(862/861. 1).

„თუ რაცა მკითხო, ძალი-მცა გიგმია არსთა მხედისა!“ (1141. 4).

აქ ორივეგან ზოგადი ქრისტიანული თვალსაზრისია ასახული და არა გეგონია, ერთი მეორის გაველენა იყოს.

მ) „აბღულ-მესიანი“:

„მზე დაუვალნი, მყის დაუვალნი, არს შეიდი მნათი მას ზედ მოწამედ.

წმიდად აქვს სული დასთა-დასული სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ“
(72. 3 - 4).

„ვეფხისტყაოსანი“:

„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიღნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყეებიან...“ (965/964. 1-3).
„სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“ (34/33. 2).

ნ) ნ. მარი და ი. ლოლაშვილი 73-ე სტროფის პირველ სტრიქონში - „მისგან ვითხოვო, არა თუ ვითხოვო, რათა სცეს სწავლა თბესა მცონარსა“ - მეორე „ვითხოვო“ სიტყვაში გამოყოფენ „თხა“ ფუძეს და მას ასე განმარტავენ: „თხად ვიქცე“, ანუ გადატანითი შინაარსით, *შევშინდე*. შესადაარებლად იმოწმებენ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს:

„იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ“ (599/596. 3).
„თავნი მათნი გაალომეს, მათი მბრძოლი იშველი-ითხეს“ (1423/1424. 4).

არის სხვაგვარი გაგებაც, მაგრამ ამჯერად ისინი ჩვენთვის საინტერესო არ არის.

აი, ეს არის ის საერთო ადგილები, რომლებსაც მკვლევარნი ზოგს გადაჭრითა და ზოგს მინიშნებით „ვეფხისტყაოსანზე“ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ზეგავლენის ნიმუშად ასახელებენ.

არის კი ეს სარწმუნო?

დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი სარწმუნო არაა. „ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებით, ხოტბაში ვერ დავასახელებთ რომელიმე მათგანს, პირველობის რაიმე ნიშანწყალი აჩნდეს. ერთადერთი საფუძველი არსებული შეხედულებისა ის არის, რომ შავთელი და „აბდულ-მესია“ რუსთველის პოემის ეპილოგშია მოხსენიებული, თუმცა დასახელებული მკვლევარები ამ სტროფს ფსევდო-რუსთველურად აღიარებენ. „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებული სტრიქონები თხზულებაში ბუნებრივად და ორგანულად სხედან და კონტექსტს ზედმიწევნით ესადაგებიან.

ნიმუშისათვის გავარჩევთ ერთ საზიარო გამოთქმას, სადაც გარკვევით ჩანს, ვის ეკუთვნის პირველობა.

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ფრიდონს წერილს უზახავნის:

„დაწერა: ფრიდონ მაღალო, სევ-სრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქმოიფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალაში დაიყეფეო!“ (1318).

როგორც ი. ლოლაშვილი მიუთითებს (გვ. 170), გამოთქმას „სისხლის მჩქეფე“, გარდა რუსთველისა, იყენებენ „აგრეთვე აღორძინების ხანის მწერლები (შაჰ-ნამე I, 225. ლეილაჯან., 100 და სხვა)“.

მამუკა თავაქარაშვილის გალექსილ „ზააქიანში“ რუსთველი-სეული გამოთქმა სრულად არის წარმოდგენილი:

„მალიად ტახტზედა დასხნა სიმამრმა სამი მეფენი,
თვალ-მარგალიტსა აყრიდეს, - აიესნეს მუნვე მკრეფენი!
ოქროსა სელი მოიღეს დიდი, მძიმე და სეფენი,
მაზედა საამ აწვიეს, - მტერთა სისხლისა მჩქეფენი“¹⁷.

ასევე, სრულად იყენებს ამ ფრაზას ონანა მდივანი მის მიერ დამუშავებულ „ქილილა და დამანაზე“ წამძღვარებულ ანდერძში:

„ჩვენზე გამოსცა ბრძანება დიდმან ქართველთა მეფემა,
მაღალმან, უხემან, მდაბალმან, მზეებრ შუქმოიფემა,
მოსამართლემ და მოწყალემ, მტერთა სისხლისა მჩქეფემა,
ამად შემართოს მონამან, შორით კებისა მყეფემა“¹⁸.

თეიმურაზ პირველის თხზულებებში ბოლო ორი სიტყვაა გამოყენებული. „ლეილ-მაჯნუნიანი“:

„ორ ღღე შეექცის, ნახვილის ველთა სისხლისა მჩქეფეთა“ (100. 2).

„იოსებ-ზილიხანიანი“:

„ჟოვლგნით შემოკრბეს მიჯნურნი ცრემლთა სისხლისა მჩქეფენი“
(28.3).

¹⁷ შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის, ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე ა ბ უ - ლ ა ძ ე მ, თბ., 1916, სტრ. 225.

¹⁸ დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს), I, თბილისი-ქუთაისი, 1958, გვ. 215.

ე. წ. „აბდულ-მესიანშიც“ რუსთველისეული გამოთქმა სრული სახით ორჯერ არის გამოყენებული. პირველად ის საქებარ გმირს (ძველი ნუსხებით - არჩილს, დავით რექტორის რედაქციით - თამარს, ხოლო პ. იოსელიანის, ნ. მარის, ს. კაკაბაძის და მ. ჯანაშვილის გამოცემებით - დავითს) მიემართება:

„არჩილს (თამარს, დავითს) მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკედეგ
წყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად
საროსა...“ (11. 1-2).

მეორეჯერ კი ის სომეხ მეფეებზეა ნათქვამი:

„მაკედონოს, დრკუ საბელიოს შეცდომით ჰგმობდეს სულსა წმიდასა, მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით გარდმოტანასა ხორცთა მისთასა, სამუსატელსა და მომფსევტელსა პირს დაუყოფდა წვალებათასა. სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი, ღმერთმა არ ღირს-ყენა უფლებათასა“ (85).

„მტერთა სისხლისა მჩქეფე“ საქებარი გამოთქმა და, თუ ის „ვეფხისტყაოსანში“ კონტექსტს კარგად და ზუსტად შეესაბამება, ე. წ. „აბდულ-მესიანში“ აშკარად უხერხულად უღერს. ამ უკანასკნელის მთელი სტროფი, თავიდან ბოლომდე, არჩილის გამოთქმა რომ ვიხმართ, „სამხილებელია“, ერეტიკოსთა გმობაა. ი. ლოლაშვილის განმარტებით, რომელიც უმეტესად გიორგი მონაზონის „ხრონოღრაფს“ ეყრდნობა, მაკედონოსი (კონსტანტინოპოლის პატრიარქი მესუმე-მეექვსე საუკუნეთა მიჯნაზე) უარყოფდა სული წმინდის ღვთაებრიობას, საბელიოსი (მესამე საუკუნის ლიბიელი ერეტიკოსი) - ღმერთის სამპროვინებას, სამუსატელი (მესამე საუკუნეში „ანტიოქიის დიდი საყდრის მპყრობელი“) - ლოგოსის კაცად განხორციელებას, თეოდორე მომფსევტელი („ქალაქისა მომფსევტელთაისა წინამძღუარი“ მეოთხე საუკუნეში) „ხრონოღრაფის“ სიტყვებით, „კაცად ერთად ჩვენებრად და საზოგადოდ უწოდდა წარმატებისა მიერ მიღებითა მადლისა ღმრთისასა ღმერთად სახელდებულსა მისსა იტოდა“, მანი მანიქეური სექტის მეთაურია, ხოლო სომეხი მეფეები და, საერთოდ, სომეხები, საყოველთაოდ ცნობილია, ქართველთა და სომეხთა რელიგიური „განყოფის“ შემდეგ ძველად ჩვენში ჩვეულადად უარყოფითად მოიხსენებიან. ასევეა ამ სტროფშიაც, ოღონდ სტრიქონის მეორე ნახევარში: „ღმერთმა არ ღირს-ყენა უფლებათასა“, რაც, ისევე ი. ლოლაშვილის განმარტება რომ

მოვიშველიოთ, ნიშნავს: სომეხთა მეფეები „ღმერთმა მბრძანებლობის ღირსი არ გახადა“. თუ მბრძანებლობა არ შეუძლია, მეფე რაღა მეფუა! ამ შეფასებას, ვიმეორებთ, არ ესადაგება არა მარტო წინ ნათქვამი - „მტერთ სისხლ-მჩქევენ“, არამედ მთელი სტროფი.

უფიქრობთ ცხადია, ამ „აბდულ-მესიანად“ მონათლული ხოტბის ავტორის, ანუ იაკობ შემოქმედელის, ცნობიერებაში თელემდა „ვეფხისტყაოსნის“ ეს საკმაოდ ორიგინალური სახე - „მტერთა სისხლისა მჩქევე“ და, როგორც კი რითმამ მოითხოვა, იგი ზედაპირზე ამოტივტივდა, სტრიქონს რითმის მიხედვით კარგად მოერგო, მაგრამ შინაარსობრივად უზადო არ აღმოჩნდა, თუმცა ეს ნაკლი მაინცადამაინც მყვირალა არ არის და ის მხოლოდ დაკვირვების შედეგად შეიმჩნევა.

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ლექსითი ვერსია ნათლად გვიჩვენებს, რომ იაკობ შემოქმედელი იმ მცირერიცხოვან საეკლესიო მოღვაწე მწერალთა წრეს ეკუთვნის, რომლებიც შოთა რუსთველს ღირსეულად აფასებენ და მისი სწორუპოვარი ქმნილებით დიდად შთაგონებულნი არიან.

ზემოთ, დასახელებული პოლემიკური თხზულების პროლოგის განხილვისას, ვაჩვენეთ, თუ იაკობი შოთა რუსთველსა და მის პოემას რა უმაღლეს შეფასებას აძლევს. ეს განსაკუთრებით საყურადღებო და აღსანიშნავია იმიტომაც, რომ მისმა წინამორბედმა და მომდევნო ხანის ზოგიერთმა, მათ შორის დიდად და მრავალმხრივ დამსახურებულმა, საეკლესიო მოღვაწემ შეზღუდული, კლერიკალური თვალთახედვით შეხედა გუნიოს პოეტს და ჯეროვნად ვერ დაინახა მისი ადგილი და როლი ქართველი ერის ცხოვრებაში. თუ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ჩანართი სტროფის უცნობი ავტორი მკითხველებს აშინებს, ეს ნაწარმოები „საეროა“ და „არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“-ო, ანტონ პირველის აზრით, შოთა რუსთველი „ამაოდ დაჰშურა“, ტიმოთე გაბაშვილის თქმით, იგი არის „ბოროტი მელექსე“, „მთქმელი ლექსთა ბოროტთა“, XIX საუკუნის მწიგნობრის, მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის, იეროდიაკონ (შემდეგ არქიმანდრიტი) ნიკოლას ხელაშვილის სიტყვით კი „ლექსთა მჩმახავ“¹⁹ - იაკობი ერთი

¹⁹ ც. კ ა ხ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, ნიკოლას იეროდიაკონის ვინაობისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 279-300. ვიორგი ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მწიგნობარ ხელაშვილთა საგვარეულო, კრებ.: მწიგნობარი - 2000, თბ., 2000, გთ. 112-116.

იმ პირველთაგანია, რომელმაც იოსებ თბილელის, იესე ტლაშაძისა და სხვა მღვდელმთავართა მსგავსად სწორად განჭვრიტა მისი სიღიადუ და არც ერთი კუთხით საექვოდ არ გაუხდია მისი ღირსებანი. არჩილი თავის „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასებაში“ რუსთველს ათქმევენებს - „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა“-ო, იაკობიც მას ქართული პოეზიის ყველაზე დიდ წარმომადგენლად, პოეზიის მეუფედ გვისახავს. ის, რასაც პროლოგში ამბობს, -

„რუსთველი ვთქვა თავს მელექსედ, მზედ კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ“ -

ტექსტშიაც მოკლედ და სხვა სიტყვებით იმასვე იმეორებს:

„გრძლად არ გეტყვი, საწყინოა, შოთამ - ლექსის პატრონისა“ (251. 4).

შოთა რუსთველისა და მისი ვეფხისტყაოსნის სწორად გაგებაში იაკობ შემოქმედელისათვის ხელი არ შეუშლია არც მის ოფიციალურ მდგომარეობას - დიდი სამწყსოს ეპისკოპოსობას, არც მწერლურ მიდრეკილებას - არჩილის თქმით, იგი „ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი“.

რუსთველისადმი დამოკიდებულებაში მართლდება იაკობის სიტყვები:

„ბრძენთ სიტყვას კარგად მოვისმენ, არ დავემობ, თვით მე შეუმკობ“ (9. 3).

იაკობ შემოქმედელი რუსთველის არა მარტო დამფასებელია, არამედ მისი ცხოველმყოფელი და უკვდავი ნააზრევით უხვად ნასაზრდოებიც. პოეტს სახელმძღვანელოდ გაუხდია საამაყო წინაპრის ყველა დროისათვის ურყევი პოეტური კრედი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“. იგი ჯერ ავტორის დაუსახელებლად წერს:

„მოკლედ ვეტყვი გრძელს სიტყვასა, არამც ქონდეს გამწარება“ (179.4).

პოეტს რომ მხედველობაში რუსთველის გამონათქვამი აქვს, სახელდებით ეს შემდეგ სტრიქონში ჩანს: „გრძლად არ ვეტყვი, საწყინოა, შოთამ - ლექსის პატრონისა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ზეგავლენა შეიმჩნევა შემდეგ სტრიქონებში:

„ვეფხისტყაოსანი“:

„არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა“ (903. 4).

იაკობ შემოქმედელი:

„აელის უყრელი საუნჯე არს ბელიერის ხაზინა“ (98. 4).

„მაგრამ წყაროს დაბეჭდილსა, საუნჯესა დაფარულსა,
თუ ვერ შეელით, რას ხელსა ვყრით სამოთხის კარს დაკრძალულსა“
(161. 3 - 4).

„ვეფხისტყაოსანი“:

„მას ღომსა ნახვა უხარის მის მზისა მეკამათისა // მოკამათისა“
(268. 4).

იაკობი:

„მარტივი, სამ მზედ მკლთოლვარე, სხივ ელვებრ მოკამათისა“ (268. 4).

„ვეფხისტყაოსანი“:

„თქვა: «ყვაევი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია,
მაგრამ მას ზედა ბულბულსა ჯერო ტკბილად არ უმღერია»“ (1090. 1-2).

„უმისოდ ნეხეთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვაევისა“ (1253. 4).

„თუ ყვაევი ვარდთა იშოვის, თაევი ბულბული ჰგონია“ (1254. 4).

იაკობი:

„ყვაეთ მიხეხვდით ვარდნი საყნოსლად, ბულბულათ მით არ
გვეყრობა“ (289. 1).

დასაშვებად მიგვანჩნია „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონის
„გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო სმენითა“-ს
(918/917) გავლენით იყოს შექმნილი იაკობის ანტითეზური
აზრის შემცველი სტრიქონი:

„გმო, ვინ გმო, რა გმო, როგორ გმო - ბოლოდ მოგითხრა სულისად“
(6. 4).

ასევე, „ვეფხისტყაოსნის ცნობილი აფორიზმის - „ეოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ (1094. 4) ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი შემდეგი მხატვრული სახეები:

„ღვთისმეტყველთა კაცთა პირით მარგალიტად წამოყრილნი“ (160. 3).
„ვრცელის ცნობით წარმოსცლიდნენ სიბრძნით ტენილ ტაკუკებსა“ (171. 4).

შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ რემინისცენცია იყოს შემდეგი სტრიქონიც: „ვეფხისტყაოსანი“:

„მოეხვევიან საჭვრეტლად, მას ზედა სტრფიალობდიან“ (976. 2).
„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, - ესე ბრძენთაგან თქმულია“ (1323. 4).
„შენ გტრფიალობენ მჭერეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან“ (1086. 1).

და სხვა²⁰.

იაკობი:

„მსგზავსნი მსგზავსთა ტრფიალობენ, ნათელს ფარავს ქეყნის მთხრელი“ (14. 4).

თუ იაკობ შემოქმედელი „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ გალექსვისას, როდესაც იგი დედნით იყო შეზღუდული, ნებსით თუ უნებლიეთ „ვეფხისტყაოსნის“ სახეებითა და გამოთქმებით სარგებლობს, რაღა გასაკვირია, უფრო თავისუფალი თემის დამუშავებისას იგივე გამეორებულიყო!

²⁰ ა. ხინთიბიძე პარალელს ავლებს შიდარიტმებით გაწყობილ შემდეგ სტრიქონებს შორის: „ვეფხისტყაოსანი“:

„აწ დავხოცენ მტერნი თ ქ ე ნ ი, გავასრულენ,
რაცა ე თ ქ ე ნ ი“ (1051. 3).

იაკობი:

„მიგზიდვიდენ მარცხნით ქ ა ც ა რ ს, ჩავაყრიდენ თვალში
ნ ა ც ა რ ს“ (241. 4).

(ა. ხინთიბიძე, იაკობ შემოქმედელი, 1986., გვ. 19).

ქვემოთ ვნახავთ, იაკობ შემოქმედელი ცეზურულ რითმებს საგანგებო ყურადღებას აქცევს, „ვეფხისტყაოსანში“ კი ამგვარ რითმებს თვალსაჩინო ადგილი არ უჭირავს. ამიტომ გვეჭვება, ამ შემთხვევაში იგი მისთვის შთამაგონებელი ყოფილიყო (შდრ.: ა. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან, თბ., 1969, გვ. 15-16).

ერთი სიტყვით, არ არის სწორი, თითქოს „ეეფხისტყაოსანზე“ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ გაელენა ჩანდეს. პირიქით კი არის.

3. „ისტორიანი და აზმანი შარა-ეანი დეთანი“. ამ თხზულებაზე საძიებელი „ხოტბის“ გაელენას ხედავს კ. კეკელიძე. მისი სიტყვებია: „გამოუყენებია ისტორიკოსს აგრეთვე ე. წ. აბდულმესიანიც“²¹. მკვლევარს მოჰყავს ხოტბის შემდეგი ადგილები (ჩვენ სტრიქონებს მთლიანად დავიმოწმებთ, მის მიერ წარმოდგენილ ტექსტს შავით აღვნიშნავთ):

„ბირთა მისისა იესისისა შეილი მართალი იშვა ცხოვრებად“ (16. 1).

„იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სიხრეკენ, რამლს ჰკრვენ, არჩვენ ბელთა მათაგან“ (17. 1).

„ლოელათ-სვიანად, სუფევს მზიანად შეილთა მნათობთა

გარმობლუღვითა, განათლდა არე მისით, ვით მთვარე, როს განხმულ იყვნეს ცანი კომითა. ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის! არს მიწყიე შეებით და

განცხრომითა“ (18. 1-2, 4).

თავისი სიტყვებით გადმოსცემს შემდეგ სტრიქონებს:

„ეთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა

მისთაგან?

ხედვენ მზერითა: «სწორავს მზე რითა?» - ფიცვენ: «მძრიდა თვისთა სხივთაგან» (17. 3-4).

პერიფრაზი კი ასეთია: „მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან იწვიან, მზე მას ვერ ედრება და ჰირს არიდებს“.

კ. კეკელიძე, ისე როგორც სხვებიც, „მართალ შეილში“ ლაშას გულისხმობს და დამოწმებულ სტროფებში ლაშას დაბადებით გამოწვეულ სიხარულსა და ზეიმს ხედავს.

აი, „ისტორიანი და აზმანი შარავეანდეთანის“ ის ტექსტი, რომელსაც კ. კეკელიძე ე. წ. „აბდულ-მესიანის“ გამოძახილად მიიჩნევს: „ისტორიკოსიც გადმოგვცემს, - წერს იგი, - რომ, როდესაც დაიბადა «ყრმა ახალი, ჰირველ საუკუნეთა განწესებული ძედ მეფისა, შვილად ცხებულად დავითიანად... იშვებდეს, იხარებდეს და იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწუთოდსასა... მნათობნი სცვიდეს

²¹ ეტიუდები, XVIII, გვ. 223.

მას და ენთეზოდა სული ზენისა სფეროდსა, და მეტბედი ბედსა ზედა და სუიანობა სუესა ზედა, მარჯუებანი უმეტესნი წარმეტებოდეს». მაშინ, სხვათა შორის, «იქმნა გალაშქრება... ბედსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა» (იქვე, გვ. 224). ავტორი იმოწმებს თავის გამოცემულ ტექსტს (გვ. 447-48, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით - გვ. 57-58). პირველი სამწერტილით გამოყოფილი სიტყვები („იშვებდეს... საწუროდსასა“) ზედა ტექსტიდან არის ამოღებული და ჩამოტანილი.

თუ სამართლიანად განვსჯით, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ არავითარი ტექსტობრივი გავლენა ან შინაარსობრივი ერთობა აქ არ ჩანს. ბავშვის გაჩენა ყველგან და ყველა დროს სიხარულს იწვევს და ამ ორ თხზულებაში მხოლოდ ამგვარი სიხარულია გამოთქმული, სხვა რამ საერთო კი, კერძოდ გამოხატვის თვალსაზრისით, ვიმეორებთ, მათ არ მოეპოვებათ.

4. „შ ა ჰ - ნ ა მ ე ს“ ქ ა რ თ უ ლ ი ე ე რ ს ი ე ბ ი. ხოტბის ორ სტროფში საქები გმირი შედარებულია „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟებთან:

„უთრუთ-საამით ზაალსა ამით განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა,
საღიმ და თური, ძლით უკეთური, როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ
რითა?“ (15. 3-4).
„მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყენის ცუდნი, კმა როსტომითა უმანე
ბალთათვის“ (31. 4).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ როსტომი და „შაჰ-ნამეს“ ზოგიერთი სხვა პერსონაჟის სახელი კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაში რამდენიმეჯერ გვხვდება²². „ვეფხისტყაოსანში“ აუთანდილზე ნათქვამია:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესითა“ (196/195. 3).

„ვეისრამიანის“ ქართულ თარგმანში, „როსტომი“ სამჯერ არის ნახსენები. ვისი ძიძას ეუბნება: „თუ რამინ სიგრძითა ნამუსა ჰგავს და ჭაბუკობითა როსტომს უფროა, მე არად მომიხდების“²³.

²² კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაზე „შაჰ-ნამეს“ სხვა გამოცხილიც შეიმჩნევა, მაგრამ ამჯერად ისინი ჩვენი კვლევისათვის ნაკლებ საინტერესოა.

²³ ა. გვახარიას და მ. თოდუას გამოცემა, 1962, გვ. 83. 34.

ვისი რამინზე ფიქრობს: „ნეტარ ვერ ვხსნავ ჩემთვის მოს-
რულსა ჭაბუკად როსტომის საბატონოსა?“ (გვ. 113. 28).

რამინის გახელმწიფებასთან დაკავშირებით ნათქვამია:
„რომელ დიდი და გუარინი კაცი იყო, როსტომისი ტომი, ტაბა-
რისტანი მას უბოძა, ბასთანელსა როჰამს. და რე ქალაქი ბეჰროზს
უბოძა...“ (გვ. 294. 17).

ხსენებული გამოცემის პირთა საძიებელში სამივე როსტო-
მი ერთსა და იმავე პირად, „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟად, არის და-
სახელებული. სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც მიუთითებენ,
რომ შესაბამის სპარსულ დედანში „როსტომი“ არ იკითხება.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ „როსტომთან“
ერთად ახსენებს გივის, ქაიხოსროს, სპანდიარს, სიანოსს. დავით
სოსლანი შედარებულია: „ანუ ვისმცა ქება მიხდომოდა დავითის
მოქმისა, ბეჰთარისა და თარხნისა მსგავსისა, ეფრემიანისა და დიდუ-
ბულთა ბუმბერაზთა და მოემეთა, მსგავსთა როსტომისთა და გი-
ვისთა“²⁴.

თხზულების დასაწყისში წერია: „და მამამან მითურთ მე
ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და მისა სწორად
მოსაედრედ კამოაჩინა - მზე მნათობთა შორის. აღექსანდრე და ქაი-
ხოსრო მშრობელთა შორის. აქილევე, სამბსონ და ნებროთ კმირთა
შორის. სპანდიარ, თამთა (როსტომის ეპითეტი) და ხიომ კოლიათთა
შორის...“ (გვ. 3. 14-16).

„...და თვთ მეფე აღექსანდრეს სუითა და ხიომის მოქეობითა
სდევდა მრავალეზის გამომცველელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა,
სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანამეწეოდეს“ (9.
10).

ქ. კეკელიძის ვარაუდით, აქვე უნდა იკითხებოდეს თამან-
გინის ხელმწიფის ასულის სახელი თუმიანი, რომლისგან როს-
ტომს ეყოლა ზურაბი, ჯიმშედ მეფის დები - შაჰრინოზ და
არნავაზ და აგრეთვე ამ უკანასკნელთა მიჯნური, ფრიდონი,
რომლის კვალი ტექსტში არ მოიპოვება. მეკლევარის ახსნით,
„ფრიდონი“ ტექსტიდან ამოვარდა იმის გამო, რომ რომელიღაც
გადამწერმა შაჰრინოზ და არნავაზ მიჯნურთა ერთ წყვილად
(შარინოზ - ვაჟად, არნავაზ - ქალად) მიიღო, ფრიდონისათვის
მეწყვილე ქალი აღარ აღმოჩნდა და იგი ზედმეტად შეიქმნა²⁵.

²⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 65. 3.) .

²⁵ ეტიუდები, XVIII, გვ. 229-235.

კ. კეკელიძის ეს მოსაზრება ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში გაზიარებულია, სადაც ვკითხულობთ: თამარისათვის „შეიარნეს შეპჭირნენი“, რათა მისთვის ისეთი ქმარი მოეყვანათ, „რომლისთვის კამდა... გაჭრანი მიჯნურთა ცოფ-ქმნილთანი: ვითარცა თამთა (ე. ი. როსტომი) თუშიანისათვის... ვითარ ფრიდონ შაჰრინოს-არნაჟისათვის“ (გვ. 35. 16.; 36. 9).

კ. კეკელიძე „შაჰ-ნამეს“ მოქმედ გმირს, ბაჰრამ-გურს, ხედავდა აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიაშიც. იგი წერს: „მართლაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი შრომის ერთ ადგილას შენიშნავს: «ვინ ჰკვანდა კორციელად, ანუ ვინ იხილა ნადირობასა შინა ესოდენ განმარჯვებული? მოსიმახოს ვინმე ითქუის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათვის ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი კენტავროდსაგან განსწავლულად ელენთა შორის, ხოლო ბაჰრამ-გური სპანსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკურველთა». ვინ არის ეს ბაჰრამ-გური? რა თქმა უნდა, გმირი არა რომანტიკული ჰოემის «ბარამგურიანისა», რომელიც ეკუთვნის ნიზამი განჯელს და დაწერილია 1197 წელს, ამ უკანასკნელს დავითის ისტორიკოსი, ცხადია, ვერ დასასხელებდა, არამედ ფრიდონის «შაჰ-ნამეს» ბარამ-გური, რომელიც სწორედ იყო «მოქმედი უცხოთა და საკურველთა»²⁶.

კ. კეკელიძე მიუთითებს ე. თაყაიშვილის გამოცემაზე (თბ., 1906, გვ. 315-316) და შენიშნავს: „ტექსტი ბარამ-გურის მაგიერ წერია შაჰრამგური“. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349) დაბეჭდილია „ბარამ-გური“ და საკუთარ სახელთა საძიებელში განმარტებულია - „სპარსელი“ (გვ. 395). მზექალა შანიძის გამოცემაშიც „ბარამგური“ არის²⁷ რომელიც პირთა საძიებელში ასეა განმარტებული: „სპანსეთის ლეკენდარული გმირი მეფე“ (გვ. 234).

ჩახრუხადის „თამარიანი“ იცნობს როსტომსა და საამს:

„ყარყუმს და არამს, მით ზედა არანს როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად“ (11. 29).
„არ გვანდეს დარი, ხოსრო დადარი, საამ-აქილევი, დებორა ქველი!“ (64. 12).

²⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 288-289.

²⁷ მზექალა შანიძის გამოცემის (თბ., 1992) ვარიანტებში აღნუსხულია: შაჰრამგური, შაჰრამგური, ბარამ ჩუბინი (გვ. 202):

ჩვენი მხრივ უნდა დაეუმატოთ, რომ მღვიმის კრებულის მიერ ზოსიმესადმი 1200 წლის ახლოს დაწერილ საბუთში ნახსენებია „როსტომადისძე“: „როსტომადისძესაგან ევიდა ღლისა ნახვე-რისად მიწად შენსა გამზრდელსა ი(ოვან)ეს“²⁸.

იმის გამო, რომ „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანსა“ და „თამარიანში“, აგრეთვე ე. წ. „აბდულ-მესიანში“ „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟები დასახელებული არიან, სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ჩვენი ამ თხზულებების შექმნის დროს ფირდოუსის ეს ეპებერთელა ნაწარმოები, ერთი ნაწილი მაინც, ქართულ ენაზე გადმოღებული უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ დაიკარგა. ეს მოსაზრება პირველად წამოაყენა ახალგაზრდა ნიკო მარმა²⁹, ხოლო მას იზიარებენ და მის დასაბუთებას ცდილობენ ისე დიდი მეცნიერები, როგორც არიან იუსტ. აბულაძე³⁰, კ. კეკელიძე³¹ პ. ინგოროყვა³² ა. ბარამიძე³³ და სხვები.

ჩვენ აღნიშნული მოსაზრება სარწმუნოდ არ გვესახება. „შაჰ-ნამე“, ეს ყოველმხრივ უაღრესად მიმზიდველი ნაწარმოები, XII საუკუნეში ქართულად რომ არსებულებოდა, მას მეტი კვალი უნდა დაემჩნია ჩვენს ცხოვრებაზე, როგორც მან ეს გააკეთა XVI-XVIII საუკუნეებში, თუნდაც მის პერსონაჟთა სახელების გაერცვლება-დამკვიდრების მხრივ და არა ისე იშვიათი სახით, როგორც გვაქვს კლასიკური ხანის მწერლობაში, როდესაც ისინი მწიგნობართა წრეს განეკუთვნება და, თანაც, თითო-ოროლა პერსონაჟის სახით.

სანიმუშოდ ავიღოთ სახელი გივი, რომელიც ჩვენში XII საუკუნეში, კერძოდ „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანში“

²⁸ ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, ე. ს. ი. ლ. გ. ა. ე. ა. მ. ნ. შ. ო. შ. ი. ა. შ. ე. ი. ლ. მ. ა., 1984, გვ. 90.

²⁹ ორიოდ სიტყვა „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1891, № 132.77

³⁰ წინასიტყვაობა, წიგნში: შაჰ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის, ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1916, გვ. XX-XXII, XXX-XXXIII.

³¹ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 288-289, 323-324.

³² რუსთაველის კრებული, გვ. 47.

³³ ნარკვევები, II, გვ. 34-35.

დასტურდება, მაგრამ, როგორც იურიდიული შინაარსის ისტორიული საბუთები გვიჩვენებს, იგი საქართველოში XVI საუკუნეიდანაა გავრცელებული, როდესაც „შაჰ-ნამე“ ძირითადი ნაწილი თარგმნილია და ქართველი ხალხისათვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი. აი, ამ სახელის მქონე კაცები, რომლებიც დამოწმებულია „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ პირველ ტომში³⁴: გივი - სახლთუხუცესი, მონაწილეობა მიიღო ჯავახიშვილების საქმის გარჩევაში (1561-1612 წწ.); ოხიაყორჩი, გიორგი ამირეჯიბის მიერ ლუარსაბ მაყაშილისათვის მიცემული ყმების ჩუქების წიგნის მოწმე (1651 წ.); ტანუტერი, ზისელ აბრამიშვილის მიერ ბატონ ანუკასათვის ბოძებული სასახლისა და კალო-საბძლის ნასყიდობის წიგნის დამწერი (1652 წ.); ზაალ ბარათაშვილის ცოლის ძმა (1658 წ.); ესტატეს მიერ თავის განაყოფ ფარსადანისათვის მიცემული ვენახის გაცვლილობის წიგნის მოწმე (1665 წ.); ქვეთარაძისეული მამულის მფლობელი (XVII ს. 70-იანი წწ.); კირაკოზისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნის მოწმე (1676 წ.); სახლთუხუცესი (1677-1688 წწ.). დეკანოზის ძმისწული (1689 წ.); ხახანაშვილისა და ბესიაშვილის მიწის მყიდველი ([1700] წ.) და სხვა (გვ. 639-640).

ამ სახელიდან ნაწარმოები გვარები: შალუტა ბალიაშვილის განაყოფები - გივიშვილი ბერია (ჰყავს შვილი იორამ) და გივიშვილი მღთისა. აგრეთვე გივიშვილი ზაალ (1700 წ.) - გვ. 641. გივიაშვილები ბაგრატ მეფემ რუისში უწყალობა საქარია ფანასკერტელ-ციციშვილს (1511 წ.). იყვნენ: გივიაშვილი ბერი (1664 წ.), გოგიტა (1680 წ.), ზაქარია (1672 წ.), იმარინდო (1672 წ.), შედან (1664 წ.), შოშიტა (1683 წ.), - გივიაშვილი/ გივიასშვილი ნონია (1664-1683 წწ.), სუხიტა ([1664] - 1683 წწ.) - (გვ. 640). არის სახელი გივინა და გვარი - გივინაშვილი (გვ. 640-641).

რომ არაფერი ეთქვათ გენიოს რუსთველზე ან „ვისრამიანის“ ქართულად გადმომღებზე, რომელიც სწორედ სპარსული ენიდან მთარგმნელია, ჩახრუხადე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი იმდენად ფართო განათლებას ამჟღავნებენ, რა გასაკვირია, თუ მათ „შაჰ-ნამე“ დედანში, სპარ-

³⁴ XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ მ ა, მ. ს უ რ გ უ ლ ა - ძ ე მ, ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა, გ. ჯ ა ნ დ ი ე რ მ ა, თბ., 1991.

სულად ჰქონდათ გაცნობილი ან კიდევ მცოდნეთაგან გაგონილი და შეთვისებული.

კ. კეკელიძე ლეონტი მროველის „შაჰ-ნამეს“ დედანთან მიმართების თაობაზე წერს: ფირდოუსის ნაშრომი „გამოქვეყნდა 1010 წელს. საფიქრებელია, რომ ეს თხზულება დედანში იმავე საუკუნეში გაიცნეს საქართველოში, ვინაიდან იმათი სარკებლობს ამ საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი“³⁵. უფრო მეტიც, იუსტ. აბულაძე იმასაც მიუთითებს, რომ „ქართლის ცხოვრებაში დაცული არის «შაჰ-ნამე»-თი ცნობილ მეფეთა და ბუმბერაზთა სახელების უძველესი ზენდურ-ფაზენდური და ფალაური წაკითხვანი: „სპანდიატ, ვაშტაშაბი..., აფრიდოზ“³⁶, რასაც იქითკენ მიყვავართ, რომ ვიფიქროთ, მატინანეს ავტორი „შაჰ-ნამეს“ დედნის კიდევ უფრო ძველ რედაქციას იცნობს.

ჩვენს წიგნიერ მოღვაწეებს სპარსული „შაჰ-ნამესაკენ“, მისი პირველი, ანუ ისტორიული, ნაწილისაკენ თვალი მას შემდეგაც სჭერიათ, როდესაც ამ თხზულების მეორე ნახევრის დიდი უმეტესობა უკვე ქართულად არსებობდა. როგორც ალ. ბარამიძე წერს: ქართველებს „შაჰ-ნამეს“ „ისტორიულ თხრობათა ციკლი არ გადმოუღიათ, თუმცა ამ ციკლის არსებობა მოწინავე ლიტერატურულ წრეებს კარგად სცოდნიათ. XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ქაიხოსრო, ავტორი «ომინიანისა», ამ წიგნზე პირდაპირ ამბობს: «ბევრია მეფეთ ამბავი, არ გათავდების მბობითა, ანუ შირვანის ამბავი მასშია არაკობითა»-ო. ანუ შირვანის ამბავი, მართლაც, ისტორიულ ნაწილშია მოთხრობილი. ეს ამბავი ქაიხოსროს არაკად სმენია, მაშასადამე, ქართულად ის არ ვოფილა“³⁷.

თუ ზოგადად და განყენებულად ვიმსჯელებთ, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორი ამ ნაწარმოების მიხედვით იმდენად ღრმად და ფართოდ განათლებულ პიროვნებად წარმოგვიდგება, რომ თავისთავად გამორიცხული არ არის, იგი „კლასიკური“ ხანის მწერლად და „შაჰ-ნამეს“ ვერსიათა სპარსული დედნის მცოდნედ მიგვეჩნია. მაგრამ, თუ მეტ ანგარიშს გაუწევთ XVI - XVIII საუკუნეთა ქართულ სინამდვილეს, სადაც სულიერი ატმოსფერო ამ თხზულებით არის გაჯერებული, უფრო ბუნებრივი იქნება საძიებელ ხოცბაში ფირდოუსის პერსონაჟთა სა-

³⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 287.

³⁶ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების პირველი ტომის წინასიტყვაობა, გვ. XXXI.

³⁷ ნარკვევები, II, გვ. 34.

ხელების მოხსენიება აღნიშნულ საუკუნეთა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების გამოძახილად ვცნოთ.

საამი და როსტომი ნახსენებია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ადრინდელ დანართში, ხვარაზმელთა ამბავში:

„ხვარაზმშაპ ვითა შვიბა არათ არ გაგეგონების!...“

თუ ნახავ მისთა ნაკრავთა, საამ, როსტომ გეგონების“ (1898. 1, 3).

აღ. ბარამიძემ აჩვენა, რომ ეს დანართი ძეგლი, რომელიც XV საუკუნეს განეკუთვნება, „როსტომიანის“ გაელენას განიცდის³⁸.

„შაპ-ნამეს“ ვერსიათა ის გმირები, რომლებიც საძიებელ ხოტბაში ერთად არის დასახელებული, ასევე ერთად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ჩანართ სტროფში:

„უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ, აიოზ და სალიმ, თურა, -
ვერც მათ იპყრეს ეს სოფელი, დაემართა, იცი, თუ რა? -
კაცს ეჭიროს კარგი საქმე, ხელთა ქორსა ვითა თურა,
არ დაიგმოს მოყურისაგან, ათქმეინოს, რა ქნა თუ რა“³⁹.

იგივე სტროფი მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის“ 5 ხელნაწერში: G - S498 (გადაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნის ბოლო ათეულ წლებში), J - H461 (განეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნას), O' - Q 799 (XVIII ს-ის მეორე ნახევარი), F' - S 4527 (1805 წ.) და L' - ე. ასლანიშვილისეული ხელნაწერი, ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (1860 წ.).

ეს სტროფი მოსალოდნელია ყოფილიყო T - W 17 ნუსხაშიაც, მაგრამ იგი ამ ადგილას დაზიანებულია და მოგვიანო ხელით არის აღდგენილი.

სახელი ზ ა ა ლ ი ც ჩვენში ფართოდაა გავრცელებული XVI საუკუნიდან. „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ მეორე ტომში (გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 1993) აღრიცხულია: ზაალ/ზალ - აზნაური, რომელიც ბარათაშვილების გაყრის დროს ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523 წ.); ბოქაულთუხუცესი ელია მაჭავარიანსა და კონსტანტილეს სასისხლო დავის გარჩევის მონაწილე

³⁸ აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., IX, თბ., 1997, გვ. 153-164.

³⁹ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1960, გვ. 32.

(1565-1583 წწ.); კათალიკოსა და ხიმშიაშვილებს შორის დავის გარჩევის მონაწილე (XVI ს.); სუფრაჩი, შანშე ერისთავისა და იოთამ ამილახორის დავის გადაწყვეტილების მონაწილე (1623-1632 წწ.); ფარეშთუხუცესი, ელისბარ და კონსტანტინე დავითისშვილების გაყრის განაჩენის აღმსრულებელი (1658-1675 წწ.), რომლის ბაგის ბოლოს მდებარე მიწა ბეჟიტა ბეჟანიშვილმა მიჰყიდა გიორგი დემეტრაშვილს (1659 წ.) და რომლის ბეჭედი უზის ყარაბუდახის მიერ დმანელ ქრისტიანთა ბარათაშვილისათვის მიცემულ ვენახის ნასყიდობის წიგნს (1665 წ.); აზნაურიშვილი, მერიქიფე (1667 წ.); დამწერი და მოწმე დათუნა შატბერაშვილის გაცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ.); მამასახლისი, წატუანთ პაპინასშვილ ფასუას მიერ გაცემული მიწის ნასყიდობის წიგნის მოწმე (1675 წ.); ნაზირი, რომელიც ჩანს 1678, 1679, 1681, 1682, 1684, 1700 წლების საბუთებში, რომელსაც ჰყავდა ყმა მოლოდინაშვილი მოლოდინა (1680 წ.); მოხუცი ბუღალი ევედიანელ პაპუნას მიერ ბადურ მაჩაბლისათვის მიცემულ ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნში (1680-იანი წწ.); მოწმე და დამწერი პაპუა ნონიაშვილის მიერ მდივან ზურაბისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1685 წ.); სახლთუხუცესი, როელმაც 1687 და 1690 წწ. დაამტკიცა ნასყიდობისა და წყალობის წიგნები; ზემო ბოლნისის მამასახლისი (1689); ახალქალაქელი მოწმე (1692 წ.); მარტყოფის მოურავი (1694 წ.); დამწერი და მოწმე ბასილ დედაბრიშვილის მიერ მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ.); ნაცვალი, მოწმე გიორგი ბეჟიტაშვილის მიერ გაცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ.). ზაალა - აკურთას მცხოვრები (1537-1538 წწ.) და სხვა (გვ. 195 - 197).

ამ სახელიდან ნაწარმოები გვარები: ზაალიშვილი დათუნაი (1689 წ.); ზაალიშვილები, რომლებსაც საამ ბარათაშვილთან ტბისის მამულებზე დავა ჰქონდათ (1690 წ.); ზაალიშვილი ბეჟან - ამილახერის ყმა (1639 წ.), გარსევან (XVII ს.), გორჯასპ (1675 წ.), ოქროპირ (1619 წ.), ქაიოსრო (1688-1703 წწ.), ხუცი (XVII ს.); ზაალისშვილი გიორგი (1690 წ.), ზაალ (1630 წ.), ოთარა (1679 წ.), პაატა (1606 - 1648 წწ.), ქაიხოსრო (1612 წ.) და სხვა (გვ. 197-198).

მე-17 საუკუნეში გვაქვს დანარჩენი სახელებიც. არის უთრუთ წერეთელი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, გვ. 17), ჰქვია თამაზის შვილსა (იქვე, გვ. 277) და ქრისტიანთა მთავარეპისკოპოსის ძმას (პირთა ანოტირებული

ლექსიკონი, IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით უდენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, თბ., 2007, გვ. 391).

ასევე, მე-17 საუკუნეში ვხვდებით სახელებს: უთრუთა წერეთელი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, გვ. 258), ს ა ა მ ი (იქვე, გვ. 108) და თ უ რ ი ნ ა (იქვე, გვ. 300).

ეს სია, ისე როგორც „გივი“ სახელზე დამოწმებული შემთხვევები, სრული არ არის. რა თქმა უნდა, ვინც ძველად საქართველოში ამ სახელებითა და გვარებით ცხოვრობდა, მათი რიცხვი ათასჯერ და ათიათასჯერ მეტი იქნება, ვიდრე საბუთებში აისახა, მაგრამ, ვფიქრობთ, ისტორიული სინამდვილე მიახლოებული შეფარდებით ამ მონაცემებიდანაც ჩანს.

ამრიგად: ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ფირდოუსის პერსონაჟთა მოხსენიება იმის ნიშანი კი არ უნდა იყოს, რომ მისი ავტორი სარგებლობდა XII საუკუნეში არსებული „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ქართული თარგმანით ან სპარსული დღენით, არამედ უფრო იმისა, რომ იგი „აღორძინების ხანის“ მოღვაწეა და იცნობს ამ მსოფლიო შედეგის სწორედ XVI-XVII საუკუნეებში ქართულად გადმოღებულ ნაწილებს. ამას დოკუმენტურად ამტკიცებს სახელი ბ ა ზ ი ყ ა, რომელსაც ახლავი შეეხებით.

5. თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი. რაც „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟებზე ვთქვით, იგივე ვითარება გვაქვს ბაზიყა სახელთანაც, მაგრამ, სანამ მას შეეხებოდეთ, მანამ განვიხილოთ თეიმურაზ პირველის ლექსების ის სტრიქონები, რომლებიც ჩვენი ხოტბის გავლენით შექმნილად არის მიჩნეული.

ა) მას შემდეგ, რაც ხოტბის ავტორმა გვამცნო, რომ „შვილი მართალი იშვა ცხოვრებად, ... საქართველოსა მეფულ წოდებად“ (16. 1 - 2), მომდევნო სტროფის პირველ სტრიქონში აღწერილია ძიება და მკითხაობა, - თუ რა ბედი ექნება ახალშობილს:

„იკითხავენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ, რამლს ჰკრვენ, არჩევენ ბედთა მათთაგან“.

მსგავსი სურათია მოცემული თეიმურაზ პირველის⁴⁰ გა-
ლექილ „ლეილ- მაჯუნნიანში“. ლეილისა და მაჯუნნის დაბა-
დებისას უმაღლეს მორიწიეს ბედის გამომცნობი, წინასწარმეტყ-
ველები:

„მესტროლაბენი აწვიენეს, მუნაჯიბ-მერამლიანად,
ჰკითხეს: გვითხარო, ვით იყოს ყმა ესე დოვლათ-სვიანად?“ (9. 3-4).

ისინიც, როგორც ე. წ. „აბდულ-მესიანშია“:

„ქეიშას არჩევენ, რამლსა ჰკრვენ, ჰქონდათ ეარსკელავთა თელილობა,
იკითხვენ, წერენ, არჩევენ - აქვთ დიდი გამოწველილობა,
ეტლები რომელს ბურჯზე დგას, ქმნიან ამისი ცილობა,
ღმერთს შესტირიან მშობელნი - ყმას ჰქონდეს დღეკეთილობა“ (10).

ი. ლოლაშვილი წერს: „თეიმურაზი ამას აღწერს შავთელის
წაბაჰით“ (გვ. 176). სინამდვილეში, თეიმურაზი იმდენად
ფართო სურათს ქმნის, გავლენა აშკარად პირიქით არის.
„ლეილ-მაჯუნნიანში“ მკითხავეებზე თხრობა გრძელდება. მათ
სწორად გამოიცნეს ახალშობილთა მომავალი:

„მუნაჯიმთა ცნეს ბოლო ჟამს საქმე მის ყმისა ყოფილი,
თქვეს, თუ: «იქნების ჭაბუკი მისებრიე არეინ შობილი,
სიტურფეს ხედავთ ყოველნი, მზე შექმნა შუქგაყოფილი,
სურვილის ეტლზე შობილა, ეშვი აქეს გულს შეყოფილი.

ეს გამიჯნურდეს ამგვარად, სხვა ყოფილიყოს აროსა,
სხვათა მიჯნურთა ხელობა მან თავსა არ აკმაროსა,
სრბით განველტოდეს სამყოფთა, თაუი მხეცთანა აროსა
მაშინ ცნან, ვინცა აწ ჩვენი სიბრძენი გაიკმაროსა».

ესე თქვეს, ადგეს ყოველნი, წამოსვლა რადლა გვიანდეს?
გახარებულნი მშობელნი დაჭმუნდეს, დანაღულიანდეს.“ (11-13. 1-2).

ვიმეორებთ: თუ ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მკითხაობა მხო-
ლოდ დამოწმებულ სტრიქონშია გადმოცემული და ის არაფ-
რით თვალშისაცემი არაა, „ლეილ-მაჯუნნიანში“ ამ ეკიზოდს
სიუჟეტურად აუცილებელი, დიდი და საგანგებო ადგილი უჭი-
რავს. ვარსკელავეების მიხედვით ბედის წინასწარმეტყველება,

⁴⁰ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკლევა, ლექსიკონი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს და გ. ჯ ა -
ქ ო ბ ი ა ს რედაქციით, ტფ., 1934.

ქვიშაზე მკითხაობა და სხვა მისი მსგავსი ქმედებანი სპარსულ მწერლობაში იმდენად იყო გავრცელებული, რომ თეიმურაზ პირველს საამისო არაფერი სჭირდა, ამ ერთ მიყუყულ სტრიქონს დასესხებოდა და იგი განეწილ⁴¹. იაკობ შემოქმედელი კი თეიმურაზ პირველის დიდი დამფასებელი და პატივისმცემელია. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მისი სიტყვები:

„რუსთველი ეთქვა თავს მელექსედ, მზედ კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ, თეიმურაზ, არჩილ მეფე - ორივე მისად მეჯუფთარედ“.

მაშ, რაღაა იმაში მოულოდნელი და დაუჯერებელი, თუ იაკობ შემოქმედელი თეიმურაზ პირველის პოეზიის ზეგავლენას ისევე განიცდის, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიმართებისას ვნახეთ!

მსგავსი ვითარებაა სხვა შემთხვევებშიაც.

ბ) ხოტბის დამოწმებული სტროფის მეოთხე სტრიქონის რითმის გამეორებას ხედავენ „შამი-ფარვანიანის“ ტექსტში. ხოტბა:

„ხედვენ მზერითა: «სწორაეს მზე რითა?» - ფიცვენ: «მიპრიდა თვისთა სხივთაგანა“.

ი. ლოლაშვილი წერს: ამ „ტაეზის გავლენა შეინიშნება თეიმურაზ I-ის «შამი-ფარვანიანში»“ (გვ. 177):

„მათ გაუარმდა მეჯლისი მის საბრალოსა მზერითა,
იგ იტყვის: ჩემსა ხელმქმნელსა, ხედავთო, სჯობსო მზე რითა?“

თეიმურაზი კი დანარჩენ ორ სტრიქონში ამ რითმებს აგრძელებს:

„სრულად ერთობით ციერნი იგ აჭარბებენ ზე რითა?
თქვენც მოიგონეთ მზე მზებად, ვინც ვინმე შეიზვერითა“.

⁴¹ „ლეილ-მაჯნუნიანში“ „რამლის კვრაზე“ სხვაგანაც არის მსჯელობა:

„რიცხვით თორმეტნი ვეზირნი მუდამ კარს უდგის ბრძენები,
მუნეჯიმიწაცა იახლის ვარსკვლავთ-მრიცხველ, რამლთა მკვერელები“
(97. 1-2).

აქაც, როგორც ზევით, მის გვერდით ნახსენებია „მუნეჯიმიწი“ (ასტროლოგი) და „ვარსკვლავთ-მრიცხველი“.

უფრო მასშტაბური და სურათოვანი თეიმურაზის ტექსტია და, თუ მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს, პირველადი უთუოდ „შამი-ფარვანიანია“.

გ) ხოტბის მომდევნო სტროფში გრძელდება იმ აღმატებული ემოციების გადმოცემა, რაც „მართალი შეილის“, ქართველთა მეფის, დაბადებას მოჰყვა:

„ხილვა მეფისა მჭვრეტელთ ვფისა - თვალნი მადნიტზე ფოლადობითა.
ლხინად გეყოფის, არ გაგეყოფის! არს მიწვივ შეებით და
განცხრობითა“ (18. 3-4).

ი. ლოლაშვილი წერს: „ამ მხატვრულ შედარებას იყენებს აღორძინების ხანის პოეტებიდან თეიმურაზ პირველი“. და მიუთითებს „იოსებ-ზილიხანიანის“, „ლეილ-მაჯნუნიანისა“ და „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარების“ სტროფებზე (გვ. 178).

„იოსებ-ზილიხანიანის“ შესავალში შოთა რუსთველის თამარ მეფისადმი დამოკიდებულებაზე ნათქვამია:

„სწევდა სამხილი უშრეტი პირშისა თამარ მეფისა,
ვითა ფოლადი მადნიტსა, თვალნი საჭვრეტლად ვფისა,
მაგრამ მან მზემან ნათელი მიჯნურთ არ უიეფისა,
არად შესწონდა ზახილი ვარდსა ბულბულთა ყეფისა (19).

„ლეილ-მაჯნუნიანში“ ეკითხულობთ:

„დედ-მამათ არას ეწყინათ ქალისა ნახვა მეფისა;
ვინც ნახოს ჩემი ასული, თვალი ვით ზედ არ ვფისა?
სხვას ვისმცა მისცა მნათობი, მასზედ ვინმც იიეფისა!
ცოლად შეირთავს უთუოდ, ჟამი ჩანს ვარდთა კრეფისა“ (112).

ლექსში „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ გვაქვს:

„შენს დროში ტყეთა სხვა ფერი იგ მწვანის მეტი რა აქო?
რა ათას ფერად ყვავოდეს - იგ თუ არ აქო, რა აქო?
აბა თქვი, სხვა რა უწოდო, თუ არ სამოთხე დაარქო?
თვალნი ფოლადად მიიკრას, მართ ვითა მადნიტმან მაქო“ (20).

აქაც აღნიშნული მხატვრული სახეები თეიმურაზის ნაწარმოებების ტექსტში ბუნებრივად და ლაღად სხედან, ნათელი, ადვილად გასაგები და ასათვისებელია, ხოლო ხოტბაში კონტექსტით იგი ნაკლებ გაპირობებული, ხელოვნური და ძნე-

ლად მისახვედრია. ამიტომ, ჩვენი აზრით, დასაჯერებელი არაა, თეიმურაზ პირველს ხოტბით ესარგებლოს, არის პირიქით!

დ) ე. წ. „აბდულ-მესიანში“ გვაქვს ასეთი რითმები:

„შესამოსელნი, შესამკობელნი გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი, გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი ძოწეულითა თანა-შექსულნი. გვაქვს-ლა პორფირთა შთაცმა, პოდირთა სამარაგდონი ერთგან ექსულნი, დიადიმითა: დიადი მით-ა, ზეგარდამო გაქენ წმიდად ექ სულნი“ (37).

ი. ლოლაშვილის აზრით, ამ „რიტმების გავლენითაა შეთ-ხეული თეიმურაზ პირველის «ვარდ-ბულბულიანის» მეოთხე სტროფი“ (გვ. 202).

„ფილოსოფოსთ ელენთ სიბრძნე შეიდი არის, გან ექესულნი! ერთი არის რიტორება, სიტყვით შეთხზნა განექსული; ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განლექსული, უკედავი ხარ - ცნობა გმართებს, პირუტყვად გაქე გან ეგ სული“ (14).

ეს სტროფები და სარიტმო სიტყვები შინაარსობრივად ერთმანეთთან იმდენად დაშორებულია, რომ გვეჭვავება, მათ შორის ორგანული კავშირი იყოს. ყოველ შემთხვევაში, არსაიდან ჩანს, ერთი მეორისაგან მოდიოდეს.

ე) საკვლევ ხოტბაში ღმერთი ასეა დახასიათებული:

„თქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან: «ექმედ კაცი ხატად და
მსგავსად ჩვენდა»,
ღმერთმან ღმერთთამან ძველთა დღეთამან, ვინ თანასწორად სულსა
აელენდა,
არვისგან არსმან, თვით დამარსმან, სამებით სრულმან თვით იმოქმედა,
ნამდვილ ღმრთაებით საბათებით ნიეთ-შექსულობით წარმოადგენდა“
(89).

ი. ლოლაშვილის აზრით (გვ. 244-245), „ამ სტროფის მიბაძვითაა შეთხზული თეიმურაზ პირველის შემდეგი ლექსი (შვიდთა კრებათათვის, სტრ. 2)“:

„მამა ყოველთა მოძრავ ცხოველთა, უსიტყვ-მოსიტყვთა, მალ ერთ წამ
მქნელი,
ვით უშობელი, ძისა მშობელი, სულისაც ესრეთ გამამავლენი,
არვისგან არსი, თვით დამარსი, არც მხილველი ჰყავს, არცა
მკონელი,
საბაოთ ღმერთი, სამ-რიცხვად ერთი, ანგელოზთ ვერ ცნეს, მე თვით
ვარ მთქმელი“.

ლეთის აღნიშნული დახასიათება იმდენად ცნობილი და გავრცელებულია, რომ, შესაძლებელია, ეს მსგავსებაც შემთხვევითი იყოს, ხოლო, თუ ერთი მეორეზეა დამოკიდებული, მაშინ პირველობა თეიმურაზს უნდა მივაკუთვნოთ.

ვ) ხოტბაში ავტორი ამბობს:

„თუცა ვიტყოდი, უწყვი: ვიტყოდი, ენაცა ბრვენილად დამეუბედოსა. ვის უთხრნეს ჭირნი, ძნელ დანაძვირნი, ანუ სხვა ვინმცა მემეოდოსა? შეგეფეროდა, გმირო, ქველ-და, სრულ კმელთა ფლობა სამეფოსა! მა ლეიონსა მალე გეონსა, დაანთქემდ უყსა საუფსკრულოსა“ (96. 1).

„იოსებ-ზილიხანიანი“ ვკითხულობთ:

„ქალი ეტყოდა გამზრდელსა: «უტბო ხარ ჩემთვის დედისა. დაეკარგე ჭკუა, გონება, ენა მით დამეუბედოსა, ვის უთხრნეს ჭირნი უშენოს, სხვა ვინმცა მემეოდოსა? რადგან მშვეს, რასთვის გამზარდე მე უბედოსა ბედისა?»“ (90).

ხოტბის ეს სტროფი კომპილაციური შინაარსისაა, სხეულის მიერ გამოთქმული აზრების ნაერთია. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, პირველი სტრიქონი მწერალთა ძველად მიღებული ჩივილია, რომ ის ენაბრვენილია და შემწეობას ლეთისგან ელის. როგორც ი. ლოლაშვილი მიუთითებს (გვ. 247), ბოლო სტრიქონის გამოთქმა „დაართქემდ უყსა საუფსკრულოსა“, მყარი ფრაზეოლოგიური, ერთეულია, რომელიც ფსალმუნსა და საგალობლებში გვხვდება: „დავინთქ მე უყსა უფსკრლისასა“⁴², „ხოლო ურწმუნოთა მათ მემობართანი დაანთქენ სიღრმესა უფსკრულთა სწავლათა შენთასა“⁴³.

„იოსებ-ზილიხანიანი“ მთელი სტროფი და სტროფში აღნიშნული სტრიქონი ბუნებრივად ერწყმის კონტექსტს. თუ ხოტბაში ჭირი, გაჭირვება ჰიპერბოლური ხასიათისაა, თეიმურაზ პირველის თხზულებაში იგი ბევრად უფრო რეალური და დამაჯერებელია. ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო ადრინდელი „იოსებ-ზილიხანიანის“ ტექსტი უნდა იყოს.

ზ) ახლა ბაზიყას შესახებ. ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ავტორი საქებ გმირს ეუბნება:

„ქვეყნის მნათენი, მოკამათენი ბაზიყად გექმნეს სურელით რეცა“ (58. 3).

⁴² ფსალ. 68. 3.

⁴³ კ. ი ნ გ ო რ ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. 134.

6. მარსა და იუსტ. აბულაძეს „ბაზიყა“ საზოგადო სახე-
ლად ესახებოდათ, ოღონდ სხვადასხვაგარად განმარტავდნენ
მას. 6. მარის ახსნით (გვ. რნმ), იგი არაბული სიტყვაა და
ნიშნავს ამხანაგს (товарищ, сотоварищ), იუსტ. აბულაძის აზ-
რით, - მნათობს, მზეს⁴⁴. ალ. ბარამიძემ გაარკვია, რომ „ბაზიყა
«იოსებ-ზილიხანიანის» გვირი ქალის სახელია. ის გახელბული იყო
იოსების სიყვარულით და კიდევაც მსხვერპლად შეეწირა ცალმხრივი
სიყვარულის დაუძლეველ გრძნობას. მეზოტბე ეუბნება ქების საგანს,
რომ ქვეყნის მნათობელი კეკლუცები სიყვარულისათვის თავგანწირულ
ბაზიყად გამხდარანო შენთვის. ბაზიყას ასეთი გაგება ეჭვს არ უნდა
იწვევდეს“⁴⁵.

ამასვე ამბობს კ. კეკელიძე: „აქ «ბაზიყად» იგულისხმება
«იოსებ-ზილიხანიანის» გვირი ქალი ბაზიყა, რომელსაც იოსების
ტრფობის ალი სწავადა“⁴⁶.

ეს მოსაზრება უცილობელია.

ცნობილია, რომ იოსებისა და ზილიხას სასიყვარულო
თავგადასაყალი, დაწყებული ბიბლიიდან და ყურანის ჩათვლით,
მრავალ ვერსიად არის დამუშავებული, მათ შორის, „შამ-ნამეს“
შემოქმედის, ფირდოუსის, მიერაც. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის
უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ კლასიკური და წი-
ნარე დროის არც ერთ მათგანში ბაზიყას სახელის მქონე პერ-
სონაჟი გამოყვანილი არ არის. სიყვარულს შეწირული ეს გვი-
რი ქალი გვხვდება მხოლოდ XV საუკუნიდან, ჯამისა და მის
შემდგომ მოღვაწე მწერალთა დამუშავებულ ვერსიებში. ბაზი-
ყას ეპიზოდი ფართოდ არის წარმოდგენილი აგრეთვე ორივე -
უცნობი ავტორისა და თეიმურაზ პირველის - ქართულ თარგ-
მანში.

იმის გამო, რომ საძიებელი თხზულება შავთელის ქმნი-
ლებად იყო მიჩნეული, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ფეხი
მოიკიდა შეხედულებამ, თითქოს მისი ავტორი იცნობდა ბა-
ზიყის ამბის შემცველ „იოსებ-ზილიხანიანის“ ადრინდელ ვერ-
სიას, რომელიც შემდგომ დაიკარგა. ალ. ბარამიძე ზემორე და-
მოწმებულ მსჯელობას ასე აგრძელებს: „ოღონდ გაუგებრობას
იწვევს შემდეგი გარემოება: ბაზიყა «იოსებ-ზილიხანიანის» მოქმედ
პირად ჩანს, როგორც ჯამის, ისე თეიმურაზ პირველის ჰოემის პრო-

⁴⁴ აბდულ-მესიანი, 1920, გვ. 49.

⁴⁵ ნარკვევები, I, გვ. 391.

⁴⁶ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 239.

ტოტიზის მიხედვით. სამაგიეროდ, ბაზიუას არ იცნობს «იოსებ-ზილიხანიანის» ის ვერსია, რომელიც ჰირველად ფირდოუსის მიერ იქნა დამუშავებული და რომელიც ქრონოლოგიურად სწორედ უსწრებდა «აბდულ-მესიანის»... ვინ იცის, «აბდულ-მესიანის» ავტორი «იოსებ-ზილიხანიანის» ისეთ ტექსტს კითხულობდა, სულ ერთია რეღნით თუ ქართული თარგმანით, რომელიც დღესდღეობით მაინც სპარსული მწერლობის ისტორიისათვის უცნობია“.

„იოსებ-ზილიხანიანის“ ქართული ევერსიების სპარსული წყაროების მეკლევარი ალ. გვახარია წერს: „სპარსულ-ტაჯიკური წყაროების მიხედვით არ ჩანს, გვხვდება თუ არა ბაზიუას სახე ჯამამდე. ე. წ. ფირდოუსის ვერსიაში ამ ეპიზოდს ადგილი არა აქვს. მხელა ითქვას, იყო თუ არა იგი ჩვენამდე არ მოღწეულ «იუსუფ ო ზილიხანს» ვერსიებში. სამაგიეროდ, ქართული წყაროები მოწმობენ, რომ ბაზიუას სახე არ არის ჯამის მიერ შექმნილი. კერძოდ, XII საუკუნის ძეგლში «აბდულ-მესიანში» იკითხება“ და მოყვანილია ზემოთ დამოწმებული სტრიქონი: „ქვეენის მნათენი, მოკამათენი ბაზიუად გექმნეს სურვილით რეცა“⁴⁷.

გასაოცარი არაფერი იქნება და ის „გაუგებრობა“, რომელსაც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, გაიფანტება, სინამდვილეს თუ თვალს გაეუხსოვრებთ და ვადიარებთ, რომ იაკობ შემოქმედელი ბაზიუას თავგადასავალს იცნობს თეიმურაზ პირველის და, შესაძლებელია, ანონიმური ავტორის ქართული თარგმანებით.

ამ მასალების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ: ქართული კლასიკური და მომდევნო ხანის მწერლობა არ ადასტურებს, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ძველი - XII საუკუნის ძეგლი იყოს. მათ შორის არსებული ზოგიერთი მსგავსება ნათლად და გარკვევით გვიჩვენებს, რომ ზემოქმედება პირუკუა, ე. წ. „აბდულ-მესიანი“ თავად განიცდის მათ გაელენას.

ახლა მსგავსების თვალსაზრისით ცალკე განვიხილოთ საკუთრივ იაკობის თხზულებანი.

⁴⁷ ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, იოსებ ზილიხანიანის ქართული ევერსიების სპარსული წყაროები, ანონიმური ვერსია, თბ., 1958, გვ. 72-73.

VII. იაკობ შემოქმედელის ცნობილ თხზულებებთან მიმართება

1. ლექსწყობა, სიტყვიერი, ფრაზეოლოგიური და მხატვრული გამოთქმების ერთობა

იმის გამო, რომ მიბაძვის შედეგია, ე. წ. „აბდულ-მესიანი“ განსაკუთრებულ სიახლოვეს, უფრო ზუსტად, ტიპოლოგიურ მსგავსებას ჩახრუხადის „თამარიანთან“ ამჟღავნებს, ხოლო ყველაზე მეტი ორგანული კავშირი იაკობის ცნობილ ნაწარმოებებთან აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვაგვარი დანიშნულებისა და აღნაგობისანი არიან. სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, ი. ლოლაშვილის ნაშრომში უმეტესობა აღრიცხული და მითითებულია, მაგრამ საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის არც ერთი ჯეროვნად გამოყენებული არ არის.

ა) დავიწყოთ ლექსწყობით. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებიდან“ ვერსიფიკაციული სიახლეებისაკენ იაკობ შემოქმედელის დიდი სწრაფვა ფართოდ და გამოკვეთილად ჩანს. გარდა იმისა, რომ თვით ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ქართული ლექსწყობის განახლებას, ანუ ჩახრუხაულის აღორძინებას, ეძღვნება, იქ არის ლექსის ისეთი სახეობა, რომელიც „თამარიანში“ არ გვხვდება, „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ კი დასტურდება. მხედველობაში გვაქვს 24-ე სტროფი:

„ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად: ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
მასთანა შორად, მარა თუ შორად! - ელია-მოსით, ესრომ-არამით.
ქველად ჭერითა, რისხვით, ჭერითა ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არა რითა, ელ ია-მოსით, ეს რომ ა, რა მით?“

ეს არის ჩვეულებრივი ჩახრუხაული სტროფი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გარერთმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაგრძელებულია - სტრიქონთა მთელ მეორე ნახევარს მოიცავს და ომონიმური ან ტავტოლოგიური წინადადებებისა თუ შესიტყვებისაგან შედგება.

რითმების სიუხვის მეშვეობით ახალი სალექსო ფორმების შექმნა იაკობ შემოქმედელის ჩვეულებრივი ნაცადი ხერხია. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ამგვარი რითმებით გამდიდრებულია შაირის სტროფი. სახელდობრ: გამოყენებულია თავრითმები და გრძელი რითმები:

„აბა რა ბის მოვისმინოთ, იგავს ბრძანებს აგ არაკად,
ა ბარაბის წილ მიცემით თვით დაეფულის აგარაკად,
აბ არაბის მეძვის მსგზავსად, თუ გვემს რისხვით აგარ აკად,
აბარაბის ცოდვის მთხრებლში სვიმონ პოეეს ვინ პარაკად“ (101).

„დავით მაგალობელთ მთავარი ქნარსა სცემს, ებანუბანსა,
და ვით სიმდაბლის მუშაკი ღირსებით ებანე ბანსა,
დავით ბერსაბეს ტრფიალობს, სარკმლით სჭერეტს ე ბანე-ბანსა,
დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ ებან ებანსა“
(111).

ასეთივეა მე-17 და 42-ე სტროფებიც.

საძიებელი თხზულების ზემორე მოტანილი სტროფის ტი-
პისაა შემდეგი გრძელი მონორითმიანი სტროფები:

„ვაჟი არ ჰყვანდა მოამადს, ესხნეს ი ქალი ასულად,
ერთი მას შერთო, ვინ შემწედ ახლდა იქ ალი ასულად,
უფსკრულთა შინა შთასცვიდენ, ნახეს იქ ალი ასულად,
ველარ იტყვიან გამობასა, კორციც იქ არი ა სულად“ (130).

„სიტყვა გითხრა დილა-სამხრით ან ვახშამათ აბარისა,
ველარა მთხოვ ბაასასის ვალს ვერც ვახშამათ აბარისა,
მთად ვიქ, მაქას დაგისეტყვავ, სთქვათ ვახშამათ აბარისა,
მანდაც მოგთხრი საძირკელითურთ, ცანთ ვახშამათ აბარისა“
(265).

განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ამ უკა-
ნასკნელთა რითმა ოდნავ მოკლეა, პირველში მეორდება 6-მარ-
ცვლიანი შესიტყვება, მეორეში - 7-მარცვლიანი შესიტყვება, მა-
შინ როდესაც „აბდულ-მესიანის“ დამოწმებულ სტროფში სტრი-
ქონთა მთელი მეორე ნახევარი ერთნაირია. „უსჯულოს მოამა-
დისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ამგვარი მაგალითიც გვაქვს:

„ნუ უცხოვდ გიჩნს სატანისგან ბელიარ სით მოაბას რა!
ბრანგვად განრყენას საძოვარი, ბელი არსით მოაბას რა,
მართლის სისხლი რომ დაღვარა, ბელი არსით მოაბასრა,
ღეთით მოაკლდა მტერთ მახვილსა, ბელიარსით მოაბასრა“ (123).

როგორც ვხედავთ, იქაც და აქაც სტრიქონთა მეორე
ნახევრები ერთმანეთს ემთხვევა, ტოლია.

აღსანიშნავია, რომ ამგვარივე ვერსიფიკაციული ძიება
არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაშიც“ გვაქვს:

„მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოე კიდვ,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტეირთად, ვით მოეკიდვ.

მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლო და მოეკიდე.
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მო ეკიდქ' (201).

არჩილი აქ უფრო შორს მიდის: სტროფში მთლიანად ომონიმურად თუ ზოგან ტავტოლოგიურად ყველაფერი მეორდება, გარდა ბოლორითმების წინ მდებარე სამმარცვლოვანი შესიტყვებისა.

თუ აღნიშნულს ამ ორი მწერლის სხვა ვერსიფიკაციულ სიახლეებს დავუმატებთ, მივიღებთ ერთიან და ნათელ სურათს: ე. წ. „აბდულ-მესიანის“ დამოწმებული სტროფი იაკობ შემოქმედელის იმ დაუცხრომელი ძიების შედეგია, რომელსაც იგი ლექსთწყობის დარგში არჩილთან ერთად ეწევა. ამდენად, ეს ლექსიც იმის უტყუარი მოწმეა, რომ მისი შემცველი მთელი თხზულება ამ სასულიერო მოღვაწის კალამს ეკუთვნის.

ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და იაკობ შემოქმედელის ცნობილ თხზულებებს აქვთ ცალკეული საერთო მხატვრული სახეები, სიტყვები და გამოთქმები, რომელთაგან ნაწილი, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი და ფართოდ გავრცელებულია, მაგრამ, ჩანს, მწერლისათვის ისინი მახლობელი და დამახასიათებელია და იმეორებს მათ, ზოგი იშვიათია, ზოგიც – სპეციფიკური.

ბ) ზემოთ, „ვეფხისტყაოსანთან“ კავშირის განხილვისას, არ შევხებივართ ზოგიერთ მსგავსებას, რომლებიც ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და რუსთველის პოემას შორის შეინიშნება. არ შევხებივართ იმიტომ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში შოთას სწორუპოვარ თხზულებაზე მისი გავლენის მაგალითებად ისინი არ დასახელებულან.

ასეთია ორივე ნაწარმოებში მხატვრულ სასედ ზოდიაქოს გამოყენება. საძიებელ ხოტბაში საქები გმირი ლომის ზოდიაქოს მეშვეობითაა დახასიათებული:

„მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა ივლისის მზემან ლომსა
ჯდომითა“ (10. 1).

„ვეფხისტყაოსანში“ ამგვარივე სახითაა შემკული ნესტანნი:

„პეანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უმეტესი“ (1201. 3).

მეორე ადგილას: რამდენიმე სტროფის შემდეგ პირველში საქები გმირი შედარებულია კირჩხიბის ეტლზე მჯდომ მხესთან:

„სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერად სწორაეს არარატისა
(13. 4).

იგივე სახეა გამოყენებული „კეფხისტყაოსანშიც“, ოღონდ „კირჩხიბი“ არაბული სახელით, „სარატანიო“, არის მოხსენიებული:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსღვა მწვანისა...
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ (1328. 1, 3).

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მხრივ უნდა დაეუმატოთ: ზოდიაქო რომ პირობითი ნიშნებითაა წარმოსახული, იაკობ შემოქმედელისათვის კარგად არის ცნობილი. დედნის შესაბამისად „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ წერია:

„ნებროთ ღმრთობა მოინდომა, ცათ ისარი სტყორცნა ღმერთსო,
მსწრაფლ გაბრიელ ერისთავმან კელით იყრა იგ წამ ერთსო.
მან განაელო მეთორმეტე ეტლად მნათობთ თევზის ფრთესო,
სულ შეღება თევზის სისხლით, კელა ხელთ მისცა თვით ნებროთსო.

გამხიარულდა მუნ ნებროთ, თვით შთამოვიდა ქვეყნადო,
ეგონა - მოეკალ უკვდავი, აწ ეიწყებ ზე აღფრენადო.
ეტლის ბურჯს კორცი ვინ მისცა, სახე აქეს თევზის თანადო!
წყეული ყველას გვატყუებს, ვინცა ვართ ქრისტეს მონადო“ (52 - 53).

ისიც აღსანიშნავია, რომ ზოდიაქოს მიხედვით გმირის დახასიათებაც იაკობ შემოქმედელისათვის ჩვეულებრივი ხერხია. იმავე „გაბაასებაში“ რუსთველზე ნათქვამია:

„რუსთველი ეთქვა თავს მელექსედ, მზედ კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ“
(8. 1).

გ) ერთი მწერლის შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს მაჰმადიანთა ის დახასიათება, რომლებიც ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ გვაქვს. ხოტბაში იგი ერთ სტროფად არის ჩამოყალიბებული:

„მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა, ბილწად საქიქელ-საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა-წმიდებით, ჩუკნა-ლირწებით სჯულსა მპყრობელსა,
თვით მეზღაპრესა, ცუდ ფელამბრესა, ღმრთისა არ-მართლად
მქადაგებელსა...“ (82).

„გაბაასებაში“ მსგავსი დახასიათება სხვადასხვა სტროფშია გაფანტული:

- „ეშმაკის წინამორბედი, ცუდ ფელამბარი მოსაქმედ“ (18. 4).
- „ვის ზღაპრის სჯული კელთ უღევს, უგბილთა მამად იამის“ (19. 4).
- „ქალმან ბერსაც დააჯერა ქრმისგან ზღაპრად ნასწავლები“ (24. 4).
- „ჩუკნა-სიძგა-მრუშებისა ცოდვის ხელად მიმღებელნი“ (69. 3).
- „მუცლით მეზღაპრეთ ახსენა საღმთომ წიგნებმან თათარნი“ (13. 1).
- „მათ რომ ჩვენთვის კნარცივი სთხარეს, თვითვე შთაედეს იბასრობდენ“ (78. 4).
- „ნურვის უსმენტ ცრუს მოციქულს, განკიცხულ ყავთ, გაბასრულად!“ (118. 4).
- „აგრევე იმათს ესენიცა ნერწყვა-კიცხვით აბასრობდეს“ (134. 2).

ი. ლოლაშვილი წერს: რომ „აბდულ-მესიანის“ „ამ ტაქის გავლენით შეუთხზავს იაკობ შემოქმედელს“ მე-18. 4 და 69-ე სტროფებიო (გვ. 239).

დ) საკვლევე ხოტბაში გმირი ასეა შეფასებული:

„სწავლის ებგური, უცხოთ სადგური, ნავთ-საყუდლითა სწორავ ნილოსა“ (59. 3).

„ებგური“ გუშავს ნიშნავს. იაკობ შემოქმედელი „გაბაასებაში“ თავის თავს „სიბრძნის ებგურს“ ეძახის:

„ერიტორებ სიბრძნის ებგური შემოქმედელი იაკობ“ (9. 1).

„სწავლის ებგური“ და „სიბრძნის ებგური“, რა თქმა უნდა, ერთი აზრის გამომხატველია.

ე) ხოტბის იმავე 59-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში საკვებ პერსონაჟს „სიბრძნის უფსკრული“ ეწოდება:

„სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი, მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა“.

„უფსკრულის“ ამგვარი გააზრება ადრეც გვხვდება. ტბელ აბუსერიძის „წმინდათა იოანეთა გალობანში“ ერთგან იკითხება: „რიცხვითა სამებისაჲთა ღმრთივ-ცემულთა შესხმათა მიერ, სამთა ცნობისა უფსკრულთა ქების ვმეტყუელელებ...“¹. მეორე ადგილას: „სარწმუნოებისა ღიდად სახის-დასაბამად-წინამორბე“

¹ რამაზ ხ ა ლ ე ა შ ი ს გამოცემა, ბათუმი, 1992, გვ. 22.

დასა და სასოებისა მდიდრად და ვრცლად უფსკრულად ღმრთისმეტყველსა... სიყუარულისა სეხნად ვდებ..“ (გვ. 23).

ნიკიტა სტითატის თხზულებათა თარგმნისას არსენ იყალთოელი აეტორს მიმართავს:

„ამას ჩემთვისცა იოხად, პოე საკრეელო,
რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა
სიერცისა კერძო ფრიად შრომის წარველე,
ელინურსა რად ქართველთა ენად ესცელიდი,
ნიშებ-მოსილთა მამათა სიქადულო!“²

ჩახრუხადის „თამარიანში“ თამარზე ნათქვამია:

„თქმი უღამო, ტკბილი და ამო მოწყალებისა ნაუფსკრულევედ“ (47. 2).

ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ, როგორც საძიებელ ხოტბაშია, იაკობ შემოქმედელის მეორე ლექსში, ერთსტროფიან „არჩილის ქებაშიც“, „ცნობა უფსკრული“ არჩილია:

„თქმული მომწონს - მისგან ზრდილსა - არჩილ ცნობა-უფსკრულისა“.

ასე რომ, იაკობ შემოქმედელს არჩილისადმი მიძღვნილ ორივე ხოტბაში მეფე-პოეტი ერთი და იმავე სახით ჰყავს წარმოდგენილი.

ვ) რადგან არჩილის ერთსტროფიანი ქება ვახსენეთ, ბარემ აქვე ვიტყვი: შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ და ე. წ. „აბდულ-მესიანში“ საქები პერსონაჟი ერთი და იმავე შესიტყვებით „მხნე, ახოვნად“ არის დახასიათებული. ერთსტროფიანი ქება:

„მხნე-ახოვან, ქველ-დიდებულ, ისარ-ლესულ ძლიერისა“.

საძიებელი ხოტბა:

„ქრისტეს მხედარსა, მხნე-ახოვანსა, პირად-პირადად განშენებულსა“
(76. 2).

ამავე თხზულებაში ქების ობიექტი „მხნედ“ და „ახოვნად“ ცალ-ცალკე სხვაგანაც არის მოხსენიებული:

² ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, არსენ იყალთოელი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1978, გვ. 131.

„მენე ხარ ასური, მჭერეტთა ასური ალვის ხე-ტანი რტო განფენილად (9. 3).

„მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა ერთგულთა კსნილ ჰყოფს, მტერთ უსაროსა“ (13. 3).

„ძალ-გულად მენეო, სვე-ბედით ქვეო, ასპიტ-ცემულ-ჰყოფ მტერთა, ახოვნად“ (57. 3).

ზ) „სწავლის/სიბრძნის ებგურისა“ და „სიბრძნის/ცნობა უფსკრულთან“ შედარებით კიდევ უფრო დამახასიათებელი და მეტყველია გამოთქმა - „სიბრძნის არდაგის წელზე მორტყმა“. ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ავტორი ამბობს:

„სიბრძნის არდაგი, საკმილთ არ დაგი, წელთა მომერტყა სწავლის ბადენით“ (101. 4).

„გაბაასებაშიც“ პოეტი ამასვე იმეორებს:

„სიბრძნის არდაგი მოვირტყი თქვენ ზედა ქადაგებისა“ (249. 4).

თ) ხოტბის ზემორე დამოწმებულ 59-ე სტროფის მესამე სტრიქონში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სიტყვა „სადგური“. ი. ლოლაშვილს ეს სიტყვა ნილოსის „ნავთ-საყუდელის“ შინა-არსით ესმის. მთელ სტრიქონს ის ასე განმარტავს: „თამარის სტუმართმოუვარეობა და უცხოთ შეწუნარება შედარებულია ნავთ-საყუდელთან: როგორც იქ (= ნილოსის ნავთსაყუდელში) თავს აფარებს მრავალი უცხოელი, ასევე თამართან მოისწრაფვიან და ჩერდებიან მისი ჰატივისა და თავუანის მცემლებით“ (გვ. 221).

ჩვენი აზრით, „სადგური“ აქ უნდა უკავშირდებოდეს „სწავლის ებგურს“ და არა „ნავთ-საყუდელს“. საქები გმირი (არჩილი და არა თამარი) არის სწავლის გუშაგი („ებგური“) და სწავლის (ცოდნის, სიბრძნის) სადგური, ანუ სწავლა-განათლებით სავსე. მეორე ადგილას ამავე ხოტბაში იმავე პერსონაჟზე წერია³:

„მადლისა პური, სიბრძნის სადგური, მკედარი ღმრთისა სამ-ხატონისა“ (14. 1).

³ ი. ლოლაშვილი დაახლოებით ამგვარივე შინაარსით განმარტავს ხოტბის 26-ე სტროფის მესამე სტრიქონს - „სიბრძნისა სირად, სწავლისა სირად გარე მოგეთხზნეს რიტორ ბადენი“ (გვ. 186-187).

ამასვე ადასტურებს „თამარიანის“ ზემოდამოწმებული ტექსტის მომდევნო, მესამე სტრიქონი:

„სიბრძნითა სავსი, ყოლ არ მოთავსი, ეინცა იპოვოს ნორგულეკად“.

აქ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ „სადგური“ ამავე მნიშვნელობით იხმარება:

„აღეძრა, აღვალო, აღმოვთქვა, მცირე რამ სიბრძნე გულისად, საუნჯედ, სადგურ-საფუძველად, რიტორად ცნობად სულისად“ (6. 1-2). „სამოცდაათი ჭაბუკი სიბრძნის სადგურნი, სამყოფნი... გამოარჩიევს, გაგზავნეს სამოძღვროდ მათთვის სამყოფნი“ (169. 1, 4).

აღამიანი, როგორც სათავსი, ჭურჭელი, ერთი მხრივ, სიბრძნე-სიკეთისა, ხოლო, მეორე მხრივ, ბოროტებისა, ჩანს, იაკობ შემოქმედელისათვის დამახასიათებელი წარმოსახვა-გააზრებაა. იმავე „გაბაასებაში“ მეორეგან ვკითხულობთ:

„ჭურჭელ-ჭურმან ეშმაკისმან ცოლს უამბო ეს ხლათები“ (24. 1).

ი) ამავე გამოთქმის მსგავსია „სიბრძნის ზღვა“. ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ამ ეპითეტით მოხსენიებულია საქები გმირი:

„არვეთა ვსებით არ ვეთავსებით სიბრძნისა ზღვასა არჩილ პირშოსა“ (53. 3).

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ კი მოხსენიებულია ის 70 ჭაბუკი, რომლებიც კტოლემეს ძველი აღთქმის წიგნების სათარგმნელად გაუგზავნეს:

„სიბრძნის ზღვასა შეცურვილნი ცხადად მიეღენ, არ ფარულად“ (170. 1).

კ) ხოტბის იმავე მე-14 სტროფის მეორე სტრიქონში სპეციფიკური ვითარება გვაქვს. იკითხება:

„უზვერლებითა, სურნელებითა მსგავს არს წმიდისა სამირონისა“.

„უზვერელი“ თუ „უზვერული“ იშვიათი ხმარების სიტყვაა. ნ. მარმა იგი გაუგებარ სიტყვებში მოათავსა (გვ. 103). მის კვალს სწორად მიაგნო და სწორადაც ახსნა იუსტ. აბულაძემ. მან მიუთითა, რომ იაკობ შემოქმედელის ნაამაგარ

კრებულში „ფუტკარი“ იგი სურნელოვან ხეთა სახელების რიგშია დასახელებული. აი ეს ტექსტი: „ს(ა)ხელი ს(უ)ღნ(ე)ლთა ხეთა: ბალსაბონი, უზუ(ე)რული, ბუყ, მორდი, სარდად, საროდ“ (გვ. 93 რ). აქედან გამომდინარე, მკვლევარი წერს: „უზუერული, უზუერული სუნელოვანი ხეა“⁴.

ეს სიტყვა ლექსიკონებში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“: „უზუერული არა-დასაზურავი ადგილი“. ვარიანტები: „სადა კაცი არ დაინახებოდეს საფართაგან. უზუერული იგი არს, მუნ, სადა კაცი არ დაინახ(ვ)ოდეს. დაუნახველი. ხე უზუერული ამას ჰქვიან, მის ძირში კაცი არ გამოჩნდის“.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“: „უზუერულ-ი რ ა ზ ნ ა... «იხილა ხუ ერთი უზუერულისად და დაჯდა მის ქუეშე» (ი. ჯა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 185, 3)“.

ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“: „უზუერულ-ი რ ა უ კ რ ე ზ ა ვ ი⁵, «იხილა ხუ ერთი უზუერულისად» (S 384, გვ. 5, 25)“.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვის გაგება საძიებელ ხოტბასა და „ფუტკარში“ ზუსტად ერთნაირია და მას იაკობ შემოქმედელამდე მივყევართ.

ღ) „ფუტკარში“ სურნელოვან ხეთა რიგს მოსდევს სახელები: „ხილთა უუაილთა: მანდრაგორი, ასპაზანი, ისაპი, იანარი, სიმენაკი, ნარგისი, შამბლიათავი, ზმერუკი, ლავროტი, მავროტი, იაფ, ლამასპრაში“.

საძიებელ ხოტბაში შეტანილია აქ და ზემორე ჩამოთვლილი ზოგიერთი სახელი:

„ოქროდ სემურად, მურად ქამურად, აღლად, კინამოდ, სარდა-სარო ხით. ნარგიზ-ლავროტი, ია-მაკროტი მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით“ (8. 3-4).

ი. ლოლაშვილი წერს: „აბდულმესიანის გავლენით იაკობ შემოქმედელს ხელნაწერ კრებულში (ფუტკარი...) შეუტანია სურნელოვან

⁴ აბდულმესია, 1920, გვ. 40.

⁵ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო მასალებში დაცულია ათონური ნუსხიდან ამონაწერი: „დაუკრეფავი იხილა ხუ ერთი უზუერულისა“ (ათონი, 11, 166.1), რომელიც ამ გაგებას უპირისპირდება.

ხეთა და ყვავილთა სახელები“ და გამოყოფს ორივე ძეგლში ნახსენებ სახელებს: უსუერელი, სარდად, ნარგისი, ლაეროტი, მაკროტი, ია (გვ. 165).

თუკი იაკობ შემოქმედელი „ფუტკარის“ შედგენისას ე. წ. „აბდულ-მესიანით“ სარგებლობდა, ამავე კრებულში რატომ არ შეიტანა იქ ნახსენები, ვთქვათ, სურნელოვანი ხის სახელი „კინამო“? როგორც ლექსიკონში ი. ლოლაშვილი თავად იმოწმებს, კოტე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით, „კინამო“ *დარიჩინის* ხეა, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „*კინამო არს ყვავილი სუნნელი*“. ანდა, კიდევ მეტი უფლებითა და გაკვირვებით საკითხავია: საიდან აიღო იაკობ შემოქმედელმა „ფუტკარში“ ნახსენები ხეთა და ყვავილთა სხვა სახელები (ბალსაბონი, მორდი, ასპაზანი და ა. შ.), ისინი ხომ ხოტბაში არსად დასტურდება?

უფიქრობთ, ცხადია, როდესაც „ფუტკარის“ დამოწმებული სტრიქონები იწერებოდა, ავტორის წყარო სხვა იყო და არა საკელევი ხოტბა. ხოლო, თუ ამ უკანასკნელში ზოგიერთმა მათგანმა ადგილი პოვა, უპირველესად ეს იმ ცოდნის შედეგია, რომელიც „ფუტკარში“ ასე ფართოდ არის წარმოდგენილი.

მ) ცნობილია, რომ სახარებიდან მოდის სიტყვა „რაკა“, სადაც იგი ახსნილიც არის⁶: „რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა «რაკა», რომელ არს «სამაგელი», თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად“ (მათე, 5. 22). ძველ ქართულ მწერლობაში ეს სიტყვა აქტუალურ სიტყვათა ფონდს არ განეკუთვნება. შესაძარბებელ ნაწარმოებებში კი ორივეგან ნახმარია. ხოტბა:

„მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა გულსა უწყალოდ ანაგებითა“
(19. 3).

„გაბაასება“:

„ღედა ძითურთ ღვენულ იქმნა, კურთხევის წილ იქმნა რაკად“ (55. 4).

ზემომოტანილი მაგალითების გვერდით ნიშანდობლივ მსგავსებად გვესახება ის თანხვედნილი გამოთქმებიც, რომლებიც ადრე ფართოდ იყო გავრცელებული და ამ თხზულებაში გვხვდება.

⁶ ამ სიტყვის განმარტებანი მიმოხილული აქვს ი. ლოლაშვილს (გვ. 178-179).

ნ) ბიბლიასა და ქრისტიანულ მწერლობაში საგანგებო ადგილი უჭირავს და ხშირად არის საუბარი ღვთის შიშზე, როგორც სიბრძნის საწყისზე. ხოტბაში საქებ გმირზე ნათქვამია:

„აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით «სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა»“ (12. 1).

„გაბაასება“ კი ამ სწავლით იწყება:

„სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღვთისა“ (1. 1).

ო) „სვეტი“ ჩვენთვის საინტერესო გაგებით, ბიბლიიდან მომდინარე სახეა. პიმნოგრაფიიდან მაგალითები დამოწმებული აქვს ი. ლოლაშვილს (გვ. 229). ხოტბაში არის გამოთქმები: „სვეტი სჯულისა“, „ცნობისა სვეტი“:

„სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად“ (16. 3).

„ცნობისა სვეტი, ხეჭვით საჭერეტი, სიმალღედ, სიერცედ, სიგრძედ და სიღრმედ“ (72. 1).

ორივე თხზულებაშია „მტკიცე სვეტი“. ხოტბა:

„თვით მას აქაზის ნაცვლად აქა ზის ახოვნებისა სვეტნი მტკიცენით“ (74. 3).

„გაბაასება“:

„მერმე უბრძანა დაცვეთად, ძეგლად ქმნა, სიმტკიცის სვეტად“ (85. 3).

ჩვენი საკითხისათვის, შესაძლებელია, სხვა მსგავსებანიც ფასეული იყოს.

პ) ხოტბაში ვკითხულობთ:

„ჰყოფს ანუულსა, მყოფს ან ეულსა, არ ოდეს ბიცად ერქენისა ძალი“ (55. 3).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ბიცი“ არის „მიწა, სადა სიძლავით ნაუფი არ იქნების, რომელ არს აღდაჭი“. გადატანითი მნიშვნელობით „განბიცება“ უნაყოფოდ ქცევას, მოუხმარს, გაფუჭებულს ნიშნავს. როგორც ალ. ღლონტის შედგე-

ნილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაშია“ მითითებული, გ. შარაშიძის ახსნით, გურიაში „გაბიციებული“ ზოგადი შინა-არსით, „გაციებულსაც“ აღნიშნავს. პირადად ჩვენ გურიაში წყველა გაგვიგონია: *მაგი ენახე მე მკედარი და გაბიციებულიო.*
„გაბაასებაშიც“ ეს სიტყვა ერთ-ერთი ამგვარი გადატა-ნითი უარყოფითი შინაარსით იხმარება:

„მორწმუნეთა ჯეჯლი ხარობს, ურწმუნონი განიბიცეს“ (149. 4).

ჟ) ხოტბაში ავტორი საქები გმირის დიდ ღირსებად და დამსახურებად ასახელებს იმას, რომ იგი საღმრთო წერილის, ანუ წიგნების, ბიბლიის, ამხსნელ-განმმარტებელი და მისი სიბრძნის წარმომჩენია:

„მოგეფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი“ (63. 4).

„გაბაასებაში“ კი მოძღვრისადმი უპირველესი მოთხოვნაც ეს არის:

„ეინც სხვას მოძღვრის სიბრძნის სიტყვას, სჯობს თვით პირველ განიმარტოს...
ნოეს ტრედმან რად მიართუა, - გამოსცნობდეს გან იმა რტოს“ (7. 1, 3).

რ) საძიებელ ხოტბაში პოეტი თავის პერსონაჟს ეუბნება, რომ ღმერთმა შენ *„გქმნა ცისკრად ღირსად, მთიებად მზისად, ვარსკვლავად ცისად, თვით უბინდომან“* (64. 4).

„გაბაასებაში“ კი მწერალი თავის პოეტურ ღირსებას ასე ახასიათებს:

„თვით ცისკრისა მთიებად ესჩან, სანთლად მათთვის წინ მღებარედ“ (8. 3).

ს) ხოტბაში გმირი არის „სამ-ღიდებული“:

„მეფედ გებული, ლალად შეებული, თვით მხიარული, სამ-ღიდებული“ (68. 2).

როგორც ი. ლოლაშვილი მიუთითებს, ეს გამოთქმა სხვა-განაც გეხედება (გვ. 226-227), მაგრამ იგი მაინც იშვიათად ხმარებულ სიტყვათა რიგს განეკუთვნება. „გაბაასებაში“ გვაქვს:

„მრწამს ერთი ღმერთი უფალი, სამგვამოენებით ქებული, სამება განუყოფელი, ერთ-არსი, სამ-ღიდებული“ (136. 2-3).

ტ) ხოტბაში ნათქვამია, რომ საქები გმირი გვიჩვენებს ბანაკებად განლაგებისას და შემდეგ აბანაკებულ, ანუ ბანაკიდან წამოშლილ, მებრძოლთა სიმკვირცხლეს:

„ა ბანაკებით აბანაკებით მკვირცხლად გეახილევებს მებრძოლთა ერსა“ (73. 4).

აღნიშნული სიტყვა „გაბაასების“ ერთ ფორმალისტურ სტროფში მთელ სტრიქონადაა გათამაშებული:

„აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად“ (43. 1).

უ) შესაძლებელია, ერთი ავტორის ხელწერას გამოხატავდეს რითმად „ებან ებანის“ გამოყენება. ხოტბაში არის:

„ამათ ძალითა რომ ათძალითა, ორღანო უძნონ, ებან, ებნითა“ (15. 2).

„გაბაასებაში“ აღნიშნულ სიტყვათა წყვილი მთელ სტროფშია გათამაშებული:

„დავით მაგალობელ მთავარნი ქნარსა სცემს ებან-ებანსა...“ (111. 1).

არის სხვა მსგავსებანიც, მაგრამ ისინი ისე მეტყველი და ანგარიშგასაწევი არ არიან და მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამ დამთხვევებიდან ზოგიერთი შემთხვევითიც რომ იყოს, სრულიად საკმარისია, დავასკვნათ: ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებასა“ და ერთსტროფიან „არჩილის ქებასთან“ ორგანული კავშირი აქვს, ისინი ერთი ავტორის ქმნილებანია.

2. ლინგვისტური მიმართება

სანამ უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, მანამ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

აკაკი ხინთიბიძემ ბოლოდროინდელ ნაშრომებში¹ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობის თაობაზე თავისი ადრინდელი შეხე-

¹ „აბდულმესიანისა“ და „არჩილ მეფის ქების“ იგივეობისათვის, გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1997, № 11, გვ. 7; მ ი ს ი ვ ე, იაკობ შემოქმედელი, XVII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე, 1988, გვ. 52-54.

დულეა ჩვენი გამოკვლევის შესაბამისად შეცვალა. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სახოტბო ძეგლი იაკობ შემოქმედელს ეკუთვნის, მას ერთ-ერთ საბუთად მოჰყავს კორნელი დანელიას ნაშრომი „ჩახრუხადისა და შეეთელის ხოტბათა ენის პოეტური და ლინგვისტური ანალიზის ცდა“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ 27-ე კრებულშია გამოქვეყნებული (თბ., 1988, გვ. 46-88). აქედან იმოწმებს რა ავტორის სიტყვებს, რომ „თამარიანსა“ და „აბდულ-მესიანში“ „გამარტივებულია თანდებულეობი“, დიალექტური თვარის (←თუ არ) ორივე ნიმუში, სასაუბრო ფორმის არის სამივე მაგალითი და ნეოლოგიზმების (საყდარი, ხენეში, სპეტაკი, მარტივი) ყველა ნიმუში „მხოლოდ «აბდულ-მესიანიდანა» მოტანილი“, ა. ხინთიბიძეს ჰგონია, - ეს არის „აბდულ-მესიანის“ გვიანდლობის (XVII საუკუნის) ნიშანი და, რაც მთავარია და კიდევ უფრო საკვირველი, თითქოს ამავდენ აზრისა იყოს თვით მკვლევარი, კ. დანელია.

ა. ხინთიბიძე ყურადღებას აქცევს, რომ დასახელებულ გამოკვლევაში „დიფერენცირებული არ არის «თამარიანისა» და «აბდულ-მესიანის» ჰოეტური მეტეველება“, მაგრამ ეს „ხელს არ უშლის“ მას, „აბდულ-მესიანის“ მიმართ ცალკე გადაწყვეტილება გამოიტანოს. „რადგან «არჩილის ქება» (ანუ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ - ბ. დ.) - წერს იგი, - «თამარიანის» მიბაძვითა დაწერილი, ცხადია, ავტორი (ე. ი. იაკობ შემოქმედელი - ბ. დ.) ეცდებოდა ჩახრუხადის ენობრივი სიასლევების გადატანას, მაგრამ ამ სიასლევებზე საუბრის დროს კორნელი დანელია უფრო სწორად მიიხედავს «აბდულ-მესიანს» იმოწმებს“ (გვ. 52 - 53). ა. ხინთიბიძის აზრით, ვითომც ამ გამოკვლევაში „ნ ა თ ქ ე ა მ ი ა, რომ ო რ ი ვ ე გ ა ნ შ ე ი ნ ი შ ნ ე ბ ა მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა კ ლ ა ს ი - კ უ რ ი ჰ ე რ ი თ დ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი დ ა ნ დ ა ც ი - ლ ე ბ ი ს ა“ (გვ. 52). მოაქვს რა ზემორე დამოწმებული ნიმუშები, ბოლოს დაასკენის: „მაშასადამე, «აბდულ-მესიანის» ვნა, ლინგვისტური ანალიზის მიხედვით, ვ ე რ თ ა ვ ს დ ე ბ ა კ ლ ა ს ი კ უ რ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ჰ ე რ ი თ დ შ ი“ (გვ. 54).

სინამდვილეში, კ. დანელია ამ სახოტბო ძეგლის ენის ქრონოლოგიას არ განიხილავს. მკვლევარი ტრადიციისამებრ მას „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დროინდელ ქმნილებად მიიჩნევდა. ეს აზრი მის გამოკვლევაში ნათლად და გამო-

კვეთილად არის გამოთქმული. აი, როგორ იწყება ეს ნაშრომი: „ჩახრუხადის «თამარიანი» და შავთელის «აბდულმესიანი» თ ა მ ა - რ ი ს ე ზ ო ქ ი ს გამომხატველი ჰოეტური მკვლელობა და ისინი «ფეფხისტეაოსანსა», «ამირანდარეჯანიანსა» და «ვისრამიანის» მშუ- ნიერ თარგმანთან ერთად შთამბეჭდავად წარმოადგენენ მ ე - 12 ს ა უ - კ უ ნ ი ს ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის მაღალ დონეს“ (გვ. 46).

როდესაც კ. დანელია „თამარიანისა“ და ე. წ. „აბდულ- მესიანის“ ენობრივ სიახლეებზე მსჯელობს, მათ განიხილავს როგორც ჩახრუხადისა და შავთელის „იდივიდუალური სტილისა“ და „XII საუკუნის სალიტერატურო ენის ისტორიული სახის“ გამო- ვლინებას. სრულად მისი სიტყვები ასეთია: „ცხადია, ხოტბების ენაში ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი მოტივირებული ენობრივი გა- დახვევები, რომლებიც შემოდინ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ს ტ ი ლ ი ს სფეროში. ამასთანავე, ცხადია, ცალკე უნდა იქნეს გა- მოყოფილი და განაღვივებული ფონეტიკის, გრამატიკის, დერიაციისა და ლექსიკის უბნებში რეალიზებული ც ვ ლ ი ლ ე ბ ა - ს ი ა ს - ლ ე ნ ი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ XII ს ა უ კ უ ნ ი ს ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი სახის დასადგენად“ (გვ. 53. ხაზგასმა ავტორისაა).

არქაიზმებზე მსჯელობის დროსაც მკვლევარს XII საუ- კუნის ახალი, ანუ ე. წ. საშუალი, ქართული აქვს მხედვე- ლობაში და მას ძველ V-X, და „საშუალი ქართულის მეორე ნახევრის“ (XVI-XVIII საუკუნეთა) ენას უპირისპირებს. მოვუხ- მინოთ ავტორს: „რადგან კლასიკური (V-X სს.) ძველი საწერლო ქართულის ფორმაწარმოებითი და სიტყვაწარმოებითი ლექსიკური ფონ- დის დიდი ნაწილი მემკვიდრეობად გადმოცემოდა მომდევნო საუკუ- ნეებს, ამიტომ XII ს ა უ კ უ ნ ი ს ს ო ტ ბ ა თ ა ე ნ ი ს არქაიზმებზე საუბარი მხოლოდ ჰირობითად შეიძლება: ზოგი რამ, რაც საშუალი ქართულის II ნახევარში (VI-XVIII სს.) არქაიზმებად აღიქმება, XII ს ა უ კ უ ნ ი ს ს ა მ წ ე რ ლ ო ქ ა რ თ უ ლ შ ი ს ა ვ ს ე ბ ი თ შესამლოა მოქმედი და ნორ- მ ა ტ ი უ ლ ი ი ე ო ს . და ეს რომ ასეა, ამა ს ო ტ ბ ა თ ა ე ნ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა ც ა დ ა ს ტ უ - რ ე ბ ს . ამ ქ ე ბ ა თ ა , ისე როგორც XII ს ა უ კ უ ნ ი ს სხვა მკვლთა, ენა ეფუძნება წინა (V-X) საუკუნეების

სამწერლო ენის სისტემას, რომელიც შემდგომ გაჯერებულია სახაუბრო ენის ახალი ელემენტებით. ამიტომაც, რომ მათში ძველი ხმარების ელემენტები სჭარბობს ახლისას და ეს კანონზომიერია. ამიტომ უფრო ზუსტი იქნება, თუ ქვემოთ დასახელებულ ფაქტებს არქაიზმებად კი არ ჩათვლით, არამედ XII საუკუნეში მოქმედ ძველი სამწერლო ქართლის ელემენტებად“ (გვ. 65).

კ. დანელია ამგვარადვე განიხილავს ნასესხებ ლექსიკასაც: „ქართულ მ ე ს ო ტ ბ ე თ ა თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ შ ი საკრძნობია ნასესხები ლექსიკის ხვედრითი წონა. ე გ ე ვ ე ი თ - ქ შ ი ს «ე ე ფ ხ ი ს ტ ე ა ო ს ა ნ ზ ე»“. დიდი ნაწილი ასეთი ნასესხობებისა უკვე ერთიანი სამწერლო ქართულის კუთვნილებად მოჩანს, მცირე ნაწილი კი - განათლებული სამეფო კარის ჰოტთა თხზულებებისა. არაბულ, სპარსულ და ბერძნულ კულტურას ნაზიარები ჰოტები არ ერიდებიან, თამამად შემოიტანონ აღმოსავლური უოფის ამსახველი უცხო სიტყვები სალიტერატურო ქართულში. მ ე ს ო ტ - ბ ე თ ა ტ ე ქ ს ტ ე ბ ზ ე დართული ნ. მარის დიდად ფასეული ლექსიკონის ფონზე კი კარგად ჩანს, თუ რა შინაარსის სიტყვები ცდილობდა ფეხის მოკიდებას მ ე-12 ს ა უ კ უ ნ ი ს სალიტერატურო ქართულში“ (გვ. 84).

სულ ბოლოს (გვ. 88) კ. დანელია ერთხელ კიდევ უპირისპირებს ერთმანეთს მეხოტბეთა და XVI- XVIII საუკუნეთა პოეტების ენას: „...ამიტომაც, - დაასკენის აეტორი, - სოტებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს აღორძინების ხანის პოეტთა შემოქმედებაზე (თეიმურაზ ჰირველზე, არჩილზე, ბესიკზე...)“.

ასე რომ, ა. ხინთიბიძეს კ. დანელიას აღნიშნული ნაშრომი, მისი მოსაზრებანი ჯეროვნად გაგებულნი და წარმოდგენილი არა აქვს. კ. დანელია „თამარიანისა“ და ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ენას XII საუკუნის ენას არსად აშორებს. ამიტომ, ცხადია, მისი დასკვნები ამ „აბდულ-მესიანის“ გვიანდლობის დასამტკიცებლად, როგორც ა. ხინთიბიძე იყენებს, ვერ გამოდგება.

ახლა გადავიდეთ დასმულ საკითხზე: საძიებელი ხოტბა ლინგვისტური თვალსაზრისით როგორ ესადაგება იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებებს - „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებას“².

² უღრმესი მადლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის ეს ნაწილი წაიკითხეს და მნიშვნელოვანი შენიშვნები მოგვაწოდეს გურამ კარტოზიამ და ავთანდილ არაბულმა.

ვინაიდან კ. დანელიას გამოკვლევაში ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ლინგვისტური თვალთახედვით თითქმის ამომწურავად არის დახასიათებული, ჩვენც მას გავყვებით.

კ. დანელიას ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი პოეტიკურ ანალიზს ეთმობა (გვ. 48-64), დანარჩენი – ლინგვისტურს. ვინაიდან შესაძარებელი თხზულებანი სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ქმნილებანია, ბუნებრივია, ისინი ამ მხრივ ერთნაირი ვერ იქნებიან. მეკვლევარი წინა ნაწილში გამოყოფს და გრამატიკულად ახასიათებს ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „თამარიანში“ წარმოდგენილ ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც ლექსის არტახებით, უფრო, რითმითაა გამოწვეული. „გაბაასებაში“ ამგვარი ხელოვნური ფორმები უხვად გვხვდება სწორედ რითმებში და, განსაკუთრებით, ომონიმურ რითმებში. რადგან საძიებელი ხოტბის თითოეული სტრიქონი სამ სართომო სიტყვას შეიცავს, ხოლო „გაბაასებისა“ ერთს, ცხადია, ხელოვნური ფორმები, მათი სახეობები, პირველში გაცილებით მეტია. თუ როგორია ისინი, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ზუსტ პასუხს ვერ მოგვცემს. ამიტომ ნაშრომის ამ ნაწილს, აქ გამოვლენილ გრამატიკულ ანომალიებს გვერდს ავუვლით და პიდაპირ ჭეშმარიტ ლინგვისტურ ნაწილზე გადავალთ.

I. ა რ ქ ა ი ზ მ ე ბ ი. 1. ბ რ უ ნ ე ბ ა (გვ. 66-67). ძველი ქართული ენის შესაბამისად, ორივე ნაწარმოებში მოთხრობითი ბრუნვის მაწარმოებელი ძირითადად არის გაუმარტივებული -მან. საერთოდ, თავისი ჟანრული თავისებურების გამო ხოტბაში მოთხრობითი ბრუნვა ცოტაა გამოყენებული. რადგან ტექსტიც ბევრად დიდია და თხრობითი ფორმისა არის, „გაბაასებაში“ ამ ბრუნვის ფორმები გაცილებით მეტია. ნიმუშად დავიმოწმებთ რამდენიმე სტრიქონს:

ა) თანხმოვან-ფუძიანები:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა
შემკობად!“ (1. 1).
„კაცმან სულელმან და უსულელმან ვერ გულისხა-ყოს ზრახვა მისანი“
(23. 2).
„თქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან: ეკმნათ კაცი ხატად და
მსგავსად ჩვენდა“ (89. 1).

„გაბაასება“:

„ცნა რა ესე ცოლმან მისმან, სტირს, წუხს, იგლოეს ურეული“ (23. 3).

„ფიციტ იტყვის ღმერთმან მრქეაო, - კელაე ტყუილსა საკეირველსა, - ვინც ილოცოს სარკინოზმან ამ სახლს შენსა საკეირველსა...“ (119. 1-2).
„მომღებელმან პურისამან თვალი იპყრა, მიეცადა“ (257. 3).

ბ) ხმოვან-ფუძიანები:

„სრბით სლეა უჯეროდ, ძნელ-გასამრჯელოდ უქმნის რისხვამან კელაე მის მიერმან“ (70. 3).

„ღმერთმან და ძემან, ღმრთისა სიბრძნემან, ყო ეს უაღრეს სულთა ყოველთა“ (77. 10).

„გაბაასება“:

„აწ ყურანიცა გასინჯეთ, თუ არ მობებლოს ქელამან“ (200. 4).

„თუ გკითხოს ურწმუნომან: ღმერთს ძე როგორ ეყოლეისო?- ესრეთ უთხარ შენ“ (228. 0).

როგორც საშუალი ქართული ენისათვის არის დამახასიათებელი, ორივე ძეგლში თითო-ოროლა სახით გვხვდება აგრეთვე მოთხრობითი ბრუნვის გამარტივებული ნიშანი -მა/-მ:

„სომეხთ მეფენი მტერთ სისხლ-მჩქეფენი, ღმერთმა არ ღირსყენა უფლებათასა“ (85. 4).

„აფუცა მონამა: ზეციტ მონამა მანანა ჩვენთვის მწყერ-მარხილებით“ (65. 1).

„გაბაასება“:

„გრძლად არ გეტყვი, საწყინოა, შოთამ - ლექსის პატრონისა“ (251. 4).

„დასწერა, თუ: ამისთვის ქმნა ქრისტემ თავის ზეცად რება“ (269. 1).

რადგან მოთხრობით ბრუნვაზე გვაქვს მსჯელობა და ბოლო მაგალითებად საკუთარი სახელებია მოყვანილი, ბარემ იმასაც აღენიშნავთ, რომ, როგორც ძველ ქართულშია გაბატონებული, აქაც ორივე ნაწარმოებში საკუთარი სახელები სახელობით და მოთხრობით ბრუნვებში ჩვეულებრივ ფუძით არის წარმოდგენილი.

ა) სახელობითი ბრუნვა:

„მენანდარ გიცნობს, ოქრო-ამად გიძნობს, სამუსიკო ზირაქისაო“ (25. 3).

„მან ყო არიოზ და ევმანიოზ საბელიოზით შორს ხეებულისა“ (86. 4).

„მასთან ასკლიპოს ველარ მუსიკობს, თვით ქებად თქვენდა განლიგებულ არს“ (102. 4).

„გაბაასება“:

- „გამხიარულდა მუნ ნებროთ, თვით შთამოვიდა ქვეყნადო“ (53. 1).
- „ისაკ დაკალ, შემომწირე! - ესე სიტყვა გამოსცა და“ (58. 3).
- „მიქელ, გაბრიელ, რაფაელ მისგან ძრწვის, რო არ იხოსა“ (138. 1).
- „სვიმიონ განკრთა, განცვიფრდა, იქმნა რა ამის მცნობელად“ (175. 4).

ბ) მოთხრობითი ბრუნვა:

- „მოსე და არონ თხემსა დაარონ მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა“ (12. 4).
- „იროიკ, ბოლრატ, პარმენიდ, სოგრატ უფლად გთქვეს ზღვისა და კმელისათა“ (56. 2).

„გაბაასება“:

- „სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღეთისა“ (1. 1).
- „ისაკ დაიპყრას ქვეყანა, სარრა აწოოს განა ძე!“ (56. 4).
- „იაკობ კიბე იხილა მიწით ცად მწვედომი, მაღალი“ (64. 1).

სხვა საკითხია და ქვემოთ არის აღნიშნული: როგორც საშუალი ქართულისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნაწარმოებებშიაც გვაქვს პირის სახელების სახელობითისა და მოთხრობითის ბრუნვის ნიშნიანი ფორმები.

რამდენიმე ნიმუში, სადაც მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამარტივებული -მა/-მ არის, ზემორეა დამოწმებული.

3. გარკვეულ ბრუნვებს შენარჩუნებული აქვს ადრინდელი ფუნქციები.

ა) მ ი ც ე მ ი თ ი გამოხატავს *სადარობითობასა* და *მიმართულეობითობას*.

- „შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო, არჩილს ვაქებდეთ მეფედ
კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ-მაჩინეთს თარშის
ცხებულსა, კებულსა!“ (2. 1-2).
- „შესამოსელი, შესამკობელი გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი“ (37. 1).
- „მცხინეარებითა ღმრთაებისითა ფერი იცვალა თაბორს დიდებით“ (92. 1).

„გაბაასება“:

- „სამთა მათ ყრმათა ბაბილონს აკურებს ცვარს ანგელოზი“ (45. 1).
- „კაენს ესტუმრა ჯოჯოხეთს, სამოელ ცეცხლი უნთოსა“ (54. 4).
- „მათთა ტომთა ცოდვა დელავს, ქვესკნელს ჩავლენ გარ განაპებით“ (60. 4).
- „ელუსაღემს არს წიგნები, სულის წმინდით დაწერილნი“ (160. 2).

ბ) მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გამოხატავს *გამოსვლითობას*:
„ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზებერ
სადარი“ (3. 2).
„ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ენგადიმისად“ (7. 2).
„ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად, - ჩვენ თქვენდა ქებად
სიტყვა რა ურთით?“ (27.1).

„გაბაასება“:

„სამოთხით ექსორიობა ესრეთ თქვა ადამ-ევასო“ (50. 1).
„ისმაელით გამოვიდეს ყოვლნი კაცნი ღვთის მგმობელნი“ (69. 1).
„დაწერა: კელი ვიხილე, მას ფარდით გამოვეო და“ (122. 1).

გ) ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი გამოხატავს *მიმართულებითობას*:

„პირველ მყოფისა მის მეუფისა სპარსეთად ძელის წამყვანებელსა“
(38. 2).

„გაბაასება“:

„რა დაღერდენ იგ ბარტყები, ნებროთს ზეცად აღიტაცებს“ (51. 3).
„იაკობ კიბე იხილა მიწით ცად მწედლომი, მაღალი“ (64. 1).
„აბრჰამ წავიდა ქალაქად, წყლის პირსა რასმე მივიდეს“ (80. 1).

რა თქმა უნდა, სამივე ბრუნვის აღნიშნულ შინაარსთა გადმოსაცემად ორივე ნაწარმოებში გამოყენებულია თანდებუ-
ლიანი ფორმებიც (თანდებულების შესახებ იხ. ქვემოთ).

4. მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ჩვეულებრივ *შეთანხმებულია*
ს ა ზ ღ ვ რ უ ლ თ ა ნ ბრუნვასა და რიცხვში (გვ. 66-67).

ა) შეთანხმება ბრუნვაში. მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი:

„განპინებული, ცნობა-ენებული მესდატეხილ ყენის მკლავმან
ძლიერმან“ (70. 2).

„თქვა შემოქმედმან, ...
ღმერთმან ღმერთამან, ძველმან ღღეთამან, ვინ თანასწორად სულსა
აელენდა“ (89. 1-2).

„გაბაასება“:

„ვინ იყო მამის წიაღთა, მან ძემან მხოლოდშობილმან,
განცხადნა რა იორდანეს, სამებით სრულმან ცნობილმან“ (152. 3-4).
„ოთხმოცდარმან ფსალმუნმან როგორ აძაგა და ვით ის“ (112. 2).

მ ი ც ე მ ი თ ბრუნვაში შეთანხმების ნიმუშად კ. დანელიას მოჰყავს საძიებელი ხოტბის შემდეგი სტრიქონი (გვ. 66):

„ვის მზედ ხალიად, ვგრეთ მალიად მორბედად შავსა ტაიჭსა ზისა“ (49. 4).

ნამდვილად კი გამოცემაში „ტაიჭსა“-ს მაგივრად თანდებულიანი ფორმა გვაქვს: „ტაიჭზე“. ისე კი აღნიშნული შეთანხმების ნიმუშები, რომლებიც „თამარიანშიც“ ყოფილა, „გაბაასებაშიაც“ ბლომად გვხვდება:

„დაეხლომოდი ცრუს მოციქულს, ფინთს შეესცხებელი ფიცხლაე წვერთან!“ (32. 4).

„მოსე სწერს: ამცნო უფალმან ადამს, პირველსა მამასა“ (193. 1).

„შეილი ვკადრებ წმინდას მამას, ჭკეას ვერ ვსწამობ ერთის მისხლით“ (255. 4).

შეთანხმება ვ ი თ ა რ ე ბ ი თ შ ი:

„ძირმტიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად ცის კამარათა სჩანხარ ზესთ მდეგად“ (61. 1).

„გაბაასება“:

„მან განავლო მეთორმეტედ ეტლად მნათობთ თეეზის ფრთესო“ (52. 3).

„არეინ უემობს სამად თვალად სწაელით ვინ ბრძნობს და ნათელად“ (140. 2).

„ცისკარ, ნათელ განთიადი არ ითქმიან სამად ნათლად“ (142. 1).

ბ) მ ა რ თ უ ლ ი:

„სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად“ (16. 3).

„მნედ ტარიგისად, ვითარ იგი სად ცხორებდა ჩვენთვის ქვეყნად ქვე ველთა“ (77. 3).

„ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად დავით გიწოდა თვისად მკვიდრობად“ (79. 4).

„გაბაასება“:

„ხედ ცნობადისად პურს უწოდს, სცა კარსა ადამ ევასო“ (50. 3).

„ერთგულთ-ცვარად წყალობისად, ურჩთ -საკმილად მოდებული“ (158. 4).

„აღღგა რა მკედრეთით, ვით იქმნა მუნ წყაროდ უკვდავებისად“ (216. 2).

„რა უჯერო არს, უცნობნო, ძედ ღვთისად რომ თქვა მესია?“ (229. 1).

გ) შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა რ ი ც ხ ე შ ი:

„აფთონს ბრძავს, ათენს, ესრეთ გაათენს წყველიაღს ნათლად სხიენი
მზისანი...
ფშის და სურნელობს, თვით მომცემელობს, ჩეენდა სიბრძენსა
მაღლნი ღმრთისანი!
ვისცა შეპრისხდა, ნამდვილვე მიძხვდა მას საღმობანი სიკედილისანი“
(23. 1, 3-4).

„გაბაასება“:

„პირველ სპანი მამადისნი ბერძენთაგან იძლოდა“ (28. 1).
„ისრაელ ძენი აკურთხა თორმეტნი მამათმთავარნი“ (65. 1).
„მოსეს, დავითს, ნათლისმცემელს მათნი ტომნი წარმოშობდეს“ (68. 2).
„ისმავლით გამოვიდის ყოველნი კაცნი ღვთის მგობოელნი“ (69. 1).
„მღვდელნი ღვთისანი გემსახურებს, არს ჩეენდა მოსაკაზმისა“ (280. 2).

5. რ ი ც ხ ე ი (67). ე. წ. „აბდულ-მესიანში“ და, საერთოდ, საშუალ ქართულში გაბატონებული ადგილი უჭირავს ნართანიან მრავლობითს, ხოლო ებიანი აქა-იქ გვხვდება. ასევეა „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაშიც“. კ. დანელიას ნაშრომში დათვლილია, რომ საძიებელ ხოტბაში ებიანი მრავლობითი 10-მდე ყოფილა გამოყენებული. ამგვარივე შეფარდებაა „გაბაასებაშიაც“ - 40-ზე ცოტა მეტია. აქედან თითქმის ნახევარი სარითმო სიტყვებია, დაახლოებით მეოთხედი ერთი სიტყვაა - „წიგნები“.

აქაც, როგორც საშუალ ქართულშია, ებიანი მრავლობითი ზმნას რიცხვში ხან ითანხმებს, და ხან არა. ხოტბაში ამგვარი მრავლობითიანი სიტყვა ქვემდებარედ არ გვხვდება. „გაბაასებაში“ არის რამდენიმე შემთხვევა. აი, ისინიც. ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს:

„დაშერეს, დავარდეს, გა-ცა-დრკეს მოედანს უმწყსი კიცივები!“ (286. 4).

ა რ ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს:

„ერუსალემს არს წიგნები, სულის წმინდის დაწერილნი“ (160. 2).

ერთ სტროფში ერთგან ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს, მეორეგან ა რ ა:

„მაღლებიც მაგით იზრდების, კემელს პოებს ანუ დამბალსა,
დაცვა რომლითა შეიქმნა ღორებიც სჭამენ დამბალსა“ (196. 2 - 3).

ასევე ერთი სტრიქონის მანიპილაცია:

„რა დაღერდენ ივ ბარტყები, ნებროთს ზეცად აღიტაცებს“ (51. 3).

ზ მ ნ ი ს განხილვისას კ. დანელია ე. წ. „აბდულ-მესიან-სა“ და „თამარიანში“ ყურადღებას აქცევს შემდეგ არქაულ მოვლენებს:

1. ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს მწკრივთა ფორმების აშკარად ჭარბად გამოყენება (გვ. 67). ხოტბიდან უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ს ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი ს ნიმუშებად დამოწმებულია:

„ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი აღიდებდიან შეებით და ხლდომით“ (10. 2).

„მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა აღიდებდიან ყრმანი და ბერნი“ (83. 3).

„ბუკ-ტაბლაკობით საარაკობით მედგრად იბრძოდის გამწყაზრებითა“ (75. 2).

ეს ფორმები „გაბაასებაშიც“ საკმაოდ ხშირად გვხვდება:

„ბანით საზრდოს აძლევდიან ლაგეინს, საესეს პინაკებსა“ (171. 3).

„ისრაელთ მსგზავსად გვიძოდის, შურსა იქს მოსეს ბაძურსა“ (185. 3).

„რომლით მექდართა აღადგენდის, ბრმათ ღირს ყოფდით თვალთ ამხელად,

ყრუთ ასმენდის, მკელობელნი ბრძანებით ქმნის მსწრაფლ მიმოსვლად“ (214. 2-3).

„პირველ აღმართულს კარაესა დღე ყოველ შევიდის მღვდელნი, მსახურებდიან პურითა ღვინისა თან შემწირველნი“ (252. 1 - 2).

მ ე ო რ ე ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი :

„ცუდ-ყენის მან მტერნი, ორგულთა ერნი, საკმილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა“ (12. 3).

„იყვის რაზმითა, ურიცხე რაზმითა გულის-მღებელად თვისთა სპათათვის“ (31. 1).

„მტერთ არე წყალი და ნაბერწყალი მიჰფინის მათა მისთა არმურმან“ (70. 1).

„გაბაასებაში“ ამგვარი მაგალითი უამრავია:

„ანგელოზმან აღამღვრივის პროვატიკის საბანელი, ვინც უძღური პირველ შთახდის, განიკურნის, იქმნის მრთელი“ (46. 1-2). „ღვთის თანასწორად დაუდომად, მითხარ, სხვა კაცი რად სთქვისა, წინასწარმთქმელად მეფედ ჯდა, უფლად მის მეტი ვინ ყვისა?!“ (202. 2-3).

„ურთ ასმენდის, მკელობელნი ბრძანებით ქმნის მსწრაფლ მიმოსვლად“
(214. 3).
„იყვის, ახლის სჯულის მსგზაესად, ხორცთა სისხლის შემწირველად“
(253.4).

2. „-ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები ჰირველი სერის მწკრი-
ვებში ძველი ქართული ნორმისებრ არიან წარმოდგენილი“ (გვ. 69):

„იკითხვენ, სწერენ, თაყუმსა სჩხრეკენ, რამლს ჰკრვენ, არჩევენ ჰინდთა
მათთაგან...
ხედვენ მზერითა სწორავს მზე რითა? - ფიცვენ: მიპრიდა თვისთა
სხივთაგან“ (17. 1, 4).
„ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს, ვითარცა შუკავს მონათ
რიდებით“ (92. 3).
„ენატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ
სხეულთა“ (105. 4).

„გაბაასება“:

„ანგელოსთა იხილვიდენ პირველ წინასწარმეტყველნი“ (25. 2).
„სხვანი შეილებს კერპს დაშუკლვენ, გმობენ, ეინცა გამოსცადა“ (58. 1).
„საეროს წიგნად იკითხვენ, «დარეჯანიანს» უწოდენ“ (70. 4).
„სადეთოს ვენახის მუშაკი თესლს არ სთესვიდეს ღვარძულსა“ (185. 2).

3. „სტატიკური ზმნები უმეშველოდ არიან წარმოდგენილი“ (გვ.
69).

„გაესილო ამით, ჰგავ, სილოამით შეცოდებისა ბიწთა წარმღვენელად“
(9. 1).

კ. დანელია ხოტბიდან მხოლოდ ამ ერთ მაგალითს იმო-
წმებს, დანარჩენები - ვჩანთ, ჩან, - „თამარიანიდან“ მოჰყავს.

„გაბაასება“:

„თვით ცისკრისა მთიებად ესჩან, სანთლად მათთვის წინ მღებარედ“
(8. 3).
„დაბეჭდეს, მოგეცეს, გვიპყრიეს მტკიცედ ესდგათ მით სჯულებრად“
(144. 3).

4. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნების აწმყოს მესამე
სუბიექტური პირის დაბოლოება მხოლოდით რიცხვში არის
მხოლოდ ი-ს (გვ. 69).

- „ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაებმის, ბრგენილ-
ჰყოფს ენითა“ (15. 1).
 „ახალი ფასი ა ხალიფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად“ (16. 4).
 „ლხინად გვეყოფის, არ გაგვეყოფის! არს მიწვიე შევებით და
განცხრომითა“ (18. 4).
 „ვინა იშვების, სად აღიზრდების, რომ ჰქონდეს თქვენებრ
ჭკეა-მხედველობა“ (99. 2).

„გაბაასება“:

- „სამიე ერთად იხილვების, განუყოფლად სა-ხედ არი“ (139. 3).
 „კაცთაგან, ანგელოზთაგან არ ითქმის, ვინ და სად არი“ (147. 1).
 „ძაღლებიც მაგით იზრდების, კმელს პოებს ანუ დამბალსა“ (196. 2).
 „სამთავ წიგნი ერთმანერთსა ემოწმების ერთობ წმინდათ“ (199. 3).

5. „ძველ-ქართულისამებრ უწვევტილისა და წვევტილის მესამე
სუბიექტური ჰირის მრავლობითი რიცხვის დაბოლოება არის ეს, სადაც
შემდგომ - ნენ დამკვიდრდა“ (გვ. 69):

- „ე საც ერია, მეხებერ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულ-დაღეული“ (29. 2).
 „მიძხედეს სიბრმესა, დაადეს სიღრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა
ლოდნი“ (34. 2).
 „მისთვის უბილად, განსალიგებლად შეიქმნეს მდედრად სხვანი
ძლიერნი“ (83. 4).

„გაბაასება“:

- „ფიცხლავ ბრძოლად აღიჭურნეს ერთმანერთზედ, მოკედა რომ ის“
(132. 1).
 „მათ წმინდა წერილი იყვნეს ენითა ებრაელითა“ (156. 1).
 „იერუსალემს ძველადვე აღზრდილი იყვნეს ესენი“ (182. 1).
 „ამათგან იქმნეს ყოველნი ჩვენნი წიგნები თარგმნილად“ (187. 1).
 „არ ურჩ ექმნეს, გველს უსმინეს, კელყვეს საქმე მპარავისა“ (194. 2).
 „მოიწივნეს რა მონანი აღგილსა მას მოქმედთასა“ (220. 1).
 „ურიანი განარჩევედეს, მიუგებდეს ამ სიტყვათა“ (223. 1).
 „შურით აღივსნეს, შეიპყრეს, სისხლი იქედნეს კისერთად“ (232. 3).

6. „მომავალი დრო გადმოიცემა მეტწილად კავშირებითი კილოს
ფორმით“ (69).

- „ვიწყო-ლა ქებად, ძვილ შეკადრებად: მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის
მკურობელი“ (4. 1).
 „ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა“
(5. 2).

„გაბაასება“:

„ორითავე მიზეზითა მადლი გქონდესთ, ცხოვრდეთ ტკილათ“ (27. 2).
„ვიდრემდის რომ მოლოდება იგ წარმართთა მოვიდესო,
რომელი არს განმზადებულ, მას ყოველნი ესვიდესო,
იგი მყოფი საუკუნოდ თვით დაადგრეს, ეს ვიდესო“ (66. 2-4).
„თუ იხილო, განგიქაროს გულსა სევდა შემოყრილი“ (160. 4).
„ვახსენო ქრისტეს საფლავი, სად თქვენ ხართ კლიტეთ მკურობელად“
(243. 1).

7. „ზმნაში ნარნიანი ჰირდაჰირი ობიექტის მრავლითობა სათა-
ნადო სუფიქსით აღინიშნება“ (გვ. 69):

„იემარნის მკლავნი, კაფად მომკლავნი, აღმატებულნი, გრიგალ-ქარული“
(29. 4).
„მებრძოლთა გუნდნი ყოველად ყენის ცუდნი, კმა როსტომითა უმხნე
ბალთათუს“ (31. 4).
„დრო შემოიგდო, დროშა მოიგდო, მტერნი დახოცნის აოკრებითა“ (75. 1).

„გაბაასება“:

„ქება მწაღს შენი, უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ“ (3. 4).
„ქალმან ფიცით დააჯერნა სხვა დედანი მაშინდელნი“ (25. 3).
„გააქცივნეს ურიანი, სიძე მესნელად იცნა მოლა“ (31. 4).
„ანგელოზით გედონცა მტერნი მოსრნა, ზოგნი ბაქოს“ (37. 3).
„მათ იხილნეს მოციქულნი, ერუსალიმს მსწრაფლ შესულნი“ (168. 3).
„განქიქებულ ჰყვნა ეშმაკნი, კერპები განათრიესო“ (176. 4).

სხვა საკითხია, რომ ორივე თხზულებაში არის ამ წესის
დარღვევის შემთხვევები.

8. „მცა (მოკვეცით მც) ნაწილაკთან კავშირებითი კილოს შინა-
არსი თხრობითი კილოს ფორმითაა გამოხატული“ (გვ. 69-70):

„ნერგად ვარდისად იერიქოსად სხვამც რა ვახსენე მსგავსად ამისად?“
(7. 3).
„მართებს, რომ ცამცა ჰქონდა მასცამცა სახლად სამყოფად
განჩინებული“ (68. 4).

„გაბაასება“:

„ორთ გრძნეულთ სხვათ აწერინა, სულმც შეახმების იგ ნები!“ (48. 4).

„ზაკეის თრთვილს უშვებს, გესლს ატანს, კრებულებს დაესეტყოლა!“
(122. 4).

„ვის არ სწამდეს იგ სამებით, ნუმც იხილავს აღვსებასა!“ (146. 4).

„თუ ტყუილი მოგეგონოსთ, არამც პირი დაგეყოფათ!“ (273. 4).

ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მცა/მც ნაწილაკის ხმარების შემთხვევები აღრიცხული აქვს ი. ლოლაშვილს თავის გამოცემაში და თავად შენიშნავს, რომ „აქ მისი ხმარების წესი ზოგჯერ დარღვეულია, გასწორებაც შეუძლებელი ხდება (გასასწორებელი სიტყვა რითმაშია მოქცეული)“ (გვ. 280). აი, ის შემთხვევებიც, სადაც ამ ნაწილაკის ძველი ფუნქცია მოშლილია:

„მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო, უფალსა ჩემსა რამც გამყაროსა!“
(11. 4).

„კვერთხი მეფეთა, დიდ კელმწიფეთა, თვით გაქვს გებალით: სხვამც რად ეკეთოს?“ (36. 1).

„ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა, განწმენდით ქმნილსა, განბრწყინებულსა?“ (95. 1).

„თუცა ვიტყოდნი, უწყი: ვიტყოდნი, ენამცა ბრგენილად დამეყბედოსა“
(96. 1).

„გაბაასებაშიც“ ამ ნაწილაკის ხმარების ძველი წესი დარღვეულია:

„მოკლედ გეტყვი გრძელს სიტყვასა, არამც ჰქონდეს გამწარება“ (179. 4).

„თქმულა: ცოფს ძალღს პურს ნუ აძლევ, არამც მოგწოდეს, გიკბინოსა!“
(248. 1).

9. „ძველი ქართულის ინფინიტივისებრ ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენილი საწყისი გამოყენებულია ჰირდაპირი დამატებისა ან მიზნის გარემოების ფუნქციით“ (გვ. 70):

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად“ (1. 1).

„ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო, ვერ ძალ-გიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა“ (2. 4).

„ვიწყოთ-ღა ქებად, ძვილ შეკადრებად, მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი“ (4. 1).

„თავს აბარებდენ, არა, ბარე ბდენ, მყის გლოვად იწყეს ალვარგულობით“ (67. 3).

„გაბაასება“:

„თიხის-წუთხნი ბაგე დაეხშენ, ვერ მკადრეობს ქებად, თრთისა“ (1. 4).
„რაუამს ისო ბრძოლად იწუო სპათ მარჯობით იერიქოს“ (37. 1).
„აწ, ვინათგან კერპთმსახურთა სჯული დახსნად გარდაეიდა“ (83. 1).

10. „მორფოლოგიური ტმესი არ არის დაიწებული“ (გვ. 70):

„წარ-თუ-წირულ ვართ, არ განწირულ ვართ, რადგან თქვენ გპოვეთ
მზედ უფლობისა“ (62. 2).

„გაბაასება“:

„ვის ძალ გედვასთ, ქენჯნეთ, გვემეთ, სისხლთა მათთა და-ცა-სთხედით“
(135. 2).
„დაშერეს, დაეარდეს, გა-ცა-დრკეს მოედანს უმწყისი კიცეები“ (286. 4).

11. „ძველი ფორმა აქვს შენარჩუნებული ხშირი ხმარების
ზმნებს“ (გვ. 70): არს, იყავთ, ჩნდეს, სტირს, ბაძაეს, ჰხადის,
ეფუცა, ვალს, სძლო. უმეტესად მითითებულია „თამარიანი“.

„გაბაასება“:

„მისი ისმინეთ, იგი არს ფელამბრად, ბეჭდად სრულქმნილად“ (96. 2).
„უელის უყრელი საუნჯე არს ბელიერის ხაზინა!“ (98. 4).
„სცნა რა ესე ცოლმან მისმან, სტირს, წუხს, იგლოვს ურეული“ (23. 3).
„ისმიტელთა, მოაბ და აგარიანთ სწყევს დაით ის“ (112. 3).
„ისაკ უკურთხა უფალმან, პირმშოდ იგი ჰყვა გან ძე ბად“ (117. 3).
„სახელი სდვა მას ქაბესა ბილწმან მაქად, მაქათულად“ (118. 1).
„ნუ უცხოოდ გიჩნს სატანასგან ბელიარ სით მოაბას რა“ (123. 1).
„მწადას, რომ გვემო, კვერთხი დაეცხო ცრუ ქადაგსა განაჭერად“ (125. 3).
„მან რქვა: ვიდრე მოვიდოდე, რაც გინდა ქენთ იმ ჟამამდის“ (128. 3).
„მივალს ღვთაების ნათელი წლითი-წლად ცხად სახილველად (243. 2).
„ერთგზის შევლის წელიწადსა მღვდელმან ღვთისა სადიდებლად“ (253. 2).

II. ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი (გვ. 70-76). იგივე
ვითარებაა ენობრივი სიახლეების მხრივაც.

1. არც ერთსა და არც მეორე თხზულებაში სახელობით,
ნათესაობითსა და მოკმედებით ბრუნვაში მ არ დასტურდება.

2. პირის სახელების ბრუნება ზოგჯერ გათანაბრებულია
საზოგადო სახელებთან. კ. დანელია ნიმუშებს იმოწმებს „თამა-
რიანიდან“ (გვ. 71): „არისტოტელმან მეძიებელმან თავი თვით

მისცა საძიებელად“ (XVII. 24). „არისტოტელო, ბრძენთა ტომე-
ლო“ (შესავალი, 2. 5). ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ვკითხულობთ:

„ასაფ-ი-ც არი ა საფიცარი, დამამტკიცარი წინასწარისად!“ (7. 4).

ი. ლოლაშვილის განმარტებით, აღნიშნულ სიტყვაში იგუ-
ლისხმება ბიბლიური ასაფ-ი - „განთქმული მგალობელი ღვთის
წინასწარმეტყველის კარზე“ (გვ. 164-165). ქართულ ბიბლიაში ეს
სახელი „ასაფ“ ფუძით არის წარმოდგენილი³: „ელკანა, ძე
მისი; იაბი ასაფ, ძე მისი; ისირი, ძე მისი; ოზია, ძე მისი“ (I
ნეშტთა, 6.23); „და ძმა მისი ასაფ, რომელი დგა მარჯვენით
მისა, ძე ბარაქიასი, ძე სამაასი“ (იქვე, 6. 39) და სხვა.

„გაბაასებაში“ ბრუნვის ნიშნიანი საკუთარი სახელები
საკმაოდ გვაქვს:

„მოამედი აღს წყალობას საიდუმლოდ უქადებდა“ (131. 1).

„კვლა აქაცა მოამედ-მან ღვარძლი სთესა რიცხვით ერგას“ (59. 3).

„რაც მოგვიტხრა დიდმან მოსუ-მ, მეც მას გეტყვი დაუკლისად“ (195. 4).

„თომა-მ გვერდი განიხილა, მკედრეთით აღდგა ისა როდის“ (266. 1).

ემფატიკური ა-ს დართვა:

„მენანდარ გიცნობს, ოქრო-მად გიძნობს სამუსიკოო ზირაქისა-ო,
არსება გმზეობს, მის მიერ გმზეობს, წიაღი გელის აბრამისა-ო“ (25. 3-4).

„გაბაასება“:

„სენი ჭირდა მოამედს-ა: ბნელით იყო იგ ვნებული“ (23. 1).

„მოსეს რკენით ამაღეკს-ა დასცემს, შეიქს კვეთებულსა“ (35. 3).

„იკითხე, გვამცნებს ქრისტესთვის წერილი მაჰმადისა-ო“ (209. 1).

3. „ნახარია ძველი სალიტერატურო ქართულისათვის უცნობი
ის ნაცვალსახელი“ (გვ. 71):

„ეცის ვის ის რა, გულსა თვით სისრა მყის განაწონის მან სახიერმან“
(70. 4).

უმეტესი მაგალითები „თამარიანიდან“ არის დამოწმებული.

³ ესარგებლობთ მცხეთური ხელნაწერი, გამოსაცემად მოამზადა
ელ. დოქტორი ა. შ. ვ. ი. ლ. შ. ა. თბ., 1982.

„გაბაასება“:

„ის წიგნი კელად მივიღოთ, სცნობენ, რას ტყუვილს უბნობენ“ (61. 3).
„მენედ, ძლიერად, ახოვანად მათს ცხოვრებას ის მოგვიტოხრობს“ (71. 3).

ხოტბიდან გამოყოფილია გამარტივებული იმ ფორმა:

„იმ ალვისა ხედ იმაღლი სახედ, მჭერეტთა შემწველ კყოფ მით
მოტყინარედ“ (54. 1).

„გაბაასება“:

„თქვენც გასინჯეთ საკიცხელი სასწაული იმ ქაჩლისა“ (124. 4).
„მან რქვა: ვირე მოვიდოდე, რაც გინდა ქენთ იმ ჭამამდის“ (128. 3).

ყურადღება ექცევა „თამარიანსა“ და ე. წ. „აბდულ-მე-
სიანში“ იგ (= იგი) ფორმას:

„იტყვის იგავსა, არ თუ იგ ავსა, ზირაქის მსგავსა, გულისხმიერად“
(966. 2).

„დავით-იგავნი, - ვინ თქვა იგ ავნი? - სიბრძნე დიდისა სოლომონისა“
(103. 2).

თუმცა კ. დანელია მიუთითებს, რომ ეს შემოკლებული ფორმა რამდენიმეჯერ „ვეფხისტყაოსანშია“ ნახმარი⁴, მაინც მიიჩნევს, რომ ის ხელოვნურია და ლექსის შეზღუდულობის გამოა წარმოშობილი. მისი სიტყვება: „ასევე უცნობია ძველი ქართულისათვის იგ ფორმა, რომელიც უთუოდ იგ-ს შეეკვდილი სახეა და ნახმარია ლექსის მეტრის ან რითმის მოთხოვნით“ (გვ. 71). „გაბაასება“ კი გვიჩვენებს, რომ იაკობ შემოქმედელისათვის აღნიშნული ფორმა ჩვეულებრივი, იგ-ის შემცველი, პარალელური სიტყვაა:

„რაცა შენთვის არ ევარგოს, იგ ნუცა შენ სხვისთვის გინდა!

იგ შენდობა შეცოდების სამოცდაათგზის უნდა“ (15. 2-3).

„აქლემების სამსახურად იგ მიენდო ქალს მეძავსა“ (20. 2).

„იგ ამხედრდა, მსწრაფლ მოვიდა, სპათ სიმრავლით იწყო ბრძოლა“ (31. 2).

„იგ ეშმაკით მოივლინა, არ თუ მოსე არზარქარი“ (47. 1).

„რა დაღერდენ იგ ბარტყები, ნებროთს ზეცად აღიტაცებს“ (51. 4).

⁴ ამ ფორმის შესახებ, საერთოდ და კერძოდ „ვეფხისტყაოსანში“, იხ.: ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოკვლევა: იგ ნაცვალსახელი პოემაში (თხზულებანი, V, თბ., 1986, გვ. 383-387).

ასევეა 48. 4; 52. 2; 61. 4; 89. 1; 91. 1; 108. 3; 113. 1; 124. 3; 140. 3; 146. 4; 151. 4 და სხვა სტროფებში.

„გაბაასებაში“ იგი და იგ ზოგჯერ ერთსა და იმავე სტროფშია გამოყენებული:

„ვიდრემდის რომ მოლოდება იგ წარმართთა მოვიდესო,
ი გ ი მყოფი საუკუნოდ თვით დაადგრეს, ეს ვიდესო“ (66. 2, 4).

„ისაკ აკურთხა უფალმან, პირმშოდ ი გ ი ჰყვა გან ძე ბად,
მისცა ლიბანის ღიდება, მტკიცედ დგას იგ ყრმა განძებად“ (117. 3-4).

აქვეა გამოყოფილი აგრეთვე ეს (←ესე) და ეგ (←ეგე)
გამარტივებული ნაცვალსახელები:

„აწყა რომითა ა წყარო მითა, ეს მოგვანიჭა ქრისტეს მიერად“ (66. 1).
„მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი, კეთილ განსხმული, სორექთ მომრთმელი“
(88. 1).

„თვით ლომი გმირი: ნუთუ ეგ მირი თქვენ ჰგონოთ მისებრ
ძლიერებითა?“ (69. 4).

„გაბაასება“:

„მადიამით მოამედით მრუდს სჯულს სცვლიან ეს ორია“ (22. 3).

„ჭურჭელ-ჭურმან ეშმაკისმან ცოლს უამბო ეს ხლათები“ (24. 1).

„მაშინც ეს იყენენ უღეთონი ტომები ისმაიტელთა“ (38. 3).

„არ ჰქონდათ წიგნი სჯულისა, მაგრამ ეს ოდენ სმენოდა“ (75. 1).

„ეს ქადაგება ვის სწამდეს, თუ არ აბღალსა ანელსა?!“ (89. 3).

„ეგ მართლა სთქვი: ანგელოზი ბევრს წმინდასთან ჩამოვიდა“ (33. 1).

ბოლოს კი აღნიშნულია, რომ „ბრუნებისას მსაზღვრელად
გამოუენებული ეს, ეგ ნაცვალსახელები ბრუნვის ნიშანს კარგავენ ახა-
ლი ქართული ნორმისებრ“. ნიმუშებად დასახელებულია „თამა-
რიანის“ ტექსტები: „ამ სოფლიერსა“ (XVIII. 19) და „არა მეგ
ზნითა, არ ამა გზნითა“ (VII. 40).

ჩვენი საკითხისათვის ზედმეტია, მაგრამ, რადგან საშუალ
ქართულთან გვაქვს საქმე, „გაბაასებიდან“ ამგვარ ნიმუშებს
მაინც დავიმოწმებთ:

„ამ ცოდვისთვის გაეზრახა, ღმერთმან აბრჰამ გამოსცადა“ (58. 1).

„ქრისტეს მოსვლამდი მამას ყვეს შვილები ამ კურთხევითა“ (67. 4).

„ამ სიცრუვის ბეზირგანსა ხომალდი აქვს ტყუვილისა!“ (87. 4).

რაც შეეხება მა (← მაგ) ფორმას, რომლებიც საძიებელი ხოტბიდან არის მოყვანილი, ომონიმური რითმებისათვის შექმნილი ხელოვნური ფორმებია და „გაბაასებაში“ მათი ძიება აუცილებელი არ არის. ხოტბაში, აი, ეს მაგალითებია:

„ეხედავ მა რტოსა გაშლით მარტოსა, გეართა მთაერობით ზესთ

საჩინოსა“ (59. 1).

„მა ლეგიონსა მალე გეონსა, დაანთქემდ უყსა საუფსკრულოსა“ (96. 4).

4. მსაზღვრელ-საზღვრული (გვ. 71-72). კ. დანელია სწორად შენიშნავს, რომ „მსაზღვრელ-საზღვრული სინტაქსის წევრთა რიგს... ლექსის სტრუქტურა განაპირობებს“. ვინაიდან საძიებელი ხოტბა და „გაბაასება“ განსხვავებული სტრუქტურის თხზულებანია, ამ საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიგვიცია. ამიტომ „გაბაასება“ ამ თვალსაზრისით თავიდან ბოლომდე არ შეგვისწავლია და მისი მხოლოდ ცალკეული ადგილების შემოწმებით დაკმაყოფილდით. განხილულმა სტროფებმა გვიჩვენა, როგორც ხოტბაშია, „გაბაასებაშიც“ მეტია მართული მსაზღვრელ საზღვრული, ხოლო ატრიბუტულსა და მართულ მსაზღვრელ-საზღვრულშიაც პოსტპოზიციურს პრეპოზიციული წყობა ბევრად სჭარბობს:

5. ა) გამარტივებულია ზმნისწინები: აღ→ა, წარ→წა, გან→გა (გვ. 72):

„დრო შემოიგდო: დროშა მოიგდო, მტერნი დახოცის აოკრებითა“ (75. 1).

„შკედრად ქველობით, უძღვევლობით, სახედ უსწორო ანაგებითა, უფლად სპასკეტთა, თვით ქალაქკეტთა, აქეს-ლა გოდოლნი ანაგებითა, მშვიდლთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა გულსა უწყალოდ ანაგებითა“

(19. 1-3).

„გავსილო ამით, ჰგავ, სილოამით შეცოდებისა ბიცთა წარღვენლად“

(9. 1).

„სჯულისა ლარი, ქვეყნის სალარი გამდიდრებული ფრიად ყოვლითა“

(69. 1).

„თვით გარდმოიჭრა, სული გაიჭრა, სატანჯველთ მიხხედა სასტიკთა,

მწველთა (91. 4).“

წა- ზმნისწინიანი ნიმუშები „თამარიანიდან“ არის დამოწმებული: „წაუძღვა“ (I. 43), „წაეიდის“ (I. 5-9). „გაბაასებაში“ ეს გამარტივებული ზმნისწინები ყველა დასტურდება:

„ულეთოდ კაცი თუ ამაღლდის, ნუ გშურს, ადრე წაიქცევა, ცოდვის საბრკით აგებული სახლი ძირით დაიქცევა“ (12. 1-2).

- „თვით ამკედრდა, მისთა ხლებად გაბრიელ თქვა ცად ამძღომის“ (120. 3).
 „თუ ყურანიც მათ არ გვანდეს, ღმერთმან სრულად ამოგწყვიტათ!“
 (199. 4).
 „ადგა, მასვე თაყვანის-სცა, წინ დგა ქრისტე მაცხოვარი“ (236. 3).
 „წაიღო, ყველა შთაყარა, რასაცა ღმერთად ესვიდეს“ (80. 3).
 „გასწმდა, განბრწყინდა, იხილა უფალი საყდართ მჯდომარი“ (44. 4).
 „აღორძნდეს, განვრცნეს, გამრავლდეს, რიცხვით ზღვის ქვიშათ განაჟ“
 (56. 3).
 „ამ ცოდვისთვის გაეზრახა, ღმერთმან აბრჰამ გამოსცადა“ (58. 1).
 „ნურვინ უსმენთ ცრუს მოციქულს, განკიცხულ ყავთ, გაბასრულად“
 (118. 4).

ბ) „გამარტივებულია ზმნა, ოდენ ზმნისწინია წარმოდგენილი... გამეორებული ზმნაც გამარტივებული ოდენ ზმნისწინის სახითა რეალიზებული“ (გვ. 72). ამგვარი ნიმუშები გვაქვს „ვეფხისტყაოსანსა“ და „თამარიანში“. ერთგან გვხვდება საძიებელ ხოტბაშიც:

„გიხმობ რომელთა, გიცნობ რომელთა, ყურნი მომიპყართ, მო გონებანი“
 (78. 3).

შესაძლებელია, ეს შემთხვევა გექონდეს „გაბაასების“ სტრიქონში:

„უმოწმოდ და უთავდებოდ, სიზმრის მსგზავსად მოჩვენებას,
 ამისგან გემს შემოქმედი, აღარ მოგყენეს, მო ჩვენებას“ (103. 3-4).

6. კ. დანელია „თამარიანიდან“ იმოწმებს ნიმუშებს, სადაც არის ზმნა გამარტივებულია - არს→ა: „იგია“, „ტრედია“ და სხვა. მიუხედავად იმისა, გვაქვს თუ არა ამგვარი შემთხვევები საძიებელ ხოტბაში, აღვნიშნავთ, რომ „გაბაასებისათვის“ იგი უცხო არ არის:

„სიძე სიმამრის საშველად აწ მტერზედ წინ მავალია“ (29. 2).
 „მე ამის თარგმანს გასწავებ: ვითამ თუ «ღმერთი მყარია»“ (105. 2).

7. ნარიანი პირდაპირი ობიექტი ზმნას ყოველთვის ვერთანხმებს რიცხვში (გვ. 73):

„გიძღვნა ქებანი, მწაღს აქ ებანი და, ვით ის დავით, ვჯდე მუსიკობად“
 (1. 2).
 „თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი? - გალაგანისა შემეკულობანი“ (39. 1).

„წარ-თუ-წირულ ვართ, არ განწირულ ვართ, რადგან თქვენ გოვეთ მზედ უფლობისა“ (62. 2).

„გაბაასება“:

„ფარაო და მეგვიპტელნი ქვესკელს დანთჳ მეწამულსა“ (35. 2).

„ისრაელ ძენი აკურთხა თორმეტნი მამათმთავარნი“ (65. 1).

„მონანულნი მოგვაქცივნა, ურჩნი უქმ ყო ბიცებითა“ (154. 4).

„მოისმინეს ბრძანებული, აღასრულეს მეფის თქმულნი“ (168. 4).

კ. დანელია მიუთითებს ერთ შემთხვევას, თითქოს ჩვენს საკვლევე თხზულებაში ზმნასთან პირდაპირი ობიექტის რიცხვში შეთანხმებისას მწკრივის ნიშანი სწორად არ იყოს წარმოდგენილი. „დავწებულია, - წერს იგი, - ძველი ქართლის მტკიცე ნორმა, რომლითაც ნარიანი ჰირდაპირი ობიექტისა ზმნა II კავშირებითის სუფიქსად მხოლოდ ე-ს ირთავდა (დავწერო იგი, მაგრამ: დავწერ-ნ-ე იგინო)“: მხედველობაში აქვს მე-20 სტროფის პირველი სტრიქონი:

„აღვძრნა ბაგენი, ბრგენილად მაგენი, გულისხმის-ყოფით შესხმად ქებისა“.

ასეა ეს ტექსტი დაბეჭდილი ბოლო, ი. ლოლაშვილისეულ, გამოცემაში. კ. დანელია წერს: „აქ ჰირდაპირი ობიექტი კია გამოხატული ნ-თი, მაგრამ ახლებურად ა არის II კავშირებითის ნიშნად ნახმარი, უნდა ეოფილიო აღვძრნე“.

ჩვენ გვეჩვენება აქ ავტორისეული შეცდომა იყოს. „გაბაასებაში“ მსგავს შემთხვევაში მწკრივის ნიშანი სწორად არის მოცემული:

„ვირემ დავსხნე მტერნი შენნი ფერხთა ქვეშე ქვე შენსადა“ (201. 4).

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ძველ ხელნაწერებში, A-სა და B-ში, აღნიშნული ზმნა ახალი ქართულისებურად, უნაროდ იკითხება: *აღვსძრა A*, *აღვძრა B*. ამიტომ ეფიქრობთ, აქ მწკრივის ნიშანში კი არ არის შეცდომა, არამედ, როგორც ზემოთ დამოწმებულ მაგალითშია, თავიდან დედანში ზმნასა და პირდაპირ ობიექტს შორის რიცხვში შეთანხმება არ გექონდა, უნაროდ იკითხებოდა, ხოლო ნარი მისმა გვიანდელმა გადაწერებმა შეიტანეს და, რადგან მაშინ ენაში აღნიშნული შეთანხმება

მოშლილი იყო, მერყეობდა, მწკრივის ნიშანი გაუსწორებელი დარჩა.

8. „გაახლებულია ხშირი ხმარების ზმნების ფორმები: მოხუედ→მოხველ..., არს→არის→არი“ (გვ. 73):

„მოხველ განრომით მტერთაგან, რო მით სიემნითა აზმნობ მძლედ მორკინალი“ (55. 1).

„ქე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი? ... აღმოსაველეთით და დასაველეთით, სამხრით ჩრდილომდის კპონ, სად არი“ (3. 1, 3).

„ასაფიც არი ა საფიცარი, დამამტკიცარი წინასწარისად!“ (7. 4).

„უფალთ მთავარი, მჭვერ სამთავ არი სამსაჯულისა სრულად მათისა“ (13. 3).

„მამის ძედ არი სამგზის ნეტარი, მეტრფე საქმეთა სახელისათა“ (47. 2).

მოხუედ/მოხველ სიტყვა არც ერთი და არც მეორე სახით „გაბაასებაში“ გამოყენებული არ არის, „არი“ კი ბევრჯერ გეხვდება და, როგორც ხოტბაშია, უფრო რითმად:

„მუნ ესაიას მარწუხით პირთ ცეცხლი ნაკვერცხლად არი“ (44. 3).

„აბრაჰამით ვრეკლემდის ბევრ გარდასულ წელნი არი“ (104. 1).

„ველარ იტყვიან გომობსა კორციც იქ არი ა სულად“ (130. 4).

9. „გამარტივებულია თანდებულები, ერთმარცვლიანად ქცეული თანდებული მიერთებულია ენკლიტიკად სახელს, რაც ბრუნვის ნიშნის დაკარგვას იწვევს: ზედა→ზედ→ზე“ (გვ. 73-74):

„ჯადაც ისეფქე, მოსრვით ისე ფქე, ბრჭალი ჰქმენ მათზედ მეოტ-მყრობელი“ (35. 3).

„ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო, ქმნილო სურნელთა მოსაფრქვეველად“ (100. 3).

„ხილვა მეფისა მჭერეტელთ ეფისა - თვალნი მალნიტზე ფოლადობითა“ (18. 3).

„ვით მზე ღალიად, ეგრეთ მალიად მორბედად შავსა ტაიჭზე ზისა“ (49. 4).

„გაბაასებაში“ გვაქვს „ზედ“ ფორმა:

„მე გაბრიელ ანგელოზსა ენახავ, ფეხზედ ვერ დავდგები“ (24. 2).

„სიძე სიმამრის საშველად აწ მტერზედ წინ მავალია“ (29. 2).

„ამაზედ შეიდ ყრმათ ეფესელთ საქმე ახსენა, დასძინა“ (98. 1).

„აქლემზედ შესვა, განაგდო, ღარი არ მიაქვს განძებად“ (117. 2).

„გაბაასებაში“ არ გეხედება „ზე“ ფორმა, სამაგიეროდ გვაქვს „შინას“ გამარტივებული სახე „ში“:

„ღეთის უცნობოს მთაერის ჟამში მღედელთ პატივი დააკლდების“ (16. 3).
„ერთს რაზმში მით ვერ დაესწრა, მწარედ ელმოდა თვალია“ (29. 4).
„ბეველს სჯულში «ნაჯიშად» იყო იგ ისრაელთა ერისა“ (276. 3).

10. „გამარტივებულია გაცვეთის გზით სშირი სმარების ნაწი-
ლაკი: არა→არ“ (გვ. 74):

„ლხინად გევეოფის, არ გაგვეოფის! არს მიწყიე შვებით და
განცხრომითა“ (18. 4).
„არ ევეჭვ, ეგზომი ბრძოლა და ომი სხეასმცა ძალ ეღვის მისგან
მიმართ ვის“ (31. 3).

„გაბაასება“:

„როგორც არ თქმულა ჰაერში ნაუარდი ქათმის უფროსა,
ესრეთ სიყრმიტან მართალი არ უთქვამს მაჰმადს უღეთოსა“ (54. 1-4).
„ლოცვა სრულად არ იცოდენ, არც ტაძარი უდგებოდეს“ (74. 4).

11. „გამოყენებულია ახალი კავშირები“ (გვ. 74-75):

ა) რომელ→რომე→რომ:

„ჩვენ რომ გვესმისა, წყაროდ გვესმისა სამოთხის წყლისა ცხოველისაგან,
ვთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა
მისთაგან“ (17. 2 - 3).
„ეფიცავ მე მაღლით, რომ ქვეყნის გაყრით ჰკლებოდეს ჟამსა დღეთა
ჩემთასა“ (106. 1).

„გაბაასებაში“ არის „რომ“, ორიოდ შემთხვევაში „რომე“:

„ეიდრემდის რომ მოლოდება იგ წარმართთა მოვიდესო“ (66. 2).
„რომ მოშიედის, საჭმლად დაკლის, ულაყუბით იზრდებოდის“ (74. 2).
„მათ რომ ჩვენთვის კნარცვი თხარეს, თვითვე შთაედეს, იბასრობდენ“
(74. 4).

„ეინ რომე მკლავთა მიირქვა უფალი სამ დიდებულნი“ (173. 4).
„რადგან რომე არ იწამეს ურიათა ქრისტე აროს“ (235. 1).

ბ) რადგან (← რათგან← რადგან):

„წარ-თუ-წირულ ვართ, არ განწირულ ვართ, რადგან თქვენ გპოვეთ
მზედ უფლობისა“ (62. 2).

„ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა რადგან დაებით, ბარე სულ ვით“
(67. 2).

„გაბაასებაში“ ეს კავშირი ზემორე მოყვანილ სტრიქონშია: „რადგან რომე არ იწამეს ურიათა ქრისტე აროს“.

გ) საძიებელ ხოტბაში ერთადერთხელ არის ნახმარი კავშირი „მაგრამ“ და ისიც გამარტივებული სახით - „მაგრა“ (107. 4). „გაბაასებაში“ ეს სიტყვა ცხრაჯერ გეხვედება და ყველგან - „მაგრამ“ ფორმით (33. 2; 71. 3; 167. 3; 217. 4; 219. 4; 231. 2; 236. 2; 246. 4; 289. 4).

დ) როს (← როდეს← რაოდეს):

„ვმობ ვამეყვისსა, არ თუ მეყვისსა, როს იავარ-ყო იამან ქეყენით“
(32. 1).

„მისრულ მისრულა, მისრულ მისრულა, გული როს მქონდა
სალმობიერად“ (66. 4).

„გაბაასება“:

„არა უყოს, როს მოვიდეს უფალი მის მიწა-ხისა“ (222. 4).

„როს გეწადოსთ სიტყვის-გება ბილწთ, უსჯულოსთ, ბრმათ თათართა“
(287. 2).

ე) ვით (← ვითა← ვითარ):

„განათლდა არე მისით, ვით მთვარე, როს განხმულ იყენეს ცანი
კომითა“ (18. 2).

„ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქეყენის მპურობელთა, ვით მზე დაჰფარავს
სხვათა ვარსკელაეთა“ (33. 4).

„გაბაასება“:

„ვით ისრაელთა მართალთა, მოსიან-დავითიანთა“ (77. 2).

„ეს ქადაგება ვით სწამდეს, თუ არ აბდალსა ანელსა“ (89. 3).

ვ) ვირე (← ვიდრე): ეს კავშირი გვაქვს „თამარიანში“. საძიებელ ხოტბაში გამოყენებული არ არის. „გაბაასების“ ხელნაწერთა უმრავლესობაში ამგვარი სახით მოგვეპარება:

„ვირემ დავსხნე მტერნი შენნი ფერკათა ქვეშე ქვე შენსადა“ (201. 4).

ერთ-ერთ ხელნაწერში (S 2775) არის „ვირე“.

12. გამარტივებულია ზმნიზედები (გვ. 75 - 76).

ა) მართლ→მართ (= ნამდვილად, სწორად):

„გერიტა მართვისა თვარ აქეს მართ ვისა თქვენებ სურვილი
მეუღლობისა?“ (62. 1).

„გაბაასებაში“ არც ერთი და არც მეორე ფორმა არ გვხვდება.

ბ) ყოვლად → ყოლა (= სრულიად, სავსებით). კ. დანელია ასახელებს მხოლოდ ერთ მაგალითს და იმასაც „თამარიანიდან“, სადაც ყოლა-ს ა მოკვეცილი აქვს: „ყოლ არ“ (VIII, 39). ამგვარადვეა „გაბაასებაშიც“:

„იტყვის ხოლმე: აბესტითა ცოდვა არც ყოლ არ გვექმნების“ (275. 1).

გ) კუალად→კულად→კულა→კვლა:

„მე თუ კვლად გაქო, ვიცი კლვად გაქო სხიეთა ნათელი გემსა
უხრწნელსა“ (41. 4).

„გაბაასება“:

„კვლა საუნჯე ეშმაკისა ბერი ამცნებს ბნელყურანი“ (49. 2).

„სულ შეღება თევზის სისხლით, კვლა ხელთ მისცა თვით ნებროთსო“
(52. 4).

„აღდგომა და ამადლების, კვლა დიდების მოსვლისადა“ (201. 2).

გვაქვს აგრეთვე „კვლავ“ (272. 2; 279. 3) და ძველი „კვალად“ (220. 3) ფორმებიც (გამორიცხული არ არის, აქ და სხვაგანაც ზოგიერთი ფორმა გადამწერთ ეკუთვნოდეთ).

III. დ ი ა ლ ე ქ ტ ი ზ მ ე ბ ი (გვ. 76 - 77). ასეთებად კი კ. დანელია გამოყოფს შემდეგ ფორმებს: ა) თვარ (←თუ არ):

„მისთვის წამალნი, სჯობს რომ წამ აღნი, თვარ იქმნეთ თვისთვის
მზახნი ავისა“ (48. 3).

„გერიტა მართვისა თვარ აქეს მართ ვისა თქვენებ სურვილი
მეუღლობისა?“ (62. 1).

„გაბაასება“:

„მერმე უთხარ: ზაკვით თქმულსა წიგნს ნუ უსმენ, თვარ გაცდუნებს“
(210. 2).

არის აგრეთვე „თვარამ“ (76. 3) და „თვარემ“ (192. 3; 198. 2).

ბ) დიალექტიზმად არის მიჩნეული რათ (←რად):

„ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად, - ჩვენ თქვენდა ქებად
სიტყვა რათ ურთით?“ -
ესავისითა ეს ავი სით-ა - მაუწყონ მთქმელთა, - თუცა რათ ურთით?“
(27. 1, 4).

„გაბაასებაში“ ორივე ფორმაა, როგორც „რად“, ისე
„რათ“:

„ღვარძლი გითესავთ, გეყოფათ, სიცრუევს რად მკით ხელითა“ (156. 4).
„აქამდისი რით ვერა სცანთ, რათ შევსწირავთ პურ-ღვინოსა?“ (248. 1).

გ) დიალექტიზმად „თამარიანიდან“ მოხმობილია „ისი“, ე.
წ. „აბღულ-მესიანიდან“ - „იმ“. „იმ“-ის მაგალითები „გაბაასე-
ბიდან“ ზემოთ დავიმოწმეთ. ახლა წარმოვადგენთ პირველის
ნიმუშებს:

„ჩემმა სულმა, იმედი მაქვს, ვინც რომ მან გმო, ისიე გარჯის!“ (97. 4).
„ადამ ურჩი მოიძია, - ლეღვით გაძლა თუ ისი სხლით“ (255. 2).

დ) კ. დანელია სათანადო ნიმუშების დაუმოწმებლად
დიალექტიზმებად აქვე ასახელებს ფორმებს: ვირე, ყოლა.
„გაბაასებიდან“ ეს ნიმუშები ზემორეა მოყვანილი (სტრ.: 201.
4; 275. 1: 49. 2: 201. 2).

ე) კ. დანელიას ნაშრომში დასახელებულია აგრეთვე:
მაქს (← მაქვს), საცა, საც (← სადცა, სადაც) და რო (←
რომ) ფორმები:

„ეგონებ მაქსიმედ: ჩემთვის მაქს იმედ - მისგან სჯულისა
დამბეჭდველობა“ (6. 4).
„მე თუ კვლად გაქო, ვიცი კვლად გაქო სხივთა ნათელი გვამსა
უხრწნელსა“ (41. 4).
„მოხველ განრომით მტერთაგან, რო მით სიმენითა აზმნობ მძლედ
მორკინალი“ (55. 1).

აშკარად ჩანს, ესენი რითმით გამოწვეული ხელოვნური
ფორმებია. „გაბაასებაში“ მაქს სახის შემოკლებული ფორმები
საკმაოდ გვხვდება, როგორცაა, მაგალითად, ვიქ (← ვიქმ),
იქს (← იქმს):

„მთად ვიქ მაქას დაგისეტყუავ, სთქვათ ვახშამთ აბარისა“ (265. 3).
„მოსეს რკენით ამალეკსა დასცემს, შეიქს კვეთებულსა,
ბალთა მთავარ-ერისთავი ღვთით იქს საქმეს ღიდებულსა“ (35. 3 - 4).

IV. დ ე რ ი ვ ა ც ი ა. 1. წარმოქმნილი სახელები (გვ. 77-78):

ა) იან. აქ მეკლევეარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „ეს სუფიქსი ძველი ქართულისამებრ წარმომავლობას, მთაწმინდობასაც გამოხატავს“:

„ვარდო უფრჭენილო, ცვრით განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო“
(51. 1).

„მაგრამ მოდიფიცირებულად გამოიყურება ებრ-ის მნიშვნელობით“:

„გონება-ვრცელო, კელა ცნობა-გრძელო, მოთმინებაო იობიანო!“
(= იობისებრო, 51. 4).

ასევეა „გაბაასებაშიც“:

„მას აქათ სჯულად დაიდევს სუნათი აგარიანთა,
ვით ისრაელთა მართალთა, მოსიან-დავითიანთა,
კელით ქმნილს არ თაყვანის-სცეს, არ სჭამენ დომეუზიანთა“ (77. 1-3).
„ბილწ არიან აგარიან-ისმაიტელ-სარკინოზნი,
მამადიან, ომარიან ღვთისა მბრძოლნი ბარბაროზნი“ (285. 1-2).

ბ) იერ:

„შენ გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო, მეფეე ძლიერო...
გალაღებულო, გალომებულო, კელა გოლიათო, გულ-ლმობიერო“
(97. 1, 4).

„გაბაასება“:

„გვითხრეს, თუ: «პირი უფლისა იტყოდა ამას ძლიერად».
დაბეჭდეს, მოგეცეს, გვიპყრიეს, მტკიცედ ესდგათ მით სჯულიერად,
«ღმერთი წარმართთა ეშმაკ არს» - დავით სწერს გულისხმიერად“
(144. 2-4).

გ) ოვან:

„მადლისა პური, სიბრძნის სადგური, მკედარი ღმრთისა სამ-ხატონისა“
(14. 1).

„გიმობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ, სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად,
ნათლად მნთებარე, წინამდებარე სხივ მომცემელობ ელვა-
ციხკროვნად“ (57. 1-2).

„გაბაასება“:

„სამგვამოვნის ღვთაებისა, შემოქმედის, მის ერთისა“ (1. 2).

„სინას მოსე მავფლოვანი სამ სახედ სთქვა, არ სხვა ნათლად“ (142. 3).

დ) აქვე ყურადღება ექცევა უ-ო ყალიბის გვერდით არ
ნაწილაკით უქონლობის სახელთა წარმოებას:

„ედიღებ ეელსა ბრძენსა, არ ხელსა, რომ სცა მათ ნიშად ბოლოდ
საცოდნი“ (34. 4).

„კაცთ მოკედავისა დამკოდავისა, შეიწრებისა არ მომთმინოსა“ (59. 2).

„გაბაასება“:

„ღვთისმეტყველთ, ღრამატიკოსთა ღვარძლად არ დათესულისად“ (6. 3).

„განიწმინდოს ზამთრის ჟანგი, არ იელისი განიმარტოს“ (7. 2).

„წაიკითხა, ზედ ეწერა სიტყვა მტკიცე, არ უქმ ქმნილი“ (174. 2).

ე) ებრ:

„ღმერთმან სამოთხით მოგეცა სამ-ოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზეუებრ
სადარი“ (3. 2).

„გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე, სამართლად ღირსი
ნეტარებისა“ (20. 3).

„ისაკებრ პირმშობ კურთხევით, ნიშობ მელქიზედექით ლოცვით
ზედა-მით“ (27. 3).

„გაბაასება“:

„ებრაელებრ და რომელებრ, ბერძნულად და ასურულად“ (170. 3).

„არც თქვენად მსგზავსად მეცეებრიგ ბრდღვინევა-სრვა-გლეჯა-ტაცვებით“
(254. 4).

2. მსგავსად „ვეფხისტყაოსნისა“, ე. წ. „აბდულ-მესიანში“
მეტი ადგილი უჭირავს უფროობითი ხარისხის მოკლე ფორმებს
(გვ. 78):

- „კაცმან სულელმან და უსულელმან ეერ გულისხმა-ყოს ზრახვა
მისანი“ (23. 2).
„მებრძოლთა გუნდნი ყოველად ყენის ცუდნი, კმა როსტომითა უმგნე
ძალათათჳს“ (31. 4).
„ედემს დარგული სამოთხის გული, ციერთ უმაღლე, ქვეენის მპურობელი“
(45. 3).

გეხედება ვრცელი ფორმაც:

„მკედრობს ჰუნესა, გულად უნესა, სათნოებისა ჭური რჩეული“ (29. 1).

კ. დანელიას განმარტებით, ხაზგასმული სიტყვა არის უფროობითი ხარისხი სიტყვისა უ-ნ-ებს (=სწადს. მი-ნ-ა, გი-ნ-ა, უ-ნ-ა) - უ-ნ-ეს-ი (=უსაწადლესი).

„გაბაასებაში“ გვაქვს უფროობითი ხარისხის მხოლოდ ვრცელი ფორმები:

- „პირმშოდ იქმნა უმცირესი, თიკან ოსპით ესა ვისა?“ (63. 4).
„კიდევ გეტყვი, მომისმინე, ნუ ხარ ძაღლთა უგლისპოეს!“ (84. 4).
(უგლისპოეს, ანუ უგლისპესი, =უანხსლესი).
„ჩვენ გეწამდეს მამა, ვინ რომ ძე შვა ჟამთა უწინარესად,
ყოველთა საუკუნეთა, დღეთა, წელთ უპირატესად,
კვლავ მამისაგან გამოსელით, თანასწორ, არ უდარესად,
ცანთ, სული წმინდა უფალ არს, უმცროს, არცა უმეტესად“ (148).
„ქართველთ ძენი გამოვიდენ უწინარეს თქვენამდისა“ (181. 3).

3. კ. დანელია ზმნის მოქნილად გამოყენების თაობაზე წერს: „მესოტბენი ქართული ენის ჰოტენციურ შესაძლობებს იუენებენ, როცა მიმართავენ თქვა ზმნის ობიექტური წუობის ფორმებს რომლებიც კონდესირებულად, დაუნჯებულად გადმოსცემენ ვრცელი თანდებულიანი კონსტრუქციის შინაარსს“. ნიმუშებად კი დამოწმებულია საძიებელი ხოტბის შემდეგი სტრიქონები (გვ. 79):

- „წყლად მთქვა ნილოსად, უსასყიდლოსად სამოთხით ჩვენდა
ქანდაკებულად“ (42. 1).
„იროიკ, ბოღრატ, პარმენიდ, სოგრატ უფლად გთქვეს ზღვისა და
კმელისათა“ (56. 3).

„გაბაასებაში“ ეს ზმნა ამ ფორმით არ გეხედება.

4. კ. დანელია აღნიშნავს: „თვალში საცემია ნასახელარი ხა-შუალი გვარის ზმნათა სიჭარბე“ და ე. წ. „აბდულ-მესიანიდან“

იმოწმებს შემდეგ სიტყვებს (გვ. 79-80): მზემ→ზეობს (25. 4), მთავარი→მთავრობს (6. 3), რიტორი→რიტორობს (8. 1), მუსიკა→მუსიკობს (102. 4), მძლე→მძლეობს (98. 3), მკედარი→მკედრობს (43. 2), მომცემლობს (23.3), სხივ-მომცემლობს (57. 2).

ამგვარი წარმომავლობის ზმნები „გაბაასებაშიც“ უხვად არის:

„ვერვინა სცნობს ღვთის არსებას, მისთვის ვინც ბრძნობ, ცუდად შერები!“ (2. 4).

„ზღაპრის მტკიცედ საჯეროსა გეტყვის, ასრე ენამჭევრობს, „მაგრამ ყველას კელერთობით სწამახავს ცუდად სიტყვაპრტყელობს“ (71. 2-3).

„სწამახავ, ბორგავ რას, უმსგზავესო, ვით მუტრუკობს ვირის კიცვი!“ (263. 4).

5. ოკაზიურ, ანუ კერძო, ინდივიდუალურ, ფორმად ე. წ. „აბდულ-მესიანიდან“ დასახელებულია მისებრ-ისაგან ნაწარმოები სიტყვა სამისებრო (91. 3) და წადიდან ს-წადს, ს-წადდა) - მე-წდ-ე (47. 3. გვ. 80).

V. ლექსიკის განხილვისას გამოყოფილია ძველი (გვ. 81 - 83), ახალი (83 - 84) და ნასესხები (84 - 87) სიტყვები.

ამ ტიპის სიტყვები, რომლებიც საშუალ ქართულშია გავრცელებული, „გაბაასებაში“ მრავალი გვხვდება. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს (ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები ე. წ. „აბდულ-მესიანის“ სტროფთა და სტრიქონთა მაჩვენებელია, ფრჩხილებს გარეთა - „გაბაასებისა“). ძ ვ ე ლ ი ლექსიკიდან: ბასრობა (93. 2) - 78. 4; 118. 4, დრკუ (85. 1) - 255. 2, მართვე (62. 1) - 52. 2, მოტყინარე (54. 1) - 195. 2, მსხემი (54. 4) - 237. 4, ნიჭი (საჩუქარი. 50. 4; 64. 3) - 161. 3, ოტება (38. 3) - 38. 2, საბრკე (46. 3) - 12. 2; 81. 2; 278. 3, ღმობა, საღმობა (23. 4; 54. 2) - 27. 4; 29. 4; 33. 3, საკმილი (49. 2; 52. 2) - 141. 2; 158. 4, ხენეში (52. 4) - 62.4; 27. 3, ჯერკვალი (93. 3) 77. 4 და სხვა („არდავისა“ და „ბიციის“ შესახებ ზემოთ გვაქვს მსჯელობა).

ა ხ ა ლ ი ლ ე ქ ს ი კ ა რაიმე საყურადღებოს არ იძლევა. უფრო საინტერესოა უ ც ხ ო უ რ ი დ ა ნ შემოსული სიტყვა „ფელამბარი“ (= წინასწარმეტყველი, 82. 3) - 32. 2; 96. 2; 97. 2; 104. 2; 109. 1. არაფერს ვამბობთ ისეთ ნასესხებ სიტყვებზე, როგორიცაა სპა (30. 3; 31. 1) - 28. 1; 37. 1,

რაზმი (29. 2; 31. 1) - 29. 4 და სხვა, რომლებიც „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული ყოველი ფეხის ნაბიჯზე გეხვდება.

VI. ს ტ ი ლ ი (გვ. 87 - 88). გამოკლევის არც ეს ნაწილი იძლევა რაიმე მნიშვნელოვანს. აქ დასახელებული მხატვრული სახეები ყორნის ბოლო (100. 3), მჭვერი ტანი (49. 3) „ვეფხისტყაოსნიდან“ მომდინარეა და „გაბაასებაზე“ ამ სწორუპოვარი ქმნილების გაელენის შესახებაც საგანგებო მსჯელობა ზემოთ გვაქვს.

აი, არსებითად ყველაფერი ის, რასაც კ. დანელია ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ენობრივი დახასიათებისას გამოყოფს. როგორც ვხედავთ, ამ სადავო თხზულებას იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებასთან“ ნიშანდობლივი მსგავსება აქვს. მისგან განსხვავება უმნიშვნელოა და მხოლოდ ოკაზიურ და პარალელურ ფორმებში შეინიშნება.

ის საერთო, რაც საძიებელ ხოტბასა და „თამარიანს“ პოეტიკის მხრივ მოეპოვება, ჩანს, იმის გამოა, რომ პირველი მეორის მიბაძვაა, ხოლო ლინგვისტური ერთიანობა იმით კი არ უნდა აიხსნას, თითქოს ისინი ერთ ეპოქას, XII საუკუნეს განეკუთვნებოდეს, არამედ იმით, რომ ორივენი საშუალი ქართულის ძეგლებია⁵.

ამრიგად: ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებას“ შორის არსებული ლინგვისტური ერთობაც იმის დამადასტურებელია, რომ ისინი ერთ ავტორს, იაკობ შემოქმედელს, ეკუთვინის.

⁵ რაც შეეხება ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებებს შორის ენობრივ სხვაობას, მეტადრე, სრული ენობრივი ურთიერთმიმართების დადგენასა და ანალიზს, ისე როგორც ამავე თვალსაზრისით ამ ძეგლთა კლასიკური და მომდევნო ხანის თხზულებებთან მსგავსება-განსხვავებას, ყოველივე ეს ძველი ქართული ენის სპეციალისტის კვლევის საგანი და სამომავლო საქმეა.

VIII. გელათი – ახალი რომი

ე. წ. „აბდულ-მესიანს“ ქართულ კლასიკურ ხანას უკავშირებენ იმის გამოც, რომ მასში ნახსენებია „ახალი რომი“:

„ტურულ შეწება, გამოჩენება თქვენი დაკნობს ყოველთ ყვაილთა, გიკმობს ენა მით სწავლის ენამით წყლად წყაროდ, მრწყველად ბორცეთა და ველთა. ახალი რომი, შენთვის თქვეს, რომი უფროს იქნესო მყოფთა ყოველთა. ენატრი ვლადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“

(105).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ აქ „ახალ რომად“, ისე როგორც „სწავლის ენაში“ და „ელადში“, იგულისხმება გელათი. ი. ლოლაშვილი, ეყრდნობა რა იმ თვალსაზრისს, რომ ეს სახოტბო თხზულება ეკუთვნის იოანე შავთელს და ერთ-ერთი შექმბული პიროვნება თამარ მეფეა, წერს: „ენაში ნიშნავს ორ წყაროს“ (ნ. მართ – источник садов). [ის] ქალაქია ოდოლაძისა და თამარ შორის, სადაც ქვრივად ცხოვრობდა იუდას სძალი თამარ (შესაქმე, თ. 38; შდრ. ისუ ნავე 15,34). ხოლო «სწავლის ენაში» (=სწავლის წყარო, შდრ. სიბრძნის წყარო) უნდა იყოს მეტაფორული ცნება გელათის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისა. პოეტი ამბობს: (ჩემი) ენა (ქება-დიდებათ) მოგიწოდებს სწავლის წყაროდან, რომ შენ, თამარ, როგორც წყაროს წყალმა, მთა და ბარი მორწყო (ე. ი. სწავლა-განათლება გააერცელო). აქედან ჩანს, რომ პოეტი იმყოფება იქ, სადაც ეს სწავლის წყაროა, სადაც ეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია მოთავსებული. მომდევნო ტაეპში ის ამ წყაროს (ამ ცენტრს) უწოდებს «ახალ რომს», «ელადს» და «თვით მას გელათსა». მაშასადამე, დასტურდება ტრადიციული ცნობის სისწორე: იოანე შავთელს უმოღვაწია გელათის მონასტერში“.

¹ ძველი ქართველი მეხოტბენი, II, ... 1964, გვ. 254-255.

ვიდრე დასძელო საკითხს უშუალოდ შევეხობოდეთ, აქვე უნდა შევნიშნოთ: უკერ ერთი: ამ სტროფიდან არ ჩანს, ვის ქება ქება – თამარს თუ არჩილს. მეორე: არც აქედან და არც სხვა ძველი წყაროდან არც ის ჩანს, იოანე შავთელს გელათში ემოღვაწევა. გელათის, როგორც ლიტერატურულ-მწიგნობრული ცენტრის, მკვლევარი ლევან მენაბდე სამართლიანად აღნიშნავს: „ზოგიერთი ცნობით, გელათში მოღვაწეობდა ქართველი პოეტი იოანე შავთელი. მისი თხზულების, «აბდულ-მესიანის», ზოგიერთი ნუსხით, სოტბა არის «ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და მ-წითვე მორთმეული აბდულ მქია შავთელისაგან, პირველ ყოფილსა მდიქნად მას მონასტერსა შინა იოანედ წოდებულისა». ხელნაწერებისავე ცნობით, გელათს შქონაზქრებული შავთელი იქვე გარდაიცვალა“.

ამ აზრს მხარს უჭერს რევაზ სირაძე. „ქართველი მეზობლები, – წერს იგი, – თამარის ხანის იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომხატველი, გელათს ახალ რომად წარმოადგენს“².

ჩვენი შეხედულებითაც, აღნიშნული თვალსაზრისი, რომ დამოწმებულ ტექსტში „ახალ რომად“ გელათი იწოდება, სარწმუნოა, თუმცა ეს აზრი იქ მთლად ნათლად გამოთქმული არ არის.

ი. ლოლაშვილი და რ. სირაძე გელათის ახალ რომად მიჩნევას უკავშირებენ იმ დიდებას, რომელიც ამ მონასტერს დაარსებისთანავე, დავით აღმაშენებლის დროიდან³, XII საუკუნეშივე ჰქონდა.

გელათის მკვლევარები, ჩვეულებრივ, იძიებენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასებას, რომ ის არის „მეორე იერუსალიმი“ და „სხუა ათინა“, და მას ახასიათებენ, ერთი მხრივ, როგორც საკულტო-სასულიერო, ხოლო, მეორე მხრივ, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებას. ბ. ლომინაძე აღნიშნავს: „გელათმა ბრწყინვალედ გაამართლა მისი დამაარსებლის... მიზანი. ჯერ კიდევ დავითის მეფობის ხანაში გელათი ქართული კულტურის თვალსაჩინო ცენტრი გახდა. საერო ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით თანამედროვენი გელათს «მეორე ათენს» უწოდებდნენ (ქ. ათენი – საერო ფილოსოფიური აზროვნების განთქმული ცენტრი

სანამ ამონაწერს გავაგრძელებდეთ, უნდა ითქვას, რომ ეს არის ე. წ. „აბდულ-მუსიანის“ მესამე ტომის ხელნაწერები, რომელთა ტექსტი და სათაური დავით რექტორის მიერაა შეზღუდვებული.

ლ. მენაბდე განაცხობს: „აღნიშნულ ცნობას ზოგიერთი სწავლულ ინტარქს და იზიარებს. საეჭვოთი თანხმებიან მას თემურაზ ბატონიშვილი და პ. იოსელიანი.

იოანე შათელი (იგულისხმება ე. წ. „აბდულ-მუსიანის“ ავტორი – ბ. დ.) რომ ბერად იყო შედგარი, ეს არაა საჭკუო, ამას «აბდულ-მუსიანის» ზოგიერთი მოტივაცია გვაფიქრებინებს, მაგრამ მისი (ე. ი. იოანე შათელის – ბ. დ.) გელათში მოღვაწეობა არ დასტურდება“ (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კრები, I, ნაკვეთი II, გვ. 537.).

რ. სირაძე, ქართული ენოტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, გვ. 174.

³ გელათზე საგანგებო ნაშრომის ავტორი ბ. ლომინაძე წერს: „გელათის სამონასტრო მშენებლობა 1106 წელს დაიწყო, დავით მეფე გარდაიცვალა 1125 წელს, როცა მშენებლობის დასრულებას თითქმის არაფერი უკლდა. 1126 წელს მონასტერი დამთავრა დავითის შვილმა მეფე დემეტრემ, რომელმაც ღვთისმშობლის ტაძარი მხატვრულად გააფორმებინა და აკურთხებინა. საგანმანათლებლო-სამონაზვნო მოღვაწეობა გელათში მშენებლობის დამთავრებამდე ბევრად ადრე იქნა გაჩაღებული“ (ბ. ლომინაძე, გელათი (მეცნიერება), მეორე შეესრულებული გამოცემა, თბ., 1959, გვ. 12).

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1955, გვ. 330-331. ცხოვრება მუყაფიშვილისა და იოსელიანის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დავით მუსიქაშვილი, თბ., 1992, გვ. 175.

ბეელ საბერძნეთში), საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობისა და განათლების მიხედვით კი «მეორე იერუსალიმად» მიაჩნდათ (ქ. იერუსალიმი – ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრი)⁵.

ი. ლოლაშვილი გელათის ახალ რომად მიხნვეის უმთავრეს მიზეზად იქ არსებულ აკადემიას ასახელებს. ის ასე მსჯელობს: „ეს მონასტერი ააშენა დავით აღმაშენებელმა «ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა». აქ მან მოიწვია გამოჩენილი სწავლულნი და დააარსა აკადემია. შემდეგში ეს აკადემია გადაიქცა «აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინ[ა] წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოდსა შუენიერებად»...

აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, რომელთაც ქართული მწერლობა გაამდიდრეს ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომებით. შავთელი მათ ლიტერატურულ ტრადიციაზე აღზრდილი პოეტია. ამიტომ მისი მოღვაწეობა გელათში შემთხვევითი არ არის. მას განათლება აქაურ აკადემიაში უნდა მიეღო“ (იქვე, გვ. 255).

რ. სირაძე იმოწმებს ლ. მენაბდის სიტყვებს, რომ გელათი წარმოადგენდა „არა მხოლოდ საეკლესიო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს“ და, „ახალი რომის“ წოდებიდან გამომდინარე, გელათს გამოყოფს როგორც პოლიტიკურ ცენტრს. გელათი, „როგორც მასალებიდან ჩანს, – წერს იგი, – ითვლებოდა საქართველოს რელიგიურ ბურჯად («მეორედ იერუსალიმად»), განათლებისა და მეცნიერების კერად («სხუად ათინად») და ამასთანავე, პოლიტიკურ ცენტრადაც («ახალ რომად»)“ (გვ. 174).

რ. სირაძე ვარაუდობს: შესაძლებელია, „ახალი რომი“ უკავშირდებოდეს ქრისტიანულ თეოლოგიაში გავრცელებულ „წმინდა ქალაქის“ იდეას. მისი სიტყვებია: „წმინდა ქალაქის“ იდეა მრავალნაირადაა წარმოდგენილი შუა საუკუნეებში. ჯერ კიდევ ავრელიუს აგვუსტინესთან იჩენს თავს მისი უმთავრესი თხზულების სათაურში – «ღვთაებრივი ქალაქისათვის» («ქალაქი» აქ ანტიკური «პოლისიდან» მომდინარე ცნებაა და ფაქტიურად ნიშნავს იმას, რასაც ფილოსოფიის ენაზე ქართული «სოფელი» გამოხატავს). «ღვთაებრივი ქალაქი» კი ეხშიანება «ზეციური იერუსალიმის» იდეას. მისი სახეცვლილებაა «ზეციური ათენი», რომელიც

⁵ ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 5.

არაერთგზის გეხვდება დანტესთან (...). დანტეს კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი გულისხმობს სიბრძნის წყაროს“ (გვ. 175).

მკვლევარი წინ პარალელს ავლებს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ დამოწმებულ ტექსტსა და იქვე, 6-ე სტროფში ნახსენებ „რომს“ შორის:

„აწყა რომითა ა წყარო მითა, ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად:
იტყვის იგაესა, არ თუ იგ აესა, ზირაქის მსგაესსა, გულისხმიერად...“

ჩვენი აზრით, აქ გარკვევით არ ჩანს და გადაჭრით თქმა ძნელია, ამ „რომში“ გელათი, საკუთრივ რომი თუ ბიზანტია⁶ იგულისხმება. რ. სირაძეს აინტერესებს საკითხი: საძიებელ ძეგლში „ახალ რომს“ ხომ არ შეესაბამება ეპითეტი „სიბრძნის წყარო“. მისი სიტყვებია: „აღსანიშნავია, რომ შემომოყვანილ ადგილს (105-ე სტროფს – ბ. დ.) ეხმიანება 6-ე სტროფის სტრიქონიც: «აწყა რომითა ა წყარო მითა, ეს მოგვენიჭა ქრისტეს მიერად», რომელშიც გამოძკემლის (ი. ლოლაშვილის – ბ. დ.) აზრით, ასეთი შინაარსია: «აი, ახლა რომიდან (თამარის სახით) ქრისტეს მეშეუბით მოგვენიჭა (სიბრძნის წყარო)» [...] 105-ე სტროფშიაც «რომს» – გელათს უკავშირდება სიტყვები: «...სწავლის ენამით წყლად წყაროდ», რაც წამოჭრის კითხვას: ასეთი თანხვედრა ხომ არ ნიშნავს, რომ გელათის – «ახალი რომის» მხატვრული ეპითეტია – «სიბრძნის წყარო»?» (გვ. 174).

რ. სირაძე თავის ვარაუდს საბოლოოდ ასე აყალიბებს: „შუა საუკუნეებში მეტად გავრცელებული ე. წ. მსოფლიო სიმპათიის კანონის თანახმად, ზეციურ იერარქიას შეესატყვისება, თუნდაც შორეული მსგავსებით, ამქვეყნიური იერარქია. ამიტომ ზეციურ «ღვთაებრივ ქალაქს» ამქვეყნად შეიძლება შეესაბამებოდეს «ახალი რომი», რომლის ადგილი ქართულ წარმოდგენაში გელათს დაუკავებია“ (გვ. 175).

რ. სირაძე უფრო დიდსა და შორს მიმავალ ვარაუდს აყენებს:

⁶ თავად რ. სირაძე შენიშნავს: „ბიზანტიის იმერია იყო მუქიდრე რომის იმერიის დიდებისა. ბიზანტიელები თავის თავს «რომაელებს» ეძახდნენ. კონსტანტინეპოლს კი ერქვა «ახალი რომი». «ახალი რომი», ანუ «შორეული რომი» მარადიულ ღვთაებრივ იმერიად ითვლებოდა, რადგანაც იგი იყო ბურჯი ქრისტიანობის მთელ მსოფლიოში. საქართველოში კარგად იყო ცნობილი ეს მჭვდელუბანი და გავრცელებული იყო ტერმინი – «ახალი რომი». ასევე ცნობილი იყო ბიზანტიელების აღნიშნული ტერმინი «პრომნია»“ (გვ. 175).

შეიძლება, „ახალ რომში“ გელათი პოლიტიკურ ცენტრად და, განზოგადებულად, მთლიან საქართველოდ მოიაზრებოდესო.

მკვლევარი ასე მსჯელობს: „ბიზანტიის იმპერიამ ამ (იონე შავთელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის – ბ. დ.) პერიოდში საგრძნობლად დაკარგა ადრინდელი ძლიერება. ეს გამოწვეული იყო ჯვაროსანთა შემოსევებით. ბიზანტიის საღვთო იმპერიის დასუსტება კატასტროფის შეგრძნებას კბადებდა საქრისტიანო სამყაროში. სუსტდება იმპერია, რომელიც თავად იყო სიმბოლო ქრისტიანობის ძლიერებისა. მაგრამ მიუღებელი იქნებოდა, რომ საზოგადოდ ეპაქევემ დაეყენებინათ ქრისტიანობის დიდების იდეა. საქრისტიანო სამყაროს მომავალი ვერ დადგებოდა ეპაქევემ. ასეთი იდეის დაცვას კი პოლიტიკური საყრდენი სჭირდებოდა. აი, სწორედ ამ საფუძველს ქმნიდა თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურულ-კონფენსიური ზეალმაკლობა. მართლაცაა, საქართველო ცხადდება ქრისტიანობის დამცველად, მისი მეფის ღვთაებრიობა წარმოისახება ყველაზე ზეალმატებულად, თამარი IV პიპოსტაზად მიიჩნევა, ისტორიული განვითარების მიზნად თამარის წარმოშობა ცხადდება. ყოველივე ამის გვერდით, ვფიქრობთ, ლოგიკური იყო, «ახალი რომიც» საქართველოში ეგულისხმებინათ. საქართველო ცხადდება უმთავრეს მემკვიდრედ ბიზანტიის იმპერიის დიდებისა» (გვ. 176).

ავტორი გამოთქმულ შეხედულებებს, რომ საქართველოა ახალი ელემი, ისტორიის განვითარების მიზანია თამარი, თამარ მეფეა მეთოხე პიპოსტაზი – უმატებს იონე ზოსიმეს სახელით ცნობილ თხზულებას „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, სადაც ქართული ენა მსოფლიო ღირსების ენად არის გამოცხადებული: მეორედ მოსვლისას ყოველი საიდუმლო კაცობრიობას ამ ენით ეუწყება.

დასკვნას კი ასე აყალიბებს: „ასეთი იყო ის კულტურულ-ისტორიული წანამძღვრები, რომელთა მიზნდვით იონე შავთელს შეიძლებოდა წამოეყენებინა იდეა «ახალი რომისა». მაგრამ ეს ზოგადი საფუძველია. იონე შავთელის სიტყვებით კი «ახალი რომი» კონკრეტულად გელათს გულისხმობს, როგორც ეს მიჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ გელათი გამოხატულება იყო საქართველოს სარწმუნოებრივი, კულტურულ-მეცნიერული და პოლიტიკური ძლიერებისა. ამიტომ ის, რაც თქმულია გელათზე, შეიძლება საერთოდ საქართველოზეც ვრცელდებოდეს. თუმცაა, ამ შემთხვევაშიც ფაქტი ფაქტად რჩება: იდეა – საქართველო «ახალი რომიაო» – მოწოდებულია არაპირდაპირი, სახელმწიფოებრივი ფორმით. ე. ი. პოლიტიკურ იდეას პოეტური ფორმა აქვს. გელათი «ახალი რომი» მხატვრულად განასახოვნებს იდეას: საქართველო

ახალი რომაო.

აი, ამგვარად ეხმაურება «ახალი რომის» ზოგად იდეას «აბდულმესიანის» სტრიქონები, რომლებიც გელათს «ახალ რომად» აცხადებს⁷ (გვ. 176-177).

რ. სირაძე თავის შეხედულებას იმეორებს საგაზეთო წერილში, სადაც ქართული სახელმწიფო გერბის იდეას ეხება. „მრავალმნიშვნელოვანი თვალთახედვით, – წერს მკვლევარი, – გელათი გაიაზრებოდა ხოლმე არა მხოლოდ სამონასტრო კერად, და არა მხოლოდ, თუნდაც, ერთ-ერთ სრულიად განსაკუთრებულ სასულიერო ფილოსოფიურ ცენტრად, არამედ მთელი საქართველოს სიმბოლოდ, რაც მთავარია, ქვეყნის სახელმწიფოებრივ სიმბოლიკადაც-კი. ამიტომ იყო, რომ მას ასე მიმართავენ: «ახალი რომო, შენთვის თქვეს, რომო...» (ამას ეხმიანება ნრ-ე სტროფიც. გელათი მეფეთა საკრძალოეც იყო, მაგრამ სამონასტრო აზრით, მასზე ვერ ითქმებოდა «ახალი რომო»).

გელათი – «რომი», გელათი – «ელადა», – ესენი ჩვეულებრივი პოეტური მეტაფორები როდია. აქ იგულისხმება საქრისტიანო სამყაროში მეტად გავრცელებული იდეა, რომელსაც ქართული იდეოლოგიაც შეხმიანებია. ამ იდეის კვალობაზე, საქართველო მიჩნეულია რომის სახელმწიფოებრივ მემკვიდრედ. აქვე იგულისხმება, რომ არსებობდა ძველი რომი, რომლის მემკვიდრე იყო ბიზანტია, რომელსაც შეერქვა «ახალი რომი» (კონსტანტინეპოლიც «ახალი რომია». ბიზანტიელები თავის თავს უწოდებდნენ «რომაელებს», ძველქართულად, «პრომნი». ასეა პეტრიწონის «ტიპიკონშიც» და სხვაგანაც). ჯვაროსნების ლაშქრობებმა დაასუსტა ბიზანტია, ვითარცა «ახალი რომი». ამიტომ გაძლიერებულ საქართველოს იმ დროს მართებდა გარკვეულწილად ეკისრა ბიზანტიის ფუნქციები აღმოსავლეთის საქრისტიანოს მიმართ, ერთგვარად, უნდა შემსვავსებოდა «ახალ რომს». ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონოდა ასეთი იდეა მანც. ამ იდეის მატარებელი კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოფილიყო გელათი...

მთავარია, რომ გელათი – «ახალი რომი» იყო სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების სიმბოლო და ამავე აზრს შეიცავდა გელათის ემბლემა⁷.

ამ შეხედულების ანარეკლი ჩანს ჯემალ აფციაურის ნაშრო-

⁷ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 29 მაისი – 5 ივნისი, 1998, № 22, გვ. 6. ავტორი ამას იმეორებს შემდეგაც: მ ი ს ი, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000, გვ. 301-302; ქართული ლიტერატურის ისტორია IX-XII კლასებისათვის, თბ., 2005, გვ. 143-144.

მში, სადაც ცნება „ახალი რომი“ საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან არის დაკავშირებული. მეკლევარი წერს: „... Гуманизм, который в Европе впервые начинает зарождаться в XIV веке, в Грузии идеологическим фактором является уже в XI веке и, таким образом, приближается к рубежам качественно нового мышления... Грузинские святые, не бескровные аскеты, забывающие обо всем земном, а труженики на ниве христианской культуры, они великие деятели своего времени, в трудах и в жизни их отражается национальный характер. Они стараются приспособить веру к требованиям грузинского государства, стремившись быть сильной, независимой державой, с далеко идущими целями, а конкретно, в будущем стать опорой христианской веры на Востоке, «вторым Римом», объединителем всех кавказских племен на базе грузинской феодальной христианской культуры и языка, к которым приобщаются эти народы и племена. Такие потребности обусловили то обстоятельство, что на передний план выдвигается самобытность как грузинской христианской веры, так и культуры. Грузия такой же знаменосец веры, как Иерусалим и Константинополь, у нее свои национальные святые, свой христианский календарь, своя просветительница, свои обряды богослужения, она удел Богоматери, а если верить некоторым греческим документам, напр., «хождению Андрея Апостола», то греческая церковь должна подчиниться грузинской, так как просветителем последней является Андрей Первозванный, а он был наставником Петра, основателя римского патриаршего престола»⁸.

რ. სირაძის მოყვანილი ჰიპოთეზა ეყრდნობა ტრადიციულ შეხედულებას, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი იოანე შავთელს, XII საუკუნეს, განეკუთვნება. როცა მისი გვიანდრობის საკითხს ეყუანებო, ბუნებრივია, იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა „ახალი რომი“ გელათისათვის XVII საუკუნეში ეწოდებინათ. რ. სირაძე თავისი ვარაუდის („ახალი რომი“ რომ კონკრეტულად გულისხმობს გელათს, ხოლო განზოგადებულად მთელ საქართველოს) გვიანდელ საუკუნეებში არსებობის თაობაზე წერს: „*თუ როგორი განვითარება მიეცა ამ იდეას სხვა მხრივ, საამისო მასალები, სამწუხაროდ, აღარ მოგვეპოვება. ეს გამოწვეული იყო იმ დიდი კატასტროფით, რომე-*

⁸ Дж. В. А п ц и а у р и, О некоторых моментах политико-идеологического мышления в древнегрузинской литературе, *კრებულში: Грузинская и русская средневековые литературы*, Тб., 1992, с. 31-32.

ლიც «აბდულმესიანის» შექმნიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ დაატყდა თავს საქართველოს“ (გვ. 177).

ჩვენი აზრით, დასძული საკითხი ბევრად უფრო მარტივად უნდა გადაიჭრას.

ცნობილია, რომ გელათი თავის ადრინდელ ღირსებებს მოგვიანო საუკუნეებშიაც ინარჩუნებდა. ეს აზრი ნათლად არის გამოხატული გრიგოლ ღმთისმეტყველის ნაშრომის ერთ მინაწერში: „წმიდაო ღ(ვ)თისმშობელო, შენ უწყი ცოდვისა, [მა]ბილოს ცოდვისა სულისა სანანურად, შენებრ არა უნახავს, ძმანო, ოდიში, ქართლი, სამცხე, კახეთი. საყდარნი და უდაბნონი ყველა გეიხილავს და მოთხევევიართ. ამ ყველასა მცხეთა სჯობს და ამას საცილოდ ნუ დასდებთ. დაა ქუწყინისა კაცი მოვიდეს პრქმად და კითხვად, ნუ დასდებთ. საქრისტიანოსა შინა არა არის რამ გაენათის თანა, ძმანო“⁹.

გელათი XVII საუკუნეშიც ყურადღებას იპყრობს, როგორც წმინდა რელიკვიური განძთშესანახავი ადგილი. „საერთოდ, უნდა აღინიშნოს, – წერს ლ. მენაბდე, – რომ გელათი შედარებით ადვილად გადაურჩა მტრის მახვილს (ჩვენთვის მხოლოდ ორი ფაქტია ცნობილი მტრის თავდასხმისა). საფიქრებელია, გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი გადარჩენა უცხო მტრის ხშირი შემოსევისაგან. ქართველებმა გელათი სწორედ ამ დაუცულობის გამო მიიჩნიეს ძვირფასეულობის საფარად და იქ დაასვენეს ზახულის, აწყურისა და ბიჭვინთის ღმთისმშობლის ბატები და სხვა ეროვნული სიწმინდენი“¹⁰.

მეორე: გელათში XVI-XVII საუკუნეებშიაც კვლავ გრძელდებოდა საგანმანათლებლო და მწიგნობრულ-კულტურული ცხოვრება. ლ. მენაბდე აღნიშნავს: „მე-16 საუკუნის პირველ მეოთხედში გელათის აკადემიის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება შენელდა... მიუხედავად იმისა, რომ გელათმა, როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა, დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა, ის კულტურულ-საგანმანათლებლო, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად მაინც დარჩა და იქაური მოღვაწენი დაუღლეულად იღვწოდნენ მშობლიური კულტურის საგანძურის დაცვისა თუ გაძლიერების მიზნით“¹¹.

⁹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბუჯდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნ. ი. კ. ლ. ა. ძ. ი. ს. მიერ, თბ., 1953, გვ. 63.

¹⁰ ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვ. II, გვ. 530-531.

¹¹ ი. ქ. ვ. ე. გვ. 534. XVI-XVII საუკუნეების მოღვაწეთა შესახებ, გვ. 539-542.

მესამე და, რაც მთავარია: დაწყებული XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან, გელათის საეპისკოპოსო ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი დიდი ეპარქია იყო, რომლის ეპისკოპოსი, გენათელი, მეფის რწმუნებულად ითვლებოდა. გელათის როლი და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბიჭვინთიდან წამოვიდა და ბინა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაიდო¹². თუმცა, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ყოველთვის გელათში არ იმყოფებოდა და ზოგჯერ საეპარქიო ხანგრძლივად სხვაგან, კერძოდ, ოდიშსა და გურიაში ცხოვრობდა, გელათი მაინც საკათალიკოსო რეზიდენცია გახლდათ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმ წლებში, როდესაც იაკობ დუმბაძეს ეს საზოგადოებრივი თხოვნა უნდა შეექმნა, კათალიკოსები გელათსა და ქუთაისში მკვიდრად არიან. ბ. ლომინაძე წერს: „*მომდევნო კათალიკოსები კი, გენათელი ეპისკოპოსი ზაქარია ქეარიანი (1657-1660) და შემდგომში: ქუთათელი სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666), ექვთიმე საყვარელიძე (1666-1673) ძირითადად იმერეთში, გელათ-ქუთაისში, იმყოფებოდნენ. საჭიროების შემთხვევაში ისინი გადიან გურია-ოდიშშიც, მაგრამ არა ხანგრძლივ საცხოვრებლად*“¹³. ასე რომ, კათალიკოსის რეზიდენციად გახდომის შემდეგ „*გელათი იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-სარწმუნოებრივ ცხოვრების ცენტრად*“¹⁴.

საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ახალი (ან მეორე) იერუსალიმი“ და „ახალი რომი“ ეწოდება დიდ საკათედრო, უფრო საკათალიკოსო-საპატრიარქო ტაძრებს, ეკლესიებს. ასეა როგორც ადრეული, ისე გვიანდელი საუკუნეების ქართულ ძეგლებში.

კონსტანტინეპოლი მეორე იერუსალიმად იწოდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: გრიგოლმა „*განიზრახა წარსლუაჲ ქრისტეს საჭურჭლედ, მეორე იერუსალმად, რომელ არს კონსტანტინეპოლისი*“¹⁵.

საქართველოს საეკლესიო ცენტრებიდან ახალ იერუსალიმად¹⁶ იხსენიება მცხეთა და გელათი.

1447 წლის 25 დეკემბერს შედგენილ ქართლ-კახეთის საკა-

¹² ამ საკითხზე იხ. საგანგებო გამოკვლევა: ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, გვ. 164-240.

¹³ იქვე, გვ. 205.

¹⁴ ლ. მენაბდე, დასახლებული წიგნი, გვ. 530.

¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 264.

¹⁶ იერუსალიმის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში იხ.: ელდარ მამისთვალის შვილი, საქართველოს იერუსალიმთან ურთიერთობის მოტივები ძველ ქართულ მწერლობაში, ჟურნალი „რელიგია“, 1998, №1-2, გვ. 39-57.

თალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში „ქრისტიანეთა დედაქალაქ“ მცხეთაზე წერია: „მეფეთა მეფისა გიორგისასა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულ იყო... ყოველთა ჯუარის მოსაეთა უსჯულო თემურ... და ა ხ ა ლ ი ი ე რ უ ს ა ლ ე მ ი და ქრისტიანეთა სჯულისა საძირკუელი და განმანათლებელი ქრისტიანეთა დედაქალაქი საყდარი მ ც ხ ე თ ა დაეცა და უსამინელეს და უმწარეს მოწვევულ იყო დღე იგი დღესა მას, რომელ კარეტ საბმელ ტაძრისა განიპო, მზე დაბნელდა და ქუეყანა ზარტყილ იქმნა“¹⁷.

„და ვითა არაეინ ღირსა და ვერცაეინ მკადრე არს მტკიცედ ბრძანებულისა ამის ჩუენისა მოშლასა, აგრე აუცილებლად ყოვლისა კაცისაგან მოგაცხენეთ თქუენ, დიდსა და ცათა მობაძესა ა ხ ა ლ ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს ა და სამკუიდრებელსა ჩუენსა დედაქალაქსა მ ც ხ ე თ ა ს კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა სუეტსა ღმრთიე-აღმართებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა წარსამართებლად მეფობისა და განგრძობისათუის დღეთა ჩუენთასა...“ (იქვე, გვ. 192).

1559 წლის 1 დეკემბერს შედგენილი ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი: „აგრე უცილობლად ყოვლისა კაცისაგან მოგახსენეთ თქუენ, დიდსა და ცათა მობაძესა ა ხ ა ლ ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს ა და სამკუიდრებელსა ჩუენსა დედაქალაქსა მ ც ხ ე თ ა ს კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა სუეტსა ღმრთიე-აღმართებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და თვით საუფლოსა ზატსა ღმრთისსა კელით უქმნელსა წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა ...“ (იქვე, გვ. 267).

ახალი და მეორე იერუსალიმის წოდება კიდევ უფრო ხშირად მიემართება გელათს.

1408 წლის 4 ივლისის ცირდილასძეთადმი ბომბეულ კონსტანტინე მეფის სასისხლო სიგელი: „სახელითა ღმრთისათა [კონსტანტინე]სეგან ბაგრატიონიანისა, ძისა ბაგრატისა, და ძეთა ჩუენთა [სასურ]ველთა აღუქსანდრე, ბაგრატ და [ვიორ]ვისაგან, ნებითა ღთოსათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფ[თა], შარვანშა და შანშე [და] ყოვლისა აღმოსავლეთისა, საქართველოსა და ჩრდილოეთისა, ლიხთ-იმერიისა კელმწიფედ თუით მფლობელ-მყრობელთასა, მოვიდეს წინაშე ჩუენსა ცირდილასძენი დიდისა გენ ა თ ი ს ა და ცათა მობაძეისა, ა ხ ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა -

¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დ. ო. ლ. ი. ძ. მ., თბ., 1970, გვ. 189.

ლ ი მ ი ს ა, მეღვინეთ-უხუცესი ნაეროზ, მისნი ბიძანი და ძმანი... გუეაჯეს და მოგუახსენეს... ვისძინეთ ჰ(ა)ჯა და მოხსენება დიდად კართა ჩუენთა ზედა დაზრდილთა და ნამსახურთა და დიდისა მონასტრისა, ა ხ ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა, გ ე ნ ა თ ი ს ა მეღვინეთუხუცესისა ნაეროზისი, მისთა ძმათა და ბიძათა...¹⁸.

იმერეთის მეფის ალექსანდრე მეორის 1509 წლის შეწირულობის წიგნი: „...ორისავე ტაბტიასა სამეფოსა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, თუითა მტკიცეთა ფლობითა ხელმწიფეთა მყრობელთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემა ჩუენმა პატრონმა დედოფალმა თამარ და ძეთა ჩუენთა საყვარელმა თქვენ შევედრებულმა და ძისა თქვენისამან ბაგრატ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ მცირე ესე შესაწირავი და მოსახსენებელ დიდისა და ზემთა აღმატებულისა და ცათა მობაძევისა ა ხ ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა რ ე მ ი ს ა დიდისა მონასტრისა გ ე ლ ა თ ი ს ა და მასშინაგან ბრძანებულსა ხაზულსა საკურთხეველისა ღ(მ)რთისა მშობელსა...“¹⁹.

გელათის სიგელი, ს. კაკაბაძის დათარიღებით²⁰, 1529 წლისა: „ზესთა არსისა და ზე აღმატებულისა და ცათა მობაძევისა დიდისა საყრდრისა ჩ(უე)ნისა ა ხ ლ ი ს ა ი მ (რ უ ს ა) ლ ი მ ი ს ა გ ე ნ ა თ ი ს გუჯარი“²¹.

გელათისადმი ბაგრატ მეფის 1545 წლის შეწირულობის სიგელი: „... დიდსა და ზესთა აღმატებულისა, ა ხ ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა, გ ე ნ ა [თ] ი ს ა საყდრ[ისა] მამათთავარეფისკოპოზო და წმიდანო საღმრთონო... კრებულნო...“²².

მელქისედეკ გენათელის მიერ 1548 წელს ივანე ცირლილაძისადმი მიცემული წყალობის წიგნი: „ქ. ნებითა ღმრთისათა, ჩუენ დიდისა და ცათა მობაძევისა ა ხ ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ე მ ი ს ა გ ე ნ ა თ ი ს ა ა ღმრთ[ის] მშობელსა, მთავარეპისკოპოზმან მელქისედეკმან ესე]... წყალობისა სიგელი გიბოძეთ... ივანეს [ცირლილა]ძესა და თქუენთა შვილთა...“²³.

გადმოვიდეთ XVII-XVIII საუკუნეებში. გედეონ ლორთქიფანიძის 1664 წლის შეწირულობის წიგნი: „...დი სასწაულთა... სა და-

¹⁸ საქართველოს სიძველენი, III, ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1910, გვ. 434.

¹⁹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921, გვ. 3.

²⁰ თ. ჟორდანიას დათარიღებით, 1519 წ. (ქრონიკები, II, გვ. 342-343).

²¹ ს. კაკაბაძე, დასახლებული საბუთები, გვ. 10.

²² ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სიძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 189.

²³ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 260.

ვით მეფეთა სკელდებ... ვმითა მით სანატრელითა შე... მ ე ო -
რ ე დ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა დ ა ე ბ უ ლ... და შინაგან მსხდომსა
ბახულისა და გ ა ე ნ ა თ ი ს...²⁴.

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი: „ამავე ქორო-
ნიკონსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ-იმერი სამ საეპისკო-
პოზოდ, ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა, ინება
ღ-თიე-გვრგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და დედოფალთა
დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძევისა საყდრისა, ა ბ -
ლ ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ა, გ ე ნ ა თ ი ს ა
ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყუარლის ძისა საუკუნოდმცა არს
ქსენება მათი“ (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რე-
დაქციით, გვ. 493).

დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს „ახალი რომის“ სახე-
ლწოდებასთანაც. კონსტანტინეპოლი ამ სახელით ძველ ქართულ
მწერლობაში ბევრგან იხსენიება. არსენ ივალთოელის ნათარგმნ
„დიდი სჯულისკანონში“, რომლის ერთ-ერთი ნუსხა იაკობ შემოქმე-
დელს ხელში სჭერია და მასზე წარწერა გაუკეთებია, ვკითხუ-
ლობთ: „კონსტანტინეპოლსა ეპისკოპოსსა აქუნდინ წარჩინებულებათ
პატივისაჲ, სწორი პრომისა ეპისკოპოსისაჲ, ვინამთჲგან ახალი
პრომი არს იგი“²⁵.

„ყოვლით კერძო საზღვრისა წმიდათა მამათაჲსა შერგომილნი
და აწ აღმოკითხულისაცა კანონისა ასერგასისთა ღმრთისმოყუ-
არეთა ეპისკოპოსთაჲსა, რომელნი შეკრბეს კეთილად მსახურებით
მოკსენებულისა დიდისა თევდოსის მეფისა ზე, რომელი მეფე იქმნა
საყდარსა ზედა კონსტანტინეპოლისასა, ახლისა პრომისასა, მეცნი-
ერნი მასვე განვსაზღვრებთ ჩუენცა და განვაჩინებთ დიდებულებათა-
თჲს წმიდისა ეკლესიისა თჲთ მის კონსტანტინეპოლისა, ახლისა
პრომისა. და რამეთუ საყდარსა უმოხუცებულესისა პრომისასა სამე-
უფოობისათჲს ქალაქისა მის სამართლად განუჩინნეს მამათა უა-
ღრესნი პატიენი და ამითვე გულისსიტყვთა აღძრულთა ასერგასი-
სთა ღმრთისმოყუარეთა ეპისკოპოსთა სწორნი პატიენი განუჩინნეს
ახლისა პრომისა უფრომსად წმიდასა საყდარსა, რამეთუ სამა-
რთლად საჯეს, რამათა მეფობითა და სუველიტიკოსობითა პატიეცე-
მული ქალაქი სწორი იყოს დიდებულებითაცა საყდრისამთა ძუელი-
საჲ მის სამეუფოთაჲ პრომისაჲ და საეკლესიოთა საქმეთა შინა გა-
ნდიდნებოდის ვითარცა-იგი და მეორე იყოს შემდგომად მისსა“ (გვ.

²⁴ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დავახლებული საბუთები, გვ. 68.

²⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 261.

275. იხ. აგრეთვე გვ. 534-536).

იაკობ შემოქმედელის კუთვნილ სასულიერო კრებულ „ფუტკარში“ შესულ კონსტანტინეპოლის აია სოფის ტაძრის აშენების შესახებ ბიზანტიური ტრაქტატის სათაურში წერია: „უნწყება და თხრობა აშენებისათვის დიდებულისა ტაძრისა ღმრთისა ეკლესიისა, რომელსა სახელედების წმიდაა სოფია, რომელ არს სიბრძნე, ესრეთ აღეშენა პირველ და შემდგომად ქალაქსა კონსტანტინეპოლის, ახალსა ჰრომსა“²⁶.

იესე ტლაშაძე, რომელიც დომენტი კათალიკოსს სტამბოლში ახლდა და აია სოფია დაუთვალა იერებია, ამბობს:

„სასახლე ბიზანტიაი და სტამბოლს ჰქვიან რომაო, კაცი ვერ იტყვის ქებასა, ქალაქი არის რომაო, ენა შეახმა იმ კაცსა, ვინცა სთქვას მისი რომ აო, შენთვის დაეგდე, ტლაშაძე, გეყოფა ცულად შრომაო“.²⁷

კონსტანტინეპოლი ქართულ მწერლობაში ახალ რომად XIX საუკუნეშიც იხსენიება. კონსტანტინეპოლის გზაზე დამდგარ გიორგი ავალიშვილს ევატორიაში ერთ-ერთი ქრისტიანი სასულიერო პირი მიმართავს: „თავადო გიორგი ავალოვო! ვსასოებ ყოვლად ძლიერსა არსებასა ზედა, მით რამეთუ მიწვენილი მშვიდობით იხილაეთ ახალსა რომსა, ანუ მოკლეთ ვთქვათ, მეფესა ქალაქთასა...“²⁸ (ე. ი. კონსტანტინეპოლს).

საეკლესიო ცენტრის ამგვარი სახელწოდებებით მონათვლა, რა თქმა უნდა, იაკობ შემოქმედელისათვის კარგად იყო ცნობილი. ისიც ცხადია, რომ არაფერი ვთქვათ იაკობის, როგორც ღრმა მორწმუნე ადამიანის, მწიგნობრისა და მწერლის, რელიგიური და ლიტერატურულ-კულტურული კერისადმი დამოკიდებულებაზე, მას, როგორც შემოქმედელს, ვისი სამწყსოც იმ საკათალიკოსოში შედიოდა, რომლის რეზიდენცია გელათი იყო, ამ მონასტრისადმი განსაკუთრებული მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობა ექნებოდა. ყო-

²⁶ ბიზანტიური ტრაქტატი სოფის ტაძრის შენების შესახებ და მისი შესაყენ ნომბრივი ქართული თარგმანი, გვ. 21.

²⁷ იესე ტლაშაძე, ბაქრაიანი, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანინის შიგნით, თბ., 1962, სტროფი 247.

²⁸ ს. ყუბანეიშვილი ფიქრობს, „რომი“ ნახსენებია როგორც პირველ, ისე მეორე სტრიქონშიც (იხ. საძიებელი, გვ. 72), მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. მეორე სტრიქონის „რომაო“ უნდა გულისხმობდეს სიტყვას „რომელიც“.

²⁹ გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლივა, ლექსიკონი და საძიებლები დაუთმო ელ. მერტივი, თბ., 1967, გვ. 43.

ველივე აქედან გამომდინარე, სახელდობრ, იმის ანალოგიით, რომ კონსტანტინეპოლს ახალი იერუსალიმი და ახალი რომიც, ზოლო გელათს ახალი იერუსალიმი ერქვა, არათუ მოულოდნელი, საესებით დასაშვებია, იაკობ შემოქმედელს გელათისათვის ახალი რომი თავადვე ეწოდებინა.

რაც შეეხება გელათს, როგორც საძველეს, თუკი მწერალს არჩილთან დაკავშირებით ახსენდება, ეს ბუნებრივია, რადგან იმერეთის მეფესა და მუხრანელ ბაგრატიონთა წარმომადგენელს ეს სავანე საუკუნო განსასვენებლად ერთიანი საქართველოს მეფეთა დარად შეეფერებოდა²⁹. ცნობილია, რომ დაუთ აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარისა (თამარის ისტორიკოსის ცნობით) და სხვათა შემდეგაც XV-XVIII საუკუნეებში გელათი იყო იმერეთის მეფეთა (ბაგრატ მესამის, გიორგი მეორის, გიორგი მესამის, გიორგი მეექვსის, ალექსანდრე მეხუთისა და სხვათა) განსასვენებელი ადგილი.

ამრიგად, გელათის ახალ რომად ხსენება ოდნავადაც ხელს არ უშლის, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ იაკობ შემოქმედელის მიერ არჩილ მეფისადმი მიძღვნილ თხზულებად მივიჩნიოთ.

²⁹ თუმცა აქ ავტორი სახელდობრ არ აღნიშნავს, რომ გელათი საქები გმირის, არჩილის, განსასვენებელია. პოეტი ზოგადად ლაპარაკობს ამ მონასტერზე, როგორც, საზოგადოდ, წმინდანთა შესანახ ადგილზე (სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: „დაკრძალვა – ფრთხილად შენახვა“).

IX. „არაბაში“ და „აბაში“

ე. წ. „აბდულ-მესიანი“ XII საუკუნეს მიეწერება აგრეთვე ზოგიერთი მისი ბუნდოვანი ადგილის თავისებური გაგების მიხედვით. ერთი ასეთთაგანია გამოთქმა „არაბა შია არ აბა შია“, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება დაიყოს. ბოლო, ი. ლოლაშვილისეულ, გამოცემაში იგი ასეა წარმოდგენილი: „არაბ ა შია! არ აბა შია“.

კონტექსტი, მთლიანი სტროფია:

„არ აბა შია! არ აბა შია - მეფე მორწმუნე კმელთა ნათელი,
გულთა და სულთა თვით მათ დასულთაებრ ბრწყინვალე ჰყოფს
მადლთა სანთელი,
აღვა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი ქებისა პოვნად, ვითა სულელი.
საბასრო მის ა საბას-რომისა მგმობარი, თაეთა დრკულ
განმსწავლელი“ (81).

6. მარი აღნიშნულ სარიტმო სიტყვებს ამგვარადვე ჰყოფს და მათ გაუგებარ გამოთქმათა რიგში იხსენიებს: „Однако ряд таких мест наших одописцев остаётся загадкою иногда вполне – в обоих стихах данной рифмующей пары“. სქოლიოში კი რამდენიმე ნიმუშთან ერთად დასახელებულია „არაბ ა შია“ (TP, IV, გვ. 96). წინ მეცნიერი გამოყოფს სიტყვას „ა შია“ და მას ასე განმარტავს: „მოა შია“ (გვ. 86).

იუსტ. აბულაძე ამ ძეგლის თავის გამოცემაში (1920 წ.) საკვლევ ტექსტს ასე ჰყოფს: „არ აბა შია, არა ბა შია“ და ხსნის: „1. აბაში - აბისინიელი, 2. ბაში - ბავშვი“ (გვ. 53).

ი. ლოლაშვილს „პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელების“ საძიებელში შეაქვს „არაბი“ (გვ. 257), ხოლო სიტყვას „აბაში“ ტრადიციული გაგებით წარმოგვიდგენს - „აბისინიელი, ეთიოპი“ (იქვე). სტრიქონის შესაბამისი ნაწილის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „ის აბაში (ურწმუნო) კი არა, მორწმუნე მეფეა, ხმელეთის სინათლე“ (გვ. 239).

ეს გაგება ამ ბოლო ხანს უარყო მარიამ კარბელაშვილმა, რომელმაც შენიშნა, რომ ეთიოპები იყვნენ (და დიდი ნაწილი დღესაც არის) ქრისტიანები და მათ არ შეესაბამება გამოთქმა „ურწმუნო“. მკვლევარი წერს: „შავთელის ხოტბის ამ «თარგმანსა და კომენტარში» მისი დინჯი და დაკვირვებული კამოცემლისათვის (ი. ლოლაშვილისათვის - ბ. დ.) უჩვეულო და გაუგებარი შეცდომაა დაშვებული: აბაშები, ანუ იგივე აბისინიელები -

ეთიოპიელები, «ურწმუნონი» კი არა, ნათლისღების დროის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი ჰირველი ქრისტიანები არიან, რომელთაც ოფიციალურად ბევრ ვეროპულ ხალხზე - თუნდაც ფრანკებს - ადრე მიიღეს ქრისტიანობა. ერთი ეთიოპიელის მონათვლა ფილიპეს მიერ ბიბლიამიცაა მოხსენიებული (საქმენი წმიდა მოციქულთაი, 8, 26-29)¹.

უფრო მეტიც: ეთიოპებიც თავიანთ სამეფო დინასტიას, რომელიც ახლაც განაგებს ქვეყანას, მსგავსად ქართველი ბაგრატიონებისა, ბიბლიური სოლომონისაგან მომდინარედ მიიჩნევენ. „აღმოჩნდა, - წერს მ. კარბელაშვილი, - რომ მსოფლიო ქრისტიანულ სამეაროში ქართველ ბაგრატიონთა სავკარეულო არ უოფილა ერთადერთი იესიან-დავითიან-სოლომონიანი სამეფო დინასტია, რომ თურმე მსოფლიოში მეორე ასეთივე დინასტიაც არსებობს, რომელიც თავის წარმომავლობას ბიბლიური მეფე-წინასწარმეტყველის სამეფო სავკარეულოს უკავშირებს და თავის წინაპრად სრულიად კონკრეტულად ბიბლიურ სოლომონს ასახელებს!“ (გვ. 124).

მკვლევარი საამისოდ მიუთითებს ბიბლიის იმ ადგილებზე (მესამე მეფეთა, 10, 1-13, მეორე ნეშტა - 9, 1-12), სადაც მოთხრობილია, „თუ როგორ ესტუმრა ბერფასი საჩუქრებით დატვირთული საბას (resp. აბაშთა, ეთიოპთა) ქვეყნის დედოფალი სოლომონ მეფეს მისი სიბრძნის გამოსაცდელად და სიმდიდრე-დიდების სანახადა“. შემდეგ იმოწმებს თანამედროვე გამოკვლევებს (გვ. 124-125), სადაც ერთგან აღნიშნულია: „მატიანეებში, რომლებსაც აბისინიის მონასტერთა ბერები ადგენდნენ“, გადმოცემულია, რომ „ეთიოპიის მეფეთა წარმომავლობა მომდინარეობს მენელიქსიან: სოლომონ მეფისა და საბას დედოფლის მისგან, საბას დედოფლის სოლომონთან ვიზიტისა და მენელიქის დაბადების ლეგენდა ეთიოპიაში ძალზე ჰოპულარულია და ეთიოპელი მხატვრები სიუჟარულით ასახავენ ამ სიუჟეტებს“².

¹ მარიამ კარბელაშვილი, ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის), კრებ.: ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ. 122.

² Народы Африки, Под редакцией Д. А. Ольдерогге, И. И. Потехина, М., 1954, გვ. 326.

მეორეგან იგივეა ნათქვამი: „დედოფალი საბასი სოლომონ-
თან წმინდა პრაქტიკული მიზნებით ჩავიდა... მაგრამ ხალხის ფანტა-
ზიამ მიჩქმალა ვიზიტის ხასიათი და უოველივე რომანტიკული ელფე-
რით შემოსა. თურმე სოლომონი, დედოფლის ბრწინვალე სილაძასით
მოხიბლული, ვნებამ შეიპრო და მასთან ვაჟი ეჟოლა. აბისინიელები
დღემდე ამტკიცებენ, რომ ნესგუსთა დინასტია (...) სწორედ მისგან
მომდინარეობს“³.

ამ ფაქტზე დაყრდნობით, მ. კარბელაშვილი სხვაგვარად
განიხილავს საკითხს, თუ „რა არსებითი ნიშნით შეიძლება შე-
დარებინა მესობტეს ერთმანეთისთვის იესიან-დავითიან-სოლომონიანი
ბაგრატიონთა დინასტიის ჩამომავალი და ვიღაც «აბაში»?“ (გვ.
124). მისი ვარაუდით, აქ აისახა ის თეოლოგიურ-იდეოლო-
გიური შეხედულება, რომელიც XII საუკუნეში ბაგრატიონთა
და ევროპის ქრისტიან მონარქთა ლეგიტიმურობის თაობაზე
ჩვენში არსებობდა. მკვლევარი იმით იწყებს, რომ „შუასაუკუნეთა
ევროპის პოლიტიკური თეოლოგია საულის მეფედ არჩევის ბიბლიურ
პრინციპს ემუარება. არჩეული მეფე კორონაციისას მირონცხების
წეალობით იღებს ღვთის მადლს, ამიტომ მისი ლეგიტიმაციის ფორ-
მულა «მეფე მადლითა ღვთისათა». ეს ფორმულა ეველა ევროპული
სამეფოსთვის საერთოა: ევროპული სამეფო ხელისუფლება არჩეული
მონარქიაა, რამაც განაპირობა დინასტიათა ცვლა. დასავლური
პოლიტიკური თეოლოგიის ამ პრინციპს - სხვა პრინციპი იქ არც
ეოფილა არასოდეს - სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის მიხედვით
«საულის ჰარადიგმა» შეიძლება ვუწოდოთ“ (გვ. 108).

მ. კარბელაშვილის თვალსაზრისით, ბაგრატიონთა დინას-
ტიის პოლიტიკური იდეოლოგია დასავლურ ევროპულისაგან
არსებითად განსხვავებული და თავისთავადია, რომელიც ბიბ-
ლიური დავითისა და მისი შთამომავლობისადმი ღვთის დამო-
კიდებულებას ეყრდნობა, რითაც მათ სამუდამო მეფობა მიენი-
ჭათ. „ბიბლიაში - წერს მკვლევარი, - მეფის ხელისუფლების
ლეგიტიმაციის მეორე მოდელიც არსებობს: იგი დავითს - ისრაელის
უდიდეს მეფეს და წინასწარმეტყველს (X ს. ჩვ. წ-მდე) უკავშირდება
(...) დავითი ღვთივკურთხეული მეფის იდეალის განსახიერებაა, რადგან
იგი უოველთვის უფლის მორჩილი იყო. ამიტომ უფალმა მას და
მთელ მის მოდემანს საუკუნო მეფობა აღუთქვა, რაც ბიბლიაში უფლის

³ Косидовский Зенон, Библийские сказания, М., გვ. 338.

ფიციტ არის განმტკიცებული“ (გვ. 104), „უფლის აღთქმის თანახმად, ესაა ერთადერთი საგვარეულო, რომელსაც საუკუნო მეფობა აქვს აღ-
თქმული. დავითის ცხებულობა მთელ მის საგვარეულოზე ვრცელდება,
ესაა ღვთაებრივი წინასწარმოსწავება მაცხოვრისა იესო ქრისტესი ანუ
ცხებულისა, მესიისა, რომელიც სორციელად დავითის თესლისგან იშვა
(მათე, 1.1-21). ბიბლიური მეფობის ამ მოდელს - სადაც საუკუნო
მეფობა უფლის ნებით მხოლოდ მეფე-წინასწარმეტყველის საგვარეუ-
ლოს აქვს მიმადლებული - მეფის ხელისუფლების ლეგიტიმაციის
თვალსაზრისით «დავითის ჰარადიგმა» შეიძლება ვუწოდოთ“ (გვ.
105).

თუ მკვლევარი დასავლეთ ევროპის მონარქთა ლეგიტიმუ-
რობას წარმოგვიდგენს ფორმულით - „მეფე მადლითა ღვთი-
სათა“, ბაგრატიონებისას გამოხატავს ამგვარად - „მეფე ნებითა
ღვთისათა“, როგორადაც მათი ადრინდელი წარმომადგენლები
იწოდებოდნენ.

მ. კარბელაშვილი საგანგებოდ განიხილავს საკითხს -
„იგოდნენ თუ არა ჩვენმა წინაპრებმა ბაგრატიონთა დინასტიის ამ
სრულიად განსაკუთრებული, უნიკალური სტატუსის - ღვთიანობის
- მნიშვნელობა, რომელიც მათ ვეველა სხვა ქრისტიანული ქვეყნების
სამეფო დინასტიისაგან განასხვავებდა და გამოარჩევდა?“ პასუხი
მკვეთრია: „დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ იგოდნენ“ (გვ. 116).
მკვლევარი ემყარება დავით აღმაშენებლისადმი არსენ ბერის
გამონათქვამს: „ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“.
მისი განმარტებით, „არსენის ეს სუთსიტუიანი წინადადება ელიზი-
სია, ჰირველ წინადადებას აკლია ქვემდებარე (მეფე), მეორეს დამატება
(მეფეთა). მისი სრული სახე ასეთია: (ქართველთა ღვთიანი დავით
მეფე არის) ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა (ქრისტეან
მეფეთა) შორის“. ავტორი აქედან ასკენის: ჩვენში „იგოდნენ, რომ
ვეველა სხვა ქრისტიანული სახელმწიფოს მეფე აღსაუდრებისას მირონ-
ცხების წუალობით ღვთის «მადლითაა ღმერთქმნული», და მათ შორის
მხოლოდ ქართველთა მეფეა «ბუნებით ღმერთი», როგორც შთამოა-
ვალი იესო ქრისტეს წინაპრის - ბიბლიური დავითისა, რომელიც
«სორციელად მამად ღვთისად იწოდების»“ (გვ. 117).

მ. კარბელაშვილი შემდგომ ამავე თვალსაზრისით განიხი-
ლავს ქართულ ისტორიოგრაფიას, კერძოდ, ვახუშტი ბატონი-
შვილის ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მისი
დასკვნა აქაც დადებითი და ერთმნიშვნელოვანია: „ქართული

პოლიტიკური თეოლოგიის ამ არსებითი ნიშნის ჰირველი მეცნიერულად ზუსტი დასასიათება, მისი საგანგებო ხაზგასმა - სულ სამი სიტყვით გამოთქმული - ახალი დროის ჰირველ ისტორიოგრაფს, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელს ვასუშტი ბაკრატიონს ეკუთვნის. მან ქართული მონარქია მისი არსებითი ნიშნის მიხედვით დაასასიათა: ქართული მონარქია არ არის არჩევითი მონარქია! ეს კვალიფიკაცია ქართული მონარქიისა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთადერთია. იგი არავის გაუმეორებია და არც არავის გაუმარტავს“ (გვ. 118).

წინ იმოწმებს რა ვახუშტის სიტყვებს, რომ ამ ნაშრომის წერისას „...არა დაუტყვევთ სრონოგრაფნი ბერძნისა..., ეგრეთვე განურილობისა შემდგომად რომაელთა კეისართაგან... მეფეთა ევროპელთა“, მოჰყავს და აანალიზებს თხზულების პატარა თავს „მეფეთათვის“: „ხოლო ჩვეულება აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, და ჩამომავალთა და გუართა მეფეთათა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მამისა მე და არა სხუა გვარი, არცაღა თუ გამორჩევით, არავისა მონებდნენ თვნიერ მათთა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკეთუ არა დაეტყვის წული“ (ხაზგასმა მეველევარს ეკუთვნის).

მ. კარბელაშვილი ამ ტექსტს ასე განმარტავს: „აქ ორი დებულება უპირისპირდება ერთმანეთს: ერთის მხრივ - «ჩამომავალთა და გუართა მეფეთათა შემდგომად მისა გამეფებად... შემდგომად მამისა მე» (ან ასული- თუკი მე - შემკვიდრე არ იუო მ. კ.) და მეორე მხრივ - «და არა სხუა გვარი, არცაღა თუ გამორჩევით», რაც ჰირველი დებულების საპირისპიროდ არჩევით მონარქიას, ე. ი. დინასტიათა ცვლას გულისხმობს“ (გვ. 119).

ამის შემდეგ ავტორი ამავე თვალსაზრისით ეხება ჩახრუხადის „თამარიანსა“ და ე. წ. შაეთელის „აბდულ-მესიანს“. „ეს ბრწინვალე ერუდიტები, - წერს იგი, - თავისი დროის უკანათლებულესი და პოლიტიკურ საკითხებში დრმად განსწავლული ჰიროვნებანი - შავთული და ჩახრუხადე ამავე დროს ბაკრატიონთა დინასტიის თვითმპირობელობის შესანიშნავი თეორეტიკოსებიც იყვნენ. არცერთ ისტორიულ ძეგლში არ გვხვდება ისეთი მწუობრი თეორიული დასახუთება ბაკრატიონთა დინასტიის მეფური უფლებამოსილებისა, როგორც ზოტებშია“ (გვ. 121).

მკვლევარს მხედველობაში აქვს „თამარიანის“ სიტყვები „საულს მეფობა ართო, დაეითს მიამადლა შეფიცებულად“ (I, 63), რომელსაც ასეთ განზოგადებულ კომენტარს ურთავს: „აქ, ფაქტიურად, საულისა და დავითის სახელთა მიღმა «საულის ჰარადიგმა» და «დავითის ჰარადიგმა» შეპირისპირებული, როგორც პირობითი და საუკუნისათვის კარგად ცნობილი კოდი. საულის სახელის მიღმა იფარება მეფის ლეგიტიმურობის ის მოდელი, რასაც «მეფე მადლითა ღვთისათა» გულისხმობს, ხოლო დავითის სახელის მიღმა - ის მოდელი, რომელსაც «მეფე ნებითა ღვთისათა» უნიკალური ჰარადიგმა გულისხმობს“ (გვ. 120). იქვე ახსნილია: ეს „XII საუკუნის მონარქიის კონტექსტში იმას ნიშნავს, რომ არჩევით მონარქიას «რწმუნებული» მონარქია სჯობს, მეფობა მხოლოდ და მხოლოდ ერთი საკვარჯულოს - დავითიანი ბაგრატიონების კუთვნილება და პირობატივია“.

ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ჩვენთვის საინტერესო ტექსტს („არაბ აშია! არ აბაშია მეფე მორწმუნე, ხმელთა ნათელძ“) მკვლევარი ამ დებულებასთან კავშირში განიხილავს. ვინაიდან ეთიოპები ძირძველი ქრისტიანები არიან და მათი სამეფო დინასტიაც ბიბლიურ სოლომონის შთამომავლებად მიიჩნევა, მ. კარბელაშვილის ვარაუდით, „შავთელისეული (ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორისეული - ბ. დ.) შედარების არსებითი ნიშანი ამ ორი სხვადასხვა ქვეყნის - საქართველოსა და ეთიოპიის (resp. «აბაში») - სამეფო დინასტიათა საერთო ბიბლიური წარმომავლობა“ (გვ. 125). წინ აღნიშნულია: „(არაბ აშია, არ აბაშია)«, სადაც ხულ ხუთი ბგერის «გათამაშებით» (...) მიღწეულია ისეთი პოეტური ეფემერი, რომ მინიმალურ მოცულობაში მაქსიმალური შინაარსია ჩაწეხილი: აქ მთავარი აზრობრივი მახვილი არა ორი ეთნონიმის «არაბისა» და «აბაშის» დაპირისპირებაზე, არამედ სწორედ სიტყვა «აბაში»-ზე მოდის (...) მეფე ქალის (თამარის - ბ. დ.) მესობზე (შავთელი - ბ. დ.) ვილაცას ეკამათება და ჩვენთვის უცნობად დარჩენილ მოპაექრეთ გაცხარებით უმტკიცებს, რომ ქართველთა მორწმუნე მეფე, რომელმაც «არაბ აშია»⁴ - არაერთარ შემთხვევაში არ არის «აბაში»“ (გვ. 121).

ბოლოს, მკვლევარი თავის თვალსაზრისს ასე აყალიბებს: „როგორც ჩანს, აბდულმესიანის გაანალიზებული ტაქების ქვიტქსტი

⁴ ქვემოთ ახსნილია: „მეფემ არაბები დათრგუნაო“ (გვ. 122).

- მეტაფორულად «აბაშით» გამოხატული - XII საუკუნის დროინდელი მძაფრი პოლიტიკური პოლემიკის ანარეკლია. სავარაუდოა, რომ თამარის ეპოქაში მწვავე პოლიტიკური დებატებისას - ეს დებატები რომ უთუოდ მწვავე იყო, ცხადად მოწმობს თამარის ორივე ისტორია - ბაგრატიონებისათვის «აბაშობის» დაბრალება სრულიად კონკრეტულ პოლიტიკურ შინაარსს შეიცავდა. «აბაშობის» დაბრალება მმართველი დინასტიისთვის არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ამ ტროპის დადებით სემანტიკას. მაინც რა პოლიტიკურ შინაარსს შეიცავდა იგი? ეოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ XII საუკუნეში საქართველოს განათლებული წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი ევროპული პოლიტიკური თეოლოგია, რომელმაც არჩევით მონარქიას («საულის ჰარადიგმა») მიანიჭა უპირატესობა (...). ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ ისტორიის კარგველ ეტაპზე, VIII საუკუნის მიწურულს ერთადერთი დინასტიის მარადიულ მეფობას - «დავითის ჰარადიგმას» მიანიჭა უპირატესობა ბაგრატიონთა დინასტიის დავითიანობის საფუძველზე (...). ჩანს, «აბაში» «დავითის ჰარადიგმის», ანუ ერთადერთი დინასტიის მარადიული მეფობის, მეტაფორაა; ამ ტროპის ანონიმი შემქმნელი საქართველოში ევროპული ტიპის არჩევითი მონარქიის შემოღების იდეოლოგები იქნებოდნენ. როგორც არ უნდა იყოს, შავთელისეულმა ზმამ შემოკვიანა ისტორიული რეალია, ის «ჩვენთვის უცნობად დარჩენილი ნააზრევი» (შ. ნუცუბიძე), რომელიც უდავოდ XII საუკუნის ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი მრავლისმეტყველი დეტალია“ (გვ. 125).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, თუ წინა საკითხებზე ავტორის მსჯელობა და დასკვნები კატეგორიულია, უკანასკნელზე გამოთქმული შეხედულება ნათლად გამოხატული ვერაულის სახით არის მოცემული.

რა გვეთქმის ამ შეხედულებაზე?

ეს ინტერპრეტაციები, როგორც ე. წ. „აბდულ-მესიანის“ სადავო ტექსტზე, ისე, საერთოდ, არსენ ბერის, ვახუშტი ბატონიშვილისა და ჩახრუხაძის გამონათქვამებზე, სარწმუნოდ არ გვესახება. ვერ ვხედავთ, მათ ისეთი განზოგადებული შინაარსი ჰქონდეთ, რომ ეხებოდნენ და ერთმანეთისაგან განარჩევდნენ ევროპულ და ქართულ მონარქიებს. ახლა სხვების განხილვას ვერ გამოვუდგებით, ვიტყვით მხოლოდ ჩვენს საკვლევ საგანზე.

თუმცა ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მწერალი საგანგებოდ მიუთითებს იესესა (16. 1) და დავითზე (5. 1 - 3; 79. 4), როგორც, საერთოდ, სამეფო დინასტიის და, კერძოდ, ქართველ მეფეთა, მათ შორის, თავისი საქები გმირის წინაპრებზე, მაგრამ განსახილველ სტროფში და ამ თხზულებაში სხვაგანაც ოდნავადაც არ არის მინიშნება არც დინასტიურ თავისებურებაზე და არც იმაზე, ქართველთა სამეფო გვარი რომელიმე დინასტიისაგან განსხვავდებოდეს.

მ. კარბელაშვილი თავად სვამს საკითხს: „ადრევე იცოდნენ თუ არა საქართველოში აბაშთა იესიან-დავითიან-სოლომონიანი დინასტიის არსებობის შესახებ?“ და გადაჭრით აცხადებს: „კონკრეტული ისტორიული მასალის მიხედვით პასუხი ერთადერთია: დიად, იცოდნენ. თუკი «ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია ჰალესტინაში მესუთე საუკუნეში იწება» (...), ხოლო უკვე VI საუკუნეში ჰალესტინის მონასტრებში უკვე ვხვდავთ ისეთი ქრისტიანი ეროვნების წარმომადგენლებს, როგორც არიან ეთიოპები (...), მაშინ ცხადია, რომ თითქმის სამი საუკუნის მანძილზე ჰალესტინაში გვერდი-გვერდ მოღვაწეობდნენ ქართველი და აბაში-ეთიოპი სასულიერო პირები. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელიც კია, რომ განათლებულ ქართველებს არაფერი სცოდნოდათ აბაშთა ბიბლიური ჩამომავლობის სამეფო დინასტიის არსებობის შესახებ. კონტრარგუმენტი უსაფუძვლოდ მიმართა. ვთქვით, რომ ამ პრეცედენტმა თავისი როლი შეასრულა ქართული პოლიტიკური თეოლოგიის ჩამოყალიბებაში“ (გვ. 125-126).

კონტრარგუმენტი კი ისაა, არსად ეს ცოდნა ხელშესახებად არ ჩანს და, რაც მთავარია: ეთიოპია კი იყო და არის ქრისტიანი ქვეყანა, მაგრამ ადრე ჩვენში მათ ამგვარად არაეინ მოიხსენებდა⁵. პირიქით, ძველ ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით ორიგინალურში, აბაშები ყველგან ურწმუნო, ქრის-

⁵ აბაშელები რომ ქრისტიანებია, ჩვენში გვიან არის აღნიშნული. გიორგი ავალიშვილმა 1819-1820 წლებში მოგზაურობისას დაათვალიერა და აღწერა იერუსალიმში მდებარე აბაშთა მონასტერი და იქ დაცული აბაშურ ენაზე თარგმნილი სახარება შეხვდა და ესაუბრა მის პატრიარქს და სალოცავად ჩამოსულ აბაშთა მფეის დასა და ვეზირს (გიორგი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მ ე ტ რ ე ე ლ მ ა, თბ., 1967, გვ. 208-210).

ტიანთა წინააღმდეგ მებრძოლებად და დამპყრობლებლად არი-
ან წარმოდგენილი.

მ. კარბელაშვილი ამ საკითხს ეხება, მაგრამ ბოლომდე არ მიჰყვება მას. ის ერთგან იმოწმებს კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ (ეტიუდები, IX, გვ. 105) XII-XIII საუკუნეთა მიჯ-
ნაზე თარგმნილ კანონიკური კრებულის ტექსტს - „ვინ არა
მეტყვდეს მე უბადრუკსა, ვინ არა მტიროდეს მე უძღვებსა, ვინ არა
მკმობდეს მე აღუესებელსა ურწმუნოთა თანა ამიერჟე დაწესებულსა და
გონიერთა ეთიოპთა თანა აღრაცხილსა?“ - და იქვე შენიშნავს: „ამ
ტრაგიკულ თვითგვემაში «გონიერთა ეთიოპთა» მოხსენიება რაღაც
ისეთ აზრს შეიცავს, რაც ეპითეტის გათვალისწინებით საერთო ში-
ნაარსთან ერთგვარ კონტრასტს ქმნის - იგი თითქმის რაღაც უარ-
ყოფითის შემცველია“ (გვ. 123).

მკვლევარი იქვე იმოწმებს ამონაწერს კ. კეკელიძის მიერ
გამოქვეყნებული (ეტიუდები, III, გვ. 263-264) იოსებ მონა-
ზონის (სკეეოფილაქსის) აგიოგრაფიული თხზულებიდან
„იონანეს ცხოვრება“, სადაც ვილაც ეთიოპი საშინელ პიროუ-
ნებად არის გამოყვანილი, და თავად წერს: „სხვათა შორის, IX
საუკუნეში შექმნილ და ქართულად თარგმნილ ერთ აგიოგრაფიულ
თხზულებაში ეთიოპელის სრულიად უარყოფით დახასიათებასაც
ვხვდებით“ (გვ. 123). აი ეს ამონაწერი: „კუალად სსუად ოდესმე
შწოლიარყობდა რად ღირსი ესე, გამოუჩნდა ეთიოპი ვინმე ეოვლად-
მერალი, ეოვლით კერძოდ სსეულისდთ წუთხისა მადინებელი და
მძიმისა სულმურალობისა განმტყვებელი, რომლისა მაჭენებელი
სანატრელი იგი შორად განჰკვიდა...“

მ. კარბელაშვილი თვითონვე აღნიშნავს აგრეთვე ეთიოპ-
თა უარყოფითი დახასიათების ნიმუშებს რუსულ და ევროპულ
ლიტერატურაში. მოუვსმინოთ ავტორს: „ეს დახასიათებანი ქმნიან
შთაბეჭდილებას, რომ აბაშთა, ანუ ეთიოპთა, მიმართ რაღაც უაროფი-
თი დამოკიდებულება იყო გაგრცვლებული იმდროინდელ სასოკადოე-
ბაში. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ისეთ მართლმადიდებ-
ლურ ქრისტიანულ სახელმწიფოშიც, როგორიც რუსეთია, სიტყვა
«ეთიოპელი» უაროფითი სემანტიკის მატარებელია...“ (გვ. 123).

შემდეგ: „... ეთიოპთა მიმართ ამგვარი გაუგებრობა, რაც შუა-
თელის სოტბის კომენტარშია, მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა:
საოცარი ის არის, რომ ინფორმაციულობის მაღალი დონით გამოი-
ჩეულ ჩვენს საუკუნეში ანალოგიური შეცდომაა დაშვებული ევროპაშიც

დანტეს «ღვთაებრივი კომედიის» აღიარებული და ავტორიტეტული თანამედროვე კომენტატორის, სლოვაკი მეცნიერის ვილიამ ტურჩანის მიერაც. «ღვთაებრივი კომედიის» შესამე ნაწილში, «სამოთხის» XIX თავის 109-114 ტერცინებს, სადაც ეთიოპელნიც იხსენიებან, ვილიამ ტურჩანი ასეთ კომენტარს ურთავს: «ეთიოპელებით და სპარსელებით ჰოეტი აღნიშნავს ყველა იმ ერს, რომელთაც მის დროს (ე. ი. XIII საუკუნეში! მ. კ.) არ შეეძლოთ სცოდნოდათ ქრისტიანული მოძღვრება» (ბოლო ხაზგასმა ავტორისაა - ბ. დ.).

ბოლოს, მ. კარბელაშვილი ერთგვარი გულისტკივილით წერს: „აბაშებს საოცრად არ სწალობთ ბედი: ამ უძველეს ქრისტიანებს რატომღაც არაქრისტიანებად თვლიან“ (გვ. 123-124).

ქართულ მწერლობაში აბაშთა უარყოფითად ხსენება ზემოთ მოყვანილი ნიმუშებით არ ამოიწურება. ამ მხრივ თავისი სიმპაფრით გამოირჩევა ჯუანშერის საისტორიო თხზულება. იგი აღწერს, მურვან ერუს შემოსევისას ქართველებმა ღვთის შეწევნით როგორ დაამარცხეს მათი მოლაშქრენი - აბაშნი, რომლებიც აგარიანებად იწოდებიან, ხოლო მურვანი მუჰამედის ძედ არის სახელდებული: „რამეთუ მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ერუ, მე მოამხდისი, რომელი წარმოყვლინა კმიშ, ამირმუშლსა ბაღდადელსა, მესა აბდალ-მელიქისსა, ნათესაისკან ამითხა“⁶.

„მაშინ იხილა აგარიანმან ვინმე ჩუენება, რომელსა ეტეოდა რეცა მოციქული მათი: «მოუცემია ღმერთსა ძლევა ჩუენდა ვიდრე აღსრულებადმდე ათთა მეფეთა, ვითარცა რქუა აბრაამს და აგარს ღმერთმან, არამედ ეკლესიათა წმიდათა და კაცთა ღმრთისმსახურთა კერძალეობდეთ, ვითარცა იგი გამცენ კურანსა შინა ჩემსა». მსწრაფლ აღიარნეს და უკუნ იქცეს კუალსავე თვისსა“. მაგრამ უკვე გვიანია: „და ვითარცა აღიარეს ცინე გოჯი, და დაიბანაჲეს წუალთა მთ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა, და კარდამოკდა წკმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მიმართა უმცროსმან წუალმან ხახსა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკვრცხლი ოფდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წუალმან მეკდართა, რომელთა-იგი ბანაკი იყო უჭალაკე, რომელნიმე ივლტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა კაკდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. და მიერთვან სახელ-ეღვა

⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბ., 1955, გვ. 233.

ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“ (გვ. 238).

იგივეა გამეორებული დავით და კოსტანტინეს წამებაში: „ხოლო ეწია მუნ რისხვად ღმრთისად ერთსა და ბანაკსა და ეტლებსა მისსა ზედა. რამეთუ აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებულ მდინარესა მას ზედა, რომელსა აწ ჰქვან აბაშად, ხოლო ჰუნები და ეტლები მდინარის კიდესა, რომელსა აწ ჰქვან ცხენისწყალი. და იქმნეს სასწაულნი ზეკარდამო - ქუხილნი და ელვანი, სეტყუად და წკმანი, მძაფრნი და სასტიკნი. და განაღო ჰირი ქუეყანამან და აღმოაცენსა სიმრავლენი წყალთანნი და ზღუა იქმნა ქუეყანა კმელი და განაგლო მდინარემან აბაშისამან საზღვარი თვისი და მოექცა ნათესავსა ზედა აბაშთასა და წარღუნა ვოველი ნათესავი აბაშთად, და მიერთიან დაიდვა სახელი მდინარისად მის აბაშად“⁷.

ამ სასწაულს კი ქრისტიანული ღმერთი ახდენს და ეს რისხვა „აბაშთა ნათესავისადმი“ მიმართულია არა მარტო იმისათვის, რომ ისინი „მძლავრნი“, დამპყრობნი არიან, არამედ უპირველესად მათი ურჯულობის, მაჰმადიანობის გამო.

აქ მურვან ყრუ მუჰამედის ძედ არა, მაგრამ მის დისწულად მაინც არის გამოყვანილი. როცა არაბები ქართველებთან პირველი შეტაკებისას დამარცხდნენ, „მოტნი უკუნ-იქცეს და უთხრეს მურვან ვრუსა, რად-იგი მოწვევულ იყო მათ ზედა, ვითარმედ: «წინა-მბრძოლნი და ლაშქარნი რჩეულნი შენნი მოსრნეს შეშის მსახურთა» (ე. ი. ქრისტიანებმა, ჯვარის თაყვანისმცემლებმა). ხოლო მან ჰირსა თვისსა იკრნა კელნი თვისნი და თქუა, ვითარმედ: «და ვინ არს მეადრე, რომელმცა წინა-აღუდგა დიდსა მოციქულსა მუჰამადსა, დედის ძმასა ჩემსა?»“.

ხოლო, როცა დავითი და კონსტანტინე ხელით შეკრულნი წარუდგინეს, „ფრიად განიცინა მურვან ურუმან და ჰქუა: «ვინანი ხართ თქვენ, ქვათა და ქელთა მსახურნო, რომელთა იკადრეთ წინა-განწყობად ჩემი? ანუ არა იცითა, ვითარმედ დიდისა მოციქულისა მუჰამედის დისწული ვარ, რომლისა სჯულსა ჰმონებს ვოველი

⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფორასული რედაქციები, XI-XIII სს.), დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბოულაძემ, ე. გ. აბოიძემ, ა. შ. აბოიძემ, ნ. გ. აბოიძემ, მ. დ. აბოიძემ, გ. კ. აბოიძემ და ც. ქ. ურციკიძემ ილ. აბოულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971, გვ. 258.

არაბეთი და სპარსეთი და დამიმორჩილებია უოველი ქუეყანად დასავლეთითგან ვიდრე აღმოსავლეთამდე?» (გვ. 252).

რა თქმა უნდა, ჩვენი საკითხისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის ძიებას, ეთიოპები ნამდვილად იყვნენ თუ არა მურვან ყრუს მოლაშქრეებში, ან იმას, რომ დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის ავტორი იყვნენ და იმეორებს ჯუანშერის ცნობებს!

იგივე უნდა ითქვას XVII საუკუნის მონაცემებზეც. არჩილი თავის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“, სადაც აღწერს, თუ შაჰ-აბასისაგან მოგზაენილმა კონსტანტინემ როგორ ამოხოცა მამა (კახეთის მეფე ალექსანდრე) და ძმა, გიორგი, კონსტანტინეს მხლებლებს „აბაშის“ სახელით იხსენიებს. კონსტანტინემ მამა ვერაგულად დაიმარტოხელა - „საქმე მაქვსო არ საჯარო“ და უბედურება დაატრიალა:

„... მისი ჯარი გარეთ იდგნენ, ერთმანეთზედ დასაჯარო, ნიშნად თურე ესე მისცა, «მისინი ყმანი გამოყყარო, შემოდით და დაუშინეთ თქვენ ხლმები და მე ეხანჯარო».

მეფეს შურჩა რუსთველი და იმისი ყმა ყორჩიბაში. სხვანი სადგომს წამოვიდენ, კახნი იყვნეს თუ აბაში. შვიიდნენ და დაუშინეს, შიგ დაჩეხეს მის კაბაში. მამა და ძმა ორივე მოკლა, ერთად ჩადვეს მოაბაში“ (235-236).

ამ ნაწარმოებიდანაც ჩანს და მატინაეებიდან ვიცით, კონსტანტინეს ბლომად ახლდნენ შაჰ-აბასის გამოტანებული მოლაშქრენი - ყიზილბაშები.

ახალი ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი მოგვითხრობს: მბრძანებელმა „კონსტანტინეს კელით გაუტავა ზალათი მამას მისსა ალექსანდრეს, და გაატანა თანა ჯარი და შირყანელი“⁸.

მკვლელობა ამ ჯარის დახმარებით მოხდა: კონსტანტინემ „დღესა ერთსა აწვა თვისსა კარავსა მამაცა და ძმაცა თვისი და უთხრა ესრეთ, ვითარმედ: «ყაენის საქმე მაქუს», და დაითხოვან კახნი და წარვიდენ კარვად თვისად, და დარჩა მას თანა რუსთველი და ძმა მისი და რაემს ესრეთ დააკელა, მამის დაძირებული ჰეჰანდა ეიზილბაშის ჯარი, და შემოცვივდენ კარავშია და უღალატა და დაკოცეს. მამის

⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, თბ., 1959, გვ. 382.

მოკლა მამა და მძაცა თვისი და რუსთველი, ეორჩიბაშიცა მამა მისი“ (იქვე, გვ. 383).

ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვით, კონსტანტინეს მხლებელი ჯარი შირვანისა და ყარაბახის მოლაშქრეებისაგან შედგებოდა: „ესე კონსტანტინე წარმოგზავნა მამაზე, და წამოატანა თანა სპანი შირვანისა და ყარაბაღისანი (...). დღესა ერთსა განაწრახნა სპანი იგი შირვანელნი და განიგულა წარწყმედა სულისა თვისისა, და სიკუდილი მამისა და მამისა თვისისა“ (იქვე, გვ. 539).

ვახუშტის მიხედვით, კონსტანტინეს შირვანის სპა ახლდა. შაჰ-აბასი კონსტანტინეს ეუბნება: „აწ ვინადოვან ხარ შენ რჯულსა ჩემსა მტკიცედ და მეფობისა ჩემისა საწმუნო, მოვცნე სრულიად სპანი შირვანისანი შეწყვედ, ხალათი და ნიჭი მამისათვის, წარვედ და მოჰკალ ორნივე და შენ დაიპუარ კახეთი“. ამის შემდეგ ნაჩვენებია ამ ჯარის მიერ დატრიალებული სისხლის კალო: „...ალექსანდრემ უბრძანა უოველთა კახთა განსლვა, გარნა დაშთენ რუსთველი და მამა მისი აბელ მუნვე. მაშინ გამოვიდნენ ჰაემნით მობირებულნი სპანი და მოურთნეს მახვლნი და მოკლეს მეფე ალექსანდრე და ჰე მისი გიორგი მის თანა და კუალად რუსთველი და აბელცა მათ თანა“⁹.

ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართულ მწერლობაში ადრეც და XVII საუკუნეშიაც აბაშად იწოდებიან მამადიანები - არაბები, სპარსელები და სხვა მათ გვერდით მყოფნი ისლამური ტომები. ამიტომ, ცხადია, ხოტბის საძიებელი ტექსტის შინაარსის დადგენისას უნდა ვიხედვით ვიწრო ნელოთ არა იმით, სინამდვილეში ვინ არიან აბაში/აბაშნი, არამედ იმის მიხედვით, როგორ ცნობდნენ მათ ძველად ჩვენში.

ახლა ჩვენს მთავარ საკითხს რომ დაეუბრუნდეთ, უნდა ითქვას: თუკი მეფე-პოეტი არჩილი უცხო ჯარს, რომელიც შედგება სპარსელების, შირვანელებისა თუ ყარაბაღელებისაგან, თუნდაც რითმისათვის, იხსენიებს აბაშად, რატომ არ შეიძლება, ე. წ. „აბდულ-მესიანში“, ისეც და რითმის გამოც, ამ

⁹ ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 582.

ხალხთა რომელიმე წარმომადგენელი ამგვარადვე დაესახელე-
ბინა მის თანამედროვე და თანამოკალმე იაკობ შემოქმედელს?!

ასე რომ, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ აღნიშნული ტექსტის ი.
ლოლაშვილისეული გაგება საკმაოდ მყარ ნიადაგს ეფუძნება
და ის ერთ-ერთ ვერსიად უნდა დარჩეს.

მოესინჯოთ სხვაგვარი გაგებანიც.

ძალაუნებურად გვაგონდება დასავლეთ საქართველოს
ცნობილი ტოპონიმები აბაშა და ბაში. ხომ არ შეიძლება სა-
ძიებელ რითმებში გამოიყოს ეს სახელები - „არ აბაშია, არა
ბაშია!“ ანდა პირიქით?

აბაშა, როგორც ვნახეთ, ჯუანშერის, XI საუკუნის,
თხზულებაში დასტურდება. ქართული ენციკლოპედიების ცნო-
ბით, ზუგდიდის რაიონის სოფელი ბაში 1642 წლის, სამტრე-
დიის ბაში კი 1578 წლის წყაროებში იხსენიება¹⁰. ქართულ
ხალხურ პოეზიასა და სიმღერებში მოიპოვება ე. წ. პარალე-
ლიზმის სახის ლექსები, სადაც რითმისათვის ჩამოთვლილია
გეოგრაფიული სახელები, რომლებიც შინაარსობრივად ლექსის
დანარჩენ ნაწილს არ უკავშირდება. მაგალითები:

ბეშტია (ხუმარა) ეუბნება სოლომონ მეფეს:

„ერთი ბრეთი, არადეთი,
რუისი და შაქარშეთი,
გორს წისქვილი, ატოცს ჯვარი.
გადმომიგდე იტრიაო,
ვითომ ერთი კიტრიაო“¹¹.

სიმღერებია:

„ონი, ხონი, ზესტაფონი,
აშენდა შენი მომგონი“.

„ბახეი, ასკანა, ინტაპუეტი,
მასეი, მაჭამე, მიზდა მუედი“.

„სკრა, აგარა, ქარელი, გორი,
გორი, ქარელი, აგარა, სკრა;
ახალციხე, ტაშისკარი,
ბიჭო ხელი რატომ მკარი?!
გორი, აგარა, ქარელი, სკრა,
სკრა, აგარა, ქარელი, გორი...“

¹⁰ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბ., 1977, გვ. 248; ენციკ-
ლოპედია „საქართველო“, I, თბ., 1997, გვ. 380.

¹¹ ქართული ხალხური პოეზია, XI, თბ., 1984, გვ. 76, № 117.

ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, აქაც, თუნდაც ხალხური პოეზიის გავლენით (ალბათ, მაშინაც იქნებოდა ამგვარი ხალხური ლექს-სიმღერები!) პოეტმა ეს ომონიმური სიტყვები ერთმანეთთან გაათამაშა?

პირდაპირ უნდა ითქვას, ამგვარი გაგება ნაკლებ სავარაუდოა. ჯერ ერთი, ძველ ქართულ მწერლობასა და, რაც მთავარია, თვით საკელეე ნაწარმოებში გეოგრაფიულ სახელთა აღნიშნული მიზნით გამოყენება სხვაგან არსად შეინიშნება. მეორე: პირველი სტრიქონის მეორე ნახევარს ზმნა არ მოეპოვება და მომდევნო სტრიქონსაც გრამატიკულად არ უკავშირდება. თუმცა თხზულებაში ბევრია პირობითობა, ხელოვნური ფორმები, მაგრამ მისი ავტორი, როგორც მ. კარბელაშვილი ამბობს, „დიდად დახელოვნებულია ზმნებში და სულაც არა ჰგავს ხელმოცარულ ჰოეტს“; უკეთესად თქმა რომ ვერ მოეხერხებინა.

დგება მესამე საკითხი: აღნიშნულ სართომო სიტყვებში ხომ არ იგულისხმება საკუთარი სახელი ან გვარი? ჩვენში ძველადვე იყო გავრცელებული მამაკაცის სახელი აბაში, რომლისაგანაც მოდის გვარები: აბაშიძე, აბაშია, აბაშიშვილი¹². 1794 წლის არზაში, რომელიც ერეკლე მეორის ბეჭდით არის დამტკიცებული, ნახსენებია დავით აბაში: „ქ. ქეშიკიზაშის ნაიბო დაეთ აბაში! ვისაც ამისის მამულიდამ ღორი წამოქსნას საბალახო, ჩვენ მოგვახსენოს“¹³.

კერძოდ, პოეტი თავის საქებ გმირს ხომ არ ადარებს „ამირანდარეჯანიანში“ გამოყვანილ გმირებს, რომელთაგან ერთს აბაში ჰქვია, მეორეს - იბად აბაში?

პირველს ერკინება ბადრი იამანიძე: „წავიდა უსიბ ქალაქსა, მოვიდა და თქუა: «მიცნიან, რანიცა კაცნი არიან: ერთსა აბაში ჰქვიან და ერთსა - მოკლე ჭახუკი სიდიდისათვის, და ერთსა - არა

¹² აღ. დ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 66; ილია მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალა ბი), თბ., 1981, გვ. 15; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI - XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კ. ლ. დ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. მ. ა., მ. ს. უ. რ. გ. უ. ლ. ა. ძ. ე. მ. ც. ა. ბ. ა. რ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. მ. ა., გ. ჯ. ა. ნ. დ. ი. ე. რ. მ. ა., თბ., 1991, გვ. 46-54.

¹³ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო სამართლებლივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დ. ო. ლ. ი. ძ. ე. მ., თბ., 1985, გვ. 254.

ვიცი. მაგრამ აქებენ და იტყუიან: მათ სამთა ომი არ ეგების კაცი-საკან».

გამოცა ზღუთა მეფესა შესამოსელი და შემოთვალა: «სვალე შენი და აბაშის ომი არისო». გაიხარნა ბადრი იამანისძემან.

და ქალაქსა შიგან ციხე იყო მდალი. დილას გამოვიდა მეფე, დაჯდა და დაისუა ასული მისი გუერდსა და ცოლი, და დაიხსნა დიდებულნი მისნი. წამოდგა უოველი კაცი ხედავ: რომელნიმე ზღუდეთა, რომელნიმე უბანთა; რომელთამე კარნი გამოვლნეს და დაღკეს ხედავ.

გამოვიდა აბაში და წამოდგეს ზედა მებუჟე-მედაბაბენი, სცემდეს და იყო ზმა. შეეკაზმა ბადრი იამანისძე და გავიდა. შეუტივეს ერთმანერთსა, გარდაკდა ომი დიდი დილითგან ვიდრე ცხრა ეპამდე. მერმე უეივლა ინდომან ჭაბუკმან: «პირველად შესეიდენ შენსა მხესა და, შენმან მხემან, არა შენებურად ცხედარო!». მაშინ გაიუუნა ცხენი ბადრი იამანისძემან, შემოიქცა და შემოუტივა. ჰკრა ჩაბალასსა ზედა კრძალი და გულამდის ჩაჰკუეთა და მოკლა.

იზრიალა უოველმან დაბადებულმან და ქება შესახეს ბადრი იამანისძესა. რა მეფემან ნახა (// აბაში) მოკლული, ადგა (...) და მოულოცა ომი, და თქუა უოველმან ერმან: «არა არს პირსა უოვლისა ქუეანისასა ჭაბუკი ბადრი იამანისძისებრიო»¹⁴.

კიდევ უფრო გაზვიადებულად და ძლევამოსილ გმირად არის წარმოდგენილი იბად აბაში: როცა მზეჭაბუკი და მისი მხლებლები გრძნეულთა ქვეყანაში შევიდნენ: „არაგუარი კაცი არა გამოჩნდა; ოდეს ვნახეთ, ექუსნი ვინმე ტაიჭოსანნი მოდიოდეს და კელთა ოროლები ჰქონდა. ფიცხლად მოდიოდეს; მათ ეტიკთა ეგრე თქუეს: «ომად მოვლენ ისი კაცნიო». ჩუენ აღარა კაზმა გუინდოდა; ვითა მოგუეახლნეს ცხენისა შესატეველად, ერთი კაცი უკანა მოეწია და ეგრე უთხრა: «მაგათი ადვილიაო. გიბრძანებს - იბად აბაშსა წაუვლია და მაზედა წადითო». რა მან კაცმან ესე თქუა, მათ ექუსთა კაცთა თქუეს: «ოტიო». შეიქცეს და ფიცხლად წავიდეს. მზემან ჭაბუკმან ეგრე თქუა: «დამიძმამდა, რომე მან იბად აბაშმან წინა წაკუისწროო». მათ ეტიკთა ეგრე მოაკსენეს: «ნუ გიმძმს, ვერცა,

¹⁴ მოსე ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკელევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., (1967), გვ. 57-59.

დმერთო, იგი იხად აბაში მივალს, სადა მეფისა ასული არისო, და ვერცა ჩუენაო».

წავედით და მივიდოდით. უოვლისა ქუეეანისა ლაშქარი მოვიდოდა და მას იხად აბაშს აკსენებდა უუელა, და ჩუენ არა გუარჩუეს. დორათ დილაშან ვგრე თქუა: «არს ვინმე კარგი ჭაბუკი იხად აბაშიო».

ვლეთ იგი დღე და არაჲინ გამოჩნდა. მეორესა დღესა ცოტასა სისხლისა წუალსა გარდაჲუკიდენით. გაცუიკურიდა და ვგრე თქუეს ეტიოთა: «ესე წუალი ჩუენ არაოდეს არა გუინახავსო, ნუთუ მას იხად აბაშსა ჴედა ომი იუო და ესე სისხლი მუნით მოდიოდესო».

შევეუვით ამას სისხლსა, ოდეს ვნახეთ, კაცი ვინმე გამოქცეულიო, ფიცხლად მოვიდოდა და ტიროდა. მსუემან ჭაბუკმან ჰკითხა მას კაცსა: «ვინ ხარ, ანუ რა გჭირსო?». მან ვგრე თქუა: «მე იხად აბაშის უმა ვიუავ, და ასურა იმაჴედ ომი არსო. და ესე სისხლი მუნით მოდის და, მგონია, მოკლესო». გარე-იქცა და წაივია ფიცხლად.

ჩუენ წარვისწრაფეთ და ომსა ჴედა მივედით. იგი იხად აბაში ჩა-მოგდოთ და დაეკოდათ სასიკუდილოდ. რა დაბადებულ ვარ, ეგზომი დიდი კაცი არა მინახავს. იგი სისხლი მისი ჩამოდიოდა და კრმალი სისხლიანი კელთა ჰქონდა და ცხენი კელთა ჰუევანდა. აღარაჲინ იუო. დაეგდოთ და წა-სულ იუენეს. ჩუენ ჴედა წაჲადეგით, და ენა აღარ ერჩოდა, შემოგუხედა. თუმცა გენახა, საზაროდ კმა იუო, დაუძმიოდა მსუესა ჭაბუკსა ვერ-მისწრება მისი. მათ ეტიოთა ვგრე თქუეს: «რადგან იხად აბაშსა ესე წაჰკიდებია, ჭაბუკობისაგან იმედი ნულარაჲის გაქუესო!».

დაგუიძმიოდა და შეგუესარა. და ვგრე თქუა მოსორ ნადირისმუემან: «იმას ცხენსა გამოუღებო და თანა წამოვიტანო. ეგზომ დიდი ცხენი არაჲინ უნახავს. კელი მიჰუო, თუმცა გამოელო. ვგრე უთხრა იხად აბაშმან: «რადგან მომუდარ ვარ, ჩემსა ცხენსა არაჲის მიესცემო». მან მკუდარმან, დაკო-დილმან, თავისა ცხენსა უნაგირსა ჴედა კრმალი ჰქრა, თავმან თქუენმან, იგი ცხენი შუა გაკუეთა და კრმალი მიწასა გამოავლო. ცხენიცა მოკლა და უკუიჭრა და თუითცა მოკუდა. გაცუიკურიდა ეგეთი კუეთიანება“ (გვ. 568-571).

თუკი ე. წ. „აბდულ-მესიანში“ მწერალი შესაკებად თუ სახოტბო გმირის წარმოსადგენად ბიბლიურ, ისტორიულ და მითოლოგიურ პირებთან ერთად უხმობს საერო თხზულებათა პერსონაჲებს - „იოსებ-ზილიხანიანის“ ბაზიყას (58.3), „ეამეჲ და აზრას“ ვამეჲს (32.1), „ვისრამიანის“ ვისს (32.1) და, რაც მთაჲარია, საგმირო-საფალაენო ეკოსის „შაჰ-ნამეს“ ჴაალს (15.3), თურს (15.4), როსტომს (15.4; 31.4), საამს (15.3), სალიმს (15.4), უთრუთს (15.3), ჳიშმედს (35.1), ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, საკელეე სარითმო სიტყუებში

„ამირანდარეჯანიანის“ აღნიშნული გმირებიც დაესახელებინა და ეთქვა: საქები გმირი არც ეს აბაშია და არც ის (იხად) აბაში - იგი მორწმუნე მეფეა? „ამირანდარეჯანიანის“ აბაშები, მართლაც, არც მეფეები იყვნენ და არც შესამჩნევი მორწმუნენი, ისინი გამოირჩეოდნენ მხოლოდ უდიდესი ფიზიკური ძალითა და გმირული შემართებით. მათ ამ უკანასკნელი თვისებით ჰგავს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ საქები გმირი.

ამგვარი გაგება თავისთავად გამოსარიცხავი არ უნდა იყოს, მაგრამ არც ამის დაბეჯითებით თქმა შეიძლება. ზემორე მითითებულ შემთხვევებში ტექსტი იმდენად გამჭვირვალეა, გარკვევით ჩანს შედარება პირებს, ადამიანებს მიემართება:

„უთრუთ-საამით, ზაალსა ამით განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა, სალიმ და თური, ძლით უკეთური, როსტომ ვერა ეცან, სწორავს თუ რითა?“

„ვმოზ ვამეყვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარ-ყო იამან ქვევით“.

„ქვეყნის მნათენი, მოკამათენი ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა“.

საძიებელ სარიტმო სიტყვებს ეს სინათლე არა აქვს.

დასასრულ, კიდევ ერთი და, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მისაღები ვერსია, რომელიც საკვლევი სარიტმო სიტყვების ტრადიციულ გაგებასთან ახლოს არის. ხომ არ იკვეთება აღნიშნულ რითმებში სიტყვები არაბია (არაბეთი), აბაში (ეთიოპიელი), მეოთხე სტრიქონში საბა, ხოლო მთლიანად სტროფი, როგორც მეფეთა საქებელი, ხომ არ ეხმიანება მ. კარბელაშვილის მიერ მითითებულ საბას დედოფლისა და სოლომონის შეხვედრის ეპიზოდს და იმ შინაარსს, რომელიც მას შემდგომ აქვს ფსალმუნებსა და სახარებაში?

მესამე მეფეთა (10. 1-13) და მეორე ნეშტთა (9. 1-12) საბას დედოფლისა და სოლომონის შეხვედრას ერთნაირად მოგვითხრობს. ვიმოწმებთ ამ უკანასკნელს „მცხეთური ბიბლიის“ მიხედვით: „და დედოფალსა საბასასა ესმა სახელი სოლომონისა. და მოვიდა სოლომონისა იერუსალემდ გამოცდად მისა ივავით ვრითა მრავლითა ფრიად, აქლემებითა, რომელთა მოაქონდა სულნელება, ოქრო დიდძალი ფრიად და ქვა ჰატიოსანი და მოვიდა სოლომონისა და ეტყოდა მას ეოველსა, რაცა იუო გულსა მისსა. და უთხრა მას სოლომონ ეოველნი სიტუანი მისნი და არა თანაწარცა სიტუასა სოლომონ, რომელი არა უთხრა მას. და იხილა დედოფალმან საბასმან

სიბრძნე იგი სოლომონისი და სახლი იგი, რომელი აღშენა, და საკმელი ტაბლათა და სასხდომები იგი მონათა მისთა, და წინამეღკობა მსახურთა მისთა და სამოსელი მათი, და მწდენი მისნი, და შემკულება მათი, და მსხუერწლი, რომელთა შესწირვიდა სახლსა უფლისასა. განუკვრდა და ჰრქუა მან მეფესა: ჭემმარიტ არს სიტყუა იგი, რომელი მესმოდა მე ქუეყანასა ჩემსა სიტყუათა შენთათს და სიბრძნისა შენისათს. და არა მრწმენა სიტყუათაგან მათთა, ვიდრე მოვედ და ვინილე თუაღითა ჩემითა, და არა მითხრეს მე ზოგიცა სიმრავლისა ამის სიბრძნისა შენისა, რამეთუ უფროს შევიძინე იგი აწ სემენად, რომელი მესმოდა მე ჰირველ. ნეტარ არიან კაცნი და ნეტარ არიან დედაკაცნი შენნი, და მონანი ესე შენნი, რომელნი დგანან მარადის შენ წინაშე, და ესმის სიბრძნე ესე შენი. იუვენ უფალი ღმერთი შენი კურთხეულ, რომელმან ინება შენდა დაჯდომად შენდა საუდარსა მისსა მეფედ ერისა შენისა უფლისა მიერ ღმრთისა შენისა ისრაჲლსა ზედა, რამეთუ უეუარდა უფალსა ღმერთსა შენსა ისრაჲლი დამტკიცებად ივინი უკუნისამდე და მიგცა შენ მათ ზედა მეფედ საქმედ განკითხვისა და სიმართლისა. და მოსცა მეფესა ასდოცნი ტალანტნი ოქრო და სულნელი მრავალი ფრად და ანთრაკი ჰატიოსანი და არა იყო ეგვიპთარი სულნელი, რომელი მოართუა დედოფალმან საბასამან მეფესა სოლომონს. და მონანიცა სოლომონისნი და მონანი ქირამისნი მონართმიდეს ოქროსა სოლომონს სოფერთ და ძელსა ნამკვსასა ანთრაკსა ჰატიოსანსა, და ქმნა მეფემან ძელითა ნამკვსათა აღსავალი იგი სახლისა უფლისად და სახლისა სამეფოსა ქნარები, ებნები ცალობათა. და არა სადა იყო ხილულ იყო ეგვიპთარი ძელი უპირატეს ქუეყანას იუდასა. და სოლომონ მეფემან მისცა დედოფალსა მას საბასა უოველი, რაცა უნდა მას, და რომელი ითხოა თვნიერ მისა, რომელი მოართუა მან სოლომონ მეფესა. და მიიქცა და წარვიდა ქუეყანად თვსა“ (9. 1-12).

საბას დედოფლის საცხოვრებელი ადგილი, სამეფო, ზუსტად განსაზღვრული არ არის და მას უკავშირებენ სახელებს - როგორც არაბეთს („ბედნიერი არაბეთი“), ისე ეთიოპიას, აბისინიას¹⁵.

¹⁵ Талковая Библия, или комментарий на все книги св. писания Ветхого и Нового Завета, издание преемников А. П. Лопухина, П, 1904—1907 (Стокгоlm, 1987), გვ. 413-414. Библейская энциклопедия, Труд и издание Архимандрита Н и к и ф о р а, М., 1891, („свет на Востоке“, 1989), გვ. 56, 250.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „არაბია (ფხვლ. 71.15) ებრაელებ(რ) ს ა ბ ა ა , წუერილთაგან განწორებული, ს ა ბ ა ა მოქცეული, არაბია მზის დასავალი“¹⁶.

ბიბლიის ძველ ქართულ ტექსტებში არაბეთი ა რ ა ბ ი ა ფორმით არის წარმოდგენილი. სულხან-საბა ორბელიანის მითითებულ ფსალმუნში¹⁷ იკითხება: „ცხონდეს და მოეცეს მას ოქროდსა მისგან არაბიადსა...“ (7. 15).

ცოტათი წინ, რომელიც ზემოთ მოყვანილ ტექსტს ეხმანება, წერია: „მეფეთა თარშისათა და ჭალაკთა ძღუენი შეწირონ მისა, მეფეთა არაბიადსათა და საბადსათა ძღუენი მიართუნ მას“ (71. 10).

საბას დედოფლისა და სოლომონის შეხვედრის ამბავი ქრისტიანობისათვის რომ დიდად მნიშვნელოვანი იყო, ამას ადასტურებს მათეს სახარება, სადაც განკითხვის დღეზე საუბრისას ქრისტე იგონებს¹⁸: „დედოფალი იგი სამხრისად აღდგეს სამჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა იგი კიდით ქუეუანისადთ სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უდიდეს სოლომონისა არს აქა“ (12. 42).

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ირკვევა, სოლომონისა და საბას დედოფლის ამბავი ასახულია ქართულ ორიგინალურ მწერლობაშიც. დიდხანს იყო გაუგებარი, თუ რას ნიშნავს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში გამოთქმა „ერთი საბელი“. თამარ მეფისადმი გამოჩენილ უდიდეს საყოველთაო ინტერესზე ნათქვამია: „ამისთვის მათ ზედა მ ე ო რ ე ს ო ლ ო მ ო ნ იქმნა მეფეთა შორის და არა ერთი ს ა ბ ე ლ ი აღძრა სურვილად, არამედ უოველნი, რომელთა ესმა სახელი მისი“. მზექალა შანიძის მიგნებით, რაც ჩვენ სრულიად სარწმუნოდ გვესახება, აქ ს ა ბ ე ლ ი ნიშნავს საბას ქვეყნის წარმომადგენელს, საბას დედოფალს. „ერთი საბელი“, - წერს ავტორი, - «სოლომონის მიმართ სურვილად აღძრული» არის საბას დედოფალი... თამარი შედარებულია სოლომონს, და მისი (თამარის) ხილვის სურვილი ჰქონდა არა მხოლოდ ერთს, როგორც საბელ დედოფალს - სოლომონისი, არამედ უველას, ვისაც კი თამარის სახელი ჰქონდა გაკონილი“ („ერთი საბელი“ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში,

¹⁶ თხზულებანი, IV², გვ. 602.

¹⁷ ვიმოწმებთ მ. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემის (თბ., 1960) მიხედვით.

¹⁸ მოგვყავს ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემის (თბ., 1979) მიხედვით.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 10, ოქტომბერი, 2005, გვ. 16).

როდესაც ე. წ. „აბდულ-მესიანის“ საძიებელ სტროფსა და მის სარიტმო სიტყვებს საბას დედოფლისა და სოლომონის შეხვედრის ამბავს ვუკავშირებთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს მეოთხე სტრიქონი, სადაც გამოყოფენ სახელს საბას და მას პალესტინაში საეკლესიო და მწიგნობრული ცენტრის საბაწმინდის ლაერად მიიჩნევენ:

„საბასრო მის ა საბას-რომისა მგმობარი, თათა დრკუდ განმსწავლელი“.

ი. ლოლაშვილის სიტყვით, ეს სტრიქონი ნიშნავს: „მისი (თამარის - ბ. დ.) საკიცხელია ის, ვინც ქრისტიანობის მგმობელი და თავისთავის ცუდად განმსწავლელია“. მკვლევარი იქვე განმარტავს: „საბას ლაზრა და რომი ქრისტიანობის უძლიერესი ცენტრები იყო, ამიტომ «საბას-რომისა მგმობელი» და «ქრისტიანობის უარყოფელი» სინონიმური ცნებებია“ (თარგმანი და კომენტარები, გვ 239).

ჩვენი აზრით, ეს განმარტება ერთობ ხელოვნურია.

ი. ლოლაშვილი წინა სტრიქონს („აღლა მოზარდი, სოგრატი, მოზარდი ქებისა პოენად, ვითა სულელი“) ასე თარგმნის: საქები გმირი, თამარი „მოზარდი ალვის ხეა. სოკრატე შიშვეპურობილია იმის გამო, რომ საქებარი სიტყვები ვერ უპოვია“. კომენტარებში მითითებულია, რომ „ტაეპის განმარტება ჰირობითია (მიას-ლოებულია მის შინაარსს)“.

ჩვენ კი ასე ვსვამთ საკითხს: ვინაიდან ე. წ. „აბდულ-მესია“ არჩილ მეორისადმია მიძღვნილი, მისი და, საერთოდ, მეფეთა და ქრისტიანთა ხოტბაა, შესაძლებელია, ეს სტროფი საბას დედოფლისა და რამდენადმე სოლომონ ბრძენი მეფისადმი მიმართულ ქებად გავიგოთ და მისი შინაარსი ასე წარმოვიდგინოთ:

ა. „არაბაშია არ აბაში ა მეფე მორწმუნე, ხმელთა ნათელი“ - თუ რიტორიკულ შეკითხვად მივიღებთ: არაბეთში (←არაბიადში) აბაში (ეთიოპი) არ არის მეფე (საბას დედოფალი) მორწმუნე, ხმელთა (ამ ქვეყნის) ნათელი (ნათლითმოსილი)?! თუ არა, „აბაშს“ „უსჯულოს“ მნიშვნელობა ექნება, რაც საქართველოში მიღებულ შეხედულებას უფრო შეესაბამება.

ბ. „გულთა და სულთა თვით მათ დასულთაებრ ბრწყინვალე ჰყოფს მადლთა სანთელი“ - მათ (საბას, აბაშ დედოფლის და სოლომონ მეფის) გულებსა და სულებს ანგელოსთა დასისებურად მადლთა (მათ კეთილ საქმეთა სამადლობელოდ ანთებული) სანთელი (ღვთიური მადლი) ბრწყინვალედ ჰყოფს.

გ. „აღლა მოზარდი, სოგრატ მოზარდი ქებისა პოვნად, ვითა სულელი“ - (მათ) საქებრად ახალგაზრდა ალვისტანიანი, მოზარდი¹⁹ (აღორძინებითი ძალის მქონე) სოკრატეს პოვნა სისულელეა (ის ამას ვერ შეძლებს).

დ. „საბასრო მის ა საბას რომ ის ა მგმობარი, თაეთა დრკუდ განმსწავლეელი“. - საბასრობელია (საკიცხელია, დასაციინია) ის, (ვინც) საბას (საბას დედოფლის) მგმობელია, თავიდანვე ცუდად განმსწავლეელია (მასწავლებელი, მქადაგებელია).

ვიმეორებთ: ერთ-ერთ საეარაუდო და უფრო დამაჯერებელ ინტერპრეტაციად ესეც შეიძლება მივიღოთ.

ჩვენს მთავარ საკითხს რომ დაეუბრუნდეთ, გადაჭრით უნდა ითქვას: დასახელებული ვერსიებიდან (მათში შედის მ. კარბელაშვილისეულიც) არც ერთი არ არის ისეთი, XVII საუკუნეს არ შეესაბამებოდეს და გამორიცხავდეს. სახელდობრ: სადავო სარითმო სიტყვები - „არაბაშია არ აბაშია“ - და თვით მისი შემცველი სტროფი იმდენად ნათელი არ არის და ისეთს

¹⁹ სულხან-საბა ორბელიანი: „მოზარდეობა აღორძინებითი ძალი“. როგორც ილ. აბულაძე შენიშნავს, ნემესიოს ემესელის მიხედვით, ჩვენს ლექსიკოგრაფი განმარტავს: „მოზარდობისა ბუნებითი ძალნი არიან ოთხ: მომწებლობითი, ჰერობითი, შემცვალეულობითი, განმავლინელობითი, რამეთუ თ(ვ)ითოეული ცხო(ველისა ბუნებითი) მოიწობს, იპრობს. და იპრობს რა, თავისად შესცვალეს და ეგრეცა ნამეტნავს(ა) გარე განჭურის, ესე არს ძალი სხეულთა განგებისა“ (თხზ., IV¹, გვ. 501).

ილ. აბულაძე სიტყვა „აღორძინების“ განმარტებისას ერთ-ერთ ძველ მნიშვნელობად ასახელებს „წარმატება“-ს, რომელიც არა მარტო ასაკს, არამედ გონებას, სიბრძნესაც ეხება (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973). მაგალითად, ლუკას სახარების (2. 52) ერთ-ერთ რედაქციაში იკითხება: „და იესუ აღორძინებულად ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა“. მეორეში გვაქვს: „და იესუ წარმატებულად ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა“ (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), გამოსცა აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1945).

არაფერს გვიჩვენებს, რომ მისი საშუალებით მთელი თხზულება ქართული კლასიკური ხანის ძეგლად მივიჩნიოთ.

მინაწერი: მ. კარბელაშვილი 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში²⁰ უბრუნდება „არ აბაშია, არ აბაშიას“ გაგების საკითხს და თავისი შეხედულების გასამაგრებლად, თითქოს ძველად, XII საუკუნეშიაც, ჩვენში იცოდნენ აბაშია სამეფო დინასტიის ბიბლიური წარმომავლობა, რაც ვითომც აისახა ე. წ. შავთელის „აბდულ-მესიაში“, იმოწმებს იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლას“²¹, რომლის ცალკე თავში „აბაშეთისა, ანუ ეთიოპიისათვის“ დახასიათებულია ეს ქვეყანა და მისი რელიგია: „სარწმუნოება უპურიესთ ქრისტიანეთა, უვისთ ჰატრიარსი, რომლისა კურთხევასა დაეკითხებიან ანტიოქიისა ჰატრიარსსაცა. ხოლო ანტიოხიის ჰატრიარსი არს ეოფთებთაცა მბრძანებელი. ესენი იწოდებიან იაკობიანად (...). საღმრთო წირვასა აღასრულებენ წმინდის მოციქულის იაკობის კონდაკით...“ (გვ. 191). „ხელმწიფე აჭრეინებს იმპერიალსა, რომელსა ზედა არს სიქა დაკრული, ანუ გამოტვიფრული: შუაზედ იესო ქრისტეს სახე და გარეშემო ათორმეტნი მოციქულნი“ (გვ. 192). იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ეთიოპიის ხელმწიფე „დავით წინასწარმეტყველთა შთამამოვლობათაგან არის (...). შთამოსირებული ძირთაგან წინასწარმეტყველის მეფის დავითი-საგან“ (გვ. 192).

აქედან გამოტანილია დასკვნა: „ამრიგად, ამ ცნობით სრული უეჭველობით დასტურდება ჩემს მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ი ც ო - დ ნ ე ნ ა ბ ა შ ე თ შ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა მ ო - ნ ა თ ე ს ა ვ ე ს ა მ ე ფ ო დ ი ნ ა ს ტ ი ი ს ა რ ს ე - ბ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ“ (გვ. 252). ბოლო დასკვნაში დამატებულია: „ადრიოგანვე უწოდნენ“ (გვ. 253).

²⁰ იოანე ბატონიშვილის ცნობა საქართველოსა და ეთიოპიის სამეფო დინასტიათა ნათესაობის შესახებ (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის), „ლიტერატურული ძიებანი“, XXVI, თბ., 2005, გვ. 244 - 253.

²¹ იოანე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხუმარსწავლა, კალმასობა, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კ ა ხ ა ბ რ ი შ ვ ი ლ მ ა, ცოტნე კ ი კ ე ი ძ ე მ, თბ., 1991, გვ. 190 - 194.

ჩვენს ზემორე გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ყველგან, მათ შორის არჩილის თხზულებაშიც, აბაშნი უარყოფითად, არაქრისტიან ხალხად არის მოხსენიებული²². აქ დაეუმატებთ: აბაშთა ქრისტიანობაზე, მეტადრე მათ დავითიანობაზე არაფერს ამბობს ვახუშტი ბაგრატიონიც, მაშინ როდესაც ის იმეორებს ჯუანშერის ცნობას აბაშეთსა და აბაშებზე.

ჯუანშერი თავის საისტორიო თხზულებაში გამოყოფს თავს „აქა სპარსთა მეფისა და ვახტანგ გორგასლისაგან შესლვა ა ბ ა შ ე თ ს და დაჭირვა ა ბ ა შ ე თ ი ს ა მისგან“, აღწერს ამ ქვეყანას, გვიამბობს, როგორ დაიპყრეს სპარსთა და ქართველთა ლაშქარმა იგი, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს, რაიმე კარგი და მნიშვნელოვანი ახასიათებს თუ არა ამ ხალხსა და ქვეყანას: „და მოვიდეს მუნით ა ბ ა შ ე თ ხ. ხოლო ა ბ ა შ ნ ი მსხდომარე იუენეს ქუეყანასა, რომელსა მოსდგოდა წყალი და ლერწმონანი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და ვერცა ოთხფერკი, არამედ საზღვართა ზედა არს სპარსთასა. და სულგრძელად ჰბრძოდეს, რამეთუ წყალი იგი რომელ შესდიოდა, გარდაუდებს, და ლერწმონანი იგი დწუეს ცვეცლითა, და წ ა რ მ ო ტ ე უ ე ნ ე ხ ა ბ ა შ ე თ ი უ ო ვ ე ლ ი, და განუენა მუჟჟან სპარსთამან ა ბ ა შ ნ ი ორად; და ნახევარნი დაუტყვნა ადგილსავე ზედა, და ნახევარნი წარმოიყვანა ვითარ სახლი ათასი, და განუენა ივინი ადგილითი-ადგილად. და ესე არიან ქ უ რ დ ნ ი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყენნა ა ბ ა შ თ ა გ ა ნ“²³.

განა საკითხავი არაა, ამ XI საუკუნის თხზულებაში, სადაც საგანგებო საუბარია აბაშებზე, ავტორი (ვინც უნდა იყოს ის, - ჯუანშერი თუ ლეონტი მროველი), თუ კი მან იცის ამ ხალხის ქრისტიანობა და მათი მეფეთა დავითიანობა, რატომ არ ამჟღავნებს ამას ან არ გვიხსნის, ასე უდიერად რატომ

²² სხვა ამბავია, ძველ ქართულ მწერლობაში „აბაშები“, გარდა აღნიშნული ბიბლიური გაგებისა, თუ უარყოფითად არა, დადებითადაც არ არიან ნახსენები. მაგალითად, თეიმურაზ პირველის „იოსებ ზილიხანიანში“ ამ თვალსაზრისით ისინი ნეიტრალურად არიან წარმოდგენილი:

„ოქრო მიწყო ვაჭარმან უსასყიდლოსა ფასისად,

მეფე ადგა და იოსებ მუნ მიჰყავს სრა-დარბაზისად,

სადა ჯდა მთვარე, გვერდს ახლდა ჯარი ეარსკელაუთა დასისად,

ა ბ ა შ თ ა, ზანგთა ლაშქარი ტვერი დგას ბუერათასისად“ (სტროფი 82).

²³ ქართლის ცხოვრება. ს. ყ ა უ ხ რ ი შ ე ი ლ ი ს გამოცემა. 1955. გვ. 195.

ეპურობიან ქრისტიან ხალხს და ღვთისგან ხელდასხმულ მათ მეფეს?

იგივე კიდევ უფრო მეტი მოთხოვნით უნდა ითქვას ვახუშტი ბატონიშვილზე, რადგან იგი ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელია. დიახ, ჯუანშერის მონათხრობს იმეორებს ვახუშტიც, მაგრამ არც ის ცდილობს, რაიმე კეთილი სიტყვა თქვას აბაშეთსა და აბაშეებზე: „შემდგომად მუნით წარმოსულნი მიიწივნეს ა ბ ა შ ე თ ს და სულგრძელად ბრძოდნენ რ(ამეთუ) გარდაუგდეს ჩალათა წყალი და შემდგომად განკმობისა შევიდნენ, მოსწყდნენ, მოსტყუვნენ, მოაოკრნეს და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი“²⁴.

ჩვენს ნაშრომში ისიც გვაქვს ნათქვამი, „აბაშები რომ ქრისტიანები არიან, ჩვენში გვიან არის აღნიშნული“. სამაგალითოდ დავიმოწმეთ გიორგი ავალიშვილის დღიურები „მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე“, რომელიც ავტორს 1819 წლის 6 ივლისიდან 1820 წლის 17 ივლისამდე დაუწერია. იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაც“ ამდროინდელია. როგორც თავად მ. კარბელაშვილიც მიუთითებს, იგი „იწერებოდა 1813-1828 წლების მანძილზე რუსეთში, ჰეტერბურგში“ (გვ. 244). მკვლევარი არც იმ სინამდვილეს უვლის გვერდს, რომ მასში „ჩვენთვის საინტერესო ცნობა ჩართულია - ამ სიტყვას საგანგებოდ მივმართავ - «ხუმარსწავლის» ვრცელ ნაწილში, რომელიც მსოფლიო გეოგრაფიას ეხება (...). არსებითად იგი რუსული სპეციალური ნაშრომიდან თუ სახელმძღვანელოდან არის თარგმნილი“ (გვ. 250). ავტორი იმასაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეთიოპიის მეფეთა დავითიანობაზე საუბარია ეთიოპიის ხელმწიფის მიერ მეფე ერეკლე მეორისადმი გამოგზავნილ წერილში, რომელიც თხზულებაშივე 1787 წლითაა დათარიღებული. აი, ეს ტექსტი:

„იტლომ კელმწიფისა არს ესრეთ, რომელიც მოეწერა მეფისა ირაკლისათჳს და გამოეკვანა კაცი და შვილი ეთხოვნა, რადგან იგიცა და ვით წინასწარმეტყველთა შთამამავლობათა გან არის, რომელსა მოეწერა ესრეთ: ჩუენ დიდი იმპერატორი და კელმწიფე სრულიად ეთიოპიისა და მპურობელი ათორმეტთა სამეფოთა და სხვათა მრავალთა ერთა ქრისტიანეთა, ურიათა და წარმართთა, შთამო -

²⁴ ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. IV. 1973. გვ. 112.

სი რ ე ბ უ ლ ი მ ი რ თ ა გ ა ნ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ უ ე ე -
ლ ი ს მ ე ფ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ, შ ე ნ ს ა უ უ ა რ ე ლ ს ა მ მ ა ხ ა დ ა
თ ა ნ ა ე რ თ ს ი ს ს ლ ო ბ ი თ შ ე კ რ უ ლ ს ა უ მ ა დ ლ ე ს ს ა მ ე ფ ე ს ა
ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ს ა ს ა დ ა ს ხ ე ა თ ა მ თ ა ვ ა რ ს ა დ ა მ ბ რ მ ა ნ ე ბ ე ლ ს ა
გ ი მ დ ე ჯ ნ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ს ა გ ი ს ა რ ო დ ე ნ ს ა (დ ა
მ ე რ ე) შ ე მ დ გ ო მ ი, მ ი ზ ე ს ნ ი, თ უ რ ა ს თ ვ ი ს გ ა მ ო ე ვ ზ ა ვ ნ ა ე ლ ზ ი ი ე).
ს ო ლ ო წ ი გ ნ ი ს ა დ ა ს ა ს რ უ ლ ს ა ბ ო ლ ო ს ა ზ ე დ ა ე წ ე რ ა ე ს რ თ: უ მ ა დ ლ ე -
ს ო ბ ი ს ა თ ქ ე უ ც ნ ი ს ა უ ს ა ე უ თ რ ე ს ი მ მ ა ი ო ს ე უ ი ა ე ო ბ ი ს მ ე დ ა ვ ი თ ი -
ა ნ ი, წ ე ლ ს ა 1787“ (გ ე. 192).

პირდაპირ უნდა ეთქვათ, მაშინ როდესაც საყრდენი
თხზულება („ხუმარსწავლა“), სადაც აბაშელთა ქრისტიანობა
და დავითიანობაა აღნიშნული, განეკუთვნება XIX საუკუნის
10-იან და 20-იან წლებს, ავტორი ცნობებს იღებს რუსული
წყაროებიდან და 1787 წელს ეთიოპელთა ხელმწიფისაგან გა-
მოგზავნილი წერილიდან, მეორეს მხრივ, ევროპულ და ყველა
ძველ ქართულ წყაროში, მათ შორის XVII საუკუნის მეფისა და
პოეტის არჩილის თხზულებაშიც, აბაშნი იხსენიებიან ოდენ
უარყოფითად, არაქრისტიან და ქრისტიანობის წინააღმდეგ
მებრძოლებად, არაეითარ შემთხვევაში არ გამოდის, რომ „სა-
ქართველოში ა დ რ ი თ გ ა ნ ვ ე ე (XII ან XVII საუკუნეებში! -
ბ. დ.) უ წ ე ო დ ნ ე ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა დ ა ვ ი თ ი ა ნ ი
დ ი ნ ა ს ტ ი ი ს მ ო ნ ა თ ე ს ა ვ ე ე თ ი ო პ უ რ ი დ ი -
ნ ა ს ტ ი ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს შ ე ს ა ს ე ბ“!

თუ იოანე ბატონიშვილამდე, XIX საუკუნემდე, მოაღწია
ბაგრატიონთა ცოდნამ აბაშთა დავითიანობაზე, სხვებს რომ
თავი დავანებოთ, რატომ არაფერი არ იცინ ამის შესახებ
XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და სხვა ქვეყნების
ისტორიის ისეთმა დიდმა მკვლევრებმა და უაღრესად განს-
წავლულმა ბაგრატიონებმა, როგორიც არჩილი და ვახუშტი
არიან?!

X. პოლიტიკურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიით დათარიღება

მარიამ კარბელაშვილი საგანგებო გამოკვლევაში „*ქართველი მეხოტბენი - ქართული პოლიტიკური თეოლოგიის თეორეტიკოსები (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის)*“; რომელიც გამოქვეყნებულია 2003 წლის „ლიტერატურულ ძიებანში“ (№ XXIV, გვ. 140-158), ე. წ. „აბდულ-მესიანს“, ჩახრუხადის „თამარიანთან“ ერთად, პოლიტიკური თეოლოგიის მიხედვით ქართული „კლასიკური ხანის“ ძეგლად განიხილავს.

ჩვენ მხოლოდ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ გვანტერესებს და მარტო მას შევხებით.

ნაშრომში თავიდანვე დამოწმებულია კ. კეკელიძისა და ე. მეტრეველის გამონათქვამები ე. წ. „აბდულ-მესიანისა“ და „თამარიანის“ იდეურ და მხატვრულ მსგავსებაზე, რაც, ტრადიციულია და მათი შეხედულებითაც, თითქოს იმით არის გამოწვეული, რომ ორივე ხოტბა ერთ დროს იყოს შეთხზული. სტატია მთლიანად ამ გავრცელებულ თეოსაზრისს ეფუძნება და ხსენებული მასალების გამოვლენით მის განმტკიცებას ემსახურება. დასაწყისშივე აღნიშნულია: „შეათვისა და ჩახრუხადის სახოტბო პოეზია თავისი არსით არა მხოლოდ წუობილი სიტყვის მაღალი კულტურით აღბეჭდილი მხატვრული, არამედ ისტორიული მნიშვნელობის თხზულებებია, რომლებშიც პოეტური სახით აირეკლა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტენდენციები, რომელნიც თამარის ეპოქის აქტუალურ-პრობლემატიკას განეკუთვნებოდა და XII საუკუნის პოლიტიკური აზროვნების ფართო მასშტაბურობას მოწმობენ“ (გვ. 140).

იქვე დაზუსტებული საკვლევი საკითხის არსი და კვლევის მიზანი: „თამარის ეპოქის ისტორიოგრაფიაც და მეხოტბეთა პოეტური შემოქმედებაც ერთ თემას დასტრიალებს: მეფის ძალაუფლების საკითხს და ერთპიროვნული მმართველობის პრობლემას (...). ხოტბებში მდიდარი ტროპიკით ბეგრატონთა მეფობის მთელი კონცეფციაა გადმოცემული, რომელიც ფოკუსირებულია თამარზე: ჩვენს წინაშეა თანმიმდევრული პოლიტიკური თეორია ფრიად ფართო დიაპაზონისა, რომლის შემადგენელ ელემენტთან ამჯერად, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ხოტბებში ასახული მთავარი კონსტიტუციური საკითხები გვანტერესებს: სახელმწიფოებრივი წუობილება, ხელისუფლების ლეგიტიმიურობა, სახელმწიფოებრივი მმართველობის პრინციპი“ (გვ. 140).

როგორც ნაშრომში წერია, კვლევა ეხება „სახელმწიფოებრივი წყობილების (...) ფორმას“ და იმ „ტერმინოლოგიას (...), რომელიც შავ-თელისა და ჩახრუსხაძის სოტებშია მიმოხვეული და ნაწარმოებია ფუძეებიდან: უფლება, მთავრობა, ფლობა, პერობა“ (გვ. 141). გამოკვეთილად მითითებული არ არის, მაგრამ ჩანს, ეს სიტყვები XII საუკუნის სპეციფიკურ ქართულ პოლიტიკურ ტერმინებად და ბაგრატიონთა ამგვარივე ეპითეტებადაა მიჩნეული. სხვა მხრივ მათ საბუთებად მოხმობას გამართლება არ შეიძლება, ჰქონდეს. გარდა ამისა, ერთგან აღნიშნულია: „პოლიტიკური ტერმინოლოგიის ეს სიუსხვე, რაც სხვა ეპოქებისათვის არ არის დამახასიათებელი, სხვა ფაქტორებთან ერთად (...) მოწმობენ, რომ სახელმწიფო წობილების საკითხი (შავთელისა და ჩახრუსხაძის ეპოქაში – ბ. დ.) ფრიად აქტუალურ თემას წარმოადგენდა“ (გვ. 142).

საკითხის განხილვა იწყება ბოლო, „პერობა“, სიტყვით და ე. წ. „აბდულ-მესიანიდან“ დამოწმებულია შემდეგი სტრიქონები:

„ვიწყო, და ქებად, ძვილ შეკადრებად: მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი“ (4. 1).

„ბნელ ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა, ვით მზე დაჟარავს სხვათა
ვარსკლავთა“ (33. 4).

„ვდემს დარგული სამოთხის გული ციერთ უმაღლე ქვეყნის მპყრობელი“ (45. 3).

„ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს არს ეს ყოველთა თვითმპყრობელთას“ (28. 1).

გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ეს სიტყვა ძველად (XVIII საუკუნის ჩათვლით) მარტო ბაგრატიონებსა და, კერძოდ, XII–XIII საუკუნეთა ქართველ მეფეებზე არ ითქმოდა. ზემორე ციტატიდანაც ჩანს: რადგან საქები გმირი „ბნელ ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა“, ეს იმას ნიშნავს – პოეტი „ქვეყნის მპყრობელთ“ უწოდებს იმ სხვა ქვეყნების მეფე-ხელმწიფეებსაც, რომლებიც საქებ გმირსა და მის სამშობლოს ღირსეულად არ მოპყრობიან.

მეორე და რაც თვალნათლივია, ხსენებული სიტყვები XVII – XVIII საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში უხვად მოიპოვება და ისინი ჩვეულებრივ ყველა რჯულის მეფე-ხელმწიფეებს მიემართება. რადგან საკამათოდ გამხდარა, დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს.

პროზაული „ზაქიანი“:

„წარმართმან ზაქ სრული ქვეყანა და საქაო დაიჭირა და ეოვლისა ქვეყნისა მპყრობელი შეიქნა, რომე მისი მებრძოლი არვინ არ გამოჩნდა“¹.

¹ აბულ კასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, II, ტფ., 1934, გვ. 375.

თეიმურაზ პირველის „იოსებ-ზილიხანიანში“ მისრ-ეგ-ვიპტის მეფეზე ნათქვამია:

„იგი მპყრობელი ხელმწიფე სამარესა მიღებულა“².

„რუსუდანიანი“:

„იუო დიდი და მაღალი ხელმწიფე ურუმიხა მპყრობელი და პრავლისა ქვეყნისა, რომელსა ერქვა სახელად ეარამან“³.

„შვიდი მთიები“:

„ერანს ეზღიჯედ კელმწიფე, ღვთისაგან გამდიდრებული, სრულად ქვეყნისა მპყრობელი, თვით ცამდის ამაღლებული...“
„შვიდთა ქიშვართა მეფობა გვაქვს უცილებლად კაცისა, შენ მპყრობელი ხარ ქვეყნისა, მზეებერ მნათობი და ცისა“ (336. 1-2).

„მას აღმას ერქვა სახელად, სრულად ქვეყნისა მპყრობელი“ (567. 1).

„ოდესმცა იყო ჩემზედან ღმერთი წყალობის მთოველი, მამა მყვა ქვეყნის მპყრობელი, იგ ჩემთვის ღვთულებერ ცხოველი...“ (1520. 1-2).

„ომანიანი“ მისრეთის ხელმწიფეს ეუბნებიან:

„თვარე ხმელზედა ხელმწიფედ თქვენ ხართ ქვეყნისა მპყრობელი“⁴.

თვით არჩილის გალექსილი „ვისრამიანი“:

„ფახუფრ თქვა: იყო ხელმწიფე მაღალი არბაგანისა, ყოვლთა თემთა და ქვეყანათ მპყრობელი განის-განისა“⁵.

² თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934, სტროფი 267. 1.

³ რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 322.

⁴ ნოდარ ციციშვილი, ბარამ-გური, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით (თბ., 1930), სტროფი 17. 1-2.

⁵ ქაიხოსრო როლოყაშვილი, ომანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ, თბ., 1979, გვ. 42, სტროფი 155. 2.

⁶ არჩილი, თხზულებათა სრული კრებული [ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი, საძიებელი და გამოკვლევა დაურთეს ივანე ლოლაშვილმა, ლიანა კეკელიძემ, ლალი ძოწენიძემ], თბ., 1999, გვ. 374, სტროფი 89. 1-2.

ახლა სიტყვა „თვითმპყრობელის“ შესახებ.

თეიმურაზ პირველის იმავე „იოსებ-ზილიხანიანში“ იოსებისაგან რჩევის მიღების შემდეგ მეფეზე ნათქვამია:

„ღაუმაღლა თვითმპყრობელმან, მოიწონეს სრულად ერთა,
გავეზირდა მისრ-ეგვიპტეს, მეფემ გული გაუერთა“ (260. 1-2).

სეხნია ჩხეიძის სიტყვით, ვახტანგ მეხუთე „იყო მეფე მეფეთა ესე სასელდებული (...), თვითმპყრობელი საქართველოსი (...), იყო მეფე ესე ბირისაგან იესესა და თესლისაგან დავითისა აღმოცენებული, სოლომონისა ნაუფი, მისად შედარებული, ბაგრატონხად წოდებული, ვ ა ხ - ტ ა ნ გ, სპარსთა ენითა შ ა ნ ა ო ზ...“⁷.

„თვითმპყრობელად“ მოიხსენიება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე. 1770 წლის 4 თებერვალს ზენონ ალავერდელის მიერ ბოქალთუხუცეს ფარემუზისადმი გაცემული წყალობის სიგელი: „რადგან რომ უმაღლესის და თვითმპყრობელის კელმწიფისაგან ბრძანებულ გვექმნა თქვენის წიგნების კელმეორედ გა(ა)ზღება, ჩვენც მისი უმაღლესობის ბრძანება თავს ვიდევით, ჩვენ, ეოვლად სამღვდელთა აშბა ალავერდელთა პატრონმან ზენონ“.

იქვე, ზემორე, მითითებულია, რომ ეს „უმაღლესი“ და „თვითმპყრობელი ხელმწიფე“, რომლისაგანაც წყალობის წიგნის განახლება მოდის, ერეკლე მეორეა: „მინდობითა, თავდებობითა მათის სიმაღლის მეფის ირაკლის ბრძანებით...“⁸ და სხვა.

ასე რომ, XVII-XVIII საუკუნეებშიაც ქართველი თუ უცხოელი მეფენი და ხელმწიფენი, განურჩევლად იმისა, ძლიერი არიან თუ სუსტნი, ჩვეულებრივ „მპყრობელებად“ და „თვითმპყრობელებად“ იწოდებიან.

იგივე ვითარება გვაქვს „უფლება“, „ფლობა“ სიტყვების მიმართაც. სტატიამი ქართული კლასიკური ხანის სინამდვილის გამოხატველად მიჩნეულია „ხოტბის“ ამ სიტყვების შემცველი შემდეგი სტრიქონები (გვ. 141-142):

„მენე, ლმობიერი, ქელი ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი“ (4. 2).

„ესე მისითა, ესე მისითა კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა“ (5. 3).

„ქეყნის უფალი, მჭვრეტთ სატურფალი...“ (69. 3).

„იროკი, ბოღრატ, პარმენიდ სოგრატ უფლად გთქვეს ზღვისა და კმელისას“ (56. 2).

⁷ ქართლის ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, II, სანკტპეტერბურგი, 1854, გვ. 307.

⁸ ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოცემა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 885.

„სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ—მჩქეფენი, ღმერთმა არ ღირს—ყენა უფლებათას“
(85. 4).

„შეგეფეროდა, გმირო, ქველო და სრულ კმელთა ფლობა სამეუფოსა“ (96. 3).

ამ ნიმუშების ჩვენებამდე გამოკვლევაში აღნიშნულია: „«ფლობა», «უფლება», როგორც პოლიტიკური ტერმინოლოგია, სპეციფიკური სემანტიკის შემცველია და განსხვავდება ტერმინისაგან «მთავრობა»“ (გვ. 141). იგივე აზრია გამეორებული ნიმუშების დამოწმების შემდეგაც: „მართლაც, ხოტბაში «უფლება და მთავრობა», როგორც პოლიტიკური ლექსიკონის ტერმინები, ერთადაა მოხსენიებული, რაც მოწმობს, რომ მათ განსხვავებული კონკრეტული შინაარსი აქვთ“. მაგალითებად ამჯერად მოყვანილია „ხოტბის“ შემდეგი სტრიქონები (გვ. 142):

„ღავით ძლიერი, მკნედ საშინელი უფლებს და მთავრობს, ურჩთ შემწველობა“ (6. 3).

„ჰმთავრობ და უფლებ, ათავისუფლებ ჰყრობილთა, ბრძმდლო სიწმიდისაო“ (25. 2).

„თვით აუარო: არა უარო ქვეყნათ ყოველთა უფალთ—მთავარსა“ (73. 2).

„უფალთ—მთავარი, მჭურ სამთავ არი სამსაჯულოსა სრულად მათისა“ (113. 3).

ნაშრომში არაფერია ნათქვამი, თუ „ფლობა—უფლება“-ს რა სპეციფიკური შინაარსი აქვს თავისთავად ან მაშინ, როცა XII—XIII საუკუნეებს ასახავს. მხოლოდ ეს არის, მითითებულია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელიც ერთვის „ქართლის ცხოვრების“ მის მიერვე გამოცემულ მეორე ტომს (1959), სადაც განმარტებულია: „*ერთმთავრობა როდესაც ერთი კაცია ქვეყნის სათავეში*“. ზუსტად იგივეა გამეორებული „ერთუფლება“ სიტყვის ახსნისას და ორივეგან დამოწმებულია „ისტორიანი და აზმანის“ ერთი და იგივე ტექსტი: „ერთმთავრობა—ერთუფლებასა ერთისა კაცისა“.

ჩვენთვის ყოვლად გაუგებარია, სიტყვათა ერთად ხმარება რატომ ნიშნავს, რომ ისინი მაინცადამაინც განსხვავებული შინაარსისანი არიან და არა, ვთქვათ, სინონიმური, როგორც ამას „ქართლის ცხოვრებაში“ გვერდიგვერდ მდგომ „ერთმთავრობა—ერთუფლების“ განმარტებისას ს. ყაუხჩიშვილი გვთავაზობს.

გამოკვლევაში „ფლობა—უფლება“ სიტყვათა შემცველ სტრიქონთა შესახებ ვკითხულობთ: „«აბდულმესიანის» შესაბამის სტროფთა ანალიზით ირკვევა, რომ მეფეს სახელმწიფოს ფლობის უფლება მხოლოდ ღმერთისგან ეძლევა: რადგან ღავით წინასწარმეტყველს უფალმა აღუთქვა მეუობა“. იგივეა გამეორებული 85.4-ე სტრიქონის („სომეხთ მეფენი...“) მიმართ: „საკულისხმაო: ეს ტაეპი არაორაზროვნად გვაუწყებს, რომ მეფის უფლებამოსილებას, უფლებას მხოლოდ ღმერთი ანიჭებს ჰიროენებს“ (გვ. 141).

თუ „ფლობა—უფლება“ სიტყვათა სპეციფიკურ შინაარსად ეს იგულისხმება, მაშინ გაუგებარია, რატომღაც ისინი მხოლოდ XII—XIII საუკუნეთა საქართველოსთვის დამახასიათებელი ტერმინები?

ამ სიტყვებს ერთნაირი ნიუანსური გაგება ჰქონდა როგორც ადრინდელ, ისე XVII—XVIII საუკუნეთა ქართულ ენაში და ხელმწიფობას—ქვეყნის მფლობელსა და მპყრობელს აღნიშნავდა.

ამავე ძირისაა „უფალი“, რომელიც სულხან—საბა ორბელიანის თქმით, არის „პატრონი ვაჟი, გინა ღმერთი“. ილ. აბულაძე, როდესაც თავის წიგნში „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“ „ფლობა“—ს განმარტავს როგორც ხელმწიფებას, ნებას, უფლებას, მიუთითებს მარკოზის სახარებაზე (3. 15), სადაც „ფლობას“ სხვა რედაქციაში ენაცვლება „კელმწიფება“: „აქუნდეს ფ ლ ო ბ ა ე განსხმად ეშმაკთა“ და „აქუნდეს მათ კ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ე... განსხმად ეშმაკთა“, ამავე ლექსიკონში ახსნილია: „ფლობილება ძალაუფლება, ჰატრონობა“, „მფლობელობა მთავრობა, ხელისუფლება“, ბარემ აქაც ბოლომდე მიუყვებით საქმეს და ქართული „აღორძინების ხანიდან“ დაეიშორებოთ რამდენიმე მაგალითს, სადაც სხვა ქვეყნებისა და იმ დროის ქართველი ხელისუფალნი (მეფე, ხელმწიფე) „მფლობელად“ იწოდებიან:

„რუსუდანიანში“ ერთ—ერთი პერსონაჟი მეფეს მიმართავს: „ვაგლახ მე, ხელმწიფევე, ზმელთა მფლობელო, ეტლის მსკავსად მქცეველო...“ (გვ. 154).

„შვიდი მთიები“:

„ქვეყნის მფლობელნი ჰინდოთა მეფისა მემუდარია,
თაყვანის სცემენ, ვით ღმერთსა, სრულად ჰინდოთა ჯარია“ (476. 2—3).

„შაჰნავაზიანი“:

„ყაბურს უბოძა მრავალი დიდმან ერანის მფლობელმან“.

1468 წლის 22 მარტს ქართველი მეფის, გიორგის, მიერ მცხეთის საყდრის გლეხთადმი მიცემულ წიგნში ეს მეფე ასეა მოხსენიებული: „ქ. ჩუენ (...) მეფეთა მეფისა გ(იორ)გ(ი)სჯან და საუუარლისა ძისა ჩუენისა აღქესანდრესჯან იესიან—დავითიან—სოლომონიანობით აღმკულმან, ნებითა და შუენენითა ღვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰნავა და შარვანშაჰ და ეოვლისა ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თვით კელმწიფედ მტკიცედ მფლობელ—მპყრობელმან ესე სიმტკიცისა წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ და მოგეცით

⁹ ფე შ ა ნ გ ი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლ ე ო ნ ი ძ ი ს და სოლ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1935, სტროფი 593. 1.

თქვენ, ერთობილთა დიდისა და ცათა მობამავისა მცხეთისა სოფელთა გლეხთა და უოველთავე...“ ბოლოს არის ხელრთვა: „ქ. მეფუთა მეფემან გიორგის დამიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა“¹⁰.

ახლა „უფლებს“ და „მთავრობს“ ტერმინთა ურთიერთმიმართებაზე. ისინი შინაარსობრივად იმდენად არასდროს განსხვავდებოდნენ, რომ ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. პირიქით, ძველად, როგორც აღვნიშნულ, ისე გვიანდელ საუკუნეებში, მათ ბევრჯერ მსგავსი გაგება ჰქონდათ ან ერთმანეთს ავსებდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ილ. აბულაძის ზემორე დამოწმებულ ლექსიკონში სიტყვა „მფლობელობა“ განმარტებულია სიტყვებით „მთავრობა“ და „ხელისუფლება“.

სულხან-საბა ორბელიანი „მთავარის“ ახსნისას იყენებს სიტყვას „მპყრობელი“, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები – სიტყვას „მფლობელი“. ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ იმავე მეორე ტომის ლექსიკონში „მთავრობა“ სიტყვის განმარტებისას ხმარობს სიტყვას „კელმწიფებას“.

იმავე ტომში უამთაღმწერელი მოგვითხრობს: „...და ვითარ ცნა სიკუდილი ბაიდო უაენისა, თუქალ ივლტოდა და მივიდა სამცხეს, ბექასას, რომელი მთავრობდა ტასისკართივან ვიდრე კარნუქალაქამდე“ (გვ. 299). ხოლო იქვე „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო დაიპრეს ოსმალთა სამცხე-საათაბაგო, და აღიღეს უოველნივე ცისენი და სიმაგრენი სამცხისანი, და გააბატონეს ქაიხოსრო, მე უუარუარესი, და იქმნა ათაბაგ. მაშინ შემოიკრიბნა მესხნი დიდნი და მცირენი უოველნივე, და მთავრობდა ოთარი შალიკაშვილი“ (გვ. 500).

ასე რომ, არც „მთავრობს“, „მთავრობა“ ტერმინებშია ისეთი შინაარსი, საქართველოს ე. წ. კლასიკურ და აღორძინების ხანებს ერთმანეთს ამორებდეს.

ამგვარივეა მომდევნო საკითხიც, – ქართველი ბაგრატიონების ღვთისგან მეფეებად დაღვენა და ბიბლიური დავითისა და სოლომონის შთამომავლებად მიჩნევა. გამოკვლევაში ვკითხულობთ: „ბაგრატიონთა დავითიანობა იყო დინასტიის ხარიზმულობის ურყევი საბუთი, რაც არაორაზროვნად დაფიქსირდა მესოტამიის შემოქმედებაში, და არა მხოლოდ დაფიქსირდა, არამედ თამარის ეპოქაში ახალი სიმღიერით აქდერდა. შავთელისა და ჩახნუხაშის ოდებში საგანგებოდ რამდენჯერმე მეორდება, რომ თამარი იესიან-დავითიან-სოლომონიანი საგვარეულოს ჩამომავალია, «ძირით მისითა იესისითა» არის შობილი, რაც ქვეტექსტურად გულისხმობს, რომ მის მიერ ტანტის ზეობა უფლის მიერ დავით წინასწარმეტყველისათვის მიცემული ფიცით არის დაკანონებული“ (გვ. 143–144). ნიმუშებად მოყვანილია ე. წ. „აბდულ-მესიანის“ შემდეგი სტრიქონები:

¹⁰ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV–XIX სს.), ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1953, გვ. 1.

„დავითისადა დავითისა და, ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცელა,
«ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი, დავესა მსაჯულად საყდართა ზელა».
ესე მისითა—, ესე მისითა კურთხევით უფლობს ძალთა შემწელა“ (5. 1-3).

„ძირით მისითა იესისითა შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ—წმიდისა წილხლომოდისა საქართველოს მეფედ წოდებად“ (16. 1-2).

„გარლო უფრჭენლო, ცვრით განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო“ (51. 1).

რაც გამოკვლევაში გვარტომობაზეა ნათქვამი, საესებით სწორია, მხოლოდ საკითხავი ის არის, ყველაფერი ეს თამარს ეხება თუ არჩილ მეორეს (ვიმეორებთ: ძველ ზელნაწერებში წერია „არჩილი“) და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის იესიან—დავითიან—სოლომონიანობა მხოლოდ თამარის ეპოქისეული თვალსაზრისია?

ახლა ამაზე ვრცლად აღარ ვიმსჯელებთ, რადგან ზემოთ, როცა განვიხილავთ საკითხს, რამდენად შესაძლებელია არჩილ მეორე ე. წ. „აბდულ—მესიანის“ პერსონაჟად ვცნოთ, იქ ნაჩვენები გვაქვს, რომ აღნიშნული დინასტიური მემკვიდრეობითი იდეა ჩვენში XVII—XVIII საუკუნეებშია ცოცხალი და ქმედითია. კერძოდ, ამგვარად იწოდებოდნენ მუხრანელი ბაგრატიონები, არჩილის სისხლით ახლობლები — ვახტანგ V, გიორგი XI, ვახტანგ VI, ბაქარი. ამ შეხედულებასთან პირდაპირი შეხება აქვს თავად არჩილსაც. სხვა საკითხებთან დაკავშირებით ზემოთაც დავიმოწმეთ და ქვემოთაც გამოჩნდება, რომ დავითიანებად იწოდებიან ბაგრატიონთა სხვა შტოს გვიანდელი მეფეებიც.

აქ ამგვარ მხოლოდ ერთ საბუთს — კახეთის მეფის (1722—1732) კონსტანტინე მეორის წოდებებს მოვიყვანთ: „ესე (...) წყალობის წიგნი და სიკელი გიბომეთ ჩუენ, ღმრთიჲ აღმატებულმან, ღმრთიჲ დაჰყარებულმან და ღმრთიჲ ზეცით გვირგვინოხანმან, იესიან—დავითიან—სოლომონიან—ჰანკრატიონმან, დიდისა ცათა სწორისა კელმწიფისაგან შვილებრ აღზრდილმან და მათგანეჲ გახელმწიფებულმან, ქართლისა და კახეთის მჰურობელმან, ყარაბადის ბეგლარბეგმან, შამშადილუსა და ყაზახის ხანმა, მეფეთ მეფემან და თვთ კელმწიფემან ჰატრონმან კონსტანტინე (...), თქუენ, ჩოლოყაშვილს,“¹¹.

ნათლად ვხედავთ, როგორც ეს ზემოთ დამოწმებულ გიორგი მეფის 1468 წლის 22 მარტის წიგნში არის, ეს პატარა პროვინციის უდიდესი მმართველები (კონსტანტინე მეორე და გიორგი) დავით აღმაშენებელსა და თამარზე ან სხვა რომელიმე ქართველ მეფეზე ნაკლები ღვთიური ძალმოსილების მქონე მეფეებად არ არიან წარმოდგენილი!

¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დ. ო. ლ. ი. ძ. ე. მ. თბ., 1965, გვ. 389-390.

გამოკვლევაში წამოყენებული თვალსაზრისის დასადასტურებლად მოხმობილია აგრეთვე მეფის კურთხევის, მირონცხების აღმნიშვნელი ტერმინი – „ცხებული“. „ხოტბათა ტექსტის ანალიზი მოწმობს, – ეკითხულობთ სტატიაში – მესოტბეებთან ბავრაციონთა ცხებულობის საკითხი განსაკუთრებით არის აქცენტირებული, და თუმცა შავთელთან და ჩახრუსამესთან განსხვავებული კონტექსტი ახლავს, საერთო მიზანდასახულობით ბავრაციონთა დინასტიის საკრალურობის და, შესაბამისად, კანონიერების დასაბუთებას ემსახურება“ (გვ. 146). ე. წ. „აბდულ–მესიანიდან“ მოყვანილია შემდეგი სტრიქონები:

„არ იონათან, არიო ნათან, ვინ ქნა მას ზედა ზეთ–მცხებულობა.

დაცხრა, დაყუნა, მისგან განცუნა უგლიმთა ბორგით ზარ–მცემელობა“ (6. 1–2).

„ცუდ–ყვის მან მტერნი, ორგულთა ერნი, საკვილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა.

მოსე და არონ თხემსა დაარონ მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა“ (12. 3–4).

„სიქუთ–ლა ესეცა: მსგავსად ესეცა უღმთოთა შეიქმს თვით ოტებულსა,

ა მოთხე მისთვის– ამო თხემისთვის ნათანით ვსძღნობდეთ ნელსაცხებულსა“ (38. 3–4).

გამოკვლევაში ტექსტი სრულიად სწორად არის გაშიფრული, რომ „ამ მაგალითთა თანახმად მირონცხებას, როგორც ჰოეტურ სიტყვას, შავთელის ზოტბაში (ანუ ე. წ. „აბდულ–მესიანში“ – ბ. დ.) დავითიანი მეფის – ბავრაციონთა დინასტიის წარმომადგენლის – კანონიერებისა და შინაური თუ გარეული მტრის დამარცხების, მათზე გამარჯვების სემანტიკა ახლავს, რაც ცხებული მეფის უძლეველობის დემონსტრირებას ემსახურება და სამეფო კარის განწყობილებას ასახავს“ (გვ. 147). ოღონდ ჩვენთვის გაუგებარია, მასში მაინც ადამიანი თამარი და მისი ეპოქა რატომ უნდა ვიგულისხმოთ?!

სტატიაში რამდენიმეჯერაა აღნიშნული, რომ „ცხებულის“ ბიბლიიდან მომდინარეობის თვალსაზრისზე ე. წ. „აბდულ–მესიანსა“ და „თამარიანს“ შორის განსხვავებაა. პირველის ავტორზე ნათქვამია: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ მესოტბე ვიდაცას ეკამათება და თავისი აზრის უცილობელ ჭეშმარიტებას უმტკიცებს“ (გვ. 146). უკვე დავიმოწმეთ, ზემორე მოყვანილ ციტატაში აღნიშნულია, რომ „ბავრაციონთა ცხებულობის საკითხს“ „შავთელთან და ჩახრუსამესთან განსხვავებული კონტექსტი ახლავს“ (გვ. 146). კიდევ: „«ცხებასთან» დაკავშირებული კონსოტაციური მნიშვნელობა ჩახრუსამის ზოტბაში განსხვავდება შავთელის მიერ აქცენტირებული მნიშვნელობისაგან“ (გვ. 148). ამ განსხვავების მიხედვით– გამოტანილია დასკვნა, რომ ე. წ. „აბდულ–მესიანი“ „თამარიანზე“ ადრეა შეთხზული: „მირონცხების განსხვავებულ ჰოეტურ გააზრებათაგან შავთელის თხზულება წინ უსწრებს ჩახრუსამისას – შავთელს არ სჭირდება განმარტება, რატომ არის ბავრაციონთა დინასტიის წარმომადგენელი ცხებული, ჩახრუსამეს კი დასჭირდა“ (გვ. 148).

თუ ამ მხრივ ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „თამარიანს“ შორის განსხვავება—დაპირისპირება მართლაც არის (რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ!)—თხზულებათა დასათარიღებლად ის მაინც არ გამოდგება. მთელ XVII—XVIII საუკუნეებში (და წინაც) ქართველ ბაგრატიონთა „დავითიანობა“ და „ცხებულობა“, არსად გვეგულება, ვინმეს სადავოდ და დასასაბუთებლად გაეხადოს. აი, კიდეც გვიანდელი ქართველი მეფეებიდან ვინ იხსენიება „ცხებულად“:

დავითიანია და ღვთისგან ცხებული თეიმურაზ მეორე. 1754 წლის 15 ივნისის განჩინებაში წერია: „ქ. ჩვენ ღმრთივ-აღმატებულმან და ღმრთივ-ცხებით ვეირგვინო(სან)მან საქართველოს და ეაზახ-ბორჩალი(ს) მტკიცედ მჭირაჲმან მეფეთ-მეფემ და თ(ვით) კელმწიფემ ჰატრონმან თ ე ი მ უ რ ა ზ (ამა)ე ჩვენის ბრძანებით გარიგებულს ეა(ნა)ჩენს ჩვენც ასრევ ვამტკიცებთ“. მისი ბეჭედი: „ქ. დავითის ტომად, მკვიდრ ტახტზედ მუდომად, მუო საქართველოს დ-ნ ცხებულად, მეფე თ ე ი მ უ რ ა ზ“ (იგივე ძეგლები, IV, სასამართლო განჩინებანი (XVI—XVIII სს.), თბ., 1972, გვ. 437). მეორე ბეჭდის წარწერა: „უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული, თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს დამტკიცებული“ (იქვე— გვ. 438).

უფრო ადრინდელი, 1744 წლის 17 სექტემბერს გაცემულ განჩინებაზე დასმული, ბეჭდის წარწერა: „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰნაშაჰანსი, მეფედ ცხებული საქართველოსი, 1744, თ ე ი მ უ რ ა ზ“ (გვ. 358).

თეიმურაზ მეორე ასევე იწოდება გარდაცვალების შემდეგაც. 1766 წლის 8 მარტის განჩინება: „ქ. ჩვენ საქართველოს მეფედ ცხებულს, მეფის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს მე, ირაკლი მეორე, მეფე სრულიად ზემოსა საქართველოსა ამა ქართლისა და კახეთისა ჩვენის ბრძანებით შეკრებილთა მდივანბეგთან გაჩენილს სამართალს ვამტკიცებთ“ (გვ. 533).

ამგვარადვეა მოხსენიებული მისი ვაჟი— მეფე ერეკლე მეორე. 1765 წლის 15 აგვისტოს განჩინებაზე დასმული ბეჭდის წარწერა: „ქანარს მიცემს, დავით მიკმობს მედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე“ (იქვე, 515, 526-527).

ღმრთის ცხებულ მეფეთა შთამომავლად წარმოგვიდგება კათალიკოსი ანტონ პირველი. 1739 წლის 5 მარტის სამწყსოს განწესების წიგნი: „ქ. ჩვენ, ღმრთივ ცხებულთა მაღალთა კელმწიფეთა ტომ(ისა) და დავითის ძირითგან აღმოცენებული უოვლისა საქართველოს კათალიკოზ-ჰატრიაქი, მე ქართველთა მეფის იესუსი, ანტონი, ბიძის ჩვენის ბრძანებასა და სიკვლსა ამას ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა“¹².

და, რაც უფრო საყურადღებოა, დასმულ საკითხს ზედმიწევნით უპასუხებს ღვთის მიერ ცხებულად და დავით აღმაშენებლისა და თამარის მემკვიდრედ სახელდებული არჩილ მეორე. მისი თხზულებების კრებულის

¹² ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 745.

შემდგენელი და გადამწერი გივი თუმანიშვილი თავის ანდერძში წერს: „...უხვმან მოწვალემან და ტკბილმან მდინარემან, დიდის თ ა მ ა რ მეფისაგან ეოვლად აღმოცენებულმან და თვით მეტროპისა დ ა ვ ი თ ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს და ვაახტანგ გორგასლანის მიმსგავსებულმან, დ-თისა მიერ ცხებულმან, მეფემან მეფეთამან და კელმწიფემან, პატრონმან ა რ ჩ ი ლ, ოდეს ინება წიგნთა ამათ ლექსად შემეობა და შემზადა კეთილ-სიტუად (...), მას ჟამსა კვიბრძანა გარდაწერა ჩვენ (...), წერთა უნდოს თუმანიშვილს (...) გივი(ის), და აღვასრულეთ ბრძანება პატრონისა“¹³.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი. ე. წ. „აბდულ-მესიანში“ საქები გმირის ერთ-ერთ ღირსებად დასახელებულია ბიბლიაში არაერთხელ გამოვლენილი, შეუვალი დებულების დაცვა, რომ სიბრძნის დასაბამი არის შიში უფლისა:

„აქეს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით «სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა», ნათელი, წრფელი უბრუნელ-მყოფელი, შემწყარბელი ღაერდომილისა, ცულ-ყვის მან მტერნი, ორგულთა ერნი, საკმილმან ვით ქმნის ძალი ცვილისა“ (12. 1-3).

სტატიაში ბლომად არის ბიბლიიდან ციტირებული ამ სიტყვების შემცველი ადგილები. მათ შორისაა „იგავნი სოლომონისნი“: „და დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა“ (1. 7. 9. 10). ფსალმუნნი: „დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ“ (110. 10). ეს შეხედულებაც „ველაზე უფრო“ თამარის ეპოქის დამახასიათებლად არის მიჩნეული: „(შიში უფლისა) — ვკითხულობთ მასში, — როგორც თამარის მეფობის სასიათის განმსაზღვრელი ფაქტორი, ამ ფორმულასთან დაკავშირებულ ბიბლიურ ცნებათა მაღალი სემანტიზაციის გამო (...) სოტბაში იქაც კი იგულისხმება, სადაც პირდაპირ არ არის ნახსენები, განსაკუთრებით იმ სტროფებში, სადაც სიძარტლესეა ლაპარაკი. (...) საერთოდ კი ცხადია, რომ დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ ბრძენის მიერ შთამომავალთათვის ნაანდერძები «შიში უფლისა» ვველაზე უფრო მღიერად თამარის ეპოქაში ჟღერს“ (გვ. 151).

ღვთის შიში ყველა და ყოველი დროის რელიგიის ნიშანდობლივი მოთხოვნაა. ასევე, ურყევი და ადამიანთა ღირსების განმსაზღვრელი რწმენა იყო იგი ჩვენში XVII—XVIII საუკუნეებშიაც, რაც აისახა მაშინდელ როგორც ორიგინალურ, ისე არაქრისტიანული მწერლობიდან ნათარგმნ და გადმოკეთებულ თხზულებებში. ჯერ დავიმოწმოთ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები. ლექსებიდან:

¹³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (...) S კოლექცია, I, თბ., 1959, გვ. 543-544.

„სწვართე კეთილად, ეგების ავის გზითა უკობრუნდეს,
ღვთის შიში გულშიგ ჩაუშვას, ღვეის საქმესა მოშორდეს...“¹⁴.

პროზაული „ზაქიანი“: „...შეიღმან ზაქ არად შეიგონა,
ღვთისა შიში არა ჰქონდა და კაცთაგან არა შეირცხვინა, უბრალოდ მამა
მოკლა“ (იქვე, გვ. 371).

„მოციქულსა უბრძანა: (...) მგონია, წვრთილობა გამოგვლივით და
სირცხვილი აღარა გავყო, მღვთისაგან შიში მოგშორებიათ“ (გვ. 405).

„წუქულმან ეშმაკმან მართალს ვასას დაგვაცდუნა, ღვთის შიში და
სირცხვილი მოგვაშორა“ (გვ. 417).

„მცნება და სიყარული ღვთისა მოიგონე: ზოგჯერ რისხვა და შიში
მისგან, და ზოგჯერ წუალობა“ (იქვე- გვ. 417).

„ბაამიანის“ პროზაული ვერსია: „ნასიამ სუფრა ააღებინა და
ღარბაზი ზაღვათად დარჩა, მოიღო ფარდავი და საურ ზელმწიფე შიგან
გაკვირა, მისსა მასა ზურგსა აკიდა. მან უსირცხვილომან და ავის
მოქმედმან არცა ღვთისა შიში მოიგონა, არცა ვისგან შერცხვენდა“¹⁵.

ახლა მოვეუსმინოთ თვით მეფე-პოეტ არჩილს. „გაბაასება
თეიმურაზისა და რუსთველისა“:

„პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ დაჰყაროს...“ (10. 1).

„ამას ის სჯობს: ღვთის შიშზედა საფუძველი კაცმან აგოს,
სიწმინდითა შეიყვაროს, სასოება არ გარდაგოს...“ (55. 1-2).

„ლექსნი ასდაათნი“:

„დილაღვე შემირაცხია მხედრობის კარგ-გაგებისა,
შიში უფლისა, პატრონის ერთგულად განსაგებლისა...“ (61. 1-2).

გალექსილი „ეისრამიანი“:

„მე საკიცხავი სხვისაგან ნუმც ოდეს მომიგონია,
შიში ღვთისა და კაცთ კრძალვა მიგობს და შემიგონია“ (534. 3-4).

¹⁴ შაკ-ნამეს აღნიშნული მეორე ტომი, სტროფი 5202. 1-2.

¹⁵ შაკ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის, ქართული ვერსიები, III, ტექსტი გამოსცა,
გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დავით კობახიძემ, თბ., 1974, გვ. 547.

ეს ბიბლიური დებულება იაკობ შემოქმედელისათვის განსაკუთრებული ღირებულებისა რომ ყოფილა, იქიდან ჩანს, რომ თავის ვრცელ პოლემიკურ პოეტურ თხზულებას „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებას“ სწორედ მისი ციტირებით იწყებს:

„სოლომონ თქვა სიბრძნის პირველ დასაბამად შიში ღეთისა, სამგვამოვნის ღვთაებისა, შემოქმედის მის ერთისა...“

ყოველივე ამას უფრო იქითკენ მივყავართ, რომ ვიფიქროთ: იაკობ შემოქმედელს, საეკლესიო მოღვაწესა და თეოლოგს, ეს ბიბლიური შეგონება არჩილის ამ ვრცელ ქებაშიც გახსენებოდა და თავისი საქები გმირი ამგვარივე ღირსებით შემკულ პიროვნებად წარმოედგინა, მით უმეტეს, თვით ეს მეფე—პოეტი ამ თეოლოგიური დებულების არაერთგზის მქადაგებელი გახლდათ.

ამრიგად: ჩვენ დასაბუთებულად არ მიგვაჩნია განხილული სტატიის თვალსაზრისი, თითქოს აღნიშნული პოლიტიკურ—თეოლოგიური ცოდნა და ტერმინოლოგია „თამარის ეპოქის პოლიტიკური აზროვნების თეორიისა და პრაქტიკის მხატვრული უკუფენა“ (გვ. 151). დაბეჯითებით უნდა ითქვას—ისინი ერთნაირად ესადაგებიან საქართველოს, როგორც თამარის ეპოქას—ისე გვიანდელ, XVII—XVIII, საუკუნეებს და ვერ არყევენ რამდენიმე მტკიცე და ნათელ საბუთზე დამყარებულ შეხედულებას, რომ ე. წ. „აბდულ—მესიანი“ XVII საუკუნის მოღვაწის, იაკობ შემოქმედელის, ქმნილება¹⁶.

¹⁶ მ. კარბელაშვილი ე. წ. „აბდულ—მესიანს“ XII საუკუნეს აკუთვნებს იმ მხრივაც, თითქოს მასში წმინდა გრაალის სახე—სიმბოლო ჩანდეს. „წმინდა გრაალის სახე—სიმბოლო — წერს ის, — როგორც იდეოლოგიური მნიშვნელობის ფენომენმა, XII საუკუნის ქართულ შწერლობაშიც იჩინა თავი. ფრიად საველოსმოა, რომ გრაალის სიმბოლური გააზრება, ფრიად ორიგინალური, საქართველოშიც ქალთან, სახელდობრ თამარ მეფესთან არის დაკავშირებული (მიუთითებს 1997 წელს უცხოურად გამოქვეყნებულ თავის ნაშრომზე. — ბ. ღ.). შუაუელის ზოტბაში თამარი თავად არის «მადლთა ბარშიში», რომელმაც ბიწისგან უნდა განწმინდოს ერნი“. ამის დასადასტურებლად დამოწმებულია სტრიქონი: „სჯულის ფიცარი ძნელ—საფიცარი, მ ა დ ლ თ ა ბ ა რ ძ ი მ ი ე რ თ ა განსაწმინდ“ (72. 2). იქვე დამოწმებულია აგრეთვე შემდეგი სტრიქონები: „შეგუფროდა, გმირო, ქველო და სრულ ხმელთა ფლობა სამეფოსა“ (96. 3) და „ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა“ (105. 3). ავტორი რაიმე მტკიცებულების გარეშე გადაჭრით წერს, რომ ამ სტრიქონებში „გრაალის იდეა ჟღერს“ (წმინდა გრაალის მისტერია და გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“, წიგნში: თორ სიამაყეს აქანდაკებ შანი დიდებთი, კრებული ეძლეება გრიგოლ რობაქიძეს, თბ., 2003, გვ. 51). ვიმეორებთ: თუ რატომაა ასე, არსაიდან ჩანს.

XI. ასტრონომია-ასტროლოგიით დათარიღება

2004 წლის ოქტომბერში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ზედიზედ გამოქვეყნდა შალვა საბაშვილის სამი წერილი XII-XIII საუკუნეთა ქართულ მხატვრულ ძეგლებში ასტრონომიული ცოდნის თაობაზე. პირველში ამ თვალსაზრისით განხილულია „ვეფხისტყაოსანი“ (№ 41, გვ. 13-15), მეორეში - ჩახრუხაძის „თამარიანი“ (№ 42, გვ. 13-14), მესამეში - ე. წ. იოანე შავთელის „აბდულ-მესიანი“ (№ 43, გვ. 13). ჩანს, ბატონი შალვა ასტრონომიული მეცნიერების წარმომადგენელია და, ამასთან ერთად, პოეზიის მსახურიც. წინათაც წამიკითხავს და ახლა, აღნიშნულ სტატიებამდე ცოტა ადრე, ამავე გაზეთში დაიბეჭდა მისი საკმაოდ საინტერესო ლექსები (№ 37, გვ. 11).

ამჯერად ჩვენი მიზანია, შევეხოთ მესამე წერილს, - *„ასტრონომიული პასაჟები იოანე შავთელის «აბდულმესიანში»“* და იქ დასმულ საკითხს, - ასტრონომიული მონაცემებით ამ სხობო თხზულების დათარიღებას.

ვხედავთ, ავტორი სათანადოდ არ იცნობს სამეცნიერო ლიტერატურას, სახელდობრ, ჩვენს ნაშრომს ამ ნაწარმოების რაობაზე.

შალვა საბაშვილი თავიდან, პირველი წერილის დასაწყისშივე, აღნიშნავს, რომ ხსენებული თხზულებები ასახავს XII-XIII საუკუნეთა საქართველოს ცხოვრებას და მათი მეშვეობით შესაძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ ამ საუკუნეებში ასტრონომიის შესახებ ჩვენში არსებულ ცოდნაზე. „საკუთრივ ასტრონომიული ხასიათის თხზულებათა არარსებობის ან მათი შემოუნახველობის პირობებში - წერს იგი, - შუა საუკუნეების საქართველოში ასტრონომიული ცოდნის შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ პერიოდის ნაწარმოებებს, უპირატესად კი შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანს», აგრეთვე ჩახრუხაძის «თამარიანს» და იოანე შავთელის «აბდულმესიანს»“.

ავტორი იქვე ამ მხრივ საგანგებოდ ჩერდება ე. წ. „აბდულ-მესიანზე“ და მიიჩნევს, რომ მასში მოცემული ასტრონომიული გაგებითაც შეიძლება მისი შექმნის დრო განისაზღვროს. მკვლევარი განაგრძობს: „თუმცა ზოგი მათგანი, განსაკუთრებით «აბდულმესიანი» გვიანდელი, დამახინჯებული ხელნაწერების ხასიათა ჩვენამდე მოღწეული და მისი ეკლექტიკური ხასიათის გამო თვით თხზულების დაწერის თარიღიც კი საჭკუო ხდება, მაინც მათი მნიშვნელობა ზემოაღნიშნული ამოცანის თვალსაზრისით გადაუახებელია. არსებო-

ბის გარკვეული უფლება იმ აზრსაც კი აქვს, რომ ამ ნაწარმოების ასტრონომიული კომპეტენტურობის დონე თავისუფლად შეიძლება მათი შექმნის ეპოქის მიმანიშნებელიც კი იყოს“.

მესამე წერილში, რომელიც საკუთრივ ე. წ. „აბდულ-მესიანს“ ეხება, მკვლევარი კლასიკური ხანისადმი ამ თხზულების კუთვნილების დამადასტურებლად სხვა მონაცემებთან ერთად კვლავ ასტრონომიას ასახელებს. „თუმცა «აბდულმესიანის» XVIII ს.-ზე ადრინდელი ხელნაწერები შემონახული არაა, ჰოემის მთელი არქიტექტურა ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი კლასიკური ხანის ძეგლია. ამას მისი შედგენილობა, თხზულებაში გამოვლენილი მასშტაბები და, კერძოდ, მისი შთაბეჭდავი ასტრონომიული ასპექტებიც მოწმობს“.

ამის შემდეგ ბატონი შალვა გადადის საძიებელი ხოტბის ასტრონომიულ პასაჟთა აღრიცხვასა და მათ მოკლე დახასიათებაზე, მაგრამ არსად არ მიუთითებს, რომელია მათგან XII-XIII საუკუნეებისათვის სპეციფიკური, რომელიც მომდევნო საუკუნეებს გამორიცხავს. ასეთებად, ალბათ, არ მიიჩნეეს თხზულების სიტყვებს, რომლებსაც იგი პირველად იმოწმებს:

„ადმოსაველეთით და დასაველეთით, სამხრით ჩრდილომდის ჰჰოონ, სად არი“ (სტროფი 3. 3).

არ ან ვერ მიიჩნეეს იმიტომ, რომ დედამიწის ოთხივე მხარე დღესაც ამ სიტყვებით აღინიშნება.

ცხადია, აღნიშნულის დასამტკიცებლად ვერც სტატიამში დამოწმებული შემდეგი სტრიქონები გამოდგება:

„ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო,

ვერ ძალგიცთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა“ (2. 4).

„ცნობისა სვეტი, ხევეთ საჭვრეტი, სიმაღლედ, სიერცედ, სიგრძედ და სიღრმედ-მზე დაუვალი, მყის დაუვალი, არს შეიდი მნათი მას ზედ მოწამედ“ (72. 1,3).

იქნებ, გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელი იყოს ხოტბაში წარმოდგენილი ასტროლოგიური შეხედულებანი ეტლებისა და შეიდი მნათობის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ მოგვეპოვება ერთი ასეთი XII საუკუნის (ნავარაუდევია ნათარგმნი) ქმნილება „*ეტილთა და შვდთა მნათობთათს*“ (გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1975).

შალვა საბაშვილი წერს: „შავთელმაც იცის ზოდიაქოს თანავარსკვლავედები, მზის სულა მათ მიმართ და ამ სულის შედეგები, კერძოდ, ის რომ ცის ეკვატორისაგან მაქსიმალურად ჩრდილოეთით გადახრისას, როცა შუადღის მზე უმაღლესია ჰორიზონტისადმი, დღის ხანგრძლივობა კი (ჩვენს ქვეანაში) მაქსიმალური წლის დანარჩენ დროსთან შედარებით, მზე კირჩხიბისა და ლომის თანავარსკვლავედშია. ესაა იენის-ივლისი, ზაფხული“. იგი სწორად მიუთითებს და აანალიზებს შესაბამის სტრიქონებს:

„მზრდელ არს მონათა; ზეცით მონათა იელისის მზემან ზედ ლომსა
ჯდომით“ (10.1).
„სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერად სწორავს არარატისა“
(13.4).

ის, რომ ზოდიაქოთა მოძღვრების წიგნი XII საუკუნეში ქართულად ითარგმნა თუ დაიწერა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, მასში გამოთქმული შეხედულებანი მხოლოდ ამ დროს იყო გავრცელებული, ამ ეპოქისთვისაა დამახასიათებელი და მას ჩვენში არ იცნობდნენ, არ იმეორებდნენ გვიანდელ საუკუნეებში. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, პირდაპირ ვიტყვი, ზოდიაქოთა სისტემას მშვენიერად იცნობს და თავის თხზულებაში იყენებს იაკობ შემოქმედელი, რომელსაც, ჩვენი თვალსაზრისით, ეკუთვნის საძიებელი ხოტბა.

იაკობის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ დედანში ბაგრატ ბატონიშვილი ნებროთ გვირის ამბავთან დაკავშირებით აკრიტიკებს მოჰამედს, ანუ მაჰმადს, რომელსაც თეზის ზოდიაქოზე სწორი წარმოდგენა არა აქვს და თეზი პირდაპირი მნიშვნელობით ესმისო. აი, მისი სიტყვები: მოჰამედი „... შთამოყვების წულით რღუნასა, და გოდლის წილ დაამტკიცებს ნებროთის მიერ აღზრდასა ორთა მართუჲთა ფამუენმისა და ბჯთა მათთა ზედა ტვრთულისა ზეცად აღსლვასა. ხოლო აღ-რა-ვიდა ზეცადო, სტეორცა ისარი, რადთამცა მოკლა ღმერთი და თვთ ღმერთ იქმნაო. და უბრძანა ღმერთმან მთავარანგელოზსა გაბრიელს: «და იპუარ იხარი!» და განულო თეჯსა მას მეთართმეტედ ეტლად დაწვხუბულ არს, მეწამულ ეო იგი სისხლითა მისითა და კუალად აგო ნებროთს და ირწმუნა, ვითარმედ მოკლა ღმერთი და მხიარულ ქმნილი შთამოვიდა ქვეუანადო. და არა მწეის წეუელმან, ვითარმედ არა კორციელი თეჯი არს, არამედ ხსე თეჯისა“ (Q 91, გვ. 3 r).

იაკობ შემოქმედელი ამ ადგილს ასე ლექსავს:

„ნებროთ ღმთობა მოინდომა, ცათ ისარი სტყორცა ღმერთსო, მსწრაფლ გაბრიელ ერისთავმან კელით იპყრა იგ წამ ერთსო. მან განავლო მეთორმეტედ ეტლად მნათობთ თევზის ფრთესო. სულ შელება თევზის სისხლით, კელა ხელთ მისცა თვით ნებროთსო.

გამხიარულდა მუნ ნებროთ, თვით შთამოვიდა ქვეყნადო, ეგონა, - მოკალ უკედაეი, აწ ვიწყებ ზე აღფრენადო. ეტლის ბურჯს კორცი ვინ მისცა, სახე აქვს თევზის თანადო! წყუული ყველას გვატყუებს, ვინცა ვართ ქრისტეს მონადო“ (52-53).

საყურადღებოა, რომ იაკობ შემოქმედელი დედანს ბრმად არ მიჰყვება და, თუ ბაგრატი „თევზს“ *მეთორმეტე* ეტლად მიიჩნევს, იაკობი მას *მეთორმეტედ* ასახელებს, როგორც ეს მიღებულია საერთოდ და არის ზემორე დასახელებულ წიგნში „*ეტილთა და შჯდთა მნათობათჳს*“ (გვ. 32).

იაკობი ამავე პოლემიკური ნაშრომის შესავალში, რომელიც გაღვექსილი კი არა, მისი საკუთარი ნააზრევეია, სხვა ზოდიაქოს, სახელდობრ, კირჩხიბის ბურჯში მყოფ მზეს, როგორც ეს ე. წ. „აბდულ-მესიანშია“, გმირის მხატვრული სახის შესაქმნელად იყენებს:

„რუსთველი ეთქვა თავს მელექსედ, მზედ, კირჩხიბის ეტლს მჯდომარედ, თეიმურაზ, არჩილ მეფე - ორიე მისად მეჯუფთარედ, თვით ცისკრისა მთიებად გნან, სანთლად მათთვის წინ მდებარედ, სხვა შეყრილნი მელექსენი - ცუდ ვარსკელაეად, მოუხმარედ“ (8).

ისიც ჩვეულებრივი ამბავია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სტროფში ნახმარი საქები მეტაფორა „*ცისკრის მთიები*“ ამავე მიზნით მეორდება ე. წ. „აბდულ-მესიანში“, რომელსაც ბატონი შალვა იმოწმებს:

„ეგრეთ ინახის შორის ინაის, ვით მზე სამყაროს მანათობელი, მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით, სხივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი“ (45. 1-2).

„გქმნა ცისკრად ღღისად, მთიებად მზისად, ვარსკელაეად ცისად, თვით უბინდომან“ (64. 4).

„მთიების“ შესახებ წერილში ასეთი მსჯელობაა: „თუმცა აქ ტერმინ «მთიების» გამოყენება თავისებურია - იგი თითქოს მნათობს ნიშნავს და არა მათემატიკურს, თუმცა შესაძლებელია აქ «მთიები» მზის ამომკვანის, მეგზურის, გზის გამკვლევისა და ნიშნავდეს“. სინამდვილეში

„მთიები“ ძველ ქართულ მწერლობაში, მათ შორის XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლებში, ფართოდ გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს *დილის ეარსკელაეს*.

რომელიმე ძველი ეპოქის, მათ შორის XII-XIII საუკუნეთა, სპეციფიკურ სინამდვილედ ან მხატვრულ სახედ ვერ მივიჩნევთ აგრეთვე მკვლევრის მიერ მოყვანილ შემდეგ სტრიქონებს:

„ეთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა
მისთაგან“ (17. 3).

„დოვლათ-სეიანად, სუფევს მზიანად, შვიდთა მნათობთა გარმოზღუდვითა,
განათლდა არე მისით, ვით მთვარე, როს განხმულ იყენეს ცანი
კომითა“ (18. 1-2).

„ღმრთისა სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ ზისა, - ეთერთ, სამყაროთ და
ღრუბელთასა“ (28. 2).

„ბნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა, ვით მზე დაჰფარავს
სხვათა ვარსკელაეთა“ (33. 4).

ასევე გამოთქმებს: „სჭერეტენ მნათობნი შეფრფინით“ (67. 1), „არეთა მთენი, ცისკრის კრებული“ (68. 3).

ამ სიტყვათა და სახეთა გვიანდელ ძეგლებში არსებობის საჩვენებლად ორიოდე სტროფს მოვიხმობთ თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანიდან“. ლეილისა და მაჯნუნის დაბადებისას

„განათლდა იგი ადგილი, აღარსად იყო ჩრდილები“ (5. 4).

„პირ-მეტყველთა მარგალიტთა მათ სადაფი აღმოშობდეს,
კრონოს, ზევსი, ოტარიდი სინათლეთა მას უძღნობდეს,
მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმღერდეს და თამაშობდეს,
«მზე და მთვარე დაჯჯუთულან, მათგან არსო» - ამას ხმობდეს“ (6).

„შვიდნი არის მნათობთ რიცხენი...“ (61. 3). და სხვა.

მკვლევარი ასტრონომიული თვალსაზრისით განიხილავს სტრიქონს: „ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაეუმის, ბრგენილს მყოფს ენითა“ (15. 1) და პგონია, რომ აქ „ჩნდება სატურნის («კრონოსის») სახეც“. მას რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ კვლევებისას არა პოპულარული (თვითონ მიუთითებს, ესარგებლობო პუბლიკაციით: ქართული პოეზია. I, თბ., „ნაკა-

დული“, 1979), არამედ სამეცნიერო გამოცემით ესარგებლა, ნახავდა, აქ „კრონოსი“ „სატურნი“ კი არა, „პრისხანე ღმერთი, რეას ქმარი და ზევსის მამა“ არის (*ძველი ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 261*).

იგივე ვითარებაა მეორე შემთხვევაშიც. სტატიაში ვკითხულობთ: „დაკავაჟიქრა მე-100 სტროფის სტრიქონმა «მერკვირისაუბრ უსჯულთ ვლენითა» (რა თქმა უნდა, ოტარიდისათვის «მერკურის» სახელდება გაცილებით გვიანი ტრადიციაა)“.

83-ე (და არა მე-100) სტროფის ეს სტრიქონი „ტყორცა ისრისა მიკვირს, სისრისა მერკვირისაებრ უსჯულთ ვლენითა“ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო კვლევის საგანი იყო. კორნელი კეკელიძემ კი გააარკვია, რომ „მერკვირი“ არის არა ციური სხეული „მერკური“ (შ. საბაშვილი), რომაელთა მითოლოგიური გმირი (ნ. მარი), იუპიტერის შვილი (ს. კაკაბაძე) ან ბერძენთა პერმესი, ზევსისა და მაიას შვილი (მ. ჯანაშვილი), არამედ წმინდა მოწამე მერკვირი (კ. კ ე ე ლ ი ძ ე ეტიუდები, IV, გვ. 63-64).

დასასრულ, კიდევ ერთი სახელის, „მესტროლაბეს“, შესახებ: „ხამს შემეწია, თვით შემეწია მუსიკ-მგოსანით, მესტროლაბენით“ (101. 2). სტატიაში წერია: „დასაზუსტებელია 101-ე სტროფის «მესტროლაბენი» (თუ აქ ასტრონომის, ანუ კუთხის საზომი ასტრონომიული იარაღის ძველ ფორმას «სტროლაბს») ამოვიცნობთ, მაშინ გამოდის «მესტროლაბენი», ანუ, შესაძლოა, ასტრონომები“.

„მესტროლაბეც“ ე. წ. ქართული აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში ცნობილი და გავრცელებული სიტყვაა და იგი, მართლაც, ასტროლოგს, ვარსკვლავთმრიცხველს, მუნეჯობს ნიშნავს. იმავე თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანში“ ყაისის დაბადებისას

„მესტროლაბენი აწვივნეს, მუნაჯობ-მერამლიანად,

ჰკითხეს: «გვითხარო, ვით იყოს ყმა ესე დოვლათ-სევიანად?»“ (9. 3-4).

ეს მოწვეულები

„ქვიშას არჩევენ, რამლსა ჰკერენ, ჰქონდათ ვარსკვლავთა თელილობა, იკითხევენ, წერენ, არჩევენ - აქეთ დიდი გამოწვილობა, ეტლები რომელს ბურჯზე დგას, ქნიან ამისი ცილობა, ღმერთს შესტირიან მშობლები - ყმას ჰქონდეს დღეკეთილობა“ (10).

და სხვა.

სხვა რომ არ იყოს რა, იაკობ შემოქმედელის ზემოთ და-
მოწმებული სტროფიდან გარკვევით ჩანს, ის რა დიდი დაძუა-
სებელია, და აქედან გამომდინარე - მცოდნე, თეიმურაზ პირვე-
ლის პოეზიისა.

იაკობ შემოქმედელის თანამედროვისა და მასთან პირადად და
შემოქმედებითად კავშირის მქონე იოსებ თბილელის „დიდმოუ-
რავიანის“ გიორგი ლეონიძისეული გამოცემის (თბ., 1939) საგნობრივ
საძიებელში გამოყოფილია „ასტრონომია“ (გვ. 96), თვით პოემაში კი
რამლისა და სტროლაბით მკითხაობაზე ვკითხულობთ:

„ესე თქვა თუ: გროვდებიან, ქვიშას რასმე პარკს ჩაყრიან,
ხან ისრებსა შესჭიდებენ, ხან ქურუმნი რამლსა ჰყრიან,
მესტროლაბე სტროლაბსა შლის, მისვლელს უკან უკუყყრიან...“
(62. 1-3).

... სრულ ჩამოცვივდა ბურჯები, ეტლებმან ქვე დანარცხისა...“
(63. 3).

საერთოდ, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რომელი ასტრონომიულ-
ასტროლოგიური ცოდნა და ტერმინი გნებავთ, რომ XVII-XVIII
საუკუნეთა ქართულ მწერლობაში არ დასტურდებოდეს!

ამრიგად: ე. წ. „აბდულ-მესიანი“, რომელიც სინამ-
დვილში არის „ქება მეფისა არჩილისა“, ასტრონომიული და
ასტროლოგიური თვალსაზრისით ისეთს არაფერს შეიცავს,
მას რომ XVII საუკუნეს სწყვეტდეს და XII-XIII საუკუნეებს
უცილობლად მიაკუთვნებდეს.

XII. როდის დაიწერა „ქება მეფისა არჩილისა“?

ამაზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. აქამდე მას განიხილავდნენ როგორც ქართული კლასიკური ხანის ძეგლს, იოანე შავთელის „აბდულ-მესიანს“, და ათარიღებდნენ იმის მიხედვით, ვისაც მიიჩნევდნენ მისი ქების ობიექტად ან რა რეალიტებსაც მასში ხედავდნენ¹.

რადგან თამარის ქებად მიიჩნევდნენ, დავით რექტორი და მის კვლობაზე თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონები დაწერის დროს ზოგადად, თამარის მეფობის ხანით, განსაზღვრავდნენ. პ. იოსელიანი 1192 წელს ასახელებდა. ზ. ჭიჭინაძე ჯერ ამ თარიღს მიემხრო, შემდეგ ის 1188 წლით შეცვალა. ა. ხახანაშვილმაც ჯერ პ. იოსელიანის თარიღი, 1192 წელი, გაიმორა, მერე ზოგადად „XII საუკუნის მიწურული“ დაასახელა. ვინაიდან ნ. მარს თხზულება დავით აღმაშენებლის შესხმად ესახებოდა, მის დაწერის დროსაც ამ მეფის ზეობის ხანით განსაზღვრავდა. ნ. მარის შეხედულება არსებითად გაიზიარა პ. ინგოროყვამ. შ. ნუცუბიძე, რომელიც ნაწილობრივ მიემხრო ნ. მარის მოსაზრებას, ფიქრობდა, თხზულების პირველი, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ნაწილი, დაწერილია მისი მეფობის დროს, XII საუკუნის პირველ მეოთხედში, მეორე ნაწილი, თამარის ხოტბა, - თამარის მეფობის დროს, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე. ვიდრე ს. კაკაბაძე ვარაუდობდა, რომ ხოტბის ობიექტი დავით მერვეაო, თხზულების დაწერის თარიღად 1360-1369 წლებს მიიჩნევდა. მერე დავით მერვე ულუ-დავითით შეცვალა და ქრონოლოგიაც 1268-1270 წლებით განსაზღვრა. როცა ეს უკანასკნელი დავით მესამით შეცვალა, დაწერის დროც შესაბამისად 1155-1156 წლებამდე დაიყვანა. სულ ბოლოს, ყველაფერი ეს უარყო და საკითხიც ღიად დატოვა.

რაკი ხოტბაში საქებ გმირს ეწოდება „კეისარი“ და „ჯიმ-შედ მფლობელი“, კ. კეკელიძის ვარაუდით, თამარს პირველი ტიტული შეიძლებოდა მიეღო ტრაპიზონის სამეფოს დაარსების (1204 წ.) გამო, ხოლო მეორე ტიტული - სპარსეთის დიდი ნაწილის დაპყრობისათვის (1210 წ.). ვინაიდან თვითონ თამარის გარდაცვალების თარიღად 1215 წელს მიიჩნევდა, თხზულების დაწერის თარიღს 1210-1215 წლებით განსაზღვრავდა. აღ. ბარამიძე 1204-1212 წლებით ივარგლებოდა. პირველში ტრაპიზონის დაარსების, მეორეში თამარის გარდაცვალების წელს

¹ ეს საკითხიც ამომწურავად არის მიმოხილული ი. ლოლაშვილის გამოკვლევაში, რომელიც მის მიერ გამოცემულ ტექსტს წინ უძღვის: მუხრანე, II, გვ. 106-114.

გულისხმობდა. ე. მეტრეველისათვის საყრდენია ბასიანის ომისა და დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღები - 1206-1207 წლები. ი. ლოლაშვილის მიხედვით, დრო ბასიანის ომიდან და- ვით სოსლანის გარდაცვალებამდე - 1204-1206 წლები.

მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ ხოტბა იაკობ შემოქმე- დელს ეკუთვნის და არჩილ მეორისადმი მიძღვნილი, საძიებუ- ლი დრო XVII საუკუნის მეორე ნახევარში გადმოდის, მაგრამ მისი ზუსტად დადგენა არც ახლა ხერხდება. შეიძლება იგი მხოლოდ მიახლოებით განისაზღვროს.

რადგან თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე საქები გმირი, არჩილი, მეფეა, დაწერის უადრესი დრო 1661 წელი იქ- ნება, როცა 14 წლის არჩილი მამამისმა, ვახტანგ მეხუთემ, იმე- რეთის მეფედ დასვა. უგვიანეს თარიღად შეგვიძლია დავასახე- ლოთ 1681 წელი, როცა „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაა- სებაში“ არჩილი იაკობს „ჩემს მკობარს“ უწოდებს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მეფე-პოეტს მხედველობაში აქვს არა მისი ერთსტროფიანი ქება, არამედ ეს ვრცელი სახოტბო თხზულება ან ორივე ერთად.

როგორია სხვა მონაცემები?

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, თითქოს ხოტ- ბაში ჩანდეს, რომ საქები გმირი ცოლიანია. ამ შეხედულების ავტორები ეყრდნობიან ტრადიციულ თვალსაზრისს, რომ მასში დავითთან ერთად შექებულია თამარი, რომელთა მეუღლეობრი- ვი კავშირის გამომხატველად მიაჩნიათ სტრიქონი:

„გვრიტა მართვისა თვარ აქეს მართ ვისა თქვენებრ სურვილი
მეუღლეობისა!“ (62 1).

მისი შინაარსი ასე ესმით: თუ არა თქვენ, მაშ, სხვას ვის აქვს თქვენებრი სურვილი გვრიტივით მეუღლეობისა. ი. ლო- ლაშვილი ასე აზუსტებს: „გვრიტა ბარტყისა (ვით) მეუღლეობრივი კავშირი (= სიყვარული) თქვენ თუ არა, (მაშ) ნამდვილად ვისა აქვს?“ (იქვე გვ. 222).

ამ საკითხის ისტორია სრულად აქვს გადმოცემული ი. ლოლაშვილს (იქვე, გვ. 87 - 89) და მას არ გავიმეორებთ. აღ- ვნიშნავეთ მხოლოდ, რომ ეს თვალსაზრისი პირველად წამოაყე- ნა ჩვენმა სასიკაძულო მწერალმა აკაკი წერეთელმა და გაიზი- არეს მეცნიერებმა: მ. ჯანაშვილმა, ალ. ბარამიძემ, ი. ლოლაშ- ვილმა და სხვებმა.

ამ მეღვევართა ერთ ნაწილს „თქვენებრ“ ნაცვალსახელი ჩვეულებრივი გაგებით ესმის და მასში ორ პირს ხედავს. ალ.

ბარამიძე წერს: „სრულიად უეჭველია, რომ ციტირებული ნაწევრით მესტრტე ამკობს ფაქიზი მეუღლეობრივი ცხოვრებით შეკავშირებულ ორ ჰირს. აქ «თქვენ» თავისი ჰირდაჰირი მნიშვნელობით არის ნახმარი“. ავტორი იქვე მცირეოდენი საყვედურით მიუთითებს, „რომ... ამ უაღრესად საუურადღებო ადგილს ნ. მარმა ერთგვარად გვერდი აუსვია და მხოლოდ შინაარსის გადმოცემისას ცალმხრივად აღნიშნა «В супружеских чувствах он прост и целомудрен, а подданные в нем зрят защиту»“ და, თავის მხრივ, კვლავ იმეორებს: „ამგვარად, მ. ჯანაშიელთან ერთად უნდა დავასკვნათ, რომ განხილული 62-ე სტროფით შემკულია მეუღლეობრივი ცხოვრებით შეკავშირებული ორი დიდებული ჰირი, დედაკაცი და მამაკაცი“².

„თქვენ“ ნაცვალსახელის ამგვარ პირდაპირ გაგებას ეწინააღმდეგება მომდევნო სტრიქონები:

„წარ-თუწირულ ვართ, არ განწირულ ვართ, რადგან თქვენ გპოვეთ
მზედ უფლობისა.
მადლის მუშაკთა ექმენ ხორშაკთა მაგრილობელად სხეულებისა.
მთა შეუძერელი, კლდე შემმუსერელი, ლოდი ხარ მტერთა
დაბრკოლებისა“.

როგორც ი. ლოლაშვილი კ. კეკელიძის ნაშრომის დამოწმებით აღნიშნავს, აქ „თქვენ“ მიმართულია მხოლოდ ერთი პირისადმი. ამ „სიტყვაში რომ ორი ჰირი ივარაუდებოდეს, - სამართლიანად წერს ი. ლოლაშვილი, - მაშინ შავთელი (ე. ი. ავტორი - ბ. დ.) იტოდა: «რადგან თქვენ გპოვეთ მზეებად უფლობისა». გარდა ამისა, მესამე და მეოთხე ტაყვებში ნახმარი ზმნები «ვქმენ... მაგრილობელად» და «დიდი ხარ... დაბრკოლებისა» მიუთითებენ, რომ მთელ სტროფში საუბარია ერთ ჰირზე - თამარ (ჩვენი გაგებით, არჩილ - ბ. დ.) მეფეზე, რომელსაც გულში უღვიოდა გვრიტთა მართვის მსგავსი უბიწო მეუღლეობრივი სიყვარული“ (გვ. 90).

ი. ლოლაშვილს იმ შემთხვევაშიც, როცა „თქვენ“ ნაცვალსახელს მხოლოდითი რიცხვის გამომხატველ, ზრდილობიან ნათქვამად განმარტავს, მიაჩნია, რომ საქები გმირი დაქორწინებულია, რადგან, მისი სიტყვებით, „მასში მეუღლეობრივი სიყვარული ქორწინების შემდეგ უნდა გაღვივებულიყო“ (გვ. 89).

თუ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ ხოტბის დაწერის უაღრესი თარიღი ექვსი წლით აქეთ გადმოიწვეს და 1667

² ნარკვევები, I, გვ. 128.

წელი იქნება, როცა არჩილმა ცოლად თეიმურაზ პირველის შვილის, დავითის, ქალი, იმერეთის მეფის, ბრმა ბაგრატის, ნაცოლარი ქეთევანი შეირთო.

მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია, სურვილი არა მეორადი, „სიყვარულის“, შინაარსით გავიგოთ, არამედ - პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „შერის წადილი“, „ნღომა შერისა“, „ნახვის ნღომა“. მეხოტბეს ახალგაზრდა, ნორჩი მეფისათვის თავისუფლად შეიძლებოდა ეთქვა: *რომ შენ სურვილი გაქვს, გწადია, მომზადებული ხარ მეუღლეობისათვის, დაქორწინებისათვის.*

თუ ტექსტს ასეთი შინაარსით გავშიფრავთ და მივიჩნევთ, რომ, როცა თხზულება იწერებოდა, არჩილი უცოლო იყო, მაშინ მისი დაქორწინების წელი უკვე ხოტბის შექმნის უადრესი კი არა, უგვიანესი თარიღი გამოვა და დაწერის დრო 1661-1666 წლები იქნება. ამ თარიღს ისიც დაუჭერდა მხარს, რომ ნაწარმოებში არჩილის მეფობის რაიმე კონკრეტული აშბაეი არ ასახულა, რაც, შეიძლება, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყოს იმისა, რომ ამ წლებში მას, როგორც მეფეს, არაფრით გამოუჩენია თავი, ყოველ შემთხვევაში, მემატრიანეები ამის თაობაზე რაიმე ხელშესახებს არ იძლევიან.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ აღნიშნული სტრიქონი ისე ნათელი და გამჭვირვალე მაინც არ არის, აღნიშნული ჭეშმარიტებად მივიღოთ და საძიებელი თარიღი ამ მონაცემით ამგვარად განესაზღვროთ.

სხვა მოსაზრება: ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თითქოს თხზულებაში სამგლოვიარო განწყობილება ჩანდეს, რასაც იმის მიმანიშნებლად მიიჩნევენ, ვითომც მისი წერის დროს ან მანამდე საქები გმირი გარდაიცვალა. პ. ინგოროყვა, რომელიც ვერდნობა ნ. მარის მოსაზრებას, რომ ხოტბის ობიექტი დავით აღმაშენებელია, წერს: „«აბდულ-მესიანს» ბოლოში დართული აქვს ელგაია, რომელიც ჰოეტს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების გამო დაწერია. ელგაია დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, - დამთავრებული მთლიანი არქიტექტონური წუობით. რომ ეს მეორე ტექსტი, ელგაია, დაწერილია «აბდულ-მესიანის» შემდეგ, ეს სრულიად უდავოა, «აბდულ-მესიანში» ავტორი მიმართავს დავით აღმაშენებელს როგორც ცოცხალს ჰირს, ხოლო ელგაიაში დავითი უკვე გარდაცვალებულად იგულისხმება. ავტორი მწუხარებით არის შეპრობილი დავითის გამო (იხ. სტროფები 96-101, 105-106), ხოლო ელგაიის ერთ სტროფში (105) ჰირდაპირ

აღნიშნულია: «ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულსა». ელეგია, როგორც ირკვევა, 1125 წელს არის დაწერილი და წარმოადგენს ახლად გარდაცვალებული დაკითხის ერთგვარ დატირებას, ჰოეტურ გამოთხოვებას³.

აღ. ბარამიძე ასე მსჯელობს: „სახოტბო ჰოემის ბოლოს ჰოეტის აღტაცებულ-აღტეინებული საზეიმო კილო იცვლება ღრმა მელანქოლიური განწუბილებით, რომელიც გოდებაში გადადის. მესობტე თითქოს სამუდამოდ ეთხოვება კეთილმოყოფელი ჰატრონის ამქვენიურ არსებას და სამგლოვიანო სიტყვებით ურთავს (106): «უფიცავ მე მალღით, რომ თქვენის გაურით ჰკლებოდეს ეამსა დღეთა ჩემთასა... ვერ ვაკებ თქმითა, რომ ვარ სულთქმითა უსიტყველითა უფროს სხვათასა».

ვკონებ, დამოწმებულ ნაწევტში გაურა უნდა იუოს ნახმარი ჰირდაჰირი მნიშვნელობით, ჰოეტი უნდა ეთხოვებოდეს სასიკვდილოდ განწირულ ჰატრონს, თუ მის უკვე უსულოდ მდებარე გაცივებულ გვამს. მით უმეტეს, რომ მესობტე წინა სტროფშივე ლაჰარაკობს ქების საგნის მომავალ დაკრძალვაზე და სასაფლაო ადგილზეც კი მიუთითებს (105, 4): «ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა».

საეჭვოა, რომ სახოტბო ჰოეზიის საზღვარდაუდებელი-ფანტასტიკური ჰიჰერბოლიზმის ჰირობებშიც კი მსგავსი სიტყვებით აღებუტდა მესობტე ჰოეტს ცოცხალი ჰირის უშუალო ქება-დიდება. ისიც საგულისხმოა, რომ ადრე მე-11 სტროფში ჰოეტი აცხადებდა: «მხნედ ვისთვის ვიუო, სული გავიუო! უფალსა ჩემსა რამც გამეაროსა!».

აღნიშნული გარემოება უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ სამგლოვიანო განწუბილების გამომხატველი ორიოდ სტროფი (კერძოდ სტროფები 105-106) იქნებ შემდეგ იუოს ჩართული «აბდულ-მესიანის» ტექსტში, რასაკვირველია, თვითონ ავტორის მიერ, როგორც ფიქრობდა აკად. ნ. მარი (Одописцы. стр. 16, прим. 1)...ხოლო აკად. კ. კეკელიძე თავის მხრით ადასტურებს ე ნ კ მ ი ე ბ ი ს ლიტერატურული ტრადიციის არსებობის ფაქტს ქართულ მწერლობაში...⁴

აღ. ბარამიძეს ამ თვალსაზრისის მიხედვით გამოჰყავს ხოტბის დაწერის უგვიანესი თარიღი. დასკვნის სახით ის ამბობს: „თუ სწორია მოსაზრება, რომ «აბდულ-მესიანი» თავისებურ

³ რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 53.

⁴ ნარკვევები, I, გვ. 151 - 152.

სამკლოვიარო ოდას წარმოადგენს, ან რომ სამკლოვიარო განწო-
ბილების გამოხატველი სტროფები ჰოემაში ჩართულია ქების საუნის
გარდაცვალების მომენტში, მაშინ გარკვეულია თარიღის ხაიითხიე.
«აბდულ-მესიანის» ქების საგანი დავით სოსლანი გარდაცვალა 1207
წელს, სოლო თამარი 1212 წელს, მამასადამე, შავთელის ხსოტბო
ჰოემის ჩამოუბლიბებაც უნდა დაუკავშირდეს დროის აღნიშნულ მონა-
კვეთს“ (იქვე, გვ. 152).

თხზულების დაწერის უგვიანესი თარიღის განსასაზღვრა-
ვად ამავე მონაცემს ეყრდნობა ე. მეტრეველიც. „ქების უკა-
ნასკნული ნაწილი (96-107 სტრ.) - წერს იგი, - სამკლოვიარო ხა-
სიათს ატარებს. სოტბის სამკლოვიარო სტროფების შესახებ სხვადასხვა
ვარუდია გამოთქმული. სოკს მიაჩნია, რომ ეს სტროფები დაწერი-
ლია როგორც სოტბის ნაწილი, ოღონდ სოტბის დასრულების შემდეგ,
თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (მითითებულია ნ. მარი-
სა და აღ. ბარამიძის ნაშრომები - ბ. დ.). სოკი კი ვარაუდობს,
რომ 96-107 სტროფები დამოუკიდებელი ელეგიაა (მითითებულია პ.
ინგოროყვას ნაშრომი - ბ. დ.).

გუიქრობთ, უფრო მართებული იქნება, თუ ამ ელეგიურ
სტროფებს არ დავცილებთ სოტბას, და მივიჩნიეთ დავით სოსლანის
გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ელეგიად“.

„თუ ეს ვარაუდი სწორია, - დაასკენის ე. მეტრეველი, -
მაშინ შეიძლება «აბდულ-მესიანის» დაწერის თარიღის ზუსტად გან-
საზღვრაც. იოანე შავთელს «აბდულ-მესიანის» წერა უნდა (...) დამ-
თავრებისა 1207 წელს, დავით სოსლანის გარდაცვალების უმაღ, კი-
ნაიდან 105 და 106 სტროფებში ავტორი გლოვობს და ეთხოვება სა-
სიკვდილოდ განწირულ ან ახლად გარდაცვლილ კმირს, რომელსაც
გელათში დაკრძალვა მოელის (105): «უნატრი ელადასა, თვით მას კმ-
ლათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა» (იქვე, გვ. 101).

ი. ლოლაშვილმა სამართლიანად აჩვენა, რომ საძიებელ
„ჰოემას არავითარი საერთო არა აქვს ენკომიებთან, რომელთაც გარ-
დაცვლილი ჰიროვნების პატივსაცემად თხზავდნენ. მასში არც სამკლო-
ვიარო განწობილების გამოხატველი სტროფებია ჩართული“ (გვ.
109). „რაც შეეხება ჰოემის დასასრულს, - სწორად აღნიშნავს
მკვლევარი, - იგი სამკლოვიარო ელეგიას არ წარმოადგენს. (...)
ჰოეტი ამთავრებს სოტბას და ეშვიდობება თავის მეფეებს. ამის გამო
მას მელანქოლია იპერობს და წუნს, რომ თავისი ჰოეტური შთავო-
ნებით საქებ ჰიროვთან ერთად არ არის. ეს არის ჩვეულებრივი ჰოე-
ტური გამოთხოვება, რომელიც დამახასიათებელია, საერთოდ, ხსოტბო
შეკლებისათვის“ (გვ. 110).

⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ.100.

ი. ლოლაშვილი იქვე იმოწმებს ხოტბის სტრიქონებს, სადაც გარკვევით ჩანს, რომ საქები პირი ცოცხალია:

- „ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ მეღქიზედდების ლოცვით ზედა მით“ (27. 3).
„დავით (უნდა: არჩილ) ძლიერი, მენედ საშინელი უფლებს და მთავრობს...“ (6. 3).
„მისთვის მოვსწყდები, შვეირაცხები მსხვერპლად: ვემსგავსო ცხოვართა კლდეთა“ (46. 4).

ამგვარი ნიმუშების მოხმობა მრავლად შეიძლება:

- „ვობს ღმერც ხალისად ა მერცხალისად, კმა-ტებილ-მემობარედ იადონისად“ (7. 1).
„მენე ხარ ასური, მჭვერეტთა ასური ალვის ხე-ტანი რტო-განფენილად“ (9. 3).
„აქეს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით «სიბრძნის დასაბამ - შიში უფლისა“ (12. 1).
„სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერა სწორავს არარატისა“ (13. 4).

ბოლო სტროფებიდან:

- „ნესტორად მძლეობ, არათუ ლეობ დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად“ (98. 3).
„ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი, სულისა ქნარი, ღმრთის მხილველობა“ (99. 4).
„ტურფად შეენება, გამოჩვენება თქვენი დააჭნობს ყოველთ ყვაილთა“ (105. 1).

რაც შეეხება სტრიქონს „ენატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა“ (105. 4), რომელსაც იმოწმებენ, როგორც სამგლოვიარო შინაარსის გამოხატველს, სინამდვილეში მასში დაკრძალვაზე ზოგადადა საუბარი და ნათქვამი არ არის, რომ საქებ გმირს იქ, გელათში, ასაფლავებენ. აღნიშნული სტრიქონი, ისე როგორც მთელი სტროფი, არათუ სამგლოვიარო და სამწუხარო განწყობილებას, არამედ, პირიქით, აღტაცებას გამოხატავს, რომ გელათი წმინდანთა საყანე, საუკუნო განსასვენებელი ადგილია!

ასე რომ, საძიებელ ხოტბაში თავიდან ბოლომდე საქები გმირი, არჩილი, ყოველმხრივ საღ-საღამათია, სიღამაზისა და ძლიერების მწვერვალზეა და მისი გარდაცვალების წელი ამ ნაწარმოების შექმნის უგვიანესი თარიღის დასადგენად, რა თქმა უნდა, არ გამოდგება.

დასმულ საკითხზე ფიქრისას ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: ერთი ის, რომ არჩილის ეს ვრცელი ქება არ შესუ-

ლა 1701 წელს გ. თუმანიშვილის მიერ მოსკოვში გადაწერილ და მომდევნო წლებში შეესებულ არჩილის პოეტურ თხზულებათა S 424 კრებულში, რომელიც ავტორის დაკვეთითაა დამზადებული და სადაც სხვა მწერალთა ქმნილებანიცაა შეტანილი, მათ შორის, იაკობ შემოქმედელის ერთსტროფიანი არჩილის ქება. ჩანს, სხვისი ნაწარმოებები ორი პრინციპით არის შერჩეული: ისინი ან არჩილის ქებაა, როგორცაა იაკობ შემოქმედელის დასახელებული ლექსი (გვ. 299), პეტრე მგალობელისა (გვ. 335-336) და გივი თუმანიშვილის (გვ. 455) ლექსები ან თავისებური ლექსწყობის ნაწარმოებებია. ასეთებია: იაკობ შემოქმედელის (გვ. 300) და სვიმონ კოპაძის (იქვე) წაღმა უკელმა საკითხავი სტროფები და სულხან-საბა ორბელიანის (გვ. 299), პეტრე მგალობელისა (გვ. 323-334) და გივი თუმანიშვილის (გვ. 455) ანბათქებანი.

მეორე გარემოება ის გახლავთ, რომ იაკობ შემოქმედელი და არჩილი ერთმანეთთან შემოქმედებით კავშირში არიან, ხოლო არჩილისადმი მიძღვნილი ამ ერცელი ხოტბის მსგავსად „თამარიანის“ შთაგონებით შეთხზული თავად არჩილის „მეფეთა საქებელნი სამხილებელნი“ გვიან, 1709 წელს, არის დაწერილი⁶.

⁶ ამ საკითხზე იხ. ჩვენი ნარკვევი: არჩილის ერთი ნაწარმოების გაგებისა და დათარიღებისათვის, „მაცნე“, ელს, 1995, №1-4, გვ 81 - 84.

ამ ნაწარმოების დათარიღებაზე რ. ბარამიძე შენიშნავს: „შესაძლოა, ეს ნაწარმოები მთლიანი სახით არჩილმა მოსკოვში დაასრულა, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი წლების მანძილზე თანდათანობით იწერებოდა ჯერ კიდევ საქართველოს ზერიოდინან. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელია მაჰ-აბასინადმი მიძღვნილი საქებარი ეპითეტები“ (ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1999, გვ. 11).

თავისთავად გამორიცხული არ არის, არჩილს „მეფეთა საქებელსა და სამხილებელზე“ ფიქრი და წერაც ბევრად ადრე, საქართველოში, დაეწყო და მოსკოვში დაესრულებინა. ამგვარ ეარაუდს მხარს უჭერს „თამარიანის“ თემატიკის ის ერთნაირი გაგება, რომელიც არჩილის ამ ერცელ ნაწარმოებსა და ჩვენს საძიებელ იაკობის კუთვნილ არჩილის ერცელ ქებაში შეიმჩნევა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელიც, მართლაც, ადრევე, 1682 წლამდეა შეთხზული.

რაც შეეხება შაჰ-აბას მეორისადმი მიძღვნილ ქებას, მისი შემცველი სტროფებისა და, საერთოდ, „მეფეთას“ ადრინდელობის გამადასტურებლად ის არ გამოდგება. თხზულებიდან გარკვევით ჩანს ქართველი მეფე-პოეტის ორგვარი დამოკიდებულება ამ მრისხანე უფროსისადმი. ერთი მხრივ, ის მას უყურებს და აფასებს როგორც

ეს ორი ფაქტი ხომ არ მიგვითითებს იმაზე, რომ იაკობ შემოქმედელის საძიებელი ხოტბაც გვიან, პოეტის სიცოცხლის მიწურულს, 1701 წლის შემდეგ არის შეთხზული?

სამწუხაროდ, ჩვენ არც ის ვიცით, როდის დაწერა იაკობმა არჩილის ერთსტროფიანი ქება. მწერალი მეფე-პოეტთან პირადი ურთიერთობის თაობაზე ცოტას ლაპარაკობს. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ეპილოგში ის წერს:

„ვიყავ მეფეთ საკაბაყმო, თქვენ გმონებლი განა თავად“ (288. 4).

სიტყვაში „მეფეთ“ უპირველესად გიორგი XI რომ იგულისხმება, ამ ნაწარმოების სათაურიდან უეჭველია. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, გამორიცხვული არ არის, ავტორს მხედველობაში არჩილიც ჰყავდეს. მაგრამ, თუ რას ნიშნავს „საკაბაყმო“ („საკარგემოა“?) ჩვენთვის ნათელი არ არის და ის საგანგებო კვლევას მოითხოვს.

საკვლევ ხოტბაში იაკობი თავის თავს საქები გმირის, არჩილის, მონას უწოდებს, რომელიც მზად არის, მას, „უფალს“, როგორც „მნე“, ისე ემსახუროს:

„მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო, უფალსა ჩემსა რამც გამყაროს!“
(11. 4).

„მე, მონა შენი - მე, მონა შენი, ვგონენ ყოველნი შენთვის შექმნილად“
(98. 1).

გარკვეული ღირსების მქონე პიროვნებას, სპარსეთის ძღვეამოსილ მეომარსა და მხედარმთავარს:

„სპარსეთი ეყრა დამშვიდებულად...“

მისი მოყმენი არ ყვნეს მომყმენი ტპილთა აღერსთა გარ მოგდებულად. მე მისი მსგავსი ვერსად ვიმსგავსი, ეგეთი იყო ზრო აგებულად“ (57).

„სხვა ვერეინ ენახე მისებრ სიმხნითა...“

მხედრობა სრული, თეთ კეისრული სახელმწიფოსა საქმეთა ქმნითა“ (58).

„საამსოფლიო, სამეფო წესი სხვამ ისე ეღარ მოიხზაროსა“ (59)

და სხვა.

არჩილი, მეორე მხრივ, აღნიშნავს იმ საეაღალო შედეგებს, რომელიც მას, როგორც ქრისტიან მეფეს, მასთან ურთიერთობით ერგო:

„ვაი, მას დღესა, მე რომ მედღესა მასთან გაგზავნა ჩემდა გზაძნელსა!

ნათლისა წილად უფროს ასწილად უმეკრებითა ჩავიჭვრ ბნელსა...“

ვურა ვსწვევიარ ჩემს საძებნელსა“ (60).

„ჩემებრ ვინანი, სჯა ვინანი ჩემთა მაშინდელ სჯულთ გარდასულასა!

რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ეა, ჩემს სწავლასა!...“ (61)

და სხვა.

ასე რომ აქ რაიმე გაუგებარი და აუხსნელი არაფერია!

ერთსტროფიან ქებაში კი გვაქვს:

„თქმული მომწონს - მისგან ზრდილსა - არჩილ ცნობა-უფსკრულისა“.

ცხადია, „ზრდილი“ (=აღზრდილი) პირდაპირი მნიშვნელობის შემცველი არ არის და მასში ფეოდალური იერარქიული დამოკიდებულება - მეფე როგორც ყველას პატრონი - უნდა დაეინახოთ. ვრცელ ქებაში საქები გმირი მონათა აღმზრდელია:

„მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა ივლისის მზემან ზედ ლომსა
ჯდომით“ (10. 1).

შესაძლებელია, „ზრდილში“ გარკვეული გონებრივი უფროსობა, მწერლური უპირატესობა იგულისხმებოდეს. ერთსტროფიან ლექსშია: „თქმული მომწონს... არჩილ ცნობა-უფსკრულისა“. ვრცელ ხოტბაში კი წერია: „მოგეფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი“ (63. 4).

მაშასადამე, ეს ორი, მოკლე და ვრცელი, სახობო თხზულება ხელმოსაჭიდს არაფერს იძლევა იმის გასარკვევად, თუ მათგან რომელი დაიწერა პირველად და რომელი - მერე. ოღონდ, თუ აღნიშნული გამოთქმები სიმართლეს, ანუ არჩილის გონებრივ და მწერლურ სიმწიფეს, აღნიშნავს, მაშინ ორივე ხოტბის შექმნის უადრესი თარიღი 1661 წლიდან რამდენიმე წლით აქეთ გადმოიწევეს, როცა არჩილის პირველი ლექსები იწერება. მაგრამ სახობო უანრის თხზულებაში ეს მყარი დასაყრდენი ვერ იქნება.

ის ფაქტი, რომ 1701 წელს გადაწერილ გივი თუმანიშვილის კრებულში შესულია ერთსტროფიანი ქება და ვრცელი არა, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს უკანასკნელი რუსეთში მყოფ მეფესა და მის მდივან-მწიგნობარს ხელთ არ ჰქონდათ, ხოლო პირველი, რადგან ის ერთსტროფიანია, ზეპირად იცოდნენ.

რაც შეეხება მეორე გარემობას - არჩილისა და იაკობის „თამარიანისადმი“ ერთნაირ დამოკიდებულებას, ადვილი შესაძლებელია, მათ იგი პირადი საუბრისას შეემუშავებინათ, ლექსად გამოხატვა კი, როცა საშუალება მიეცათ, სხვადასხვა დროს განეხორციელებინათ.

ასე რომ, საკვლევი ხოტბის დაწერის უგვიანესი თარიღის დასადგენად ყველაზე მყარ მონაცემს ისევე არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ ის სტროფი შეიცავს, რომელიც იაკობს ეძღვნება და სადაც მეფე-პოეტი მას თავის „მკობარს“ უწოდებს. ეს თარიღი, ეთქვით, 1681 წელია.

აქ არის კიდევ ერთი გარემობა, რომელიც, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს, საძიებელი თარიღი რამდენიმე წლით ად-

რე ვიგულისხმობთ. ეს არის პასუხი კითხვაზე: რის საფუძველზე შეუქვეთა გიორგი XI-მ იაკობს თავისი პაპის პაპის, ბაგრატ ბატონიშვილის, ნაშრომის გალექსვა, ანუ რომელი დაიწერა პირველად: „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ თუ „ქება მეფისა არჩილისა“?

ყურადსაღებია, რომ, არჩილის ამ ვრცელი ქებისა და „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ გარდა, იაკობს მხოლოდ 4-ოდე თითოსტროფიანი ლექსი მოეპოვება. ძნელი დასაჯერებელია, გიორგი მეფეს ამ ლექსების ან პირადი ურთიერთობის მიხედვით განესაზღვრა იაკობის პოეტური შესაძლებლობა. უნდა ვიფიქროთ, როცა მწერლობისა და მეცნიერების დიდმა მოყვარულმა და მეცენატმა ქართლის მეფემ დაინახა, ამ ფრიად ნიჭიერმა და განათლებულმა სასულიერო პირმა რა ოსტატურად მიბაძა ჩახრუხაძის „თამარიანს“ და ამით მხატვრულად მისი ბადალი ორიგინალური ნაწარმოები შექმნა, მაშინ ირწმუნა მისი პოეტური ძალა და ბაგრატის თხზულების გალექსვაც ამის შემდეგ დააგადა.

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, იაკობს ბაგრატის ნაშრომი უნდა გაეღექსა 1676-1680 წლებში ან რამდენიმე წლით ადრე. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, გამოდის, „ქება მეფისა არჩილისა“ დაწერილია 1670 წლის ახლო პერიოდში, 5-ოდე წლით ადრე ან გვიან⁷.

⁷ უნაიდან რამაზ ხალვაში არჩილის ვრცელი ქების 84-85-ე სტროფებში ჩამოთვლილი მწვადებლების, სახელდობრ, „მანის“ მაგიერად შეცდომით „მალნის“ ხმარების მიხედვით არკვევს, იაკობს მისი შუთხზვისას უშუალოდ უსარგებლია A - 85 ხელნაწერი-ანთოლოგიით, რომელიც გელათში ინახებოდა XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან 1699 წლამდე, იგი ვარაუდობს, რომ იაკობის ეს ხოტბა დაწერილია იმერეთში არჩილის მეორედ გამეფების, 1678-1679, წლებში. „არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, - წერს იგი, - რომ იაკობ დუმბაძემ მას «ქება» იმერეთის ტახტზე მეორედ ასვლის დროს მიუძღვნა, რადგან 1661 წელს არჩილი მხოლოდ და მხოლოდ 13 წლისა იყო. «არჩილ მეფის ქების» დაწერის დროს (1678-1679 წლებში) შემოქმედის მიტროპოლიტი გელათში უნდა ვიგულოთ, სადაც მას შეეძლო «გალობანი მწვადებელთა შეჩვენებისანის» გაცნობა (რამაზ ხალვაში, ტბელ აბუსერიძის „გალობანი მწვადებელთა შეჩვენებისანი“, გვ. 15-16).

ნამდვილად კი იაკობს, როგორც სასულიერო პირს, მეტადრე, შემოქმედის მიტროპოლიტს, რომლის მწვემსმთავრის, ანუ დასაუღლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა, რეზიდენცია იმხანად გელათში მდებარეობდა, მეტი რომ არ ვთქვათ, 1647 წლიდან მაინც გელათში აღნიშნული ნუსხის გაცნობა ყოველთვის შეეძლო და ეს მაინცადამაინც არჩილის გამეფებით განპირობებულად არ უნდა ეცნოთ.

XIII. რამდენიმე შენიშვნა და დასკვნა

ამ ნარკვევით ვამთავრებთ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობისა და ავტორობის პრობლემის განხილვას. ჩვენ შევეხეთ ყველა ძირითად საკითხს, რომლებიც მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დგას ან დგება. ბარემ აქვე აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმე, ბოლო დროს, გამოთქმულ მოსაზრებას:

ნიკოლოზ კენჭოშვილი ჩვენი შეხედულების გათვალისწინებით განიხილავს ე. წ. „აბდულ-მესიანში“ დასახელებულ ინდოეთთან დაკავშირებულ ტერმინებს (ინდთა, სინდთა, ინდოეთი, არიელი, ბარანი, შიშველმართალი, ვრახმანი) და აღნიშნავს მათ ერთმანეთთან და სინამდვილესთან შეუსაბამობას¹. მისი თვალსაზრისით, ეს გამოწვეული უნდა იყოს არა ამ ნაწარმოების ავტორის (იოანე შავთელი იქნება ის თუ იაკობ შემოქმედელი), არამედ გვიანდელ რედაქტორ-გადამწერთა უცოდინარობით. ერთგან წერს: „აქაც ერთგვარ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რაც ასევე შეუძლებელია ბრძენ ჰოეტს, შავთულს მიეწეროს და არა გაცილებით მის გვიანდელ «უცნობ რედაქტორს»“ (გვ. 54) მეორეგან ვკითხულობთ: „თუ ბ. დარჩიას მოსაზრების თანახმად, «აბდულმესიანის» ავტორად იაკობ შემოქმედელს (გვარად დუმბაქეს) მივიჩნევთ, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ, შესაძლოა, მისი დედანი ინდურ სამეაროში გაუთვითცნობიერებელი არაერთი გადაწყვერის ხელში მოხვედრილიყო, რასაც თავისუფლად შეეძლო ინდურ ტერმინთა მსატკრულ-სემანტიკური შეუსაბამოა გამოეწვია. თვით ავტორს კი ნაკლებ სავარაუდოა, არ სცოდნოდა, თუნდაც თავისი ეპოქის შესაბამისად, თითოეული მათგანის არსი და მხოლოდ ასე ზერეულდ ჩამოეთვალა, როგორც ეს ჰოემის ტექსტშია“ (გვ. 55). ავტორის საბოლოო დასკვნითაც, აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ე. წ. „აბდულ-მესიანი“ კლასიკურზე გვიანდელი ძეგლია: „იოველივე შემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ გვაფიქრებინებს, რომ «აბდულ-მესიანის» ტექსტი შუასაუკუნეებზე უფრო კვიანი ხანის ინტერპოლატორული ტექსტია“ (გვ. 59).

სამართლიანი არ არის, როცა იაკობ შემოქმედელისაგან (ან თუნდაც იოანე შავთელისაგან) მოველით ან მოვითხოვთ, უშუალოდ იცნობდეს მის მიერ დასახელებულ ინდოეთსა და

¹ ნიკოლოზ კენჭოშვილი, ინდოეთი ქართულ წყაროებში, თბ., 1999, გვ. 52 - 59.

სხვა ქვეყნებს, - მათ კუთხეებს, ქალაქებსა თუ ეთნიკურ შემადგენლობას. არათუ უფრო სწორია, გადაჭრითაც უნდა ითქვას, მწერალი ამ შემთხვევაში ცერდნობა და იყენებს ჩვენში არსებულ ცნობებს მათ შესახებ და ეს წყაროებია გამოსაყენი და დასადგენი. არსაიდან ჩანს არც ის, აღნიშნული სიტყვების შემცველი სტროფები გვიანდელი ჩანართები იყოს.

ივანე ამირხანაშვილი ეხება „ლიტერატურულ ძიებანში“ გამოქვეყნებულ ჩვენს სტატიას „ე. წ. «აბდულ-მესიანის» პერსონაჟები“ (XX, 1999, გვ., 164-190) და ჩვენ მიერ წამოყენებულ თვალსაზრისს იაკობ შემოქმედელის ავტორობაზე დასაბუთებულად არ მიიჩნევს. ის წერს: „ბორის დარჩია: «აბდულმესიანი» იაკობ დუმბაძის თხზულებაა და ეძღვნება მეფე არჩილ მეორეს! - მოსაზრება, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სენსაციად რჩება, ტრადიცია უძლებს სენსაციის ტორპედიკობას“². ექვსი წლის შემდეგ პირდაპირ იმეორებს ტრადიციულ შეხედულებას: „ამავე (ჩახრუხაძის - ბ. დ.) ჰეროდოტისა დაწერილი მეორე სახოტბო ჰოემა აბდულმესიანიც, რომელიც თამარ მეფესა და მის მეუღლეს დავით სოსლანს ეძღვნებათ. მეცნიერთა უმრავლესობა (? - ბ. დ.) მიიჩნევს, რომ ჰოემის ავტორია იოანე შავთელი, - ცნობილი ჰიმნოგრაფი და სასულიერო მოღვაწე“³.

რევაზ თვარაძე ესაც მიაჩნია, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების „საკითხი მხოლოდ ჯერ არ გადაჭრილა“⁴.

2004 წლის 14 იანვარს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ფატი ომარის ასულმა ფანჩულიძემ თემაზე: „სახოტბო პოეზია (ოდის ჟანრი) XVII-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი - რევაზ ბარამიძე). დისერტანტი ცალკე თავში საგანგებოდ ეხება ე. წ. „აბდულ-მესიანის“ როგორც სახოტბო ჟანრის ნაწარმოებს და რაიმე განხილვის გარეშე მის რაობაზე ძველ შეხედულებას იმეორებს. მხოლოდ ეს არის, ავტორეფერატში შენიშნავს: „... ბ. დარჩია და აკ. ხინთიბიძე «აბდულმესიანს» მიიჩნევენ XVII ს.

² გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9-15 ივნისი, 2000, №24, გვ 15.

³ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2006, 5 მაისი, № 17, გვ. 7.

⁴ მისი: ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 2001, გვ. 181.

პოეტისა და საეკლესიო მოღვაწის იაკობ შუმოქმედელის შესხმად მეფე-პოეტ არჩილისადმი“ (გვ. 7). ამგვარსავე შენიშვნას ის დისერტაციიშიც იძლევა, მაგრამ არსად, არც დისერტაციაში და არც ავტორეფერატში, ოდნავადაც არ მიაინიშნებს იმაზე, რატომ უარყოფს ახალ თვალსაზრისს. უფრო მეტიც, ამ საკითხზე ჩვენი რომელიმე ნაშრომი არსად დასახელებულიც არ აქვს.

ჩვენს შეხედულებას ახსენებს თეა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ - ვ ი ლ ი, მაგრამ მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. თავის წიგნში „გურიის საეპისკოპოსები (XV-XIX საუკუნეები)“; რომელიც 2006 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დასტამბა, ის იმეორებს ტრადიციულ შეხედულებას, რომ იაკობმა „გადააკოთა «აბდულმესია» და იქ, სადაც თამარი ან დავითი იყო ნახსენები, არჩილი ჩაწერა“ (გვ. 96). ცოტა ქვემოთ წერს: „უკანასკნელ ხანს ბ. დარჩიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ იაკობ ღუშბაძეს არ გადაუკეთებია აბდულმესია და თხზულება მის ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს“. უთითებს კი მხოლოდ გაზ. „კალმასობაში“ გამოქვეყნებულ ჩვენს სამ სტატიას (1997 წ. № 10, 11, 12). ჩანს, დანარჩენებს არ იცნობს.

არიან ჩვენი თვალსაზრისის მხარდამჭერნიც: მურმან თ ა ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საიდუმლოებანი, თბ., 2000, გვ. 240; გიორგი ა რ ა ბ უ ლ ი, ომონიმური რითმა ძველ ქართულ პოეზიაში, „ლიტერატურული ძიებანი“, XXI, 2000, გვ. 415, 421.

რამაზ ხ ა ლ ვ ა შ ი არათუ იზიარებს ამ ახალ თვალსაზრისს, საამისოდ ახალ არგუმენტსაც გეთაყვობს: „ეკათვალისწინებელია ისიც, - წერს მკვლევარი, - რომ იოანე შავთელი, როგორც კლასიკური ხანის ქართველი საეკლესიო მწერლებისათვის იყო დამახასიათებელი, რითმიან ლექსებს არ წერდა“⁵.

ეს მოსაზრება უთუოდ საყურადღებო და გასათვალისწინებელია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისისათვის იგი ერთ-ერთი გადამწყვეტთაგანი ვერ იქნება. ჩვენ არ ვიცით ამ პირობაზე იოანე შავთელის პოეტური შესაძლებლობანი, რამდენად შესწევდა მას ძალი რითმიანი ლექსების წერისა. მეორეც: დანამდილეობით არც ის ვიცით, ვინაა „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელი, რომელსაც, სტროფის ავტორის თვალსაზრი-

⁵ რამაზ ხ ა ლ ვ ა შ ი, ტველ აბუსერიძის „გალობანი მწვალაბელთა შეჩვენებისანი“, თბ., 2003, გვ. 14.

სით, რუსთველის სწორუპოვარი ქმნილების ბევრდით ხსენების ღირსი თხზულება „აბდულმესია“ დაუწერია.

ჩვენს თვალსაზრისს უყოყმანოდ იზიარებს აგრეთვე ალექსი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი და თავის მხრივ უმატებს: ბ. დარჩიას „ნაშრომს არგუმენტაცია არ აკლია, მაგრამ ავტორის სასარგებლოდ მე მინდა დაუმატო საკმაოდ კურთხეული ფაქტი: «აბდულმესიანს» იკვლევდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, მაგრამ მათგან არავის მოსვლია აზრად, რომ «აბდულმესია» (აბდ ალ-მესიბ - «მესიბ») ქრისტეს მონა) მამრის ეპითეტია და მეფე თამარი ამ ხოტბის ობიექტი არ შეიძლებოდა უოფილიყო. ალბათ ეს ფაქტიც იმარბდა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს თხზულება თამარისთვის მიძღვნილი არ არის, ის ვიდაც მამრს ეძღვნება“⁶.

ეს ბოლო შემოთავაზება გაუგებრობის შედეგია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია და კამათს არ იწვევს ის, რომ საძიებელი ხოტბის მთავარი მოქმედი პირი მამაკაცია. დავა მიდის იმაზე, ვინ არის იგი, - დავით სოსლანი, დავით აღმაშენებელი თუ სხვა დავითი. ასე რომ, ბატონი ალექსის შემოთავაზებული წინადადება დასმული საკითხის გადასატრელად ვერ გამოდგება.

აქა-იქ ადრეც, უფრო ტექსტის კომენტირებისას, უმნიშვნელო, წვრილმან საკითხებზე გამოთქმულია ჩვენი შეხედულების ცალკეული საწინააღმდეგო მოსაზრებანი, მაგრამ თითოეული მათგანი მხოლოდ ტრადიციულ შეხედულებაზე დაყრდნობილი და რაიმე ყურადსაღები საბუთით გამაგრებული არ არის.

მაგალითად: იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ამ სახოტბო თხზულებაში „დავითთან ერთად შექებულია მეფე-ქალო“, ი. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. მოწმებს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც მამაკაცზე უფრო ქალს შეეფერება. მოუხსმინოთ ავტორს: „ის (საქები გმირი - ბ. დ.) არის «ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი» (3. 2), «ედემს დარგული სამოთხის გული», ანუ ვარდი (45. 3), «ვარდი უფრჭვნილი, ცვრით განანაილი» (51. 1), მას «შუქნი მიუხვმან მის ელვისათა» (47. 1), მის გამოხედვას მჭვრეტელები ვერ უძლებენ (48. 1), იგი შეინახეთა შორის ისე მოჩანს, როგორც სამეაროს მანათობელი მზე; ის «მთვარის მშვენობით,

⁶ ალექსი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, სიტყვა ლექსი „ვეფხისტყაოსანში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8 სექტემბერი, 2006, № 31, გვ. 13.

ცისკრის მთენობით) მოციმციმე სხივებს აფრქვევს, მისი მზერით ვველა მოხიბლულა:

«სჭერეტენ შეფრფინვით მნათობნი, ვინ ვით, ხვეჭით და ნდომით სულ-წასრულებით, ეტოფეს გულსა მისთვის დაგულსა: რადგან დაებით, ბარე სულ ებით! თავს აბარებდენ, არა, ბარებდენ მის გლოჲდ იწვენ ალვა-რგულებით, წამწამს ისროდის, განესისროდის მზენი ლახვართა მისთა სრულებით» (67).
და სხეა“.

მკვლევარი დაასკენის: „ამგვარი, ეპითეტები და შედარებანი, რომლებსაც უხვად ვხვდებით ჰოემაში, ქალს უფრო შექვენის, ვიდრე მამაკაცს“. მაგრამ იქვე მიუთითებს ამის საწინააღმდეგოს: „არ არის გამოორიცხული, რომ მამაკაცის სილამაზისა და მისი კეთილ-შობილური სულიერი მხარეების გამოსაჩენად შეათულს (ანუ ავტორს, ჩვენი ახსნით, იაკობ შემოქმედელს - ბ. დ.) ესმარა ისეთი მხატ-ვრული თქმები, რომელნიც ქალის შესამკობად უფრო გამოდგებოდა, ანდა ჰირიქით. ქართულ საგალობლებში «მზე დაუვალი», «ნათელი მიუჩრდილებელი», «ნათელი იგი უღამო» და ამგვარი თქმები ქრის-ტეს შესამკობადაა გამოყენებული, მაგრამ რუსთველი თინათინს უწო-დებს «ნათელსა მას უღამოსა». «აბდულმესიანში» «სჭერეტენ შეფ-რფინვით მნათობნი, ვინ ვით, ხვეჭით და ნდომით, სულ-წასრულო-ბით» ქალის მიმართ (? - ბ. დ.) არის ნათქვამი, ვეფხისტყაოსანში კი ამგვარივე თქმა შეეხება აუთანდილს: მულღაზანზარელი ქალები «შეჭფრფინვიდიან აუთანდილს გულითა სულ-წასრულითა» (1010, 4). ასევე, გულანშაროელმა ცოლებმა თავიანთი ქმრები მოიძულეს, როდესაც აუთანდილი დაინახეს. მათგან «ზოგნი ნდომით შეჭფრფინვიდეს, ზოგნი ივენეს სულ-წასრულად» (1075, 3)⁷.

მას შემდეგ, რაც ირკვევა, საძიებელი თხზულება კლასიკური ხანის ძეგლი არ ყოფილა და თამარისადმი მიძღვნილიც არ არის, დამოწმებული ეპითეტები იმისათვის აღარ გამოდგება, რომ ქალის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ.

მეორე მხრივ, საყურადღებოა შემდეგი: როცა ეს ნაწარმოები დავითისა და თამარის ქებად მიაჩნდათ, ზოგიერთი მკვლევარი იქვე მიუთითებდა, რომ მისი ავტორი ჩინებულ განსწავლულობას ამჟღავნებს როგორც სასულიერო, ისე საერო დარგში, მაგრამ თვითონ თხზულება მეტი რელიგიურობით ხასიათდება, ვიდრე ჩახრუხაძის „თამარიანი“.

⁷ ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 57-58.

ბ. შ ა რ ი, რომელიც ფიქრობდა, რომ ხოტბის ავტორი სა-
ერო პირია, მაინც აღნიშნა: „Шавтели не духовный писатель,
бесспорно, но и нельзя его считать светским наравне с Чахрухадзе и
Руставели. последние два поэта, как все современные образованные
грузины, получили духовное воспитание; однако духовное образование
не было у них единственным. В Шавтели же духовно-образовательный
элемент сказался, правда, так же не исключительно, но преиму-
щественно; этот смешанный характер писателя отозвался на его труде и
сделал из его произведения то, что, светское по смыслу и по форме оно
по духу и выполнению является духовным“ (ТР, IV, გვ. 16).

ქ კ ე კ ე ლ ი ძე წერს: „ამ სოტბაში ნათლად ჩანს
ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სასულიერო. იღურად და
ფორმით საერო სასიათის ნაწარმოები, სულითა და დამუშავებით სა-
სულიერო ელფერის თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ უმთა-
რესად ვგრძნობთ არა თემის დამუშავებაში, არამედ ენაში: შედარებანი
ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გამოხატვამს ბიბლიის
სიტყვებით. ის ნაკითხია როგორც ძველ ბერძნულ ისტორიულ, ფი-
ლოსოფიურსა და მხატვრულ მწერლობაში, ისე აღმოსავლურ, სპარ-
სულ-არაბულში, მაგრამ არანაკლებ მცოდნეა ის, ბიბლიის გარდა,
საეკლესიო-სასულიერო მწერლობისაც, რომლითაც უხვად სარგებლობს
თავის ნაწარმოებში“⁸. ავტორი იქვე მიუთითებს შესაბამის წყარო-
ებს (გვ. 243 - 245).

ამასვე აღნიშნავენ შ. ნუცუბიძე, ე. მეტრეველი⁹ და სხეე-
ბიც¹⁰.

⁸ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 24.

⁹ რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 179 - 182 ; ქართული
ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 102 - 106.

¹⁰ ნოზრევან ჯიშკარიანი წერს: „«აბდულმესიანთან» შედარებით «თა-
მარიანში» ნაკლებადაა მხატვრულ-ლექსიკური დამთხვევები ჰიმნოგრაფიას-
თან“. „ძველი ქართული სასოტბო პოეზიის მრავალი მხატვრული სახე გენე-
ტიკურად უკავშირდება სასულიერო პოეზიას. ასევე, მრავალ მერ ფრანკო-
ლოგიურ ერთეულს ემებნება ზარალელი სასულიერო პოეზიასთან, ეს ეხება
განსაკუთრებით «აბდულმესიანს», რომელსაც «თამარიანზე» უფრო მეტად ემ-
ჩნევა სასულიერო პოეზიის კვალი. მასში ძალუმად იგრძნობა ქართული
ჰიმნოგრაფიის ჰელსი“ (ნ. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი, ძველი ქართული
სასულიერო და საერო-სახოტბო პოეზიის ურთიერთმიმართების
ზოგიერთი საკითხი, „მატენი“, ელს, 1979, №4, გვ. 26 - 27).

ამ დახასიათებებსაც იაკობ შემოქმედელამდე მივყავართ.

განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს: უპირველესი და უმთავრესი წყაროები მტკიცედ უჭერს მხარს, ხოლო არც ერთი სხვა მონაცემი ხელს არ უშლის იმ თვალსაზრისის მტკიცებას, რომ XII თუ XIII საუკუნეთა ძველად, იოანე შავთელის „აბდულ-მესიანად“, ანუ თამარ მეფისა და დავით სოსლანის (თუ დავით აღმაშენებლის ან სხვა რომელიმე დავითის) ხოტბად, მიჩნეული ნაწარმოები ეკუთვნის XVII საუკუნის სასულიერო მოღვაწესა და პოეტს იაკობ დუმბაძე-შემოქმედელს, რომ ის არის ჩახრუხადის „თამარიანის“ შთაგონებით, მისი ლექსწყობისა და თემატიკის განახლების, დანერგვისა და აღორძინების მიზნით შექმნილი, ავტორის თანამედროვე მეფისა და პოეტის არჩილ მეორისადმი მიძღვნილი შესხმა, სადაც არჩილთან ერთად შექებულა, საერთოდ, მეფე, როგორც ასეთი, და ქრისტიანული სარწმუნოება.

ასე იქცა დავით ალექსი-მესხიშვილის, ანუ დავით რექტორის, მიერ დაბეჯითებით გამოთქმული ცნობა, სინამდვილეში კი ვარაუდი, ჩვენი გიგანტი სწავლულებისათვის თავსატეხს საქმედ და, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, კურიოზად, რომელმაც საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში იცოცხლა და იბოგინა.

ამ ხნის განმავლობაში თუ არა, კარგა ხანს მაინც, იაკობ დუმბაძე პლაგიატორის სახელით იყო შებღალული, მაშინ როდესაც ეს წმინდა კაცი უფალს დღენიადაც შეჰლაღებდა: „ღმერთო, დაიცევ იაკობ შემოქმედელი, ...ისხენ წახდენისაგან!“ იაკობთან ერთად ძალაუნებურად გალანძღული აღმონდნენ თავად მეფე-პოეტი არჩილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვები, ვინც კი ამ ხოტბის ავტორად იაკობს ასახელებს.

ასეთია ეს სამწუხარო ამბავი, რომელსაც უთუოდ კომიკურის ელფერიც დაჰკრავს!

ამრიგად: აქამდე შავთელის „აბდულ-მესიანად“ შერაცხილი სახოტბო ნაწარმოები უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ ავტორს - იაკობ დუმბაძე-შემოქმედელს, აღუდგეს მას თავდაპირველი სახელი და, როგორც ძველ ხელნაწერებშია, ეწოდოს „ქება მეფისა არჩილისა“.

პერსიფიკაციული ძიებანი

იაკობ შემოქმედელი იმ მწერალთა გვერდით დგას, რომლებიც ქართული ლექსის განახლება-გამრავალფეროვნებისთვის იბრძოდნენ.

იაკობი იყენებს ორ საზომს – შაირსა და ჩახრუხაულს. ჩახრუხაულით შესრულებულია არჩილის ვრცელი ქება, ყველა დანარჩენი – შაირით.

16-მარცვლოვანი რუსთველური შაირით დაწერილ მის ნაწარმოებებს იგივე რიტმული სახესხვაობანი მოეპოვება, რაც, საზოგადოდ, ამ საზომს ახასიათებს – მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობა. ამ მონაცვლეობისას მათში რაიმე კანონზომიერება არ შეიმჩნევა¹. მწერალს მახვილი პოეტური სმენა აქვს და შაირის ერთი სახეობა მეორეში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში „არეკია“, ისიც სტროფში ერთხელ და, თანაც ნახევარ სტრიქონზე მეტჯერ არა. მაგალითად, „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბასების“ 67-ე სტროფის მესამე სტრიქონში დაბალი შაირის ფრაზა მაღალი შაირით, ორი 4-მარცვლიანი სიტყვით, გრძელდება:

„მამათმთავარსა/ ძე ყვანდეს // რუბენ, სვიმიონ, / ლევითა,
იუდა, / ზაბილონი და // იზახარ, დან, გად, / რევითა,

¹ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ შაირის ამ ორ სახეობას შორის მონაცვლეობა გარკვეულ კანონზომიერებას გამოხატავს. ადრე ასე ფიქრობდნენ პანტელეიმონ ბერაძე (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 215-240) და ვუკოლ ბერიძე (რუსთველოლოგიური ეტიუდები, 1961, გვ. 117-128). შალვა ღლონტი ამაზე შენიშნა: „არაღაძაჯერებელია მისი (პ. ბერაძის - ბ. დ.) ზოიცი, როცა ცდილობს რიტმის გარკვეულ სახეს ესა თუ ის განწობილება მოუძებნოს, არაა აუცილებელი, რომ მძიმე განწობილება შენელებული რიტმით იქონიერდეს და შედარებით სამხიარულო განცდები - ჩქარი ტემპით“ (შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 22).

ბოლო დროს ამგვარივე შეხედულება გამოთქვა აკაკი ხინთიბიძემაც (მისი, ვერსიფიკაციული ნარკვევები, თბ., 2000, გვ. 76-81). ჩვენთვის არც აქ მოტანილი არგუმენტაციაა საარწმუნო.

ასერ, ნეუთალიმ, / იოსებ, // ბენიამენ / დარქვევითა,
ქრისტეს მოსელამდი / მამას ყვეს // შვილები / ამ კურთხევითა“.

ასევეა 54-ე სტროფის მესამე და 186-ე სტროფის პირველ სტრიქონებში (სტროფებს შემოკლებით დავიმოწმებთ):

„მიენდო, მიყვა / საწყალი // კვამლ-აჩრდილ-ნისლ / საწუთოსა,
კაენს ესტუმრა / ჯოჯოხეთს, // სამოელ ცეცხლი / უნთოსა“.

„ესე აქვან / თავად ლაყბად // ჩვენზედ ბაასის / სიტყვები:
ვინ სწავლით / ბრძნობდეთ, / ხელ გეკურასთ // სიბრძნით ცნობისა /
რიცხვები...“

201-ე სტროფის მესამე სტრიქონში მაღალ შაირს დაბალი შაირის მეორე ნახევარი ენაცვლება:

„დავით რაც თქვა / ფსალმუნები: // შობა, ჯვარცმა, / დაფლვისადა,
აღდგომა და / ამალღების, / კელა დიდების / მოსელისადა,
რქვა უფალმან / ჩემს უფალსა: / «დაჯედ მარჯვენით / ჩემსადა,
ვირემ დაეხსნე / მტერნი შენი // ფერხთა ქვეშე / ქვე შესადაა“.

ამნაირ დარღვევას „ვეფხისტყაოსანშიც მიუთითებენ².
რიტმის ამგვარი შეფერხება არის არჩილის ვრცელ ქება-
ში, სადაც „ებრ“ თანდებული დიდ ცეზურაზე გადადის:

„გულთა და სულთა / თვით მათ დასულთა // ებრ ბრწყინვალე ჰყოფს
/ მაღლთა სანთელი“ (81. 2).

ჩანს, იაკობ შემოქმედელი შინაგანად უფრო მაღალი შაირისკენაა მიდრეკილი. მის შემოქმედებაში 293 სტროფიდან ამ საზომით შესრულებულია 167 სტროფი, 126 სტროფი (41-ით ნაკლები) დაბალი შაირისაა³. საერთოდ, მისი ენა სხარტი და მოქნილია და დინამიკურობითა და ექსპრესიულობით გამოირ-

² გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, წიგნში: მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები, გამოსაცემად მოამზადეს გ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა, გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა მ, ც. კ ი კ ე ი ძ ე მ, ს. ც ა ი შ ვ ი თ ე ლ მ ა გ. წ ე რ ე თ ე ლ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1973, გვ. 36.

³ „ვეფხისტყაოსანში“ პირიქითაა (გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19).

ჩვენა, რაც უპირველესად მარტივი და შერწყმული წინადადებების გამოყენებით არის მიღწეული, სადაც ბევრჯერ ერთნაირი წევრები - სახელები ან ზმნები - მიჯრითაა ნახმარი. თანწყობილი კი მოკლე, მარტივი წინადადებებისაგან შედგება. პოეტი ჩართულ და ზერთულ წინადადებებს თითქმის სულ არ მიმართავს. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ვკითხულობთ:

„ვისაც სწამდეს გულის წმინდით, სწრაფლ-უმანკოს გონებითა, ნათელ იღოს მამის და ძის, სულის წმინდის რწმუნებითა, ვისაც - არა, დაისაჯოს ტარტაროზად ჭენებითა; მონანულნი მოგვაქციენა, ურჩი უქმ ყო ბიცებითა“ (154).

„მოიწიენეს რა მონანი ადგილსა მას მოქმედთასა, შერეს, მოკლეს, ქვა დაკრიბეს, მისცეს თავის წარკვეთასა, კვალად სხვანი მიავლინა უმრავლესი პირველთასა, სტანჯეს, გემენეს ივინიცა უმწარესად მათ სხვათასა“ (220).

„გეთხარ: რას მსხვერპლს შევსწირვიდეთ ქრისტეს დაკელის სამუქფოსა? ესტამოთ კორცი ტრაპეზოვდა ზროხის, ვაცის ანუ ებოსა, რძეს, ხაჭოს, ყველს, ნაღებს, მაწონს, დოს დაეხერეტდეთ თუ ერბოსა? პური - ხორცად, ღვინო - სისხლად სჯობს აქლემის გვერდ-წიბოსა!“ (260).

„ამაღლდა ზეცას დიდებით, დასჯდა მარჯვენით მამისა, უარსო, მბადი, მოქმედი დასაბამ-დასასრულისა, წინ მყოფი საუკუნეთა, წელთა ყოველთა, ჟამისა, მარტივი, სამ მზედ მკლთოლვარე, სხივ ელევბრ მოკამათისა“ (268).

აი, კიდევ ამ ნაწარმოებიდან რამდენიმე ნიმუში ცალკე სტრიქონების სახით, რომლებიც ნათელი და სხარტი მსჯელობითა და მაღალი რიტმულობით გამოირჩევა:

„აჩრდილ-სიზმარ-კვამლის მსგზავს ვართ, რასა ეშფოთებთ, მითხართ, ეზვაობთ, ვბრდღვინავთ, ქედემადლოობთ, საქმე წინ გვიც თავს სატკაცო.“
(11. 1-2).

„სიყმილ-სიკვდილ, სერა, ძერა, შფოთი, ჟამი ცოდვით გამოჩნდების“
(16. 1).

„მოსრა, მოსწყვიტა, აოტა ბანაკი იღუმიელთა“ (38. 2).

„სმა-ჭამა, სიძვა-მრუშება - თქვა თუ, - სამოთხეს იქნება“ (107. 1).

„თავი - კაცის, ფეხი ძროხის, მკარ-კისერ-კუდ ესხა ლომის“ (120. 2).

„შეკვრა-შეპყრობით, განხერხვით - მათგან ბევრგვარად ტანჯულსა“
(225. 4).

„დასცა, დაწვა, დაამტერია, კერპნი შექმნა დანასულნი“ (238. 4).

„დასცხერ, დაღუმდი, დასწყნარდი, ნაწამლ თევზისებრ ნუ ხლტები!“
(240. 4).

„არც თქვენად მსგზავსად მკეცებრივ ბრდღღინვ-სრვა-გლგვ-
ტაცებით“ (254. 4).

„იყარ, იკითხეთ, იწამეთ ქრისტიანეთა წიგნები!“ (274. 2).

„აღსარება-ტირილ-მარხეთ შეგვიწყალებს, გეზრდის ვინ მართეთ!“
(279. 4).

„დაშერეს, დავარდეს, გა-ცა-დრკეს მოედანს უმწყსი კიცვები!“ (286. 4)
და სხვა.

იგივე სტილია არჩილისადმი მიძღვნილ ერთსტროფიან ლექსში:

„მხნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარ-ლესულ ძლიერისა...
იროიკოს, ღრამატიკოს, რიტორ, ვარსკვლავთ მრიცხველისა...“

მიუხედავად იმისა, რომ ჩახრუხაულში ტექსტი (წინადა-
ღებები) შინდართმათა არტახების გამო შიირთან შედარებით უფრო
შეკრული და შეზღუდულია, აღნიშნული სისხარტე არჩილის
ერცელ ქებაშიაც შეინიშნება:

„ამობს ღმერც ხალისად ა მერცხალისად, კმა-ტკობილ-მკმობარედ
იადონისად“ (7. 1).

„მსერელ - ბარბაროზთა, მძლედ - სარკინოზთა ჩაფხუტ-ჯაჭუჭურით
ოროლითურთით!“ (27. 2).

„ექმენ ქუხილად, თვალთა წუხილად რაზმთა ურიცხეთა,
მეხ-გორივალ-ქარად“ (50. 3).

„გულ-დრკუ-ხენეშნი, განმრყენელნი ეშენი აქიტოფულ ქვეენ
განზრახეთაგან“ (52. 4).

„ძალ-გულად მენო, სვებედით ქვეო, ასპიტ-ცემულ-ჰყოფს მტერთა
ახოვანად“ (57. 3).

„სიძვა-მრუშებით, არა - წმიდებით, ჩუქნა-ლირწებით სჯულთა
მკყრობელსა“ (82. 2)

და სხვა.

იაკობი, რუსთველისა და სხვა მწერალთა მსგავსად, თა-
მამად იყენებს ნასახელარ ზმნებს. „უსჯულოს მოამადისა და
ქრისტიანეთა გაბაასებიდან“: „ემუსიკობ“ (9. 2), „ვისაკობ“ (ე.
ი. ისაკივით ვიქცევი, ისაკივით შესაწირავ ზვარაკად მზად ვარ.
9. 4), „ენამჭვერობს“, „სიტყვაპრტყელობს“ (71. 2-3), „ჯვაფა-
რობდეს“ (134. 3), „ყიამყრალობ“ (188. 3), „მოსარეიდა“ (სა-

რებით შემოზღუდავდა, 219.1), „გეააზატესა“ (227. 4) და სხვა. „ქება მეფისა არჩილისა“ - „უფლებს და მთავრობს“ (6. 3), „მომცემლობს“ (23. 3), „მთავრობ და უფლებ“ (25. 2), „გმზეობს“ (25. 4), „ისაკებრ პირმშობ“ (27. 3), „მკედრობს“ (29. 1), „მმეხი“ (მეხად ეცემი. 35. 4), „მოამდოვრებ“ (57. 4), „ამრავალწილა“ (87. 3), „ასძლოსა“ (რძლად აქცევს. 95. 1), „ლეობ“ (ლეოსებრ მოქმედებ. 98. 2) და სხვა.

იაკობ შემოქმედელი შაირის განმაახლებელ პოეტად გვევლინება, რომელმაც რითმების დამატება-გაძლიერებით ახალი უღერადობა მისცა ამ საზომს. მაგრამ, სანამ ამ სიახლეზე ვიმსჯელებდეთ, მანამ ზოგადად მის რითმებს შევეხოთ.

ჯერ ვნახოთ არაომონიმური რითმები.

იაკობის რითმები, საერთოდ, სიმდიდრითა და და სიახლით არ გამოირჩევა. მის შემოქმედებაში ნაკლებად არის დაცული „ვეფხისტყაოსნისათვის“ კანონად ქცეული წესი, რომ არაომონიმურითმიან მაღალ შაირში გაბატონებულია 2-მარცვლიანი, ხოლო დაბალ შაირში - 3-მარცვლიანი რითმა.

დავიწყოთ იმით, რომ მ ა ღ ა ლ შ ა ი რ შ ი, მართლაც, ბევრია 2-მარცვლიანი რითმებით გაწყობილი სტროფი. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ სამ მეოთხედზე მეტი ზუსტი, ანუ იდენტურითმიანებია⁴: ღეთისა-ერთისა-ფრთისა-თრთისა (სტრ. 1), გამოჩნდების-განმრავლდების-დააკლდების-დაუჯდების (16), დაემსგზავსა-მეძავსა-ნათესავსა -უამრავსა (20) და მისთანები.

არის არაიდენტურითმიანებიც: გასწავლიდათ-მოგვიერთ-წმინდათ-ამოგწყვიტათ (199), იცი-დანამტკიცი-იცი-კიცი (263), ნათლისმცემელს-მქადაგებელს-განმზადებელს-მღალაღებელს (283) და კიდევ რამდენიმე.

ათ სტროფზე მეტია კოჭლრითმიანები. როცა სამ სტრიქონში ორმარცვლიანი რითმაა, ერთში კი მათ მხოლოდ ერთი, ბოლო მარცვალი ესადაგება:

„რა გარდახდა ქმარი მისი, იგ შეირთო მამად ცოლად,
თვით სავაჭროდ ელუსალემს, ჰარაბისტანს იყო მღველად.
ეძიებდა სასწაულელად შჯულთა მცოდნედ, კარგ მეტყველად,
ნესტორიან, სულსკორიან ბერი პოვა მასწაულელად“ (21).

⁴ ვიმეორებთ: აქ მხედველობაში მიღებული არ არის ამ ნაწარმოების ომონიმურითმიანი სტროფები, სულ 23 სტროფი, რომლებსაც დაბალი შაირის ამგვარ სტროფებთან ერთად ქვემოთ ვეხებით.

მარტო რითმები: თქმულნი-უმეცარნი-შესულნი-თქმულნი (168), სულნი-თქმულნი-სრულნი-ქმნილნი (192), ცოლობად-ნაწილებად-წვალებად-სამსალებად (198). ასევეა 71-ე, 78, 142, 174, 204, 221, 241, 262, 287-ე სტროფებში.

უფრო საყურადღებოა მაღალი შაირის ის სტროფები, რომლებშიც ზუსტი, სრულყოფილი 3-მარცვლიანი რითმებია. ამგვარია ორ ათეულზე მეტი სტროფი:

„ცხენ-ჯორებით, აქლემებით ვაჭრობდეს და ირჯებოდეს, რომ მოშიედის, საჭმლად დაკლინ, ულაყებით იზრდებოდეს, ძვალსა ტვინი მოსწოვიან, რბილი არსით ეგებოდეს, ლოცვა სრულად არ იცოდენ, არც ტაძარი უღებოდეს“ (74).

ცალკე რითმები: გონებითა-რწმუნებითა-ჭენებითა-ბიცებითა (154), სოფლისასა-მოსისასა-სახარებისასა-მოსი სასა (155), სახარება-აღსარება-მოხმარება-შეწყნარება (177), ღვთისმშობელ-აღმკურთხელი-მცნობელი-მომთხრობელი (183). ასევეა მე-4, 22, 158, 179, 188, 190, 197, 218, 222, 248, 250, 251, 264, 282-ე სტროფებში.

გვაქვს რამდენიმე არაზუსტი 3-მარცვალრითმიანი სტროფი:

„სენი სჭირდა მოამედსა: ბნელთ იყო იგ ვნებული, დასცის მისა პაემანსა, ყუფს პეროის მიგდებული, სცნა რა ესე ცოლმან მისმან, სტირს, წუხს, იგლოვს ურვეული, ზაკეის სიტყვა მოიმარჯვა, მრუდი, ადრე მოსწრებული“ (23).

ამგვარივეა: იძლეოდა-იქებოდა-მიხვდებოდა-მცირდებოდა (28), მაჰმადისა-მადამდისა-თქენამდისა-მაჰამდისა (181), მაქათულად-აღმართულად-ქართულად-გამართულად (246) და სხვა.

აქაც არის ათამდე 3-მარცვლიანი კოჭლრითმიანი სტროფი, როცა სამ სტრიქონში 3-მარცვლიანი რითმაა, ერთში - 2-მარცვლიანი:

„ძველ-ახალი წიგნი წმანსა, სახელად სდვა მას ყურანი, კელა საუნჯე ეშმაკისა ბერი ამცნებს ბნელყურანი. ნიეთთ შესაქმე, დაბადება განრყენით სწერეს მათ თუ რანი, წარმოსთხია გესლი მყრალი, საძაგელად ფინთ ფერანი“ (49).

კიდევ: აროდესო-მოვიდესო-ესვიდესო-ეს ვიდესო (66), ხმობდეს-წარმოშობდეს-ამტკიცებდეს-მოგვითხრობდეს (68), მე-

ფეთანი-მძლეთანი-წრფელთანი-წერილთანი (164). ასევეა 171-ე, 180, 194, 231, 239, 273-ე სტროფებში.

გვაქვს ერთმარცვლიანი რითმებიც⁵:

„მსწრაფლ ხმა უყო ანგელოზმან: კელს ნუ მიპყოფ ყმასა მაგას!
მოგცა ლმერთმან მის წილ ვერძი, საბერკს კიდავს, შენს წინ რომ რგას.
კელა აქაცა მოამედმან ღვარძლი სთესა რიცხვით ერგას,
თქვა: ისმაილ შეწირაო, ეე უყურეთ ქანლის ბორგას!“ (59).

„მიუწერა იქა მყოფთა პურიანთა მოძღვართ წიგნად,
მოიკითხნა თვის-თვის ტიბილად, თაეად ისხდენ თუ ვინ განად,
მისცა ნიჭი წყალობისა არმაღანად ბარით ზეგნად,
სამლოთ მადლი მოივაჭრა, დიდად იქმნა დიდ ბეზირგნად“ (161).

„რა მის წიგნსაც შეიმოწმებ, სიტყვას რითლა გაგიკმარებს,
მერმე უთხარ: ზაკეით თქმულსა წიგნს ნუ უსმენ, თვარ გაცთუნებს,
ყურით უპყარ, ჩენი წმინდა სახარება როგორ ბრძანებს!
მაგრამ, ვიცი, უღვთო კაცი საღვთოს არას გაიგონებს“ (210).

აქ ყველგან რითმა, არც მეტი, არც ნაკლები, ერთმარცვლიანია, მიუხედავად იმისა, რომ მეორე და მესამე სტროფებში „წიგნად-ბეზირგნად“ და „გაიკმარებს-ბრძანებს“ არაიდენტურ რითმებად ჟღერენ.

თუ ასევე მკაცრად განვსჯით, ერთმარცვლიან რითმიანებად უნდა მივიჩნიოთ „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ მაღალი შაირის შემდეგი სტროფებიც, სადაც, ერთი შეხედვით, თითქოს ორმარცვლიანი პარალელური რითმები გვაქვს:

„მტკიცე სჯული, სამართალი იყართ, იყოთ სადა გ ი ნ დ ა,
რაცა შენთვის არ ევარგოს, იგ ნუცა შენ სხვისთვის გ ი ნ დ ა,
იგ შენდობა შეცოდების სამეოცდაათგზის უ ნ დ ა,
ამით სძლიო, მოერიო, ვინც გეცრუა, გაგიმტყ უ ნ დ ა“ (15).

„გვიბრძანა, თუ: ამას ყოფდით ვნების ჩემის სახსე ნ ე ბ ლ ა დ!
ამად მზად ვართ ზიარებად, მონანულთა სალხი ნ ე ბ ლ ა დ.

⁵ არის ასეთი სტროფიც: სამ სტრიქონში 4 მარცვალი მეორდება, ერთში - 2 მარცვალი:

„უღვთოდ კაცი თუ ამაღლდეს, ნუ გშურს, ადრე წაიქცევა,
ცოდვის საბრკით აგებული სახლი ძირით დაიქცევა,
ფიცის ტეხით მოქადული გმირი ჯონჭველით გაიქცევა,
სჯობს სიკედილი გავახსენოთ, თვარ წაწყმელა მოიწევა“ (12).

ჟამნიადგ ვნება მისი თვალთ წინა გვაქეს სახილ ე ე ლ ა დ.
ჯვარის ბეჭდით შეჭურვილ ვართ ქრისტეს მტერთა
საძლე ე ე ლ ა დ⁶ (259).

კიდევ: მოიკლათ-ტკბილათ-ბრძოლათ-მშობლათ (27), ვინ
სჯის-ჯირჯის-აჯის-გარჯის (97), უენებელად-ამხელად-მიმოს-
ვლად-ნაცვლად (214).

ეფიქრობთ, ასევე უნდა შეფასდეს შემდეგი რითმებიც:
ჩემთან-ფელამბრებთან-ყურთან-წვერთან (32), იერიქოს-იერ იქოს-
ბაქოს-ითქოს (37), ღმერთსო-ერთსო-ფრთესო-ნებროთსო (52),
დაგვიმტკიცეს-განავრცეს-გვიდევს-განიბიცეს (149), წოდებუ-
ლად-სადიდებლად-შესანდობლად-შემწირეულად (253).

ცნობილია, რომ ქართულ ლექსში ერთმარცვლიანი რით-
მები იშვიათად გვხვდება⁶.

„ეფუხისტყაოსანთან“ შედარებით მსგავსი გადახვევებია
აგრეთვე „უსჯულოს მოამადისა და ქრისტინეთ გაბაასების“
დ ა ბ ა ლ ი შ ა ი რ ი ს სტროფებშიაც. 3-მარცვლიან იდენ-
ტურ რითმებს 105 სტროფიდან⁷ ვხვდებით ცოტას - 20-ოდე
სტროფში:

„ასული მოამადისა, ფატმან, შეერთო აღია,
სიძე სიამარის საშველად აწ მტერზედ წინ მავალია,
ბილწი ურიათ საბრძოლად აქეს სისხლთა მჩქეფე კრმალია,
ერთს რაზმში მით ვერ დაესწრა, მწარედ ელმოდა თვალთა“ (29).

აი, უტექსტოდ ზოგიერთი მათგანი: გულისად-სულისად-
დათესულისად-სულ ისად (6), ლეეითა-რეეითა-დარქმეეითა-კურ-
თხეეითა (67), აგარიანთა-დაეითიანთა-დომეუზიანთა-სულ ბრა-
ზიანთა (77). კიდევ: 82-ე, 105, 106, 136, 141, 144, 145, 152,
165, 173, 176, 209, 216, 229, 249, 277-ე სტროფები.

10-მდე სტროფშია 3-მარცვლიანი არაიდენტური რითმები:

„სხვანი გეითხრობენ, ჩვენც ვხედავთ სოფლად დიადსა ხვარბალსა,
ძალღებიც მაგით იზრდების, კმელს პოებს ანუ დამბალსა,
დაცვა რომლითა შეიქმნა, ღორებიც სჭამენ დამბალსა,
და არა მწამს - მოსე ტყუოდეს, მაჰმად ბრძანებდეს მართალსა!“ (196).

⁶ ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, 111 (1),
ვერსიოეკაცია, თბ., 1981, გვ. 162-164; გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეტრი
და რითმა ეფუხისტყაოსანში, გვ. 61..

⁷ 123 მაღალი შაირის სტროფიდან 18 ომონიმური რითმებით არის
შესრულებული.

კიდევ: უფროსა-უღვთოსა-საწუთროსა-უნთოსა (54), თა-თარნი-ღამცდარნი-აფთარნი-ზამთარნი (73), სმენოდა-რქმეოდა-ისაქმებოდა-მეო და (75). არსებითად ამგვარიეა 107-ე, 116, 121, 126, 175, 280-ე სტროფებიც.

ცოტა მეტია კოჭლი 3-მარცვლიანი რითმები:

„მათ წმინდათ წერილნი იყენეს ენითა ებრაუღლითა, თქვენ, მათის წიგნის უცნობო, ცნობით ხართ უსწავლეღლითა, დააცხერეთ ენა გესლთაგან, გველებ ნუ სძერები კერეღლითა, ღვარძლი გითესაეთ, გეყოფათ, სიცრუევეს რად მკით ხელითა!“ (156).

ცალკე რითმები: ეწოდა-ეტყოდა-შეეტყოდა-ეტყოდა (26), მალაო-მალაო-მოკლაო-მღალაო (196), ავი და-ზავი და-შთავი-და-მოვიდა (129).

დაახლოებით ამგვარიეა 147-ე, 193, 211, 213, 245, 256, 281-ე სტროფებიც.

ამათვე მივათვლით არაიდენტურ, კოჭლ 3-მარცვლიან რითმებსაც: გამოეყო და-ეტყოდა-შეიტყოდა-დაესეტყოდა (122), განუყოფელად-მყოფელად-შესატყობელად-საძიებელად (150).

იოსებ თბილელთან გაბაასების ორივე სტროფი დაბალი შაირისაა და ორივეგან რითმა 3-მარცვლიანია.

თუ ამათ ერთად ვიანგარიშებთ, მივიღებთ: დაბალი შაირის 3-მარცვლიან რითმებიანი სტროფები 50-ს ოდნავ აჭარბებს, მაშინ როდესაც 2-მარცვლიან რითმიანი სტროფები მასზე ნაკლები არ არის:

„უთხრა: «უფალი შენ თანა, საბაოთ, ღმერთი ყოველთა»!
მოსრა, მოსწყვიტა, აოტა ბანაკი იღუმიელთა.
მაშინ ეს იყენენ უღვთონი ტომები ისმაიტელთა,
ძუძუ გაუსქდა, გაუმა მუცელი მათთა მშობელთა!“ (38).

ცალკე რითმები: ქვეყნადო-აღფრენადო-თანადო-მონადო (53), მაღალი-გარდამავალი-უფალი-ახალი (64), მივიდეს-გაეოდეს-ესვიდეს-ზრახვიდეს (80). დაახლოებით ამგვარიეა 30-ე, 44, 48,65, 79, 88, 89, 91, 96, 98, 99, 102, 127, 148, 162, 166, 169, 186, 187, 191, 202, 207, 212, 224, 225, 227, 230, 237, 240, 243, 252, 258, 260, 268, 274, 276, 284,286, 289-ე სტროფების რითმებიც.

აქვე შემოდის არაიდენტური და კოჭლი 2-მარცვლიან-რითმიანი სტროფებიც, რომლებიც ერთად აღებული 10-ზე ცოტა მეტია.

არაიდენტური 2-მარცვლიანი რითმები:

„თაერთა», «ზაბური», «ინჯილი» მან რომ ახსენა მოწამედ, აპა, მართალი იქნების, თუ შიგ ეწეროს «მომამედ». საქმით სიტყვაშემდის კეთილის, რასაც რამ ფერის მოსაქმედ, იქმნა სატანას სატანად, სამოელთან ზის მესამედ“ (114).

ასეთად მივიჩნევთ: იცნობდენ-იკომბენ-უბნობენ-მოწმობენ (61), ბერძნულსა-ღვარძულსა-ბაძურსა-ვერძულსა (185).

კოკლი 2-მარცვლიანი რითმები:

„ანგელოს ხილვით აღივსნეს წინასწარმთქმელნი სულებით, გულისემის ყოფით, სიბრძნითა, რიტორად, სულ სურნელებით, აბრძაპს სამებით სტუმრობით, უცხოთ თესლთ თანა მბროლობით, მოსეს წინძლობით, კრმალმოწვდით უძლოდა სვეტის ღრუბლებით“ (34).

კიდევ: ანგელოზი-ბოლაზი-სარკინოზი-კათალიკოზი (45), ასპიტად-ჭეშმარიტად-სვეტად-მარგალიტად (85), გოდებად-უწყებად-მითხრობად-მოძღვრებად (95). ასევეა 232-ე, 254, 270, 272-ე სტროფებში.

დაბალ შაირშიც გვაქვს 1-მარცვლიანრიითმიანი სტროფები:

„ხარ შემოქმედი ყოველთა, ვის ანგელოზნი ღვთად გესვენ, შობითგან ბრმასა თიხა სცხე, ყურნი ყრუსანი განახვენ, ჯვარი, ლახვარი. ღერწამი, სამსჭვალნი ჩვენთვის თავს იხხენ, ქება მწადს შენი, უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ!“ (3).

ამგვარივეა: იაკობ-ემუსიკობ-შემუკობ-ვისაკობ (9), მოის-ხამს-გაიდგამს-გარდაისხამს-დაანთქამს (13).

როგორც ეხედავთ, რითმის ფორმის თვალსაზრისით, იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ მნიშვნელოვნად განსხვავდება „ვეფხისტყაოსნისაგან“, რომელიც შაირის კლასიკური სახის მაჩვენებელია:

1. თუ „ვეფხისტყაოსანში“ 1-მარცვლიანი რითმები არ დასტურდება, ხოლო ქართულ ლექსში, საერთოდ, იგი იშვიათია, იაკობის შაირის ორივე სახეობაში, ამგვარიითმიანი სტროფი რამდენიმეა.

2. თუ რუსთველის პოემის მაღალ შაირში მხოლოდ 2-მარცვლიანი რითმებია, იაკობის მაღალ შაირში თითქმის მესამედი 3-მარცვლიანრიითმიანია.

3. თუ რუსთველის დაბალ შაირში მხოლოდ 3-მარცვლიანი რითმებია, იაკობთან ამავე სახეობის შაირში 2-მარცვლიანი და 3-მარცვლიანრიითმიანი სტროფები თითქმის თანაბარია⁹.

ალარაფერს ვამბობთ ე. წ. არაზუსტი და კოჭლი რითმების შესახებ.

ეს სხვაობა, რა თქმა უნდა, ძირითადად პოეტური ნიჭისა და ოსტატობის სხვადასხვაობის შედეგია, მაგრამ, არა გვგონია, მთლად ამით აიხსნებოდეს. ნაწილობრივ იგი ეპოქისეული მოვლენა უნდა იყოს. ა. გაწერელია წერს: „აღორმინების ჰერიოდის ქართულ ჰოეზიაში დაიწყო ქართული კლასიკური (ზუსტი და ღრმა) რითმის შერევა, XVII-XVIII საუკუნეებში ეს მოვლენა თითქმის უველა ჰოეტთან შეიმჩნევა (ტიპიური მაგალითები: «შევიპკობ : არაკობ» (არჩილი), «კრფილი : ფული» (გურამიშვილი) და შრ. სხვ.). ზუსტი რითმის დეკანონიზაციის პროცესი დასრულდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველ რომანტიკოსებთან“¹⁰.

იაკობ შემოქმედელის ლექსიც ამ პროცესის გამომხატველია, რასაც არჩილის ვრცელი ქებაც ადასტურებს.

საერთოდ, ჩახრუხაული, რომლის 20-მარცვლიანი სტრიქონი (კარედი) დიდი ცეზურით გაყოფილი ორი 10-10-მარცვლოვანი ნახევარი სტრიქონისაგან შედგება, თავისი რიტმული წყობით დაბალი შაირის იდენტურია. არჩილის ვრცელი ქების თითოეული 10-10-მარცვლოვანი ნახევარი სტრიქონი 5-5-მარცვლოვან მეოთხედ სტრიქონს, ანუ 2 და 3-მარცვლოვან მუხლებს (სეგმენტს) იძლევა და ეს პროსოდიული ერთეული არ ირღვევა, ანუ იგი 4-მარცვლოვანი (2+2 ან 1+3) მუხლისაგან არ შედგება¹⁰.

რითმათა სიდიდისა (სიღრმის) და უღერადობის მიხედვით ეს ნაწარმოები სრულ მსგავსებას ამჟღავნებს იაკობის შაირით, სახელდობრ, დაბალი შაირით, დაწერილ სტროფებთან. აქაც საკმაოდ გვაქვს 1-მარცვლოვანი რითმები. შიდარიითმებია:

⁹ ა. ხინთიბიძე მსგავს ვითარებას აღნიშნავს არჩილის პოეზიის მიმართ. „არჩილის რითმა იმ მხრივაც მოიკოჭლებს, - წერს იგი, - რომ ზოგჯერ დაცული არ არის ეფფონურ საურდენტა მინიმუმი - მაღალრუსთველურში ორი მარცვლი, ხოლო დაბალრუსთველურში - სამი“ (იაკობ შემოქმედელი, გვ. 20).

¹⁰ ა. გ. ა. წ. ე. ლ. ა., რჩეული ნაწერები, III, გვ. 188.

¹⁰ ერთადერთ გამონაკლისზე (სტრ. 87.2), როცა დიდ ცეზურაზე სიტყვა იხლინება („დასულთაჯებრ“), ზემოთ არის მითითებული.

„ნაძეი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ვენადიმისად, ნერგად ვარდისად, იერიქოსად - სხეამც რა ვახსენე მსგავსად ამისად?“ (7. 2-3).
 „არიან მეეცნი, მთანი და ბორცენი, მალნარნი, ველნი მისთვის შეერდომით“ (10.3).
 „უსხეულონი ზეცისა ძალნი მისთვის იშეების სიხარულითა“ (22.4).
 „ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, კმანი ებნისა და წინწილისა“ (44.4).
 „ბანაკად საღმრთოდ, ერ საზეპუროდ ხარ ღმრთისმეტყველთა მათ ჭურვილთაგან“ (52.1).
 „გიჟობ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ, სიტყვით შეგითხზავ ქებას ჯეროვნად“ (57.1).

(ცალკე რითმები: შაქარ - ოქროს ქან (58.2), შემწყობრე - მოსაგრე (58.4), უფსკრული - რიტორი (59.4), მართალი - მტკაველი (60.2), გოდლად - ზღურბლად (61.1), ობოლთა - ქერიეთა (63.2), მტკვერი - დუხჭირი (831), უგბილად - განსალიგებლად (83.4), მოიძუშაკენ - მოიძუშაკენ (99.3), გაშლილო - ბოლო (100.3), მეფეთა - ქებათა (103.1), რიცხეთა - ნეშტთა (103.3).

ერთმარცვლიანი შიღართმები არჩილის ერცელ ქებაში მეტია, ვიდრე „თამარიანში“.

ჩახრუხაძე, გარდა იმისა, რომ ქმნის ფისტიკაურ სტროფებს, ჩახრუხაძულ სტროფებში აქა-იქ ურევს ფისტიკაურის სტრიქონებსაც, ანუ ისეთებს, შიღართმა რომ არ მოეპოვება (95. 2; 100. 2-3; 105. 2-3).

„თამარიანში“ ზუსტი 1-მარცვლიანი შიღართმა 25 სტრიქონში¹¹, აქედან შეიძლება გამოვეყთ არაზუსტი 16 ორ-მარცვლოვანი¹² და 2 სამმარცვლოვანი¹³ სტრიქონი. არჩილის ერცელ ქებაში ზუსტი 1-მარცვლიანი გაცილებით მეტია, - 43 სტრიქონშია¹⁴. მათგან 2-მარცვლოვანი არაზუსტია¹⁵ 21, არა-ზუსტი 3-მარცვლოვანი - 2 (105.4 და 106.1) წყვილი.

¹¹ ესენია: 1. 1; 11. 4; 15. 1; 16. 4; 21. 1; 38. 1; 39. 4; 46. 2; 51. 4; 57. 2-3; 58. 2; 62. 2, 4; 67. 2; 88. 3-4; 89. 3; 92. 1; 94. 2; 97. 2; 101. 2, 4; 103. 3; 107. 2.

¹² სახელდობრ: 11. 4; 16. 4; 21. 1; 38. 1; 57. 2-3; 62. 2, 4; 67. 2; 88. 3-4; 89. 3; 91. 1; 94. 2; 101. 2; 107. 2.

¹³ კერძოდ: 46.2 და 58. 2.

¹⁴ ამგვარია: 7. 2-3; 8. 2; 10. 3-4; 12. 1; 17. 1; 22; 1; 23. 4; 27. 3; 28. 4; 30. 3; 31. 4; 39. 4; 44. 2,4; 52. 1,4; 56. 3; 57. 1; 58. 4; 59. 4; 60. 2; 61. 1-2; 63. 2; 64. 3; 70. 3; 76. 2,4; 79. 1; 83. 1,4; 8 4.3; 90. 3-4; 99. 1,3; 103. 1,3; 105. 4; 106. 1-2.

არჩილის ვრცელი ქების 1-მარცვლიანი გარერითმები:

„ვიტყვი ხვასროსა, იმა ხვასროსა, ერეკლესაგან ტყვედ შეპყრობილსა,
პირველ მყოფისა იმ მეუფისა სპარსეთად ძელის წარმყვანებელსა!
სთქუთ-ღა ესეცა: «მსგავსად ესეცა უღმრთოთა შეიქმს თვით-
ოტებულსა...»“ (38.1-3).

„ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი, სარდიონითა ხურუმზს შემკულნი,
მისაყრდნობელნი ძნელ-საცნობელნი, სამოთხით ნაძღვნი, თვით
უნდობელნი,
ოქრო-ვერცხლებრივ ბრწყინავს, ცეცხლებრივ, კედელ-ყურენი ფიქლით
წერილნი...“ (40.1-3).

„ძირმტიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად ცის კამარათა
სჩანხარ ზესთ მდეგად.
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოქსხლავ, ერთგულთ ექმნები
ფარად და ზურგად.
ურჩთა ედომით ცეცხლად ედო მით შერისხვა თქვენი სრულ
დასადაგად.
სახმილთ არმური სწვაეს მათ არ მური გუნდრუკად ერთმის
ოქროსა რიგად“ (61).

ცალკე რითმები: ქანდაკებულად - ბიწშეუხებლად (42.1-2),
სამებისამან - განაზღვრებულმან - უბინდომან (64.2-4),
სიღრმედ - განსაწმედ (72.1-2), ყვავილთა - ველთა - სხეულთა
(105.1-2,4).

ბოლორითმების მიხედვით არჩილის ვრცელი ქების „თა-
მარიანთან“ მიმართებას აქ არ ვეხებით. ქვემოთ არის ნაჩვენე-
ბი, ამ მხრივ მათ შორის სხვაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია.
ჩახრუხაძე ბოლორითმების სიზუსტით თავისი ეპოქის, რუსთვე-
ლის ხანის, ამსახველია.

არჩილის ვრცელი ქებაში არაოპონიმიური 2 და 3-მარც-
ვლოვანი შიდა რითმები დაახლოებით თანაბარია. არის ზუს-
ტიც და არაზუსტიც. აი, რამდენიმე ნიმუში. 2-მარცვლოვანი:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან...“ (1.1).

„შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო...“ (2.1).

„ვიწყო-ღა ქებად, ძვილ შეკადრებად...“

შარვანად გმირი, ორგულთ გამგმირი...“

რიტორი ბრძენი, მეფეთა ძენი...“ (4. 1, 3-4).

„დაცხრა, დაყუნდა, მისგან განცუდნა...“ (6.2).

¹⁵ ასეთებია: 10. 4; 12. 1; 17. 1; 23. 4; 27. 3; 28. 4; 30. 3; 31. 4;
39. 4; 44. 2; 52. 4; 56. 3; 61. 2; 64. 3; 70. 3; 76. 2,4; 84. 3;90. 3-4;
91. 1.

„მნელ მისთვის ვიყო, სული განვიყო...“ (11.4).

„ცულ ყვნის მან მტერნი, ორგულთა ვრნი...“ (12. 3).

მარტო რითმები: მზისა - ზისა (13.4), კრონოსოთ - ენოსით (15.1), და თური - უკეთური (15.4), აწ ვითა - წვითა (17.3), არე - მთვარე (18.2), მაზრაკა - რაკა (19.3), მენისა - სეხნისა (20.2), სურნელობს - მომცემელობს (23.3), ქებად - დიდებად (25.1), უფლებ - ათავისუფლებ (25.2) და ა. შ.

2-მარცვლოვანი შიდარითმების რაოდენობით წინ ღვას „თამარიანი“. მასში ზუსტრითმიანია 205 სტრიქონი¹⁶, აქედან არაზუსტი 3-მარცვლოვანია¹⁷ 32 და არაზუსტი 4-მარცვლოვანი - 3 (70.1 და 93.1) სტრიქონი. საძიებელ ხოტბაში ზუსტი 2-მარცვლოვანი შიდარითმაა 164 სტრიქონში¹⁸. აქედან არაზუსტი 3-მარცვლოვანია¹⁹ 45 და არაზუსტი 4-მარცვლოვანი 2

¹⁶ ამ გრძელ სიასაც წარმოვადგენთ: 1. 3-4; 2 (ოთხივე); 3. 1; 4 (ოთხივე); 5. 2,4; 6. 1,3; 7 (ოთხივე); 8. 2; 9 (ოთხივე); 10. 1-2,4; 11. 3; 12. 1-2; 13. 1,3-4; 14. 1-3; 15. 1-2; 16. 1-3; 17. 1-2,4; 18 (ოთხივე); 19. 2,4; 20 (ოთხივე); 21. 2-4; 22. 1, 3-4; 23. 1,3 (დაზ.); 32. 4; 34. 1, 35. 2; 36. 2; 38. 2-4; 39. 1-2; 40. 1,3; 42. 1,4; 43. 3; 44. 1,4; 45. 2; 46. 3-4; 47. 1-3; 48. 3-4; 49 (ოთხივე); 50. 1,3-4; 51. 1-3; 56. 3-4; 57. 1,4; 58. 1,3-4; 59 და 60 (ოთხივე); 61. 1 (დაზ.); 62. 1,3; 63. 1-3; 64. 1,3-4; 65 (ოთხივე); 66. 1,3-4; 67. 1,4; 68 (ოთხივე); 72. 4; 74. 4; 75. 2; 76. 1-2; 77. 2; 80. 2; 81. 1-2; 82. 1-2,4; 83. 1-3; 85. 2; 86. 1; 87. 2-3; 88. 1-2; 89. 1-2,4; 90. 1-3; 91. 1-2,4; 92. 3-4; 93. 2-3; 94. 1,4; 95. 1,3-4; 96. 3-4; 97. 2; 98. 1-3; 99. 3; 100. 4; 101. 1,3; 102. 3-4; 103. 1-2; 104. 1-3; 105. 1-2; 106 (ოთხივე); 107. 1,3; 108. 1,3; 108. 1,3; 109. 2,4; 110. 1-2,4; 111. 2-3.

¹⁷ ასეთებია: 2. 1-2; 3. 1; 6. 3; 9. 4; 15. 2; 17. 2; 18. 2; 19. 4; 20. 2; 32. 4; 36. 2; 38. 2; 44. 1; 46. 2; 47. 1; 56. 3; 59. 2-3; 61. 1; 63. 1; 64. 1; 65. 1,3; 87. 2; 88. 1; 91. 4; 97. 1; 98. 3; 99. 3; 111. 2-3.

¹⁸ ეს გრძელი სიაც: 1. 1,2; 2. 1; 4. 1,3-4; 6. 2-3; 8. 1,3-4; 10. 2; 11. 4; 12. 2-3; 13. 4; 14. 1-2,4; 15. 1,3-4; 16. 1-2; 17. 3; 18. 2; 19. 3-4; 20. 2,4; 23. 1,3; 25. 1,4; 27. 1-2; 28. 3; 29. 4; 30. 1-2; 31. 3; 32. 4; 2-4; 33. 4; 34. 2; 35. 4; 36. 1; 37. 1-3; 38. 2; 29. 1,3; 40. 1; 42. 1-3; 43. 1,3; 44. 3; 45. 3; 46 და 47 (ოთხივე); 49. 1,3; 49. 1,3; 50. 1; 51. 1,4; 55. 2; 56. 1. 1,3; 57. 3-4; 58. 1; 59. 3; 60. 1,3; 62. 3-4; 63. 1,4; 64. 1-2,4; 66. 3; 67. 1-2; 68. 3-4; 69. 2-4; 70. 1,4; 71. 1-2,4; 72. 1,4; 74. 4; 76. 1,3; 77. 1,4; 78. 4; 82. 1-3; 84. 4; 85. 1-3; 86 (ოთხივე); 87. 1-3; 88. 2-4; 89. 2-4; 90. 2; 91 და 92 (ოთხივე); 93. 1,4; 94. 2-4; 95. 2-4; 96. 2-3; 98. 2-3; 99. 2,4; 100. 1,3; 101. 1,3; 102. 3; 104. 2; 106. 3-4; 107. 1-2,4

¹⁹ ესენია: 6. 2-3; 8. 4; 14. 1-2; 15. 3; 16. 2; 19. 2; 20. 2; 32. 2-4; 33. 4; 34. 2; 37. 2-3; 39. 3; 42. 1; 46. 3; 47. 1-2,4; 56. 1; 62. 4; 69.

სტრიქონი (70. 1 და 93. 1). ამათ უნდა დაემატოს ცალკე მდგომი 3 არაზუსტი 2-მარცვლოვანი სტრიქონი (2. 2; 79. 1 და 102. 4).

რა თქმა უნდა, გვაქვს 2-მარცვლოვანი ზუსტი გარეერთ-მებიც:

„სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად, გიძღვნა ქებანი: მწადს აქ ებანი, და ვით ის დავით, ვჯდუ მუსიკობად...“ (1.1-2).

„კომბს ღმერც ხალისად ა მერცხალისად, კმა-ტკბილ-მემობარედ იადონისად.

ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ენგადიმისად. ნერგად ვარდისად იერიქოსად - სხვამც რა ვაკსენე მსგავსად ამისად? ასაფიც არი ა საფიცარი, დამამტკიცარი წინასწარისად!“ (7).

მხოლოდ რითმები: მტკიცედა - ზედა - შემწედა - არედა (5), ჯდომით - ხლდომით - შევერდომით - მიწდომით (10), არად - ფარად - ქარად - საემარად (50), მორკინალი -თვალი - ძალი - მზრახვალი (55), ჯეროვნად - ცისკოროვნად - ახოვნად - ძოვნად (57), დაემონოდეს - არ ოდეს - აეხილეოდეს -შეეცვალეოდეს (90), ყოველთა - მაგუბელთა - ველთა - მწველთა (91) და სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ბოლომდე, ანუ ოთხივე სტრიქონში, მქონე ზუსტი გარეერთმები, მათ შორის, 2-მარცვლიანებიც ცოტაა. მათ ხშირად გვერდში უდგას არაზუსტი და კოჭლი რითმები.

2-მარცვლიანი არაზუსტი შიდა რითმები:

„კრიტს, ალაბს, მადრიბს, ეგვიპტეს, მაშრიფს...“ (2.2).

„შემუსრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას...“ (10.4).

„აქეს მას დაბუჭდვით, სმენით და ხედვით...“ (12.1).

„იკითხვენ, სწერენ, თაყუშსა სჩხრეკენ...“ (17.1).

ცალკე რითმები: შეკრისხდა-მიძხვდა (23.4), გიცნობს-გიძნობს (25.3), პირმშობ-ნიშობ (27.3), ლანკანთა-პინაკთა (39.4), ჭურჭელთა-ფერთა (44.2), ხენეშნი-ეშენი (52.4), ბოღრატ-სოგრატ (56.2), ნიჭმან-ნიშმან (64.3), უჯეროდ-გასამრჯელოდ (70.3) და სხვა.

3; 69. 3; 70. 4; 71. 1; 72. 1,4; 76. 3; 86. 1-2; 87. 2; 89. 2; 90. 2; 92. 4; 94. 2; 96. 3; 99. 2; 100. 1; 102. 3; 104. 2; 105. 4; 107. 1.

რა თქმა უნდა, ესენი შეიძლება 1-მარცვლოვან ზუსტ რითმებადაც გაგვეხილა და ავტორსაც, ალბათ, ასევე ჰქონდა გააზრებული, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ არის. მათი სიღრმე და მეტი უღერადობა აშკარაა.

3-მარცვლოვანი რითმებიც იმასვე გვიჩვენებენ, რასაც 2-მარცვლიანები. ზუსტი შიდა რითმები:

„ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვთ ბრძენთ მკიცხველნო...“ (2.4).

„აღმოსავლეთით და დასავლეთით...“ (3.3).

„მენე ლმობიერი, ქველი, ძლიერი...“ (4.2).

„უსწრო ხარანით, - გაიხარანით...“

უფალთმთავარი, მჭერ სამთავ არი...“ (13.1,3).

მხოლოდ რითმები: უთრუთ-სამით-ზაალსა ამით (15.3), სვიანად-მზიანად (18.1), ქველობით-უძღვევლობით (19.1), ბაგენი-მაგენი (20.1), მწოთლვარე-მემოლვარე (20.3), ტალანტი-ბალანტი (22.2), საქმითა-აქ მითა (22.3), სულელმან-უსულელმან (23.2), სახითა-ცხოვლადსა ხითა (26.2) და სხვა.

3-მარცვლოვანი არაზუსტი:

„დავით ძლიერი, მენედ საშინელი...“ (6.3).

„მადლისა პური, სიბრძნის სადგური...“ (14.1).

„ქალწულ-წმიდისა წილკდომილისა...“ (16.2).

„უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა...“ (19.2).

„ბნელ-პყოფს ყოველთა ქეყენის მპყრობელთა...“ (33.4).

ცალკე რითმები: სიბრძესა-სიღრმესა (34.2), პორფირთა-პოდირთა (37.3), ნილოსად-უსასყიდლოსად (42.1), ვით ცვილთა-სიცბილთა (46.3), მთოვართა-ვარსკვლავითა (47.1), შემცველი-შემწველი (47.4), ხე-ტანი-შემტანი (49.1) და სხვა.

3-მარცვლოვანი რითმებით კი „თამარიანს“ არჩილის ვრცელი ქება სჯობს. „თამარიანში“ ზუსტი 3-მარცვლოვანი შიდა რითმაა 69 სტრიქონში²⁰. აქედან 4-მარცვლოვანი არაზუსტია 2 (39. 3 და 85. 1) და 5-მარცვლოვანი არაზუსტი - ერთ (45. 1) სტრიქონში. არჩილის ვრცელ ქებაში ზუსტი 3-მარცვლოვანია 99 სტრიქონში²¹. აქედან არაზუსტი 4-მარცვლოვანია 5

²⁰ 1. 2; 3. 2-4; 5. 1,3; 6. 2,4; 8. 4; 12. 3-4; 14. 4; 22. 2; 32. 1; 39. 3; 41. 4; 42. 2-3; 43.4; 44. 3; 45. 1, 3-4; 46.1; 48. 2; 50. 2; 56. 1; 64. 2; 67. 3; 70. 2; 71. 1-3, 72. 2; 74. 1,3; 75. 1,4; 76. 4; 77. 4; 80. 1,4; 81. 2; 83. 4; 84. 2-4; 85. 1,3-4; 86. 2-3; 87. 1,4; 90. 4; 93. 1,4; 94. 3; 96. 1; 97. 3; 98. 4; 99. 1-2,4; 100. 1; 104. 4; 108. 4; 109. 1,3; 111. 4.

²¹ სახელდობრ: 1. 1-3; 2. 4; 3. 2-4; 3. 2-4; 4. 2; 9. 2; 11. 1-3; 13. 1,3; 15. 2; 16. 3; 18. 1, 3-4; 19. 1,4; 20. 1,3; 21. 2,4; 22. 1-3; 23. 2;

სტრიქონი (41. 1; 44. 1; 59. 2; 75. 2; 79. 3) და 2 სტრიქონიც
- 5-მარცვლოვანი (40. 4 და 53. 1).

3-მარცვლოვანი ზუსტი გარეერთებები:

„იწყო-ღა ქებად, ძვილ შეკადრებად: მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის
მაყრობელი,
მენე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი, პაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
შარაუნდ-გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკენლად
დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“ (4).

„არჩილ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკედავთ წყაროსა, ცის
სამყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად საროსა,
მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა კსნილ ჰყოფს, მტერთ
ესაროსა.
მნედ მისთვის ვიყო, სული განვიყო, უფალსა ჩემსა რამც გამყაროსა!“
(11).

მხოლოდ რითმები: ცხებულსა-ქებულსა-გებულსა-ენებულ-
სა (2), ქებისა-რებისა-ნეტარებისა-მოწყალებისა (20), მზისა-
ნი-მისანი-ღმრთისანი-სიკედილისანი (23), სიმართლისაო-სიწმი-
დისაო-ზირაქისაო-აბრამისაო (25), მფლობელი-მწყობელი-
მაყრობელი-დასამკობელი (25), დანათვალითა-აღლითა-საბურ-
თალითა-დასაკრძალითა (43), ელვისათა-სახელისათა-სიმართ-
ლისათა-სასჯელისათა (47) და სხვა.

არაზუსტი 3-მარცვლიანი რითმები:

„ძირით მისისა იესისა შეილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ-წმიდისა წილკდომილისა საქართველოსა მეფედ წოდებად,
სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა
მომედებად!
ახალი ფასი ა ხალიფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად“ (16).

ცხადია, არის ისეთი სტროფებიც, სადაც ზოგი რითმა
ზუსტია, ზოგი არაზუსტი:

25. 2; 28.2; 29. 1; 31. 2; 32. 1; 33. 1; 34. 1; 36. 2-4; 40. 2-4; 41. 1-2;
43. 2,4; 44. 1; 45. 2; 49. 4; 50. 2-4; 51. 2; 52. 2-3; 53. 1-2; 55. 1; 57.
2; 58. 3; 62. 2; 63. 3; 65. 4; 67. 4; 68. 1-2; 69. 1; 70. 2; 71. 3; 72. 2;
74. 1,3; 75. 2-4; 77. 2; 78. 1; 79. 2-4; 80. 3; 83. 2-3; 84. 1-2; 85. 4;
87. 4; 88. 1; 89. 1; 90. 1; 95. 1; 100. 2,4; 102. 1-2; 103. 4; 104. 1,3;
105. 1; 107. 3.

„აბჯარ-კმალითა, ვეფხვებერ მკრჩხალითა მეს ექმნა მტერთა ცით
მოსალოდნი.
მიხედეს სიბრმესა, დაკდეს სიღრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი.
აქარაუანი ა ქარაუანი მეგობართაგან მათთვის საწოდნი.
ვადიდებ კელსა ბრძენსა, არ ხელსა, რომ სცა მათ ნიშად ბოლოდ
საცოდნი“ (34).

„დაწერა ქეთა და წერაქეთა, ანდამატისა ცვილ-მყოფელითა:
«მენდ ასაკისა, პავასაკ ის-ა წმიდათა თანა მომრეწველითა».
ტყორცა ისრისა მიკეირს, სისრისა მერკეირისებერ უსძულთ ელენითა;
სარკინოზ ერთა სხეულთ აერთა ოროლი მორფსა შიგან წვენითა“ (80).

„თამარიანსა“ და არჩილის ვრცელ ქებაში 4-მარცვლოვანი შიდარითმები ცოტაა. პირველში ამგვარი ზუსტი რითმაა 3 სტრიქონში (15. 3; 63. 4 და 97. 4), ხოლო არაზუსტი 4 სტრიქონში (16. 2; 39. 3; 67. 1 და 85. 1).

თუ არჩილის ვრცელ ქებაში 1-მარცვლიანი რითმები „თამარიანთან“ შედარებით მეტია, 4 და 5-მარცვლიანი რითმების მხრივ პირიქითაა: 4-მარცვლიანი ზუსტი რითმა არის 10 სტრიქონში²², არაზუსტი - 7 სტრიქონში²³.

ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ არჩილის ვრცელ ქებაში შეიძლება გამოვყოთ 5-მარცვლიანი ერთი ზუსტი (9. 1) და 4 არაზუსტი (1. 1; 29. 3; 40. 4; 53. 1) წყვილი რითმა.

ასე რომ, ჟღერადობის მიხედვით არაომონიმური შიდა-რითმების მხრივ არჩილის ვრცელი ქება არათუ ჩამოუვარდება „თამარიანს“, რამდენადმე კიდევაც სჯობს.

იმის საჩვენებლად, თუ არჩილის ვრცელ ქებაში, საზოგადოდ, რა სიდიდის რითმები გვხვდება, აქ რამდენიმე ნიმუშია დამოწმებული. გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს, რომ იაკობის ამ თხზულებაში შიდარითმები ბევრად უფრო ზუსტი და მონოლითურია, ვიდრე გარეითმები. როცა „თამარიანის“ ჩანრუხაული და ფისტიკაური სტროფების გარეითმებად გამოყენებულია 2-მარცვლოვანი ხუთი სახეობის კლაუზულა და შვიდი სახეობის 3-მარცვლოვანი კლაუზულა და მათში მხოლოდ რამდენიმეა არაზუსტი, არჩილის ვრცელ ქებაში გარეითმებად 40-ზე მეტი სახეობის 2-მარცვლოვანი და 30-ზე მეტი

²² კერძოდ: 3. 1; 7. 1; 26. 3; 54. 2; 60. 4; 67. 3; 73. 2; 77. 3; 78. 2; 80. 2.

²³ ესენია: 41. 1; 44. 1; 59. 2; 70. 1; 75. 2; 79. 3; 93. 1.

3-მარცვლოვანი კლაუზულები გვაქვს და, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მათში ბევრია არაზუსტი და კოჭლი სახეობა.

„თ ა მ ა რ ი ა ნ ი ს“ 2 - მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ გ ა - რ ე რ ი თ მ ე ბ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა შ ე მ დ ე - გ ი კ ლ ა უ ზ უ ლ ე ბ ი :

-არი: მეცნიარი-მქნიარი-შესაშინარი-მოუბნარი (20), მომფინარი-წყნარი-მადნარი-მდინარი (21), ნარნარი-სასმენარი-მომთმინარი-საქნარი (22), შამბნარი-საქნარი-ქნარი... (23), ღვარი-ვარი-კარი-შამბნარი (56), საზღვარი-ზარი-შესაპოვარი-ქარი (57), კეისარი-მხარი-საქნარი-დარი (58), მოუბარი-მცთუნარი-ლაშქარი-ავარი (59), გვარი-ამბარი-ზარი-მკედარი (60, ვარი... (61). ეს რითმა არჩილის ვრცელ ქებაში არა გვაქვს.

-უბად: ღმრთებად-ზღვებად-თბებად-ძებად (95), ცხებად-ებად-დაუვიწყებად-უზვაებად (96), განურისხებად-ძებად-ღებად-დებად (97), ძლებად-დაუყოვნებად-მცნებად-ფერებად (98), გასულტანებად-შვებად-ძღვანებად-ცებად (99), წყებად-ქალდეველებად-დარებად-საძიებელად (100).

აქ ერთადერთია არაზუსტი რითმა: ამ ბოლო, მე-100, სტროფის მე-4 სტრიქონში „უბად“-ს ენაცვლება „ელად“.

„უბად“ რითმა არჩილის ვრცელ ქებაში ერთხელ არის გამოყენებული: ცხოვრებად-წოდებად-მომდებად-მონებად (16).

-უვად: წვევად-რჩევად-რევად-სრევად (38), მთვარევად-შენამართევად-თევად-ნამთევად (39), რბევად-მორჩევად-დაუმალევად-ლევად (40), ძევად-განრისხევად-ზღვევად-სათნევად (41), მონაკვლევად-განაპარევად-გაგულქველავად-დასამსგავსევად (42), ნახუთევად-ნამიჯნურევად-ნატანჯევად-უნახევად (43), ძევად-დანაბრალევად-ნამიჯნურევად-ძლევად (44), შეუძლევად-რყევად-ნახსმევად-ნამარხევად-ქცევად (46), გარდასახდევად-ნაუფსკრულევად-ნაორგულევად-დაუწვევად (47), ნაფუნევად-ნაელევად-ლევად-განაცისკრევად (48), უკრევად-ნაჭორევად-წვევად-წინაგვრევად (49), ნაჯუფთევად-მოევად-ნამუხთლევად-ნახსმევად (50), შენახსმევად-გამოსაკვლევად-დასახევად-შესადგმევად (51).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმა დასტურდება.

-ელი: სახილველი-ყელი-მოსახვეტელი-საკვირველი (62), ბნელი-შარავანდელი-მანათობელი-ხელი (63), ამსვლელი-მცნელი-ვრცელი-ქველი (64), მთხველი-მთქმელი-მსრველი-მშლელი (65), ბნელი-საშინელი-მნელი-საძღვნელი (66), მთლელი-მთქმელი-ელი-განსაცდელი (67), უძლველი-მცმელი-წელი-მცველი (68).

არჩილის ვრცელ ქებაში ეს რითმა ორ სტროფშია გამოყენებული: გერგესეველი-ვეელი-ყოველი-მგებელი (60), მომრთმე-ლი-გამომღებელი-სასასთელბელი-დასალმობელი (88). აქაც რითმა უფრო მეტია, ვიდრე „ელი“. პირველში გვაქვს „ვეელი“ (ორჯერ) და „ებელი“. მეორეში - ორჯერ „ებელი“.

-ოღის: მოღის-ითქმოღის-სმოღის-ისმოღის (52), მოვიდო-ღის-ჰქონღის-მოისწრაფოღის-ჰქონღის (53), რბოღის-მოეზაო-ღის-უძლოღის-იწოღის (54), იწოღის-ისმოღის-ის მოღის- გცო-ღის (55).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმა მოიპოვება.

„თ ა მ ა რ ი ა ნ ი ს“ გ ა რ ე რ ი თ მ ა თ ა 3 -
მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი კ ლ ა უ ზ უ ლ ე ბ ი :

-ამისად: დასაბამისად-მამისად-ღამისად-აბრაჰამისად (74), კამკამისად-დრამისად-წამწამისად-მამისად (75), შეუდგამისად-მალლოისად-აღნათქვამისად-შხამისად (76), ჟამისად-შენასხამი-სად-საქებაარისად (77).

აქ ორი კოჭლი (ორმარცვლოვანი) რითმა გაერია: მალ-ლოისად (76) და საქებაარისად (77).

არჩილის ვრცელ ქება ამ რითმას არ იცნობს.

-ებანი: ებანი-ღებანი-მოგირბევანი-ნებანი (88), ნაშვენება-ნი-ხელოვნებანი-სიწორფოებანი-ნატირებანი (89), სიტკბოებანი-თებანი-ახოვნებანი-ძლიერებანი (90), დანაკლებანი-უფლებანი-მცბიერებანი-ღებანი (91), მონებანი-მოხსენებანი-ებანი-დაშვენე-ბანი (92), მეოტებანი-განშვენებანი-განკაცებანი-აღმორჩებანი (93), შევენებანი-ებანი-ქებანი-ღებანი (94).

აქ ერთი არაზუსტი რითმა გვაქვს: მორბევანი.

-ებარე: ...მტაცებარე-მცებარე (29), განცვიფრებარე-მაო-ცებარე-დამშვენებარე-მცებარე (30), მაცისკრებარე-დამბნელე-ბარე-გამომღებარე-მწოდებარე (31), მწლუფებარე-მზღებარე-მოსათნებარე-შემძლუებარე (32), შემძახებარე-წინამგებარე-მეო-ტებარე-გემქებარე (33), ებარე-ანათებარე-ჩამომღებარე-მებარე (34); მამაკლებარე-მღებარე-ნაშენებარე-შემრისხებარე (35), მებისრე ბარე-მოუკლებარე-მამთოვლებარე-ნამორჩებარე (36).

არჩილის ვრცელ ქებაში ეს რითმა არა გვაქვს.

-ებულად: მთქმებულად-განცვიფრებულად-განცხადებუ-ლად-დამშვენებულად (4), აღშფოთებულად-დამონებულად-და-ქადებულად-მკლებულად (5), დამეტებულად-განბრწყინებუ-ლად-განმთავრებულად-მოშორებულად (6), განკვირვებულად-მიახლებულად-უფლებულად-დაბნელებულად (7), დაღუმებუ-

ლად-წარჩინებულად-აღმორჩებულად-აღმართებულად (8), წარმართებულად-შეყვარებულად-სწრებულად-და-ცა-დებულად (9), დასულტნებულად-მიახლებულად-შექძლებულად-მოწოდებულად (10), შექძლებულად-განმთავრებულად-დამონებულად-ასწორებულად (11), განძვინებულად-დატყვევებულად-აღალღებულად-გასახრმღებულად (12), ამხედრებულად-გაბასრებულად-მოოხრებულად-შოთობებულად (13), ღებულად-წამებულად-მიმბაძებებულად-ესებულად (14), შემსგავსებულად-განმარტებულად-დაკლებულად-განცვიფრებულად (15), დაჯანებულად-ენებულად-განრიდებულად-აღებულად (16), ქადნებულად-დამეტებულად მიდვენებულად-განქიქებულად (17), შოებულად-შესწრებულად-მოცთუქნებულად-მოყვანებულად (18), განმარტებულად-გებებულად-შეფიცებულად-შებებულად (19), მოსწავებულად-განცხადებულად-განცხადებულად-სახელდებულად (20), განშეენებულად-განბრწყინებულად-გებულად-განკვირვებულად (21), ცხებულად-უფლებულად-თავდადებულად-მოწოდებულად (22), დაკლებულად-მიბაძებულად-განქიქებულად-აღმორჩებულად (23), დაბნელებულად-შეძინებულად-გასწორებულად-დასაწყლებულად (24), გაცისკრებულად-მიახლებულად-დარიდებულად-აღალღებულად (25), დანატრებულად-დაბნელებულად-დამეტებულად-გარტებულად (26), ზარღებულად-გაცუდებულად-განათებულად-გებულად (27).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმა დასტურდება.

-ენალი: ... და-ცა-ესცე ნალი-მ[ფ] ენ[ალ] ი (69), მისადენალი-გამათენალი-ნასმენალი-შემაყენალი (70), დამამშვენალი-შემას-შქენალი-შემარცხენალი-მანაყე ნელი (71), მოსხენალი-დასატენალი-ტენალი-სახსენალი (72), გასაჩენალი-საჩენალი... (73).

აქ სიზუსტე ერთხელ არის დარღვეული - „ენელი“ (71).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმა ჩანს.

-იერსა: გულისხმიერსა-ძლიერსა-საწადიერსა-ენა-ძლიერსა-მეცნიერსა-საძებნიერსა-მიერსა (2), გონებიერსა-ციერსა-შუქ-მოსიერსა-უნათლიერსა (3), მეცნიერსა-მიერსა-შესაქმიერსა-მყოფიერსა (101), მიერსა-სალმობიერსა-მთავრობიერსა-ერთ-წამიერსა (102), სამ-სახიერსა-სალმობიერსა-გულთმეცნიერსა-სიტყვიერსა (103), ქვეყნიერსა-სახიერსა-სულ-ცხოვლიერსა-მანკიერსა (104), მოსამშიერსა-გულისხმიერსა-სოფლიერსა-უნათლიერსა (105), უპოვეს ერსა-მადლ-მოსიერსა-ადამიერსა-ნაოფლიერსა (106), ბრჭალსა-საშეებიერსა-ხუთასიერსა-მოსპოლვიერსა (107), გონიერსა- განდგომიერსა-მანქანიერსა-საძებნიერსა (108), აღნათქმიერსა-საშობიერსა-მიწიერსა-საწყსიერსა (109),

ძლიერსა-ციერსა-მადლიერსა-ნათლიერსა (110), მიერსა-მონახ-
მიერსა-სახიერსა-ლმობიერსა (111).

აქ 3-მარცვლიანი რითმა ორჯერ არის დარღვეული. ერ-
თგან 2-მარცვლიანია - „ერსა“ (106), მეორეგან - 1-მარცვლია-
ნი - „სა“ (107).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმაა გამოყენებული.

-ოვნებად: სახელოვნებად-მაცისკროვნებად-პოვნებად-უეტ-
ლოვნებად (25), ჰაეროვნებად-დაუყოვნებად-ბინდ-მხოვნებად-სა-
მაროვნებად (26), გამკიცხოვნებად -თოვნებად-მოვნებად-ბნე-
ლოვნებად (27), ნახსოვნებად-განმკიცხოვნებად... (28).

არჩილის ვრცელ ქებაში არც ეს რითმა გვხვდება.

თუ ამ მონაცემებს შევაჯამებთ, მივიღებთ: ჩახრუხადის
„თამარიანის“ 107 ჩახრუხაული სტროფიდან²⁴ 46 სტროფი და-
წერილია 2-მარცვლოვანი გარერიტით, 61 - 3-მარცვლოვანი
გარერიტით. ამ 107 სტროფში გარერიტის სიზუსტის დარ-
ღევის 9 შემთხვევა გვაქვს.

„თამარიანი“ გარერიტითა სიზუსტის მიხედვით „ეფუხის-
ტყაოსნის“ გვერდით დგას.

ახლა ვნახოთ, რა გარერიტები აქვს არჩილის ვრცელ ქებას
და რამდენ სტროფს მოეპოვება თითოეული მათგანი.

ზემოთ დავიმოწმეთ, 1-მარცვლოვანი რითმით თავიდან
ბოლომდე გაწყობილია 61-ე სტროფი (რითმაა „გად“). სხვაგან
1-მარცვლოვანი რითმა ორ და მეტმარცვლიან რითმების გვერ-
დით გვხვდება.

2 - მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ზ უ ს ტ ი რ ი თ მ ე ბ ი ს
კ ლ ა უ ზ უ ლ ე ბ ი :

-გან: მათთაგან-ცხოველისაგან-მისთაგან-სხვათაგან (17).

-ადთა: თავადთა-მსთავთა-ძმაცვადთა-კლვადთა (46).

-აუთა: მელაეთა-მბრუნავთა-თავთა-ვარსკვლავთა (33).

-ალი: მორკინალი-თვალი-ძალი-მზრახვალი (55).

-არად: არად-ფარად-ქარად-საკმარად (50).

-არედ: წყალმომდინარედ-გარედ-საკმარედ-მედგარედ (21),

მოტყინარედ-მწარედ -მდებარედ-შემკადრედ (54).

-ახა (-თასა): ჩემთასა-მისთასა-მორფ-სხეულთასა-სხვათასა (106).

-ელა: მტკიცელა-ზელა-შემწველა-არელა (5).

²⁴ არაფერს ვამბობთ 5-მარცვლიანრიტმიან 37-ე, თავისებურით-
მიან 24-ე და 16-შიარით შესრულებულ 78-ე და 79-ე სტროფების
შესახებ.

- ელთა: ყოველთა-მაგუგელთა-ეელთა-მწველთა (91).
- ელი: ნათელი-ნანთელი-სულელი-განმსწავლელი (81).
- ელსა: კელსა-ბნელსა-ძნელსა-უხრწნელსა (41).
- ენით: სიფიცხენით-ზენით-მტკიცენით-სიმკვირცხენით (74).
- ერნი: ერნი-მტერნი-ბერნი-ძლიერნი (83).
- ეცა: მიეცა-სადაფი ეცარეცა-მოდასეცა (58).
- ითა: ენითა-ებნითა-ძლიერებითა-თუ რითა (15).
- ისა: მეუღლობისა-უფუღობისა-სხეულებისა-დაბრკოლებისა (62).
- ისად: იადონისად-ენგადიმიხად-ამისად-წინასწარისად (7).
- ობად: შემკობად-მუსიკობად-ძნობად-ცნობად (1).
- ოდეს: დაემონოდეს-არ ოდეს-აეხილვოდეს-შეეცვალოდეს (90).
- ოდნი: მოსალოდნი-ლოდნი-საწოდნი-საცოდნი (34).
- ონად: ჯერონად-ცისკრონად-ახონად-ძონად (57).
- ომით: ჯდომით-ხლდომით-შევრდომით-მიწდომით (10).
- ოსა: სიქმოსა-[იამელი]ხოსა (დიახოსა/დიადოხოსა)-პირმმოსა-პერიპატოსა (53).
- ულად: შექმნულად-დაგულად-შეზღუდულად-ქცეულად (98).

კლასიკური და აღორძინების ხანის ლიტერატურასთან მიმართებით კიდევ უფრო საყურადღებოა კოჭლი (2-მარცვლიანთან ერთად 1-მარცვლიანი) რ ი თ მ ე ბ ი:

- ელნი/ლნი: მზმელნი-მყოფელნი-მღებელნი-პირდაყოფილნი (84).
- ურთით/ით: რათ ურთით-ოროლითურთით-ზედა მითით-რად ურთით (27).

ამგვარსავე სურათს იძლევა 3-მარცვლიანი რითმებიც. აქაც დავიწყეთ ზ უ ს ტ ი რ ი თ მ ე ბ ი თ:

- ალითა: დანათვალითა-შიგან ალითა-საბურთალითა-დასაკრძალითა (43).
- აროსა: სამყაროსა-საროსა-ესაროსა-გამყაროსა (11).
- ებულ არს: მოპოვნებულ არს-შემოდებულ არს-დამტკიცებულ არს-განლიგებულ არს (102).
- ებული: დასახებული-დიდებული-კრებული-განჩინებული (68).
- ებულსა: ცხებულსა-ქებულსა-გებულსა-უნებულსა (2)- მინიჭებულსა-განშეენებულსა-დასახებულსა-დაარსებულსა (76).
- ელობა: მცხებელობა-მცემელობა-შემწველობა-დამბეჭდველობა (6).
- ენისა: ღრჭენისა-ნაფშეენისა-თქენისა-დენისა (104).
- ეულად: თოეულად-თითოეულად-უსაზღვრეულად-უფლუეულად (87).
- ეერო: ძლიერო-სახიერო-ციერო-ღმობიერო (97).
- ისანი: მზისანი-მისანი-ღმრთისანი-სიკვდილისანი (23).
- ისაო: სიმართლისაო-სიწმიდისაო-ზირაქისაო-აბრამისაო (25).
- ობელი: მპყრობელი-მფლობელი-დამამხობელი-მსპარაზნობელი (4), მფლობელი-მწყობელი-მპყრობელი-დასამკობელი (35).
- ონისა/ონისა: ხატონისა-სამირონისა-საფირონისა-პოენისა (14).

-ულებით: სულ-წასრულებით-სულებით-ალეა-რგულებით-სრულებით (67).

კოჭლირი თმები (3-მარცვლიანთან 2 ან 1-მარცვლიანის გარევა):

-ადენი/დენი: მწადენი-დაიბადენი-ბადენი-რაოდენი (26).

-გბითა/-ითა: ყოვლითა-მომრგვლებითა-სურნელებითა-ძლიერებითა (69),
აოხრებითა-გამწყაზრებითა-აკდითა-ფუფუნებითა (75).

-გბულსა/-ულსა: განბრწყინებულსა-გებულსა-დასხმულსა-განმზადებულსა (95).

-გლთასა/-ლთასა: მკყრობელთასა-ღრუბელთასა-გოლეულთასა-საბაგელთასა (28).

-გვლად/-ლად: გულად-მოსარხველად-მოსაფრქველად-ქვე ველად (100).

აქ ელთასა/-ეულთასა შეიძლებაოდა არაზუსტ რითმებადაც დაგვესახელებინა.

-გლობა/-ლობა: მომახველობა-მხედველობა-მჭელეულობა-მხილველობა (99).

-იერად/-რად: მიერად-გულისხმიერად-დარად-სალმობიერად (66).

-იერმან/-რმან: არმურმან-ძლიერმან-მიერმან-სახიერმან (70).

-ილებით/-ლებით: მარხილებით-მილებით-გულებით-ხილებით (65).
და სხვა.

როგორც ვხედავთ, „თამარიანი“ ბოლორიითმათა სიზუსტით გამოირჩევა. მასში 2-მარცვლოვანია 38 სტროფი (აქვეათაისებური 37-ე სტროფიც) და მათგან ერთი სტრიქონია არაზუსტი (100. 4), ხოლო 4 სტრიქონში შეიძლება გამოყვით არაზუსტი 3-მარცვლოვანი რითმა (20. 1-2 და 21. 1,4). 66 სტროფში კი რითმა 3-მარცვლოვანია და სიზუსტე დარღვეულია 6 სტრიქონში (71,4; 76, 2; 77. 4; 88. 3; 106. 2; 107. 1). ამ მონაცემებით, ანუ ბოლორიითმათა სიზუსტით „თამარიანი“, ვიმეორებთ, გვერდში უდგას „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო, სიზუსტის დარღვევის მხრივ, არჩილის ვრცელი ქება ესადაგება როგორც იაკობისვე „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბასებას“, ისე XVII - XVIII საუკუნეთა ქართულ პოეზიას.

ჩვენი შთაბეჭდილებით, იაკობი, როცა წმინდა ვერსიფიკაციული მიზნით არ ხელმძღვანელობს, რითმას განსაკუთრებულ ყურადღებას არც აქცევს. ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ მის ჩვეულებრივ რითმებში პოეტური ლიცენცია იშვიათად გვხვდება, მაშინ როდესაც ომონიმურ რითმებში პირობითობა ბევრია. აღნიშნულის დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ

იაკობის შემოქმედებაში გვხვდება არაზუსტი რითმები, რომლებსაც მხარს უჭერს ყველა ხელნაწერი და დედნისეული ჩანს, მათი გასწორება კი ადვილად შეიძლებოდა, თუ კი ამისი სურვილი იქნებოდა. აი, ორიოდ ნიმუში:

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ 142-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის რითმა პირველ სამს ნაკლებად ესადაგება:

„ცისკრად, ნათელ, განთიადი არ ითქმიან სამად ნათლად,
ერთისაგან იშვებიან, ერთ ბუნებად არის მართლად.
სინას მოსე მაყულოვანი სამ სახედ სთქვა, არ სხვად ნათლად.
ვარ ცეცხლ-შემწველ-მახვილ-ორპირ, ღვთის მგმობართა ენა მკვეთრად“.

„მკვეთრი“ ნიშნავს მ ზ რ ე ლ ს, მ კ ე ე თ ე ლ ს²⁵. ამავე გაგებით, პოეტს თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა ფორმა „მკვეთლად“²⁶, რაც რითმას რამდენადმე გააუმჯობესებდა, მაგრამ ამ სახით ეს სიტყვა არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება.

არჩილის ვრცელ ქებაში შიდა რითმებია: „სულნი და გვამნი და ძვალნი ჩემნი ქარქვეტებრ ჰქმნოდეს ძალთა მისთასა“ (106. 2). რითმა მნიშვნელოვნად გაიმართებოდა და არც აზრი დაბრკოლდებოდა, „ძვალნი ჩემნი“ გადაადგილებული რომ იყოს: „სულნი და გვამნი და ჩემნი ძვალნი...“

ეს ტექსტი ასე გადაადგილებულად დაბეჭდილია ნ. მარისა და ს. კაკაბაძის (ორივე) გამოცემაში, მაგრამ მას არც ერთი ნუსხა მხარს არ უჭერს. ჩანს, აქ ავტორს აკმაყოფილებს მოკლე, ერთმარცვლიანი -მნი ბგერების გამეორება და არ ცდილობს, ეძიოს არაზუსტი, მაგრამ ეეფონიურად უფრო მდიდარი -ვამნი/-ვალნი სარიტმო დაწყვილება.

ეს და სხვა ზემოთ აღნიშნული შემთხვევითი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება იაკობ შემოქმედელის რითმის ეეფონიას, იმ სტროფებიდან, რომლებიც ვერსიფიკაციული მიზნით არ არის შექმნილი, ცოტა თუ გამოირჩევა. ბუნებრივია, მოკლე (1-მარცვლიანი და კოჭლი) რითმები ნაკლებ მუსიკალობასა და ჰარ-

²⁵ ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: „მკვეთრი გაღესილი, მჭრელი, მკვეთლი“. დ. ჩუბინაშვილი: „მკვეთი, მკვეთრი მჭრელი, მახვილი, острый...“

²⁶ დ. ჩუბინაშვილი ამ ფორმასაც აჩვენებს და მიუთითებს ესაიას ტექსტზე: „ამას იტყვის უფალი: ნუ იდიდოს ცული თვნიერ მ კ ე ე თ ე ლ ი ს ა მის მიერ...“ (ესაია 10.15).

მონიას ქმნის. იაკობის ნაწარმოებებში არის სიტყვის ფუძეზე დამყარებული რითმები, მაგრამ ასეთები ცოტაა. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ გვაქვს: მხედარი-სუდარი (44), ანგელოზი-სარკინოზი-კათალიკოზი (45), საბანელი-ბნელი (46), თათარნი-აფთარნი-ზამთარნი (73), ასპიტად-ჭეშმარიტად-სვეტად-მარგალიტად (85), კანდელსა-გამდელსა (89), არი-ფელამბარი-მოუბარი-ბელიარი (104), არია-მყარია-მყარლია (105), მოეფინება-გინება (107), სჯული-თქმული-ჯვარცმული (108), ფელამბარი-მეგობარი-ნაუბარი (109) და სხვა.

იგივე ვითარებაა „ქება მეფისა არჩილისა“-ში: ძლიერი-საშინელი (6.3), ლავროტი-მაკროტი (8.4), მთავარი-სამთავ არი (13.3), პური-სადგური (14.1), ზღვარი-ბღვარი (14.4), თური-უკეთური (15.4), არ-მთვარე (18.2), მაზრაკა-რაკა (19.3), რისხვა-არი სხვა (20.4) ტალანტი-ბალანტი (22.2), იმონა-ლიმონა (33.1), ზარდახშანი-ბადახშანი (43.4), ძედ არი-ნეტარი (47.2), წყალი-ნაბერწყალი (70.1), ვაზი-ემბაზი (99.4) და სხვა.

ორივე თხზულებაში უმრავლესობა ე. წ. გრამატიკული, ანუ სიტყვის მაწარმოებლებით, შექმნილი რითმებია. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“: გესვენ-გნახვენ-თავს ისხენ-ალახვენ (3), ხლათები-დავღები-ვეკეთები-ნასწავლები (24), მოიკლათ-ტკილათ-ბრძოლათ-მშობლათ (27), მკედართა-სა-მძორთასა-მტერთასა (30)... მარტო „თან“ და „მდის“ თანდებულები: ჩემთან-ფელამბრებთან-ყურთან-წვერთან (32), მადინამდის-მოწვევამდის-ჟამამდის-მადამდის (128). მარტო ვითარებითი ბრუნვის ნიშანი: წიგნად-განად-ზეგნად (161). მრავლობითი რიცხვის, თემისა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები: სულე-ბით-სურნელებით-ბრძოლებით-ღრუბლებით (34). ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი და „გან“ თანდებული: ცხოვრებისაგან-ღვთისაგან-წარმართისაგან-გზისაგან (82). ნაცვალსახელები: შენი-ჩვენი-თქვენი (204) და სხვა.

ასევეა არჩილის ვრცელ ქებაშიც. შინაგანი რითმები: უფრ-ჭკვნილო-განბანილო (51.1), მანასებრ-მეუფებრ (57.1), შემწყობრე-მოსაგრე (58.4), ობოლთა-ქერივთა (63.2), ცვრითა-გამობუტკ-ვითა (88), გვამნი-ჩემნი (106.2) და უამრავი სხვა. გარეგანი რითმები: შეპყრობილსა-წამყვანებელსა-ოტებულსა-ნელსაცხებელსა (38), შემკულნი-უნდობელნი-ძერწილნი (43.1-2), ელვისათა-სახელისა-

თა-სიმართლისათა (47.1-3), სხივისა-სახისა (48.1-2), ჯეროვნად-ცისკროვნად-ძოვნად (57.1-2, 4), თვითებისამან-სამებისამან- განს-საზღვრებულმან-უბინდომან (64) და მრავალი სხვა.

როცა იაკობ შემოქმედელის რითმათა მელოდიურობას ვიზილავთ, უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ სუსტ რითმებთან ერთად, შიგადაშიგ, მათ გვერდით, სტროფის ფარგლებში საკმაოდ გვხვდება მდიდარი და ჰარმონიული რითმებიც. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა 1, 2 ან 3-მარცვლიანრითმიან სტროფებში გვაქვს ცალკეული მეტმარცვლიანი შერითმება.

მაგალითად: მკაცრი განსაზღვრით, „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ 149-ე სტროფის რითმა 1-მარცვლიანია: დაგვიმტკიცეს-განავრცეს-გვიღვეს-განიბიცეს. ოთხივე სტრიქონისათვის საერთოა მხოლოდ „ეს“ დაბოლოება. ფაქტობრივად აქ რითმა უფრო მდიდარია. პირველ, მეორე და მეოთხე სტრიქონებში „ც“ ბგერას (სულერთია, მას საყრდენ თანხმონად თუ რითმის ნაწილად მივიჩნევთ) თავისი ჟღერადობა შეაქვს, ხოლო პირველი და მეორე სტრიქონები ერთმანეთს თითქმის არაიდენტური 3-მარცვლიანი რითმით უკავშირდებიან.

ასევეა 161-ე სტროფში: წიგნად-განად-ზეგნად-ბეზირგნად. „გნ“ ბგერები და ასონანსური შეწყობა „ზეგნად-ბეზირგნად“ მნიშვნელოვან ჰარმონიას ქმნის.

ახლა ვნახოთ ე. წ. 2-მარცვლიანრითმიანი სტროფები. ხსენებული თხზულების მე-5 სტროფი: მამამთავართა-მძოვართა-მთავართა-ცხოვართა. ფაქტობრივად აქ 3-მარცვლიანი ჯვარედინი იდენტური რითმა გვაქვს.

ასევეა 212-ე სტროფში: წმინდისა-დედისა-დიდისა-ქედისა.

არჩილისადმი მიძღვნილი ერთსტროფიანი ლექსის რითმა 2-მარცვლიანია: ძლიერისა-შარვანდისა-მრიცხველისა-უფსკრულისა. პირველი და მესამე სტრიქონები კი ერთმანეთის მიმართ 3-მარცვლიანია: ძლიერისა-მრიცხველისა.

იგივე ვითარებაა არჩილის ვრცელ ქებაშიც. 74-ე სტროფის გარეერთებაა ორმარცვლიანი „ენით“: სიფიცხენით-ზენით-მტკიცენით-სიმკვირცხენით. ნამდვილად კი სამ სტრიქონში არა-ზუსტი 3-მარცვლიანი რითმები არის: სიფიცხენით-მტკიცენით-სიმკვირცხენით.

ჩამოთვლილთ ამ ნაწარმოების სხვა ამგვარ შემთხვევებს უკომენტაროდ. 2 და 3-მარცვლოვანი რითმების მონაცვლეობა:

აგან/ათაგან: ჭურვილთაგან-ქალაქთაგან-სლვათაგან-განზრახვათაგან (53).

-უბით/-იდებით: დიდებით-კლდეებით-რიდებით-საწოდებით (92).

-უღსა/-ოქმედსა: მოქმედსა-შემოქმედსა-განიწმედსა-წინასწარედსა (93).

-უელთა/-ოველთა: ყოველთა-ცხოველთა-ქვე-ველთა-მსმენელთა (77),
ყოველთა-შემწველთა-ყოველთა-საშეებელთა (94).

-უღი/-ეველი: გერგესეველი-ღვედეცე-ეველი-ყოველი-მგებელი (60).

-ენით/-ადენით: რამ ენით-მესტროლაბენით-დადენით-ბადენით (101).

-ითა/-ომითა: გარმოზღუდვითა-კომითა-კოლაგნობითა-განცხრომითა (18).

-ითა/-ულითა: სიყვარულითა-სურვილითა-იდუმალითა-სიხარულითა (22).

-ისა/-ახისა: სხივისა-სახისა-ახისა-მისა (48).

-ისა/-უზისა: კვიპაროზისა-უგზისა-ზეზისა-ტაიჭუხე ზისა (49).

-ისა/-ილისა: უფლისა-დავრომილისა-ცვილისა-ნელსაცხებლისა (12),
ფირუზისა-ურიცხვისა-თლილისა-წინწილისა (44).

-ისა/-ულისა: სამართლისა-ნელ ისა-თქმულისა-კეებულისა (86).

-ობით/-ელობით: სულელობით-ბრგენილობით-საფერობით-შემწირველო-
ბით (107).

-ოსა/-უდოსა: დამეყბედოსა-მეიმედოსა-სამეუფოსა-საუფსკრულოსა (96).

-ოსა/-ინოსა: საჩინოსა-მომთმინოსა-ნილოსა-ეტონეოსა (59).

არის ფაქტობრივი არაზუსტი რითმებიც:

-ათვის/-ართვის: სპათათვის-მტერთათვის-მიმართ ვის-ძალათათვის (31).

-უნდა/-ვდა: ჩვენდა-აველენდა-იმოქმედა-წარმოადგენდა (89).

-ენით/-ეენით/-ეენით: ქვეენით-ძალ-უც ენით-მისეენით-მოფენით (32).

-ობა/-ობად: ზღაპრობა-საგრობა-მოთხრობა-მკვიდრობად (79).

-ოხით/-ოხით: სამ-ოხით-სიპოხით-სარო ხით-სამოთხით (8).

აქ უფრო მეტიც არის: პირველი და მეოთხე სტრიქონები
3-მარცვლოვან ომონიმურ რითმებს ქმნიან.

თუ 1-მარცვლიანად არ განვიხილავთ, გვაქვს მოსაზღვრე
2-მარცვლიანი ან 2-მარცვლიანთან 3-მარცვლოვანი რითმები:

-ულად/-ილად: წარმდენელად-განუხრწნელად-განფენილად-სიკვილი-
ქმნილად (9).

-ოსა/-ინოსა: საჩინოსა-მომთმინოსა-ნილოსა-ეტონეოსა (59). ამ სხვაგ-
ვარი რითმების საილუსტრაციოდ მოხმობილ მაგალითში შეიძ-
ლება აგრეთვე გამოვყოთ -ინოსა და -ილოსა, როგორც არაზუს-
ტი რითმები.

3-მარცვლოვანი არაზუსტი რითმები:

-ატოსა/-ათისა: არ დამმატოსა-ანდამატოსა-სრულად მათისა-არარატისა (13).

ესენი შეიძლება არაზუსტ 4-მარცვლიან რითმებადაც წარმოვიდგინოთ.

-ეკვეთოს/-ემართოს: რად ეკვეთოს-დაეკვეთოს-წარგემართოს-მოგემართოს (36).

-ელითა/-ენითა/-ვენითა: მყოფელითა-მომრეწველითა-ვლენითა-წევნითა (80).

-ემსულნი/-ექსულნი: ნემსულნი-შექსულნი-ექსულნი-ექ სულნი (37).

მოსაზღვრე და ჯვარედინი რითმები:

-ეული/-არული: რჩეული-დალეული-დაცვარული-ქარული (29).

-ობელი/-ებელი: მანათობელი-მკამკამებელი-მპყრობელი-სჯულისმდებელი (45).

-ობელსა/-ებელსა: საბასრობელსა-მპყრობელსა-მქადაგებელსა-საძაგებელსა (82).

-ოფლისა/-ოელისა: სოფლისა-ოფლისა-თოფლისა-ყოელისა (71).

-ული/-ობელი: სართული-მონიჭებული-მოსაყრდნობელი-მთხრობელი (63).
და სხვა.

ერთი სიტყვით, იაკობ შემოქმედელის რითმა მუსიკალობითა და ჰარმონიულობით გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე იგი მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით შედგენილი ზემოთ წარმოდგენილი სქემებით გამოიხატა. აი, შედარებით კარგი რითმები, რომლებიც „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ გვხვდება:

„რა უჯერო არს, უცნობნო, ძედ ღეთისად რომ სთქვა მესია?

სხვა მამა ვინ ყავს, მაცნობეთ, მომიგეთ სიტყვა ესია?!

მწადს, მყვანდეს თქვენზე შესაჭლმად, ძაღლები წამომესია.

მარგალიტს რად ფენ ღორთათვის, ტალახი უამესია!“ (229).

„მან უბრალომ ბრალეულნი კორცით გვიხსნა, მერმე სისხლით,

აღამ ურჩი მოიძია - ლელვით გაძღა თუ ისი სხლით,

მწვე უჯობდა გულის სმენას, ქვა თავს ეცა ზედ მისის ხლით,

შვილი ეკადრებ წმინდას მამას, ჭკეას ვერ ვსწამობ ერთის

მისხლით!“ (255).

„მაშინ ქრისტე სად იხილა შინა მყოფი ან გარებით,

წერილს ვერას ვერ იცნობდა, რასაც ქსვიდა მოგვარებით,

ქრისტეს აქათ შვიდასი წლით უფრო იწყეს უამთ გარებით,

მერმე ნახეს აღზრდილ იყო ცრუ, მედგარი ანგარებით“ (264).

მარტო რითმები:

გამკითხველი - მთხრელი (14).
დაემსგზავსა - მეძახესა (20).
მელელად - მეტყუელად (21).
შეეტყოდა - ეტყოდა (26).
ვინ სჯის - ჯირჯის (97).
დასძინა - დაძინა (98).
მყარია - მყარალია (105).
ხლართავს - იახლა თავს (110).
ძელსა - გამძიძველსა (119).
ნდომის - ღომის (120).
ერთა ეტყოდა - რით შეიტყოდა (122).
თუმცა ალი - ცოცხალი (133).
უსახელოად - ვის სახელოად (136).

არჩილის ვრცელი ქების შედარებით კარგი რითმები.

ჯერ შინაგანი რითმები:
ქებანი - ებანი (1. 2).
ხევსური - ვსური (1. 3).
მრიცხველნი - მკიცხველნი (2. 4).
გმირი - გამგმირი (4. 3).
მთავარი - სამთავ არი (13. 3).
აწ ვითა - წვითა (17. 3).
მეფისა - ეფისა (18. 3).
გვეყოფის - გაგვეყოფის (18. 4).
მასრაკა - მტერთ რაკა (19. 3).
რისხვა - არი სხვა (20. 4).
ტრიონი - სანატრიონი (21. 2-3).
ტალანტი - ბალანტი (22. 2).
საქმითა - აქ მითა (22. 32).
ათენს - გაათენს (23. 1).
უფლებ - ათავისუფლებ (25. 2).
რა ნაწარდი - განაწარდი (29. 3).
ვამეფისსა - მეფისსა (32. 1).
იმონა - ლიმონა (33. 1).
ლესული - მენე სული (36. 3).
სრანი - ამას რანი (39. 1).
სტოვანი - სტოლანი (39.3).
ჟამი დილისა - მოწმენდილისა (41. 2).
ზარდაეშანი - ბადაეშანი (43. 4).
ვით ცვილთა - სიციბილთა (46. 3).
ძედ არი - ნეტარი (47. 2).
შემცველი - შემწველი (47. 4).
ხე ტანი - შემტანი (49.1).

ხელად თვისად - აღრიცხვისად (159).
ზეგნად - ბეზორგნად (161).
აღუსრულეს - სრულ ეს (163).
ბერძნულსა - ვერძნულსა - ღვარძნულსა - ბაძურსა (185).
ფიცარნი - დასაფიცარნი (191).
ვინ ყვისა - ბრიყვისა (202).
უხილავის - უყურია ვის (208).
მაცხოვარი - სათხოვარი (236).
რაც არს - ნაცარს (241).
მაქათულად - ქართულად (246).
სამუჭეფოსა - ანუ ხბოსა (260).
აღტაცებას - დუმატ ცებას (262).
ხელყოფათ - გეყოფათ - დაეყოფათ (273).
და სხვა.

მარჯვენით - მოიმარჯვენით (50. 2).
რჩეული - ჩეული (50. 4).
მნათენი - მოკამათენი (58. 3).
მოკედავისა - დამკოდავისა (59. 2).
უფალი - სატურფალი (69. 3).
არე წყალი - ნაბერწყალი (70. 1).
ის რა - სისრა (70. 4).
ცნობისა სვეტი - საჭერეტი (72. 1).
ფიცარი - საფიცარი (72. 2).
აქეს სული - დასული (72. 4).
სფეროთა - სამისფეროთა (74. 1).
დუქსა - უქსა (74. 4).
მოგემან - მბორგემან (79. 1).
ასაკისა - პავასაკისა (80. 2).
ისრისა - სისრისა (80. 3).
ერთა - აერთა (80. 4).
ვინმე ცით - რეცით (85. 2).
მაშინვე ნახი - ვენახი (88. 1).
ნუერობით - რიურაჟობით (88. 1).
ყოველი - უყოველი (90. 1).
ნებროთ - სამისებროთ (91. 3).
საღსრად - საკსრად (93. 4).
ჭირნი - დანამჭირნი (96. 2).
ვაზი - ემბაზი (99. 4).
მოგვობა - მბოგვობა (102.).
ერახმანი - რვა კმანი (103. 4).

და სხვა.

გარეგანი რითმები:

ძნობად - ცნობად (1. 3-4).	სოფლისა - ოფლისა (71. 1-2).
ტანად საროსა - მტერთ ესაროსა (11. 2-3).	სიფიცხენით - სიმკვირცხენით (74. 1,4).
მზისანი - ისანი (23. 1-2).	თან თოეულად - თითოეულად (87. 1).
ნემსულნი შექსულნი (37. 12).	რამ ენით - მესტროლაბენით (101. 1-2).
მარხილებით - ხილებით (65. 1,4).	
დიდებული - კრებული (68. 2-3).	

და სხვა.

ახლა ლექსის ფორმის იმ სიახლეებზე, რაც ძირითადად სტროფში რითმების, კერძოდ, ომონიმური თუ ტავტოლოგიური რითმების განაწილებას ეხება (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ვეხებოდით მხოლოდ არაომონიმურ რითმებს).

ცნობილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში, განსაკუთრებით თეიმურაზ პირველის შემოქმედებიდან დაწყებული და მისი საგრძნობი ზეგაუღენით, ჩვენში ომონიმურრიითმიანი ლექსები უაღრესად ფართოდ გავრცელებული და პოპულარული გახდა. ამოსაცნობი, გასაშიფრავი ლექსების შეთხზვა მაღალ პოეტურ ოსტატობად მიიჩნეოდა და სიმბოლურ-ალეგორიულ სახეებთან ერთად ომონიმებს დიდი ადგილი ეჭირა.

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ შიგადაშიგ (30 სტროფამდე) გვხვდება ცალკეული 2-სტრიქონიანი ომონიმური თუ ტავტოლოგიური რითმები. აქ ომონიმურ რითმებს დავიმოწმებთ. პირველ-მეორე სტრიქონებშია:

„სმა-ჭამა, სიძვა-მრუშება - თქვა თუ - სამოთხეს იქნება,
გარედან მე ეზი, ჩემს მოსავეს სულ აღუსრულო იქ ნება...“ (107).

ასევეა მე-15, 18, 37, 94-ე სტროფებში. პირველ-მეორე სტრიქონებში რითმებად ერთი და იგივე სიტყვები მეორდება აგრეთვე 22-ე, 119, 127 და 176-ე სტროფებში, მაგრამ ომონიმებია ისინი თუ ტავტოლოგია, დაბეჯითებით თქმა ძნელია.

პირველი და მესამე სტრიქონები:

„«ალა-უსამედ» დაარქვეს, ღეთისა სახელი არია...
უსულ-უსიტყვოდ, მრგვალ მყოფი რკინის, ქვის მსგზავსი არი ა...“ (105).

პირველი „არია“ აურიბ-ს უნდა ნიშნავდეს, მეორე - არის ს. პირველ-მესამე სტრიქონებში საითმო სიტყვები მეორდება აგ-

რეთვე 116-ე, 142, 158, 263-ე სტროფებში, მაგრამ მათშიაც ომონიმებისა და ტავტოლოგიის გამორჩევა ჭირს.

პირველი და მეოთხე სტრიქონები:

„სამოცდაათი ჭაბუკი, სიბრძნის სადგურნი, სამყოფნი...

გამოარჩინეს, გაგზავნეს სამოძღვროდ მათთვის სამყოფნი“ (169).

პირველი „სამყოფნი“ ნიშნავს *ადგილ-სამყოფელს*, მეორე - *საკმარისს*. ამგვარივე უნდა იყოს აგრეთვე 132-ე და 264-ე სტროფების აღნიშნულ სტრიქონთა რითმები.

მეორე და მესამე სტრიქონები:

„შენ რომ ფარდიდან იხილე, იგ კელი ჩემი იყო და,

ჩემის კრეტსაბმლით მოგეცო, ვაშლი ამ ნაჭრით იყო და...“ (126).

პირველი „იყო“ პირდაპირი მნიშვნელობით არის, მეორე ნიშნავს *გაყოფილს*. ომონიმები ჩანს 182-ე სტროფში, 209-ეში კი - ტავტოლოგია.

მეორე და მეოთხე სტრიქონები:

„ეინ მოიცლის, არც ახლო აქეს, მიმტანელიც დაელია...

კევი გახმა ქორათისა, სთქვი თუ რაღა დაელია?!“ (282).

იგივე ვითარებაა მე-6, 155, და 232-ე სტროფებში, ტავტოლოგია ჩანს 26-ე სტროფში.

მესამე და მეოთხე სტრიქონები:

„რომელი არს განმზადებულ, მას ყოველნი ესვიდესო,

იგი მყოფნი საუკუნოდ თვით დაადგრეს, ეს ვიდესო“ (66).

ასევეა 103-ე და 110-ე სტროფებში, 99-ში ტავტოლოგია უნდა იყოს.

რამდენიმე სტროფში ომონიმური თუ ტავტოლოგიური რითმებით ერთმანეთს უკავშირდება სამი სტრიქონი, ერთი განსხვავებულია.

განსხვავებულია პირველი სტრიქონი:

„ბრძენთა თქვან: ამისი საქმე თვით იქმნა *ესევითარად*,

მამათმთავრისა მათისებრ უღვთო არს, ვითარ ა თარად.

სამღთოს წყრილთა სიმრავლე აკსენებს ვითა რათ არად?

ყიათა მათთა სიმყრალე მოგვესმა ვითარ ათარად“ (72).

განსხვავებულია მეოთხე სტრიქონი:

„კაცთაგან, ანგელოზთაგან არ ითქმის, ვინ და სად არი, მზე ნათელ, ცა ბნელ-ნათელი, ზღვა-უმელი, რაც სით სად არი, არ ქნინლა, არც რამ იქნების დამბადებელის საღარი, არც გარეშეიწერების მისის ღვთაების საყდარი“ (147).

ასევეა 115-ე, 146, 165 და 281-ე სტროფებში.

ომონიმური (თუ ტავტოლოგიური) რითმები ბევრია არჩილის ვრცელ ქებაში. მის ომონიმებს გაკვრით, უფრო ზუსტად ზოგიერთ მხარეს, პროლოგის მონაცემებზე მსჯელობისას შევხვეთ. აქ მათ უფრო ვრცლად განვიხილავთ.

რადგან უფრო აქ დგება ეს საკითხი, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ომონიმურ რითმებზე საუბრისას ზემოთაც და აქაც ვეყრდნობით გამოცემებში მიღებულ სიტყვათა დაყოფას. ამიტომ ომონიმურ რითმებად არ მიგვაჩნია ხოტბის შემდეგი შიდა რითმები:

„კელა ეს ხეული არე სხეული ლომით პატიჟათ ექმნების მწარედ“ (54. 2).

„მოხველ განრომით მტერთაგან, რო მით სიმენითა აზმნობ მძლედ

მორკინალი“ (55. 1).

„არღამი ვარდა, გლახ დამივარდა ენა მართლის თქმად ველარ მგებელი“ (60. 4).

„თავს აბარებდენ, არა, ბარე ბდენ, მყის გლოვად იწყეს

ალვარგულობით“ (67. 3).

„სჯულისა ლარი, ქვეყნის საღარი, გამდიდრებული ფრიად ყოვლითა!“ (69. 1).

„თვით აუარო: არა უარო ქვეყანათ ყოვლთა უფალთ-მთავარსა“ (73. 2).

„უხედაეთ: სფეროთა სამისფეროთა საქმეთა მქნელად ვალს

სიფიცხენით“ (74. 1).

და სხვა.

ვინ იცის, შემდგომი კვლევის შედეგად სტრიქონის სხვაგვარად გააზრებისას ზოგიერთ ამგვარ სარითმო წყვილშიც ომონიმური რითმა გამოიყოს!

ომონიმებად არ მივიჩნევთ აგრეთვე ოდნავ განსხვავებულ შემდეგ სარითმო სიტყვებსაც:

„გავსილო ამით, ჰგავ სილოამით შეცოდებისა ბიწთა წარმღენელად“

(9. 1).

„პერ მამენდ მეხი ავად რა ჰმეხი, ორგულთა ექმენ დასამკობელი“

(35. 4).

„მკლავნი ძლიერნი, გმირთა მძლიერნი, რისხვით მათ ზედა რომ

მოგემართოს“ (36. 4).

„თამარიანიდან“:

„უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ბობქარის მეოტებანი“
(93. 1).

ცხადია, ომონიმურ ან ტავტოლოგიურ რითმებად ვერ მივიჩნევთ არჩილის ვრცელი ქების შემდეგი მეშველზმნის გამეორებას:

„პირველ წერანი და საწერანი პალამიდისგან მოპოვნებულ არს.
სიტყვის-მგებლობა, ძნელ-სარგებლობა ზინონისაგან შემოღებულ არს.
ტილისმ-მოგვობა, არ-ცუდ-მბორგობა აპოლონისგან დამტკიცებულ არს.
მასთან ასკლიპოს ველარ მუსიკობს, თვით ქებად თქვენდა
განლიგებულ არს“ (102).

იაკობ შემოქმედელი. „თამარიანისაგან“ განსხვავებით, არჩილის ვრცელი ქების გარერითმებშიაც იყენებს ომონიმებს (ტავტოლოგიას). „თამარიანში“ ამის მხოლოდ ორიოდ შემთხვევა გვაქვს:

„... მწამდღა-რე ძნობა, ვრცელად განბრძნობა სამუსიკოთა შენასხამისად,
მით ვერ ვეგები, მით ვერ ვეგები პლატონისისა შენასხამისად...“ (77. 2-3).

„... ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწუბროლ-ვარდ შუბლად, თამარ, შენ
გიცნობ განცხადებულად,
გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის პირველი დავით
განცხადებულად...“ (80. 2-3).

ეს არის და ეს! (სხვა საკითხია, ჩახრუხაძე შაირში რომ ომონიმურ რითმებს იყენებს).

არჩილის ვრცელ ქებაშიაც გვაქვს ასე ნაკლები ომონიმურ რითმიანი სტროფები, თანაც მნიშვნელოვნად მეტი.

პირველ-მეორე სტრიქონებშია:

„გარდო უფრჭვნილო, ცვრით განბანილო, ნერგო სეიანო, დავითიანო,
ვინ კისკასია, სურნელ-კასია, ბალასნად კმოლაე და ვით იანო...“ (51).

პირველ და მესამე სტრიქონებშია:

„როს მესმა მესით, თვით მესამე სით, დაჯდეს განკითხვად
სულთა ყოველთა...
მსწრაფლად-ღა სტვირი ძნელ დასაყვირი წარმოადგენდეს
სულთა ყოველთა...“ (94).

პირველ და მეოთხე სტრიქონებშია:

„ბოლუქბოლუქად, მყის სასალუქად ბრძენი რიტორებს მისთვის
სამოთხით...
ნარგიზ-ლავროტი, ია-მაკროტი მისთვის ამსგავსეს, რომ არს
სამოთხით“ (8).

ასევეა 27-ე სტროფშიაც. მეორე-მესამე სტრიქონები:

„ოქროდ ოფასად, ძნიად საფასად ყოვლად ყოვლითურთ ბიწშეუხებლად.
სიწმინდის ბრძმედსა თვით განსაწმედსა გამოდნობილხარ
ბიწშეუხებლად...“ (42).

მეორე და მეოთხე სტრიქონები:

„...მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი...
საკმრად ლანკანთა, თანად პინაკთა ბადაკმნით კელ-ყენეს
შექმნულობანი“ (39).

მესამე-მეოთხე სტრიქონები:

„...გაქეს-ლა პორფირთა შთაცმა, პოდირთა სამარაგდონი ერთგან ექსულნი,
ღიადიმითა: ღიადი მით-ა, ზეგარდმო გაქვან წმიდად ექსულნი“ (37).

ყოველივე ეს მაინც ცოტაა. აქვე სამი სტროფი მთლიანად ომონიმურითმანია. დაკვირვებთ მხოლოდ ერთს:

„ქე ადამისი, მსგავსად ამისი, ვისცა ეხილვონ, გამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით მოგეცა სამოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ
სადარი;
აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის კპოონ,
სად არი
ზესკენელ-ქვესკენელით და გარესკენელით, უკანასკნელით უფსკრულთ
სადარი?“ (3).

ასევეა მე-19 და 78-ე სტროფებშიაც.

იაკობ შემოქმედელამდე ერთ ომონიმურ (ან ტავტოლოგიურ) გარეერთმიან ჩახრუხაულ სტროფს ქმნის თეიმურაზ პირველი ლექსში „შვიდთა კრებათათვის“:

„ქე ქუხილისა დაუყოფს პირსა დაბადებულად მთქმელსა არიოს,
პირველითგანსა, მასვე მისგანსა, როს მამა იყოს, ძეცა არიოს,
სხვას რასმე მთქმელი, სულის დამთქმელი, ან დეალი იყოს, ანუ არი ოს,
ნიკიას თქმული, მუნ შეკრებული დასწყევს, ვინც განყოს, ანუ არიოს“
(17).

მის მეორე 5-სტროფიან ჩახრუხაულ ლექსში „ანბანთქება IV“ ომონიმურ ბოლორიტმიანი არ არის მხოლოდ ერთი, მესამე, სტროფი („**შ**არო **შ**ერად ჰგავს...“). მეორე სტროფია:

„**პ**ანო **პ**ბილეთერსა, **ლ**ალო **ლ**ალი სცავს, **მ**ან **მ**უნვე ჩემი უკეთესობდეს,
ნარო **ნ**არგიზთა, **ო**ნო **ო**რპირი გულსა ლახვარი უკეთ ესობდეს,
პირო **პ**ირ-მზესა, **შ**ანო **შ**ამთაგან, **რ**ა **რ**ომელს დარჩა, უკეთესობდეს,
და **ს**ანო **ს**წავლისა **ტ**არო **ტ**რფიალსა, **შ**ნო **შ**ხმს სიტყვას უკეთესობდეს“.

ასეთივეა მეოთხე და მეხუთე სტროფებიც. პირველი სტროფი რამდენადმე კოჭლია: მეორე სტრიქონში რითმა წინმდებარე სიტყვასთანაა შეერთებული:

„**ა**ნო, **ა**ღვისა, **ბ**ანო **ბ**როლ-ვარდი, **ბ**ანო **ბ**არევით ნაყოფად ესხეს,
ღონო **ღ**ავსწამე, **ვ**არდსა **შ**ევსწამე, **ს**იტურფე, **თ**ურგ, **მ**ისგან ესესხეს,
მნო **მ**დემსაც, **მ**ინო **მ**ინ ნახა, **ჯ**ენო **ჯ**ედ სჯირდეს სხვამანც ვის ესხეს,
უეო **უ**ეთერი, **თ**ანო **თ**უ მასთან, **ი**ნო **ი**ს იჯდეს, **თ**უ გარე ესხეს“.

რაც შეეხება არჩილის ჩახრუხაულით საცხე ლექსს „მეფეთა საქებელნი და სამზილებელნი“, მასში აღნიშნული რითმის თითო შემთხვევა გვაქვს 12 სტროფში, ხოლო ერთში იგი პირველ-სამ სტრიქონში მოიპოვება და მეოთხეში არ გამოიყოფა:

„**ა**დმშენებლო, **დ**ამშენებლო, **ს**რულ საქართველოს ოხრის შენადა!
გმირებრ რებითა შენს საზღერებითა ხელი განგეკურა მტერთა შენადა,
ღავით, **ღ**ავითის ძედ წოდებულო, **ს**ოლომონ გიმოს თვის-ტომ შენა და,
მეფედ ხმობილო, **ბ**რძენთ შეხმობილო, **ღ**იდის ქებისა მოსაშენადა“.

სხვა სტროფებში შემდეგი ვითარებაა: ომონიმურ-ტაქტოლოგიურად ერთმანეთთან გართმულია 43-ე და 45-ე სტროფებში პირველი და მეოთხე სტრიქონები, 76-ე, 82, 85-ე და მე-100 სტროფებში - პირველი და მესამე, მე-16, 31-ე და 41-ეში - პირველი და მეოთხე, მე-16 და 78-ეში - მეორე-მესამე, ხოლო მე-13 და 107-ე სტროფებში - მესამე-მეოთხე სტრიქონები.

როგორც ვხედავთ, იაკობ შემოქმედელი, მსგავსად თეიმურაზ პირველისა, ცდილობს, ჩახრუხაული ლექსი ომონიმური გარერითმებით გააძლიეროს.

ომონიმური შიდარიტმებით არჩილის ვრცელი ქება „თამარიანის“ გვერდით დგას და არც ერთი ღირსებით (სიღრმით, სიმდიდრით, სიცხადით) მას არ ჩამოუვარდება. თუ „თამარიანის“ 103 ჩახრუხაული სტროფიდან (როგორც ზემოთ ვთქვით, 6 დაზიანებულია, მთლიანად აკლია 12 სტრიქონი) ომონიმური შიდა-

რითმები არ მოეპოვება 55 სტროფს²⁷, არჩილის ვრცელ ქებაში 106 სტროფიდან (მხედველობაში არა გვაქვს 97-ე სტროფი, რომელიც მთლიანად ერთ რითმაზეა აგებული) ასეთია 48 სტროფი²⁸.

პროლოგის განხილვისას დავასახელებთ ისეთი ვრცელი ომონიმური შიდა რითმები, რომლებიც სტრიქონის პირველ ნახევარს მთლიანად მოიცავენ. აქ აღვნიშნავთ, რომ „თამარიანში“ მთლიანად, როგორც მოკლე, ისე ვრცელი (მთელი სტრიქონის პირველი ნახევრის შემცველი) ომონიმური შიდა რითმაა 87 სტრიქონში²⁹. არჩილის ვრცელ ქებაში კი ამგვარი რითმები გაცილებით მეტია - არის 107 სტრიქონში³⁰. თუ ამას ბოლო რითმებსაც დავუმატებთ, ვღებულობთ: არჩილის ვრცელ ქებაში, „თამარიანთან“ შედარებით, ომონიმური რითმები საკმაოდ მეტია.

ამრიგად, იაკობ შემოქმედელი გატაცებულია ომონიმური რითმებით და, სადაც კი ახერხებს, იყენებს მათ. არ ერიდება ტავტოლოგიურ რითმებსაც.

პოეტის ომონიმური (შიგადაშიგ ტავტოლოგიური) რითმებისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო აშკარად და ნათლად ჩანს იმ სტროფებიდან, რომლებიც მთლიანად ომონიმური თუ ტავტოლოგიური რითმებით არის გაწყობილი. „უსჯულოს მოამადისა

²⁷ ესენია: 1 - 7, 9, 12, 14 -16, 18, 20 - 23 (დაზ.), 38 - 39, 42, 45 - 46, 49 - 51, 57 - 60, 62 - 65, 67, 83 - 85, 87 - 90, 93 - 101, 105 - 106, 108 - 110.

²⁸ სახელდობრ: 4, 8, 11, 15, 18 - 20, 22 - 23, 32, 36, 40, 43 - 44, 46 - 47, 50, 52, 57 -58, 60, 63 - 64, 67 - 71, 74, 76 -77, 79, 83 -92, 95, 99 -100, 102, 106 - 107.

²⁹ კერძოდ: 8. 1,3; 10. 3; 11. 1-2; 13. 2; 17. 3; 19. 2-3; 25. 1-3; 26 და 27 (ოთხივე); 28. 1-2 (დაზ.), 29. 3-4 (დაზ.); 30 და 31 (ოთხივე); 32. 2-3; 33 (ოთხივე); 34. 2-4; 35. 1,3-4; 36. 1,3-4; 40. 2,4; 41. 1-3; 43. 1-2; 44. 2; 47. 4; 56. 2; 66. 1; 69. 3-4 (დაზ.); 70. 1,3-4; 71. 4; 72. 1,3; 73. 1-2; 74. 2; 75. 3; 76. 377. 1,3; 80. 3; 81. 3; 82. 3; 86. 4; 91. 3; 92. 2; 102. 1-3; 103. 4; 104. 3; 107. 4; 110. 3; 111. 1.

³⁰ ასეთებია: 1. 4; 2. 3; 3. 2; 5 (ოთხივე); 6. 1,4; 7. 1,4; 9. 3-4; 10. 1; 12. 4; 13. 2; 14. 3; 16. 1; 17. 2,4; 21. 1,3; 24 (ოთხივე); 25. 4; 26 (ოთხივე); 27. 4; 28. 1-2; 29. 2; 30. 4; 31. 1; 33. 2-3; 34. 4; 35. 1-3; 37. 4; 38. 1,3-4; 39. 2; 41. 3-4; 42. 4; 45. 1,4; 48 (ოთხივე); 49. 2-3; 51. 3; 53. 3-4; 54. 1,3-4; 55. 3-4; 56. 4; 59. 1; 61. 3-4; 62. 1-2; 65. 1-3; 66. 1-2,4; 72. 3; 73. 1,3-4; 75. 1; 78. 3; 80. 1,4; 81 (ოთხივე); 82. 4; 93. 2-3; 94. 1-2; 96. 1,4; 98. 1,4; 101. 1-2,4; 103.4; 104. 4; 105. 2-3.

და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ამგვარია 37 სტროფი³¹. ზოგი ადვილად გასაშიფრავია, ზოგი - ძნელად. მოვიყვანთ რამდენიმე სტროფს, სადაც ომონიმების შინაარსი შედარებით უკეთ ჩანს:

„ღმერთო ჩემო, ყავ ივ ვითარ მადიამი და სისარა,
იაბისებერ კიშონის ხეეს მოსარ, მათ ეკ დას ისარა!
სამოელის გუნდის არის, მიქაელის დასის არა,
მევეალს ძითურთ გაგდებულსა აღარ ეტყვის დას ის, არა“ (113).

პირველ სტრიქონში საუბარია ქანანელთა მეფის მხედართმთავარზე - *სისარა*-ზე, მეორეში - *ისართა დასზე* (*ისართა სიმრავლეზე*), მესამეში - *დასზე* გუნდის, ჯგუფის მნიშვნელობით, მეოთხეში - *დაზე* (დად არ ლებულობსო).

„მზე, ნათელი, მცხინვარება, სცანთ თქვენ ერთად სახედ არი,
აგრევე, ძირი, რტო, ფურცელი სამ მარტივად სახედარი -
სამნივე ერთად იხილეების, განუყოფლად სა-ხედ არი.
შეისმინეთ, ნუ ხართ უმწყსნი, კაცნი ბრანგეად სახედარი!“ (139).

რითმის პირველი ცალის მნიშვნელობაა: *სახეობა, სხეული, მეორეს - შესახელავე, მესამეს - ზე, მეოთხეს - გახედნილი ან გამომყურები*.

„რაც ჯერ იყო, წმინდათ კაცთა განუცხადა, სხვა დაფარა,
სინას მოსცა ათი მცნება, მოსეს უნდა სხვა დაფა რა?
ქორებს, ებოს თავს თავყვანის-სცეს, მით შემუსვრით ქმნეს და ფარა.
რადგან ქრისტე შევიმოსეთ, იგ არს ჩვენთვის კრმალ და ფარა“ (151).

აქ იმდენად ნათელია ტექსტი, განსამარტავე არაფერია.

„თომამ გვერდი განიხილა, მკედრეთით აღდგა ისა როდის,
იცნა ჯვარზედ სამსჭვლით წყლული, ფიჭვი, ნაძვი, ი სარო დის
(ან: ისა რო დის),
მუნით მოგეცა ორი წყარო, დაგვიშვრება ის აროდის,
განიხარეს მოციქულთა, გული აღარ ისაროდის“ (266).

პირველის მნიშვნელობა: *ის როდესაც, მეორე - საროს ხდის, ან - ის (წყლული) რომ ჩამოსდიოდა, მესამე - ის არა-სოდეს, მეოთხე - დაისრული, ისარცმული აღარ იქნება*.

³¹ ესენია: 7, 10, 17, 19, 39 - 42, 47, 50, 56, 58, 60, 63, 86, 101, 111, 112, 113, 117, 123 (არაზუსტი), 125, 130 (არაზუსტი), 138 - 141, 151, 157, 234, 244, 265 - 267, 279, 284, 288.

ამგვარი მისახვედრი ომონიმური რითმებია აგრეთვე მე-7, 19, 40, 41, 56, 63, 111, 112, 117, 125-ე სტროფებში.

ზოგიერთ სტროფში ნაწილი რითმებისა ადვილი გასახსნელია, ნაწილი – არა, ზოგიერთისა აშკარად ტავტოლოგია არის, ტავტოლოგიად გვესახება 50-ე სტროფის რითმები:

„სამოთხით ექსორიობა ესრეთ თქვა ადამ-ევეასო,
ხვარბლის ჭამისთვის წყვეითა თქმად იწყო ადამ-ევეასო,
ხედ ცნობადისად პურს უწოდს, სცა კარსა ადამ-ევეასო,
ფარშამანგთ შესხდენ, განვარდენ, ცრემლთ წყარო ადამ-ევეასო“.

ამ სარითმო სიტყვებში სხვადასხვა აზრის დანახვის საშუალებას არც დედანი იძლევა. ბაგრატ ბატონიშვილის შესაბამის ტექსტში გვაქვს: „და შთამოყვების წიგნი იგი... ვითარმედ ექსორიობად ადამისი და ევასი ჭამისათვის ხვარბლისა იქმნაო, რამეთუ ხედ ცნობადად ხუარბალსა ქადაგებს. და ამხედრებულნი ფარშამანგსა სამოთხით განიხადნესო“ (2v- 3r).

ძნელად გასაგებ ომონიმურ რითმებზე ქვემოთაც გვექნება მსჯელობა.

მარცვალთა რაოდენობის მხრივ ომონიმურ და ტავტოლოგიურრიტმიან სტროფებში გვაქვს 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8-მარცვლიანი რითმები.

2-მარცვლიანია ორი სტროფი. ერთია დაბალი შაირის, მეორე - მაღალი შაირისა:

„თუ გითხრას: «თქვენ წარმართნი ხართ, ებრაელთ წიგნი სად გაქვსო»,
შენ უთხარ: «ყური მომიგდე, გრძნებისა ბადე არ გაქვსო,
კარგს ავად იცნობთ, ავს - კარგად, ნათლითგან ღმერთმა მით გაქვსო,
ეშმაკი ბაზიერად გყავს, გული უმართი მით გაქვსო»“ (157).

„ჩვენ ერთი გეწამს ნათლისღება, მტკიცედ ვიპყრობთ ბეჭდად მართ ვით,
მას დღეს აქათ ცოდვის საქმეს შორს ეყოფთ ჩვენგან წყლით თუ
მართვით,

რომ კელავ რამე დავაშაოთ ეშმაკისა საბრკით, მართვით,
აღსარება-ტირილ-მარხვით შეგვიწყალებს, გეზრდის ვინ მართვით“
(279).

10 სტროფის რითმა 3-მარცვლიანია. აქედან, ერთის გარდა, ყველა დაბალი შაირის სტროფია. ნიმუშად დავიმოწმებთ ერთ მათგანს:

„ძალთა მთავარმან ახარა სამფსონის შობა მანოეს,
სირმის თმა ესხა ძლიერსა, სიმხნით აჯობა მა ნოეს,

დალილასაგან დალატით ოხრა მით იწყო მანო ეს,
წერილთ სიმრავლით მოსწყინდი, გლახ, ვერ გამსგზავსე მანოეს“
(39).

ასევეა 40-ე, 41, 56, 112, 117, 141, 234, და 284-ე სტროფებში. ის ერთადერთი მაღალი შაირის სტროფი არის ზემორე დამოწმებული 151-ე სტროფი („რაც ჯერ იყო, წმინდათ კაცთა...“).

როგორც ვხედავთ, დაბალ და მაღალ შაირში რითმის 2 და 3-მარცვლიანობის ზემოთ აღნიშნული კანონი არც ომონი-მურრითმიან სტროფებშია მტკიცედ დაცული.

ყველაზე მეტია 4-მარცვლიანი ომონიმურრითმიანი სტროფი და ყველა მაღალი შაირისაა. ესენია: მე-7, 10, 47, 58, 60, 63, 86, 101, 113, 125, 139, 140, 244, 266, 267 და 288-ე – სულ 16 სტროფი. ზოგი ზემოთაა დამოწმებული- ზოგს ქვემოთ მოვიყვანთ. ერთ ნიმუშს აქვე უჭვენებთ:

„ვინც სხვას მოძღერის სიბრძნის სიტყვას, სჯობს თვით პირველ
განიმარტოს,
განიწმინდოს ზამთრის ჟანგი, არ ივლისი განიმარტოს,
ნოეს ტრედმან რად მიართვა, - გამოსცნობდეს გან იმა რტოს,
არას არგებს განი მარტოს, ან გრძლად ემობდეს განი მარტოს“
(77).

ექვსი სტროფი 5-მარცვლიან ომონიმურრითმიანია. გ. წერეთელი 5-მარცვლიანი რითმის შესახებ წერს: „რამდენადაც ხუთმარცვლიანი რითმა სიმეტრიულად შეეყარება დაბალი შაირის სეკვენტს, მისი გამოყენება რითმად საყსებით კანონზომიერია, მაგრამ პრაქტიკულად ძნელი განსასორციელებელი, რადგან შერჩევა დიდი რაოდენობის ისეთი სიტყვებისა, რომლის დაბლოკების ხუთი იდენტური მარცვლისგანაა შედგენილი, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ხუთმარცვლიანი რითმების გამოყენება იძულებულს გასდიდა ჰოეტს, რომ მიემართა ისეთი სიტყვათა თამამისათვის, რომლებიც მესოტბეების ჰოეზიას ახასიათებს (აქამანდა ვით - აქა მან? დავით და სხვა)...“ ვეფხისტყაოსანში ამგვარითმიანი მხოლოდ ერთი სტროფია (გვ. 61-62).

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ექვსივე სტროფი დაბალი შაირისაა. ესენია: მე-17, 19, 42, 50, 111, და 138-ე. ერთი, 50-ე სტროფი, ზემოთაა დამოწმებული, სამს (მე-17, 42, 111-ე) ქვემოთ, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მოვიყვანთ. დანარჩენ ორს აქ ვაჩვენებთ:

„ნათესაობით მეკიდრობდენ უდაბნოს მა მადიამის,
ქარაუანთ მეაქლემეთა ძე იყო მამად³² ი ამის,
ბელზებულთ ეშმაკთ მთავარი დედად ყვეს, მამად ი ამის,
ვით ზღაპრის რჯული კელთ უღევს, უგბილთა მამად იამის“ (19).

„მიქელ, გაბრიელ, რაფაელ მისგან ძრწის, რომ არ იხოსა,
არც ცეცხლი სამ სვეტ მდგომარე, თვის-თვის მყოფ რომ არ იხოსა,
არც მას ჰგავს სამთა ვარსკვლავთა მზე, მთვარე რო მარიხოსა,
არ გერწამს სამ სახედ წარმართნი არ იხოს რომ არ იხოსა!“ (138).

აქ მივადექით იაკობ შემოქმედელის თავისებურ, ექსპერი-
მენტულ ლექსებს. უპირველესად მხედველობაში გვაქვს გრძე-
ლი ომონიმური რითმები.

ზემთ უკვე აღვნიშნეთ, „უსჯულოს მოამადისა და ქრის-
ტიანეთ გაბაასებაში“ არის აგრეთვე 6, 7 და 8-მარცვლიანი
ომონიმურითმიანი თითო სტროფი.

6-მარცვლიანია:

„ვაჟი არ ყვანდა მოამადს, ესხნეს ი ქალი ასულად,
ერთი მას შერთო, ვინ შემწედ ახლდა იქ ალი ა სულად³³.
უფსკრულთა შინა შთასცვიედენ, ნახეს იქ ალი ასულად,
ველარ იტყვიან გმობასა, კორციც იქ არი ა სულად“ (130).

აქ ბოლო სტრიქონში რითმა არაზუსტია.

7-მარცვლიანი:

სიტყვა გითხრა დილა-სამხრით ან ვახშამათ აბარისა,
ველარა მთხოვ ბაასის ვალს, ვერც ვახშ ამათ აბა რისა,
მთად ვიქ, მაქას დაგისეტყვა, სთქვათ ვახ შამათ ა ბარი სა,
მანდაც მოგთხრი საძირკელითურთ, ცანთ ვახ შამათ აბარისა“³⁴

(265).

³² ე. ი. მოამადი, მამადი.

³³ ალი (სიძე) სულ ახლდა.

³⁴ ამ სარიტომო სიტყვების შინაარსის გარკვევა გეჭიროს. ვინაიდან პირველ სტრიქონში ჯერ დილა-სამხარზეა საუბარი, მომდევნო ფრაზა ვახშმად აბარებას (მიბარებას) უნდა ნიშნავდეს. მეორე სტრიქონში, ჩანს, ერთმანეთს უპირისპირდება ვალი და ვახში, რადგან მესამე სტრიქონში მთად ქცევაა ნახსენები, ა ბარი საში, ალბათ, ბარი (ვა-კე) გამოიყოფა, დასეტყვის შესაბამისად ვახ შამათ სიტყვაში - შამა-თი, ხოლო ბოლო სტრიქონის ამავე სიტყვაში - ვახ შორისდებული.

სტროფის შინაარსი მთლიანად ასე გვესახება: მწერალი მამადიანს უუბნება:

სიტყვა გითხარი დილით, საშარზე და ვახშმად მისაღები,

აბა, სხვა რა ვალსა და ვახშს მომთხოვე!

მაქას დაესეტყვა და მოესპობ, ბარს მთად ვაქცევე

ძირფესვიანად ამოგთხრი, მიხედეთ, ვახ, ეს რა უბედურება არისო.

მ-მარცვალრიტმიანია, ანუ სტრიქონთა მეორე ნახევარი მთლიანად მეორდება (ოღონდ ოდნავ განსხვავდება მეორე სტრიქონში³⁵:

„ნუ უცხოდ გინს სატანისგან ბელიარ სით მოაბას რა!
ბრანგუად განრყენას საძოვარი, ბელი არსად მოაბას რა,
მართლის სისხლი რომ დაღვარა, ბელი არსით მოაბასრა,
ღვითით მოაკლდა მტერთ მახვილსა, ბელიარსით მოაბასრა“³⁶ (123).

როგორც ა. გაწერელია აღნიშნავს: „საერთოდ, ჰიპერდაქტილური რითმა ქართულში და მთელ რიგ ევროპულსა, სლავურ ენებში, მაგალითად რუსულში, მეტრული ცდების სახით გვხვდება“³⁷.

გ. წერეთელი 5-მარცვლიანზე მეტი სიტყვების ერთმანეთთან შეწყობას რითმას არ უწოდებს; მათ კალამბურებს, ანუ ზმებს, ეძახის. ავტორი გადაჭრით ამბობს: „ექვსმარცვლიანი რითმა საერთოდ ქართულ ჰოეზიაში არ არსებობს“ (გვ. 62). იგულისხმება, ეს კიდევ უფრო მეტად 7 და მეტმარცვლიან შესიტყვებაზე ითქმის.

ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, სიტყვებისა და ფრაზების ამგვარ შეწყობას რას დაეარქმევთ, მთავარი ის არის, რომ ლექსის მუსიკალური მხარის გასაძლიერებლად და შეფარვით გამოთქმული აზრის ამოხსნისათვის გონების სავარჯიშოდ პოეტი კლასიკური შაირის ფორმას ახალ სახეს აძლევს.

ამგვარი გრძელი ომონიმური და კალამბურული დაბოლოების მქონე სტროფი იაკობს არჩილის ვრცელ ქებაშიც გამოუყენებია, სადაც სტრიქონთა მეორე ნახევრები ერთმანეთს ემთხვევა:

„ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად: «ელი ამო სით, ეს რომ არამით?
მასთანა შორად, - ართუა შორად! - ელია-მოსით, ეს რომ-არამით.
ქველად ჭერთა, რისხვით, ჭერთა ელი ამ ოსით, ეს რა მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არ არითა, ელ ია-მოსით, ეს რომ ა, რა მითა“
(24).

³⁵ ერთადერთ ხელნაწერში (S 1508) ყველა სტრიქონშია „ბელი არსით“.

³⁶ ა. ხინთიბიძე ამ სტროფს „გაუშიფრავი რითმების“ რიგში იხსენიებს (გვ. 26).

³⁷ დასახელებული წიგნი, გვ. 165.

შესასწაველია, ამგვარი ერთნაირი გრძელდაბოლოებიანი ლექსები იაკობ შემოქმედელამდე კიდევ სხვაგან გეხვდება თუ არა?

გ. წერეთელი პარალელს ავლებს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ამ სტროფსა და არაბი მწერლის, ბასრელი ალი-ჰარირის (გარდაიცვალა 1122 წ.), „მაკამების“ ერთ ორსტრიქონიან სტროფს შორის. მისი სიტყვით, ეს თხზულება, რომელშიც თბილისის ამბებიც არის აღწერილი, „დაწერილია მეტად რთული სელოვნური ენით. კოლოსალური ერუდიციის მწერალი, ალ-ჰარირი, ცდილობს ვირტუოზობა გამოიჩინოს და ისეთი სიტყვები იხმაროს, რომლებსაც სპეციალური შესწავლის გარეშე, ავტორის გარდა, ვერც ერთი მკითხველი ვერ გაიგებს. იგი განსაკუთრებულ ეურადღებას აქცევს სიტყვების თამაშს. მთელი ტექსტი ნაწერია რითმოვანი სიტყვებით. გვხვდება ადგილები, რომლებშიაც ეოველი ორი სიტყვა თითქმის იდენტურად ედერს (ქართული მაჯამების მსგავსად). არის სიტყვების უცნაური თამაში, ორმაგი რითმები და სხვ. ამ მხრივ, გარეგნულად ჰარირის მაკამა უცნაურად მოგვაგონებს ზვენს მესოტბეებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, თითქოს ორივე ტექსტი, ქართული და არაბული, ერთნაირად არის დაწერილი, ენობრივი განსხვავებაც კი იჩქმალება სიტყვების თამაშში. და საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მაკამაში... ვხვდებით ორსტრიქონიან ლექსს³⁸. ამ ლექსს გ. წერეთელი ქართული ასოებით დაახლოებით ასე წარმოგვიდგენს:

„ლამ დაბა საფინ/ვა ლა მუსაფინ ვალა მინუნ/ვა ლა მუინუ
ვა ფი ლ-მასავი / ბადა თ-თასავი ფა ლა ამინუნ/ვალა სამინუ“³⁹.

მკვლევარი იმოწმებს ჩვენთვის საინტერესო სტროფის („ბრძანონ სამაღად...“) პირველ მეორე სტრიქონებს და არაბულთან მათ მსგავსებაზე წერს: „იდენტურია ზომა, შინაგანი რითმა, რითმების განაწილება ტერფებში (ცვალებადი რითმა ჰირველ ნახევარ ხანაში, უცვლელი - მეორე ნახევარი ხანის ბოლოს) ...“ (გვ. 45).

³⁸ გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიები, № 1, მოხსენებათა კრებული, თბ., 1947, გვ. 43-44.

³⁹ ქართული თარგმანი ყოფილა: „არ დარჩა გულწრფელად (მოუვარული), და არც ერთგული, არც მოპდინარე წყალი, და არც შემწე და სისამაგლეში გამოძღვანდა მსგავსებანი, და არც სანდო და არც მვირფასი“ (გვ. 44).

ა. გვახარიაც საგანგებო ყურადღებას აქცევს ამ მსგავსებას. „სამშაგი შინაგანი რითმა - აღნიშნავს იგი, - ქართულ ჰოეზიაშიც გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საუურადღებოა შაჟუთელისა და ჩახრუსაძის შემოქმედება. მართალია, ქართველ მეზოტბეებთან წამუვანია ორმაგი შინაგანი რითმა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ერთი მეტად საუურადღებო დაკვირვება, რომელიც კკუთუნის გიორგი წერეთელს. ჩახრუსაძისათვის ტიპურ ორმაგ შინაგან რითმას, ცვალებადს ჰირველ ნახევარ ხანაში, მან ზუსტი ანალოგია დაუძებნა XII ს. არაბი მწერლის ჰარირის მაკამებში. მის მიერ სწორად აღგენილი საზომით წაკითხვის შემდეგ აშკარა ხდება საოცარი იდენტურობა არაბული და ქართული ლექსისა როგორც ზომის, ისე, რაც ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საუურადღებოა, შინაგანი რითმის, მისი განაწილების მხრივაც. [...] აქვეა მითითებული, რომ ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა მიაქცია უურადღება ამ ტიპის ორმაგი შინაგანი რითმის გამოყენებას ებრაულ-სპარსულ ჰოეზიაში. [...] თუმცა უნდა ითქვას, რომ არაბული ნიმუში გაცილებით უფრო ახლოსაა ქართულთან“⁴⁰.

ამ გამოკვლევებში ყურადღება არ ექცევა, ჩვენთვის კი მთავარი ის არის, რომ, თუ არაბულში ჩვეულებრივი რითმა გვაქვს, იაკობ შემოქმედელის ლექსის მეორე ნახევარი, მარჯვენა მხარე მთლიანად ომონიმურია, სტრიქონთა მეორე ნაწილი ასო-ასო ემთხვევა ერთმანეთს, მისი სიტყვებად დანაწილება და აზრის ამოცნობა - აი, ეს არის მისი ხელოვნება და თავისებურება.

7-მარცვლიანი ომონიმურითმიანი სტროფი ჩართულია „ვეფხისტყაოსანში“:

„რაღაა იგი სიცოცხლე, ვინ არ ა შენდა ყოფილი!
ღვარი გამრავლდა ცრემლისა, ბაღს არ აშენდა ყოფილი;
გულსა ქვა-ქმნილსა დანისა, ბაღს არ აშენდა ყოფილი.
შვიდთა მნათობთა სინათლე გაქვს არა შენ დაყოფილი“⁴¹.

⁴⁰ აღექსანდრე გ ვ ა ხ ა რ ი ა, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1995, გვ. 131 - 132.

⁴¹ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ მ ა, თბ., 1960, გვ. 227, სტროფი 458².

კ. ჭიჭინაძე, რომელიც იძლევა ამ სართომო სიტყვების თავისებურ განმარტებას, ამ სტროფს რუსთველისეულად მიიჩნევს და პოემის თავის გამოცემაში 376-ე ნომრად ბეჭდავს. მაჯამების გაშიფრვისას წერს: „განვიხილოთ ამ თვალსაზრისით რუსთველის ერთი ვეულაზე რთული მაჯამა, რომელიც პოემის ტექსტში მე შემაქვს პირველად ამ გამოცემაში“ (გვ. 309).

ნამდვილად კი ეს სტროფი ჩანართია, რომელსაც იძლევა ერთი ქვერედაქციული ჯგუფის ხელნაწერები: J-H461 (38r) და T-ოქსფორდული № 17 (41 r), მაშინ როდესაც მას არ იცნობს G-S4988, K-S4499 და O-ქუთაისური № 205 ნუსხები. ესენი კი JT-სთან ერთ მტკიცედ ჩამოყალიბებულ რედაქციულ ჯგუფს ქმნიან. რედაქციული და პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ყველა ეს ხელნაწერი XVII საუკუნის მიწურულსა თუ XVIII-ის დასაწყისს განეკუთვნება. მაგალითად, O-ს შესახებ რ. პატარიძე აღნიშნავს: „ხელნაწერის ორივე ჭვირნიშნის წყალობით ეს ხელნაწერი უნდა დათარიღდეს ან 1680-იანი წლების დასასრულით, ან 1690-იანი წლების დამდეგით“⁴². მას შემდეგ, რაც ის GJKO-ს ქალაღის მონაცემებს განიხილავს, J-სთან დაკავშირებით ასკვნის: „ამ ხელნაწერში დასტურდება იგივე ჭვირნიშანი - «გვირგვინი მტევნით», რაც წინა სამ ხელნაწერში (ე. ი. GKO-ში - ბ. დ.). აგრეთვე, ამავე სახელწოდების ჭვირნიშნის სახეობა, უკანასკნელი ჭვირნიშანი, როგორც აღვნიშნეთ, მსგავსებას ამჟღავნებს S 4499 ხელნაწერის ჭვირნიშანთან. ორივე ხელნაწერი - S 4499 და H 461 - XVII საუკუნის 90-იანი წლების დასასრულის უნდა იყოს და არა უგვიანეს XVII-XVIII საუკუნეების მიჯნისა“ (გვ. 67).

რადგან GJKOT რედაქციული ჯგუფიდან ჩვენთვის საინტერესო სტროფი მხოლოდ მის ქვერედაქციულ ჯგუფს JT-ს მოეპოვება, ეს იმის ნიშანია, რომ იგი ამ ქვერედაქციაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც JT თუ მისი პროტოგრაფი თავის ჯგუფს დაშორდა-ახალი ცვლილებებით შეივსო. ვინაიდან მთლიანი რედაქციული ჯგუფის ყველა ხელნაწერი XVII საუკუნის ბოლოსა თუ XVIII-ის

⁴² რამაზ პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, 1975, გვ. 66.

დასაწყისს განეკუთვნება, საძიებელი სტროფიც ამ დროს შეთხზული უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, რაკი „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ 1681 წლისათვის უკვე დაწერილი ჩანს-მასში შემავალი იაკობ შემოქმედელის 7-მარცვლიანი ომონიმურ-რითმიანი ლექსი („სიტყვა ვითხრა დილა-სამხრით...“) „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარ რითმიან ჩანართ სტროფზე რამდენიმე წლით ადრინდელი გამოდის.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ჩანართ სტროფზე რ. თვარაძე წერს-რომ იგი „ჩვენს ეურადღებას, უწინარეს ეოელისა, უზადო ჰოეტური ხელოვნებით იპურობს. ის ქმნის უნიკალურ ომონიმურ რითმას, თუ არ ვცდები, ქართულ ჰოეზიაში ერთადერთ შვიდმარცვლიან რითმას“⁴³.

როგორც ვხედავთ, ამ საქმეში ჯერ-ჯერობით წინ იაკობ შემოქმედელი დგას. თანაც მისთვის გრძელ ომონიმურ-რითმიანი ლექსების წერა საგანგებო მიზანდასახულობა არის.

იაკობ შემოქმედელი უფრო შორს მიდის და ქმნის თავსა და ბოლოში ომონიმურ თუ ტავტოლოგიურ რითმიან სტროფებს. თავში 3-მარცვლიანი და ბოლოში 5-მარცვლიან-რითმიანი სტროფი ორია:

„სატანად ნუ ხარ, მეშურნელ, არ იქმნა, *სამოელ*ოდა,
სატანად მნათნი სუფევდენ, ბნელ ყოფას *სამოელ*ოდა,
სატანად გუნდით მათითურთ რისხვას ცით *სა მოელ*ოდა,
და სატანად ქვესკენელს შთაყრილნი კვირობენ *სამოელ*ოდა“⁴⁴ (17).

„დავით მგალობელთ მთავარი ქნარსა სცემს- *ებან-ებანსა*,
და ვით სიმდაბლის მუშაკი ღირსებით *ებანე ბანსა*,
დავით ბერსაბეს ტრფილობს, სარკმლით სჭვრეტს *ე ბანე-ბანსა*,
და დავით ფსალმუნთ თქმით ტიროდა, მისთვის არ ებან ებანსა“⁴⁵ (111).

⁴³ რევაზ თვარაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, მოკლედ მოთხრობილი უცხოელთათვის, I, თბ., 2001, გვ. 219.

⁴⁴ ეს სტროფი „უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ პროლოგიდან არის და მის გასაშიფრავად ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომი ვერ გამოგვადგება. „სატანად“ სიტყვიდან შეიძლება გამოყოფილი მნიშვნელობანი სატანა (ეშმაკი), ასატანად (გასაძლებად), მისატანად და ტანი (ტანადობა), „სამოელიდან“ - სამოელ (ბიბლიური პერსონაჟი), საიდან მოელი, ლოდი (სალოდელ), მაგრამ სინამდვილეში როგორ აქვს ავტორს წარმოდგენილი, ძნელი სათქმელია.

⁴⁵ ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომში არც ამ სტროფის შესაბამისი ტექსტია. პოეტს იგი თვით შეუთხზავს 82-ე ფსალმუნზე საუბრის წინ. პირველ, მესამე და მეოთხე სტრიქონებში დავით წინასწარმეტყველებზე ჩანს მსჯელობა. იქნებ მეორე სტრიქონშიაც ასევე იყოს. მაგრამ, თუ

თავსა და ბოლოში 4—4—მარცვლიანრითმიანი სტროფია.

„აბა რა ბის მოვისმინოთ, იგავს ბრძანებს ავ არაკად,
ა ბარაბის წილ მიცემით თვით დაეფლვის ავარაკად,
აბ არაბის მეძვის მსგზავსად, თუ გვემს რისხვით ავარაკად,
და აბარაბის ცოდვის მოხრეულში სვიმონ პოვეს ვინ პარაკად“⁴⁶ (101).

თუ ამ სტროფში თავრითმა და ბოლორითმა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ამავე თხზულების ერთ სტროფში ისინი ერთნაირია — თარაზულად და შვეულადაც ერთი და იგივე შესიტყვება მეორდება, რომელიც 5—მარცვლიანია:

„ელი ელისეს მის წილად ხალენს მოსს ელი ელისეს,
ელი ელისეს ცეცხლ-ეტლით ცად მგზავრობს ელი ელისეს,
ელი ელისეს ღვთისაგან მადლს მისცემს ელი ელისეს,
და ელი ელისეს მკურნალად სენთა ყოფს ელი ელისეს“ (42).

აქ გადმოცემულია ელია (ილია) წინასწარმეტყველის ელისესთან დაშორება და ზეცას ამაღლება⁴⁷ (მეორე მეფეთა, 2. 8—13). ამ ბიბლიური ეპიზოდის მცოდნეთათვის სტროფის შინაარსის მიხედვით ძნელი არ არის. აღნიშნული სახელების განმეორება⁴⁸ კი ლექსს მუსიკალურსა და ემოციურს ხდის.

ამგვარი აგებულების სტროფი მოიპოვება არჩილის პოემაში „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“, სადაც პირველი ილენტური ნაწილი 13—მარცვლიანია:

სადმე ამ სტროფში ამ თავრითმას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ეს შეიძლება მეორე სტრიქონი იყოს („და ვით“ = როგორც). ბოლო რითმებში თითქოს იკვეთება შემდეგი მნიშვნელობები: ებანი (სიმებიანი საკრავი), ბანი ბანს მიეცი, ბანიდან ბანზე (ერდოზე) და დაბანა (ცრემლი არ მოვბანა, არ მოვეშორებინა).

⁴⁶ ეს სტროფიც იაკობის ორიგინალური შემოქმედებაა და დედანი არც მას აქვს. სარიტმო სიტყვების გაშიფრვა აქაც ჭირს. სიტყვიდან „აბარაბის“ შეიძლება გამოიყოს: აბა რა, ბარაბა (ახალი აღთქმა), არაბი, ბოლო რითმებში - არაკი (იგავი), ავარაკი (სათესი ადგილი, მიწა) და ავარ (აბრაჰამის მხევალი).

⁴⁷ დედანში მას მოკლე ტექსტი შეესაბამება: „ხოლო შემდგომად ბრძანებითა უფლისაჲთა სცხო მის წილ წინასწარმეტყველად ელისეს და აღიტაცა ეტლითა ცეცხლისათა ზეცად“ (2 v).

⁴⁸ ეს ერთი უძველესი მაგალითია იმისა, რომ იაკობ შემოქმედელი ტავტოლოგიურ რითმებს არ ერიდება.

„მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოეკლე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად, ვით მოეკლე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლი და მოეკლე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მოეკლე“ (201).

ეს სტროფი მოთავსებულია რუსთველის პასუხში. ერთგან სა-
მეცნიერო ლიტერატურაში ისეა გამოყვანილი, თითქოს არჩილი
შოთას სიტყვით მას დასაგმობი ფორმალისტური ლექსის მგა-
ლითად (იმოწმებდეს⁴⁹). აღნიშნული შეხედულება შესულია „ქარ-
თული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში (თბ., 1966). აქ
კითხულობთ: „რუსთველი ავად, ე. ი. ცუდად თქმულს მიიჩნევს
წელის ნაუვად, მოჰეავს შინაარსისგან დაცლილი, არაფრის მთქმელი,
ფუჭსიტყვაობისა და რითმათხზვის ნიმუში... მოუვანილი ლექსი
კლასიკური ნიმუშია უშინაარსო, ფორმალისტური ვარჯიშისა, რასაც
რუსთველი შემოქმედის დიდ კრიზისად თვლის“. ამ შეხედულების
გასამაგრებლად იქვეა მოყვანილი მომდევნო სტროფის პირველი
სტრიქონი: „ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დაშეპართა“.
წინ კი ნათქვამია, რომ ამას „იგი (რუსთველი – ბ. ღ.) ერთგვარი
ნიშნისმოგებით ამბობს“ (გვ. 376).

სინამდვილეში ეს სიტყვები აღნიშნულ ლექსს არ ეხება და
არც მის გმობას შეიცავს. ეს სტრიქონი, ისე როგორც მისი
შემცველი სტროფი (202), მთლიანად ეხმიანება და აგრძელებს ამ
თავისებური აღნაგობის ლექსის წინ მოცემულ მსჯელობას.
რუსთველი ჯერ ამბობს:

„თუცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის,
სადმე ჰპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინ დანაყის?
ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს, ხორხისა და მერმე ამ ყის,
და აელვარებს მიჯნურთ ქებას, ვით მელანსა შერთვა სამყის“ (200).

ჩვენთვის საინტერესო სტროფი, რომელიც ამას მოსდევს,
გასაშიფრავი ხასიათის ნაწარმოებია და ძნელი სათქმელია, ში-
ნაარსობრივად ის უკავშირდება თუ არა რუსთველის სასაუბრო
თემას. წინ აღძრული მსჯელობა კი მომდევნო სტროფში გრძელ-
დება:

⁴⁹ რევაზ ბ ა რ ა მ ი ძ ე, არჩილ ბაგრატიონი, თბ., 1983, გვ. 84.

„ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა,
სპარსო შეტმასნილი ამბავი მე ლექსად არ დამემართა?
ასრე ვით გამოძიმეტი, ჯობნას მიპირებ მე მართა,
და ნულარ მიბრძანებ ჯობნასა, შუამავლად მყავს მე მართა!“ (202).

გამოთქმა „აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა“ განსახილველ სტროფზე კი არ არის ნათქვამი, არამედ მომდევნო სტრიქონზე, რაც ნიშნავს: ჩემს მოსწრებაში მე ის არ დამმართნია, რომ სპარსელთა შეთხზული ამბავი ლექსად არ გამემართა. არჩილს მხედველობაში აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები“.

და თავის „გაბაასებაში“ რუსთველსაც ამას ამეორებინებს.

საძიებელი სტროფი თავისებური რითმიანი და ამოსაცნობი შინაარსის ლექსის სახეობაა და იმ ვერსიფიკაციული ძიების შედეგია, რასაც არჩილი თავად ეწეოდა და რაც XVII–XVIII საუკუნეებში ძალუმად და უწყვეტლივ მიმდინარეობდა. ასე რომ, არჩილისათვის ამგვარი ნაწარმოები პოეტური ოსტატობის გამოვლენა, ნიმუშია და მის მგმობარედ ის რუსთველს ვერ გამოიყვანდა.

ჩვენი აზრით, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ იაკობის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაზე“ გვიან უნდა იყოს შექმნილი. მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს იმის უფლებას, საანალიზო ლექსთა სახეობის გამომგონებლად იაკობი, ზოლო გადმომღებად არჩილი მივიჩნიოთ, მით უმეტეს, როცა იაკობი თავის თავს „მისგან (არჩილისაგან) ზრდილს“ უწოდებს. ეს, ალბათ, იმ საერთო მწერლური გარემოს გამოხატულება და გამოვლინება უნდა იყოს, რომელშიც არჩილი და იაკობი ცხოვრობდნენ და რომელსაც ისინი თავიანთი მოღვაწეობით ქმნიდნენ.

იაკობ შემოქმედელი შაირის ფორმას ამდიდრებს აგრეთვე შიღართმებით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ზოგიერთი სტროფი მდიდრული ბგერწერით გამოირჩევა. გვაქვს ალიტერაციის საყურადღებო მაგალითები:

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“:

„ჭურჭელ-ჭურმან ეშმაკისმან ცოლს უამბო ეს ზღაოთები“ (24. 1).

„მამად მძორით მოძერებოდა, მოეწყინა მკვდართან წოლა“ (31. 3).

- „მოსეს რკენით ამაღლესა დასცემს, შეიქმნე კეთებულსა“ (35. 3).
 „მის სახედ ნახეს სხვა კაცი, პილატე იგი მოკლა“ (94. 3).
 „უსჯულონი უჯერიან ერთის ქანლის განჩინებას“ (103. 2).
 „სურცვლა გაუცვლა, იქ წარწყმდა, კრებულთან ველარ მოვიდა“ (129. 4).
 „თქვენ, მათის წიგნის უცნობხო, ცნობით ხართ უსწავლელთა“ (156. 2).
 „საბა და ეფრემ, უცნობთა ცნობისა წყაროთ მომრწყველი“ (186. 4).
 „იაფეთ დასცნა იანბრეთ ფარაოს ბილწნი მოძღვარნი“ (191. 4).
 „ვირემ დავსხნე მტერნი შენი ფერხთა ქვეშე ქვე შენსადა“ (201. 4).
 „გეტყვი, მაგრამ არ მომისმენ, მუდამ მელად გამძრომელად“ (217. 4).
 „ქრისტეს ხატის დამხატველად წარაელინა მან მხატვარი“ (236. 1).
 „კერპთა ზორვა—ზრუნვისაგან უცხოვდ იქმნა, მოისვენა“ (239. 1).
 „იგ მეორე კრეტსაბმელი კარვის ღიდავ ღიდებული“ (250.1).
 და სხვა.

ალიტერაცია—ასონანსით და გამეორებებით განსაკუთრებით მდიდარია მე—ნ სტროფი:

„აღვძრა, აღვალო, აღმოუთქვა მცირე რამ სიბრძნე გულისად,
 საუნჯედ, სადგურ საფუძვლად, რიტორად, ცნობად სულისად,
 ღვთისმეტყველთ, ღრამატიკოსთა ღვარძლად არ დათესულისად,
 გმო, ვინ გმო, რა გმო, როგორ გმო — ბოლოვ მივითხრა სულ ისად“.

იოსებ თბილელთან გაბაასებაში გვაქვს:

„თვით მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი!“

არჩილის ვრცელი ქება:

- „ზეესკნელ—ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფსკრულთ სადარი“ (3. 4).
 „რიტორი, ბრძენი, მეფეთა მენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“ (4. 4).
 „თვით ბჭეთა ბჭელი, მტკიცე ბეჭელი, მეწლე სიტყვათა სიმართლისათა“ (47. 4).
 „მან უცოდველმან, ყოველთ მხედველმან, ზესთ არსმან ზესთა თვითებისამან“ (64. 1).
 „მან ყო არიოზ და ევმანიოზ საბელოზით შორს კეუბულის“ (86. 4).
 „აღბორვეს, ჯერკვლად, აღშფოთნეს ჯერ კვლად კიცხვით ბასრობლეს მას შემოქმელსა“ (93. 2).
 „ლევტიელთ, რიცხვთა, მსაჯულთა, ნემსთა, ეზრა ეზრასი და ზინაქისა“ (103. 3).
 „გიკმობს ენა მით სწავლის ენაჲთ წყლად წყაროდ, მრწყველად ბორცეთა და ველად“ (105. 2).

კიდევ უფრო მეტია შიდარითმები. უპირველესად მხედველობაში გვაქვს ამგვარი ცალკეული სტრიქონები. აი, წინაცეზურული რითმები:

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“:

- „ნესტორიან, სულსკორიან ბერი პოვა მასწავლელად“ (21.4).
 „მამად გაიქცა, წაიქცა, შთაწვა გვაშებსა მკვლართასა“ (30. 1).
 „უტყვთა, ყრუთა, განრღვეულთა ათქმევს, ასმენს ავლენს მკსნელი!“ (46. 3).
 „ლვთის შემცოდე, ბრიყვად მცოდნე კამბენს გვანდა არზაქარი“ (47. 4).
 „მოსეს სჯული, ღვთისგან თქმული მართალი მათ არ იცოდენ“ (78. 1).
 „იქნა სატანას სატანად, სამოელთან ზის მესამედ“ (114. 4).
 „დასწერს: ი ქაბეს, იქ აბეს, სადავის ავის არისო“ (115. 3).
 „ფარვით ომარს, ცალკე ოსმანს, თვის—თვის იმელს დაუღებდა“ (131. 3).
 „სხვათ «ამბალი» და «თამბალი» ან «აეშავიც» ერქმეოდეს“ (134. 4).
 „ზედ საგრილი ქერაბინი, ქვე სული ფშვის მირონისა,
 ვარდ—შამბნარად საჩინარად, სახედ უკვდავ წყარონისა“ (251. 2–3).
 „ღმერთს გმობენ და მოლას ყმობენ, ფუ მათ გიჟად ტუტუცობას!“ (262. 3).
 „ანგელოზი ზრდის, ღომი კრთის, მათნილა სწაღდეს შენა რად“ (284. 3).

არჩილის ვრცელი ქება:

- „გიძღვნა ქებანი, მწაღს აქ ებანი, და ვით ის დავით ვჯდუ მუსიკობად“ (1. 2).
 „კროტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ—მაჩინეთს, თარშის
 ქებულსა“ (2. 2).
 „ვარდო უფრჭვნილო, ცვრით განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო“ (51. 1).
 „შიშველ—მართალო, ციღამტკაველო, აბაშ—შაბაში, ღვედკეც—ეველო“ (60. 2).
 „ღმერთმან ღმერთთამან ძველმან დღეთამან ვით თანასწორად სულსა ავლენდა“ (89. 2).

არის ცეზურული რითმებიც, როცა ცეზურის წინა და სტრიქონის ბოლო სიტყვები ერთმანეთს ერთმება. „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“:

- „არას არგებს განი მარტოს, ან გრძლად ემობდეს განი მარტოს“ (7. 4).
 „წარმოთხია გესლი მყრალი, საძაგელად ფინთ ფერანი“ (49. 4).
 „ზოგთა რისხვით მათრახვედით, წამების უამს მათ რა ხვედით,
 თუ მათ გძლიონ, პირით მწყევდით, გულით მლოცეთ, მაკურთხევდით!“ (135. 3–4).
 „მიგზიდვიდეს მარცხნით ქაცარს, წაგაყრიდენ თვალში ნაცარს“ (241. 4).
 „ალსარება—ტირილ—მარხვით შგვიწყალებს, გეზრდის ვინ მართვით“ (279. 4)“.

არჩილის ვრცელ ქებაში ერთგან შინაგანი და გარეგანი რითმები ერთმანეთს ეთანხმებიან:

- „მისაყრდნობენნი, ძნელ—საცნობენნი, სამოთხით ნაძღვნი, თვით უნდობენნი“ (40. 2).

თუ აქ შიღარითმები ცალკეულ სტრიქონებში გვაქვს და გადაჭრით თქმა ძნელია, ისინი შემთხვევითია თუ შეგნებულად არის შექმნილი, „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ ორი სტროფი, მსგავსად ჩაზრუხაულისა, მთლიანად საგანგებოდ წინაცეზურული რითმებით არის გაწყობილი:

„სახით ბერი, საქმით მგელი, წყალებსთვის ექსორა,
მონაზონი, სჯულთ ღაზონი, გვერტს არ ბაძავს, ექსორა,
მაღიამით მოამედით მრუდს სჯულს სცელიან ეს ორია,
და ცუდი, უღვთო გზობა ურთო, ტკბილში შხამი გამორია“ (22).

„ბილწ არიან აგარიან—ისმაიტელ—სარკინოზნი,
მამალიან, ომარიან, ღეთისა მბრძოლნი ბარბაროზნი,
აშობს ბნელი გარესენელი, ძრწოლით განლევს ტარტაროზნი,
და გვემს, გვემს რისხვით, კბილთა ღრჭუნით ცეცხლისფერნი ანგელოზნი“ (285).

ფაქტობრივად ეს არის ჩახრუხაული აგებულების 16-მარცვლიანი ლექსი. შიარის ცალკეულ სტრიქონებში საგანგებოდ თუ ქვეცნობიერად შექმნილი შიღარითმები სხვა ნაწარმოებებშია⁵⁰ გვხვდება, მაგრამ მთლიან სტროფად ჩამოყალიბებული იაკობ შემოქმედელამდე არ გვევლინება. ა. ხინთიბიძის სიტყვით, „ეს მეტაფორფოზა წმინდად იაკობისეულია“⁵¹.

შიღარითმებიან 16-მარცვლოვან სტროფებს ქმნის არჩილი ჩახრუხაულით გაწყობილ ლექსში „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“:

„აგარ აკი აგარაკი ვერ მოგო სარას სწორად!
იგ ავია იგავია, ვერეინა თქვა: «უთქვამსო რად?»
ისაკ იძო, ის გაიძო, ნათესავი იქმნა ორად.
აიძულოს, მოიძულოს ბრძენმა ავი მისგან შორად“ (29).

ასეთივეა 34-ე- 102- 104 და ნაკლულად 79-ე (შიდა რითმა აკლია მეოთხე სტრიქონს) სტროფებში.

ეს კიდევ ერთი შემთხვევაა არჩილისა და იაკობის ერთნაირი ვერსიფიკაციული ძიებისა.

„უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებაში“ არის კიდევ ერთი სრულიად თავისებური სტროფი, სადაც თითოეულ სტრიქონში ერთი და იგივე სიტყვებია გამეორებული:

„აბანაკად, აბანაკად, აბანაკად, აბანაკად,
იგუნდად, იგუნდად, იგუნდად, იგუნდად,
ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად,
და ესე დასად, ესე დასად, შემოვიღე ესე დასად“ (43).

⁵⁰ „ვეფხისტყაოსნის“ შიღარითმების თაობაზე იხ: ა. ხ ი ნ თ ი - ბ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან, თბ., 1969, გვ. 3-4; მ ი ს ი ე ე, პოეტიკური ძიებანი, თბ., 1981, გვ. 112-119 (საკითხის ისტორია, შესაბამისი, მათ შორის, საპირისპირო შეხედულების შემცველი ძირითადი ლიტერატურა იქვეა წარმოდგენილი).

⁵¹ იაკობ შემოქმედელი, გვ. 20.

იოანე ბატონიშვილი ამ სტროფს ძაგნაკორულის ძველქართული სალექსო ფორმის ნიმუშად ასახელებს: „იაკობ შემოქმედელისაგან თქმული ძაგნაკორულად ლექსი არს ესე გუარად“ და ტექსტს მთლიანად იმოწმებს⁵².

სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ვიცით, ვინ იყო ან როდის მოღვაწეობდა ძაგნაკორა, ანდა ძაგნაკორული რა სალექსო სახეა. გაუგებარია ისიც, იქ დამოწმებულ სხვა ნიმუშებს რა საერთო აქვს იაკობის ლექსთან. სავსებით დამაჯერებელია ა. ხინთიბიძის მსჯელობა და დასკვნა, რომ ქართულ პოეზიაში ამ ფორმის ლექსის შემომღები იაკობ შემოქმედელია. „სიტყვათა ამ უკომუნიკაციო წყობაში, — წერს მკვლევარი, — შემთხვევითი არ უნდა იყოს უკანასკნელი აზრობრივი ელემენტი: «შემოვიღე ესე დასად». ამ სტროფის კონსტრუქცია წმინდად იაკობისეულია. მსგავსი რამ ქართულ პოეტიკაში არ გვხვდება“⁵³.

ერთადერთი ნიმუში, რომელიც იაკობის ლექსს, უკეთ სტრიქონს, წააგავს, ეს არის მოგვიანებით მამუკა ბარათაშვილის პოეტიკურ ტრაქტატში, „ჭაშნიკში“, სალექსო მეტრისათვის გამოყენებული სქემა: „მიჯნურობა: მიჯნურობა: მიჯნურობა: მიჯნურობა“ და სხვა⁵⁴. ა. ხინთიბიძისავე თანახმად, „შესაძლოა, იაკობ შემოქმედელის ეს უნიკალური სტროფიც ხმაურობდა მამუკა ბარათაშვილის გონებაში, როცა იგი ერთი და იმავე სიტყვის ამგვარი მუხლობრივი განლაგებით მაღალი შაირის სალექსო სქემას ქმნიდა“⁵⁵.

დასასრულ, იაკობ შემოქმედელის ერთსტროფიანი პალინდრომის, ანუ წაღმა—უკულმა საკითხავი ლექსის, შესახებ („სამი ილოცე ოსანა...“), რომელიც ზემოთ მთლიანად არის მოყვანილი. ამგვარი ლექსები მრავალი ხალხის ლიტერატურაში მოიპოვება, მათ შორის, ძველებერძნულსა და სპარსულში. ძველქართულ პოეზიაში რამდენიმე ნიმუში გვაქვს⁵⁶. მათგან იაკობის ლექსზე ადრინდელი შეიძლება იყოს 1646 წელს მამუკა თავაქარაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხაზე მინაწერი

⁵² იოანე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხუმარსწავლა, კალმასობა, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კ ა ხ ა ბ რ ი შ ვ ი ლ მ ა, ც. კ ი ვ ი ძ ე მ, თბ., 1990, ქგვ. 612.

⁵³ იაკობ შემოქმედელი, გვ. 24.

⁵⁴ მ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. მ ი ქ ა ძ ე მ, თბ., 1969, გვ. 127; მ ი ს ი ვ ე, სწავლა ლექსის თქმისა, რედაქცია და გამოკვლევა ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ი ს ა, თბ., 1981, გვ. 10.

⁵⁵ იაკობ შემოქმედელი, გვ. 25.

⁵⁶ გ. მ ი ქ ა ძ ე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 85.

ერთი სტროფი: „ისანათა საერამას სამარავს ათანისი...“. შეიძლებაო, ვამბობთ იმიტომ, რომ არ ვიცით, ვის ეკუთვნის იგი, როდისაა შეთხზული ან მიწერილი. ადვილი შესაძლებელია, გვიანდელიც იყოს.

აქვე უნდა ვახსენოთ არჩილის „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“⁵⁷, მაგრამ არა იმიტომ, რომ, როგორც ზოგანაა აღნიშნული, წაღმა-უკუღმა ლექსსა და მას შორის მსგავსება იყოს⁵⁸, არამედ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ მივუთითოთ არჩილისა და იაკობ შემოქმედელის ერთიან მწერლურ გარემოზე, მათ მიდრეკილებაზე – შექმნან ფორმალისტური თხზულებანი⁵⁹.

ამრიგად: 1. იაკობ შემოქმედელი ტრადიციისამებრ ჩვეულებრივ იყენებს 16–მარცვლოვან რუსთველურ შაირს. ჩახრუხაულის აღორძინებისა და დანერგვის მიზნით მიმართავს ამ სალექსო საზომს და ქნის ლექსთწყობითა და თემატურად „თამარიანის“ მსგავს, ოდენ ჩახრუხაულით შესრულებულ ვრცელ პოეტურ სახოტბო თხზულებას „ქება მეფისა არჩილისა“.

2. შაირში, XVII–XVIII საუკუნეთა პოეტების მსგავსად, არც იაკობ შემოქმედელი იცავს „ვეფხისტყაოსანში“ მიღებულ ნორმას, – მაღალ შაირში იყოს 2–მარცვლიანი და დაბალ შაირში – 3–მარცვლიანი რითმები. მისი შაირით შესრულებულ როგორც ერთ, ისე მეორე სახეობის სტროფებში გვხვდება 2–მარცვლიანი, 3–მარცვლიანი და ზოგჯერ 1–მარცვლიანი რითმები.

3. იაკობის რითმები, საზოგადოდ, სიმდიდრითა და სიახლით არ გამოირჩევა, მაგრამ სხვა ვითარებაა ომონიმურ და ტავტოლოგიური თიმიან სტროფებში. თავისი ღროის შესაბამისად, ის დიდ ინტერესს იჩენს ამგვარი რითმებისადმი და ხშირად იყენებს მათ.

4. იაკობ შემოქმედელი ნოვატორ პოეტად გვევლინება, რომელიც რითმების მეშვეობით შაირისა და ჩახრუხაული სტროფების გაღაზლისებას ცდილობს.

ა) 2, 3, 4 და 5–მარცვლიან ომონიმურ და ტავტოლოგიური თიმიან სტროფებთან ერთად ქნის გრძელ – 6, 7 და 8–მარცვლიან ამგვარ, ანუ კალამბურული (ზმური) ტიპის, რითმიან სტროფებს.

ბ) თავსა და ბოლოში ურთავს სხვადასხვა ან ერთსა და იმავე ომონიმურ ან ტავტოლოგიურ რითმებს.

გ) შაირში, ჩახრუხაულის მსგავსად, იყენებს შიდა რითმებს.

⁵⁷ ა რ ჩ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად... არჩილიანი, I, ... გვ. 289-290.

⁵⁸ დ. კ ო ბ ი ძ ე, ქართულ-საპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 274-277.

⁵⁹ იაკობ შემოქმედელისა და ვახტანგ მეექვსის ვერსიფიკაციულ ძიებათა მსგავსებაზე იხ. ჩვენი წიგნი: ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, თბ., 1988, გვ. 414-415.

დ) სტრიქონებში ერთი და იმავე სიტყვების გამეორებით ქმნის თავისებურ სტროფს თუ სალექსო საზომის სქემას.

ე) თხზავს პალინდრომს, ანუ წაღმა—უკუღმა საკითხავ ლექსს.

ამ ძიებებითა და ექპერიმენტებით იაკობ შემოქმედელი არჩილთან ერთად ქართული ლექთწყობის დიდი განმაახლებლების — „ნარგიზოვანის“ ავტორის, სულხან—საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და ბესიკის წინამორბედად წარმოგვიდგება.

დ ა მ ა ტ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

მ რ თ ი კ ლ ა გ ი ა ტ ო ბ ი ს კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ

ეს დამატება ხელნაწერის უფლებით ცალკე წიგნაკად გამოვაქვეყნეთ 2000 წელს და ეხება პროფესორ აკაკი ხინთიბიძის პლაგიატობას. მან მიითვისა ჩემი ნააზრევი, რომ სასოტრო თხზულება, რომელიც მანამდე XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები მწერლის იოანე შავთელის „აბდულ-მესიანად“ იყო მიჩნეული, სინამდვილეში ეკუთვნის XVII საუკუნის პოეტსა და საეკლესიო მოღვაწე იაკობ დუმბაძე-შემოქმედელს და იგი არის არა თამარისა და დავითის, არამედ მეფე-პოეტ არჩილ მეორისა და, საერთოდ, ქრისტიანობისა და მისთვის თავდადებულ მეფეთა ქება, ხოლო მოწინააღმდეგეთა - გმობა.

მკითხველს უპირველესად უნდა ვაუწყო, რომ მე და ბატონი აკაკი ხინთიბიძე ახლო მეგობრები ვიყავით და ყოველნაირად ვეცადე, ეს სამარცხვინო საქმე მისთვის თავიდანვე ამეშორებინა. როცა ვერაფერს გაეხედი, გაზეთ „კალმასობაში“ გამოვაქვეყნე ეს წერილი:

პლაგიატობით პლაგიატობის წინააღმდეგ?! (ღია ბარათი პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს)

ბატონო აკაკი! ვინც ჩვენ გვიცნობს, ყველა ხედავდა, ათეული წლების განმავლობაში რა სიასლოვე და მეგობრობა გვქონდა. ახლა იძულებულს მხდით, ამ საშინელი ბარათით მოემართოთ.

ასლახან ხელმეორედ დაბეჭდეთ 1986 წელს გამოსული თქვენი თაბახანხვერიანი წიგნაკი „იაკობ შემოქმედელი“. ძველი გამოცემიდან ამოგიღიათ ორი თავი: „ჩემი მკობარი“ (გვ. 13-14) და „ღმერთო, იხსენ შემოქმედელ-მიტროპოლიტი იაკობ ყოვლის განსაცდელისაგან“ (გვ. 33-34). მათ ნაცვლად შეგიტანიათ ახალი თავი: „აბდულმესიანი“ თუ „არჩილ მეფის ქება“ (გვ. 42-65). წინანდელ, ამოღებულ, თავებში თქვენ აღიარებდით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ იაკობ შემოქმედელმა გადააკეთა იოანე შავთელის სასოტრო თხზულება „აბდულ-მესიანი“, ტექსტიდან ამოყარა თამარისა და დავითის სახელები, მათ ნაცვლად ჩასვა მეფე-პოეტის არჩილის სახელი

და ასე სახეშეცვლილი მხარეთა იგი სამეფო ტახტზე მჯდომ არჩილს. თქვენი მამინდელი შეხედულება ტრადიციულისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ, თუ წინამორბედი მკვლევარები ამ საქციელს პლაგიატობად ნათლავდნენ, თქვენ იგი ჩვეულებრივ, ძველად გავრცელებულ მოვლენად დასახეთ, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია (ამის მაგალითად მართო სულხან-საბა ორბელიანისა და იობის ამბავი კმარა. ეს და სხვა ფაქტები, ისე, რომ მოგერიდეთ და არ დაგასახლეთ, განაყენებულად მითითებული მაქვს გაზეთ „კალმასობაში“, № 2, 1998 წ.).

ახალ თავში აღრინდელი შეხედულება ძირფესვიანად შეგიცვლიათ და „ამტიცივით“ სხვას, ჩემს შემუშავებულ თვალსაზრისს - „აბდულ-მესიანად“ წოდებული თხზულება არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელის „აბდულმესია“, ანუ დავითისა და თამარის შქსება, იგი იაკობ შემოქმედელის კალამს ეკუთვნის და შეიცავს არჩილის ქებას.

იგივე შეხედულება მცირეოდენი შემოკლებით რამდენიმე თვით ადრე პრეტენზიული მეცნიერული სათაურით - „*«აბდულმესიანისა» და «არჩილ მეფის ქების» იგივეობისათვის*“ - გამოთქვით გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ (ნოემბერი, 1997 წ., № 11, გვ. 6-7).

მეცნიერული ეთიკა მოითხოვდა, აღგენიშნათ, თქვენ კი არც ერთში და არც მეორეში კრინტს არ ძრავთ იმაზე, რომ ადრე ხსენებულ საკითხზე სხვაგვარად ფიქრობდით და ახლა აზრი შეიცვალეთ.

ორივე ნაშრომში დასახელებული გყავართ, მაგრამ არა როგორც ამ ახალი თვალსაზრისის ავტორი, არამედ როგორც მისი მომხრე და გამზიარებელი, ხოლო თქვენს თავს ისე წარმოგვიდგენთ, ვითომ გარკვეული წვლილი მიგიძღოდეთ მის მიგნებასა და დამტიციებაში.

ვიდრე ამ ბრალდებაზე სიტყვას გაავარძელებდეთ, მანამდე, ბატონო აკაკი, მკითხველის გასაგონად უნდა შეგახსენოთ, როგორ და რა ვითარებაში შეიქმნა ჩვენი ნაშრომები იაკობ შემოქმედელზე.

1951 წელს, როდესაც მშობლიური სოფლის რეაწლიანი სკოლა დაგამთავრე, მოსწავლეები ექსკურსიაზე წაგვიყვანეს შემოქმედში (ოზურგეთის რაიონი). ეს იყო ჩემი პირველი ექსკურსია და პირველად ეკლესიის ნახვა. სტუდენტობისას დამამუშავებინეს თემა: „საეკლესიო მწერლები «ვეფხისტყაოსნის» შესახებ“ (დაბეჭდილია თეზისები). მაშინ პირველად გავეცანი იაკობ შემოქმედელს და მისადმი დიდი მოწიწებით განვიმსჯეალე, რადგან ეს სასულიერო პირი ღირსეულად აფასებდა შოთა

რუსთველსა და მის პოემას, მაშინ როცა მასზე უფრო გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი, ანტონ კათალიკოსი და ზაქარია გაბაშვილი, ამ მხრივ მნიშვნელოვნად სცოდავდნენ. ასე რომ, როდესაც 1960 წელს ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო, იაკობ შემოქმედელით უკვე აცრილი ვიყავი. ამიტომ უმაღლვე შევეუდექი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას.

ვისარგებლე იმით, რომ ინსტიტუტში ხანძრის გაჩენისა და შენობის დაზიანების გამო, ვითარცა ლაბორანტს, სამსახურში ყოველდღიურად გამოცხადებას არ მავალბდნენ, დილიდან საღამომდე ხელნაწერთა ინსტიტუტში ვიჯექი; დაძებნე და აღვსუსხე იაკობ შემოქმედელის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები, ძველი ნუსხებიდან გადმოვწერე თითოეული მათგანი და რამდენიმე ხელნაწერის ვარიანტები დავურთე. უპირველესად ამგვარად დაეამუშავე იაკობის ვრცელი ნაწარმოები „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“, რომელიც 289 შაირის სტროფს შეიცავს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, ბატონო აკაკი, რომ თქვენ იმდენად ზერელედ იცნობთ ამ ნაწარმოებს (და, საერთოდ, იაკობ შემოქმედელს), რომ მისი სათაურიც არ იცით. მას უწოდებთ „სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“ ან მოკლედ - „სიტყვის გება“-ს. იგი გერევათ ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომის სათაურში, რომელიც ძველ ნუსხებში ასე იკითხება: „მოთხრობა შეჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ...“

ვინაიდან ეს ვრცელი „გაბაასება“ არის გალექსილი ვერსია ბაგრატის დასახელებული ნაშრომისა, ამ უკანასკნელის მიმართაც იგივე სამუშაოები ჩავატარე. პარალელურად ვეცნობოდი და ვაკონსპექტებდი იაკობისა და ბაგრატის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

იმხანად ლიტერატურის ინსტიტუტში ა. შანიძისა და ა. ბარამიძის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ და მის საქმიანობაში ჩაბრთეს. ინსტიტუტში რემონტი ჩატარდა და უკვე სამსახურში ყოველდღიურად სიარულს მთხოვდნენ. რადგანაც სათანადო დრო აღარ მრჩებოდა, ეს საქმე მაშინ გადავდე და მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ მუშაობაზე გადავერთე. ამას შემდეგ ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობის კვლევა მოჰყვა და ბაგრატისა და იაკობისათვის მიხედვა მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოდან შეეძელი.

1981 წელს თქვენ იაკობის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანთა გაბაასების“ გაცნობა მთხოვეთ. მაშინ შემოქმედში დაარსდა „შემოქმედობა“, ხოლო შემოქმედის მონასტერში - „შემოქმედის სახალხო აკადემია“, რომლის რექტორად დანიშნეს აკაკი სურგულაძე, პრორექტორად თქვენი ძმა, ელგუჯა ხინთიბიძე. თქვენ მითხარი: ამ აკადემიისათვის იაკობ შემოქმედელზე მოხსენების დაწერა მინდაო. ამაზე ცოტა გამაკვირვა. იაკობის ტექსტი გასაცნობად ვის არ უთხოვია! მანამდე ის ხელთ ჰქონდათ ივანე ლოლაშვილსა და სარგის ცაიშვილს, მაგრამ მასზე საკუთარი ნაშრომის შექმნა არავის უკადრებია. ჩემდა სავალალოდ, სიმტკიცე არ მეყო და უფროს მეგობარს უარი ვერ გითხარი.

დღეს თქვენ ამ სინამდვილის სხვა ვერსია შეგიმუშავებიათ. ვითომც, ხელნაწერთა ინსტიტუტში გნახეთ, ამ ნაწარმოებს იწერდით და მე თვითონ შემოგთავაზეთ: რას წვალობთ, ყველაფერი ეს გადაწერილი მაქვს, მოგცემთ და გამოიყენეთ-მეთქი.

არა, ბატონო აკაკი, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა! მე მშვენიერად მახსოვს, თქვენს თხოვნაზე როგორ ავიწურ-დავიწურე და ვყოყმანობდი, რა პასუხი გამეცა.

მუშაობაში გართულმა თანდათანობით სხვა მასალებიც მთხოვეთ. მეც მადლს მარილი მოვაყარე და ხელგაშლილად დაგხვდით.

ასე დაიწერა თქვენი ნაშრომი იაკობ შემოქმედელზე. ის პირველად 1982 წლის 27 აპრილს მოხსენებად წაიკითხეთ შემოქმედში (მაშინ იქ იაკობის შესახებ მოხსენებით მეც გამოვედი), ხოლო იმავე წლის სექტემბერში მთლიანად დაბეჭდეთ ოზურგეთის რაიონულ გაზეთში „ლენინის დროშა“ (№ 111-114), 1986 წელს კი წიგნაკად გამოეცით.

ამ წიგნაკში, სქოლიოში, თქვენ შენიშნათ: „გამოკვლევის ისტორიულ-ფილოლოგიური ნაწილისათვის საჭირო ზოგიერთი მასალა მოგვაწოდა ბ. დარჩიძე“ (გვ. 5). არა, ბატონო აკაკი, „ნაწილისათვის“ და „ზოგიერთი“ კი არა, მცირე და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ყველა მასალა ჩემგან გაქვთ წაღებული. აბა, გაიხსენეთ: განა იმ საქალაქში, სადაც ტექსტები იდო, იქვე არ იყო არჩილის, დ. გურამიშვილის, ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილის, ნ. მარის, ა. ხახანაშვილის, თ. ჟორდანის, კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, ი. ლოლაშვილის ნაშრომებიდან სათანადო ამონაწერები?! მაგრამ ეს არაფერია, მთავარი მანც ტექსტებია. იაკობის ლექსების მხოლოდ მცირე

ნაწილი, რამდენიმე სტროფია გამოქვეყნებული, გამოკვლევებში შესული. თქვენ სარგებლობით არა მარტო 289-სტროფიანი „გაბაასების“ ჩემული ტექსტით, არამედ მისი წყაროთი - ჩემი მომზადებული ბაგრატის ნაშრომითაც.

თქვენ დაბეჭდეთ იაკობის გამოცანა-პასუხი „დაუფლველი“ მკედრის შესახებ („ასახსნელსა მოგახსენებ...“), შეგონება („მოვედ, შეილო, და მიიღე...“) და ასახელებთ მათ შემცველ ხელნაწერს (გვ. 15-16). პირველის მიმართ შენიშნათ: „გამოუქვეყნებელია“, მეორის მიმართ - „ქვეყნდება პირველად“. ნამდვილად კი ეს ტექსტებიც მე მოგაწოდეთ.

თქვენ ბეჭდავთ სანკტ-პეტერბურგში დაცულ ნუსხაზე წნული ასომთავრულით უაღრესად ძნელი ამოსაკითხავი მინაწერის ფოტოპირს (გვ. 87). ეს ფოტო 1963 წლის იანვარში მივლინებისას გადავადებინე. ის და მისი გაშიფრული ტექსტიც, რომლებიც თქვენს ნარკვევს სულ არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც მთხოვეთ, ჩემი მოცემულია. შემომრჩა ამის დამადასტურებელი ოზურგეთიდან გამოგზავნილი თქვენი ბარათი, რომლითაც ამ ფოტოს გაზ. „ლენინის დროშისათვის“ გადაგზავნას მთხოვეთ (აქვე ვბეჭდავთ მას, №4).

ბოზორს!

თუ ზღაპრს, ექიმოვი გოგამაძე იასათი
 ეთოფსვი, სპეც ჯნ ბაქს. უჩებ რაჯარო ვინაჟი
 და ხეივანსა ირეთიქმდნ გაჯონს ვოქო სარაჟი
 ხელნაწიდან (იასაბოს). ზეად დხუჟი და იბარი
 აქ გელოფსვიანს.

ქ ა ჯ ო

სურათი №4

რა ტექსტოლოგიც ბრძანდებით, ბატონო აკაკი, ამის ერთ თვალნათლივ ნიმუშს ახლავე წარმოგიდგინთ.

როცა „გაბასების“ ტექსტი მთხოვეთ, ის ს. ცაიშვილს ჰქონდა და მაშინ გამოვართვი. აღმოჩნდა, რომ ბატონ სარგისს ერთი ფურცელი (61-65 სტროფები) საღაცა გაბნეოდა. დაკარგული ფურცელი თქვენ აღადგინეთ გვიანდელი, XIX საუკუნის (S 2400) ნუსხიდან, რომელიც არაკალიგრაფიული, მაგრამ ადვილად გასაგები ნუსხურით არის შესრულებული (მის შესახებ იხ. ჩემი ნაშრომი: „მაცნე“, ელს, 1994, №1-4, გვ. 58-62). თქვენ იგი ხეირიანად ვერ ამოგიკითხავთ და ვერ დაგიდგენიათ. „მონის“ ნაცვლად გადმოგიწერიათ „ბინის“, „დაუბრ-ყვილეს“ ნაცვლად - „დაუშურილეს“ („შუ“ -ს თავზე ვარიანტად დაგიწერიათ „ნე“), „რებეკასგან“ მაგივრად - „რეშეკასგან“ და სხვა (ამ თქვენი ნაწერი ფურცლის სურათსაც აქვე ვებმუცადეთ - №5. თავზე სწო-რი ვარიანტი ჩემი აღნიშნულია).

-17- S 2400 ა 372 245

61. ღის შერი შერდამ გისი თაოთა მუკათ იქნებენ
 ში აქვას თაქს უბაქს ზღაღი აუცხვერ ყვამოტენ
 თი შერი ჭვირ შვილია, ჭრებ ზო ცხვირთ აქონენ
 ლ იშოთ ით აუ ითა ით იქვიან ვიპე შორიენ.

62. შერი შერი ჭვირ თქმა აქვამ უბოთ სიყვარული
 თაქს ვა ითა ზღაღი ჭვირ და იშვირ სიყვარული
 ზღაღი ითა ჭვირ თქმა აქვამ და იშვირ
 ჭვირ ზღაღი ჭვირ, ჭვირ ჭვირთ სიყვარული.

63. დაუშურილეს ითა აქვით. ვიპე ვიპეაღს იშვირ
 ჭვირთა თიყვით, ითაღს ჭვირ იშვირ
 ითა ვიპეაღს მუკათ უბოთი შერი შერი ითა
 ჭვირთა ითაღს იქვიან, თიყვით შერი ითა ითა.

64. ითაღს ითა ითაღს შერი ჭვირთა შერი
 ჭვირთა ითაღს შერი აქვით ვიპეაღს
 ითაღს ითაღს ითაღს, ითაღს ითაღს ითაღს
 ჭვირთა ითაღს შერი ითაღს ითაღს ითაღს.

65. ითაღს ითაღს ითაღს აქვით შერი შერი
 ითაღს ითაღს ითაღს ითაღს ითაღს
 ითაღს ითაღს ითაღს ითაღს ითაღს
 ჭვირთა ითაღს ითაღს ითაღს ითაღს

სურათი №5

ჩემი ტექსტოლოგიური ნაშრომი თქვენ ჯეროვნად სხვა დროსაც არ დააფასეთ. როცა 1986 წლის 14 მაისს გახეთ „წიგნის სამყაროში“ თქვენს წიგნაკზე გურამ შარაძის რეცენზია დაიბეჭდა, სადაც იაკობ შემოქმედელზე გაწეული ჩემი შრომა უგულვებლყოფილია, მოველოდი, მას თქვენ გამოეხმაურებოდით და სიმართლეს იტყოდით, რადგან ამის შესახებ ყველაზე უკეთ თქვენ უწყობდით. ახლა ვხვდები მაშინდელი თქვენი ღუმლის მიზეზს. მაშინ ტენდენციურ რეცენზენტს პასუხი ბონდო არველაძემ გასცა (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1986 წ., № 27).

თქვენ ისიც იკისრეთ, მთხოვეთ, იაკობის ტექსტები ვილაც მეხუთე კურსელისათვის მეთხოვებინა, რომელსაც იაკობ შემოქმედელზე სადიპლომო ნაშრომის შექმნა ევალებოდა.

ჰკითხეთ ჩვენს თანამშრომელს ციალა კარბელაშვილს და მოგიყვებათ: მას ხელნაწერთა ინსტიტუტმა სრულიად ოფიციალურად მანამდე არ მისცა უფლება, ამოეწერა ვარიანტები ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან წამოღებული და ხელნაწერთა ინსტიტუტში ბინადადებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ორიოდ ნაგლევი ფურცლიდან, ვიდრე ილია აბულაძემ მისი ტექსტი და თანდართული გამოკვლევა არ გამოაქვეყნა. თანაც, ვარიანტები ქალბატონ ციალას თავისთვის კი არ სჭირდებოდა, არამედ ისეთი საეტაპო ნაშრომისათვის, როგორცაა ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქტორობით მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემა. დიას, თუმცა ორივე საქმე მეცნიერებათა აკადემიას განეკუთვნებოდა, ქალბატონი ციალა ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის, ლიტერატურის ინსტიტუტის, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სახელით მოქმედებდა, მეცნიერული ეთიკის მოთხოვნილებამ მაინც თავისი გაიტანა. ამიტომ არის, პოემის ამ გამოცემაში ამ ფრაგმენტის ვარიანტები თავის ადგილას ვერ დაიბეჭდა და წიგნს ბოლოში ერთვის (გვ. 529-530).

ბატონო აკაკი, თქვენთვის უცნობია ეს ელემენტარული მეცნიერული ეთიკა?

მე კი ვიცოდი, მაგრამ უპირატესობა მეგობრობას მივანიჭე. რას ვიფიქრებდი მაშინ, იაკობ შემოქმედელზე მუშაობას განვახლებდი და თქვენ მის დამთავრებას არ მაცლიდით - წილში ჩამიდგებოდით!

დიას, ცხრა წლის წინათ ამ საქმეს დავუბრუნდი. იაკობ შემოქმედელის მოღვაწეობის გარკვევისათვის საჭირო იყო ბაგრატი მუხრანბატონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა. შეძლებისდაგვარად

სუსტ გავაკეთე: სათანადო მეცნიერული აპარატის დართვით გამოსაცემად მოეპოვებოდა მისი პოლემიკური ნაწრობი. გამოვაქვეყნე გამოკვლევები: „მასალები ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ბიოგრაფიის შესახებ“ (ქართული მწერლობის საკითხები, 1993, გვ. 118-159), „ბაგრატ მუხრანბატონის ანტიმამაძიანური თხზულება“ (ჟურ. „რელიგია“, 1996, № 10-11-12, გვ. 68-90).

თვით იაკობ შემოქმედელზე 20 თაბახამდე მაქვს დაწერილი. აქედან გამოვაქვეყნე: მწერლის უვრცელესი თხზულება - „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანთ გაბაასება“ („რელიგია“, 1995, № 4-5-6, გვ. 70-97), გამოკვლევები: „იოსებ თბილელისა და იაკობ შუროქმედელის გაბაასება“ („მაცნე“, ელს, 1993, № 1, გვ. 10-15), „იაკობ შუროქმედელის «უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანთ გაბაასების» ხელნაწერები“ („მაცნე“, იგივე სერია, 1994, № 1-4, გვ. 39-72), „იაკობ შუროქმედელის ანტიმამაძიანური თხზულება“ („რელიგია“, 1995, № 1-2-3, გვ. 90-106), „როდის დაიწერა იაკობ შუროქმედელის «მოამადისა და ქრისტიანთ გაბაასება»?“ (ფილოლოგიური ძიებანი, 1995, გვ. 85-91), „იაკობ შუროქმედელი - პოლემიკოსი მწერალი“ („რელიგია“, 1998, № 1-2, გვ. 58-81). სულ, არანაკლებ, 7 თაბახი.

უშუალოდ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობის პრობლემას ვიკვლევ 1995 წლიდან. დაწერილი მაქვს 6 თაბახზე მეტი, რომლებიც წაკითხული და მოსმენილია ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების სხდომებზე. ახლავს განყოფილების ხელმძღვანელის ლევან მენაბდის რეცენზიები. ამ პრობლემიდან დასამუშავებელი დამჩნა რამდენიმე საკითხი, რომლებსაც წელს ვამთავრებ.

პირველად დავაპირე გამოკვლევის ეს ნაწილიც ცალკე სტატიებად დამებეჭდა. სოლიკო ცაიშივილა ჟურ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ მისი შემოკლებული ვარიანტისათვის ადგილიც შემომთავაზა. მაგრამ აღნიშნული პრობლემა იმდენად რთული და მნიშვნელოვანია, რომ გადავწყვიტე, იგი ბოლომდე დამემუშავებინა, გამეცნო სპეციალისტებისათვის, მომეწყო მისი განხილვა და ამის შემდეგ შევედგომოდი მის გამოქვეყნებას. მხოლოდ ეს იყო, 1996 წლის 6 ივნისს ლექსმცოდნეობის პირველ რუსაზბლიკურ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვედი და ე. წ. „აბდულ-მესიანის“ პრობლემა პოეტიკური თვალსაზრისით განვიხილე. ხოლო ამავე საკითხმა არჩილის ვრცელი პოეტური ნაწარმოების -

„მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“ - პოეტიკამდე მიმიყვანა და მასზე საგანგებო ნარკვევი გამოვაქვეყნე („მაცნე“, ელს, 1995, № 1-4, გვ. 75-84).

ყველა ამ ჩემს ნაშრომს, დაბეჭდილსა და დაუბეჭდავსაც, მე თქვენ გაცნობდით, მათ შესახებ გიყვებოდით. ჩვენ ხშირად სალამოობით დაესვირნობდით „მრგვალი ბალის“ მიდამოებში, დიდიდილაობით დადიოდით კუს ტბაზე. ბოლოს, იქ სიარული რომ გაგიჭირდათ, გადაინაცვლეთ უნივერსიტეტის ბაღში, მზიურში, ზოოპარკის ტერიტორიაზე. ჩვენ ამ საკითხებზე კი არ ვსაუბრობდით და კი არ ვარჩევდით მათ, როგორც ეს თქვენს ძმას, ბატონ ელგუჯას წარმოუდგენია, არამედ მე გამბობდით და თქვენ მისმენდით. მისმენდით მდუმარედ, ცივად და თქვენი გულგრილობა, ცოტა არ იყოს, მარცხებდა კიდევ. ხან ვფიქრობდი, ალბათ, დამაჯერებლად არ ეჩვენება-მეთქი.

გიყვებოდით და გამოქვეყნებას არ ვჩქარობდი, ბატონო აკაკი, იმიტომ, რომ, ვერ წარმომედგინა, ჯამში თუ ისევ ჩამისტებოდით!

და აი, იმ დროს, როცა ასე მოთმინებითა და თავშეკავებით, მაგრამ გატაცებითა და გამალეებით „აბდულ-მესიანის“ პრობლემაზე ვშეშობდი, თქვენ 1997 წლის 27 ოქტომბერს, ორშაბათს, სალამოს, ტელეფონით მიკავშირდებით და პირდაპირ „აბდულ-მესიანზე“ მიწყებთ საუბარს. მეუბნებით: ელგუჯამ (თქვენმა ძმამ) მოგიტანათ კორნელი დანელიას ნაშრომი - „ჩახრუჭადისა და შავთელის ხოტბათა ქნის პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა“ (1988 წ.). გახსოვდათ, ავტორი ცალკე ეწებოდა „აბდულ-მესიანს“ და გაკვირვებული ხართ, რომ ეს თხზულება აქ „თამარიანთან“ ერთად არის განხილული. თქვენი საუბრის თემამ კიდევ უფრო იმით გამაოცა, რომ ოთხი დღის წინათ, 23 ოქტომბერს, ხუთშაბათს, თქვენ თვალის მძიმე ოპერაცია გაიკეთეთ, ცალ თვალში ხელოვნური ბროლი ჩანსვით, საავადმყოფოდან იმ დღეს (ორშაბათს) გამოხვედით და, წლობით რომ არ გაგხსენებიათ, ამ ვითარებაში „აბდულ-მესიანის“ იქით საუბარი აღარ გნებავდათ. ბოლოს, „რელიგიაში“ ჩემი გამოქვეყნებული იაკობ შემოქმედელის „გაბაასების“ ტექსტი მთხოვეთ. დიახ, ის ტექსტი, რომლის პუბლიკაციას თქვენ იმდენად გულგრილად შეხვდით, რომ მისი შექმნის სურვილიც არ გაგჩენიათ. რადგან მეც აუად გახლდით, მეორე დღეს, 28 ოქტომბერს, გვიან სალამოს, ის ბონდო არველაძეს მიატანინეთ. იმდენად გეჩქარებოდათ, ის სალამო ვერ მოითმინეთ, თორემ მე შემოგთავაზეთ: ახლა გვიანია,

ცხრა საათი სრულდება, თავს უკეთ ვგრძნობ, ხვალ (ე. ი. 29 ოქტომბერს) ნესტან სულავას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე მოვდივარ და წამოგიღებთ-მეთქი. ასე ჩქარობდით, მაშინ როდესაც ნაოპერაციევი თვალი ისე ცუდად გქონდათ, რომ დისერტაციის დაცვაზე კი მობრძანდით, მაგრამ გაჩერება ვერ შეძელით და უმაღლვე შინ წაგიყვანეს.

მაშინ თქვენ ჩემგან არა მარტო იაკობის „გაბაასება“ ინათხოვრეთ, არამედ ბ. არველაძის ხელით „აბდულ-მესიანის“ ი. ლოლაშვილისეული გამოცემაც წაიღეთ. ჩემს შეკითხვაზე, რად გინდათ ესენი-მეთქი, მიპასუხეთ: მინდა ერთმანეთს შევადარო, ხოლო, როცა შევასხენეთ: ეს სამუშაო მე ხომ მაქვს შესრულებული და გამოკვლევა დაწერილი-მეთქი, ვითომც არაფერი, მითხარით: მეც უნდა შევადარო. უხერხულობა არ გიგრძენიათ არც მაშინ, როცა შეგნიშნეთ: „აბდულ-მესიანის“ გამოცემის ამ ჩემულ ცალში, არშიებზე, იაკობის თხზულებასთან მსგავსება უხვად მაქვს მითითებული-მეთქი.

რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემგან კონსულტაციებს ღებულობდით. მკითხეთ: „თამარიანში“ ნახსენებია თუ არა „შაპ-ნამეს“ პერსონაჟები. ადრე მქონდა ნათქვამი და ახლა დააზუსტეთ, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანში“ „არჩილის“ მაგიერად „დავითი“ და „თამარი“ ჩაწერა არა გაიოზ რექტორმა, როგორც თქვენს „ქართული ლექსმცოდნეობის“ ორივე გამოცემაში გიწერიათ, არამედ დავით რექტორმა. მამუკა ბართაშვილის თხზულებათა გივი მიქაძისეული გამოცემიდან მაკარნახებინეთ მამუკას სიტყვები იაკობის შესახებ და სხვა.

ნოემბრის დასაწყისში შემატყობინეთ, რომ საქართველოს სააატ-რიარქო მეორედ სცემს თქვენს წიგნაკს „იაკობ შემოქმედელი“. მითხარით, გამომცემლობა თანახმაა, მას დაერთოს იაკობის „გაბაასების“ შენ მიერ დაბეჭდილი ტექსტი, და მკითხეთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით. უარის თქმა ძლივს მოვახერხებ!

აშკარაა, ეს ნებართვა იყო მიზეზი, თორემ ამ წიგნაკს ისევე ჩუმად გამოსცემდით, როგორც სხვა პროფილის გაზეთში („ბურჯი ეროვნების“) ის წერილი დაბეჭდეთ.

ერთხანს მაინც მოველოდი, ახალ გამოცემაში საკითხის ისტორიას სწორად წარმოადგენდით. გაიმეორებდით იმას, რაც ლექსმცოდნეობის კონფერენციაზე ჩემს მოხსენებასთან დაკავშირებით თქვით: რომ იღუა ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების თაობაზე მე (ბ.

დარჩიას) მეკუთვნის და მის შესახებ სხვა სერიოზული საბუთებიც მომეპოვება.

სხვათა შორის, ამ კონფერენციაზე, რომელსაც, გარდა ლიტერატურის ინსტიტუტის (უფრო ლექსმცოდნეობის ჯგუფის) თანამშრომლებისა, ესწრებოდნენ ალექსანდრე გვახარია, გურამ კარტოზია და ცოტნე კიკვიძე, რევან ბარამიძის შეკითხვის პასუხად ჩემი არგუმენტები თითქმის სრულად ჩამოვაყალიბე.

11 ნოემბერს ტელეფონით გამაგებინეთ, რომ წიგნაკის ახალ გამოცემაში იმოწმებთ მხოლოდ ლექსმცოდნეობის კონფერენციაზე წაკითხული ჩემი მოხსენების თეზისს და მკითხეთ, „აბდულ-მესიანის“ რაობაზე კიდევ სხვა ხომ არ დაგიბეჭდავსო. თეზისს უმატებდით ცნობას, რომ მე განზრახული მაქვს იაკობ შემოქმედელზე მონოგრაფიის შექმნა. ამაო გამოდგა ჩემი შესხენება იმაზე, რომ მე არა თუ ვაპირებ, ეს საქმე თითქმის ბოლომდე მაქვს მიყვანილი - 20 თაბახამდე დაწერილი, ხოლო „აბდულ-მესიანზე“ გამოკვლევა 6 თაბახს შეადგენს.

როცა მეორე დღეს, 12 ნოემბერს, ინსტიტუტში იაკობ შემოქმედელზე ჩემი გამოქვეყნებული შრომების სია წინ დაგიდეთ, ის ბოლომდე არც წაიკითხეთ, გვერდზე მიაგდეთ. ჩემს მორიდებულ შენიშვნაზე, ივარგებს, კაკო, ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი-მეთქი, თქვენ რისხვით მომახალეთ: რაც გინდა, ის ჰქენი! ჩემი აზრი დაფიქსირებული მაქვს 1992 წელს, შენი დაბეჭდილია 1996 წელს, მორჩა და გათავდაო!

სხვა რა უნდა მექნა, რადგან უკვანტავი საქმე საკვანტავად გამიხადეთ, უწინარესად ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან წლიურ თემად ჩაბარებული ჩემი ნაშრომი გამოვიტანე და, მისი არსებობა რომ საზოგადოებისათვის მეჩვენებინა, გაზეთ „კალმასობაში“ მივიტანე. რედაქტორმა შ ა რ ლ ო ტ ა კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ მ ა, სარედაქციო კოლეგიამ, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციამ დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს, გულის გახეთქვას გადამარჩინეს და უმაღვე, 1997 წლის 18 ნოემბრიდან მისი ბეჭდვა დაიწყეს, თუმცა მოცულობისა და ტექსტის სირთულის გამო ის არათუ საგაზეთო, საყურნალოც არ არის.

მეორე, ბატონო აკაკი, ის გაეაკეთე, რომ თქვენნი ძმა და უახლოესი მეგობრები საქმის კურსში ჩავაყენე. ამან მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ, თუ ადრე იაკობ შემოქმედელზე მონოგრაფიის შექმნას ჩემს სამომავლო სამუშაოდ სახავდით, 14 ნოემბრის სატელეფონო დავის შემდეგ ხელიდან ის წინადადება გამოგვკლიჯეთ, რაც ახლა ამ მეორე გამოცემაში იკითხება: „ამჟამად ბორის დარჩიას ნაშრომში, რომლის

ცალკეული ნაწილები გამოქვეყნებულია, აღნიშნული საკითხიც შედის და სათაურით «იაკობ შემოქმედელი და <<აბდულ-მესიანის>> პრობლემები» იბეჭდება გაზეთ «კალმასობაში» (1997 წ., ნოემბერი, № 10...) “... ამას იქით ფეხი არ მოიცვალეთ!

ბატონო აკაკი, საქმეს ისე წარმოადგენთ, თითქოს სადავო საკითხზე თქვენი აზრი გამოგეთქვათ 1992 წელს ლექციების კურსში „ქართული ლექსმცოდნეობა“. მასში თქვენ ცალკე გამოყოფთ ლექსის საზომს „შავთელური“ და წერთ: „**გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ნაწარმოები, რომელიც დღეს «აბდულ-მესიანის» სახელითაა ცნობილი, არ არის XII საუკუნის ძეგლი...**“ შემდეგ აღნიშნულია, თუ რას ეყრდნობა ეს შეხედულება. ბოლოს არის დასკვნა: „**ეს მოსაზრება ჯერჯერობით ჰიპოთეზად რჩება**“ (გვ. 106).

რატომ გარკვევით არ დაწერეთ, ვის მიერ იყო ეს მოსაზრება გამოთქმული? უკვე წიგნაკში აღიარებთ, ერთი სარგის ცაიშვილია. მან 1989 წლის 27 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ „აკად. კორნელი კეკელიძის დღეზე“ საგანგებო, **ზეპირ მოხსენებაში** წამოაყენა ეს შეხედულება. მე მეგონა, სიტყვებში „**გამოთქმულია მოსაზრება**“ მეც ვიგულისხმებოდი.

„კალმასობაში“ გამოქვეყნებული ჩემი ნაშრომის შესავალში (1997 წ., № 10) აღნიშნული მაქვს, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების თაობაზე ეჭვი ჯერ კიდევ 1960 წლის შემოდგომაზე გამიჩნდა, როდესაც ი. ლოლაშვილმა თავისი მოპოვებული მასალები გამაცნო. ეს ეჭვი, გარდა ი. ლოლაშვილისა, სხვადასხვა დროს გაუუზიარე ალ. ბარამიძეს და ს. ცაიშვილს. ბატონი სარგისიც ადრე ტრადიციულ შეხედულებას იზიარებდა. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ „აბდულ-მესიანზე“ ის წერს: „**პირაველ გაუგებრობას დაუდო სათავე იაკობ დუშბაძეს (XVII ს.). მან თხზულება არჩილ მეფის ხოტბად გადააკეთა, ტექსტში თამარის სახელი წარმოცა და ავტორობაც მიისაკუთრა**“ (ტ. I, გვ. 24). ს. ცაიშვილის მოხსენების დროს მ ი ს ე ი ლ ქ ა ვ თ ა რ ი ა ს გვერდით ვიჯექი. როგორც კი მომხსენებელმა მსჯელობა „აბდულ-მესიანის“ ადრინდელობის წინააღმდეგ წარმართა, ბატონ მიხეილს უმაღლვე ვუთხარი, რომ მე დიდი ხანია ვფიქრობ, ეს სახოტბო თხზულება იაკობ შემოქმედელს კუთვნიან-მეთქი.

არ მასხოვს და ვერ დავიჩემებ, ადრე ეს ჩემი ეჭვი გაგიზიარეთ თუ არა. ის კი ნაღდა, მე რომ მანამდეც ასე ვფიქრობდი, სარგის ცაიშვილის მოხსენების დღიდან კარგად იცოდით და ჩემეულ არგუმენტაციასაც იცნობდით. ამიტომ იყო, „გამოთქმულია მოსაზრება“-ში მე და სარგის ცაიშვილი ვიგულისხმებოდით, მეგონა. თუ დასახელებული არ ვიყავით, იმით გამართლებდით, რომ არც ერთს ჩვენი თვალსაზრისი დაბეჭდილი არ გექონდა.

ახლა კი იქამდე მიხვედით, ილუზიას ქმნით, ვითომც შესიტყვებაში „გამოთქმულია მოსაზრება“ თქვენც იგულისხმებოდით. თუ ამის აღნიშვნა გნებადათ, ასე უნდა გამოგეტანათ იგი? რა ქართულია ეს!

ახლა გასაგებია, ოქტომბრის ბოლოს რატომ მეკითხებოდით, „თამარიანში“ ნახსენებია თუ არა „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟები. ამით გინდოდათ თქვენეულად გაგესაღებინათ „ქართულ ლექსეცოდნეობაში“ აღნიშნული: საძიებელი ხოტბა შექმნილია „სპარსული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ვერსიების გაფრცხვლების შედეგ“ -ო, რაც სინამდვილეში ს. ცაიშვილს ეკუთვნის. თქვენ ამის საბუთი ისევე ვერ მოიპოვეთ, როგორც ვერ მოიპოვეთ ის „ლექსიკა“, რომლის შესახებაც იქვე გიწერიათ: „ლექსიკის თვალსაზრისით «აბდულმესია» არ შეიძლება ყოფილიყო XII საუკუნის თხზულება“.

„კალმასობაში“ დაბეჭდილი ჩემი ნაშრომის შესავალში ისიც მაქვს ნათქვამი, რომ „აკად. კ. კეკელიძის დღეზე“ გაკეთებული მოხსენებიდან 3 წლის შემდეგ ს. ცაიშვილი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა, და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არათუ დაბეჭდილი, აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანი ჩანაწერიც არ დარჩენია.

თქვენთვის ეს ფაქტი, ბატონო აკაკი, არაფერს მეტყველებს?!

მიუხედავად იმისა, ბატონი სარგისის მოხსენება მოსმენილი ჰქონდათ, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილება იმდენად შეუძლებლად და ფუჭ საქმედ მიაჩნდათ, რომ 1992 წელს რუსთველოლოგიის განყოფილების სხდომაზე სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწიეს, რათა ეს საკითხი საკვლევად საინსტიტუტო სამუშაო გეგმაში შემეტანა. ერთი (სხვათა შორის, კარგი მკვლევარი) იმდენად აგრესიულად გამოვიდა და მაგრად წავლაპარაკდით, რომ დღემდე ერთმანეთს ხმასაც არა ვცემთ¹.

¹ ეს გახლავთ ქალბატონი რიმა ფირცხალაიშვილი. ერთმანეთს დაველაპარაკეთ 2006 წელს, როდესაც ორივე ლიტერატურის ინსტიტუტიდან გაგვაძევეს.

არც ეს ფაქტი გეუბნებათ რამეს?!

ბატონო აკაკი, ჩემი ნააზრობი ვინმემ ბელეტრისტიკად რომ არ ჩათვალოს, განვიხილოთ თქვენი ახალი ნააზრები, რა საფუძველზე ამყარებთ მას.

უპირველესად საკითხავია, ეს ურთულესი პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად მე ექვსი თაბახი არ მყოფნის, თქვენ ათიოდე გვერდში როგორ ჩაატიეთ?

გახეთში „ბურჯი ეროვნებისა“ წერთ: „ამჟამად ჩვენს ხელთ არის არაერთი ახალი მასალა ამ რთული პრობლემის გადასაწყვეტად“. გახეთსა და წიგნაკშიც მოგყავთ შემდეგი:

1. „ჩვენი სახელოვანი წინაპრების ალტაცტუული შეფასებანი იაკობ შეროქმედელის მიმართ“ (გვ. 47-49, 64). განა ეს შეფასებანი ოდესმე ვინმესთვის უცნობი იყო?! თუკი აქედან ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორის განსაზღვრა შეიძლებოდა, სად იყავით მანამდე ან თქვენ, ან სხვა ვინმე?!

2. სიტყვიერი, ფრაზეოლოგიური და პოეტიკური მსგავსებანი ამ „აბდულ-მესიანსა“ და იაკობის სხვა ნაწარმოებებს შორის (გვ. 49-50, 56). განა თქვენ მიერ დამოწმებული მსგავსებანი და გაცილებით მეტი 1964 წელს აღრიცხული არა აქვს ი. ლოლაშვილს „აბდულ-მესიანის“ თავის გამოცემაში?! ან ამ წიგნის ჩემუელ ცალში, თქვენ რომ ინათხოვრეთ, კიდევ უფრო მეტი არშიებზე მითითებული არ იყო?! სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მსგავსებანი ხომ „აბდულ-მესიანის“ გაუღუნად მიაჩნდათ. თუ ასე ადვილი იყო ამის უარყოფა, რამ შეგიშალათ ხელი, რატომ არ გააკეთეთ ადრე?!

3. თქვენ წერთ, თითქოს „დაკვირვებული თვალი არჩილის პიროვნებას შეცნობს“ საძიებელი თხზულების შემდეგ სტრიქონებში: „შენ გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო... განათლებულო“, „ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი“, „მოგვეცემ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა“, „სიბრძნის არდაგი, სახმილთ არ დაგი, წელთა მომერტყა სწავლის ბადენით“, „სწავლის მოძღვარი“, „აღაგო სახლად, სწავლის თან სახლად“, „გონება ვრცელი... ნიჭთა მთხრობელი“, „ვის უთხრნე ჭირნი, ძნელად დამჭირნი, ანუ სხვა ვინმცა მეიმედოსა, შეგეფეროდა, გმირო, ქველო-და, სრულ ხმელთა ფლობა სამეუფოსა“, „ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს, ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა“, „ორგულთა ექმენ

დამამხობელი“, „ყოვლად მარტო“, „არ მექნა გული ესრეთ დაგული ცრემლთა ნაკადთა მიწყვი დაღენით“ (გვ. 51-52).

ეს „საბუთი“, ბატონო აკაკი, ნამდვილად ახალია და თქვენ გკუთვნით, მაგრამ ტყუილია, ამ გამოთქმებში რაიმე საკუთრივ არჩილისეული ჩანდეს. განა ისინი ნაკლებად შეესაბამებიან, ვთქვათ, დავით აღმაშენებელს, თამარს, თეიმურაზ პირველს, ვახტანგ მეექვსეს და ბევრ სხვას?! თუ მათში „დაკვირვებული თვალით“ არჩილის ამოკითხვა შეიძლებოდა, რატომ ვერ გააკეთეთ ეს ადრე, სანამ თვალი ჭაბუკურად გიჭრიდათ და ოპერაცია არ გჭირდებოდათ?!

4. თქვენ იმოწმებთ კ. დანელიას ზემოთ ნახსენებ ნაშრომს, სადაც ავტორი ვითომ ამტკიცებდეს, რომ „*„აბდულ-მესიანის“* წა, ლონგვისტური ანალიზის მიხედვით, ვერ თავსდება კლასიკური მწერლობის პერიოდში“ (გვ. 53-54).

არა, ბატონო აკაკი, თქვენ ვერ გაგიგიათ ეს ნაშრომი. იქ ამის მსგავსიც კი არაფერი წერია. პირიქით, კ. დანელია ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „თამარიანს“ ერთად იმიტომ განიხილავს, რომ ისინი, ორივე, ენობრივად მე-12 საუკუნის ძეგლებად მიაჩნია. იქ ეს ნათლად და გარკვევითაა მოცემული! თქვენ კი ამაოდ ირჯებით, როცა ჩემს ნააზრევს ახურდავებთ და ამ ნააზრევს, მის მტკიცებას თქვენსა თუ სხვათა ნაშრომებში ეძებთ და „პოულობთ“!

5. თქვენ მოგყავთ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ სტრიქონი „ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელსა წყალმომდინარედ“ და წერთ: *„რაც უთუოდ რეზინისცნა «ვეფხისტყაოსნის» ცნობილი სტრიქონისა: «ქმნა მართლისა, სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად»“*. ამ ერთი მაგალითის მიხედვით დაასკვნით: *„აშკარაა, იაკობის პოემა «ვეფხისტყაოსნის» შემდეგაა დაწერილი“* (გვ. 54).

ნამდვილად კი, ბატონო აკაკი, ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შორის ამგვარი დამთხვევა ცნობილია 15-მდე მაინც. ისინი აღრიცხული აქვთ მ. ჯანაშვილს, ნ. მარს, კ. კეკელიძეს, ი. ლოლაშვილს. მათი აზრით, ეს მსგავსებანი იმითაა გამოწვეული, თითქოს შოთა რუსთველი განიცდიდეს „აბდულ-მესიანის“ გავლენას და არა პირიქით. თქვენ კი, იფ, ხელის ერთი აქნევით, ამ ერთი ნიმუშით წყვეტთ ასეთ კარდინალურ საკითხს!

6. ახლა თქვენ ლაპარაკობთ იაკობის „გაბაასებასა“ და ე. წ. „აბდულ-მესიანში“ ომონიმურ და ტავტოლოგიურ რითმათა სიჭარბეზე (გვ. 56-61). გარდა იმისა, ეს მონაცემები არ ახალია, ძველია, თავადვე აღიარებთ, რომ იაკობ შემოქმედელისათვის იგი სპეციფიკური არ არის. ვერ იმოწმებთ თამარ ლომიძის სიტყვებს: „*ომონიმური რითმებით აზრის გაზუნდოვანება, მისი სავანგებო დაბნელება, რასაც ფრაზის მუსიკალური მხარის გაძლიერების ფუნქცია აქვს დაკისრებული, მეხოტბეებიდან მოდის*“. ამას კი მოაყოლებთ: „*ომონიმურობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო აღორძინების ხანაში*“ (გვ. 61).

„მეხოტბეები“ (მრავლობითი რიცხვით) რალამ გახსენებინათ? ერთ მეხოტბეში ხომ „აბდულ-მესიანის“ ავტორი, ანუ შავთელი, იგულისხმება!!!

7. თქვენ ახლა რიხიანად იმოწმებთ მამუკა ბარათაშვილის გამოთქმას „*იაკობ მბაძქ*“ (გვ. 55, 64-65) და იმას კი **მალაუთ**, რომ „*მბაძქ*“ თქვენ გესმოდათ არა მბაძველი, მიმბაძველი შინაარსით, არამედ როგორც გვარი - **დუმბაძე!** რა თქმა უნდა, არც იმას ამბობთ, ამ სიტყვაში „*თამარიანისადმი*“ (და არა, როგორც ადრე მიაჩნდათ, „*აბდულ-მესიანისადმი*“) მიბაძვა რომ იგულისხმება. ეს დოკუმენტურად, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ პროლოგის (გამოთქმა: „*მესმა ხვესური...*“) ანალიზით მე დავამტკიცე, რომელიც 1996 წლის 6 ივნისს ლექსმცოდნეობის კონფერენციაზე (პირადად თქვენ უფრო ადრე) გაავაცანით.

8. ბატონო აკაკი, როცა თქვენ საბუთად მოგყავთ (გვ. 61-62), ნუთუ მართლა გჯერათ, რომ საძიებელი თხზულების იაკობისადმი კუთვნილებას „*პერიპატო*“ და „*მიტრა*“ სიტყვების ხმარება გვიჩვენებდეს, ამ სიტყვების ცოდნაში ავტორის ბიზანტიაში განსწავლულობა ჩანდეს?!

აი, ყველა ის „საბუთი“, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ. მეტის მოპოვება და დაწერა ორ კვირაში (27 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე!) ახალნაოპერაციევი, გასიებული და ჩასისხლიანებული თვალით თქვენ ვერ შეძელით. თუკი ესენი, ვიმეორებთ, ამ თითქმის ორსაუკუნოვანი საიდუმლოს გახსნისათვის საკმარისი იყო, თქვენ ყველა მათგანს იცნობდით, რატომ აქამდე არ წამოაყენეთ ეს შეხედულება, ათიოდე გვერდის სადმე გამოქვეყნება გაგიჭირდებოდათ?! თქვენი ლოგიკით, დედამიწის მიზიდულობის კანონის ავტორობაში ყველას შეუძლია

ნიუტონს შეეცილოს ან თანავეტორად გაუხდეს, ვინც კი მანამდე ხელადა, რომ ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი დედამიწაზე ეცემა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონო აკაკი, როგორ უნდა აეხსნათ ის, რომ 1992 წელს თქვენს ნაშრომში „ქართული ლექსმცოდნეობა“ ცალკე თავად გამოყოფთ სალექსო საზომს „შაფთელურს“ (დიახ, შ ა ვ თ ე ლ უ რ ს!), ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების თაობაზე წერთ, „ეს მოსაზრება ჯერჯერობით ძაბოთეზად რჩება“ -ო, ყოველივე ამას იმეორებით ამ წიგნის ახალ, გადამუშავებულ (დიახ, გადამუშავებულ!), 1997 წლის (დიახ, 1997 წლის!) გამოცემაში და რამდენიმე თვეში, ამავე წლის ოქტომბერში, თვალსაზრისს რადიკალურად იცვლით! ნუთუ ამ მცირე დროში მართლა ღვთაებრივი სიზმარი ნახეთ, როგორც ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა იხუმრა, თუ ის შემთხვევა გვაქვს, ფიცი რომ გეწამს და ბოლო გვაკვირვებს?!

სინამდვილეში, აი, რა მოხდა: შარშან, სექტემბერში, შევბუღებიდან რომ დავბრუნდით, გახარეთ, წლიური თემა დაეასრულეთქი, სადაც ე. წ. „აბდულ-მესიანთან“ მიმართების თვალსაზრისით შევისწავლე შაფთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, თეიმურაზ პირველის ლექსები, თვით იაკობის ნაწარმოებები და გავარკვიე: ე. წ. „აბდულ-მესიანსა“ და „გალობანს“ შორის არაუიოთარი ორგანული კავშირი არ არსებობს, ხოლო დანარჩენი თხზულებანი კი არ განიცდიან ამ „აბდულ-მესიანის“ გავლენას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, არამედ პირიქით არის.

ეს ცნობაც თქვენ მდუმარედ მოისმინეთ და ბოლოს რაღაცნაირი უკმაყოფილო ტონით მითხარით, მაგას კარგად უნდა გაკეთებო. როგორც ჩანს, ამან საბოლოოდ დაგარწმუნათ, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ იაკობ შემოქმედელის ქმნილება არის.

ამას ისიც დაერთო, რომ მალე თქვენი წიგნაკის „იაკობ შემოქმედელის“ მეორედ გამოცემაზე თანხმობა მიიღეთ. თქვენც დაფაცურდით: როგორც რუსულ ანდაზაშია - რაც ცუდად დევს, მიაქვს, ჩემი ნაშრომი გამოცემული არ იყო და დასწრებაზე წახვედით!

ბატონო აკაკი, რა ჰქვია ყოველივე ამას? ეს არის მეგობრობა, კოლეგიურობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება?! ნუთუ ვერ ხვდებით, ამ საქმეს ამაოდ ეტმასნებით, თქვენი საბუთებით, ამ გზით იაკობ

შემოქმედელს პლაგიატის სახელი ვერ მოეხსნება, თქვენთვის კი რა სახელს იმკვიდრებთ?!

ბატონო აკაკი, ამჟამად თქვენ ფიზიკურად ძალიან გიჭირთ, ჯანმრთელად არ ბრძანდებით. ეს სიხარბის სნეულებაც რად აიკიდეთ?! არ შეიძლება ამან თქვენზე სულიერადაც არ იმოქმედოს. თქვენი კარგად ყოფნისათვის ყოველთვის ვიღვწოდი. ბევრი ვიღონე, ეს სიხარბის დაავადებაც თქვენთვის თავიდან ამეშორებინა. ახლა მაინც კეთილი ინებეთ, აღიარეთ თქვენი საქციელი! თუ აღსარება შევლას იძლევა, თქვენც მიიღებთ მას!

დიდი გულისტკივილით
ბორის დარჩია
14 მაისი, 1998 წ.

(გაზეთი „კალმასობა“, 1998 წ.,
№ 10, გვ. 11, № 13, გვ. 11-12).

იმის მაგივრად, რომ სიმართლე ელიარებინა და ამით ეს მძიმე ტვირთი მხრებიდან მოეხსნა, ბატონი აკაკი აღნიშნული მეცნიერული დებულების ავტორობის დამკვიდრებას სხვადასხვა მაქინაციით ცდილობს.

სამწუხაროდ, მას გამოუჩნდნენ ხელ შემწყობნი და დამცველები.

ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად, ასეთი აღმოჩნდა ნ ე ს ტ ა ნ ს უ ლ ა ვ ა. მე და ქალბატონი ნესტანი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ათეული წლების განმავლობაში ერთ განყოფილებაში ვთანამშრომლობდით და, მეგონა, გულითადი მეგობრები ვიყავით. იაკობ შემოქმედელზე ჩემი გამოკვლევები მის თვალწინ შესრულდა და ზოგიერთი მათგანის ოფიციალური რეცენზენტიც ბრძანდებოდა. ბატონი აკაკის საქციელის გამო აღშფოთებასაც გამოხატავდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს და ამის გამო ბატონი აკაკის საიუბილეო პურობის თანამეინახის პატივი ერგო, მისთვის ზედმეტი გაეხდი და ჩემი ნაშრომის მტრად იქცა.

რაკი ბატონი აკაკი აღნიშნული დებულების ავტორობის მოპოვებას იმით ლამობდა, რომ ჩემთვის თავისი „ნაშრომის“ გამოქვეყნება დაესწრო, უკვე მეც ვჩქარობდი, საზოგადოებისათვის მეჩვენებინა, თუ რა სიდიდის სამუშაო მქონდა შესრუ-

ლებული. გაზეთი „კალმასობა“ ჩემი ვრცელი გამოკვლევის ბეჭდვას ვეღარ აუდიოდა. ამ დროს ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა გ უ რ ა მ ბ ე ნ ა შ ვ ი ლ მ ა შექმლო აღედგინა წლების განმავლობაში გაუქმებული საინსტიტუტო კრებული „ლიტერატურული ძიებანი“. მის პასუხისმგებელ მდივნად ნ. სულავა დაინიშნა.

კრებულში წარსადგენი მასალა საშუალოდ ერთი საათ-ტორი თაბახის მოცულობით განისაზღვრა. მე ვითხოვე, გამო-ნაკლისის წესით, დაებეჭდათ ჩემი ნაშრომის ერთი თავი, რომელიც ერთ კონკრეტულ საკითხს ეხებოდა (ე. წ. „აბდულ-მესიანის“ მიმართება კლასიკური და მომდევნო ხანის ქართულ მწერლობასთან) და ორი თაბახის სიდიდისა იყო. ქალბატონი ნესტანისათვის საქმე რომ გამეადვილებინა, სარედაქციო კოლეგიის თითქმის ყველა წევრს ჩამოვუარე და თითოეულ მათგანს საქმის ვითარება აეუხსენი. სარედაქციო კოლეგიამ თავის სხდომაზე საგანგებოდ იმსჯელა ჩემს თხოვნაზე და თანხმობა ერთსულოვნად გამოთქვა. ზოგიერთმა მათგანმა ეს ხელის ჩამორთმევით მომილოცა.

და იცით, რა მოხდა? აღნიშნული სპეციფიკური ვითარება, ჩემი თხოვნა და სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება, რომ აღარაფერი ეთქვათ უბრალო ადამიანურ ურთიერთობაზე, ერთბაშად არარაობად იქცა და „ლიტერატურული ძიებანი“ (ტ. XIX, თბ., 1998 წ.) ჩემი წერილის გარეშე გამოვიდა. და ეს ერთპიროვნულად, თვითნებურად ნ. სულავამ ჩაიდინა.

თუმცა ქალბატონ ნესტანს ხშირად ვეკითხებოდი, თუ როგორ მიმდინარეობდა კრებულის გამოცემის საქმე, მან ფაქტის წინაშე დამაყენა და არც მე და არც სარედაქციო კოლეგიას ბოლომდე არ გაგვიმჟღავნა, ჩემს წერილს რომ არ აქვეყნებდა. თავი კი იმით იმართლა, სტატია დიდი იყო და, ის რომ დამებეჭდა, 2-3 ახალგაზრდის ნაშრომი უნდა ამომეღო.

მას რომ ეთქვა, თუ ასე უსაშველოდ უჭირდა კრებულს, ჩემი სტატია რამდენიმე ქვესაკითხისაგან შედგებოდა და შემდეგ მისი გაყოფა, როგორც ის შემდეგ ორ ნაწილად ჟურნალ „რელიგიაში“ დაიბეჭდა (1999 წ., № 5-6, გვ. 46-71; № 7-8-9, გვ. 38-53).

მაგრამ ნამდვილი მიზეზი რომ სტატიის სიდიდე არ ყოფილა, შემდეგი ფაქტიდან ჩანს: ნ. სულავამ ამავე კრებულში დაბეჭდა ქეთევან ბეზარაშვილის ჩემს სტატიაზე ოდნავ ნაკლები სიდიდის წერილი - „ეფრემ მცირის შეხედულებები წარმართული სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის

ურთიერთმიმართების შესახებ“ (გვ. 123-154), რომელიც რვა ქვესათაურისაგან შედგება და მისი ნაწილებად გამოქვეყნებაც თავისუფლად შეიძლებოდა. თანაც, ქ. ბეზარაშვილი სხვა დაწესებულების - ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელია.

ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ინსტიტუტები თავიანთ ბეჭდვით ორგანოებში, თუ იგი რაიმე განსაკუთრებული (ვთქვათ, საიუბილეო) დანიშნულებისა არ არის, სხვა ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომებს ჩვეულებრივ არ აქვეყნებენ. ქ. ბეზარაშვილს ჩვენი კრებულისაკენ გზა ნ. სულავასთან დაქალობამ გაუხსნა.

ცხადია, პატიოსანი ხელმძღვანელი უპირველესად თავის მუშაკს დააკმაყოფილებს და, თუ მაინცადამაინც ხსენებულ გამონაკლისს დაუშვებს, ამას თავის ხარჯზე გააკეთებს. ქალბატონი ნესტანი, ნურას უკაცრავად, ასე არ იქცევა და ამავე კრებულში თავის საკმაოდ მოზრდილ წერილს აქვეყნებს (გვ. 90-104).

ისიც აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ გამოდის „ლიტერატურული ძიებანის“ მორიგი XX ტომი (1999) და იქ ჩემს აღნიშნულ სტატიაზე გაცილებით დიდი სტატია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იბეჭდება (გვ. 96-128), მაშინ როდესაც იქვე მოთავსებულ კიდევ უფრო პატარა ჩემს სტატიას ისევ „აბდულ-მესიანის“ რაობაზე (გვ. 164-189) ინსტიტუტის დირექტორისა და კრებულის მთავარი რედაქტორის, გურამ ბენაშვილის, მფარველობა დასჭირდა!

ქალბატონი ნესტანი ახალგაზრდა მეცნიერებს რომ ასე გულითადად და ფაქიზად ეპყრობოდეს, ნახევარ საუკუნეს გადაბიჯებული ქალი მათ კრებულში „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ (1998 წ.) ადგილს არ დაიკავებდა (გვ. 5-6). მერედა, რა უსუსურ ნაშრომს ბეჭდავს! ერთ ამგვარ შემთხვევაზე ი ვ ა ნ ე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა ქართული ანდაზა თქვა: ეკლესიის კარი რომ ღიაც იყოს, ძაღლს იმდენი ნაბუსი უნდა ჰქონდეს, შიგ არ შევიდესო.

ნ. სულავას საქციელმა და მასთან. საუბარმა დამანახვა, ჩემ მიმართ რა ბოლმაც უტარებია, თუ რატომ, ვერაფერს ვიტყვი, საამისოდ რაიმე საბაბი არ მიმიცია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მას (როგორც ეს ზოგჯერ უჩინს საჩინო ადგილის დაკავებისას ემართება) ამით თავისი პერსონის წინ წამოწევა სურდა. გამოვიდა კი პირიქით: მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ვერ შეძლო, ჯეროვნად დაეფასებინა გამოკვლევა, რომელიც ქართული

ფილოლოგიური მეცნიერების კარდინალურ საკითხს ეხება. მეორე მხრივ, არ ეყო კოლეგიურობა და ობიექტურობა, პლაგიატორის წისკვილზე წყალი არ დაესხა!

ა. ხინთიბიძის მორიგი უკადრისი საქციელისა და მისი მხარდაჭერის შესახებ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე შემდეგი წერილი:

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს თამაზ წიფწივაძეს

ბატონო თამაზ! დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით წავიკითხე საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისადმი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 41, 1998 წ.) გამოქვეყნებული თქვენი მიმართვა, სადაც აღძრულია საკითხი, ფართოდ აღინიშნოს XYII საუკუნის საეკლესიო მოღვაწისა და მწერლის იაკობ შემოქმედელის (დუმბაძის) იუბილე. ამ ღონისძიების ჩატარება საჭირო და აუცილებელია არა მარტო იმ დამსახურებისათვის, რომელიც იაკობ შემოქმედელს სამშობლოს წინაშე მიუძღვის, არამედ იმ სავალალო უსამართლობის გამოც, ჩვენი სწავლულები, აგერ საუკუნენახევარზე მეტია, მის მიმართ რომ ირინდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს მეცნიერებაში აქამდე მტკიცედ იყო დამკვიდრებული შეხედულება, ვითომც იაკობ შემოქმედელი პლაგიატორია, თითქოს მან მიითვისა „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე პოეტის იოანე შავთელის სახოტბო თხზულება „აბდულმესია“, მოსპო იქ თამარისა და დავითის ხსენება, მათ ნაცვლად ჩაწერა მეფე-პოეტის არჩილის სახელი და ასე გადაკეთებული, როგორც საკუთარი ქმნილება (არჩილის ქება), მიართვა სამეფო ტახტზე მყოფ არჩილ მეორეს.

ამით გალანძღული იყო არა მარტო იაკობი, არამედ არჩილ მეფეც! იუბილე კი სასიქადულო მამულიშვილებისადმი ერთგვარი ბოდიშის მოხდაც იქნება.

ბატონო თამაზ, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ მარტო ამის სათქმელად არ გაწუხებთ. კალამი ხელში უფრო მეტად ამაღლებინა თქვენი წერილის სიტყვებმა, რომ ე.წ. „აბდულმესია“ „თანამედროვე მეცნიერების (ს.ცაიშვილი, ა. ხინთიბიძე, ბ. ღარჩია) დაკვირვებითა და

საგანგებო გამოკვლევებით მიეკუთვნება არა შეთელს..., არამედ იაკობ შეროქმედელს“.

კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ამ მეცნიერული დებულების წამოყენება და მტკიცება მე მეკუთვნის და პროფესორი აკაკი ხინთიბიძე არაფერ შუაშია. ამის თაობაზე საგანგებო წერილი მაქვს გამოქვეყნებული გაზეთ „კალმასობაში“ (№ 11, 13, 1998 წ.) სათაურით: „პლაგიატობით პლაგიატობის წინააღმდეგ?! (ღია ბარათი პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს)“ და სათანადო მტკიცებას აქ არ შევუდგები. დავსძენ მხოლოდ იმას, რომ, მას შემდეგ, რაც ბატონი აკაკი ამ საქმეს მიეტმასნა, ის უკადრისი ხერხებით იბრძვის აღნიშნული დებულების ავტორის სახელის დამკვიდრებისათვის. ასე მაგალითად: გაზეთ „კალმასობაში“ (№ 8, 1998 წ.) რუბრიკით „ახალი წიგნები“ ა.ხინთიბიძის წიგნაკის (იაკობ შეროქმედელი, თბ., 1998) მეორე გამოცემაზე იბეჭდება შემდეგი ცნობა: „...პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, რომელშიც დავმოხილი იყო აზრი იაკობ შეროქმედელის პლაგიატობის შესახებ, დასაბუთებულია, რომ იგი იოანე შეთელის «აბდულმქიანის» მიმთვისებელი კი არა, ავტორი იყო...“

ვინც ამას წაიკითხავს, იფიქრებს, ამ შეფასებას («დასაბუთებულია») გაზეთ „კალმასობის“ რედაქცია იძლევა. სინამდვილეში იგი დაწერილია და ეკუთვნის თავად ა.ხინთიბიძეს. ვთავაზობთ მისი ხელით დაწერილი ამ ცნობის დედნის ქსეროასლოს, რომელსაც ჩემი წერილის კორექტურისათვის მისვლისას კომპიუტერთა ცენტრში წავაწყდი და გაზეთის რედაქტორის, შარლოტა კვანტალიანის, დაუკითხავად (ამის გამო დიდ ბოდიშს ვუხდი მას!) დამკაბადონებელს გამოვართვი.

აკაკი ხინთიბიძე, იაკობ შეროქმედი KBM 21-1

ქართული
წიგნი წახანა XVIII საუკუნის მეორე ნახევარს და სხვადასხვა მომენტს იაკობ
შეროქმედელს. იგი ვინაა გიორგი. პირველი ვიზუალიზაცია ვახუშტის, ლეონტი
ლეონტიძის იმ ახლ იაკობ შეროქმედელს ქართულს შესახებ, დასაბუთება, ზოგადი
ილუსტრაცია „ახალი წიგნი“ მოთხოვნა ვი ბი, ყველა იაკობ. აბდულმქიანის
ილუსტრაცია ახლ იაკობ შეროქმედელს აბდულმქიანის, ზოგადი წიგნი
დასაბუთება

სურათი №6

გულახდილად უნდა გაგანდოთ, ეჭვი მაქვს, თქვენს გაზეთში წარმოდგენილი მკვლევართა რიგი ა. ხინთიბიძის ამ მისწრაფებიდან იღებს სათავეს.

როგორც პირადი საუბრისას თვითონ თქვა, მეცნიერთა ამგვარი ჩამონათვალი თქვენთვის მოუწოდებია საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ფოლკლორისტს, ჟურნალისტსა და მწერალს გ ი ზ ო ჭ ე ლ ი ძ ე ს. მანვე მითხრა, რომ იგი ეყრდნობოდა ა. ხინთიბიძის წიგნაკს „იაკობ შემოქმედელი“.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართაგან ბევრს მოეხსენება, რომ ა. ხინთიბიძის ამ თაბახნახევრიან წიგნაკში „აბდულმესიანის“ ავტორობის საკითხს ათიოდე გვერდი უჭირავს, მაშინ როდესაც იაკობ შემოქმედელზე დაწერილი მაქვს 20-თაბახიანი მონოგრაფია, რომლის ცალკეული ნაწილები, 10-თაბახამდე, სხვადასხვა ბეჭდურ ორგანოშია გამოქვეყნებული, თვით „აბდულმესიანის“ რაობას კი 8 თაბახი ეთმობა.

ბატონო თამაზ! ვინაიდან გაზეთი „კალმასობა“, სადაც ა. ხინთიბიძის პლაგიატობაზე მამხილებელი წერილი დაგბეჭდეს, მცირე ტირაჟიანია და საეჭვრო ქსელში არც გადის, თქვენი დიდი ავტორიტეტის გამო, თქვენდა უნებურად, ჩემი ნამუშევარი რომ არ შეიბღალოს, გთხოვთ, ეს მიმართვა თქვენს გაზეთში გამომიქვეყნოთ.

ულრმესი პატივისცემით
ბორის დარჩია

(გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
11-18 დეკემბერი, 1998, № 50, გვ. 31).

ბატონ თამაზ წიფწივაძისადმი ეს მიმართვა მას შემდეგ დაიბეჭდა, რაც ბატონ გ ი ზ ო ჭ ე ლ ი ძ ე ს ვთხოვე, თავისი მიკერძოება თავადვე გაესწორებინა, მაგრამ მან ეს არ ინება. პირიქით, იგივე გაიმეორა შემდეგაც („გუბაზოული“, 1999, №2).

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ბატონი აკაკის წერილობითი პასუხია, რომელსაც იგი არა და არ ბეჭდავს. ამის თაობაზე მას მივმართე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მუშეობით:

მიმართვა პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს

ბატონო აკაკი! როცა თქვენ მითვისეთ ჩემ მიერ შემუშავებული მეცნიერული დებულება იმის შესახებ, რომ იოანე შავთელის „აბდულ-მესიანად“, ანუ თამარისა და დავითის შესხმად, წოდებული სახოგბო თხზულება მიძღვნილია მეფე-პოეტის არჩილ მეორისადმი და ეკუთვნის XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს იაკობ ღვთაძე-შემოქმედელს, იძულებული გავხდი, დამებეჭდა მამხილებელი წერილი „*პლაგიატობით პლაგიატობის წინააღმდეგ?*“ (გაზ. „კალმასობა“, 1998, № 11, 13). თქვენ პასუხი „*ამან ეს თქვა, იმან ის თქვა*“ უმაღვე დაგიწერიათ (ათარიღებთ 1998 წლის ნოემბრით), რომელიც ლექსმცოდნეობის ჯგუფის გაფართოებულ სხდომაზე წავგიკითხავთ, ბევრს გააყენით, მოგს აჩუქეთ, ერთი ქსეროასლი გაზეთ „კალმასობის“ რედაქციაში მიიგანეთ. ჩემთვის, რა თქმა უნდა, არ მოგიციათ. როგორც გაირკვა, „კალმასობის“ რედაქციისათვის ის გადაგიციათ არა დასაბეჭდავად და გამოსაქვეყნებლად, არამედ მსურველთათვის იქვე გასაცნობად.

ეს პასუხი თავიდან ბოლომდე სიცრუეება აგებული და შეიცავს ჩემდამი ცილისწამებას, უსაგნო ლანძღვასა და წყევლას. ცხადია, ამიგომაც ვერ ბედავთ მის გამოქვეყნებას.

ბატონო აკაკი, თქვენს აღრინდელ ამგვარ საქმიანობაზე აკაკი გაწერელიამ მომაკვდინებელი სათაურით – „*ლიტერატურული ქურდობებისა და გაღიმათიების წინააღმდეგ ქართულ პოეტიკაში*“ – ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. ის დათარიღებულია 1978 წლის აგვისტოთი და შეგანილია 1981 წელს გამოსულ მისი „*რჩეული ნაშრომების*“ მესამე ტომის მეორე ნაკვეთში (გვ. 492-553). დაბეჭდვამდე ავტორმა ლიტერატურის თეორიის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე თქვენი თანდასწრებით მისი წაკითხვა და თქვენგან პასუხის მიღება სცადა, მაგრამ თქვენ არც მოსმენა და არც პასუხი არ ინებეთ... სხდომიდან გაიქეცით! და ახლა, ამ ამბიდან 20 თუ 18 წლის, ხოლო აკაკი გაწერე-

ლიას გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ, თქვენ ამ წერილის პასუხს წერთ და აქვეყნებთ (გაზ. „კალმასობა“, 1998, № 15; 1999, № 1,2,4.).

არა მგონია, პაგიოსანმა და სიმართლის მოყვარულმა კაცმა დამძრახოს, თუ ვიღონებ, რომ ჩემ მიმართ იგივე არ განმეორდეს. განა სულერთი არ არის, თქვენს დაწერილს ვინ გამოაქვეყნებს, თქვენ თუ თქვენი მემკვიდრეები, მე კი პასუხის გამცემი არავინ მრჩება!

ყოველივე ამის გამო, ბატონო აკაკი, მარშან, სექტემბერში, თ ე ი მ უ რ ა ზ ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი ს პირით შემოვიტეველეთ, მაგრამ მოციქულობამ რომ არ გაჭრა, ახლა უკვე საჯაროდ მოგმართავთ და მტკიცედ და გადაჭრით მოვითხოვ, დავა კულისებიდან გამოიგანოთ და თქვენი პასუხი ან დაბეჭდოთ, ან სახალხოდ უარყოთ! თუ არა, თქვენი წერილის ქსეროასლი ხელთა მაქვს და უფლებას ვიგოვებ, სათანადო პასუხის დართვით მე თვითონ გამოვაქვეყნო იგი.

ბორის დარჩია

(გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
17-23 მარტი, 2000 წ., № 12, გვ. 16).

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მიმართვა 1999 წლის დეკემბერში უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ „კალმასობაში“, მაგრამ ბატონი აკაკის ენერგიული ჩარევის შედეგად ეს არ განხორციელდა.

ამ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ ნახევარ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ბატონი აკაკისაგან არც თანხმობა ისმის, არც უარი.

აი, ახლა კი იძულებული ვარ, საზოგადოებას მე თვითონ გავაცნო ბატონი აკაკი ხინთიბიძის საშინაუროდ, უფრო არასპეციალისტებისათვის, ახლობლებში პირის მოსაწმენდად დაწერილი პასუხი „ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“ და მასზე დართული ჩვენი პასუხის პასუხი (ბროშურაში წარმოვადგინეთ ჩვენს ხელთ არსებული რემინგტონის მანქანაზე გადაბეჭდილი ქსეროასლის ფოტოტიპიური ასლი. აქ კი, ვინაიდან ასლის ასლი ცუდად იკითხება, ტექსტს თავიდან ვაწყობთ და, რა თქმა უნდა, უ ც ვ ლ ე ლ ა დ ებეჭდავთ):

„ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“

ორიოდე წლის წინათ ბორის დარჩია კრებდა და აქვეყნებდა სხვათა და სხვათა ცალკეულ გამონათქვამებს. ზოგი რამ ჩემგანაც ჩაიწერა. როგორც ჩანს, „ამან ეს თქვა, იმან ის თქვას“ სტილი ძალიან მოეწონა და მეცნიერული კამათის სფეროშიც გადმოიტანა. ამ ხასიათისაა, კერძოდ, ჩემსკენ მომართული მისი ღია ბარათი (გაზ. „კალმასობა“, 1998, №11, 13), აგრეთვე, „ლიტერატურული საქართველოს“ 1998 11 დეკემბრის (? ხელით ჩაწერილია და ცუდად იკითხებ - ბ. დ.) ამბები. რომელიც იაკობ შემოქმედელის თემას შეეხება.

ავტორი დიდი გულმოდგინებით გვიყვება, თუ რომელ წელს დაამთავრა თავისი სოფლის რვაწლიანი სკოლა, როდის წაიყვანეს პირველად ექსკურსიაზე, სტუდენტობისას როგორ დაინტერესდა იაკობ შემოქმედელით, რომელ წელს დაიწყო მუშაობა ლიტერატურის ინსტიტუტში. შემდეგ, როგორ „ისარგებლა“ იქ გაჩენილი ხანძრით და „დილიდან საღამომდე იჯდა ხელნაწერთა ინსტიტუტში“. აქვე, იმასაც არ ივიწყებს, თუ როგორ ჩართეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის საქმიანობაში და სხვ. და სხვ. ნეტავ, ვის რაში სჭირდება ყველაფერი ეს?! (ალბათ, თავის მომავალ ბიოგრაფიებს უტოვებს მასალას!).

ამავე სტილში გრძელდება თხრობა, თუ მე და ის როგორ დავევირნობდით უნივერსიტეტის ბაღში, ზოპარკის ტერიტორიაზე, ავლიოდით კუს ტბაზე... და იგი როგორ გამუდმებით მესაუბრებოდა იაკობ შემოქმედელზე. მე კი ვდუმდი და ვდუმდი („შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენდე“). რა თქმა უნდა, ჩემზე მეტს ლაპარაკობდა. მე, საერთოდ, სიტყვაძვირი ვარ და მას ლაპარაკში ვერ ვაჯობებდი. მაგრამ ამ თემაზე საუბრის დროს ზოგი რამ საგულისხმო მეც რომ მითქვამს მისთვის?! ვუთხარი, კერძოდ, რომ „ბღულმესიანის“ „თვით ახოვანსა“ თამარისათვის შეუფერებელია მეთქი. მიპასუხა: ეს დავითს შეეხებაო. შევამოწმე და ი. ლოლაშვილის გამოცემაში თამარის მისამართით იყო ნათქვამი; ვუამბე კორნელი დანელიას ნაშრომის შესახებ და მასთან საუბრის შინაარსი გადავეცი. საერთოდ, ალბათ, ახსოვს, ბევრი რამ მირჩევია მისთვის. როცა ვახტანგ მეექვსის პოემას იკვლევდა და მითხრა, პატრიოტიზმი არ ახასიათებსო, მოვაგონე - „რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებერ ესხასა“. არ დამიჯერა. ჯიუტია

და მისი დისერტაციის დაცვის დროს, მგონი, ყველა ოპონენტს ეს შენიშვნა ჰქონდა. წყევლა ასეთი: ღმერთმა შენი არ გაცოდინა და სხვისი არ დაგაჯერაო.

„იმან ეს თქვა, იმან ის თქვა“ გრძელდება. პედანტის შესაშური უნარით აქვს აღნუსხული, თუ სად, რომელი თვის რომელ რიცხვში რა და რა საკითხზე მესაუბრებოდა, ტელეფონით თუ უტელეფონოდ (მეტი სიზუსტისათვისა და სიცხადისათვის კარგი იქნებოდა, რიცხვთან ერთად საათის დასახელებაც და ბალის კუნჭულზე მითითებაც). დეტალურად აქვს გადმოცემული, რა წიგნი მათხოვა, ვისი ხელით გამომიგზავნა და რა არ მათხოვა.

წლის ბოლო იყო. საავადმყოფოდან ახალ გამოსულს ბევრი სასწრაფო სამუშაო დამხვდა და ვთხოვე მეგობარს, შრომა გამიადვილე, ზოგიერთი წიგნი მათხოვე ან ესა და ეს ადგილი წამიკითხე-მეთქი. გაბრაზებით მომახალა: მე მჭირდებაო! მაშინვე შევეშვი. წიგნს როგორ ვერ ვიშოვიდი (აღრე რომ ეთქვა და წყნარად, ხომ სულ არ გავეკარებოდი)!

ვიცი, მკითხველი შემაჩერებს და მეტყვის, ესეც ხომ „იმან ეს თქვა“ არისო. მართალიც იქნება.

მთავარი მიზეზი, რამაც ეს ბარათი დააწერინა, ის არის, რომ როგორმე დაიმკვიდროს პრიორიტეტი „აბღულმესიანისა“ და „არჩილ მეფის ქების“ იგივეობის კვლევაში. ჯერ წერდა: ამის თაობაზე ალ. ბარამიძესა და ი. ლოლაშვილს ვუთხარიო. ახლა მათ რიცხვს ს. ცაიშვილიც მიუმატა. ხვალ, შესაძლებელია, მეოთხე ვინმე დაასახელოს. ეს მეცნიერები ცოცხლები აღარ არიან, როგორ შევამოწმოთ და როგორ დავუჯეროთ! კიდევაც რომ ეთქვა, ამ პრობლემას თავის სახელზე მაინც ვერ გაიფორმებდა. „იმან ეს თქვა, იმან ის თქვა“ მეცნიერება არ არის!

ეს კი ვიცი, ს. ცაიშვილის ხსენება არ უნდოდა. არც უხსენებია ლექსმცოდნეობის კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში. მიზეზი: „აღნიშნულ საკითხზე მნიშვნელოვანი ჩანაწერიც არ დარჩენიაო“. ჩანაწერი ჩანაწერია, მოხსენება მოხსენებაა! როცა ერთხელ ხმამაღლა ვუთხარი – როგორ შეიძლება, ასკაციან აუდიტორიაში, კორნელი კეკელიძის პრესტიჟულ დღეზე ასეთი რამ ითქვა და არაფრად ჩააგდო-მეთქი! შემდეგ იკადრა და ახსენა.

არ გამოვრიცხავ, ეს ვარაუდი ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ არც საჯაროდ უთქვამს რაიმე, მით უმეტეს, არც არაფერი დაუწერია.

ახლა მე მსაყვედურობს, ამ თვალსაზრისის ავტორად რატომ არ მასახელებო: „დასახელებული გყავართ არა როგორც ამ ახალი თვალსაზრისის ავტორი, არამედ როგორც მისი მომხრე და გამზიარებელი“. „ამტკიცებთ ჩემს შემუშავებულ თვალსაზრისს“ (ხაზგასმები მისია).

ბატონო ბორის! თქვენი პირველი საჯარო გამოსვლა ამ საკითხზე 1995 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში შესრულებული წლიური თემის კითხვა იყო. ხოლო წერილობითი - 1996 წელს. ლექსმცოდნეობის სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები (იმის თქმაც არ უნდა, რომ კონფერენციაზე მე მივიწვიე და თეზისები დაუბეჭდე). ამას წინ უსწრებდა სარგის ცაიშვილის საჯარო მოხსენება და ჩემი წერილობითი გამოხმაურება: „გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ნაწარმოები, რომელიც დღეს „აბდულმესიანის“ სახელითაა ცნობილი, არ არის მეთორმეტე საუკუნის ძეგლი“. „სარწმუნოდ არ იქნა მიღებული, რომ მეთორმეტე (ასეა! - ბ. დ.) საუკუნის მოღვაწემ იაკობ შემოქმედელმა შავთელის „აბდულმესიანი“ „არჩილ მეფის ქებად“ გადააკეთა.

ლექსიკის თვალსაზრისით „აბდულმესიანი“ არ შეიძლება ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნის თხზულება. იგი ე. წ. ალორძინების პერიოდშია შექმნილი სპარსული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ვერსიების გავრცელების შემდეგ. ცალკეული პოეტიკური შტრიხებითაც დასტურდება მსგავსება იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებებსა და „აბდულმესიანს“ შორის. „არჩილ მეფის ქება“ (იგივე „აბდულმესიანი“) ჩახრუხადის „თამარიანის მიბაძვით უნდა იყოს დაწერილი“. („ქართული ლექსმცოდნეობა“, 1992, გვ. 106).

ასე რომ, ბატონო ბორის, თქვენ არ უნდა იჩემებდეთ ამ პრობლემის ავტორობას, მეცნიერული ეთიკა ამის უფლებას არ გამძლევეთ.

ერთადერთი მართებული შენიშვნა ამ ვრცელ წერილში, რომელიც გაზეთის ორ ნომერშია მოთავსებული, შეეხება იაკობ შემოქმედელის მიერ გალექსილი პოემის სათაურს. უნდა იკითხებოდეს: „ურჯულოს მაჰმადისა და ქრისტიანეთა გაბაასება“ და არა „სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“.

თუმცა ღია ბარათის ავტორის სიტყვები: „თქვენ იმდენად ზერელედ იცნობთ ამ ნაწარმოებს.... რომ მისი სათაურიც არ იცით“, არა მარტო მკვახეა და მოურიდებელი, არამედ მცდარიც.

გადავშალოთ „იაკობ შემოქმედელის“ მე-10 გვერდი და წავიკითხოთ: „იაკობი იღებს დაეალებას და ქმნის ვრცელ, 189-სტროფიან პოემას - „ურჯულოს მოჰამედის და ქრისტიანეთა გაბაასება“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი S 342).

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ პოემის სათაური ვიცი, მისი ერთ-ერთ ხელნაწერის ნომერიც კი მაქვს მითითებული.

სხვის თვალებზე ლაპარაკობთ და თქვენ თვითონ რამ დაგაბრმავათ ისე, რომ ეს ვერ დაინახეთ!

არც ის არის მართალი, თითქოს, იაკობის პოემის სათაური მეროდეს ბაგრატ ბატონიშვილის ნაშრომის სათაურში „...სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ“.

პოემის ერთ ხელნაწერს (S 951 გ) შავით თეთრზე აწერია: „სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“. მაგრამ, როგორც გაიკვია, ეს ხელნაწერისეული კი არ არის, ხელნაწერის აღმწერისეულია (ელიშერ ჭელიძე).

პირადად მე ამ პრობლემის წამოჭრის თვალსაზრისით არავითარი პრეტენზია არა მაქვს და არც მქონია. პოეტიკური დამთხვევები იაკობის ნაწერებსა და ე. წ. „აბდულმესიანს“ შორის, რაც მე მქონდა შენიშნული და ზოგიერთი მითითებულიც (იხ. „იაკობ შემოქმედელის“ პირველი გამოცემის 21-ე, 25-ე და 26-ე გვერდები), ფაქტიურად, გაუცნობიერებელი იყო. ოღონდ იგი დამეხმარა, არსებითად მაშინვე მიემხრობოდი ამ თვალსაზრისს, რასაც მალე ფიქსირებული სახე მიეცა.

„არ მახსოვს, ეს ეჭვი გაგიზიარეთ თუ არა“, მომმართავს მე. ლაპარაკია „აბდულმესიანის“ და „არჩილ მეფის ქების“ იგივეობაზე. მე მახსოვს: ამის თაობაზე სიტყვაც არ დასცდენია, ხოლო რაც ჩემთვის არ უთქვამს და არ ვიცი, საერთოდ, უთხრა თუ არა ვინმეს, როგორ უნდა ვაღიაროთ მის მიგნებად?!

არა მარტო ამ პრობლემის დასმა, საერთოდ, ეს მწერალი თავისად მიაჩნია, მხოლოდ თვითონ უნდა იკვლიოს. მეუბნება, არა მეგონა, თუ ჯამში ჩამიხტებოდით. ნეტა რა ჯამი აქვს ამისთანა! პრობლემა, რაზედაც ამჟამად მუშაობს, უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ მისი ნარკვევი - მოსაწყენი ტერესე-რიალებივით გაწელილი გაზეთის ფურცლებზე, ამ პრობლემის მიმართ ინტერესს ანელებს.

ცნობილია: როცა ბევრი და მნიშვნელოვანი არაფერი გაგაჩნია, რაც გაქვს, იმ მცირეს ებლაუჭები.

„ეს ურთულესი პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად მე ექვსი თაბახი არ მყოფნის, - კვითხულობთ ღია ბარათში, - თქვენ ათიოდე გვერდში როგორ ჩაატოეთ?“

გაანჩია, ვინ როგორ წერს. ზოგიერთმა კიდეც ექვსიც რომ მიუმატოს, შეიძლება, მაინც ვერ დააჯეროს და დააკმაყოფილოს მკითხველი, რომელიც მკვლევარ-ლიტერატორისაგან არა მხოლოდ ფაქტების აღნუსხვას მოითხოვს, არამედ მათ ანალიზს, აგრეთვე, დახვეწილ გემოვნებას და წერის მაღალ კულტურას.

ამასთან ერთად, ბატონო ბორის, ქალაქი ძვირია და უფრო კომპაქტურად უნდა ვწეროთ!

„რა ქართულია ეს?!“ გვიწყრება ღია ბარათის ავტორი. გაგონილა, ბორის დარჩია სხვას ქართულს უწუნებდეს?!

მაგრამ ნუ ვიქნებით ასეთი მკაცრი, ნუ დაეუკარგავთ ავტორს თავის დამსახურებას! მისი ღია ბარათი მართო „ამან ეს თქვა“ არ არის. იგი გარკვეულ დოკუმენტებსაც შეიცავს.

პირველ „დოკუმენტში“ ბ. დარჩიას ვთხოვ, თუ შეიძლება, ერთი მინაწერის ფოტოპირი გამომიგზავნე-მეთქი. მეორე დოკუმენტი იმის მაუწყებელია, რომ იაკობის ერთი ხელნაწერიდან ზოგი სიტყვა შეცდომით გადმოიწერია. რად უნდოდა ამას ხელახალი ფოტო, საკუთარი თავის და სხვების შეწუხება?! სწორედ იმიტომ მყავხარ დამოწმებული წიგნის ორივე გამოცემაში, რომ ზოგიერთი მასალა მომაწოდეთ. მაგრამ „დოკუმენტს“ თავის ძალა აქვს! ფიქრობს ჩემი მოპაექრე. თუმცა მეორე „დოკუმენტი“ მაინც არ უნდა გამოგე-ქვეყნებინათ. ეს ნამდვილად შეგეშალათ, ბატონო ბორის! თქვენ ზომ იმას ამტკიცებთ, ჩემი ნაამბობის მიხედვით დაწერა გამოკვლევაც?! ამ „დოკუმენტის“ მიხედვით კი გამოდის, რომ, მე, თურმე, ხელნაწერთა ინსტიტუტში დავდიოდი და იქიდან ზოგ რაიმეს ვიწერდი! თქვენისთანა დაკვირვებულ მკვლევარს ეს არ უნდა მოსვლოდა!

მაინც რამ გააწიწმატა?

მთელი 17 წლის განმავლობაში ნორმალურად მიაჩნდა, რომ იაკობ შემოქმედთან (ასეა! - ბ. დ.) დაკავშირებით ზოგიერთი მასალა მომაწოდა (თუ რა მასალა - ამაზე შემდეგ!), რის გამოც ჩემს ბროშურაში საგანგებოდ მოვიხსენიე, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გექონდა და ამ ხნის მანძილზე ოდნავადაც არ უგრძობობინებია, რომ განაწყენებული იყო. თურმე, როგორც ბოლძიან კაცს სჩვევია, გულში იხვევდა.

ისიც იცოდა, „იაკობ შემოქმედელის“ მეორე გამოცემას რომ ვამზადებდი. შევთავაზე, იაკობის „გაბაასებაც“ შევიტანოთ, როგორც თქვენი პუბლიკაცია-მეთქი (ღია ბარათში ამაზე დუმს). გავაცანი კიდეც ტექსტი - თუ რას ვწერდი მასზე. მისი ახირებანიც გავითვალისწინე, გარდა იმ სტატიების ჩამოთვლისა, რასაც „აბდულმესიანის“ ავტორობის საკითხთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. არაფერმა არ გაჭრა. რამდენიმე დღის შემდეგ ახტა, ჩამოურეკა ჩემს ახლობლებს, დაარეკვინა საპატრიარქოს გამომცემლობაში (აჯობებდა, პატრიარქისთვის მიემართათ! წიგნი მისი ლოცვა-კურთხევით იბეჭდებოდა!), მთელ ქალაქს ყვირილით მოსდო - წილში ჩამიდგაო!

არაერთხელ ვცადე მისი დაშოშმინება. ვეუბნებოდი, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, სხვებიც დავისწროთ-მეთქი. არა და არაო!

ვიცი წამქეზებელიც ჰყავს, სხვისა მწუხარებასა ზედა განარებულნი! ამოდ ირჯებით, ბატონებო! უსიამოვნო განცდებით სავსე ჩემს ცხოვრებაში მწუხარებას შეჩვეული ვარ. ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვა, „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული“.

კარგა ხნის წინ ერთ ჩემს წიგნზე რეცენზია დაიწერა. ავტორმა წინასწარ წამაკითხა. ყველა შენიშვნა უმართებულო იყო. როცა ეს ავუხსენი, განაწყენდა, აღარ ვბეჭდავო. დაბეჭდეთ-მეთქი, ვუთხარი და დაბეჭდა კიდეც. იმ პიროვნებისაგან ქებას ძაგება მერჩია.

ახლაც დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა. ამ ღია ბარათის არსებობა აღრევე ვიცოდი. არ მიმიღია ზომები, რომ არ დაბეჭდილიყო. არც რედაქტორისთვის ან ვინმესთვის მითქვამს საყვედური. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც ჩემთვის, არც საქმისთვის, ბ. დარჩია რას დაწერს ჩემზე, - კარგს თუ ავს. რეაგირებას მხოლოდ იმიტომ ვახდენ, რომ მაგანმა და მაგანმა იცოდეს, ამგვარი საქციელი საძრახისი და დასაგმობია.

უნდა გამომეცა თუ არა ზელმეორედ „იაკობ შემოქმედელი?“ (ღია ბარათის ავტორის აზრით, ალბათ, მეორედ კი არა, ერთხელაც არ უნდა გამომეცა!“ [ასეა. ბრჭყალი ზედმეტია! - ბ. დ.]).

როცა კორნელი კეკელიძის ორტომეულში იოსებ თბილელი-სადმი იაკობ შემოქმედელის პასუხს გავეცანი (ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა, რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ექს-კურსიაზე რომ წამიყვანეს). ძალზე მომეწონა მისი სტრიქონი:

„თვით მცნობო, ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი“ და სურვილი გამიჩნდა, მწერლის შემოქმედებას ახლოს გავცნობოდი. ამას მოჰყვა ჩემს სოფელში (შემოქმედი) სახალხო აკადემიის გახსნა. გადავწყვიტე, იაკობ შემოქმედელზე რაიმე დამეწერა. ჯერ იყო და მეცნიერულ ელიტას დავეუპირისპირდი - უსამართლოდ სდებთ ბრალს პლაგიატორობაში-მეთქი. ერთადერთი აღვეუდექი წინ დაკანონებულ თვალსაზრისს. ამ თემაზე სახალხო აკადემიაში რამდენიმე სხდომა ჩავატარე. ერთ სხდომაზე ბ. დარჩია მივიწვიე და მოხსენება წავაკითხე (არ ამბობს, რომ მივიწვიე). შემოქმედის მონასტრის ძირში კვარცხლბეკი დავადგმევიწე წარწერით - „აქ აღიმართება იაკობ შემოქმედელის მემორიალი“. ოზურგეთის სამხატვრო სალონში იაკობ შემოქმედელის პატარა მონუმენტი გამოვაქანდაკებინე. მისი დაბადების 340 წლისთავთან დაკავშირებით წერილი დაებეჭდე. პირველი გამოვეხმაურე ახალ თვალსაზრისს - ე. წ. „აბდულმესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების შესახებ. ახლა კი, როცა მისი დაბადების საიუბილეო თარიღი ახლოვებოდა (ასეა! - ბ. დ.), რომლის სათანადო აღნიშვნას აპირებდნენ, ჩემი წიგნის ამ სახით დატოვება აღარ შეიძლებოდა, მასში ასახვა უნდა ეპოვა ზემოხსენებულ თვალსაზრისს და გადავწყვიტე ხელმეორედ გამოცემა. თანაც ეს უნდა მომხდარიყო საიუბილეო თარიღის ფარგლებში, 1997 წელს (ამიტომ ვჩქარობდი!).

ბ. დარჩიას რომ ჰკითხოთ, უნდა დავლოდებოდი, თუ როდის დაასრულებდა იგი თავის სერიალს, რომლის ბეჭდვა ერთი წლის წინ დაიწყო და ჯერაც ბოლო არ უჩანს. დაველოდებოდი კიდევ, ადრე რომ ეთქვა და მწერლის საიუბილეო თარიღი არ დამთხვეოდა; მის არგუმენტებს ჩემსას დავუმატებდი. ამით პრობლემა მოიგებდა. მთავარზე მთავარი ჭეშმარიტების დადგენაა, შემდეგ - თუ ვისი პირით ითქმება იგი. მე და მეო! გაიძახის ღია ბარათის ავტორი და თავის სერიალს, ალბათ, ჩემი კრიტიკით დაამთავრებს.

ამრიგად, ჯერ ერთი, ბ. დარჩია გაანაწყენა კორნელი კეკელიძის დღეზე წაკითხულმა მოხსენებამ, მეორე მხრივ, გააწიწმატა „იაკობ შემოქმედელის“ ხელმეორედ გამოცემამ. ორივემ ერთად კი გააბოროტა.

მისი ღია ბარათი გაბოროტებული კაცის დაწერილია.

როცა ადამიანი გაბოროტდება, სალი განსჯის უნარს კარგავს (თუ კი იგი საერთოდ გააჩნდა!).

ფაქტი თვალწინაა. ღია ბარათის ავტორმა არ იცის, რა არის პლაგიატობა, ვის უნდა ეწოდოს პლაგიატი (პლაგიატორი!). როცა ვინმეს რაიმეს უამბობ, ხოლო იგი საგანგებოდ დაწერს - ამან ეს მიაბოლო, ეს ვინმე თურმე, ამ ნაამბობის მიმთვისებელი ე. ი. პლაგიატორი ყოფილა. ქართულ ენციკლოპედიაში მაინც ჩაეხედა: „პლაგიატი“ (ლათ plagio - ვიტაცებ). სხვისი საავტორო, ან საგამომცემლო უფლების, აგრეთვე, რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვისი ნაწარმოების, გამოგონების ან რაციონალიზატორული წინადადების წყაროზე მიუთითებლად გამოყენებას საკუთარი სახელით“.

როგორც ვხედავთ, გარკვევით წერია: „სხვისი ნაწარმოების გამოგონების... წყაროზე მიუთითებლად გამოყენებას საკუთარი სახელით“.

დავუშვათ და ჩავთვალთ ბ. დარჩიას ნაამბობი „ნაწარმოებად“ ან „გამოგონებად“, მაგრამ წყაროზე რომ მიითითებული იყო?!

ამბობენ, არცოდნა არცოდვა არისო. მაგრამ, როცა შენს არცოდნას ასეთი აგრესიული მიზნით იყენებ, დიდი ცოდვაა, რასაც, კაცმა რომ გააპატიოს, ღმერთი არ გააპატიებს.

როგორც ვთქვი, მაშინ ნორმალურად ჩათვალა, ხმა არ ამოუღია, ახლა კი არც ჩემი მიითითება აკმაყოფილებს, რომ „ნარკვევის ისტორიულ-ფილოლოგიური ნაწილისათვის ზოგიერთი მასალა მოგვაწოდა“- მეთქი.

„ნაწილისათვის და ზოგიერთი კი არა, - წერს, - მცირე და უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ყველა მასალა ჩემგან გაქვს წაღებულიო“.

ამ ციტატის, ისე როგორც საერთოდ, ამ სტატიის ავტორთან სერიოზული კამათი არ ღირს. მაგრამ იძულებული ვარ, ზოგი რამ მაინც განვმარტო: ჩემს ნაწერებში ძირითადი და ამოსავალი, თითქმის ყოველთვის, პოეტიკაა. ამ პატარა წიგნშიც მთავარია იაკობ შემოქმედელის ვერსიფიკატორული ძიებანი, მისი თხზულებების შინაარსობრივ-მხატვრული ანალიზი, ცალკეული ნაწილები: „კრიტიკურებ სიბრძნის ებგური“, „ამისი ახსნა თქვენგან მწადს“, „ხალხური სისადავე“, „რუსთველური ლექსი“, „არჩილისებური რითმა“ და იაკობის პლაგიატორობის უარსაყოფი მტკიცებანი, რომელთაგან არც ერთი არ არის ნახსენები მათ მიერ ჩამოთვლილ

„ყველა მასალაში“, ყველაფერი ეს მცირე და უმნიშვნელო გამონაკლისი ყოფილა. მთავარი კი, თურმე, ის არის, რა ითქვა იაკობ შემოქმედელზე („ამან ის თქვა, იმან ის თქვა“) და მისი „გაბაასების“ ხელნაწერი, რომელიც პოეტის ყველა სხვა ხელნაწერ თხზულების ციტატათან ერთად ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება.

სწორედ ეს არის გაბოროტების გამო საღი განსჯის უნარის დაკარგვა.

„რა ტექსტოლოგი ბრძანდებით, ... ახლავე წარმოგიდგენთ“, მეუბნება გაცხარებით და „დოკუმენტაციის“ წესით მოაქვს ერთი ფურცლის ნახევი, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა შეცდომით მაქვს გადმოწერილი.

მახსენდება გალაკტიონის ჩანაწერი. „მნათობში“ ასი ლექსის დაბეჭდვის შემდეგ გალაკტიონს პაოლო იაშვილი შეხვედრია და უთქვამს, როგორ შეგეყავს ხალხი შეცდომაში! როცა გალაკტიონმა გაიკვირვა, პაოლომ, თურმე, გადაიხარხარა: შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი, არამედ 98 ლექსი. ნახეს და, მართლაც, 98 იყო. ბ. დარჩიას ლოგიკით, ამ ფაქტის გამო პაოლოს ზუმრობით კი არა, მთელი სერიოზულობით შეეძლო ეთქვა გალაკტიონისთვის. ეთქვა კი არა, დაეწერა და დაებეჭდა კიდევ: რა მწერალიც ბრძანდებით, აშკარაა, ასამდე თვლაც არ იცითო!

ნათქვამია: ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებსო, მით უმეტეს, ეს შედარება მოიკოჭლებს. მაგრამ რა პაოლო იაშვილიც თავად ბრძანდება, ის გალაკტიონი მეცა ვარ.

როცა იაკობ შემოქმედელის ფონდიდან მისი ვრცელი პოემის გადმოწერა დავიწყე და ამის შესახებ ვუთხარი, მიპასუხა: სახლში მაქვს გადმოწერილიო. ე. ი. ფაქტიურად, თავად შემომთავაზა. თურმე სხვებისთვისაც უთხოვებია. როგორ წარმოგიდგენდი, ამას დამაყვედრებდა. ანდა რას ვიფიქრებდი, სათითაოდ გადმომილაგებდა, თუ რა დროს რა წიგნი მათხოვია, რა დროს რა სიტყვა მითხრა!

მინდა ვურჩიო ბ. დარჩიას ახლობლებს: მასთან ურთიერთობაში ფრთხილად იყონ. ვინ იცის, ვის, როდის, რას გაუხსენებს!

ერთი ტენდენცია შეინიშნება ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში. მას, შეიძლება მონოპოლისტური ეწოდოს. ლიტერატურის გარკვეულ უბანს, მწერალს, პრობლემას, რასაც თავად იკვლევენ, თავის საკუთრებად თვლიან. შემოიღობავენ თავისთვის გარკვეულ მონაკვეთს და ამ შემოღობილში გადახედვის უფლებასაც გართმევენ. ამის დასტურია ეს ღია ბარათიც. განა არ შეიძლება ერთ

პრობლემაზე, თუნდაც, ერთმანეთის პარალელურად ორი ვინმე მუშაობდეს?!

„თქვენ ისიც იკისრეთ, - მომმართავს პოლიციის გამოძიებელივით, - მთხოვეთ, იაკობის ტექსტები ვიღაც მეხუთეკურსელისთვის მეთხოვებინა, რომელსაც იაკობ შემოქმედელზე სამიწლომოდ ნაშრომის შექმნა ევალებოდა“.

თითქოს რაიმე კრიმინალური „მეკისროს“. ჩვეულებრივი ამბავია, სტუდენტებს ტექსტებს კი არა, ჩვენს გამოუქვეყნებელ ნაშრომებსაც ვატანთ სახლში, ოღონდ წაიკითხონ, დაინტერესდნენ, ისწავლონ! და განა მართო სტუდენტებს! ჩემი სახლის კარი ღიაა ყველასთვის, ვინც ქართული ლექსმცოდნეობის საკითხებზე, ცალკეულ პოეტთა შემოქმედებაზე ან კონსულტაციებს, ან წიგნებს, ან ჯერ კიდევ დაუბეჭდავ მასალას მთხოვს!

„ჰკითხეთ ციალა კარბელაშვილს, - იწყებს ახალ ამბავს, - და მოგიყვებათ“, თუ ხელნაწერთა ინსტიტუტში როგორ არ მისცეს უფლება, ესარგებლა ერთი ხელნაწერით.

ვკითხე ციალა კარბელაშვილს და მიაბო, რომ ეს ხელნაწერი ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იქნა მიკვლეული სამეცნიერო ექსპედიციის მიერ. იგი მიკრული იყო რომელიღაც წიგნის ყდაზე და წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციის ორ ფურცელს. ხელნაწერს თავისი გამოკვლევით იმჟამად გამოსაცემად ამზადებდა ილია აბულაძე.

განა ერთი და იგივეა ახალციხეში მიკვლეული „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციის ფურცლები (მისი მნიშვნელობა რომ დაამციროს, ღია ბარათის ავტორი „ორიოდე ნაგლეჯ ფურცელს“ უწოდებს), რომელზედაც ცნობილი მეცნიერი გამოკვლევას წერს და თქვენს მიერ აქვე, ორიოდე კილომეტრის მანძილიდან გადმოწერილი ჩვეულებრივი ტექსტი, რომელიც ათეული წელია უქმად გედოთ სახლში?

ნუთუ არ გეუხერხულებათ, თქვენსა და ილია აბულაძეს შორის პარალელს რომ ავლებთ?!

ერთ ამბავს სტეხს „აბდულუმესიანის“ ავტორობაზე აზრი რომ შევიცვალე. მეცნიერება შეხედულებათა ცვლის, მიღება-არმიღების, დაზუსტებისა და სრულყოფის რთული პროცესია. თუმცა ამ პრობლემასთან დაკავშირებით აზრი არ შემიცვლია. ჩემი თავგამოდებული მტკიცება, რომ იაკობ შემოქმედელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვისი თხ (ასეა! - ბ. დ.) მიმთვისებული, დააგვირგვინა

მოსაზრებამ – არა თუ მიმთვისებელი, იგი ავტორია ამ თხზულებისა. ახალ თვალსაზრისს მაშინ ჰიპოტეზა ეუწოდე. შემდეგ და შემდეგ კი თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ იგი ვარაუდის ფარგლებს სცილდებოდა. მაგრამ ვიდრე საკუთარი არგუმენტებით არ გავამაგრებდი, საბოლოო დასკვნისგან თავს ვიკავებდი. ეს დროც დადგა და 1997 წლის ნოემბერში გამოვაქვეყნე სტატია „აბდულმესიანის“ და „არჩილ მეფის ქების“ იგივეობისათვის“.

ბ. დარჩიამ. რომელსაც, ეტყობა, წარმოდგენა არა აქვს შემოქმედებით პროცესზე, „დაადგინა“, რომ ჩემი სტატია მხოლოდ ორი კვირის მუშაობის შედეგი იყო (რიცხვებსაც კი ასახელებს), რაზედაც, თურმე, „ერთ თანამშრომელს“ უხუმრია: რა ღვთაებრივი სიზმარი ნახა ასეთიო? გადაეცით იმ თქვენს ხუმარა თანამშრომელს, მოძებნოს გალაკტიონის ლექსი, რომელშიც ასეთი სტრიქონია: „მე ვხედავ სიზმრებს, არა თქვენებურს“.

როგორც ღია ბარათში, ისე თავის სერიალში, ხშირად შემახსენებს სადავო პრობლემაზე ადრე გამოთქმულ ჩვენს შეხედულებებს. მსაყვედურობს, რატომ არ ვწერ, რომ ადრე სხვა აზრისა ვიყავიო. ჩემი ძველი არგუმენტებიდან, რომლებიც იაკობ შემოქმედელის პლაგიატორობის წინააღმდეგ იყო მიმართული, რამდენიმე დღესაც ძალაში რჩება, ზოგს თქვენც კარგად იყენებთ.

საერთოდ კი ახალმა თვალსაზრისმა, რომელიც გარკვეულწილად ძველითაც იყო შემზადებული (მითითებული მქონდა საერთო ნიშნებზე, რომლებიც იაკობის „გაბაასებასა“ და „აბდულმესიანის“ შორის არსებობს; ვამტკიცებდი, რომ იაკობი პლაგიატორი არ ყოფილა; მოვეწოდებდი მკვლევართ, კვლავაც ემუშავათ ამ პრობლემაზე), თავისთავად მოხსნა საკითხის აღრინდელი გაგება. რაღა საჭიროა დღეს იმისკენ მიბრუნება?! თქვენ კი ჩემი განქიქების უინით შეპყრობილი, არ თავილობთ ჩემს კრიტიკას იმ ზოგიერთი ძველი არგუმენტის გამო, რომელსაც, ახალი შეხედულების გაზიარებასთან ერთად, თავად გავეძევე. კეთილსინდისიერია ეს საქციელი?!

კეთილსინდისიერი კაცი იმასაც იტყოდა, რომ ჩემს „ქართულ ლექსმცოდნეობაში“ გაპარული შეცდომა – გაიოზ რექტორი დავით რექტორის ნაცვლად, მექანიკურია, რადგან „იაკობ შემოქმედელის“ პირველ გამოცემაში (1986) გარკვევით მიწერია – „დავით რექტორი“ (34. 43). მკითხველს ატყუებთ, თითქოს, ეს თქვენი ნათქვამის შემდეგ გამესწორებინოს.

მაგრამ კეთილსინდისიერებაზე საუბარი ღია ბარათის ავტორთან მგლის თავზე სახარების კითხვაა. რა დავარქვათ, მაგალითად, ჩემს სიტყვებზე - „არჩილ მეფის ქებაში“ დაკვირვებული თვალი არჩილის პიროვნებას შეიცნობს“-მეთქი, მის ქილიკობას: „რატომ ვერ გააკეთეთ ეს ადრე, სანამ თვალი ჭაბუკურად გიჭრიდათ?“

თქვენს სინდისზე იყოს ჩემი თვალის ოპერაციასთან დაკავშირებული ირონიები! და, საერთოდ, თქვენი ჭკუის საკითხავი არ არის რამდენ ხანში დავწერ სტატიას, საღი თუ დაავადებული თვალით! სჯობს საკუთარ თვალებს მიხედოთ, გაბოროტებისაგან ისე რომ გაქვთ არეული, რომ სწორად ვერ წაგიკითხავთ ჩემი ზოგიერთი ფრაზა. ვერ გაგიგიათ კორნელი დანელიას ნაშრომთან დაკავშირებული ჩემი აზრი (ზოგიერთ სხვა შემთხვევაზე. [წერტილი დედნისეულია - ბ. დ.] ადრეც მქონდა ნათქვამი და შემდეგაც მოგახსენებთ).

გაბოროტებამ გონების არევასთან ერთად თვალის არევაც იცის!

ბოლოს, ჩემი მოპაექრე იმდენად გათავხედდა, რომ ბოდიშის მოხდაც მომთხოვა. თან ნიანგის ცრემლებს ღვრის: ავად ხართ, აღსარება შეებას მოგცემსო! სჯობს საკუთარ თავზე იფიქროთ, ისე რომ წაიხდინეთ საქმე, რომ ვერავითარი ბოდიშის მოხდა ვეღარ გიშველით!

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ბ. დარჩია ვერ გრძნობს, თავისი ღია ბარათით ძირს რომ უთხრის იმ პრობლემის გადაწყვეტას, რაც თავის სერიალში წამოიწყო. იმ ტოტს რომ ჭრის, რომელზედაც მოკალათებულა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ოღონდ კი პრიორიტეტობის ფინი დაიკმაყოფილოს და პრობლემის ნებისმიერ გადაწყვეტაზეც თანახმა არის. ამან განსაკუთრებით წერილის ბოლო ნაწილში იჩინა თავი, სადაც გაბიაბრუებულია საკითხის ნათელსაყოფად მოტანილი ჩემი არგუმენტები.

მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი, ბ ა ტ ო ნ ო ბ ო რ ი ს, კ ო მ პ ლ ე ქ ს შ ი უ ნ დ ა გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ და ა რ ა უ რთიერთიზოლირებულად. მაგრამ ამაზე თქვენთან საუბარს აზრი არა აქვს. ჩემს მოსაზრებებს „აბდულმესიანის“ ავტორობასთან დაკავშირებით, ძველსაც და ახალსაც, უფრო პრესტიჟულ კამათში წარმოვადგენ.

ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემს პოპულარულ ბროშურაში არც მიცდია საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით

განხილვა (ძირითადად პოეტიკით ვიფარგლები და ლიტერატურის ისტორიკოსობას არ ვიჩემებ). მკითხველს მივაწოდე, როგორც სტატიის ვწერ, რამდენიმე „ახალი მასალა“ და არ მითქვამს, რომ ეს „საკმარისია“ ამ „საიდუმლოს გახსნისათვის“ (როგორც ღია ბარათის ავტორი მომაწერს). ბროშურის ბოლო თავს „აბდულმესიანი“ თუ „არჩილ მეფის ქება“ კი ასე ვამთავრებ: „ქართული მწერლობის მკვლევარნი, ალბათ, კვლავაც მიუბრუნდებიან ამ საჭირობორტო საკითხს“.

თუმცა თქვენ, ბატონო ბორის, თქვენს ექვსთაბახიან ნაშრომში ვერ შეძლებთ ამ პრობლემის გადაჭრას, ისე როგორც არ მჯერა თქვენი კატეგორიული განცხადებისა, თითქოს გარკვეული გქონდეთ, რომ „აბდულმესიანსა“ და შავთელის „გალობანს“ შორის „არავითარი ორგანული კავშირი არ არსებობს“. ამას სხვა რანგის მკვლევარი სჭირდება!

ე. წ. „აბდულმესიანის“ იაკობ შემოქმედელისათვის კუთვნილება რომ ეჭვმიუტანლად დადასტურდეს, საჭიროა, იაკობის სახელით ცნობილი ლექსითი თხზულებების, „აბდულმესიანისა“ და „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანის“ მხატვრულ სტრუქტურათა შესწავლა, მათი ტექსტების (ერთი მხრივ, იაკობის ნაწერებისა და „აბდულმესიანის“, ხოლო, მეორე მხრივ, „აბდულმესიანისა [ასე! - ბ. დ.] და შავთელის საგალობლის) ურთიერთშედარება, ალბათ, კომპიუტერული ანალიზის დონეზე, რასაც თქვენ ვერ შესწავლებთ.

კიდევ ერთი ფაქტი საღად განსჯის უნარის დაკარგვისა. ბროშურაში ვწერ: „კორნელი დანელიას ნაშრომში „ჩახრუხაძისა და შავთელის ხოტბათა ენის პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა“ ღიფერენცირებული არ არის „თამარიანის“ და „აბდულმესიანის“ პოეტური მეტყველება. ნათქვამია, რომ ორივეგან შეინიშნება მიდრეკილება კლასიკური პერიოდის ქართულთან დაცილებისა. ხშირია გრამატიკული და ლექსიკური ნეოლოგიზმები... მაგრამ ამ სიახლეებზე საუბრის დროს კორნელი დანელია უფრო ხშირად „აბდულმესიანს“ იმოწმებს (გვ. 52, 53)“.

კომენტარი: „თქვენ იმოწმებთ კ. დანელიას ნაშრომს, სადაც ავტორი ვითომ ამტკიცებდეს, რომ „აბდულმესიანის“ ენა, ლინგვისტური ანალიზის მიხედვით, „ვერ თავსდება“ კლასიკური მწერლობის პერიოდში“. არა. ბატონო აკაკი, თქვენ ვერ გაგიგიათ ეს ნაშრომი. იქ ამის მსგავსიც კი არაფერი წერია“.

ღია ბარათის ავტორს, რომელიც მედავება, კ. დანელიას ნაშრომი ვერ გაგიგიაო, თავად ვერ გაუგია ჩემი ნაწერი. არც ზემოხსენებული ციტატიდან ჩანს და, საერთოდ, არსად არ მითქვამს, რომ კ. დანელია ამას „ამტკიცებს“, რომ მის ნაშრომში ეს „წერია“. რა ძნელი მისახვედრია?! მხედველობაში მაქვს, რომ ეს გამოდის მისი ნაშრომიდან, რადგან ენობრივ სიახლეებზე საუბრის დროს ავტორი „თამარიანზე“ უფრო ხშირად, ზოგჯერ კი მხოლოდ, „აბდულმესიანს“ იმოწმებს.

ის კი არაა, შესაძლებელია, ს. ცაიშვილს, აღნიშნული თვალ-საზრისის ჩამოყალიბებისას, ენათმეცნიერის ამ ნაშრომამაც მისცა ბიძგი, რომელსაც იგი იცნობდა ჩვენეული გაგებით.

გონების დაბნელება ამას ჰქვია, ან კიდევ უარესი: მკითხველის შეცდომაში შეყვანის ცდა!

მაგრამ გვეყო! ქალაღდი ძვირია. ღია ბარათის ობროდობას კი რა გამოლევს. სჯობს, წერილის სათაურში გამოტანილი აკაკის სტრიქონს მივუბრუნდეთ და დაწყებული სტროფი ბოლომდე მივიტანოთ:

ამან ეს თქვა, იმან ის თქვა,
ეს ეს არი, ის ის არი!
ამას ეს ქვა, იმას ის ქვა,
ეს ისარი, ის ისარი!

კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ბორის! ქვა და ისარი არ გამოგლევოს!

P. S. ბოდიშს ვუხდი მკითხველს ასეთი, ჩემთვისაც უჩვეულო წერილის გამო, მაგრამ იმ „საშინელ ბარათზე“ (როგორც თავად ავტორი მას უწოდებს) სხვაგვარი პასუხი არ შეიძლებოდა.

აკ. ზინთიბიძე
ნოემბერი. 1998 წ.

პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს პასუხის პასუხად

„პლაგიატობა სხვისი ნააზრების მითვისებაა.

პლაგიატორი ჯორივით ჯიუტობს, ათას
გამართლებას უძებნის თავის საქციელს,
მოპარულს ემოციონება, ვინდა თუ არა, ჩემიანო“.

შოთა ნიშნიანიძე
(გამეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1999 წ., № 9)

ბატონო აკაკი, პასუხში თქვენ ისე წარმოადგენთ, თითქოს ჩემი „ღია ბარათი“ „ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“ იყოს. ჩემზე წერთ, რომ მე „ეკრებ და ვაქვეყნებ სხვათა და სხვათა ცალკეულ გამონათქვამებს“ და, ვითომც, ეს „სტილი მეცნიერული კამათის სფეროშიც გადმოვიტანე“.

ბევრ სხვას და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მე, სადაც ხელი მიმიწვდება, ეკრებ და ვაქვეყნებ თანამედროვე იუმორისტულ ეპიზოდებსა და ამგვარ გონებასხარტ, ენამოსწრებულ გამონათქვამებს, რომლებიც ხალხში ყოველდღიურად იბადება და ვრცელდება, მაგრამ, თუ ამ ეროვნულ სულიერ საუნჯეს დროზე არ უპატრონებ, უმაღლე ქრება და იკარგება. სხვაგვარი გამონათქვამებისთვის მე ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. თქვენ კი სტყუით, ბატონო აკაკი, რომ ჩემს „ღია ბარათს“ ამასთან რაიმე კავშირი ან მსგავსება ჰქონდეს.

სიმაღლესთან არაავითარი შეხება არა აქვს არც იმას, რომ ჩემი წერილი ვინმეს გამონათქვამებზე იყოს აგებული. მასში სამეცნიერო საზოგადოებას ვაუწყებ მხოლოდ და მხოლოდ იმას, იაკობ მემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევისას როდის და რა საქმე შევასრულე მე და როდის და რა — თქვენ. თვალთმაქცობთ, ბატონო აკაკი, როცა ყოველივე ამას აგრიბავენთ, უსაგნო საუბრად სახავენ და კითხვას რიხიანად სვამთ: „ნუგავ, ვის რაში სჭირდება ყველაფერი ეს?!“ თქვენ ეს, მართლაც, არ გჭირდებათ და მის მიჩქმალვას ცდილობთ, მაგრამ სინამდვილე იმდენად ცხადი და აშკარაა, ამ ფანდით ვერაფერს ახერხებთ.

ბატონო აკაკი, „ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“-ს წესს შეგნებულად არ გავყევი და განა იმიტომ, რომ სათქმელი არ მქონდა?!

როდესაც თქვენი პლაგიატორობა გამოაშკარავდა, ერთმა ჩვენმა საერთო ამხანაგმა თქვა: ეს იმას ჰგავს, კაცს ჰმეგობრობდე და მერმე მის ცოლს ლოგინში შეუწვეო. მეორემ, ასევე ჩვენიანმა, ქუჩაში ხელაწვეით მოსალმებისას მომამახა: როგორ გყავს შენი მეგობარი კაკო ყაჩაღიო. მესამემ ნიშნის მოგებით მითხრა: პლაგიატობისათვის მას რომ პანჩური ამოარტყეს და შენ კი იყავდი, უარესი გეკუთვნისო.

ბატონო აკაკი, მე და თქვენ, ჩვენმა თანამშრომლებმა და

სამეგობრო წრემ შესანიშნავად ვიცი, პანდურის ამოკერაზე აქ პირდაპირი მნიშვნელობითაა ნათქვამი. იგი თქვენ გამოჩენილი მეცნიერისაგან სამეცნიერო საბჭოს წევრების თვალწინ იგემეთ, მაგრამ, რადგან მგყუანი იყავით, ეს შეურაცყოფა „გადაყლაკეთ“.

ასეთია მოგიერთი „ამან ეს თქვა“ და „იმან ის ქნა“.

ბატონო აკაკი, უმოწყალოდ სტყუით, როცა აცხადებთ, ვითომც ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობის თაობაზე სარგის ცაიშვილისა და მისი მოხსენების ხსენება არ მინდოდა. მტკნარი სიცრუეა თქვენა სიტყვები: „როცა ერთხელ ხმამაღლა ვუთხარი, როგორ შეიძლება, ასაკიან აუდიტორიაში, კორნელი კეკელიძის პრესტიჟულ დღეზე ასეთი რამ ითქვა და არაფრად ჩააგლომეთი! შემდეგ იკადრა და ახსენა“. ამგვარი რამ ჩემთვის არც ხმამაღლა და არც ხმადაბლა არასოდეს ვითქვამთ და არც ამის საჭიროება ყოფილა როდისმე. პირიქით, როცა გაირკვა, ბატონ სარგის აღნიშნულ პრობლემაზე დაწერილი არაფერი დარჩენია, მოხსენებაზე დამსწრეებში მის მიერ წამოყენებული არგუმენტაციის ძიება დავიწყე, რათა ისინი ჩემს ნაშრომში (რა თქმა უნდა, ავტორის სათანადო მითითებით) შემეგანა და ამით წასული კაცის ნაფიქრი და ნაღვაწი არ დამეკარგა და უკედავმეყო. ვის არ ვეკითხებოდი! ჰკითხეთ შერმადინ ონიანს (რომელსაც საუკეთესო ჩვევა აქვს – მოხსენებების მოსმენისას ჩანაწერებს აკეთებს) ამაზე რამდენჯერ შევაწუხე. სხვათა შორის, ბატონო აკაკი, ამავე კითხვით თქვენც მოგმართეთ და მაშინ გავიგე სტუდენტთათვის განკუთვნილი თქვენი წიგნის „ქართული ლექსმცოდნეობის“ (1992 წ.) არსებობა (რომელიც ბაზარზე არ ვამოსულა) და, თქვენეული გამოთქმა რომ ვიხმართო, იქ დაფიქსირებული ს. ცაიშვილისეული დებულება საძიებელი თხზულების ლექსიკისა და „შაჰ-ნაშესთან“ მის მიმართებაზე, რომელსაც ახლა თქვენ მიერ გამოთქმულად ასაღებთ. ასაღებთ იმით, რომ სიტყვებში „გამოთქმულია მოსაზრება“ სხვა შინაარსსა სლებთ.

ბატონო აკაკი, სტყუით, როცა საზოგადოებას ჩემზე აუწყებთ, ვითომც „აბდულ-მესიანისა“ და „არჩილ მეფის ქების“ იგივეობაზე „ჯერ ვწერდი, ალ. ბარამიძესა და ი. ლოლაშვილს ვუთხარიო, ახლა მათ რიყხეს ს. ცაიშვილი მიუშაგე. ხვალ შესაძლებელია, მეოთხე ვინმე დავასახელო“. არა, ბატონო, 1995 წელს შესრულებულ ჩემს წლიურ ნაშრომში, რომელიც გაზ. „კალმასობაში“ უცვლელად დაიბეჭდა, სამივე ავტორი ერთად მყავს დასახელებული (1997 წ., № 10), ხოლო, როცა წერთ, „ეს მეცნიერები ცოცხლები აღარ არიან, როგორ შევამოწმოთ და როგორ დავუჯეროთ!“-ო, „ღია ბარათში“ ხომ მეოთხე, ცოცხალი კაცი, მიხეილ ქავთარია, დავიმოწმე? კიდევ უფრო მეტი: ორი ცოცხალი ფაქტი მომყავს. ერთი ის, რომ ნაშრომში თავიდანვე მიუთითეთ: „აკადემიკოს კ. კეკელიძის დღეზე“ გაკეთებული მოხსენებიდან სამი წლის შემდეგ ს. ცაიშვილი ისე გარდაიცვალა, არათუ ეს მოხსენება დაბეჭდილი ან ხელნაწერის სახით, აღნიშნულ საკით-

ხზე მნიშვნელოვანი ჩანაწერი არ დარჩენია-მეთქი. თქვენ ამ ცნობას ასეთ შუესაბამო კომენტარს ურთავთ: „ჩანაწერი ჩანაწერია და მოხსენება მოხსენებაა“. კიდე და კიდე გეკითხებით, ბატონო აკაკი, – მიცვალებულ კაცზე რომ ამდენს მალაპარაკებთ, ან მოხსენება სადაა ან ჩანაწერი? ბატონ სარგისს წერა ან ბეჭდვა უჭირდა? ან კიდე: მოხსენების წინა პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ, ამისთვის სამი წელი¹ პატარა დროა?!

მეორე ფაქტი: „ღია ბარათში“ გაუწყით: თუმცა ს. ცაიშვილის მოხსენება მოსმენილი ჰქონდათ, რუსთველოვანის განყოფილების თანამშრომლებს ე. წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ შემოქმედელისადმი კუთვნილების საკითხის კვლევა იმდენად ამაოდ ესახებოდათ, რომ მისი საინსტიტუტო-საკვლევ გეგმაში შეგანაც კი შედგებად მიაჩნდათ. ამ განყოფილების თანამშრომელთა უმეტესობა ხომ ცოცხალია!

ამ ფაქტებს სიოცხლე ან შთამბეჭდაობა აკლია?!

სტყუით, ბატონო აკაკი, ვითომც ს. ცაიშვილის მოხსენებას „არსებითად მაშინვე მიმზრობოდეთ“ და „რასაც მალე ფიქსირებული სახე მიეცით“. სინამდვილეში „ფიქსირებული სახე“ იმას „მიეცით“, რომ თქვენთვის ეს თვალსაზრისი მაშინაც და შემდეგაც კარგა ხანს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზა იყო. განა 1992 წელს „ქართულ ლექსმცოდნეობაში“ გარკვევით არ გიწერიათ, „ეს მოსაზრება ჯერჯერობით ჰიპოთეზად რჩება“-ო?!

თქვენთვის ის ჰიპოთეზად რჩებოდა 1997 წლის გამაფხულბეც, როდესაც თქვენი „ქართული ლექსმცოდნეობა“ მეორედ გამოვიდა და ეს სიტყვები იქაც გაიმეორეთ. სტყუით, როდესაც საქმეს ისე სახავთ, ვითომც, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობაზე კვლევას აგრძელებდით და „თანდათან რწმუნდებოდით, რომ იგი ვარაუდის ფარგლებს სცილდებოდა, მაგრამ, ვიდრე საკუთარი არგუმენტებით არ გაამაგრეთ, საბოლოო დასკვნისაგან თავს იკავებდით“. ჩემს „ღია ბარათში“ ნაჩვენებია, რა ფასეული „საკუთარი არგუმენტებიც“ თქვენ წარმოადგინეთ! მკითხველს თვალში კი ისევე ნაცარს აყრით!

თქვენ თანდათან, მართლაც, რწმუნდებოდით ახალი თვალსაზრისის სისწორეში, მაგრამ არა იმით, რომ მის კვლევა-ძიებას ეწეოდით და „საკუთარ არგუმენტებს“ მიაკვლიეთ, არამედ იმით, რომ ჩემი კვლევის შედეგებს გაცნობდით. თქვენ ამ დროს იმიტომ კი არ სდუმდით, თითქოსდა „სიტყვაძვირი“ ბრძანდებოდეთ, არამედ იმიტომ, რომ მე სწორედ იმ ახალ მასალებს გაწვდიდით, რომლებსკენაც თქვენ არასოდეს გაგიხედავთ.

¹ უფრო მეტიც. ირკვევა, ს. ცაიშვილი ამ დასკვნამდე ბევრად ადრე მისულა. დღეს, 2005 წლის 27 აპრილს, ბატონმა თემურამ დოიაშვილმა მითხრა: 1984 წელს, როდესაც აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად დამნიშნეს, ბატონი სარგისი დამპირდა, მალე მოვიგან წერილს იმაზე, რომ „აბდულმესიანად“ მიჩნეული ნაწარმოები ეკუთვნის XVII საუკუნის პოეტ იაკობ შემოქმედელსო.

სტყუით, ბაგონო აკაკი, ვითომცდა ამგვარი ინფორმაციის დროს „ზოგი რამ საგულისხმო“ თქვენც გუთქვით. ჩემზე წერთ: „მავრამ ამ თემაზე საუბრის დროს ზოგი რამ საგულისხმო მეც რომ მითქევამს მისთვის?! ვუთხარი, კერძოდ, რომ «აბდულმესიანის» «თვით ახოვანსა» თამარისათვის შეუფერებელია-მეთქი. მი-
ქასუხა: ეს დავითს შეესებაო. შევამოწმე და ი. ლოლაშვილის გა-
მოცემამი თამარის მისამართით იყო ნათქვამი“.

„თვით ახოვანსა“ თამარისათვის შეუფერებელიაო, მართ-
ლაც მითხარით, მავრამ ეს იყო არა მაშინ, როდესაც უკვე ჩემს
გამოკვლევებს გაცნობდით, არამედ – ადრე, როდესაც ს. ცაიშვი-
ლის გამოსვლა მოვისმინეთ და „აბდულ-მესიანის“ ავტორობის
საკითხზე ჩემი დაეჭვების საფუძველზე გიყვებოდით. თანაც, ეს
მაგალითი ისე მოგყავთ, ვითომცდა დასმული პრობლემებისადმი
რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს და ჩემი კვლევისას
გამომეყენებინოს. მაშინ ის კი არ მითქევამს, „ეს დავითს შეეხე-
ბაო“, როგორც მომაწერეთ, არამედ – ის, რომ, შეიძლება, იგი
დავითზე ნათქვამად მიიჩნიონ-მეთქი. მართლაც, ამ ძეგლის პლა-
ტონ იოსელიანის, ნიკო მარის, სარგის კაკაბაძის (ორივე) და
მოსე ჯანაშვილის (ორივე) გამოცემებში „თამარის“ ადგილას
„დავითი“ წერია (სგრ. 11). ამ წაკითხვას მხარს უჭერდნენ გამო-
ჩენილი მეცნიერები, მაგალითად, პავლე ინგოროყვა და შალვა
ნუცუბიძე (იხ. ი. ლოლაშვილის კომენტარები, გვ. 169).

აი, ასეთი „საგულისხმო“ თქვენი ნააზრვეი!

სტყუით, ბაგონო აკაკი, როცა ჩემზე ამბობთ „ისიყ იყო-
და, «იაკობ შემოქმედელის» მეორე გამსყემას რომ ვამზადებდი“-
ო. ამის მსგავსი რომ ადრე რაიმე წამოგცდნოდით ან შემქმ-
ნია, იმ ჩემს ნარკვევებს ისე გულუბრყვილოდ კი არ მოგიყვებო-
დით, არამედ მათ უმაღლე დავებეჭდავდი, როგორც 1997 წლის
ნოემბერში მოვიქეცი.

სტყუით, ბაგონო აკაკი, როცა იმის ილუზიას ქმნით, ვი-
თომც თვალის კლინიკაში კარგა ხანს დაჰყავით. წერთ: „საა-
ვადმყოფოდან ახალგამოსულს ბევრი სასწრაფო სამუშაო დამხე-
და“-ო. სინამდვილეში იქ 4-5 დღე იმყოფებოდით: ხუთშაბათს, 23
ოქტომბერს, ოპერაცია გაგიკეთეს, ორშაბათს, 27 ოქტომბერს,
უკვე მინ ბრძანდებოდით და თქვენი წიგნაკის მეორე გამოცემი-
სათვის თავაუღებლივ მუშაობდით.

სიმართლეს აფუჩეჩებთ, როდესაც დამოწმებულ წინადადე-
ბას ავრძელებთ და ჩემზე ამბობთ: „ეთხოვე მეგობარს, შრომა
გამიადვილებ, მოგიერთი წიგნი მათხოვე ან ესა და ეს ადგილი
წამიკითხე-მეთქი“. „მოგიერთი“ და სხვა კი არა, უმისამართოდ
რომ ამბობთ, ბაგონო აკაკი, არამედ სწორედ თავიდათავი – მა-
ნამდე რომ ერთხელაც არ გაგხსენებიათ, ჩემ მიერ გამოქვეყნე-
ბული იაკობ შემოქმედელის „უსჯულო მოამადისა და ქრისტიან-
ნეთ გაბაასების“ გეჟსტი და ი. ლოლაშვილის მიერ გამოცემული
„აბდულ-მესიანი“ ინათხოვრეთ და ბონდო არველაძის ხელით
წაიღეთ. შერამდენედ მიხდება თქმა, თქვენ კი ამაზე ხმას არ

იღებთ, ი. ლოლაშვილის გამოცემულ წიგნში ამ ორ ძეგლს შორის მსგავსება არშიებზე მქონდა აღნიშნული.

სრულ სიცრუეს ბრძანებით, ვითომცდა თქვენს თხოვნაზე უარი მეთქვას. როგორ წერთ ასე ურცხვად: „გაბრაშებით მომახალა: მე მჭირდება! მაშინვე შევეშვი“-ო?! გაბრაშება და უარი კი არა, მაშინ არ ვიყოდი, თუ რისთვის გჭირდებოდათ ისინი და ყველა დაეალება ციმციმ შევისრულეთ. ამის მოწმე იგივე ბონლო არველაძეა. მისი მაინც არა გრცხვენიათ?!

სცყუით, ბატონო აკაკი, ვითომცდა იაკობ შემოქმედელზე რალაც მონოპოლიას ვაცხადებდეთ და მასზე მუშაობის უფლებას სხვას არ ვაძლევდეთ. მე ხომ აღრე ამ მხრივ გულითადი მეგობრობა გავიწიეთ – მისი ტექსტები და მასზე არსებული ლიტერატურა, უკლებლივ ყველა, უახგაროდ დაგითმეთ და საშუალება მოგეცით, რაც გნებავდათ, გეკეთებინათ. სცყუით, ვითომცდა ამას გაყვედრებდეთ. ნამდვილად კი ალალ და უსაყვედურო ლუქმად გქონდათ იგი შერგებული მანამ, ეიდრე ჩემს შემდგომ ნარკვევას და ნააზრევს წაეპოტინებოდიოთ. თუ ეს საჩუქარი გავიხსენეთ, იმიტომ, რომ სამოგადოებას გავაგებინეთ, რა დაგითმეთ და რა ვერა, – მასალები (ტექსტები, სამეცნიერო ლიტერატურიდან ამონაწერები) დაგითმეთ და გამოკვლევა ვერა!

მეორეც: ბატონო აკაკი, განა მაშინ ასაკი ან მეცნიერული ცენში გაკლდათ, რომ ყოველმხრივ შეგესწავლათ ეს მწერალი? მაგრამ მხოლოდ ის გააკეთეთ, რისი შესაძლებლობაც გქონდათ, თავს ბევით ვერ ახვით! სცყუით, როდესაც აცხადებთ: „ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემს პოპულარულ ბროშურაში არც მიყლია საკითხის მთელი სიგრძე-სივანით განხილვა (ძირითადად პოეტიკით ვიფარგლები და ლიტერატურის ისტორიკოსობას არ ვიჩემებ)“. სინამდვილეში, იქ მწერლის ბიოგრაფიასაც ეხებით და პლაგიატობის საკითხს ხომ ეხებით და ეხებით, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ჯეროვნად ვერ შეისწავლეთ და მიახლოებითაც ვერ გაარკვიეთ.

ახლა მიაბიგურად კითხულობთ – „განა არ შეიძლება ერთ პრობლემაზე, თუნდაც ერთმანეთის პარალელურად, ორი ვინზე მუშაობდეს?!“-ო. თქვენ რომ თქვენი ნაშრომი 1996 წლამდე დაგეწერათ (ვიდრე უშუალოდ პრობლემაზე მე ერთი წლის ნამუშევარი მქონდა), თუნდაც იმ სახით, როგორც ის 1997 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში შექმენით, ან შეძლებაც დაგეწერათ, ოღონდ მართლაც რაიმე ახალი არ გუშენგი მოგეპოვებინათ, ხმას არ ამოვიდებდი. თქვენ კი სამი წლის განმავლობაში მდუმარედ მისმენდით და, როცა დარწმუნდით, საკითხი გადაწყვეტილიაო, მტკივანი თვალი ან სხვა რამე სადღა გახსოვდათ, კალამს ეტაკეთ, ორ კვირაში რალაც მეთითხნეთ და პრობლემის გადაწყვეტი „გახდით“. რატომ ფიქრობთ, ბატონო აკაკი, მკითხველი ვერ გაერკვევა, რომ მე მონოპოლიას ვაცხადებ არა მწერალზე, არამედ ჩემს ნაშრომზე, ჩემს გამოკვლევაზე!

დღეს თქვენ იმ მარტივ ჭეშმარიტებასაც სადავოდ ხდით, თუ რა არის პლაგიატობა. ენციკლოპედიიდან მოგანილ თქვენს განმარტებაში პირდაპირ აღნიშნული არ არის, მაგრამ მეცხიერული ამრის მიგაცება, გინდა ის წერილობით იყოს გამოთქმული და გინდ შეპირად, პლაგიატობა არ არის?! თანაც, მითითებული მყავებართო, რომ ამბობთ, რაზე გყავართ მითითებული? – იმაზე, რომ ეს საკითხი თქვენ, თურმე, 1992 წელს „დააფიქსირეთ“ (და ვითომც დააფიქსირეთ საკუთარი ამრი!), მე კი 1996 წელს გამოეთქვი! რომ მე „მომხრე ვარ ამ თვალსაზრისისა, თქვენ კი მის კვლევას ეწვიით! სადაა არის აქ ჩემს ავტობობაზე მითითება?! ან ის ხომ სრული გყუილია, რომ ამ პრობლემის კვლევაში რაიმე წვლილი შეგეტანოთ!

სადავო საკითხს აფუჩეჩებთ და მკითხველს წარბმეუხრეულად აგყუებთ, ვითომცდა მე ქართული ენის ცოდნაში გედავებოდეთ. „*«რა ქართულია ეს?» გვიწყრება ღია ბარათის ავტორი*“, – წერთ თქვენ და უმატებთ: *„გავგონილა, ბორის დარჩია სხვას ქართულს უწუნებდეს?“*

ბაგონო აკაკი, საკმაო სიდიდის სამი წიგნის (50 თაბახამდე) და ამდენივე მოცულობის ნაშრომები ცალკე სგაგიებად მაქვს გამოქვეყნებული (არაფერს ვამბობ, ერთი იმდენი გამოქვეყნებულია), მაგრამ ჩემს ენაზე აუგი ჯერ არავის გამოთქევამს, მაშინ როდესაც თქვენს ყალბ „ლამაზად წერის“ მანერაზე ირონიები საკმაოდ წამიკითხავს. მაგრამ თქვენი „ქართულით“ არასოდეს დავინგერესებულვარ და არც მსჯელობის საენად გამიხდია. ენაზე ჩემი შენიშვნა სულ სხვა რამეს ეხება: როდესაც თქვენ მოისმინეთ ს. ცაიშვილის მოხსენება და ჩემი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი, 1992 წელს გამოცემულ „ქართულ ლექსმცოდნეობაში“ თქვენ „დააფიქსირეთ“: *„გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ნაწარმოები, რომელიც დღეს «აბდულმესიანის» სახელითაა ცნობილი, არ არის XII საუკუნის ძეგლი...“* მე რამდენედ მიხდება თქმა, თქვენ შემდგომ ისე წარმოადგენთ, თითქოს სიგყეებში „გამოთქმულია მოსაზრება“ სხვის მოსაზრებაზე კი არ იყოს საუბარი, არამედ თქვენი საკუთარი მოსაზრება იგულისხმებოდეს. აი, ამ გაუკულმართებულ გაგებაზე ვწერდი, „რა ქართულია ეს!“-მეთქი, თორემ, თუ იმ მინაარსით გავიგებთ, რაც მასში თავიდან ჩადეთ, იქ ყველაფერი რიგბეა.

ისე, ბაგონო აკაკი, გაცეებული ვარ, გყუილებით ისე „გაბედულებას“ იჩენთ, რომ ამ უმარტივეს, საყოველთაოდ ნათელ საკითხშიც სიცრუეს არ ერიდებით. ბოლოს და ბოლოს, ვისთვის, რა დონის მკითხველისათვის წერთ ყოველივე ამას?!

რადგან ჩემი ნაშრომების მოცულობა აღვნიშნე და თქვენ კი ამ საკითხზე გადაკრული სიგყვით მამყირებთ, – „*რაც გაქვს, იმ მყირეს ებლაუჭები*“-ო, – ერთი ის უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი მაქვს თუ ცოტა, რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოს, ხოლო, თუ თქვენ ბევრი და მნიშვნელოვანი გაქვთ, სხვისკენ თვალი და ხელი რად გაგირბით? მეორე ის, რომ მოცულობის მხრივ, რაც

მაქვს, უკვე ვთქვი, თუ ჩვენ შორის ასაკის განსხვავებას ვიანგარიშებთ, არა მგონია, ჩემზე მეტი გამოგვივლიდეთ, ხოლო, თუ ღირსების მიხედვით შევაფასებთ, რაც თქვენს ნაშრომებზე უარყოფითი გამოხმაურებანი დაბეჭდილა, იქნებ, ასაკის ჩაუთვლელადაც ნაკლები გამოხვიდეთ.

რაც ქართული ენის ცოდნის ბრალდებისას გვაქვს, ისეთივე მარტივი და ნათელია მეორე შემთხვევაზე. „ღია ბარათში“ მიწერია, რომ იაკობ შემოქმედელის თხზულების ჩემ მიერ მომზადებული ხელნაწირ-ტექსტის ხუთი სტროფის შემცველი ერთი ფურცელი სარგის ცაიშვილს დაჰკარგოდა და ის თქვენ გვიანდელი ნუსხიდან აღადგინეთ, აღადგინეთ კურიობული შეცდომებით. ახლა თქვენ აღტაცებული წერთ: „ეს ნამდვილად მეგეშალათ, ბაგონო ბორის! თქვენ ხომ იმას ამტკიცებთ, ჩემი ნაამბობის მიხედვით დაწერა გამოკვლევაო?! ამ «დოკუმენტის» მიხედვით კი გამოდის, რომ მე, თურმე, ხელნაწერთა ინსტიტუტშიც დაედიოდი და იქიდან მოგ რამეს ვიწერდი! თქვენისთაზა დაკვირვებულ მეკვლევარს ეს არ უნდა მოსვლოდა!“

გამოთქმას „მოგი რამ“ ყოვლისშემძლე კომირად მერამდენედ იყენებთ, ბაგონო აკაკი, მაშინ როცა ჩემი შენიშვნა კერძო და კონკრეტულია: ჩემ მიერ მოწოდებული ტექსტებით შექმენით თქვენი წიგნაკის „იაკობ შემოქმედელის“ პირველი გამოცემა, ხოლო ჩემი ნაამბობის საფუძველზე – მისი მეორე, შევსებული გამოცემა. სხვა რაიმე ღირებული და საყურადღებო არც წყარო გქონიათ და არც საბუთი მოგიშველიებიათ. მოგადი გამოთქმა „მოგი რამ“ მხოლოდ თავშესაფარი და მკითხველის დასაბნევი სიგყვებია.

მკითხველი შეიძლება მართლაც დააბნოს შემდეგმა თქვენმა პასუხმა: „თუმცა ღია ბარათის ავტორის სიგყვები: «თქვენ იმდენად ბერეულდ იყნობთ ამ ნაწარმოებს (აქ გამოვტივტივებიათ მნიშვნელოვანი ბრალდება: «და, საერთოდ, იაკობ შემოქმედელს» – ბ. დ.), რომ მისი სათაურიც არ იყით», არა მარტო შევახეა და მოურიდებელი, არამედ მცდარიც. გადაეშალათ «იაკობ შემოქმედელის» მე-10 გვერდი და წაეიკითხოთ: «იაკობი იღებს დაეალებას და ქმნის ვრცელ, 189-სტროფიან (უნდა: 289 – ბ. დ.) პოემას «უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება (ხელნაწერთა ინსტიტუტი S 342)». როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ პოემის სათაური ვიცი, მისი ერთ-ერთი ხელნაწერის ნომერიც კი მაქვს მითითებული“.

თქვენი წიგნაკის ამ ერთ აღგილას იაკობის თხზულების სათაური და მისი შემცველი ნუსხა, მართლაც, სწორად გაქვთ წარმოდგენილი, მგრამ ეს იმის წყალობითაა, რომ მისი წერილსას, იმ წუთში, წინ ვადევთ ჩემ მიერ მომზადებული ტექსტის პირველი გვერდი (სადაც სათაური და ხელნაწერის ნომერი ბუსტად ამგვარადაა აღნიშნული) და ის მექანიკურად გადმოგაქვთ, ცნობიერებაში კი ვიღვეთ შესიგყვება „სიგყვისება მაჰმადიან-

თა მიმართ“, რასაც ამ სახით ან შემოკლებით („სიგყვისგება“) ყველგან იმეორებთ.

თუ S 342 ნუსხას იცნობდით და მისი ფასი იცოდით, რაგომ იმ ხუთი სტროფის აღდგენისას ამ ხელნაწერით არ ისარგებლეთ და S 2400 გამოიყენეთ? პირველი ხომ ძველი და ყველაზე საუკეთესო გექსტის შემცველია, ხოლო მეორე – გვიანდელი და დაბალი ხარისხისა! (ამ საკითხზე იხ. ჩემი ნარკვევი: „იაკობ შემოქმედელის «უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების» ხელნაწერები“, „მაცნე“, ელს, 1994, № 14, გვ. 39-42, 58-62).

მეორე, რამაც კიდევ უფრო გამაძვირება, ბატონო აკაკი: თქვენ მიერ ნახმარი სათაურის გამართლების მიზნით პასუხში ვიწერიათ: „*პოემის ერთ ხელნაწერს (S 951 გ.) შავით თეთრზე აწერია: «სიგყვისგება მაჰმადიანთა მიმართ».* მაგრამ, როგორც ვაირკვა, ეს ხელნაწერისეული კი არ არის, ხელნაწერის აღმწერისეულია (ედიშერ ჭელიძე)“.

როდესაც ახალგაზრდა კაცმა, ედიშერ ჭელიძემ, დაგიზუსტათ (ჩვენთვის თავიდანვე ცნობილი იყო!), რომ თქვენეული სათაური ხელნაწერის გადამწერს კი არა, მის აღმწერს ეკუთვნის, ჩემზე აღმართული მახვილი, – „*პოემის ერთ ხელნაწერს შავით თეთრზე აწერიაო*“ – რაზე დაბლა არ დაუშვით და ეს სიგყვები პასუხიდან არ ამოიღეთ?! არ ამოიღეთ, ბატონო აკაკი, იმიგომ, რომ სათქმელი არა გაქვთ, ოღონდ რაღაც მიპასუხოთ და არ დაეძებთ, სწორი იქნება ის თუ მრუდი!

მე არსად მითქვამს და გყუილად მაბრალებთ, თითქოს „*იაკობის პოემის სათაური მეორედბოლეს ბაგრაგ ბატონიშვილის ნაშრომის სათაურში*“. მხოლოდ ის ვითხარით, გამოთქმა „*სიგყვის-გება*“, რომლითაც თქვენ იაკობის თხზულებას იხსენიებთ, იაკობს არ ეკუთვნის, ბაგრაგის ნაშრომის სათაურისეულია და ამ ორი ძეგლის სათაურები ერთმანეთისაგან ჯეროვნად გამოიჯნული არა გაქვთ-მეთქი.

რაც იაკობის თხზულების სათაურზე მოგახსენეთ, იგივე ვითარება გვაქვს დავით და ვაიომ რექტორების აღრევასთან დაკავშირებით. ჩემი სინდისიერების ეჭვის ქვეშ დაყენების მიზნით ჩემზე წერთ: „*კეთილსინდისიერი კაცი იმასაც იგყოფდა, რომ ჩემს «ქართულ ლექსმცოდნეობაში გაპარული შეცდომა – ვაიომ რექტორი დავით რექტორის ნაცვლად, მექანიკურია, რადგან «იაკობ შემოქმედელის» პირველ გამოცემაში (1986 წ.) გარკვევით მიწერია – «დავით რექტორი» (გვ. 34, 43). მკითხველს აგყუებთ, თითქოს, ეს თქვენი ხათქვამის შემდეგ გამესწორებიოს*“. ამას მოაყოლებთ გაბზაზოგადებულ დასკვნას: „*მაგრამ კეთილსინდისიერებაზე საუბარი ღია ბარათის ავტორთან მგლის თავზე სახარების კითხვაა*“.

ბატონო აკაკი, მკითხველს თქვენ თვითონ აგყუებთ, თითქოს მე ვარჩევდე, ეს აღრევა მექანიკურია თუ უცოდინარობის ბრალი. არა, ბატონო! „ღია ბარათში“ მე მხოლოდ აღრევის ფაქ-

გი მაქვს აღნიშნული და ოდნავადაც არ ვეხები იმას, რითია გამოწვეული. თანაც, მას ვახსენებ იმასთან დაკავშირებით, თუ 1997 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში, როცა თქვენ დასწრების მიზნით „აბდულ-მესიანის“ ავტორობის პრობლემაზე გამალებით ფაციფუცობდით, ჩემგან კონსულტაცია რა საკითხებზე მიიღეთ. აი, ჩემი სიტყვები: „რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემგან კონსულტაციებს ლებულობდით. მკითხეთ: «თამარიანში» ნახსენებია თუ არა «შპ-ნამეს» პერსონაჟები. ადრე მქონდა ნათქვამი და ახლა დაამუსტეთ, რომ ე.წ. «აბდულ-მესიანში» «არჩილის» მაგივრად «დავითი» და «თამარი» ჩაწერა არა გაიომ რექტორმა, როგორც თქვენს «ქართული ლექსმცოდნეობის» ორივე გამოცემაში გიწერიათ, არამედ დავით რექტორმა. მამუა ბარათაშვილის თხზულებათა ვივი მიქაძისეული გამოცემიდან მაკარნახებინეთ მამუკას სიტყვები იაკობის შესახებ და სხვა“. ეს არის და ეს!

ისე, ბატონო აკაკი, მაშინ არ დამიწერია, მაგრამ, რადგან „ქული გეწვით“, ახლა უნდა გითხრათ: ნამდვილად საეჭვოა, აღნიშნული აღრევა შემთხვევითი ხასიათისა იყოს. დიახ, ამგვარი „კალამისმიერი ლაფსუსისაგან“ დაზღვეული არავინაა, მაგრამ, როცა იგი ხუთი წლის შემდეგ მეორდება და მეორდება ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც საგანგებოდ ასწორეთ და აშალაშინეთ, მისი მექანიკურობა დამაჯერებლობას კარგავს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თქვენს წიგნაკში „იაკობ შემოქმედელი“ ის სწორადაა დამოწმებული, კარგად ჩანს, შეცდომისაგან რასაც გადაურჩენიხართ. დავით რექტორის სახელი სწორად სწორედ მექანიკურად გადმოგაქვთ „აბდულ-მესიანის“ გამოცემაზე დართული ი. ლოლაშვილის გამოკვლევებიდან, საიდანაც გაქვთ, საერთოდ, აღებული ცნობა „არჩილის“ „დავითითა“ და „თამარით“ შეცვლის თაობაზე.

ბატონო აკაკი, ჩემს რიგორიკულ შეკითხვაზე – „ეს ურთულესი პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად მე ექვსი თაბახი არ მყოფნის, თქვენ ათიოდე გვერდში როგორ ჩააგით“– მეთქი, პასუხად თქვენ თვალთმაქცობთ: ვითომც, ჩვენ შორის განსხვავება აზროვნებისა და წერის კულტურაში, აზრის მოკლე და მომჭორნელად გადმოცემის უნარსა და ოსტატობაში იყოს და არა საკითხთა დაყენებისა და გადაჭრის სიმრავლეში. განყენებულად აფრქვევთ ელემენტარულ ჭეშმარიტებას: „გააჩნია, ვინ როგორ წერს, მოგიერთმა კიდევ ექვსიც რომ მიუმბაგოს, შეიძლება მაინც ვერ დააჯეროს და დააკმაყოფილოს მკითხველი, რომელიც შეკლევარ-ლიტერატორისაგან არა მხოლოდ ფაქტების აღნუსხვას მოითხოვს, არამედ ანალიზს, აგრეთვე, დახვეწილ გემოვნებას და წერის მაღალ კულტურას“. ამას უმატებთ, რომ „ქალაქი და თვირი და უფრო კომპაქტურად უნდა ვწეროთ!“, რომ „მოვლენები კომპლექსში (ქართულია „კომპლექსურად“ – ბ. დ.) უნდა განვიხილოთ და არა ურთიერთიმოლირებულად“.

როგორ, ბატონო აკაკი, განა ე.წ. „აბდულ-მესიანის“ იაკობ

შემოქმედელისადმი კუთვნილების საკითხი შეიძლება ისე გადაიჭრას, თუ არ განვიხილავთ მის შემცველ ხელნაწერებს? რას იძლევა ამ თვალსაზრისით ქართული მწერლობა? მართლაც, არსებობს თუ არა ორგანული კავშირი შავთელის თხზულებასა და მას შორის? როგორც სამეცნიერო ლიგერაგურაში იყო მიღებული, ნამდვილად განიცდის თუ არა მის გაელენას „ისგორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „შაპ-ნამეს“ ქართული რელაქციები, თეიმურაზ პირველი და სხვა, თუ პირიქით არის? ან საკმარისია, ერთი მაგალითის ჩვენებით, როგორც თქვენ აკეთებთ, დადგინდეს „ვეფხისტყაოსანსა“ და მას შორის არსებული ურთიერთმიმართება? სწორია თუ არა მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულება, რომ ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ქების ობიექტი ქალია? ამის ასახსნელად როგორ უნდა გავიგოთ ქრისტიანული ცნება „სძალი“? რას წარმოადგენს ეს თხზულება ენობრივად? და ა. შ.

ეს საკითხები, ბატონო აკაკი, თქვენ წინაშე არასოდეს დასმულა, ხოლო, როდესაც მე დაესვი და განვიხილავ, თქვენთვის ისინი მოსაწყენი გულსერიალების მსგავსია!

ბატონო აკაკი, სინამდვილე ძალიან მარტივი და ნათელია. ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, თქვენი წიგნის „ქართული ლექსმცოდნეობის“ მეორე გამოცემა გამხელთ, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ კუთვნილების საკითხი თქვენთვის 1997 წლის გაზაფხულზეც „ჯერჯერობით კიპოთეზა“ იყო. ჭეშმარიტებად იგი რამდენიმე თვის შემდეგ, ოქტომბერში, გექცათ, ისე რომ, ხსენებული სახოტბო თხზულება და იაკობის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ იმ რამდენიმე თვეშიაც კი ერთი წუთითაც ხელში არ გჰკერიათ. ვიმეორებ, ისინი ჩემგან 28 ოქტომბერს, გვიან საღამოს ბონდო არველაძის ხელით ინათხოვრეთ. სხვათა შორის იმის მოწმეებიც არიან, ოპერაციის წინა დღეებში, შუა ოქტომბერში, კორნელი დანელიას ნაშრომს რომ დაექებდით. მე და, ვინც ეს ნაშრომი გათხოვათ, ხომ ვიცით, თქვენმა ძმამ, ბატონმა ელგუჯამ, ის როდის მოგიტანათ.

რა თქმა უნდა, როგორც თქვენ აცხადებთ, საერთოდ, ჩემი „ჭკუის საკითხავი არ არის, რამდენ ხანში“ ან „სალი თუ დაავადებული თვალთ“ „დაწერთ სტაგიას“, ოღონდ ჩემს კუთვნილ ქონებას როდის და რა ვითარებაში წამართმევთ, ამის თქმისა და აღწერის უფლება კი უნდა მქონდეს!

აქაც თქვენს ნაცად ხერხს მიმართთ: სინამდვილის დასაფარავად ცნობილი ჭეშმარიტების მოხმობით ბუქს აყენებთ, რომ „მეცნიერება შეხედულებათა ცვლის, მიღება-არმიღების, დაზუსტებისა და სრულყოფის რთული პროცესია“, ვითომცდა ეს პროცესები გაგველოთ და ყველაფერი მზამზარეულად არ აგელოთ.

მკითხველისათვის ბურჯის შესაქმნელად ამ „მეცნიერუ-

ლი“ მეთოდის გვერდით ხშირად მიმართავენ „ლიგერატურულ“ ემპაობასაც – მხაგრული ლიგერატურიდან მახვილ, შთამბეჭდავ სიტყვებსა და გამოთქმებს იმორწმებთ, რომლებსაც სინამდვილეში სინამდვილესთან არავითარი შეხება არა აქვს. ამის საუკეთესო ნიმუშია გალაკტიონ ტაბიძის მოხმობა. იმის ასახსნელად, რომ ე.წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორობის საკითხი 1997 წლის გაზაფხულზე თქვენთვის ჰიპოთეზა იყო, ხოლო ოქტომბერში უდავო ჭეშმარიტებაა, ერთის ხუმრობას – ამ მცირე დროში რა ლეთაებრივი სიმშარი ნახაო, თქვენ ასე უპასუხებთ: „გადაუყვით იმ თქვენს თანამშრომელს, მოძებნოს გალაკტიონის ლექსი, რომელშიც ასეთი სგრიქონებია: «მე ვხედავ სიმზრებს, არა თქვენებურს»“. აი, ისე დიდ და ნათელ მამხილებელ ფაქტზე თქვენი პასუხი!

სწორ ცნობას არ იძლევი, ბაგონო აკაკი, როცა ჩემზე ამბობთ, ვითომცა, „ვეუბნებოდი, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, სხეებიც დავისწროთ-მეთქი“. მე კი, თურმე, გავიძახოდი: „არა და არაო!“

ნამდვილად კი ასე იყო: როცა თქვენი განზრახვა გავიგე და ჩემს მუდარას – ეს საკითხი ხომ მე დავამუშავე და ექვსი თაბახი დაწერილი მაქვს-მეთქი, თქვენ უღმობელ „არგუმენტს“ უპირისპირებდით – მერე რაა, გამოქვეყნებული ხომ არა გაქვსო, მაშინ მე კი არ „ავხტი“, როგორც თქვენ წერთ, ბაგონო აკაკი, არამედ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნება გადავწყვიტე და ამის შესახებ ჩემს განყოფილებას ვაცნობე. იმიტომ, რომ მათ იცოდნენ, საკითხის ბოლომდე მიყვანამდე მის დაბეჭდვას არ ვაპირებდი. განყოფილებას ამ აჩქარების მიზეზი – ავტორობაში მეცილებიან-მეთქი, კი გავანდე, მაგრამ ეს რომ თქვენ იყავით, არ გამიმხელია და კარგა ხანს არ დავასახელებთ. მათ მაშინ ხან ვისზე მიიტანეს ეჭვი და ხან ვისზე, მაგრამ, ჩვენ ისეთი შეგობრობა გვქონდა, არც ერთს თქვენზე არ უფიქრია. ბოლოს და ბოლოს, როცა თქვენთან საერთო ენა ვერ გამოვინახე (ჩემზე ამბობთ, ჯიუგიაო, და ჯიუგობის კლასიკური სახე გამოავლინეთ), „ქვეყანა კი არ შევიყარეთ“, როგორც თქვენ წერთ, არამედ ოთხ თქვენს ახლობელს – ძველი ქართული ლიგერატურის განყოფილების ხელმძღვანელს რ ე ვ ა მ ბ ა რ ა მ ი ძ ე ს, თქვენს თანაკურსელს ე თ ე რ შ ა რ ა მ ე ნ ი ძ ე ს, თანაკლასელს გ ი ო რ გ ი (ჟორა) მ ა ხ ა რ ა ძ ე ს ა და თქვენს ძმას ე ლ გ უ ჯ ა ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ს მიემართე (თბილისში არ იყვნენ, თორემ გ ი მ ო ჭ ე უ ლ ი ძ ე ლ ა თ ე ი მ უ რ ა მ ბ ლ ო ი ა მ ვ ი ი ლ ი ც უ ნ და შემეწუხებინა): მიშველეთ, ამ ჩემს ნაშრომს ვერ ვაჩუქებ, თვითონ ვერ წამართმევს და საქვეყნოდ თავი მოეჭრება-მეთქი. ჟორა მახარაძეს ისიც მოეუყევი, რასაც დავწერდი. ჩემ მიერ დასახელებულ ყველა ფაქტზე, რომლებიც შემდეგ „ღია ბარათში“ შევიტანე, ის „ვაიმეთო!“ გაიძახოდა. ბაგონ ელგუჯას შევთავაზე – ძველი ქართული ლიგერატურის სპეციალისტი ბრძანდებით, დავგსვი ორივე და საქმე გავარჩიოთ-მეთქი.

ყველა ჩემი ეს ძალისხმევა ამო გამოდგა!

როცა თქვენი წიგნაკი გამოვიდა და საპასუხოდ „ღია ბართი“ დაეწერე და „კალმასობის“ რედაქციას გადაეციე, აი, მაშინ კი, ბატონო აკაკი, მართლაც, მომმართეთ – დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ამის წინააღმდეგი არც მაშინ ვიყავი, მაგრამ, როცა რედაქციიდან წერილის გამოგანაზე ვერ დამითანხმეთ, ამ შეხვედრაზე ხელი თქვენ თვითონ აიღეთ.

ასეთია სინამდვილე და არა ისეთი, როგორც თქვენ დროის გარეშე, თავმოკვეცილიდ წარმოადგინეთ!

ჩემი საპასუხო წერილის დაწერას თქვენ იმით ხსნით, რომ მე ვარ ჯიუტი, ბოლშევიანი და გაბოროტებული კაცი და იმიტად – „წამქეშებელი მყავს“.

დანარჩენი, ვინც მიცნობს, იმან განსაზღვროს, ოღონდ ამ უკანასკნელის შესახებ კი უნდა ვთქვა: თქვენთან ურთიერთობაში დიდი გულუბრყვილობა კი გამოვიჩინე, მაგრამ ამ ხნის კაცი ისეთი სულელი როგორ ვარ, ჩემს ნაშრომს მართმევენ და მასზე ხმის ამოსადებად წამქეშებელი მჭირდებოდეს?!

ბატონო აკაკი, მე თქვენ რა სიგყვებით არ მლანძღავთ. გარდა აღნიშნულისა, ვყოფილვარ „*ქეღაზის შესაშური უნარის*“ მქონე, „*გონება და თვალარეული*“, „*სალი განსჯის უნარი (თუკი ეს საერთოდ გამაჩნია) დამიკარგავს*“, ჩემს „*ობროლობას*“ რა გამოლოვებს“ და ა. შ. (ლექსიკონში ჩავიხედე და გავიგე, „ობროლი“ კუთხური სიგყვაა და ნიშნავს უჭკუოს, ჩერჩეგს) და რისთვის ყველაფერი ეს? – იმისათვის, რომ ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი ვერ დაგითმეთ!

ჩემი ჯიუტობისა და თქვენი ჩემდამი მეცნიერული დახმარების დასადასტურებლად იხსენებთ: „*საერთოდ, ალბათ, ახსოვს, ბევრი რამ მირჩევია მისთვის. როცა ვახტანგ მეექვსის პოეზიას იკვლევდა და მითხრა, პატრიოტიზმი არ ახასიათებსო, მოვავიწყებ – «რა სჯობს მაისში გვილისსა, ვარდი ვარსკვლავებზესხასა».* არ დამიჯერა, ჯიუტია და მისი დისერტაციის დაცვის დროს, მგონი, ყველა ოპონენტს ეს შენიშვნა ჰქონდა. წყევლაა ასეთი: *ღმერთმა შენი არ გაყოდინა და სხვისი არ დავაჯერაო*“.

ბატონო აკაკი, თუკი ასეთი შემთხვევა ბევრი იყო, ეს უმაქნისი მაგალითი რამ მოგაყვანიხათ!

ჯერ ერთი: ვახტანგის იმ ლექსის შესხენება მე რად მჭირდებოდა, რადგან ის და სხვა უამრავი მასალა მაქვს განხილული.

მეორე: ვახტანგ მეექვსის პატრიოტიზმს არათუ უარეყოფ, პირიქით, ამ მხრივ მის დამსახურებას სათანადო მაგალითების მოხმობით ნათელყოფ და უდიდეს შეფასებასაც ვაძლევ. რასაც არ ვიზიარებ და უარეყოფ, ეს არის მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულება – ამ უდიდესი პატრიოტი მოღვაწის პოეტურ შემოქმედებაში პატრიოტული მოტივის, როგორც ასეთის, არსებობის შესახებ. დისერტაციის დაცვისას მოგიერთმა გამომსულელმა ამ ახალ ხილს ეჭვის თვალით, მართლაც, შეხედა და უარყოფითი დამოკიდებულებაც გამოამჟღავნა, მაგრამ საპირის-

პირო არაფერი მოუციათ. ჩვენი ეს თვალსაზრისი ცალკე თავად შესულია 1988 წელს გამოსულ ჩემს წიგნში „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ (გვ. 326 – 359). ამ წიგნის გამოცემიდან 11 წელი გავიდა, მაგრამ ჩემ მიერ იქ მოყვანილი არგუმენტაციისა და მსჯელობის დარღვევა აქამდე არვის უკლია.

ასე, რომ თქვენი რჩევები ერთობ პრიმიტიულია და აღნიშნულ საკითხში ჯიუტი მე კი არა, ფაქტებია!

თქვენი ჩემდამი ლანძღვა იმდენად შორს მიდის, სამიშ პიროვნებადაც მსახავთ. „მინდა ვურჩიო ღ. დარჩიას ახლობლებს, – წერთ თქვენ, – მასთან ურთიერთობაში ურთხილად იყონ“ (ლიტერატურულია „იყვნენ“).

უცნაური მსჯელობა და განსჯაა, ბატონო აკაკი! ჩვენს მეგობრობაში თქვენ რა იკადრეთ და იკისრეთ და საფრთხილო და სამიში მანის მე ვარ?!

ბატონო აკაკი, თქვენ უარყოფთ ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებას, რომ „ვერ გავგივიათ“ კ. დანელიას ნაშრომი, „სადაც ავგორი ვითომ ამტკიცებდეს...“ და მომყავს თქვენი სიტყვები – „აბდულმესიანის ეზა, ლიხვიცური ახალიზის მიხედვით, ვერ თავსდება კლასიკური მწერლობის პერიოდში“.

ქასუხში ჩემზე წერთ: „თავად ვერ გაუგია ჩემი ნაწერი“, „არსად არ მითქვამს, რომ კ. დანელია ამას «ამტკიცებს», რომ მის ნაშრომში ეს «წერია». რა ძნელი მისახვედრია?! მხედველობაში მაქვს, რომ ეს გ ა მ ო დ ი ს მისი ნაშრომიდან“.

ახლა გადავშალოთ თქვენი წიგნაკის 52-ე გვერდი, სადაც იკითხება: „კორნელი დანელიას ნაშრომში (...) ლიფურენციურებული არ არის «თამარიანისა» და «აბდულმესიანის» პოეტური მეტყველება. ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა, რომ ორივეგან შეინიშნება მიღრეკილება კლასიკური პერიოდის ქართულთან დაცილებისა...“

აქ, ბატონო აკაკი, მართლაც, არ გიწერიათ სიტყვები „ამტკიცებს“ და „წერია“, მაგრამ „ნათქვამია“-ო, ხომ ამბობთ. მე ხომ ციგატა არ მომყავდა, თქვენს ნააზრევს ჩემი სიტყვებით გადმოვიცემდი. განა „ნათქვამია“ სხვას ნიშნავს? ყოველ შემთხვევაში, „გამოდის“ სულ სხვა რამ არის, ვიდრე „ნათქვამია“. კიდევ გიმეორებთ, კ. დანელიას ნაშრომში არსად „ნათქვამია“ არ არის, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანი“ ან „თამარიანი“ „ვერ თავსდება კლასიკური მწერლობის პერიოდში“!

ახლა, ბატონო აკაკი, თავგამოდებით და ურცხვად უარყოფთ ჩემს შენიშვნას „ახალი თვალსაზრისის გამოქვეყნების დ ა ს წ რ ე ბ ი ს“ თაობაზე და მაშინდელ (1997 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში) თქვენს ისეთ გამალებით და თავდაუზოგავ მუშაობას, რომ ნაოკერაცივე თვალს მოშუშებისათვის ორიოდ დღეც არ აყალბეთ, იმით ხსნათ, თითქოს იაკობის დაბადების საიუბილეო, 350-ე წელი, იღბა და ამ თარიღისათვის გინდოდათ წიგნაკის მოსწრება. თავი რომ დაეანებოთ თქვენს მცდარ შეხედულებას, ვითომც

იაკობი დაბადებული იყოს 1647 წელს, საიდანაც საიუბილეო რიცხვი გამოვყავთ, უნდა გკითხოთ: რატომ ნოემბერში ფაქტურად და, წინა წელს თუ არა, იმ წლის იანვრიდან ოქტომბრამდე რამ შეგიშალათ ხელი იმ ათიოდე გვერდის დაწერაში?! რატომ მომზადებული არ შეხვლით საპატრიარქოს მიერ საგამომცემლო ლიმიტის გამოყოფას?! თუ არა დასწრების სურვილი, სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წიგნაკის მეორე გამოცემაში საგანგებოდ უთითებთ გაბზეტურჯი ეროვნებისა“-ში 3-4 თვით ადრე დაბეჭდილ თქვენს წერილს, სადაც შეყვლილ თვალსაზრისს აყენებთ (გვ. 65). მაშინ როდესაც თქვენი წიგნაკის მთელი ტექსტი 1982 წელს, პირველი გამოცემიდან ოთხი წლით ადრე, გაბზეტურჯის დროში“-ში გამოაქვეყნეთ, მაგრამ წიგნაკის რომელიმე გამოცემაში მისი აღნიშვნა არ გაგხსენებიათ!

ჩემს „ღია ბარათში“ დავიწერეთ, მაგრამ, რადგან არა და არ იშლით და კვლავ და კვლავ სიგყვების თამაშით მკითხველებს ფოკუსს უგარებთ, ერთხელ კიდევ უნდა მიუხერხებლეთ იმ ძირითად საკითხს, თითქოს თქვენ მიერ გამოთქმულ თვალსაზრისსა (იაკობი პლაგიატორი არ ყოფილა) და ახალ შეხედულებას შორის (ე. წ. „აბდულ-მესიანი“ მისი ნაწარმოებია) რაღაც კავშირი არსებობს, პირველმა მეორეს წარმოშობას შეუწყო ხელი. ვინც წაიკითხავს თქვენს სიგყვებს: „ჯერ იყო და მთელ მეცნიერულ ელიტას დაუეპირისპირდი - უსამართლოდ სდებთ ბრალს პლაგიატორობაში-მეთქი. ერთადერთი აღვეუქვით წინ დაკანონებულ თვალსაზრისს...“ „ჩემი თავგამორღებული მტკიცება, რომ იაკობ შემოქმედელი არ შეიძლება ყოფილიყო სხვისი თხზულების მიმთვისებელი, დააგვირგვინა მოსაზრებამ - არა თუ მიმთვისებელი იყო, იგი ავტორია ამ თხზულებისა“, მართლაც, დაიჯერებს იმ თქვენ სიგყვებსაც, ვითომც „ახალი თვალსაზრისი (...) გარკვეულწილად ძველთაყ იყო შემზადებული“. დაიჯერებს და აღგაცეებითაც იგყვის: ყოჩაღ, მეცნიერო!

სინამდვილე კი, ბაგოხო აკაკი, ვიმეორებთ, ის გახლავთ, რომ თქვენ მაშინ, წიგნაკის პირველი გამოცემისას, მიგაჩნდათ, უცილობელი იყო გავრცელებული და მტკიცედ დამკვიდრებული შეხედულება, რომ იაკობმა ნამდვილი „აბდულ-მესიანიდან“ ამოშალა თამარისა და დავითის სახელები და შათ ნაცვლად ჩაწერა „არჩილი“ და ეს, თურმე, მაშინდელი ჩვეულებრივი, მიღებული წესი ყოფილა. კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ, აი, რას წერდით თქვენ მაშინ: „ფაქტი თამარისა და დავითის ქების არჩილ მეფის ქებად გადაკეთებისა, ცხადია, უცილობელია. ცნობილმა მწიგნობარმა დავით რექტორმა XLI საუკუნის დასაწყისში გაარკვია, რომ «არჩილ მეფის ქების» სახელით ცნობილი თხზულება არის «თამარისა და დავითის ქება» (შავთელის «აბდულმესიანი»). არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ «აბდულმესიანის» «არჩილ მეფის ქებად» გადაკეთებული იაკობ

შემოქმედელია“ (გვ. 33–34). მერე ცდილობთ ყოვლად აბსურდულის დამტკიცებას, „რომ ეს ძველთაძველი გრადიციით ნაკარნახევი მოქმედება იყო“ (გვ. 40).

მაპატიეთ და, აქ ყველაფერი ისეა ჩამოყალიბებული, როგორც ერთ გურულ ხალხურ საგირულ ლექსში: „გაგაკეთე სამი შეილი, მაინც ქი ვარ ქალიშვილი!“.

როგორ შეიძლება, ეს სრულიად უმაქნისი მსჯელობა, არარაობა ვინმეს ჭეშმარიტების დადგენაში დახმარებოდ?!

ბატონო აკაკი, თუ სინამდვილეს თვალს ვაუვსწორებთ, დაუინახავთ, აქაც „მამლის ბოლო“ ისე პარპარებს, რომ თქვენს მეცნიერულ „სინდისს“ ნათლად და მკვეთრად წარმოაჩენს!

ბატონო აკაკი, იმაში კი მართალი ბრძანდებით, რომ შემოქმედში მოხსენების წასაკითხავად ჩემი მიწვევა თქვენი ინიციატივით მოხდა; ლექსმცოდნეობის ორი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, სადაც მე მოხსენებებით გამოვედი, და ორივე თქვენ მიერ იყო მომზადებული. მაგრამ ეს „ღია ბარათში“ არ აღვნიშნე იმიტომ, რომ სადავო საკითხთან ამ ამბავს არავითარი კავშირი არა აქვს. ამგვარი კეთილი ურთიერთობის მოგონებას რომ გავყვე, სათქმელი, მართლაც, ბევრია. მე თქვენ და თქვენი ოჯახი გულწრფელად მიყვარდით. სადღეგრძელოში მითქვამს და ახლაც გავიმეორებ – თქვენს ოჯახში, თქვენს სუფრასთან ბევრი ღხინი და სიამე მინახავს და მახსოვს – ამოჭმული სულით რომ მოვსულვარ, შეება მიმიღია და ამადლებული გრძნობით წამოვსულვარ. მე ყოველთვის ვცდილობდი, გაჭირვებისას მხარში ამოგდგომოდით და ჩემს ყველა საბედნიერო წუთს გვერდით მყოლოდით. ამიტომ იყო, როგორც უფროს მეგობარს, დაგითმეთ იაკობ შემოქმედელის შესახებ ჩემ მიერ მოპოვებული მასალები, შემდეგ - ალტაცებით გიყუებოდით, რასაც ვაღწევდი მის კვლევაში. ამიტომაც იყო, როცა თქვენ ჩვენს ამ ურთიერთობას, რბილად რომ ვთქვათ, ხაზი გადაუსვით, ყოველნაირად ვცდილობდი, მეცნიერებისათვის ამ საძრახისი საქმისაგან მეხსენით. . .

„თქვენს სინდისზე იყოს ჩემი თვალის ოპერაციასთან დაკავშირებული ირონიები!“ – წერთ თქვენ. არა, ბატონო აკაკი, ჩემს ღია ბარათში“ ირონიისა და განყენებული სალანძღავი სიტყვებისათვის, როგორც ახლა თქვენ აკეთებთ, არ მიმიმართავს. როცა იმ ბარათს ვწერდი, კარგად ვიცოდი, ჩემს ძვირფას აღამიანს თავს ვჭრიდი და იქ სასაცილოდ და საირონიოდ საქმე არ მქონია. მე ის გრძნობა მაწვალებდა, რაც შოთა ნიშნიანიძეს თავის პლაგიატორთა მიმართ განუცდია: „ახლობელ აღამიანზე აუგის თქმა საშინელებაა, – გვეუბნება პოეტი, – მაგრამ გაჩუმება შეუძლებელია. ჩემს წინაშე ორი კოცონი გიბვიმებს: ერთი

მეგობრის, მეორე ჭეშმარიტებისა და ერთ-ერთზე უნდა გავიღე“ (დასახელებული ვაშეთი). მე მგონია, ჩანს, „ღია ბარათი“ თავიდან ბოლომდე დიდი მწუხარებითა და წუხილითაა დაწერილი. მაგრამ, თუ სადმე ესა თუ ის ადგილი სხეანაირად, ირონიად და ლანძღვად, წარმოგვიდგება, თვითონ იმ სინამდვილის ბრალია, რასაც წარმოვაჩენ. თუ თქვენი ახალნაოპერაციევი თეალის სიმსივნესა და ჩასისხლიანებას აღვნიშნავდი, იმიტომ, რომ მკითხველისათვის მეჩვენებინა, როდის და რა ვითარებაში წერდით წიგნაკის ახალ თავს, რათა მისი გამოქვეყნება ჩემთვის ღაგესწროთ.

გულწრფელია ჩემი რჩევა აღსარების შესახებ. მინდოდა, სინდისის მგახვაველი ქენჯნისაგან მეხსენით, რადგან, ისევე მოთა ნიშნიანიძეს რომ დავესესხოთ, „სინდისის ქენჯნა თვითგანკითხვაა (...), სულთამბუთაეად და მაჯლაჯუნად აწეეს ადამიანს გულზე (-), სამინელი თვითგვემაა, მორალური მახსეი-ვახსეი და უსისხლო ხარაკირია. სინდისის ქენჯნის დროს დოლაბებში იღვრება და იფქეება ადამიანი (...), კაცი თავის ნებით აღის სახრჩობელამე, რომლის ყულფი მაშინვე კი არ აღრჩობს, არამედ ნელ-ნელა, ნელ-ნელა (...), სინდისის ქენჯნა გილიოტინაა, რომელიც მაშინვე კი არ ჭრის თავს ადამიანს, არამედ ნელ-ნელა ხერხავს, ნელ-ნელა (...), სადისგურად (...), ინკვიზიციის კოცონია, რომელმედაც ნელ-ნელა ხრჩოლავს მსხვერპლი (-), თეთრსისხლიანობაა, ნელ-ნელა რომ ამრობს ადამიანს და ნელ-ნელა უღებს ბოლოს (...), ის ჭლეტი, ის კიბო, ის ჯანდაბა და დომანაა, თანდათან რომ აღნობს, თანდათან აჭკნობს და ფიგავს ადამიანს“ (იქვე).

ბატონო აკაკი, ბოლომდე რომ გულწრფელი ვიყო, უნდა ეთქვა: როცა „ღია ბარათი“ გამოვაქვეყნე, საღდაც გულის კუნჭულში ვწუხდი და ვნანობდი: იქნებ, ამ კაცს ეს რაღაც ასაკობრივი შინაგანი ცვლილებების გამო მოუვიდა, როგორც გურიიში იგყვიან – „მარცხი ელანბეა“. ჩემი მონოგრაფიული ნაშრომიდან გარკვევით ჩანს, ვის რა წვლილი მიუძღვის საღაეო საკითხის შესწავლაში და, ეგებ, აუცილებელი არც იყოს ამ საქმის ასე საამკარაომე გამოგანა-მეტი. მაგრამ თქვენი პასუხის წაკითხვამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ თქვენი საქციელის ამგვარი გაკეთილშობილება უაშროა. „ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“ იმავე მეცნიერული „სინდისითაა“ დაწერილი, რითაც თქვენი წიგნაკის „იაკობ შემოქმედელის“ დამაგებული თავი!

ბატონო აკაკი, თქვენ უმევერად მლანძღავთ, მწყევლით კიდეც – „ქვა და ისარი არ გამოგლეოდეს!“-ო. მე კი კვლავ ჯანმრთელობას, დიხანს სიცოცხლესა და შრომის უნარს ვისურვებთ. ღმერთმა სწორ გზაზე გაგაროთ!

ბორის ღარჩია
6 ივლისი, 1999 წ.

მინაწერი: ამის შემდეგ მისთვის ნიშანდობლივად გვესახება აკაკი ხინთიბიძის პრეტენზია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტგომეულის მომზადებაში მისი რაღაც წვლილის შეგანაზე. ბატონი აკაკი ბრძანებს: „საერთოდ, გომების შემდგენლები ხშირად მეკითხებოდნენ გექსტან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, რომელთაგან მოგს ითვალისწინებდნენ, მოგს – არა“ (გალაკტიონოლოგია, II, 2003, გვ. 376). ამას ცოცხლად დარჩენილ გომის მომზადებელთა მკვეთრი უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა: „ჩვენ, ვალაკტიონის აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე გექსტოლოგები, ვაცხადებთ და ვადასტურებთ, რომ მსგავსი შემთხვევა არასოდეს ყოფილა...“ (რუსუდან კ უ ს რ ა შ ვ ი ლ ი, ლამარა მ ე გ რ ე - ლ ი შ ვ ი ლ ი, ლეილა ს ა ნ ა ძ ე, მხოლოდ რეალიკა, გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 9–15 ივლისი, 2004, № 27, გვ. 9).

პლაგიატორი არ ცხრება

იმდენად დიდია პროფესორ აკაკი ხინთიბიძის სურვილი (მისი გამოთქმით, „ჟინი“), იყოს ერთ–ერთი ავტორი იმ თვალსაზრისისა, რომ ე. წ. „აბდულ–მესიანი“ იაკობ შემოქმედელის ნაწარმოებია, ის კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და სამი წლის წინ (თავისი წიგნაკის „იაკობ შემოქმედელი“ მეორე გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ) გაზეთ „კალმასობაში“ ბეჭდავს წერილს: „რამდენიმე დამატებითი ცნობა «არჩილ მეფის ქების» სასარგებლოდ“ (2002, № 8, გვ. 14–15).

ბატონი აკაკი აქ მოყვანილ ბევრ მასალას იმეორებს იმავე წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ გამოქვეყნებულ თავის ნარკვევში: „ჩახრუხადის რითმა“ (№ XXIII, გვ. 440–448), ოლონდ, საკვირველია, ე. წ. „აბდულ–მესიანი“ მოხსენიებული აქვს პირდაპირ „აბდულმესიანად“, ზოგჯერ შავთელისეულადაც და არსად – იაკობ შემოქმედელის ქმნილებად. უბრალოდ, გვიჩვენებს ვერსიფიკაციული, უფრო, რითმის მხრივ მასა და „თამარიანს“ შორის მსგავსება–განსხვავებას. მხოლოდ ესაა, იმოწმებს ი. ლოლაშვილის შეხედულებას, რომ შავთელის „აბდულმესიანი“ „თამარიანზე“ ორი წლით ადრეა დაწერილიო და რითმის მიხედვით ცდილობს საპირისპიროს დასაბუთებას. ამასვე აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ მის გვიანდელობაზეც, მაგრამ არაფერს ამბობს, მაინც სანამდე მოდის ეს გვიანდელობა.

ვინაიდან აქ („ლიტერატურულ ძიებანში“) ავტორი მოხმობილ მასალებს არ იყენებს საძიებელი ხოტიბის ავტორობის განსასა-

ზღვრავად, ამ სტატიას აღარ განვიხილავ და შევჩერდები „კალ-მასობაში“ მოთავსებულ წერილზე.

თუ მას აქამდე არ გამოვეხმაურე, იმიტომ, რომ თავის პასუხში „ამან ეს თქვა, იმას ის თქვა“ უწერია: „ჩემს მოსაზრებებს «აბდულ-მესიანის» ავტორობასთან დაკავშირებით უფრო პრესტიჟულ კამათში წარმოვადგენ“. ამას პრესტიჟულობის არაფერი სცნია და დაველოდე, ამ საკითხზე ჩემი გამოკვლევების გამოქვეყნების შემდეგ, იქნებ, ის დასმულ საკითხს, ბოლოს და ბოლოს, საღად მიუდგეს და, თუ რაიმე საყურადღებო, მნიშვნელოვან საბუთს ვერ წარმოადგენს, კვლევის ისტორიაზე სიმართლე მაინც თქვას—მეთქი.

მაგრამ უკეთესობა არა და არ ჩანს!

მიეყვით ამ წერილს თანმიმდევრულად.

1. ბატონი აკაკი აქაც იმეორებს მანამდე ცნობილ ან მის მიერ აღრე მოხმობილ უსარგებლო მასალებს და, რასაც ახალს უმატებს, ისიც ამგვარივით.

ახლა ბატონი აკაკი განიხილავს „აბდულ-მესიანზე“ ცნობების შემცველ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის სტროფს და დასმულ საკითხზე პასუხს იქ „ზედავს“. ვითომც ამ მხრივ რაიმეს გვეუბნებოდეს ის, რომ (მოგვყავს მისი სიტყვები) „ეს ფსევდორუსთველური სტროფი რამდენამდე უკმარისობის გრძნობას იწვევს. ჯერ ერთი კლასიკური ხანის მეგლებს შორის ნახსენები არ არის ჩანჩუხაძის «თამარიანი». რუსთველის შემდეგ თუ შეიძლება ვინმეზე ითქვას თავისი ჰერსონაჟი უქიანო, უპირველეს ეოვლისა, ჩანჩუხაძის «თამარიანის» თაობაზე უნდა ითქვას“.

არა გვერდია, რაიმე უხერხული ან შეუსაბამო იყოს იმაში, რომ პოეტს თავისი შეხედულება აქვს მაშინდელ მწერლობაზე და ასახელებს ისეთ ქმნილებებს, რომლებიც მოსწონს და აღნიშნის ღირსად მიაჩნია. მას რომ ბატონი აკაკის შენიშვნის ლოგიკით ესარგებლა, ის ვალდებული იქნებოდა, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ და „თამარიანისა“, ბევრი თხზულება დაესახელებინა, სადაც კი მწერალი თავის პერსონაჟებს აქებს, მათ შორის, „შუშანიკის წამებაც“!

„მეორეც, — განაგრძობს ავტორი, — დასახელებული სამი ჰერსონაჟი: ამირან დარეჯანის ძე, დილარგეთი, ტარიელი «ამირანდარეჯანიანში», «დილარგეთიანში», «ვეფხისტყაოსანში» ჰირდაპირი სახედებით არიან წარმოდგენილნი, მეოთხე კი — აბდულმესია «აბდულმესიანის» სახელწოდებით ცნობილ თხზულებაში ხაერთოდ არ გვხვდება“.

თავი რომ დაეანებოთ დ ი ლ ა რ გ ე თ ს, რადგან რა თხზულება იყო ის, არ ვიცით, სამეცნიერო ლიტერატურაში ხომ ჯეროვანი ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ საძიებელ ხოტბაში სიტყვა „აბდულმესია“ არსად არ არის ნახსენები, მაგრამ რა მივიღეთ აქედან? – მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ადრე რამდენიმემ და ბოლოს კ. კეკელიძემ თქვა: ეს შესხმა ის „აბდულმესია“ არ არის, რაც „ეფუხისტყაოსნის“ ეპილოგშია ნახსენებიო. ამას იქით არვინ წასულა, ეჭვი არვის დაბადებია, რომ იგი შავთელის თხზულება არაა, იაკობ შემოქმედელის ავტორობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია და ზედმეტი, – ამაზე ერთი წუთითაც არვის უფიქრია! უფრო მეტიც, არავინ და, რა თქმა უნდა, არც აკაკი ხინთიბიძე ბატონი კორნელის მიხვედრამდეც არ ამალღებულა. ახლა კი მას ახსენდება მისი დებულება და მეცნიერულად დაფიქრებული კაცის პოზით, როგორც საკუთარი მიგნება, წერს: „მართებული უნდა იყოს კ. კეკელიძის აზრი: «აბდულმესია» რაღაც სხვა თხზულება ეოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია“.

დიახ, მას შემდეგ, რაც საკითხი დღესავით ნათელი საბუთებით ნათდება, მსჯელობა იოლია!

რა ჰქვია ამას?!

2. ახლა ასევე ადვილია ი. ლოლაშვილის ვარაუდის კრიტიკა, რომ დავით რექტორის „განკარგულებაში უნდა ეოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოდღეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ“. მანამდე ბატონ აკაკის ეს სიტყვები საჩოთიროდაც არ გაუხდია. საგანგებო ნაშრომში „რა წყარო ჰქონდა დავით რექტორს“ (გამოკვლევის ქვესათაურია) განხილული და ნაჩვენები მაქვს, „რამაც განსაზღვრა მისი თვალსაზრისის ჩამოყალიბება“ (ვაზ. „კალმასობა“, 1997, № 12, გვ. 8.). თავი დაეანებოთ იმას, რომ ბატონ აკაკის მისი შინაარსი დაბეჭდვამდე გავაცანი, ახლა კი ის, როგორც საკუთარი მიხვედრა, წერს: „«უნდა ეოფილიყო» არ გამოდგება ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად“.

რა ჰქვია ამას?!

3. ახლა ბატონი აკაკი რიტორიკულად კითხულობს: „ნუთუ არც ერთმა მაშინდელმა პროტმა, ლიტერატორმა, მოღვაწემ (...), მით უმეტეს, არჩილ მეფემ (...) არ იცოდა, რომ სამების ეკლესიის წინამძღვარმა იაკობმა უაღბისმქნელობა ჩაიდინა?“

ეს კითხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ადრევე დაისვა და მასზე სხვებზე მეტად ი. ლოლაშვილმა გაამახვილა ყურადღება, მაგრამ

არც ერთს, მათ შორის, არც ბატონ აკაკის აქედან სათანადო დასკვნა არ გამოუტანია.

საგანგებო ნაშრომში იმთავითვე განხილული მაქვს XVII–XVIII საუკუნეების მოღვაწეთა, კერძოდ, არჩილისა და მამუკა ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და იგი იაკობის სასარგებლო საბუთადაც დასახელებული. არჩილზე მიწერია: „კარგი, ადვილად შეველიეთ და გავწირეთ იაკობ შემოქმედელი, რა გამოდის, – ვინ უოფილა არჩილი? (...), გვინდა თუ არ გვინდა, თვალსა და ხელს შუა მაგრად გველანძება: მეფე-ჰოქტი ან იმდენად უეციცა, რომ ადვილად გააცურა მღვდელმთავარმა იაკობ შემოქმედელმა და ვერ ატუობს, რას წარმოადგენს მისადმი მიძღვნილი მხატვრული ქმნილება, ან იმდენად ხარბი და სულმოკლეა, რომ იცის, მაგრამ შეიფერა და მიითვისა იგი და არ აწუხებს, რომ ქართულ კულტურას დაეკარგა ძველი ძეგლი, ეს კი აბსურდია!“ („კალმასობა“, 1998, № 1. ხაზგასმა მაშინდელია).

სხვაგან, სადაც იაკობისთვის იუბილის გადახდას მხარს ვუჭერ, აღვნიშნავ: „ამით (პლაგიატორად გამოცხადებით – ბ. დ.) გალანძღული იყო არა მარტო იაკობი, არამედ არჩილ მეფეც! იუბილე კი სასიქადლო მამულიშვილებისადმი ერთგვარი ბოდიშის მოხდაც იქნება“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, № 50, გვ. 3).

ამის შემდეგ, როცა, სულ ცოტა, სამი წელია გასული (ზეპირ საუბრებს რომ თავი დავანებოთ) და აღნიშნული შეფასება ბატონ აკაკის ისე მოჰყავს, როგორც საკუთარი, რა ჰქვია ამას?!

4. ბატონი აკაკი წერს: „ისიც სადავოა, თითქოს ჰოქმის შინაარსი იმდროდეს მასალას, რომ იგი არა XVII საუკუნის, არამედ XII საუკუნის ჰოქტური აზროვნების ნაყოფად მივიჩნიოთ“.

ჩემს მანამდე გამოქვეყნებულ წერილებში ამაზე არაერთხელაა ყურადღება გამახვილებული. მაგალითად, წარმოჩენილია, თვით არჩილი, მისი უფროსი თანამედროვე და მასთან დაახლოებული იაკობი, მათი საქმის გამგრძელებელი მამუკა ბარათაშვილი როგორ იღვწიან ქართული ლექსის განახლებისათვის, სახელდობრ, ჩახრუხადის „თამარიანის“ იდეურ და მხატვრულ თავისებურებათა გაცოცხლებისა და დანერგვისათვის, რამაც სწორედ განაპირობა ე. წ. „აბდულმესიანის“ წარმოშობა. არც ისაა უყურადღებოდ დატოვებული და, არჩილის მიერ „თამარიანის“ გაგებიდან გამომდინარე (რაც ასახულია მის ჩახრუხაულ თხზულებაში „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“), შესაძლებლადაა მიჩნეული, ე. წ. „აბდულმესიანში“ XII საუკუნის ამბებიც იყოს გახსენებული, მაგალითად, ლიძანა/ლიძონას ამბები („მაცნე“, ელს,

1995, № 1-4, გვ. 75-84. „ლიტერატურული ძიებანი“, 2000, № XXI, გვ. 133-145).

ბატონი აკაკის დასაბუთება მხოლოდ და მხოლოდ ეს არის: „ადრინდელ რეალიზებზე წერა შემდეგდროინდელ მწერალსაც შეეძლო, ხოლო საკუთრივ ჰოქმაში დაკვირვებული თვალი არჩილის ჰიროვნებას უფრო შეიცნობს, ვიდრე თამარისას და დავით სოსლანისას. ამის დასტურია არჩილის უიღბლო მეფობის მანიშნებელი სტრიქონები...“

ბატონი აკაკი ამასვე წერდა თავისი წიგნაკის მეორე გამოცემაში (გვ. 51-52). მაშინ იქ ასევე „დაკვირვებული თვალით“ არჩილს ხედავდა ზოტბის იმ სტროფებში, სადაც საქები გმირის სიბრძნესა და განსწავლულობაზე საუბარი (სტრ. 55- 53- 71- 77- 97- 99- 101).

მაშინ ორივე სახის სტროფებზე მიუვითითე, რომ „ტყუილია, ამ გამოთქმებში რაიმე საკუთრივ არჩილისეული ჩანდეს“ („კალმასობა“, 1998, № 13).

ბატონ აკაკის ეს შენიშვნა ყურად უღია სანახევროდ: ამოუღია ის სტროფები და მათზე მსჯელობა, რომლებიც სიბრძნესა და განსწავლულობას ეხება და დაუტოვებია ისეთები, რომლებიც, მისი აზრით, „არჩილის უიღბლო მეფობის მანიშნებელია“. ასეთებად ესახება სამი სტროფი. აი, ისინი მთლიანი სახით:

„თუცა ვიტყვი, უწყვი: ვიტყვი, ენამცა ბრგენილად დამეყებლოსა.
ვის უთხრნე ჭირნი, ძნელად დამჭირნი ანუ სხვა ვინმცა მეიმედოსა?
შეგეფეროდა, გმირო, ქველო—და, სრულ კმელთა ფლობა სამეუფოსა!
მა ლეგეონსა მალე გეონსა, დაანთქემდ უყსა საუფსკრულოსა“ (96).

სად არის აქ რაიმე „არჩილის უიღბლო მეფობის მანიშნებელი“?! პირიქით, საქები პირი ძლევაშობილ მეფედ არის წარმოდგენილი. გაჭირვებას კი პოეტი თავისას მოთქვამს, რომ მას უჭირს, ძალა არ შესწევს, მშველელს ვერ ხედავს, რომ ასეთი გმირი და ქველი მეფე ღირსეულად შეამკოს და წარმოაჩინოს.

მსგავსი ვითარებაა დასახელებულ შემდეგ სტროფშიაც:

„ეცხლი ბნელისა გარესენელისა, და წამლიანი მატლი ღრჭენისა,
მოსრვა ნუფხვითა, ძნელთა სიტყვითა, თოვლით, წვიმითა, ღვარ—ნაფშვენისა
ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს, ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა,
ღელე გლოვისა ექმნას გლოვისა, ჟამნი მოუკლეს ცრულთა ღენისა“ (104).

მეზობლებე აქ იმას კი არ აღნიშნავს, ვითომც პირველ ორ და მეოთხე სტრიქონებში ჩამოთვლილი საშინელებანი მისი პერსონაჟის ხვედრია, არამედ იმას, რომ იგი იმდენად ძლიერია, აღნიშნული უბედურებანი თავს დაატყდება მისადმი ორგულობისა და ურჩობის გამოჩენს. ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, არჩილ მეფე ასეთი არასოდეს ყოფილა და ნათქვამი მხოლოდ პოეტის სურვილისა და ოცნების ნაყოფია.

კიდევ უფრო მეტ გაოცებას იწვევს მესამე სტროფის დასახელება:

„მეფე მალალო, ქცევა—მდაბალო, ლომის მსგავსო ძალად და გულად, აღვისა რტოო, ჟოვლად მარტოო, მჭვრეტო სასურველო მოსარხვევლად, ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო, ქმნილო სურნელთა მოსაფრქვევლად, შუქთა მფენებო, თით განმთენებო ზე—სამყაროსა, მერმე ქვე—ველად!“ (100).

ბატონი აკაკი აღნიშნავს: „«უოვლად მარტოო»—ც (100) არჩილის უნუგეშო მდგომარეობის გამოძახებელია“. პირდაპირ საკვირველია, ამდენი განმადიდებელ—აღმატებული ეპითეტის შუაგულში მოქცეულ ამ გამოთქმას შეიძლება ასეთი — მარტოდ, გარიყულად, გაგდებულად, უნუგეშოდ მყოფის შინაარსი ჰქონდეს თუ პირიქითაა, ნიშნავს გამორჩეულს, უბადლოს, ტოლი და სწორი დიდების მქონე რომ არ მოეპოვება?!

ძველი ქართული ენის ამგვარი ცოდნით შესაძლებელია რომელიმე ძველი თხზულების გაგება და ანალიზი?!

რა ჰქვია ამას?!

5. ბატონი აკაკი იმეორებს და მეც ვადასტურებ, რომ მან თავიდანვე სწორად უარყო ი. ლოლაშვილის ყოვლად უცნაური და ახირებული ვარაუდი, თითქოს იაკობ შემოქმედელმა „აბდულ—მესიანის“ ძველი რედაქციები მოსპო. ეს დამსახურება მისთვის არ დამიკარგავს და სათანადოდაც აღვნიშნე („კალმასობა“, 1998, № 1), თუმცა რა დიდი მისახვედრი ეს იყო! მაგრამ რა, — განა ეს უბრალო, ცალკე მდგომი და ძირითადი საკითხისათვის მეთე და კიდევ ნაკლებხარისხოვანი მონაცემი იაკობ შემოქმედელის ავტორობის მაჩვენებელია?! თუ ასეა, რატომ მან მაშინ ბოლომდე ვერ გამოიყენა იგი?!

6. ბატონი აკაკი ისევ იმეორებს თავისი წიგნაკის მეორე გამოცემაში მოხმობილ მწირ მასალებს, რომლებმაც ის თითქოს ე. წ. „აბდულ—მესიანის“ იაკობისადმი კუთვნილების თვალსაზრისამდე

დამოუკიდებელივ მიიყვანეს: რომ ძველი მწერლები იაკობის შემოქმედებას უმაღლეს შეფასებას აძლევენ, რომ მსგავსება არსებობს ამ ხოტბასა და იაკობის სხვა თხზულებებს შორის და რომ იგი ენობრივად ხშირად შორდება კლასიკურ ხანას.

აქაც უნდა გავიმეორო ზემორე და ადრე „ღია ბარათში“ ნათქვამი: თუ ასეა, ყველაფერი ეს და კიდევ მეტი ცნობილი იყო, რატომ ადრე მან ან სხვამ სათანადოდ ვერ გამოიყენეს ისინი?!

ისიც უნდა გავიმეორო: ადრე ბატონ აკაკის პირად საუბარში გავაცანი, ჩემგან ბონდო არველაძის ხელით წაღებულ მასალებში მითითებული იყო, ხოლო მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილებში სწორედ ვრცლად (და არა ერთი და ორი ნიმუში, როგორც მის წიგნაკსა და ამ წერილშია) ნაჩვენები და გაანალიზებული მაქვს საძიებელი ხოტბის ყოველმხრივი, მათ შორის, ენობრივი მიმართება იაკობის სხვა თხზულებებთან (ჟურ. „რელიგია“, 1999, № 7–8–9, გვ. 42–53. „მაცნე“, ელს, 1999, № 1–4, გვ. 247–264).

ბატონი აკაკი არც აქ ახსენებს რომელიმე მათგანს.

რა ჰქვია ამას?!

7. ბატონი აკაკი აქაც იუწყება, რომ „იაკობ შემოქმედელის ერთსტროფიანი «არჩილის ქების» (რომლის ავტორობის საკითხი საცნობოდ არჯის გაუხდია) ვეღა სიტყვასა და გამოთქმას საყრდენი «არჩილ მეფის ქებაში» (ე. წ. «აბდულმესიანში») აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორივე თხზულების ავტორი ერთი და იგივეა“. ნიმუშებს აქ არა, მაგრამ წიგნაკის „იაკობ შემოქმედელის“ მეორე გამოცემაში კი იძლევა. ესენია: არჩილის ერთსტროფიანი ქებიდან – „მხნე, ახოვან“, „ქველ“, „იროიკოს“, „რიტორ“, ე. წ. „აბდულმესიანიდან“ – „ქრისტეს მხედარსა, მხნე, ახოვანსა“, „ახოვანად“, „მოყმე მხნე“, „უხვი“, „მხნე, ლმობიერი, ქველი“, „ქველის საქმითა“, „გმირო, ქველი და“, „იროიკ“, „რიტორი“. ავტორი ასკვნის: „ეს ლექსიკური თანხვედრანი შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ორივეგან ისინი არჩილ მეფეს მიემართება“.

თავი რომ დავანებოთ იმას, ეს მსგავსებანი (გარდა „რიტორისა“, რომელიც ყველა სახოტბო ნაწარმოებში გვხვდება) უკლებრივ არსებობზე აღრიცხული იყო ე. წ. „აბდულმესიანის“ ი. ლოლაშვილისეული გამოცემის იმ ცალზე, რომელიც ბატონმა აკაკიმ ბონდო არველაძის ხელით ჩემგან მიიღო, მთავარი მაინც ისაა, არც ერთი ეს მსგავსება იმდენად სპეციფიკური, იშვიათი არ არის, ერთი და იმავე ავტორის მაჩვენებლად მივიღოთ. ადრე საგანგებოდ მითითებული მაქვს:

არჩილის ერთსტროფიანი ქების სიტყვათა წყობას „მხნე, ახოვან, ქველ, დიდებულ“ არჩილის მამის, ვახტანგ მეხუთის, სადიდებლად იყენებს გივი თუმანიშვილი. წერს: „მხნე და ახოვანი, ქველი და პლიერი“. იმავე ვახტანგის მიმართ კიდევ უფრო ზუსტად იმეორებს მისივე შვილიშვილი ვახტანგ მეექვსე: „მხნე, ახოვან, ქველ, დიდებულის მეფის ჰატრონის შაჰნავაზისა“. იქვე ვასკენი: „საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს და შესაძლებელია, ეს იუოს მეფეთა ჩვეულებრივი, ჩვენში გავრცელებული საქებარი გამოთქმა“ (იაკობ შემოქმედელის მტირე ზომის თხზულებანი, წიგნში: ალექსანდრე ბარამიძე – 100, თბ., 2002, გვ. 101).

8. ბატონი აკაკი წერს (იძულებული ვარ მთლიანად მოვიყვანო): „«აბდულმესიანი» «თამარიანზე» უფრო ადრე დაწერილად არის მიჩნეული, შედარებითი ანალიზი კი საპირისპიროს აჩვენებს: იაკობ შემოქმედელმა «თამარიანის» მე-20 სტროფი – «სიბრძნით ქმნა ღმერთმან, არსებით ერთმან», რომელიც მცირეოდენი სხვაობით 95-ე სტროფში მეორდება, «ვეფხისტყაოსნის» კვლობაზე («რომელმან შექმნა სამეარო»), ჰოემის თავში გადაიტანა: «სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან». გამორიცხულია, რომ ეს ჩასრუხამეს მოემოქმედებინა. ღმერთის სხენებით თხზულების დაწეებას, რომელიც მიღებული და გავრცელებული იყო ანტიკურ სამეაროში და ქართულ სასულიერო ძეგლებშიც, იგი არ შეცვლიდა. არც ე. წ. «აბდულმესიანის» ვერსიოფიკაციულ სტრუქტურას შეცვლიდა, რომელიც პირწმინდად მიჰვეება ჩასრუხამის პრინციპს (ოცმარცვლოვანი საზომი მუდმივი წინაცეზურული რითმით)“.

აქედან აზრის გამოტანა ჭირს. ის შეხედულება, რაც გაჭირვებით გამოდის, იმდენად უსუსური და ულოგიკოა, ეჭვი გეპარება, ნუთუ ამას ამბობს მკვლევარიო. ვერ გეშველის ვერც წიგნაკის მეორე გამოცემა-სადაც მოკლედ და ყრულ იმავე ნახევარ სტრიქონებზეა საუბარი: „იაკობ დუმბაძის «არჩილ მეფის ქება» ჩასრუხამის «თამარიანის» მიბაძვითაა დაწერილი. ამას ადასტურებს ორივე ჰოემის ერთნაირი არქიტექტონიკა, ენობრივი პოზიცია, ოცმარცვლიანი საზომი წინაცეზურული შიდარითმებით, რომლებიც მეტწილად ომონიმურია და ბუნდოვანი და, თუ გნებავთ, ნახევარტაეპები – «სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან», რომლითაც იწყება «არჩილ მეფის ქება» და, რომელიც «თამარიანის» მე-15 (უნდა: მე-20. – ბ. დ.) სტროფის თავშია...“ (გვ. 64–65).

ბატონი აკაკის შეხედულების მისახვედრად ყველაზე უფრო გვეხმარება „ლიტერატურულ ძიებანში“ დაბეჭდილი ზემოაღნიშნული მისი წერილი. იქ ვკითხულობთ: „რითმის თვალსაზრისით, «აბდულ-მესიანი» «თამარიანზე» უფრო გვიან არის დაწერილი. უპირველეს ყოვლისა, ამას გვაფიქრებინებს «აბდულმესიანის» პირველივე რითმა. ავტორმა თავისი თხზულება ღმერთის სხენებით დაიწყო («სამებით ღმერთმან»). სიტყვიერი ტექსტი კი «თამარიანიდან» ისეა. მისი ორი სხვადასხვა სტროფის შიდა რითმა: «ღმერთმან-ერთმან» და «ერთმან-ღმერთმან» ჰომეროს თავეში გადაიტანა, ხოლო ამას მიაყოლა «თამარიანის» დასაწყისი - ანტიკურ ფილოსოფოსთა მოხმობა თამარის შესამკობად. შდრ. «თამარიანი»: «მო, ფილოსოფონო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა» (1). «აბდულმესიანი»: «შეოკრებით ბრძენო, ათინელთ მენო, თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა» (2). არ შეიძლება ეს სტრიქონები, ისე როგორც რითმ(ა): «ღმერთმან-ერთმან» თავ-თავიანთი ნახევარტაქებით: «სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან» (ჩახრუსაძე) და «სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან» (შაველი) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იყოს შექმნილი. ერთის გავლენა მეორეზე აშკარაა. ძირი ჩახრუსაძის ჰომემა უნდა იყოს. ისეთი ბუნებრივია «აბდულმესიანის» დასაწყისი (ღმერთის სხენება), იმდენად გავრცელებული იყო იგი ანტიკურ ეპოსში (ჰომეროსი) და ქართულ სასულიერო და საერო ჰომეზაში, რომ ჩახრუსაძე არ შეცვლიდა. არც «აბდულმესიანის» ვერსიფიკაციულ სტრუქტურას შეცვლიდა - ერთიანი ოცმარცვლიანი საზომი, აუცილებელი შიდა რითმით, რომელიც ჩახრუსაძის ღერძია“ (გვ. 445-446. „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ წარმოდგენილია უბრჭყალებოდ).

ამ ნაშრომთა შეჯერებიდან ჩანს, ბატონ აკაკის მიაჩნია, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ პირველი სტრიქონის რითმა „ღმერთმან-ერთმან“ მის ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით გადმოტანილი აქვს „თამარიანის“ მე-20 სტროფიდან.

გაკვირვებას იწვევს, რა უცხო და მოულოდნელი რითმაა „ღმერთი-ერთი“ და რა ჩლუნგი უნდა იყოს პოეტი კი არა, ვინმე, რომ ის დამოუკიდებლად ვერ მოიფიქროს და მის გასაჩენად მაინცაღამაინც სხვა წყარო დასჭირდეს?! როგორ შეიძლება დავუშვათ, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორს ვინმეზე ნაკლებად სცოდნოდა, რომ ქრისტიანული ღმერთი სამპიროვანი ერთია?! განა თეიმურაზ პირველი თავის ჩახრუსაძულ ლექსში „შვიდთა კრებათათვის“ ვინმეს

გავლენით ქმნიდა სტრიქონს — „საბაოთ ღმერთი, სამ—რიცხვად ერთი, ანგელოზთ ვერ ცნეს, მე ვით ვარ მთქმელი“?!

ბატონი აკაკი არ ითვალისწინებს, რომ „თამარიანის“ სტროფული თანამიმდევრობა ხელნაწერებში ერთნაირი არ არის, ზოლოდ ამჟამად მიღებული ნ. მარისა და ი. ლოლაშვილისეული შედგენილობა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, შეიძლება სადავო იყოს. მაგალითად: თუ ძველად თხზულების ღმერთის ხსენებით დაწყება იმდენად შეუვალი აუცილებლობა იყო, რომ ამით ე. წ. „აბდულ—მესიანში“ მისი არსებობა „თამარიანიდან“ გადმოტანას უცილობელს ხდის, არ უნდა შეგაწუხოს აზრმა, რატომ თვით „თამარიანი“ ასევე ღმერთის ხსენებით არ იწყება?! ასე რომ, მსჯელობას, თუ ამ თხზულებებიდან ვინ სად რა გადაიტანა, მტკიცე საფუძველი არა აქვს.

ასევე უნდა ითქვას ბოლო წინადადებაზეც, რომ ჩახრუხაძე „არც ე. წ. «აბდულმესიანის» ვერსიფიკაციულ სტრუქტურას შეცვლიდა“.

ერთი სიტყვით, ბატონი აკაკის აქ მოყვანილი მასალები, მსგავსებანი ვერ ედრება და ვერ აესებს იმ ჭეშმარიტ მსგავსებას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აღრიცხულია, და, ამდენად, ვერაფერს გვშველის იაკობ შემოქმედელის ავტორობის დასადგენად.

9. ახლა ბატონი აკაკი ცდილობს, ე. წ. „აბდულ—მესიანის“ „ეფესისტყაოსანსა“ და „თამარიანთან“ მიმართებიდან წარმოაჩინოს ახალი მასალები, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს იძლევა. მისი აზრით, თითქოს საძიებელ ზოტბაში „რუსთველურია ცუჭურული და უკანაცუჭურული რითმები“. ნამდვილად კი ზოტბასა და „ეფესისტყაოსანში“ იმდენად მცირეა ამგვარი რითმები, რომ ისინი მიზანმიმართულ პოეტურ მოვლენად არ შეიძლება მივიღოთ.

კიდევ: თითქოს „რუსთველის გავლენას უნდა მიეწეროს ზმნური ბოლორითმები ანჩილ მუჟის ქების 30-ე და 36-ე სტროფებში“. ჯერ ერთი, რა გავლენა უნდოდა ამას?! თუკი თხზულებაში პოეტი ზმნურ შ ი დ ა რ ი თ მ ე ბ ს იყენებს, რა დიდი ბარიერია ისეთი, მან ისინი ბოლოშიც არ გამოიყენოს! მეორეც, ზმნური რითმები უხვად გვხვდება „ეფესისტყაოსანის“ შემდგომ 16-მარცვლოვანი შაირით შეთხზულ ნაწარმოებებში, მაგალითად, თეიმურაზ პირველის პოემებში. განა ეს რუსთველის გავლენაა?! გარდა ამისა, თუ „თამარიანში“ არ არის ზ მ ნ უ რ ი გ ა რ ე რ ი თ მ ე ბ ი, განა ისინი მომდევნო საუკუნის ჩახრუხაულ სტროფებში არ გვხვდება?! მაგალითად, თეიმურაზ პირველის ჩახრუხაულ ლექსში „შვილთა კრებათათვის“ გვაქვს: პირდაყოფილ ჰყო—პირი ვით მიჰყო (9), თვითნება—ინება (10), მაჯამა:

მთქმელსა არიოს-განჯოს, ანუ არიოს (17), უნდეს-განაცუდებს (25). ნუთუ ესენიც რუსთველის გავლენაა?! ან, თუ გავლენის იქით ვერა და ვერ მივიღვართ, იაკობ შემოქმედელისათვის რატომ მარტო „ვეფხისტყაოსანი“ და მასთან ერთად თეიმურაზის შაირისა და ჩაზრუხაულის შიდარიტმები არ უნდა ყოფილიყო მისაბაძი?!

ასევე შეუწყწარებელია შემდეგი მსჯელობა: „უურადღებას იქცევს რითმის ბოლოში ჰროსოდიული ო: სიმართლისაო-სიწმიდისაო-ზინა-ქისაო-აბრამისაო («არჩილ მეფის ქება», 10), რომელიც «თამარიანში» არც ერთხელ არ გვხვდება, «ვეფხისტყაოსანში» კი გვაქვს: ქალიო-წეალიო-ფერ-ნამკრთალიო-მომავალიო (25)“.

შეიძლება საკითხს ასე შეზღუდულად, ვიწრო თვალთახედვით მიუღვე?! რა ნიშანდობლივია ეს თითო-ოროლა მაგალითი, რომ მისაბაძი და გადმოსაღები იყოს, მაშინ როდესაც ამგვარი ფორმებით გატენილია მთელი XVII-XVIII საუკუნეთა პოეზია და, სხვაგან რომ არ წავიდეთ, თვით იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბასება“ (50, 53, 66, 79, 94, 106, 115, 157, 176, 209)?!

აი, ასეთია ბატონი აკაკის ახალმოხმობილი მასალები!

ჩამოთვლას არ დაეიწყებ და სიტყვას აღარ გაეაგრძელებ იმაზე, რომ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართება ბევრად უფრო უხვი მასალებითა და ფართო განხილვით მოცემულია ადრინდელ სხვათა და, ბოლოს, ჩემს საგანგებო ნარკვევებში („რელიგია“, 1999, № 5-6, გვ. 54-63. „ლიტერატურული ძიებანი“, 2000, № XXI, გვ. 134-138. და სხვა). ოღონდ ის კი კიდევ და კიდევ უნდა გავიშეორო: ეს მასალები ყველასთვის ხელშესახებად ყოველთვის ზედაპირზე იდო, მაგრამ ადრე ამით არავინ, მათ შორის არც ბატონი აკაკი, მისულა იაკობ შემოქმედელის ავტორობის მიხედვრამდე.

სწორედ იმ მოხსენებაში, რომელიც 1996 წლის 6 ივნისს ბატონი აკაკის მოწყობილ ლექსმცოდნეობის კონფერენციაზე მის თვალწინ წაეიკითხე, აღნიშნული მაქვს: ე. წ. „აბდულ-მესიანი“ „და არჩილის «მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი» ჰოეტეიკურად იმდენად დამოკიდებული არიან ჩაზრუხაძის «თამარიანზე», რომ ორივეს ავტორი ბაძავს «თამარიანის» იმ ერთადერთ სტროფს, რომელიც რ ი თ მ ა თ ა ს ი უ ხ ვ ი თ ჩვეულებრივი ჩაზრუხაულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება“. ვიმოწმებ ამ სტროფს („თამარ წყნარი, შესაწყნარი...“) და განვაგრძობ: „ე. წ. «აბდულ-მესიანი» ზედმიწევნით იმეორებს გ ა რ ი თ მ ვ ი ს ა მ ფ ო რ მ ა ს“. მომყავს ეს სტროფიც („შენ გონიერო, გულისხმიერო...“) და გადავდივარ არჩილის აღნიშ-

ნული თხზულების ამგვარი გართმევის ხერხით შესრულებულ სტროფზე: „გონიერი, მეცნიერი, ბედნიერი, კადნიერი...“ (70). ვიდრე სრულად წარმოვადგინე იგი, წინასწარ განემარტე: „არჩილის ნაწარმოებში ერთი სტროფი ა მ გ ვ ა რ ი წ უ ო ბ ი ს ა ა, ოღონდ ჰირველი საში სტრქიონი 16-მარცვლოვანია, მეოთხე - ოც-მარცვლოვანი“ („ლიტერატურული ძიებანი“, XXI, გვ. 143).

ახლა ბატონი აკაკი, ვითომც ჩემი ნაშრომი არ არსებობდეს, როგორც საკუთარ ნააზრევს, აღნიშნავს: „ეურადლება მისაქცევია ერთი გარემოება. გარეგნულად «არჩილ მეფის ქების» (ანუ ე. წ. «აბდულ-მესიანის» — ბ. დ.) სტროფს «შენ გონიერო, გულისხმიერო» (97) არაფერი აქვს საერთო «თამარიანის» სტროფთან — «თამარ წყნარი, შესაწყნარი» (24). ერთი ოცმარცვლიანი საზომითაა დაწერილი, მეორე თექვსმეტმარცვლიანით. არც ტექსტუალური (ქართულია „ტექსტობრივი“. — ბ. დ.) მსგავსება შეინიშნება. ესაა, რომ ორივე სოტბის სტილითაა დაწერილი, მაგრამ სწორედ სტილია ერთნაირი“.

აქ ლოგიკური შეუსაბამობაა: თუკი ამ სტროფებს შორის „მსგავსება შეინიშნება“ „ერთთავად გართმევის“ მხრივ, როგორაა, რომ რაიმე პირობის გარეშე „გარეგნულად“ მათ „ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ ს საერთო“?! უფრო საგანგაშო კი ისაა, განა ჩემს ნაშრომში იმავე გართმევით მსგავსებაზე არაა საუბარი, ბატონი აკაკი რომ ასე ღუმილით გვერდს უვლის?!

განა იმავე მოხსენებაში ე. წ. „აბდულ-მესიანისა“ და „თამარიანის“ მსგავსების აღმნიშვნელად მითითებული არ არის მათი სიდიდე, სტროფული რაოდენობა, ახლა ბატონი აკაკი თავის „დაკვირვებად“ რომ ასაღებს?!

რა ჰქვია ამას?!

10. ბატონი აკაკი აგრძელებს „თამარ წყნარი...“ და „შენ გონიერო...“ სტროფების ერთმანეთთან შედარებას და „გვისაბუთებს“, რომ ჰირველში ქალია შექებული, მეორეში — მამაკაცი, ვითომცდა ეს საეჭვო და საჭოჭმანო საქმე იყოს. ერთ-ერთ საბუთად კი მოჰყავს: „«შენ გონიერო» რომ მამაკაცს მიემართება, იმითაც დასტურდება, რომ ამის ანალოგიით შეამკო მამუკა ბარათაშვილმა ბაქარ მეფე“.

ნუთუ მართლა აუცილებელია ამგვარი აგებულების სტროფი შინაარსობრივად მაინცადამაინც არა ქალს, არამედ მამაკაცს ასახავდეს, რომ მამაკაცზე იმგვარივე დაწერო?! მაშინ როგორ მოახერხა ე. წ. „აბდულ-მესიანის“ ავტორმა „თამარ წყნარი...“ სტროფის მიხედვით მამაკაცზე „შენ გონიერო...“ შეეთხზა?!

ესაა საბუთი და ესაა მეცნიერება?!

11. ახლა იოლია და ბატონი აკაკი დაბეჯითებით აცხადებს, რომ „შენ გონიერო...“ სტროფში „არამც და არამც დავით სოსლანი არ იგულისხმება“. ის რომ არჩილს ეხება, იმით „ასაბუთებს“, რომ მომდევნო სტროფში პოეტი თავის თავს მის მონად ასალებს: „მომდევნო სტროფის ინტიმური დასაწყისი - «მე მონა შენი, მე მონა შენი» სწორედ იაკობისა და არჩილის ახლო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. იაკობი თავის თავს არჩილის გაზრდილად თვლიდა: «თქმული მომწონს - მისკან ზრდილსა» («არჩილის ქება»)“.

დიახ, იაკობი არჩილისადმი მიძღვნილ ერთსტროფიან ლექსში არჩილზე, მართლაც, ასე წერდა, მაგრამ მას გიორგი მეთერთმეტეც ხომ სიუზერენად და საკუთარი თავი მის ვასალად მიაჩნდა! „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ეპილოგში ის ამ ნაწარმოების დამკვეთებს ასე გვაცნობს:

„მაქნდა ცხებულთ ნაბძანები, ვიმუშავე განა თავად...
ვიყავ მეფეთ საკაბაჟმო, თქვენ გმონებლი განა თავად“ (288. 2-4).

ამ დამკვეთ „მეფეთ“-ში რომ ერთი და უპირველესი გიორგი მეთერთმეტეა, მისი სათაურიდან ვიცით: „... ლექსად ნათქვამი (...)
ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შანაოზისათა“.

მეორეც: თუ სასულიერო პირს, იაკობ შემოქმედელს, არჩილზე შეეძლო ეთქვა, მისი მონა ვარო, რატომაა გამორიცხული, საზოტბო თხზულებაში იგივე ეთქვა მეორე სასულიერო პირს, იოანე შავთელს, თავის თანამედროვე ფაქტობრივ მეფეზე, დავით სოსლანზე, რომ არაფერი ვთქვათ დავით აღმაშენებელსა ან სხვა დავით მეფეებზე, რომელთაც მანამდე მკვლევარები ამ ზოტბის პერსონაჟებად მიიჩნევდნენ?!

ასე რომ, თუ იგი სხვა, წყალგაუკვალე საფუძვლებით არ იქნება გამაგრებული, იმის გამო, რომ „მე მონა შენი“ მოსდევს სტროფს „შენ გონიერო...“, მყარ საბუთად არ გამოდგება, მასში მაინცადამაინც არჩილი ვიგულისხმობთ და არა დავით სოსლანი!

12. ახლა ამის თქმაც იოლია: „უნდა ვირწმუნოთ, რომ არჩილის მძამ გიორგი XI-მ იცის, რომ იაკობს არჩილ მეფის ქება აქვს დაწერილი და ამიტომ აძლევს ასეთ საპასუხისმკებლო დავალებას (ბაგრატიის ნაშრომის გალექსვას - ბ. დ.), რასაც იაკობი დიდი წარმატებით ასრულებს“.

ეს თავიდანვე მეც მწამდა და ის „უჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ დასათარიღებლად მოვიშველიე მას შემდეგ, რაც დასმული პრობლემის შესახებ მყარი საბუთები მოვიპოვე („ლიტერატურული ძიებანი“, 2004, № XXV, გვ. 118. დაწერილია ბევრად ადრე). მაგრამ, ვინაიდან გიორგი მეფე იაკობს პირადად იცნობდა, მთლად გამოსარიცხავი არ არის, რომ ლიტერატურის დიდად მოყვარულ ნიჭიერ მეფეს მასთან ურთიერთობის შედეგად შეემჩნია მისი პოეტური ნიჭი, ამიტომ მაინც თავი შევიკავე, ისე დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად, როგორცაა ავტორობა, ის საბუთად მომეხმო.

13. კიდევ უფრო მდარე საბუთია ის, რომ „ჩვენს სახელოვან წინაპრებს იაკობ შემოქმედელის აღტაცებული შეფასებისას ჰირველ რიგში არჩილ მეფის ქება ექნებოდათ მხედველობაში“.

რატომ პირველ რიგში, განა „უჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ ნაკლები პოეტიკური და იდეური საზოგადოებრივი ღირებულებისაა?!

14. ბატონი აკაკი ახლა ასე წერს: „იაკობი თავად გვეუბნება, რომ არჩილ მეფის ქება თამარ მეფის ქების მიხედვით შეექმენიო. ე. წ. «აბდულმესიანის» ჰირველ სტროფშივე ვკითხულობთ: «მესმა ზევსური, რა ვნახე ვსური, რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ქებად». «მეფეთა საქებელსა და სამხილებელნი» არჩილი ჩანსუხაძეს ხან მოხვედ მიიჩნევს, ხან ხევსურად (სქოლიოში, ვითომცდა დამოუკიდებელი ვიკელიეო, მიუთითებს „არჩილიანის“ 1936 წლის გამოცემაზე – ბ. დ.). ამის მიხედვით, ადვილი შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იაკობ შემოქმედელსაც ხევსურში ჩანსუხაძე ჰეავდეს ნაგულისხმევი“. „ლიტერატურულ ძიებანში“ დაბეჭდილ მის წერილში ამ საკითხზე არსებული ერთი ჩემი შედარებით გვიანდელი, 1996 წლის 6 ივნისს ლექსნაცოდნობის პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაკითხული ნაშრომი („ლიტერატურული ძიებანი“, 2000, № XXI) კარგად და ნათლად აქვს წარმოდგენილი (გვ. 447), მეორეს, ადრინდელს („მაცნე“, ელს, 1995, № 1-4) არსად ახსენებს. აქ, „კალმასობაში“, კი ჩემი ის ერთი, გვიანდელი ნაშრომი სქოლიოში დასახელებული კია, ოღონდ ისე ყრუდ, მკითხველი ვერ მიხვდება, რომ აღნიშნული დებულების შემუშავებაში ბატონ აკაკის არავითარი წვლილი არ უდევს და ამის მისაღწევად მე რა შრომა მაქვს გაწეული!

ეს საკითხი ბატონ აკაკის იმდენად არ ესმის, რომ ხოტბის ტექსტი კვლავ გამოცემის, დავით რექტორის მიერ ნასწორები

ვარიანტის, მიხედვით მოჰყავს: „*ჩესმა ზევსური...მეთხზნეს*“ და არა ძველი რედაქციით – „*ჩესმა ზევსური... ეთხზნეს... მან*“, რომელსაც მე მივაქციე ყურადღება და არჩილის ჩახრუხაულ ლექსთან („მეფეთა..“) შეპირისპირებით ნათელეყავი მისი შინაარსი.

ბატონ აკაკის ამაოდ ჰგონია, „*ზევსური*“ დედნისეულია, იგი უნდა ღარჩნეს და თითქოს ამითაც ზევსურზე (ჩახრუხაძეზე) ზმურად („*ენახე ვსური*“) მაინც იქნება მითითებული.

ბატონი აკაკი აქ საქმეს წინ იმით „*წევს*“, რომ გვაუწყებს: „*კურიაში, რომელიც იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის სამშობლო კუთხეა, არის სოფელი ხევი და მის მცხოვრებლებს ხეველს ეძახიან, ხევი/ხევესური ფონეტიკური მსგავსებით უფროა ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე მოხვე/ხევესური*“.

15. ბატონი აკაკი ახლა წერს: „*დავას არ იწვევს მამუკა ბარათაშვილის კვალიფიკაცია – «იაკობ მბამქს» (რასაც მე სხვაგვარად ვხსნიდი). იაკობ შემოქმედელს წინ ჩახრუხაძის «თამარიანიც» ელო და მისი მიბაძვით დაწერა «არჩილ მეფის ქება»“.* მეორე ადგილას: „*და ბოლოს: ე. წ. «აბდულმესიანი» რომ «არჩილ მეფის ქებაა» და არა შავთელის «აბდულმესიანი», კარგად იცის მამუკა ბარათაშვილმა, რომელიც ჰირდაპირ სახელდებით ამბობს: «იაკობ მბამქს და ჩახრუხაძეს ერთ მეფენი მათ სიბრძნის მწეებად – არჩილ და თამარ, არა მათ ამარ, დავრჩი ბაქარის მე მონა ქებად»“.* ბოლოს: „*მამუკა ბარათაშვილი – ჰოეტიკური ტრაქტატის «სწავლა ლექსის თქმისას» ავტორი, რომელმაც სწავლული მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით შეკრიბა ხალხურ და მწიგნობრულ ჰოეზიაში არსებული ხმები და თავის თხზულებაში 29 სალექსო ფორმა წარმოადგინა, არაფერს ამბობს შავთელის ლექსზე, მაშინ როცა «თამარიანში» ორ სალექსო ფორმას – ჩახრუხაულს და გრემელჩახრუხაულს გამოყოფს. ვერსიფიკაციის მკვლევარს და თავად ვერსიფიკატორს არ შეიძლებოდა შავთელური ფორმა ლექსისა შეუმჩნეველი დარჩენოდა, მაგრამ ჩვენ რომ გვკონია, ის თხზულება მას არ მიაჩნია XII საუკუნის ძეგლად. «ჭაშნიკის» ავტორთან ერთად «ძველთა და ახალთ საქართველოს ძეგლქსეთა» ავტორიც (არჩილი) სდუმს“.*

ბატონი აკაკი არ გვეუბნება, ესენი საიდან, რა დროიდან არ იწვევენ დავას. ზემოთ რამდენიმეჯერ მითითებულ იმ ნაშრომში, რომელიც 1996 წლის 6 ივნისს თავად ბატონი აკაკის მოწყობილ ლექსმცოდნეობის პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე წავიკითხე

და შემდეგ „ლიტერატურულ ძიებანში“ დაბეჭდვით (2000, XXI), ნაწვენები მაქვს, რომ მამუკა ბარათაშვილის გამოთქმაში „მბაძე“ ნიშნავს არა „დუმბაძეს“, როგორც ბატონი აკაკი ხსნიდა, არა „აბდულ-მესიანად“ ცნობილ (ანუ იაკობის) თხზულებაზე მიბაძვას, როგორც კ. კეკელიძესა და ი. ლოლაშვილს მიაჩნდათ, არამედ ჩაზრუნხადის „თამარიანზე“ მიბაძვას. ვერ ერთი, მამუკა, ისე როგორც არჩილი, იაკობისგან შეცდენილები კი არ არიან, როგორც ი. ლოლაშვილი და სხვები ფიქრობდნენ, არამედ ჭეშმარიტებას დალადებს. ასევე, ადრევე მივაქციე ყურადღება, რომ სალექსო ზომა „შავთელური“ ძველად არსად, მათ შორის, არც მამუკას „ჭაშნიკში“ ჭაჭანებს და იგი ბოლო დროს შემოღებული ტერმინია („კალმასობა“, 1998, № 4). აი, ამ გამოკვლევების შემდეგაა, რომ ეს საკითხები „დავას არ იწვევს“, რასაც ბატონი აკაკი არ აღიარებს და ისე წარმოგვიდგენს, ვითომცდა ისინი მანამდე საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ ან მისი გამოკვლეულია.

რა პქვია ამას?!

აი, ესაა და ამგვარია ბატონი აკაკი ხინთიბიძის „დაკვირვებანი“. აქედან რაა მისი და, რაც მისია, რამდენად მნიშვნელოვანია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს!



დასასრულ, ამავე საკითხზე კიდევ რამდენიმე ფაქტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როდესაც ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რობაზე ახალ თვალსაზრისს ეხებიან და შესაბამის ლიტერატურას მიუთითებენ, ორიოდ მკვლევარი სწორად აღნიშნავს, თუ ვინ არის ამ თვალსაზრისის ავტორი. ასეა შემდეგ ნაშრომებში: მ. თ ა ვ ღ ი შ ვ ი - ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიდუმლოებანი (თბ., 2000, გვ. 240). გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, ტექსტოლოგიური გამოკვლევები (თბ., 2004, გვ. 66, 210). უმეტესობა კი, როგორც წესი, ვითომცდა სათანადო ლიტერატურას ვიცნობო, ბატონ აკაკი ხინთიბიძესა და მის წიგნაკსაც „იაკობ შემოქმედელი“ ასახელებს, ზოგი წინაც აყენებს. ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, მასაც წამოაკუნკულებენ (ი ლ ი ა, თხზულებანი, V, 1991, გვ. 15). მაგალითად: გარდა გ. ჭ ე ლ ი ძ ი ს ა, ასეა შემდეგ ნაშრომებში: თ. ღ ო ი ა შ ვ ი ლ ი, სისტემა – პროცესი – ნორმა (კრებულში: სჯანი, IV, 2003, გვ. 98). რ. ხ ა ლ ე ა შ ი, ტბელ აბუსერიძის „გალობანი მწვალბეღელთა შეჩუენებისანი“ (თბ., 2003, გვ. 15). ფ. ფ ა ნ - ჩ უ ლ ი ძ ე, სახოტბო პოეზია (ოდის ჟანრი) XVII–XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი

(თბ., 2004, გვ. 7). გ. ა რ ა ბ უ ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემები (თბ., 2004, გვ. 91, 186, 196). და სხვა.

რა ჰქვია ამას, საქმის ცოდნა თუ უცოდინარობა, თუ კიდევ უარესი?!

მას შემდეგ, ვინც გაეცნობა აკაკი გაწერელის ვრცელ წერილს „ლიტერატურული ქურდობებისა და გალიმათიების წინააღმდეგ ქართულ პოეტიკაში“ (რჩეული ნაშრომები, ტ. III, ნაკვ. II, თბ., 1981, გვ. 492–553) და ჩემს წიგნაკს „ერთი პლაგიატობის კვლადაკვალ“, მანვე განსაზღვროს, რამდენად ფასეულია და რამდენად შეესაბამება ბატონ აკაკი ხინთიბიძეს შემდეგი ხოტბა: მისადმი ლიტერატურის ინსტიტუტისა და ამავე ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და ლექსმცოდნეობის განყოფილების საიუბილეო მიმართვა: „სამეცნიერო მოღვაწეობის ნახევარსუკუნოვანი გზა, გზა განვლილი, ჰ ი რ - ნ ა თ ღ ა დ, რუდუნებით...“ (სჯანი, V, 2004, გვ. 3).

ნესტან სულავა: „ბატონი აკაკი ხინთიბიძე მთელი თავისი ა რ ს ე ბ ი თ, ბ უ ნ ე ბ ი თ, ს უ ლ ი ე რ ი წ ე ო ბ ი თ, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს წ ე ს ი თ დ ი რ ს ე უ ლ ი ქართველი კაცის ხასიათს გამოხატავს (...). ადამიანი უპირველესად იმით ფასობს და იმკვიდრებს ადგილს საზოგადოებაში, თუ რამდენად ინარჩუნებს იგი ადამიანურობას, თუ როგორ ემსახურება იგი ღმერთს, სამშობლოს, თავის ცხოვრებისეულ იდეალსა და მრწამსს. თუ როგორ მიჰყვება იგი თავის შინაგან ხმას - ს ი ნ დ ი ს ს. ბატონმა აკაკიმ მთელი ცხოვრება სწორედ ამ პრინციპების ერთგულად აღსრულებას მიუძღვნა“ (გაზ. „კალმასობა“, 2003, № 9, გვ. 15).

კი, მესმის მათი, გაამხნევეს „ძმა-ბიჭვებში დაჩაგრული“ თანამშრომელი. მე კი იაკობ შემოქმედელს კინაღამ წავაკვდი!



როცა ჩემი პირველი წერილი „პლაგიატობით პლაგიატობის წინააღმდეგ?!“ გაზეთ „კალმასობაში“ გამოსაქვეყნებლად გადაცემული მქონდა, 1998 წლის მაისში ლიტერატურის ინსტიტუტში წინა წლის ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო პროდუქციის განხილვა მიმდინარეობდა. სხლომათა დარბაზში რომ შევედი, ბატონი აკაკი ხინთიბიძე წინა რიგში იჯდა, გაეგო ჩემი წერილის არსებობა და მეუბნება: ბოროთ, მეგობრები ვიყავით, დაგვეცინებენ, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთო. წერილის უკან გამოტანა მომთხოვა და, რომ არ დავეთანხმე, ჩვენი ეს მოკლე და წყნარი გასაუბრება ამით დამთავრდა.

არაფერი მწყენია, არც ავდელებულვარ, მაგრამ, როგორც კი დავეჯექი, საშინელი ტაქიკარდია ამივარდა. ჩემ წინ მჯდომმა როლანდ ბერიძემ ვალიდოლი მომცა, სხვებმა – ვალერიანის აბები, მაგრამ არაფერმა მიშველა. გული მხოლოდ საღამოს დამიწმენდა, როცა შინ მივედი და მეზობლებმა სხვა წამლები დამალევენეს. სხდომა არ დამიტოვებია, ბოლომდე დავრჩი და ნინო ნაკუდაშვილს, რომელმაც აკაკი ხინთიბიძის ბროშურა „იაკობ შემოქმედელი“ მიმოიხილა, შეკითხვაც დაუესვი. შემდეგ თავად ნესტან სულავამ მითხრა: რომ წამოდექი, საშინლად გათეთრებული იყავიო.

უფრო უარესი შემდეგ დამემართა.

„კალმასობაში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი „კლავიატობით კლავიატობის წინააღმდეგ?“ აღმოსავლეთმცოდნე ლაურა კაციტაძეს წაეკითხა და ა. ხინთიბიძის მოწაფის, თამილა წოწორიასთვის, უკითხავს, რომელია მართალიო.

ქ–ნ თამილას მაშინ მოსმენილი და წაკითხული ჰქონდა ბ–ნი აკაკის საპასუხო წერილი „იძნეს თქვა, იძნეს თქვა“, რომლის გამოქვეყნება თავად ავტორმა ვერ გაბედა და ძალით მე გამოვაქვეყნე. ქ–ნ თამილას მაშინ დაბეჯითებით უპასუხია: მართალი ბატონი აკაკიაო.

და აი, 2000 წლის 13 დეკემბერს თ. წოწორია სამსახურში ჩემს მაგიდასთან მიზის, საჩუქრად ვაძლევ ჩემს ბროშურას „ერთი კლავიატობის კვლადკვალ“ და ვეუბნები: წაიკითხე, ნახავ, მართალიც ვარ და გამარჯვებულიც. მაგრამ საშინლად განვიცდი, რომ მეგობარს ამით „თავი მოვჭერი–მეთქი“.

ის იყო იმ ტაქიკარდიის ამბავს ვუყვებოდი, საფეთქლებიდან რაღაც ცხელი და უსიამოვნო ნაკადი ზემოთკენ დაიძრა. – მგონი, ახლაც ცუდად ვარ–მეთქი, ამის თქმა კი მოვასწარი და ამ დროს უცებ გაეთეთრებულვარ და თავი უგონოდ მაგიდაზე დამიგდია. როცა მომასულიერეს, ჩემი თავი ხელთ ეჭირა ქ–ნ თამილას, ხელები – ჩემს მეგობრებს, ერთი, რუსუდან კუსრაშვილსა და, მეორე, ლამარა შავგულიძეს. ლია ანდლულაძე წყლიანი ჭიქით გარბოდა და გამორბოდა და იძახდა, ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო.

ორივე შემთხვევაში მაშინ დავინახე, რა ძალა ჰქონია ქვეცნობიერს!

გადის დრო და ბონდო არველაძის ოჯახიდან გამოეონა ცნობამ, თუ რა წინადადება შესთავაზა ბატონმა აკაკი ხინთიბიძემ ბატონ ბონდოს. ერთხანს დამიძალეს, მაგრამ ხან იქიდან მივუღე, ხან აქედან და, როგორც იქნა, ოჯახის წევრები გამოვტეხე და გავიგე:

ჩემი ბროშურა „ერთი ქლავიატობის კვალდაკვალ“ 2000 წლის ოქტომბერში გამოვიდა. 2002 წელს ინსტიტუტის ლექსმცოდნეთა ჯგუფმა გრანტი მოიპოვა, რომლის ხელმძღვანელად ბატონი აკაკი ხინთიბიძე დაინიშნა. ბ-ნი აკაკი ბ. არველაძეს შინ ტელეფონით ესაუბრება:

აკაკი: – გრანტი თუ შეგხვდა?

ბონდო: – არა.

აკაკი: – არ გინდა გქონდეს?

ბონდო: – როგორ არ მინდა!

აკაკი: – გინდა, ჩემს გრანტში შეგიყვან?

ბონდო: – როგორ არ მინდა, მაგრამ ლექსმცოდნეობაში მე რა უნდა ვაკეთო?

აკაკი: – მეტი არაფერი დაგჭირდება, ორ წინადადებას გამოაქვეყნებ!

ბონდო შემცბარა: – რა წინადადებას?

აკაკი: – ეს შენ თვითონ უნდა მიხვედ!

ბ. არველაძე იმდენად დაბნეულა, სიტყვა ვეღარ ამოუღია და საუბარი ამით დამთავრებულა.

მკითხველს აქ ახსნა დასჭირდება. „კალმასობაში“ დაბეჭდილ და ბროშურაში შესულ ჩემს პირველ წერილში აღვნიშნავდი, თუ 1997 წლის 28 ოქტომბერს ბონდო არველაძის ხელით აკაკი ხინთიბიძეს რა მასალები გავუგზავნე (ბროშურა, გვ. 12–13). თავის ე. წ. პასუხში ბატონი აკაკი წერდა: „წლის ბოლო იყო, საავადმყოფოდან ახალ გამოსულს ბევრი სასწრაფო სამუშაო დამხვდა და ეთხოვე მეგობარს, შრომა ვამიადგილე, ზოგიერთი წიგნი მათხოვე (...). გაბრაზებით მომასალა: მე მჭირდებაო! მაშინვე შევეშვი“ (ბროშურა, გვ. 31). ამაზე ასე ვუპასუხე: „სრულ სიცრუეს ბრძანებთ, ვითომც თქვენ თხოვნაზე უარი შეთქვას (...). გაბრაზება და უარი კი არა (...), უველა დავალება ციმციმ შეგისრულეთ. ამის მოწმე იგივე ბონდო არველაძეა. მისი მაინც არ გრცხვენიათ?!“ (იქვე, გვ. 50).

ის სირცხვილი კი არა, ახლა აკაკი ხინთიბიძე ბონდო არველაძეს სთხოვდა, ფულის ფასად ნაძირალას როლი შეესრულებინა და ეთქვა: რის მასალა, რა მასალა, რის წიგნები, რა წიგნები, მე არაფერი ვიცი, არაფერი წამიღიაო.

თუ ეს პ ი რ ნ ა თ ლ ო ბ ა, ს ი ნ დ ი ს ი ე რ ე ბ ა, ღ ვ თ ი ს
ს ა მ ს ა ხ უ რ ი ა, მაღალმა ღმერთმა განსაჯოს და ავაშენოთ!

10.06.05.

□

სულ ბოლოს კიდევ ერთი ამბავი: დიახ, 2006 წლის ოქტომბერში ე. წ. სამეცნიერო რეფორმა ლიტერატურის ინსტიტუტშიაც ჩატარდა. აქ კი ძმებმა ხინთიბიძეებმა მიყელეს... შეიქმნა შ ვ ი ღ კ ა ც ი ა ნ ი საკონკურსო კომისია, სადაც შეიყვანეს ძ მ ე ბ ი (დიახ, შეიდკაციან კომისიაში ძმები!) აკაკი და ელგუჯა ხინთიბიძეები და ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, რომლებიც, ყველანი (დიახ, ყველანი!), ე. ხინთიბიძის ხ ე ლ ქ ე ე ი თ ნ ი იყვნენ და არიან!!! ვინაიდან ბატონი ელგუჯა განუზომლად საჭირო და გავლენიანი კაცი გახლდათ, მას მხარში ამოუდგნენ ლიტერატურის ინსტიტუტის ღირექტორი, მეცნიერებასთან უსამშველოდ მწყარაღად მყოფი ირმა რატიანი და ამავე ინსტიტუტის რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი (მე 46 წლის განმავლობაში ამ განყოფილებაში ვმუშაობდი და კენჭს აქ ვიყრიდი), ა რ ა რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი რ ე ვ ა ზ სირაძე. მათ ერთიანი ძალისხმევით სამსახურიდან გამაძევეს! ვრცლად ამაზე გამოქვეყნებული მაქვს 330—გვერდიანი წიგნი — „უციკობის,

¹ ბევრი ვეცადე, მაგრამ ამ ნაწილის გამოქვეყნება ვერა და ვერ შევძელი. პირველად ის დასაბუჯდავად გადაეცემა „ლიტერატურული ძიებანის“ პასუხისმგებელ მდივანს (არსებითად მის პატრონს) ნესტან სულუას, რომელიც შემომხეხეწა, სხვა რამ მომიტანო. ძმები ხინთიბიძეები იმ დროსაც ძლიერები იყვნენ, ადამიანურად გაეუგე და იგი უკან წაშოვიდე. როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შეიცვალა, სპორტული ინტერესის დარად, სტატია ამ კრებულს ისევ წარუვადგინე, თუმცა, მეც კარგად უხედავდი, ამ დროს ელგუჯა ხინთიბიძე უკვე ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა და ინსტიტუტზე მისი გავლენა ყველასთვის ნათელი იყო. როგორც მოველოდი, კრებულის რედაქტორმა, ბატონი ელგუჯას მეცნიერ-აღზრდილმა და ფავორიტმა, მაკა ელბაქიძემაც, იგი უკან დამიბრუნა იმ მოტივით, რომ ჩვენ ახლა „ლიტერატურულ ძიებანს“ სხვა მოთხოვნებს უუყენებთო(!). ამის შემდეგ წერილი ნახებვარ წელზე მეტი იღო გაზუთ „კალმასობის“ რედაქციაში, იმ დრომდე ვიდრე გაზუთი დაიხურებოდა (თუმცა რედაქტორმა შარლოლა კვანტალიანმა მისი გამოქვეყნება აღმითქვა, ამჯერად მან თავი ვერ გაწირა და გპირობა ვერ გამოიჩინა. მოდი და, როცა მის ხელში ხარ, ნუ შეშინდები და სისხლიან ხმაღ შეწართულ ბატონ ელგუჯას ნუ მოერიდები!). ისიც უნდა აღვნიშნო, რომ სტატიას სათაური უარესად აკადემიური მიეცემა. დავარქვი: „ისვე ე. წ. «აბდულ-მესიანის» რაობის დადგენაზე“. ჩამოვაცალე ბოლო ნაწილიც, მაგრამ არაფერმა უშველა.

პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“
(თბ., 2008) და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს.

აი, რა ბრძოლები გადამხდა და რა „სიკეთე“ მომიტანა ამ წიგნმა!

17. 03. 08

**გაზეთ „ქართული წიგნის“ სარედაქციო
კოლეგიას**

ძვირფასო მეგობრებო, ნება მიბოძეთ, თქვენ და გაზეთ „ქართული წიგნის“ მკითხველებს გაგაცნოთ უზუსტობანი, რომლებიც ახლავს ამ დიდად მნიშვნელოვანი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული გაზეთის ახლახან გამოსულ მე-12 ნომერში (2001 წ.) დაბეჭდილ ცნობილი მოღვაწის, წიგნის ტექსტობრივი მოტრფიალის, ზაქარია ჭიჭინაძის, საარქივო მასალის „ქართულ ენაზედ «ყურანის» თარგმნის ისტორია“-ს, მეტადრე მასზე დართულ „შენიშვნებს“.

ეს პუბლიკაცია უთუოდ საინტერესო და საჭირო ცნობების შემცველია, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ეხება მიზეზებს, რამაც განაპირობა დიდი მამულიშვილის, პეტრე მირიანაშვილის, მიერ „ყურანის“ ქართულ ენაზე გადმოღება და შემდეგ მაჰმადიან ქართველებში, აჭარაში, მისი გავრცელება.

„შენიშვნებში“ სწორად არის აღნიშნული, რომ „იაკობ ღუმბაქმე გალექსა არა თავისი შედგენილი «ყურანის» საპასუხო წიგნი, არამედ ბაგრატ მუსწანბატონის ანტიმაჰმადიანური თხზულება“. ოღონდ მითითებული არაა, რომ ეს ლექსითი ვერსია ახლა გამოქვეყნებულია. ჩვენ იგი დავბეჭდეთ ჟურნალ „რელიგიაში“ (1995 წ., № 4-5-6, გვ. 70-97). ამავე ჟურნალში გამოვაქვეყნეთ ნარკვევები, სადაც განხილულია დედანთან, ბაგრატის ნაშრომთან, მისი მიმართება (1995 წ., № 1-2-3, გვ. 90-106; 1998 წ., № 1-2, გვ. 68-81).

„შენიშვნების“ ავტორი იაკობის ტექსტს რომ გასცნობოდა, მას გაუადვილდებოდა იმ ციტატების ამოკითხვა, რომლებიც ზ. ჭიჭინაძეს იქიდან აქვს დამოწმებული და პუბლიკაციაში საშინლად დამახინჯებულად არის დაბეჭდილი.

სიმართლე არ არის „შენიშვნების“ ცნობა, თითქოს იაკობ შემოქმედელს ბაგრატის ნაშრომის „გალექსა დაავალა ვახტანგ V-მ (შაჰ-ნავაზმა)“. შეცდომის გამომწვევი მიზეზი გარკვეულწილად უნდა იყოს ისიც, რომ პუბლიკაციაში იაკობის ნაწარმოების სათაური დამახინჯებულადაა წარმოდგენილი. სინამდვილეში, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ იაკობს აღნიშნული დავალება მისცა არა ვახტანგ V-მ, არამედ მისმა შვილმა, ქართლის მეფემ, გიორგი XI-მ. ამ საკითხზე და

იმაზე, თუ იაკობს როდის უნდა შეესრულებინა ეს დავალება, მსჯელობა გვაქვს საგანგებო წერილში (კრებული: ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1995, გვ. 85-91).

არ არის მართალი არც ის, ვითომ იაკობის გალექსილი ნაწარმოების დედნის ავტორი, ბაგრატ მუხრანბატონი, ვახტანგ V-ის „ალაღი ბიძა იყო“. ჩვენ შევისწავლეთ და ნაჩვენები გვაქვს, რომ ცნობილი მუხრანბატონებიდან აღნიშნული ანტიმამადიანური პოლემიკური ნაშრომის ავტორია XV-XVI საუკუნეთა მოღვაწე, ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის ძე, მუხრანბატონთა ფეოდალური სამთავროს ფუძემდებელი ბაგრატ I მუხრანბატონი. ასე რომ, ვახტანგ V-ისათვის ეს ბაგრატი იყო პაპის (ბაბუის) მამა, ხოლო გიორგი XI-ისათვის - პაპის პაპა (ბაგრატი → ვახტანგი → თეიმურაზი → ვახტანგ V → გიორგი XI).

რაც შეეხება იმ უზუსტობას, რომ იაკობ დუმბაძის მოღვაწეობის აღმნიშვნელად „XII-XVIII საუკუნეებია“ დასახელებული, აშკარაა, პირველი ციფრი კორექტურული შეცდომაა (უნდა იყოს „XVII“), მაგრამ საეჭვოა და დაუზუსტებელია მეორე ციფრი, - გრძელდებოდა კი იაკობის სიცოცხლე XVIII საუკუნეში? (იაკობ შემოქმედელის ბიოგრაფიული მასალები გამოვამკვენეთ გაზეთ „კრიმანჭულში“, 2001 წ., № 3, 4, 5, 6).

დასასრულ, მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და საზოგადოებას ვაუწყო, რომ თავიანთ თხზულებებთან ერთად გამოსაცემად მზად გვაქვს მონოგრაფიები როგორც ბაგრატ მუხრანბატონის, ისე იაკობ დუმბაძე-შემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეელოდებით დამხმარეს.

უღრმესი პატივისცემით ბორის დარჩია.
9. 12. 2001 წ.

(დაიბეჭდა გაზ. „ქართულ წიგნში“, 2002, № 2, გვ. 2)

პირთა საძიებელი

ს

აბაში 262, 374
აბაში („ამირან-დარეჯანიანი“) 374-375, 377
აბაშია 374
აბაში დავითი 374
აბაშიშვილი 374
აბაშიძე 83, 374
აბაშიძე (აფხაზეთის კათალიკოსი) 357
აბაშიძე ელენე 38, 44-45
აბაშიძე კათალიკოსი 357
აბდალაძე გიგა 3
აბდ აღ-მესიპ 420
აბდალ-მელიქი 369
აბდია (ბიბლ.) 9495
აბდულ-მესია (შავთელი) 145, 159-160, 163, 173, 175, 346
აბდუშელიშვილი თეიმურაზ 159
აბელი (ბიბლ.) 114-115
აბელი (რუსთველის ძმა) 372
აბიშელეჟი, **Абимелех** 77
აბრამიშვილი 290
აბრაჰამი, აბრაამი, აბრჰამ (ბიბლ.) 95, 103, 114-115, 250, 321, 330, 332, 334, 369, 470, 544
აბუბეჟრი, ბობქარი 266-267
აბულაძე ილია 65, 176, 310, 370, 381, 388, 391-392, 485, 513
აბულაძე იუსტინე 273, 279, 289, 291, 300, 309, 360
აბუსერიძე ტბელი 306, 549
აგარი (ბიბლ.) 121, 251, 270-271, 369, 470-474
ადამი (ბიბლ.) 78, 91, 114, 134-135, 137, 226, 260, 322, 462
ავალიშვილი (ავალოვი) გიორგი 55, 159, 185, 358, 367, 384
ავგაროზი, ავგაროსი 120
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“) 180, 278, 286, 421
ავრელიუს ავგუსტინე 348
აზრა („კუმეყ და აზრა“) 376
ათანასი ალექსანდრიელი 63

ათანელაშვილი ლილი, ათანელაშვილი 6, 71, 80, 186, 375
აიოზ 292
აკოფაშვილი გულჩინა 23
აკსაღონ 243
ალექსანდრე (მეფე) 355
ალექსანდრე ბაგრატიის ძე (იმერეთის მეფე) 237
ალექსანდრე ბატონიშვილი 52
ალექსანდრე გიორგის ძე 391
ალექსანდრე II (იმერეთის მეფე) 356
ალექსანდრე IV (იმერეთის მეფე) 38
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) 359
ალექსანდრე („ისტორიანი და აზმანი“) 287-288
ალექსანდრე მაკედონელი 119-120, 208, 249-250
ალექსი-მესხიშვილი ტარასი ნ ტარასი (*არქიმანდრიტი, ალექსი-მესხიშვილი*)
ალექსი მიხეილის ძე 53
ალექსიძე ზაზა 82, 64-65, 222
ალი 102, 105, 116-117, 121, 127, 135-137, 330, 303, 464
ალი-ჰარირი 466-467
ამალეკი 330
ამბაკოზ, ამბაკუმი (ბიბლ.) 94-96
ამბროსი ნეკრესელი 152, 157, 169
ამილახვარი იოთამ 293
ამირანაშვილი შალვა II
ამირან დარეჯანის ძე 145, 535
ამირჯიბი გიორგი 290
ამირშუმლი 369
ამირიძე დავით ივანეს ძე 149, 156, 165
ამირზანაშვილი ივანე 418
ამოს 95
ანასტასი სინელი 63
ანგია (ბიბლ.) 94-95
ანდიაან (მოგვი) 258
ანდრია კესარია-კაბადუკიელი 226-227
Андрей Апостол 352
ანდრულაძე ლია 551
ანკისძე 243
ანტისტე 243

ანტონ I, კათალიკოსი, ბაგრატიონი 18,
28-29, 32-33, 50-51, 53, 57, 107,
173, 177-178, 281, 395, 481-482
ანუკა ბატონიშვილი 67, 234
ანუკა (საბუთები) 290
ანუშირვანი 291
ანჩაბაძე ზურაბ 263
აპული 243
არაბული ავთანდილ 317
არაბული გიორგი 419, 550
არღაზიანი ლავერენტი 181
არველაძე ბონდო 68, 485, 487-488,
521-522, 527, 540, 552
არზარკარი 331
ართმელიძენი 40
არისტოტელე 195, 252, 229
არნაევაზ 287-288
არონი (ბიბლ.) 248, 320
არსენ ბერი 363, 366
არსენ ბულმაისიშის ძე 272
არსენ ივალთოელი 26, 307, 348, 357
არსენ ნინოწმინდელი 60
არსენ საფარელი 63-65, 97
არჩილ მეორე (შახნაზარი) 2, 4-5, 18,
25, 28-29, 34, 36-38, 50, 56, 59, 61,
65-68, 79-80, 83-84, 88, 107, 139,
141-144, 146, 148-154, 156-158, 161-
162, 165-173, 176, 178, 180, 189-190,
194-195, 202-211, 215, 217, 231-238,
240-241, 243-245, 247, 249-257,
261, 280, 282, 296, 303-304, 307-
309, 317, 346, 359, 371-372, 380, 383,
385, 388, 395-397, 402, 405-407,
409, 413-414, 419, 427-428, 434-
436, 439-445, 447-450, 457, 459-
460, 465, 470-475, 477-480, 482,
488, 490, 492-493, 499, 506-507,
511, 514-516, 519, 526, 531, 536-539,
541, 543-549
ასან (ყურანი) 137
ასაფი 247, 330
ასერ (ისრაელის ძე) 94
ასკლეპიოს, ასკლიპოს 197, 319
ასლანიშვილი ვ. 292
ასლან-ფაშა 244
ასტრატო 245

აფრიღონ 291
აფციური ჯემალ, Ащцнаური Дж. В.
351-352
აქილევ 387-288

ბ

ბაალი 245
ბაგრატ (ბრმა) 409
ბაგრატ (იმერეთის მეფე) 237
ბაგრატ ბატონიშვილი, მუხრანბატონი
18, 60, 85-86, 90-94, 97, 100-102,
104, 106-107, 109-110, 113-120, 123-
124, 127-129, 131-138, 140-141, 401,
416, 462, 469, 481, 483, 485-486,
507, 555-556
ბაგრატ III (იმერეთის მეფე) 359
ბაგრატ მეფე 355-356, 290
ბაგრატ მეფეთა მეფე 357
ბაგრატიონი 246-247
ბაგრატიონები (მუხრანელი) 67, 83, 359,
ბაგრატიონი დიმიტრი 224
ბაგრატიონები (ოსთა) 215
ბაგრატიონები (ქართველთა) 215, 361-
366, 386, 392, 394
ბაგრატოვანი გიორგი 163
ბაგრატოვანები 214
ბადრი იამანისძე („ამირან-ღარეჯა-
ნიანი“) 374-375
ბაზიყა 294, 300-301, 376-377
ბაილო ყაენი 392
ბალიაშვილი შალუტა 290
ბანერგეს (ბიბლ.) 124
ბარაბა (ბიბლ.) 101, 303
ბარამ ჩუბინი 288
ბარათაშვილი დათუნა 293
ბარათაშვილი ზაზა 290
ბარათაშვილი მამუკა 4-5, 152-153,
168-169, 176, 180-181, 190, 194, 199,
243, 246, 256-257, 261, 423, 476,
478, 488, 494, 526, 537, 545, 548-
549
ბარათაშვილი ოთარ 223
ბარათაშვილი საამ 293
ბარათაშვილი ქრისტეფორე 293
ბარათაშვილები 292

ბარამ-ჯური 288 ნ ბარამ გური
ბარამიძე ალექსანდრე 4, 6-7, 57, 79-
80, 83, 126, 141, 145, 148-149, 153-
155, 161, 165-167, 169, 171, 173, 178,
188, 210, 220, 256, 264, 268-269,
271, 273, 289, 291-292, 295, 300-
301, 388, 406-408, 410-411, 481, 482,
485, 490, 505, 541
ბარამიძე რევაზ 413, 418, 471, 489, 528
ბარაქია 330
ბარბაქე (წმინდა) 223
ბასილაშვილი ეთერ 230
ბასილია შოთა 3
ბასილ კესარიელი 67, 125
ბასილ ღმრთისმეტყველი 64
ბაქარი 152, 168-169, 233-234, 238, 243,
246-247, 256, 358, 393, 545, 548
ბაქრაძე ანა 212, 294
ბაქრაძე ღიმიტრი, Бакрадзе Д. 6, 9-11,
13-14, 16, 19, 29, 31-34, 38-45, 49-
50, 61, 65
ბაღინოვი ნიკოლოზ მოსეს ძე 159
ბაყათარი 287
ბაჰრამ (ბარამ)-გური 288
ბეგთაბევი 5
ბეზარაშვილი ქეთევან 497-498
ბელიარი 303
ბენაშვილი გურამ 497-498
ბენიამენ (ისრაელის ძე) 94
ბეჟაშვილი ბეჟიტა 293
ბეჟიტაშვილი გიორგი 293
ბერაძე პანტელეიმონ 424
ბერიძე ვუკოლ 424
ბერიძე თ. 62, 65, 72
ბერიძე როლანდ 551
ბერსაბე 215, 303
ბერტელსი ე 191
ბერძენიშვილი ნიკო 4, 20, 42-43, 46,
49, 79, 392
ბესარიონი (კათალიკოსი) 47
ბესიაშვილი 290
ბესიკი 156, 194, 317, 478
ბექა 392
ბეშტია 373
ბეჰროზი („ეისრამიანი“) 287
ბოზქარი ნ ამუბეჯრი

ბოლრატი 196, 243, 320
ბისკაი (ზევის ნათესავი) 94
ბრეგაძე დავით 279
ბრეგაძე თ. 35
ბროსე მარი, Brosset 6, 32-34, 173-175,
187
ბურჯანაძე შ. 15, 23

ბ

გაალ (ისრაელის ძე) 94
გაბაშვილი ზაქარია 481
გაბაშვილი ტიმოთე 281
გაბაშვილი ოსე 36, 80, 156
გაბიძაშვილი ენრიკო 35-28, 370
გაბრიელ ელიოზის ძე ნ გელეკანიშვილი
გაბრიელ ელიოზის ძე
გაბრიელი (მღვიანა) 43
გაბრიელი (იაკობ შემოქმედელის ძმა)
14-15, 23, 51-52, 58
გაბრიელი (კყონდიდელი) 47
გაბრიელ, შჯაბრიელ (ანგელოზი) 103,
134-136, 305, 320, 401-402
გაიოზ რექტორი 154, 488, 514, 525-526
გაწერელია აკაკი 431, 434, 465, 502,
550
გელეკანიშვილი გაბრიელ ელიოზის ძე
24-25
გელეონი 54, 250, 327
გელაშვილი გ. 48
გერასიმე 51
გერასიმე, ჯერასიმე 64
გერმანოზი 292
გვახარია ალექსანდრე 131, 193-194, 286,
301, 467, 489
გვახარია ვაჟა 73
გიგაური გიორგი 3
გიგინეიშვილი ბაქარ 81, 125
გიგინეიშვილი ივანე 388
გივი 289-290
გივი („შაჰ-ნამე“) 243
გივი („ისტორიანი და აზმანი“) 287
გივიაშვილი, გვიასშვილი ნონია 290
გივიაშვილი, გვიასშვილი სუხიტა 290
გივინა 290
გივინაშვილი 290

გივიშვილი ბერი 290
გივიშვილი გოგიტა 290
გივიშვილი ზაალი 290
გივიშვილი ზაქარია 290
გივიშვილი იმარინდო 290
გივიშვილი იორამ 290
გივიშვილი მხთისა 290
გივიშვილი შოშიტა 290
გივიშვილები 290
გიორგი ათონელი 60-61, 97, 123, 225
გიორგი ალექსანდრეს ძე 371-372
გიორგი ერისთავი 39
გიორგი ლაშა 148-149, 263, 285-286
გიორგი (წმინდა) 20, 354
გიორგი (მოწამე) 223
გიორგი (კახეთის მეფე) 391-393
გიორგი (მეფე) 355
გიორგი I 214
გიორგი II 359
გიორგი III 208, 217, 247, 359
გიორგი III (იმერეთის მეფე) 359
გიორგი VI (იმერეთის მეფე) 359
გიორგი III გურიელი 39, 41-42
გიორგი IV გურიელი 38-40, 43, 45-47, 49
გიორგი V გურიელი 16, 45
გიორგი XI 17, 25, 28, 34, 50, 56, 85, 139-144, 177, 209, 246, 256, 393, 414, 416, 546-547, 555-556
გიორგი XII 184
გიორგი მერჩულე 71,
გიორგი მონაზონი 280
გიულდენშტედტი 48
გიუნაშვილი ელგუჯა 25, 125
გოგიაშვილი ჰაბია 142
გოგიტიძეები 9
გოგუაძე ენეერ 14, 19
გოგუაძე ნარგიზა 71, 370
გოშაძე ზვარამზე 21
გრიგოლ ღიაკანი 24
გრიგოლ (ცაგარელი) 47
გრიგოლ ნოსელი 224-225, 227
გრიგოლ ღმრთისმეტყველი 64, 98, 253
გრიგოლ ზანძთელი 71, 354
გუგუნაეა დათა 180
გუგუნევილი მერი 83

გულაბერიძე ნიკოლოზ 73
გურამიშვილი დავით 5, 70, 173, 181, 247, 434, 478, 482
გუჩუა ვიქტორ 263

დ

დადიანი ვამეყ 38
დადიანი კაცია 46
დავითი 59
დავითი (ბიბლ.) 67, 81-82, 90, 99, 117-118, 146, 198-199, 208, 211-215, 243, 246-247, 249-250, 258, 270, 303, 322-323, 329-331, 362, 365, 367, 382, 389-392, 395-396, 469
დავითი („დავით და კონსტანტინეს წამება“) 370-371
დავითი (თეიმურაზ I-ის ძე) 409
დავითი (სოლომონ I-ის ძმისწული) 212
დავითი (იმერთა კათალიკოსი) 18-19, 31
დავითი (ქსნის ერისთავი) 212
დავით აღმაშენებელი 2, 130-146-148, 162, 208, 210-212, 217-218, 253, 262, 273, 288, 347-348, 359, 363, 393, 395-396, 406, 409, 420, 423, 493, 546
დავით მესამე 148-149, 406
დავით მერვე 148, 406
დავით მწირი 146, 212
დავით რექტორი (ალექსი-მესხიშვილი, ალექსოვი) 150, 154, 159-164, 173, 175, 178, 185 212, 218, 280, 347, 406, 423, 488, 514, 525-526, 531, 536, 547
დავით სოსლანი 2, 117-148, 150-151, 154, 160-161, 164, 175, 201, 210-217, 262-267, 287, 407, 411, 419-421, 423, 546
დავითი (ქართული მეფე) 146-147, 149, 153, 155, 159-160, 165, 170, 190, 211, 213, 215, 217, 231, 280, 479-480, 488, 499, 502, 504, 521, 526, 531, 546 (შლრ.: დავით აღმაშენებელი, დავით სოსლანი)
დავით ტბელი 18, 60-61, 96-97
დავით ულუ 148-149, 406
დავით შავთელი 146, 149

დავითაშვილი ელისბარ 293
დავითაშვილი კონსტანტინე 293
დავითიანი, დავითიანები 107, 157, 214,
285, 361-363, 365, 367, 383
დავითიანი იოსეფ ნ იოსეფ იაკობის ძე
დავითიანი
დაკის (ზევის ნათესავი) 94
დალილა (ბიბლ.) 100
დან (ისრაელის ძე) 94
დანელია კორნელი 122, 315-318, 322-
325, 329, 331, 333-335, 339-340,
343-345, 487, 493, 504, 515-517,
527, 530
დანიელი (ბიბლ.) 94, 96
დანიელ მიტროპოლიტი 47
დანტე 349, 369
დარეჯანი (დედოფალი) 46
დარისი 249-250
დარჩია ბორის 222, 417-420, 482, 488-
489, 496, 499, 501, 503-504, 506,
508-512, 514, 516-517, 523-524,
530, 533, 550, 556
დარჩია თინა თემურის ასული 3
დარჩია ილო (ილია) ომარის ძე 2-3
დარჩია ლამარა კონსტანტინეს (პოს-
ტეს) ასული 2
დარჩია ომარი 2
დებორი, დებორა 197, 288
დედაბრიშვილი ბასილ 293
დემეტრე (მეფე) 347, 359
დემეტრაშვილი გიორგი 293
დემონაკ 243
დეალაძე ბაკაკა ნ
დილარი („ამირან-დარეჯანიანი“) 186,
188
დილარი („დილარიანი“) 183
დილარგეთი 5, 535-536
დიმიტრი (წმინდა) 14
დიმიტრი (მოწამე) 223, 229
დიმიტრი თავდადებული 148
დიონისე 195, 252
დიონისე არეოპაგელი ნ ქეტრე იბერი
დიუბუა დე მონჰერე 9, 14
დოდაშვილი კოტე 181
დოდაშვილი თეიმურაზ 503, 520-528,
549

დოლაქიძე მ. 25, 370
დოლიძე ისიდორე 47, 253, 269, 355-
356, 374, 389, 393
დომენეტი კათალიკოსი 358
დორათ დილაში („ამირან-დარეჯა-
ნიანი“) 376
დორთეოს ტვირელი 53
დოჩანაშვილი ელენე 82, 330
დუმბაძე ესე 46
დუმბაძე იაკობ ნ. იაკობ დუმბაძე შე-
მოქმედელი, სამეფელი
Думбадзе Иаков н иაკობ დუმბაძე
შემოქმედელი, სამეფელი
დუმბაძე ივანე 46
დუმბაძე კაცია 46
დუმბაძე მამუკა 16
დუმბაძე ფარსადან 46
დუმბაძენი 16

ე

ეგნატაშვილი ბერი 234-235
ევა (ბიბლ.) 91, 260, 322, 462
ევედმონ კათალიკოზი 19
ეელოგი სალოსი 264
ეემანიოზ 319
ეესტატი (მოწამე) 223
ეზლიჯედ („შვიდი მთიები“) 388
ეზეკია (ბიბლ.) 95
ეზეკია (რუბენის ნათესავი) 94
ეზეკიელი (ბიბლ.) 94
ეზეკიოს (რუბენის ნათესავი) 94
ეზრა 94-95, 249
ეკატერინე (მოწამე) 223
ელბაქიძე მაკა 553
ელენე (ბაგრატ მეფეთა მეფის მეუღლე)
357
ელია, ილია წინასწარმეტყველი 62, 80,
260, 470
ელისაბედი 51
ელისე 470
ელიოზი ნ გედევანიშვილი გაბრიელ
ელიოზის ძე
ემან 243
ენოსი 195, 197, 252, 326
ენუქაშვილი სამსონ 69

ენუქიძე თინა 35, 80, 289, 294
ეპიკ 243
ეპიფანე კვიციანი 62
ეპკურ 243
ერეკლე (კეისარი) 258
ერეკლე პირველი 140, 237, 241, 243
ერეკლე (ირაკლი) მეორე 46, 173, 182-
183, 185, 374, 384, 389, 395
ერეკლე ნ კერაკლე
ერისთავი შანშე 293
ესაი (ბიბლ.) 105-106, 248
ესაია 94-95,
ესტატე 290
ეფთვიძე (გენათელი) 45
ეფრემ ასური 225
ეფრემ მცირე 60-62, 97, 123, 196
ეფრემიანი, ეფრემიანები 214, 287
ექვთიმე (ეფთვიძე, ეფთვიძი) ათონელი
34, 60-61, 69, 97, 115, 122, 226

3

ვამეყი 257-258
ვამეყი („ვამეყ და აზრა“) 376
ვაჟა-ფშაველა 509
ვარონ 243
ვაშტაშაბი 291
ვანნაძე ბარძიშ 6
ვანნაძე იოსებ 269
ვახტანგ გორგასალი 253, 383, 396
ვახტანგ I, გურიელი 9
ვახტანგ V, შაჰნავაზი, შანაოზ 67, 70,
139-140, 142, 157, 233-234, 242-
243, 246, 253, 389, 393, 407, 541,
555-556
ვახტანგ VI 5, 42, 46, 56, 67, 126, 156,
175-177, 184, 212, 222, 234, 240,
246, 393, 477-478, 481, 493, 504,
529-530, 551, 548
ვახტანგ ბატონიშვილი 152, 169
ვახტანგი (ბაგრატიის ძე) 556
ვახუშტი ბატონიშვილი, ბაგრატიონი
37, 41-42, 143, 233, 236, 238, 240,
243, 245, 363-364, 366, 372, 383-
385
ვა 243

ვირო („ვისრამიანი“) 131
ვისი („ვისრამიანი“) 131, 198, 258, 376

ზ

ზაალა (აკურთის მცხოვრები) 293
ზაალი/ზალ 292
ზაალი („შაჰ-ნამე“) 236, 286, 376
ზაალიშვილი ბეჟან 293
ზაალიშვილი გარსევან 293
ზაალიშვილი გორჯასპ 293
ზაალიშვილი ოქროპირ 293
ზაალიშვილი ქაიხოსრო 293
ზაალიშვილი ხუცი 293
ზაალიშვილები 293
ზაალისშვილი გიორგი 293
ზაალისშვილი ზაალი 293
ზაალისშვილი ოთარი 293
ზაალისშვილი პაატა 293
ზაალისშვილი ქაიხოსრო 293
ზააქი 387
ზააქი („შაჰ-ნამე“) 397
ზაბულონ (ბიბლ.) 94
ზაქარია (ბიბლ.) 94-95
ზაქარია (რუბენის ნათესავი) 94
ზებე (ბიბლ.) 98
ზევი (ბიბლ.) 94
ზევისი 197, 201, 404
ზემოქართლელი მ. ნ ყიფიანი მიხეილ
ზენონ ალავერდელი 389
ზიბ (ბიბლ.) 98
ზილიზა 279, 297, 299-301, 376, 383,
388-389
ზინონი 196-187, 243, 326, 403
ზირაქი ისო (ბიბლ.) 196-197, 247-249,
319, 326, 330, 403, 544
ზოსიმე 289
ზურაბა (მღვივანი) 42, 293
ზურაბი 287
ზურაბიშვილი 253

თ

თადეოზ (სვიმონის ნათესავი) 94
თავაქარაშვილი მამუკა 279, 476
თავაძე გივი 28
თავღვირიძეები 40

თავღვრიძე, თავღვრიძე გიორგი 43
 თავღვრიძე მამუკა 45, 48
 თავღვრიძე, თავღვრიძე მირზაბეგ, I,
 39-40
 თავღვრიძე როსტომ 40
 თავღვრიძე მურმან 2-3, 212, 419
 თამაგინი 287
 თამარ მეფე 2, 59, 84, 145-151, 153-156,
 159-165, 167, 171-175, 178, 183, 190-
 191, 193, 195, 201-204, 208, 210-211,
 216-219, 230-231, 252-253, 256-
 257, 263-267, 273, 280, 288, 297,
 307-308, 316, 365-366, 379-380,
 386, 392-393, 395-396, 398, 406-
 408, 411, 418-420, 479-480, 488, 490,
 493, 499, 502, 504, 521, 526, 531,
 538, 542, 544-548
 თამარი (ალექსანდრე II-ის მეუღლე)
 356
 თამარი (იულან სძალი) 346
 თამარი (წმინდა დიმიტრის ხატის
 წარწერა) 14-15
 თამთა 287-288
 თანიაშვილი სულხან 6
 თაყაიშვილი გაბრიელ 43
 თაყაიშვილი ექვთიმე 9, 13, 23, 54, 61,
 124, 142, 148, 185-186, 223, 250,
 288, 356
 თაყაიშვილი იოსებ, შემოქმედელი 45
 თბილელი იოსებ 6 *იოსებ თბილელი,*
საკაძე
 თეოდორე (მღვდელი) 223
 თეოდოსი (ზუგის ნათესავი) 94
 თეოდოსი (დიდი) 357
 თეიმურაზ ბაგრატიონი, ბატონიშვილი
 159, 166, 173-174, 182, 347, 406
 თეიმურაზ (ვახტანგ მეექვსის ძმა) 42
 თეიმურაზ I 4, 5, 36, 65-66, 88, 143, 158,
 172, 176, 180, 204, 206, 247, 254, 257,
 262, 269, 279, 282, 294-301, 303,
 317, 346-347, 349-350, 371, 383,
 388-389, 397, 402-405, 407, 409,
 415, 454, 458, 470, 472, 493, 495,
 527, 542-544
 თეიმურაზ II 5, 46, 395

თეიმურაზი (ბაგრატ ბატონიშვილის
 შვილიშვილი) 556
 თეკლე 51
 თემური 355
 თეოდორე მომფსევტელი 259, 280
 თეოდოსია (წმინდა დიმიტრის ხატის
 წარწერა) 14
 თვარაძე რევაზ 418, 469
 თიკანაძე გიორგი 46
 თინათინი 202
 თინათინი („ეფუხისტყაოსანი“) 276, 421
 თმოგველი სარგის 5
 თორია ცისანა 3
 თოდუა მაგალი 126, 131, 286
 თომა (ბიძლ.) 330
 თორნიკე ერისთავი 50
 თუთა (ქაიხოსრო I-ის ასული, ვახტანგ
 მეექვსის დედა) 42
 თუმანიშვილები 124, 142, 223
 თუმანიშვილი გივი 67, 83, 249-250,
 253, 396, 413, 415, 541, 549
 თუშიანი 287-288
 თური 236, 286, 292, 376
 თურინა 294
 თურმანიძე ხოსრო 5
 თურქისტანიშვილი დავით 172
 თუქალ 392

ი

იაბი (ბიძლ.) 97-98, 330
 იაკობი (ბიძლ.) 105-106, 320, 382
 იაკობი („მეფეთა საქებელი და სამ-
 ხილებელი“) 202
 იაკობ ლუბაძე, შემოქმედელი, სამეფე-
 ლი, *Думбадзе Иаков* 2-9, 12-39,
 41-42, 49-58-73, 76-79, 83-86, 88-
 95, 97-102, 104-115, 118-119, 122,
 124-125, 127-134, 136-146, 148-154,
 157, 160-161, 164-173, 176-178, 182,
 185, 169-190, 203-209, 217, 229, 231,
 233, 255, 257, 272, 277, 281-284,
 296, 301-302, 305-307, 309-311,
 314-315, 317, 331, 345, 354, 357-359,
 373, 398, 401-402, 407, 413-419, 421,
 423-424, 433-434, 441, 447-450,

- 452, 459-460, 464-468, 472, 475-483, 485-492, 494-496, 499-500, 518, 520-522, 524-527, 530-532, 534, 537-544, 546-586
- იაკობ ზებელესი 124
- იაშვილი მზია 67, 234
- იაშვილი პაოლო 512
- იბალ აბაში („ამირან-ლარეჯანიანი“) 374-377
- იერემა წინასწარმეტყველი 77, 94-95
- იერობოამი 208
- იესე 367
- იესე (ბიბლ.) 67, 246, 285, 268
- იესე (იაკობ შემოქმედელის ძმა) 14-15, 51, 56
- იესე (ვახტანგ მეექვსის ძმა) 42, 395
- იესე (მდივანი) 48
- იესიანი 361-362, 367
- იესო, იესუ ნ ქრისტე იესუ ივბიშიანე 208
- ივლიანე განდგომილი 63, 208
- იზაქარ (ისრაელის ძე) 94
- ითონიშვილი ვალერიან 203
- ილარიონ ქართველი 227
- ილია წინასწარმეტყველი 90-91 (ნ კი-დე ელია)
- იმედაშვილი გაიოზ 81, 145, 175
- იმნაიშვილი ივანე 225-226, 379
- ინგოროყვა პავლე 73, 75, 146, 211, 273, 289, 406, 409, 411, 521
- ინლო ჭაბუკი („ამირან-ლარეჯანიანი“) 375
- ინოკენტი XI 31-32
- ინოკენტი XII 30
- იოანე („იოანეს ცხოვრება“) 368
- იოანე ათონელი 50
- იოანე ანჩელი 271
- იოანე ბატონიშვილი, ბაგრატიონი 5-6, 181, 183-184, 382, 384, 406, 476, 482
- იოანე, იოვანე (ბიბლ.) 55, 72, 97, 125, 225-228, 247, 306
- იოანე (ეპისკოპოსი) 51-52
- იოანე მახარებელი, ნათლისმცემელი 38, 122, 124, 223
- იოანე ოქრობორი 225-226
- იოანე შვეთელი 2, 145-150, 153, 155, 159-160, 163-164, 166-168, 173-176, 178-179, 185, 190-192, 210, 215, 220, 262-267, 269, 273, 295, 300, 315-316, 346-350, 360, 399, 417-419, 423, 479, 495, 499, 502, 516, 527, 548
- იოანე შემოქმედელი 43, 79
- იოანე ხინოწმინდელი 45
- იოვანე (იაკობის ძმა) 124
- იოვანე (ისტორიული საბუთები) 289
- იობ (ბიბლ.) 94-95, 244
- იობ (წინამძღვარი) 176, 480
- იოველ (ბიბლ.) 94-95
- იონა (ბიბლ.) 95
- იორდანიშვილი სოლომონ 232, 391
- იოსებ მონაზონი (სყუფოფილაქსი) 368
- იოსებ, იუსუფ („იოსებ-ზილიზანიანი“) 279, 297, 299-301, 375, 383, 388-389
- იოსები (ბიბლ.) 94, 248-249
- იოსებ (ხურო) 134-135
- იოსებ გენათელი 47-48
- იოსებ შემოქმედელი 45
- იოსებ თბილელი, ტფილელი, სააკაძე 4, 34, 68-70, 76, 77-78, 79, 83-84, 142-144, 173, 223, 232, 282, 405, 432, 473, 486, 509
- იოსეფ იაკობის ძე დავითიანი 385
- იოსელიანი ვია 3
- იოსელიანი პლატონ 6, 18-20, 29-33, 50, 56, 68, 155, 170, 199, 280, 406, 521
- იოსეფ (ბიბლ.) 76
- იოსეფოს (მთარგმნელი) 94
- იოსია (ბიბლ.) 208
- იოსპოს (რუბენის ნათესავი) 94
- იოჰნე (რუბენის ნათესავი) 94
- ირბაზი ნიკიფორე ნ ჩოლოყაშვილი ნიკიფორე
- ირინე (მოწამე) 223
- იროიკ 242, 320
- ისაკი (ბიბლ.) 10, 248, 320, 329, 427-428
- ისარლიშვილი ლუკა 181
- ისირი 330
- ისმაელი, ისმაილი 60, 105, 107, 111, 121, 127, 323

ისო ზირაქი ნ ზირაქი ისო
ისო, ისო ნავე (ბიბლ.) 94-95,
ისტორიის მოყვარე 188
იუდა (ბიბლ.) 116, 346
იუდა (ისრაელის ძე) 94
იუდა (სიმონის ნათესავი) 94

კ

კაენი (ბიბლ.) 107, 320
კაკაბაძე ხარგის 45, 146, 149, 170, 211,
218, 229, 280, 356-357, 404, 406,
448, 521
კარბელაშვილები 8
კარბელაშვილი მარიამ (ციალა) 198,
360-365, 367-369, 374, 377, 381-
382, 384, 386, 398, 485
კარბელაშვილი პოლიექტოს 6, 19
კარგარეთელები 8
კარიჭაშვილი დავით 175
კარიჭაშვილი ლია 175
კარტოზია გურამ 317, 425, 489, 549
კასრაძე ნ. 35
კაციტაძე ლაურა 551
კახაბრიშვილი ციალა 62, 64, 281, 382,
476, 513
კაქელიძე კორნელი 6, 14, 17-19, 22-24,
30, 32, 51, 56, 59, 67-69, 80, 90, 126,
140-141, 147-149, 153, 172-173, 175,
187, 190-191, 212, 214, 218-221, 224-
225, 233, 248, 272-273, 285, 287-
289, 291, 300, 368, 386, 388, 404,
406, 408, 410, 422, 482, 490-491,
493, 505, 509-510, 519, 536, 549
კაქელიძე ლიანა 79, 388
კელენჯერიძე მელიტონ 181
კენჭოშვილი ნიკოლოზ 417
კვანტალიანი შარლოტა 3, 489, 500, 553
კვერდელიძე ხვარამზე 14
კიკვიძე ცოტნე 81, 382, 425, 476, 489
კიკნაძე გულნაზ 72, 225, 370
კილაძე მამია 17
კინიკ 243
კირაკოზი 290
კირილი 181

კლდიაშვილი დ. 23, 40, 290, 292, 294,
374
კობიძე დავით 397, 477
კონდაკოვი ნიკომიძე, Кондаков Н. 6,
9, 10
კონსტატილე 292
კონსტანტინე ალექსანდრეს ძე 371-372
კონსტატილე ბაგრატის ძე 355
კონსტანტინე („დავით ღა კონსტანტი-
ნეს წამება“) 370-371
კონსტანტინე დიდი 208
კონსტანტინე II (კახეთის მეფე) 392,
556
კოპაძე სვიმონ 413
Косидовский Зенон 362
კრატ 243
კრიმსკი ა., Крымский 77
კრონოსი 196-197
კსისტ 243
კუსრაშვილი რუსუდან 534, 551

ლ

ლაზარე (ბიბლ.) 78
ლარაძე ივანე 182
ლარაძე პეტრე 181-186, 188
ლარაძე-შალიკაშვილი მართა 182, 189
ლაშა გიორგი ნ გიორგი ლაშა
ლევან, ლეონ გურიელი 43
ლევანი (ერეკლე მეორის ძე) 46
ლევანი (ვახტანგ მეექვსის მამა) 42
ლევანი (მამია მესამის ძე) 49
ლევნი (ბიბლ.) 81, 94
ლეილი („ლეილ-მაჯნუნიანი“) 6, 59,
279, 295, 297, 403-404
ლეი 229, 428
ლეონიძე გიორგი 175, 232, 391, 405
ლეონტი მროველი 74, 291, 383
ლიპარიტი 130
ლოლაშვილი ივანე 5-6, 71, 79, 107-108,
124, 140, 148, 150-153, 155-161, 164,
167-169, 171-172, 177-178, 191-193,
199-202, 210-211, 213-215, 220-
221, 228-229, 247-248, 253-255,
260, 264-266, 269, 271-272, 274-
280, 295-299, 302, 308, 310-313,

328, 330, 335, 346-349, 360, 373, 380, 406-408, 411-412, 420, 482, 488, 490, 492-493, 498, 504-505, 519, 521-522, 526, 534, 536, 539-540, 543, 549

ლოთი (ბიბლ.) 124

ლომინაძე ბაბილინა 57, 347-348, 354

ლომძიძე თამარ 494

ლოპუხინი ა. Лопухин А. П. 69, 71, 74, 378

ლორთქიფანიძე გელეონ 356

ლორთქიფანიძე ნიკოლოზ 50, 54-55, 61

ლუკა (ბიბლ.) 97, 142, 248

მ

მათე (ბიბლ.) 72, 97, 115, 131, 222, 243, 311, 363, 379

მაისურაძე ილია 374

მაკარი მეგვიპტელი 64

მაკარი რომელი 64

მაკედონიოს 259, 280

მალაქია (ბიბლ.) 94-95

მალაქია (შემოქმედელი) 33-34, 37-38, 41-43, 49

მალაქია გიორგი გურიელის ძე 34

მალაქია ქაიხოსროს ძე 34, 42

მამია III, გურიელი, Мамия III 36, 38-43, 47, 49-50, 53, 56-57

მამია IV, გურიელი 43, 45-48

მამისთვალისძე ელდარ 354

მამუკა ბატონისძე 52

მანასე 208, 249-250

მანი 259, 280

მანოეს (ბიბლ.) 100

მარიამ (ღმრთისმშობელი) 134-135

მარიამი (ოთარ ბარათაშვილის მეუღლე) 223

მარიამი (წმინდა ღმირტრის ხატის წარწერა) 14-15

მარინე (მოწამე) 223

მარი ნიკო, Марр Н. Я. 6, 56, 85, 140, 147-148, 155, 170, 189, 193, 200-201, 211, 213, 215, 218-219, 272, 289, 300, 309, 317, 346, 360, 404, 406, 408-411,

422, 448, 467, 482, 493, 519, 521, 543

მარკოზი (ბიბლ.) 72, 97, 124

მარკოზი (მღვდელ-მონაზონი) 24

მარკოზ განმორებული 64

მატათეოს (სვიმონის ნათესავი) 94

მაქსიმე (ბედიელი) 47

მაქსიმე (ქუთათელი) 47

მაქსიმე (ხინოწმინდელი) 47

მაქსიმე (ნინოწმინდელი?) 51

მაქსიმეშვილი გიორგი 46

მაყაშვილი კოტე 311

მაყაშვილი ლუარსაბ 290

მაჩაბელი ბაადურ 293

მაჭვარიანი ელია 292

მაჭვარიანი შ. 147

მაჭუტაძე ნინო 39

მაჭუტაძე ალექსანდრე 22, 40

მაჭუტაძე იოანე, იოვანე 39-40

მაჭუტაძე მაქსიმე, Максиме 16, 20-21, 45

მაჭუტაძე როსტომ 46

მახარაძე გიორგი (ჟორა) 528

მაჯნუნი („ლეილ-მაჯნუნიანი“) 6, 59, 279, 295, 297, 403-404

მაკმალი, მახმალი ნ მოამედ

მეგრელიშვილი ლამარა 534

მეგრელიშვილი ქ. 131

მეგრელიძე იოსებ 273

მერკვირი 404

მზეჭაბუკი („ამირან-ღარეჯანიანი“) 375-376

მელესოს (რუბენის ნათესავი) 94

მელიქსოტბეგი ლეონ 37

მელქიზედეკი (ბიბლ.) 248

მელქისედეკ გენათელი 356

მენაბდე ლევან 6, 8, 30, 53, 55-56, 150, 346-348, 353-354, 486

მენანდარ 248, 319

მენდომ 243

მერკვირი 259

მეტრეველი ელენე 6, 35, 57, 72, 145, 146-149, 164, 216, 260-264, 358, 367, 386, 407, 411, 422

მეტრეველი რონ 11

მირიანაშვილი პეტრე 555

მიქაელ, მიქელ (ანგელოზი) 99, 320
მიქაელ მოღრეკილი 72, 75
მიქაძე გვი 4, 84, 126, 145, 168, 180-181,
256, 476, 488, 526
მიქაძე ნიკოლოზ გაბრიელის ძე 156-158
მიქია (ბიბლ.) 95
მიხაელი (პეტროს მიტროპოლიტი) 55
მიხეილ თეოდორეს ძე 53
მოაბ (ბიბლ.) 99
მოაბადი („ვიხრაშიანი“) 258
მოამად, მოამედ, მოჰამედ, მუხამედი,
მუჰამედი, მაჰმადი, მახმად 60, 85-
86, 90, 93, 95-99, 101-107, 109-111,
113, 116-118, 121, 126-127, 135-138,
144, 259, 303, 305, 330, 369-370,
398, 401, 464, 547

მოლოდინაშვილი მოლოდინა 293
მოლოქი 245
მომფსვეტელი ნ თეოდორე მომფსვე-
ტელი
მოსე (ბიბლ.) 81, 93-96, 103-104, 107,
114-118, 137, 138, 197, 248, 250, 259,
320, 322-323, 330-331
მოსე ზონელი, ზომელი 5, 145, 179, 186-
187, 272, 375
მოსორ ნადირისძე 376
მურვან ყრუ 369-370
მუხამედი ნ მოამად
მჭედლიძე გულიკო 294
მხარგრძელები 263

6

ნაეროზ 356
ნაკაშიძენი 40
ნაკაშიძე მამუკა 39-41
ნაკაშიძე ბახუტა 16
ნაკაშიძე ბერი 46
ნაკაშიძე ბეჟან 39-41, 43, 49
ნაკაშიძე გიორგი 40, 48
ნაკაშიძე ივანე 40
ნაკაშიძე რარა 224
ნაკაშიძე საყვარელი 46
ნაკუდაშვილი ნინო 551
ნანობაშვილი მარიამ 77
ნანუჩა 5

ნაოზ (ბიბლ.) 94-95
ნასია („ბაამიანი“) 397
ნატრაძე ნ. 62
ნებროთი 197, 248, 260, 287, 305, 320-
321, 331, 401-402
ნეგუსთა ღინასტია 262
ნემესიოს ემესელი 381
ნემსაძე დავით 19, 42
ნესტანი („ვეფხისტყაოსანი“) 304
ნესტორი („დიმიტრი სოლუნელის
წამება“) 229
ნექაძე ნ პეტრე მგალობელი
ნიემია (ზევის ნათესავი) 94
ნიზამი 228
ნიკიტა სტიტატი 307
Никитоп (არქიმანდრიტი) 378
ნიკოლოზოს 76
ნიკოლოზოსი ნ ზელაშვილი ნიკოლოზი
ნიკოლაძე ე. 353
ნიკოლოზ გულაბერისძე 272
ნიკოლოზ შემოქმედელი (მაჰია III-ის
ძე) 13, 18, 28, 33, 44-49, 51, 57
ნიკოლოზ გენათელი 54
ნიკოლოზ რუსთველი 56
ნიკოლოზი (მროველი, ორბელიანი) 50,
56
ნინო (წმინდა) 222-223, 272
ნინუა გ. 25
ნიუტონი 495
ნიშინაიძე შოთა 518, 532-533
ნოდარ 5
ნოე (ბიბლ.) 100, 114-115, 313
ნოზაძე ვიკტორ 228-229
ნონიშვილი პაპუა 293
ნუცუბიძე შალვა 178-179, 366, 406, 422

ო

ოზია 330
ოთარი 5
ოთხმეზური გიორგი 294
Ольдеронт Д. А. 361
ომარი, უმარი 115-117, 137
ონა (ზევის ნათესავი) 94
ონანა (მღვიანი) 5, 279
ონიანი შერმაღინ 83, 519

ონოფრე მეგვიპტელი 64
ორბულიანი ნიკოლოზ (სულხან-საბას
ძმა) 56, 71
ორბულიანი ნიკოლოზ ნიკოლოზ ორ-
ბელიანი (მროველი)
ორბულიანი სულხან-საბა 5, 56, 65, 71,
126, 141, 175-177, 181, 222, 224-225,
227, 310-312, 359, 379, 381, 391-392,
409, 413, 478, 480
ორბულიანი პაპუნა 46
ორებ (ბიბლ.) 98
ოსე (ბიბლ.) 95
ოსმანი (ყურანი) 116-117
ოქროპირიძე იოანე 55

კ

პაეღე (ბიბლ.) 72, 131, 223-225
პაპუაშვილი თ. 265
პარმენიდ 196, 242, 320
პატარიძე რამაზ 64, 468
Петехии И. И. 361
პეტრე (ბიბლ.) 223
პეტრე მგალობელი, ნექაძე 250-252,
413
პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე
არეოპაგელი) 69
პეტრე I 209, 256-257
პიტაქ 243
პითაღორ 243
პლატონი 195-196, 250, 252
პტოლემე, პტოლემეოსი (-ზი) 62, 93-
94- 101, 119-120, 125, 132-133, 309

ქ

ქორდანია თედო, Жордания Ф. 6, 20,
24, 30, 34, 37, 50, 55-56, 59, 61-62,
64, 77-79, 86, 356, 482
ქლენტი დავით 294

რ

რამაზ II (მაჭუტაძე) 40
რამინი („ვისრამინი“) 287
რატინი ირმა 553
რაფაელ 320
რეა 404

რებეკა (ბიბლ.) 105-106
რობაქიძე გრიგოლ 398
როსტომი („ვისრამინი“) 287
როსტომი (ქართლის მეფე) 24-25, 142
როსტომი („შაჰ-ნამე“) 198, 288, 327,
376
როსტომი („ეუფხისტყაოსნის“ დანარ-
თი) 292
როსტომისძე 289
როპამი („ვისრამინი“) 287
რუბენი (ბიბლ.) 94
რუთი 94-95
რუსთველი, რუსთაველი შოთა 4, 5, 36,
65-66, 88, 126, 132, 143-146, 152,
164, 169, 172, 174, 176, 178-179, 186,
188 204, 206, 247, 273-276, 278,
280-282, 290, 296-297, 303-305,
319, 371, 397, 399, 402, 407, 415,
420-422, 424, 427, 433-434, 436,
468, 470-472, 480-481, 493, 496,
535, 543-544
რუქნადინი 216, 263, 265-266
რცხილაძე ვიქტორ 3

ს

საამი 198, 236, 279, 286, 288, 292, 294,
376
სააკაძე იოსებ ნ იოსებ თბილელი
საბა (სახელი) 380
საბა (ათონელი) 55, 123
საბა თუხარელი 60-61
საბაშვილი ბ. 223
საბაშვილი შალვა 399-402, 404
საბელიოს (-ზ) 259, 280, 319
სალამანა (ბიბლ.) 98
სალიში („შაჰ-ნამე“) 286, 292, 376
სამბსონ („ისტორიანი და აზმანი“) 287
სამებელი იაკობ ნ იაკობ ღუმბაძე
შემოწმებული, სამებელი
სამოელი (ბიბლ.) 34, 79, 99, 107, 248,
469
სამოილ (სეიმონის ნათესავი) 94
სამსონი, სამფსონი (ბიბლ.) 100, 198, 248
სამუსათელი 259, 280
სანაძე ლეილა 534

სარა ბეთლემელი 223
სარამა 195-196, 249, 252
სარგის თმოგველი 145, 182-183, 185-189
სარრა 320
სარჯველაძე ზურაბ 310
საული (ბიბლ.) 82, 213, 362, 365-366
საურ („ბაამიანი“) 397
საყვარელიძე გიორგი 182
საყვარელიძე ექვთიმე 354
საყუარლისძე მელქისედეკი 357
სახოკია თედო 8, 16
სეითი (ბიბლ.) 114-115
სელემეოზ (სეიმონის ნათესავი) 94
სეიმეონ (სეიმონის ნათესავი) 94
სეიმონ, სეიმეონ (მთარგმნელი) 113
სეიმონი (ბიბლ.) 94, 303
სეიმონ გურიელი 37-38, 50
სეიმონ (ვახტანგ მეექვსის ძმა) 42
სილოში 287
სილიბისტრო (არქიმანდრიტი) 47
სილოამი (ბიბლ.) 247, 333
სილოგავა ვ. 289
სიმეონ არქიმანდრიტი 45
სიმონი (ჯუმათელი) 45
სიმონიდ 243
სირაძე რევაზ 73-74, 212, 264, 270,
347-349, 351-352, 553
სიხარულიძე ფრიდონ 22-23, 36, 51-54
სოკრატე, სოკრატ 195, 242-243, 252,
320, 380-381
სოლომონ (ბიბლ.) 67, 69-70, 75, 86, 94-
95, 106, 108, 157, 198, 208, 213-215,
246, 249, 312, 320, 331, 361-362,
365, 367, 377-381, 389, 392, 396, 398
სოლომონ, სოლომან I (იმერეთის მეფე)
46-48, 373
სოლონ 243
სოსელია ოლღა 24, 39-51, 45, 54
სოფონია (ბიბლ.) 94-95
სოფრომ იერუსალიმელი 63
სპანდიარი 287
სპანდიასი 291
სტეფანე სანანოის ძე 18, 60-61, 96-97,
99
სულავა ნესტან 264, 488, 496-498, 550-
551, 553

სულაძე გიორგობაი 43
სულიემანი (შაჰი) 140
სულთანი (სულხანი?- ქეთევანის მე-
ულდე) 25
სულხანი (ქეთევანის მეულდე) 24
სურგულაძე აკაკი 482
სურგულაძე მზია 23, 40, 290, 292, 294,
374

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 512, 514, 528, 534
ტაბიძე სვიმონ 159
ტარასი (არხიმანდრიტი, ალექსი-მეს-
ხიშვილი) 55
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი“) 132, 145,
188, 274, 276, 535
ტიმოთე (ბიბლ.) 72
ტლაშაძე იესე 358
ტოტორაჟა არჩილ 9, 36, 61
ტურჩანი ვილიამ 369

უ

უთრუთი („შაჰ-ნამე“) 236, 292, 376
ულუ დაკითი ნ დაკით ულუ
უმარი ნ ომარი
უმიროს ნ კომეროსი
უსენ (ყურანი) 137
უსიბი („ამირან-დარეჯანის“) 374
უსუფ-ფაშა 42

ფ

ფავლენიშვილი ქაიხოსრო 5
ფანასკერტელ-ციციშვილი ზაქარია
290
ფანწულიძე ფატი ომარის ასული 419,
549
ფარემუზი 389
ფარსადანი 290
ფარსადანიძე ნოდარ 5
ფაშვიბერტყაძე ფეშანგი 6, 232, 235,
237-238, 240-242, 391
ფეოფრატ 243
ფილიპე 361
ფირდოუსი 228, 289, 291, 300-301, 387
ფირფილაშვილი პ. 238

ფირცხალიშვილი რიმა 491
ფრანგულაშვილი 43
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი“) 278
ფრიდონი („ისტორიანი და აზმანი“) 287-288
ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ნ კეტ-რე იბერი

ქ

ქავთარაძე 290
ქავთარია მიხეილ 490, 519
ქაიხოსრო 34
ქაიხოსრო გურიელი 15, 21, 23-24
ქაიხოსრო I, გურიელი 13, 23, 34, 42
ქაიხოსრო II, გიორგის ძე 41
ქაიხოსრო III 42
ქაიხოსრო ყუარყარეს ძე (ათაბაგი) 392
ქამალი 245
ქართველიშვილი თეა 419
ქაჯაია ლამარა 71
ქეთევანი (დავითის ასული, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) 409
ქეთევანი (სულხანის ცოლყოფილი) 24-25, 224
ქეთევან დედოფალი 52, 224
ქვარინი ზაკარია 38, 354
ქორძე ფილიმონ 8
ქრისტე, იესო, იესუ 27, 44, 47-48, 69-71, 73, 75-76, 90, 94, 100-101, 103, 108-115, 117-118, 120, 122-125, 129, 135, 141, 202, 219-221, 223-224, 226-228, 247-252, 260-261, 269, 271-372, 305, 319, 327-328, 330, 334, 349, 363, 379, 381-382, 402
ქუთათელაძე ლილი 35
ქურციკიძე ციალა 71, 370

ლ

ლლონტი ალექსანდრე 14, 312, 374
ლლონტი შალვა 150, 424

ყ

ყაბუჩი („შაჰნავაზიანი“) 391
ყაისი 404
ყანდუაშვილი ივანა 42, 49

ყარანი 5
ყაუხჩიშვილი სიმონ 37, 130, 222, 233, 286, 288, 347, 357, 369, 371-372, 383-384, 390
ყილჩიყო 83
ყიფიანი მიხეილ 10
ყიფშიძე გრიგოლ 181
ყორჩიბაში 372
ყუარყუარე (ათაბაგი) 392
ყუბანეიშვილი სოლომონ 70, 83, 173-174, 223, 292, 358, 467

შ

შაგულშიძე ლამარა 551
შაგუელი („ვეფხისტყაოსანი“) 145-146, 173, 179-180, 182, 189, 193, 201, 230, 283, 364-366, 382, 386-387, 392, 394, 398, 401, 408, 411, 421-422, 467, 480, 487, 506, 536, 542, 548 (6 კიდევე იოანე შაგუელი)
შალიკაშვილი ვახუშტი 46
შალიკაშვილი მართა ნ ლარაძე-შალიკაშვილი მართა
შალიკაშვილი ოთარ 392
შალიკაშვილი როსტომ 46
შანიძე აკაკი 11-12, 225, 231, 273, 331, 347, 381, 400, 481, 485
შანიძე მზექალა 131, 288, 379
შარაშენიძე ვთერ 528
შარაშიძე გ. 313
შარაშიძე ქრისტინე 13, 15
შარაძე გურამ 485
შარვაშიძე გიორგი 39, 43
შარვაშიძენი 40
შახნაზარი ნ არჩილ II
შატბერაშვილი დათუნა 293
შაჰ-აბას I, შაჰაზ 371
შაჰ-აბას II 209, 243, 413
შაჰნავაზი ნ ვახტანგ V, შაჰნავაზი
შაჰრინოზ 287-288
შაჰრმჯორი 288
შეგარდნაძე ელუარდ 17, 499
შემოქმედელი იაკობ ნ იაკობ დუმბაძე
შემოქმედელი, სამეცელი

შემოქმედელი ნიკოლოზ ნ ნიკოლოზ
შემოქმედელი
შენგელაია ნ. 265
შერვაშიძე ლ. 35
შიო (წმინდა) 272
შოშიაშვილი ნოდარ 289
შუშანიკი 224
შვაბრაილ ნ გაბრიელ

ჩ

ჩაჩავა ნუკრი (პაატა) გივის ძე 2-3
ჩახრუხა 163
ჩახრუხაძე, Чахрухадзе 4, 5, 145, 147-148, 156, 162-163, 168, 175-176, 179, 190-193, 196, 199, 202-209, 214, 228, 230, 252-254, 256-257, 273, 288, 290, 302, 308, 315-316, 364, 366, 386-387, 392, 394, 399, 416, 418, 421-423, 435-436, 457, 459, 467, 475, 477, 487, 506, 516, 534-535, 537, 541-544, 547, 549
ჩახრუხაძეები 202
ჩოლოყაშვილი 393
ჩოლოყაშვილი გარსევან 5, 126, 172
ჩოლოყაშვილი ნიკიფორე, ნიკოლოზ, ირბახი 15, 22
ჩოლოყაშვილი ომან 23
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო 291, 388
ჩუბინაშვილი დავით 65, 142, 155, 181, 222, 230, 237, 389, 392, 448
ჩუბინაშვილი ნიკო 55, 141, 159, 212, 222, 392, 448
ჩხაძე ანრი როლანდის ძე 3
ჩხატარაიშვილი იოანე 38
ჩხატარაიშვილი ქველი 6, 8-9, 22, 24, 33-34, 37, 39, 41-45, 48, 53-54
ჩხეიძე სეზნია 237, 240, 243-244, 246, 389
ჩხეტოძე სვიმონ 354

ც

ცაგარელი ალექსანდრე, Цагарели А. А. 6, 24, 48, 55
ცაგარეიშვილი ელენე 23, 46, 290, 374

ცაიშვილი სარგის 6, 153, 425, 482, 484, 490, 491, 499, 505-506, 517, 519-521, 523-524

ცაიშვილი სოლიკო 486
ცინცაძე კალისტრატე 229
ცირლილაძე ივანე 355-356
ციციშვილი დავით 212
ციციშვილი ზაქარია ნ ფანასკერტელ-ციციშვილი ზაქარია
ციციშვილი ნოდარ 388
ცრცხინვალები 187

ძ

ძაგნაკორა 476
ძოწენიძე ლალი 79

ფ

ფატუნანთ პაპინასშვილი ფასუა 293
წერელიანი დავით 126
წერეთელი აკაკი 179, 407, 517
წერეთელი გიორგი 425, 431, 463, 465-467
წერეთელი ზურაბ გრიგოლის ძე 80, 156
წერეთელი თამაზა 293
წერეთელი უთრუთ 293
წერეთელი უთრუთა 293
წერეთელი ქრისტეფორე 293
წიეწიეაძე თამაზ 3, 499, 501-502
წოწორია თამილა 551
წულუკიძე ნიკოლოზ 253

ჭ

ჭაბაშვილი მ. 223
ჭაეჭაეაძე ილია 549
ჭალაგანიძეები 8
ჭანკივეი ც. 71
ჭელიძე გიზო 17, 501-502, 528, 549
ჭელიძე ედიშერ 507, 525
ჭილაია ანდრო 178
ჭილაია რამაზ 178
ჭინჭარაული ალექსი 420
ჭიჭინაძე ზაქარია 6, 8, 18-19, 29-30, 50, 53, 86, 185, 187-188, 406, 468, 555
ჭუმბურძიძე ზურაბ 8
ჭყონია ზოსია 43

ს

ხალეაში რამაზ 306, 416, 419, 549
 ხახანაშვილი ალექსანდრე, Хаханов
 А. 6, 20, 51, 56, 187, 290, 406, 482
 ხელაშვილი ნიკოლოსი 281
 ხელაძე გიბაი 43
 ხეასრო 197
 ხიმშიაშვილები 293
 ხიმშიძე იასე 5
 ხინთობიძე აკაკი 6-8, 16-17, 19, 22, 27,
 30, 32-33, 35-36, 53, 68, 126, 128,
 151-152, 154, 169, 171, 178, 190, 284,
 314-315, 317, 418, 434, 465, 475,
 479-476, 479-483, 485, 487, 489-
 996, 499-502, 517-553
 ხინთობიძე ელგუჯა 482, 487, 527-528,
 553
 ხოსრო („თამარიანი“) 288
 ხოსრო II 258

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 65, 154, 212, 281,
 290, 310
 ჯაკობია გიორგი 295, 388
 ჯამი 300-301
 ჯანაშვილი მოსე 6, 21, 29, 31-32, 50,
 53, 68, 140, 148, 155, 170, 186, 188-
 189, 200-201, 211-213, 215, 218-220,
 247, 272, 275-276, 280, 493, 521
 ჯანდიერი გ. 23, 290, 374
 ჯერასიმე ნ გერასიმე, გერასიმე
 ჯიმშელი 239, 287, 376
 ჯიმშერ, ჯიმშერიშვილი ჯიმშერ („ამი-
 რან-ღარეჯანიანის“ გაგრძელება)
 186-187
 ჯიშკარიანი ნოშრეევან 198, 422
 ჯუანშერი 369, 371, 373, 383-384
 ჯღამაია ც. 71

ჰ

ჰარირი ნ ალი-ჰარირი
 ჰერაკლე, ერეკლე (კეისარი) 197
 ჰერმესი 404
 ჰომეროსი, უმიროს 195, 252, 542

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	4
პირველი ითავი. ბიოგრაფიული მასალები	8
მეორე ითავი. იაკობ შემოქმედელის ცნობილი თხზულებანი	59
I. იაკობ შემოქმედელი—მწიგნობარი	60
II. მცირე ზომის თხზულებანი	67
1. არჩილის ერთსტროფიანი ქება	67
2. იოსებ თბილელთან გაბაასება	68
ა) სიბრძნის სახლი	68
ბ) ხანგრძლივი ძილის მოტივი	77
3. პროზაული კითხვა—პასუხები	78
4. წაღმა—უკუღმა საკითხაჲი ლექსი	84
III. „უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“	85
1. დედანთან მიმართება	86
2. მხატვრულ—პოლემიკური მხარე	107
3. გალექსვის თარიღი	139
მესამე ითავი. იაკობ შემოქმედელი და „აბდულ—მესიანის“ პრობლემა	145
I. საკითხის დასმა	145
II. ხელნაწერთა მონაცემები	155
III. „აღორძინებისა“ და მომდევნო ხანის მწერლობის მონაცემები	166
1. არჩილიდან თეიმურაზ ბაგრატიონამდე	166
2. რას გვიჩვენებენ დანარჩენი მოღვაწენი	172
3. „შავთელური“ და პოეტიკური თხზულებანი	178
4. პეტრე ლარაძის „დილარიანი“ და „ამირან—დარეჯანიანის“ გაგრძელებანი	182
IV. პროლოგის ბიბლიოგრაფიული ცნობა	190
V. ე. წ. „აბდულ—მესიანის“ პერსონაჟები	210
1. დავითი	210
2. თამარი და ქრისტიანული „სძალი“	217
3. არჩილი	231
4. ქრისტიანობისათვის თავდადებულთა ქება და მოწინააღმდეგეთა გმობა	256

VI. კლასიკური და მომდევნო ხანის მწერლობასთან მიმართება (შავთელიდან თეიმურაზ პირველამდე)	262
VII. იაკობ შემოქმედელის თხზულებებთან მიმართება.....	302
1. ლექსწყობა, სიტყვიერი, ფრაზეოლოგიური და მხატვრული გამოთქმების ერთობა	302
2. ლინგვისტური მიმართება	314
VIII. გელათი – ახალი რომი.....	346
IX. „არაბაში“ და „აბაში“.....	360
X. პოლიტიკურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიით დათარიღება ...	386
XI. ასტრონომია-ასტროლოგიით დათარიღება	399
XII. როდის დაიწერა „ქება მეფისა არჩილისა“	406
XIII. რამდენიმე შენიშვნა და დასკვნა	417
მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ე ი. ვერსიფიკაციული ძიებანი.....	424
დ ა მ ა ტ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი. ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ.....	479
პლაგიატობით პლაგიატობის წინააღმდეგ (ღია ბარათი პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს).....	479
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს თამაზ წიფწივაძეს	499
მიმართვა პროფესორ აკაკი ხინთიბიძეს	502
„ამან ეს თქვა, იმან ის თქვა“	504
პროფესორ აკაკი ხინთიბიძის პასუხის პასუხად.....	518
პლაგიატორი არ ცხრება	534
დ ა მ ა ტ ე ბ ა მ ე ო რ ე. გაზ. „ქართული წიგნის“ სარედაქციო კოლეგიას.....	555
პ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი.....	557



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge